ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

III
ტომი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2014

UDC(უაკ)908(479.22)
ა-659

იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავი-სუფ-ლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგ-რაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, 5 ა-კადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბიოგრა-ფიული ცენტრის 400 წარჩი-ნებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი — მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

ასეთი პოპულარული პიროვნების სახელობის აკადემიის შექმნა, დასა-ფიქრებელია და საპასუ-ხისმგებლოც. ჟურნალმა „ათინათმა" მკითხველის ყურადღება მიიქცია და დღითიდღე საინტერესო ხდება.

ჯუმბერ ლეჟავამ ცათა სასუფეველში დაიდო ბინა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მისი სულის წინაშე ფიცი დავდოთ და ვიშრომოთ მის უკვდავ საყოფად.

აკადემიის წევრების ფიცი

რამდენი ლექსი გირძღვენით მაგრამ,
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები.
ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს.
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ...
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ...

თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან...
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე.
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.

გულნაზ ხარაიშვილი

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია,2013

გამომცემლობა „უნივერსალი", 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-883-2
ISBN 978-9941-22-455-3

უწმინდესი და უნეტარესი, ილია II

მეუფე თადეოზი (იორამ იორამაშვილი)

* * *

უწმინდესი მყავს... რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და ერის საჩინო...
სიკვდილი?.. უკვე რწმენით ჩავღობე,
სიცოცხლე უნდა შევინარჩუნო.

გულნაზ ხარაიშვილი

* * *

სხივს ნუ მოგვაკლებ, მზევ, თბილო,
იდიდე ცათა საჩენად...
ღმერთ გადღეგრძელოს, კეთილო,
მამულის გადასარჩენად.

2001 წლის 4 იანვარი
უწმინდესისადმი დაბადების დღის მისალოციდან.

ვედრება (დეისუსი)

ბასილი დიდი

ქრისტე პანტოკრატორი

იოანე ოქროპირი

ხატმწერები: *ხატია და გიორგი ლარიაშვილები*

წმ. ბასილი დიდი

წმ. იოანე

წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი

წმ. პეტრე და წმ. პავლე

ხატმწერები: *ხატია და გიორგი ლარიაშვილები*

უფლის საგალობელი

ლალი ნაზღაიძე-ერქომაიშვილი

ნათლისკენ მავალი

მამა ირაკლი (ერობაში იორდანე კალანდაძე) ბავშვობიდან ფლობდა იმ თვისებებს, რომელთაც უღმერთობის ხანაშივე მიიყვანა უფალთან. სიმართლისა და ადამიანების თავდადებულმა სიყვარულმა ბევრ ხიფათს გადაჰყარა ხმაურიან ახალგაზრდულ ცხოვრებაში და ამავე თვისებებმა გაუკვალა უფლისკენ მავალი ნარეკლიანი გზაც. გულს უსმენდა, გულის კარნახით მოქმედებდა, გულმა კი სწორედ მაშინ შეახსნევინა სიონის ეკლესიის კარი, როცა ყველაზე ნაკლებ ელოდა ამას საკუთარი თავისგან (სამსახიობო კარიერა მთელი თავისი ბრწყინვალებით თავისკენ ეწეოდა თვალსაჩინო გარეგნობისა და მონაცემების ახალგაზრდას).

ტაძარში პატრიარქი დახვდა...

პატრიარქის გაცნობამ დიდი გარდატეხა მოახდინა მის ცნობიერებაში. იმ მადლმა და პოზიტიურმა ენერგიამ, რომელიც უწმინდესისგან მოდიოდა, იმ სიყვარულმა და თანადგომამ, მისგან რომ გრძნობდა, მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება და გეგმები. მან გაიგონა საკუთარი სულის ძახილი, მიხვდა, რა უნდოდა, რისკენ მიისწრაფოდა თურმე მთელი ცხოვრება.

მამა ირაკლი (არქიმანდრიტი ზოსიმე) კალანდაძე

1989 წელს სასულიერო აკადემიის სტუდენტი გახდა. კათოლიკოს-პატრიარქმა პირველი კურსის დასრულებისთანავე მღვდლად აკურთხა და დმანისის სიონში გაანაწესა, სადაც „სამკალი ბევრი იყო," მომმკელი კი-არავინ.

გასაოცარი იყო მისი ქრისტესმოშურნეობა - არ გრძნობდა დაღლას, არ იცოდა დღე და ღამე, არ სცნობდა წინააღმდეგობას. ასეთი დამოკიდებულება მღვდლის ღვაწლისადმი უცვლელად შეინარჩუნა სიცოცხლის ბოლომდე.

საქართველოს მრავალ ტაძარში მოუწია მოღვაწეობამ მამა ირაკლის. სხვადასხვა დროს ის იყო წინამძღვარი რუსთავის წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრისა, აბასთუმნის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის, თბილისის ჯვარის მა-

მის, წმ. იკოლოზისა(ნარიყალა) და ქვემო ბეთლემის ტაძრებისა. იყო თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი.

განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ერის სულიერ გამოღვიძებას ქალაქ რუსთავში,ქალაქში, რომელშიც ის-ის იყო, იწყებოდა სულიერი ცხოვრების აღორძინება, არ იყო წიგნები, თითზე ჩამოითვლებოდა ეკლესიები და მოძღვრები. თითოეული მორწმუნისათვის მას უნდა ესწავლებინა ეკლესიური ცხოვრების ანაბანა. ასობით ადამიანი რწმენითა და იმედით შეჰყურებდა ღვთივკურთხეულ მოძღვარს, თუმცა კიდევ უფრო მეტი ეჭვითა და უნდობლობით ჩასაფრებოდა შეცდომების დაშვების მოლოდინით... მაგრამ მამა ირაკლი ლეგენდად დარჩა რუსთავში.

ქალაქში დღემდე ახსოვთ ის განსაკუთრებულად სპეტაკი გარემო, ის თავგადადებული შრომისა და ღვაწლის განწყობა, ის წესრიგი და თანადგომა, სწავლებისთვის დღეღამური მზაობა, მამა ირაკლიმ რომ დააწესა წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში. იმ მძიმე წლებში მრავალთა სულის თავშესაფრადა და ნუგეშად რომ აქცია ეკლესია, თვითონ კი ჭეშმარიტად მამა იყო, ზეციური მამის გამოგზავნილი ჩვენთვის.

ყოველი დაქცეული ეკლესია და კედლიდან გადმოგორებული ქვა სტკიოდა ... ამიტომ იყო, რომ, როცა ქვეყანაში ყველაფერი ინგრეოდა, ის აშენებდა, წლების მანძილზე საკუთარი ხელით აშენებდა ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას, რომლის წინამძღვრადაც დაადგინა შემდეგ პატრიარქმა გაწეული ღვაწლის საპასუხოდ და რომლის კედლებშიც განისვენებს დღეს.

ის მაშენებელი იყო თავისი ბუნებით და ყოველი ეკლესიის აშენებისა თუ აღდგენის შემდეგ აუცილებლად იწყებდა ახალს, თანაც იქ, სადაც განსაკუთრებული ბუნებრივი სიძნელეების გამო სხვას გაუჭირდებოდა ხელის მოკიდება და სადაც, იქნებ სწორედ ამიტომაც, გარდამოემატებოდა მადლი. ასე აღადგინა წმ. ნინოს ტაძარი კარსანში და აღდგომის ტაძარი დავით გარეჯაში.

ის ნამდვილი მღვდელი იყო - არაფერს ითხოვდა ცხოვრებისგან თავისთვის, უსასრულოდ გასცემდა და არაფერს ელოდა საპასუხოდ, არასდროს იღლებოდა ადამიანებისთვის სამსახურით. მისმა მებრძოლმა და ვაჟკაცურმა ბუნებამ არ იცოდა კომპრომისი სარწმუნოებაში, არასდროს შევიდოდა უზნეო გარიგებაში, არასდროს გაიკარებდა ახლოს თავისი სპეტაკი ზნეობისთვის მიუღებელ ადამიანს, რაც უნდა მაღალი საერო თუ სასულიერო იერარქი ყოფილიყო. ამიტომაც იყო მუდამ „მტრიანი", როგორც კარგ ვაჟკაცს შეჰფერის.

მისი მთავარი ოცნება და მოწოდება ბერული ცხოვრება იყო, მაგრამ ამას ოჯახზე ზრუნვის გამო ვერ ახერხებდა... თუმცა გარდაცვალებამდე 3 დღით ადრე, უწმინდესის კურთხევით, სვეტიცხოვლის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა სერაფიმემ და ულუმბოს მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა გაბრიელმა ბერად აღკვეცეს. პატრიარქის გადაწყვეტილებით, სვეტიცხოვლის საძმოს წევრი გახდა.

ბერად აღკვეცის შემდეგ დაერქვა არქიმანდრიტი ზოსიმე.

მამა ირაკლის ოცნება აუხდა-ბერული ჩოხით წარსდგა ქრისტეს წინაშე.

საოცარი დამოკიდებულება ჰქონდა სიკვდილისადმი-მძიმე ავადმყოფიც კი არ შემკრთალა არასდროს, ოპტიმისტური და შემართებული იყო. მისი ცხოვრების მთავარი მიზანი სასუფეველი იყო. ამის შესახებ ევედრებოდა ყველა წმინდანს, განსაკუთრებით კი - თბილისში ხვარაზმელთაგან მოწყვეტილ 100 000 მოწამეს. მათ სადიდებლად თავად დაწერა ტროპარი, რომელსაც ყოველდღე კითხულობდა.

-საერთოდ არ მეშინია სიკვდილის, მარტო ის მაფიქრებს, მე, უღირსი მღვდელი ირაკლი, რომ არ მიმიღოს თავის სასუფეველშიო. მის ბოლო ჩანაწერში ვკითხულობთ:

უცხო ხილია ჩვენთვის სიკვდილი!

ადამიანი მარადიული სიცოცხლისთვის არის შექმნილი, მარადიული არსებობისათვის. ეს მის გულსა და გონებაში არის აღბეჭდილი.

- ის მოკვდა, მე არ მოვკვდები, - ფიქრობს ადამიანი, - ის ავარიაში მოყვა, მე არ მოვყვები; იმას დაუფიქრებლად მოუვიდა, მე არ მომივა; ხედავ, ახალი წამალი გამოუგონიათ, ის მე მიშველის; ის კარგი ექიმია, ის გადამარჩენს. ასე ებღაუჭება ადამიანი სიცოცხლეს...

მხოლოდ მორწმუნე ადამიანი ფიქრობს სიკვდილზე, ფიქრობს საკუთარ ცოდვებზე, აქვს სინანული და ემზადება სიკვდილისათვის. ასე ასწავლის ეკლესია, ასე მოძღვრავენ წმინდა მამები. მამები ამბობენ, თუ გსურს გადარჩე, მუდამ გახსოვდეს სიკვდილი, როცა ლოგინში ჩაწვები, იფიქრე, რომ შეიძლება არ გაგითენდეს ხვალინდელი დღე. იყავი მზად, "იღვიძებდი", ამბობს უფალი...

მაინც რა არის სიკვდილი, გარდაცვალება? სიცოცხლე ღმერთის მიერ ნაბოძებია, ღმერთმა ინება, რომ ყოფილიყო სიცოცხლე, მას ადამიანი სიკვდილისთვის არ შეუქმნია. მან ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. ე.ი. უკვდავებისთვის. ადამსა და ევას შეცოდებით, საკუთარი ნებითა და არჩევანით შემოხვდათ სიკვდილი, ჩვენთვის უცხო და საშინელი.

აბა, დააკვირდით მკვდარ ადამიანს! თითქოსდა უცებ უცხო ხდება შენთვის. ცივი, არაფერი არ ესმის, არაფერზე არ რეაგირებს, თითქოს თიხის ჭურჭელი, უსულო, ემოციის გარეშე, გაქვავებული, ხელ-ფეხ გაშეშებული, ყველაზე უსაყვარლესი ადამინის შეხებასაც ვერ გრძნობს... სულ ცოტახნის წინ მოძრავი, ალერსიანი, თბილი, უცებ თიხად იქცა... რაც არ უნდა მოხდეს მის ირგვლივ, უემოციოა, მისთვის არაფერს მნიშვნელობა არ აქვს. ის ჩვენთან არ არის, მას ჩვენგან არაფერი სჭირდება, არ ითხოვს, დუმს. ეს ხომ არაბუნებრივი მდგომარეობაა? უცხოა ჩვენთვის სიკვდილი.

რუსთავის მრევლი

მხოლოდ ყოვლადწმინდა სამებას შეუძლია გააცოცხლოს ადამიანი, მხოლოდ მას შეუძლია სული, რომელიც გასცილდა სხეულს, უკან დააბრუნოს... მხოლოდ ეს იქნება მაშინ, როცა ღმერთი განიკითხავს ადამის მოდგმას, მეორედ მოსვლის დროს სულები დაუბრუნდებიან სხეულს და აღდგება ადამიანი და დაუბრუნდება თავის ბუნებრივ მდგომარეობას, არსებობას...

თუმცა, ეს კია, რომ ცოდვილნი აღდგებიან სასჯელისათვის, მართალნი კი ნეტარი ცხოვრებისათვის.

ინებოს ჩვენი ცხონება ღმერთმა, რომლისა არს დიდება, პატივი და თაყვანისცემა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე...

პოეზია

2015 წელი გამოცხადებულია აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლის აღსანიშნავად

საიუბილეოდ დღეებში გამოიცა აკაკის "წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში", რომელიც მანამდე არც ერთ ტომში არაა შეტანილი, პირველი გამოცემები შესრულებულია 1906 წელს გუტენბერგის სტამბაში, გამომცემელი "ჯვარი ვაზისა", და 1908 წელს აკაკის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავზე, დიდი ქართველი მეცენატის მიტროფანე ლაღიძის მიერ ქ. ქუთაისში, ივანე კალაძის სტამბაში. გამოცემის ეგზემპლარები ინახება საჯარო, ლენინის საჯარო, სალტიკოვ-შჩედრინის და აკადემიის ბიბლიოთეკებში. (ქართული წიგნი, ბიბლიოგრფია, ტ. I, წიგნის პალატის გამოცემა, თბილისი 1941 წ. გვ. 325).

ერთი ეგზემპლარი ამ წიგნისა ინახება აკაკის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

წმინდა ნინო

პატარა ნინო ბაბუას
ეტიტინება ალერსით:
იმ დიდი ნინოს ამბავი
ან პროზად მითხარ, ან ლექსით!

ვინ იყო? სიდან მოვიდა?
თუ მართლა სომხის ქალია,
შენ უნდა გამაგებინო
და მეც ვისწავლო... ვალია!

ვისგან ისწავლა ქართული?
რად მოხვდა ჩვენს ქვეყანასა
და როგორ დაუახლოვდა
ქართლის დედოფალს ნანასა?

ან რა ქმნა, რომ მოარჯულა
მან კერპი მეფე მირიან?
ამ ამბავს ყველგან, სუყველა
სხვა და სხვა გვარად ჰყვებიან!..
შენ გენაცვალოს ბაბუა!
ყოფილხარ ცნობის მოყვარე...
ჯერ შესწავლილი არა გვაქვს
ეს ჩვენი სამშობლო მხარე.
ათასში ერთმა თუ იცის
ჩვენი ცხოვრება წარსული;
თვალი გვიჭირავს სხვისკენ,
მიგვიდის გული და სული.
ჩვენ შენ-გვარ ცნობის მოყვარეს
სუნით დავეძებთ ყველგანა;
ვერ დაგამადლით, რაც ვიცით...
და ვერ გიამბობთ შენ განა?
გიამბობ. ყური დამიგდე
ჩემო პატარა ნინუცა!
გულწრფელად გეტყვი, მოწმედ მყავს
დაბლა მიწა და მაღლა ცა.
ძველად კაბადოკიაში
ქართველთა ტომს უცხოვრია
და მუშაკის ოფლთან ერთად
სისხლიც ბევრი დაუღვრია.
დაასუსტა, დაამცირა
მეზობლებთა ხშირმა ომმა,
სანამ სრულად არ დაიპყრო,
საბოლოვოდ, დიდმა რომმა.
გადარჯულდა, სანახევროდ
გაბერძენ-გარომაელდა
და წინანდელ გვარ-ტიმობას
შიშისაგან ვერ ამხელდა.
აი, სწორედ ამგვარ ხალხმა
წმინდა ნინო წამოშობა...
მოციქულთა თანასწორი
და ქართველთა ამაყობა.
როცა ქრისტეს მოციქულთა
ერთმანეთში წილი ჰყარეს,
თუ რომელმა სად მიუთხრას
ქრისტეს მცნება?.. რომელ მხარეს?..
ღვთის-მშობელიც მაშინ თურმე
არჩევანში ჩაერია
და წილად ხვდა ყოვლად წმინდას
კერპთ-მსახური "ივერია".
მაგრამ იერუსალიმში
ქრისტემ დაუმკვიდრა ბინა
და მსახურად იოანე
სიკვდილამდე მიუჩინა.
და სხვა მოციქულებმა კი
აასრულეს, რაც ხვდათ წილად
და დაიწყეს ქადაგება
უცხო ხალხში მათ კეთილად.
შეხვდა მაშინ ანდრიასაც
კაპადოკიაში გავლა;
განმტკიცება ქრისტეს მცნების,
მონათვლა და კერპთა სწავლა.
ზოგმა იმ დროს საიდუმლოდ
ღმერთად ქრისტე აღიარეს
და მათ რიცხვში წმინდა ნინოს
წინაპრებმაც ინეტარეს.
განვლო სამმა საუკუნემ,
იშვა ნინო ქრისტიანად
და ჯერ ისევ მცირე იყო,
წამოვიდა სხვა ქვეყანად,
რომ ენახა თავის თვალით

გოლგოთა და საფლავიცა
და იქ იერუსალიმში
ქრისტეს რჯული გაემტკიცა.
ის სულ იმის ფიქრში იყო,
თუ სად არის ქრისტეს კვართი,
ელიოზმა რომ წაიღო?..
რა ხალხია ის წარმართი?
ერთხელ ძილში მან ჩვენება
ნახა თურმე საკვირველი:
ვაზის-ჯვარით წინ წარუდგა
ყოვლად წმინდა ღვთის-მშობელი
და უბრძანა: "მე წილად მხვდა
ივერია... კერპთა მხარე.
შენ, გიბრძანებ, ჩემ მაგიერ
იქ წახვიდე... მოიარე!
ჩემი შვილის სიყვარულით,
მე ვხედავ, რომ გიძგერს გული.
გამოძებნე მისი კვართიც,
სადაც იყოს დამარხული.
ძნელი გზაა, მაგრამ შენ კი
აიტანე განსაცდელი.
აი, ხელში ეს გეჭიროს,
მფარველი და შენი მხსნელი".
ეს უთხრა და მისცა ხელში
ვაზის-ჯვარი დიდებული.
გაეღვიძა ნინოს, შეკრთა!..
მიეფინა სიხარული.
ნახა, ხელში რომ ეჭირა
მღვიძარესაც ვაზის-ჯვარი;
თმა მოიჭრა, იქვე შეჰკრა,
გადიწერა რა პირ-ჯვარი
ჯვრით ხელში, რწმენით გულში
ივერიას მიაშურა
და იმისი ლოცვა-მადლი
საქართველოს მოასხურა.
წამოვიდა, არ დარიდა
თავი უცხო გასაჭირსა
და მწყემსებთან გამოკითხვით,
წყალ-წყალ დაჰყვა სულ მტკვრის პირსა
და რადგანაც ურიების
მან იცოდა კარგათ ენა,
ცოტა ხნობით ქალაქ ურბნისს,
მათთან ერთად შეისვენა.
ერთხელ ნინომ შენიშნა, რომ
ხალხი მიდის დარაზმული
და იკითხა: სად მიდიან,
ასე მორთულ-მოკაზმული?
უთხრეს მცხეთას!.. დღეობაა
დიდი ღმერთის არმაზისა!..
სულ ოქროში ჩამჯდარია...
ვით მეტოქი მაღლა მზისა.
აედევნა ნინოც სხვებსა,
გაოცებით გულის თქმაში
და წავიდა სხვებთა ერთად,
როგორც მგზავრი, იქ – მცხეთაში!..
ნახა იქაც მოძრაობა,
გამოსულა დედა, წული,
რაღაც სადღესასწაულოდ
მორთული და მოკაზმული.
დაჰკრეს დაფსა და ნაღარას,
გამობრძანდა მირიანი;
უთვალავი ახლავს ჯარი
და ზედ მეტი მისიანი.
აედევნა ამათაცა,
უნდა ნახოს ხალხის ძალა.
სხვებს მიასწრო, კლდის ნაპრალში
შევიდა და მიიმალა.
უხილავი, უჩინარი
სხვებისაგან მალავს თავსა,
მაგრამ თვითონ კი უყურებს
ყოველიფერ სანახავსა.
აი, მის წინ ზადე-გორა!
ზედ არმაზი ამართული,
მარჯვნით გაიმ, მარცხნივ გაცი
მორთული და მოკაზმული.
ხედავს არმაზს ოქროს ჯაჭვით,
ხმალით ხელში მოელვარეს;
მრისხანებით გადაჰყურებს
საქართველოს ყოველ-მხარეს.
მიდის ხალხი, მის წინაშე
სასოებით მუხლსაც იყრის:
დიდებულნი და თვით მეფეც

მოწიწებით თავს დაბლა ჰხრის.
დედებიც კი კვნესა-ოხვრით
სხვერპლად სწირვენ პირმშო შვილსა
და შიშისგან ატანილნი,
თაყვანს-სცემენ იმ ხელ-ქმნილსა.
ამას ყველას ხედავს ნინო,
აშფოთებით უცემს გული
და ეს ხალხი ებრალება,
ზეზეულად დაღუპული!...
ხელთ-ააპყრობს მაღლა ცისკენ
და შესტირის ღვთის-მშობელსა,
როგორც ჭირში დამხმარებელს,
საცდურისგან გამომხსნელსა:
“დედავ ღვთისავ! რა ძნელია
ამის ხილვა და ყურება,
რომ ყოფილა მიწის ზურგზე
ამისთანა უგნურება!
თუ შენი ძე, ის ღმერთ-კაცი,
გაიმეტე ჯვარ საცმელად,
რაღად სტოვებ სხვა მერჯულეს
ქვეყანაზე საეჭველად?
არა! ყოვლის შემძლებელო,
მოისწრაფე!... მოიხილე!...
დაეც მეხი კერპთ-მსახურთა!
გამოსცადე! გააფრთხილე!”
მაშინ მოხვდა ქარი ნიავს,
ცა შეიკრა ღრუბლით შავად;
მაღლით სეტყვა გადმოჰყარა
ლიტრა-ლიტრა... კაცის თავად.
დაფრთხა ერი. გამოიქცა...
ისევ მცხეთას მოაშურა;
შემუსვრას და დამარცხებას
კერპებისას ვერ უყურა.
სთქვა: ითრუჯან ქალდეველმა
ჩაიდინა ყველა ესო;
ერთხელ რომ ზღვა მოაყენა
მის სანაცვლოს უხდის დღესო!”
მეორე დღეს დამხობილი
ნახა ხალხმა იქ ღმერთები;
აქა-იქა მტვერში ეგდნენ
მათი ნაშთი, ნაფლეთები.
ზოგან ტანი, ზოგან თავი,
ზოგან ფეხი, ზოგან ხელი,
და მათ ახლო მხოლოდ წმინდა
ნინო იდგა უვნებელი.
წამოვიდა ნინო მცხეთას
ბინა დასდვა მაყვლოვანსა
და ცხოვრობდა იქ, მლოცველი
ჯვარცმულისა, მცირე ხანსა.
მკურნალობდა, ქრისტეს ძალით
ჩაიდენდა სასწაულსა
და სნეულთა განკურნებით
ის იგებდა ქვეყნის გულსა.
რაღაც სენით უკურნებლით
ავად გახდა დედოფალი.
არაფერი რამ სახორცო
არ მიუდგა მას წამალი.
და მაშინ კი, ობოლ მკურნალს
სასახლიდამ მიეგზავნა
შუამავალ მოციქული,
სეფე ქალი და შროშანა.
მაგრამ ნინო არ წავიდა
და პირ-იქით შეუთვალა:
თვითონ მოდი, რადგან ჰკურნებს
ქრისტეს ჯვარი და მის ძალა.
დამორჩილდა დედოფალი,
რომ მეტი გზა აღარ ჰქონდა.
“ტკბილი არის სიცოცხლეო”
და სიკვდილი მოაგონდა.
სასოებით თაყვანი-სცა
ჯვარცმულს, მწარე ცრემლებს ღვრიდა
და ამ უცხო დედაკაცსაც,
როგორც წმინდას, თავს უხრიდა.
და ნინომაც კერპ დედოფალს,
სასოება როცა ნახა,
დადგა ლოცვად და მომაკვდავს
მადლით ჯვარი გადასახა.
ტკბილ ქართულად უთხრა: თუ გწამს
ჩემი ღმერთი შენდა მხსნელად,
განიკურნო და ხვიდოდე
მორჩენილი უვნებელად.
ეს რომ უთხრა, ზე წამოდგა

განწმენდილი დედოფალი.
მისთვის არც დრო... არცა ჟამი
და არც რამე სხვა წამალი!
გაუკვირდა. მოჰყვა ტირილს...
აუჩვილდა ნანას გული,
და იმ დღიდან ადიარა
როგორც ღმერთი მან ჯვარ-ცმული!
იმავე დროს მან განკურნა
უფლის წული სულთ-მობრძავი
და დედის ძმა თვით დედოფლის
აღადგინა მომაკვდავი.
ხმა სასწაულთ მოქმედისა
დაუვადრა წმინდან ქვეყნად.
იძახოდნენ: "მოსულია
ივერიის შვებად და ხსნად".
ახმაურდა ივერია,
გაიღვიძა მთამ და ბარმა
და კერპობაც შეურაცხყო
ჯვარცმულმა და მისმა ჯვარმა.
დაამოწმა აბიათარ
ებრაელთა მღვდელმა ეს ხმა
და, ვინც იყო იჭვნეული,
გაუმაგრა მათ გულის-თქმა.
გამობრძანდა ერთხელ მეფე
მუხრანისკენ სანადიროდ
და ოთხიცა თან მძრახველი
გაიყოლა სათათბიროდ.
უთხრა: უნდა გაგიმჟღავნოთ
საიდუმლო, გულს ნადები;
დიდათ ვწუხვარ, რომ დავაგდეთ
ივერიის ჩვენ ღმერთები.
რომ წავდგებით საიქიოს,
რაღას ვეტყვით ჩვენ წინაპრებს,
რომ არაფერს არ უჯერით
აღარც ცოცხლებს და აღარც მკვდრებს.
დედაენის და არმაზის წილ
თაყვანსა ვსცემთ ვიღაც ჯვარ-ცმულს,
დედაკაცის რაღაც ზღაპრებს
ყურს ვუგდებთ და ვაყოლებთ გულს.
ის მოსული დედაკაცი
სასწაულებს ჩადის ხშირად,
მაგრამ იმას ეშმაკები
ხელს უწყობენ ჩვენდა ჭირად.
მოატანა სამხრობამ, რომ
ჯერ ნადირი არ გვინახავს...
თუ არ რისხვას ღმერთებისას
ეს შემთხვევა მაშ რასა გავს?
ალბათ წინაპრების ღმერთმა
შეგვაქცია რისხვით პირი,
აღარ უნდა ჩვენი ლხენა:
ჰსურთ მოვიმკოთ ჭირზე-ჭირი.
რაც შევსცოდეთ, ისიც კმარა.
შევინანოთ ყველამ ერთად
და ღმერთები ჩვენგან კრული,
ვაღიაროთ ისევ ღმერთად,
რომ დავბრუნდეთ მცხეთას, ისევ
მთლად სამეფო იქ შევყაროთ
და ეს ჩვენი განზრახული
საქვეყნოთაც ვაღიაროთ.
დავგმოთ ნინო, ვით გრძნეული!..
დაუდგება ეშმაკს თვალი
და თუ ნანაც არ დაგვთანხმდეს,
გავწიროთ თვით დედოფალი.
ამ სიტყვებზე მთა შეიძრა,
თვითოეულს ეცა ელდა;
მოწმენდილმა ცამ იქუხა,
მზეც გაშავდა... ჩამობნელდა.
აიტანა შიშმა ყველა,
აცახცახდნენ ვით ალვის შტო,
გაიფანტნენ აქეთ-იქით!..
დარჩა მეფე მარტოდ-მარტო.
აქეთ ეცა, იქით ეცა,
ვერ გაიგო გზა და კვალი;
ვეღარაფერს იხედება:
დამდგარი აქვს ორივ თვალი.
მამა-პაპის ღმერთს იგონებს,
შესაწირავს ბევრს პირდება,
მაგრამ არა ეშველარა,
მაინც ბნელა!.. არ თენდება.
გზა დაბნეულს და დაღუპულს,
მოაგონდა ცოდვილს ნინო:
ნინოს ღმერთო! შენ გიწამო,

თუ ნათელი მომაფინო”.
ამის თქმა და გათენება
ერთი იყო... მზე გაბრწყინდა.
აეხილა ყველას თვალი,
მაგრამ ყველა კი შეშინდა,
და მაშინ სთქვეს: ის ყოფილა
ქვეყანაზე ერთად-ერთი
და ამიერ ჩვენც ის ერთი,
გვწამს ჯვარცმული, ნინოს ღმერთი.
ჩამობრუნდნენ მცხეთას და ხალხს
მათ მიუთხრეს სასწაული
და შეიქმნა იქ საერთო
ლიტანია-სიხარული.
იმ დროს ნინო მაყვლოვანში
ჩვეულებრივ იდგა მწუხრად
და მეფემაც მიაშურა
ჯარით მოყვრად, არა თუ მტრად.
უთხრა, რაც კი თვალით ნახა
სასწაული თხოთის მთაზე
და დასტურიც ნინოსაგან
მან მიიღო გულის თქმაზე:
კონსტანტინე დიდს მისწერა,
საბერძნეთსაც მიახარა
და, რომ რჯული გაამტკიცოს,
მუნით ღვდლები დაიბარა.
მაშინ უთხრა მეფეს ნინომ:
ღმერთს შეეტკბო ეს ქვეყანა!...
და ამ სამწყსოს მოსავლელად
აქ დარჩება მხოლოდ ნანა.
მე კი საღმრთო, ზენა ძალი
მაკისრებს და მაიძულებს,
კახეთისკენ გავემგზავრო,
მივაშურო კერპ-მთიულებს.
წავიდა და იქ დაუხვდა
მას სალომე უჯარმელი:
დედოფალმა წმინდის გრძნობით
გაუშვირა წმინდას ხელი.
გაამტკიცეს მთელ კახეთში
ქრისტეს რჯული, ქრისტეს მცნება.
და ბოდბეში მოისურვა
წმინდა ნინომ განსვენება.
იქ ცხოვრობდა უდაბნოში
ქადაგებდა ახალ რჯულსა
ერთრჯულობით აერთებდა
ვაკელებსა და მთიულსა.
რომ მოვიდა აღსასრული
და დააგდო ეს ქვეყანა,
იქ იახლა მირიანი...
დედოფალიც წაიყვანა.
მოინდომა მცხეთაშივე
ჩამოტანა და დამარხვა,
მაგრამ მეფეს გაუცუდდა
სურვილები და განზრახვა:
ვეღარ დასძრეს ადგილიდან
წმინდა კუბო... მძიმედ ნახეს
და დამარხვა ნეტარისა
ადგილობრივ განიძრახეს.
ზედ ააგეს ეკლესია
წმინდა ნინოს სახელობით
და იქ მთელი საქართველო
თაყვანს სცემდა წლიდამ-წლობით.
მაგრამ დღეს კი აღარ მიდის
ქართველი, რომ სცეს-თაყვანი,
რადგან მისთვის დაკეტილი
არის წმინდა გალავანი!
თითქმის თოთხმეტ იანვარსაც
არ მიდიან!.. თავს არ ხრიან,
რადგანაც იქ ქართულის წილ
“პაკი-პაკის” იძახიან.



მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

სიტყვა ქართულ მიწას

მინდა ყოველ წუთს ვეამბორო მე შენს მკერდს, რძიანს,
ჩვენი სინდისის, სიყვარულის უმტკიცეს ფუძეს,
შენს მკერდს, პატარა კახის ცხელი გული რომ უცემს
და გმირთა ძვლებზე ამოყლორტილ დეკას და ღვიას.
არა, ქართველი შენს სიყვარულს არ მიხვდა გვიან...
და ვინც სიცოცხლე უტკბილესი გასწირა რჯულზე,
მათი თვალები ვარსკვლავებად დღეს მამულს უმზერს,
საამაყოა, მაგრამ მწარე წარსული კია...
შავი წარსული მძლავრმა ქარმა წაიღო შორით,
და სულ სხვაგვარი განახლების დაჰქროლა სიომ,
დღეს ყვავილებით გეგებება მცხეთაც, სამგორიც...
სიკვდილი ერგო, დავიწყება, აკვნების მლეწავს –
შენ კი ამაღლდი და ცას შესწვდი კავკასიონით,
მარად და მარად ლურჯი იყოს შენს თავზე ზეცა.

სამშობლოსადმი

დაე, შენ იყავ, იყავ მიზეზი,
ჩემი სიმღერის, ტკბილო მამულო,
გრძნობები წმინდა, უფაქიზესი,
ისევ და ისევ მსურს გაგიმხილო.
შენს მკერდზე დაქრის ჩემი ოცნება,
ხან რომ თამამად ზეცის კარს აღებს,
ხან იაიებს ეალერსება,
ხანაც ნაყოფით დატვირთულ ბაღებს.
ერთ და იმავ დროს, საოცარია,

ტყემალი თოვს და იწვის ატამი,
შენს მკერდს, ნოყიერს, ცისკრის ცვარიანს,
ცისარტყელები ნაზად ხატავენ.
ვარ შენი მიწის ერთი სანთელი,
ციცინათელად მკერდს გეკონები,
მსურს ჩუმად გითხრა ჩემი სათქმელი,
ნაკარნახევი გულის, გონების.
დავკოცნი კორდზე ამოსულ იას,
დავკოცნი ვარდებს, შროშანს, ზამბახებს
და ვით ქალწულის ღიმილი მორცხვი
მათი შეხედვაც ამაცახცახებს.
ვივლი ამ გზაზე, მზისკენ რომ მიდის
და შევქმნი იმას, რასაც შევიძლებ...
და მეყვარება სიცოცხლე დიდი
და მეყვარება მუდამ შენი მზე.

* * *

ვინც სიყვარულით აჯობა ყველას,
იგი შემორჩა გულს სიხარულად...
სხვაფრივ უაზროდ და უფერულად
მიფრინავს ასე დღეთა მარულა.

* * *

მზით სავსე ზეცაც ხშირად გვქონია,
თუმც ისტორიის გზებზე ბნელოდა...
„ვეფხის და მოყმის ლექსი“ გეყოფა
უკვდავებად და სადღეგრძელოდა.

ყოველ ჭიშმარიტ მორწმუნეს

სიცოცხლის წიგნში ჩაწერილა შენი სახელი,
რადგანაც სიკვდილს განგარიდა
სიცოცხლის ხელმა,
იცნოს სოფელმან –
ვის მარადი დიდება შვენის,
შესაყვარები შეიყვაროს ერმა და ბერმა.

* * *

როგორც სიცოცხლე, სიყვარული,
ვით მზის სიცილი,
არ მოგაკლდება სიხარული
შენ შენი წილი.
მიღმა სამყაროს თუ შეიგრძენ იდუმალება,
მიხვდები კიდეც ღვთის ხატ-ქმნილო რა
გევლება
სიკეთის ფრთები, სიმსუბუქე
მარად იოლი...
გამართლება და...
ნეტარება მარადიული.

* * *

იწვის... ანათებს... მზეა... ჰქვია მზე...
ჩრდილში კი გრილი გრილობს ნიჟარა...
გაგეცინება ადამიანზე,
მაინც რად არის ასე მშიშარა?
თუ უხარია, მალავს სიხარულს,
თუ უჭირს თავი ამაყად მოაქვს,
დრო გამოაჩენს ყველაფერს ფარულს,
რადგან ყველაფერს თავისი დრო აქვს.
სხვის გოლგოთაზე შენ ვინ გაგზავნის?
შენ უნდა შენი იტვირთო ჯვარი...
სულს არ უხდება დაჩნევა ბზარის,
არ გამართლდება, როგორც რომ ზარი.

* * *

საკვირველია ფერი ცის,
რა მადლი, რა სიწმინდეა...
ამგვარ ცის ქება შენ იცი,
მარტოდენ, ბრძენო მინდიავ.
მთები სივრცეში წასული
ცად მიილტვიან ნეტა რად?
და მღერის ნათლის ასული,
გაღიმებული ნეტარად.
გადმოქუხს ლურჯი რიონი
კლდეს ჩანჩქერდაკიდებული...
ვითარ ყოფილხარ რაჭაო
საკვირველ და დიდებული?

1979 წ.

* * *

საიდან ფიქრი უმზეო,
სად მიმეფარა ნათელი?
რატომ ვარ ასე უმწეო,
ყველასგან ღალატს რად ველი?
დავბერებულვარ სულითა,
თუ დროა ასე ტირანი?
სად არის ცრემლი ალალი,
შემძვრელად ამატირალი?

1979 წ.

* * *

ჟამსა ლოცვისასა მოგხედე შენ და
ჟამსა შეწყნარებისასა შეგიწყნარე შენ...
დაღლილს, დაქანცულს ჩამეძინება
და განმადვიძებს შენი დიდება,
სად შენს წინაშე ჩემი არსება
შეძრწუნდება და გაირინდება.
მაშინ გაცხადდეს ზრახვა ყოველი,
სიტყვა და საქმე დაჩნდეს კადრებად,
ძრწოდეს და კრთოდეს სული ცხოველი...
ო, ხილვა შენი ვით იკადრება?...
სად სერაფიმნი — პირველ საყდარნი,
კრძალვით ჰგალობენ ცეცხლისფრთიანნი,
სად ნათელია თვალშეუდგამი,
ვით ჩნდეს ცოდვილი ადამიანი?

* * *

ჩემთვის ისევ უაზროდ
მიდის დღეთა კრებული,
დავალ სევდით აღსავსე,
მწარედ ჩაფიქრებული...
გაღმა ელავს, ყვავილობს
სიხარულის ნაპირი...
და გამოღმა უფრთებოდ
ჩემს სისუსტეს დავტირი.

* * *

ერიდე ცოდვის პირველ ხაფანგს
არ გაჰყო ფეხი,
თორემ დაგამსხვრევს —
როგორც მუხას ტანძლიერს — მეხი.

კახა ბასიკაძე

ჩუსთავული

მე პოეზიით ვარ შეპყრობილი,
როგორც იესო – ჯვარცმის სურვილით...
მაღალ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
სამყაროს ზღვრამდე, ვიცი, სულ ვივლი,
სანამ არ ვნახავ უფლის სამყოფელს;
კოსმიურ შუქთა დიად ტალღებში
გულს უკვდავების ფიქრი ამკობდეს...
მე მსურს, შევხედო, უფალს, თვალებში...
ეს ნატვრა თითქოს სიზმარს ედრება,
და სული რჩება სიმწუხარეში...
ვარ კვლავ ზეცისკენ თვალაპყრობილი,
ისმის მთებიდან თეთრი ხმა – ყინვის,
შეხედეთ, – თვითონ იესო მადგამს
მე პოეზიის ეკლიან გვირგვინს!..
ვგრძნობ: პოეზიით ვარ შეპყრობილი...

* * *

დღეს პოეზიის ღამე იქნება,
მოვლენ, შორიდან, სევდის ლანდები;
მე რა ვქნა, – ბედმა ასე ინება
და უსათუოდ შემიყვარდები.
ეს სული ბავშვურ ზღვის ლურჯ სიშორეს
მიეძალება, როგორც თოლია,
და მოედება თვალების ბაღებს
შემოდგომათა მელანქოლია...

ლურჯი ჯოხი

ყველაფრიდან ჩანდა, რომ
პოეტად ვიყავი დაბადებული.
აი, მაგალითად:
ბავშვობაში
ჩემი ყველაზე გამორჩეული სათამაშო
იყო ლურჯი ჯოხი,
ლურჯი, ზეცისფერი;
საერთოდ, ლურჯი ფერი ხომ
განსაკუთრებულია პოეტებისთვის;
ვფიქრობ,
საკმაოდ სიმბოლური მომენტია...
ვიზრდებოდი და
უფრო და უფრო ვიახლოებდი
ზეცას,
რომელიც, ლურჯი ჯოხივით,
ჩემი მეგობარი შეიქმნა,
და მას მერე
დამაქვს ზეცა ხელით,
როგორც ლურჯი ჯოხი,
რომელიც არ მაძლევს საშუალებას
რომ დავეცე...
იქნებ ჩემი გულიც
ლურჯი არის? –
მე ხომ
არ მინახავს იგი...

შეკუნიერება

(ყოფნა-არყოფნის თეორი ზღვარი)
დიდი ხანია, თვალებს აღარ ახელს.
(ასეც საოცრად ლამაზია).
რატომ აკეთებს ამას? –
აღთქმა დადო.
დედათა მონასტერში ცხოვრობს.
მონაზვნები პატრონობენ, ეხმარებიან...
თავადაც გადაადგილდება, –
შეეჩვია გარემოს...
მიზეზი რაა მისი აღთქმისა? –
არ ვიცი, თუმცა
ის კი ნამდვილად შემიძლია გითხრათ,
რომ ულამაზესია.
თავდახრილი, ყვავილებთან რომ ზის,
გეგონება, ესაუბრება მათ
დახუჭული თვალებით.
ასევე ესააუბრება მწვანე ფოთლებსაც,
პატარა წყაროსაც...
თითქოს სულ ტირის,
თითქოს იმიტომ არ ახელს თვალებს,
რომ წამითაც არ შეუძლია
არ იტიროს და,
ცრემლებს მალავსო, გეგონება.
მაინც ეტყობა ცრემლი
ასეც ეტყობა, თვალდახუჭულსაც,
და ეს უფრო ამშვენებს...
საოცრებაა... გული მიკვდება...
უფალმა მზე შექმნა
თუნდაც იმისთვის, რომ ანათოს;
ყვავილი – სურნელი რომ აფრქვიოს,
მზერა დაგვიტკბოს;
მთები – რომ
თეთრი თოვლი გააუკვდავონ;
გული – სისხლისფერი რომ იყოს
(მეწამული, ლურჯიც, ანუ –
ფერი ზეცის სისხლისა);
ზოგი ადამიანი კი – იმიტომ,
რომ სევდის კვირტები გამოისხას,
სევდის ყვაოდეს...
იგი, დიდი ხანია,
თვალებს აღარ ახელს.
დედათა მონასტერში ცხოვრობს...
ულამაზესია, ღმერთო ჩემო!...

პირამიდები

ცისფერ ღამეში დაიმსხვრევა პირამიდები,
სფინქსის თვალები ატირდება ჩვილი ბავშვივით,
როცა დაღლილი, უდაბნოში, თეთრი სამოსით,
პირამიდებთან ნაღვლიანი ქრისტე ჩიავლის.
და ბეთჰოვენის სიმფონია შეშლის უდაბნოს,
ქარის მუსიკა ბებერ ქვიშას ტალღებად გაშლის...
შენ პოეტი ხარ, და ოცნებას ქრისტეს უამბობ,
რადგან, ამქვეყნად, ქრისტეც იყო, ოდესღაც, ბავშვი.
თუკი კაცი ხარ, სიხარული ვეღარ მოგიცდის.
(მკვლელის ხელებმა ყვავილების ბაღი გააგეს).
ამ ქვეყანაზე, კაცობისთვის, ის ხალხი იცლის,
რომლებმაც უკვე, ცხოვრებაში, ძლიერ წააგეს!...
ცისფერ ღამეში დაიმსხვრება პირამიდები,
სფინქსის თვალები ატირდება ჩვილი ბავშვივით,
როცა დაღლილი, უდაბნოში, თეთრი სამოსით,
პირამიდებთან სევდიანი ქრისტე ჩაივლის...

ანა ბეინაშვილი

შეუცნობლობა

შავად შეიმოსა დღე და
ჩუმად შემოგიღე კარი,
შორეთს შევრჩებოდი თუკი
შენთან შემრისხავდა ქალი...
ცეცხლი ეომება დილას
ცრემლი გაუღენთილა ხმაში,
ცდება განთიადზე ცოდვად
ისიც ცბიერებით ვაჟის.
ცრეცდა აკაციის ყვავილს
ცისმარს შემომსკდარი ბუქი,
დღემდე აწვალებდა ცდომილთ
თვალთა ზეცისფერი შუქი.

ღვთიური სასწაული

ჩამონისლეულდა ღამე უჩვეულო,
ღრუბლებს დაუფარავს მთვარე მოღალული,
მთელი საქართველო გლოვა-ურვეულობს,
წარმართ არაბთაგან სისხლად მოღვარული.
უფლის შარავანდი ნათლით მოსავს გმირებს,
რიონს მიეკრძალავს სული ალებული...
ორი დიდებულის: დავით – კონსტანტინეს,
ათვლით ათდღიანი ტანჯვით წამებულის.
რწმენა, მამულისთვის ცრემლით გაილეთა,
ჯვარით გადიბეჭდა ქცევა ღვთისმიერი,
აღსდგა უდრეკელად სული მოწამეთა,
ღმერთი გაპირველდა სამშობლო და ერი.
გამოსტაცეს სხივი გმირთა წმინდა ლანდებს,
ვარსკვლავებმა ზეცად აამზევეს ღმერთთან,
ახლაც სასწაულობს წმინდა ოდაბადე,
– ჩვენი სალოცავი – სვეტი მოწამეთა.

ხატმა დედის

ამ გაუსაძლის ცხოვრებას მისდევ,
ბედმა ჩაგიხშო სულში ოცნება...
დრომ ჩამოღერღა წარსული უხმოდ
და ვერ წაგართვა პატიოსნება.
ჩამოგენისლა წლები წვალების,
ხან ცრემლი გძლევდა, ხან აგონია...
და წუთისოფლის ნაღვლემარ გზაზე
მაინც სიკეთემ გაგიყოლია.
ღამეც ათია დარდმა ვაების,
მწუხრიც აფხრიწე ღამეს ლანდიანს...
კვლავ ცისკრობს სულში წმინდა სანთელი,
კვლავ მუხლმოდრეკით ლოცულობ, დია...
ძვირფასო ჩემო! ცხოვრებამ შენში
ღვარძლის ნაგლეჯიც ვერ დაატია...
ოდნავ ფერმკრთალი ხატება დედის
შორი მზესავით რა დიადია!

ლოცვა იმედით

მზეში დიადი სული ჩაუგია
ვაგლახ, ვერ ავიღე სატევარი,
ყაყაჩოსავით რომე მსუბუქია
ჩემი დამსხვრეული ნატერფალი.
გავისაძლისე ცხრა ძმის რაინდულად
სულით მშვენიერით, მამა-პაპის ხარით,
ვაგლახ, უღონობავ... უღვთოდ გაყიდულა
მიწაჩაბღუჯული ქართველთ ნასისხლარი.
ხანძრად გამომედო ნავალი უბირთა,
მიწავ, სად არიან ქართველები,
გადმოგიყარონ ნაზამთრალ უბიდან
ლურჯი საგუმბათო ფანტელები.
ვინ გამახსენოს დედა ქეთევანი
თევდორე მესიის ჯვრით მაშვრალი,
ვინ დაამწყვდიოს მზე ყურძნის მტევანში,
ვინ ავარძიოს ციხის ნაშალი.
მზე სასწაულობს – გაფრქვევს

ქეთევან წამებული

ეს სიცხადეა საუკუნის ცისფერ ტაძართან,
სივრცე უკუნებს დაბარბაცებს მკრთალი ნათება.
ზღვისფერ წყვდიადში გაინისლა შუქი თანდათან,
ამოიცისკრა ქეთევანის წმინდა ხატება.
მთა-მწვერვალებზე მიეწურვა სული განთიადს,
ანგელოზებმა გაიტაცეს თეთრი სუდარა,
რწმენა ქრისტესი აალებულ ცეცხლად ანთია,
ვერ მოციქულობს უნდილაძის თხოვნა-მუდარა.
გაიისფერდა მზე დაღლილი ტყვევნილ ქართველთა,
ჯვარცმად ეკიდა ზეციონში წმინდა სამება,
სუნთქვა შეიკრა ულმობელად გული დათენთა;
უებრო ლოცვამ, ღაღადისმა, ფიქრმა, წამებამ.
ჯალათის მზერამ, უბადრუკმა, დახანჯლა ღელვა,
მიწა დაირწა, ქაოსურად გაჟამდა სივრცე,
დედოფლის თავზე ავარვარდა სიკვდილის ელვა,
ამაოება, ამა ქვეყნის, სატანჯველს მისცეს...
არ დაელოდნენ მომხილავნი გამოთენებას,
ვიდრე წამებულს დაფიფქავდა შუქი დილისა,
ქართველ დედოფლის წმინდა ძვლები, წმინდა მამებმა,
დაინაწილეს ვითარც განძი, ვითარც თილისმა.
და კვლავაც ცოცხლობს დედოფალი ზეციურ ელვად,
სახელი ქვეყნად, სული ღმერთთან მარად მზიანობს.
კელაპტრად გვენთოს, რომ მისაებრ ჩვენმა სახელმა
მარადიული ტაძრისაკენ გაიგზიანოს.

მაინც ლანდები

კარგავდა ლანდებს სტრიქონების
მზე, ალმასები;
და იმღვრეოდა ბროლის ფიქრში
სისხლი ვაზების.
გზნების ღადარში ბრმავდებოდა
ყრუ საუბრები,
იბინდებოდა სიყვარული
ღამის კუპრებით.
ილანძებოდა ალი, ლაღი
გარდამავალი,
და გარდაღღილ გულზე
მწველად გადანავალი;
ჩადგა სიმშვიდე დაღლილ
სიზმრით შემორადული
იღვენთებოდა ვარსკვლავების
სნეული გული.
მოკლა წყურვილი, მოწეულმა
ფერმა ძახველის,
წვეთით შემკრთალი თავთუხების
სიცხით წახვედი.
და მენატრება შენი მოსვლის
ანკარა შხეფი.
თვალების მიღმა არ იწყება
გზა დავიწყების.
მძიმე საღამოს მიაცილებს
მზე შემოდგომის
ლღვება სანთელი შეციებულ
სულის შევრდომით.

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

(თარგმანი) მანასი

ჰეი, ისმინეთ ძველი ამბავი,
დღესაც რომ სულებს წამლად ედება,
ყირგიზი ხალხის გულის ნაჟური,
ყირგიზი ხალხის შემოქმედება.
როგორც ანდერძი მამიდან შვილზე,
ბაგიდან-ბაგეს ეფინებოდა
და სიზმარ-ცხადის უცხო ერთობა
უკვდავ თქმულებად იბადებოდა.
ამქვეყნად უკვე აღარ არიან
შორებულ წელთა მოწმე-მნახველნი,
სიმართლე იცის მხოლოდ უფალმა,
კურთხელ იყოს მისი სახელი.
როგორც მუჭიდან მზისფერი ქვიშა,
ჩამოიმარცვლა წელი მრავალი,
ბევრი ტბა დაშრა, ბევრი მდინარე,
წლებმა იცვალეს გზა და სავალი.
იყო ომები, სისხლის წვიმები,
ბევრჯერ გაცაწყრა დედაბუნება,
მაგრამ ვერც ცეცხლმა, ვერც ქარიშხალმა
ვერ გადაშალეს ძველი თქმულება.
თქმულება – ხალხის სულში ნაშობი,
თქმულება – პირმშო სისხლიან წლების,
ჰიმნი გმირობის და სიმამაცის,
გამარჯვების და თავისუფლების.
გულით ატარა ყირგიზმა ხალხმა
ხსოვნა ლომგულის და ზნეკეთილის,
როგორც სიმღერა გამარჯვებისა,
გრანიტის ქვაზე ამოკვეთილი.
ათასი წლის წინ დევნილ ყირგიზებს
იქ ცივ ციმბირში მოხეტიალეს,
ლომგულის ძალა შეკრიბავს ერთად,
ლომგულის ძალა აერთიანებს.

აი, ვინ იყო გმირი მანასი,
მახვილი მჭრელი, როგორც ალმასი,
ყირგიზი ხალხის დიდი სარდალი,
სხვა არვინ იყო მისი სადარი.
მან გაილაშქრა ჩინთა მხარეში,
ალაგმა მტერთა რბევა-თარეში.
მანასის საქმე ლეგენდად თქმული
უნდა ვადიდო, დამიგდეთ ყური!

თქმულება ალოოკე ხანის მიერ ყირგიზთა განადგურებისა

ჰეი, ყური მომაპყარით,
ძველად, თურმე ყველა ყირგიზს
გულს ეწერა: – გაფრთხილება
უნდა ადათს, წმინდა ყიზირს.
ყირგიზ ხანთა ჯილაგს ნერგი
გაუხარა ყარამხანმა
და მის რტოებს ვერაფერი
ვერ დააკლო დრომ და ხანმა.
ბუმბერაზი ყარამხანის
შვილი იყო ოგუსხანი,
მის შვილს ერქვა ალანჩა და
შვილიშვილს კი ბაიგურხანი.
შვილთაშვილი ბაბირხანი
მისი ვაჟი – ტებეიხანი,
ტებეიხანს შეეძინა
მზის სადარი ყორგეიხანი.
ყორგეი ხანს ღმერთმა მისცა
სამი ვაჟი – ლომთა დარი,
შიგაი და ჩიირხანი
და უმცროსი ნოგოიხანი.

ოთხი შვილის მამა გახდა
გმირთა-გმირი ნოგოიხანი,
ძენი მისი: უსენ ბაი,
ოროზდუ და ჟაკიპხანი.
არვინ იყო მათ მხარეში
ნოგოი ხანის შესადარი,
უშიშარი, ვით უხორცო,
სწრაფი, როგორც ნიავ-ქარი.
ჩინელთათვის, მონღოლთათვის
იყო რისხვა, იყო ზარი
მშობლიური მიწისთვის კი –
გულმამაცი ალამდარი.
მაგრამ როცა ზეცას სული
მიაბარა ნოგოიხანმა
მტერმა გულით გაიხარა,
მტერმა აღარ დაახანა.
მონღოლებმა, ჩინელებმა
ბოღმა ვეღარ დაიოკეს
და მეომრებს წინ წარუძღვა
თავგასული ალოოკე.
გაახვია ცეცხლის ალში
სახლები და იურტები
ბევრი ქალი დააქვრივა,
ამოხოცა ჯიგიტები.
გაიტაცა ქალწულები,
ცხენთა რემა, ცხვართა ფარა,
და ყირგიზთა სამოსახლო
შავმა ფერფლმა გადაფარა.
მზე ღრუბლებმა დაატყვევა,
სიხარულის სხივი ჩაქრა,
და გამეფდა სახანოში
სიღატაკე, ტანჯვა, ჩაგვრა.
ჟაკიპს უთხრა ბაიმ, – ძმაო,
თუმც დაგვრია დარდმა ხელი,
უკვე დროა, მოვარჯულოთ
სისხლისმსმელი აკბაელი.
ქალებივით ჩვენს მეომრებს
ამოევსოთ ცრემლით თვალი,
სიკვდილი ან გამარჯვება
ვაჟკაცების არის ვალი.
მომხდურს როდი შეაშინებს
ალმაცერად, კუშტად ცქერა,
ვიხმოთ ყველა, ვისაც ძალუძს
იარაღის ხელში ჭერა.
შეიკრიბნენ მეომრები,
წინ მიუძღვით აკბალტაი,
მზად არიან ჭაბუკები
სამშობლოსთვის დასდონ თავი.
დაადევნეს ლაშქარს ლოცვა
დაე, იყოს უფლის ნება:
მტერს სიკვდილი, თქვენ სიცოცხლე,
შინ მშვიდობით დაბრუნება.
ყანგაელმა დიდვაჭრებმა
ნაალაფარს ხელი ჰკიდეს,
და აქლემებს ხურჯინებით
ოქრო-ვერცხლი გადაჰკიდეს.
დატვირთული ქარავანი
ჩინეთისკენ მიდის ნელა,
აღარა დგას მზე შუბისტარს,
დასალიერს გადიწვერა.
მეომრებთან ერთად ვაჭრებს
ჟაკიბი და აკბალტ-ხანი
წინ დაუხვდნენ და წაართვეს
ნაალაფარ-ნაოხრალი.
მაგრამ ვაგლახ ალოოკემ
მათ მდევარი დააწია
და მამაცი ყირგიზები
ცეცხლის რკალში მოაქცია.
ახალგაზრდა თუ მოხუცი,
ყველა ეგდო დაისრული,
მზეც გაშავდა ცაზე, თითქოს
იყო ქვეყნის დასასრული.
მამების და ძმების თვალწინ
ნამუსს ხდიდნენ ქალიშვილებს
და დედების დასანახად
ცეცხლის ალში ყრიდნენ ჩვილებს.
მომხვდურებმა ყირგიზების
ხოცვა-ჟლეტით გაიხარეს,
ვინც გადარჩა, გაიფანტა
დედამიწის ოთხსავ მხარეს.
ზოგი ბაპანის მხარეში,
ზოგი კიდევ ალტაიში,

მიჰყვებოდათ დევნილთ გზა-გზა
მწუხარება, ცრემლი, შიში.
ზოგი ერენს მილასლასდა,
და ზოგი კი – ყანგაიში.
ხელ-ფეხ შეკრულ ბეჩავ უსენს
არ უხსნიდა კრიჭას დანა
და ჩრდილოეთ ორხანში მან
სული კბილით მიიტანა.
მტერი ყირგიზების მოდგმის
ამოძირკვას აპირებდა.
ბაი ციმბირში გაიქცა
ენისეის ნაპირებთან
და ნოგოის უმცროს შვილებს
ერგოთ ხვედრი მაწანწალის,
ნატვრად ექცათ ჟაკიპს, აკბალტს,
მშობლიური მიწა-წყალი.
არვინ ჩანდა დევნილების
თანამოძმედ, შემწედ, მცველად
იქ, ჩრდილოეთ ალტაიში
იურტები დასცეს ველად.
და არწევდა ცივი ქარი
გადარჩენილ ორმოც კარავს,
კაცთა ხელით შერისხულებს
ბოლოს ღმერთი დაიფარავს.
ყალმუხებს და მანჟუელებს
უმწყემსავდნენ ფარას, რემას,
ჯალაბს უნდა გამოკვება
ჯილაგს უნდა გადარჩენა...
და ერთხელაც აკბალტ-ხანმა
დაკლა თავის რუხი ხარი
მიიწვია ყირგიზები
ნატანჯნი და ნაოხარნი.
უთხრა: – „ძმებო, გვეყო ტანჯვა,
გვეყო ძრწოლა, გვეყო შიში,
გავიხსენოთ ძველი ყოფა,
მონობისთვის როდი ვიშვით.
შრომის ჟინით, თავდადებით
სავსე არის თქვენი გული,
ამ კურთხეულ ალტაიში
მოვიყვანოთ მარცვლეული.
ჩვენც ვიკვებოთ, საქონელიც
გავასუქოთ, გამოვკვებოთ
მარცვალი – ოქროდ ვაქციოთ
და ნამჯა კი – ყვითელ ერბოდ.
კმარა, ძმებო, მტერი ჩვენზე
მეტად აღარ გავაცინოთ,
სიღატაკე დავამარცხოთ,
იურტიდან გავაქციოთ.
დავივიწყოთ გარდასული
ჟამი კრული, ნაომარი,
გავაჩაღოთ ველად შრომა
დატრიალდეს უფლის თვალი!“
„მართალს ამბობ, ნუ ვიქნებით,
მსახური და სხვისი მონა:
– თქვა ჟაკიპმა, აკბალტს ბრძნული
დარიგება მოუწონა.
გაზაფხულზე ყირგიზებმა
ხელი სტაცეს თოხებს, ბარებს
და მარცვალი გულუხვ მიწას
მკათათვემდე მიაბარეს.
აშრიალდა პურის ყანა
აბიბინდა მწვანედ ახო,
ფეტვის სასმელით გაბრუვდა
ყალმუხების სამოსახლო.
შემოდგომა იყო უხვი,
შემოდგომა იყო სავსე,
ყირგიზებმა მანჟუელებს
პური მისცეს, რახი ასვეს.
რა ყოფილა პურის გემო,
პურის უცხო სურნელება
და ყირგიზებს დიდი ხვეწნით
ასე სთხოვეს ყალმუხებმა: –
„ოქროს ზოდზე გაგვიცვალე
თუნდაც ერთი მუჭა ფეტვი,
ხორბალში კი კვიცს გთავაზობთ,
სხვა რა გინდათ ნეტა მეტი?“
არც რა სურდათ, ოქროს ფასად
ალტაელებს რახი ასვეს
და სკივრები სულ პირთამდე
ოქრო-ვერცხლით ამოავსეს.
ხორცს ჭამდნენ და სვამდნენ კუმისს
ერთი ცხენი ექცათ ასად,

ჰო, ალტაის მადლიანმა
მიწამ შრომა დაუფასათ.
კარგმა ყოფამ დაავიწყათ
დევნილობის მწარე განცდა,
ჟაკიბ-ბაი სხვებზე უფრო
გამდიდრდა და გადიდკაცდა.

გოლიათის დაბადება

ჟაკიბ-ბაის სისხლი-ხორცი
ძმა-ჩიირი გარდიცვალა
მისი ცოლი, მისი წყვილი
მზე-შაქანი დარჩა ცალად.
სიკვდილს ვერვინ დაამარცხებს
ვერ წაუვა ბედისწერას,
ჟაკიბ-ბაი დიდი ძღვენით
მიდის ქვრივის სათხოვნელად.
ქალის მშობლებს რა არ უთხრა,
რა ეხვეწა, რა ეაჯა...
მაგრამ თუკი მდიდარი ხარ,
არ გჭირდება ბევრი გარჯა.
მშვენიერი ქვრივი თავის
იურტაში წაიყვანა,
მოილხინა, სხვაც ალხინა
კარავს სხივმა დაივანა...
ქალი იყო პირად ბადრი,
ოქროდ ღირდა მისი ნახვა,
ჟაკიბმა ძმის ხსოვნის ნიშნად
ცოლს ჩიირდი დაუძახა.
ერთხელ ცოლმა ჰკითხა ჟაკიპს,
მითხარ, რატომ ბორგავ ძილში,
შენ სხვებივით როდი გაკრთობს
სიღარიბის დარდი, შიში.
მთებს აბნელებს შენი ფარა,
ბეღელი ვერ იტევს ხორბალს,
შენს ნებაზე ატრიალებ
ახლობელთა ბედის ბორბალს.
საქონელი სიმსუქნისგან
უკვე წელში იზნიქება,
რაზე დარდობ, რაზე ოხრავ,
თვალი ცრემლით რად გევსება.
ქალს ჟაკიპმა უპასუხა,
ოხრად მრჩება ყოველიო,
ოქრო-ვერცხლი რისთვის მინდა,
ცა – სიუხვის მთოველიო.
მე არა მყავს ძე – ასული,
ამ დარდს როგორ მოვერიო?
ბედისაგან მე ბეჩავი
სიხარულს არ მოველიო.
ძილ-ღვიძილშიც ამას ვფიქრობ,
ვერ გავექეც შავბნელ დარდებს,
ნეტავ ვისთვის გავჩნდი ქვეყნად?
ნეტავ რისთვის დავიბადე?
მოვხუცდი და ამ ცხოვრების
მე სამსალა თითქმის შევსვი.
ცოლმა უთხრა – „მე, ბეჩავმა
ვერ ვახარე თქვენი ფესვი.
შენი ჯიშის და ჯილაგის
გადამწვარა თითქოს ყანა,
რომ გაჩუქოს შვილი, იქნებ
ერთი ცოლიც მოგეყვანა“.
„ყირგიზ ხალხის ერთი შტო ვართ,
გადმოსული ალტაიში
ჯერ არ ვითვლით შვიდ თაობას,
სწორედ მიტომ მიპყრობს შიში,
მე საკუთარ გვარ-ტომიდან,
ცოლი როგორ შევარჩიო?
სისხლი სისხლს რომ შეერევა
იქნებ გონჯი გამიჩინოს.
თუ არა და აქაური
ცოლი როგორ მოვიყვანო,
ჩუქჩების თუ ჩინელების
გვარი როგორ გავახარო?
ცოლმა უთხრა: – „არ იდარდო,
მე მომანდე ეგ საქმეო,
ვკითხავ მე შენს ნათესავებს,
ქალს შეგირჩევთ სანაქებოს.
და ჩიირდიმ საპატარძლოს
ძებნა როდი დაიზარა,
შეარჩია მან მდიდარი
ყალმუხების ნაბოლარა.
მოიყვანეს იურტაში
მზის სადარი ბაკდოლეთი,

სუფრა იყო სანაქებო,
მოწმე არის თავად ღმერთი.
გადიხადეს ყალიმი და
სამი დღე და ღამე სვამდნენ
და ყალმუხებს ყირგიზები
ასე დაუნათესავდნენ.
ორი ცოლი, მშვიდი, წყნარი,
თუმც მიაჩნდა თვალთა ჩინად,
ოთხი წელი რომ გავიდა,
ბაიმ ასე დაიჩივლა:
„მოწყალეა თუმცა ბედი,
მაინც მრჩება ნატვრა ერთი,
ხსნას ამაოდ ველოდები,
შვილს არ მიჩენს ბაკდოლეთი.
გალოკილი თითივით ვარ,
მე უშვილოდ რა ვარ, ვინ ვარ?
აქ ნუგეშად არვინ მრჩება,
საიქიოს ისე მივალ...
ვაი, მამავ, საფიცარო,
სიმწრით არვინ დაიყვირებს
ჩემზე არვინ არ იდარდებს,
ცრემლით არვინ გამაცილებს.
ვინ მიხედავს ამ ჩემს ფარას,
სახლ-კარს ან ვინ დაიფარავს,
ცხვარს წარეკავს ან მომხვდური,
ანდაც მგელი მოიპარავს.
ან ჩემს რაშებს ვინ მოუვლის,
გასცვივდებათ ჯაგლაგთ ბეწვი,
რად მინდოდა ორი ცოლი
და ორივე ასე ბერწი.
მოვხუცდი და მტკივა გული,
შვილი არ მყავს სანუგეშოდ,
ეს დოვლათი და ბარაქა
მრჩება ქართა სათარეშოდ.
მწარე სიტყვებს ისმენდა და
ცრემლს იწმენდდა ჩიორდ-ქალი,
ღმერთმა ასე რად დამსაჯა,
დამიდგება ბეჩავს თვალი.
აწი რაღა? ნახევარი
საუკუნე გამივლია,
რა სჭირს ნეტა შენს ბაკდოლეთს,
არ აკარებ თუმცა ნიავს.
ანებივრებ, ეფერები
დღე არის თუ ღამე არის,
ერთი ვაჟი რომ გაჩუქოს
ვითომ დიდი რამე არის.
ხომ არ ვამბობ შვიდს ან ცხრა ვაჟს,
გაგიჩინოს თუნდაც ერთი,
– „რა თქვი, დაო, საყვარელო? –
იქვე გაჩნდა ბაკდოლეთი. –
მე რად მითვლით უშვილობას
ასე დიდ და მწარე ცოდვად,
ჩემამდე ეგ კალთა ნეტა
ცარიელი რად დაგქონდათ?
ამ ჩვენს ძვირფას ჟაკიპამდეც
როგორც მახსოვს, გყავდათ ქმარი,
არ დაგაკლეს არც წამალი,
შელოცვა და დასტაქარი
და მაინც ვერ გააჩინეთ
ვერც გოგონა და ვერც ბიჭი“.
ამ სიტყვებით გულმოკლული
ტახტზე დაწვა ბაიბიჩი.
ტიროდა და ბედს წყევლიდა,
გული ცრემლით მოიოხა,
გაიფიქრა მერე ქალმა,
რას მიშველის მწარე ოხვრა,
თუნდაც თავი ქვას ვახალო,
თუნდ ვიცემდე გულზე ურო,
სჯობს, მივენდო უფალს, ვთხოვო
ერთი ნატვრა შემისრულოს:
„კოკე-თენგირ, დავრჩი კენტად,
უშვილობის შემჭამს დარდი,
დამიბრუნე სიყმაწვილე
და დედობის მომეც მადლი.
შეიბრალე ჟაკიბ-ბაიც
ვერ გასცურავს სევდის მორევს,
მე თუ არა, ერთი ვაჟი,
გვედრი, მიეც, ჩვენს ბაკდოლეთს.
ცისკენ ლოცვად აპყრობილი
ქალს ხელები დაეღალა,
ცრემლის ტბაში ჩაეძინა,
თვალზე ბინდი დაეფარა.

ცის მინდორზე სავსე მთვარე
გადაგორდა, როგორც ნესვი,
ჩიირდიმ სიზმარი ნახა,
ცხადზე ბევრად უკეთესი:
მას ეზმანა ბერიკაცი,
ჭაღარა და პირად სათნო,
კაცმა უთხრა: ჰე, ჩიირდი,
სევდიანი რისთვის ხარო?
თენგირის დანაბარებით
გული უნდა გაგიხარო.
ნახავ, მალე, სიხარული,
ისე, როგორც კვიცი ურა
მოფრინდება თქვენს ოჯახში
და გაქრება დარდი-ურვა.
კაცი გაქრა და ჩიირდიმ
რა ჩაკბიჩა ტკბილი ხილი,
თითქოს უცებ დაავიწყდა
ამდენი ხნის გასაჭირი.
დაიხედა, ეს რას ხედავს –
უსაშველოდ გაზრდილ მუცელს
და ერთგული, როგორც რაში,
გველეშაპი ფერხთით უწევს:
ძილში შეკრთა ბაიბიჩი,
შიშმა დააფეთიანა,
სიზმარ-ცხადის გასაყართან
თრთოდა ქალი ერთიანად.
და ჟაკიპმაც გაიღვიძა; –
„დასტურ, ვნახავთ ლხენის დღესო,
ამ ჩვენს კარებს, ვიცი ბედი
მალე მიუკაკუნებსო.
ჩემო ცოლო, არ იდარდო,
მოდი, გულით მომენდეო,
მოვიწვიოთ ყველა ჩვენი
ნათესავი, მოკეთეო.
ამიტაცა სიხარულმა
ვერ ვერევი უკვე თავსო,
ეს სიზმარი სასწაული
იქნებ ვინმემ ამიხსნასო.
„მე ჩემს რიგს არ დაველოდე,
შეგაწუხეთ, ვიცი დიდად!“
თქვა უმცროსმა ცოლმა რიდით,
იურტაში შემოვიდა.
„უცნაური რამ მეზმანა,
ვერ მოვსულვარ ახლაც აზრზე,
ჟაკიპ, სიზმრად გნახე წელან
შევარდენი გეჯდა მხარზე.
ფრთა გაშალა შევარდენმა,
მეც მომნუსხა თვალისარამ,
იურტასთან ჩამოფრინდა,
ძმები ფრთებქვეშ დაიფარა.
ჩიირდიმ თქვა: – „ჩემო ჟაკიპ,
მეტი აბა რა გითხრაო!
სიხარბისთვის კოკ-თენგირმა
უშვილობით დაგსაჯაო.
ახლობლები, მეზობლები
მოიწვიე ყველა სტუმრად,
ყალმუხებს ნუ დაივიწყებ,
არ იძუნწო შენებურად,
რადგან ღმერთი მოწყალეა,
ეს სიზმრებიც, რადგან ვნახეთ,
მაშ გაშალე სუფრა, ჟაკიპ,
ლხინში ყველას დაუძახე!“
დაკლეს ორი აქლემი და
ასი ცხვარი, შვიდი ძროხა.
ქეიფით და დროსტარებით
ყველამ გული მოიოხა.
მშობელ მიწას მოწყვეტილნი,
დევნილები ვაით, ვიშით,
ყირგიზები, აქ გამრავლდნენ
აქ, მადლიან ალტაიში.
თუმც ჟაკიპის გულუხვობამ
ყველა ძლიერ გააოცა,
როცა ბეშბარმაკი ჭამეს,
შეზარხოშდნენ კარგად როცა,
აჩურჩულდნენ: – „ეს რა ხდება,
ჟაკიპი და ხელგაშლილი?
მასპინძელმა ყველას უხმო,
ბრძანა: – იცით, არ მყავს შვილი,
მაგრამ ვნახე მე სიზმარი,
საუცხოო, საოცარი,
გამეგება თუკი რამე,
ნიშანია ზენაარის,

ვნახე ქორი ბასრნისკარტა,
საკვამურზე ჩამომჯდარი,
ისე ლაღი და ამაყი,
ვით ბრძოლაში ალამდარი,
ფრთებს ოქროსფერბუმბულიანს
უწეწავდა ნიავ-ქარი
და თვალები ჰქონდა, როგორც
მოელვარე ნაკვერჩხალი.
თავზე ადგა ათინათი
ჩამოღვრილი სხივად ციდან
სწორედ ამ დროს იურტასთან
შევარდენიც ჩამოფრინდა.
ის ქორი და შევარდენი
ნიშანია ნეტავ რისი?
ვინც ამ სიზმარს ამომიხსნის
სამი ხარი ალალ მისი.
საოცარი იყო ღამე,
ცა გვაძლევდა უცხო ნიშანს,
მინდა გითხრათ, უცნაური
რამ ესიზმრა ბაიბიჩსაც.
თითქოს კაცმა მისცა ვაშლი
შეჭამა და დაფეხმძიმდა,
ცეცხლოვანი გველეშაპი
ჩამოფრინდა თითქოს ციდან
ის ვაშლი და გველეშაპი
ნიშანია ნეტავ რისი?
ვინც ამ სიზმარს ამომიხსნის
ათი ცხვარი ფეშქაშ მისი.
რა წყალობის ღამე იყო
მოიცალა ჩვენთვის ღმერთმა,
სიზმრად მართლაც უცნაური
რამ იხილა ბაკდოლეთმა.
თითქოს ორი შევარდენი
შემოფრინდა იურტაში,
ვინც ამ სიზმარს ამომიხსნის
მას ფეშქაშად ჩემი რაში.
ყველა დიდად დააფიქრა
ჟაკიპ-ბაის გამოცანამ,
ვერვინ შეძლო სიზმრებიდან
აზრის სწორად გამოტანა.
რა თქვას ენამ, თუ არ იცის,
დაატანო თუნდაც ძალა,
ბოლოს ისევ აკბალტ-ბრძენი
წამოდგა და ასე ბრძანა:
– ქვეყნად მართლაც რა არ ხდება,
თუკი არის უფლის ნება,
გაიხარე, ჟაკიპ-ძმაო,
მალე ვაჟი გაგიჩნდება,
ქორი, ალბათ, ნიშანია
ძალისა და სიმამაცის,
ვაჟს ექნება ლომის გული,
ღონე კიდევ ათი კაცის.
ჩიირიდის თუ ეზმანა
ცეცხლოვანი გველეშაპი,
ნიშნავს – ვაჟი გაიზრდება
უძლეველი ფალავანი.
ბრძოლის ჟინით ანთებული,
რჩეული და ქვეყნის თვალი,
ყირგიზების დასაცავად
შეეწევა თვით უფალი.
შენც, უმცროსო ჩემო რძალო,
აბა, კარგად გაიგონე,
ტოკოლ, ორი შევარდენი
ორ შვილიშვილს ნიშნავს, ვგონებ.
„რა სიტყვები მოვისმინე,
საარაკო, სანუგეშო,
ჩემს ძმას, აკბალტს, სიბრძნის წყაროს,
განძი უნდა ვუფეშქაშო.
უნდა ლოცვა აღვავლინო
ყოველ ღამით, ყოველ დილით
და ვიცოცხლო ბერიკაცმა
მხოლოდ შვილის მოლოდინით.
მე თუკი რამ მაბადია,
თვით სიცოცხლეც, მისთვის მინდა,
მადლი უფალს, თქვა ჟაკიპმა
და ბავშვივით აქვითინდა.

გოგი დგებუაძე

გახსოვდეს ბედი შენი მხოლოდ შენს ხელშია

ნუ შეეჭიდები ისეთ სიმძიმეს რომელსაც ვერ დაძლევ ვერ მოერევი, ნელნელა, ნაბიჯნაბიჯ ყველაფერი დაძლევადია, თუ მოინდომებ დროის რითმს მოერგები. ეს სიბრძნე გახსოვდეს ჩემამდე უთქვიათ, მე პატივი დავდე და ეხლა ვმეორდები, ნებისყოფის გარეშე არაფერი გამოვა, როცა ძლევ წინაღობას არასდროს ბოროტდები.

იყურე წინ, უკან ნუ იყურები. უნებისყოფობა დაძლიე, ნუ ემონები, გახსოვდეს ბედი შენი მხოლოდ შენს ხელშია, რაც კი ვერ შეძელი მიზეზები პირველ რიგში ეძებე შენშია.

თავისუფლება გვაშინებს

რა შეედრება ჩვენ მიწას,
დავფიქრდეთ თუ რა განძი გვაქვს,
ჩვენი ბუნების მშვენება
ეს უდიდესი მადლია.
ბუნებას პატივს არავცემთ,
ჩვენს მიწას უხვს და მადლიანს,
ქალაქში სულის ხუთვაა
ხალხს ვხედავ მრავალს დარდიანს.
თავისუფლება გვაშინებს
პატრონს დავეძებთ მალიმალ,
სიცოცხლეს პატივს არავცემთ
მაგრამ, სიკვდილიც არგვინდა.

ერთმანეთს პატივს არავცემთ

ერთმანეთს პატივს არავცემთ
გვიჭირს ურთიერთ გატანა,
იქნებ ჩვენშია მიზეზი
სხვებში დავეძებთ სატანას,
ქვეყანას როგორ დავიცავთ
ურთიერთ არ გვაქვს ატანა,
ასეთი გაუტანლობით
მარცხი ვიგემეთ მრავლადა,
იქნებ თავს კითხვა დაუსვათ,
ჩვენ ხო არავართ ავადა ?!
იმ ლუკმას რასაც მივირთმევთ
მუდამ გვერგება არმადა,
ფეხზე ვერასდროს დავდგებით
ერთმანეთისა ჭამადა,
რაც მოგვდის რაც გვემართება
ჩვენში ვეძიოთ მარადა.
თუ გვინდა რამე გვეშველოს
ეს ერთი გზა გვაქვს წამლადა.

დასაწყისში დევს სირთულე

დასაწყისში დევს სირთულე
გზა ეკლიანი სავალი,
იდეალური სამყარო
გვახსოვდეს არსად არ არის.
ჩვენშია ჩვენში სად ვეძებთ.
ლხინიც და ჭირიც, ვარამიც;
სიცოცხლეში დევს სიკვდილი,
სიკვდილი ჩვენი ძმა არის,
ის საჭიროა რომ იყოს
სიფხიზლე გვმართვებს მარადის...
სიკვდილო არდაგნებდები
ჯერ ბევრი გზა მაქვს სავალი,
როცა დრო მოვა წამოვალ
წამოვალ სხვა გზა არ არის.

მტირ წისქვილზე წყალს ნუ ასხავთ!

მტრისი წისქვილზე წყალს ვინც ასხავს
ან ბრიყვია ან და შლეგი
მარტო კუჭის ამოვსებით
არ გამოვა არაფერი.
სიმართლე ხომ ერთი არის
სამშობლო გვაქვს ერთად ერთი ,
მტერს მოყვარისგან ვინც ვერ არჩევს
თავის თავის არის მტერი .
ახალს განა რამეს ვამბობ
ეს სიბრძენეა ძველთა ძველით
ყველა ხერხით გვმართებს ბრძოლა
როცა მტერი გვყავს ცბიერი.
დიდი შრომით, თავდადებით
გამოგვივა ყველაფერი,
მთავარია ჩვენ ეს გვწამდეს
თუ გვსურს ვიყოთ ბედნიერი.

ქეთევან ნათელაძე

* * *

ჯერ არასოდეს ვყოფილვარ ასე,
დავცარიელდი, დავსუსტდი ერთობ,
სული მარტოობს, რამე თუ ჯვარზე,
ჩემს სულშიც გაცვეს უგულოდ ღმერთო...
ვეღარ გრძნობს ქუჩა წვიმას უცაბედს,
ცა თვალებივით ვარსკვლავებს ხუჭავს,
მე არ გავდივარ დღეს ამ ქუჩაზე,
დღეს ჩემს ნერვებზე გადის ეს ქუჩა.
მე არ ვითვლიდი, დღეებმა მთვალეს,
გამომეცვალა გრძნობაც, იერიც,
დადის მინდვრებში ყოველ ღამ მთვარე -
- ამ შემოდგომის კაბალიერო.
უკვე არაფერს გიყვები ჩემზე,
მხოლოდ ვკითხულობ, ვერაფერს ვერ გთხოვ,
როცა გყიდიდნენ ოცდაათ ვერცხლზე,
რა გრძნობა გქონდა იმ წუთში ღმერთო...
მჭირდები ახლა ყველაზე უფრო,
ეს ქუჩა ახლა არაფერს არ ჰგავს,
ალბათ ეს წუთიც ჩაივლის უბრად,
ალბათ ეს ქარიც ჩადგება მაგრამ...
დღესაც ჩემს სახლში შენდა მილოცვა,
განუკურნელის ცრემლივით ენთო,
რა გააყუჩებს ტკივილებს როცა,
ყველა ჭრილობა გტკივდება ღმერთო...

მაპატიე, დავმარცხდით, გტოვებ...

დუმს ავისმთქმელად ბოლო დროა ეს ცივი სახლი,
მე ბოლო დროა ვერაფერი მხიბლავს და მანთებს,
ვერ გადავიტან ამ ნოემბერს ტკივილით დაღლილს,
მე არც ისეთი ძლიერი ვარ გავუძლო ამდენს.
ქარი აუშლის ფოთლებს ქალაქს, ღრმაძილით მძინარს,
ჩამობმულ თოკზე საბოლოო გაკრთება წამი,
დაავიწყდება აღარასდროს ჩემს ჩამქრალ ბინას,
ხმა შემზარავი ფეხებს ქვემოთ წაქცეულ სკამის.
ამასაც ჩვეულ გულცივობით ეტყვიან ქალაქს,
და ჩვეულებრივ კვლავ პირველი ფიფქები მოვლენ,
გამოსათხოვარს დაგიტოვებ ერთ მარტივ ბარათს
სულ სამ სიტყვიანს - მაპატიე, დავმარცხდით, გტოვებ...
სიცივესავით მარტოობა ფერს უცვლის თითებს,
ვერ გადამიტანს ნოემბერი ამდენად ეულს,
შენი ხელების ვეღარაფერს უშველის სითბო,
ჩამობმულ თოკზე ცოტა ხნის წინ გაყინულ სხეულს...
დუმს ავისმთქმელად ბოლო დროა ეს ცივი სახლი...

შენს ხსოვნასთან

ცუდად ვარ ძვირფასო, მზე აღარ განათდა
ამცაზე, რაცარხარ, რაც წარსულს ბარდები,
და როგორც ტკივილად დარჩენილ საფლავთან,
მომაქვს შენს ხსოვნასთან დღეს თეთრი
ვარდები...
ისმენენ ხატები მდუმარე ვედრებას,
ამ ოთახს საწვიმარ ღრუბლების ჭერი აქვს,
ჩემს სახლში გაცივდა ჩაი და კედლები,
ჩემს სულშიც ყინვიან ამინდის ჯერია...
არავინ არ მოდის ამ ეულ ბინაში,
არავის არ იღებს ეს ცივი ოთახი,
გარეთ ნოემბრის ველდება წვიმაში,
ასეთ ამინდებში მზე მოდის ცოტა ხნით...
რომ იქნებ გამათბოს... ძვირფასო ცუდად ვარ,
ძვირფასო, მწუხარე მოდიან ფიქრები,
რჩებიან ლოცვები უბრალო მუდარად,
როცა აღარა ხარ და აღარც იქნები...
სეზონი გაცივდა და კვლავ გაზამთარდა,
და რაღაც ძალიან მარტივად ვმთავრდები...
როგორც დაუვიწყარ და ძვირფას საფლავთან,
ვდგავარ შენს ხსოვნასთან თოვლისფერ
ვარდებით...

შენ რომ გამაცილე შენიდან...

თოვლსაც შევეცოდე, ზამთარსაც, ისე მარტოდ-მარტო გამიშვი,
ისევ შორდებოდით, მარტივად, ფიფქებს მაშორებდი თმებიდან,
ქარი ფანტელებით ავსებდა ჩემი შავი პალტოს კაპიშონს,
გარეთ იანვარი ყინავდა, შენ რომ გამაცილე შენიდან...
წასვლა მატარებელს უმძიმდა, მხოლოდ მატარებელს კი არა,
ცრემლებს ვყლაპავდი და ვუმზერდი ცივი ლიანდაგის იარებს,
ქარი ნერვიული მანერით ხეებს უკიდებდა იანვარს,
და შენც ნერვიულად ზედიზედ ისევ უკიდებდი სიგარეტს.
მაშინ ერთნაირი განწყობა გვქონდა, ასე მჯერა მირიან,
მე ხომ მეტისმეტად სუსტი ვარ, თანაც მეტისმეტად პოეტი,
წელსაც ჩემს განწყობას უშენოდ ვხედავ გაავდრების პირი აქვს,
წუხელ დამესიზმრა იდექი ზამთრის ყინვაში და მოვედი...
წუხელ დამესიზმრა უსიტყვოდ როგორგ პატიობდი ყველა ქალს,
რადგან უსაშველოდ მიყვარდი და უსაშველოზე მეტადაც,
უკვე გარდაცვლილი დღეები თოვლის კუბოებში ელაგა,
მე შენ მყვარებოდი ვბედავდი და ცა გათოვებას ბედავდა.
აღარ დავბრუნდებით არასდროს, ღმერთიც შენნაირად მაკლდება,
ამგვარ სიყვარულზე სამყაროს რჩება კიდევ ერთი იგავი,
მე ხომ მიყვარდი და არ ვნანობ, თუკი ქვეყნად ასე არ ხდება,
გმადლობ ყველაფრისთვის მირიან, შენთან ბედნიერი ვიყავი.
თოვლსაც შევეცოდე, ზამთარსაც, ისე მარტოდ-მარტო გამიშვი,
ისევ შორდებოდით, მარტივად, ფიფქებს მაშორებდი თმებიდან,
ქარი ფანტელებით ავსებდა ჩემი შავი პალტოს კაპიშონს,
გარეთ იანვარი ყინავდა, შენ რომ გამაცილე შენიდან...

გურამ ოდიშარია

ფრაგმენტები სექტემბრის დღიურიდან

2. IX. ნაკადულების სამყაროა ჩვენი სამყარო, მათი ფსკერიდან იწყებს აფრენას ყველა მწვერვალი, მათთან შრიალებს ტყეების მწვანე კვამლი და ხმები მოწკრიალებენ უხილავი მნათობებისა... და გიკვირს განა – ჩვენთვის სიტყვას რად ვერ იმეტებს კაცი მათ ნათელს დაწაფებული.

3. IX. ზღვა ისევ წვიმდა, მთვარეს ისევ წეწავდა ქარი, თვალები ისევ ვეღარ ცნობდნენ ერთიმეორეს...

6. IX. ჩვენზე ბედნიერი არავინაა, უცნობო. თუმც არასოდეს არ შევხვდებით ჩვენ, არც გავუღიმებთ ერთიმეორეს, არც სიტყვებს ვეტყვით გამამხნევებელს, არც გვეწყინება რამ ერთმანეთის, არც არაფერი გაგვიხარდება... და მაინც, მაინც არავინაა ჩვენზე ბედნიერი ქვეყნად, უცნობო, – ჩვენ ერთმანეთს ხომ არ მოვუკვდებით აღარასოდეს.

6. IX. მარადისობა ჩიტებით სავსე ცის თავანია, სადაც ჟღურტულით დაფრინავენ ბავშვთა გულები.

7. IX. ...და ჩვენ დავადგით ფეხი მწვერვალს და მოკვდა მწვერვალი...

11. IX. იგი, რაც ერთხელ იფეთქებს გულში, სამყაროში ჟღერს განუწყვეტლივ.

11. IX. განა რომელიმე სოფელში ან ქალაქში, განა რომელიმე ქვეყანაში ან კონტინენტზე მიწის უმცირეს გორახს მაინც ეუფლებიან სამარეები? გულია მათი ერთადერთი სამკვიდრებელი.

15. IX. ჩვენ ისევ შევხვდით... „მახსოვხართო“ – ეს წამოცდა მზერას თქვენსას და „მშვიდობითო“ – თქვა თქვენმა სახემ... როგორც ფრინველი მკერდგაპობილი, ზღვის თავზე წამით გაქვავებული – შეჩერდა დილა.

16. IX. ...და როგორც ხიდან გადმოვარდნილი კაცი დაეძებს ტოტებს ჰაერში, ვეძიებ ისე ხანდახან ზღვას სანაპიროზე და ვერ ვპოულობ...

17. IX. ისეთი ბნელი იყო ის ღამე, რომ შეგე-
შინდა თვალის დახუჭვის.

17. IX. ისევ ის სახე – სიზმრებიდან გადმო-
ხვეწილი – ღია კარებში მდგარი მოხუცი, გაჯავ-
რებული, ხელში მარადი პურით და ღვინით.
„მშვიდობით“ – მითხრა მან მისალმების ნაცვლად
და სწრაფად მიხურა კარი.

19. IX. როგორც მორევში გადაგდებული ლოდი,,
ბუშტუკებგამრავლებული – სხივმოგიზგიზე
სახლის ლანდი გაქრა უეცრად ღამის წყვდიადში.

21. IX. როდესაც ბავშვი მთელი არსებით ყურს
უგდებს წვიმას, ეს იმას ნიშნავს, რომ მან და-
კარგა უკვე რაღაც სამარადისოდ.

21. IX. ისე ერთგულად ხმებიან ხმები შემოდ-
გომის ხეივნებისა, რომ გეგონება ატყუებს
ვიღაც – საცაა ისევ დაბრუნდებითო.

22. IX. დღე უცნაური: სცენა – მწუხარე,
ვით დაცემული ზეხორციელი, ფრთებმაგიური როი-
ალი ქალაქის თავზე, ხმები – გარდასულ საუ-
კუნიდან გამოჟონილი, ხეთა რტოები მარტოო-
ბას მიღწეულები, ვიოლინოდ გარდაცვლილები.

24. IX. დაახლოებით ასეთივე დღეს – ამ ბალა-
ხების შუქი დაბინდავს ცისკენ აღმართულ მუსი-
კას და ცას. დაახლოებით ასეთივე დღეს დაგმა-
ლავენ შენ ქუთუთოებს ქვეშ – თვალთა მარილ-
ში, და არასოდეს აღარ გაგცემენ.

25. IX. ლოცვასავით დიადი ქალი, ჩანჩქერივით
თმებსხივოსანი, ტოვებს ზღვის წიაღს... ასე მხო-
ლოდ ალვა ამოდის ცით მოხმობილი წვიმიდან
რტოებაქაფებული, ბედნიერი, ფოთლებკრიალა.

29. IX. ის არ ცხოვრობდა არასდროს ჩვენთან...
როცა ოთახში დაიდო ბინა, შევარქვით ეჭვი,
როცა ნახევარ სახლს დაეუფლა – ვუწოდეთ ში-
ში, და როდესაც დაიყპრო სახლი – „სიყვარუ-
ლოო“ წამოცდა ბაგეს და ავქითინდით მოულოდ-
ნელი გამოცხადებით აღტაცებული.

ლევან ბაბუხადია

დედას

მე შენს სურათთან პირჯვარს ვიწერ
როგორც წმინდანზე,
შენა ხარ ჩემი ნათლის სვეტი,
ღვთისმშობლის სწორი.
შენით ვსულდგმულობ ამ დალოცვილ,
ტკბილმწარ მიწაზე,
შენსკენ მომავალ სივრცეს ვზომავ
და სიტყვას ვწონი.

განწყობილება

მე გამოვედი
ჩემი თავიდან
და ახლა თითქოს
პირიქით ვცხოვრობ;
მაგრამ ვერაფერს
ვიწყებ თავიდან,
ადარც ვკვდები და
ვეღცა ცოცხლობ.
ვგავარ უფერო,
უფრთო პეპელას,
ჩემთვის სამყარო
გახდა საკანი;
ჩემივ წარსული
გადამემტერა,
არ ვიცი რა მაქვს
გადასატანი.
გაჩხერილი ვარ
მსუსხავ სივრცეში,
ვერც მიწა მათბობს,
ვეღარც მზის სხივი;
დაბლა მეწევა
სხეული – ლეში,
სული შხუილით
მაღლა მისხივის.
მიკვირს ეს განცდა:
მზარავს სიმაღლე,
ბაბუა-კაცი
თითქოს ვშვილდები;
ამდენი ჯაფით
არ დავიღალე,
ყველაფერის მერე
კიდევ ვმშვიდდები.

იმერეთი

იმერეთში ვიყავ სტუმრად,
ჩემს კოწპია იმერეთში.
მთელი ქვეყნის საოცრებებს
არ გავცვლიდი იმ ერთ-ერთში.
კაცმა ჭური მომიხადა,
როგროც უფლის მირონი.
წმინდა რიტუალში ჩანდა
საქმენი საგმირონი.
პატიჟი და ბოდიშები,
სხვაგან არნახული პეწი
წიწილი და ხაჭაპური,
რა თქმა უნდა, თიხის კეცის.
მუზეუმის თადარიგით
გაწყობილი ეზო-კუთხე,
კაი კაცმა დალოცოს და
ღმერთო, ჩემო, შენ აკურთხე!

ლომი

ნუზგარ ბაზტაძეს და...
შენ ხარ ბებერი, მთვლემარე ლომი,
დაღლილი ხარ და ცოტას ისვენებ,
ვიცი, წინა გაქვს მთავარი ომი,
გამარჯვებამდე ვერ მოისვენებ.
გადახვეწილი ბოკვრების დარდი
ბრძოლაში უნდა მოინადირო,
თვისტომთა მიმართ მოწყალე გახდი,
თუ გინდა, მეფედ ისევ გადიდონ
ჟამი ბუნებას ფერებს უხუნებს,
მალე დადგება მკაცრი ზამთარი,
ერთხელაც ძლიერ დაიბუხუნე
და ტურა-მელებს დაეც თავზარი.

XXX

ძალზე ადვილი არის სიცოცხლე
და ერთობ რთული თვითონ ცხოვრება...
თითქმის არავინ იცის ამ ქვეყნად,
რად ისჯება და რისთვის ცხონდება...
უფრო ადვილი არის სიკვდილი,
მით უფრო ძნელი – ცაში გაღწევა...
თუ სიცოცხლეში არის სასრული,
სიკვდილი თვითონ არის დაწყება.

სვეტლობო

რობინზონ ჩოქურს
ხარ სასახელო მთიელი,
ბრიყვი კი არა, გულუბრყვილო,
შენი ლექსების პატრონი,
მართლა დიდი ხარ, უსიკვდილოდ.
ამიტომ დიდხანს იცოცხლე,
ლექსებით მაინც გამდიდრდი...
ხანდახან მჟავისშიც ადი, –
ვინ ჩამოგიტანს საზიდრით?!
თუ სიტყვას გამატეხინებ,
შენზე იქნება ალალი,
ჰოდა, ყოჩაღად იყავი,
წინ დიდი გზა გვაქვს სავალი!

ქალი, ზათვხული, თეოსოფია

ცეცხლი ეკიდა შენს მზისფერ სხეულს
და ცას წვდებოდა ვნების ალმური
და კაცთა მოდგმას ქალითვე სნეულს
დაჰფრენდი, როგორც უცხო სალბუნი.
. . . . . .
ესე-კაცის და პოეტის ალღო,
თუმც ქალის განცდაც არის მთავარი,
მაგრამ შიგნით და უფრორე მაღლა
რა ხდება?! –
განსჯა უნდა მრავალი.

ვაჟა ეგრისელი

ცას მიკარგული ვარსკვლავები ქალაქებია

წარსული –
ცაა
დანისლული
ბრძოლის ექოთი,
ღრუბელთა სრბოლა –
წინაპართა უხმო ხეტება,
ცას მიკარგული ვარსკვლავები –
ქალაქებია –
ქალდეს, ქართების...
და ომებით მთვრალი
ხეთების.

კავკასიონი

ქართული მთები სწუხან სიმაღლეს
და თვალი მაინც ცისკენ უჭირავთ,
მაგრამ მიწასაც,
ვითარც მშობელს გრძნობენ ისინი,
რადგან შოლტივით
ბილიკები
გადაუჭირა...
კავკასიონი გაწოლილა ბნელში
სფინქსივით
და ყინვის დამზრალ ტორებს ილოკავს.

სმაღლება

ამაღლდი, სულო!
სხეულიდან ამოიწიე!
(გებდაუჭება მიწიერი არამიწიერს.)
და ღვთის საუფლო,
უსამანო ლაჟვარდს გახედე!
ეს სულ ერთია,
სივრცეები გერთვის
თუ ერთვი,
და ამით უფალს თუ შესცოდე,
ამ „სითავხედეს“,
მაღალია და...
შეგინდობს ღმერთი.

ვედრება

მომეცი ნება,
შემოვაღო შენი კარები
და შემოგბედო კრძალვით და რიდით
არა ლოცვები, არც აღსარება,
არამედ სიტყვა
და გულისთქმა მცირე თუ დიდი.
მომეცი ნება,
დაგიდაფნო სიმღერით შუბლი
და დავდგე ტინად,
დავდგე ქარაფად.
მარადისობა ხელთ ავიღო, ვითარცა შუბი,
მომეცი ნება...
სანამ მაქცევ მტვრად
და არაფრად.

* * *

წარსულში უცებ წინაპარმა
ხმალი იშიშვლა
ასე მგონია, როცა იელვებს,
ზღვაში თვალს ახელს სასწაული
და ფანტაზია,
ქუხილი არა,
აიეტი და ფარტაზია!
ისევ ებრძვიან პონტოს პირას
ბიზანტიელებს.

* * *

დაუკითხავად, როგორც მოყვასი,
კარზე მოადგა
შემოდგომა
ტყვიავს და შინდისს
და დიონისე –
ღვინის ღმერთი ფეხდაფეხ მოჰყვა.
კასპს
სამოსს იცვლის
წაბლი და შვინდი,
გორში
ვარდისფრად შეიღებეს ვაშლებმა ლოყა.

ცისარტყელას ავგაროზი

როს დაეჯახა ღრუბელს
ღრუბელი,
მეხმა
ელვის მათრახით ცა
გაროზგა.
და... ღმერთს ვარდისფერი ცისარტყელა,
ყელზე კვლავ ჰკიდია
ავგაროზად.

საქართველოს ისტორია

ათასწლეულის ოკეანიდან
ამოვიყვანე და...
ისტორია
ხელში მიჭირავს კვლავ ლაყუჩებით,
მოწვეთავს ცრემლი...
წინაპართა
ცრემლის აბს ვყლაპავ,
მოურჩენელი ტკივილების გასაყუჩებლად.

იმედი

მე,
მიწის ძე ვარ ანტეოსივით,
და სხვები უფრო ზეცას ელტვიან...
და ჩემი სული მზით შემოსილი,
დედამიწაზე ვერ დაეტია.
გაივლის ჟამი...
დიდი ხნის მერე,
ნათელი მოვა ღვთის ნაბოძები
და... საუკუნის ჩრდილში დაკარგულს –
ჩუმად მომძებნის.

* * *

მზე – ფანჯარაა,
        საიდანაც შორს ვიხედებით,
ხოლო წუხილი –
მზის მოშიში დილის ნისლია,
რომელიც კვდება, როცა თენდება.
ვფიქრობ და ვფიქრობ,
დღემდე მაინც ვერ ამიხსნია,
ცას რომ გავხედავ,
რუსთაველი რად მახსენდება?

მნუხრის ლიცნია

ჭკნება ნათელი მარადიული,
        როგორც სიცოცხლის თეთრი კანდელი.
და სიჩუმეში ვიღაც იურვის –
        მოსილი უცხო შარავანდედით.
ჟამი მკაცრია, როგორ გავართოთ,
რომ არ დაგვამხოს ზეცა ქვიტკირის.
        მიდის უგზოდ და უმისამართოდ
და ჩვენ მივდევთ და... უკან მივტირით,
მნათობებს რეკავს ღამე გრძნეული...
        და ატეხილი ფიქრთა ისლები
ამ სოფლად წამით შემოქცეული,
        ჩვენებრ იმ სოფლად მიინისლება.
ხსოვნით მოცული სადაც გვეგულვის,
ამქვეყნად ტანჯვით შობილთ მშობელი.
სიბნელის რაშზე ამხედრებული მოდის...
        მოგელავს ყოვლისმპყრობელი.

ჩემი თბილისის მაღალ კარებთან

წუხს ზედაზენი, – ჯვარზე გაკრული...
                ხოლო მახათა
                და შავნაბადა
ქართული ცის ქვეშ ღამეს ათევენ
და მოელიან კვლავ მზეშებმულ ცისკრის კარეტას,
და... მუხლმოყრილნი დგანან მთები –
გოლიათები
ჩემი თბილისის მაღალ კარებთან.

* * *

ცისარტყელების ფერად ბაფთებით
                თმამოყვავილე –
        წვიმა მიდის სანაპიროზე
და ზღვის ნაკვალევს ცრემლით დასტირის, –
                ქუხილის გზაზე სიარული
რომ დაუბედა.
ხოლო ზღვას ჩუმად,
        ქარიშხალი კონტრაბანდივით
ამოაქვს ღელვით სავსე უბედან.

უცხო ხომალდი

უცხო ხომალდის ტკაცუნობს აფრა,
        ტანში აურჟოლებს
                პონტოს და ფაზისს.
ნაპირი ღელავს...
                და ივარცხნის ზვირთთა
                შავ დალალს.
წარსულის ტოტებს ხსოვნა კვლავ არხევს...
არგოს ჰგავს –
                მთვარე.
მედეასფერ ღრუბლებში მალავს
                ცა –
ვარსკვლავებით დაჭორფლილ სახეს.

სად არის იგი?!

მოჯარდებიან უცხო ხილვები,
        ღამის ტევრთაგან
                აღმომავალნი;
ჩემეულ დღეთა საბაღნაროში –
ფრთის სინანული
                ისევ იელვებს,
ისევ იქუხებს ხმა –
                დათოფილი;
მიწით ნაშობი,
                ცათა მიერი,
სად არის იგი
                სიყვარული –
                პირველყოფილი?!

მაფშალია

სიშორისა და სიმყუდროვით
        გადახურული
განათებულა მთვარის დარბაზი,
ირგვლივ სიცოცხლის
        ჩაუმქრალი
                სხივი ანთია.
ღამის ტოტზე ზის მაფშალია
        და ცის ნარმაზე
სიმღერის ძაფით
        ქარგავს
                განთიადს.

რეზო ფაჩულია

ილიია

ვაჟა ეგრისელს!

ო, კოლხეთო!
ჯადოქარო – ჯადოქრის,
ანაკლიას გაისმის შეკივლება ქარიტის,
ამორძალი ზემძლავრობს,
ზღვა ბორგავს და ზღვა იბრძვის!
ვიღაც მთვარეს იტაცებს, უსაშველოდ ქარი ჰქრის...
ჩონგურის და აფხიარცის ტკბილ ჰანგები გაისმის...
„ჰეი ვარა თუ არ დალევ!“ –
შემოისმის დაქადნება აფხაზი ძმა თამადის,
ვიღაც უშბას ემუქრება გატყორცნილი ქამანდით...
ჯესმიმო! – ბუბუნებს დიდი მახშვი სვანეთის,
ვიღაც მთვარეს იტაცებს, უსაშველოდ ქარი ჰქრის...
ო, კოლხეთო
ჯადოქარო – ჯადოქრის,
ანაკლიას გაისმის შეკივლება ქარიტის...

მენატრება

შვილიშვილებს –
სიდური და ირინა ფაჩულიებს

მენატრება ჩემს კოლხეთში – ვარსკვლავების ცვარის ცრემლი,
მენატრება ჩემს კოლხეთში – ალიონთან ცვარის განშორების ცრემლი,
მენატრება ჩემს კოლხეთში – ბედის ბედით ჩამოღვრილი ცრემლი,
მენატრება ჩემს კოლხეთში – ლამაზ ქალის თვალის ცრემლი,
მენატრება ჩემს კოლხეთში – ძუძუს ბალღის თბილი ცმრელი,
მენატრება ჩემს კოლხეთში – დედის გულის მწარე ცრემლი,
მენატრება ჩემს კოლხეთში – შველის ნუკრის შიშის ცრემლი,
მენატრება ცხელი ცრემლი, დედის ოფლის სურნელება!
მენატრება დედის ცრემლი, ჩემი მოფერების ცრემლი!..
მენატრება ჩემს კოლხეთში – მთვარის მზესთან განშორების ცრემლი,
მენატრება ჩემს კოლხეთში – ვარსკვლავების ცვარის ცრემლი...

ზაურ მოლაშხია



აქ ვიწეწები...

შენს დაუფლებას ლამობს ბოგანო, –
სულით საპყარი...
მსურს ყველა ბზარი რომ ამოვგმანო...
მტკიცე სამყარი
შევუდგა მარჯვედ მყოფადის ზეცას...
როგორც საყრდენი, –
ჩემი ცარგვალის არჩივი მეც ვარ...
კიბეს ავყვები
უსასრულობის სივრცისკენ მავალს...
როგორც ზნეობა, –
თვალში არ მოსდის მავანს და მავანს
შენი მეობა!
ციური თქორით უნდა მოგბანო
ყველა ნაშხამი...
და მოგაშორო სულით ბოგანო,
როგორც ნარშავი...
სხვამ ვინ შეიძლო (ყოფით გვემულით!)
შენთვის ჩემდენი?
იქით გეწევა ძალა ველური,
აქეთ ჯენტლმენი!
ყველას თავისი (ხამს!) გზა ვაჩვენოთ!
(როგორ მეთბობი!)
ჩემი წილი ხარ! მაგრამ საჩემოდ
ვიღას ეთმობი!
ვიღა დაგიდევს მართალს და მტყუანს...
ღრენენ მხეცები...
როგორც ყოფნას და არყოფნას შუა, –
აქ ვიწეწები!

***

გიშველის მხოლოდ ღვთის მადლი,
განდევნის შენგან შიშს ხატი...
ვერას დაგაკლებს ავსულთა
წყრომა,
მუქარა, შიშხათი!

ვიზიონი

ეტრატივით ცად ღრუბელი
დაგრაგნილა,
დგას გრანელი გარინდული...
კარგად გრილა...
უკვე დილა მოწევნილა, –
სისხამური...
არ უცხოობს სიყვარულის
სისხლს ამური!
. . . . . .
ემატება წვეთებს წვეთი...
(ნელა ქრება ვიზიონი...)
გამობრწყინდა, ვით სიონი, –
ცის სიღრმიდან ნათლის სვეტი!

ცენტრია ყველგან...

ცენტრია ყველგან, წრეწირი არსად,
ღალატი ყველგან, დანდობა არსად!
თაღლითი გიწერს არზაზე არზას,
პიგმეი ჩაგრავს სულიერ ტარზანს...
ის ხდება, რაიც არ მოგდის აზრად...
უსაზღვრო სფერო – ბუნების მსგავსად,
და ყველგან ცენტრი, – წრეწირი არსად!

აღიძვრის გული ხვალინდელ დღისთვის

„ცოცხალი ძაღლი მკვდარი ლომის უმჯობესია“.
ეკლესიასტე (IX, 4)

აღიძვრის გული ხვალინდელ დღისთვის, –
სანამდის ფეთქავს, უტოკავს ძარღვი,
სანამ მედინობს იმედის სისხლი...
მკვდარ ლომს ცოცხალი ჯობია ძაღლი!
ვის ელოდება ცეცხლის ღუმელი,
ვის კიდე – მშვიდი სამოთხის ბაღი?
გადატყდა ტოტი გადულუნველი...
მკვდარ ლომს ცოცხალი ჯობია ძაღლი!
ვაი, იმ ქალაქს! – გოგირდის წვიმა
რომ დააცხრება, – ვნებებით დაღლილს...
სიცოცხლის განცდა ვის მოეწყინა?
მკვდარ ლომს ცოცახლი ჯობია ძაღლი!
აღიძვრის გული ხვალინდელ დღისთვის, –
სანამდის ფეთქავს, უტოკავს ძარღვი,
სანამ მედინობს იმედის სისხლი...
მკვდარ ლომს ცოცხალი ჯობია ძაღლი!

თითქოს...

თითქოს ხანჯლების მჩხვლეტენ წვერები
და სხეულიდან სინათლე გამდის
სისხლის მაგივრად... და ვეფერები
მჭვირვალე სხივებს – სტრიქონებს ნამდვილს!
თითქოს ზმანებით ხილულს ვაკვდები
და კოსმიური ხმები მოისმის...
თითქოს ვიხილე უცხო კვარკები
და... იღიმება ჯეიმზ ჯოისი!

სიმღერა მისტიურ ცრემლზე

გადაიელვა,
ნაელვარმა გაბზარა სივრცე, –
მერე, თანისთან,
ვით ჭრილობამ, შეიკრა პირი...
ახლა, თითქოსდა
კოსმიური დუმილი ვიგრძენ, –
სუყველაფერი
გაყუჩდა და... სიჩუმე ტირის!
ტირის სიჩუმე –
უნუგეშოდ, უხმოდ, უბგეროდ, –
ცრემლის სიწმინდე
აქ მისტიურ ნიშანკვალს ტოვებს...
სიჩუმის ენით
მსურს სუყველას ცრემლზე ვუმღერო,
ცრემლზე, რომელიც
ერთდროს განგვბანს ყველას და ყოველს!

აქეთ დგას სული...

აქეთ დგას სული – სხივთა მთესველი,
იქით ვჭვრეტ მავანს – გიჟურს, შტერიანს...
ვიცი ზოგ-ზოგის – **ოქრო ლექსები**!
ვიცნობ ზოგ-ზოგთა – **ბიჟუტერიას**!
რაც უნდათ ის თქვან! – ჩემს გზას მივჰყვები...
მუდამ უნაღვლოდ ვის უმღერია?
არის სიტყვები – **ოქრო სიტყვები**!
და... იქვე არის – **ბიჟუტერიაც**!

აქ... ვაკეში

აქ, მტკივნეულად,
წამოედო შენს სახელს ხსოვნა, –
რა მხურვალება
ამოისმა გულის სიღრმიდან...
რამდენი რამე
გამახსენა ვაკეში თოვლმა,
რამდენი ვინმე –
ქვემხედველი ჩუმი ნიღბითა!

ცეცხლი

ბოლოს და ბოლოს დაინთო ცეცხლი,
დიდი გარჯის და რუდუნის შემდეგ...
ცით იმზირება მზიური ცეცხლი, –
რამხელა გზაა ღვთაებრივ მზემდე!

მინთია ცეცხლი აქ – ჩემი წილი,
დიდხანს ვაგროვე ტკაცუნა შეშა;
მაგრამ... ჯერ კიდევ არ მინდა ძილი,
არ მინდა ბოლო სასმისი შევსვა!

პარპალებს ცეცხლის ნათელი ალი,
ნამდვილი სითბო სიღრმეში ღვივის...
ვემათხოვრები არაფერს არვის,
მე ჩემი მანთებს სურნელი ღვინის!

ანთია ცეცხლი – სიცოცხლის მსგავსი,
ორგემაგეობს მყოფობის ტევრი...
არ მოედება ცეცხლის ალს ხავსი,
მას წრფელი თასით დალოცავს ბევრი!

ვამატებ ჯირკებს, კუნძებს თუ წკირებს,
თუმცა მწვავს იგი, – მე მაინც მიყვარს...
ჩემს საყუდარში მოთმენით ვწირე,
და, გამოვზარდე ამ გულში სიტყვა!

დე, ალი მისი ჰყვაოდეს მზისფრად,
მგზავრს შეაგებოს ყინვაში სითბო...
მსურს, ერთდროს წრფელი მადლობა მითხრან,
მე სხვა სარგებელს არაფერს ვითხოვ.

* * *

მარაოსავით უჭირავს ცა და
შუბლს ინიავებს ამაოება...
გულმა რაც ნახა, რაც განიცადა
ან მას სხივებად რაც გამოება,

რაც შეიყვარა, ან შეიძულა, –
გზა უნახავი, ანდა ნანახი;
რაც ვერ შეიძლო, ან შეისრულა, –
უცდის ყველაფერს ჩუმი ბალახი...

არის ტკივილი გაუვლელ გზათა –
ვნებად, ცისკრებად, საღამოებად...
სველ ტილოსავით უჭირავს ცა და
ცხელ შუბლს იგრილებს ამაოება!

ნუნუკა გურალია

ფიროსმანს

ნამთვრალევ ფიქრებს უთენია
ამზიანებდა
და სიყვარულის ფერებს ერთად
კრიბავდა ლამის
მერე მოლბერტზე თეთრი ფუნჯით
ქანცისგაცლამდე,
ხატავდა მთვარეს და სიჩუმეს
თბილისის ღამის.
მიუსაფარი ვერცერთ ტილოს
ვერ იმეტებდა
აკოწიწებდა ყველას ერთად
უსიტყვოდ ლამის
და ლამაზ ფერად კრთოდა მისთვის
მთელი სამყარო
და ლამაზფერად კრთოდა მისთვის
ყოველი წამი.
მორიდებულმა ფეხაკრეფით
დიდხანს იარა
მის სხეულში კი ბობოქრობდა
სული ლამაზი
და უკვდავებამ ბოლოს გულში
ჩუმად ჩაიკრა,
ფუნჯის ოსტატი და მეხოტბე
ჩვენი ქალაქის.

ბევრჯერ სიკეთით ნაამაგარი

საუკუნეთა ქარტეხილებში
თვალებში ცრემლით ბევრჯერ ჩამდგარით,
ლამაზი სულით, სულით ამაყით,
კდემით თამარის, კდემით ვახტანგის

სვეტიცხოველით, ხანძთით, ვარძიით
ჯვარით, ილორით, გრემით, ბაგრატით,
ნაფერებით და ნასათუთევით,
მამადავითით, ნარიყალათი.

გალაკტიონით და ილიათი,
ვაჟას, აკაკის, ტატოს კალამით,
ნიკოს, ტერენტის სევდით მრავალით
და შოთას სიბრძნით ცამდე მაღალით.

მტკვარით, არაგვით და ალაზანით,
სიოთ მთაწმინდის ცვარით ნაბანით,
ჭადარა მთები ნისლის ნაბადით,
ხოდაბუნები ოქროს ვარაყით.

ლილეოთი და ოდოიათი,
საგალობლები სიმთ სინარნარით,
მკრთალი სიმორცხვით ვით უსურვაზის
ხელთუქმნელი მზის იავნანათი.

სიყვარულისთვის ჩუმი ლოცვებით
საოცრად სათნო, გულით ალალით,
ნაიარევი მიწის ტკივილით,
ნაიარევი წამით მრავალით.

ვითარც ბერმუხა ფესვებმაგარი
მუდამ სიკეთით ნაამაგარი,
არდაჩოქილი და ფეხზე მდგარი,
ჩვენი მამული მზერით ამაყით.

* * *

ბეთანიაში კვლავ
თამარის სული ტრიალებს
ანგელოზები ჩუმად ცლიან
სევდის ფიალებს.
ვერ მოგაგენით,
უკვე ძლიერ დავიგვიანეთ,
წუხს დარდისაგან დამაშვრალი
ციცქნა კესანე.

ნაცვრადა მაქვს

სხვას არაფერს არა ვნატრობ არა
ნატვრადა მაქვს მხოლოდ ერთადერთი,
ზეცა გვქონდეს მზის თვალების ფერი
სიყვარულით ფრთხილად დანაფერი.
ხმა გვესმოდეს მუდამ მოგუგუნე,
ოშკის, ზარზმის, გელათის და გრემის,
ილორში კი ჩუმად ვლოცულობდეთ,
ხატების წინ წმინდა სანთლით ხელში.
ვნატრობ ვკრიფო მინდვრად ყვავილები,
დავტკბე მზერით სამაჩაბლოს მთების,
სილამაზით დავიამო სული,
სიამაყე მდევდეს მოკრძალებით.
სხვას არაფერს არა ვნატრობ არა
ნატვრა დამაქვს მხოლოდ ერთადერთი,
ერთიანი საქარართველოს ზეცას
მზე ათბობდეს სიყვარულის ფერი.

როდის განმეორდები

ღრუბლები ნებივრობენ
სილამაზის მორევში,
მზე კი ციდან გვიღიმის
არვინა ჰყავს ჰყავს მომრევი.
ისევ მშვიდი წამები
ფიქრთან განმარტოების,
ოცნებაო ლამაზო
როდის განმეორდები .

გვიღიმისდა

ჩამომჭკნარა მეოცნებე გვირილა
თეთრი კაბა ქარებს დაუფლეთია,
გაზაფხულის გულკეთილი შიკრიკი
გვიღიმის და სევდა მასში ბევრია
სიალალე ჩუმად უკრთის თვალებში,
სილამაზით ვეღარ დაუკვეხნია.
ჩამომჭკნარა ნელა-ნელა პატარა,
თეთრი კაბა ქარებს დაუფლეთია.

რას პირდებოდი

დიდი ხანია ალერსს მოელის
შენგან კოპწია დინჯი ბაია,
მზერა დაუთბე ოდნავ პატარას
სიცივემ ასე რომ გადარია.
გვედრი უჩუმრად მიუალერსე
მთვარეც ხომ ტკბილად მოუბარია,
თუ სიყვარული აღარ შეგეძლო
რას პირდებოდი ჭია-მაია.

გიორგი ზუხბაია

პოეზიის ფერფლი

(ზეცის სრულყოფა)

პირველად, როცა ცა ჰგავდა მისხალს,
მოვიდა ჩემთან გრძნობის მცნობელი,
მაჩუქა ფრთები ბამბუკის ხისა,
და გაქრა ნელა, როგორც ღრუბელი.
მზის კიდის ახლოს, გამჭვირვალ მთებთან,
ჰო, მინის მთებთან, თვალებით დღისა,
მოვიდა იგი მეორედ ჩემთან,
და მომცა გული ქრისტეს ჯვრის ხისა.
შემდეგ კვლავ გაქრა, ვით სული მზეთა,
მხოლოდ პოეტურ გრძნობით რომ ვხედავთ.
მერე კი იგი მოვიდა მართლა:
სიკვდილის შემდეგ, როს ღრუბლის ცრემლით
მე ავდიოდი სივრცეზე მაღლა...
და მომაწოდა მან ლურჯი ფერფლი;
ეს იყო ბოლოს, – როს ცა ილოცვის;
ეს იყო ფერფლი ჩემი სიცოცხლის...

სევდა

ახლა არ ვიცი, რა არის იქეთ, –
ამ თოვლის იქეთ, მზე რომ დამარხა.
მე თოვლს ვეძახი გაყინულ ფიქრებს,
არყოფნას, კიდევ, – ღმერთის დანახვას.

ახლა არ ვიცი, რას ვარქმევ იმედს,
გული დაშალა სევდის ერებმა,
და თოვლი, როგორც შეშლილი ვინმე,
ეძებდა თავის ბედნიერებას...
ახლა არ ვიცი, რა არის იქეთ...

სიცოცხლე ნახატში

(ნახატიდან იმზირებოდა
არამიწიერად ლამაზი ქალი...)

მზე დღეა თვითონ მუსიკის ნატვრა.
მოლოდინისგან ცას გული უცემს.
მე დავიჯერე, ამ ლამაზ ნახატს
რომ შეუძლია გაცოცხლდეს უცებ!
გულს მონატრებით სიცოცხლეს ვუსჯი,
მე გიმზერ ნახატს, მზით დაფარული,
ფერი რომ იყო, იქნები ლურჯი,
გრძნობა რომ იყო, – თვით სიყვარული.
თუ წახვიდოდი ჩემი გულიდან,
კვლავაც ნახატში, ამ ფერთა შორის...
ახლა კი განატრობ, როგორც მუსიკა –
გაჩენას მსუბუქ კლავიშთა შორის...
გულს მონატრებით სიცოცხლეს ვუსჯი,
მე გიმზერ ნახატს, მზით დაფარული,
ფერი რომ იყო, იქნები ლურჯი,
გრძნობა რომ იყო, – თვით სიყვარული...

სიგიჟე

ცა, როგორც ბავშვი,
დარბოდა ბაღში,
დასდევდა მტრედებს,
მტრედებს, ფრთა-ედემთ;
გადადიოდა სინათლე სულში,
როგორც ოცნების დაკარგვა ქარში;
ცა, როგორც ბავშვი,
დარბოდა ბაღში....
ცა, როგორც ბავშვი,
დარბოდა ბაღში...
გითხრათ სიმართლე? –
ბედნიერებას მე აღარ ვეძებ,
მხოლოდ ეს ზეცა ფიქრმა დასახა...
ამის გაგებას ვერავინ შეძლებს,
ჰო, ისე, როგორც ზეცის დანახვას,
რომელიც, როგორც
პატარა ბავშვი,
დარბოდა ბაღში,
დასდევდა მტრედებს...

ლექსის გაცოცხლება

ლექსი ცოცხლდება და ჰაერს სინჯავს,
დგება ფეხზე და ფიქრებს არ მაცლის,
ლექსი ჩაიცვამს უბრალო პიჯაკს
და პირველ კუპლეტს გადაივარცხნის.
გადის სახლიდან, ახლა მთვარეა,
ლექსი გაივლის ცარიელ ქუჩას,
სილურჯეები ჩანან გარედან
და მზის მოლოდინს ბოლო არ უჩანს.
მე ახლა მჯერა, რომ ღმერთი მიცდის;
ლექსი კი რჩება სიკვდილის მერეც;
და ლექსის გარდა არავინ იცის,
თუ ის, ასეთად, რატომ დავწერე.
ლექსი ცოცხლდება და ჰაერს სინჯავს,
მე ამ სიცოცხლეს სხვაში რა გავცვლი;
ლექსი ჩაიცვამს უბრალო პიჯაკს
და პირველ კუპლეტს გადაივარცხნის...

უშანგი მოსიაშვილი

* * *

მინდა რომ ციდან ჩამოვიყვანო
მე ვარსკვლავების მთელი ამალა,
გავაცისკროვნო მთლად საქართველო
აღარ გმინავდეს იგი აღარა.
მინდა ათბობდეს ჩვენ წმინდა მამულს
ხალხის გულები და მზერა თაკარა,
აღარ ისმოდეს ხალხის ჩივილი
და არ გვტანჯავდეს მტერი აღარა.
მინდა რომ ყველამ იგრძნოს ტკივილი
აღარ ისმოდეს გულქვა ყივილი,
რომ ერთად დავდგეთ და გავმთლიანდეთ
არას გვიშველის მარტო ჩივილი.
და ალბათ ღმერთიც წამოგვაშველებს
ღვთიურ ძალას და უდრეკ ზმანებას,
ჩვენ უფრო მეტად გავძლიერდებით
ყურს არ დავუგდებთ არვის ბრძანებას.
ალბათ ის არის ჩვენი საშველი
ჩვენში ვეძებოთ ხალხი მაშველი.
და დავიჯეროთ მარტო წუწუნით
რომ არ იქნება ჩვენი საშველი.

2014წ.

სცენინს

სიყვარულმა აგვამაღლა
მივდევთ ჟამთა დინებას
ვინ გვაღირსებს ნეტავ სოსო
შენებრ გამობრწყინებას.
ოდითგანვე უძგერთ გული
ქართველთ ვაჟკაცობისთვის,
არ გვინახავს შეწირული
არვინ თავკაცობისთვის.
თუ ვინმეს სურს შეგვილახოს
დიდებება და ღირსება
იგი სამშობლოს სიყვარულს
არასდროს ეღირსება.
შენ ეპოქის ნაშობი ხარ
ქარიშხლებში ნავალი
რაც უნდ ბევრი შეეცადოს
ვერას გიზავს მავანი.

1986წ.

მამულს

ჰე მამულო მისთვის გავჩნდი
ვიყვე შენი დგმური,
შენს მიწაზე მოვიყვანო
მე ღვინო და პური.
მუდამ მყავდეს მე სარჩენად
მოზვერი და ფური,
ღატაკი და უქონელი
იყვეს ჩემი დგმური.
მშიერისთვის მუდამ მქონდეს
მისაწვდელი პური,
უქონელს არ დავამადლო
მიცემული ფული.
მამულისთვის მუდამ ძგერდეს
ამ ჩემ მკერდში გული,
წმინდა ლოცვით ჩავაბარო
მე ზეციერს სული.

2014წ.

რწმენა

ჩვენ უფალმა დაგვანათლა
მოგვცა ჩვენი რწმენა
და დღემდე შევინარჩუნეთ
მამული და ენა.
ბევრი ერი გადაშენდა
აღარც დარჩათ აღარც ენა,
ეტყობა რომ მათ წინაპრებს
არა ჰქონდათ ჩვენებრ რწმენა.
წინაპრებმა მოგვიტანეს
ჩვენ ლამაზი მამული,
მაგრამ ჩვენ ვერ ვუპატრონეთ
დაგვრჩა გადახრამული.
ალბათ რწმენა თუ გვიშველის
დავიბრუნოთ ჩვენი მიწა,
შავი ზღვის სანაპირონი
აფხაზეთი და ტბა რიცა.
ურწმუნო ხალხს არასოდეს
არ ჰქონიათ დიდება
არ უშველის მათ არასდროს
სხვებზე გამოკიდება.
ალბათ ღმერთიც გვიპატრონებს
მოგვცემს მკლავში ძალასა
და მომხდურ მტერს პასუხს გავცემთ
არ დავუთმობთ არასა.
2014წ.

თავისუფლება

არტახის შეკვრა ბავშვისთვის
ძნელია ასატანადა,
როცა შეკრავენ სულ ცდილობს
სურვილის გასატანადა.
მას უნდა თავის უფლება
გამოიყენოს ძალადა.
ხელი და ფეხი აქნიოს
მშობლების გასახარადა.
წამოიზრდება მას უნდა
არვის უხრიდეს ქედსაო
რაცა სურს რომ ის აკეთოს
არ ემდუროდეს ბედსაო..
თავისუფლება ყველასთვის
არის მუდმივი საგზალი,
მაგრამ უფალი ყოველთვის
ასეთ ყოფას არ აგზავნის.
თავისუფლება ყველასთვის
ყველაზე დიდი ხიდია,
ვინც ასეთ ყოფას შეუშლის
ბოროტია და ფლიდია.
2014წ.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

სულმნათნი

ერთხელ, სიზმარში თვალნათლივ ვნახე
(ან ყველა ერთად როგორღა იყვნენ),
ლეგენდარული ქართლის პოეტნი
ერთ დიდ დარბაზში შეკრებილიყვნენ.
ვინ აღარ იყო, იეთიმიც და
თუ წამეკითხა ვინმე როდისმე,
დიმიტრი მეფე, იყალთოელი,
ვახტანგ მეექვსე და თან ზოსიმე.
გურამიშვილი, თეიმურაზი...
გულმა განცდები ძლივს აიტანა,

ერთადა ბჭობდნენ ყველა სულმნათნი,
ლექსი აქამდის ვინც მოიტანა.
იყვნენ ამაყნი და ვალმოხდილნი
ქართულ ენის წინ ამაგიანნი,
საჯაია და ის გრიშაშვილი
მეფე ფარნავაზ და მარგიანი.
გალაკტიონი, ორბელიანი
ვინც იყვნენ ყველა ქართველთა შვილი,
გოგლა, ტერენტი, ასათიანი,
რობაქიძე და ბარათაშვილი.
თუმც ისხდნენ დინჯად, იყვნენ ამაყნი
არა ბოჭავდათ ჭმუნვა და შფოთვა,
მერე კი სუფრა გადაიშალა
და თამადობდა ის დიდი შოთა.
რომელმაც, როცა თვალი მოავლო,
აქ იყვნენ მხოლოდ სახელოვანნი,
ნონეშვილი და ბერულავა და
ნაფეტვარიძე და გელოვანი.
იყო ბჭობა და გონიერება
იყო თმობა და არც რა ძალაზე,
შატბერაშვილი, ნიშნიანიძე
იყო ბესიკი, იყო კალაძე.
ისეთნი იყვნენ, როგორც წავიდნენ
ახალგაზრდები, ზოგნიც მცხოვანნი,
იმ წითელ ვარდით ის ტიციანი
დიდი ფშაველა და ჩიქივანი.
არ დაფენილა ნისლი სუფრაზე,
იყო ცისკარი, იყო ნათელი,
იყო მუხრანი და აბაშიძე
ჩახრუხაძე და დიდი შავთელი.
განცალკევებით ბჭობდნენ ასულნი,
იყო მსჯელობა არა ჯობნაზე,
აქ ბრძანდებოდა ანა, მარიკა
იყო მგელაძე, იყო ჯორჯაძე.
ვინ იცის იქნებ ხმითაც აღმომხდა –
რომ ყველა დიდი კალმოსანია,
ლია სტურუა და მარიჯანი
მრელაშვილი და კილასონია...
იყო ლოცვა და მჭევრი სიტყვები
იყო ლექსი და იყო არაკი,
იყო კოლაუ, მურმან, ილია,
მუხრან, პაოლო, დიდი აკაკი.
სიბრძნით რომ ბჭობდნენ ძველზე, ახალზე
ბჭობდნენ მთაზე და ბჭობდნენ მდელოზე,
მერე კი ერთხმად დააგუგუნეს
ლექსი სიმღერად საქართველოზე.
(ამათ მოსმენას არც არა სჯობდა
აღმაფრენა რომ ლამის ცას აჰყვა,
ამდენი ბრძენი, ოდითჟამელი
არცერთ ქვეყანას რომ არა ჰყავდა.)
აქვე... სამოთხის ერთ-ერთ თავკაცად,
საამბობელი არაკად-ამბად,
სამშობლოსათვის გულდათუთქული
იჯდა ბრძენ-მთქმელი, მჭმუნვარი საბა.
დილით როდესაც გამომეღვიძა
სხივი ელავდა მაღლა მთის წვერზე,
და ვიდრე სიზმრის აზრი მახსოვდა
როგორც შევძელი ლექსად დავწერე.

მიწამ ქართული იცოდა

ჩემს მიწას ვეფერებოდი,
(ქართველს სხვის მიწა არ მმართებს),
ძველად წართმეულს ვგლოვობდი
ახლა, ახალი წამართვეს.
რა სვე-ბედი სჭირს კურთხეულს,
ნაომარს და ნადუხჭირალს,
რჯულიანსა და ურჯულოს
ოდით თვალი რომ უჭირავს.
უკვე ვეღარას ვერკვევი,
უკვე ვეღარა ვიწამე,
ასე ურცხვად რომ დაძრწიან
ჩემს ნალოლიავ მიწაზე.
სხვის მამულს მუშტრის მზერით თუ
შევხედო, თვალი დამიდგეს,
ჩემს ყოფას რაღა ფასი აქვს
ცხვირწინ საზღვარი დამიდეს.
მიწა ჩემს გვარს რომ ეწერა
(არა ყოფილა ადვილი),
რომ სხვა რწყავდეს და ფოცხიდეს
ღვთის წყრომა როა ნამდვილი.
შიშისგან არა, სიმწრისგან,
ბოღმისგან ფერი ვიცვალე,
რამდენი გოჯი წამგლიჯეს,
იმდენი გარდავიცვალე.
ყველა ტკივილი მაგემეს,
სადიდო, საპატარაო,
როდემდის უნდა მწიწკნონ და
როდემდის მაპატარაონ.
ლაღობენ უსისხლგულონი,
გული ცეცხლით რომ იწვოდა: -
მიწას ქართული ვასწავლე...
მიწამ ქართული იცოდა...
არად ადარდებთ საერო,
სული რომ შეურაცხიათ,
მამა-პაპური, ნატანჯი,
მიწას სისხლი რომ აცხია.
ქვეყნად რამდენი ყოფილა,
კაცისმოგვანო, სულ უნდო,
სხვასთან დარჩენილ საფლავებს,
სანთელი როგორ ავუნთო.
ნეტა თუ ისე მოკვდები,
ჯავრი ვერაფრით ვიყარო,
ან, ჩემი კუბოს ფიცარზე
რა მიწა გადავიყარო.
საოცრებაა საწუთრო,
როდესაც უღვთო თამადობს,
ვეღარავინა დავითობს...
ვეღარავინა თამარობს...
საჯილდაოა ეს მიწა
იქით-აქეთ რომ გასწიეს,
დღეს ქვეყნის შუაგულამდის
ლამისა შემოაღწიეს.
ტყე ფრინველ-შველით წამართვეს,
ქართვლის წყალი რომ უსვია,
მიწა ისეთი წამართვეს,
ლამის მირონი უსვია.
ღვთის სამფლობელო, ნამდვილი,
ნინოს ჯვრით დაპურებული,
ჰაერი, ცა და მთის ვარდი,
სუნამოდაპკურებული.
ნასოფლარებში მოჩანან,
ძირს მობნეული ვაზნები,
ჭიგოზე აცრემლებული,
გულ-ყლორტ ჩამწვარი ვაზები.
ღვთისწინ პასუხისმგებლობა,
ამხელა, როგორ აიღეს,
ფრესკ-შანდალ-ბაზილიკებით,
სალოცავიც რომ წაიღეს.
ზევითა წყდება ყოველი,
მათი ცოდო ხომ ცას აჰყვა,
უპატრონოდ არ დავტოვე,
მიწას თვალ-გული თან წაჰყვა.
ივერთა საფლავ-საძვალეს
რა ბედ-იღბალი ჰქონია,
ხან, არცკი მჯერა, ყოველი,
ცხადი - სიზმარი მგონია.
სხვის მიწაგაუმაძღრობით
ესე ვინ უნდა დაეცეს,
სისხლდაღვრილ გმირ მამა-პაპას
ან რა პასუხი გაეცეს.
მიწას წუთი-წამ მცინცლიან,
ქვეყნად რა მიჯნით გამოვჩნდე,
მონსტრის ხახაში მაფიქრებს
ერთ დღეს უცბად არ აღმოვჩნდე.
ნუთუ არ შემისრულდება,
ფიქრ-სიმწრით აღარ ვიბრუნო,
ღმერთო! ისმინე ვედრება,
სამკვიდრო რომ დამიბრუნო...
რომ ვერ ვიოკებ გულის ჯავრს...
რომ ცრემლი მგუდავს ჯერა...
„ალგეთი კვლავ შობს მგლის ლეკვებს“,
ღვთის სასწაულის მჯერა.
უწმინდეს და უნეტარეს
ილია მეორეს
ბედუკუღმობამ და სინანულმა
ბოლო ომებში თავი იჩინა;
თუ რამ შემომრჩა: - მცირე მამული,
თქვენმა ლოცვებმა გადამირჩინა...
საქრისტიანოს მამამთავარო!
მთელს მსოფლიოში რომა ხართ ერთი!
წმინდანი, ბრძენი, ერის ჯვარი და
ღმერთმოყვარული და თავად ღმერთი!

მიმოზა ცანავა

ქალი

ქალი-დედა და ქალი-მიჯნური,
მარადისობის ჰიმნი,
ქალი-ზაფხული და გაზაფხული,
ათრთოლებული სიმი!
ზეშთაგონების ულევი წყარო,,
მაცოცხლებელი სხივი,
ფიქრთა უსაზღვრო ოკეანე და
ვისთვის დაშლიი ტიი.
ქალი-სიმშვიდე,ქალი-ნაღველი,
მოულოდნელი სეტყვა,
ლამაზ სიზმართა ცხადად ახდენა,
გულის მთრთოლვარე ფეთქვა,
ქალი-იმედი, უიმედობაც.
ქალი-რწმენა და ძალა,
ზოგჯერ გრძნობისგან დაცლილი ჭური,
ნაზიარევი ღალატს.
ქალი-ფიქრის დაგანცდის სათავე,
სიყვარულივით ტკბილი,
უსასრულობა, სულის ბულბული,
ზოგჯერ დამფრთხალი ძილი,
ქალი-ვნებათა დღესასწაული
და ოკეანე განცდის,
ქალი-სინდისი ქალი-ნამუსი
და სივაჟკაცე კაცის.
ქალი-ნაღველი,მელანქოლია,
ღამეულ მთვარის სევდა,
შემოძარცვული ზამთრის მარტო
და გაზაფხულის ფეთქვა.
ქალი-სიწმინდე დახანაც უნდო,
ყვითელ ფოთოლთა ცვენა,
ქალი-ხატება სულის მალამო,
ხანაც ჭორი და წყენა.
ქალი-ამაყი ნყინვარწვერივით,
ქალი-ჯადო და ნუსხვა,
და უწმინდესი პირველ თოვლივით,
სიმძიმილიც და რისხვაც.
ღვთიური ჯილდო, ბედნიერება,
გახელებული ვეფხვიც,
ატმის ტოტებზე მბრწყინავი ცვარი,
ნაზი ფოთოლი ვერხვის.
იასამანთა ფეთქვა, სურნელი,
ამოუცნოი ჟინი,
ვისთვის სიცოცხლის ელექსირი და
ვისთვის წყევლა და ჭირი.
ქალი-ზაფხულის საამო
ხან ქარიშხალი მკაცრი,
მიმტევებელი მრავალ ცოდვათა,
ქალი-დედაც და კაციც.
ქალი-ალერსი სითბო, სიამე,
მზის სიმხურვალე მწველი,
ხან ფათერაკი, დამშრალი წყარო,,
უერთგულესი ხელიც.
ქალი-ყინწვისის ანგელოზი და
მზე, ეკბატანის ვარდი,
ქალი-ტყიური, ქალი-კეკლუცი,
ქალი-სევდა და დარდი.
ქალი-ეშმაკი,ქალი-სატანა,
ჯოჯოხეთის გზა შფოთი,
ქალი-სამოთხე , უსათნოესი
და სიყვარულის ლოთი.
ქალი-ღამეთა იდუმალება,
და დღის ნათელი სახე,
მოულოდნელი რისხვა და
მეხი,უსასტიკესი მახე.
კაცობრიობის სუნთქვა, ნუგეში,
სიცოცხლის დიდი ფესვი,
ქალი-პოემა, ქალი-ლეგენდა.
ქალი-მუსიკა, ლექსი.
ქალი-ციხე და ქალი საკანი,
უსიამობას რომ გრგვის,
ქალი-ნატიფი ქანდაკება და
ხან ავ სიტყვათა მორგი.
ქალი-მაცდური,ყალბი სამიზნე,
ქალი-მძინარე ლომი,
ქალი-მშვიდობა, ქალი-ერთობა,
ქალი-ქაოსი ,ომი!
ქალი-ბინული ამოუშრობი,
დამწყურებელი კაცთა,
ქალი-გრძნობა და ქალი-მალამო
და ბობოქარი განცდა..
ქალი-ბროლივით უსათუოესი
ქალი-გალიის ჩიტი,
ქალი-ქარიშხლის ბორგვა, ქოშინი,
შეღამება და ბინდი!
ქალი-ხოხობი ნანადირევი,
ქალი-მორჩილი ბედის,
ქალი-შვლის ნუკრი დანისლულ თვალით,
და ყელყერყარა გედი.
ქალი- ბალახი გასათიბავი,
მაცდუნებელი სული,
ქალი-სიცოცხლის მომნიჭებელი
და მისი დასასრულიც.

გრანელისებური

გული- ოცნებების სასაფლაო,
მწვანე ბალდახინზე ასვენია,
ცხოვრება არის სასაკლაო ,
სიცოცხლე ჩემი სასჯელია.
თითქოს არასოდეს მყვარებია,
თითქოს სიხარული არც მიგრძვნია,
ზეცა დედინაცვლის თვალებია,
სიმწრის აკვანი რომ დამირწია,
ძერამ დამიკორტნა სხეული და
ქვეყნად არაფერი დამრჩენია,
გზები დამანათლეს წყეული და
სიცოცხლე ჩემი სასჯელია.

მარტოობის ქალი

უკვე მოვიმერცხალე,
გაზაფხულიც გაქრა,
აღარა მყავს მეცალე,
თვალშიც შუქი ჩაქრა,
გულზე ხელებს დავიკრეფ,
დაველოდო ბნელეთს?
გზას კაკუნით გავიკვლევ,
დავეშვები ხმელეთს.
ნაზაფხულარ დღეების,
ისევ მომდევს სითბო,,
მძიმე უღელს შევები,
გავძლებ? როგორ ფოქრობ?
ნელი სიო სალბუნით
ამომიშრობს თვალებს,
ჩავაბარებ გამოცდებს,
ამ ნამთვარევ დამეს.
აბრეშუმის სამოსით
შევიმოსავ სხეულს,
ვეღარავინ მიშველის
მარტოსულს და ეულს.
უკვე მოვიმერცხალე,
სულშიც ჩადგა ქარი,
სევდამ დამისაკუთრა,
მარტოობის ქალი.

ქრიზანთემა

გაზაფხულის რიჟრაჟო,
სიხარულო ჩემო,.
ოქროსგულა პეპელავ,
სიყმაწვილის ცრემლო,
ღამის თეთრო ნათებავ,
მზერავ ღუბლებს იქით,
დაგეღარა ღაწვი,
ნაღველით და ფიქრით,
შემომენთო ცეცხლი,
მწუხარების ალი,
ნეტავ რად გეძახიან
შენ სიკვდილის ყვავილს?!

ნარცისი

სულ თავდახრილი რადა ხარ მითხარ,
და შენს ანარეკლს რად უცქერ ჟინით,
აღარ გბეზრდება სულ თავის ცქერა?!
არ დაგეღალა ეგ თვალენისჩინი?!
იქნებ ცხოვრების ამაოებით,!
გარინდული ხარ,გაფიქრებს ხვალე.....
თავი ზედმეტად სულაც არ გიყვარს,
რაღაც გვეშლება შენ გენაცვალე,
მითხარ, ყვავილო, რისთვის ან რატომ,
მისჩერებიხარ ამ შენს ორეულს,
იქნება მართლა ცილი დაგწამეთ
რაღაც გაწუხებს სევდამორეულს.

ღიღილო

დაიღიღინე ღიღილოვ,
ღარღლი ღიმილით შეცვალე,
ღონემიხდილმა დღეებმა
დამღალა შენ გენაცვალე.
დაიღიღინე ღიღილოვ,
ღამემ ამიწვა თვალები,
ღუღუნა მტრედებს შეეკარ,
აგრემც კი გენაცვალები.
დღე მშვიდობისა დალოცე,
დროვ,უღიმღამოდ ჩავლილო,
ჩემო ერთგულო დობილო,
ჩემო ღიღინა ყვავილო!

რუსუდან-ანასტასია კალანდაძე

უმშვენიერეს ქალბატონს გულნახ ხარაიშვილს

ცის ლაჟვარდიდან მატკბობს მშვენება,
და მოხიბლული ვგრძნობ რომ დავთვრები...
ქართველი ქალის დიდებულება,
შენში სჩქეფს როგორც მთებში ჩანჩქერი!
ვუცქერი იას, შენ გხედავ მასში,
ვუცქერ ღიღილოს, გრძნობებით სავსეს,
ყველა ყვავილში შენ შეგიცანი,
ყველა ყვავილში შენ დაგინახე.
ქართული სახლის დიდო დარბაზო,
სულ სიყვარულით მოგიძღვნი ვარდებს...
მასაც შენსავით ახლავს ეკლები,
შენსავით ებრძვის ტკივილს და დარდებს.
დაღლილი სახით უცქერ სამშობლოს,
სული ვერ იტევს ზვირთსა და ქაფებს,
ქართული სულის დიდო პორტრეტო...
ვით იალბუზი, გასცქერი ნათელს.
და შენი სული შერთვია ზეცას
სამშობლოსათვის თავდადებული,
ქართველი ქალის მთელი მშვენება
ყველა შენშია დავანებული.

მარტის თვე 2014წ.

ღამაზიც რჩება უსიყვარულოდ

"მას ყველა ხედავდა, მაგრამ ვერავინ ამჩნევდა."
("პიკის ქალი" ა. პუშკინი)

არსებობს ქვეყნად უხილავები
ანგელოზები, ზეცის ძალები
იმათ ვერასდროს თავს ვერ დააღწევ
და ვერც ვერასდროს დაემალები.
როგორც არ უნდა ლამაზი იყო
ზეცას რაც უნდა ის გებედება,
უჩინარ ფარდას ჩამოგაფარებს
არ დაინახონ შენი მშვენება.
ამიტომ ტირის ზოგი ყვავილი
რომ ვერ ხედავენ მშვენებას, მისას,
ლამაზიც რჩება შეუმჩნეველი
ეჰ, რას გაიგებ განგებას ღვთისას.
მხოლოდ ამაო ლოდინით ცოცხლობს
და ბედმა კარი გაიჯახუნა,
ვერავინ ამჩნევს მიწაზე ყვავილს,
რომელიც ზეცამ დაისაკუთრა...

27.05.2014

დედაშვილობა

ლეგენდა მალავს იმ შვილის სახელს
ვისაც სხეულში შეუძვრა, გველი,
ხანჯლით განგმირა გული დედისა
და ავ ცოლს ლანგრით მიართვა, ცხელი.
გზას მიმავალმა ქვას ფეხი წაკრა,
ვაი სოფელო, უგნურთა მტელო,
მაინც ატირდა გული დედსა:
- „ხომ არაფერი გეტკინა, შვილო!"
ჩემთვის დედაა მეორე ღმერთი
და უიმისოდ სიცოცხლეს ვიგლოვ
თუ წავიქეცი არავინ მეტყვის
„ხომ არაფერი გეტკინა, შვილო."
დაიხურება ყველა სარკმელი
როს დედის სუნთქვა დატოვებს ჩემს გულს
ვიცი დარდები მომიღებს ბოლოს
და წამიღებენ სადღაც შორს უფსკრულს...
ამოუცნობი არის სოფელი
და როდი უცხობს კვერს მუდამ ობოლს,
თუ სიყვარული არის მავალი,
დედაშვილობა ერთია მხოლოდ.
ყველა სიმწარე როდი ნელდება,
ჩემი სიცოცხლე ტკივილებს მიაქვს,
მითხარი დედავ ამ სამყაროში
ვინ შემიყვარებს შენსავით ტკბილად.
ან ვინ მაკოცებს შენსავით სუფთად,
არც გულში თბილად არ ჩამიხუტებს,
ან ვინ მინაღვლებს დაჭრილ შველის ნუკრს
და სულში ცრემლებს არ ჩაიგუბებს.
წაქცეულს ყველა მომაბჯენს მახვილს,
როცა მპოვებენ მე მარტოხელას.
იქნებ მასწავლო ბრძენო მშობელო,
როგორ გავუძლო ამ განშორებას.
დედა-შვილობა მარადჟამ მინდა
ვით ბავშვის გული სიყვარულს ვითხოვ,
თუ წავიქეცი, არავინ მეტყვის:
„ხომ არაფერი გეტკინა, შვილო."
მე ვიცი უფრო ძვირფასი დედაც,
უდიადესი და სასახელო,
ვისაც მრავალჯერ მოვუკალთ გული
მისი სახელი არს საქართველო
გლოვობს სამშობლო მამულიშვილებს,
აბელოვ, ჩემო დაღვრილო სისხლო.
და გულმოკლული ჰკითხავს კაენსა,
- „ხომ არაფერი გეტკინა, შვილო."
რა გინდა რომ ჰქნა მართალმა კაცმა
მამულზე თუ ხარ შეყვარებული
ორივე მხარემ მტყუან-მართალმა
დედა-სამშობლოს გავუპეთ გული!..

კახა ლომაძე

ბიბლიური დრო

ათასი ფიქრი
მოაქვთ ზღვის ტალღებს,
და ფიქრის ტალღებს
მოაქვთ ზმანება;
ამ ღამით
ცაზე წერენ ვარსკვლავნი:
გარდაიცვალა გარდაცვალება...

* * *

სხეულში აჩქარდა სისხლი,
გონება ვერ უძლებს ლტოლვას,
შეშლილ და მაგიურ ფიქრით, –
ჩემი საუკუნეც მოვა.
ვერ ვხედავ ვერავის ახლა
ჩემს გარდა, – ქაოსის იქით;
სარკიდან მიცქერის კახა,
და სახელს მიწერს თითით...

მთები
(ზღვარს მიღმა)

ნეტა რა ხდება იმ ლურჯ მთებს იქით,
რომლებიც ბინდში გახვეულია;
ნეტა რას ამბობს ქარი იმ მთებში,
რომელნიც ნისლებს დაჩვეულია;
ნეტა რად სდუმან თვითონ ის მთები,
მთები, რომლებიც მე მელანდება...
პატარა ბიძგიც კი დაშლის, თითქოს,
ოცნების იმ მთებს, ცისფერ ლანდებად...
რა საიდუმლო ცხოვრობს მთებს იქით?
არავინ იცის, იქით რა ხდება...

ჩამესმის „ეფემერა“,
ვუყურებ ლურჯა ცხენებს;
მე ჩემი სიგიჟის მჯერა,
მე ფრთებით შევიცვლი ხელებს.
ვხედავ წამების წამებს,
იქ შეერევა სიო ნისლს;
მე – ცად გაფრენილ გრანელს,
ცეცხლი მწვავს გალაკტიონის!...

დასასრულის სამყაროები

როგორ ეხება სათუთ იას, –
კანკალებს ხელი,
და დეტალები,
დეტალები შეგშლის ჭკუიდან
როგორ ამოვა სუფთა წყლიდან
დელფინი სველი,
და ტანზე, წვეთებს,
შვიდნი ფერნი გადაუვლიან;
როგორ სრიალებს რბილ ბალახზე
თეთრი ხოკერა,
როგორ ხმაურით,
როგორ ცივად,
როგორ ქვასავით...
როგორ დაწერა, სადღაც, ლექსი,
ვიღაც პოეტმა,
სუსტი პულსივით ირხეოდა
მისი კალამი...
მოღრუბლულ ციდან გამოღწეულ
დილის სხივებით
როგორ იწვება,
როგორ დნება,
როგორ კანკალებს
ვამპირის კანი...
და ითხოვს შველას
შეშლილ მზერით,
გაშლილ თითებით...
როგორი ელვით,
როგორი გრძნობით,
როგორ ეხება
პანიკის ზარებს...
და პოეტს, შეშლილს,
სადღაც გაფრენილს,
პულსის დენა რომ
ასწრაფებია,
აქვს იარაღი,
და გადატენის,
და სანამ ლულას
გასცდება ტყვია, –
როგორი ტკბობა
და სინანული...
როგორი განცდა...
როგორი წამი...
როგორი მზერა..
როგორი ფიქრი
(მთელი ცხოვრება რაც უფიქრია)...
როგორი ტანჯვა...
როგორი ცრემლი...
როგორი ფრენა...
როგორი ბედი!..
როგორი.....

დავით ტიგინაშვილი

* * *

ქართული ენის იარებს
მტერო, არაგვი განმიბანს.
გულიდან მაინც ვერ ამგლეჯ
გოგებაშვილის ანი-ბანს.

* * *

გულო, გულო!
შე ვულკანის ნაგლეჯო,
სიყვარულში
ჩამოშლილო ფიქალო...
ქალიშვილებს
ნუ დაადგი თვალები,
შე ოხერო,
არაფერი მიჰქარო!...

დამიპატიჟავ სტუმრები

დამიპატიჟავ სტუმრები:
მტკვარი, არაგვი, რიონი,
დღეს თქვენი მასპინძელია
ჩემი გამზრდელი იორი...
მაღლივ დაგვყურებს სამება,
ყვავილობს ყვავილიონი...
არაგვზე ვაჟა თამადობს,
რიონზე გალაკტიონი!
იორზე გოგლა ჩამჯდარა,
ცას სწვდება ლომთა ღრიალი...
მეც ლექსმა ამაღრიალა,
ლექსმა დამათრო ტიალი!

წმინდა ნინოს თმით შეკრული ჯვარო

იანვარში, როცა მთებზე ჩამოთოვს,
მცხეთის ჯვარზე გაბრწყინდება სამება,
საქართველო სანთლის შუქზე ლოცულობს
წმინდა ნინოს ქართლში შემობრძანებას.
ნონოწმინდის ღამევ ვარსკვლავიანო,
ქარიშხალში წამოყრილო ჯარო,
ქრისტიანულ სამყაროთა ტაძარო,
წმინდა ნინოს თმით შეკრულო ჯვარო,
ქითკირივით გაგვამაგრე, შეგვკარი,
აგვამაღლე ვარსკვლავების ხომლამდი,
სამშვიდობოს გაიყვანე, გეთაყვა,
საქართველო – როგორც ნოეს ხომალდი.

სალამი ცისკრის ვარსკვლავო

სალამი, ცისკრის ვარსკვლავო,
ჰაუ, დღეს ჩემი ჯერია,
რამდენი ხანი გავიდა
ლექსი არ დამიწერია.
სადა ხარ, ჩემო სიცოცხლევ,
რომელ ზღაპარში რიალებ,
მადლობა შენდა, უფალო,
რომ დღესაც ამახმიანე.
ლექსო, შე გულის ღვარცოფო,
ხან ფარშევანგის ბუმბულო,
მოდი რა, ჩემო სიცოცხლევ,
აგამღერ-აგაბულბულო.

დაიღრიალეთ ლომებო

დაიღრიალეთ, ლომებო,
ხმალი ავლესოთ ცხელ გულზე,
ლამის სამშობლოს საზღვარი
გადმოგვიტანონ ენგურზე.
ისედაც დაჭმუჭნული ხარ,
რად არ გფერობენ ნერგივით,
ვაი შენს მომხვდურს, სიცოცხლევ,
თუ გაიშალე თერგივით.
დედას გიტირებთ, ოხრებო,
არ გასისინებთ გველივით,
ქართველ მგოსანთა ლაშქარს ვკრებ
სამასი არაგველივით.

რამ დაგადონა, ჩემო ქვეყანავ

რამ დაგადონა ჩემო ქვეყანავ,
კვლავაც გამოვცლით ღვინის ფიალებს...
აქ ხომ ქრისტეს და დედაღვთისმშობლის,
ღვთიური კვართის მადლი ტრიალებს!..
მზეო, ამოდი, ამიყვავილე
მაყვლის ბუჩქი და ლურჯი იები,
ო, მირონმდინარ მცხეთას ვემთხვიოთ,
რომ აგუგუნდეს ეკლესიები!..
გაბრწყინებულა სვეტიცხოველი...
ეკლესიათა დედამშვენება,
ო, საქართველოს ღვთიურ სამოთხეს
არ უწერია გადაშენება!

რა მშვენიერი დილაა

ლექსია ჩემი სიცოცხლე,
ვით აფრენილი თოლია,
რა მშვენიერი დილაა,
თავი ზღაპარში მგონია.
თავს დამტრიალებს პეპელა,
ო, დღესაც უნდა ჩამოვთვრე,
ეხლა კი ვხედავ უფლის და
ანგელოზების სამოთხეს.
სიმფონიაა ფრინველთა,
შაშვს ეფერება ბულბული,
მოდი და ნუ გაგიჟდები
ამქვეყნიური სულდგმული.
ჭიკჭიკებს მთელი სამყარო,
შორით ქარს მოაქვს ბღავილი,
რა გემრიელად დაწუწნა
ფუტკარმა დილის ყვავილი.
თვალი შეავლო პატარძალს,
ცრემლად იღვრება ხევანი,
მარიამობას ჩათქვლიფა
თაფლივით ტკბილი მტევანი.
გადმოაფინა საღამომ
ღრუბელზე ვერცხლის ფარდაგი,
აგვისტოს ძუძუებიდან
სჩქეფს მათრობელა ბადაგი.
ლექსო, შე გულის ჩანჩქერო,
რა ხოხობივით ირთვები,
ბუნებავ, გადმომაყარე
გულსისხლძარღვებზე რითმები.
ღმერთმა გაცხონოთ, ბიჭებო,
ვინც ვეღარ უმზერთ მზიანეთს,
გადახდილია ქვევრები,
შიგ რქაწითელი ღრიალებს.
ღმერთი არა გწამთ, მითხარით,
ეს დღე როგორღა გავლიო,
კიდევ გავგიჟდე ლექსებში,
თუ გაგლეჯვამდე დავლიო.

აბა რა გითხრა სიკვდილო

აბა რა გითხრა, სიკვდილო,
ნაღვერდლის ცეცხლზედ ვიწვები,
მიგყავს და მიგყავს სოფლიდან
ლამაზი გოგო-ბიჭები.
უბედურების მომტანო,
ცრემლით ჩაგვიკალ გულიო,
ღმერთმა აცხონოს იმ ქვეყნად
ანგელოზების სულიო...
თვალი დაგიდგეს, სიკვდილო,
შენც დაგეცემა ბნედაო...
მკვდრეთით აღდგომა იწყება...
და გეტირება დედაო!

ცხოვრების პრინცი

ერთხელ მეც ვიყავ
ღვინით და ქალით მთვრალი,
ღვთიური ეშხი, ღმერთო,
სულ გვერდით მდევდა,
ახალგაზრდობა არის
ცხოვრების პრინცი...
ო, დანარჩენი –
ამქვეყნიური სევდა.

ო, მამაჩემის სოფლავო

კლდიდან გადმოსჩქეფს ჩანჩქერი,
როგორც ირმის-რძის ნაღები,
ნეტა რას მეჩურჩულება
ღმერთო, არაგვის ტალღები.
განწირულია ხარ-ჯიხვი,
ვეღარ გადიფრენს ქარაფზე,
ამაღამ მთვარე ჩამოვა
საპურმარილოდ არაგვზე...
ამახმიანე, ბუნებავ,
ბანი მითხარი, ფხოველო,
ო, მამაჩემის საფლავო,
შენ ჩემო სვეტიცხოველო.

ნაირა მარშანია

ითხხო

შესდექ აფხაზო, არ შეცდე,
ჩვენ ვართ დები და ძმები.
გული, გულს მივცეთ,
მზეს შევხვდეთ,
და მტერი ვერ მოგვძებნის,
მშვიდობის თესვა ვიცოდეთ,
ეს სიმდიდრეა ჩვენი
შესდექ აფხაზო, არ შეცდე,
ჩვენ ერთად ყოფნა გვშვენის.

ჩემი კუთხის მინის ცკბილად ჩავეკვრები

ანგელოზის ფრთებით
შენთან მოვფრინდები,
გეტყვი სწორედ იმას,
როგორ მენატრები
ჩემი კუთხის მიწის
გულში ჩავეკვრები.
ცოდვას მოვიშორებ,
მადლით ავივსები.

* * *

ჩემს გულში მუდამ ორი დარდია,
ორივე დარდი მტკივნეულია
ერთი: წაგვართვეს წმინდა მიწა ჩვენ
მეორე – ის, რომ დევნილი მქვია.
არ დამიძახოთ დევნილი არა!
ნუ იტყვთ ასე ის დევნილია,
მეც საქართველოს ერთი შვილი ვარ
და სიკვდლამდე ქართველი მქვია.

შენს მზეს ვფიცავ

შენს მზეს ვფიცავ, მენატრები,
საოცნებო მხარევ,
შენს მზეს ვფიცავ, მელანდება
შენი მზე და მთვარე.
შენს მზეს ვფიცავ, ვერ ვივიწყებ
მოგონებებს მწარედ,
შენს მზეს ვფიცავ, სიტყვას გაძლევ,
კვლავ გიხილავ მალე.

მე რომ მიყვარს

მე რომ მიყვარს, შენ რომ გიყვარს,
მას ცრემლები ცვივა
მე რომ მიყვარს, შენ რომ გიყვარს,
უჩვენობით ცივა.
მე რომ მიყვარს, შენ რომ გიყვარს,
გაზაფხულის იას,
და სახელად, იმ სიყვარულს
აფხაზეთი ჰქვია!!!

მეგრული ნანა და ითხხური შიშნანი

სამეგრელოში თუ გაგივლიათ,
მოგისმენიათ მეგრული „ნანა“
და საუკუნის ტკბილი სიმღერა
„ცირა ქოგალე“, „სქანი ჭირიმა“.
ენგურს გაღმიდან თითქოს ქარს მოაქვს,
ტკბილი სიმღერა „ოი სილაშარა“.
სევდით ნამღერი აფხაზი დედის
სწორედ „შიშნანი“, აფხაზთა ნანა.
მოგონებების არდავიწყებას
ჩავეჭიდებით მტკიცედ, ამაყად.
არ დავივიწყოთ აღარც „შიშნანი“
„ოი სილაშარა“ და ჩვენი ნანა.
დრო მოვა, მალე, ალბათ სულ მალე
ვიმღერებთ ერთად ორივე მხარეს
იმ სიყვარულით, იმ სიტკბოებით,
როგორიც იყო ადრე, სულ ადრე.
აღარასოდეს, აღარ დავუშვებთ
აფხაზ-ქართველთა სულით გახლეჩას,
ჩვენ ისევ ისე ორივე ერი
კარგი მომავლის იმედით ვფეთქავთ.

მხოლოდ ერთხელ!

მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ
შენს ქუჩებში მანავარდე,
მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ
შენი ცქერით მე დამათვრე.
მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ
მიალერსოს შენმა სიომ,
მხოლოდ ერთხელ ზღვის ნაპირზე
გამახსენე ძველი სითბო
მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ
უფალს შევთხოვ სიკვდილამდე,
მე, ჩემს სოხუმს ჩამახუტე,
სანამ გულით არ დავადდე.

მიტოვებული ზღვის სანაპირო

მიტოვებული ზღვის სანაპირო
ჩვენს დაბრუნებას ელის.
სილაზე ვარდი დაუხატიათ,
გაუთელიათ ფეხით.
მეთევზეს, ბადე ზღვაში უსვრია,
თევზებს ამაოდ ელის.
თოლია ზღვაში ნელა ყვინთაობს,
თითქოს ზღვის ტალღებს ებრძვის.
და მაწანწალა ძაღლი და კატა
კვნესის პატრონის ძებნით,
ნაძვებს ცრემლები გადმოუყრიათ,
მონატრებიათ სითბო
მიტოვებული ზღვის სანაპიროს
ნეტავ როდემდე ითოვს!?

ერთი ცა გვაქვს, ერთი მიწა!

მონატრებით გიგონებ,
ჩემო აფხაზეთო,
სიყვარულით გიგონებ,
ჩემო ერთადერთო.
თურმე როგორ მყვარებიხარ,
ეხლა უფრო მივხვდი,
მოლოდინი, ეს ყოფილა
ძალზე მწარე ტვირთი.
გაზაფხული როცა მოვა,
აყვავდება ნუში,
გამარჯვებაც მალე მოვა,
მჯერა ჩვენს მამულში.
ცეკვა ქართულს
და აფხაზურს
ჩვენ ვიცეკვებთ ერთად.
ერთი ცა გვაქვს, ერთი მიწა
გული თქვენთან ფეთქავს!

შენი სიყვარული ვეღარ გამომგლიჯეს

ჩემო სალოცავო,
ჩემო საოცნებოვ,
ჩემო სანატრელო მხარევ,
შენი სიყვარული
ვეღარ ამომგლიჯეს,
ისევ მენატრები
მწარედ
შენი სანაპირო
ისეთი აღარ არის,
როგორიც იყო ადრე,
შენი შადრევნები
ისე არ მღერიან,
მიკვირს
მტრობა რად გკადრეს
მოწყენილი ხარ,
დაობლებული,
ჩვენზე ქვითინებ მწარედ.
რამდენი წელი,
ჩვენ შენსკენ ვილტვით,
ჩემო ლამაზო
მხარევ.
ეს მოლოდინი,
ეს მოლოდინი
რა მძიმეა და მწარე.
და თუ ერთხელაც
სულ ერთი წამით,
თვალი შეგავლო
ბარემ,
მერე კი სიკვდილს
აღარ ვინანებ,
ჩემო ტანჯულო მხარევ.

მარინა ყიფიანი

ემიგრანტი ვარ

ე--რთი სურვილი ამისრულე, შეგთხოვ უფალო,
მ--ერე სიკვდილსაც ჩამახედე თვალებში თუნდაც,
ი--მ საქართველოს ჩამახუტე მე რომ დავტოვე,
გ--ამოვიხურე სახლის კარი ოცი წლის უკან.
რ--ამდენჯერ მუხლზე დაცემული ავტირდი ხატთან,
ა--ნთებულ სანთელს მონატრების ცრემლი მიქრობდა.
ნ--ატვრად ქცეული დაბრუნების სურვილი მკლავდა,
ტ--ანზე ეშმაკი საწამებლად ეკლებს მირჭობდა.
ი--ქნებ შენ მაინც შემიჩერო თვალზე ცრემლები,
ვ--აი, რომ დღემდე სულს მიმწარებს, მიჭერს მარწუხი,
ა--ქ ემიგრანტის ტვირთი მაწევს მხრებზე საზიდად,
რ--ოდემდე ღმერთო! ამ კითხვაზე გამეც პასუხი.

არ დაკარგოთ იმედი და რწმენა...
(ვუძღვნი ემიგრანტ დედებს)

როგორ მინდა შეგიმშრალოთ თვალზე ცრემლი
მოგიწოდოთ ყველა ქართველ დედებს,
ვინც დატოვა ოჯახი და ახლობელი,
ვისი შვილიც დედის სითბოს ეძებს.
არ დაკარგოთ სულიერი სიძლიერე,
არ დაკარგოთ იმედი და რწმენა,
დღეს თუ შვილებს თქვენი სითბო ენატრებათ,
გულში თქვენი სიძლიერის სჯერათ,
ოდითგანვე გმირად სთვლიდნენ ქართველ დედებს,
ემიგრანტებს ძლიერებად ხვალის,
თქვენი შრომით გმირები ხართ ჩვენი ქვეყნის,
ისტორიას დაამჩნიეთ კვალი.
არ დაეცეთ, გაამხნევეთ ერთმანეთი,
იზიარეთ ერთმანეთის დარდი,
დამიჯერეთ, მალე მოვა გაზაფხული,
თქვენს გულებშიც აყვავდება ვარდი.
დღეს თუ შვილებს თქვენი სითბო ენატრებათ,
დღეს თუ თქვენი მონატრება "ახრჩობთ",
დააცადეთ, ხვალ თავადვე მიხვდებიან,
რომ აძლევდით საარსებო წყაროს.
საყვედურსაც თუ მოისმენთ შვილებისგან,
"შორს იყავი, მჭირდებოდი როცა,"
არაუშავს, ის ცრემლებიც აიტანეთ,
გახსოვდეთ, რომ ღვთისმშობელი გლოცავთ.
ყველა დედას ჩემი ლექსით გეფერებით,
მეც თქვენსავით ემიგრანტი მქვია,
სიმარტოვეს ლექსის წერით ვებრძოლები,
და ჩემს აღმართს მივუყვები ქვიანს.

ო..როგორ მტკივა მამულო ჩემო...

ო... როგორ მტკივა მამულო ჩემო,
რად გიმეტებენ სამტროდ, ვიცოდე,
ო... როგორ მინდა ეკლესიაში
ყველა სანთელი შენთვის იწვოდეს.
ო.. როგორ მინდა ყველა სუფრაზე
შენი დიდების თასი ისმოდეს,
მაშინ რა მომკლავს, ჩემი ლექსებით
გახსნილ ჭრილობებს თუ შეგიხორცებ.
ო... როგორ მინდა ყველა ოჯახში
ჩვილის ტირილის ხმები ისმოდეს,
გლეხის ბედელი სავსე მენახოს,
უმოსავლობა აღარ ჩიოდეს.
არ დამენახოს ჩამქრალი კერა,
ყველა ოჯახში ცეცხლი ღვიოდეს,
ქართველი თითო ლუკმის საშოვრად
სხვა ქვეყანაში არ მიდიოდეს.
ო... როგორ მინდა ემიგრანტების
უკუღმართ ბედზე ვინმე ჩიოდეს.
დაე გვშიოდეს, ტანზე გვციოდეს,
უსამშობლობა არა გვტკიოდეს.

მადლობა შენდა უფალო.....

ღმერთო, ფიქრების გარეშე მაღირსე ერთი ღამეო,
მაცალე თვალის მოხუჭვა, სიზმარი დამაცადეო.
ბეჭებზე ფრთები შემასხი, სამშობლო მომატარეო,
სიზმრად მანახე შვილები, გულს ჩაკვრით გამახარეო.
გზად მომლოდინე მშობლების ნატვრით რომ ცრემლი ვღვარეო,
მაცალე, სიზმრად ვეფერო, სანამ გათენდა ხვალეო.
თვალს გადავავლებ ბაღ-ბოსტნებს, მტერმა რომ გადათელაო,
ლტოლვილთა ნასახლარებზე, ხმება ვერხვი და თელაო.
მაცალე მამის ეზოში ნერგები უწყლოდ კვდებაო,
წლობით დადებულ ურდულზე ჟანგის ლაქები ჩნდებაო.
ხავსმოდებული კედლები შველას ითხოვენ ჩემსაო,
ბალღების ჟრიამულობა მონატრებია ჭერსაო.
მაცალე ტკბილი სიზმარი, ცხადად როს მეღირსებაო,
მონატრებისგან გადაღლილს თვალს ცრემლი შემაშრებაო.
როდის იქნება ის დილა, ვთქვა:"დასასრული დგებაო,
დიდება შენდა უფალო, სახლში ვბრუნდები დღესაო"

ვინც მე საქართველოს მიწა გამიყიდა....

უმტრო საქართველო მენატრება, გულის ამღერება ვცადე,
ვისაც სიყვარულით კარი გავუხსენით, ყველამ მითვისება სცადეს.
ჩვილის ატირება მენატრება, დედა აკვანში რომ არწევს,
უცხო მეგობარო, იქნებ შენ ამიხსნა, სანამ ცრემლიან ლექსს დავწერ.
მითხარ, სად მარხია შენი მამა-პაპა, მითხარ სად აიდგი ფეხი.
იქნებ ჩემზე მეტად გიყვარს საქართველო, მისი ჭადარი და ვერხვი.
მე რომ ოცი წელი უცხო ქვეყანაში დღემდე მეძახიან "უცხო"-ს,
შენ ჩემს სამშობლოში მიწას მოითხოვ და არც კი ყოყმანობ და ურცხვობ.
მითხარ, სამშობლო თუ გაგაჩნია, მითხარ სად აიდგი ენა,
ჩემი საქართველო ჯერ მე დამაცადე, სანამ გულს გავივლებ წყენას.
სტუმარ-მასპინძლობა მოგვდევს ოდითგანვე, თავი ვისახელეთ ბევრგან,
მაგრამ ვერ ავიტან შენ თუ იმას მეტყვი: "მიწა მეკუთვნისო შენგან."
კმარა, მოთმინების თასი გადამევსო, სანამ ჯერ არ არის გვიან,
ჩემი საქართველო შენზე მეტად მტკივა, უცხოდ საზღვარგარეთ მთვლიან.
ჩემი ერთი ცრემლი თვალზე დანადენი, იცი რამდენ ტკივილს მალავს?
ვინც მე საქართველოს მიწა გამიყიდა, მინდა შევახსენო კვლავაც.
ცოდვით ატირდება ძვლები მამა-პაპის, გიჯობთ თითო ნერგი დარგათ,
ხალხო! გონზე მოდით, დედაღვთიშობელის წილხვედრ საქართველოს ვკარგავთ.

ლეილა შუბითიძე

რა გეგონათ აბა!

დემოკრატიამ ბევრ მანდილოსანს
აუფრიალა მუხლებზე კაბა.
მერე კი, – დიდმა და პატარამ
ქალს შეხედა სულ სხვა კუთხით, – ცალყბად...
ზოგმა ქალი მთლიანად გადამალა,
ზოგს ნერვი გადაექცა ზღარბად...
ზოგმა ქალს მუხლებზე ყვავილები გადააფარა,
ზოგს კიდევ, – თვითონ ჩააცვა ცხოვრებამ კაბა...
ასეა ცხოვრება, დემოკრატია...
რა გეგონათ აბა!

ვუძღვნი ჩემთვის ყველაზე თბილ, ახლობელ ადამიანს: გულნაზ ხარაიშვილს

აქ ახლა ისე წვიმს,
ცაზე მზეც არ ბატონობს,
ჩემს სულში წვიმას სურს
სიშორე, მარტოობა გადაწონოს...
არ ვიცი რა გისურვო,
– ასე თბილს, ახლობელს,
რომ ყველა საჩუქარი,
– სითბოთი გადავწონო,
სიყვარულით გადავწონო,
უცნაურობებით გადავწონო
უბრალოებთ გადავწონო...
მე ისე მიყვარხარ, ისე უზომოდ,
და უკიდეგანოდ, რომ მინდა
ჩემი სიტყვები ვერასდროს ვერ გაზომო,
ვერ აწონო, გადაწონო...
რამეთუ შორიან, ჩაგერითმო,
როგორც არ უნდა მოგეფერო,
მაინც ვერ გავიმეტებ
ამ გრძნობას სასასწორედ...
აქ ახლა წვიმაა,
ცაზე მზეც არ ბატონობს,
დაბადების დღეს გილოცავთ, –
ჩემს სულთან ყველაზე
ახლოს მყოფო ქალბატონო,
მუზების თავშესაფარო,
ლექსო მზიანო და,
ხან გულნატკენო,
სულით ძლიერო და,
ჯიბეგაფხეკლო პოეტების
მოსახმარებლად,
გულიდან ხელგაწვდილო,
ყველაზე თბილო ქალბატონო.
შენ ხომ შეგიძლია,
მთელ სამყაროზე ლექსით იბატონო,
სიტყვით იბატონო,
სიკეთით იბატონო...
ჩემო შორს მყოფო და,
მანც აქვე, ჩემთან ახლოს მყოფო,...
ქალბატონო!

როცა ძალიან ბედნიერი ხარ

როცა ძალიან ბედნიერი ხარ,
ნუ ახმაურდები; როგორც ზღვა,
როგორც მთის ბობოქარი მდინარე...
ხანდახან ვიღაც უბედურად გრძნობს თავს,
შენი ბედნიერებიდან გმაომდინარე...

მე კი გზადაბნეულს..

ხახვის ნაფცქვნევები, –
მე რომ წამოსვლისას
გზაზე გადავყარე,
ბოროტმა ხელმა აკრიფა და
სულ სხვა გზაზე გადააყარა...
მერე კი გზააბნეულს,
ცხოვრებაში ასთავიან დევებს,
ვინ იცის, – რამდენჯერ გადამაყარა.
გამგებელი
ჩემი აზრით, – იცით როგორ
უნდა იყოს განმგებელი?!
– უბრალოდ, არ უნდა აინტეესებდეს
მარტო საკუთარი სარგებელი,
ცოტათი მაინც უნდა იყოს
ხალხისთვის მარგებელი,
არ უნდა იყოს მწვანე,
პანტა მსახლივით დაუვარგებელი,
და არც გადამწიფებული, გადასაგდებელი...

არ მაქვს ომბალო

შევკაზმე ტყემალი
არ მაქვს ომბალო,
თითქოს ყველაფერი აკლია,
შვილებმა შემიფასეს ორ ბალად.
რას იზამ, როცა შორს მოგისვრის
ბედის ბორბალი,
სადაც არ არის ომბალო,
სადაც საჭმელად ვარგისია,
ბაყაყი და მისი თავკომბალა...

სხვისი ჩამოქნილი სანთელიც არ მინდა

სხვისო გახედნილი რაშიც არ მინდა,
სხვისი დაგეშლი, – არ მინდა მიმინოც,
სხვისი გაწვრთნილი მწევარიც არ მინდა,
თუთიყუშიც არ მინდა, ყოველდღე
მიყვარხარო, – მიყვიროს...
სხვისი ჩამოქნილი სანთელიც არ მინდა,
სიტყვაც არ მინდა: სხვისი გაწვრთნილი,
დაგეშილი, გახედნილი, ჩამოქნილი,
გამოყვანილი, განწმედნილი,
უგულო, უსულო...
სხვისი, „ირემმა ირემს ბალახი რომ
გაუწოდა! –
მე შეიძლება დამცირებად მივიღო
და, – დაგიწუნოთ...

ძიროულის პირას გული რომ დამრჩა

ხშირად ვიხსენებ ბავშობის დღეებს,
ძირულის პირას თმებჩამოშლილ პატარა
ტირიფს,
ვიღაცამ ტირიფს ტოტი შეაჭრა,
გამოგულა და დაარქვა სტვირი.
ვინ ჩახედავდა ტირიფს თვალებში,
ვინ მიხვდებოდა მის გულისტკივილს,
ვინ გაუგებდა, ვინ მოუსმენდა,
საბრალო სტვირი მღერის თუ ტირის.
მე ის პატარა ციცქნა სტვირი ვარ,
გამოგულული ტირიფის სტვირი
რომელიც ბედმა შორს, შორს გარიყა,
თუმც „თავო ჩემოს“, – არასდროს ტირის.
მე ის პატარა ციცქნა სტვირი ვარ,
გამოგულული ტირიფის სტვირი,
ძირულის პირას გული რომ დარჩა,
ვეძებ მას შემდეგ, ვერ ვპოულობ, –
იმიტომ ვტირი...

ნუ დაიჭერ პეპლებს

პეპლები დაფარფატობენ ცაში,
თითქოს ვალსის ცეკვაში,
ერთმანეთს ეჯიბრებიან, – ვინ ჯობს...
ნუ დაიჭერ პეპლებს, ნუ დაიჭერ,
ცეკვას ნუ შეაწყვეტინებ გიჯობს.
ნუ დაიჭერ პეპლებს,
ნუ დაიჭერ კიდევ ერთი
ღვთისგან შექმნილი საოცრება
გაქრება ბიჭო,
ნუ დაიჭერ პეპლებს, ნუ დაიჭერ
ის ხომ, – უბალოდ გეპრანჭება ბიჭო...
პეპელა კოპლებიანი ჭრელი კაბით,
მოხატულ თვალებში, – ციცინათელაც ჭინკობს
ნუ დაიჭერ პეპლებს, ნუ დაიჭერ
გვერდი აუარე, სათუთად მოექეცი
უხეშად ფრთებზე არ შეეხო ბიჭო...
ნუ დაიჭერ პეპლებს, ნუ დაიჭერ.
ისინი ჩემს აუხდენელ ოცნებებს,
იმერლებს გვანან ვიღაც რომ მიჭკნობს.

საბა მოძველი

ბუნებრივი ჩუქურთმები
(პოემა)

ჭიათურაში კლდეები მგოსანთა სახეებით გვიცქერიან...
ბუნებისაგან გამოჩუქურთმებულნი...

ცხოვრება ისე გაჭირდა
ძებნიდა ხალხი ლუკმა-
პურს,
ოქროს ფასს იძენს მჭადი და
აწუხებს დარდი სულს და გულს...
განა ეს მოხდა ცოტა ხნით?
ლოდინი გახდა უსაზღვრო,
და ბევრი კოხტა ოჯახიც
დაინგრა... დარჩა უსახსროდ...
უსახსროდ დარჩა სულიკოც
ცუდია გრძნობა შიმშილის,
რა ექნა, სად წასულიყო?
ლუკმა-პურს სთხოვდა წვრილშვილი...
ბევრ რამეს თუმცა ეცადა
ბოლო დროს კაცი დაჩლუნგდა...
ჩაიდო გულში ბეჩავმა
აკაკის სახლის გაქურდვა...

* * *

აკაკის სახლში სულიკო
ვერცხლსა და ოქროს დაეძებს...
ფანჯრიდან გადასულიყო
იპოვნის ჰაერს მთვარეზე?
ეძება, თრთოლვით ეძება,
მერე და როგორ ცეცხლშია,
ვერ მიხვდა – მგოსნის შეძლება
ვერცხლი და ოქრო! – ლექსია.
სულიკო ხვნეშის, რაღა ჰქნას?
რაღა ჰქნას მართლაც შიმშილმა?
დასტაცა ხელი აკვანსა და
ტყისაკენ წააციმციმა...
იფიქრა! – აკვანს გავყიდი
ვუყიდი შვილებს მჭადს და პურს
ვიყიდი შაქარს და ქიშმიშს
მეც ვიგრძნობ იმედს, გაზაფხულს...
წამოწვა მოლზე გულ-მშვიდად
გაუთბა მძიმე ბუნება...
და წინა ღამის უძილარს
თვალები მიელულება...
სიზმარში ხედავს: - სალ კლდეებს
განგება ციდან სულს ჰფენდა,
მგოსანთა ციურ სახეებს
ღვთის ძალა აჩუქურთმებდა...

ვკვკის სახე...

კარგ კაცს, სიკეთე ჯიშში აქვს,
ცუდის გამოზრდას ლამობს ის,
ცუდი კი ამის ფიქრშია,
სხვაც ჩაითრიოს ჭაობში...
კაცობის მას რა ეთქმება
ყალბია მისი ცრემლები,
თავისი საქმის კეთებას
ვინც ფიქრობს სხვისი ხელებით...
კაცი რომ კაცურ გზას ადგას
გზა და გზა სახელს იხვეჭავს,
რასაც ჰქმნის ქარს თუ გაატანს,
სამაგალითო იქნება?
ცხოვრებას ფეხი აუწყოს
ბევრმა არ იცის რას ნიშნავს,
გულმა ცეცხლს უნდა გაუძლოს
სულმა ქარსა და ქარიშხალს...
კაცმა რომ იგრძნოს წინასწარ
მამულს შეარცხვენს მისი ძე,
აკვანს დაურწევს ღვთის გლახას,
ცოლის შერთვაზე იფიქრებს?

იდიას სახე...

თუ უდალატე მოყვარეს, მოძმეს,
საფლავის მიწა თეთრიც და შავიც,
მსუბუქი ადარ იქნება მისთვის
ვინც ჩვენს ერთობას შესწირა თავი...
მისთვის ენათოს მზის და მთვარის სხივს
ის არი მართლა კაი ვაჟკაცი,
საით წავიდეს როცა არ იცის
რომ წავა ამ დროს მაინც ლამაზ გზით...
ბოროტ სულისკენ ესწრაფვი როცა
აზრები დაგაქვს გალუგებული,
გვერდს ვერ უმშვენებს შენს ხალხს და ოჯახს,
დედამიწისთვის ხარ უგემური...
სიკეთესა და სიკეთეს შუა,
როცა ადგილი თავისუფლდება,
რომ ამოვიდეს! – ეკალს კი არა,
იას მიეცით ამის უფლება...
კაი კაცს არ აქვს სიკვდილის შიში,
მამულზე ფიქრი აწუხებს მხოლოდ,
წუთისოფელი მოკლეა მისთვის
ვინც არაკაცურ ცხოვრებით ცხოვრობს...

ვაჟა-ფშაველას სახე...

გამზრდელს მიტომ სდის ცრემლები
რომ არ გიყვარს ჩაფიქრება,
შენს ნაკლს თუ ვერ იხედები
სხვაზე დიდი ნაკლი შენ გაქვს...
ეღირსება ციდან სითბოს
სულს ვინც სხვისი თაფლით ჰკვებავს?
შხვის წაქცევით ვინაც ფიქრობს
თავის-თავის განდიდებას?
სხვა დრო დადგა, გიჭირს მაგრამ
კი არ უნდა იმათხოვრო...
უნდა შეძლო შიშის მართვა
შენზე რომ არ იბატონოს...
უცოდველი მიყვარს ია,
მას ვახსენებ მე მალი-მალ...
ვინც ცოდვილობს, მიწაშიაც
ცოდვებს ვერ დაემალება...
ბეჭით ედო დედამიწას –
სასაფლაოს ქვას ეწერა: -
შუბლის ძარღვი თუ გაგიწყდა,
ფულს იშოვნი, სახელს ვერა...

* * *

ოცნებაც, ფიქრიც, გულიც სთხოვს,
მუხლიც არ გაუჩერებია,
ნეტავ სად მიდის სულიკო
საითკენ გაუწევია?
მიჰყვება გზას თუ გზაწვრილებს
შავ კლდეებს კაცი ეტრფოდა...
სიზმარში ნახულ ადგილებს
თვალფართედ აკვირდებოდა...
არ იცის საით წავიდეს
მზის სხივმა ამ დროს ინათა,
აკაკის სახით სალი კლდე
მშვენებით წამოიმართა...
აკაკი... რა რიგ ტკბილია
მისი ხმა, მისი ქართული.
გაჰხედა მარჯვნივ, ილია
უმზერდა ფიქრში გართული...
ილია... წყარო რმა აზრთა
ცასავით ლამაზ თვალება,
მარცხნივ კი გამოკამკამდა
ღვთის სახით – ვაჟა-ფშაველა...
მოდრიკა მუხლი სულიკომ
მგოსანთა, ღმერთთა წინაშე,
ცა აფენს უფლის სულიდან
ჩუქურთმებს, მზეს და სინაზეს...

* * *

თუმცა ბუნებამ ჩამოჰქმნა
ჩვენთვის უცნობი ფერებით,
მთელი ქვეყანა გაოცდა
სულიკოს აღმოჩენებით...
იმისი დღენი მეფობენ,
და რაღა უნდა უჭირდეს,
ისე გამდიდრდა, მეგობრებს
დახმარების ხელს უწვდის დღეს.

* * *

სულიკოს შერცხვა, ჟრუანტელს
ძილშიაც გრძნობდა საწყალი,
თვალის გახელის უმალვე
უკან წაიღო აკვანი.
თავის ადგილზე დადგა და
„მადლობა უფალს“ - გულში თქვა
ფრთხილად დახურა ფანჯარა,
შვებითაც ამოისუნთქა.

ლამზირა შეყილაძე

იესო

რაც თავი მახსოვს, მას აქეთ გეძებ,
დღისით თუ ღამით, სიზმარში, ცხადში...
ყველას გულის ხმას სიფრთხილით ვზვერავ,
რომ არ დავიწვე იუდას ალში.

შენგან ნაბოძებ იმედით ვცოცხლობ,
მართალი სიტყვა თავისკენ მძალავს.
ვკვესავ სიბნელეს, ვესწრაფვი ნათელს,
ვერ ვიტან ღალატს, ვერცხლის ხმა მზარავს.

ველიცლიცები ზეციურ სიღრმეს
და ვეურჩები უსამართლობას,
ყოველი მამლის ყივილი მაკრთობს,
ყოველ წამს ველი მკვდრეთით აღდგომას.

მხოლოდ შენ იცი, ასომთავრული,
კოდური სიტყვის სიგანე, სიგრძე.
წმინდა გიორგი გველაშაპს გაჰკვეთს
და გამჟღავნდება ლაზარეს სიბრძნე.

იესო! შენი დიდი წყალობით,
სიყვარული და სიკეთე მმოსავს.
კრძალვით შევხარი ზეცის კარიბჭეს,
რომ შევეგებო მეორედ მოსვლას.

ამომაშენე ცაძრის კედელში

მარტყოფის ველზე გავიშლი კარავს,
ერის სიყვარულს შევსვამ თასებით.
გზა-კვალარეულს ვატარებ მტარვალს,
მტერს შევებმები გაალმასებით.

იქ... წიწამურთან ვიდგები ფხიზლად,
სამშობლოს გულში არ მოხვდეს ტყვია.
წარსულის სიბრძნის ნაღვაწით ვსუნთქავ,
ჩემს გულისცემას სამშობლო ჰქვია.

თუნდაც მტრის ჯარმა ჩამიგდოს ხელში,
თავს არ ვაკადრებ წუწუნს და ჩივილს.
მომკვეთონ მკერდი, დამდაგონ ცეცხლში,
ქეთევანივით დავითმენ ტკივილს.

იქ მივალ, სადაც ჩემს თანამოძმეს,
შიშვლად თაფლწასმულს ეხვევა მწერი.
ტყვიების წვიმას შევუშვერ გულ-მკერდს,
მარწუხებისგან რომ ვიხსნა ერი.

ღმერთო! მუხლმოყრით შემოგღაღადებ,
ქართველთ იხარონ მზიურ ედემში.
მამულო ჩემო, როცა დაგჭირდე,
ამომაშენე ტაძრის კედელში.

დედა ენა

დედა ენა და ქართული სული,
შემოუნახავთ დღემდის წინაპრებს.
ღვთიური სიტყვა, მირონცხევული,
დასაბამიდან გზა-კვალს გვილამპრებს.

დედაო ენავ! სულო დიადო,
ზე-ღვთაებრივი შუქით დაგვნათი.
ქართველთა ერის საგანთიადოდ,
გვესაკმევლები კვარი სულმნათი.

შენა ხარ ჩვენი ამაყი სული,
ჩვენი გულების წმინდა კანდელი,
დიდი საუნჯე, მრავალძარღვული,
დედის ნანა და მზე პირნათელი.

წმინდა ლაზარე, მკვდრეთით აღმდგარო,
რა ქარტეხილი გამოიარე.
ასომთავრულო, ზე-აღმართულო,
გონების თვალი გაგვიმზიანე.

ღრმა წარსულიდან მოედინება,
სიტყვა ღვთისა და ენა ქართული.
სამყაროს შუქად მოეფინება,
ათი ათვლა და ასომთავრული.

მარადისობის წრეზე ტრიალებს,
ღვთიური ენა, ენა ქართული,
ყოველ ქართველთა გულში ბრიალებს,
ქართული ენა მზისებრ სვიანი.

მალე დაჰბერავს მეორედ მოსვლის,
მკვდრეთით აღდგომის საკმევლის სიო...
ღმერთისგან რჩეულ ქართული ენით,
ამეტყველდება მთელი მსოფლიო.

იწვის აგონია

ახლა, შუადამის მკენწლავს ჩუმი დარდი,
მთვარემ გადმომხედა რაღაც გაფითრებით.
ასე უსაშველოდ რატომ შემიყვარდი,
რატომ მენატრები ასე გაგიჟებით.

შენი სიყვარულით ღამე გადავღალე,
ცხადი თუ სიზმარი მგონი ამერია,
ცათა ბილიკები ფიქრით მოვიარე,
შენი მონატრების ჟინმა გადამრია.

გულში შენანთები ცეცხლით ვიფერფლები,
მაკრთობს შემოდგომის ჩუმი ფოთოლცვენა.
ზღვის შმაგ ტალღებივით ფიქრებს ვეხეთქები,
შენ ერთს შეგიძლია ჩემი გადარჩენა.

ახლა შუადამის იწვის აგონია,
გული იფერფლება გრძნობაშენანთები.
შენაოცნებები სიზმრებს გაჰყოლია,
ურჩი სიყვარულის ცეცხლში ვიფერფლები.

შალვა ილურიძე

ამ ჩემი სულის ცხონება

სასმელი ისე არ მათრობს,
როგორც ეს მწარე ცხოვრება
იქ მიჭრა ბედმა ბილიკი,
სდაც მე არ მეცხოვრება.

ქსანია ჩემი სიცოცხლე,
ბოლია სულის ცხონება.
იქ ამიგებენ სასახლეს,
მყეფს სამუდამო ცხოვრება...

ჩემს უძვირფასეს მეგობარს თემურ ჩალაბაშვილს

ქსანზე ნათქომი სადღეგრძელო.

მარგალიტების მთესველო,
ჩალაბაშვილო თემურა.
შენი ლექსების ღრუბელი
მე საბნად გადმამეხურა,
ჩავთბი, ჩავეხვი სტრიქონებს,
როგორც მცივანა ბედურა.
ამ ჩუქურთმებს და ამ ფრაზებს,
როდის ჩაუდექ კვალშიო;
იმ დღეს გილოცავ ჩალაბავ,
ლექს რომ გამაგძვრა ხმაშიო,
იმდენი წელი იცოცხლე,
რაც ჭადარა გაქვს თმაშიო.
მაინც საიდან მასდიხარ,
ვინ გამაგგზავნა ჩვენთანა,
ეტყობა დიდი ძმობა გაქვს,
ჩვენის გამჩენის ღმერთთანა,
შეგასისხლხორცა უფალმან,
შენ – სტრიქონთან და ლექსთანა.
ბევრი მთქმელები მოდიან,
ვერავინ მოვა შენთანა,
ქსენლებს გვიყვარხარ ჩალაბავ,
შენ შეგეწივას ღმერთია.
კაცებიც ბევრნი მოდიან,
დავლოცავ ქართველს ერთიან,
კაცებშიც კაცური კაცი,
ჩალაბაშვილი ერთია...

სოფლის სიმდიდრე და სიყვარული
ფოლკლორი

ბოლოთრია, კევრი, ფარცხი,
მარხილი და ძველი კაბდო;
ღვედი ვიყო, შემოგეკრა,
გულიდან არ გადამაგდო.
გუთანი და ხელნა ვიყო.
ტაბიკი და აპეური,
დაგრეხილი წნელი ვიყო
მაქ შენს წელზე მოხვეული.
უღელი ვარ შაკვამლული,
ხარის კისერზედ ნაცვეთი,
შენ – მიყორხარ! – მე ბედ-შავმა,
არ ვინატრო სხვა არც ერთი.
ერქვანი ვარ, კვალს გავავლებ,
გულს მიხარებს მე მამული,
როცა მოვკვდე მკერდი წამყვეს,
შენი ცრემლით დანამული...

მინდა ვიყო პატრიოტი

დავდივარ დამაქვს, ჭრილობები
გადახვევნილილ
– მე პატრიოტი მინდა ვიყო,
არა დევნილი...
სამშობლოს მიწავ, ვის მკლავზე ხარ
გადაწვენილი;
მე წეროვანში პატრიოტი ვარ,
არა დევნილი...
მთელი ცხოვრება უნდა ვატარო,
ეს ჭრილობები გადახვევნილი;
– მე! – პატრიოტი მინდა ვიყო
ჩემს სამკვიდროში,
არა დევნილი...

სიმწრის ბაგაზე დამბეს

სიმწრის ბაგაზე ვაბივარ,
მთის ხარირემი ბარადა.
გამახსენდება სერები
დავიბოდმები მწყრალადა.
ეტყობა ძველი ცოდვები,
თავს შეგახსენებს მწარადა,
ნაიალადარს ირემსა,
ბარში გატარებს ცალადა.
ერთი თხოვნა მაქვს, უფალო,
მთას ვინც მამწყვიტა ძალადა,
სიმწრის ბაგაზე დაბმულმა
იაროს ჩემებრ მწარადა...

ძმა კაცს

ნუ უღალატებ,
შენს ძველ ამხანაგს,
შენ ის აცხოვრე,
მან შენ გაცხოვროს!..
და ამ ჭიდილში,
სანთელივით თუ ჩაიღვენთე,
კაცი ყოფილხარ!
და კაცურად,
ღმერთმა გაცხონოს!..

კოხის ქვევრი

ნეტავი კოხის ქვევრი მქმნა,
ყოველ წელს ღვინით ვთვრებოდე,
მტევნიდან გამოწურულის,
ნაჟურით შავივსებოდე.
ზამთარში სავსედ გამყოფა,
რომ ყურძნის წვენით ვტკბებოდე,
ზაფხულის ახლის მოსვლაში
ხელახლა დავიცლებოდე...
ქართული თიხის ქვევრი მქმნა
მისი სურნელით ვთვრებოდე,
პირმოკალული სანთლითა
ასი წლის შემდეგ ვტყდებოდე...

ქალაქური _ ახალ თბილისს ნაცვლის შემდეგ

საქართველოს მშვენებავ,
ჩემო დედა ქალაქო,
რა მწარე დარდი გინახავს,
ახალი გულით მოხვედი,
სულიც ახლით შემოგინახავს...
აშული ვარ, ნაღდი ვარ,
საიათნოვას თარგი ვარ,
ქსნის ხეობის დარდი-მანდი ვარ.
მაგ შენს ლამაზ უბნებში,
მეგობრების გულებში,
სინათლე და გულის ვარდი ვარ...
ჩემო თბილის ქალაქო,
მეორედ დაიბადე,
განიწმინდე ძველი დარდები.
მთაწმინდაზე ჰყვავიან
გაზაფხულის ვარდები,
მეც ახლიდან შემიყვარდები!..

უპარტიო კაცი

არცერთ პარტიას არ ვგუობ,
არც იმედი მაქვს ახლისა.
მე მსახური ვარ ქვეყნისა,
და მონა ჩემი ხალხისა,
უფლისა დიდის წყალობით,
იმედი მრჩება ხვალისა...

დევნილობის შემდეგ ხუთი წლის მწარე ცკივილო

ორმოცდაათის წლის შემდეგ
რას ამეკიდე ტკივილო,
ყოველ დილას რომ მაღვიძებ,
როგორც მამლისა ყივილო,
ტკბილად მიმღერე სიმღერა
არ მიყვარს ხმისა კივილო,
დევნილს მამწარებ, მაწამებ,
ხუთი წელ ვისთან ვიჩივლო,
ნეტავი კიდევ რამდენ წელს,
უნდა გაგიძლო ტკივილო!

ცინარი-მარიამ ხმიადაშვილი

ხამშობლო

რა მაწერინებს ლექსს მე არ ვიცი,
როცა ამ ცის ქვეშ მწირად ვითვლები,
ძარცვა-წამებით სულშეძრული ვარ,
მოყვარე მტრისგან სისხლად ვიცლები...
დღეს სამშობლოთი დაჩაგრული ვარ
თან დამდევს მასზე მწველი ფიქრები,
უფალო, თუ მას ნუგეშს მოუვლენ,
მე სინანულით აღარ ვიქნები.

წყარო

მიამბე წყაროვ, რამ შეგქმნა
ასე წმინდა და კამკამა
მოსჩქეფ სიცოცხლის საწყისად
მორაკრაკე და ანკარა.
გულს გაუგრილებ, აღვიძებ,
ობლად დარჩენილ ბუნებას,
მომავალს იმედს უნერგავ,
აღუდგენ წამხდარ გუნებას.

მეუფე თადეოზს

აკროსტიქი

მ-აღალი ღმერთი გიფარავს,
ე-რთგულს აფასებს ნდობით.
უ-ფალი მეფობს, შეგამკოთ,
ფ-აქიზი რითმის ცნობით.
ე-ალერსებით სამშობლოს,
თ-ავმდაბლობით და გრძნობით.

ა-ვედრებ თითეულ ჩვენგანს,
დ-ედა ღვთისმშობლის შობილს;
ე-ვნო ჩვენთვის და ჩვენგანვე,
ო-თხივ მხრივ ჯვარზე წრთობილს!...
ზ-იარნი ვაზის ჯვრიანნი,
ს-იტყვით ეცნობა ძმობილს!

ღვინობისთვე 2010

ვასოცხლოთ ფესვები

ყანა წითლად შემიღება ყაყაჩომ,
ლიახვის პირს მადლით დანათესები,
აგვისტოს თვის რისხვის დელგმამ მომტაცა,
მომიგლიჯა სასიცოცხლო ფესვები.
რიწის ფსკერის საოცარი კამკამი,
კალმახები ცისარტყელის კვესებით,
მავთულხლართით რატომ ჩამომაშორეს,
ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ ერთი გვაქვს ფესვები!
ჩვენ ერთი გვაქვს სიხარული, ტკივილი,
დედის მკერდი, ადათი და წესები,
აფხაზებო, ალანებო რად დაუშვით,
რომ სათუთ მკერდს გულში ისრად ესვე-
ბით?!
მივუტევოთ ცოდვა ერთურთს, შევრიგდეთ,
ავი კმარა, გიხმობთ გეალერსებით,
ჩვენ ერთი გვაქვს მთა და ბარი საუფლოდ,
გულის ძაფი, ჟრჟოლა, ნერვი, მყესები.
და თუ მადლი, გატეხილი პურისა,
გაგვაცალეს გოჯი-გოჯ და პეშვებით,
სინანულით ვუხმოთ ჩაკლულ სიყვარულს,
ვსვათ სასმისი, უფლის განაწესები!

25 მარტი 2012 წ.

მადლობა ათინათს
(აკროსტიკი)

მ -ზის მადლით ხარობს ბუნება,
ა -ნათებს, როგორ დავთვალო?!
დ -ედამიწაზე სხივი მსურს
ლ -ამაზ სპექტრებად გავშალო;
ო -ცნების ცისარტყელები
ბ -ნელ ღამეს ჩამოვაცალო;
ა -მდენი ურვა ქვეყნისა -
ა -ლალი ცრემლით დავცვარო.
თ -ავი თუ „ჩვენად გვეყუდნის“,
ი -ს არის გონის საცალო-
ნ -იჭის ფრთაც რითმის ბგერებთ,
ა -ღმართ - დაღმართზე გავშალო.
თ -მენავ, გულს ფეთქვა აცალო,
ს -ულს სურს, სასმისი დავცალო.

„ათინათს“ გაზაფხული დგას

აკროსტიკი ეძღვნება
გულნაზ ხარაიშვილს

გ-ული გულს იცნობს, რომ სიტყვა
უ-ამბოს რითმის სტროფითა,
ლ-აჟვარდფერ იასამნების
ნ-აზი სურნელის თრობითა.
„ა-თინათს“ გაზაფხული დგას,
ზ-მნის ალერსით და თხრობითა,
ხ-მა მიაწვდინეთ მთა და ბარს,
ა-ლალი, სათნო გრძნობითა,
რ-აც გსურდეს, აგსრულებოდეს,
ა-ზრი - ნაფიქრი წლობითა,
ი-ხარებს სიტყვა ქართული,
შ-ენებრ ფოლადის წრთობითა,
ვ-აი - დარდს, თქვენთან ჭიდილში,
ი-ს ვერ დაგჯაბნით, მტრობითა.
ლ-ოცვით უფალს ვთხოვ, მოგმადლოს,
ს-იცოცხლე მრავალწლობითა.

რითმებს მაგონებენ ფიფქები

რითმებს მაგონებენ ეს ნაზი ფიფქები,
ციდან რომ ნარ-ნარი ფარფატით ჩნდებიან,
ცივი და სათუთი ციცქნა ფანტელები,
მზეს შეჰხედავენ და უმალვე ქრებიან.

ოღონდაც რითმები, ლამაზი სიტყვები
გულიდან ბგერებად რომ იბადებიან,
თუ ხიბლიანია და სითბოს გაჩუქებს,
სულში ჩადნებიან და შენთან რჩებიან.

ღმერთო მაღალო, მადლობა!

ეძღვნება წმინდა სამების ტაძარს

ღმერთო მაღალო, მადლობა,
ხილვად მიქციე ზღაპარი,
წმინდა სამების ჯვრის მადლო,
გამომიბრწყინე მთა-ბარი.
ელიას მთაზე მოგვიხმობს
დედო ზარის ხმის ზანზარი,
ცხრა ზარი ცხრა ცის კარს გვიხსნის,
ცხრა მთას განვდევნეთ ავდარი.
ცხრათვალა მზე თავს დაგვნათის,
ცხრა წყაროს მოაქვს ამბავი.
გვამცნობს, რა ტანჯვით გავძელით,
როგორ გვითელეს საზღვარი,
რამდენი სისხლი დაღვრილა
და დარბეულა ტაძარი.

რა ძალამ გადაგვარჩინა,
გვწვავდა ცეცხლი და ხანძარი,
ვძლიეთ ბოროტს და დღემდე მხნედ
გვიფარავს რწმენა მართალი;
ოც საუკუნეს მაცხოვრის
გვმოძღვრავს ხატი და ლამპარი.
ხარობენ ანგელოზები,
დუშმანს დავეცით თავ-ზარი,
ხმა-ტკბილი საგალობლებით
ჰანგმა აგვივსო მთა-ბარი.
ღმერთო, მაღალო, მადლობა,
ხილვად მიქციე ზღაპარი, -
სამებას ერთარსებასა,
უფალს მდაბლად ვცეთ თაყვანი!

მარინე ცხვედიაშვილი

რეკვიემი

აკი გითხარი, ხვალ წითელი პარასკევია,
მიწასაც არვინ შეატოკებს შეთნვის, ნიკალა,
მოგონებები სვავებივით დაგაცხრებიან,
სიყვარულივით ტკივილსაც ხომ ვერ აგიკრძალავ.
იზედმეტაო მარგომა და მარგოს პარიზმაც,
ხაზინის გველი დაგედევნა ქალის ვუალით,
სად იყო მაშინ ეგ თილისმა ან ეგ ქარიზმა,
შინისკენ ურმით რომ მოგქონდა დიდი უარი.
გიბადაგებენ, ჯვარცმულ დღეებს გიბადაგებენ,
ახლა ღიაა დარბაზები, – „აქეთ, მაესრტო“, –
და სანამ მიწას უნიშნობლად მიგაბარებენ,
იქნებ ინებო და შენს სიკვდილს აღარ დაესწრო.
ხომ დაიხსომე, ხვალ წითელი პარასკევია,
არ გაუყადრო დუქან-დუქან თავი მიკიტანს,
მეთულუხნენი მტკვარს პეშვებით გადაწვდებიან
და ხელუხლები დილა ღმერთთან ამბავს მიგიტანს.
ამქრის წუღებში ფეხგაყრილი შენი ქალაქი
ვნებიან ღამის მძიმე სამოსს შეიშილიფებს
და შემოგისევს ნაირ-ნაირ ფერად თბილისებს.
იმ მრავალთაგან ერთი მაინც ფლიდი იქნება,
ერთი გამცემი, ერთიც კიდევ ნუკრისთვალება;
შენ ვის ნაპირთან მიგასილეს ზურგის ქარებმა?!
მითხარი, თორემ დამეკარგა სიტყვის მაზანდა,
საზანდარს მეტი რაღა უნდა, დასტის დოსტები...
და მერე ჩემს სულს, როგორც მწვერვალს, ისე მოსკდები.
არ დაანარცხოთ, მეგობრებო, ჩვენებურია,
გული დაუგეთ, გევედრებით, გული დაუგეთ!
ნუ დაანებებთ უთენარო ღამის დარაჯებს,
თორემ ცხოვრება გულის გულზე გადაალაჯებს.
შენი გოლგოთა, ო, რა ძნელი დასაძლევია,
ადე, ნიკალავ, ხვალ წითელი პარასკევია!
ნეტავ რომელ ძელს მიესჯება შენი სხეული,
უფრო ეული, ვიდრე ყველა მჭლე და ბოგანო.
როგორ მოგაგნო, უსაშველო სულის საშველო,
ასე ჩემიანს, იდუმალს და მაინც შორებელს.
თენდება, მაგრამ არა შენთვის, არა საშენოდ,
მზეს კახელები ტიკებივით მოაგორებენ,
ნაქურდალ მთვარეს ბოლო უჩანს მამლის კუდივით;
კვამლი ამოსდის არემარეს, როგორც ყალიონს,
ზეცა გადაწვეს მოთარეშე ცეცხლის ენებით,
რა ბალამწარა ჩააცეცხლეს ნეტავ ალიონს,

ვინ დაამწყრალა ამ საცოდავს მადლი თენების.
– არც არავინა, დილას ფეხი თვითონ წამოვკარ,
კოჭლი ჭედილა ფარას მივდევ, როგორც მზიანეთს,
დედით ობოლო, ოი, დედავ, დედავ, დედილავ,
სად ხარ ქალილო, ალილოზე დავიგვიანეთ.
წელიწადები გველებივით გაასრდებიან,
იქნება მართლაც ერთი ძელი შენთვის გარანდონ,
რაის ალილო, ხვალ წითელი პარასკევია,
შენ კი ურითმო ლექსებივით დავიდარაბობ.
ფურისულები გამოშლილან, თითქოს დოლია,
მიწის მიწიდან მოგბღავიან ქვეყნის სადარდელს,
კედელში ნებით ჩატანებულ გრძნეულ გოლიათს
იმასაც არვინ გეკითხება, შვილო, სადამდე.
პარასკევია, მწუხრისაგან აჟრჟოლებს ტაძარს,
და მორწმუნენი გვერდით დებენ ხსოვნის სასმისებს,
როგორ მოგძებნო, შენთვის მიწას არავინ დაძრავს
და რაღა მაინც სწორედ ახლა მოგისაკლისე.
აკლდამა უნდა ყველა ბღენძს და ყველა ჩინოსანს,
კაცმა არ იცის შენი ნეშტი სად ასვენია,
შეგითამამდი, ბოდიშს გიხდი, ნიკო ფიროსმან,
მაგრამ რა გიყო, ხვალე მაინც პარასკევია.

ჰაციება

სულში ხვატია და ვქარტეხილობ,
ბათუმის ზეცას ვეჩონგურე,
ბოდიში, ყისმათდასეტყვილო,
მამის სახლო და ეზო-ყურევ.
ახლა რომ ჩემში მორევია,
ზღვამ როგორ დანთქას, სვეტიალო,
შენ მანდ ეკალი მოგრევია,
მე კი ბულვარში ვხეტიალობ.
ჩათავდა ლამის სამი წელი
და თითქოს უცხოდ გეჩვენები,
კიდეც დამწყევლე და გამიწყერი,
ღირსი ვარ, ღირსი შეჩვენების.
დღეები უქმად მეპარება,
ანჯახი დროება შავრაზმელობს,
არამი იყოს ნეტარება,
დედ-მამის კარის ჩამრაზველო.
მეტყვიან, ბედთან რად უმძრახობ,
ქონება განა ოხრად ყრია,
მაგათ რა იციან, ნაფუძარო,
უყრმო სასახლეც რომ ქოხ-მახია.
ნუ მიმზერ აგრე მომდურებით,
ჩვენს შეყრას ისევ ჟამი ჩქარობს,
მლოცავენ შენი ქონგურებიც:
„ობოლი არვინ დაგვიჩაგროს“.
ვაი, თუ ფუჭად ილოდინე,
და ეულს ვეღარ მოგიარე,
ისევ ტკივილებად მილოგინებს
ხსოვნა – უსხეულო მშობიარე.
მანდ რომ ჩემი ყრმობა იასამნობს,
ვიცი სალარნაკედ გაწირავენ,
შენთან ამყოფე, რომ გიაღსაროს
ვიდრე ზეობიდან სამძიმრამდე.

ანა ერისთავი

წმინდა ნინო

მადლით მოგვხედა ღვთისმშობელმა,
-ჯვარი აკურთხა,
ზვარი ახარა ქართლის ბადში
-ნაზმა ქალწულმა,
ნაფეხურებზე ია ხარობს,
კაწარკუწურა,
ლოცვით განბანა
ცა და მიწა,
დალალდაწნულმა,
კალთა სავსე აქვს,
სუმბულით და ყაყაჩოებით,
შუბლზე გვასხურა აიაზმა,
კვლავ სასოებით.

დედას

მინდა ძალიან გაგახარო,
პეპელასავით ყვავილებზე დაგაბრძანო,
ენძელების ღიმილით გაგათბო,
ცივი წვიმები გულს არ გაგაკარო,
შემოდგომა, ფოთოლთ კვდომა არ განახო,
ზამთარს გაგარიდო, გადაგკარგო.
მინდა ძალიან გაგახარო,
გვირილებზე პეპელასავით დაგაბრძანო.

კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

ეგ ღაღადისი- ერის მხსნელია,
ვინაც შეისმენს- ბედნიერია,
ჯვარი ვაზისა ცრემლით ნაბანი,
გაყინულ სულებს, როგორც სინათლე
ლოცვით შროშნები მიმოაყარე.
ხმა უტკბილესო,
სიცოცხლის მფენო,
ქრისტიანობის მკურნალო,
მცველო,
უფლის შეწევნით გუმბათ- ლაჟვარდი
აქანდაკე და ხატე ტაძარი,
კურთხეულია, ვისაც აკურთხებ,
მადლის წყაროს წყალს
ვისაც აპკურებ,
კაცთმოყვარეე და
გულით ალალო,
რა დედამ გვშობა?
-სულო მაღალო.

გრიგოლ რობაქიძეს

სვეტიცხოველში
ერთი სანთელი
მკათათვეს ვანთე-
იყავ ნათელში,
შენ საქართველოს
დაჭრილო გულო,
ათასწლეულის მზეზე
ფიცხდები.

სახლი

სახლი ავაშენე ხისა
კარი შევაბი ბზისა,
კერა გავაჩაღე მზისა,
ხატი შევიტანე ღვთისა,
ფუძეს კელაპტრები ვუნთე,
ტაბლასთან ანგელოზებს ვუხმე,
მთვარე დავახატე სარკმელს,
ღამე ვარსკვლავები ვთვალე.
ყორე შევაკეთე ძველი,
ძელქვა გავახარე ცრემლით,
ბაღი გავაშენე ვაშლის
მზე სადაც არასოდეს ჩადის.
ზვარი ვაშრიალე წმინდა,
მტევნები დავწურე მზისა,
მარანზე ჩამოვკიდე ზარი,
იცავს წმინდა ნინოს მადლი.
ჭილობი ია- იით ვქარგე,
ენძელებს ოცნება ვანდე.
საყდარ- სალოცავის მწამდა,
სოფლის სიყვარული მწვავდა.
ლერწმის სალამური ვთალე,
განსაცდელით სული ვაწრთვე,
კერაზე ვაფრთიანე მართვე,
ქვეყნის გადამრძენი ვზარდე,
ჭიშკართან ღვთიურ სტუმარს ველი,
ზედაშით სავსე არის ქვევრი,
ჩიტუნებს მივუჩინე ბინა,
ციდან ციცინათელები მცვივა,
ნატვრა ავისრულე ბევრი,
- უფალმა შემაშველა ხელი,
სიცოცხლეს განახლება შვენის,
- ეხლა?
- დაზამთრებას ველი.

სოფელი

გულ-მკერდზე ანწლის ყვავილით
საფიქრალ- სატკივარია,
მზეც ალმაცერად დაჰყურებს,
მოსწყინდა ცოდვა- ბრალია,
ბუდეში ბარტყი არ ტირის ,
მართვეს არ ჩეკავს არწივი,
ორიოდ მამლის ყივის
სამდურავივით გაისმის.
ვაით თენდება,
ღამდება...
ფუძე დაჭერი გვექცევა,
დაცლილ გომურს და ნალიას
მთვარე ქვითინით ადნება.
სოფელში დადგა დრო- ჟამი
ჟამი უჟმური,
მაცდური,
კარგები მიწამ შეჭამა,
დარჩა ედემი ძარცვული,
მუმლი ეხვევა ბერ- მუხას,
გოლგოთას გზას დამდგარია,
ჩვენ გვძინავს,
უცხოს დარჩება,
საცდურით უკვე მთვრალია,
შარშან რომ წყაროსთან ვნახე,
ის დედაბერიც მკვდარია.

მანანა ზაზიკაშვილი

ამოდიოდა ენძელა

ამოდიოდა ენძელა ტყეში,
ქორწილი ჰქონდა
ტირიფს ბარადა,
ძია ნიკალა
თოვლიან ვენახს,
ცალფეხა კაცი
მარტში ბარავდა.
ქორბუდა ირმის
ვუსმენდი ყვირილს,
მზე ჰორიზონტზე
კარგავდა ნემოს,
მოსარკულ ტბასთან
ისხდნენ იხვები,
კონცერტს მართავდა
მწვანე გომბეშო.

შენ რა მოგკლავს

ვინ მოგნათლა ქარად, ქარო,
შენ სისინს, ბოლო არ უჩანს,
შევარდები ფანჯარაში,
გადაირბენ მერე ქუჩას.
აღმა-დაღმა მიაქანებ,
ამდენ ბილლეტს,
ამდენ ნაგავს,
უშენოდ ხომ, ცხელ ზაფხულში,
ტყე-ტყეს, ბაღი-ბაღს არა ჰგავს.
როცა მაგრად დაუბერავ,
დიდ ხეებსაც წელში ღუნავ,
სახლებს სახურავებს აგლეჯ,
სულ ნაგვის გარშემო ბრუნავ.
ყვავილების დამტვრევაში,
ქარო, ლომის წილი შენ გაქვს,
თუ გაიტან ნაგავს გარეთ,
არა კარგავ. ისევ შეგაქვს.
როცა ცხელა, გულს უგრილებ,
ყველა სულდგმულს, ყველა მოკვდავს,
ისე, ამრთლა, მაგარი ხარ,
გეფიცები, შენ რა მოგკლავს?!

20.05.2014წ.

ვიცოცხლებ სამარადისოდ

სულის სავანეს დავეძებ,
სულ არ ვამძმებ მიწასა,
გამახსენდები თუ არა,
შენზე ფიქრს ვიწყებ იმ წამსა.
სულ არ მაქვს გულში ნაღველი,
ვუღიმი მტერს და მოყვარეს,
ოღონდაც ჩემი ოჯახი
სხვების ფეხდაფეხ მომყავდეს.
არ გაუჭირდეთ ჩემს შვილებს,
ჩემს მეზობელს და ჩემიანს,
ჩემი ქვეყანა ხარობდეს,
მე მეტი რა დამრჩენია.
ჩემია ჩემი ხაშური,
ეს საქართველო ჩემია.
ჩემია ჭალისუბანი,
ვაყა, ფლევი და ცოცხნარა,
ვიცოცხლებ სამარადისოდ
თუ არ შემჭამეს ცოცხლადა.

ნიკო ბადაშვილი

ბავშვობა სრბოშიკში

კარგი იყო გუდის ყველი,
დედის ცხელი ლავაში,
გაკროლილი კაკლები
და შვილდისარი ქამარში.
ღობე-ღობე ხეტიალი,
გოგონების ანცობა,
სტუმრად მყოფი ქალაქელის,
მეზობელთან გაცნობა.
ის ბავშვობის გატაცება
დღესაც ისევ მახელებს,
სიდინჯეს და ვაჟკაცობას
ვინ გვასწავლს კახელებს?!

მიყვარს ჩემი ბათუმი

მიყვარს ჩემი ბათუმი,
მიყვარს მახინჯაური,
ქათქათა ზღვის ნაპირი,
მატარებლის ხმაური.
ბავშვთა ჟივილ-ხივილი,
თოლიების გნიასი,
გაღიმება მეზობლის
ციცქნა თამუნიასი.
ამდენი ლამაზმანი
აქ საიდან სადაო,
ჩემს მეგობრებს, რატომღაც
გახდომიათ სადაოდ.
მიყვარს ჩემი ბათუმი,
მიყვარს მახინჯაური,
მატარებლის გრიალი,
ზღვის ტალღების ხმაური.

ახლანდელი ოცნება

ვიპოვე რასაც ვეძებდი,
რაც ბავშვობაში ვინატრე,
გული ხალისით ამევსო,
თვალს მომემატა სინათლე.
ვიდეო კამერას ვანდე
სიუჟეტები რაფერი,
დღედაღამ სულ შრომაში ვარ,
ჩიტსაც კი ვასწრებ გაფრენილს.
ფილმები ნაირნაირი
ჩემი გადაღებულია,
სულ მოვიარე კახეთი,
აჭარა, რაჭა, გურია.
ბევრ ნაირნაირ ტიპაჟებს
ვპოულობ, ვეკონტაქტები,
კინოს სახლს ბევრჯერ ვესტუმრე,
წარმოვუდგინე ფაქტები.
ვიპოვე, რასაც ვეძებდი,
რაც ბავშვობაში ვინატრე,
გული ხალისით ამევსო,
თვალს მომემატა სინათლე.

თამარ ჯაჭვაძე

რღვევა თავიდან

როცა ყველაფერს დაესმება შავი წერტილი,
გაეპარება გაჩეხილ გულს ბზარიდან სული,
მე მიპოვიან უდაბნოში, თავაწყვეტილი
ქვიშის ქარები, ოზონამდე რისხვად ასული.
ჯერ ერთადერთი ბედნიერი მაჩუქე წამი,
რისთვის მოვედი ქვეყანაზე გამაგებინე,
მოსრისე გული და მომჭერი ორივე მკლავი,
ოღონდაც ერთი სალოცავი ამაგებინე.
იქნებ დასრულდეს ბედისწერის ირონიები,
იქნება ეს დღე დაღამებას ვეღარ დაესწროს,
შურისძიების მოზეიმე ერინიები
სამგლოვიაროს უკვეთავენ უკვე მაესტროს.
იქნება მზე ხარ, ჩემი ბედის შუადამეში,
იქნებ ჯილდო ხარ, თმენისათვის უამრავ ჭირთა,
როგორ მეცადა ამ გულიდან როგორ გამეშვი,
ან როგორ მეთქვა რომ ყოველი წამი მიჭირდა.
მოვიდეს წვიმა, გაზაფხულზე, ლეთასეული,
გადამავიწყოს შენი სული, თვალთა ალები,
გადაიშალოს ცვალებადი ეს ასწლეული,
და გაიყოლოს ხალხი, ბედით განაწვალები.
იქნებ შენა ხარ ჩემი სულის ნავთსაყუდარი,
მე მოვდიოდი ბნელი ღამით და გზა ამებნა...
დროში დაბრუნდი... ივსებოდა სივრცე მუდარით
და დროს აცდენილს, ხმა იდუმალი, გულს მიამებდა.
ამოიოხრებს დედამიწა კრატერის ყელით,
დაიშლებიან პლანეტები დარდის აირით,
იციან, მალე, კოსმიური რღვევა მოელით
და შენიღბულან სახეები ნაირ-ნაირი.
როცა ყვალაფერს დაესმება შავი წერტილი,
გაეპარება დედამიწას სული ბზარიდან...
დროში დაბრუნდი – შემოუვლის ექო, წყვეტილი
და ყველაფერი დაიწყება, ისევ, თავიდან.

ერთად ყოფნა მოენატრებათ

მოწყურებული გაზაფხულის წვიმით დათვრება,
არ დაელევა დიდ სიყვარულს სულის ფეთება,
ჩვენს საფლავებსაც ერთად ყოფნა მოენატრებათ,
ჩვენს საფლავებსაც მარტოობა დაებედებათ.
ათიათასჯერ მთის ქოჩორი შეივერცხლება,
დგას ბუმბერაზი სიყვარულის მზით დანაოსი,
შავკაბიანნი ჭირისუფლად მოვლენ მერცხლები
და ეწყინებათ მარტოობა სასაფლაოსი.
მყვირალობისას იღრიალონ ხმამაღლა მთებმა,
ჩამოსხდებიან ვარსკვლავები ხეზე ატმებად...
როს გაზაფხული სიყვარულით გაიკვირტება,
ჩვენს საფლავებსაც ერთად ყოფნა მოენატრებათ.

წმინდა წიგნი

ტაო-კლარჯეთის მიწაზე მომხდარი ნამდვილი ამბავი,
გიორგი მესხის თავგადასავალი.

ჟამი იყო ძნელი, ბნელზე ბნელი,
ძარღვს ეძებდა დაკარგული სისხლი...
ხელს ელოდა გამოწვდილი ხელი,
ნაგაზივით დარაჯობდა ნისლი.
  მიდიოდა სხვათა ქვეყნის გზაზე
მოქართულე, ეშხიანი ვაჟი,
მზეს ეძებდა უცხო ქვეყნის ცაზე,
კახი, კოლხი თუ გულმკვდარი ლაზი.
  ვერ გაუძელ ქართულ სისხლის ძახილს,
ჩვენებურებს სად ეძებდი ბიჭო?!
უცხო ზეცას როცა გულმკერდს ახლის,
შენ იმ ჩიტის დაბრუნებას იჭვობ.
  ვერ იპოვ დაკარგული ძმები?
ვინ არ შეგხვდა ნაქართველარ გზაზე...
და უზომოდ დაქანცული ძებნით
სამშობლოში ბრუნდებოდი ასე.
  სადღაც წვიმა დაგეწია გზაში,
შორს თურქული დასახლება ჩანდა...
ღმერთს შეხედა ბედისწერამ მაშინ
შეგაფარა ქვაბულების ჩარდახს.
  იმ ქვაბულში სალოცავი ნახე,
უცხო ჯიშის სალოცავი უცხო,
მყინვარივით მოგეღრუბლა სახე,
და ტუჩები ჩაიკვნიტე უხმოდ.
  შემოიჭრნენ ჩადროსნები სველი,
"წმინდა წიგნი!" შეუძახეს მოლას,
რახანია შენს ტაძარშიც ელი
ამისთანა მლოცველების ყოლას.
  "წმინდა წიგნი!" "წმინდა წიგნი!" ხმაში
არ ისმოდა შეკრთომა და მოცდა...
დაიჩოქეს დიაცებმა მაშინ
და დაიწყეს გულმხურვალე ლოცვა.
  უცებ შეწყდა მერეხი და სეტყვა,
მზე აღმოხდა, გადიკარა ზეცა...
და თქვი: ეს რა წიგნი იყო ნეტა,
ოქროსფერი სამოსი რომ ეცვა?!
  როცა გარეთ გაიკრიფა გუნდი,
მზეს მადლობა და დიდება ჰკადრეს,
მიიპარე, ბიჭო, როგორც ქურდი,
წიგნს აფცქვნიდი ხელით ნაქარგ ჩადრებს.

* * *

ცრემლი წასკდა ხახულს, ოშკს და ხერ-
თვისს,
ტყვედგაყიდულ მთა-ბარსა და მინდორს...
ჭრელ-ჭრულ ჩადრში, ძველქართული ხელ-
რთვით,
შოთას "ვეფხისტყაოსანი" იდო!

არ დაბერდება

უკვე დაიწყეს მზის სხივებმა გადაფერდება
და კურტიზანმა ღამეებმა სინათლე ძლიეს,
არც სიყვარული და არც ლექსი არ დაბერდება,
მაგრამ მოვა და სხვა თაობა შეუცვლის იერს.
არ გვიძებნია სიყვარულის მეტი სიმდიდრე,
ვერ ეგუება სიჭაბუკე ფერად გალიებს,
გოგო-ბიჭებო, მოასწარით ალერსი, ვიდრე,
გაზაფხულებმა ამღვრეული წლები გალიეს.
ბებერი ხსოვნა როს ვეფხვივით შეგეფეთება,
შუბლის ნაოჭი აღმოსავლურ ჩადრით შებურე,
ისევ გეძახი, რადგან სული არა ბერდება,
რადგან გაცვეთილ სხეულებში სძინავთ ბეღურებს.
მწვერვალს მიაღწევ და იწყება გადაფერდება,
დარჩება ის, რაც გულის სისხლით შეგილესია,
გაზაფხულივით სიყვარულიც არ დაბერდება,
რა ვუყოთ, ზოგჯერ გულგრილობის ტყვიას ესვრიან.

ოთარ ურუშაძე

ქება ვაზისა

ღვთისგან ნაკურთხო,
ვაზო ქართულო,
ჩვენო აწმყოვ და
ჩვენო წარსულო.
ძეგლთა ჩუქურთმავ,
ზეცად ასულო,
წმინდა ნინოსგან
გამოსახულო,
მტევნის დალალით
დამშვენებულო,
ჩვენს მიწა-წყალზე
დასახლებულო.

ტკბილი ბადაგი,
შენი ნაჟური,
ქართველი კაცის
ხელით ნაწური,
ნაფერები და
ქვევრში ჩასხმული.
მზის სითბოთი და
სხივით ნადუღი.
შენი ნობათი,
ღვინო კახური,
ნათელ – მირონით
არის ნაკურთხი.

მასში ჩართული
გენი მზიანი,
ჩვენი ცხოვრების
თანაზიარი,
დამათრობელი
ლხინში მაცდური,
ტურფა ასულის
ხელით დასხმული,
მადლიერებით და
ღვთის დასტურით,
გამჩენს გილოცავთ
ალადასტურით.

დრო
/ფიმე/

დრო მიაბიჯებს
და მის ნაბიჯებს,
ვითვლით საათის
წამის ისარით.
ჩაივლის, წავა,
როგორც მსაჯული,
როგორც მკურნალი,
როგორც მისანი...
არვისა ჰკითხავს
რატომ იარა,
რისთვის იარა,
ვისთვის იარა.
ლხინი ჰქონდა თუ
დიდი იარა,
რა ისურვა და

რას ეზიარა,
ან რა მიიღო
ბედის ზიარად;
ნარეკალი თუ
ვარდი ხვიარა.
ჩაივლის, წავა
და მის ნაკვალევს,
დაეფინება
მტვერის საფარი.
დაიფარება
მისი გზა-კვალი,
აღარ დარჩება;
არც ნამზეური,
არც ნასეტყვარი
და არც ნაქარი.

ჩვენმა დრომ კვალი
დატოვა მწყრალი,
მთვრალმა არეულ
გზებით იარა,
რაც დათესა და
რაც მოიყვანა,
მის ნაფეხურზე
რამაც იხარა:
ნარ-ეკალმა თუ
ვარდმა ხვიარამ,
სიძულვილმა თუ
სიტკბომ ზიარად,
ჩვენი საკრეფი
არის მთლიანად.

ქიზიყი

ქიზიყო, ჩემო ლამაზო,
ჩემო ტანჯულო მხარეო,
შენზედ ფიქრები მაღონებს,
წუხელ სიზმარშიც გნახეო.
სიღნაღის კედელს ვიცავდი,
თავი გმირულად დავდეო.
მერე სასულეთს ვესტუმრე,
ყველა ვაჟკაცი ვნახეო,
ვინც აგაცილა მონობა,
ბატონის უღლის სალტეო.
ჩემო ლამაზო ქიზიყო
და უბატონო მხარეო,
კიდევაც წამოფრინდება,
ალაზნის პირას მართვეო,
ფრთებს შეიბერტყავს, კამარას
შეჰკრავს მყინვარის თავზეო...
ნიკალას ფუნჯით ნახატო,
ჩემო ლამაზო მხარეო,
შენზედ ფიქრები მაღონებს
წუხელაც სიზმრად გნახეო,
ქიზიყო, ჩემო ლამაზო,
ჩემო ტანჯულო მხარეო.

ღრუბელი

ლაჟვარდ სივრცეში
გალაღებული,
სპეტაკ ქულებად
ეფინა ცაზე.
მიწის სურნელით
გაბრუებული,
შემდეგ წვეთებად
დაეშვა თავქვე.
დანაცრებული,
გუბედ ქცეული,
იგი ჭკუაზე
მოეგო წამსვე
და სანამ მიწას
დააკვდებოდა,
ზეცას აღაპყრო
ვედრებით სახე:
– ჩემო მფარველო,
ზეცავ, მაღალო,
გთხოვ მომიტევო
და შემიბრალო.
მე ზეციური
ვიყავი ნამი,
სანამ მიწისთვის
გავწირე თავი.
ახლა სულს ვღაფავ,
გუბედ ქცეული,
ლაფში მოსვრილი,
დანარცხეული.
ზეცაო, ცაზედ
უფრო მაღალო,
გთხოვ რომ ღრუბელი
ღრუბელს ახალო,
ცოდვილი მიწა
წარღვნით დაფარო,
ზეამიტაცო,
ღრუბლად მაქციო
და შენი კალთა
გადამაფარო.

## ნან	ი

მზე იწვერება მთებიდან,
მუზების ყველა ქარაგმით.
სხივებს იხუტებს ფიქალი,
შავი გიშერის ნახატი.
გასრულებულა სტუმრობა,
სახლში ჩამცხრალა ნაცარი.
სოფელსა სტოვებს უბიწოდ,
უკანასკნელი წაწალი.
მოსახდელი აქვს ქალაქში,
თეთრი საყელოს სახადი.
მიდის და მიაქვს ღიღინით,
ერთი ლამაზი ზღაპარი.
ყეფით აცილებს ერდოდან
მგელზედ ნაგეში ნაგაზი.
წამოიშლება ყორედან,
ფრინველთა შავი ნაზავი,
გადმოიშლება სარკმლიდან,
ჯვარით ნაჩითი თავშალი.
ქალაქში მიდის წაწალი,
ახალი ყოფის ვასალი.
თან მიაქვს, როგორც საგზალი,
მთაში ნაქარგი ზღაპარი.

ბეჟან ხარაიშვილი



ხხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,
ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

ხიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტრებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

ნაილი ხარაიშვილი

ბუმერანგი

დრო აუკინძავს მარგალიტის ნატიფ მძივებად,
და ბუმერანგი
        შორს გაფრენილი კვლავ მიბრუნდება
ის თავზე მადგამს მოოქროვილს დედოფლის გვრიგვინს,
მხარს შემომისვამს
        ბავშვობის წლებს ობოლ ხუნდებად.

2014/22 ნოემბერი

გელი

ნუშის თვალებში ოკეანის ლივლივს შევიგრძნობ,
ვგრძნობ, პოეტები მუზად რატომ განგიხილავენ,
ბატონკაცები ქალებს რარიგ დაიწუნებდნენ,
თუ მოღერებას მაგ ყელისას ვერ იხილავდნენ.

ტბის დედოფლობის აღარ კმარობ გვირგვინს, ტიტულებს...
ამ მიწის ხიბლიც გინდა მარტომ დაისაკუთრო,
სიმშვიდეს გირღვევს სისასტიკე ერთფეროვნების,
შენი როკვით მთელ მშვენებას ართმევ საწუთროს.

მოსაწყენია ყოველივე ზედაპირული,
ტბის ფსკერის ფრესკის გაგაოცებს გამჭვირვალობა,
და ეს მტირალა ტირიფებიც ვეღარ მალავენ,
გაუმხელელი შენი ტრფობის გარდუვალობას.

სიცოცხლის ბოლოს ნატიფადქმნილ სონეტს იმღერებ,
გარდაცვალებაც მშვენება გაქვს, აღუწერელი,
ყელყელა კისერს გადაიწვენ ქათქათა ფრთებზე,
უკვდავ მშვენებას ვერ დანისლავს ჟამი მძლეველი.

2014/2 ივნისი

უდაბნო

თავის გრილ საბანს ცხელ ჰორიზონტს აფარებს ღამე,
სიო გადურბენს ბებერ კაქტუსს, როგორც მოჰიკანს,
ქვიშის კონტურებს ძერწავს ქარი და ავარაყებს,
ამ უდაბნოში წყურვილს შენი ლანდიც მომიკლავს.

2014/2 დეკემბერი

ჩემო იტალია

ეძღვნება იტალიური კულტურის
ცენტრის გახსნას საქართველოში

კეთილი ნების, აღმატებული ხარ, შენ დესპანი:
ხელოვანების, შედევრების წარმომშობელი,
ბრძენი წარსულით, აწმყოთი და ნათელ მომავლით,
გენიოსების, პოეტების მუზის მშობელი.

ხარ ჩემი ლექსის, ამაღლებულ რითმათ მფლობელიც,
დასაბამი ხარ სიყვარულის, ასე მგონია,
შენ ჰანგების ფრთით შემოვიფრენ მთელ დედამიწას...
გავუტოლდები სინატიფით თვით მაგნოლიას.

უფლის წინაშე მეოხია მაგდალინელი,
სხეულზე კაბად ბოტიჩელი გაზაფხულს მაქსოვს,
ჩემს სულს მშვენებად აქანდაკებს მიქელანჯელო,
ანგელოზებთან მომღერალი ლუჩანო მახსოვს.

თუ ძველ ქალაქებს დაადგამენ სამეფო გვირგვინს,
ვითარც რაინდი, რომი არის ჩემი რჩეული,
თუ ცისკრის ვარსკვლავს სხვა ხიბლი აქვს, ვარსკვლავთა შორის,
იტალიაა, სიკაშკაშით გამორჩეული.

2014/23 ივნისი

LO TI AMO ITALIA

Per il tuo impegno tu ti innalzi sugli altri paese del mondo
Sei l'origine dei capolavori dell arte.
Con il tuo sapiente passato, con il presente e con il futuro luminoso,
Sei madre di geni, di poeti e della musa.
Sei il detentore della mia poesia assieme al suo ritmo superbo
Sei anche l'origine dell'amore cosi penso.
Con le ali delle cetre mi fai volare per tutto il mondo
E con dolcezza divanto simile alla bianca magnolia.
Davanti a Gesu mi sta ritta Maria Maddalena come avvocata,
Sul corpo come una gonna della Primavera di Botticelli mi ricordo.
Come bellezza del mio spirito Michelangelo sta innalzando un monumento.
Mi ricordo anche di Luciano il cantante con gli angell.
Se alle antiche citta metteranno la corona reale
Come per un cavaliere Roma sara la mia citta preferita
Se la stella del vespro ha un fascino diverso tra le altre stelle.
L'italia e diversa per il suo splendore.

მთარგმნელი გაგა შოთაძე

გვანცა ხარაიშვილი

* * *

სანამ ხეები ზეცის ვენებად იტოტებიან,
სანამ თვალებში იძირება სიკვდილის გემი,
სანამ წყალია არაა ერთადერთი,
წყურვილს რომ გიკლავს,
სანამ ფრთოსნებში
შენი სულის ნაწილებს ხედავ...

* * *

სინათლის წელიწადია
შენი მზერა.
მთვარემდე მანძილია
შენი ხელები.
ცრემლმომდგარი ღამე
მეცამეტე ზღაპარს ასრულებს.
ჩვენ საკუთარ თავზე ვიმარჯვებთ
რაღაც დროა.
რაღაც დროა
სიყვარული მამარცხებს

* * *

შორსაა ზეცა.
მზეა ორსული სიყვითლით
და წითელ ბილიკზე დაცურავს.
სიტყვები
სიტყვები ჩვენ შორის
ერთმანეთს ლოკავენ.
აღარ მინდა რომ მოხვიდე,
სანამ ზამთარი თოვლია.
სანამ ზამთარი თოვლია
სიმშვიდის საბანს ვიფარებ.

* * *

როცა სამყარო ფერებს იძრობს
და ჩემ წინ სივრცე შიშვლდება,
გულში უტყვი სევდა ისადგურებს.
ეს სევდა არ ითქმის და არ იწერება.
ის შეიძლება მხოლოდ გაიგონო.
გაიგონო ღამით,
როცა სიჩუმე ყურებში
წყალივით გიდგება
და აცნობიერებ,
რომ დედამიწაზე
ერთი პაწაწკინტელა წერტილი ხარ,
წამებს პეპლის საჭერით რომ დასდევს
და მაინც ხელიდან უსხლტება.
ჩემი მარტოობა ისეთი მყარია,
შემიძლია ხელით შევეხო კიდეც.
უნდა ვისწავლო ყოველი დღის სიყვარული,
ყველა ამოსუნთქვის დათვლა,
იქნებ,
ჩემი სულის ნაპირებთან
ღუზა ჩაუშვან.

გაიქეცი

როცა დაგაბრუნებენ თქვი,
რომ დიდხანს გჯეროდა
და რომ გჯეროდა,
ეს იყო შენი ცხოვრების
უდიდესი სასწაული.

* * *

მთვარე რომ ყველა ამოსუნთქვისას
ქურდულად გითვალთვალებს,
ხარბად ისრუტავს შენს ბედნიერებას და
სევდის ნაშთებს გიტოვებს...
რა მოხდება დედამიწა რომ გარდაიცვალოს?
ვინ აუგებს წესს,
ან ვინ შეუკრავს კუბოს...
ვარსკვლავები გაჰყვებიან
მდუმარე პროცესიას და მერე
მეტეორებს დააბნევენ გულზე
უსასრულობაში ვერდამარხულს .
მჭირდები.
სიტყვები არ არიან თავის თავზე მეტი.
უბრალოდ,
მჭირდები.
ქაღალდის ნავი
დღეს მერამდენე მეცხრე ტალღას
გადავაფრინდი.
არა,
აღარ მსურს დავემსგავსო
შიშის ანარეკლს,
სიზმარში კვლავაც გავაცოცხლებ
ხეოფსის ტკივილს,
და მერე ერთად დავცლით პირამიდის
ძოწისფერ ღამეს.
დღეს მეათასედ გარდავიცვალე.
სულში დაცურავს ათას ერთი ქაღალდის ნავი
და ისე ახლოს ირწევიან ლამპიონები
ვფიქრობ რომ ისევ მოვიკლა თავი.
ნოემბერს კოცნად დააყრის მარტი.
ფუჭია მარტო გოლგოთის ავლა,
თუკი ეკლიან გვირგვინს გადარჩი.

* * *

„არა მხოლოდ მწყურვალი ეძებს წყალს,
წყალიც ასევე ეძებს მწყურვალს.“
რუმი

ბავშვებს წარმოსახვის უნარი კვებავთ,
ძუძუს კი ოცნებები აწოვებენ.
ჩვენც ბავშვებს ვგავართ.
ხსნას სადღაც შორს ვეძებთ,
ერთმანეთის გავლით.
სანამ მოხუცი მთვარე
ცაზე მელოგინე ქალივით დაგორავს,
არცერთ სურვილს არ ჩავუთქვამ ვარსკვლავს,
საოცნებოდ შენი თვალებიც მეყოფა.
ახლა ეს ქარი სულში ეშმაკივით მიძვრება.
მილეწ-მოლეწავს არტერიებს,
გულისკენ მავალს,
და ფილტვებიდან იმ სუნთქვას მაცლის,
წუხელ რომ დამიტოვე.
აღარ დავდივარ.
მეზრდება ფრთები.
სულ დამისკდნენ კანზე სიტყვები
და სანამ ზეცას შევეხები მანამდე შენით
ვივსები და გადმოდიან მხრებზე ფიქრები.

* * *

მათ მითხრეს, რომ ოცნებები ახდებოდა,
რომ საჭიროა თქვა აბრაკა-დაბრა
და საოცრებათა ქვეყანაში აღმოჩნდები,
რომ იმ ქვეყანაში, შენ კი არა, ისინი კვდებიან,
ვინც მოწამლულ ვაშლს გიწვდის
და რომ იქ არაა საჭირო იყო კონკია,
რათა პრინცმა შენი დაკარგული „მე“ იპოვნოს.
მე არასოდეს მჯეროდა მათი.
გზა კი მანამდე ამებნა,
სანამ საოცრებათა ქვეყნის შესახებ შევიტყობდი.
ყველას არ ეყოფა ჩემი სიყვარული.
ვერც ყველა გაიგებს ჩემს სიმღერას.

გულნაზ ხარაიშვილი

დარდის ცოცები

ჩემში შემოდი, შემასხიპე დარდის ტოტები,
ნაიარებ გულს დასჭირდება შენი მალამო.
ჩემს ფიქრთა ეზოს გაამრავლე ნაზი ტიტები.
ქარიშხალია... იქნებ ისევ ერთად ავლაგმოთ.
ღმერთო, მომხედე, დამიდამე ტკბილი საღამო,
ვხედავ იმედებს, მერცხალივით ვეჭიკჭიკები,
ოი, ფიქრებო, გევედრებით, აღარ დამღალოთ,
მე ჩემს მომავალს ისევ მხნე და საღი ვჭირდები.

საუბრობენ გვირილები

საუბრობენ გვირილები, ვაზმა კვირტი გამოისხა,
ულამაზეს ყვავილებმაზეწრად ცვარი წამოისხა.
ლოცვა შველის საქართველოს, მთებს ჭაღარა შეპარვია,
ხის ხავსიც კი იმერეთში, საყურებლად ზღაპარია...
ამ ლამაზ ხედს ვენაცვალე, ჭიათურის ლურჯ ენძელებს,
ნაზ ყვავილებს მოსაკრეფად, ყინვაშიდაც რომ ეძებენ...
მინდა ჩემში შევისახლო მზე, ცეცხლივით მოელვარე,
ამ გრძნობების ხვაშიადმა, ლექსის წერა დამავალეს...
ხარის კვალში ჩამდგარ წყალსაც, სიკამკამე შერჩენია,
აქ ეს ხალხი მასპინძლობას, აკვნიდანვე შეჩვევიან...
თეთრი გედი სუფთა წყალში მისრიალებს ნება-ნება,
ალიონზე შემოდგომა, ქალაქს თაფლად დაადნება...
ძმა-ძმისთვის და... სტუმრისათვის, ღია არის კარებია,
ეს ვირწმუნე,.. იმერელ ხალხს ყველა კუთხე ყვარებია.

გაგიმეცო?..

მწუხრის ზარიისევ შენით მესმის,
ყველას ცოდვას, შენ ერთს დაგაბრალებ,
საქართველოს გულში ნუღარ ესვრი.
ჩემთან ერთად ისიც შეიბრალე.
აცახცახდა ცოდვით მწვანე ფიჭვი,
ახლაც ტირის სოხუმი და რიწა...
ქრისტიანო... სხეულს ბარით მიჭრი,
რად წამგლიჯე მამა–პაპის მიწა.
პოეტს მკერდი დამისუსხე ჭინჭრით,
ომი ფიქრმაც ვეღარ გადივიწყა,
გაგიმეტო?.. ოი, როგორ მიჭირს,
კეთილებს ზრდის ეს ქართული მიწა.

ფიქრის დაფა

ჩემმა კალამმა ლექსი მოშვილდა
ფიქრით ავფრინდი დედამიწიდან...
აქ გულს გრძნობები ძლიერ მოშივდა,
მზე კი სხივების ხელებს მიწვდიდა.
გადმოვიხედე კაბადონიდან,
დაბლა, სამყაროს, შევავლე თვალი
ბევრი სიმშვიდით სინდისს წონიდა
და თვით სინდისთან ბევრს ჰქონდა ვალი.
გულს სიამაყით ჩუმად ვუთხარი,
ჰო, მოგიწია განსჯა ათასთან,
შენ დაფუსფუსებ, როგორც ფუტკარი
და წერ სიყვარულს ფიქრის დაფასთან.

ვეღარ ვამჩნევ

ღრუბლებში ხარ! ახლოს ვარდ და ვეღარ მამჩნევ,
სიკეთე ვარ... ძოწისფერით ნისლებს ვსერავ...
ვცდილობ შუქი დაგიბრუნო, მზის შუქ გაჩვევ...
არ მენდობი ჩემი ალბათ აღარც გჯერა.
მივხვდი შენში ისევ ეშმა დაფათურობს,
დღისით, ღამით, ყოველ წუთს და ალბათ წამშიც,
შენ ხარ! დარდის მწვერვალების დიდი ხურო.
სიკდვილისგან მოგზავნილი, სწრაფი რაში.
ყველა ნდობის საფიქრალი ამოვწურე,
გადავრაზე გზის ბილიკი გასაღებით...
გული ჩემი ვეღარაფრით დავაპურე,
საიქიოს სული დამრჩა წასაღები...

წავიდეთ ფიქრო

წავიდეთ ფიქრო,ზეიმზე ვართ მიწვეულები,
ტყეს ნადიში აქვს და მიტომ ფიცხობს...
იქნებ დამწიფდა გაზაფხულის ბროწეულებიც,
შავ სამოსელში იქნებ ვერც მიცნოს...
გავისეირნოთ, სევდას უნდა გავექცე შორით
მე უკვე მჯერა, ბედისწერის სასწაულების...
ხედავ? ნისლია, ირგვლივ ისევ ჩამოწვა თქორი,
ჩვენ გაზაფხულის ზეიმზე ვართ მიწვეულები.
მზე ნეფე არის, პატარძალი გაზაფხულია,
და იმოსება ნაირ-ნაირ ფარჩა-ფურჩებით...
მისასვლელი გზა ჩემი კალმით გაკაფულია,
წავიდეთ ფიქრო, დამიჯერე ნუ მეურჩები.

ბუნების სუნთქვაც კი პოეტის ლექსია

წინაპრის ნაკვალევს მივყვები სიფრთხილით...
ყვირილის ტალღები, ფიქრს შემოასკდება...
სიკვდილო, მომშორდი და ცოტა მიფრთხილდი...
პოეტი იცოდე არასდროს მოკვდება,
გაზაფხულია და ტყეს ტანისამოსად,
სულ თოთო ფოთლები ტოტს შემოესია...
პოეტი კვდებაო ეს ვიღას წამოცდა,
ბუნების სუნთქვაც კი პოეტის ლექსია.

დედის სიცოცხლევ

დედის სიცოცხლევ, რა ძალიან მომნატრებიხარ,
შემომეძარცვა დარდით წლები და მიილია...
იქნებ ჩემს ახლოს მოფრენილი თეთრი მტრედიხარ...
ან მოჯირითე მთის ირემი, ჩემი შვილია.
ფიქრით შენთან ვარ, მოფერება შენ არ გაკლია,
გულს ჩავიკირე მონატრება ოქროს მონეტად...
და თუ სიცოცხლე შენს გარეშე შვილო, ნაკლია,
მაშინ ჯობია ისევ-ისევ დავრჩე პოეტად.

ხმავ ზეციურო

ხმავ ზეციურო, შენ დაგეძებ რად მიმატოვე,
სად დამეკარგე, ალბათ დარჩი ღამის წყვდიადში...
ვერა ვერაფრით ვეღარ ვუძლებ ამ სიმარტოვეს...
მაცოცხლებელო... ისევ ჩემთან ამოზვიადდი.
ღამის ვარსკვლავო, იქნებ მთვარევ, იქნებ სიზმარო,
იქნებ სიცოცხლისზედაშე ხარ, მიტომ განატრულობ...
გულო, დამშვიდდი მონატრება უნდა იკმარო,
გულო, დარდისგან ნაგვემო და გამოფატრულო.

ნდობის სანთლები

ნდობის სანთლები, ისევ მისთვის უნდა დამენთო,
გრძნობათა ღველფი გამეჩხრიკა, ნაცარმიყრილი...
ვიფიქრე, როგორ ვიარსებოთ უერთმანეთოდ,
უერთმანეთოდ გადაჭკნება, გულის აპრილი...
ავაშენებდით ერთგულების ლამაზ სასახლეს...
და დავიწყებდით დიდი საქმის ჩხირკედელობას...
უსასრულობის ქვეყანაში დავსახდლებოდით
მიატოვა და არც ემჩნევა უდარდელობა.

მე მოვალ შენთან

კლდეში ბინადრობ, სიოდ მოსულო,
ჩემო უცნობო, ტკბილო დედაო...
ვაზის ნაჟურო, მტევანასხმულო,
მაპატიე, რომ სიტყვას გბედავო...
იქნებ შენა ხარ, ღამის მნათობი,
კლდექვაბულების მინანქარია...
გთხოვ, მომიზომო შენთან ფართობი,
უშენოდ ყოფნა არ მიხარია!

დედაო, ერის დარდებს ატარებ,
ისეთ დიდსა, რომ ზეცის ტოლია...
მოვალ ქარ-წვიმებს გაგიაპრილებ,
ერს შენნაირი ჯერ არ ჰყოლია.
მოვალ, მე შენთან წლების გასხვლამდე,
გულის კარები უნდა გაგიღო.
მიხმე დედაო, ცაში წასვლამდე,
იქნებ ყინული ოდნავ გაგილღო.

ჩემო ბეღურა

ჩემო ბეღურა, სადაც გინდა იქით იფრინე,
იფარფატე და ნიავით გაჰყევი ტალღას.
თუ დაიღალო, დაისვენე, პირი იბრუნე,
თუგინდ იქეცი პაწაწინა უმწეო ბარტყად!
ჩემში ღამეა, გაერიდე მწუხრის სიბნელეს,
ჩემი გულისთვის ნუ მოხვდები ცრემლის მორევში.
მე მარტოდ-მარტო გადავლახე ყველა სიძნელე,
ღმერთია ჩემთან! არვინ არის ჩემი მომრევი.

რაც მაწუხებს

რატომ მითრთის ხშირად ყინვით მთელი სხეული
ახლაცა მეწვის ქარით ნაზი ლოყები.
დარდი არის ჩემთან შემოჩვეული...
რაც მაწუხებს კალმით როგორ მოვყვები.
ამ ცხოვრებას ფეხი როგორ აუწყო.
ქვიშასავით წვიმამ ლამის დამლამოს,
თუ დავსველდი კალამს უნდა ვაუწყო,
ტკივილები ისევ ჩემში დამალოს.
ჩხუბს და კამათს ო, ძალიან განვიცდი...
მძულს და ქართან ყოფნა არ მიხარია...
ერთგულების სითბოს მუდამ დაუცდი
მას დავეძებ უკვე კარგახანია...

დიდი ხნის ღოდინი

თვალები გიხმობდნენ და ბოლოს გამოჩნდი...
გამართლდა სიწმინდით დიდი ხნის ლოდინი.
სამ დღეში ისევე ცრემლებში აღმოვჩნდი,
ჩამომწყდი გულიდან ვენახის ლორდივით!

ყველაფერს ვფიცავარ, ამას არ ველოდი,
იმედის ფოთოლი ჩემს თვალწინ დასრისე.
მინდოდა შენს გვერდით მარტოდ მე გყოლოდი
მივხვდი... ერთგულებას არასდროს მაღირსებ..

პეტრე ჯაჯანიძე

ულინათლო პოეტს

არ შეგინიშნავს ცისკრის ნათება,
მთელი ქვეყანა შენთვის ბინდია,
არ აუნთიხარ ციცინათელას,
ქუჩაში მარტოს არ გაგივლია.

არ ჩაგიხედავს ქალის გუგებში,
ბროწეულები როცა ტირიან,
შეყვარებულთან სიჭაბუკეში
სურათიც კი არ გადაგიღია.

არ შეხვედრიხარ რუსთან, მდელოში,
ცხელსაკინძეზე შეხსნილ ღილიანს,
„ძველ საბაჟოსთან“ უსახელოში
მწყერზედაც კი არ გინადირია.

ეთამაშები ისე ვითბალღი,
მუსიკის ჰანგზე აწყობილსიმებს
და ცეცებაში საკმაოდ დაღლილს
ხელს ჩააყოლებ ცარიელ ჯიბეს.

შენი ფიქრები ნაღველში იწვის,
მშობელი დედის კალთაც ლეგალობს,
ფერრიც არ იცი ივერთა მიწის
გულზე რომ უნდა გადაგეყაროს.

ლუმს მარტოობა

უკვე ამრეზით დაგყურებს ღმერთი,
მშვიდად ხარ იცი რაც გელოდება,
ღრმა ნაოჭებმა დაღარა მკვეთრი,
ნიჭი, ეშხი და ხავერდოვნება.

პილატე ცეცხლზე სველ ხელებს ითბობს
ქრისტემ წამებით დახუჭა თვალი,
დუმს მარტოობა, - სამყაროს პირმშო,
როგორც ემბაზში ნაკურთხი წყალი.

ბითუმი

მთვარე როგორც თამადა
სერს უცქერდა მოლიანს,
მიმოზების გადაღმა
მზე უკრავდა როიალს.

გრიალებდა კატარღა,
კვალს ტოვებდა ზოლიანს
და აქოჩრილ ზღვის ტალღას
მკერდს წაკბრავდა თოლია.

სტუმრად ნათესავებთან

მისდევ ქვაფენილს, შემდეგსაურმეს,
თუ ღობეები გზას ავიწროებს,
გსურს ფეხშიშველა ბილიკს აუყვე
და ჯამბაზივით შეჰყვევი წროებს.

წყაროსთან ახლოს თუ გექნა ქოხი,
ბედს არასოდეს დაემდურები,
გგონია უცხოს არტყელზე მოხვდი,
საოცრებაა ისე ბუნების.

ქუდებს გიხდიან სტუმარს ქვევრები,
შეხვდები ჯიგარს, სისხლი იყივლებს,
ქარვისფერ ღვინით გამოშტერდები,
ალიაქოთი უდგათ წიწილებს.

იქ ახლომახლო ყველგან მთებია,
ხეები მოსჩანს როგორც ლანდები,
სერები თითქოს ვეშაპებია
და შორს ღრუბლები თეთრი დათვები.

* * *

ცრემლი ჩამოდის ცხარეთ ემიდას,
ქუჩა ხმაურობს, როგორც ვაგზალი,
დათოვლილ მორზე უხმოდ ვჯდებიდა
მოწყენილ ფიქრებს ცისკენ ვაგზავნი.

სტვენს ბულბულივით სადღაც ფლეიტა,
მხუთავს სიშორე, - ჩემი წაწალი,
მცივა მარტო სულს, ზამთრის პეიზაჟს
ვხატავ ისევ ითნიუს მხატვარი.

ე-ს

უვლიან ნისლები სურვილის გარიჟრაჟს,
გავკიცხავ ორეულს, სარკის წინ დავდგები,
ვცდილობ და თავს მაინც ვერ ვაღწევ ქარიშხალს,
თუმც დიდი ხანია მელიან სანთლები.

მაშინებს სიცივე, ჟამთასვლა მაღონებს,
ვერ უძლებს სიჩუმე ზაფხულის კარგ დარებს,
მოჰგავხარ ანტიკურ ხვთაებრივ მადონებს,
მე მაინც ჯორჯ ონესივდითის გადარებ.

გავხედავ ტყვესავითსერსადაიალაღს,
ჩაგხედავ თვალებში ვენერა მილოსელს,
შეგივსებ ოცნების ცარიელ ფიალას,
შემდეგ კი, - შევალ და საყდარში ვილოცებ.

აპრილი

დაუმოკლდა ზამთარს ნისლისფერი კვართი,
გაზაფხულმა იას მოაშორა დარდი,
აპრილს კვირტთა ფეთქვად შეაყარა კარტი,
თამაშიდან ადგა წამებული მარტი.

თვიალა

დაგცლი, ხელით გული დამაქვს,
მათრობ, მაინც ვერ დავშინდი,
განსხვავდები კულისაგან
ალალი და მხრებგაშლილი.

ალავერდად გადადიხარ,
თიხისაგან გამოგძერწეს,
შენ თუ მართლა ალალ იხარ,
ცერზე რატომ გამოწმებენ.

ალიოშა ჯაფარიძეს

ნიჭი, მხნეობა,-ორივე ერთად
მომადლებული ჰქონდა ღმერთიდან,
კავკასიონის მწვერვალებს წმენდდა
უცხოელების ბარათებისგან.

განსაცვიფრებელ გმირობად კმარა,
შეიცნო მისი ჭერი და ფუძე,
ედელვეისით ამაყი შხარა
მოჰგავს ტიციანს, - მიხაკით გულზე.

როდესაც ცაზე ორიოდ წამით
ცისკრის ვარსკვლავი ახელდა თვალებს,
ჭრაქის მაგივრად, ყოველი დამით,
უბის წიგნაკში ანთებდა პწკარებს.

და მწვერვალთ მსწრობელს გულით და გზნებით,
როგორც მახვილთ, წერაქვით ხელში,
გაჰქონდა მუდამ ახალი გზები,
თვით პამირის გმირს, პამირის მთებში.

როცა მშვიდად ჩანს ბუნება მთელი,
როგორც უხდება ჰაერი გრილი,
ვით მეგობრის მხარს მოხვევა ხელის,
ისე მთასვლელებს, - სხივები დილის.

განდეგილივით ხევდება მთვარე,
თუ გაიღვიძა შეცვლილ ბუნებით,
ზვავს და გრიგალში მოკლდება ღამე,
ვით უთითებო ნაფეხურები.

კლდის შვერილიდან რომ გადააფრინდა,
გულის მყინვართან დაჰყო არწივმა,
ზვიადი უშბა უშხვანარიდან
ისე მოსჩანდა, როგორც მთაწმინდა.

დუმს მარტოობა

უკვე ამრეზით დაგყურებს ღმერთი,
მშვიდად ხარ, იცი რაც გელოდება
ღრმანაოჭებმა დაღარა მკვეთრი
ნიჭი, ეშხი და ხავერდოვნება.

პილატე ცეცხლზე სველ ხელებს იშრობს,
ქრისტემ წამებით დახუჭა თვალი,
დუმს მარტოობა,- სამყაროს პირმშო,
როგორც ემბაზში ნაკურთხი წყალი.

ვაჟა მიროტაძე

მესამე ზარის დარეკვამდე
ღ. კენჭოშვილს

ახლა, ამ წერილს გწერ ქალაქიდან,
უნდა სიყმაწვილე გავიხსენო,
ისე მენატრები, ამ ყრუ ქალაქს
უნდა გამოვექცე, ლადი ჩემო.
უნდა შურდულებით ჩიტებს ვსდიოთ,
უნდა ნადირობა ავიჩემო,
ნეტავ სად არიან, აღარ სჩანან,
სიყრმის მეგობრები, ლადი ჩემო.
ისევ ჩვენ გავუყვეთ საბალახოს
და ჭალის პირებზე ჩავივაკოთ,
ცისკარს შევეგებოთ, ალიონზე,
მთელი დღე, მთელი დღე დავიკარგოთ.
ვკრიფოთ მაყვალი და მოვითხუპნოთ,
ტყის ხილს გავუსინჯოთ მერე გემო,
ვენახში, ძელურზე ჩამოვჯდეთ და
მეველეს გავაჯავროთ, ლადი ჩემო.
ვსდიოთ ბუებსა და მიკიოტებს,
მოვისიყვარულოთ ოლოლები,
ბავშვობის ბუდეები მოვიკითხოთ,
ხნულში ავაფრინოთ ტოროლები.
ნისლი ჩავიხვიოთ, ჩავიხუტოთ,
ნისლი, მთის წვეროზე დაფენილი,
მწარე სინანულით გავიხსენოთ,
წლები, სიყრმის წლები გაფრენილი.
ო, რა კარგი იყო იმერეთი,
ისევ წარსულისკენ ვიცქირები,
ისევ მენატრება უსაშველოდ,
ჩვენი ბუჭულია წისქვილები.
იქრომ საფქვავი იფქვებოდა,
ახლა გამასინჯა იმის გემო,
ზურგზე მოკიდებულ ტომარებით,
აღმართს მივყვებოდით, ლადი ჩემო.
დავუშვათ, ჩამოვედი ქალაქიდან:
ვენახი დამხვდება დაკრეფილი,
ყველა, ვინც მიყვარდა სასოებით,
სახლიდან იქნება გაკრეფილი.
ეგერ, ე, მაღლობზე იქნებიან,
ეგერ, ე, მაღლობზე ისვენებენ,
ვინი ცის, იმ მძიმე ლოდების ქვეშ,
ახლაც გვიგონებენ, გვიხსენებენ.
მართლა, მართლა რომ ჩამოვიდე
და მერე ბავშვობა ავიჩემო,
ხომ, ხომ გამომყვები ყველგან, ბიჭო,
ხომ არ მიმატოვებ, ლადი ჩემო.
ეჰ, იმ დროს აწი ვინ დაგვიბრუნებს,
უკვე მოგვდგომია, ძმაო, ჩერო,
ცხოვრების უღელში შებმულები,
ფრენისთვის რას მოვიცლით, ლადი ჩემო.
კისრებზე ოჯახების რომ არ გვედგას,
მძიმე უღლები და ტაბიკები,
შუკებს სიხარულით დავირბენდით,
სოფელს სიყვარულით ავიკლებდით.
მაინც რომ არ მითხრა: დამეკარგე,
მესამე ზარის დარეკვამდე,
მოვასწროთ, ბიჭობა ავიჩემოთ,
სიყრმის მეგობარო, ლადიჩემო.

როგორც დამოკლეს მახვილი

როგორც დამოკლეს მახვილი,
ცა გხურავს უკაბადონო,
ცამ რომ ინებოს, ღრუბლებში
გაგაქრობს, ჩემო ბატონო.
გაშმაგებული ტალღებით,
ჯერ ზღვა ასეთი არ მახსოვს,
თითქმის ღრუბლებში აგტყორცნის
და მერე ისე დაგახრჩობს.
სულ ბეწვის ხიდზე გივლია,
როდისღა უნდა იხარო,
მზესთან ნუ მიხვალ, პოეტო,
მზე დაგწვავს როგორც იკაროსს.
ორმოცი საუკუნეა,
გეფერები და გპატრონობ,
ქართველის სისხლით მორწყულო,
არაბთა ხმალით ნატორო,
სვეტიცხოველის ამგებო,
ვეფხისტყაოსნის ავტორო.
ცაო, ზღვაო და მნათობო,
არა უაზრორო კვანით,
ერთი ქართველი პოეტი,
ჩემი ქვეყნისთვის მომკალით.

მთაწმინდაზე ქარია

ხალხია პლოდისმენტებს,
მხოლოდ თქვენთვის იმეტებს,
რა კარგია ლექსის მერე ტაში.
ღმერთიც აპლოდისმენტებს,
მხოლოდ თქვენთვის იმეტებს
დამაღლდებით პოეტები ცაში.
ჩემთვის აპლოდისმენტებს,
არვინ გამოიმეტებს,
ეჰ, რატომ არ დავიბადე მგოსნად,
ჩემთვის აპლოდისმენტებს,
აბა ვინ გაიმეტებს,
მაინც თქვენთან მირჩევნია ყოფნა:
ადე, ვეუბნები სიკვდილს,
ვინძლოდროგიგამიჩერო,
გრძელსოფელში, გრძელსოფელში,
წასვლაუნდაავიჩემო,
ამქვეყნისა, არამწამდა
იმისმაინცდავიჯერო.
რერო, რერო, რერო, რერო,
თქვე: უკვდავოჩემომკვდრებო,
არდამძრახოთ, წამოსვლისწინ
ლექსიუნდაწავიმღერო:
რუსთაველზედარია,
მთაწმინდაზექარია,
ორიოდელექსისპატრონს
თქვენსკენმომიხარია.

* * *

არა ასეული, არა ათეული,
პოეტის ბინაში ღამე მაქვს გათეული,
მხოლოდ ერთადერთი, ვიქნები მართებული –
პოეტის კერაზე ცეცხლი მაქვს დანთებული.
იდგა ნოემბერი, მწიფდა ბროწეული,
პოეტის ბინაზე ვიყავი მოწვეული.
ღამე ჯადოსნური ლექსად იღვრებოდა,
და ბორიალებდნენ ირგვლივ გრძნეულები,
და მე შევიცანი და მე შევიცანი,
მიზანი პოეტთან ჩემი წვეულების.
ბუხარში ცეცხლი ენთო, ცეცხლი მორიალე,
კედლებზე ვიდოდა ფიქრი– მორიელი
და აღარ მტანჯავდა აზრი მოარული–
პოეტი რამით იყოს თითქოს მიწიერი.
დახეთქილ კედლებში ქარი მოძვრებოდა,
არც არა, რა ჩანდა,
ქარვა, ძოწეული,
ნაცვლად ბროწეული,
მხოლოდ ბროწეული,
ნაცვლად ბროწეული.
მხოლოდ ბროწეული...
ისიც დახეთქილი, ისიც შეწამლული,
პოეტის სისხლივით იყო მეწამული.
ოდენ შემკრთალი და ოდენ მთოვიარე,
ჭიშკართან ჭინკა იდგა, ჩუმი, მგლოვიარე.
ჭის გვიმს და ოწინ არს ქარი აწვალებდა,
ქუხდა, მერე წვიმდა, წვიმდა მერე ხივით,
არვის არ ვუყვარდი, არვინ არ მიყვარდა,
ვიყავ ნაღვლიანი ჩემი ქელეხივით.
...
პოეტი არს ჩანდა, ჩამმწარდა კალმასობა,
ჩემთვის არ ეცალა, მუზასთან ბაასობდა....

იმერეთში

ბევრი სიხარული იყო,
გამორჩევით მხოლოდ ერთი,
როცა მომენატრებოდა,
ხელსმიქნევდა იმერეთი.
მარელისი, შორაპანი, ზესტაფონი,
მგონი უკვე გავიარეთ წევა
და საჩხერის მატარებლის მგზავრი,
სტუდენტი ვარ, ცივ ვაგონში ვწევარ.
თოვლიანი, თოვლიანი სადგურები,
დილის ბინდში ბონდზე მორბისკაცი,
დუმს ყვირილა, ხეობაში სიჩუმეა
და ზამთარი იღრინება მკაცრი.
ჭიათურაც გამოჩნდება და წირქვალიც გამოჩნდება,
ჯიბეებში მოვიძიე „პრიმა“,
თბილისის წყალდალეული, სუმკა გადაკიდებული,
შინ სულმალე, შინ სულმალე მივალ.
პოეტი ვარ. ახალგაზრდაც, მიხარია,
ჯერ შორსაა, ჯერ შორსაა ელდა,
ჯერ ხომ ისევ მელოდება,
გვირაბს იქით მელოდება,
იმერეთში, მელოდება, დედა.

საქართველოს გაუფრთხილდი

შეხე ვენახს, შეხე ყანებს,
ზვრებს შეხედე ნასიცხარებს,
შეხე საყდრებს, შეხე ტაძრებს,
ციხეებს და ნაციხარებს.
შეხე ტყეებს, ნაკადულებს,
ჩანჩქერებს და ბარაკონებს,
შეხე თეთნულდს და მიხვდები
მათით რატომ ამაყობენ.
შეხე მდელოს, შეიგრძენი,
დილის სუნთქვა, დილის ცვარი,
შეხე ჯეჯილს,–მზისკენ ლტოლვილს,
შიგ ტრიალებს უფლის თვალი.
შეუძახე გმირულ წარსულს,
შეუძახე,–გაგაგონებს,
შენი ქვეყნის სიყვარულით,
უსათუოდ შთაგაგონებს,
მოუსმინე ცასწავალას:
მოუსმინე: მიდი, მიდი,
ერთი სიტყვით, ერთი სიტყვით,
საქართველოს გაუფრთხილდი.

ბებია

ნინა მიქაუტიძის ხსოვნას

ერთ დღეს, ბებიამ მოძებნა თავისი შავი მანდილი,
დაგვემშვიდობა, დახურა ცხოვრების კარაბადინი.
რაც თავი მახსოვს, სიკეთე თუ იყო, მისგან გვრგებია,
ღვთისმოსავი და სულმნათი, ასეთი იყო ბებია.
ფეხს ჩვენთან ერთად იდგამდა, სხვას სულ არავის გვანდობდა,
ხარობდა? ჩვენით ხარობდა, დარდობდა?ჩვენზე დარდობდა.
თესავდა, ქსოვდა, კემსავდა, სულ ბოლოს დაიძინებდა,
თითქოს რაღაცას შიშობდა, ხანდახან გაიცინებდა.
მჭადი მომეცი, ბებია... გვაპურებდა და გვმოსავდა,
მოუოხეთო ჩემს ბადიშს, მერე ბატონებს ლოცავდა.
იმდენ წელიწადს ოცოცხლა და წუთისოფელს სტუმრობდა,
მაინც ვერ გაძღა სიცოცხლით, მაინც აქ ყოფნა სწყუროდა.
სულ ჩვენსკენ იმზირებოდა, ალბათ ჩვენს ცრემლებს ელოდა,
მკვდარს და გალეულს კუბოში, თითქოს სიკვდილიც შვენოდა.
იქიდან გვანუგეშებდა, იქიდან გვამუნათებდა,
თითქოსდა არსად არ წავა, თითქოს სულ ჩვენთან დარჩება.
დაღლილი იყო ცხოვრებით, არ წაჰყოლია ვალები,
ამოვუკოცნეთ წასვლის წინ ის ცრემლიანი თვალები.
ის იყო ჩვენი დღეების მლოცველი, მერე მზირველი,
მიტომ გაგვიძღვა საფლავში, ბებია იქაც პირველი.
და შენც, პოეტო, ბებიის კალთაში რომ ხარ გაზრდილი,
ვისაც არ დაგვიწყებია გაუხუნარი მანდილი,
ბევრჯერ აგივსებს თვალს ცრემლი, ცრემლი ალალი, ნამდვილი,
წინაპრის გადავიწყება ვინა თქვა იყოს ადვილი,
კურთხეულ იყოს მარადჟამს, მისთვის ეს მიწა მშობელი,
ღმერთო, ბებია მიცხონე და იმის წარმომშობელი.

ხინკნული

ჩემს მეულლეს - თამარ ხვედელიძეს

შენ რომ ფიქრობ, ის აღარ ვარ,
წაჰყოლია სული მარტებს,
ეს რა ცეცხლი წამიკიდე,
სადარდელი დამიმატე.
სიყვარულის ტრაქტატს ვწერდი,
ვწერდი, ვწერდი..., მერე გხატე,
შენთვის ჩუმად ვლოცულობდი,
კრძალვით ვემთხვეოდი ხატებს.
ვიწვალე და ვიმარტვილე,
წლები უგერგილოდ ვფანტე,
გული მწყდება, სიყვარულო,
ვერაფერიც ვერ შეგმატე.

როგორ ჩაჰქრა სიჭაბუკე,
ქარი აჭრის სულის კარტებს,
ლომი ვიყავ და ლომის წილს
უბოძებდნენ ხოლმე კატებს.
შემოდგომაც მიკარდება,
სულო, მოთმინება გმართებს,
და ეს ლექსიც ნაღვლიანი,
ვინძლო აღსარებად დარჩეს.
ინავლება ჩუმად ცეცხლი,
მიქაელი მიდებს კვანტებს,
შენ რომ გინდა, ის აღარ ვარ,
წაჰყოლია სული მარტებს.

* * *

სიყვარული სიცოცხლის
უკან შემატრიალებს,
თარიღების ხმარება,
უყვარს მემატიანეს.
უყვარს მიქელ–გაბრიელს,
ბრძოლა ღია წესებით,
შენ ვინახარ, ძამიკო,
მერე შენი ლექსები.
წამოვიწევ, ვჯაჯგურობ,
ვერაფერსაც ვერ ვშვები,

ვაი, დედა, ჩამავლო,
მიქაელმა ეშვები.
როგორც ზვავი მომსკდარი,
გულს მომწყდარი ლექსები,
ავიწევ და ვერ ვშვები,
მწვერვალიდან ვეშვები.
და შენც მემატიანევ,
რად არ ჩამომეხსნები,
უკვდავებას არ ვითხოვთ
მე და ჩემი ლექსები.

შენ, მარტოობა, პისტოლეტი და ქუთაისი ...

თამაზ ჭუმბურიძეს

თავს ნუ მოიკლავ, თამაზ, ძმაო, თავს ნუ მოიკლავ,
ნუ გადაუხვევ, პროკურორო, მთავარ თემიდან,
რატომ გგონია, გულგრილობას დასძლევ ამგვარად,
ანდა უშენოდ იზეიმებს ისევ თემიდა.
არეულია ეს ცხოვრება, ო, ისე მკაცრად,
ეშმაკიც ვეღარ დაალაგებს, გინდაც მოუნდეს,
და მაინც უნდა შეგახსენო შენმა ძმაკაცმა:
ჭკუას მოუხმე, პროკურორო, ჭკუას მოუხმე!
ნუღარ დადგები პისტოლეტით წყეულ სარკის წინ,
ნუ შეგეცვლება მარტოსულო, ასე იერი,
ნუ ჩაიხედავ მაგ სარკეში, მრუდეა სარკე,
ნუ ჩაიხედავ, ყველა სარკე არის ცბიერი.
სენსაციაა, პროკურორო, ეგ თვითმკვლელობა,
ვინ იცის ახლა, ვინ რას იტყვის, ვინ რას მოჭორავს,
ფაქტი ერთია: ხარ სიკვდილშიც სრულიად მარტო,
და ჭრილობიდან სისხლი არა, ცრემლი მოჟონავს.
დაეშვა ფარდა, დაიხურა, ყველა პროცესი,
ჩუმად მომდგარა შენს კუბოსთან მწუხრის დაისი,
გამახსენდება: ამაბორგებს ხოლმე ეს ფიქრი:
შენ, მარტოობა, პისტოლეტი და ქუთაისი.

სერგი ლომაძე,

ვასო ლომაძე



თეთრი
(პოემა)

„ცხოვრების მიღმა,
სადაც მწვანე ხმაურობს ტალღა...“
მაგრამ სიმწვანე
არის მხოლოდ მოჩვენებითი,
და ეზმანება გორდას ზაფხული...
არის ზამთარი საშინელი,
ძვალ-რბილში ატანს
თოვლი და ყინვა.
გორდა მარტოა,
გაქცეული თვის ქალაქიდან.
სხვა მხარეშია,
არის თოვლში, ქუჩაში მარტო, მიგდებული.
ის სიზმარში, გაჰყურებს ტალღებს, –
მომწვანოს, ლურჯებს,
ამ ტალღებში ყვავილებია,
გაზაფხულია ამ ტალღებში,
თუ – მშობლიური ქალაქია, აქ, დამარხული...
თვალებს გაახელს.
სოფელია, რამ, უცნაური.
ყველას შავები აცვია და,
თოვლია თეთრი,
თოვლის ტალღები გადადიან
მთელს სამყაროზე,
ქვებუდარია თუმც სიცივე,
თოვლი მაინც ლამაზია,
ღვთაებრივია,
ანათებს თეთრი,
ანათებს თეთრად,
და შავებში ჩაცმული ხალხი, –
ყველა მიმოდის თვისს საქმეზე...
ეს არის, რაღაც, დიდი სოფელი,
სოფელი-დაბა, საკმაოდ ვრცელი,
უცნაური რამე ადგილი.
ვერა ხედავენ, თითქოსო, გორდას.
– „ეჰეი, ხალხო!
ხომ არ გძინავთ,
თუ ეს – მე მძინავს
ისევ მძინავს,
და თან ვხედავ, ისევე, სიზმარს?!“
ცივი ნიავი ძვალ-რბილში ატანს,
ხოლო გორდა
თეთრ სამყაროს შავ ბინადრებს
ისევ გასძახის.
– „ეჰეი, ხალხო გაიღვიძეთ!
გაიღვიძეთ-თქო!.. მიჭირს აღქმა...
ერთ მღვიძარს, მიჭირს
ამდენ მძინარეს შორის ყოფნა...
გაიღვიძენით!...“
მერე შეხედეს.
მოიყარეს მის ირგვლივ თავი.
– „ვინა ხარ, კაცო,
რა გაყვირებს?“
უთხრეს, მას, ფრთხილად,
უთხრეს ჩუმად და
გულგრილადაც.
აქ მას არავინ იცნობდა და,
არცა უყვარდათ,
არცა სძულდათ,

არცა ახსოვდათ საერთოდა,
ის აქ, ამათთვის,
უბრალოდ ვთქვათ, – არ არსებობდა;
ინტერესიც არა იყო,
აქა, მისადმი,
და იყო იგი არარსებული.
– „ვინა ხარ, კაცო?“ –
ისევ ჰკითხეს, ყასიდადა,
ჰკითხეს უყმურად,
და მოიწყინა, ძალიან, გორდამ.
– „მეომარი ვარ.
ასი ომის მოგების შემდეგ,
მიღალატეს და,
გავიქეცი ჩემი მხარიდან.
დაჭრილი ვარ.
ეგებ ვიღაცამ შემიფაროს
ცოტა ხნით მაინც.“
– „გვითხარი,
რაა შენი სახელი?“ –
კითხეს ისევე უგემურად.
– „მე გორდა მქვია.“
– „ძმაო, იცი რა,
ეს მონების ქვეყანაა;
ხო, მონების იმპერიაა;
ხოდა, აქ
გორდა არვის სჭირდება...
ზევით აუყევ აიმ ბილიკებს, –
იქ იპოვი ძველსა მონასტერს,
ძველს და უცნაურს;
ეგების ვინმეს იქ გამოადგე“.
შეუყვა გორდა
თეთრსა აღმართს,
და მოდის თოვლი,
მოდის თოვლის ზღვა,
იტევს სამყაროს,
და ოკეანე, თეთრი თოვლის,
ცამდე იწევა,
ხოლო სახეზე თამაშობენ
ფიფქთა ჩრდილები,
და თეთრსა გზაზე
სისხლის წითელი წვეთები ჩანს,
ვით ყაყაჩონი...
ცხოვრების მიღმა თუა გორდა,
ანთუ ჰგონია,
რომ არის, ახლა,
ცხოვრების მიღმა...
გზა გაიარა,
გასცდა თეთრ ტყეს,
და გავიდა
თეთრი ტბის პირას.
იქით მთებია.
მონასტერი, სულ თეთრი, – აქეთ.
მონასტრის კართან –
– „აღარასოდეს“... –
აწერია რომლის ნისკარტსაც,
ედგარ პოსა და ბარათაშვილს
სულის ჩრდილად რომ გადაექცა,
აის ყორანი,
აის სიტყვა,
და უამრავი სხვა პოეტიც,
როგორც პოეტი და მეომარი,
რომ დაამწუხრა.
–„თუ მიწერია გადარჩენა?“ –
მშვიდად ჰკითხავს მოხეტიალე, –
„თუ, უკვე, არ ვარ,
უკვე აღარ ვარ...“
ყორანი ნელა აფრინდება,
დაიკარგება,
ერთ სიტყვასაც კი
არა იტყვის
იმისი ბაგე (თუ – ნისკარტი),
მხოლოდ ღიმილი, ცინიკური,
იქვე დააგდო,
და ეს ღიმილიც,
ძველ სარკესავით,
იმავწამს გატყდა...
დააკაკუნე, გორდამ, კარებზე.
დააკაკუნა და გაიღება, –
გაახსენდა, ხმა, ბიბლიური.
დააკაკუნა კიდევ, კიდევ...
მერე ზარების რეკვა ატყდა,
წითელი სისხლით

შეიღება, როს, თეთრი კარი,
და ამ ზარებში
კოსმიური ჩანდა მუსიკა,
მიქელანჯელოს და რაფაელის
ნახატებივით;
ლეონარდოს მედუზასებრი მზერასავით
საიდუმლოდ ჟღერდა მუსიკა,
მუსიკა, იგი, ზარებისა,
გრანდიოზული.
იღებებოდა, წითელ სისხლით,
მონასტრის კარი,
იღებებოდა, იღებებოდა...
მერე გალურჯდა სისხლი ესე...
მერე გათეთრდა...
და იფეთქა, უეცრად, კარმა, –
წამოილეწა კარი მთლიანად,
და გამოვიდა, მონასტრიდან,
ბერების შავი სამოსელით შემოსილი
ასათი კაცი –
რაინდები,
თეთრ ცხენებზე ამხედრებულნი.
– „ვინა ხართ თქვენა?!“ –
გაოცებით ეტყვის, მათ, გორდა.
– „ჭეშმარიტება, ან – მისი ჩრდილი“. –
პასუხობს იგი,
ვინც არის სულ წინ,
სულ პირველი.
და უცებ, შავი ანაფორები,
(ან – ანაფორის მსგავსი სამოსნი),
უთეთრეს და უსპეტაკეს
სამოსლებად ექცათ რაინდებს.
– „შენ ხომ გორდა ხარ, –
ვიცი... ვიცი ეს...
აგე, ცხენი კიდევ ერთი, –
შეჯექი მასზე და წამოგვყევი.
გორდა ხომ ხარ და...
გორდა ყოველთვის საჭიროა!“..
და არის თოვლი
არის ნიავი;
არის ქარი;
არის გრიგალი...
ხოლო გრიგალში, ეს ფიფქები,
გიჟურად ცეკვავს,
ხოდა ფიფქთა ამ
დიდ თეატრში
მიდის რაინდი ასთერთმეტი,
სულ წინ – უცნობი რაინდია,
სულ ბოლოს – გორდა, – აღარ არის, იგი,
დაჭრილი...
ეს სიზმარია?
მისტერია რამე უცნობი?
ეს არის რამე საიდუმლო
შეოცნობელ მარადისობის?
ღმერთის სცენაა
უცნაური რამ პოეზია,
ღმერთის სპექტაკლი?..
ჩვენ ეს არ ვიცით...
ხოლო თეთრი,
თეთრი, სულ თეთრი,
დარჩება სულში,
და სამყარო,
ბრილიანტი, ვით, უთეთრესი,
მოხიბლულა მისსავ ნათებით...

ყამარ ბლიაძე

დედასა-მშობლის ძახილი

კვნესის დედა-საქართველო,
მოთქმაა გულის მწველი...
ღვიძლი შვილების დაკარგვა
ძნელია, მეტად ძნელი.
აფხაზეთო, სამაჩაბლოვ,
გიხმობთ მშობელი დედა...

ტანჯვას ზედ მერთვის ტანჯვა,
ტყვეობაში რომ გხედავთ.
ვერ მოგიშუშეთ იარა,
თქვენი ტკივილი მტკივა,
ვეღარც სხეული გაგითბეთ,
მეც თქვენთან ერთად მცივა.
ჩემო ბედკრულო შვილებო,
მეც თქვენთან ერთად ვკვნესი,
ისე ვიწვით და ვდნებით,
როგორც აბედი-კვესი.
თქვენი წყლულები მაწუხებს,
მთლად შევიქენი ჭაღარა,
დიდმა დარდმა და ვარამმა
წელში მომხარა, დამღარა.
ჩემო სნეულო შვილებო,
ცრემლით სველი მაქვს უპე,
თბილად მაქვს შემონახული
თქვენი კუთვნილი უბე.
კეთილი ბოროტს დაჯაბნის,
უფალი მწყალობელია,
მკერდს მოწყვეტილო შვილებო,
საქართველოში გელიან!

მამულს

თაყვანსა ვცემ შენს მიწა-წყალს,
ცას – ლაჟვარდის ფერს,
მთიებს, მთვარის ათინათებს,
ამომავალ მზეს.
თეთრ მწვერვალებს, მთებს და სერებს,
მარადმწვანე ტყეს,
ბარაქიან ზვრებს და ბაღებს,
გაშლილ მინდორ-ველს.
ჩემო დედა-საქართველო,
გული შენთვის ძგერს,
გამარჯვების გზებით გევლოს
მრავალ ათას წელს.
გპირდები შვილთა სიმრავლეს,
რაც რომ გიჭირს დღეს,
გამოგიზრდი რჩეულ ქალ-ვაჟთ,
ორს კი არა, – ბევრს.
ზეცად ხელებაპყრობილი
შევდაღადებ ღმერთს,
შევავედრებ დედაენას
ჩემს საფიცარს – ერთს.
რკინის გულს გამოვიკვერავ,
ავაჟღერებ გრდემლს,
მომხდურს ისეთ დღეს დავაწევ,
ვადენ ცხარე ცრემლს.
შემდეგ „შავლეგოს“ დავძახებ,
დეზს შემოვკრავ ცხენს,
აბა, მტერი რას დააკლებს
ქართულ სულს და გენს?
მუხლს მოვუდრეკ წინაპართა
სიათებს და ხმლებს,
საფლავებში ავატოკებ
მამა-პაპის ძვლებს.
მოვილოცავ წმინდა კერებს –
ახალსა და ძველს,
იავარქმნილს სულს ჩავბერავ,
საქმეს ვიზამ ქველს.
ჩემო ტანჯულო მამულო,
არ გპირდები ბევრს,
ლამპარივით გაგიძღვები,
გაგინათებ ბნელს.
ვაუკაცური შეძახილით
გავამხნევებ ერს,
დავედები მტლად შენს მიწას,
თუ დაგჭირდა დღეს.

ქართული ენის

დედაენავ, ჩვენო ენავ, ჩვენო რწმენავ,
უკვდავებავ, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
დედაენავ, საუნჯეო დიდი სიბრძნის,
ტანჯულო და დიდ ქარცეცხლში გამოვლილო
დედაენავ, მჭევრმეტყველო, მრავლის მთქმელო
იბერიის სასოებავ, სიქადულო,
დედაენავ, ფესვძლიერო, წმინდა ენავ,
წინაპართა წმინდა სისხლით დანამულო.
დედაენავ, თბილო, როგორც დედის უბევ,
ქართულ გენით, სულით მოზარნიშებულო,
დედაენავ, უძველესი ერის ენავ,
სხივმნათობო, ცოდნის წმინდა ნაკადულო.

დედაენავ, ჩვილ ბავშვივით საფერებო,
ფარნავაზის მწიგნობრობით შემკობილო,
დედაენავ, უფლისაგან ხელდასხმულო,
ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის შვილობილო.
დედაენავ, ქართველების სიამაყევ,
უკვდავებავ, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
დედაენავ, ივერთ ქვეყნის მყარო ლიბოვ,
ნატვრისთვალო, სათნოებით შემოსილო.
დედაენავ, თბილო, როგორც დედის უბევ,
ქართულ გენით, სულით მოზარნიშებულო,
დედაენავ, უძველესი ერის ენავ,
სხივმნათობო, ცოდნის წმინდა ნაკადულო.

სოხუმის დაცემის დღე

ღაწვებს იხოკავს ბებერი ტირიფი,
მზეც ტირის, თავს იღრჩობს ზღვაში,
გლოვის ზარია სოხუმის მიწაზე,
ფრინველთა ქვითინი – ცაში.
გაშმაგებულ ზღვას დაჰყურებს თოლია,
ბზარი შეჰპარვია ხმაში,
დაჭრილ მეომრებს მწარედ დასტირის
ხმელეთზე, ბობოქარ ზღვაში.
ვარდს წართმევია ფერი და სურნელი,
სევდა მორევიათ ფიჭვებს:
– ნეტავ სად არიან, ხომ არ უჭირთო
ჩვენს ვაჟკაც „ღიმილის ბიჭებს“?
სისხლის ნაკადი უხვად დაიღვარა,
წითლად გაიპოხა მიწა,
ღალატი იყო, „ღიმილის ბიჭებო“,
როგორ მიაღწევდით მიზანს?!

ცა მოიღუშა, კოპები შეიკრა,
შუქი ჩაუქრათ ვარსკვლავებს,
კერიაჩამქრალნი გლოვით ტოვებენ
ობლად დარჩენილ საფლავებს.
დაძრწის სატანა, დაეძებს საკბილოს,
ვაი, შვილმკვდარო დედებო...
ძუძუსმიკრულო ობოლო ჩვილებო,
ნაცრად ქცეულო ედემო...
ვაი, ჩახოცილო მოყვასო ჩვენო,
შინმოუსვლელო შვილებო...
სატრფოდაკარგულო ყმაწვილქალებო...
თქვენ, ხეიბარო გმირებო...
ჩემო აფხაზეთო, ჩემო მამულო,
გეყოფა ცრემლის ღვრა, გლოვა,
გწამდეს მომავლის, უფლის წყალობისა –
ნანატრი საქართველო მოვა.

ცრემლის წვეთები

მდუღარე ცრემლი

(ბათუ ხარებავას)

შენმა მდუღარე ცრემლმა გული მატკინა ბატონო ჯემალ . . . შენი ბათუ არ მომკვდარა, უბრალოდ გარდაიცვალა. მადლობა საქართველოს, ესეოდნენ სიყვარულისა და ერთგულებისათვის. ბატონო ჯემალ, შენი ხელით მორთმეული წმინდა ნინოს ჯვარი, ჩემთვის დიდი საჩუქარია.

შ – ენს ვაჟკაცურ სულს თან დაჰყვება ცრემლი მდუღარე,
ე – ფერებიან ტანჯულ მიწას განაწამები.
ნ – ადგურდებიან იმედები, რჩები მწუხარედ,
მ – იდის დღეები, საათები, მიდის წამები. . .
ა – ნთიხარ სანთლათ, აფხაზეთის მიწებს გაჰყურებ,
მ – იედინება იქ ისევე სისხლის ღვარები,
დ – უმან პარკები, უცხო ხმები სმენას აყრუებს,
უ – ნდოა მტერი, შემომტვრევი ჩვენი კარების.
ღ – ამეა ირგვლივ, ზღვას სიჩუმე აღარ უხდება,
ა – ალებული კოცონები უცხოთ უნთიათ.
რ – ამდენჯერ მოწყდა ვარსკვლავი და მთვარეც წუხდება,
ე – ერთი იმათგან ბათუ იყო, ცას ეს უთქვია.
ც – ის ანგელოზებს უშვილიათ, ანებივრებენ,
რ – ატომ წუხანო, მამა ღმერთი გაკვირვებულა,
ე – რის ტკივილს და ისტორიას აწერინებენ,
მ – ტრედის ფეხივით ცა სირცხვილით გაწითლებულა.
ლ – ოდინში მშობლებს დაუნამავთ, ცრემლით ბალიში,
მ – ონატრებიათ საფლავი და ნაღველით დუღან.
ა – მოხლეჩია დედას ყელი შვილის ძახილში,

გ – აუსაძლისი ტკივილებით სურათთან დუმან.
უ – ფალს პასუხი გაუცია მისთვის იმ წუთში,
ლ – ოცულობს ხალხზე, სამშობლოსთვის, იქ არის მაღლა,
ი – მისი სული დატრიალებს ვარსკვლავთა გუნდში,
მ – ერცხლად დაფრინავს, და არ იცის რა არის დაღლა.
ა – ღარ იტირო, იქ კოლხეთში ბათუ თუ დარჩა.
ტ – რიალებს ქარი და გული კი. . . დიდ ნაღველს ითმენს,
კ – იბეა, ზოგჯერ აუყვებით მაღლა და დაბლა,
ი – ქ ცის სარკმლიდან, შენი შვილი ყველაფერს ისმენს.
ნ – აწვიმარია . . . კვირტი დალპა, ნეშომპალაა,
ა – კვნესებული ხალხის ცრემლით, სველია მიწა.
ბ – აბუაწვერას უმრავლია, სადაც პალმაა,
ა – წეწილია მთლად სოხუმი, გალი და რიწა.
ტ – კაცუნობს ცეცხლით მოდებული სახლის შიფერი,
ო – ბის სუნი კი მზარეულად ჩაბუდებულა,
ნ – აღველი გადევს შენც მით ცაო, მე ხომ გიცქერი.
ი – მოგახარებ . . . ლაშას ბათუ დაბადებულა.
ჯ – იშით სულგრძელობს, ვაჟკაცობაა მისი გენია,
ე – რთი ციცქნაა, პატარაა, ტიტინი უნდა,
მ – ოძლიერდება, მომრავლდება, პაპის კერია,
ა – იცდენს ბევრჯერ თუ ესროლეს წყლიანი გუნდა.
ლ – ალს და საფირონს დადებოდა ფერი იოდის,
ი – გრიხებოდნენ ქარიშხალით ჭადრის ტოტები,
შ – იშვლად დამდგარი ხეები კი ცას გაჰკიოდნენ,
ე – რის ტკივილს კი დასტიროდნენ ღამის ჭოტები.
ნ – იავი ტყეებს ჩასჩურჩულებს – ნეტავ რა ხდება?
ი – ას ლამაზად შროშანიც კი გვერდში უდგია.
ბ – ათუ პატარა, როცა დიდი ბიჭი გახდება,
ა – რვის დაუთმობს, ფეხი სადაც კოლხს დაუდგია.
თ – უთა დამწიფდა, ქინქლები კი დაძრწიან ირგვლივ,
უ – მრავლიათ და გულს ნაღველად შემომდებია.
ა – სჯერ გავზომავ უკვე ნაბიჯს, დამთავრდა რისკი,
რ – ადგან ყინავს და ასავლელი დიდი მთებია.

მ – ეჩვენება თუ შენ ღმერთივით სიკეთეს თესავ,
ო – რა ძალიან გამახარე, სულით პოეტი.
მ – ეგობრებისთვის თბილი სიტყვა უნდა გეთქვა და . . .
კ – რძალვით და რიდით აირჩიე უცებ მომენტი:
ვ – იცი, რომ ყველას სთავაზობდი ძმობით თანდგომას,
დ – ა ისიც ვიცი, ტკივილი რომ გულს ჩუმად გძიძგნის.
ა – თჯერ ცოტაა, მოგიწია ფეხზე ადგომა,
რ – ეჩხი ქნა გულმა, როს დავნამე ცრემლები ძმისთვის.
ა – ვკოწიაწდით, ავწრიალდით, მერე? მოვდუნდით,
უ – ნდა გითხრა, რომ ციდან წვიმა მხრებზე გვდიოდა,
ბ – ევრი განსჯის დროს ყველა ისევ გონზე მოვედით,
რ – ეროს ვმღეროდით, დარბაზიდან ხმა გადიოდა,
ა – ი ასეთი საამო დღე მე არ მინახავს,
ლ – ოცვას ვამბობდი სიყვარულით, უჩუმრად გულში.
ო – შენ, ჯემალი, მწამს ძმობაში მუდამ წინა ხარ
დ – ა ჩემი დარდიც ჩაიკეტა გამოქვაბულში.
გ – აოგნებული შევყურებდი ჩემს თვალწინ კადრებს,
ა – იეტის შტოს, ღვიძლ დასავით გული მტკიოდა.
რ – ას ვიზეიმებ, როს შევხედავ აფოთქილ ჭადრებს,
დ – ა ძმობის ცეცხლი შევიგრძენი უკვე ღვიოდა.
ა – რაფერია ფული გქონდეს გრძნობის გარეშე,
ი – ა სინაზით გვახალისებს, მის ბოლქვს ვინ ხედავს,
ც – ვარს ქარი აშრობს, ზოგჯერ არის ის მოთარეშე,
ვ – ეღარ ვიოკებ მე სათქმელს და სიტყვას გიბედავ.
ა – რვინ გაბედოს და ძმობაში მტრული თამაში,
ლ – ოლიაობა ქალი ვარ და არც მე მჩვევია.
ა – რა გვავნოს რა, მგლები არის ჩუმად საფარში,
მ – ოთქმით ვტირივარ . . . ისინიც ხომ ყველა ჩემია.
ა – მოდის მზე ცას ღრუბლები მიმოეფანტა,
დ – ავიჯერე, რომ ფესვს გაიდგამს ისევ სიკეთე.
ლ – ეღვივით გასკდა ჩემი გული, გადაიბატა,
ო – ეს ძნელია, შუადღის დროს შემომეფეთე,
ბ – ოლმა დამახრჩო და ვიწვები ვით შეშის ღერი.

ა – რ მინდა მარტოს არც სიცოცხლე, არც უკვდავება,
ს – აუკუნეებს იღაღადებს სიკეთის დღენი,
ა – რ გვინდა სხვისი, ჩვენსას მტერი რად გვედავება.
ქ – იქინა სიოს ღრუბლებთანაც გადაუვლია,
ა – მოდის მზე და სხივებით კი მდელოც გადაშრა,
რ – ირაჯრელის დროს წვიმას უკვე გადაუღია.
თ – ითქოს დავწყნარდი, ყველა დარდი დამრჩა გადაღმა.
ვ – აის არ ვიტყვი რთულ გზადედაც, სინამდვილეში,
ე – კლებს გავკაფავ და გავყვები ფეხით ქვაფენილს.
ლ – ოკავენ მარილს ომის შემდგომ სიღარიბეში,
ო – ი, წელში წყვეტს სიძულვილი ქართველს ქართველის!!!
ს – ევდა თავისით დაფათურობს ჩუმად უბეში,
ე – ხ! ტკივილებით გადავღალე ფიქრები ღამით...
ს — აღი გონებით, ვეღარ მივეც გულსაც ნუგეში,
ე — წიკწიკება დილის ნიავს, წუთი და წამი.
ო — მია ისევ, მგლების ხროვა ხალხს დაყმუიან,
დ — ა აი, ამ დროს, დარდის მძივის მომიწევს ასხმა.
ე — ს იცის მტერმაც, მსოფლიოში მთელმა დუნიამ
ნ — არინჯისფერი სიხარული ომით რომ გახმა.
ს — აიდან, რატომ, ურჯულონი სულს რად ცელავენ,
ი — ქ ლურჯ ზღვასაც, დასდებია სიწითლის ფერი.
ყ — ინვა არ გალღვა და ტალღები აღარ ღელავენ,
ვ — აი რა მწარედ, დაპატრონობს ჩვენს მიწებს მტერი.
ა — ი, ამიტომ წაიყვანა უფალმა ბათუ,
რ — ომ სცნო საჭიროდ, დაატოვინა დარდის ხმელეთი.
უ — ფაქიზეს სულს და უწმინდესს, ჩვენს ენას ქართულს,
ლ — ელიანში და შავ ღრუბლებში აცდეს ბნელეთი.
ი — ქ განკითხვაა... კეთილები იქ არ ომობენ,
ს — ულგაწმენდილნი მიღმიეთში დასეირნობენ.
ა — ავის მქმნელები ჯოჯოხეთში ტაჯვით გოდებენ
დ — ა ცეცხლის ალში ცოდვებს სიმწრით გაიხსნებენ.
ა — რის სულეთი, თუმცა დარდებს რა გამოგვილევს,
ე – ნდე ვარსკვლავებს, იქ სიკეთის დიდი გორია.

რ – ოცა შენ ცრემლებს გადმოაფრქვევ, ჯავრს დაგიგულებს,
თ – ითქოს გამხნევებს, ხმა ბათესი გაგიგონია.
გ – აფანტავს ნისლებს, მისი სული მიარღვევს ტალღებს,
უ – ღრან ტყეებში გადალეწავს ეკლიან ბარდებს,
ლ – ომივით ვაჟკაცს ამოგივსებს ჭრილობის ღრმულებს,
ე – მაშინ გულში ქარიშხალი ვგრძნობ უნდა ჩადგეს.
ბ – ოდიშის მოხდა დამჭირდება ისევე ალბათ,
ი – კივლა ბაგემ, ტკივილი რომ ფურცელს გავანდე!
ს – იტყვაც კარგია, გამოდგება ტკივილის აბად.
ა – ვფორიაქდი, დარდი ჩემი შორს, რომ გავაგდე,
თ – ქვენმა სიკეთემ ამიჩქროლა მე იქ გული და .....
ვ – იცი ირწმუნებ, ეს სიტყვები ღმერთმა მაჩუქა,
ი – ჭვი არ არის ბიჯგი იყო გადადგმული და
<u>ს</u> – ასწაულია ჩემი თვალი ცრემლს ვერ გადურჩა.
ბ – ევრი ვიფიქრე და ისევე ნისლმა დამნამა,
ა – ღარ მომეშვა მწუხარების ნამის წვეთები.
ტ – ოროლა ხეზე შემომჯდარი თითქოს ნაღვლობდა,
ო – რომტრიალში შევეკითხე: როგორ ჩერდები?
ნ – ამქერმა დიდი ფანტელები შემომათოვა,
<u>ო</u> – ცნებებში ვარ, გავხალისდი, ღამეა ცივი,
ჯ – ავრი ჩავკალი, უფალმა კი ფრთები მათხოვა,
ე – ნით უტყვი ვარ, მე ბათუ ვარ, ჯემალის შვილი.
მ – ეც თვითონ მიკვირს შენს ფიქრთან, რომ დავიდე ბინა.
ა – ი რამდენჯერ დაგიგროვდა, დარდის ნამქერი,
<u>ლ</u> – ოყები ცვარით დაგენამა სიმშვიდით მძინარს
შ – ენით გავცოცხლდი, შენ მაჩუქე წლები რამდენი.
ე – ნძელებია ამოსული, დედის ცრემლებით,
ნ – ამის წვეთებით დამისველდა, ფაფუკი ფრთები.
<u>ი</u> – მედის წყაროვ, ნიავივით გადაგევლები,
ხ – ის ტოტზე ვზივარ, და სითბოში აქვე გავშრები.
ე – ხლა გავიგე, თურმე დედას, რაღაცა უჭირს,
ლ – ოგინში წევს და შეუმჩნევლად მასთან ვჩერდები.
ი – მისი სუნთქვა აქაც მომდის თუმცა ვარ უტყვი,

თ – ვალის წამწამზე თამაშობენ ცრემლის წვეთები.
მ – ინდა ვირწმუნო, ავად დედა აღარ გახდება,
ო – მე იმისმა ტკივილებმა დარდით ამავსო,
რ – არიგად მინდა, მიხვიდე იქ, ფეხზე დაგხვდება,
თ – ბილი სიტყვებით შენ ჩემს დედას, რომ ებაასო.
მ – ინდა მას უთხრა, არასოდეს აღარ მიტიროს.
ე – მაშინ მოვალ, მოვფრინდები, ჩიტად ქცეული,
უ – ფაქიზესო, ახლო-მახლო უნდა ვიფრინო,
ლ – ურჯი ზეციდან შენი კალმით გამოქცეული.
ი – ღვიძებს კვირტი, სურნელებას უკვე შეიგრძნობთ,
წ – ერტილებივით მისკუპულან ხეთა ტოტებზე.
მ – ე მიხარია, როცა ქვეყნის ამბავს შევიტყობ,
ი – ქვე ახლოს ვარ და ვისვენებ ლამაზ მდელოზე.
ნ – ატვრად ესა მაქვს, მაგ ხელებზე უნდა გემთხვიო,
დ – ა მშობელივით დაგიკოცნო თბილი ბაგენი.
ა – ბრწყინებული სხივებივით, გადაგეფრქვიო,
ნ – აზად ჩემს სულში, რომ დამინთე შარავანდედი.
ი – დუმალ ფერთა სამყაროში დავიბადები,
ნ – ოსტალგია მაქვს, დედის უბის, დედის ალერსის,
ო – კეანეს გავს, დაგროვილი ცრემლით ავდრები,
ს – ადაური ხარ, უნდა მოგცე სახლის □ადრესი□.
ჯ – ემალი ნახე? მიკვირს მამამ რატომ იტირა?
ვ – აი – ვიშები არ ჩვევია, ლომივით ვაჟკაცს,
ა – რა, უბრალოდ, ალბათ ისე თუ დაიჩივლა,
რ – ა მოაქვს ცრემლებს, მოგიყვებით ამაზე არაკს.
ი – მედს თუ ერთხელ, უძილობამ, ღამე წაართვა,
ჩ – უმად დარდები მახრასავით ძარღვებს დაღრნიან.
ე – ნით რას ვიტყვი სიმწუხარე, ძაფს რომ დაართავს,
მ – აშინ იმ წამში ფანტელები ფიფქით ბარდნიან.
თ – ამამად გევლოთ, თქვენ, ცხოვრების მძიმე აღმართში,
ვ – ერავინ შეძლოს თქვენი გულის დაზიანება.
ი – ფეთქებს ნუში, და მიხილავთ კვლავ ათინათში,
ს – იცოცხლე მოაქვს კალმით სიტყვის გაზიარებას.

დ – ავლევ ცივ წყაროს, აი უკვე, წყალს დავეწაფე,
ი – რმის რქით შევსვამ სადღეგრძელოს, მე ამ საღამოს.
დ – იდ ღმერთებთან მაქვს გადაშლილი მდიდრულად სეფე,
ი – ად ამოვალ, და ცრემლები აღარ დაღვაროთ.
ს – ამარადჟამოდ იდიადებს ჩემი სახელი,
ა – მოვიზრდები, გადვიქცევი ედემის ბაღად.
ჩ – უ ქალბატონო, უფალია ჩემი მფარველი,
უ – ნდა გითხრა, რომ დედის დაღი დამრჩა მე დაღად
ქ – არბუქი ჩადგა, გაზაფხულდა აღარ მიტირო,
ა – მოვთხრი ეკლებს, ბაძაძგნარად, რომ დაგსევია.
რ – ოგორ მინდა, რომ ბედმა შენც არ გაგინაპიროს,
ი – ის ნამივით თვალი ცრემლით რომ აგვსებია.
ა – ზვირთებული ზღვის ტალღა ვარ, ვასკდები ნაპირს,

დილის ვარდზე, რომ ნამს სტოვებენ ოქროსფერებად.
ეს მე ვარ ბათუ . . . აყვავებულს, მოვყვები აპრილს,
ჩემი დედიკო სიზმრად ტკბილად მომეფერება.
მე მზის სხივი ვარ, ვცდილობ ერის გამობრწყინებას,
აწ ვერ დამახრჩობს მიწის ნესტი, სულთამხუთავი.
ღამის მთვარე ვარ, ბნელს რომ ნათლად მოეფინება,
ლექსში გავცოცხლდი, სამუდამოდ, მე ვარ უკვდავი.
გულით პოეტმა, სიყვარულის, სიმშვიდის დედამ,
ღამე მითია, ტკივილი კი სულში დაიგო. . .
ჩემს ტანჯულ მშობლებს გაუნელა დარდი და სევდა,
მე მარადისი, უკვდავების ძეგლი ამიგო.

როცა ბათუს დედა ვნახე, ქალბატონი ლია . . . ხმა ჩაეხლიჩა ერთხანს გაჩუმდა, ნერწყვი გადაყლაპა და მერე ისევ განაგრძო: ქალბატონო, თქვენ ჩემს შვილს ძეგლი დაუდგით . . . ცრემლები მოერია. წუთით დუმილი ჩამოვარდა, მეც ვღელავდი, არ ვიცი რა მემართებოდა, ხომ არ ავაფორიაქე ოჯახი ხელმეორედ? კითხვას ვუსვამდი ჩემს თავს. ინტუიციით ვგრძნობდი ორივეს გვიდუღდა გული. ირგვლივ სიოც აღარ ქროდა, ყველაფერი გაქვავებულიყო.

ლიამ საუბარი განაგრძო, მშობლებს ყველა შვილი ერთნაირად უყვარს, მაგრამ ბიჭი სხვა არის. ქალი ხოხობივითაა, გაიზრდება და გაფრინდება, სხვის ოჯახს გაახარებს. ბიჭი კი თავის მამაპაპურ კერაზე რჩება და თავის გვარს აგრძელებს. ხო და, რა გასაკვირვია ბიჭი გამორჩეულად უყვარდეს მშობლებს.

უსაზღვროდ კეთილი და სამართლიანი იყო ბათუ. არ გათამამებულა ზედმეტი ჩვენი მიფერებით, ყველას უყვარდა და ყველა უყვარდა მას. "სამართლიანი" ბიჭის სახელით იცნობდნენ ყავდა მეგობრები და ლამაზი შეყვარებული.

ბათუ სიხარულის ნაკადული იყო ოჯახისათვის. როცა მეორე ვაჟიშვილი გაგვიჩნდა – ლაშა, ისინი ტყუპებივით იზრდებოდნენ. აი, ჩემი პატარა ბიჭები და მაჩვენებს კიბეზე ჩამომჯდარ ბათუსა და ლშას.

მერე კი ხელჩანთიდან სურათები ამოიღო და მოკრძალებით მომაწოდა. მე დავინახე უკვე გარდაცვლილ ბათუსთან ოჯახის წევრებს სურათები გადაეღოთ. ჩემთვის ნათელი გახდა ყველაფერი. სიცოცხლე გრძელდებოდეა დიდ ტკივილთან ერთად. . .

დიდი ზღვა აკრავს ცრემლებისგან ამ მოგონებას,
თუმცა სიცოცხლეს დასდებია ვარდის ფერები.
და თუ კი ბათუ დიდ ქარიშხალს არ ემონება,
მაშინ სასულეთს უფრო რწმენით მოვეფერები.

ცვარიან დილით ბათუ სხივით გაიკაშკაშებს,
დანთებულია უკვდავების დიდი სანთელი.
ეს სტრიქონები გადადევნის დარდების რაშებს,
ცოტა დავწერე. . . რჩება კიდევ ბევრი სათქმელი.

გელა სხირტლაძე

ლექსის ძეგლი

ჩემო კეთილო შვილო, რა ტკბილი დედაშვილობა გვქონდა, შენთვის შეუძლებელს ვაკეთებდი. მეორე წელია რაც ჩემგან წახვედი და ცათა სასუფეველში დაიდე ბინა.

ღმერთო, ცრემლში არ დამახრჩო, შემაძლებინე, რომ შევქმნა შვილის უკვდავების ლექსის ძეგლი...

(აკროსტიხი)

რექვიემი

ჩ — ემო გელა, რა ძალიან მენატრები,
ე — ხ! რამდენჯერ დარდის ღამეს ვკეცავ...
მ — ოგსტირი და... გულში სევდად მემატები,
ო — ი, შვილო, კარებს აღარ ვკეტავ.
კ — ოკისპირულ წვიმებსა გავს, ჩემი ცრემლი,
ე — ხლაც მეწვის დანაპოტნი სახე,
თ — ბილი სუნთქვა... ხმის ჩურჩული... ყურთან მესმის,
ი — მედები ტკივილებმა დახრეს...
ლ — ომგულ ვაჟკაცს, ციცქნა გული გქონებია,
ო — ხ! მე მტანჯავს მოლოდინის ფიქრი,
შ — ენი სახე ცაში ვის მოწონებია...
ვ — ინ მოგხიბლა, აქ ოჯახი გიცდის.
ი — ქნებ დედავ, ისევ ჩემთან მოსულიყავ,
ლ — ოგინიც კი... შენს მხარ-ბეჭებს ეძებს.
ო — რმოცი წლის უკვე დიდი კაცი იყავ,
რ — ომ იცოდე უშენოდ ვერ შევძლებ.
ა — მ მოლოდინს ვერ გაუძლებ ჩემო შვილო,
ტ — ალღას ვგავარ... ადიდებულს ზღვისას...
კ — ლდედ მაქციე ბედო, მითხარ სად ვიჩივლო,
ბ — ედისწერა ჩემნაირი მტრისას...
ი — მედები დამეწიწკნა მწარე ბედით,
ლ — ალის ნაცვლად შემხვდა ქვა და ქვიშა.
ი — მ წარსულის სიხარულით როცა ვწვები,
დ — ეს სიცოცხლევ... მაშინ არამიშავს...
ე — ხლა უკვე გავხდი შვილო, ცრემლის ქალი,
დ — ღეს ვატარე სევდა, დანანებით...

ა — ღარ გინდა? რომ დალიო კოდის წყალი?
შ — ენი სახლის ნახო აივნები.
ვ — აზი ყვავის, მის ყვავილში შენს თავს ვხედავ,
ი — ქვე ვარდიც ცვარით იბანს სახეს...
ლ — ურჯი ია, მე დაგირგე ხელით დედა,
ო — კეანეს ცრემლიც შენით ვნახე.
ბ — იჭო, ვახო გელოდება, ცას შესცქერის,
ა — სე სჯერა, შენ რომ ისევ მოხვალ...
გ — ენაცვალე... შენი ხმითაც ბევრჯერ მღერის...
ვ — ახო ბევრჯერ ბავშურადაც ოხრავს...
ქ — ალი ვიყავ, მეპატრონე ნაზი სულის,
ო — ცნებებიც თავისთავად მქონდა.
ნ — აირ-ნაირ ზღვა ფიქრებით შემოსილი,
დ — ა ახლა კი შვილი დამიშორდა.
ა — მ წუთშიაც დარდი მძივად შემოვისხი,
შ — ავი ფერის სამოსელთან ერთად...
ე — რთხელ კიდევ მარნის ღვინო ჩამომისხით,
ნ — აწვიმარი გული ძლივსღა ფეთქვას.
თ —ევზი თუ ვარ, ცრემლის ზღვას, რომ არ ვშორდები,
ვ — ეღარ გავშრი ამ ავდრების წვიმით.
ი — მედებო, კლდიდან ნუ დამიგორდებით,
ს — ულით ძლიერს, ნუ წამართმევთ ღიმილს.
შ — იშით კვდება გულის ავდრის გლოვის ღამე,
ე — ხეთქება წვეთი ცრემლის სარკეს.
უ — იმედად დავრჩი შვილო, მითხარ რამე,
ძ — ილისგუდა ეს ზამთარი დამკბენს.

ლ — ოყას დამწვავს ყინვის ჭირხლის საფენები,
ე — ღიმება ეშმას ამ ჩემს ბედზე...
ბ — ეწვის ხიდი გავიარე შესვენებით,
ე — რთხელ ცუდი არ მითქვია სხვებზე.
ლ — ოცვაც ვთქვი და ჩემი ცოდვაც ვაღიარე,
ს — აიდუმლო არა დარჩა ჩემში,
ვ — ალმოხდილი მტერთან გულით შევიარე,
ა — მ დროს ბედო, ამომგუდე ცრემლში...
კ — ოღოებსაც შევახვედრე მადლის პური,
ე — კლიან ვარდს აღარ გავეკარე...
თ — ებერვალო, უნდა გითხრა საყვედური,
ე — ს რამდენი თოვლი მომაყარე...
ბ — ედო, ჩემზე ძლიერი ხარ, ვაღიარებ...
დ — ედის გული გადასერე დანით...
ი — მიტომაც უფლის სახლში შევიარე,
მ — ოკრძალებით დაუჩოქე ანის...
ე — რთი თხოვნა, შემისრულო იქნებ ღმერთო,
ო — რმოცი წლის შვილს დავეძებ, ვსტირი,
რ — ამდენჯერმე დარდის ცრემლი, გულს დამერთო,
ე — რთხელ მაინც დამანახე შვილი.
წ — ყალი მინდა მივაწოდო ჩემი ხელით,
ე — ნაწყლიან ლექსიც მინდა ვუთხრა,
ლ — ელიანის გასაცელად მინდა ცელი,
ი — ქვე უნდა გადავშალო სუფრა...
ა — რ სჭირდება, ჩამომძახა ღმერთმა ციდან,
რ — ამდენ მშიერს აქ აპურებს, შრომით...
ა — ი, შენ კი, გამძლეობით ბედი გცდიდა,
ც — ა არ არის შენს ფიქრებთან შორი.
ჩ — ემი სახლის ხიბლით არის გართული და...
ე — ფერება მას სამოთხის დასი.
მ — ოვაგროვე ყველა ერთად კეთილი და...
გ — ელამ იცის უკვე ჩემი ფასი.
ა — რ იდარდო, მიუხედე დანატოვრებს,
ნ — უღაც სტირი, ისევ მადლი თესე...
წ — ყენას გულში ნურასოდეს დაიტოვებ,
ა — ჰყევ ისევ ცის ბუნების წესებს.
ხ — არის კვალში წყალი უფრო სუფთა არის,
ვ — იდრე ზღვის და... მდინარეს და ხრამის,
ე — ნძელებზე დაფრქვეული დილის ცვარით,
დ — აგიხანჯლავს ფიქრი როგორც შხამი.
ი — ს იფიქრე, ირგვლივ თუ რამ მოგეწონოს,
დ — აასვენე გახსენება მასთან...
ა — რც იტირო, არც არასდროს მოიწყინო,
ც — აში მწუხრით აღარ არის განცდა....
ა — ხლა გელა ცის ბინადართ მოეშველა,
თ — ბილი გულის მადლის მთესი ბიჭი..
ა — თასნაირ ღრუბლის ფენა დაიშალა
ს — იდინჯით და შენი შვილის ნიჭით.
ა — სე კარგი შვილი ღმერთო, გამიზრდია,
ს — იყვარულით ცაშიც დიდ მადლს თესავს...
უ — ლამაზეს თუ უღიმის ორქიდეას...
ფ — ულის ხარჯვა თუ აქვს ობლის წესად.
ე — რთ ლუკმასაც თუ გაუყოფს, ცის ბინადართ...
ვ — ისაც არა აქვს იმას თუკი მისცემს,
ე — ბრძოლება ქარიშხალს და ზამთრის ავდარს,
ლ — ელს კაფავს და სწვდება ლამაზ სივრცეს.
შ — იშით აღარ გამოვაღებ სახლის კარებს,
ი — ებს ხელით შემოვაყრი მიწას,..
დ — ა მოვივლი ლოცვა-მადლით ყველა მხარეს,
ა — მოვტეხავ... მკვდარიც კუბოს ფიცარს...
ი — მას ვიტყვი; სხვას, რომ ყველას ეამება...
დ — ავინახავ ისევ გრძნობით მთვარეს,
ე — ს იმედი, თუ მაჩუქა, ღვთით სამებამ,
ბ — ინდს შუქს მივცემ... გავხდი მოელვარეს!
ი — სევ ფიქრის ოცნებებით დღეებს გავლევ...
ნ — ატვრა რაც მაქვს ჩემს მომავალს მივცემ,
ა — მ გაზაფხულს, თუ მერცხლები, ჩემთან მოვლენ...
ღ — ამე რწმენით გამოვათბობ სივრცეს.
მ — ივალ საფლავს, გადავპოტნი ნაყარ ლოდებს,
ე — კლის ტოტებს სულ კბილებით დავხრავ...
რ — ოგორც შევძლებ, ქვა და რიყეს ნაპირს მოვდებ...
თ — ვალზე ცრემლი, თუმცა მდგმურად მახლავს.
ი — მე ახლა, დარდიანი ვკაფავ ამ წლებს,
ც — ოცხალ-მკვდარი, მზის მკლავებზე ვშრები.
რ — ა ძალიან მენატრება, შვილს და ვეძებ...
ე — ზო-ეზო, სევდის ღვინით ვთრები.
მ — ამა ჩემს შვილს გვერდით უწევს მეპატრონედ,
ლ — ურჯ ცაშიც და დაბლა მიწის სახლშიც...

შ — ავი მმოსავს... ჯრელი კაბა მივატოვე,
ი — ქნებ დარდთან აღარ ვიყო ვალში.
ა — მ დიდ ტანჯვას შენივთია ჩემი წლები...
რ — იგ-რიგობით სხვებსაც კი ვამშვიდებ...
დ — ა პოეტის მთელი ტვირთით ლექსთან ვწვები,
ა — რ მინდა, რომ ნისლი კვლავ გახშირდეს.
მ — ოვატარებ ჩემს ფიქრს ზეცით, ხოხვა-ხოხვით...
ა — ვალ კიბით მიღმის კარიჰჯესთან,
ხ — ან თუ გულში კვლავ ამომხდა სევდა ოხვრით,
რ — ამდენჯერმე მზესთან ვისაუბრებ.
ჩ — ავჩურჩულებ „ბათუზე“ და „მერაბიზე“,
ო — რი ვაჟი ცის ქარავანს გაჰყვა,
შ — უადღისით შეეგებნონ ალიონზე...
ე — ხლა გელა მათ ეწვია მაყრად.
მ — ათ ორივეს ლექსის ძეგლი მე დაუდგი,
ა — მ ტკივილებს ვერსად გავექეცი...
ძ — მად ნაფიცებს დატრიალებთ იაგუნდი,
ლ — ურჯ ზეცაშიც ცხვება მჯადი კეცის.
ე — ხლა ალბათ ფიქრის ხილვა მომაცოცხლებს,
ბ — იჯებს ერთად გაუშლიათ სუფრა...
ი — ქ სულებმა ცათა ეზო გადაცოცხეს,
ნ — ინოს ხატს, რომ ეამბორონ სუფთად.
ე — ს ღვთის რწმენა, ბნელს სინათლით გააშუქებს,
რ — ირო-ჯრელას ტკივილები ცვივა...
ო — ხვრის დროსაც ღმერთი იმედს კვლავ მაჩუქებს,
მ — ეც ხომ აგერ ტირიფივით მცივა...
შ — ორს-შორს დგას და ალბათ გრძნობას ელოდება,
ე — რთხელ მაინც აუსრულდეს ნატვრა...
ვ — ის განიცდის, ვისი სახე ელანდება,
ქ — არიშხალი მის გულს რატომ ფატრავს.
მ — იკვირს, ძალზედ სხვის სადერდელს, რომ მივწვედი,
ნ — ატყვიარ გულს არა ევნოს რამე.
ა — სე კეთილს ბედო, ტანჯვას რად მიწერდი,
შ — ვილის დარდი არის ძალზე მწარე.
ვ — ახო, მამის ტკბილეულებს ელოდება,
ი — მიტომ, რომ მამა უყვარს ძალიან...
ლ — ოყით სურათს სალბუნივით მოედება,
ი — მის მამას მისთვის აღარ ცალია.
ს — იყვარულით სული ციდან ჩამოსცქერის,
უ — ყვარს შვილთან მოსვლა ღამის სიზმრად.
კ — ბილით დარდი ამ კადრების გამოვფცქვენი,
ვ — ახოს გაზრდა დავისახე მიზნად.
დ — ედის გული ტკბილიცა და ქვაც ყოფილა,
ა — მდენ ცრემლს, რომ ხარშავს თვალის ქვაბში,
ვ — ის შევჩივლო, დარდმა ჩემი მამყოფინა,
ე — ხ! მძიმეგნიან მოვხვდი მხეცთა ყბაში.
ბ — ილიკების ტკეპნის შემდეგ ამას ჩავწვდი,
ი — ქ ზეცაში მივალ შვილთან ჩქარე...
ს — ულგრძელობით ან ლექსებით თუ არ ავწვდი,
ლ — ოცვით საყდარს რწმენით შევაფარებ.
ე — ზოს გულს კი შვილთა-შვილი მომიკვანწავს,
ქ — ალვაჟები იფუსფუსებს ფუძეს...
ს — იყვარულით... ერთგულების ჯაჭვებს დავწნავ,
ი — მედებით დიდ ტკივილებს ვუძლებ...
ს — ამშობლოში სულ კეთილი ხალხი მინდა,
ძ — აძიანი, რომ კვლავ ვიყო მშვიდად...
ე — რისათვის ყველა იყოს სულიწმინდა,
გ — ული დარდით ისეც გამისივდა...
ლ — ოგინს აღარ გამოვალაობ მაშინ ცრემლით...
ი — მედების ფთილით ძაფებს ვართავ...
თუ ვიხილე იქ ზეცაში შვილი ჩემი...
მაშინ ბრძოლას ისევ შევძლებ ქართან.
ამ ფიქრებით გელა გულში ჩავიკარი,
წუთით მტკვარმაც სამძიმარი მითხრა...
გადაბრწყინდა ჩემს წინ ისევ დღის ცისკარი,
დედა-შვილის დაშორება ვინთქვა.
შვილს ვუთხარი: ცრემლმა, ხომ არ დაგასველა,
დღე და ღამე დედი ყველგან გძებნი...
დარდმა გული წერის დროსაც გადამსერა
და დაგიდგი შვილო, ლექსის ძეგლი!

ჩემს თავს „ზიზილას“ დავარქმევდი

რატომ მტკივა ასე ძალიან შინაურებისა თუ უცხოთა ტკივილი. მე ჩემს თავს „ზიზილას“ დავარქმევდი. ზიზილა ხომ თავმდაბლობისა და უბრალოების სიმბოლოა.

დიდებულ მზეს ისე არავინ და არაფერი უყვარს როგორც ყვავილები. ყვავილებმა ეს კარგად იციან და კეთილ მფარველს სხვადასხვა სურვილით მიმართავენ.

ერთადერთია ვისაც თავმდაბლობის გამო არასოდეს მიუმართავს მზისათვის, პატარა ზიზილა არის,

-ჩემო პატარავ, რატომ არაფერს არ მთხოვ: ნუთუ არაფერი არ გსურ-ს და არაფერი გენატრება? – ჰკითხა ერთხელ გაკვირვებულმა მზემ და მოეფერა ზიზილას.

-ზიზილამ ნაზად დახარა თავი დიდებული მზის წინაშე და მორიდებულად მოახსენა:

-თქვენო ბრწყინვალებავ, მე პატარა ვარ, უბრალო, ღარიბი, მაგრამ გულს შური არ მეკარება. ჩემი უბრალოება უყვარს ხალხს, ამიტომ ამით ვკმაყოფილდები.

ჰოდა აი ასე, მე ჩემს თავს ზიზილას დავარქმევდი, ჩემი უბრალოებით და სხვისი ტკივილების გაზიარებით.

საქართველოს ყველა კუთხე ლამაზია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით.

საჩხერის რაიონი – სოფელი ლიჩი მარადმწვანე ნაძვებში და წაბლის ხეებში ჩაფლული სოფელია. აქ გაიზარდა ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი, რომელმაც ჭალვანის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, შემდეგ უმაღლესი და ასე კაცური კაცობის სახელით ცხოვრობს დღეს თბილისში თუ იმერეთის მხარეში. მისი სახელი სიამაყეა მისი ახლობლებისა თუ მისი ნაცნობ-მეგობრებისათვის. ჯუმბერის შვილია „კოკა“ რომელსაც ახლა ცის ბინადარნი ეფერებიან. სულთან კავშირი მისი ენით საუბარი ეს ღვთის კარნახია, ვერ დავწერ და არც დავწერ მწუხარების ამსახველ ლექსს თუ მინი პოემას, თან აკროსტიქით და აი, ამიტომ:

მე ისევ უფლის რწმენამ მიშველა,
და ყველა დარდი სევდის ჩავრაზე...
და თუკი კოკა ღმერთმა იშვილა,
იქნებ მის ბედზე აღარც გავბრაზდე.

რადგან მე ჩემს თავს ზიზილა დავარქვი. ისევ ძველ თქმულებას მივუბრუნდები.

მზე ჩაეძია ზიზილას – მაინც რას ინატრებდი?

-ზიზილამ უპასუხა: ვინატრებდი ვიყო ისევ უბრალო, მაგრამ მქონდეს უნარი ვახარებდე ჩემებრ უბრალო ადამიანებს.

მე თუ კითხვას დამისვავთ მკითხველო, რას ინატრებდიო, გიპასუხებდით: ვინატრებდი რომ მშობლები შვილის სიმწარეს არ უნდა მოესწრონ, მე რაც გამოვცადე, სხვას აცილდეს და თუ ბედი ვინმეს აატირებს მიუხედავად ჩემი ტკივილისა, ისე მეტკინება, ისე დაისერება გული ამის ახსნა შეუძლებელია, მოურჩენელია ჩემთვის სხვისი ტკივილი. ამიტომ მიწევს ბუზღუნი ტკივილთან.

მოურჩენელი სენი გახდი, ჩემო ტკივილო
რას დაატარებ ამ ცოდვების მწარე აქციებს,
შენი ბრალია... ჩემი ბაგე რომ არ ღიმილობს,
მე იმედი ვარ... შენ კი სევდად გადამაქციე.

კოკა მღერის სიდან მაგნოლიას

კოკა ხარაიშვილმა, გვარის ულამაზესმა ვაჟკაცმა, ოქროს მედალოსანმა, სამართალმცოდნემ, ცათა სასუფეველში გააგრძელა სიცოცხლე.

კ — აკვასიის მთის ქედია,.. უთქვამთ...
ო — ქროს მედლით დავამთავრე სკოლა.
კ — ურცხალებით ცხარე ცრემლი თუთქავს,
ა — კვნესებულ დედის გულის თრთოლვას.
ხ — ხაფანგია თუ ტკივილის მოლი,
ა — ჭრილ რძეს გავს ბედისწერის წვიმა...
რ — ა ძნელია ითამაშო როლი,
ა — ტირებულ დედასთან ვინც მივა!..
ი — მ მძიმე ჟამს გაუქარვოს სევდა,
შ — ავოსან ქალს, ან რა უნდა უთხრან.
ვ — იცი დედა ტკბილ გულს სევდა გსერდა,
ი — ცი?.. შენთვის სულ ტყუილი უთქვამთ!
ლ — ურჯ ცაში ვარ, წლებით ნაკენკარი,
მ — ამაც მეძებს ვერსად ვერ მნახულობს.
ა — რ მომკვდარვარ, მე ვარ დღის ცისკარი,
გ — ულს ნუ იტკენ... ზეცით ვგაზავეხულობ.
ვ — ინ თქვა კოკა აღარ მოვა თქვენთან.
ა — მ წუთშიდაც თვალით ყველას გხედავთ...
რ — ატომ სტირით, გული ისევ ფეთქავს.
ი — ქნებ შავიც გაიხადო დედამ.
ს — აქართველოს ვლოცავ ტკბილ სიტყვებით,
უ — ფალთან ვარ... მამავ, დაიჯერე...
ლ — ოცვით ცის გზას, დინჯათ აქ მივყვები...
ა — მ მზის სახლში გუნდი ავამღერე.
მ — ოვალ თქვენთან ღამ–ღამობით ხშირად,
ა — რ იჯავრო დედავ, ჩემო ტკბილო,
ზ — ოგჯერ ფულსაც თუკი შემომწირავ
ე — რთხელ ბედზე წყრომით არ იჩივლოთ.
ს — ახლს როს, მეხი დაენარცხა რიდეს,
მ — ამავ, მაშინ გული გაგეფატრა.
ა — სს ჯობნიდი, ძალით ლომს გადრიდნენ,
ვ — იცი ახლა ღრუბლებს რწმენით ფანტავ.
ა — რ მინდოდა სულში, რომ ეთოვა,
ჟ — ოლოს ნაცვლად ძაღლ–ყურძენა შემხვდა...
კ — ოკაც გჯავრობთ... მძალავს სევდის ხროვა,
ა — მ საწუთროს გზად ეკლები დამხვდა.
ც — ის სოფელში მცნობენ მადლმოსურნეთ,
მ — ამა აქ მე მიყურებენ ხათრით...
ა — რ არიან ზეცას კაცთ–მოძულე.
ო, — ამ წუთშიც ძმაბიჭებთან დავთრი.
ქ — უჩა–ქუჩა დანავარდობს წლები,
რ — იდით ვდგავარ თავდახრილი ღმერთთან...
ო — აზისში... მთვარის სახლში ვწვები,
ს — აქართველოს გმირ ბიჭებთან ერთად.
მ — ამა შენი მოწყალების მჯერა,
ე — ს შეცდომა მაპატიო უნდა...
დ — ა თუ შვილმა შენ არ დაგიჯერა,
ა — ლბათ ჩემს ბედს მამა ასე სურდა.
ლ — ომის ძალით შევებრძოლე დემონს...
ო, — მაჯობა... ავყევ... ჩამიყოლა,

ს — აქართველოს ვაჟკაცებო ჩვენო...
ა — მ აყოლამ ცაში გამიყოლა.
ნ — იკა შვილო, დაგარიგებ ციდან,
მ — ინდა შენ გზა აირჩიო სწორი...
ა — რის მაშინ სულის უკვდავება,
ს — ამშობლოში, რომ მოიგო ომი.
ა — რ დაუთმო დიდ მტერს საქართველო,
მ — ინდა გქონდეს ქრისტეს რჯულის რწმენა,
ა — რასოდეს გული დაირთვილო
რ — ამდენჯერმე მოითმინე წყენაც.
თ — ავთავს მძიმეს, დაემგვანო იქნებ,
ა — რასოდეს არ იფიქრო ცუდზე,
ლ — ოცვას როცა ხატის გვერდზე იწყებ,
მ — ამა, დარდი რწმენით გამოგუდე.
ც — ხრათვალა მზის სხივი მინდა შენთვის,
ო — ლეანდრებს გავახარებ ზეცით...
დ — ა დაგნამამ ჩემი ცრემლის წვეთით,
ნ — იკა შვილო ჩემი ხმა ხომ გესმის.
ე — ხლა ისევ მოვიკრიფავ იმედს,
მ — ზის სხივები მიღმით აღარ ჩავა...
ც — ალ–უღელავ, გზის ბილიკებს მისდევ,
ა — რ მსურს აჰყვე ავანსა და ჩავანს.
თ — აიგული მიუტანე დედას,
ა — გრძნობინე სიყვარული დიდი.
ს — ასთულმათლან ვიცი სტუმრობს ელდა,
ა — ბა შვილო, დედას გაუფრთხილდი.
ს — აყვედური თუ წამოცდეს ჩემზე,
უ — არესის ღირსიც კი ვარ შვილო...
ფ — რინველი ვარ, ღამეს ვათევ სხვენზე,
ე — ს ბედი მაქვს, ვისთან დავიჩივლო.
ვ — ინ რა იცის რას განვიცდი ახლა...
ე — რთი ჩემს გულს ჩაგახედათ ყველას,
ლ — ოცვით ზეცას მოვიკრიფავ ძალას,
შ — ვილო, რადგან ერს სჯირდება შველა.
ი — რმის ჯოგი გაიფანტა მთებში,
გ — აზაფხული თბილისს არ ეწვია,
ა — რის თოვლი, ქარი, წვიმა თქეში...
ა, — რის ეს გზა... სევდის ნაძერწია.
გ — ამოფხიზლდით... მზე ღრუბლებში ცურავს,
რ — აც წაგვართვეს უნდა დავიბრუნოთ...
ძ — მადნაფიცნო, ხედავთ ომის სურათს,
ე — რის ხსნაზე უნდა ისაუბროთ.
ლ — ევან, ნიკა, ვახტანგი და შალვა,
ა — ხლა ციდან დაგპატრონობთ ძმებო.
ს — აქართველოს სიყვარული მძალავს,
ი — ქნებ ხნის გზა მტერშიც გამოძებნოთ.
ც — ოცხალი ვარ, ვცხოვრობ ცის სოფელში,
ო — თახი მაქვს, ძმაბიჭებით სავსე.
ც — ხელი პური ცხვება ცის ღუმელში,
ხ — ან პოეტი ლექსით სასმისს მასმევს.
ლ — ამაზია ცაც და ზღვის ხმელეთიც,
ე — ხლაც დედის ხმა ჩამესმის თითქოს,
ბოროტს ხვდება სახლი ცის ბნელეთში,
ჩემზე დარდებს გულში ნუ დაიტოვთ.
სიმღერები ალბათ გესმის ციდან,
თამთა შვილო, ჩემო გულის მძივო,
ვიცი ჩემზე დარდი გულმკერდს გცრიდა.
ღამის მთვარევ, დილის მზე და სხივო.
შენ კი ნიკა ვიცი მასახელებ,
ჩემი ფესვი მჯერა შენში არის,
ქარს აჯობე და ნუ გაახელებ!
იქონიე ყველაფერში ზღვარი...
თქვენ კი ძმებო, ჩემი წლები გქონდეთ
იშრიალეთ... მუდამ იზაფხულეთ...
არმინდა რომ თქვენს წინ ქარი ქროდეს,
აღდგომაზე ერთად მინახულეთ.
დამინახეთ... მე ვარ ცის მნათობი...
ვარსკვლავი ვარ... ვჩანვარ ერთი ციდა,
ხან მზეც ვიყავ... თქვენ გულს რომ ვათბობდი...
ხან კი ბედი ალბათ ძლიერს მცდიდა...
შეცდომები მანდ დავუშვი, აქ კი...
ჩემი ნიჭი ლამის ცის ტოლია,
ბოროტებას?.. არასოდეს არ ვმკი...
კოკა მღერის ციდან მაგნოლიას.

პროზა

რევაზ მიშველაძე

ძილში არ გაიპარო

ცხელოდა.

ქუთაისში აგვისტო აგვისტობდა.

ომით ელდადაცემულ ქალაქს დიდი მიზეზი ჰქონდა, შინ, ოთხკედელში ჩაკეტილიყო და შიშით ეცქირა ტელევიზორისათვის.

საზოგადოებრივი ტელევიზია, ვერ დავუკარგავ, ძალიან ცდილობდა, მაყურებლისათვის გუნება არ მოეშხამა, თუმცა შიგადაშიგ მართლაც გამოურევდა ხოლმე.

აკაკის ბაღი მიტოვებულს ჰგავდა.

ოდენ მტრედები ფრთხიალებდნენ გამორთული შადრევნის აუზის პირას. თავიანთ მტრედულ პრობლემებზე ღუღუნებდნენ და დროდადრო წყალში ამოავლებდნენ ხოლმე ლამაზ თავ-ფრთებს გასაგრილებლად.

თეატრის წინ ძვლთაძველმა „მოსკვიჩმა“ გადმოჭრა მოედანი, წითელი ხიდი გადაიარა და ყრმა გალაქტიონის ძეგლთან შეჩერდა.

- აქ შეუხვიე, მარჯვნივ, ეიხედე ზევით... ე... იქ ვართ ასასვლელი.

კაცმა მინა ჩამოსწია და კორკიმელის დასწვრივ ხელი გაიშვირა.

- აუ, სად ყოფილხართ?! ზეით თუ ქუჩა იყო, არც ქე ვიცოდი, შეიცხადა მძღოლმა.

- ხო გითხარი თავიდან. აგიდუღებს ვითომ?

- შენ არხეინათ იყავი. ამ დანჯღრეულ „მოსკვიჩს“ მასე ნუ უყურებ. გუშინწინ ორი რელსი მოვუტანე ვინცხას ჭომაზე.

თუხთუხ-სვენებით, ხლიწინ-ხველებით, როგორც იქნა ააღწიეს. რკინის ჭიშკარი და ნაგვერდულის ღობე ერთფერად – ბაციმწვანედ იყო შეღებილი.

- შევედით.

მასპინძელი გადავიდა, ჭიშკარი გააღო და შოფერს მიუბრუნდა.

- წინ წადი, მარცხნივ ეიღე და „ზადნით“ შემოდი.

შოფერმა ბარგი იქვე, ჭიშკართან, კოინდარზე დააწყობინა და „კრანს“ პეშვი შეუშვირა.

- ჭიქას მოგიტან.

- არ მინდა. ასე უფრო ვატან გემოს.

„მოსკვიჩი ჩარიხინდა და რეაქტიულივით სქელი ცისფერი კვამლი მიიხვია.

- გესმის?

კარებზე დააბრახუნა.

პარმაღზე თავწაკრული, გამხდარი ქალი გამოჩნდა. ქმრისთვის არც შეუხედავს და ჭიშკართან მილაგებულს დაადგა თვალი.

- ავანსი მომცეს და ცოტა რაცხა ვიყიდე: ერთი ტომარა ფქვილი, ერთი ტომარა კარტოფილი, ნახევარი ტომარა შაქარი და ხუთი ლიტრი ზეთი, სიმინდის ზეთიაო, პორტუგალიურიაო, რა ვიცი, პორტუგალიურია?

- რათ გინდოდა ამდენი რამე. კარტოფილში მაინც რავა გადაყარე ფული. ერთ კვირაში ამოვა და დეიფუშება.

ქალმა შაქრიანი ნახევარტომარა მოიგდო თეძოზე.

- მეიცა, მეიცა. ერთ მხარეს მე დევიკავებ... შიმშილობა იქნებაო.

- რო არ იქნეს?

- რო იქნეს? ამგენს ენდო ტიფა. ფქვილი და კარტოფილი თუ გაქვს სახლში, ცოტა გულმიცემული ხარ. ხომ ხედავ ომია.

- რა ომია, შალიკო, შენ ამას ომს ეძახი?

- ქალო, რო მიჩერებიხარ ჭინკასავით ტელევიზორს, აზრი ვერაფერი გამოგაქ? ხო ხედავ, ორ-ორად რო დაშლიგინობენ თვითმფრინავები და ყვავის კაკლებივით ყრიან ბომბებს.

- ყრიან მარა, ბევრი არ სკდებაო, ესო შესაშინებელი ბომბებიაო. ვალიკოს მარუხიე ამბობდა, ამ დილას რძის რიგში.

- კი, კი, გეთამაშება, გაშინებს რუსი-თქვა, შესაშინებელი კი არა, გორში სახლი არ დატოვა ცეცხლწოუკიდებელი.

დილით ჰაერზე ჩავიდა.

თაროზე სერი პური ელაგა, მაგრამ შილიფად ჩაცმული ქალები განზე იდგნენ და თავიანთ ნახევრადსერიოზული (ნახევრადჭკვიანური კინაღამ წამომცდა) მუსაიფითთავს იქცევდნენ.

შალიკოს არაფერი უკითხავს. მიხვდა, ახალი პური ჯერ არ მოეტანათ. ფანჯარასთან მიდგა.

- აჰა, ჩემი ქმარი, გენაცვალე... ჩემ ქმარს მაგი არ შეეშლებოდა... მაგ კი არა, აქით მეკითხება ხანდახან...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმოდა მაღალი, წაბლისფერთმება, პომადიანი ქალის ნათქვამი და შალიკოს ეგონა, რომ ქალი მის გასაგონადაც ლაპარაკობდა.

„ქალი რომ ქმრის ქებას სახალხოდ დეიწყებს, ორი რამ არის: ან ნაღალატევი აქვს მისთვის უკვე, ან აწი აპირებს უღალატოს“ - გაიფიქრა შალვამ.

მუშტუკი გააწყო და გარეთ გავიდა.

სინაურიძის ჭიშკართან ჩამომსხდარნი წუხანდელი ტელევიზორის ამბავს არჩევდნენ.

- არაფერი არ ვიცით, არა ჩვენ... ჩვენ არაფერს არ გვეუბნებიენ. სერიოზულად თუ ვომობთ, არც ეს მგონია, დეიქცა ცხინვალიო. ვინ ნახა... რომელმა ნახეთ ერთი მითხარით?!

- ასე რავა შეიძლება, შე კაცო, წეიღო რუსმა ნახევარი ქვეყანა და მაინდამაინც შენს ეზოში უნდა ჩამოვარდეს ბომბი, რომ დეიჯერო?

- რავა იყო წუხელი, დეინახე? რავა დაძვრებოდა ე ჩვენი პრეზიდენტი დაცვის ბიჭების ლაჯებში, დეინახე?

ჟღალწვერებიანი იობიძე სიცილით ჩაბჟირდა.

- ისე სხარტი ქე ყოფილა, მე ამდენიც თუ შეეძლო არ მეგონა, გაქცევით მარდათ გეიქცა.

- სული მწარეა, ბიძია.

- ისე... მე რომ მკითხოთ, დაცვის ბრალიცაა, - სიცილით სულს ძლივს ითქვამდა იობიძე – რა იყო, რა მოხდა ამნაირი, რომ მეიგდეს ამხელა კაცი და რო დააყარეს თუ რამე მოხვდათ ხელში: ტაშტი, კარდალა, ფანერკის ნაჭერი, ნახმარი ჯავშანჟილეტი, არყის ქვაბი, შეაწუხეს კაცი... კიდო კარქათ გამოხვანცალდა იქიდან.

- მე, მაგალითად, სხვანაირად ვუყურებ ამ ამბავს – დაიწყო პედინსტიტუტის კონკურსში ვერგამარჯვებულმა, ნაადრევმა პენსიონერ-ლექტორმა მაღლაკელიძემ. – რაკი გეიქცა, ეს იმა ნიშნავს, რომ მთალ სულელიც არ ყოფილა. შიშის გრძნობა სა აქვს სულელს. ჩვენი საქმე მთლად დაღუპული მაშინ იქნებოდა, პრეზიდენტი ჟირაფივით თავაწეული, ნელა რომ წასულიყო. იმ ჯგლეთა-ქაჩავში შენ არ გეიქცეოდი, მაგალითად? შეეშინდა კაცს; არ მდრუზოს რუსმა ბომბი ზურგშიო და მოუჩქარა ფეხს, რა იყო, რა მოხდა, ყოლიფერი საგლახაოდ და საღადაოდ უნდა აქციოთ?!

- სტუმარი რო ახლდა? ი სტუმარი რო ერთ ადგილას დეიკიდა და თვითონ რო უშველა თავს?

- რა ექნა, აპა... იფიქრა იმ კაცმა, მე თუ მოვკვდი აქანა, სტუმარიც უკან დამრჩება და მასპინძელიცო. სტუმრის მეტს რას ვიშოვი, მე თუ არ ვიქენი, მოსრია პატრონი, რაც სტუმარია ქვეყანაზეო.

- უწმინდე პირი ხო, შენი პატრონობა უნდა მაგას. მიტომა ვართ ამ დღეში.

- მე არავის არ ვპატრონობ. მე არ მიმიცია ხმა, შენ მიეცი და შენნაირებმა. ხვარ დაგავიწყდა ოც-ოცი ლარი რომ ჩამოგირიგათ ხახალეიშვილმა.

- ვაი... რავარც ის ოცი ლარი ჩემს ჯიბეში ჩევიდა, ისე მიცეს ხეირი გამჩენმა შენს დამაწყევარს. შენ არ დაგწყევლი, მეცოდები, ჩემი ბოვშვის ლექტორი იყავი. მაინც, რაც არ უნდა იყოს, - თავი იმართლა იობიძემ.

- კაი, კაი, კაი, კაი, ნუ გეიმამააბრამისბატკნებთ ახლა სუყველა თავს, - მეზობლებისათვის სრულიად მოულოდნელად ჩაერთო სანდუხაძის გერი გუჯია, - ძაან, მშვენივრად ეიღეთ, მეც ევიღე, არ ვმალავ, რავა თავის ჯიბიდან კი არ არიგებდა ხახალეიშვილი.

შალიკომ შეატყო ლაპარაკი ცოტა არ იყოს, უსიამოვნო ელფერს რომ იძენდა და ბირჟას გაერიდა.

მაღაზიაში შევიდა და შიდა კარის მინაში არეკლილ თავის თავს ჰკიდა თვალი. უსაშველოდ ხუჭუჭი, სავარცხელებმმტვრევი, მოურჯულებლად ურჩი, ჭაღარა თმა ქინჯილოგა ბალახივით ეხურა თავზე. „რა ჩქარა იზრდება ე დასაწვავიო“, ყოველ შეხედვაზე გაიფიქრებდა ხოლმე შალიკო და, რასაკვირველია, ახლაც ეს გაიფიქრა თავის მომაბეზრებელ თმაზე, მწვანე, ბუდიდან უჩვეულოდ ამოწეული თვალები ჰქონდა და გაბუშტულ ცხვირს ქვემოთ, ვიწრო საულვაშეზე ძლივსდატეული, ჭაღარა, მაგრამ არახუჭუჭა, ფუნჯგირესავით სწორი, მსხვილნემსა ულვაშები. სამოცის ჯერ არ იყო, მაგრამ ყურში ამოსულ მუქშავ თმებს ინდაურის ბიბილოსავით ლურჯ-წითელი. ლეღვის ფოთლებივით ფართო ყურები თითქმის ამოევსო. ზედ ყურთან იწყებოდა ორი ქალამნის ტყავივით სქელი ნაოჭი ქედ-კისერში რომ ჩახვეოდა და სადღაც ბერძნული კაკლისოდენა ადამის ვაშლის ქვემოთ იკარგებოდა. მარცხენა კეფასთან ძლივს მოუჩანდა ბადრიჯნისთავის ხელა ცხიმრქა, რომლსაც, კიდევ კარგი, ასი პროცენტით შენარჩუნებული ქოჩორი საიმედოდ უფარავდა, მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ არც დაბლად ჩათვლიდით. გამხდარ, რომ იტყვიან, ჩასხმულ ტანზე დაკვირვებული თვალი რასაც შეამჩნევდა, პირველ რიგში, გრძელი, ზურგთმიანი, დამჭკნარი უნაბისფერი ხელები იყო. ბრტყელტერფა გახლდათ და სიარულის დროს ფეხებს მრუდედ აწყობილი რობოტივით აჩაბაჩა დგამდა. სამუხლეზე დაკერებული ჯინსი ეცვა და ოდესღაც ლურჯი ხალათ-პერანგი.

ლავაშნახევარი (ნახევარი ლავაში გზაში შემოეჭამა) აივანზე ჩამიკიდებულ კალანჩხიაში ჩადო, ბებერი მსხლის ძირში სასკამედ გადაჭრილ მორზე ჩამოჯდა და ღობისძირას მოხტუნავე მამალს მიაჩერდა.

უდეზო მამალი ტრიფოლიატზე მიშვებულ შეთვალულ ადესას სათითაოდ კუმპლავდა. თითო ახტომაზე თითო მარცვალს მოიგდებდა ნისკარტში, მაგრამ ჩანდა, მისთვის ესეც ხეირი იყო, ყოველ შემთხვევაში ეს საქმე არც ბეზრდებოდა და, მაინც, არც დაღლა ეტყობოდა.

ჭიშკართან რომანია ხვადაგიანის უფროსი ბიჭის, კიჭოია ხვადაგიანის ძველთაძველი „ჟიგული“ გაჩერდა.

- შალიკო სტუმარს მიეგება.

- ფოთიდან თბილისში ალუმინის ბიდონები მაქ წასაღები, თუ არავის ხარ რამეზე შეპირებული, წამომყევი. კაი ტკიცინა ხუთთუმნიანს, ალალს და დოუმადლებელს, ქე მოგართმევ და ხვალ ამ დროს აქანა დაგსვამ, შენს ჭიშკართან.

- რა ვიცი, ეირია, ბიჭო, ქვეყანა და... როის მიდიხარ?

- ახლა ა ამ წუთში. რო ეირია, მეც მიტო გეუბნები. ქე მეშინია მარტო წასვლა. ჩვენ ვინ რას გვერჩის... მარა მაინც, წამოხვალ?

- წამოვალ, აპა – კეფა მოიფხანა – მარტოს ხვარ გაგიშობ.

კიბე აირბინა, ორიოდე წუთში გრძელკეპიანი ხაკის ქუდით და საწვიმარით დაბრუნდა. უკან ცოლი მოსდევდა.

- ჩაი მაინც დაგელიათ. რა დროს წასვლა იყო. როის მოხვალ, როის?

- ხვალ ამ დროს! – კიჭოიას გვერდით მიუჯდა, - წევედით.

ცოდვის გაკითხვა, რასაც ჰქვია, სწორედ ის ტრიალებდა სამტრედიას რომ გაცდებოდი, ფოთის და სენაკის გზებზე. სიცხით დაოსებული, ოფლში გახვითქული, დარდისაგან და შიშისაგან პირმოღრეცილი ადამიანები ვაი-ვიშით მოაგორებდნენ ყველაფერს, რასაც ბორბალი ჰქონდა.

ისმოდა ქალების მოთქმა-ტირილი, ზარი და გნიასი... ზაფრა-ელდა გაწოლილიყო გზაზე. ყველას წინ უნდოდა გასვლა. ყველას გადასწრება სურდა და ერთმანეთის ნათქვამს „მე ავადმყოფის პატრონი ვარ და მე ძუძუთა ბავშვი მიმყავსო“ უსმენდნენ, მაგრამ არად აგდებდნენ.

საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ სენაკის და ფოთის დაბომბვაზე, აეროპორტის და ნავსადგურის ბეტონის ტრაპები მკვდრებითაა მოფენილი, მაგრამ ახლოს არ გვაკარებდა.

„ბეტეერებთან“ რუსი სალდათები იდგნენ და ყველას წაღმა-უკუღმა საბუთს სთხოვდნენ. მოწმობას რომ დააძრობდა, შიგ არც იხედებოდნენ. ეტყობა კითხვა არ სიამოვნებდათ.

უკან მობრუნება გადაწყვიტეს, მაგრამ ისე იყვნენ ჩაჭედილები რიგში, რომ იქიდან გამოღწევა შეუძლებელი იყო.

ქუთაისიდან შუადღისას გამოსულები ღამის 1 საათზე ჩავიდნენ ფოთში.

მასპინძელმა მორგოშიამ იმ ღამეს, საშიშიაო და არ გამოუშვა. არც თვით ჰქონდათ წამოსვლის თავი. დილით დატვირთეს მანქანა და ფოთის გამოსასვლელიდან რომ გავიდნენ, ურჩიეს ახალქალაქზე წადით, შედარებით უსაფრთხოაო.

ასეც მოიქცნენ.

მტვრიან-ბუღიანი გზით გაწამებულ-გათეთრებულებმა, როგორც იქნა, ჩამოაღწიეს ბაკურიანამდე, მაგრამ წალკასთან გზა აღარ გააგრძელეს, ბორჯომის გზით გადმოვიდნენ ხაშურზე.

ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ გზაჯვარედინზე ცალფეხა, ყავარჯნიანი კაცი იდგა და ყველას ეუბნებოდა: გორზე წადით, ხიდი აღდგენილიაო.

როგორც მერე გაირკვა, ცალფეხა ცრუობდა, მაგრამ რატომ ავრცელებდა ასე ენერგიულად ტყუილს, ამ ნოველის ავტორისათვის დღესაც გაუგებარია.

ჯავახეთ-ახალქალაქის გზაზე ხუთი საათი ისე იარეს, ქართულის მცოდნე ერთი კაციც არ შეხვედრიათ. საქართველოს მოქალაქენი ნათლად და გასაგებად ვერც რუსულად ახერ-

ხებდნენ გზის სწავლებას. ერთი კი იყო, რძის ბიდონებს რომ თვალს შეავლებდნენ, სირბილ-ღრეჯით მოყვებოდნენ მანქანას. მე მგონი, მიყიდვაზე უფრო მეტად ჩუქებას ითხოვდნენ.

ქართლის მცირე უღელტეხილზე გორისკენ რომ დაეშვნენ, პირველივე „ბეტეერთან“ შეაჩერეს, ორი ავტომატიანი ცხვირპაჭუა პირდაპირ მანქანას ეცა, მანქანის პატრონებისათვის ზედაც არ შეუხედავთ. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და მწვანე ვილისში ბიდონების გადაცლა დაიწყეს.

შალვა და კიჭოია აყვირდნენ, რაც შეეძლოთ. მიყვებ-მოყვებოდნენ, ემუდარებოდნენ, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი.

- რაია, იცი? ჩემი არაა ეს უპატრონო, თვარა ჩემი რო იყოს,მოგცემდიყენ. სხვამ გამომატანა! თბილისში მიმაქვს. სად მაქ მე ამის გადასახდელი ფული. ნუ დამღუპავთ! ხალხი არა ხართ? – იმდუღრებოდა კიჭოია.

ჯარისკაცს მობეზრდა მებიდონის მანჭვა-გრეხა და კაპიტანს უხმო.

- შტო ონ ხოჩეტ? ჩტი ტი ხოჩეშ?! – მიუბრუნდა კიჭოიას უშლემო კაპიტანი, რომელსაც მზისაგან სახე ერთი უწყინარი, ადამიანისმსგავსი ცხოველის ტრაკისფრად გაწითლებოდა.

- რაია, იცი?! – ახლა კაპიტანს შეაცქერდა კიჭო, - ჩემი არაა, ეს უპატრონო, სხვამ გამომატანა ფოთიდან. სამი ცალი წეიღეთ, თუ ძაან გჭირდებათ, დანარჩენი დამიბრუნეთ!..

კაპიტანმა უსმინა, უსმინა და თითქოს ყველაფერს მიხვდაო, მოკლედ მოუჭრა:

- პაშოლ ნა ხუი!

სალდათებმა ცარიელ „ჟიგულს“ ფეხები დაუშინეს, წადით აქედან თორემ ამ თქვენს დამპალ „დრანდალეტს“ ხრამში გადაგიგდებთო.

ცრემლგამშრალი „გმირები“ იქაურობას გაეცალნენ.

- ესაა ღვთისმშობელს ვერგეთ წილადო? – ჩაიკვნესა კიჭომ.

- მაგი ქენი, მაგი... ვისი წილი და არჩივიც ვართ, მე კარგად ვხედავ.

აფეთქებულ ხიდამდე ვერ გააღწევდნენ. მანქანა გზიდან გადააყენეს და ფეხით გაუყვნენ.

გორთან ოტებული ნაბრძოლი ბიჭები მოღუშული, გაბრაზებული სახეებით ჯგუფ-ჯგუფად დააბიჯებდნენ. არავის უჩერდებოდნენ და არც შეკითვაზე („რა ხდება იქეთო“) პასუხობდნენ.

სტალინის სახლ-მუზეუმის უკან, მოედანზე ძლივს სულმოთქმული დევნილები სახელდახელო ფუთა-ჩანთებს მისხდომოდნენ და წამდაუწუმ ცას აჰყურებდნენ.

- ბატონო, - შალვას მიუბრუნდა, ხანშიშესული, სანდომიანი, შაოსანი ქალი, - დღეს საღამომდე დაგვაბრუნებენ ვითომ სახლებში?

- საიდან ხარ? – ისე ჰკითხა შალვამ, თითქოს დაბრუნების საკითხში ძალიან გარკვეული იყო.

- ტყვიავიდან, აგერ ვარ შვიდ კილომეტრში... ტყვიავი როგორ არ გეცოდინება.

შალიკომ თავი დაუქნია.

- რატომ გეკითხები, იცი? საქონელი არ ამიხსნია და ზოგის კარიც დაკეტილი დავტოვე. სისხამზე დაბომბვა რო დაიწყეს, არიქა, არიქაო, ვსტაცე ბავშვებს ხელი და გამოვიქეცი. დღეს თუ არ შევბრუბდი, დასკდება საქონელი წყურვილით. სამი ძროხა მყავს ერთმანეთზე უკეთესი. ღორს და ქათამს ვიღა ჩივის.

- დღეს რაღას დავბრუნდებით, გაგანია ომია იქ, ქალბატონო, მაინც საქონელი ბოგაში როგორ დატოვე? ეგ როგორ დაგემართა? – ჩაერია საუბარში მაღალი, ზურგჩანთიანი სამხედრო.

- ვაი, ჩემ დღეს უბედურს... ვაი, ჩემ დღეს უბედურს, - მოთქვამდა ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ გვიან საღამოთი თუ არა, ხვალ მაინც დააბრუნებდნენ თავიანთ სახლებში.

გორში კარგა ხანს იხეტიალეს. ზოგს ბარგის გადატანაში უშველეს, ერთხანს ცისტერნიდან წყლით სავსე ვედროებს მიარბენინებდნენ ცეცხლმოკიდებული სახლებისაკენ, კიჭოიას თბილისში ჩასვლა უნდოდა, თუმცა გზის აღდგენის იმედი მაშინ გადაეწურათ, როცა კომენდატის მანქანამ ჩამოიარა და ლტოლვილებს აუწყა: ვისაც როგორ შეგიძლიათ, მოთავსდით, დახმარებას საკრებულოში მიიღებთ, თბილისისკენ გზის გახსნას ორი დღე მაინც დასჭირდებაო.

უკან, მანქანისკენ რომ ბრუნდებოდნენ, შალიკო შემოტრიალდა დევნილებისკენ გაიქცა. ძლივს მოძებნა ბავშვებზე გადაფოფრილი შაოსანი ქალი.

- ქალბატონო. თქვენ ამბობდით რომ ბოგაში საქონელი დამრჩაო?

- მე, ბატონო, მე... ვაი, ჩემ დღეს უბედურს...

- ტყვიავში რა ადგილას ცხოვრობდით?

- იქვე, შესასვლელთან, მეოთხეც მოსახლე ვარ. აქედან მარჯვენა მხარეს „პავლიაშვილი“ აწერია ჭიშკარზე, თუ არსებობს ჭიშკარი საერთოდ. აგერ ვიღაცა ამბობდა, გადაწვეს ნახევარი სოფელიო.

არაფერი უთქვამს. კიჭოიასთან მიბრუნდა.

- ვის ელაპარაკებოდი? – ჰკითხა კიჭოიამ.

- არავის, ვის დაველაპარაკებოდი, ყველა ერთ დღეშია...

- რა ვქნათ?

- რას ვიზამთ, გავბრუნდეთ, უკან, ქუთაისში, თუ მოვახერხეთ.

- რა პასუხი მივცე იმ ხალხს, - კვნესა გაერია ხმაში კიჭოს.

- რა პასუხი უნდა მისცე, ჯერ ერთი თბილისისაკენ გზა რომ არ არი, ქე ეცოდინება იმასაც და მეორეც, ომია ბიძია, ეტყვი, ასე შემემთხვა-თქვა, გაგიგებს ქართველი კაცი, აპა რას იზამს.

ერთხანს უხმოდ მიიკვლევდნენ გზას.

- კიჭო, - შალიკო შეჩერდა – შენ მანქანაში დამიცადე. მე ასე საათნახევარში, ორ საათში მოვალ.

- სად მიხვალ ამ ღამეში, შენ ხვარ გადეირიე.

- რაია, იცი. ეგერ ტყვიავში ერთი ძველი ძმაკაცი მყავს. ბარედამ აქვე ვარ, შოუვლი. ეგება უჭირს კაცს.

- რა დროს შევლა –შემოვლაა, შალიკო, ვერ ხედავ, რა ხდება?!

- არა, არა... უნდა მივიდე, დიდი ნაპატივცემარი ვარ მაგისგან.

- სა გაგიშვა ამ რიარიაში... რა ეიტეხე ახლა, გლახა ფეხზე ხარ ამ დილას ამდგარი... წამოვალ, აბა, მეც...

- არა, არა... შენ მანქანაში დამიცადე. მანქანას გაძარცვავს ვინცხა ამადამ.

- რაია გასაძარცვავი... რაც წასაღები იყო, ქე წეიღეს.

- კარგად იყავი აპა, დაჯექი მანქანაში, წევედი!

შალიკომ მარჯვნივ ბილიკზე გადაუხვია და სიბნელეს შეერია.

ცხელი აგვისტოს ღამე დასავლეთიდან დაძრულმა ნიავმა ცოტათი მაინც შეაგრილა.

მანქანები მილაგდ-მოლაგდნენ. ზოგი უკან დაბრუნდა. ზოგმა ახლომახლო სოფლებში გადაუხვია.

ჰორიზონტზე შავად შესუდრულ ხეებს შორის ჭურვების ელვა კანტი-კუნტად კრთოდა, ელვას მეყვსეულად ქუხილი მოსდევდა.

ზოგჯერ ავიაგამანადგურებელი გახაზავდა ცას.

კიჭომ სავარძელი გადასწია და დაძინება სცადა, მაგრამ რული არ მიეკარა.

მამალმა კარგა ხანია იყივლა.

შალიკო არ ჩანდა.

ოთხ საათს გადაშორებული იყო, ორმა ბიჭმა სახელდახელო საკაცით რომ მოიყვანა შალიკო.

„ფეხშია დაჭრილი, ჩვენ სანიტარული ნაწილიდან ვართო, შეუხვიეთ, როგორც შევძელით ტყვია არ უნდა იყოს შიგ. მუხლს ქვევით რბილ ხორცზეა მოხვედრილი და გასულია, საშიში არ უნდა იყოსო, მაგრამ ქირურგია ხელი სასწრაფოდ სჭირდებაო. გორში ჰოსპიტალში მიყვანაზე თავი მოიკლაო, - ერთმანეთს არ აცლიდნენ ბიჭები.

როგორც იქნა გადმოსვეს მანქანაში.

შალიკო არ კვნესოდა.

„თქვენ აგაშენათ ღმერთმა, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, დაცლილი ვიქნებოდი ახლა სისხლისაგანო“... – პაუზებით, მძიმედ.. ლაპარაკობდა შალიკო - „მისამართი და სახელი მაინც მითხარითო“, ეხვეწებოდა.

შევხვდებით, შევხვდებით თუ გადავრჩითო, ბიჭებმა, საკაცე ხრამში მოისროლეს და ასფალტზე გატყაპუნდნენ.

კიჭოიამ მანქანა სურამისაკენ მოაბრუნა.

- გტკივა?

- ვუძლებ.

- სად იყავი მაინც... რაფერ დაგჭრეს?

- ტყვიავში ჩევედი, ქალი რომ ამბობდა, საქონელი დამრჩა დაბმული ბაგაზეო.

- მივხვდი მაშინვე, მაგ საქმეზე რომ მიდიოდი, შენ სრულ ჭკუაზე ხარ?

- ვერ მოვისვენებდი. გადავირეოდი ამედამ, მე ვთქვი, გინდა ასე გამხეთქია გული და გინდა ისე-თქვა. რავარი საქმეა დაბმული საქონელი, კიჭოია.

- მერე?

- მოვძებნე რავარც იქნა, პავლიაშვილების სახლი... შევიპარე ეზოში. ახლოს კაციშვილი არ იყო... საქონელი ბღაოდა... აქა-იქ სახლები იწვოდა, მარა მაგ ქალის სახლი გადარჩენილი იყო. ოვუშვი ძროხები, ქათმები, ღორები, რაც ყავდა ერთი სიტყვით. ძაღლი იქვე იყო, მარა არ დამიყეფა, მიხვდა, რო არ ვიყავი გლახა საქმეზე მისული, მოკლეთ გადავრეკე უკან, ბაღში ეს საყოლი ყველაფერი, შენ ხარ ჩემი ბატონი და უკანგამობრუნებულზე შემამჩნია ვინცხამ, მე მგონია, სნაიპერმა მესროლა...

- რა ხდება მაინც... რავა შეატყვე...

- მტრისას, რაც იქ ხდება კიჭოია. მეორეთ მოსვლაა ნამდვილი. ძარცვავენ სახლებს და ცეცხლს უკიდებენ. მიტოვებულ სახლებთან დგანან ოსების ბარტავოი მაშინები და ეზიდებიან ყველაფერს, რაც უშოვია საწყალ კაცს.

- რუსები?

- არც რუსები აკლებენ ხელს.

- კაი ახლა.. მერე ვილაპარაკოთ... სისხლდენა ხვარ გაქ, ზესტაფონში რო შევიაროთ?

- არ მინდა, არა. ქუთაისში ჩამიყვანე და სამხედრო ჰოსპიტალში მიმიყვანე პირდაპირ. იქ მორიგე ქირურგები იქნებიან, მერე ჩემთან შეიარე, უთხარი ჩემ ცოლს, გულნაზის არ გააგებიოს, იმას თავისი ყოფნის..

- რავა?

- ჩემი სიძე გამეიძახეს რვაში და ვინ იცის რავაა.

- ჰო... კაი ახლა... დაწყნარდი... ყველაფერი კარგად იქნება. კიდო კაი ასე რომ გადარჩი.

- რათ მინდა, კიჭოია, ამნაირი გადარჩენა თუ დეიქცა ქვეყანა, რა ვნახე მაინც დღეს... არ ვიყავი იმ გზაზე ნამყოფი... გათავებულა ე საქართველო და რაის პრეზიდენტია ეს ოჯახაშენებული.

- მაგი მართლაც ოჯახაშენებულია... შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. არ უნდა შენი ლოცვა... თვითონ რა უჭირს, ჩვენ დაგვაქცია და დაგვანელა თვარა...

კუნაპეტი ღამე დასწოლოდა უღელტეხილს.

ათასში ერთხელ შემხვედრი მანქანა თუ ამოანათებდა ხეთა კენწეროებს.

როცა შემხვედრი ამოივაკებდა, შუქს ჩააქრობდა და წინა მანქანის შუქზე მოდიოდა, მერე აქედან მომავალი ჩაიქრობდა და ახლა თვითონ კეცავდა გზას შემხვედრის სინათლეზე.

ჟიგულში ორნი ისხდნენ.

კიჭოია დროდადრო გადახედავდა სავარძელზე გადაწოლილ დაჭრილს.

- შალიკო.

- ჰო.

- გტკივა?

- კი

- გული ხვარ გერევა?

- არა, ნუ გეშინია, ისე ხმა გემეცი ხანდახან, არ გევიპარო ძილში.

- ნუ გეშინია, არ გეიპარები, შორაპანი გევიარეთ. მალე ჩავალთ.

მანქანის „ტორპედოში“ ჩაჭედილი საათი გაჩერებით არ ჩერდებოდა, მაგრამ დროს მაინც ვერ ეწეოდა, დღე-ღამეში საათნახევრით უკან რჩებოდა და საათზე სამუდამოდ ხელჩაქნეული პატრონი მას უკვე აღარც ასწორებდა.

ამ უბრალო მიზეზის გამო კიჭოია ხვადაგიანმა აღარ იცოდა, მისი საათი, რომელი წლის რა დროს უჩვენებდა.

7 თებერვალი, 2009, თბილისი

სერობა

ყურმილი დამსახურებულმა მეთალგამემ, მსოფლიო მნიშნველობის პერსონალურმა პენსიონერმა მევლუდ თავთავაძემ აიღო.

– ბატონი მევლუდი ბრძანდებით? – ქალის სასიამოვნო სატელეფონო ხმა იყო.

– დიახ, ბატონო.

– ხომ მობრანდებით ჭიმჭიმისში?

– სად, ბატონო?

– ჭიმჭიმისიდან გაწუხებთ მე, ქალაქის თავის დავალებით.

– გისმენთ ყურადღებით.

– მოწვეული ბრძანდებით ცხრადღიან ზეიმზე. უთქვენობა არაფრით არ შეიძლება. მე მგონი პატივს დაგვდებთ. სხვა არა იყოს რა, თქვენი მშობლიური ქალაქია. მოსაწვევი ხომ მიიღეთ?

– არა, ბატონო.

– გამოგიგზავნეთ აკადემიაში. თექვსმეტ მაისსა ამოსვლა თავისუფლების მოედნიდან, ავტობუსით, შვიდ საათზე, ალო! ალო! ალო!

– გაითიშა, – მეთალგამემ ყურმილი დადო და ისევ აიღო. ტელეფონი სავსებით და უშეღავათოდ, საიმედოდ იყო გათიშული.

წამოჯდა. ლეიბსა და კედელს შორის ჩაკუჭული ბალიში გაისწორა და ზურგით მიეყრდნო.

– რას უნდა ნიშნავდეს ეს?

– რა მოხდა? – ჰკითხა მეუღლემ, რომელიც აქამდე დაახლოებით მაინც ხვდებოდა, ვინ ურეკავდა მევლუდს და რა საქმეზე.

– ჭიმჭიმისში მპატიჟობენ ცხრადღიან ზეიმ-სეირნობაზე.

– რა სეირნობა აუტყდათ? – იმგვარი ინტონაციით იკითხა ცოლმა, პასუხს რომ არ მოითხოვს.

– როდის იყო, ზეიმზე მეძახდნენ. რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი?

მევლუდ თავთავაძე საგონებელში ჩავარდა.

მეორე დღეს აკადემიის პრეზიდენტის მდივანს მიაკითხა, ჩემს სახელზე მოსაწვევი უნდა იყოს ჭიმჭიმისიდანო. მე აქ მოსაწვევებს არ ვიჩერებ, თანაშემწეს ვაბარებ ხოლმე, საერთოდ არ მახსოვს, მაგრამ თუ რამე იყო, თანაშემწეს შევუტანდიო.

მსოფლიო სახელის მქონე მეთალგამე თანაშემწის კაბინეტს მიადგა. გაირკვა, რომ თანაშემწეს შემოქმედებითი დღე ჰქონდა. იგი სამსახურში მხოლოდ ორშაბათს და პარასკევს დადიოდა, თვით პრეზიდენტი სამშაბათს და ხუთშაბათს, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი მხოლოდ ოთხშაბათობით.

პარასკევს თანაშემწე სამსახურში ადრე მოვიდა და, ბუნებრივია, გაუკვირდა. მასზე ადრე მისული თავთავაძის დანახვა. რამ შეგაწუხაო, ბატონო ამ დილაადრიან, უთხრა თანაშემწემ. მოსაწვევი უნდა იყოსო, თქვენთან ჩემი. ვის სახელზეო, მაგიდას დახედა თანაშემწემ. ჩემს სახელზე ჭიმჭიმისიდანო, უთხრა მეთალგამემ. ბოდიში, თქვენი გვარი გადამავიწყდა. თავთავაძე ვარ მეო, უთხრა თავთავაძემ. მაგიდაზე უამრავი ქაღალდ-კონვერტი იდო და, ვინ იცის, იქნებ მათ შორის ბატონი მევლუდის მოსაწვევიც ყოფილიყოს, მაგრამ თანაშემწემ ყოველგვარი პანიკა-ფუსფუსის გარეშე აუწყა მეთალგამეს: მოსაწვევებს, პატივცემულო, მე არ ვიტოვებო, საერთოდ. მე რომ მოსაწვევების დარიგება დავიწყო, ჩემი საქმე გვერდზე დამრჩებაო. დარგობრივ ინსტიტუტში გადააგზავნიდნენ, ალბათ, კანცელარიიდან, ისიც იმ შემთხვევაში, ხელით თუ მოიტანეს, თუ ფოსტით გადმოგზავნეს, მოგჭამა ჭირი თქვენმა მოსაწვევმაო.

ჯიუტი მეთალგამე მებოსტნეობის განყოფილების აკადემიკოს-მდივანთან მივიდა. აკადემიკოს–მდივანმა მოახსენა, მეც დამირეკეს, მაგრამ ვერ მივდივარ, სახსრები მაწუხებსო. იკარუსს მაღალი საფეხური აქვს, ასვლა კიდეც რომ მოვახერხო, ჩამოსვლა გამიჭირდება, გადმოხტომა კი დამღუპველია ჩემთვისო. რაც შეეხება მოსაწვევს, შიკრიკი არიგებს ხოლმე. დღეს პარასკევია, ალბათ, შინ წაიღო და სამშაბათს მოიტანს. თუ სადმე წააწყდე ჩემი მოსაწვევიც გამოართვი, მე, საერთოდ ჩემს სახელზე გამოგზვნილ მოსაწვევებს ჩემს არქივში ვინახავო.

– რა თქვი, როდის მოიტანსო? – მევლუდს სასოწარკვეთილი კაცის ხმა ჰქონდა.

– სამშაბათს, შიკრიკი ჩვენთან სამშაბათობით მუშაობს. დანარჩენი შემოქმედებითი დღეები აქვს. რა ვქნათ, გვიჭირს, ფინანსურ ეკონომიას ვაკეთებთ.

– კეთილი და პატიოსანი, მაგრამ წასვლა რომ კვირასაა?

– რომელ საათზე?

– შვიდზე თავისუფლების მოედნიდან.

– ყველაფერი გცოდნია და მოსაწვევი რადად გინდა, შე კაი კაცო. მაგდენიც არ ეწერება მოსაწვევში – მშვიდად, აკადემიურად მიუგო აკადემიკოს-მდივანმა.

მთელი ღამე ფხიზლობდნენ ცოლ-ქმარნი. წამდაუწუმ საათს დასცქეროდნენ და, როგორც ასეთ დროს ხანშიშესულ ადამიანებს ემართებათ ხოლმე, სწორედ მაშინ ჩაეძინათ, როცა მსოფლიო მეთალგამე უნდა ამდგარიყო და გამგზავრების თადარიგს შესდგომოდა.

შვიდს თხუთმეტი აკლდა წყალგადასხმულივით რომ გაეღვიძა. არც თუ მთლად ჯენტლმენური მეთოდით გამოიყვანა თანამეცხედრე ძილბურანიდან.

შვიდზე უკვე ლიფტს ელოდებოდნენ.

– გესმის, რას გეუბნები?! – ჩასძახოდა მეუღლე – თუ სიცხე იქნეს, ეს ნაცრისფერი ქუდი დაიხურე, თუ ქარიც იქნეს, შეიკარი თასმებით ნიკაპთან. მიგიკერე თასმები. სტუმრის მოკრძალებულ ამოცანას შეადგენდა – მისულიყო აღნიშნულ მისამართზე. მასპინძლისათვის თავისი სტატუსი გაეცნო და თავშესაფარი ეთხოვა.

ლოდინით გაწამებული მგზავრები გადამრჩენი მისამართებით ხელში, დაბნეული, მაგრამ იმედიანი სახეებით გამოდიოდნენ შტაბის ოთახიდან.

– მთელი სიცოცხლე შაუმიანზე გავატარე, მე ვთქვი; მეზობლებს ვნახავ-მეთქი, ისე იცოცხლე. ნინოშვილის ქუჩაზე წადიო. ნინოშვილის ქუჩა მინდა მეე?! წუხდა ისრაელიდან ჩამოსული, მოელვარეკოსტუმიანი ებრაელი, რომელსაც თეთრი აბრეშუმის პაწაწინა ქუდი მხოლოდ ჭკვიან კეფას უფარავდა და სასწაულებრივად ჰქონდა ჭაღარა თმებში ჩამაგრებული.

მისამართები ხელში ეჭირათ, მაგრამ სტუმრები ადგილიდან არ იძვროდნენ. აშკარად ჩანდა, კიდევ სურდათ რაღაცა გაეგოთ და იმ „რაღაცის“ დადგენა, როგორც ყოფილ ჭიმჭიმისელს, ბატონ მევლუდს სთხოვეს.

– ახლა ხომ მოვთავსდებით, მერე როგორ იქნება ჩვენი საქმე, რომელ საათზე და სად უნდა შევიკრიბოთ? – გაუბედავად ჰკითხა მევლუდმა შავულვაშა ყმაწვილს, რომელსაც მკლავზე ლამაზი, ეროვნული ასოებით „მორიგე“ ეწერა.

– არსად, ბატონო. პროგრამა ხომ გაქვთ. ჩახედეთ, ღონისძიებებია ჩამოთვლილი და რომელ ღონისძიებაზეც გაგეხარდებათ, მიბრძანდით, რომელიც უფრო ახლოსაა თქვენს საქმესთან. ასე მესმის მე.

– მაგაზე ბოდიში უნდა მოგიხადოთ – ხმას აუწია, არ გამამეორებინონო, მორიგემ, –გუშინ ტელევიზიით გამოვიდა ქალაქის თავი და ბრძანა: სტუმრებზე თან გადაყოლა რომ იცით ჭიმჭიმისელებმა, არ დავინახო მაგის მსგავსი არაფერიო. რესტორნები და კაფეები ღიაა და სტუმრებმა თავისი ხარჯით მიირთვან, რაც გაეხარდებათო.

მევლუდმა სტუმარ-კოლეგებს გადახედა. ამ საბედისწერო სიტყვების ახსნა-განმარტება არ დასჭირვებია. ყველას ყველაფერი ესმოდა, ყველაფერი ნათელი იყო.

– რა ქნას მაგანაც, თვითონ ეგება არ უნდოდა ამის თქმა, მარა შეჭამეს კაცი. ხომ ხედავ, როგორ ღადაობენ პარლამენტზე. შენგელაიას საგლახაო ვართ ჩვენ? მაგენმა იციან ქვეყანას საზეიმოდ რომ არა აქვს საქმე და ჩვენმა ქალაქის თავმა არ იცის ვითომ? იცის, მარა მტრების გულზე გასახეთქად აკეთებს ყველაფერს – თავად ნება მისცა მორიგემ ქალაქის პირველი კაცის გუშინდელი სატელევიზიო გამოსვლისთვის ასეთი განმარტება მიეცა.

ნირწამხდარი სტუმრები დაბნეულობამ შეიპყრო. ზოგმა უბის წიგნაკში ნათესავების მისამართებს დაუწყო ძებნა, ზოგმა თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა. შტაბის წევრები დაუზარებლად უხსნიდნენ სტუმრებს, რომ ავტობუსების სადგური ქარხანა „მაღაროელის“ მხარეს სამტრედიის გადასახვევთან იყო და ბილეთის შოვნა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგანაც თბილისისკენ ორი სახელმწიფო და შვიდი კომერციული რეისი გადიოდა დაახლოებით ყოველ ორ საათში ერთხელ.

მევლუდ თავთავაძემ დარჩენა გადაწყვიტა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მწარედაც ინანებს.

განაწილებით შეხვედრილი მასპინძლის – მამაგეიშვილის სახლს კითხვა-კითხვით ძლივს მიაგნო ეროვნული არტილერიის ქუჩაზე. საწოლი სამზარეულოს გვერდით მიუჩინეს. დაღლილობისაგან მუხლები უცახცახებდა. ერთი სული ჰქონდა წამოწოლილიყო და ფეხები გაემართა, მაგრამ თავს ძალას ატანდა – ქალაქს შენი იმედი აქვს, წამოსაწოლად წამოგიყვანეს აქაო?

რა სჯობია თქვენთან ჭუკჭუკს, მაგრამ რა ვქნა, ჩემს თავს არ ვეკუთვნიო, დაუგდო სიტყვა კარებში ჩამდგარ, მსოფლიო პოლიტიკით დაინტერესებულ მასპინძლებს და ქუჩაში გამოვიდა.

ბაზართან სასწაულებრივად შემორჩენილ ჯიხურში ბულკი იყიდა და გზაში წაიჭამა.

საათზე დაიხედა. ოთხ საათზე სინაგოგაში ქართველთა და ებრაელთა ლოცვა-შეხვედრა იყო და რადაც უნდა დაჯდომოდა, უნდა მოესწრო.

ალბათ, სიტყვას მათქმევინებენო, ფიქრობდა და გონებაში ალაგებდა კიდეც ორი უძელესი ერის ძმობის ფაქტებს. უკვე ისიც იცოდა, როგორ დაეწყო სიტყვა, რათა სხვების ნათქვამს არ დამსგავსებოდა.

სინაგოგას რომ მიაღწია ექვსის ხუთი წუთი იყო. კარებში შეყო თავი და ფეხისწვერებზე აიწია თუ არა, ხალხის ტალღამ უკან მიაგდო. ელვის სისწრაფით გამოცვივდნენ ჩინოსანი სტუმარ-მასპინძლები და ჩახმახშემართული დაცვის ბიჭების თანხლებით თავიანთი მანქანებისკენ გაიქცნენ. კარების ტკცატკუცი, გაფაციცებული უკან ხედვა, ასფალტის ღრიჭიალი, მტვრის ბუღი და სინაგოგას ეზოში წამის შემდეგ ბიბლიურმა სიჩუმემ დაისადგურა.

მევლუდმა პროგრამას ჩახედა. შვიდ საათზე მინის ტარის ქარხანაში უკანასკნელი ნახევარლიტრიანი ქილის გამოშვების ზეიმი იყო დანიშნული. ქარხანა აწ და მარადის, მხოლოდ ორლიტრიანი ქილებს გამოუშვებდა.

დავით აღმაშენებლის მოედანზე პირველივე შემხვდრმა დაუზარებლად მიასწავლა; წულუკიძის ყოფილ ქუჩას ბოლომდე ჩაჰყევით და გეგუთის გზის დასაწყისში მიადგები, ბიძია, მინისტარის ქარხანასო.

მევლუდი თვალს აყოლებდა, არც თუ საზეიმო გამომეტყველების მქონე ჭიმჭიმელებს და ფიქრობდა: ზეიმი ახალი დაწყებულია და, ალბათ, ჯერ არ იციან, რა ბედნიერები არიან, ნელ-ნელა, სეირნობის ეშხში რომ შევლენ, გაეხსნებათ სახეო.

„თქმა არ უნდა, დამინახავს თუ არა ქალაქის თავი, მისალმებისთვის სიტყვას მომცემს, რაც შეიძლება ლაზათიანად უნდა დავასაბუთო ორლიტრიანი ქილის უპირატესობა ერთლიტრიანთან შედარებით“.

ის იყო შევიდა მინის ტარის ეზოში, რომ კიბეზე სირბილით დაშვებულ რამდენიმე პოპულარულ, საყვარელ სახეს ჰკიდა თვალი. ვიღაცამ უბოდიშოდ გასწია განზე, სათვალე გაუვარდა და, რაკი აღებას ვერ ასწრებდა, ფეხებშუა მოიქცია; ვინმემ არ გამიტეხოსო. ტაშის გრიალში სტუმრები მანქანებისკენ გარბოდნენ, ინსტიქტურად მევლუდმაც დაუკრა ტაში. ჰაეროვანი კოცნებით შავი ლიმუზინ-მერსედესები ღრჭიალით მოსწყდნენ ადგილიდან.

მევლუდმა სათვალე გაიკეთა და გვერდით ჩავლილ მარაოიან მანდილოსანს ჰკითხა:

– მითხარით ერთი, ქალბატონო, კარგად ჩატარდა?

– კარგად, კარგად, ბიძია, ნუ ნერვიულობ.

– კი მაგრამ, რატომ გაიქცნენ, რაშია საქმე?

– ყველაფერი რიგზეა. ასეა დაგეგმილი, რვაზე თეატრში გალა-კონცერტია.

– რა კონცერტია?

– გალა!

მევლუდ თავთავაძე სვენებ-სვენებით გაეშურა თეატრისკენ. გზაში მეორე ბულკი იყიდა, ბულკი ძველი აღმოჩნდა. მოხუც მეთალგამეს გადაყლაპვა გაუჭირდა, ამიტომაც ჩინურ ვაზასთან დადგა და თითო ლუკმას თითო ყლუპ წყალს აყოლებდა. ასე რომ, გამოუვალი მდგომარეობა ჩვენ რომ ვიცით, იმ სამი მდგომარეობის გარდა არ არსებობს, ძვირფასო მკითხველო.

ახალი შებინდული იყო, თეატრის კიბეები რომ აათავა.

– მოწვეული ვარო, – კარის ქალს პროგრამა უჩვენა.

– ეჭვი არ მეპარება, რომ მოწვეული იქნებით, მაგრამ რადა დროს მოსვლაა, მთავრდება უკვეო.

ამის თქმა და ტაშის გრიალში ყველა ლოჟის კარი ერთბაშად გაიღო. ჩქარი ნაბიჯები დაღლილი, შემკრთალი და მაინც ბედნიერი სახეები... ნაბიჯები... ნაბიჯები... ტკაპა-ტკუპი, ტკაპა-ტკუპი, ტკაპა-ტკუპი... მევლუდმა განზე გახტომა მოასწრო. ქალაქის თავმა ვიღაცას ხელი ჩამოართვა და იმწამსვე ორი გიგანტური ნახტომით კიბე ჩაათავა! საოცარი ის იყო, რომ სამდვდელოების დინჯი და დარბაისელი წარმომადგენლებიც კი შავი მანქანებისკენ საოცარი სისწრაფით გარბოდნენ.

შუადამისას დარბოდა ეროვნული არტილერიის ქუჩაზე თავის ძალადმასპინძლებთან მევლუდი. სუფრიდან მოვდივარო... მასპინძელსაც არ დაუძალებია, იცოდა დამსახურებულ მეთალგამეს უვახშმოდ არ დატოვებდნენ ჭიმჭიმისელები.

ცუდად ეძინა. ხუთჯერ დაესიზმრა ერთი და იგივე. ვითომ პატარა იყო, თეთრი ხიდიდან ფეხით ხტებოდა და ჰაერში აღმოაჩნდა, რომ დამშრალ რიონში გიგანტური თეთრი ქვებიდა გაწოლილიყვნენ დინოზავრების ზურგებივით.

მეორე დღეს, დილის ათ საათზე, ვაკის უბანში მეთალგამეთა სახლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალი იყო, ზეიმსეირნობის ყოვლისმომცველი გეგმით გათვალისწინებული.

„ეს მაინცაა ჩემი პირდაპირი საქმე. ეჭვი არაა, რომ ამ სახლს ჩემი – ქალაქის უპირველესი მეთალგამის პატივსაცემად ხსნიან.. ალბათ, პირველ სიტყვას მომცემენო“ – და მევლუდ თავთავაძე ლამის ყველაზე ადრე, ცხრა საათზე უკვე დანიშნულ ადგილზე იყო.

ათზე მოგრიალდნენ მანქანები. საძირკვლის ჩაყრის ზეიმი დაიწყო. ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. ბატონ მევლუდს ყველა ხედავდა. ზოგიერთები ღიმილით თავსაც უქნევდნენ, მაგრამ სიტყვა არ მიუციათ. ბოლოს ქალაქის თავმა განაცხადა: ჩვენაო, ჭიმჭიმისელები ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს დღევანდელ ზეიმს ესწრება (რა საჭირო იყო ჩემი ასე გამოყოფაო, თავისი სახელის გაგონების მოლოდინში თავი ჩაიქნია მეთალგამემ) სამი (კიდევ კარგი, ჩემ გარდა ორს სხვასაც ასახელებსო, მევლუდმა) ღირსეული ადამიანი: ჩიხრია ფიქრაძე, მოსე თევდორაძე და ნიკა ნიკაძე!

მოზეიმეთა ტაშის გრიალი ხელს უშლიდა გაეხსენებინა, ვინ იყვნენ ეს ღირსეული ადამიანები და რა დამსახურება მიუძღოდათ მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის წინაშე;

თორმეტ საათზე გოჭოურაში ხალხური თამაშობების წარმოდგენა-კონკურსი იყო დანიშნული და მევლუდ თავთავაძე ბედს შეჩვეული ერთგული, ბებერი ცხენივით იქეთკენ წავიდა.

გზაში ბულკი არ უყიდია.

პირველს ათი აკლდა გოჭოურას აღმართი რომ აათავა. თითქოს მევლუდის მოსვლას ელოდნენო, გაისმა მქუხარე ხანგრძლივი ტაში და შუატაშისკვრაში მანქანებისკენ ენერგიული, გრძელი, ქარივით სწრაფი, ხმაურიანი ნაბიჯით დაიძრნენ ენერგიაშემატებული სტუმრები.

და სწორედ ამ დროს ჰაერში განწირულის ხმით დაირახრახა.

– გაჩერდით! გაჩერდით-თქვა, მე შენ გელაპარაკები!

წამით ყველანი გაირინდნენ.

აცახცახებული, გაოფლილი, გაფითრებული მოხუცი მეთალგამე იმ წამიერ გარინდებაში ქალაქის თავის მანქანასთან მივიდა. დემონსტრაციულად გამოადო კარი და ჩაჯდა.

სანამ გახმაურდება

შორს ჟანგისფერ კლდეებს შორის, მეწამული მზე გაჭედილიყო.

მნათობი ჩასვლას აგვიანებდა.

მისი, ბავშვის ნახატივით გრძელი და სწორი სხივი კანგახანია ვეღარ წვდებოდა ვერცხლურჯად აკრიალებულ მდინარე წიოს და მდინარის გასწვრივ გაშენებულ დაბა კირიას.

მზე მთელი თავისი ბრწყინვალებით მალე ალაგდებოდა ვულკანურ მთაკლდეთა წვეროებიდან და ათასი წლის დაბას ღამეს შეატოვებდა.

კირია ღვთისგან და ხელისუფლებიდან მიტოვებული დაბის ცხოვრებით ცხოვრობდა.

მას, რაიონულ ცენტრს ოცდათერთმეტი კილომეტრით დაშორებულს, კაცმა რომ თქვას, ხელს აძლევდა თავისთვის მყუდროდ, ურბანიზაციის კაკანათის გარეშე ცხოვრება.

კირიაში ტელევიზორი „ვერ იჭერდა“, ადგილობრივი გაზეთის ბოლო ნომერი ათი წლის წინათ გამოსულიყო, კომპიუტერიზაცია ჯერ არ დაწყებულიყო და თემსაბჭოს მოხუცი მდივანი განკარგულებებს ძველთაძველ გერმანულ (ოღონდ ქართულ შრიფტზე აწყობილ) ელის მანქანაზე ბეჭდავდა.

2009 წლის 17 ივლისს სადამოისხანს, კირიაში, მელიტონ ქანთარიას ქუჩაზე, მევახშე კალე გელაძის სახლს დაბის მთავარი მედავთარე სერგო დავლაძე მიადგა.

„მასპინძელოს“ პირველივე დაძახილზე ჭიშკართან შავწვეროსანი შუახნის კაცი მოვარდა.

– გადარეული ხარ, ვიღაცა ხარ! უნდა გაგიტეხოს კაცმა თავი! ვერ ხედავ? სახლს ცეცხლი ეკიდება. ერთ ვედრა წყალს მაინც მევიტანდი, ხო ხედავ ვიწვებით!

ყვირილზე მასპინძელი გამოვიდა.

– კუკარა! რამდენჯერ გითხარი, არ გამოხვიდე-თქვა! შედი სახლში! დოვუძახო ახლა ექიმს?! დოვუძახო?!

კუკა შებრუნდა და სანამ სახლში შევიდოდა, ერთხელაც მოიხედა:

– მაგას ფეხებზე კიდია, სხვისი სახლის დაწვა! საერთოდ ყველას ფეხებზე კიდია ყველაფერი.

– ვის ვუთხარი მე, შედი სახლში-თქვა. მევიდა ექიმი! შედი, დეიმალე, თვარა მევიდა ექიმი!

კუკა გაიქცა და კარი ღონიერად გაუგდო, ურდულის ხმაზე ეტყობოდა, რომ შიგნიდან ჩარაზა.

– მობრძანდი, სერგო, – მასპინძელმა შუშაბანდში შეიპატიჟა, თეფშით კორკიმელი და პატარა, მწვანე მინის სურით არაყი გამოუტანა.

– არ დაასხა, არა, ვერ ვსვამ, კალე, – სტუმარმა მუცელზე ხელი მიირტყა. – არაფერი იმედია? სამზადისკენ გაიხედა.

– არაფერი. რაც დრო გადის, ვარესათ და ვარესათ ხდება. ღმერთს იმას ვუმადლი, კაცს რო არ ერჩის.

– რაზე მოუვიდა მაგი?

– ათი წლის წინ ჩემდა ჭირათ, ამ სახლს რო ვხურავდით, დასიზმრებია რო, ვითომ, სახლს ცეცხლი წეეკიდა. შუაღამისას ატეხა ყვირილი: არიქა ვიწვით! ვიწვითო! სიზმრიდან ვერ გამევიდა და არი მას მერე ასთე!

– არა და რა კაი ბიჭია, ახლა რა ხნის არი?

– ორმოცის გახდა შარშან.

სერგომ კორკიმელი აიღო.

– ჩემთანაც ასე წვრილია, არ დავარგდა რაღაც წრეულს.

– ამინდები არ იყო, ხო ხედავ, სიმინდი რავა დაკოინდა. ტაროს გამომღებია მაგი აწი? ტყვილა არ შეწუხდებოდი შენ, სერგო...

– ჰოო... მინდოდა მეკითხა, ხო იცი, ვიზეც გული შემტკივა, ის გაგახსენდება ასეთ დროს.

– ა?

– რას შობი სახლისას, რას აპირებ საერთოდ?

– ვერ გავიგე?

– არ იცი, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავზე? ორ წელიწადში წყლით დეიფარება ე ჩვენი კირია.

– მეხუმერბი ალბათ, სერგო, რას ჰქვია, წყლით დეიფარება.

– ნეტაი, სახუმაროთ მქონდეს საქმე. ქვევით საჩქეფელასთან კაშხალი უნდა გაკეთდესო და აქანა წყალსაცავი იქნება. წყლის ფსკერზე აღმოჩნდება რასაც ხედავ, ეს ყველაფერი ეგერ ე იმ მთის წვერსაც დაფარავს.

– მერე? ხალხი?! რას უშობიენ ამხელა დაბას?!

– ხალხს ოუნაზღაურებენ რაცხა ორ კაპიკს ერთი თვით ადრე, სანამ წყალს გამოუშობენ.

– რა წყალს?

– წიოს დააგუბებენ, რავა, გოუჭირდებათ?

– შენ ვინ გითხრა ეგ ამბავი?

– მევიდა გენგემაი: „სრულიად საიდუმლოდ“ აწერია გამგებელს, კოტე ვერძაძეს უდევს უჯრაში.

– უყურებ შენ, სანამდე მივიდნენ? ხედავ შენ, რას შობიენ ეს გიჟები?

– თლათ ამგენს ნუ დააბრალებ. ამერიკის გეგმაა. ამერიკა აფინანსებს, ასე ვიცი მე.

– რო გავძალიანდეთ? უარი რო ვთქვათ ხალხმა? საუკუნის მშენებლობააო გეტყვიან და მორჩა ახლა შენ რავა ფიქრობ, ამერიკა უკან დაიხევს, არიქა, სერგო დავლაძეს კეჟერა ფხალი აქვს დათესილი და ნათესები არ გავუფუჭოვო?

კალე გელაძემ ხავერდის ყავისფერ (ცოტა გახუნებულ) ფარდაგზე თითები ნერვიულად აათამაშა.

– როდის უნდა გამოუშვან წყალიო, რა გითხრა?

– ორ წელიწადში, ერთადერთი გამოსავალია, უნდა გავყიდოთ, რაც გაგვაჩნია. რასაც შეგაძლევენ უნდა გაყიდო. მთლად ტყუილად დაკარგვას, ასე სჯობია. სანამ გახმაურდებოდეს, მანამდე უნდა გეიყიდოს, რაც გასაყიდია.

– გენგეგმა ვისთანა�ა, რა მითხარი?

– გამგებელს აქვს – კოტე ვერძაძეს. მე არ მენდობი, შე კაი კაცო? გასაგებია კი, ამ დროს წყალწაღებული ხავსს ეჭიდება. მიდი ვერძაძესთან და კითხე საიდუმლოთ, ისე... არავინ გეიგოს. ჩემგან ნუ ეტყვი„ თვარა სამსახურიდან გამაგდებს... მე შენ გითხარი, რავარც ჩემიანს, თვარა რა მრჯიდა. რა ხეირი მაქვს ამ საქმინდან.

•

...მთვარე კარგა ხნის ამოსული იყო, სერგო დავლაძემ ნიკოლო მიწიშვილის ქუჩაზე მაღალი, შავორნამეტებიანი რკინის ჭიშკრის მარცხენა მხარეს ზარის ღილაკს რომ თითი დააჭირა.

სამსართულიანი სახლის მარსარდზე, მეხმრიდის ქვემოთ, უზარმაზარი ბოლნისური ჯვარი ჩანდა.

კარი მოსამსახურემ გაუღო.

– ისვენებს, – მოწყენილი სახით აუწყა ეპოლეტებიანმა მოსამსახურემ სტუმარს, დაამთქნარა და პირზე ხელი სამჯერ მიირტყა.

კანონიერი ქურდი კახაბერ გალოგრე („შავი ავაზა“) იმხანად მარტო ცხოვრობდა. ქალიშვილი უფის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა და მეუღლეც, ბუნებრივია, მხოლოდშობილი ასულის გვერდით იყო.

– როგორმე უნდა მიმიღოს, აუცილებელი შეტყობინებით ვარ მოსული.

– აქამდე სად იყავით, დღეს თერთმეტ საათამდე მიღება ჰქონდა. არა აქვს უფლება დაისვენოს?

– ძინავს?

– ჯერ არ დაწოლილა, ფოსტას ათვალიერებს.

– უთხარი, გამგეობიდან სერგო დავლაძეა-თქო. მიმიღბს, საიდუმლო მაქვს სათქმელი.

– მე ვერ მეტყვით?

– ვერა, პირადად მას ეხება.

ათიოდე წუთში მთავარი მედავთრე გალოგრეს სასტუმრო ოთახში იჯდა და ლეონარდო დავინჩის საიდუმლო სერობას შესცქეროდა. მოეჩვენა, რომ ასლი ორიგინალზე უკეთესი იყო.

კანონიერმა ქურდმა დინჯად მოისმინა „მისი კეთილისმყოფელის“ საიდუმლო შეტყობინება, სულ რაღაც ორიოდე წელიწადში კირიას წყლით დაფარვის შესახებ.

წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და დიდხანს დასცქეროდა მძინარე დაბას.

წარმოიდგინა, როგორ ივსებოდა ნელ-ნელა მისი საყვარელი კირია წყლით, როგორ ტივტივებდნენ ვირთხებსა და ბატებს შორის დამხრჩვალი სიდედრები, კუბოსდარი ტყვიის სეიფები და ძველთაძველი „კადილაკები“.

როდის, როდის მოტრიალდა და უცნაური ამბის შემტყობინებელს არტახებიანი სიმშვიდით უთხრა:

– კარგი... შენ წადი, სერგო. მადლობელი ვარ... გავარკვევ რაღაც-რაღაცეებს. რა ვიცი.... მთლად ასე რავა იქნება. ამხელა დაბის წყლით დაფარვაა, რა თამაშია. აქ მარტო მოსახლეობა კი არ არის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმია, პოლიციის ქვეგანყოფილებაა, დაბის მუნიცილაპიტეტია, არქივია, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ეკლესიაა. ეს ტაძარი იუნესკოს ყვითელ წიგნშია აქვს შეტანილი. ასეც რომ არ იყოს, ღმერთი ხომ იყურება ზევიდან. ღმერთი დაუშვებს თავისი საყდრის წყლით დაფარვას?

– არ ვიცი... არ ვიცი – კარისკენ ლაპარაკ-ლაპარაკით წავიდა სერგო – კახაბერ ბატონო, სანამ კოტემ გენგეგმა არ მაჩვენა, არც მე მჯეროდა... ყოველ შემთხვევაში მე ჩემი გითხარი... შენს მეტს რავა ვეტყვი ვინმეს, მარა შენ უნდა გცოდნოდა, არ ვარ სწორი? აწი შენ იცი, შენი საქმის. თუ კაცი ხარ, არ დამღუპო, ჩემ ნათქვამად ნუ ეტყვი ვერძაძეს. თვარა ეს ჩემზე უკეთ მოგეხსენება. სახელმწიფო საიდუმლოების გამეხლაა და რვაწლიანი მუხლი უდგება. ციხეში ყურყუტი მინდა მე ამ გაწამაწიის დროს?

– მაგის ფიქრი ნუ გაქვს... მე ჩემი არხებით დავაზუსტებ მაგ ამბავს... მადლობელი ვარ.

კანონიერი ქურდის საძინებელ ოთახში მთელი ღამე სინათლე ენთო.

გალოგრეს რული არ ეკარებოდა.

მოსამსახურე ხელების ფშვნეტით წინდაუკან დააბიჯებდა თავის სამფლობელოში.

ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა შეატყობინა ასეთი კანონიერ ქურდს დამეულმა სტუმარმა, მაგრამ „ხაზეინები“ ისეთ საყველპურო საიდუმლოს, როგორიც გახლავთ დაბის დატბორვა, მოსამსახურეებს არ ანდობენ და, მე მგონი, სწორადაც იქცევიან.

2009 წლის 18 ივლისს გალოგრემ გამგებელი კოტე ვერძაძე თავისთან იხმო.

იმავე საღამოს დაბის თავი სამხრობაახალგადასულზე კონსპირაციის სრული დაცვით ეახლა კახაბერს.

– ხომ არავინ დაგინახა? – ჰკითხა გალოგრემ მის სამუშაო კაბინეტში შესულ ჩინოვნიკს და ყოველ შემთხვევისთვის ფარდები დაუშვა.

– მგონი, არა.

– ახალი ამბავი იცი, რასაკვირველია.

– ვინ გითხრა... ენას ამოვგლეჯ დვალაძეს. ხომ გავაფრთხილე, კრინტი არავისთან დაძრა-თქვა.

– „არავინ“ ვარ მე? რავა შენ არ აპირებდი ამის თქმას?

– მე გეტყოდი თავის დროზე, რათ უნდა ლაპარაკი მარა სერგოია დამთხვეული რავა უნდა წამიხტეს წინ.

– ვინ ოხერია სერგოია. სერგოიას მივიღებდი და მოვუსმენდი მეე? თუ სიმართლე გინდა, მე ერთი კვირის წინ ვიცოდი ეს ამბავი, მარა შენ გელოდებოდი.

– აგაშენა ღმერთმა, ჩემზე ადრე გცოდნია.

– დამირეკეს სახელმწიფო კანცელარიიდან. ასე და ასეა საქმეო. მიხედე შენს თავსო.

– რავარი მისახედია. მარტო მე და შენ ხომ არა ვართ. ამხელა დაბა. საქმეებია, სამსახურებია. ჯერ მარტო კატა და ძაღლი რამდენია, იმგენს რას უშობი?

– მინდოდა შენთან მოლაპარაკება, სანამ თლათ ზევით დავაყენებდე საკითხს.

– ტყვილად გაინძრევი და ხალხსაც ტყვილად დეივალებ. გუშინ ჩამევედი თბილისიდან. არაფერი ამ საქმეს აღარ უშველის. გაეროს და ევროკავშირის დამტკიცებული გენგეგმაა. ამერიკა აფინანსებს, ობამა საქმის კურსშია. ა, ნახე თუ გინდა.

გამგებელმა ჯიბიდან პაპირუსის ქაღალდზე უფრო თხელი „კაპიროვკის“ ფურცელი ამოიღო. ნახაზი რთული „წასაკითხი“ არ გახლდათ. მრგვალად შემოხაზულ წრეს ინგლისურად „ვოტა“ – (წყალი) ეწერა, ხოლო გეგმას ასევე ინგლისური ბეჭდური ასოებით „კირია“. გენგეგმას ქვემოთ შვიდი მრგვალი და ორი ოვალური ბეჭედი მკრთალად აჩნდა. ალბათ ასლის მრავალგზისი გადაღების ბრალი იყო. გეგმისთვის თავში გაკრული ხელით რატომღაც რუსულად წაეწერათ: „სოვერეშენნო სეკრეტნო“.

კოტე ვერძაძემ ოდენ თვალი გადაავლებინა ნახაზისთვის მასპინძელს, როგორც გაშალა, ისე სწრაფადვე დაკეცა, მიიხედ-მოიხედა და ჯიბეში ჩაიდო.

– ეს შენი მოსამსახურე ხომ სანდოა?

გალოგრემ არაფერი უპასუხა. ჯერ ერთი მოსამსახურე ეზოში იჯდა და ფშუტე უნაბს ხის დიდი გობიდან ცელოფნის პარკში ჰყრიდა, ესეც არ იყოს, ეგდა აკლდა გალოგრეს, მოსამსახურე სანდო არ ყოფილიყო.

– აბა გადაწურული აქვს წყალი ამ საქმეს? – მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა სტუმარს მასპინძელმა.

– წყალი რომ გადაწურული იყოს, რა უჭირს – გაღიმება სცადა გამგებელმა, – რა გადაწურავს ამდენ წყალს.

– სანამ ეს ამბავი გახმაურდეობდეს, თავს უნდა ვუშველოთ. შენ რა გაქვს გადაწყვეტილი?

– ჯერ არაფერი.

– ერთი კვირაა ვიციო და რაღას ელოდები, შე კაცო. გაყიდე დროზე სახლი. სანამ ფასი აქვს, თვარა მერე, გაზეთები რო ხმაურს ატეხავენ თბილისში, ჩალის ფასადაც არავინ იყიდის.

– ადვილი სათქმელია, ჯერ ერთი ამხელა დაბას მაყურებელი არ უნდა?

– საყურებელი, ჩემო კახაბერ, მალე არაფეირ დარჩება.

– რას ვიზამთ ახლა... რო შველოდეს რამე ამ საქმეს ვინ მამაძაღლი... პუტინიდან რომ მოდიოდეს, კიდეო რაცხას მოვახერხებდით, მარა ობამასთან ვინ მიგვიშვებს მე და შენ.

– შენ რას მირჩევდი?

– გაყიდე სახლი და გადადი თბილისში.

– თბილისში რა მინდა. თბილისში ძაან იყვირებს ჩემი ქონება და პოლიციის სამიზნე გავხდები. ისევ უფაში წავალ, მირჩევნია, ბოვშს მაინც მივხედავ და მშვიდათ მაინც ვიცხოვრებ, მერე ვნახოთ... რა იქნება.

– არაა ეგ ცუდი აზრი, ხომ იცი შენ...

მთვარე მეხამრიდს ერთი მტკაველით იყო აცილებული, როცა გამგებელმა კოტე ვერძაძემ კანონიერ ქურდს მწუხრი მშვიდობისა უსურვა და ქუჩაში გამოსულმა მოსამსახურეს ხელიც კი ჩამოართვა.

გამგებლის ხელის ჩამორთმევა მოსამსახურეს არ გაკვირვებია. მას დიდი ხანია ამ სახლში აღარაფერი უკვირდა.

•

დაბა კირიაში უჩვეულო ამბავი მოხდა:

2009 წლის აგვისტოში 29 სახლი გაიყიდა.

ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, 28-ჯერ აღემატება 1913 წლის მაჩვენებელს.

შოკისმომგვრელი იყო ის გარემოებაც, რომ სახლების ფასი შემაძრწუნებლად დაეცა.

მოქალაქენი სახლს ეზოიან-გარაჟიანად და იხვებიან-მტრედებიანად ჰყიდდნენ, თანაც ასე მოულოდნელად დაბიდან აყრის და სხვაგან გადაბარგების მიზეზს არ ასახელებდნენ.

ზოგი ამას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით ხსნიდა, ზოგი კი ფულის მოსალოდნელი (მაგრამ სრულიად აუხსნელი) ინფლაციით.

•

„მცხოვრები კენგურუს ქ. 35, დაბა კირიას მთავარი მედავთრის სერგო დავლაძის ჩვენება:

მოგახსენებთ, რომ ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში ვმუშაობდი დაბის ჯერ რიგით. შემდეგ, 2004 წლიდან მთავარ მედავთრედ.

ადრე ნასამართლევი არ ვყოფილვარ. ადმინისტრაციული სასჯელიც არასდროს მიმიღია.

მიმდინარე წლის 10 ივლისს, პარასკევს, დამიბარა გამგებელმა კოტე ვერძაძემ და შემომთავაზა საეჭვო საქმიანობის მოქალაქეებისგან (მევახშე, ქურდი, აბორტმახერი, ბიოდენებით მკურნალი, მარჩიელი, თმის ამომყვანი, წამლების დამამზადებელი, ყალბი ატესტატებით მოვაჭრე, აზარტული თამაშებით ხალხის მყვლეფავი...) დაბის გაწმენდის მიზნით (რაკიღა ზემოთ ჩამოთვლილი პირების წინააღმდეგ პოლიცია ვერაფერს ხდებოდა) ქალაქის უმეტესობისთვის არასასურველი ამ ადამიანებისთვის და საიდუმლოდ გამეფრთხილებინა ისინი, რომ, თითქოს ორი წლის შემდეგ, მოსალოდნელი კაშხალის მშენებლობის გამო,

დაბა კირიას წყალი დაფარავდა და მერჩია მათთვის, სანამ გვიან არ იყო, გაეყიდათ სახლკარი და სხვაგან გადაბარგებულიყვნენ.

შევადგინეთ ყალბი გეგეგმა და შევუდექით საქმეს. ვინც დაეჭვდებოდა, გავაგზავნიდი გამგებელთან, კოტე ვერძაძე მას დიდი ჭოჭმანის შემდეგ უჩვენებდა „ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის“ მიერ დამტკიცებულ „გეგმას“, რასაც მისი აზრით, „ვერავინ და ვეღარაფერი ვეღარ შეცვლიდა.“

ჩემს მიერ გაფრთხილებული ოცდაათი კაციდან ოცდაცხრამ გაყიდა სახლები და წავიდა, ოცდმეათემ კი – თმის ამომყვანი „წაბლის“ სპეციალისტმა თავის სტუდენტ შვილს (დაუსწრებლად სწავლობს ნოვოჩერკასკში მეცხრე წელი) გაანდო საიდუმლო. 28 აგვისტოს დაბაში დაიწყო ახალგაზრდების საპროტესტო მიტინგები ტრანსპარანტებით. „ხელები შორს კირიისაგან“, „უარი დაბის წყლით დაფარვას“, „გადავარჩინოთ ისტორიული დაბა“, „გვიშველეთ!“.

30 აგვისტოს დაგვაპატიმრეს.

მართალია, იდეა გამგებლისგან იყო წამოსული, მაგრამ კოტე ვერძაძემ ამ საქმეში მე კი არ ჩამითრია, არამედ ჩემი სურვილით დაავთანმხდი, არავითარი სამსახურეობრივი ზეწოლა ჩემზე არ განხორციელებულა.

გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ჩვენ ამ ოპერაციას უანგაროდ ვახორციელებდით და ამისგან არავითარი სარგებელი არ მიგვიღია, ღონისძიებას ვატარებდით სამუშაო საათების დასრულების შემდეგ“.

•

სასამართლოს დიდხანს არ უმსჯელია.

ვერძაძე და დავლაძე სხდომის პირველ დღეს გაამართლეს და დარბაზიდანვე გაათავისუფლეს ყოველგვარი საპროცესო გარიგების გარეშე.

ნოემბერი. 2009წელი.
თბილისი.



ბეჟან ხარაიშვილი



უსახელო მკვდრები

თიბათვე რომ დადგა, ქალაქს გამოვექეცი. მომწყინდა ქალაქში უთავბოლო სმა და ერთფეროვანი დღეები.

ახლა ხევსურეთში ვარ, ძია ანიელთან ვზივართ ხევსურულ ქოხში და თუთუნს ვაბოლებთ. გარეთ გრილა. საღამო ახლოვდება. სხეულში სიმსუბუქეს ვგრძნობ. ახლო, სულ ახლოა ზეცა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ქოხი ზეცაში იდგეს და ღია ფანჯრიდან არაგვის ხეობას დავყურებდე.

ძია ანიელს პატარა ხელადით ჟიპიტაური შემოაქვს. სუფრას აწყობს. იღიმება.

ანიელი ნამდვილი ხევსურია, ამიტომაც შემაყვარა თავი. სუსტი წაბლისფერი სახე და განიერი მხრები აქვს. ყვრიმალთან ნახმლევი ემჩნევა, ყმაწვილობისას დაუჭრიათ ხატობაში.

მას შემდეგ კარგ დროს გაუვლია. ანიელს კი ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს.

ღუმელთან ახლოს საუფროსო გრძელი სკამი დგას. წინათ ამ სკამზე ოჯახის უფროსი ან საპატიო სტუმარი ჯდებოდა. ახლა მე ვზივარ... ანიელმა პატარა სკამი ირჩია. სუფრას წინ მიდგამს. ვილოცებით.

პატარა ყანწებს მალ-მალე მაცლევინებს. ვგრძნობ, ვთვრები, მაგრამ უარის თქმა არ გამოდის.

ხვალ ან ზეგ ხევსურები სათიბში გავლენ.

ქალაქიდან სწორედ ამიტომ ამოვედი. არასოდეს არ მინახავს, სად, ან როგორ თიბავენ ხევსურები. ანიელი შემპირდა, რომ წამიყვანს. ბევრს ვერაფერს მოვეხმარები, მაგრამ თვალს მაინც გავახელ, ვნახავ ქვეყანაზე რა ხდება... აქაურ დილა-საღამოს გავაცილებ. მეც ხომ ამ დილა-საღამომ უნდა გამაცილოს, როცა იქნება. იქნებ ხვალ, ზეგ, ან ახლა, ამ წუთში... ო, არა, სიკვდილი საშინელებაა! ეს სენტიმენტალური განცდა ქალაქიდან გამომყვა და აქედან რომელიმე ლამაზ ღელეს გავატან, ისევ ქალაქისკენ. არა, არც ქალაქში, სადმე შორს, სულეთში ან სულეთს იქით.

მე უნდა ვიცოცხლო და ვნახო ხევსურები თიბვის დროს. მე ბევრი რამე უნდა ვნახო, მოვისმინო მთიბლური და ყური მივუგდო ხევსურების გულების გუგუნს, – საქართველოს ისტორიის ცოცხალ მატინიანეებს.

– თითოც დავლიოთ, – მეუბნება ანიელი. – წინათ ყანწების ერთმანეთზე მიხლა არ იცოდნენ ჩვენთან, ყანწების მიხლით შუღლი იწყებოდა. ახლა ყანწებსაც ახლიან ერთმანეთს, თავებსაც და – აღარ დაამთავრა.

ჩაფიქრდა. სახე ნერვიულად დაეძაბა. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა. თვალები დახარა. ნახმლევ საფეთქლთან ამობერილი ძარღვი შეუტოკდა. ამ ძარღვში სისხლზე უფრო მეტი საქართველოს სიყვარული მოძრაობს, ცქმუტავს, ტოკავს და ზედ ნახმლევთან საფეთქლის სიღრმეში ეშვება.

უხერხულობა მიმორჩილებს. ხან შებოლილ ჭერს შევცქერი, ხან ძია ანიელს. ვიცი, რაღაც აწუხებს და არ მეუბნება.

– ვაუ, – როგორც იქნა ხმა ამოიღო, – მითხარი, რატომ ვართ ქართველები ასეთები...

– როგორები, ძია ანიელ?

– დავთრებით, ყველაფერი მაშინ გვახსენდება; სამშობლო, სიყვარული, შუღლი, სიკეთე...

– სამშობლო ყოველთვის გვახსოვს, – ვეუბნები, – პირიქით, როცა ვთრებით, ყველაფერს ვივიწყებთ.

ჯეელი ხარ და ეგრე გეჩვენება, ჩემხნად რომ მოიყრები, სხვანაირად იფიქრებ. კაცს რომ ქალი უღალტებს ან ცხოვრებაში ხელი მოეცარება, სმას იწყებს. რას აკეთებს ამით, ივიწყებს? – არა, არა მგონია. გრძნობები უფრო მეტად აეშლება, ბოღმა სხეულის ყველა ნაწილს დაივლის, თავი გაუბრუვდება, გული გაუსივდება, საკუთარ თავში ეცემა უღონო და არაქათგამოცლილი. მიიხედ-მოიხედავს, დარდის მოსაკლავად ისევ დალევს, ივლის, ვიღაცას გადაეყრება, შეაგინებს, ცემს, ან ცემენ, ფეხქვეშ გაიგებენ, ათრევენ და მერე, როცა გონს მოვა, ცოტახანს ჩაფიქრდება...

გახელებულმა ტარიელმა ვეფხვი ხელით დაახრჩო. ახლა სადღაა ვეფხვი ან ვეფხვის დამხრჩობი. ჩვეულებრივი ცოდვილები ვართ და ხან სიმთვრალეში, ხან სიფხიზლეში ერთმანეთს ვაღრჩობთ და ამით ვიკლავთ წყურვილს.. რის წყურვილს ვიკლავთ ეს ღმერთმა იცის და ღმერთმა არაფერი არ იცის...

ისევ ჩაფიქრდა.

მე, ანიელის დაუკითხავად, ყანწს ვავსებ.

– ყველა კაცი ხომ კაცი არ არის, ძია ანიელ, რა გული გაგიტეხია?! ჩვენ ვებრძვით ლოთებს, უქნარებს და ჩხუბისთავებს...

– ყური მიგდე, – მეუბნება და ცალ ყანწს მართმევს, – ყველა არც კაცია, არც დალევა შეუძლია და არც ჩხუბი, მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისი გონებაც სადავეს არ ემორჩილება, ვისთვისაც მამულის სიყვარული ყანწივით არ იცლება, გროშებზე არ იყიდება, ვისაც ძმისთვის მოქნეული მარჯვენა საკუთარ სახეში მოხვდება... ვინ გაგიმართავს ხელს ყველამხრივ, ვინ? ხომ რჩება გულის ფსკერზე ისეთი სევდა, რომელიც კაცს სამარეში მიაქვს და რომელსაც მიწის მეტი ვერავინ გაიგებს. მთაში ვცხოვრობ, მართალია, მაგრამ წიგნები და გაზეთები აქაც მოაქვთ ხანდახან. იქ... იქ ყველაფერი ლამაზად წერია. ყველაფერი ლამაზი არ არის. უდარდელი კაცი არარაობაა. არარაობა არსებობს, უდარდელი კაცი – არა. როცა გიხარია, კიდეც უნდა გწყინდეს. სიხარულში აუცილებლად იმალება სინანული და ეს სინანული თავს გვიან იჩენს.

ენა მებმება. ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

– ა, იმ მთას ხედავ? – თითით მაჩვენებს. – თითს თვალს ვაყოლებ და სარკმლიდან მთის ხედს ვხედავ.

– ტრაქტორი შეუყენეს მაგ მთას... გზა გაიყვანეს... იქ ერთი კომლი ცხოვრობს, დაბლა იშვიათად ჩამოდის. რაღათ უნდათ ეს გზა, გეკითხები.

– ალბათ მადანი აღმოჩნდა მთის წვერზე...

– ეეჰ, – ოხრავს, – მადანი ხევსურეთში ბევრია, მაგრამ მიგნება უნდა, მიგნება.. მე მაინც ის ბილიკი მერჩია, მოქნეული შოლტივით რომ იყო მაგ მთაზე დაკრული.

ყველაფერს მივხვდი.

თითოც დავლიეთ და ჩემი თხოვნით სმა დავამთავრეთ. მთის წვერიდან ნისლებმა მთვარე ამოაბურთავეს და არაგვის ჭალაზე ისროლეს. კამკამა, ლურჯი ზეცა ხევსურული ჩოხასავით დაწინწკლეს ვარსკვლავებმა. ანიელმა ლამპა აანთო. ქოხი მკრთალმა შუქმა გაანათა. გული სივრცეში აღარ მქონდა, მინდოდა მალე დამეძინა და მალე გათენებულიყო.

* * *

იმედი გამიცრუვდა. მეორე დღეს თიბვა არ დაწყებულა. მე და ანიელი მაინც წავედით მთაში. თან თოფი და არაყი გავიყოლეთ. როგორც ანიელმა მითხრა, იმ დამეს სადმე, ქოხში გავათევდით. ამას, რა თქმა უნდა, ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა.

მთის ფერდობს ნელ-ნელა შევუყევით.

დაცვარულ ბალახებს ოხშივარი ასდიოდა. არაგვს გაღმა ცამდე აღმართულ მთებს ნისლები წამოეპარენ და თვალებზე ხელი დააფარეს.

რაც უფრო ზევით მივიწევდით, მით უფრო იზრდებოდა სწრაფვა სიმაღლისკენ. ჰორიზონტზე მზე გამოჩნდა. ნისლები ნელ-ნელა გაიფანტა, არაგვს გაღმა ცხვარს ფერდობი გადაეთოვლა.

შევისვენეთ.

თითო სიგარეტი გავაბოლეთ. მომწყურდა. ანიელმა წყაროზე გადამიყვანა.

წყარო!!!

აი, ეს იყო წყარო. მივხვდი, ჩემ სიცოცხლეში ამაზე უკეთესს ვერაფერს დავლევდი. მთის ფერდიდან წყლის დიდი ნაკადი გამორბოდა და მთის გულზე ობოლი სიმივით ჟღერდა. ვიდრე ანიელი ზურგჩანთიდან საგზალს ამოალაგებდა, წყაროს ისე დავეწაფე, როგორც მომაკვდავი უეცრად მინიჭებულ სიცოცხლეს. წყარო, რა თქმა უნდა, ცივი იყო. ცივი, როგორც ყინული და საამური, როგორც სიცოცხლე. იქვე, გვერდით, სულ ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დუღდა ხევსურეთის გული–ვეძა.

ახლა იქით გადავედი. ვეძას ხევსურეთში მინერალურ მჟავე წყალს ეძახიან. დავლიე. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, თითქოს ათასი წლის მერე ამ წყლებთან დავბრუნებულიყავი საპყრობილედან.

ანიელმა დამიძახა.

ვისაუზმეთ. ჩვენს ირგვლივ ყვავილების სურნელი იფრქვეოდა. მიწა ისეთი თბილი მეჩვენა, მეგონა მისი თოვლივით დაგუნდავება შემეძლო.

მიწის სამ გუნდას ავიღებდი.ერთს სიკვდილს ვესროდი, მეორეს – ბოროტ ადამიანს. მესამეს – ისე, უბრალოდ და უმისამართოდ გავუშვებდი. გავუშვებდი შორს ან ახლოს. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ უმისამართოდ გასროლილი გუნდა ისევ მიწას დაუბრუნდებოდა. დაგორდებოდა, ორიოდე ყვავილს გადათელავდა და მიწა მიწად გახდებოდა.

გუშინ ანიელმა მითხრა. გზისპირას აგებულ წყაროებს მიცვალებულთა სახელებს ვარქმევთო. ეს წყლები სულეთში ჩადიან და ჩვენი მკვდრები სვამენო.

სვამენ? – რა ვიცი. ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძლიან მაწუხებს. მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს. მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. უბრალოდ ვნახავ და დავბრუნდები.

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ეს აზრი ამეკვიატა. ამეკვიატა და არ ვიცოდი როდის დამშორდებოდა.

აქეთ რომ წამოვედით, თან უბის წიგნაკი წამოვიღე. ანიელმა არ იცოდა ჩემი პოეტობის შესახებ. კარგი ლექსები არ გამომდიოდა, მაინც ვწერდი. მტკიოდა და ვწერდი. ამაზე უკეთეს ადგილს სად ვნახავდი. ბალახზე გაშლილი ფურცელი რომ დაგედო, მწვანე წერტილებით ლექსი დაიწერებოდა. დაიწერებოდა, მაგრამ ამ ლექსს ბევრი ვერ ამოიკითხავდა...

ანიელმა არაყი დამისხა.

სამ-სამი დავლიეთ. წამოდგა, ჭურჭელს თავი დაახურა.

– ვაუ, შენ აქ დარჩი, უცქირე აქაურობას. მე ჩავალ, სათიბს გადავხედავ. და თავქვე მძიმე-მძიმედ დაეშვა.

უბის წიგნაკი და ავტოკალამი მოვიმარჯვე. გადავწყვიტე ხევსურეთზე ლექსი დამეწერა. რის დაკვირვებაც შემეძლო, დავაკვირდი. რომელიღაც მთა ვეებერთელა ჩონგურს მი-

ვამსგავსე, მთაზე ჩამოჭიმული თეთრი ჩანჩქერები – ჩონგურის სიმებს. მუსიკოსად სიო მოვნათლე, რომელიც ამ სიმებზე მამულის ჰანგებს ამღერებდა.

საჭირო იყო ყველაფერი ეს ლექსში ჩამეტია და მხატვრული სახე მიმეცა. ვცადე. არაფერი გამომივიდა.

ახლა სხვა მთებს გავხედე.

ეს მთები კაცებად წარმოვიდგინე. მათ თავზე დადგმული ნისლები ხონჩებად. მზე თავის ადგილზე რჩებოდა. ესე იგი: მთებს ნისლის ხონჩები შეუდგამთ თავზე და მზის მისართმევად მიაქვთ.

ისევ უბის წიგნაკს ვეცი.

სიგარეტი ზედიზედ მოვწიე. სასმელი მომინდა. დავასხი. დავლიე. ცოტათი გავბრუვდი. თავზე ხელები მოვიჭირე. ისევ სიგარეტი... ისევ მთები... ფურცლები... ტვინში აზრების რიარია... რითმა... რითმაა საჭირო...

„მთები ვთბები“... არ ვარგა, ძველია.

„გზები გზნებით“... არც ეს ვარგა.

ჯანდაბას ურითმო იყოს... თეთრი, სულ თეთრი...

ოღონდ ეს შეკოწიწებული სახეები არ დამეშალოს და ლექსის ფორმას არ დავეძებ...

თანდათან თბილ ბურანში ვეშვები... თვალები მეხუჭება. ლექსს ვწერ და ვერ ვწერ. ყველაფერი ერთნაირი ხდება ან არაფრის ნაირი. ბურანში უფრო ღრმად ვეშვები და...

ჩამეძინა.

ჩამეძინა და სიზმარი ვნახე:

ზღვის პირას ვიდექი. ჩემი უბის წიგნაკი და ავტო-კალამი თან მქონდა. ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა, ბრდღვინავდა. უშველებელ ენას ნაპირზე ისროდა თავისი სათქმელ-უთქმელობით. ამ ენით თავის ხაოიან ნაპირს ისე ლოკავდა, როგორც პირუტყვი ქვამარილს.

მახსოვდა, რომ ქართველი ვიყავი და არ მახსოვდა სადაური. ზღვა კი ნამდვილად ქართული იყო, ჩემი შავი ზღვა, ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი.

უცებ ზღვის ენა ტალღებად იქცა.

მერე ჩემს მზერაში ზღვა მთლიანად გაიყინა. შევამჩნიე: ზღვის დასალიერზე უამრავი მზე ენთო. ზოგი მზე ჩადიოდა, ზოგი ამოდიოდა... გაყინულ ტალღებზე მიმწუხრის ფერი დასრიალებდა. ასეთი სამყარო არასოდეს მენახა და შიშით ტანში მაჟრჟოლებდა. ვიცოდი, მალე არსებობას შევწყვეტდი. მესმოდა ჩემი ძვლების ღრჭიალი, მტკიოდა ძარღვებში სისხლის უწყვეტი მოძრაობა. მე ჩემს სხეულში, უფრო სწორად, ჩემს გულში ჩავჯექი და სისხლთან ერთად დავიწყე მოძრაობა. როგორც მეზობელი-მეზობელთან, ისე მივდიოდი ჩემს ფილტვებთან, ტვინის უჯრედებთან, თირკმელებთან, მუხლებთან, მკლავებთან... ხან მარტო ტვინი ვიყავი, ხან გული, ხან ფილტვები, ხან ყველაფერი, ხან არაფერი. მე ვიყავი მთლიანი და საზიზღარი, ვიყავი ნაწილი და საყვარელი.

ყველაფერი ეს ხდებოდა და არც ხდებოდა.

ზღვა მზერაში გამდნარიყო.

„მოგზაურობიდან“ რომ დავბრუნდი, ჩვეულებრივი ბიჭი დავრჩი უბის წიგნაკით და ავტოკალმით.

ზღვის დასალიერზე ერთი მზეღა ჩანდა... ისიც ტალღებში ჩასულიყო ნახევრამდე. შემეშინდა. მზესთან ერთად თითქოს მეც დაბლა ვიწევდი, მიწაში, მიწაზე უფრო ქვემოთ...

ჩემი ორეული ქვიშაზე წამოწვა და დაცინვა დამიწყო:

– მიდიხარ? – მეკითხება,

– ჰო, მივდივარ... მივდივარ მიწაში... მიწის ქვემოთ.

– ლექსები მაინც დატოვე... შედევრი დაიკარგება.

– მიშველე რამე, თუ შეგიძლია...

– გიშველი. გიშველი, ოღონდ შენი სხეულიდან გამოუშვი: გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა, მიჩქმალვის ნიჭი, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც დაბლა ჩაყავხარ... მოიხსენი ნიღაბი... გიმეორებ, მოიხსენი.

– მერე... მერე რაღა დავრჩები?! მე მგონია, რომ გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა და მიჩქმალვის ნიჭი არ გამაჩნია და რომც გამაჩნდეს მაინც ვერ გამოვუშვებდი, მე ადამიანი ვარ...

– სცდები, შენ ჩემგან ჩამოთვლილი ყველა თვისება გაგაჩნია, იგი დაბადებიდანვე დაყვება მოკვდავს. – მეუბნება ჩემი ორეული, – შენ პატარა ხარ, პატარა. პატარა და მსუბუქი.

– ვიდრე ბოლომდე ჩავიძირები, შენი სურვილის ასრულება არ შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამსრესენ, გადამთელავენ და გაივლიან.

– გაიარონ, სხვას რატომ უღობავ გზას...

– გაიარონ, – ვეუბნები მეც, – მაგრამ იმათაც ხომ მიაქვთ შუღლი, ბოროტება, მტრობა...

– მათ სხვა გაადაუვლის, სხვას კიდევ სხვა და ბოლოს ყველანი რიგ-რიგობით ჩაიძირებიან...

ეს რა გავიგონე.

მინდა ჩემს ორეულს მივწვდე, ფეხი დავადგა, გავსრისო და ხმა გავაკმენდინო.

– გრძნობათა უხილაობის მიღმა რომ ჩაწვდე, ეს სიკვდილია. – იღმიჯება ლანდში მოძრავი ჩემი თავი, – მე შენ ჩაგწვდი და გკლავ. მე ღმერთი ვარ შენი...

შენთვის სხვა ღმერთის არსებობა ჩემი მოგონილია. დაბლა საკუთარი თავის ჯოჯოხეთი გეზიდება...

შენი სხეული ნიღაბში მიგატოვებს და ყველაფერი თავის გზით წავა. ხორცით მიწა გაძღება, სული კი აქვე დარჩება ყვავილებში, ხეებში, ღილის ნამში და ფოთოლში. შეიძლება რომელიმე კაცში, რომელიც მოვა ან არ მოვა...

ორეული გაჰქრა.

მე ისევ მე დავრჩი. ზღვაში ჩამავალი მზე ხარის ნალის ოდენა ჩანდა. შემოვბრუნდი. ზღვას ზურგი შევაქციე. თვალთაგან ცრემლი წამსკდა. ვტიროდი ისე, არაფრის გამო, ჩემგან დამოუკიდებლად. ვგრძნობდი, თუ ჩემი ცრემლი ზღვას შეერთვოდა, მაშინ მზე უფრო მალე ჩაიძირებოდა...

თვალების ნაჟურს პეშვი შევუშვირე.

პეშვი გაივსო... თვალები დავხუჭე და ცრემლები წყალივით დავლიე. გამოვცოცხლდი, საკუთარი არსებობა ვიგრძენი. ჩვეულებრივი მოკვდავი გავხდი.

ირგვლივ რაღაცამ იხუვლა. არ მახსოვს, ქარიშხალი იყო თუ ჰაერში გაყინული თოლიების ფრთებით წარმოშობილი გრიგალი მიბიძგებდა ზღვისკენ... პალმები, ევკალიპტები, კიპაროსები, ბალახები, ყვავილები და ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, მე მეჭიდებოდა, მე – მათ.

* * *

საიდანღაც ნაპირს უამრავი ხალხი მოაწყდა. შევკრთი, ამდენი ხალხი ერთად შეკრებილი არასდროს მენახა.

ჩემს გვერდით ჩემი თანატოლები ჩამწკრივდნენ. მათაც, როგორც მე, ხელში უბის წიგნაკები და ავტოკალმები ეჭირათ. ზოგი იცინოდა, ზოგი ტიროდა, ზოგიც ღრმად ჩაფიქრებული, უბის წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. ჩვენს წინ მოხუცი კაცები იდგნენ. მოხუცთაგან ხმას არავინ იღებდა. გრიგალი ჩადგა. სამაგიეროდ ზღვა აღელდა, აბობოქრდა და შუაში

მთასავით აიზნიქა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. სასწაულის მოლოდინში თოლიები ნაპირზე დაეშვნენ და ჩვენ მოგვაჩერდნენ.

ზღვის ამოზნექილი ნაწილი დაეშვა.

ტალღებზე კაცი გამოჩნდა. ხალხმა ისე ღრმად ამოისუნთქა, გეგონებოდათ გულები თან ამოაყოლესო. ზღვის კაცი თითქოს ტალღა-ტალღა მოდიოდა. მოდიოდა ზღვათა და საუკუნეთა მიღმიერთიდან. კაცი კი არა, ღმერთკაცი იყო. თავზე ლამაზი ბოხოხი ეხურა. ბოხოხში ბატის ფრთა ქონდა ჩარჭობილი.

მალე ღმერთკაცი მოგვიახლოვდა.

მიგებება ვერავინ გაბედა. ყველა მონუსხულივით იდგა.

– ვინ ხართ, ან აქ რამ მოგიყვანათ? – მოსვლისთანავე გვკითხა ღმერთკაცმა.

– ქართველები! – პასუხობს წინ მდგონი წვეროსანი.

– ოჰ, ო... ოჰ... – კვნესის ღმერთკაცი, – ქართველები ასე ცოტანი დარჩით? რამ დაგაბეჩავათ, რამ დაგაკნინათ...

ოი, საქართველოვ, ჩემო საქართველოვ!..

ღმერთკაცი დაიხარა და მიწას აკოცა. ახლადა ვიცანი, რუსთაველი იყო.

წინ მდგომთაგან ოთხი უხუცესი მისაგებებლად დაიძრა. დაუჩოქეს. თავები დახარეს. რუსთაველმა ყველა წამოაყენა და მათ შუაში ჩადგა. მე, ჩემი აზრით, თანატოლებზე მეტი გამბედაობა მქონდა.

– მივალ, – ვფიქრობდი, – თავის ბიოგრაფიას ვკითხავ, ვკითხავ და მეტყვის. მეტყვის და გავლექსავ. გავლექსავ ან ისე ჩავიწერ. ჩავიწერ და მსოფლიოს ნათელს მოვფენ.

რუსთაველი დაიბადა ამა და ამ წელს, – ასე დავიწყებდი, – გარდაიცვალა ამა და ამ წელს, – ასე დავამთავრებდი, – გარდაიცვალა? – არა, არ გარდაცვლილა, ის ხომ ჩემს თვალწინაა, ის ცოცხალია და მის გარდაცვალებას არავინ დამიჯერებს. მივიხედე. ჩემი თანატოლები ავტო-კალმებს ერთმანეთის უკან მალავდნენ და შიშისგან ცახცახებდნენ.

რუსთაველმა შუბლზე ხელი მიიჩრდილა და წინ მდგომ ოთხეულს პირდაპირ შეხედა.

ერთმანეთი გაიცნეს.

– აკაკი!

– ილია!

– ვაჟა!

– გალაკტიონი!

მე მივხვდი, რომ რუსთაველს მხოლოდ ესენი წაუკითხავდნენ ლექსებს. მათ ერთმანეთს გაუღიმეს და ხელი ჩამოართვეს. გონი მოვიკრიბე და ისევ წინ გავიხედე:

სიხარულით კინაღამ შევყვირე, მაგრამ წამსვე გამახსენდა, რომ აქ ჩემი ხმის ამოღება არ შეიძლებდა.

ლექსს გალაკტიონი კითხულობდა!

ზღვა უფრო აღელდა, ადუღდა, ნაპირს დაემუქრა. გალაკტიონი ხან გრიგალებდა, ხან ტიროდა, ხან საოცრად ალერსიანი იყო. ტიროდა რუსთაველი. ვტიროდით ჩვენც.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“...

დაამთავრა. ზღვაც დაცხრა.

ახლა ჩვენი ჯერი დადგა.

– ეს ბავშვები ვინ არიან, ერისკაცნო, აქ რას აკეთებენ.

– ესენი პატარა პოეტები არიან, დიდო მგოსანო, – უპასუხა ყველას მაგივრად აკაკიმ, – ლექსებზე ნადირობენ, კალმები დააქვთ, მხატვრულ სახეებს (თავის ჭკუით) ინიშნავენ, ეძებენ და ისევ ინიშნავენ. მერე დაჯდებიან და ღამეებს სიტყვების შერჩევაში ატყემლის-

ფერებენ. ლექსზე იმდენს წვალობენ, იმდენს აშალაშინებენ, რომ გათენებისას თეთრი ლექსი რჩებათ.

– თეთრი ლექსი როგორია? – გაუკვირდა რუსთაველს, – ასეთი რამ არ გამიგია.

– ურითმო ლექსია, – უთხრა აკაკიმ – ვერლიბრს ეძახიან. ბევრი მიმდევარი ყავს.

რუსთაველმა გაიღიმა.

მიგვიხმო. ერთმანეთის გასწრებით მივეახლეთ.

– წამიკითხეთ, რას წერთო! – გვითხრა.

წავუკითხეთ.

ყველა ლექსი ზეციდანდ იწყებოდა და ზეცით თავდებოდა.

მშრალი სიტყვების რახარუხმა ზეცა შეანჯღრია, სანაპიროზე მტვერი დადგა.

რუსთაველმა შეჩერება ბრძანა.

ამოიოხრა.

– დიდთა ვერ მოჰკლავთ ნადირთა... – თქვა სინანულით.

უბის წიგნაკები და საწერ კალმები ყველას წაგვართვა და მიწით დაგვითხუპნა... უბის წიგნაკები ზღვაში გადაყარა. მე შემეშინდა, პოეზიას ასე ადვილად ვერ დავთმობდი...

– ვისაც კალამს დავუბრუნებ, წერა იმან გააგრძელოს, ვინც ისე დარჩება, თავისუფალია ამ ხელობისგან. ლექსი ვერც ყანას მომკის, ვერც გაგაძღებს და ლექსმა შეიძლება ყანაც მომკას და კიდეც გააუკვდავოს პოეტი. ლექსმა შეიძლება სამყარო ააფეთქოს ან დაამშვიდოს. მაშ ასე, ვიწყებ კალმების დარიგებას.

ჩვენ ფერი წაგვივიდა.

ყველას პოეტობა გვინდოდა. პოეტობაც არის და პოეტობაც, სახელოვანი პოეტები გვინდოდა ვყოფილიყავით. ჩვენ უნდა გვტკენოდა სამყარო და სიცოცხლე. ბევრი გვეცინა და ცოტა გვეტირა. ტირილშიც იქნებოდა სიცილი. სიცილი კი არა ხარხარი. ხარხარი ცრემლისა და სინანულისა, განშორებისა და ახლოს ყოფნისა...

– გამოდით რიგიდან, – უბრძანა ოთხ ჩემნაირს და კალმები გადაუყარა. – წადით, მოთოხნეთ, მომკეთ. ისიც ლექსია, სიმღერაა, სიხარულია.

შემდეგ ოთხეულს იგივე გაუმეორა.

ჩემი ჯერიც დადგა. თვალები გამიფართოვდა. რატომღაც მჯეროდა, რომ კალამი აუცილებლად მერგებოდა. მჯეროდა და მერგებოდა, მერგებოდა და მჯეროდა...

– ეს კალამი ვისია? – იკითხა სხვათა შორის.

– ჩემია! – ვთქვი მე და ხელი გავიწოდე. ვგრძნობდი, რომ ავტოკალამს მაძლევდა.

* * *

– წამოდექი, წამოდექი, – ჩამძახა ანიელმა და გამომაღვიძა. – ადრე დაგიძინია, ბალღო. მოიცა, ეს რა ფერი გადევს?.. ცუდად ხომ არა ხარ... მთისჰაერმა დაცდა იცის, მიდი, პირი დაიბანე, გამოცოცხლდები.

ზლაზვნით წამოვდექი.

პირი დავიბანე, გამოვცოცხლდი. ამნაირ გამოცოცხლებას სიკვდილი მერჩია...

მოსვენება დავკარგე. რაც მესიზმრა, ყველაფერი ხელახლა გავიაზრე. გული მიგრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო იმაზე უარესი, რაც ზღვის პირას ვნახე.

ტყის პირას კურდღელი დავლანდე.

ანიელს ხელი წავკარი, მივახედე. არ განძრეულა, თითქოს კურდღელი ვერც შენიშნა.

– ესროლე ანიელ, რაღას უცდი, – ვეჩურჩულები.

– არ ვესვრი...

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ტყეების დაცვა მე მავალია, ასეც რომ არ იყოს, კურდღელს მაინც არ მოვკლავდი...

– თოფი რაღად გინდოდა რომ წამოიღე, თუ არ ვინადირებდით და არაფერს მოვკლავდით.

– ღამით, თუ მგელი ან დათვი დაგვესხმება, იმას ვესვრი, კურდღლის მოკვლა რა ვაჟკაცობაა.

დავუსტვინე.

კურდღელი ელდანაცემივით გაიქცა... გული დამწყდა, რომ ცოცხალი გადარჩა. კურდღელი, რა თქმა უნდა, არაფერს მიშავებდა, მაგრამ მე მასზე ძლიერი ვიყავი და უნდა მომეკლა. მერე ცეცხლს დავანთებდი. კურდღელს გავატყავებდი და ხორცს მადიანად შევექცეოდი.

ხევხუვებზე ბინდი დაეშვა.

საიდანღაც გრილმა სიომ დაბერა. ბალახებმა მოიწყინეს, ყურები ოდნავ ძირს დაუშვეს, გაინაბნენ. შორს, ძალიან შორს, ჭიუხთა წვერი გამოჩნდა. ზოგან ბინდისფერი შედგომოდა, ამ უკარებელ მასპინძელს.

ანიელი ქოხისკენ წამიძღვა.

ვივახშმეთ. ვისაუბრეთ. ცეცხლი არ დაგვინთია, რადგან შესაწვავი არაფერი გვქონდა და არც სიცივე გვაწუხებდა. ანიელმა ზურგჩანთა თავით ამოიდო და ძილინებისა მისურვა. მე დაძინების მეშინოდა. ქოხიდან გამოვედი, ბალახები მოვგლიჯე, როგორც ანიელმა მირჩია და თავით დავიდე.

როგორც იქნა, ჩამეძინა.

ჩამეძინა და... მოვკვდი. კუბოში ჩამაწვინეს. გამაპატიოსნეს.

ჩემი დასაფლავების დღე კვირა იყო...

ჩემსავით უბრალო და სახელდახელო კუბო გაეკეთებინათ. თავთან ყვავილები მეწყო. ყვავილები სიცოცხლეშიც ძალიან მიყვარდა და ალბათ ეს გაითვალისწინეს. მთელი სოფელი ჩვენთან იყო შეკრებილი. ნათესავები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ.

თავთან სანთლები მენთო.

გამთენიისას ჩემს უმცროს ძამიკოს ახალი ყვავილები მოქონდა. თავთან მიწყობდა, დამყურებდა, ტუჩები და ხელები უცახცახებდა, გული უთრთოდა.

მერე ჩამეკონებოდა.

ჩემი განშორება უმძიმდა. ხელებს სახეზე მხვევდა, ცრემლს მაღვრიდა. ასე ვიყავით მანამ, სანამ ოთახში ვინმე არ შემოვიდოდა და ჩემს ძმას გარეთ გაიყვანდა.

ჩემი ძამიკო გადიოდა, ეზოში ვაშლის ძირში ჯდებოდა. ეს ვაშლი ერთად დავრგეთ ორივემ. ვენახიც გავაშენეთ.

იგი ვაშლსა და ვენახს შეჰყურებდა. შეჰყურებდა და ტიროდა. ტიროდა და შეჰყურებდა. სოფელში ხმა დაერხიათ, ლექსების წერამ გადარია საწყალი და უდროოდ ამოხადა სულიო.

ბავშვებს საწერ-კალმები დაუმალეს, გარეთ არ უშვებდნენ – დაწერილ ფურცლებს უხევდნენ, თქვენც გაგიჟდებითო.

შაბათ საღამოს, ჩემი დასაფლავების წინა დღეს, ჩვენს ეზოში თეთრი ცხენი შემოჯირითდა. ცხენზე გოგონა იჯდა. გოგონას შავი კაბა ეცვა. მხრებზე ყორნისფერი თმები დაჰფენოდა. ზღვისფერი თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხენი კიბესთან შედგა. გოგონამ ზე აიწია, დამხვდურთ ნაღვლიანი მზერა მოავლო და ცხენიდან მსუბუქად დაეშვა.წამოდგომა ვცადე. მინდოდა მეყვირა, ცა და ქვეყანა შემეძრა, მზეს და მთვარეს

მივწვდომოდი... მივწვდომოდი და მეთქვა, რომ ის დაბრუნდა... დაბრუნდა მაშინ, როცა მე აღარ ველოდებოდი, მან გაიგო ჩემი სიკვდილი...

გაიგო და მოვიდა...

მოვიდა და გაიგო... წამოდგომა მომინდა. თითქოს მხრები წამოვიწიე, თითქოს ნაბიჯის გადადგმა მოვინდომე, მაგრამ მე მკვდარი ვიყავი და ეს ცდა ჩემში ან სხვაში დარჩა.

ეს გოგონა მკვდარსაც მიყვარდა და ცოცხალსაც. მშობლები ყავდა გულღრძო. ჩემთან შეხვედრას უშლიდნენ. უკეთესი სასიძო უნდოდათ: ლამაზი, თანამდებობის მქონე და სასიქადულო.

გოგონას ჩემსავით უყვარდა ყვავილები, მიწა, ზეცა, სიცოცხლე...

გული, ერთავად, სულ ბუნებისაკენ მიუწევდა. ხსნას და სიმშვიდეს ბუნებაში პოულობდა. იგი ჩემი იყო. (ამას მე ვფიქრობდი) ის იყო ჩემი და არავისი. მისი სული ვერავის დაიტევდა და ის არავის სულში არ დაეტეოდა...

ჩემზე გავრცელებული ჭორების არ სჯეროდა. უფრო სწორად, არ უნდოდა დაეჯერებინა.

დაუპატიჟებელი სტუმარი არავის მისალმებია.

მომიახლოვდა. მოვიდა. მინდვრის ყვავილები მომიტანა. სველი, ცვრიანი ყვაივლები ჩემსავით მოეკლა. მოეკლა და მოეტანა. მოეტანა მკვდარი მკვდრისათვის. გაუცივებელი სიცოცხლე გაუცივებელი სიცოცხლისათვის.

დაიხარა.

– ბეჟან! ჩამჩურჩულა, სიცოცხლეში ვერ გავბედე... ვერ გავბედე მეკოცნა შენთვის... ახლა კი... ახლა გაკოცებ... გახსოვს? – ერთმანეთის მაგივრად ყვავილებს ვკოცნიდით ხოლმე... მშობლებს ახლაც გამოვეპარე... შენი სიკვდილი რომ გაიგეს, გაუხარდათ.

– წამომყვები? – ვეკითხები უხმოდ.

– ვერა... ვერ წამოგყვები!!!

– რატომ მოხვედი ჩემთან, მკვდარს მაინც დამეხსენი...

– ვერ დაგეხსნები...

– მითხარი, სიკვდილის გეშინია? – ვეკითხები უკითხავად.

ხმა არ გამცა.

ყვავილები გულზე დამაწყო. თბილი, ჩემთვის შორეული თითები სახეზე მომისვა, მომიალერსა.

– სიკვდილის არ მეშინია, – მითხრა უხმოდ, – სიკვდილი არაა საშიში. სიკვდილი ლმობიერებაა... სიკვდილი მოგკლავს და მოგასვენებს. სიცოცხლე გაწვალებს, გაშინებს, გაიმედებს და ბოლოს მაინც სიკვდილს ჩაგაბარებს...

ოთახში, სადაც მე ვესვენე, ჩემი ძმა შემოვდა. გოგონა ლანდივით გაქრა. გაქრა ცხენიც, ძმაც, ხალხიც და ყველაფერი, რაც კი ოდესმე მენახა. დები არ მტოვებდნენ, ტიროდნენ, თმებს იწეწავდნენ, მერე დედას ამხნევებდნენ, შენი შვილი არ მომკდარაო, აჯერებდნენ... გულწასულ დედას ჩემთან უნდოდა, მოიწევდა, არ უშვებდნენ.

ბოლოს მარტო დავრჩი.

მარტო საკუთარ თავთან და საკუთავი თავის გარეშე... კვირას, ვახშმობის დრომ რომ მოატანა, ჩვენი სოფლის აღმართზე გამომეღვიძა. მიმასვენებდნენ. ჩემი სამგლოვიარო პროცესია ხუთიოდე კაცისგან შედგებოდა.

აღმართი რომ აათავეს, ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის ერთ განაპირა კუთხეში ჩემი საფლავი გაეთხრათ. საფლავთან დამასვენეს.

თვითონაც დაისვენეს.

ცოტა ხნის შემდეგ მესაფლავემ ბაწრები მოიტანა. თეთრი ზეწარი, რომელიც სახეზე მეფარა, გადამხადეს.სანთლისფერი მედო. საცოდავი დასანახავი ვიყავი.

დაიწყეს ბჭობა.

ზოგი ყვავილებს არ მატანდა მიწაში, ზოგი სასმელს, ზოგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მალე დავემარხე.

მაჯაზე ახალთ-ახალი საათი მეკეთა.

წიკწიკებდა. ისევ დროს ითვლიდა. ერთი ნატვრა მქონდა, ეს საათი შეეხსნა ვინმეს და მისი წიკწიკისგან განვთავისუფლებულიყავი.

სიკვდილის წუთებს რაღა დათვლა უნდოდა?!

ისევ ჩემი გოგონა გაჩნდა.

გაყინულ შუბლზე მაკოცა, თვალებზე თითები გადამისვა. საათი ისე უეცრად შემ-ხსნა, არც გამიგია. საფლავში მძიმე-მიძმედ ჩამიშვეს. ცარიელი თოკები უკან ამოზიდეს. ორიოდე წუთის შემდეგ ქვა-ღორღი დამაყარეს.

თვალები გავახილე.

ვიცოდი მკვდარი არ ვიყავი და ცოცხლად მმარხავდნენ რა მექნა?.. რადგან თქვეს მოკვდაო, მოვკვდი, ხალხის ნებას წინ ვინ დაუდგება?!

მოვკვდი და დამმარხეს.

დამმარხეს და მოვკვდი.

მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ კბილებს ერთმანეთს ვერ ვაცილებდი, რომ ენას თავი-სუფლად ემოძრავა. რომ მეთქვა, მაინც არავინ დამიჯერებდა, მკვდარი ვიყავი და ცოც-ხლებთან რაღა საერთო მქონდა?!

კუბოს ზემოთ ქვების რაოდენობამ იმატა. ქვებთან ერთად მიწასაც მაყრიდნენ. მაყ-რიდნენ და მტკიოდა. მტკიოდა და მაყრიდნენ. მტკიოდა გულთან ახლოს, გულს შიგნით, ქვემოთ, ზემოთ, ყველაფერი მტკიოდა, ყველაფრის ტკივილს ვგრძნობდი.

იმ მიწას მაყრიდნენ, რომელსაც მე ვბარავდი, ვთოხნიდი, ვაბრუნდებდი. ახლა მე გა-დამაბრუნა ამ მიწამ და დამბარავს, დამთოხნის, გაივლის ჩემში და იზეიმებს, იზეიმებს და თავის ღმერთთან კიდევ ერთ უმისამართო ბარათს გაგზავნის.

– შვილოო... შვილოო... – მესმის დაგვიანებული დედაჩემის ხმა.

– ძამიკოო... – ჩამომქვითინებენ ძმები და მიწას ხელით მაყრიან.

– ბეჟან მე... მე სიცოცხლეშივე მინდოდა მეთქვა, რომ...

და უკვე აღარაფერი მესმის.

ხმაზე ვიცანი ჩემი გოგონა იყო. ღმერთმა იცის, რა უნდოდა ეთქვა. ალბათ, მეტყოდა, მებრალებიო.

შებრალებით სიყვარული რაღა სიყვარულია?!

ვებრალებოდე, მერე რა მოხდა. ყველა ცოცხალ არსებას ებრალება ერთმანეთი. ებრა-ლება და მიწას აყრის, ან ისე, უბრალოდ, დაუმარხავად ტოვებს.

ჩვეულებრივი ძილით ჩამეძინა.

მალე გამეღვიძა. ბნელოდა. ჰაერი არ მყოფნიდა. ხელები გავანძრიე. ყვავილები მოვ-სინჯე. დამჭკნარიყვნენ. ყველაზე უფრო მეტად ახლა შემეშინდა.

ვიცი, მკვდარი ვარ, ზემოდან მიწა მაყრია, არავინ მშველელი არ არის და არავის ვჭირდები. მიწას ვინ ჩივის, გულზე მარმარილოს ლოდი მექნება დადებული. ჩემი წილი მი-წა შემოღობილი იქნება. ამ მიწის სიმძიმეც მეყოფა, ლოდი რაღად დამაწოლეთ?!

სუნთქვა მიჭირს.

ზუსტად არ ვიცი, ვსუნთქავ, თუ სუნთქვის მაგვარ პროცესს ვასრულებ... მგონია ვსუნთქავ... ისედაც დაბინდული თვალები კიდევ უფრო მებინდება. ყურში რაღაცები თუ

ვიღაცები ხმაურობენ.

მესმის საშინელი ხარხარი, სტვენა, სიცილი, ვბორგავ. თავს წამოვწევ თუ არა, კუბოს თავს ვარტყამ. მთელი ხმით ვყვირივარ, ვყვირივარ, მაგრამ ხმა არ მაქვს. ტანზე ხელს ვისვამ. ხორცი მაქვს და ვერ ვგრძნობ. საშინელი სუნი ამდის, ვგრძნობ და ვერ ვგრძნობ, ვიხრწნები.

ჭიაღუებმა აქაც ჩამოადწიეს. რა უნდათ, რას მემართლებიან?

უეცრად კუბოს ძირი ეხსნება.

შვებას ვგრძნობ. თავისუფლად ვსუნთქავ. ვეშვები. ვეშვები სადღაც, უსასრულობაში ან დასასრულში... ძალა მემატება. არსებობას ვგრძნობ. დამჭკნარი ყვავილები ჩემთან ერთად ეშვებიან.. ძარღვებში სისხლი მოძრაობს. გული ფეთქავს. ტვინის რომელიღაც უჯრედებში ქაოსია, რაღაც ახალი იწყება.

– ო, ნეტავ ისევ მიწაზე დამაბრუნა!

დამაბრუნა თუნდაც ერთი დღე, ერთი წუთით, ერთი წამით...

ვიღაც ხელს მავლებს და მექაჩება. ხმას არ მცემს. ჩემზე ძლიერია, მკლავი ვერ მოვუხარე. ბნელა. ვეცემი. არაფერი მტკივა.

ვეცემი და ყველაფერი ნათდება. ჩვეულებრივად დავდივარ. წინ გზა მიდის. უკან არაფერია. გზა თითქოს აქედან იწყება. იქით-აქეთ კედლებია. ორივე მხარეს ერთნაირი მდინარეები მოჰქუხან. ორივე უცხოა და ორივე მტკვარს მაგონებს. გზას მივყვები. გზადაგზა ყვავილებს ვხედავ.

მახსოვს: მკვდარი ვარ. დამმარხეს. დამიტირეს. საყვარელმა გოგონამ გამომაცილა, საათი შემხსნა...

– ო, რა კარგი ქნა, საათი რომ შემხსნა!

აქ ცა არ არის. ძირს და ზემოთ მიწაა. მიწა გაცისკროვნებულია უცისკროდ და ცის გარეშე. მდინარეები მოდიდებულან. საიდან მოდიან, მაინტერესებს. უკან არაფერი ჩანს, წინ ყველაფერი ნათელია. გზას ალაყაფის კარები მიღობავს.

ვუყურებ. ჩვეულებრივი რკინის ალაყაფია, არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლეში ნანახისაგან. მიკვირს და ვერ გამირჩევია: ესაა საიქიო, თუ ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე. აქ ხალხი იქნება. ალაყაფის იქით დიდი სახლები ჩანს. ყველაფერს გავიგებ.

ალაყაფზე დიდი ასოებით აწერია:

ს ა ა ქ ა ო

მოვსულვარ. ალბათ ამათი საიქიო იქ არის, საიდანაც მოვიდნენ. ალაყაფის კუნჭულში პატარა კარია. ამ კარში შევდივარ. ათიოდე ნაბიჯს ვადგამ და წინ ჯუჯა კაცი მეღობება. სახემოსვრილი, წვერგაუპარასავი. დიდი, დატოტვილი თითები აქვს.

– საით? – მეკითხება.

– საიქიოში, – ვეუბნები.

– ჰიჰი, ჰი, ჰიჰი, – იცინის, – საიქიოდან მოხვედი. ახლა სააქაოში ხარ. მე ჩამოგათრიე მაღლიდან. მატლები გჭამდნენ. იქ, ზემოთ, შენისთანები ბევრი რჩებიან. აქ ჩამოყვანას ვერ ეღირსებიან. სადაც დამარხავენ, იქ დალპებიან. შენი ჩამოყვანა ჩვენმა უფალმა მიბრძანა.

– ბოდიში, უკაცრავად, – ენა ამერია, – ვინ არის თქვენი უფალი?

– ამიერიდან ჩვენი, – შემისწორა ჯუჯამ, – ამიერიდან ჩვენი უფალი სიკვდილია, ილოცე მისთვის.

ახლა მე გამეცინა.

ჯუჯას გაუკვირდა, ასე თავხედურად რომ გავიცინე. მე კი ვიფიქრე: სიცოცხლზე არასდროს მილოცია, სიკვდილზე როგორ ვილოცო – მეთქი.

– წამოდი! – მითხრა ჯუჯამ და წინ გამიძღვა.

წავყევი. ისევ ალაყაფთან მიმიყვანა. ჯუჯა კაცისთვის განკუთვნილ ოთახს რომ მივუახლოვდით, დავეცი. დავეცი და ვეღარ წამოვდექი. საშინელი კრუნჩხვები დამეწყო. ჯუჯა შეშლილივით ახარხარდა. მერე ფეხი დამადგა, გადამიარ-გადმომიარა. მუშტები დამცხო, გამჩენი შემიგინა...

– ილოცე ჩვენს ღმერთზე. – მითხრა და და წიხლი შემინაცვლა. ახლა უფრო ღონივრად, შეუბრალებლად.

– მე ღმერთი არ მწამს.

– რწმენა გაქვს?

– მაქვს.

– მაშინ შენს რწმენაზე ილოცე, შენი რწმენა – შენი ღმერთია. მე სიკვდილი მწამს და სიკვდილი ჩემი ღმერთია, შენი ენით რომ ვთქვათ.

რაღას ვიზამდი.

უაზრო სიტყვები ჩავიბუტბუტე, სიკვდილზე მაინც არ მილოცია.

კრუნჩხვებმა გამიარა.

წამოვდექი. ჯუჯა თავის ოთახში შემიძღვა.

– შენი გვარი? – შემეკითხა.

დავიბენი.

ჩემი გვარი ისევ მახსოვდა, მაგრამ გამხელა არ მინდოდა.

– შენი გვარი? – გამიმეორა.

– არ მახსოვს, ბატონო.

– მე ბატონი არ ვარ.

– აბა, ვინ ბრძანდებით? – ვეკითხები შიშით.

– ამას მერე გაიგებ.

თვალი თვალში ისარივით გამიყარა. აღარ ხუმრობდა.

– გვარი მითხარი!

– არ მახსოვს-მეთქი.

– სტყუი, გახსოვს, ჩვენ ყველაფერი ვიცით. (ეს შესაშინებლად მითხრა) შენ, სულ ერთია, იქ მაინც ვერ მოხვდები... უმჯობესია თქვა. ან იტყვი, ან ეწამები...

– როგორ, – გამიკვირდა მე, – სამოთხე და ჯოჯოხეთი მართლა არსებობს?

– არა!

– აბა სად მაწამებთ?

– აქვე, ჩემს ოთახში. შენ გინდა უსახელო მკვდრებში მოხვდე, მოისვენო, ფეხი ფეხზე შემოიდო, დამშვიდდე. შენ გინდა მოისვენო და თოხი აგცდეს...

დავინტერესდი.

– უსახელო მკვდრები ვინ არიან?

– გაიგებ, – ჩაილუღლუღა და გაიმეორა.

– შენი გვარი??

– ხარაიშვილი.

– სახელი?

– ბეჟანი.

მოზრდილი სია გადმოიღო. ჩამწერა. მერე წამოდგა, სიამოვნებით დაამთქნარა და ოთახიდან გამომიძღვა.

ცოტა ხნის მერე მთელი ქალაქი მომატარა. სახნავ სათესები მაჩვენა. არაფერი გამკვირვებია, ჩვეულებრივი ცხოვრება იყო, ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.

ტყის ნაპირზე მივედით.

აქ მწვანე სიმინდის ყანა იყო. ჯუჯა კაცმა სადღაც თოხი მოძებნა. ყანის თავში დამაყენა. ქვემოდან, პაპანაქება სიცხეში ყანას ჩემი ტოლი ბიჭები თოხნიდნენ.

– დაიწყე! – მითხრა ჯუჯამ.

გამიკვირდა. ყანა ზემოდან ქვემოთ არასდროს მეთოხნა.

– დაიწყე! – გამიმეორა და თავში ხელი წამცხო.

დავიწყე, მეტი რა გზა მქონდა.

ჯუჯა არ მომშორებია. ფეხდაფეხ მომდევდა.

დავიღალე. არ შემასვენა. იქ, იმ ყანაში და იმ ქვეყანაში, დღე და ღამე არ არსებობდა, შეუსვენებლად ვთოხნიდი.

სიცხე თანდათან მატულობდა.

ბიჭები შემიერთდნენ. ყანა ზემოდან გათოხნილი მქონდა, მაგრამ ბიჭები მაინც არ შეჩერებულან

თოხნა გააგრძელეს.

მეც გავაგრძელე. ჯუჯა დამშორდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. დავრწმუნდი: კაცი ვერც მკვდარი მოისვენებდა, ვერც ცოცხალი. სახე ოფლმა დამისველა, ამეწვა.

სულ მალე ყანის ბუღში აღმოვჩნდი.

თოხი დავაგდე. წელში გავიმართე.

სული რომ მოვითქვი, თვალი ყანის თავისკენ გავაპარე. ბიჭებს აღმა თოხნა დაემთავრებინათ და ახლა დაღმა მოჰყვებოდნენ.

ჯუჯა დაბარებულივით მოვიდა. იქვე, ყანის ბოლოს, ბალახებში ჩაჯდა. მიმიხმო. მივედი.

– მიიხედ-მოიხედე! – მითხრა.

მივიხედ-მოვიხედე. ჩვენგან მარჯვნივ, გამწვანებული პალმების ქვეშ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი ისხდნენ.

რაღა თქმა უნდა, ვიცანი.

ისვენებდნენ. გალაკტიონი თუთუნს აბოლებდა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. მგოსნები აუჩქარებლად საუბრობდნენ. ხანდახან თვალს ჩემკენ აპარებდნენ. ეს მე მეგონა ასე.

– მკითხე, რაც გინდა! – ჯუჯამ ნება დამრთო, – დასაწყისისთვის შენი მუშაობა კმარა, მალე იმ ბიჭებს შეუერთდები, ხელი ზემოთ გაიშვირა, პალმის ჩრდილისკენ გავიხედე.

– ყური მიგდე, – მითხრა ჯუჯამ, – შენ რომ სიკვდილზე გელოცა, აქაურობას საერთოდ ვერ ნახავდი. წაგიყვანდი მეორე ადგილზე, სადაც სახლებს აშენებენ... აშენებენ და ანგრევენ... ცოტას ჭამენ და ბევრს მუშაობენ. ყველას სახლებს უშენებენ, თვითონ უსახლკარონი არიან. სახლის ეზოშიც ვერ შედიან თუ ჩემი ნებართვა არ ექნათ.

– სიკვდილს ჯიუტი ხალხი უყვარს, – ამბობს და უშნოდ იღრიჯება, – სიამოვნებს, როცა მას ეჯიბრებიან, ედავებიან, სახელს უტეხენ. იცის, ბოლოს თვითონ რომ გაიმარჯვებს და დამმარცხებელს დაამარცხებს. სიკვდილს საბოლოოდ ვერავინ მორევია, თუ მოინდომა სიკვდილი თქვენს ღმერთსაც მოკლავს.

– როგორ? – მიკვირს მე და ისევ პალმებისკენ ვიყურები.

– სიკვდილს უფლება აქვს მთელი სამყარო არარაობად აქციოს, მას შუძლია კაცობრიობა მოსპოს... მოსპოს და არ დატოვოს ძეხორციელი... ამით თქვენი ღმერთი მოკვდება, შემქნელი და თაყვანისმცემელი აღარ ეყოლება. სამყარო დარჩება, მაგრამ შემმეცნებელი აღარავინ იარსებებს, შემეცნების გარეშე კი სამყარო და მის ირგვლივ არსებული მოვლე-

ნები არარაობაა. არარაობა და სიკვდილი ძმები არიან...

– სცდებით, ბატონო! – ჯუჯას თვალს ვუსწორებ, – ღმერთი ადამიანის შექმნილი არ არის, პირიქით, ღმერთმა შექმნა ადამიანი.

ჯუჯა ისევ დაიღრიჯა.

– ადამიანის ფანტაზიამ შექმნა ღმერთი, – მეუბნება და ისტერიულად ხარხარებს, – შენ რომ მაგდენი იცოდე, ახლა იქ, იმ ხალხთან იქნები. – ხელი პალმებისკენ გაიშვირა.

მივიხედე. პოეტები ისევ დინჯად საუბრობდნენ.

– ეგენი ვინ არიან? – ვკითხე ჯუჯას გამოსაცდელად, – რა ხელობის ხალხია?

– არ ვიცი.

– იცი და მალავ, ალბათ, ჯერ საკმარისი ნდობა ვერ დავიმსახურე თქვენთან.

– მე კი არა, მაგათი ვინაობა ჩვენმა ღმერთმა ანუ სიკვდილმაც ვერ დაადგინა. ეგენი უსახელო მკვდრები არიან.

– რატომ არიან უსახელო მკვდრები, მათი სახელები მე... – კინაღამ წამომცდა ვიცი მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც უხილავმა ძალამ ენა დამიბა.

– გაიმეორე ეგ წინადადება!

გავიმეორე. „მეს“ შემდეგ ენა ისევ დამება.

– სწორი ხარ, – მეუბნება, – შენ გინდა თქვა: მაგათი ვინაობა ყველასი ვიციო, მაგრამ ენა სწორედ ვინაობაზე გებმება. შენ მაბეზღარა ხარ. სხვაც ბევრი ჩამოვიდა შენნაირი, როცა ეს ტბა გაჩნდა და ეს ხალხი აქ მოვიდა, სიკვდილმა ვერაფერი გაიგო. მის მერე აღარ აინტერესებს მაგათი ვინაობის გაგება.

მაგ ხალხს თავისი სახელები იქ დაუტოვებიათ. სადაც ცხოვრობდნენ. აქ საკუთარი სხეულის გარდა არაფერი ჩამოუტანიათ. ღვაწლი და ამაგი მოკვდავთათვის დაუტოვებიათ. მაგათი სხეულიც აღარაფრად ვარგა. ნატანჯი, ნაგვემი, ნაწამები სხეული და დაღლილი ტვინები აქვთ. უსახელო მკვდრებს სიკვდილი სახელებს არ არქმევს. ტბის პირას, პალმების ძირში აჯენს და ანებივრებს. ეს ტბა უსახელო მკვდრებისაა და მასთან ახლოს სახელიანი მკვდარი, თქვენ ენაზე რომ ვთქვათ, ვერ მივა. შენ კი, ასე პატარა ბავშვს, პალმის ჩრდილში ჯდომა მოგიწევს.

– სამოთხე ყოფილა! – ვამბობ ჩემთვის.

ჯუჯამ წამოიწია, წასასვლელად მოემზადა.

– სამოთხე აქ არ არსებობს, არც ჯოჯოხეთი, – როგორც ხედავ ისინი, ვინც თავის სახელს ზემოთ, მიწაზე დატოვებენ, ამ ტბასთან დასხდებიან, ვისაც სახელი ჩამოჰყვება, ყველა შენ დღეში ვარდება.

– უკუღმა რატომ მათოხნინებ, კაცი არა ხარ? – ვეკითხები.

– არა ვარ. მე კაცზე დიდი ვარ და კაცზე პატარა... ასე უფრო ეფექტურია თოხნა, ჩვენმა უფალმა ასე გვიბრძანა.

ვის უნახავს ამნაირი თოხნის ეფექტიანობა?

აშკარად მატყუებდა... ზეზე შეშლილივით წამოვვარდი. მივწვდი, მუშტები დავუშინე.

ყელში ვეცი, ჯუჯას გახრჩობა მოვიწადინე.

სამაგიერო სილა მივიღე...

ეს ჯუჯა კი არა ანიელი იყო. კიდევ გამარტყა. როცა დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი, მთელი ხმით ვიღრიალე, ანიელს გულში ჩავეკარი. ავტირდი, ცრემლი ნიაღვარივით ჩამომდიოდა.

ჩემი თავი ისევ საიქიოში მეგონა.

ანიელს სიზმარი თავიდან ბოლომდე მოვუყევი. არაფერი მითხრა. ხელი უიმედოდ ჩაიქნია...

ინათა. მთები გამოჩნდნენ. ნისლებში ჭიუხი აილანდა. არაგვის ჭალაზე სიცოცხლემ იფეთქა. დაბურული ტყიდან ცვრიან ბალახზე სიცოცხლით სავსე შვლის ნუკრი გამოკუნტრუშდა...

ანიელს დილის ძილით ჩასძინებოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი. თოფი მოვპარე... შველს გავხედე. ისევ კუნტრუშობდა. თოფიდან ვაზნები ამოვიღე, მერე თვალები დავხუჭე და ვაზნები გარეთ გავყარე. არასოდეს ისე არ შემშინებია, როგორც ახლა, ამ წუთში...

– მე თოფის გასროლის შემეშინდა...

ლამარა გერგედავა

დაბრუნება

(რევაზ მიშველაძის „ჩხიკვი“)
ესე

სიბერე ჩვენი ცხოვრების საფეხურიაო, ბრძანა ჰერმან ჰესემ: „იყო მოხუცი – ისეთივე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორც იყო ახალგაზრდა...“ გერმანელი მწერალი ესეში „სიბერის შესახებ“ ამბობს: „გზა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შენთვის პატარა გასეირნება იყო, გრძელი და რთული ხდება და ერთ მშვენიერ დღეს ვეღარც შევძლებთ მის გავლას...“ თითქოს, ერთი შეხედვით, ეს სამწუხაროა...

ბატონი რეზოს ნოველაში „ჩხიკვი“ სიბერეს სულიერი დაძაბულობა ჰქვია, მწერლის თქმით, ის მოწყენის ავადმყოფობაა, ესაა მდგომარეობა, როცა შეიძლება ადრე მოწონებულ კლასიკოსთა ნამუშევრებზეც შეგეცვალოს შეხედულება, მხოლოდ იმის გამო, რომ მოწყენილობამ დაგრია ხელი, ანდა იმიტომ, რომ წლებმა შეგმატეს გამოცდილება და სამყარო უკვე სხვაგვარი გეჩვენება...

ნოველა მოგვითხრობს, თუ როგორ შემოიჭრება მარტომყოფი ცოლ-ქმრის ცხოვრებაში სიხარულის სხივი. მოხუცების ოთახში, ერთხელ, ჩხიკვი, ბუნების მოულოდნელი შიკრიკი, შემოფრინდება და მაგიდიდან პურის ნამცეცებს აკენკავს... მერე ის მათი ხშირი სტუმარი ხდება და მოწყენილი ადამიანების ყოფაში სასწაულებრივად ფანტავს მარტოობისა და ნაღველის შეგრძნებას. ლამაზფრთება, დაუპატიჟებელ სტუმარს თან იმედისა და სიცოცხლის ხალისი მოაქვს მათს სამყაროში, პატარა, თავისუფალი და მომხიბლავი მხრებით... მერე, თერთმეტი დღით გაუჩინარებულმა, თან წაიყოლა მოხუცთა იმედი. ისინიც დარდობდნენ. ერთ დღეს, ისევ მოევლინა იგი მათს უფერულ ყოფას, მოიტანა დიდი სიხარული და ოდასახლის ბინადართ ისიც კი მოასურვა, ფოტოზე აღებეჭდათ მისი ხელახალი მოვლენა.

ცხოვრების ბედნიერი წუთები, თუნდაც დროებითი, იმედებიცა და ახდენილი ოცნებებიც, შეჩერებულ კადრებსა და დასამახსოვრებელი ფრაზას ემსგავსება ზოგჯერ, აი, ისეთს, გოეთემ რომ თქვა: „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი ნოველის, „ბედისწერის თეატრის“, პერსონაჟ მომაკვდავ ქალს, მართას, თავის სახლში შემთხვევით მოხვედრილი, შექსპირის დროინდელი ფუშფუშა კაბით მოვლენილი ოფელია, სულეთის ანგელოზად მოეჩვენა. უცხო სტუმარმაც იცრუა, დაუდასტურა, სწორედ ისა ვარ, მაგრამ შენს წასაყვანად არ მოვსულვარო. ავადმყოფმა ღმერთს მადლობა შესწირა, მალე წამოდგა, გაიარა და ამით ყველა გააკვირვა...

ო'ჰენრის პერსონაჟი („უკანასკნელი ფოთოლი“), ავადმყოფი გოგონა, ფანჯარას შეჰ-

ყურებს და ფიქრობს, უსურვაზის ხეს რომ უკანასკნელი ფოთოლი მოსწყდება, მეც გარდავიცვლებიო. მოხუცმა მხატვარმა, ბერმანმა, საშინელ, ქარიშხლიან, წვიმიან ღამეს, მსგავსი ფოთოლი შექმნა, ხეზე ჩამოკიდა და გოგონას, დილით, სიმშვიდე მოჰგვარა „უკანასკნელმა“ ფოთოლმა, ის გადარჩა, კეთილშობილი ბერმანი კი, რომელმაც იმედი ჩაუსახა, გარდაიცვალა.

... ჩხიკვი იმედთან ერთად შემოფრინდა მოხუცებთან, რეზო მიშველაძის ნოველაში. როცა მას კითხულობ, თითქოს, ერთბაშად, სამყაროს ათასგვარი ხმა გესმის. ვფიქრობ, თემა ზოგადია... სიბერე ხომ ყველას ხვედრია. მოწყენილობა ადამიანებს, ალბათ, მაშინ იპყრობთ უფრო მეტად, როცა ცხოვრება ერთფეროვანი ეჩვენებათ, პირმშო არ ან ვერ ეხმიანება შორეთიდან მშობლებს, ან როცა მარტოობაში მყოფთა ბედი არავის აინტერესებს...

ნოველაში უამრავი ქვეტექსტია... მასში არც კი ჩანს, აშკარად, ადამიანთა ბედით დაინტერესებული საზოგადოება, ის უნდა შეიგრძნო, მიხვდე, რომ კულისებიდან მაყურებელთა დარბაზისკენ ფარულად მომზირალი მსახიობივითაა. გაზეთი „ენაჭარტალაა“, ტელევიზორიდან პათეტიური, ყალბარტისტული ტონი მოისმის...

„ჩხიკვი“ ნოველაა მარტოობაზე, გულცივ საზოგადოებაზე, იმედზე, მშობლებისა და შვილების დაშორიშორებაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, დუმილსა და მოწყენილობაზე...

... და ისევ მახსენდება ჰერმან ჰესე: „აქ, მოხუცთა ამ ბაღში, ყვავის უამრავი ყვავილი, რომელთა მოვლენაც კი არ გვიფიქრია. აქ ყვავის ყვავილი მოთმინებისა, მარცვალი, კეთილშობილი, ჩვენ ვხვდებით უფრო მშვიდნი, შემწყნარებელნი და რაც უფრო ნაკლები მოთხოვნილება გვაქვს ჩავერიოთ და ვიმოქმედოთ, მით მეტი უნარი გვეძლევა, დავაკვირდეთ და ყური მივუგდოთ ბუნების სიცოცხლესა და ჩვენს თანამოძმეთა ცხოვრებას...“

ამ ნოველას დაბრუნებას ვუწოდებდი, დაბრუნებას სულიერი დაძაბულობიდან, მოწყენილობიდან, სიცარიელიდან, უფერული ყოფიდან.

დიახ, თქვენ მე მიმიხვდით, ნოველის პერსონაჟი მოხუცები დაუბრუნდნენ სიცოცხლეს... ეს ღვთის სასწაულია, ასეთ გენიალურ წუთებს უფალი გვჩუქნის, მწერალი კი ფოტოგრაფიული სიზუსტით, უბრალოდ, შეულამაზებლად, მაგრამ სიმართლით გადმოგვცემს. სანამ ამ სტრიქონებს დავწერდი, უნებლიეთ, თავდაპირველად, მომეჩვენა, რომ მთელი ნოველა მეტაფორაა, ჩხიკვი შემოქმედთან მიფრენილ შთაგონებას მივამსგავსე, სწორედ ისეთს, დიდი სიხარულის, იმედის მოტანა რომ შეუძლია და რომელიც თავისუფალი და ლაღი, ერთმანეთთან მთელ ქვეყნიერებას, ცასა და ხმელეთს რომ უკავშირებს...

თამარ ჯაჭვაძე



ძალთა ჭიდილიდან

(ამოკენკილი აზრები)

საუკუნეთა მიღმიეთიდან მომძახოდა მე შენი სული. სიზმრად მოდიოდა, სიტყვებად მესიზმრებოდა. ძილთაშორისიდან ლექსებად ამომქონდა და არავინ იცის რა ძალიან მინდოდა მოვსულიყავი და მეთქვა შენთვის – მე შენი სულის ნახევარი ვარ, სხვა სხეულში, მიპოვე, დამინახე, აღმომაჩინე და გაამთლიანე მარტო ჩემი კი არა, შენივე სული, ჩვენი სული. მინდოდა მოვსულიყავი და მეთქვა, რომ ჩქარი მატარებელივით ჩაიქროლებს სიცოცხლე. მატარებლები მგზავრებს არ უცდიან, მგზავრი ელოდება მატარებელს, მერე

აემგზავრება და... რა სწრაფად მიჰქრის სიცოცხლის მატარებელი! რა მალე გამოჩნდება ხოლმე ბოლო გაჩერება!

მე კი სივრცეებს ვეჩურჩულები – სადა ხარ ამდენი წელია, სადილი გაცივდა! არარსებული სიყვარულის სანელებელს რომ ვაფრქვევდი დაუნანებლად! გულიც ცივდება, ხელიც, გრძნობაც. ნელა-ნელა ყველაფერი ცივდება, ცვდება. ტკივილებიც კი ცვდებიან. ცვდება ადამიანი. ჩვენი ცხოვრებად მოსჯილი წუთიერებაც ჩამოცვეთილა მარადისობის მაჯაზე. მიიპარება სიცოცხლე, რომელიც საკმაოდ მოკლეა იმისათვის, რომ განშორებებით აავსო. ჩვენ კი, ჩვენ მარადიულ განშორებებში ვცხოვრობთ. ძალიან მოკლეა შეხვედრები და ძალიან გრძელი და მრავალი განშორებანი.

როგორ სხვადასხვანაირად ინელებენ განშორებას ადამიანები! როგორ ცივდებიან კაცები! ქალი? მარტოობაში ბერდება ქალი... და ეს ძველისძველია და ქართული.

კაცები? კაცები ბედურებივით ხართ. საკენკს სადაც დაგიყრიან, იქით გაფრინდებით ხოლმე. ვიცი, თქვენც ზუსტად ასე ფიქრობთ ქალებზე! მე კი, ჩემი ცრემლის მარცვლები საწებელივით გავურიე იმ საკენკს, რომელსაც არც ერთი ჩიტი არ ეკარება. სადაც სიხარულია, სითბო და ალერსი, იქით მიფრინავენ ჩიტები.

კაცები ბედურებივით ხართ, ძალიან იოლია თქვენი მიჩვევა და დაჭერა. თავი მეპატრონე გგონიათ, და ვერც კი ხვდებით, რომ თავად ხართ საპატრონები. თავი ძლიერი გგონიათ და ისეთი უსუსურები და უნებისყოფონი ხართ, ზოგჯერ ძალიან მეცოდებით და როგორ მინდა შეგაშველოთ ხელი, რომ გაძლიერდეთ, საკუთარი თავის და სიკვდილის შიში დათრგუნოთ. ნაზია ქალი, მაგრამ ძლიერი. დაგაჩოქებს და... მერე დაჩოქილს მუხლზე გემთხვევა დედამიწის მსუყე ტუჩებით. ცაში აგიყვანს სუსტი ხელებით, რადგან თავად ხარ მისი ძალა და ნებისყოფა!

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის სურვილი და ამიტომაც ვუძლებ ამდენ განსაცდელს, ტკივილს შენმიერს. მხოლოდ შენ უნდა გამამთლიანო, რადგან უშენოდ მე მაინც ნახევარი ვარ, შენი სულის და ხორცის ნახევარი. მე მოვდიოდი დაბადებიდან და შენ გეძებდი, შენ გეძახდა გაუმთლიანებელი სული. ვერსად გიპოვე. მიილია უკვე სიცოცხლე, სულნახევარი.

გეძებდი და ამ ძებნაში ვცდილობდი შენი სიმაღლის ღირსი გავმხდარიყავი. ვცდილობდი დაცემული ადამიანის ფეხზე წამოყენებას. ვცადე ავადმყოფისათვის წამლის მიტანა. ვცადე მშიერისათვის ლუკმის მიწოდება. ვცადე გულმოკლულისათვის გულის იარების ლექსით შეხვევა. ვცადე... ამაოდ!

მიილია სიცოცხლე.

რა საოცრად ბერდება ბუნება! ცოცხალი არსებები. თეთრდებიან ადამიანები, ყვითლდებიან ხეები, ტიტველა მთებს ხომ ნაცრისფერი ჟანგი ედებათ. მე მგონია ხე ვარ, მინდორში მდგარი, ყველა მეხი რომ ეტანება და ასე ძლიერი და გამძლე, შიშით ცახცახებს. მე მგონია ხე ვარ და ყვითლად უნდა დავბერდე. მე მგონია ვიღაცამ ჩემში სულის სანთელი – ყვითლად ანთებული ხე უნდა დაინახოს და არა ქალი, ჩვეულებრივი.

არ მიყვარს დიდაქტიკა. ეს სუსტი და უნიჭო ადამიანის თვისებაა – ვიღაცას რაღაც ასწავლოს და მხოლოდ ამით ამტკიცოს თავისი გონიერება. გონიერი არაფერს ამტკიცებს. გონიერება თვითონ მტკიცდება... სიყვარულივით. გონიერება სწავლა არ არის, არც განათლება. არისტოტელემ როგორ დაწერა თავისი "მეტაფიზიკა", მას ხომ არისტოტელეს "მეტაფიზიკა" არ წაეკითხა და არ ესწავლა! ან რუსთაველმა როგორ დაწერა "ვეფხისტყაოსანი", მას ხომ რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" არ წაეკითხა და წარმოდგენაც არ ჰქონდა მანამდე, ვიდრე დაწერდა თუნდაც ჯერ გონებაში და მერე პერგამენტზე. მარადიულად რომ ვუკიჟინებთ ერთმანეთს ჯერ ისწავლე, გაიზარდე და მერე წერე-ო!

მე სხვას კი არა, საკუთარ თავს ვასწავლი და ვარიგებ ფიქრებში, ჩუმად, ისე, რომ არავინ გაიგონოს:

"ეცადე ყველა ადამიანში დაინახო რაღაც ლამაზი, რაღაც კარგი, დადებითი. ყოველ ადამიანში დევს მარცვალი, რომელსაც სითბო სჭირდება, რათა იქიდან კეთილშობილება ამოიზარდოს. ყოველ ნაძირალაში შეიძლება რაღაც დადებითი დაინახო. ეძიე დადებითი, არა იმ ადამიანებისათვის, არამედ შენთვის, შენი სულისათვის. შენი სული გარდაიქმნება სიკეთის მაძიებლად და არა ბოროტების მთესველად, სწორედ მაშინ, როდესაც სხვა ადამიანებში სიკეთის ძებნას დაიწყებ. ხომ გიყვარს შემოდგომა, ხომ ლამაზია, როდესაც ხეები წითელ-ყვითელ ფოთლებად ბორიალს იწყებენ, ფერებად ბოდავენ, ფერებად იწვიან და დნებიან. ხეში შეიძლება ჩვეულებრივი შეშა დაინახო, ბუხარში შესაყრელი შეშა, მაგრამ შეიძლება წითელ-ყვითელი ოცნებები დაინახო ხეების. ვიცი, გიყვარს ფერებით აალებული, მობრიალე შემოდგომა. ყველას უყვარს, შენც გიყვარს ხე ცოცხალი და ფერებად მეოცნებე. ხოდა, რატომ არ უნდა გიყვარდეს ადამიანებიც ისევე, როგორც ხეში მარტო შეშა კი არა, წითელ-ყვითელი-მწვანე ფოთლები და მისი ფერად-ფერადი ოცნებები გიყვარს.

რა ლამაზი ფერებით კვდებიან ფოთლები შემოდგომაზე! ხომ საოცარია მათი უკანასკნელი ფერწერა! გარდაცვალება აღდგომამდე, გაზაფხულამდე.

ადამიანების უმეტესობას ეშინია სიკვდილის, უმეტესობას სძულს იგი. მე მიყვარს სიკვდილი. სიკვდილი ჩემთვის ერთი ულამაზესი ბიჭია, ხუჭუჭი თმებით, თეთრი, ცისფერი ან ისრიმისფერი თვალებით, ლამაზია სიკვდილი და საყვარელია, მოვა მიგკიდებს ხელს დაღლილს, დაქანცულს და წაგიყვანს სამოგზაუროდ ისეთ ქვეყანაში, რომელ ქვეყანაშიც არასოდეს არ გიმოგზაურია. ამქვეყნიური ამაოებისაგან გათავისუფლებს და წაგიყვანს თავისუფალს იმ სხვა სამყაროში, სულეთში სამოგზაუროდ, სადაც სხეულისაგან თავისუფლდება სული და არის თავისთავადი. ამიტომ არ უნდა გეჯავრებოდეს და არ უნდა გეშინოდეს სიკვდილის. სიკვდილი ერთი ლამაზი ბიჭია. შეიძლება ეს ყველაფერი ლამაზ-ლამაზი სიტყვებია, მაგრამ ცხოვრება რაღაა, თუ სილამაზის ძებნას არ დაიწყებ, თუნდაც სიტყვებით, თუნდაც სულეთში, სასიტყვეთში.. არა, არ უნდა გეშინოდეს სიკვდილის, ის შენთვის მოდის, სხვა სამყაროში წაგიყვანს, შეგაშველებს ხელს, დაგასვენებს. არ არის სიკვდილი მახინჯი, მხარზე ცელგადებული საშინელება. სიკვდილი ლამაზია და ეს სილამაზე შენთვის არსებობს. სიცოცხლის ფასი რომ იგრძნო, გაიგო, თუნდაც იმიტომ. ჩვენ ხომ ვერც ვიგებთ ყოველდღიურად ისე ვუახლოვდებით სიკვდილს... კი, ეს ბუნების თავისებური კანონია, საოცრება კი არა, ჩვეულებრივი სამყაროს მოწყობილობაა, მაგრამ ხომ უფალმა მოაწყო ასე, ხომ უფალი მიგაცილებს, მიგეზიდება სულხორციანად სიკვდილისაკენ. არაფერს არ აკეთებს უფალი შენი სულისა და შენი არსების საწინააღმდეგოდ. მან ყველაფერი შენთვის მოაწყო. დაუჯერე უფალს, მიჰყევი უფლისაგან ნაჩვენებ გზას. იარე სიკვდილისაკენ. იცხოვრე ისე, რომ სიკვდილისაკენ სვლა გაგიიოლდეს. მოეფერე შენს გვერდით მყოფ ადამიანებს და წუთისოფლის გზაზე, შენს წუთიერად გასავლელ გზაზე დატოვე შენი წილი სითბო, სიხარული. სულ პატარა სითბო, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანის სულის გათბობა შეუძლია და ძალიან ბევრი ადამიანი ელის მაგ სითბოს...

მაინც სიკვდილისაკენ მივდივართ, ჰოდა, ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი, შევციცინებდეთ ერთმანეთს თვალებში და სითბოს ვაფრქვევდეთ, თვალებიდან კი არა, მთელი ჩვენი არსებობიდან. და ასე პირნათლად ვიაროთ სიკვდილისაკენ... ჩვენი გზაა ეს სიკვდილის გზა და სიცოცხლე მხოლოდ იმიტომ არის ლამაზი, რომ ბოლოს, სადღაც სიკვდილი გელოდება, ლამაზი ბიჭი, ვინმესათვის შეიძლება ლამაზი გოგო. ოცნებაში გაელვებული პირველი სხივი, პირველი სიყვარული, პირველი გაზაფხული, რომელიც შენი თვალის გუგებზე აირეკლა და მიიცვალა. ეს არის სიკვდილი, მივიწყებული სიყვარულის სახით დაბ-

რუნებული შენი სიცოცხლის ბოლოს. გაიხსენე შენი პირველი სიყვარული, რომელიც სადღაც დაგრჩა ცხოვრების ლაბირინთებში, სიცოცხლის დასაწყისში, სწორედ ის გელოდება იქ, სადღაც, სიკვდილის კარიბჭესთან, ის შენი ოცნება, რომელსაც შეუერთდება სული მარადისობაში სამოგზაუროდ."

მე ერთხელ გითხარი: ამოუწურავი ხარ-მეთქი. ამიტომ გწერ ლექსებად, ამიტომ მოვისწრაფი შენსკენ და უშენოდ მე არარაობა ვარ. რა იცი, იქნებ შენა ხარ ის ჩემი პირველი ოცნება და სიხარული, რომელიც შემოქმედი სულისათვის ესოდენ სასიცოცხლოა. მე შენს გვერდით ვარ ძლიერი. მე შენს გვერდით მიხარია, მარტო სიცოცხლე კი არა, თავად სიკვდილიც, ალბათ ეს არის ყველაზე დიდი სიყვარული! სიყვარული, რომელიც გონიერების საუკუნეში წალეკილია ტექნიკის საოცრებებით და მაინც ყველაზე დიდი საოცრებაა!

იწურება გონება, იჭყლიტება გული. ეჯახებიან ერთმანეთს გონი და სიყვარული, ტვინი და გული. დაუმარცხებელია გული, მას ვერ დაამარცხებ, თავად შენ თვითონ თუ არ დამარცხდი, გაქრი.

რატომ მიილტვის ჩემი ფიქრი გონების ბნელი ლაბირინთების გასამზეურებლად. რა აწუხებს, რა ახეტიალებს იმ სიღრმეებში, როცა სულ უბრალოდ, სულ მარტივი სიტყვებით შეიძლება ითქვას სათქმელი. ავადმყოფი ტვინი ამოახველებს დავირუსებული აზრების კორიანტელს. რატომ? იქნებ არ არის ქალის საქმე ტვინის უჯრედების ჭყლეტა და მისგან ტკბილი სიროპის მიღება?! ქალი ქალია, გული და გრძნობა უნდა დაგიდოს, სატყუარად, სამზარეულოს მაგიდაზე თუ საწოლი ოთახის ქათქათა ზეწარზე. ქალი ქალია და გონება უნდა უარყოს!

ქალი ფილოსოფოსი არ მინახავს-ო – ფიქრის საღერღელი ამიშალა ამ სიტყვებმა. ქალთა ემანსიპაციის გადაჭრაზე არ ვფიქრობ, არც იმის მტკიცებას ვაპირებ, შეუძლია თუ არა ქალს ფილოსოფიური აზროვნება, უბრალოდ მინდა გითხრა, რომ ქალს აქვს თავისი გონებრივი პოტენციალი, მაგრამ უარყოფილი, ისევ გულისა და გრძნობების სასარგებლოდ. ესეც მხოლოდ შენთვის. ფილოსოფია, პოეზიასავით, ხელმოცარულთა გასამართლებელი სიტყვათა ლამაზი თამაში მეგონა და ამ თამაშისათვის, მინდოდა, გვერდი ამევლო, მაგრამ აზროვნების გაბუნდოვანება, კოსმიური წესრიგი თუ სიტყვათა კანონიკური თამაში თვითონ შემოიჭრება ხოლმე ცნობიერებაში და თავს იჩენს იქ, სადაც არ ელი, სადაც არ გჭირდება, სადაც სულ სხვა მხარეს გინდოდა გადაგეხვია. ეს სენი, მზის მარადიული ნათებასავით გონების იმ კუნჭულსაც სწვდება, რომელიც ტაბუდადებული და მარადიულ წყვდიადში გამოკეტილი უნდა დარჩენილიყო და დღის სინათლეზე გამოაქვს აზროვნების ის ნაწილაკები, რომლებიც შეიძლება, მარტო გონებას კი არა, მთელ არსებობას შხამად ექცეს და გააცამტვეროს.

არსებობენ ადამიანები, რომელთა დანახვისთანავე, საოცარი სურვილი გეუფლება – ღირსეული მეტოქე! უნდა შეეჭიდო!

ეს დონ-კიხოტური მარადიული ჭიდილი სხვადასხვა ჭრილში სხვადასხვაგვარად მოსჩანს, – შეიძლება ამბიცია იყოს, სხვასთან შედარებით, საკუთარი "გენიალურობის" გამოსავლენად. შეიძლება მართლა თავის მართლებად ან საკუთარი ხელმოცარულობის დასაფარავად გამოდგეს. შეიძლება თავად ბრძანდები უსუსური მოწინააღმდეგე და ძლიერთან ჭიდილით თავს იმართლებ საკუთარ თავთან: გამარცხებს ძლიერი და არა შენზე სუსტი, ამიტომ შენს გასაძლიერებლად ვიღაცის მოშველება გჭირდება. ამ დროს ჩნდება სიტყვა, როგორც პირველსაწყისი, ნახევრად განსხეულება კოსმიური გონების ანუ ღვთიური სახის, უფრო გასაგებად – უფლის. ეჯახებიან ერთმანეთს ათეისტები და თეოლოგები, მეცნიერები და ბრმად მორწმუნენი, პრაქტიკოსები, იდეალისტები და მატერიალისტები და ბოლო არ უჩანს გამარჯვებას ან დამარცხებას, რადგან დამარცხების აღიარება ნიშნავს მოწინა-

აღმდეგე ძალის გაქრობას და თავად სამყაროს შეჩერებას. დედამიწას ხომ ის ამოუცნობი შინაგანი ენერგია ატრიალებს, რომელსაც შეიძლება ამბოხი უწოდო, შეიძლება სიგიჟე, შეიძლება უბრალოდ სიყვარული, ანდა უფრო გაამატერიალურო (თუ პირიქით) და ღვთიური სახელით მოიხსენიო.

შეჭიდების და შეჯახების გარეშე შეიძლება იმ ენერგიის მიღება, რომელიც ამ მოზუზუნე სამყაროს ამოძრავებს, ეს შინაგანი ძალაა, არა ფიზიკური, არამედ გონებრივი... უფრო სულიერი. ფიზიკური გული და აბსტრაქტული გონება არ შეიძლება მარადიულ ძალთა ჭიდილში ჩააბა, როგორც სიყვარული და სიძულვილი, დღე და ღამე...

ამ ჭიდილის სხვადასხვა მხარეს დგომა, შეიძლება შეჯახებას კი არა, ურთიერთგაძლიერებას გულისხმობდეს, მერე ურთიერთში გადაზრდას და წყალგამყოფის წაშლას. შეიძლება ეს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონით გაამართლო, მაშინ სამყაროში წინააღმდეგობა უნდა მოისპოს, შეწყდეს ომები, კონფლიქტები, მოძრაობა, განვითარება და საერთოდ სიცოცხლე. ფილოსოფია ხომ წინააღმდეგობათა რთული ჯაჭვია და რაღაც დროში პირველსაწყისს უბრუნდება?

ეს დაპირისპირება, რომელსაც მე ძალთა ჭიდილი შევარქვი, ჩვეულებრივ ჩვენს ყოფიერებაში რომ ჩამოიტანო, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ორგანიზმებად დაყო, ირმების და ფოთლების ენაზე მეტყველება გამოვა. შეიძლება ერთმანეთს ვერ მივაწვდინოთ ხმა, მაგრამ ერთი და იგივე ვამტკიცოთ. ჩვენ ერთიდაიგივეს ვლაპარაკობთ, ოღონდ სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა დიალექტზე. მე პოეზიის ენით გესაუბრებით, თქვენ ტექნიკის. თქვენ სადღაც კოსმიური გონების მიღმა ეძებთ იმას, რაც აქვე თქვენს გვერდითაა და თქვენს სულში ხმაურობს. გგონიათ ბედნიერება ძიებაშია, მაგრამ ბედნიერება სწორედ აქვე, თქვენს გვერდით ყვავილი რომ ჭკნება, იმისთვის ხელის შეშველებაშია. ამ ბედნიერებას ადამიანური სიყვარული და თანადგომა ჰქვია. მე მას პოეზიას დავარქმევდი, თქვენ ფილოსოფიას, სხვა ფანატიკოსი - ღმერთს. საერთოდ კი ამ ბედნიერების ძიებას სიყვარული ჰქვია. ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ულევი მარაგი აქვს ამ საოცრების, მაგრამ ადამიანი, რომელიც კმაყოფილია და ბედნიერი სიყვარულის სურნელს ფერების ძიებაში არ იგრძნობს, ყვავილებს არ მიეტრფის და ბუნების წიაღში განმარტოვება არ ესალბუნება მის სულს. შეიძლება ამ საოცრებამ ისე ჩაგიაროს გვერდით, ვერც შეამჩნიო, ვერ დაინახო, შეიძლება ფეხითაც გათელო, ლურჯთვალა იად შემოხეტებული. შეიძლება ისე ჩაიარო მთელი ცხოვრება, ვერ გაიგო რა იყო ის კოსმიურის ძიება, მაგრამ შეიძლება უკეთეს შემთხვევაში სიკვდილის წინ გამოგეცხადოს უსასრულობის დასასრულიდან ჩამოფრენილი სული, ფერია; ღრუბლის, ნისლის თუ უბრალო დილის ნამის სახით და გითხრას: "მე ის ყვავილი ვიყავი, შენ რომ დასახატად ეძებდი. მე ის მარტოხე ვიყავი, ყვითელკაბიანი რომ იდგა მინდორზე, მარტოდმარტო, მზეში და ქარში. ის მწვანეჩოხიანი ხეც მე ვიყავი, სადღაც ტყის შუაგულიდან რომ გეძახდა, მე ის მწვერვალი ვიყავი, პატარძალივით თეთრი კაბით რომ იდგა და გელოდა, სადღაც, კავკასიონის მიუვალ მთებში. შენ ისიც არ იცოდი, მუდამ სადღაც რომ მიიწევდა შენი გული, მე მეძებდი. მე ის ლექსი ვიყავი, შუაღამისას რომ გაღვიძებდა და გამოსახტომი ნაყოფივით უზომო ტკივილით გივსებდა მარტო სხეულს კი არა სულსაც. მე ის ნოტი ვიყავი ზღვის ტალღებზე, ქარის ფრთებზე, შხაპუნა წვიმის ლიკლიკში თუ ტაიგის ტანთეთრა ტყეებში რომ ეძებდი და ასე მიახლოვდებოდი.

მე უსასრულობამ ჩამომაგზავნა ამ სამყაროში ფერებად, ყვავილებად, ფოთლებად, სიტყვებად, ნოტებად – ადამიანური სიმდაბლის და ანგარება-სიბინძურის გარეშე. ვცადე შენთვის მესწავლებინა არა გონების ხლართებში ძრომიალი და მიუწვდომელის მეცნიერული გამარტივება, არამედ იმ ახლოს მყოფი სიმარტივის (თუ სიმარტოვის) აღიარება.

რატომ მიელტვი იმას, რასაც შენი გონება ვერ მისწვდება ადამიანო! უბრალოდ იწამე, იწამე არა კოსმიური გონის, არამედ უბრალო ღვთიური სულის არსებობა. ნუ მოივლი ზესკნელ-ქვესკნელ-შუასკნელ-გარესკნელს, ნუ მიელტვი შეუცნობელის შიშით შეპყრობილი სამ-ოთხეს. მე აქა ვარ, შენს გვერდით, რათა ხელი შეგაშველო, როცა გიჭირს, სიცოცხლე მართლა გაგიხალისო, როცა გილხინს. ხელში აყვანილი გატარო, როცა დაიღლები და დაეცემი, დაგეხმარო, ოღონდ შემომიშვი შენს გულში და მერე იმ გულის ხმას მოუსმინე და დაუჯერე. ნუ ეძიებ მეცნიერულ დასაბუთებას ყოველივე იმისას, რაც გიღრღნის ცნობისმოყვარეობას და გიღიზიანებს პატივმოყვარეობას. და რომ ვერც კი იგებ, ისე ამაყდები და ამპარტავნებაში ვარდები (თუმცა უარჰყოფ). მიწოდე უბრალოდ ღმერთი და არა მსოფლიო გონი. სიყვარული და არა მეცნიერება.

შედარებითია ხანგრძლივობა; სიცოცხლის, სამყაროს, აზრის, ქმედების...

წუთიერია არსებობა; ორგანიზმების, ფლორა-ფაუნის, ადამიანის...

შედარებით ხანგრძლივი; სამყაროსი, გალაქტიკების...

უარყავი, ყველაფერი, რაც აზროვნების აბლაბუდას თუ კოსმიურ წესრიგს იტევს და დატკბი წუთიერი მშვენიერებით – ეფემერებით, სიცოცხლით. მიუტევე მიუტევებელი და წამის მემილიონედი ნაწილიც არ გაატარო სიყვარულის გარეშე. რადგან სწორედ სიყვარულია ის ღმერთი, რომელსაც ასტრალების გარეთ ეძებდი, ტვინის ჭყლეტით და იმ გულის ფეთებით, რომელშიც იმ ღმერთის - სიყვარულის ადგილი იყო.

შემომიშვი შენს გულში, მე სიყვარული ვარ!

და, რომ არც გინდოდეს აღიარება, სიკვდილივით გარდაუვალი!"

შენ შეგიძლია იმ უსასრულობის ძახილს არც კი მოუსმინო,

მე კი არ მინდა ასე ცივად დასრულდეს ჩემი სულიდან ამონაჟური გრძნობის სიტყვებად გადმოფენა და ერთ პატარა საიდუმლოსავით გაგიმხელ, სიზმრებში გაელვებულ ხმოვან ფიქრებს. ანდა უბრალოდ, სულ უბრალოდ გეტყვი უკანასკნელ აგონიაში მყოფივით სწრაფად.

მე ის ფერია არა ვარ, მე უფრო მატერიალური ვარ და უბრალოდ, სილამაზის ენით გეტყვი, გეტყვი და მომისმინე: – ის გოგო მე ვიყავი, დროის საათი რომ აგაცალა მაჯიდან, დრო მოვიპარე, დრო გავაჩერე და დროში მოგიახლოვდი, ოღონდ შორს ვიდექი, როცა შემომხედე და ჩემი თაფლისფერი, ტკბილი, მაგრამ მწარეცრემლმორეული თვალები ცივი და ცისფერი გეგონა, ის გოგო მე ვიყავი, შენ რომ ვერც კი მამჩნევდი. მუდამ შენს გვერდით ვიდექი... ცივ მიწაზე წამოწოლილს ჩემი თმები დაგიფინე სასთუმლად... ჩემი სუნთქვის სითბო წაგაფარე ჯიშიან მხრებზე... მე ოთხივე განზომილებაში უსახელო სული ვიყავი, შენი თანამდევი სული. მე გელაპარაკებოდი – შენ სიო გეგონა, მე გეხვეოდი – შენ მიწის მარწუხები გეგონა და გეშინოდა... მე გეძახოდი და შენ სხვას უსმენდი... მე გიწვდიდი მკლავებს და შენ სხვა თითებს ეძებდი... მე აქეთ, ჩემი ჯანსაღი სიცოცხლისაკენ გექაჩებოდი და შენ მუმიათა გაცრეცილ საუფლოში მიგეჩქარებოდა. ვერ მოგახედე ჩემსკენ, ვერ გადმოგძალე... მე შენი სიცოცხლე მებარა და სულ სხვანაირად უნდა წარმემართა იგი, შენ კი ჯიუტად მიიწევდი შენი ხილვების სხვა ქალისაკენ, ის იღებდა შენი ოცნების სახეს, მე კი იქვე ვიდექი და ჩემს უთქმელ სიყვარულს ცრემლად ვდიოდი... ის გოგო მე ვიყავი, რატომ არ მიპოვე, რად ვერ დამინახე, მე ხომ მუდამ შენს გვერდით ვიყავი. იქვე, ძალიან ახლოს ვიდექი, სადაც შენ ლოცულობდი, სხვა ქალზე ლოცულობდი... მე, ჩემი ცისკენ სავედრებლად აწვდილი თითები დაგინთე სანთლებად, შენ კი, ვერ დამინახე, აალებული და მობრიალე. ისე ჩამიარე გვერდით, რომ ერთიც არ შემომხედე და აბა როგორ დამინახავდი...

საოცარი რამაა მანძილი. ხან ძალიან ახლოს გებინდება მხედველობა, ხან პირიქით, შორსმხედველი ხდები. ხან ძალიან ახლოს მყოფს ვერ ამჩნევ, ხან შორეული სივცეებიდან მოიახლოებ სასურველ ხატებას. ზოგჯერ ძალიან ახლოს მყოფი ადამიანი გენატრება, შორს წასული კი – არა. დრო და სივრცე საყვარელ ადამიანს მოგანატრებს, საძულველს გადაგავიწყებს.

ვამთავრებ ახლა დროში და სივრცეში ბორიალს, მივდივარ და ვფიქრობ... თუკი საერთოდ იარსებებს დედამიწა... თუკი ოდესმე ისევ შემოვეხეტებით დედამიწაზე... თუკი ერთსა და იმავე დროში დავიბადებით ისევ, თუნდაც ძალიან დიდი ხნის შემდეგაც კი... იქ, იმ მეორე სიცოცხლეში, ცაში ვარსკვლავივით რომ აკიაფდები, ძირს, მიწაზე დაიხედე ხოლმე... იმ მიწაზე, საიდანაც ასე პატარა ჩუმი და შეუმჩნეველი იები ამოდიან... და თუ მაშინ, ისევ დაგიძახოს ვიღაცის სულმა, ნიავივით ჩუმად დაგიძახოს, აკანკალებული, გაუბედავი ხმით, შეჩერდი, მიაყურადე იმ ნიავის ხმას... გაიხსენე... არ დაივიწყო; სულ პაწაწინა სითბო გაგერიოს იქნება ხმაში.

სულ პაწაწინა, ჩემი წილი სითბო!

სერგი ლომაძე, ***კახა ბაციკაძე***

დიდი გამარჯვება ლაგოდეხის სკოლისა

მეტსახელი „ტატო“ რომ, საქართველოში, პოეზიისა და პოეტების სიმბოლოდ იქცა, ეს არახალი ამბავია. მოგეხსენებათ, - ჯერ კიდევ მეცხრამეტე ასწლეულის პირველ ნახევარში, ტატო ბარათაშვილმა დაწერა ლექსი „მერანი“, რითაც გადატრიალება მოახდინა ქართველი ერის პოეტურ ცნობიერებაში; მერე, უფრო გვიან, - მეოცე საუკუნის ბოლოს, ტატო ნინუა გამოჩნდა, რომელმაც სამი საუკუნის (მეცხრამეტე, მეოცე, და... ოცდამეერთეც!) ცნობიერებით შექმნა უკვდავი ლირიკული ნაშრომი - „ნიცშეს მონოლოგი“...

ეს რაც უკვე იყო.

და რაც არის? და რაც იქნება?

არის ის, რომ დღეს, კახეთში, ლაგოდეხის რაიონში, ცხოვრობს ფენომენალური პოეტური მონაცემების მქონე თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი, - ვუნდერკინდი ტარიელ (ტატო) ხარატიშვილი.

ხოლო იქნება ის, რომ თუკი პატარა ტატოს მონაცემები სწორად განვითარდება, იგი გახდება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანი, პოეტი-პროფესიონალი, ანუ, ეს იგივეა, რაც სუპერპროფესიონალი მოაზროვნე თავისი საქმისა.

ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა შეგვატყობინა, რომ ლაგოდეხის პირველი საშუალო სკოლა იუბილეს უხდის თავის პატარა, მაგრამ უკვე საამაყო მოსწავლეს, და ამ ღო-

ნისძიებაზე ჩვენს აკადემიასაც მიუღია მიწვევა. – თქვენც ხომ არ წამოხვალთ, ჯგუფ „ზღვარის“ წევრები, როგორც აკადემიის წარმომადგენელნიო, - იკითხა ქალბატონმა გულნაზიმ...

ავტომანქანაში დილაადრიან ჩავსხედით. ვიყავით ჩვენ ორნი და გიორგი ზუხბაია (ზუხბა), ასევე ერთი სხვა პოეტიც გვახლდა – ნათი დარიანი. მოკლედ, ოთხმა პოეტმა ქართლიდან (თბილისიდან) კახეთისაკენ ავიღეთ გეზი.

ამინდი-ცვალებადი (ბოლოს მაინც მზემ იმძლავრა). გორაკები, მთები, ტყეები, ველები, უმეტესად – ქათქათა თოვლით დაფარული. თოვლი ათასფერად ირეკლავს მზის სხივებს, თებერვლის თოვლი-თეთრი ბრილიანტი.

დიახ, თორმეტი თებერვალია. ჩვენ მანქანიდან გავცქერით აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) სივრცეებს, რომელიც პოეტურად განგვაწყობს, ფილოსოფიურადაც. ვსაუბრობთ, უმეტესად, პოეზიაზე. ვიხსენებთ იმ დღეებს, როცა ყალიბდებოდა შემოქმედებითი ჯგუფი „მირაჟი“. გავიხსენეთ ჯგუფი „ზღვარის“ (რომელსაც ხანდახან „სუპერზღვარსაც“ ვუწოდებთ) ჩამოყალიბების დღეებიც. ეს იყო ხანა, სავსე ზღვისებრი პოეზიით: ზღვა, ოკეანე შემოდიოდა, თითქოს, პირდაპირ სულში.

მერე მსოფლიო რელიგიების თემასაც შევეხეთ და საფუძვლიანად განვიხილეთ უდიდესი ევრაზიული (მსოფლიო) რელიგია – ქრისტიანობა...

ამგვარ ათასფერ საუბრებში დრო სწრაფად გავიდა და საკმაოდ დიდი მანძილი (თბილისი-ლაგოდეხი) ისე დავფარეთ, რომ განსაკუთრებული დაღლა არ გვიგრძვნია.

აგერ, პირველი საჯარო სკოლაც, რომელიც, როგორც შემდეგ გავარკვიეთ, განათლების მხრივ ერთ-ერთი საუკეთესო უნდა იყოს მთელი კახეთის მასშტაბით, იქნებ - ყველაზე საუკეთესოც კი. შემოგვებებნენ ღონისძიების ორგანიზატორები: სკოლის დირექტორი – ქალბატონი მანანა ჩალაბაშვილი, აგრეთვე: ქალბატონები – დიანა ჯავახიშვილი, ლამარა ხუციშვილი, მერი სპანდერაშვილი, კლარა ტატაშიძე და სხვები.

გასაკვირია, რომ თუმცა უთენია გავედით სახლიდან, ახალ ალიონზე, ლაგოდეხში მაინც ჩაგვასწრო ჩასვლა აკადემიის პრეზიდენტმა – ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა და მისმა გარემოცვამ. ისინიც, ჩვენს მსგავსად, თავიდან ბოლომდე დაესწრნენ ღონისძიებას.

სკოლის დარბაზი სავსე იყო, ძირითადად, მასწავლებლებით, მშობლებითა და, რა თქმა უნდა, მოსწავლეებით. უთვალავი ფერადი ბუშტით მოერთოოთ ეს დიდი ოთახი. ტატო თავიდანვე სცენაზე დაგვხვდა. იგი დინჯად აკვირდებოდა მის ქვევით (დარბაზში) მიმდინარე პროცესებს, ხალხმრავლობასა და ფუსფუსს. მაგრამ მალე სიჩუმე ჩამოვარდა: ღონისძიება დაიწყო.

თავიდან, მუსიკის ფონზე, საყურადღებო ვიდეოკადრები აჩვენეს ტატოსა და მისი გარემოცვის. მერე კი, უკვე, თვითონ ნორჩი პოეტი („ნორჩი ათინათელი“) და სხვა პატარა მოწაფეები ჩაერთვნენ ამ სასკოლო დადგმაში. საბოლოო ჯამში ბრწყინვალე შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელსაც არც პოეზია აკლდა, არც ცეკვა-სიმღერა. ეს იყო კახური (სრულიად ქართული!) ნიჭის ნამდვილი ზეიმი.

ტატო ხარატიშვილი (რომელიც სეხნიაა თავისი დიდებული ბაბუის – პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – ტარიელ ხარატიშვილისა) იმ დღეს ჩვენს წინაშე წარმოჩნდა, როგორც არა მარტო გასაოცარი პატარა პოეტი-არტისტი, რომელიც შესანიშნავად კითხულობდა საკუთარ და სხვათა ლექსებს, არამედ-როგორც პიანისტიც, მევიოლინეც, მომღერალიც კი, მაგალითად: თანატოლ თამაზ აფაქიძესთან დუეტში მან შეასრულა არაერთი ხალხური სიმღერა. ღონისძიება ცეკვით გააფორმეს მოწაფეებმა: ლუკა ღონღაძემ, დავით ვაიტაძემ, ანა კონსტანოვამ და ელენე მაისაშვილმა. არაფრით შეიძლება ამ დიდებულ წარ-

მოდგენაში მონაწილე სხვა ბავშვების გვარ-სახელის გამოტოვებაც. მაშ ასე: ისინი გახლავან, - მიშიკო ისკანდარაშვილი, შოთიკო კურტანიძე, ნიკა კოლომეეცი, ნიკა ქუფარაშვილი, ნიკა ბარბაქაძე, ლევან დათიაშვილი, ელენე ტაბატაძე, მარიამ კობაიძე, მარი სუხაშვილი, ქრისტინე ბუზალაძე, მარი ფეიქრიშვილი, სოფო კოჭლამაზაშვილი, სოფო იასაშვილი, ალეკო ბერიშვილი, თორნიკე ალავერდაშვილი.

ასევე უნდა ავღნიშნიოთ, რომ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალმხრივი აკადემიის პრეზიდენტის – ჩვენი დიდებული გულნაზ ხარაიშვილის ლექსი, „წიგნის საჩივარი“, წაიკითხა (ზეპირად წარმოსთქვა) სოფო ბარბაქაძემ, რომელიც ამავე სკოლის მოსწავლეა.

საერთოდ, მთელს შემოქმედებითს საღამო-ღონისძიებაში იგრძნობოდა სკოლის ხელმძღვანელთა და პედაგოგთა დიდი შინაგანი კულტურა, სულიერება, ბავშვებთან, აღზრდასთან მათი მართებული დამოკიდებულება. შეგირდები ბრწყინვალედ იყვნენ მომზადებულნი. მზაობა აჭარბებდა პროვინციულ (პერიფერიულ) სკოლაში ჩასული კაცის ყოველ მოლოდინს. ლაგოდეხელი მოწაფეები, განათლების დონით, ვფიქრობთ, რომ დედაქალაქელ თანატოლებს გაუწევენ ღირსეულ კონკურენციას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ იქაური პრეს-ცენტრის და რესურს-ცენტრის წარმომადგენლებიც: ლიკა სამყურაშვილი და მანანა ჩიკვაიძე, აგრეთვე – თელავის ერთ-ერთი სკოლის წარმომადგენლებიც. როგორც ჩანს, ღონისძიების გრანდიოზულ წარმატებას ხელი შეუწყო ლაგოდეხის მესვეურების (მმართველების) – ვლადიმერ ალიბეგაშვილის, სლავა ბატიაშვილის და სხვათა მხარდაჭერამაც...

და როცა უფროსკლასელებმა შუშხუნებით მორთული დიდი ტორტი მიართვეს დღის ტრიუმფატორს – პატარა ტატოს, მერე უკვე მალე დადგა სტუმართა სიტყვით გამოსვლის რიგიც.

ქალბატონებმა – გულნაზ ხარაიშვილმა, ლამზირა შეყილაძემ, ნაილი ხარაიშვილმა და ბატონმა ჯუმბერ ხარაიშვილმა უმაღლესი შეფასება მიანიჭეს ღონისძიებას. მათი სიტყვები არ იყო გადაჭარბებული. პირიქით: რაც თქვეს, ზუსტად თქვეს, და უფრო აღმატებულადაც რომ შეექოთ იქაურნი, არც ეს გაგვიკვირდებოდა.

შემდეგ ჩვენი ჯერი დადგა. ჩვენ, „ზღვარის“ წევრებმა, უფრო, საკუთარი ხელოვნება (პოეზია-მუსიკა) წარმოვაჩინეთ დამსწრეთა წინაშე, და ვფიქრობთ, რომ თავი არ შევირცხვინეთ. გასაკვირია, რომ ჩვენს რთულ ხელოვნებაზე მართებული რეაქცია ჰქონდათ არა მარტო უფროსებს, არამედ-პატარებიც. მაგალითად: ისეთი პოეტური, საკმაოდ რთულტექსტიანი სიმღერის შესრულების შემდეგ, როგორიცაა „ჩემი ლირიკა“, დარბაზი ლამის აფეთქდა აპლოდისმენტებით, ხოლო პატარები ფეხზე ამდგარნი უკრავდნენ ტაშს. ნუთუ მათ ასე სწორად აღიქვეს ამგვარი რთული ტექსტი?!..

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც ის იყო, რომ იმ დღეს ქალბატონმა გულნაზმა კიდევ შეარჩია რამოდენიმე „ნორჩი ათინათელი“ ჩვენი ჟურნალისათვის. ჩანს, ლაგოდეხშიაც ყალიბდება მთელი თაობა ათინათელებისა, რომელთაც იქ, სათავეში, ჯერ-ჯერობით, ტატო ხარატიშვილი უდგას. ესაა თაობა, რომელმაც მთელი ქვეყანა უნდა მოიცვას და ჩაიბაროს ერის მომავალი, რათა თავისი განათლება-ერუდიციით, პატრიოტიზმით, ააღორძინოს, ბოლომდე აღაზევოს საქართველო - ევრაზიული პატარა მარგალიტი.

ღონისძიების შემდეგ იყო მადლიანი კახური სუფრა, რომელიც პირდაპირ ვიტყვით, რომ კარგა ხანი არ დაგვავიწყდება. დიახ, ჩვენ, როგორც ნამდვილმა ქართველებმა, ვიცით კარგი სუფრის ყადრი, მისი შნო-ლაზათის სათანადოდ შეფასება-დაფასება. სუფრას აკაკი მჭედლიშვილი და გიორგი ზუხბაია უძღვებოდნენ. მათ ღირსეულად აზიდეს, იმ დღეს, მძიმე გვირგვინი ქართველი თამადებისა (ხომ ყველა დიდი თამადა სულით პოეტი იყო უსათუოდ!)...

თითქმის მთელი სტატია დავასრულეთ და ერთი სიტყვაც კი არ გვითქვამს, ჯერაც, ტატოს მშობლებზე!

არადა, ასე არ შეიძლება.

ტატო ხარატიშვილს ხომ, სკოლასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა საკუთარი მშობლები ზრდიან! დედ-მამის როლი განუზომელია მოზარდის სულიერი ფორმირებისას.

იქ, ღონისძიებაზე, დირექტორთან, მასწავლებელთან, მშობლებთან, სტუმრებთან ერთად, სიტყვა თქვა, ასევე, ტატოს დედამ (პოეტის დედა გახლავთ ქალბატონი ია თანდილაშვილი, ხოლო მამა - ბატონი სოსო ხარატიშვილი), რომელიც, შვილის ასეთი ადრეული, თუმცა ასეთი აშკარა წარმატების შემყურე, სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა. იგი, იმ დღეს, მადლიერი იყო ყველასი და ყველაფრის, ხოლო რა არის, მთელს სამყაროში, მადლიერებაზე უფრო დიადი გრძნობა!

ტატოც, დარწმუნებულნი ვართ, ბოლომდე მადლიერი დარჩება თავისი მშობლებისა, ასევე – თავისი სხვა აღმზრდელებისა...

ვბრუნდებოდით თბილისში, შთაბეჭდილებებით აღსავსენი. მანქანის ძველი მაგნიტოფონი სხვადასხვა სიმღერას გვასმენინებდა. ჩამავალი მზის ვარდისფერ-წითელი სხივები სიზმარეულ ფერებში ხვევდა არემარეს (ხანდახან, მთელი ჩვენი ცხოვრება, ერთი დიდი სიზმარი გვგონია, შავ-თეთრი და ფერადი სიზმარი)... ცასა და მიწას, როგორც სხვადასხვა სამყაროებს, მეფე-ზღვარი პოეტურად აცალკევებდა ერთმანეთისაგან...

და ასე ლამაზად სრულდებოდა იმდღევანდელი ზღაპარი ლაგოდეხისა.

თბილისი, 2014 წელი, თებერვალი.

ლაგოდეხის სკოლის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება

სექტემბერ-ივნისის გასული სეზონი, ჩვენი აკადემიისა, მხოლოდ აგვისტოში დასრულდა, ხოლო ახლა, სექტემბერშივე, ისევ განახლდა მუშაობა. მოკლედ, წინსვლა გრძელდება. აკადემიის პრეზიდენტი ყოველნაირად ცდილობს, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ როგორმე გადაიტანოს ის აუნაზღაურებელი დანაკლისი, რომელსაც ლეგენდარული მოგზაური-სპორტსმენის, ფილოსოფოსის, საზოგადო მოღვაწისა და საერთოდ, თაობათა მოძღვარის – ჯუმბერ ლეჟავას აწ დასრულებული სიცოცხლე ჰქვია. (მოგეხსენებათ – ბატონი ჯუმბერი იყო პირველი ქართველი, თბილისელი, რომლის სახელობის აკადემიაც მისსავე სიცოცხლეში შეიქმნა, ხოლო ამ საქმეს გულნაზ ხარაიშვილმა უმეთაურა, იდეაც ქალბატონ გულნაზს ეკუთვნოდა).

ამ სეზონში ჩვენს ორგანიზაციას უკვე ჰქონდა რამოდენიმე ღონისძიება, ხოლო ლაგოდეხის პირველი საშუალო სკოლის მოწაფეებთან შეხვედრა, რომელიც ბოდბის მონასტრის წმინდა ტერიტორიაზე შედგა, ერთ-ერთი ბრწყინვალე იყო.

რა არის უფრო ლამაზი, ვიდრე ბოდბის მონასტერი, თავისი იგავმიუწვდომელი ხედებითურთ? ესაა ბუნებისა და ადამიანის ერთობლივი შემოქმედების ზეიმი. წმინდა გიორგისა და წმიდა ნინოს ეკლესიებიდან იშლება ხედი ალაზნის ველისა – სამყაროს ერთ-ერთი საოცრება.

და აი, სწორედ ამ ტაძრებთან, ამ მისტიურ ადგილას (ღვთაებრივ ადგილას) დაიგეგმა შეხვედრა.

თბილისიდან ერთი დიდი, ვერცხლისფერი მანქანით გავედით, რომელშიც ყველანი ჩავეტიეთ. ქალბატონი გულნაზი ამჯერად ასეთ კრებულს „მთავარსარდლობდა“, – ქალბა-

ტონები: ლამზირა შეყილაძე, მანონი ყუბანეიშვილი, ბავშვთათვის ეგზომ საყვარელი და პოპულარული მწერალი ასეთი თბილი ფსევდონიმით – ყამარ ბებო; ბატონი ლევან ბაბუხადია; ხოლო ჯგუფ „ზღვარიდან“ ისევ და ისევ მე და კახა ბაციკაძე ვიყავით წარმოდგენილნი. მძღოლი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩუმად უსმენდა შემოქმედ ადამიანთა ამგვარ საკრებულოს, და ალბათ უკვირდა ხელოვანთა უცნაური საუბრები, სიტყვანი რომელნიც, აკაკის სიტყვით რომ ვთქვათ, არც მიწისაა და არც ცისა.

ქართლ-კახეთის ბუნება ისეთივე რჩეულია, როგორც ბუნება სრულიად საქართველოსი. ველები, ხეობები, ტყეები, მთები და მთების უბეებში ჩაფენილი სოფლები, ხოლო ძველი ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეები პირდაპირ მთების თავზე, კლდეების თავზეც კი. თვალწინ გეშლება ისტორია მთელი ქვეყნისა. მონუსხულივით მივჩერებოდი გარემოს კარგა ხნის განმავლობაში, თუმცა, რაღა თქმა უნდა, აქ არაერთხელ მიმოგზაურია. მაინც – ყოველ ნახვაზე ახლებურად ხედავ ყველაფერს. მიყვარს მოგზაურობა-ხეტიალი, რადგანაც ეს ანახლებს გულს და გონებას.

გავიარეთ სხვადასხვა დასახლებები, გავცდით სიღნაღსაც – სიყვარულის ქალაქს, და ამის მერე უკვე მალე მივედით ბოდბის მონასტერთან. წმინდა ადგილის მოლოცვის შემდეგ, იქვე ახლოს მდებარე ერთ-ერთ დარბაზში გაიმართა შეხვედრა. ერთი მხრივ – ჩვენ. მეორე მხრივ – ლაგოდეხელი მოწაფეები, მათი მასწავლებლები და მშობლები. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ქალბატონი გულნაზი გახლდათ, ხოლო მათ – გამოცდილი, საუკეთესო პედაგოგი მერი სპანდარაშვილი ხელმძღვანელობდა.

დადგმა იყო ასეთი, – ბავშვებმა პოეზიითა და პროზით წარმოადგინეს წმინდა ნინო კაბადოკიელის მთელი ცხოვრება. არაფერს კითხულობდნენ. ყველაფერს ამბობდნენ ზეპირად. აქ იყო მუსიკალური ჩანართებიც, მაგალითად, ერთ-ერთმა დედა-შვილმა გალობა შეასრულა, ლამაზად, უბრალოდ, გულშიჩამწვდომად... მოკლედ, მთლიანობაში დადგმა გახლდათ მაღალი ხარისხის სახელოვნებო ქმნილება, თავისებური ლიტერატურული ნაწარმოები. ლაგოდეხის სკოლამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი პირველობა (აკი პირველი საშუალოც ჰქვია) მთელი კახეთის მასშტაბით. ამ დაწესებულების ხელმძღვანელებმა და პედაგოგებმა უნდა იამაყონ ასეთი ბავშვებით (წარმოდგენაში, რაღა თქმა უნდა, მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი ვუნდერკინდი ტატო ხარატიშვილიც, რომლის შესახებ ადრეც არაერთხელ დამიწერია), უნდა იამაყონ ამდენი „ნორჩი ათინათელი“ რომ ჰყავთ სკოლაში. ცალკე უნდა აღინიშნოს წვლილი სკოლის დირექტორისა – ქალბატონი მანანა ჩალაბაშვილის. ყოველნაირად უწყობს ხელს ამგვარი ღონისძიებების შექმნა-არსებობას, ხოლო იმ პედაგპგმა, რომელიც უკვე მოვიხსენიე – ქალბატონმა მერიმ, სულ ახლახანს, თურმე, მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა (ქირურგიული ჩარევაც კი დასჭირდა ჯანმრთელობის აღსადგენად), და გასაკვირია – თუ როგორ, როდის მოაბა თავი ასეთი ღონისძიების შექმნას. აშკარაა: მის მიღწევას ბავშვების ნიჭმაც შეუწყო ხელი.

ჩვენს დელეგაციას, ბოლოს, ქალბატონი ანა ბოდბელიც შეემატა (მისი შვილი, – რუსუდანი, ცურვის დედოფლადაა აღიარებული, რეკორდს რეკორდზე ამყარებს), და სრული შემადგენლობით წარვსდექით, სიტყვით, დამხვდურთა წინაშე. იმ დღეს ჩვენი მხრიდანაც ყველა შესანიშნავი იყო, ყველამ თავისებური პიროვნულობა, ფერი შეჰმატა ღონისძიებას, მაგრამ ქალბატონ გულნაზსა და კახას მაინც გამოვარჩევდი, – ერთს იმიტომ, რომ ლიდერის განსაკუთრებული თვისებები გააჩნია, სიტუაციას ყოველთვის ზუსტად აფასებს და ზედმიწევნით აკონტროლებს, მის გარშემო ყველანი მშვიდად, თავდაჯერებულად ვართ; მეორეს კი იმიტომ გამოვარჩევდი, რომ იგი, უბრალოდ, სუპერხელოვანია. თუკი წარსულ დროში, მაგალითად, ინგლისელები თავიანთ საუკეთესო მოკრივეებს, ადგილობრივ ჩემპიონებს, მსოფლიო ჩემპიონებადაც მიიჩნევდნენ, აი, კახას გამოსვლებს რომ ვუყურებ, ვფიქ-

რობ, რომ ჩვენც – ქართველებსაც თამამად შეგვიძლია ჩვენი საუკეთესო ხელოვანები მსოფლიოს ჩემპიონებადაც მივიჩნიოთ, მითუმეტეს, რომ ჩვენ პოეზიის მეფის – შოთა რუსთაველის ქვეყანა ვართ.

მაგრამ მარტო გულნაზი? მარტო კახა? შესანიშნავი იყო ლამზირას სიტყვაც და ლექსიც, ლევან ბაბუხადიას პატარა შედევრი-მოთხრობა ბავშვებისათვის, ხოლო სიმღერა მანონი ყუბანეიშვილისა... ვიტყოდი, რომ მისი თბილი ხმა ზედმეტად ძლიერი და ფენომენალურიც კია ასეთი ღონისძიებებისათვის. მას თავისი წლები ევროპის დიდ საოპერო სცენებზე უნდა გაეტარებინა, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც საჭიროა. თუმცა კარგია, რომ სოლიდურ ასაკში მყოფი ქალბატონი ახლაც კი ისეთი შემართებით მღერის, თითქოს მის ხმას დროის სვლა შეუჩერებია... აი, ყამარ ბებო კი ზუსტად ამ ღონისძიებისათვის იყო ზედგამოჭრილი – იგი სწორედ საბავშვო მწერალია და საბავშვო პოეტი. ყოველ შემთხვევაში, სხვა სფეროებს უფრო ნაკლებად აქცევს ყურადღებას, ხოლო ბავშვებისათვის მოღვაწეობა მისი სტიქიაა. ანა ბოდბელის გამოსვლა კი იყო გარკვეული და მშვენიერი სწავლება მოწაფეთათვის...

„ათინათის“ პრეზენტაცია, წმინდა ნინოს ეკლესიის ეზოში

ჩემს შესახებ იმას მოგახსენებთ, რომ მეც მომიწია სიტყვით გამოსვლა, ხოლო შემდეგ, სუფრაზე, თამადობაც მე მერგო წილად. საერთოდ, წინა თვეებში მძიმე მუშაობა მქონდა გადატანილი „ზღვარის“ ჯერ-ჯერობით უკანასკნელი წიგნის – „თეთრი ბრილიანტის“ გამო, და განტვირთვა, ბოლოდროინდელი შესანიშნავი საღამო-შეხვედრებით, მართლაც რომ დროული იყო...

ახლა ოქროსფერი შემოდგომაა, სექტემბრის სწრაფად აგრილებული დღეებია. თბილისში ვარ და ვფიქრობ ნანახ-განცდილზე. ლაგოდეხის სკოლის ბავშვებმა წმინდანის მთელი ცხოვრება გაშალეს ჩვენს წინ. გამაოგნებელია. საერთოდ, მე სწრაფად ვიცი აღტაცება, გაოცება, მაგრამ მართლაც გამაოგნებელია, რომ სკოლის მოწაფეები ასეთ რელიგიურ-თეოლოგიურ თემებს ამგვარი წარმატებით შესჭიდებიან. აი, ესაა ნიმუში ბავშვთა (მოწაფეთა) ნიჭიერებისა, სწორად წარმართული მუშაობისა და მაღალი პედაგოგიური კვალიფიკაციისა სკოლის ხელმძღვანელობისა და პედაგოგების მხრიდან.

იყო დრო, როცა ჩვენს ქვეყანაში ორ სიტყვას ჰქონდა ყველაზე დიდი ძალა – პოეტს და პედაგოგს (მასწავლებელს). მერე, ნელ-ნელა, ბევრი რამ გაუფასურდა, ამ სიტყვებმაც თითქოს დაკარგა ძველებური ელვარება. მასწავლებელი, მოძღვარი თაობებისა, აღარაა ძველებურად დაფასებული, უვარგისი დროისა გამო. მაგრამ კარგი ტრადიციები, როგორც

ჩანს, მაინც ბრუნდება, ნელა, ჯიუტად იჭერს თავის ადგილს. აი, მაგალითად, ლაგოდეხურმა სკოლამ კიდევ ერთხელ გამახსენა მასწავლებლის უზარმაზარი როლი ჩვენი ახალთაობის და მთლიანად – სრული საზოგადოების ფორმირებაში.

თბილისი. 2014 წელი.

პ.ს. მე, როგორც პროფესიონალ პოეტს, რომელსაც ოცზე მეტი წლის განმავლობაში არსაიდან მქონია მატერიალური შემოსავალი ხელოვნების გარდა (ხოლო ყველამ იცის, რომ მიზერულია შემოსავალი პოეტი-ხელოვანის), თითქოს სხვათა თავგანწირულ მუშაობას, საქმის სიყვარულს ვერ უნდა გავეოცებინე. განა თვითონ კი ცარიელ ენთუზიაზმზე არ ვმუშაობ აგერ ამდენი ხანი?! მაგრამ მაინც გამაოგნა, აღმაფრთოვანა, გამამხნევა კიდეც კახეთში ნანახ-გაგონილმა! პედაგოგის შრომა, მისი პროფესიონალიზმი მართლაც რომ შეუდარებელი ყოფილა, ისეთი პოეტურიც, როგორც საქმე თვით პოეტისა. ისე კი, მეცნიერ-პედაგოგთა ოჯახში გავიზარდე და იქნებ ამანაც იმოქმედა, ასე ახლოს რომ მივიტანე გულთან მასწავლებელთა და მოწაფეთა იმდღევანდელი საერთო გამარჯვება, მთელი სკოლის საერთო გამარჯვება, – შედევრი-წარმოდგენა წმინდანის შესახებ.

სერგი ლომაძე

ტრიუმფი პროზის რაინდისა

ბატონმა რევაზ მიშველაძემ მისი ქმნილებათა ოცდახუთტომეული გამოსცა და ამით ახალი რეკორდი დაამყარა ქართულ სახელოვნებო სივრცეში. წელს ასე განიმტკიცა, მან, ლეგენდისა და კლასიკოსის სტატუსი. მაშ ასე: ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქართული პროზის რაინდი, ჩვენს აკადემიას ეწვია, – ცამეტ ივნისს. ხელოვანსა და თაობათა ერთ-ერთ გამორჩეულ ლექტორ-მასწავლებელს ღირსეული შეხვედრა მოუწყო ჩვენმა ორგანიზაციამ, რაღა თქმა უნდა, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის მეთაურობით, რომელმაც თვითონვე იტვირთა შემოქმედებითი საღამოს გაძღოლა.

საშუალო სიდიდის დარბაზი, აკადემიის შენობაში (დიდუბის თითქმის კიდეში, დიდი აკაკის ძეგლთან რომ მდებარეობს), ისე იყო სავსე, რომ იქ, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ბრწყინვალედ ორგანიზებულ შეხვედრაზე მოწვეული გახლდათ ჩვენი ორგანიზაციის თითქმის ყველა ცნობილი სახე (სამწუხაროდ, ვიცოდით, რომ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ვერ მოვიდოდა: – იგი, ბოლო დროს, ცოტა შეუძლოდაა), არაცნობადი, მაგრამ პერსაქეტიული ადამიანებიც. როგროც ყოველთვის, ამჯერადაც მხარი დაგვიჭირა სხვა დიდმა აკადემიამ, – ფაზისის აკადემია – საკრებულომ, ხოლო ამის ნათელი დადასტურება იყო თვითონ ბატონი ნუგზარ ნადარაიას გამოჩენა (ეს მერამდენედ!) ჩვენს შეკრებასა და ყრილობაზე, ასე ვთქვათ, ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ მკვეთრ სერობაზე, თუმცა ეს არ იყო, რაღა თქმა უნდა, „საიდუმ-

ლო სერობა“: აქ თავიდანვე ყველაფერი არასაიდუმლო და აშკარა გახლდათ, – ჩვენს აკადემიას უკვე ადრევე გადაეწყვიტა, რომ ოცდაერთი ივნისის არჩევნებზე მწერალთა კავშირის თავჯდომარის პოსტზე, სწორედ ბატონ რეზოს უნდა დაუდგეს მხარს. ამიტომაც, არ დავმალავ: დიდი სააკადემიო შეხვედრა, გარკვეულწილად, წინასაარჩევნო კამპანიის სახესაც ატარებდა.

მოგეხსენებათ, თუ რა მძიმე დღეშია, ახლა, მწერალთა კავშირი. მაყვალა გონაშვილი და რეზო მიშველაძე ყველაფერს აკეთებენ მის ასაღოძინებლად, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია საბრძოლველი. რაც არ უნდა იყოს, მთავარ უნივერსიტეტსა და რამდენიმე აკადემიასთან ერთად, სწორედ მწერალთა კავშირია, დღესაც კი, ქართული კულტურის ერთ-ერთი ფუნდამენტური, ძირითადი ორგანიზაცია, ხოლო ასეთი გაერთიანების სათავეში, მებრძოლი, შეუპოვარი ადამიანის მოსვლა აუცილებელია. მამა-შვილი მიშველაძეები კი, მთელს ქვეყანაში, სწორედ თავიანთი მებრძოლი ბუნებით იყვნენ ცნობილნი (აკი შეეწირა კიდეც, შვილი, სამშობლოს გადარჩენისათვის ომს)... დავუბრუნდეთ შეხვედრას დიდ მწერალთან: რაღა თქმა უნდა, ბატონ რეზოს ღონისძიებებით ვერ გააკვიირვებ, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ამაზე უფრო

თბილი შეხვედრა მისთვის ოდესმე ვისმეს გაემართოს. ეს იყო სრული ტრიუმფი, გრანდიოზული დაფასება-აღიარება დიდგზაგავლილი, ასაკოვანი სახალხო მწერალისა. ნაცნობ-უცნობი ადამიანები, სხვადასხვა სოციალური ფენისა და ასაკისანი, მას ესალმებოდნენ, როგორც ერთ-ერთ დირიჟორს თანამედროვე კულტურისას. მეტად შთამბეჭდავი იყო, მაგალითად, სიტყვები ნუგზარ ნადარაიასი და რეზო ადამიასი, ხოლო სიმონ ზაქარაიამ, თავისი ცნობილი იუმორით, არაერთი ნათელი ფერი შემოიტანა ჩვენს შეკრებაზე. არ შეიძლება აღუნიშნავი დავტოვო ქალ პოეტთა ცნობილი ტრიო: მანანა დანგაძე, ნუნუკა გურალია, მიმოზა ცანავა, თავიანთი პოეტური სიტყვა-თქმებით, ხოლო ჯუმბერ ხარაიშვილმა, როგორც პროფესიონალმა ორატორმა, კიდევ ერთხელ შეგვაწია თავისი, ამჯერად, მოკლე, მაგრამ კარგად გააზრებული და ომახიანი სიტყვა: ზეინაბ ბეჟაშვილი თავისი მოწაფეებით წარსდგა სახელმოხვეჭილი მწერლის წინაშე. ხოლო რაც შეეხბა დიდებულ ფოლ-მუსიკოსს, შალვა ილურძეს, მან დარბაზში ააჟღერა დავით გურამიშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერა-ლოცვა, ფანდურის ფონზე. ეს ყოველივე მეტად შთამბეჭდავი იყო... უნდა აღვნიშნო ლამზირა შეყილაძისა, ნაილი ხეთერელისა და ლიანა ოსიაშვილის პერსონებიც. ქალბატონმა ლიანამ, მაგალითად, თბილი იუმორის გზა აირჩია გამოსვლისას და გაუმართლა კიდეც, – ალალად დაიმსახურა აპლოდისმენტები... ძალიან გავიხარე, როცა შეკრებაზე შევვნიშნე ახალგაზრდა პოეტები გვანცა ხარაიშვილი და ქეთევან ნათელაძე, – მე მათში ვხედავ ჩვენ ხელოვნების მომავალს, იმედს. ამ მშვენიერ გოგონებთან ერთად უნდა ვახსენო რუსუდან გორდეზიანიც, – სიც მოვიდა, უკვე ყველასგან აღიარებული ქართველი სპორტსმენი (მოცურავე), რომლისთვისაც ხელოვნება დიდი გატაცებაა... არასოდეს დამავიწყდება ბატონ ანზორ ბაბუხადიას იმდევანდელი გამოსვლა: მან პირდაპირ სადამოზე, იქვე, თავისი წიგნები გვაჩუქა მხოლოდ სამ ადამიანს, – ბარონ რეზოს, ქბალტონ გულნაზის და – მე.

ასე აღმოვჩნდი ორი დიდებული პიროვნების გვერდით. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ეს, უფრო ადრე, ქალბატომა გულნაზიმ „დააკანონა“, როცა რეზოსა და მის გვერდით, პრეზიდიუმში, სოწრედ მე მიბოძა ადგილი, ხოლო როცა საღამო გახსნილად გამოაცხადა, პირველი სიტყვაც მე დამითმო.

საერთოდ, ქალბატონ გულნაზის განსაკუთრებული, სწორედ რომ დედობრივი დამოკიდებულება ჩემდამი, ასევე – პოეტ კახა ბაციკაძესადმი, ყველასათვის ცნობილია. იგი, ორგანიზაციის აბსოლუტური, უპირობო ლიდერი, პრეზიდენტი, მე და კახას ხშირად ისე გვეპყრობა როგორც ვიცეპრეზიდენტებს (თანაპრეზიდენტებსაც კი!), და ჩვენც შეძლებისდაგვარად ვუფასებთ ამაგს, ჩვენი პატარა წვლილით, აკადემიის დიდ საქმეებში.

კახა ეთადერთი იყო, ვინც ამ საღამოზე ორჯერ წარსდგა მსმენელთა წინაშე. მან, უნიკალურმა პოეტმა-მუსიკოსმა, თანამედროვე ბარდმა, შეასრულა სიმღერები „ნასახლარი“, და „სიყვარული“, იქ მსხდომ ყველა მანდილოსანს რომ მიუძღვნა. ამ სიმღერამ, რომელიც ჩემს ძველ ტესქტზეა შექმნილი, დიდად გამოაცოცხლა და გაამრვალფეროვნა საღამო, თავისი ლირიულ-რომანტიული შუქით.

აქვე უნდა აღინიშნოს ჩემი და კახას ჯგუფის – „ზღვარის“ კიდევ ერთი წევრის, პოეტ გორგი ზუხბაიას მეტად შთამბეჭდავ, ინტელექტუალრი გამოსვლა საზოგადოების წინაშე იგი „ზღვარის ტრიუმვირატის“ შეუცვლელი წევრია...

საღამოს ესწრებოდა თიკა მხატვარიც, თავის ახალგაზრდა, ნიჭიერ შვილთან – ანი ყალიჩავასთან ერთად. ანი შესანიშნავი იყო ამ შეხვედრაზე მახსოვს, ასევე, ანასტასია კალანდაძის გამოსვლაც...

ცალკე უნდა გამოვყო-გამოვარჩიო ორი მეცნიერის ლუარა სორდიასა და ლამარა გერგედავას გამოსვლები.

ლუარა სორდია დიდი ფილოლოგი გახლავთ. მას, როგორც ჩანს, ზედმიწევნით შეუსწავლია, გაუანალიზებია ბატონი რეზოს ასეულობით ნოველა, და თუმცა რეგლამენტით ყველანი შეზღუდულები ვიყავით (რადგანაც გამომსვლელი ბევრი იყო), პროფესორმა ლუარა სორდიამ იმ პატაა დროშიც კი, რაც მისთვის იყო განკუთვნილი, მსმენელი გააოცა თავისი ღრმა ცოდნა-ერუდიციით. თუმცა ეს არცაა გასაკვირი: მას ხომ უზარმაზარი წიგნი აქვს მიძღვნილი ბატონი რეზოს უვრცესი შემოქმედებისადმი. საერთოდ, ლუარა სორდია ცნობილია თავისი არაჩვეულებრივი მეცნიერული შრომისმოყვარეობიათა და თავდადებით. იგი გრანდიოზულ თემებს ეჭიდება, ამიტომ გრანდიოზულ წიგნებსაც წერს.

ლამარა გერგედავამ კი გააანალიზა რევაზ მიშველაძის ნოველა – შედევრი „ჩხიკვი“. ესაა ნაზი მელანქოლიით სავსე დაუვიწყარი მოთხრობა ადამიანთა სიბერეზე, უფრო კი, მაინც, სიმარტოვეზე, – ადამიანთა დიდ სიმარრტოვეზე, და ხელის ერთ აქნევით ამსხვრევს იმ მდარე ლიტერატორთა ნააზრევს, რომელთან ბატონი რეზო მხოლოდ იუმორისტული მოთხრობა-ნოველების ოსტატი ჰგონიათ (დიახ, არიან ასეთებიც), და ვერცკი დაუნახავთ ის უამრავი პრობლემა, პრობელმათა მთელი კალეიდოსკოპი, რომელიც უხვი ფერე-

ბით ამდიდრებს, თუმცა ამძაფრებს კიდეც, ტკივილიანსაც ხდის მის ზღვა-შემოქმედებას. დიახ, ტკივილის, ტრაგიკულობის გარეშე ხომ არ არსებობს მაღალი ხელოვნება..

მიუხედავად იმისა, რომ კარგი მეხსიერება მაქვს, დარწმუნებული ვარ, რამოდენიმე გამომსველლის გვარ-სახელი მაინც გამომრჩებოდა ჩემს სტატიაში. იმედია, ჩვენი რედაქტორი მაპატიებს ამ ცოდვას. იგი ალექსანდრე მაკედონელივით აკონტროლებდა მთელი საღამოს მსვლელობას, თუმცა მე, ასეთ დონეზე, ერთი სტატიის გაკონტროლებაც კი მიჭირს. მიუხედავად ყველაფრისა, მახსოვს, კიდევ, რამოდენიმე დაუვწყარი ეპიზოდი;

პირველი: პოეტ დავით ტიგინაშვილის გამოსვლა. ეს კაცი კახეთის და მთელი ქვეყნის სიამაყეა. ლექსებს ისე კითხულობს, ლამის ცა ჩამოიქცეს! თავისებური წაკითხვის მანერით გამოირჩეოდა, ასევე კახელი პოეტიც – თამაზ ცაბუტაშვილიც, თუმცა იგი, ბოლო დროს, იშვიათადღა ჩნდება პოეტურ საღამოებზე.

მეორე: პატარა პოეტის – ტატო ხარატიშვილის ასევე „დამანგერეველი“ გამოსვლა. ამ პატარა ბიჭმა ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ლამის თვით დიდებულ დავით ტიგინაშვილსაც კი შეედარა – თავისი დამუხტული კითხვის მანერით.

მესამე: ქალბატონმა გულნაზიმ გაზარდა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრთა (წევრ-კორესპონდენტთა) რიცხვი, ხოლო ბატონი რევაზ მიშველაძე ასე აღმოჩნდა ჩვენი აკადემიის აკადემიკოსი, ეს ფაქტი კი ზრდის ამ ორგანიზაციის პრესტიჟს, მითუმეტეს, როცა ჩვენ გვაქვს ამბიცია იმისა, რომ ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია ვართ...

ჩვენში დარჩეს, – არც ქალბატონ ჯულიეტა ალავიძის მიერ მორთმეული ტორტი – შედევრია დასავიწყებელი და არც ის „მეორე განყოფილება“, ბატონი დავით ტიგინაშვილისა და სხვათა მაღალი დონის ღვინოებმა რომ გაალამაზეს, მაგამ ვინ ჩავატიო ყველაფერი ერთ სტატიაში!..

მოკლედ, ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ქალბატონ გულნაზს, იმისათვის, რომ კიდევ ერთი დიადი ზეიმი აჩუქა აკადმიას, ხოლო ბატონ რეზოს იმისათვის, რომ დაეთანმხა მთაავარი გმირის როლის ამ დაუვიწყარ „საღამო-სპექტაკლში“, საბოლოო, მადლიერებით სავსე, ძალიან თბილი სიტყვაც სწორედ მან თქვა, – დიდიმა მწერალმა.

და მერე უკვე მალევე დადგა ეპილოგი ძირითადი ღონისძიებისა – შემოქმედებითი საღამო-შეხვედრის.

ხოლო მსმენელი, ფეხზე ადმგარი, დიდხანს უკრავდა ტაშის თავის რჩეულს...

თბილისი. 2014 წელი.

აპოთეოზი გიორგი სააკაძისა

რაღა თქმა უნდა, ყველასათვის ცნობილია, რომ, დაახლოებით ოთხიათასი წლის მანძილზე, ათასობით ბრძოლა გადაუხდიათ ძველქართველებს. ქართული საბრძოლო ხელოვნება – ესაა ერთი უზარმაზარი ენციკლოპედიური კვლევის საგანი, და ახლა ამ თემის სიღრმეს, მხოლოდ სტატიის დონეზე, ნამდვილად ვერ ჩავუკირკიტდები, მაგრამ მოკლედ კი ვიტყვი იმას, რომ, თუ მეფე-მხედართმთავრებს არ ჩავთვლით (მაგალითად: გორგასალი, აღმაშენებელი, პატარა კახი და სხვანი), მაშინ ჩვენს უდიდეს მხედართმთავრებად, ალბათ, მაინც, თორნიკე ერისთავი და გიორგი სააკაძე ანუ დიდი მოურავი უნდა დასახელდეს. ამ ორი ადამიანის მონუმენტურმა, საკამათო ფიგურამ დაჩრდილა ყველა სხვა. აბა წარმოიდგინეთ, როგორი უცნაური სახე-ხატია, ერთი მხრივ, ბერი-სარდალი, მონასტრის მყუდრო სავანიდან პირდაპირ ომის ქარცეცხლში გადაშვებული უძლეველი პერსონა, ღვთის ძალით ხელახლად აღზევებული, რომელმაც ბარდა სკლიაროსის სახელმოხვეჭილი მხედრობაც კი

მიწასთან გაასწორა, და, მეორე მხრივ, ჩვენგანვე ათასჯერ შერისხული ლეგენდარული მოურავი, რამდენჯერმე მოკვლა დანაპირები, ჩვენივე ქვეყნისთვის იმ დროის უპირველესი მბრძანებლები რომ რამდენჯერმე დაამარცხა.

ისტორიაში თორნიკე ერისთავს ჰყავს თავისი ჰომეროსი, აკაკი წერეთლის სახით, რომელმაც მას ცნობილი პოემა უძღვნა და ისე აღაზევა, ამ პოემით, ისედაც დიდებული თორნიკე, რომ ლამის ქართველ აქილევსად აქცია.

გიორგი სააკაძეს კი ამ მხრივ (ამ მხრივაც!) ნაკლებად გაუმართლა, - მისი მეხოტბე პოეტები დიდ, ნამდვილ შედევრად ჩამოქნილ პოემებს არა თხზავდნენ ამ გმირის შესახებ, ყოველ შემთხვევაში, აკაკი ქმნილების საპირწონედ მოურავის თემაზე არაფერი დაწერილა პოეზიის განხრით.

გადაიღეს კი ერთი გახმაურებელი ფილმი (ამბობენ, რომ იმ ფილმის შექმნას თვითონ გენერალისიმუსი სტალინი უწყობდაო ხელს), დადგეს ძეგლი და დაწერეს რამდენიმე წიგნი, რომელთა შორისაც ყველაზე უფრო ცნობილია ლევან სანიკიძის, როსტომ ჩხეიძის, ნიკო ხერკელაძის ნაშრომები. მე თუ მკითხავთ, სამივე ამ ქმნილებას განვიხილავდი, როგორც მხატვრულ-დოკუმენტურ რომანს, თუმცა ბევრი ალბათ, მათ, უბრალოდ, მეცნიერულ მონოგრაფიებად მოიხსენიებდა. სამივე ეს ნაშრომი-ტრიუმვირატი სხვადასხვა სულისკვეთებითაა დაწერილი: სანიკიძისთვის სააკაძე გმირია, ჩხეიძისთვის-ანტიგმირი, ხოლო ნიკო ხერკელაძისთვის გიორგი სააკაძე არის გმირი-ზეკაცი, თვით ღმერთკაცის ნიშან-თვისებებითაც კი. არ ვიცი, რომელი შეხედულებაა ამ სამთაგან ჭეშმარიტი, მაგრამ გრანდიოზული წიგნის შემქმნელმა (რვაას გვერდს აჭარბებს) ბატონმა ნიკომ რომ უზარმაზარი შრომა გასწია, დიდი კვლევა-ძიებანი ჩაატარა და თავისი თეორიები, ამ სფეროში, შემდეგ ლიტერატურულად სრულყო, ეს ფაქტია. იგი, მხატვრულ-მეცნიერულ ფორმებში, ძალიან ძლიერად, სრულად აყალიბებს თავისსავე მოსაზრებებს და ამტკიცებს დამაჯერებლად, რომ ლეგენდარული მოურავის შესახებ ტყუილად არსებობს გაორებული დამოკიდებულება, რადგანაც სააკაძე იყო დიდი პატრიოტი, რომელსაც ერთადერთი ფიქრი-საფუძველი არ ასვენებდა საბედისწეროდ, მთელი ცხოვრების განმავლობაში, ანუ ის, თუ როგორ გადაერჩინა თავისი (და ჩვენი) სამშობლო – საქართველო. გიორგი თუმცა შეეწირა თავის ამ მიზანს, მან და მისმა მსგავსმა ზეკაცებმა საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს, რამეთუ გადაგვირჩინესო ქვეყანა, - ასე ფიქრობს ბატონი ნიკო, რომელიც მრავალმხრივი პიროვნებაა, თანაც - ყველა სფეროში წარმატებული. მაგალითად, ზოგი მას დიდებულ მხატვრად მიიჩნევს, ზოგიც – დიდებულ ისტორიკოსად...

მე თუ დამეკითხებით, გიპასუხებთ ასე: იგი თავისებური მეცნიერ-ფილოსოფოსია უფრო, და ლიტერატორი - თავისთავად. თითქოს პავლე ინგოროყვას ყაიდის მოღვაწეს მაგონებს, იმ პავლე ინგოროყვასი, რომელმაც საუკუნის ნაშრომი დაწერა გიორგი მერჩულეს შესახებ. მეორე დიდ გიორგის (სააკაძეს) კი ბატონმა ნიკომ უძღვნა საუკუნის ნაშრომი (ყოველ შემთხვევაში, მისმა წიგნმა - „ცრემლში ნალესი ხმალი“ - უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე).

სიმართლე ითქვას, ნიკო ხერკელაძის (ამ გასაოცარი ლიტერატორის თუ ფილოსოფოსი-მხატვრის) წიგნი მხოლოდ სააკაძეს კი არ ეძღვნება, არამედ ესაა გენერალური ნაშრომი საქართველოს (და მსოფლიოს) ისტორიის ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე, ოღონდაც მოვლენები მართლაც ძალდაუტანებლად იკვრება დიდი მოურავის გარშემო, რამეთუ მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების ის ეპოქა სწორედ რომ სააკაძის ეპოქად უნდა ჩაიწეროს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

და აი, წიგნის ფურცლებიდან ნება-ნება იშლება ჩვენს წინ სივრცენი, აფეთქებული სახელოვანი ბრძოლებით: ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, ქსანი, და ბოლოს, როგორც ქართული რექვიემი – ბაზალეთი...

უდიდესი ლეგენდა, გიორგი სააკაძეს, ალბათ მაინც მარტყოფის ბრძოლამ მოუტანა, სადაც მან გაანადგურა ყორჩიხა-ხანის ლაშქარი, და ამით საბედისწერო ლახვარი ჩასცა საქართველოში მრისხანე შაჰ-აბასის მზაკვრულ გეგმებს (აბასს ირანის ლომსაც კი უწოდებდნენ)...

მოგეხსენებათ, მარტყოფამდე კარგა ხნით ადრე გიორგის გადაეკიდა მოშურნე ქართველთა ერთი ჯგუფი (რამდენიმე დიდებულის მეთაურობით) და ჩვენს გმირს მოკვლაც კი დაუპირეს. ბააკა ხერხეულიძემ (კიდევ ერთმა დიდმა ხერხეულიძემ) საკუთარი სიცოცხლის გარისკვის ფასად იხსნა მოურავი. მერე გაგულისებული გიორგი ირანში გადაიხვეწა...

წლები გავიდა...

და აჰა, შაჰმა თან აახლა იგი ყორჩიხა-ხანს (ყორჩი-ხანს), რათა საკუთარ ერზე, საკუთარ სამშობლოზე გულმოსული სააკაძე დახმარებოდა სპარსელ სარდალს ქართველთა დამცრობა-დამონების საქმეში.

მაგრამ, სინამდვილეში, საქართველოზე გულმოსული, საკუთარ სამშობლოზე განრისხებული სააკაძე ვის სად უნახავს...

და ხდება იგი მარტყოფის აჯანყება–ომის წინამძღოლი!

ომამდე ყორჩი-ხანთან იგზავნება შაჰის წერილი, რომ მან, ყორჩიხამ, და მისივე დამქაშებმა, გიორგი სიცოცხლეს გამოასალმონ.

აი, სწორედ ეს წერილი იქცა განხეთქილების ერთ-ერთ ვაშლად: ზოგი დღესაც ამბობს, - წერილი რომ არ ყოფილიყო, რითიც სპარსთაგან გიორგი იწირებოდა, განა იგი აჯანყებას მოუწყობდა შაჰ-აბასსო? ასე რომ, სააკაძე „შემთხვევითი პატრიოტია“ და ირანში მძევლად დარჩენილი პაატაც მან სამშობლოს კი არა, საკუთარ თავს შესწირაო. მართლაც შემზარავი ბრალდებაა, მით უმეტეს, როცა შვილის (პაატას) სიცოცხლეა გარეული ასეთ საქმეში, არადა...

არადა ნიკო ხერკელაძე მკვეთრად ამტკიცებს, რომ აჯანყების მომზადება დაიწყო გაცილებით უფრო ადრე, სანამ შაჰი იმ ავადსახსენებელ უსტარს (წერილს) დაწერდა. და მეტიც, - სწორედ იმიტომ დაიწერა ბრძანება ყორჩიხასადმი, რომ შაჰ-აბასს მიაწოდეს ცნობები სააკაძის საეჭვო მოქმედებების შესახებ (როგორც ჩანს, გამოცდილ ყიზილბაშურ თვალს გიორგი სააკაძის პატრიოტული „მიმოსვლანი“ არ გამოჰპარვია და დაზვერვამ იგუმანა სამზადისი დიდი ამბოხისა). მაგრამ დიდი მოურავიც მზად იყო. შემთხვევითი არაა, რომ აბასის წერილი სწორედ მას ჩაუვარდა ხელში, და მალევე დაიწყო აჯანყება. ასე მოისპო თათრული (სპარსული) ლაშქარი. ეს იყო, ალბათ, ყველაზე დიდი გაბითურება შაჰ-აბასისა, რომელმაც მარაბდაში თუმცა აიღო რევანში, (იქ გიორგის მაგივრად მის მიერვე აღზევებული თეიმურაზი ირჩია მთავარსარდლად ქართულმა ბედოვლათიზმმა), ეს რევანში სრული მაინც არ გახლდათ.

მაშ ვის და რას შეეწირა, საბოლოოდ, სრულიად ახალგაზრდა გმირი – პაატა სააკაძე?

რაღა თქმა უნდა, იგი სამშობლოს შეეწირა, მაგრამ რამდენად გაცნობიერებულად გააკეთა ეს მამამისმა - გიორგიმ, აი, ეგაა საკითხავი. პირადად მე ასე ვფიქრობ, - რაღაც დრომდე გიორგი იმედოვნებდა, რომ აჯანყებაში მისი როლი არ გამჟღავნდებოდა. ის ახლდა ყორჩიხა-ხანს გარკვეული მიზნით. შაჰის მიზანი ცნობილია. უკვე ცნობილია გიორგი სააკაძის მიზანიც, - მას ჩვენი ერის ხსნა სურდა. მაგრამ, ვფიქრობ, სააკაძე აპირებდა ისე მოეწყო ეს დიდი საქმე, რომ მისი როლი ამბოხში ბოლომდე დაფარული ყოფილიყო. მაშ,

გიორგის არ გაუწირავს პაატა, უბრალოდ, დიდი საქმენი იდუმალად, უხმაუროდ, იშვიათად ხდება და... მოკლედ, აჯანყება დაწყებულიც კი არ იყო, როცა შაჰ-აბასს გარკვეული ცნობები მიაწოდეს, - საეჭვო ამბები. აი, იმ წამიდან ალბათ უკვე გადაწყვეტილი იყო როგორც პაატას, ასევე გიორგის ბედი. ჯერ შვილი დაიღუპა. მერე, გვიან, მამაც (მეორე შვილთან ერთად), მაგრამ იქამდე გიორგიმ უამრავი მეომარი, ალაჰისა, გაისტუმრა საიქიოს.

და აი მარტყოფი, მარაბდა, ქსანი...

და აი, ბაზალეთი, სადაც ქართველი გიორგი სააკაძე ქართველივე მეფის-თეიმურაზ ბაგრატიონის პირისპირ აღმოჩნდა.

ორივე ძალუმი მებრძოლი იყო, მაგრამ დიდმა გიორგიმ აქაც გაიმარჯვა, - მან თავისი დამარცხებით გაიმარჯვა! გონებით თუ თითქოს კიდევ იდგა ქართული ლაშქრისა და ქართველი მეფის წინააღმდეგ, გულით მაინც ვერ გაიმეტა, საბოლოოდ, ისინი. ამიტომ უმტყუნა მკლავმაც და ომიც წააგო. დიდსულოვნების გამო დამარცხდა.

იმათ კი, თეიმურაზელებმა, თავიანთი ჭკუით, დიდი გამარჯვება მოიპოვეს.

საოცარია, არა? – სპარსელებთან მარაბდის ომის წამგებ მეფეს, ქართველებთან გამარჯვებული ბაზალეთის ომი უხაროდა;

ხოლო სპარსელებთან მარტყოფის ომის მომგები გიორგი სააკაძე კი ქართველებთან ბაზალეთს არაფრით მოიგებდა!

და ვერც მოიგებდა! –

მას, რაგინდ დიდი მიზანი ჰქონოდა გულში ამოჭრილი, ქართველი კაცი, მით უმეტეს – ქართველი მეფე დასაღუპად არ ემეტებოდა.

აკი ვერც გაიმეტა. მკლავი მოუდუნდა და ბრძოლაც წააგო (აქ სახალხო გმირი არსენა მარაბდელი მახსენდება, რომელმაც ასევე ვერ გაიმეტა მოსაკლავად კუჭატნელი, და ამ კაცთმოყვარეობას, ამ სათნოებას შეეწირა კიდეც უდიდესი ყაჩაღი–გმირი, რომელმაც ისე გაატარა თავისი ხანგრძლივი „კრიმინალური“ ცხოვრების გზა, რომ ერთი კაცის ცოდვაც კი არ დაუდევს კისერზე! არ ვიცი, მეორე ასეთი ყაჩაღი თუ მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში. არსენა, ვფიქრობ, არა მარტო ლეგენდარულ გურულ ფირალებს, არამედ უცხოელ „ვარსკვლავს“ - რობინ-ჰუდსაც აჭარბებს).

გიორგი სააკაძეს რომ ბაზალეთის ომი მოეგო, იგი, ალბათ, გიორგი სააკაძე არც იქნებოდა, და, მაშ, აღარც ასეთი სიყვარული დარჩებოდა ერს მისდამი.

თითქმის უძლეველი მეომარი, რომელსაც არასოდეს ეღლებოდა მკლავი სხვებთან, უცხოებთან ბრძოლისას, როცა ქართველ მეფესა და ქართველებს ანუ თავისიანებს შეეჯახა, მკლავმოდუნებული, ძლეული და, თან... უძლეველი გაეცალა ბრძოლის ველს...

მაშ, მარაბდიდან დაიწყო და ბაზალეთში დასრულდა სააკაძის დასამარება, ცოტა მოგვიანებით კი, ისევ უცხოეთში გადახვეწილი, ეს ცოცხლად დასამარებული, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული გმირი საქართველოს ისტორიისა, (რომელიც, არაერთგზის ნახსენებ თორნიკე ერისთავთან ერთად, იყო მსოფლიო მნიშვნელობის მხედართმთავარი), უკვე საბოლოოდ დაიღუპა, იქაც – მოშურნეთა მიერ...

აი, ასეთი ტიტანური გმირის შესახებ დაწერა ნიკო ხერკელაძემ თავისი, ალბათ, უმთავრესი ნაშრომი, გრანდიოზული წიგნი, და წარუშლელი კვალი დატოვა „გიორგიადას“ ვრცელ სამანებში. აბა, ის სააკაძე, რომელიც ბატონმა ნიკომ დახატა თავისი კალმით, აი, ის გიორგი სააკაძე, მეფე თეიმურაზს რომ ვერ იმეტებს ბაზალეთში, წმინდანად აღიარებული მეფე ლუარსაბის გამმეტებელი იყო? (ეგეც რომ შესწამეს, ათას სხვა ცილისწამებასთან ერთად, - ლუარსაბის დაღუპვაშიც გიორგის ურევია ხელიო).

არა, დიდი გულის პატრონი გახლდათ ნოსტელი გმირი, დიდ მოურავად რომ შემორჩა ისტორიას;

და სწორედ ნიკო ხერკელაძეა ის კაცი, ვინც ყველაზე უფრო ახლოს მივიდა სიმართლესთან გიორგი სააკაძის გრანდიოზული პიროვნების მარადიულ საკითხში...

სხვათა შორის, ჩემს მეგობარს – გიორგი ზუხბაიას (ზუხბას) თავის დიდებულ ლირიკაში აქვს ერთი ასეთი ლექსი „პოეზიის ფერფლი“, რომლის მეორე სათაურიც არის „ზეცის სრულყოფა“. (ეს ლექსი მისსავე „მიუწვდომელთან“, და კიდევ რამდენიმე სხვა ქმნილებასთან ერთად, საუკეთესოდ მიმაჩნია ზუხბას ლირიკაში, და ხანდახან, მას, პატარა, არაძირითად, თუმცა საინტერესო ტრილოგიად ვაერთიანებ ისეთ ლექსებთან, როგორებიცაა გოგა არაბულის „სინათლის ფერფლი“, ჩემი დაწერილი „ფერფლი უთეთრესი“, და, აი, ზუხბას „პოეზიის ფერფლი“). რად გამახსენდა ახლა მეგობრის ლირიკული ნაშრომი?

იმად, რომ...

მისი მეორე სათაურის გამო - „ზეცის სრულყოფა“.

აი, სწორედ ზეცის სრულყოფა მგონია, ახლა, ბატონი ნიკოს წიგნიდან მოსული შთაბეჭდილების შემდეგ, ცხოვრება და მოღვაწეობა ნოსტელი (ქართველი!) გმირის – გიორგი სააკაძისა...

თბილისი. 2014 წელი. აპრილი.

აკაკის სამეფო

ერთ-ერთი თანამედროვე ხელოვანი, როდესაც ჯერ კიდევ მხოლოდ თვრამეტი წლისა იყო, თავის მოთხრობაში წერდა:

თქვენ თუ გადალახეთ ის ზღვარი, ბატონო ნულ? – ამგვარი პირდაპირი და ცოტა არ იყოს უხეში კითხვის დასმის უფლებას თქვენი ხნოვანება-გამოცდილება მაძლევს... – ოლირს ვერ გაერკვია, ბოლომდის, აზრთა ვითარება, და ამ პირდაპირი კითხვით გადაეწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ აღექვა მოხუცის აზრების ჭეშმარიტება. ამის დადგენას კი ოლირი აპირებდა იმ კაცთან, რომელსაც, (იქნებ), თვითონ ჰქონდა ეს აზრები განხორციელებული...“

ბატონი ნული სიმბოლური სახელია გენიალური, სნეული ფილოსოფოსისა, მოხუცისა, რომელსაც ყველაფრის ცოდნა მოეთხოვება. რატომ „ნული?“ – აი, ეს სხვა თემაა...

ბატონი მარადისობა – ეს კი უკვე აკაკი არის, გათეთრებული მოხუცი, პოეტი – ფილოსოფოსი, რომელსაც ასევე მოეკითხებოდა, თავის დროზე, ყველაფერი, და რომელიც ილიასთან ერთად, მთელი ქართველი ერის სათავეში აღმართულიყო, სიცოცხლეშივე ადგილდამკვიდრებული ჩვენი პოეზიის შვიდ გაუხუნარ გენიოსს შორის.

იმ მოთხრობას, წედან რომ ვახსენე, „ზღვარი“ ჰქვია. დიდწილად, ძირითადადაც კი, სწორედ მან, მისმა მოწონება-აღიარებამ გადამაწყვეტინა, რომ ჩემი შემოქმედებითი ჯგუფისათვის თავიდანვე „ზღვარი“ დამერქმია.. დიახ, მე ვაღიარე ის ქმნილება, რომელიც ეძღვნება მრავლისმთქმელ სიმბოლოს – ზღვარის გადალახვას. ეს უკვე ღრმად პოეტური ფილოსოფიაა.

ხოლო პოეტთაგან თუ ვინმემ გადალახა ზღვარი, ანუ შიში, ანუ საკუთარი თავი ანუ – ყველაფერი, მთელი სამყარო, ეს, უპირველეს ყოვლისა, რუსთაველი, აკაკი, გალაკტიონი და გრანელი იყო,

აკაკი წერეთელი!

აი, სწორედ ასეთი ლეგენდის სახლ-მუზეუმის ერთობლივი მონახულება გადაწყვიტა ჩვენმა აკადემიამ მაისის თვეში, და იქ, პირდაპირ პოეტის ეზოში (ეზოში რამდენიმე შენობა დგას, ლაპარაკია, ერთ-ერთ მათგანზე) ხელოვნების საღამოს გამართვა. ჩემთვის ეს იმავე მნიშვნელობის აქტი თუ ქმედება იყო, როგორც, აი, ის დიდი წარსული, ვთქვათ, ალექ-

სანდრე მაკედონელმა რომ აქილევსის საფლავი მოინახულა. გამაოგნა აკადემიის ერთპიროვნული ხელმძღვანელის – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ასეთმა თამამმა, გაბედულმა იდეამ.

თბილისიდან საჩხერისკენ (სხვიტორისკენ) ენთუზიაზმით სავსენი გავედით. მაშ ასე, – მანქანაში ოთხნი ვართ: მე, გიორგი ზუხბაია, კახა ბაციკაძე, ირმა ფირცხალავა-ბაციკაძე. გავედით ტრასაზე. სიჩქარეს ვუმატებთ. გავცქერით უსწორმასწორო, უზარმაზარ ქართულ (იბერიულ) სივრცეებს, რომელნიც თანდათან თითქოს უფრო და უფრო ნესტიანი ხდება. ჩანს – დასავლეთს ვუახლოვდებით.

ბოლოს შევედით საჩხერეში. სხვიტორიც – ის სოფელი, რომელშიდაც ლეგენდარული პოეტი დაიბადა და სადაც ცხოვრობდა ძირითადად, უკვე ძალიან ახლოსაა. აი, შევდივართ სოფელში. აკაკის სახლი შემაღლებულზე დგას და მთელ „საწერეთლოს“ ზემოდან დასცქერს. ესაა ძველი, თავადური, ორსართულიანი სახლი, რომლიდანაც შესანიშნავი სივრცე იშლება. იქვე ძველი, პატარა სამლოცველოა. ეზო დიდია, ამწვანებული. ჩემი ყურადღება მიიპყრო ორმა მოიასამნისფრო ხემაც. ამიხსნეს, რომ ეს უცხოურ-აღმოსავლური ჯიშის ხეებია, და მათგან ყველაფრის (თვით კეთრისაც კი!) წამალი მზადდებაო. მოკლედ, ეს ხეები,

თითქოს, თავისებური პანაცეაა. მომწვანო-მოლურჯო ფერთა შეხამება ოლირის თვალებივით ანთებს ირგვლივეთს. გარმეო აღსავსეა პოეტურობით.

ეზოში ხალხთა სიჭარბეა, – როგორც თითქმის ყოველთვის, ახლაც მოგვასწრო ადგილზე მისვლა ქალბატონმა გულნაზმა და მისმა გარემოცვამ: აგერ, ვხედავ ჯუმბერ ხარაიშვილს, ნაილი ხარაიშვილ-ხეთერელს, ლამზირა შეყილაძეს, მარინა კოლხიდაშვილს, ქალბატონი გულნაზის შვილიშვილს – ნანა სხირტლაძეს, თავის გარემოცვაში, და კიდევ სხვა, უამრავ ადამიანს... მარინას ხელში უჭირავს თავისი განუშორებელი ფანდური, – აშკარაა, რომ სასიმღეროდ ემზადება... ხო, – სტუმრებთან ერთად აქ მასპინძლებსაც ვხედავ, რომელნიც დიდ ფუსფუსში არიან: მათ სურთ, რომ „აღმოსავლელი“ სტუმრების თვალში სრულიად გამართლდეს ლეგენდა „დასავლური“ სტუმართმოყვარეობის შესახებ. ვაღიარებ, – იმერეთი კიდევ ერთხელ შეგვხვდა შესანიშნავად.

ჩვენ, ახალმოსული ოთხეული, ვათვალიერებთ ეზოს, სამლოცველოს, მგოსნის სახლს, სადაც მეორე სართულია უფრო მნიშვნელოვანი: აქაა თვით ის ოთახიც, სადაც პოეზიის ერთ-ერთი მეფე-ღმერთი დაიბადა... სხვათა შორის, ზალაში (ყველაზე ვრცელ ოთახში) ვნახეთ ავეჯი ჭადრაკის ფიგურების გამოსახულებითაც, – მოგეხსენებათ, რომ აკაკის მამა, როსტომ წერეთელი, ანდრია დადიანთან და კიდევ ერთი-ორ სხვა პიროვნებასთან ერთად, მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ქართველი მოჭადრაკე იყო, და სწორედ ამიტომ თუა, ავეჯზე, გამოსახული ეს ფიგურები. აკაკი ხომ თითქმის დაუმარცხებელი გახლდათ პოეტურ პაექრობებში (ხოლო საერთოდ პირველობდა პოპულარობით), და ასეთივე გახლდათ, თურმე, როსტომი – საჭადრაკო დაფასთან.

შემდეგ ის იყო, – დიდებული საღამო შედგა აკაკის ეზოში მოწყობილ ერთ-ერთ დარბაზში. გამომსვლელი ბევრი იყო, ამიტომაც თითოეულ მათგანზე აღარ გავამახვილებ ყურადღებას, თუმცა რამდენიმე ეპიზოდი მაინც უნდა აღვნიშნო: ნათელა ხარაიშვილი, დიდი ხის წინ ავარიაში მოხვედრილი ინვალიდი, მაგრამ უნიკალური პოეტი, ძლიერი სულის ადამიანი, დასამახსოვრებლად გამოვიდა სიტყვით, მან არც ლექსი მოაკლო მსმენელს; ორჯერ გამოვიდა კახა და დიდოსტატურად შეასრულა სიმღერები: „ნასახლარი“(პირობითი სათაურია), „ჩემო ლირიკა“; ასევე დამამახოვრდა ზუხბას გამოსვლა, რომელსაც ლექსის წაკითხვა როცა სთხოვეს, ერთწუთიანი დუმილით უპასუხა დარბაზს, – ვთვლი, რომ აი აქ, ამ დგილას, დიდი პოეტის სამყაროში, სწორედ ეს დუმილი იქნება ჩემგან თქმული საუკეთესო ლექსიო.

ქალბატონმა გულნაზმა საღამო თუმცა თვითონ გახსნა შემაჯამებელი სიტყვა კი მე დამითმო. სათქმელის დასრულებისას დარბაზს მოვუწოდე, რომ ფეხზე ამდგართ, აპლოდისმენტებით გამოეხატათ მადლირება გულნაზ ხარაიშვილისადმი, ანუ იმ ადამიანისადმი, რომელმაც ასეთი დაუვიწყარი დღე გვაჩუქა. წამოიშალა მსენელი, იქუხა ტაშმა, ხოლო ყოველივე დააგვირგვინა აკაკის უკვდავმა „სულიკომ“, რომელიც მარინა კოლხიდაშვილმა წამოიწყო და აიყოლია მსმენელები.

იქ, აკაკის სამყაროში, არაერთი ფოტოსურათი გადავიღეთ. შემდეგში ერთ მათგანზე აღმოვაჩინე კახა და ალეკო ბაციკაძეები, – ერთად არიან გადაღებულნი. კარგი სურათია. ეტყობა, ბაციკაძეთა გვარი უკვე ამაყობს იმ ფაქტით, რომ ისეთი ხელოვანი, როგორიც კახაა, მათი წარმომადგენელია.

ეზოშივე, მოზრდილ ფაცხაში, სუფრა გაიშალა. იქაც გაისმა ლექსები და სიმღერები, – ვინა თქვა კარგი სუფრა პოეზია-მუსიკის გარეშე! (უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკადემიის სუფრას, უკვე მერამდენედ, გიორგი ზუხბაიამ (ზუხბამ– უთამადა).

თბილისისაკენ რომ წამოვედით, ოთხეულს რამდენიმე სიმბოლური ამბავი შეგვემთხვა. მაგალითად: ჯერ იყო და, ერთ რომელიღაც „უცნაურ წრესთან“, გზა აგვერია. ასე აღმოვ-

ჩნდით სავანეში – სწორედ იმ სოფელში, რომელშიც ბავშვობისას, ერთი ხანობა, გაძიძავებული იყო პატარა აკაკი.. მერე, როცა მართებულ გზას დავადექით, ვრცელ, მთა-ტყიან ხეობაში ნისლმა მოგვისწრო. თეთრი, სქელი ნისლიდან დროდადრო გამოანათებდა მანქანათა შუქფარები. წინსვლა ჭირდა.

– დღეს ხომ ათი მაისია, – ხმამაღლა ვთქვი უცებ, – ის დღეა, როცა დიდებული პოეტი – რატი ნინუა დაიღუპა, – ჩვენი უნივერსიტეტელი მეგობარი... რომელ ჩვენგანს გაახსენდა იგი იქ, სხვიტორში, სწორედ დღეს, წმინდა აკაკის სამეფოში?

– დარწმუნებული ვარ, რომ იგი ყველა ჩვენთაგანს ახსოვდა დღეს... სხვაგვარად აბა როგორ იქნებოდა... უბრალოდ, ზუხბას მსგავსად, თითქოს დუმილით ვწერდით ლექსს ამ თემაზეც, – ჩუმად მიპასუხა კახამ.

და ნისლი მალევე გაიფანტა, გზა გამოჩნდა! – ეს იყო ნამდვილი სასწაული...

თბილისში რომ ჩამოვედით, მერე, გვიან გავიგეთ, რომ იმ დღეს, ქალბატონ გულანზს და მის გარემოცვას, ბიძინა ივანიშვილის მშობლიური სოფლის-ჭორვილის დათვალიერებაც მოუსწრიათ. ჩვენ კი, ოთხეულმა, ათ მაისს მხოლოდ საჩხერე, სხვიტორი და სავანე ვნახეთ ძირითადად, მაგრამ ჩვენთვის, პოეტთათვის (ირმასაც ხომ, გარკვეული გაგებით, პოეტად ვთვლი), ესეც სრულლიად საკმარისი არის, – მაისის იმ დღეს ხომ თვით აკაკის სამეფო მოვინახულეთ!

თბილისი 2014 წელი.

ბეჟან ხარაიშვილის სულის ზეიმი

ორიათასცამეტი წელი ყველაზე უფრო აქტიური აღმოჩნდა ჩვენი აკადემიისათვის. თვე არ გავიდოდა ისე, რომ ორი-სამი და მეტი შემოქმედებითი საღამო არ ჩაგვეტარებინა. დახ, პირველი თვიდანვე, იანვრიდანვე მოყოლებული სულ ასე იყო. ამ ყოველივეს დაგვირგვინება კი გახლდათ შესანიშნავი პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის ხსნოვნის საღამო, ოცდახუთ დეკემბერს – წლის ბოლო თვეს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო უბრალო, თბილი, თანაც, ამავე დროს, თავისებურად ამაღლებული პოეტური შეკრება, რაც კი ოდესმე მინახავს.

ბეჟანი იმ დღეს სამოცი წლისა უნდა გამხდარიყო, მაგრამ პატრიოტი პოეტი დიდი ხნის წინ სასიკვდილოდ დაჭრეს, მერაბისა და ზვიადის იდეების ერთგულებისათვის. ასე დაიღუპა იგი, დაახლოებით ოცდაათი წლის ასაკში. იგი წავიდა, თუმცა აქ დატოვა გაუხუნარი ლეგენდა თავისი პოეტური ცხოვრებისა. ის იყო ხარაიშვილთა ძველი გვარის ამ შტოს პირველი ვარსკვლავი, ხოლო მეორე გახლავთ ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი – ბეჟანის უფროსი და, მისი დიდებული ძმის პირველი ხსოვნის საღამოს ორგანიზატორი და წამყვანი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. ამ ღონისძიების მოწყობა-ჩატარებაში მას ძალიან გაუმართა ხელი ქალბატონმა მარინა სხირტლაძემ, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობს. იგი თვითონაც ესწრებოდა ჩვენს შეკრებას.

საღამოზე წარმოდგენილი იყო თითქმის მთელი ბირთვი აკადემიისა: თვითონ პრეზიდენტი – ქალბატონი გულნაზი, ლამზირა შეყილაძე, თამარ ჯაჭვაძე, ნაილი ხეთერელი (ხარაიშვილი), ზაურ ნოზაძე, ამ აკადემიის არეალში ახლახანს გამოჩენილი ლევან და ანზორ ბაბუხადიები და სხვანი კიდევ, ასევე საინტერესო პერსონები. აქ იყო, მაგალითად, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის ერთ-ერთი „პიარმენეჯერი“ ქეთი თუთბერიძე, ასევე – საინტერესო პოეტი თამარ რაზმაძე, უნიჭიერესი ახალგაზრდა პოეტი გვანცა ხარაიშვილი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი (მოცურავე) რუსუდან გორდეზიანი და სხვები. ღონისძიებას დაესწრნენ ბეჟანის ოჯახის წევრებიც: მისი მეუღლე, შვილი,

რძალი და პატარა შვილიშვილი, რომლის არსებობამ, მისმა მხიარულმა ხასიათმა, ოპტიმისტურად განაწყო ადრეწასული პოეტის დასევდიანებული მეგობრები. დიახ, ისინიც ესწრებოდნენ ამ შეკრებას: ანა ბოდბელი. ლევან ბაბუხადია და სხვები.

საღამოზე წაიკითხეს ბეჟანის მრავალი ლექსი, გაგვაცნეს სიტყვა-სტატიები მის შესახებ, იყო მოგონებებიც: ითქვა საყურადღებო დეტალები პოეტის ცხოვრებიდან, ასევე – ისეთი ყოფითი ამბები, რომელთაც გააცოცხლეს გალეგენდებული ახალგაზრდა კაცის ფერადი დრო. ამ ამბავთაგან ზოგმა თუ გაამხიარულა მსმენელები, ზოგმა სევდის ცრემლებიც კი მოჰგვარა დამსწრეებს.

ქალბატონმა გულნაზიმ, რომელიც, დაუცხრომელი მოღვაწეობისა გამო, ბოლო ხანს გაუთანაბრდა კიდეც თავის დიდებულ ძმას, ბეჟან ხარაიშვილის სახელობის სიგელიც დააწესა. ამ ჯილდოს პირველი მფლობელები გახდნენ ბეჟანის წიგნის გამომცემელი ლევან ბაბუხადია და პოეტის მეგობარი, თანამოაზრე, ასევე პოეტი ზაურ ნოზაძე.

შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარის“ შემადგენლობიდან ამ ღონისძიებას მე და კახა ბაციკაძე ვესწრებოდით. იმ დღეს ჩვენდამი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა როგორც ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა, ასევე დიდი სტაჟის მქონე პოეტებმა – ნუნუკა გურალიამ და მიმოზა ცანავამ. სხვათა შორის, ისინი განუყრელი მეგობრები არიან. ქალბატონმა მიმოზამ, თავის გამოსვლაში, ჩემს წიგნს, – „გზა მწვერვალისკენ“, გენიალური ნაშრომი უწოდა. დიახ, შეიძლება მან გადააჭარბა, მაგრამ მე კი უნდა ვაღიარო, ძალიან გამახარა მისმა ასეთმა მაღალმა შეფასებამ. ეს წიგნი უკვე ორ სხვადასხვა აკადემიაში განიხილეს, არაერთმა დიდებულმა პიროვნებამაც თქვა მისი საქებარი, მაგრამ მიმოზა ცანავამ თავისი ასეთი ხმაურიანი შეფასებით წიგნის დონის აღმნიშვნელი თემა კიდევ უფრო მაღლა ასწია.

„გზა მწვერვალისკენ“ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის შესახებ მოუთხრობს მკითხველებს, მაგრამ წიგნში არის ბეჟანისადმი მიძღვნილი პასაჟიც, ასე რომ, ამ ნაშრომის ხსენება, დიდი პოეტის საღამოზე, არ იყო თემიდან გადახვევა.

თუმცა, აი, თემიდან გადახვევა გახლდათ ჩემი გამოსვლა, და კიდევ კარგი, რომ ეს წინასწარ შევათანხმე აკადემიის პრეზიდენტთან. მე თითქმის მთლიანად გვანცა ხარაიშვილის შესახებ ვისაუბრე, მისი ლექსიც კი წავუკითხე მსმენელებს.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენ, – „ზღვარის“ წევრებმა, გვანცა უნიჭიერეს ადამიანად მივიჩნიეთ და ჩვენსავე მოწაფეთა რიცხვს შევმატეთ იგი. მე და კახას გვსურს, რომ მისგან შედგეს მესამე ნიშანსვეტი ხარაიშვილთა ცნობილი გვარისა. არა, რაღა თქმა უნდა, იდეალური ვერავინ იქნება, იდეალური ადამიანი ხომ მხოლოდ ღმერთკაცი ისეო იყო და სხვა არავინ, მაგრამ ნიჭიერი ადამიანები კი საკმაოდ არიან ამქვეყნად, ხოლო თითოეული იმათთაგანის უსახელოდ დაკარგვა ცოდვაა ნამდვილად. ამიტომ აუცილებელია ახალგაზრდებთან მუშაობა, მათი უნარის, ნიჭის სწორად წარმართვა. ჯგუფი „ზღვარი“ (ისევე, როგორც მთელი აკადემია) მკვეთრად მუშაობს ამ კუთხით. სწორედ ამ დიდი გეგმის ნაწილია ის, რომ მე და კახა ვცდილობთ ვაზიაროთ მაღალი ხელოვნების საიდუმლოებებს ახალთაობა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი მათგანი სწორედ გვანცა ხარაიშვილია, რომლის პირველი სერიოზული წარდგინება, საზოგადოების წინაშე, სწორედ მე ავიღე საკუთარ თავზე. და წარდგინებაც შედგა. სხვათა შორის, იგი ახლა მუშაობს პოეტურ წიგნზე, რომელსაც ასეთი დასათაურება შევურჩიეთ ჯერ-ჯერობით: „პოეზიის ასი წელიწადი“ (როგორც მარკესის თავისებური გამოხმაურობა). თუ ეს წიგნი შესაბამისად მივიდა ბოლომდე, მაშინ ის შეიძლება რევოლუციურ მოვლენადაც კი იქცეს ქალურ პოეზიაში.

გამიხარდა, რომ ღონისძიებაზე გვანცამ მისი მეგობარიც მოიყვანა (მასაც გვანცა ერქვა), და საერთოდ, – ბეჟანის ხსოვნის საღამოს არც ახალგაზრდები აკლდა, ნიჭიერი

ახალგაზრდები. ეს დიდებულია: თაობათა სწორი, ღრსეული ცვლა განსაკუთრებულ წარმატებად მიმაჩნია.

პოეტურ საღამოზე ქალბატონმა გულნაზიმ მკვეთრი პრივილეგია არგუნა აკადემიის ერთ-ერთ მთავარ ძალას (ხელოვნების კუთხით) – კახა ბაციკაძეს, რომელსაც სამჯერ მიანიჭა გამოსვლის საშუალება. კახამ, პირველ ჯერზე, ბეჟანის ლექსი წაიკითხა, ხოლო მეორედ და მესამედ მსმენელებს გიტარის თანხლებით წარუდგინა ჯგუფ „ზღვარის“ სიმღერები – „მარადისობა“ და „ჩემი ლირიკა“. ეს მრავალმხრივი ხელოვანი ამჯერადაც ძალიან თბილად მიიღო მსმენელმა.

უნდა ითქვას, რომ როგორც ჯგუფ „ზღვარში,“ ასევე მთელს აკადემიაში, კახას განსაკუთრებით ვათამამებთ, მაგრამ იგი, მკვეთრი ნიჭის გამო, აშკარად იმსახურებს ამ პრივილეგიას. ის ერთადერთია, რომელსაც, ოცი წლის განმავლობაში, შვიდასზე მეტ პოეტურ პაექრობაში გაუმარჯვია ზედიზედ, ხოლო როცა ორიათასცამეტი წლის დასაწყისში ზედიზედ არაერთი რთული პოეტური შერკინება მოიგო (სხვათა შორის, ქართველი პოეტების პარალელურად, რამდენიმე უცხოელი ხელოვანიც დაამარცხა), მე და ჩემმა გარემოცვამ მისდამი ზედმეტად ხმაურიანი ზედწოდებანიც კი გამოვიყენეთ: საქართველოს და მსოფლიოს ჩემპიონი ვუწუდეთ პოეზიაში, ასევე – მთელს ხელოვნებაში. რაღა თქმა უნდა, ასეთი რამ სარეკლამო ტრიუკს უფრო ჰგავს, მაგრამ კახას მსგავს უნიჭიერეს ადამიანებს, თავისებურ „ხელოვნების მეფეებს“, ყოველთვის ათამამებდნენ ხოლმე ჩემი და ქალბატონი გულნაზის მსგავსი ნიჭიერების მოყვარული პიროვნებები. ასე ხდება ახლაც, ეს არის და ეს.

ბეჟან ხარაიშვილიც სწორედ რომ განსაკუთრებული ნიჭიერების სიმბოლოა დღეს ჩვენთვის, და ამიტომაც, მისი ხსოვნის პირველ საღამოზე, მე თუ მკითხავთ, აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა კახას ან ვინმეს – მის მსგავს ხელოვანს (თუკი სხვა ასეთი მოიძებნება). საბოლოო ჯამში ყველაფერი ლამაზად გამოვიდა.

თუმცა ჩემი მონაყოლი აქ არ სრულდება. კიდევ ერთი-ორი დეტალი უნდა გადმოვცე.

ქალბატონმა ჯულიეტა ალავიძემ და მისმა მეუღლემ საღამოზე მოიტანეს გასაოცარი სილამაზის შავი ვარდები. ეს მოლურჯო-შავი ფერის საოცრებანი აღვიქვით, როგორც სიმბოლონი, ადრეწასული პოეტის საღამოზე, რომელნიც მის ტრაგიკულ ბედს, მის ხელოვნებას გამოხატავდა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი თბილი, გულისამაჩუყებელი ეპიზოდი, რომელიც ახალგაზრდა აჭარელ კაცს – ნოდარ ბერიძეს ეხება. იგი ნიჭიერი ადამიანია, ცდილობს ბიზნესში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში მოიკიდოს ფეხი და საზოგადო მოღვაწე გახდეს. ახლახანს ის, თურმე, ქრისტიანად მოინათლა. – ჩემი კიდევ ერთი ნათლია თქვენ მინდა იყოთო, – მიმართა მან ქალბატონ გულნაზს, – რამეთუ მეც და აქ მყოფთა უმეტესობაც, სწორედ რომ ისე გიყურებთ, ისე აღგიქვამთ თქვენ, როგორც საკუთარ დედასო.

ლამაზი სიტყვები იყო.

დარბაზში მსხდომთაგან, ამ დროს, ზოგმა ცრემლი ვერ შეიკავა...

საერთოდ, ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი დიდი საღამო მე დამამახსოვრდება, როგოც ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თბილი, მოსიყვარულე ღონისძიება. ეს იყო ღიმილისა და ცრემლების თავისებური ზეიმი. დარწმუნებული ვარ, რომ იმ დღეს განსაკუთრებით ბედნიერი იქნებოდა იქ, ცათა სასუფეველში, მარადახალგაზრდად დარჩენილი პოეტის თეთრი, პოეტური სული...

უმაღლესი იდეებისაკენ სწრაფვა, უმაღლესი მწვერვალებისაკენ სვლა, – ესაა ჩვენი აკადემიის მუშაობის პრინციპი, და ვცდილობთ ასე მივუდგეთ შემოქმედებით საღამოებსაც.

ვთქვათ, ლეგენდარული ბრიტანული ჯგუფი, ხელოვანებისა, „ქუინი“, ამბობდა, რომ ჩემპიონები, უპირველესები იყვნენ როგორც საკუთარ სამშობლოში, ისე – მსოფლიოშიც (სამყაროშიც). ისინი, აქ, მხოლოდ როკ-მუსიკას გულისხმობდნენ. მაგრამ ეს უმაღლესობისკენ სწრაფვის პრინციპი, რომლიც ასე ჩაბუდებულიყო, ვთქვათ, „პინქ ფლოიდებსა“ და „ქუინებში“, ჩემმა ჯგუფმა – „ზღვარმა“ მთელს ხელოვნებაზე გაავრცელა, და როცა ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილის აკადემიაში გავწევრიანდით, აქაც დაგვხვდა ისეთი გარემო, რომ მსგავსი პრინციპები, შემოქმედებით პიროვნებათა და შემოქმედებით ჯგუფთა საუკეთესოობისა, კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა.

საერთო წინსვლა ყველასათვის წარმატებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით ეს დაეტყო ჩვენი აკადემიის ორიათასცამეტი წლის შემოქმედებით საღამოებს.

და ლეგენდად ქცეული ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის საღამო ერთი ასეთი სახელოვნებო ნათებათაგანი იყო, ის განსაკუთრებული სინათლე, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში...

თბილისი. 2014წელი.

სტუმრობა
ლეგენდარული ირაკლი ანდრიაძის ოჯახში

მოგეხსენებათ, ბატონი ირაკლი ანდრიაძე ქალაქ თბილისის პირველი მერი გახლდათ (ამავე დროს იგი იყო აღმასკომის უკანასკნელი თავმჯდომარე), და დედაქალაქის აღმშენებლობა-აღზევების საკითხში, წლების განმავლობაში, გადამწყვეტ როლს ასრულებდა. თუმცა მისი სახელი ლეგენდად მაინც იმ ფაქტმა აქცია, რომ პირადად ხელმძღვანელობდა მსოფლიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შედევრის – სამების დიდი ტაძრის ქმნადობის საქმეს. ეს საკითხი, რაღა თქმა უნდა ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც, როცა ანდრიაძეების ცნობილ ოჯახს ვეწვიეთ, საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო.

ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა თან გვიახლა პოეტები – მე, კახა ბაციკაძე, ანი ყალიჩავა (რომელმაც გადაიღო ჩვენი შეხვედრა), და ვესტუმრეთ ანდრიაძეების ფუძეოჯახს. ბატონი ირაკლის გარდაცვალების შემდეგ მათ ერთ-ერთ მკვეთრ წინამძღოლად მისი მეუღლე – მწერალი (ჩვენი აკადემიის აკადემიკოსი) ციალა ხაჟალია გვევლინება, რომელიც რამდენიმე უაღრესად საინტერესო წიგნის ავტორია. მის ნაშრომთაგან გამოვარჩევდი, მაგალითად, იმ წიგნს, რომლის სათაურიც გახლავთ „რაც მეხსიერებას შემორჩა“, და მემუარული ლიტერატურის, საერთოდ, დოკუმენტური ლიტერატურის განსაკუთრებულ ნიმუშს წარმოადგენს.

ქალბატონ ციალასთან, იმ დღეს, სტუმრები შეკრებილიყვნენ, ქალბატონები – ჟუჟუნა ნიჟარაძე, ჯენეტი ჯებაშვილი, რუსუდან ანდრონიკაშვილი და სხვები, რომელნიც ამდიდრებდნენ ჩვენს საერთო საუბარს თავიანთი მოგონებებით. იქვე გავიგე, რომ ჟუჟუნა ნიჟარაძე (გულნაზ ხარაიშვილთან ერთად), საერთოდ, ერთ-ერთი ორგანიზატორიც კი ყოფილა ამ შეხვედრისა, ხოლო მოგვიანებით, ჩვენს საპატივცემულოდ გაშლილ სუფრასაც, სწორედ ქალბატონი ჟუჟუნა გაუძღვა.

ყველაზე საინტერესო ნაწილი, ჩვენი შეხვედრისა, იყო ქალბატონი ციალას მოგონებანი დიდი ტაძრის მშენებლობასთან, ანუ – საუკუნის და ყველა დროის მშენებლობასთან

დაკავშირებით. მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის ეს აღმშენებლობითობა, რომელიც ჩვენი ერის ცხოვრების უმძიმეს დროს წარიმართა, ციალა ხაჟალიამ თითქმის დეტალურად გაიხსენა. მისი მონაყოლიდან გამოიკვეთა ხუთი მთავარი პიროვნება, რომელთაც საკუთარი მხრებით ზიდეს ეს საქმე: კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, გარკვეულ პირებთან ერთად, მშენებლობის ხელმძღვანელობას აბარებენ ბატონ ირაკლის. აქვე ჩნდება არჩილ მინდიაშვილის ფიგურაც, რომელიც არქიტექტორია ტაძრისა, და იწყება მშენებლობა დიდი წვალებით მოგროვებული ფინანსების ხარჯზე. უმძიმესი დროა. ყოველ ნაბიჯზე აწყდებიან წინააღმდეგობას, რათა არ აშენდეს „ახალი იერუსალიმი“ თუ „ახალი სვეტიცხოველი“, მაგრამ ეს ადამიანები მაინც ახერხებენ საქმის ზარზეიმით დაწყებას და ტაძრის ქვედა მხარეც (ხარების ეკლესიას რომ ეძახიან), აჰა, როგორც იქნა, შენდება თურმე, და თურმე იქ იმართება პირველი წირვაც, რომელსაც ესწრება იმედით ფრთაშესხმული უამრავი ადამიანი. ქალბატონი ციალა იხსენებს, რომ ამ ეტაპზე თითქმის ამოიწურა დიდი წვალება-ჯახირით ნაგროვები ფინანსები, ამიტომაც, ედუარდ შევარდნაძისა და ირაკლი ანდრიაძის უშუალო ჩარევით, მაღალ ეროვნულ საქმეში, აღმშენებლობაში, ჩნდება მეცენატ ბიძინა ივანიშვილის პერსონა. ბატონი ბიძინა ასე ხდება მთავარი დამფინანსებელი სატაძრო საქმისა...

საბოლოო ჯამში ირაკლი ანრდიაძემ გამარჯვებით დააგვირგვინა საუკუნის გამოწვევა და უწმინდესის არაერთ სიტყვაშიც გაჟღერდა მისი სახელი, როგორც დიდი ტაძრის ერთ-ერთი ძირითადი აღმაშენებელი... მაგრამ ყველამ თურმე არ დაუფასა ღვაწლი ბატონ ირაკლის, მადლობის მაგივრად, ზოგიერთებმა, იგი დასასჯელადაც კი გაიმეტეს! ამ მხრივ, ირაკლი ანდრიაძე, შეემსგავსა მის სულიერ წინამორბედს – გენიალურ არსაკიძეს, რომელსაც სვეტიცხოვლის აშენების შემდეგ სასჯელი დაატეხეს თავზე...

ჩვენ დიდხანს და ყურადღებით ვუსმენდით ქალბატონი ციალას მთელს მონათხრობს, რომელსაც იმ დღეს (უფრო სწორად – ჩვიდმეტი ივნისის გუშინდელ, უაღრესად საინტერესო დღეს) უფრო ავსებდა რძლის – ქალბატონ ნატო იაშვილის ჩანართები. (ციალა ხაჟალიამ ორი შვილი გაზარდა – თემური და მარინა. სწორედ ბატონი თემურის მეუღლე გახლავთ ნატო იაშვილი).

ქალბატონმა ნატომ დიდი ირაკლი ანდრიაძე დაახასიათა, როგორც არისტოკრატიზმისა და ინტელიგენტურობის განსახიერება, ამაყი, ბრძენი, გულთბილი წინამძღოლი ოჯახისა, რომელსაც თურმე საოცრად ჰქონდა განვითარებული მადლიერების გრძნობა.

- ამ ოჯახში დღესაც არის დარჩენილი მისი კულტი, დღესაც ვეთაყვანებით მის ფენომენს, - ამბობს ქალბატონი ნატო, - ირაკლი თითქმის ყველას უყვარდა, უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ... იყო ამ კაცში რაღაცა არაჩვეულებრივი, არამიწიერი, და ბოლომდე ასეთად დარჩა...

ამ დიდი ოჯახის უფრო სრულყოფილი სურათის შესაქმნელად აქვე გეტყვით, რომ ქალბატონი ნატო სამი შვილის დედაა – ია, მარიამ (მარინა) და ირაკლი ანდრიაძეებისა (რაღა თქმა უნდა, ირაკლის თავისი ლეგენდარული ბაბუის სახელი დაარქვეს), ხოლო, თავის მხრივ, იაც და მარინაც დაოჯახებულები არიან. იამ, რომელიც ესწრებოდა ჩვენს სტუმრობას, დაწვრილებით გამარკვია დიდი ოჯახის მთელს სტრუქტურაში. არ ვიცი, რამდენად ზუსტად ჩავიწერე მისი ნათქვამი, მაგრამ ვეცადე კი (ძალიან ბევრი საინტერესო რამ იყო დასაფიქსირებელი და ცოტა დაბნეული ვიყავი). პიარდად იას ოჯახი ასე გამოიყურება: მეუღლე – გიორგი ჩიქოვანი, შვილები – კონსტანტინე და ცოტნე. მარიამიც დაოჯახებული გახლავთ...

ჩვენს შეკრებას ესწრებოდა, როგორც თავიდანვე ვთქვი, არაერთი საინტერესო ადამიანი. მათ შორის არ შეიძლება აღუნიშნავი დავტოვო ქალბატონი ლია დგებუაძე-ზამბახიძისა, რომელიც ქალბატონმა ციალამ გაგვაცნო, როგორც თავისი შვილობილი, ამით კი ყველაფერია ნათქვამი. ლია დგებუაძე ისეთივე მშვენიერი თანამოსაუბრე აღმოჩნდა, როგორც ოჯახის სხვა წევრები. მისმა მონათხრობმა არაერთი მნიშვნელოვანი დეტალით შეავსო დიდი ირაკლი ანდრიაძის პორტრეტი.

პირადად ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა საუბარი თემურ ანდრიაძესთან. ბატონი თემური ბოლო ხანს შემოგვესწრო, და ისე მოხდა, რომ, მის სახლში, იგი ჩვენ მივიწვიეთ სუფრაზე!.. ესაა ფილოსოფიურად განწყობილი, საშუალო ასაკს მიღწეული, უაღრესად განათლებული ადამიანი, რომელმაც, რიგ შეხედულებათა გამო, როგორც ვიცი, პოლიტიკოსობა ბიზნესმენობაზე გადაცვალა. მე, კახას და თემურს ძალაინ სერიოზული საუბარი მოგვიხდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სწორედ პოლიტიკა, ბიზნესი და, რაც მთავარია, ხელოვნება. სამწუხაროდ, დრო უკვე აღარ გვქონდა ბევრი, ამიტომ უკმარისობის გრძნობა დამრჩა, - ძალიან მსურდა საუბრის გაგრძელება. ისიც კი ვიფიქრე: კარგი იქნებოდა, თემურ ანდრიაძის ფილოსოფიურ შეხედულებებს წიგნის სახე რომ მიეღო.

იმ დღეს ორი საინტერესო თემა იყო, რომელიც ვერ მივიდა ბოლომდე:

პირველი, - ეს იყო ქალბატონი ციალას საუბარი ცნობილ ადამიანთა შესახებ, და თუმცა მრავალი ლეგენდარული პიროვნების სახელი გაჟღერდა, საუბარი ბოლომდე მაინც ვერ მივიყვანეთ.

მეორე, - ბატონი თემურის შეხედულებანი სხვადასხვა საკითხზე ჩემთვის ჯერ ისევ საკმაოდ შეუცნობელი დარჩა. დიახ, დრო აღარ იყო ყველაფრის შესაცნობად.

რა საინტერესოა, - რამდენიმე საათი დავყავით ანდრიაძეების ოჯახში, და მაინც, კიდევ უამრავზე უამრავი კითხვა დამრჩა დასასმელი ამ პიროვნებებთან!...

წამოსვლისას მაინც მოვასწარით მათს სახლში მოწყობილი ირაკლი ანდრიაძის სახელობის პატარა მუზეუმის დათვალიერება. ესაა საინტერესო ფოტომასალა (მაგალითად, ბატონი ირაკლი გადაღებულია მსოფლიო მნიშვნელობის არაერთ პიროვნებასთან ერთად, აქვე ვნახე, თუნდაც, მისი სურათი რომის პაპთან), სიგელები, სუვენირები და სხვა. როგორც ჩანს, ამ ლამაზ წამოწყებას (თავისებურ მუზეუმს), ძირითადად, ქალბატონები – ციალა და ნატო უძღვებიან...

მოვდიოდით დიდი შთაბეჭდილებებით დახუნძლულნი, თუმცა კიდევ ერთი სიურპრიზი გველოდა, თურმე, წინ, - ლივტში, სრულიად შემთხვევით, ბატონი როინ მეტრეველი დაგვემგზავრა მეუღლესთან ერთად. ალბათ ბატონი როინიც იქვე თუ ცხოვრობს, ვაკეში, მაღალ, ვარდისფერ კორპუსში... ზუსტად ვერაფერს გეტყვით... როინ მეტრეველი რექტორი იყო სწორედ იმ პერიოდში, როცა მე და კახა ვსწავლობდით უნივერსიტეტში. ახლა კი, მოგეხსენებათ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში ვირიცხებით, და ასე სახელდახელოდ, პირდაპირ შემთხვევით წარვუდგინეთ ერთმანეთს აკადემიის პრეზიდენტი – ქალბატონი გულნაზი, და უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონა – ბატონი როინი.

მოკლედ, აქ ვასრულებ წერილობით გადმოცემას ერთი ყველაზე შთაბეჭდილებიანი დღისა;

საბოლოოდ კი იმედს ვიტოვებ, რომ კიდევ არაერთხელ შევიკრიბებით, ერთად, ანდრიაძეების სტუმართმოყვარე ოჯახში, იმ ოჯახში, რომლის დიასახლისს თამამად აქვს ასეთი სიტყვების თქმის უფლება: ჩემმა მეუღლემ ბევრი მშვენიერი საქმე აღასრულა. შეიძლება ითქვას, რომ მან დაიწყო სპორტის სასახლის გუმბათით, და ამაღლდა დიდი ტაძრის გუმბათამდე, - აი, ასეთია მისი სამშენებლო-ორგანიზატორული ღვაწლიო...

დიახ, დიდი, გენიალური ტაძრის, ანუ ქვაში ნაკვეთი „ვეფხისტყაოსნის“ აშენების იდეა იქნებ ადრევე არსებობდა, მაგრამ რომ არა ბატონი ირაკლი, კაცმა არ იცის, თუ როდის დაგვირგვინდებოდა ეს საკაცობრიო საქმე!

თბილისი. 2014 წელი. 18 ივნისი.

სტუმრად ლეგენდარულ ბოდბეში

ქრისტიანობა–უდიდესი ევრაზიული და მსოფლიო რელიგია, მოგეხსენებათ, რომის საღვთო იმპერიაში ჩაისახა პირველ საუკუნეში. ანტიოქიიდან, ასევე სხვა ქალაქ-სახელმწიფოებიდან და სახელმწიფოებიდან, ეს რელიგია სწრაფად მოედო მსოფლიოს, მის ძირითად ბასტიონად კი ბებერი კონტინენტი-ევროპა იქცა.

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველო უფრო ადრე გაქრისტიანდა, ვიდრე აღმოსავლეთი, – რომლის დედაქალაქი, ადრე, მცხეთა იყო. ყველამ ვიცით: მირიანის დროს აქ კერპები დაამხო წმინდა ნინო კაბადოკიელმა, ქრისტეს რჯულის მქადაგებელმა, და ასე გაიმარჯვა აღმოსავლეთ საქართველოში ჯვარცმული ღმერთკაცის მოძღვრებამ.

წმინდა ნინოს – ჩვენი სულიერი დედის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, ლეგენდარული მონასტერი ბოდბეშია (სიღნაღის ახლო)... და აი, ამ გაზაფხულზე ჩვენი აკადემიის რამდენიმე წევრმა, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ინიციატივით, გადავწყვიტეთ ბოდბეში წასვლა ერთობლივად, რათა მოგველოცა ეს წმინდა ტაძარი.

მაშ ასე: თბილისიდან სამი „ჯიპით“ გავედით. ერთში არის – ქალბატონი გულნაზი, ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი და მათი გარემოცვა. მგონი მათთან არის აკადემიის ხელმძღვანელის შვილიშვილი – ნანაც, თავის დაქალთან ერთად. ამ ახალგაზრდა ნიჭიერმა გოგონებმა კამერით გადაიღეს ჩვენი იმდღევანდელი თავგადასავალი. დარჩა ბევრი ფოტოსურათიც; მეორე მანქანაში არის – ბატონი დავით შუბითიძე დეპუტატობის კანდიდატი და ერთ-ერთი მონასტრის მაშენებელი კაცი – ქველმოქმედი. იგი ოჯახთან ერთადაა, (ცოლ-შვილთან ერთად). მისმა პატარა შვილებმა, მგონი, რეკორდული რაოდენობის ლექსები იციან ზეპირად; აი, მესამე მანქანაში კი პირადად ჩვენ ვსხედვართ: მე, კახა ბაციკაძე, ლამზირა შეყილაძე და სოსო შუბითიძე. სოსო ახალგაზრდა, განათლებული ბიჭია, კარგი მოსაუბრე...

ქართლ-კახეთი ხომ გულია საქართველოსი, ხოლო ეს ეტყობა აქაურ დარბაისლურ ბუნებასაც, აქაურ სივრცეებს. ქართლს გავცდით. კახეთი უფრო და უფრო გვაოცებს (მიუხედავად იმისა, რომ იგი აქამდეც უამრავჯერ გვინახავს) და თუ სიღნაღამდე იგი ქართლს დიდად ჰგავდა, სიღნაღის – სიყვარულის ქალაქის მიდამოებიდან გამოჩენილმა ალაზნის ველმა უკვე (მერამდენედ!) ყოველგვარ შთაბეჭდილებას გადააჭარბა! რაღა თქმა უნდა, ეს უკიდეგანო სივრცე-ველობი, თავისი ცადავარდნილი მთებით, მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებათაგანია (ისევე, როგორც, ვთქვათ, ქართული პოეზია). ზოგიერთი მთის წვერზე ჯერაც ანათებდა თეთრი თოვლი.

აგერა ბოდბეც – მწვანეში ჩაფლული!

აქ დაგვხვდა პოეტი, ლიტერატორი ანა ბოდბელი, მეუღლესთან – ბატონ გოდერძი გორდეზიანთან ერთად. სხვათა შორის, ამ დიდად განათლებული ოჯახის შვილია რუსუდან გორდეზიანი –ცნობილი სპორტსმენი, ქართული ცურვის დედოფალი.

ჩვენ, თავიდან, საკმაოდ ღრმა ხეობას ჩავყევით, რომლის ძირშიც არის წმინდა წყარო, – წყალი სასწაულმოქმედი, ასევე წმინდანის სახლობისა. მერე კი, უკან რომ ამოვბრუნდით, მონასტერი მოვინახულეთ. ესაა უგუმბათო ტაძარი (მონასტრის ცენტრი), რომელიც ცოტათი განსხვავდება ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ძეგლებიდან. შევედით ტაძარში, ავანთეთ თაფლის სანთლები და ვილოცეთ. იქამდე კი, ცოტა ადრე, ქალბატონმა გულნაზიმ, აკადემიის ჟურნალ „ათინათის“ რამდენიმე ნომერი (რომლის ლურჯ გარეკანზე-

დაც სწორედ წმინდა ნინოს ხატია ასახული, – რეზო ადამიასეული ნახატი) უსახსოვრა მონაზვნებს. ასე აღმოჩნდა ჩვენი ჟურნალი ტაძრის კედლებში.

დიახ, სწორედ ამ ფაქტის შემდეგ იყო ლოცვა.

და მერე – მონახულება წმინდანის საფლავისა, რომელიც თვითონ ტაძარში მდებარეობს, იქვე, ერთ პატარა ოთახში.

ისე მოხდა, რომ ამ წმინდა ოთახში მე, კახა და ქალბატონი გულნაზი აღმოვჩნდით, სწორედ, ერთად. სამივემ დავიჩოქეთ წმინდანის საფლავის ქვასთან, ხოლო შემდეგ მე და კახა გავხდით მოწმენი ერთი ყველაზე გულმხურვალე ლოცვისა, რაც კი ოდესმე გვინახავს. მაშინვე აშკარა გახდა ჩვენთვის, რომ ქალბატონი გულნაზი წმინდა ნინოს ლამის ისე ეთაყვანება, როგორც სამება – ღმერთს, და ეს არცაა გასაკვირი. ხომ სწორედ ნინო კაბადოკიელმა შემოიტანა ჩვენს მხარეში ღმერთის სინათლე, ანუ – ნათელი ჭეშმარიტი...

იქვე, ტაძართან, არის მაღალი, საინტერესო სამრეკლო;

ხოლო გალავნის იქით, ცოტა მოშორებით, ახალი, დიდი ტაძარი შენდება, საიდანაც ხედი კიდევ უფრო უკეთესია.

როცა ყველაფერი მოვინახულეთ, მერე ერთ ისეთ ადგილას მივედით, სადაც რამდენიმე პატარა შენობა იდგა, რაღაცა – ფაცხის მაგვარი, და ერთ-ერთ ასეთ ფაცხაში დიდებულად გაგვიმასპინძლდა გოდერძი გორდეზინების ოჯახი. გაიშალა სუფრა, სპეციალურად ჩვენთვის შეიწვა მწვადები „ალიკლიკდა“ ღვინო, და ასე შემდეგ. სუფრამ თან მოიტანა სადღეგრძელოები, ლექსები და სიმღერები...

თბილისში ღამით დავბრუნდით შთაბეჭდილებათაგან გაოგნებულნი.

მერე გავიდა დღეები.

გავიდა დრო;

მაგრამ, როგორც ჩანს, აბსოლუტურად შეუძლებელია წმინდა ბოდბეს დავიწყება (და რამდენი წმინდა ადგილია ამ პატარა საქართველოში; თუნდაც მარტო მცხეთა დავასახელოთ, – სიწმიდნით ერთ-ერთი პირველთაგანი მსოფლიოში!..)

ახლა მაისია და აი, ახლა ვწერ, სტატიას ბოდბის შესახებ.

ახლა თოთხმეტი მაისია.

თოთხმეტ მაისს (ორმოცდაცხრა წელს) დაიბადა, სწორედ, ჩემი გამზრდელი – ნანა, და ჩავწერე დღიურში ასეთი „ერთკუპლეტა“:

ნანას დრო

ქრისტე-ევერესტს შევყურებ მე მთას,
მისი სიმაღლე სულ რომ აისობს,
ყველა მთას უნდა გოლგოთა ერქვას
ხოლო ყველა თვეს ერქვას – მაისი...

და მახსოვს, რომ მეფე მირიანის მეუღლესაც ნანა ერქვა, ნანა დედოფალი, – ეს იყო, სწორედ, ის ადამიანი, რომელმაც, რაღა თქმა უნდა, მეუღლესთან ერთად, ხელი შეუწყო წმინდა ნინოს აღზევებას საქართველოში.

მაშ, მაისია, – ულამაზესი ზმანება, ბოლო ზმანება გაზაფხულის...

ჩვენს თვალწინ კი ზმანებასავით ისვეტება ლეგენდარული ბოდბე...

თბილისი. 2014 წელი.

14 მაისი.

P.S. ძირითადი ევროპა, და ნახევრადევროპა – ბრიტანეთი, დიდად ამაყობს ქრისტიანული კულტურის განვითარებაში საკუთარი წვლილით, თუმცა ევრაზიული საქართველო, რომელშიაც არის სვეტიცხოველი და მცხეთისჯვარი, გელათი, სამთავისი და ბოდბე, ასევე სხვა დიადი კულტურა-სიწმინდენი, არა მგონია, რომ დედამიწაზე რომელიმე ხალხს ჩამოუვარდებოდეს ქრისტიანული კულტურის შექმნა-განვითარებაში: მე, როგორც საქართველოს და მსოფლიოს (ასევე – სამყაროს) ერთ, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ნაწილს, ჩემი ხანგრძლივი შესწავლა-დაკვირვებებისა გამო, მაქვს ამის თქმის უფლება. სამყაროს სევდა და სიხარულია, ერთად, ქართული კულტურა.

სტუმრობა „ქართველ მაგელანთან“

წლევანდელი მაისის ბოლო პარასკევი დატვირთული დღე აღმოჩნდა ქართული აკადემიებისათვის. ჯერ იყო და ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატ – დავით ნარმანიასთან ჰქონდა შეხვედრა ფაზისის აკადემიას, და ამ შემხვედრაზე ჩვენი აკადემიაც იღებდა მონაწილეობას, მერე კი უკვე ჩვენ გვქონდა შეხვედრა მსოფლიო მოგზაურისა და ფილოსოფოს ჯუმბერ ლეჟავასთან...

მოგხსენებათ, უამრავი სხვა საქმის გარდა, ათიან წლებში, პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ – გულნაზ ხარაიშვილმა, სამ უმთავრეს „შენობას“ ჩაუყარა საფუძველი. ესენია: ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემია; მრავალმხრივი, მრავალპროფილიანი ჟურნალი „ათინათი“ და „ნორჩი ათინათელების“ გაერთიანებანი, რომელნიც ქვეყნის არაერთ ქალაქებში არსებობს. მაგალითად: რუსთავში ამ გაერთიანების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა და-ძმა ნანა (ნანი) და გიგა ღრუბელაშვილმა, ბავშვები, რომელნიც ნამდვილი ვუნდერკინდები არიან, ისინი საოცრად ფლობენ ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე (ვთქვათ: სალამურზე, ფანდურზე) დაკვრის ხელოვნებას და ასევე დიდებულად მღერიან. გიგა და ნანა, ნიჭიერების, ვიტყოდი – პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ნებისმიერი ქალაქის „ნორჩ ათინათელებს“ გაუწევენ მეტოქეობას. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო იქნება მათი გამოსვლა, ვთქვათ, გლდანის ასსამოცდამეშვიდე საჯარო სკოლის ბავშვებთან (თუმცა ასეთი გამოსვლა ერთხელ უკვე შედგა – საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დარბაზში) ან, ვთქვათ, ლაგოდეხელ ტატო ხარატიშვილთან ერთად.

ბატონი ჯუმბერი მაისის ბოლოს ცოტა შეუძლოდ იყო, ამიტომაც, მისი გამხნევებაგახალისების მიზნით, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტმა (გულნაზ ხარაიშვილმა) გადაწყვიტა, რომ სწორედ და-ძმა ღრუბელაშვილები წარედგინა დიდი მოგზაურისათვის, ენახვებინა და-ძმის მუსიკალური ხელოვნება ბატონო ჯუმბერისათვის.

ამბობენ, რომ იმ დღეს, ოცდაათ მაისს ძირითად, დიდ აკადემიაშიც იყო რომელიღაცა ღონისძიება, მაგრამ მისი არსი უცნობია ჩემთვის. ფაზისის აკადემიაში კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ, ყველანი ერთად, ბატონ დავით ნარმანიას შევხვდით. აი, ამის მერე, უკვე, გეპეის ერთ-ერთი კორპუსისაკენ გავეშურეთ, რათა საკუთარ კაბინეტშივე ვსტუმრებოდით ბატონ ჯუმბერს. გიგას და ნანის თან ახლდათ დედა - თამარ თაბუკაშვილი. მათთან იყვნენ, ასევე ლამზირა შეყილაძე, თინათინ ხაბურზანია და ანა ყალიჩავა (მოგეხსენებათ, სამივენი პოეტი-ლიტერატორები არიან), მათთან ერთად იყო გიორგი ნადირაძეც. სხვათა შორის, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან საინტერესო გვარი აქვს ახალგაზრდა ანი ყალიჩავას მშობელს – თიკო მხატვარს. გამოგიტყდებით, ასეთ ფერადი, ლამაზი გვარი იშვითად მსმენია, არკი ვიცი, ეს ფსევდონიმია ამ ქალბატონისა თუ მისი ნამდვილი გვარი გახლავთ... თუმცა მაისის იმ დღეს მხოლოდ მისი გოგონა (ანი) ესწრებოდა „დიდსტუმროობას“ ბატონი ჯუმბერის (ათასი სხვადასხვა თვალსაჩინოებით სავსე) საოცარ კაბინეტში. თიკო მხატვარი ჩვენთან ერთად არ იყო.

ქალბატონი გულნაზი, მე და კახა ბაციკაძე, ცოტა უფრო ადრე მივედით დანიშნულების ადგილას. მალე ღრუბელაშვილებიც შემოგვიერთდნენ, სხვებთან ერთად.

და პირდაპირ ბატონ ჯუმბერის კაბინეტში გაიმართა ბავშვების შესანიშნავი კონცერტი. მაყურებლები ჩვენ ვიყავით, სტუმრები, ასევე-გეპეის რამდენიმე თანამშრომელი, და თვითონ ჯუმბერ ლეჟავა, რომლის გამოც დაიდგა, სწორედ, ეს პატარა, მაგრამ ლამაზი წარმოდგენა. (რომელსაც მოგზაური, სპორტცმენი ნუგზარ ფუტკარაძეც ესწრებოდა).

უნდა გამოვტყდე, - კიდევ ერთხელ გაგვაოგნა და-ძმის დიდებულმა ხელოვნებამ. წამოსვლის ხანს ბატონმა ჯუმბერმა აკი გვითხრა კიდეც: ასეთ შეუდარებელ სიურპრიზს აბა სხვა ვინ მომიწყობდა, ქალბატონბ გულნაზის გარდა, ჩემი აკადემიის გარდაო.

ერთი დიდებული თანამედროვე პოეტი წერს:

„და ვით შეჰფერის პოეზიის ნამდვილ აქილევსს, -

ბრძოლის შავ ველზე სამუდამო ფიქრად დავრჩები“...

დაუვიწყარი სიტყვებია! სამუდამო ფიქრად დარჩენა კი ოცნებაა ფრიად პოეტური;

და აი, სწორედ ასეთ უკვდავ ფიქრად დარჩება ის შეხვედრაც, გეპეის იმ – ფერადი რუქებით გადავსებულ კაბინეტში, ბავშვების სიმღერები რომ ტალღებად ასკდებოდა კედლებს.

ჯუმბერ ლეჟავა მთელი თავისი ცხოვრება იბრძოდა და ამარცხებდა მუხთალ ბედისწერას, უბედობას კი ბედად, გამარჯვებად გარდაქმნიდა ხოლმე. ჯერ კიდევ საბჭოეთის დროიდან, შემდეგ-მრგვალი მაგიდისა და კონგრესის დროიდან, აქეთ და აქეთ მოყოლებული, სულ ბატონი ჯუმბერი ყოველთვის აოცებს საზოგაოებას თავისი ახალ-ახალი მიღწევებით;

და რაღა თქმა უნდა ნორჩ ათინათელებს არასოდეს დაავიწყდებათ შეხვედრები ასეთ ადამიანთან...

მოკლედ ჩვენი აკადემიის საქმეები წარმატებით გრძელდება...

თბილისი 2014 წელი.

გელა (გიორგი) ლარიაშვილი

მთვარეული ჩანახატი

“ხვედრი პოეტთა”. ამაღლებული შთაბეჭდილებებით ჩავამთავრე კითხვა. წავედი ფიქრებში – ამ საინტერესო ადამიანის განვლილ ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე, მის სულიერ სამყაროზე. კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი მის ლექსებს და ფოტოებს, გული დამწყდა, რომ ბეჟან ხარაიშვილის, ამ განუმეორებელი, მგრძნობიარე, ფაქიზი სულის შემოქმედის, ასე მცირე სურათების ალბომი შემოგვრჩა. უკვე საკმაოდ გვიანია...

გვიანი გაზაფხულის მზიანი, ნათელი დილაა. დილის სიგრილე სასიამოვნოდ იკბინება. უნივერსიტეტის ჭადრებს ტიტანებივით შეუდგავს ლაჟვარდი ცარგვალი, ჩიტებს – ჩიტთა ქორწილი გაუმართავთ. ჰაერი, ჰაერი გრილი, გამჭვირვალე, ყვავილის სუნით გაჟღენთილი, სუფთა (ალპურ ზონაში რომ იცის მხოლოდ).

რა ბედნიერი დილაა! თამაზი, ჩემი ძმა, ბავშვობის ძმაკაცი შემხვდა უნივერსიტეტის ბაღში, 34 წლის უნახავი. გადავკოცნეთ ერთმანეთი. რამდენი რამ გვაქვს სათქმელი. ვჩქარობთ, არ ვაცდით ერთმანეთს, სათქმელს რა გამოლევს.

მოულოდნელი სიხარულის რაღაც ენით აუწერელი ნეტარება მეუფლება. რა ხანია ველოდით ამ დღეს. რამდენი რამ მოხდა ჩვენი განშორების შემდეგ. ვიხსენებთ წარსულს; ვესაუბრები ხელოვნებაზე, ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, სიახლეებზე, მომავალ გეგმებზე. ხუმრობაა, ცხოვრების ნახევარი გასულა თითქმის თვალსა და ხელს შუა.

ვაგრძელებთ გზას ლაპარაკში, ამ დროს ჩემი ყურადღება უცხო ახალგაზრდამ მიიქცია. ლურჯ, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი, მშვენიერი გარეგნობის ყმაწვილი კაცი, ლურჯი ჩანთით, ჩაფიქრებული, მუხლებზე გადაშლილი რვეულით. ერთ წერტილს მისჩერებოდა, მეოცნებე, სევდიანი სახით, თვალებში მზის სხივი უბრწყინავდა. ვუახლოვდები, თითქმის გავუსწორდით ერთმანეთს. პროფილში შევცქერი კაცს, რომელსაც არ ვიცნობ. საიდან მეცნობა ეს პიროვნება?

რა ახლობელი და ნაცნობია? ამ დროს როგორ უცხო. ვინ არის იგი? როგორ ახლოსაა იგი ჩემს სულთან. რა დიდ საერთოს ვხედავ ჩვენს შორის. თვალს არ ვაცილებ, როგორ გავს იგი თამაზს. თამაზი გამახსენდა, მოვიხედე და... სად გაქრა ეს ბიჭი? რა ხდება ჩემს თავს? ვაგრძელებ გზას ეჭვებში წასული და რაღაც განათდა უცებ – ეს ხომ ბეჟანია! ჰო, ჰო ბეჟანი, მაგრამ სადღაა ბეჟანი?

გამეღვიძა... დაორთქლილ ფანჯრიდან მთვარე დამყურებდა, მთელი თავისი სისავსით. სწრაფად დავხუჭე თვალები, მინდოდა ისევ იქ, იმ ზღაპრულ სამყაროში, იმ ლეგენდად ქცეულ ბიჭებთან. რამდენი გვაქვს საერთო, რამდენი... მაგრამ ამაოდ. ღამის 3 საათი და 32 წუთია. თვალწინ ისევ ბეჟანის პროფილი მიდგას. არ მინდა ავანთო სინათლე, არ მინდა დავკარგო გონებაში ჩარჩენილი სახე. ბეჟანის წიგნზე ფურცელი მოვამარჯვე და მთვარის შუქზე მისი ჩანახატი გავაკეთე. 3 საათი და 38 წუთია, ღმერთს მადლობა შევწირე.

თამაზმა 1981 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი. შემდეგ სწავლა განაგრძო კიევში, წარმატებით ჩააბარა ასპირანტურაში. კეთილშობილი, უნიჭიერესი, საოცარი გულის ბიჭი იყო. 1982 წელს იგი თავის მეგობართან ერთად გაურკვეველ ვითარებაში ტრაგიკულად დაიღუპა. ისინი მდინარე დნეპრში იპოვეს. მათ დაკარგეს ნაშრომები, პირადი ნივთები და რაც მთავარია სიცოცხლე.

იგი 22 წლის ნათელი ბიჭი წავიდა ამქვეყნიდან, როგორც ბეჟანი და... შეუხორცებელი ჭრილობა დაგვიტოვეს გულში. ვინ იცის იქნებ ბეჟანი და თამაზი იცნობდნენ ერთმანეთს – ვინ იცის? არადა თავისი ხანმოკლე, შინაარსიანი ცხოვრებით, როგორ გვანან ისინი ერთმანეთს.

ისინი თითქმის ერთ დროს გავიდნენ ამ ქვეყნიდან. რამდენი სიკეთე, სითბო და მადლი დაგვაკლდა მათგან, მათი უდროოდ წასვლით.

თუმცა რა, უფლის განგებით ჩვენ ადამიანები, ხომ მხოლოდ ცოტა ხნით, დროებით ვშორდებით ერთმანეთს...

ნანა პაიაშვილი

ფიქრი

თბილისის გარეუბანში, ერთმანეთის პირისპირ ორი კორპუსი აღმართულა, რომელთა ფანჯრები ჩუმად უმზერენ ერთმანეთს. ამ მზერას არც თვალები ჩამორჩებიან...

დიდრონი ჟუჟუნა თვალები მილულა. ფიქრი ამ დიდ ფიქრს მიჰყვა. „დილაობით ვზივარ ჩემი განუყრელი ეტლით ამ ფანჯარსთან და ველოდები ჩემს სამარშუტო ტაქსს, რომელსაც ცენტრში მივყავარ... ცენტრში ჩემნაირი ბავშვები ბევრია, ერთმანეთთან ვთამაშობთ, ვხატავთ, ვვარჯიშობთ, ვსწავლობთ და ასე გადის დრო...“

მზემ მოიარა ველური ჟრიამულით ავსილი ქუჩა და სითბოთი სავსე ამბორი მიაწვდინა ფიქრიას სარკმელს... დიდხანს ფიქრით გაჰყურებდა ნაზი ქმნილება ეზოს... რახანია გაიღვიძა და ელის, ელისნიკას, რომელიც მისი სახლის საპირისპირო მხარეს ცხოვრობს... სწორედ მათი ფანჯრები უმზერენ ერთმანეთს... საცაა ჩამოირბენს ნაცნობი ნიკა. სევდიანი და უჩვეულო და ჭკვიანი ბიჭი ჩანს ფიქრიას სარკმლიდან...

„ეჰ, მეც, რომ შემეძლოს მასავით არხეინად ჩარბენა კიბეზე, მასავით ფეხით წასვლა სკოლაში რა ბედნიერი, რა ამაყი ვიქნებოდი ალბათ... ეჰ, მას ჰგონია, რომ მეც მასავით ჯანმრთელი და ლამაზი ვარ... მას ჰგონია მხოლოდ... ჩემი ტოლი იქნება ნიკა. ეტყობა კარგად სწავლობს, რა იქნება მეც მის კლასში ვსწავლობდე, მის გვერდით...“

გულის კუნჭულში ტკივილი იგრძნო, ეტლი შემოაბრუნა... „ინკლუზია, ინკლუზიური სწავლება“. ჰო, მოაგონდა ამაზე ესაუბრებოდა თავისი პედაგოგი გუშინ: „ინკლუზიური სწავლება ჯანმრთელი და ინვალიდი ბავშვების „ინტეგრირებას“ გულისხმობს... „ინტეგრირება“ კი ალბათ შერევას უნდა ნიშნავდეს...“ გაიფიქრა და ძლიერ მოუნდა ჩვეულებრივ სკოლაში სწავლა... თვალები დახუჭა... მთელი სიცხადით დაინახა ნათელი, ფართო, ლამაზი კლასი, მაგრამ იმ კლასში ორი მასწავლებელია თავისი და ნიკასი...

ფერმიხდილი, უზომოდ სევდიანი სახე წამით გაებადრა... და მერე ტუჩების ცმაცუნით აკვიატებული ლექსის ბუტბუტი დაიწყო:

„ვიღაცამ მკითხა:
რატომ წერო სევდიან ლექსებს?
ცრემლი და დარდი შენს ბავშვურ გულს
რად ეუფლება?
კარგად ვიცი,
რომ მასზე ფიქრის, სიყვარულის

არ მაქვს უფლება...“

ისევ მიყუჩდა, ფიქრთა დინებას მიჰყვა... დღეს დედამ ცენტრში არ გაუშვა, დატოვა სახლში „ნეტავ ყოველველ დღე სახლში, რომ მტოვებდნენ, როგორ გაივლი დადრო, ან თუ გაივლიდა საერთოდ?... ისევ ფანჯრისკენ შეტრიალდა და აი, ისიც...

ასაკთან შედარებით, უჩვეულო სიდინჯით მოდიოდა ნიკა... თითქოს მასაც, რაღაცა ენიშნაო. შედგა ფიქრიას ფანჯარასთან, ამოიხედა და გაუღიმა... ჰო, არ მოსჩვენებია, ნამდვილად გულწრფელი მზრუნველი, კეთილი ღიმილი აჩუქა პაწია ფერიას... არც უნდოდა მეტი ოცნება მოყვარულ გოგონას... ბნელი ღამის ბრდღვიალა ვარსკვლავივით აუციმციმდა თვალები... ღმერთო, რა ბედნიერი იყო... თურმე რა მცირე სჭირდება ადამიანს ბედნიერებისთვის... ერთი ღიმილი და წამი განუნეტარდა... ცხოვრებაში ამაზე მეტად არაფერი გახარებია... ფოქრობდა... გამუდმებით და ოცნებობდა: „არა, მოდი აღარ ვიფიქრებ, აზრი არ აქვს, არაფერი იცვლება... მე ისევ აქ ვარ, ამ ეტლში და აქედან გავცქერი ცხოვრებისო რომ ტრიალს, დღე-ღამის მონაცვლეობას...“

„მოდი და ველოდები პირველ ნიავს და ყველა ფიქრს გავატან უკლებლად... ან დაველოდები შხაპუნა წვიმას და ვაჩუქებ ყველა ჩემს უიმედო ოცნებას... ანდა მოთმინებით დაველოდები პირველ თოვლს და იმ უცოდველ ფიფქებს მივაბარებ ნიკას ღიმილს... და დავრჩებით მარტო მე, ჩემი ეტლი და ფიქრიანი სიმარტოვე... იმიტომ, რომ აბეზარი ფიქრი მომეჩვია ჩემს შორეულ პრინცზე... ჩემს ფიქრებს კი, მითხარით, როგორ, რანაირად ვუღალატო? ჩემი ფიქრის ღალატი, ხომ იგივ ჩემი თავის ღალატი გამოვა? „

გადაიღალა, აღარ უნდოდა ფიქრი, მაგრამ მაინც ეფიქრებოდა... ახლა კი სწორედ იმაზე ფიქრობდა, თუ „რატომ, რისთვის ან ვისთვის ფიქრობდა ადამიანი ყველაზე მეტს...“ პასუხს კი, ისევ, თვითონ მიაკვლია: „არაფრისთვის და არავისთვის, გარდა საკუთარი თავისა და პირადი ბედნიერებისა...“ და თუ მაინც: „რატომ?“ პასუხი უბრალოა: „იგი ხომ ფიქრისთვის შეუქმნია ღმერთს?“...

.... მათი ფანჯრები კი კვლავ, ჩუმად, უფიქროდ უმზერდნენ ერთმანეთს...

გვანცა ხარაიშვილი

„არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა თვისებრივი მონაცემები. ყველაფერიან ერთია, ან ნული.“
ფრედ კერლინგერი

სალამო. კოწახურის კანფეტები

აიშე აივანზე დგას. ეზო სავსეა ბავშვების ჟრიამულით, რომელთაც ბურთს ერთმანეთის გარდა უკვე სიბნელე ეცილებათ. ჰაერში საქანელასავით ირწევა მათი უმანკოებაგადაცლილი შეძახილები. აიშე ბუნდოვნად არჩევს ოფლითა და მოჭარბებული ენერგიით სავსე აჭარხლებულ სახეებს. თამაშის აზარტით შეპყრობილი ბავშვები ვერ გრძნობენ როგორ ძლიერდება ღამის სუნთქვა და ვერც მშობლების ომახიანი ძახილი აჩერებთ.

კორპუსის ფერდებს ქურდად აკრული დრო ვიწრო ქუჩებში მიიზლაზნება. წყნარდება ეზოც. აიშე არ ჩქარობს სევდისფერ ოთახში დაბრუნებას. სიგარეტს ეწევა და თავს მეზობლის თხაკიკინა გოგოსა და პატარა ბიჭის ლაპარაკით იქცევს.

–მუხლი ძალიან გეტკინა? თანაგრძნობით ეკითხება ბიჭი.

–არც ისე.

–ხომ იცი, ძალით არ უნდოდა, შემთხვევით მოუვიდა.

–ვიცი.

–და მაინც გწყინს...

–სულაც არ მწყინს, – პასუხობს გოგო გაბუსხული ხმით და აიშეს შეუძლია დაიფიცოს, რომ პატარას ღაწვებზე ცრემლები ბროლივით იმსხვრევა.

–შენთვის რაღაც მაქვს, – ამბობს ბიჭი, მოკლე ჟილეტის ჯიბიდან გამჭვირვალე პარკში გახვეულ კანფეტებს იღებს და გოგონას აწვდის.

რამდენიმე წამით ჰაერს უხერხული სიჩუმე აპობს, მერე კი აიშეს წკრიალა ხმით ნათქვამი სამადლობელი სიტყვები ესმის.

– დედიკო სადილის შემდეგ გვაძლევს ხოლმე კოწახურის კანფეტებს. სამი დღეა შენთვის ვაგროვებ, –აგრძელებს ბიჭი.

ისევ სიჩუმე.

– მე რომ სიცხე მქონდა და ლოგინში ვიწექი დედა მამას ელაპარაკებოდა. ეგონათ, მეძინა. თქვეს, მშობლები ანიკას ტკბილეულს არ აჭმევენო და...

გოგონა ოხრავს და ნერვიულობისგან მუშტში მოქცეულ კანფეტის ქაღალდებს აჭრაჭუნებს. მერე აივნამდე მათი ფეხის ხმა აღწევს, რომელიც სადარბაზოს ექოში მალევე ინთქმება.

აიშემ იცის, რომ მეზობლის პატარასთვის ეს ყველაზე გემრიელი დღე და კოწახურის კანფეტებია. გრძობს, როგორ შედის ინსულინთან ერთად მათი სიტკბო გოგონას პაწია სხეულში და როგორ აყუჩებს ნანემსარებით მიყენებულ ტკივილებს.

დილა. ნაცნობი უცნობი

ოცდახუთი წელია აიშეს დილის რუტინა არ იცვლება. მაღვიძარას გამყინავი ხმა, რომელიც არასოდეს ემთხვევა მის ბიოლოგიურ საათს, აბაზანის მარტივი და აუცილებელი პროცედურები, მუქი მწვანე ხალათი და კენკრის ჩაი. აიშე მარტო ცხოვრობს და არ უყვარს მარტოს ჩაის დალევა, ამიტომ როცა ჩაიდანი დუღდება სამზარეულოს ფანჯრებს აღებს – არ აქვს მნიშვნელობა გარეთ როგორი დღეა. საშრობიდან იღებს მფრინავი ჟირაფებით მოხატულ ჭიქას, ასხამს წყალს, ამატებს სურნელოვან ნაყენს, მერე შაქარს იმის მიხედვით, როგორი სიზმრები ნახა გასულ ღამეს.

ასე მიირთმევს აიშე ჩაის მთელ ქალაქთან ერთად. ფართო ფანჯრებს დილაში შემოაქვთ სივრცე, რომელიც საკმარისია მისი მარტოობის ამოსავსებად. სივრცეს მოჰყვებიან ხოლმე ადამიანები წყვილ-წყვილად, ჯგუფებად, კენტად. ადამიანები არ გვანან თავიანთ სიცოცხლეს. აიშე მათ მალევე უშვებს უკან, რაც ჭიქიდან ჩაის გაუჩინარებასავით ბუნებრივი და გარდაუვალია.

აიშეს დილა ყოველდღიურობის მოსაწყენი ჩარჩოდან ათის თხუთმეტ წუთზე ვარდება. ეს ის დროა, როცა ხაკისფერ პიჯაკში გამოწყობილი მისი წარსული აივანთან გამოზომილი ნაბიჯებითა და არაფრისმთქმელი გამომეტყველებით ჩაივლის. წარსულს ასია ჰქვია და ის აიშეს პირველი სიყვარულია.

ხდება ხოლმე, როცა ადამიანს წლების განმავლობაში შემთხვევით ხვდები და ნელ-ნელა ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ იცნობ. ასეცაა. შეიძლება წარმოდგენა არ გქონდეს რა ჰქვია, რამდენი წლისაა, სარგებლობს თუ არა დაზღვევით ან იხეხავს თუ არა კბილებს წრიულად, სამაგიეროდ, შორიდან ცნობ მის სიარულის მანერას, ახლობელი გეჩვენება სუნამოს სუნი, რომელსაც შენ წილ ჰაერს უნაწილებს, ან როცა ტელეფონზე ლაპარაკობს

შეგიძლია ზუსტად გათვალო, სანამ გათიშავს შუბლს შეიჭმუხნის თუ ღიმილი დაუტოვებს ლოყებზე პატარა ღრმულებს... თუ ასე განვსჯით აიშე სამი წელი იცნობდა ასიას მანამ, სანამ პაემანზე წაყვებოდა თეთრი გედების პარკში.

სიყვარულის ბედი პირველ პაემანზე წყდება. იქ და მაშინ ჭრის ამური გულებს და არავინ იცის ეს სიყვარულის ჭრილობებია თუ სევდის, თუ ორივესი ერთად. როცა აიშე ქუჩაში ასიასთან ერთად მიაბიჯებდა და ხელის გულებით ერთმანეთისთვის ათასჯერ ნათქვამ ფიცს თვალს აყოლებდა იცოდა, რომ შეუძლებელია სივრცეში არსებულიყო რაღაც მათზე მეტი. არასოდეს ითვლიდა აიშე გამოსამშვიდობებელ კოცნებს, რადგან გული ეუბნებოდა რომ დრო ამის შანსს მომავალშიც ბევრჯერ მისცემდა, გაუხსნელად ინახავდა სასიყვარულო ბარათებს, რადგანაც იცოდა, მათი წაკითხვა მერე უფრო დასჭირდებოდა და ცხოვრობდა მომენტით– წამებითა და წუთებით, რომლებიც სავსე იყვნენ რწმენით და იშვიათად უფერულდებოდნენ რაღაც გარდაუვალის შემეცნებით.

ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვალა. ასიას თვალებში გაჩნდა სხვა ქალი და სუნთქვა გაუხდა უფრო მძიმე. აიშე არჩევანის წინ დადგა. შეეძლო, არა შეეძლო კი არა მთელი არსებით უნდოდა თავი მოეტყუებინა რომ ყველაფერი იყო კარგად და იქნებოდა კარგად, მაგრამ ვერ გაუძლო მეტოქის ცქერას საყვარლის თვალებში. აიშემ დაამთავრა. დაამთავრა იმიტომ, რომ შეენერჩუნებინა მოგონებები და იმაზე ოცნება, რაც არ მოხდა, მაგრამ შესაძლებელი იყო მომხდარიყო. მერე წავიდა და მუცლიდან ნაწილებად გამოიღო ასიას ახალი სიცოცხლე, რომელიც მას აღარ ეკუთვნოდა და საცხოვრებლად ჩამოვიდა თორმეტი სართულით ქვემოთ.

მიწაზე დაშვება ჰგავდა სურვილს, ყოფილიყო ცასთან უფრო ახლოს.

შუადღე. ხალხი, როგორც ასეთი.

აიშეს არ უყვარს მაკიაჟი და ძალიან უყვარს პრანჭვა. შეუძლია საათობით იტრიალოს სარკესთან. ისე კარგად იცნობს თავის გამოსახულებას, რომ ზოგჯერ ჰგონია ქუჩაში საკუთარ თავს ხვდება. ამ დროს აიშე საუცხოოდ იღიმება, რადგან ამ ქვეყნად არაფერი შეედრება შეგრძნებას იცოდე ვინ ხარ და რატომ დახეტიალობს შენი „მე“ მაშინ, როცა თავად სამსახურში მიიჩქარი.

მუსიკალური სკოლა, სადაც აიშე მუშაობს ცხოვრებას ჰგავს – დიდი აღმართი უნდა აიარო სანამ იქამდე მიხვალ, არადა წინასწარ არასოდეს იცი ღირს თუ არა.

ზემოთხსენებული შენობა არასოდესაა სავსე მუსიკით, რაც გაფიქრებინებთ, რომ საქმე სმასში მოღვაწე ადამიანები და ღმერთები დიდი სინატიფით არ ეკიდებიან. მოსწავლეები იხდიან ფულს კვირაში სამჯერ თითების ჩალეწვასა და ქალაქის ცხელ-ცხელი ჭორების მოსმენაში, მასწავლებლები ითავისებენ რა ახალი თაობის დემოკრატიისადმი მიდრეკილ აზროვნებას, მათ სრულ თავისუფლებას აძლევენ „არმეცადინეობაში,“ დარაჯი ღირსეული ჯარისკაცივით, თოვლსა და ყინვაში არ შორდება ელექტროღუმელს, დირექტორი სადილობს ორაგულით და ვახშმობს გასაცემი ხელფასების ოცი პროცენტით, დამლაგებელი კი მტვრის ნაწილაკსაც არ აჭაჭანებს პრიალა ფრჩხილებზე.

მუსიკალური სასწავლებლის კედლები სავსეა კომპოზიტორების პორტრეტებითა და ისეთი სამოტივაციო წარწერებით, როგორებიცაა: „ნებისმიერი მუსიკა უნდა იყოს კარგი ინოვაცია,“ „მუსიკას შეუძლია შეცვალოს სამყარო, რადგანაც მას შეუძლია შეცვალოს ადამიანები,“ „მუსიკა ჯადოსნური გასაღებივითაა, რომელიც მასთან ახლოს მყოფ გულებს აღებს“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამ საოცარ სიტყვებზე სწორედაც რომ ღრმად და შთამაგონებლად თვლემენ მუსიკის მითოლოგიური ღმერთები.

აიშე უახლოვდება თავისივე სიმძიმისგან შეწუხებულ კარს და დერეფანში მოლოდინით გადაციებულ მუსიკის ჭეშმარიტ ანგელოზებს ხედავს– ნაიას და ლიას. ეს ორი ცალი მისი მოსწავლეები არიან და აიშეს ძალიან უნდა ჰყავდეს ასი, არა ათასი მათნაირი.

–გამარჯობა გოგოებო, როგორ ხართ? – ეკითხება აიშე ბავშვებს, რომლებსაც მასწავლებლის დანახვაზე თვალებიდან სინათლე ეღვრებათ.

–ჩვენ კარგად. გელოდებოდით. დირექტორმა დაგვავალა, რომ მოვა უთხარით კაბინეტში შემოვიდესო, – უპასუხა გამხდარმა და ჭორფლებდაყრილმა ნაიამ.

–მადლობა. თქვენ ოთახში აცუნცულდით და სონატა გაიმეორეთ. მეც მალე მოვალ, – ეუბნება ბავშვებს აიშე და სიჩქარისგან ავიწყდება თვალებით დაემშვიდობოს გოგონებს, რასაც მალე ისე ინანებს, როგორც არ უნანია სიცოცხლის მანძილზე დაშვებული ყველა შეცდომა ერთად.

დირექტორი ზის. ოთახში სანიმუშო წესრიგია. არ აკვირვებს რომ აიშე დაუკაკუნებლად შედის, სხვა თუ არაფერი, მასზე ორჯერ უფროსია.

–დაბრძანდით ქალბატონო აიშე, მე და თქვენ სალაპარაკო გვაქვს, – ამბობს დირექტორი და ტუჩები ეშმაკურად უთამაშებს.

–გისმენ, რაშია საქმე? – ეკითხება აიშე და გრძნობს, რომ რაღაც ისე არაა, როგორც უნდა იყოს.

–ახლავე აგიხსნით ჩვენი შეხვედრის მიზეზს. როგორც მოგეხსენებათ, შრომის კოდექსმა ცვლილება განიცადა, რომლის თანახმადაც თქვენი ასაკის ადამიანს მუშაობის უფლება აღარ აქვს. ვფიქრობ, ისედაც დროა პენსიაზე გახვიდეთ და დაისვენოთ. თქვენ ბევრი გააკეთეთ ახალგაზრდებისთვის, ახლა კი ურიგო არ იქნება ასპარეზი სხვებს დაუთმოთ, – ჩამოარაკრაკა დირექტორმა.

–შრომის კოდექსისა მე არაფერი გამეგება, მაგრამ რაც ზუსტად ვიცი ისაა, რომ მუშაობა ჩემი ხნის ადამიანებს უფრო სჭირდებათ, ვიდრე შენისთანა ღლაპებს. ახალგაზრდებს შეგიძლიათ გაერთოთ, გიყვარდეთ, იმოგზაუროთ, იგრძნოთ როგორ ფეთქავს სამყარო თქვენში და არაფერზე იფიქროთ. დრო ასაკთან ერთად უფრო ნელა გადის. რა უნდა ვქნა სამსახურის გარეშე? ჩემი ოჯახი ჩემი მოსწავლეები არიან, სხვა არავინ მყავს, ასე რომ არსად წასვლას არ ვაპირებ, – პასუხობს აიშე და ცდილობს წონასწორობა შეინარჩუნოს და დირექტორის თავხედურ მზერას მშვიდად შეახვედროს თვალები.

–თქვენ ვერ გამიგეთ ქალბატონო აიშე. ეს თხოვნა არაა, ეს მოთხოვნაა და ამას კანონი გაიძულებთ და არა მე. აი, განცხადება თქვენი სამსახურიდან წასვლის შესახებ, მხოლოდ ხელი უნდა მოაწეროთ, – აგრძელებს შეუპოვრად დირექტორი და გაოგნებულ აიშეს კალამს აწვდის.

–მხოლოდ ორი, ან ერთი, ერთი სამუშაო საათი მაინც დამიტოვეთ, გევედრებით, – თავს კარგავს აიშე და საკუთარი სიტყვების აბლაბუდაში მსხვერპლად ებმება.

–არცერთი. ეს კანონია.

ფურცელზე ყველაფერი შავით-თეთრზე წერია. აიშე მექანიკურად ართმევს კალამს აზრაილად მოვლენილ დირექტორს და ხელს იმ განაჩენზე აწერს, რომელიც ვიღაც გამოწკეპილმა იურისტმა, რომელიც ალბათ წვერს ყოველ დილით იპარსავს სურნელოვანი ქაფით და სახეზე სქლად ისვამს დამატენიანებელ კრემს, სამხრობისას შეთითხნა.

აიშეს უკვე ვეღარ ეწევა დირექტორის სამადლობელი და მანუგეშებელი სიტყვები, რომლებიც სიყალბისგან წარმოთქმისთანავე იხრწნებიან და იატაკზე უკვალოდ ქრებიან. მან მხოლოდ ის იცის, რომ მისი სიცოცხლისთვის გამოყოფილი დრო ამიერიდან გავა ნელა და დღეები გახდებიან სიმარტოვის მაცნენი.

აიშე ყველგან. აიშე არსად.

აიშე დილით ადრე დგება და იწყებს დაკვრას. ერთმანეთს ებმის ბახი, მოცარტი, ვივალდი, ჩაიკოვსკი. მუსიკის ხმაზე ეღვიძებათ მეზობლებს და როცა უკმაყოფილო შეძახილებით ვერაფერს ხდებიან, კარზე მუშტების კორიანტელს აყენებენ.

–არა რა, მაინც რით არ მოგბეზრდათ? ან თუ ასე ძალიან გინდათ დაკვრა, შესაფერისი დრო მაინც შეარჩიეთ. ბავშვებს ძილს უფრთხობთ, ყველას თავი მოგვაბეზრეთ! – აყრუებს უკმაყოფილოების გმინვა სადარბაზოს, თუმცა აიშე არც მათ ეპუება და არც სურვილს– დაუკრას მზის ყოველი ამოსვლის წინ. ის ზედმეტად ძლიერია იმისათვის, რომ საკუთარ თავს წინააღმდეგობა გაუწიოს.

აიშესცოტახანსსძინავს. სიბერის ეს ნიშანი უფრო აგრძელებს მის დროს დროის გაყვანის რესურსების არარსებობის კვალდაკვალ. აიშე დროებით ეჯაჭვება ტელევიზორის ეკრანს, რათა საბოლოოდ შეიძულოს ასობით ტელეარხის გამოშიგნული გადაცემები და უხამსი საპნის ოპერები.

აიშე კითხვას იწყებს გატაცებით. წაიკითხავს საბავშვო ბიბლიოთეკის ნაწილს, გადავა მოზარდებისთვის განკუთვნილ ლიტერატურაზე და უკვე რემარკთან ხვდება, რომ ყველაფერი მობეზრდა, ომიც, მშვიდობაც და წარმოსახვაც, რომლებმაც თითქმის ერთდროულად დალიეს ჩაილურის წყალი.

აიშეს დილის რუტინას ათის თხუთმეტი წუთი ვეღარაფერს აკლებს. ხაკისფერ პიჯაკში გამოწყობილი ასია უკვე კარგა ხანია ენატრებათ აივნის რიკულებს. აღარც თავად სვამს მთელ ქალაქთან ერთად კენკრის ჩაის, რადგან ადამიანები ძალიან დაემსგავსნენ თავიანთ უღიმღამო სიცოცხლეს, აიშეს კი საკუთარი სიცოცხლეც ყელში აქვს გაჩხერილი. მხოლოდ, ერთ სიზმარი დასჩემდა აიშეს: ნაია და ლია კონცერტზე შოპენს უკრავენ, ნოტების ნაცვლად კი ასიას არგაგრძელებული სიცოცხლის ნაფლეთებში იცქირებიან.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

„– ესე იგი, არც „როგორ ხარ?“ ანდა „როგორ გეძინა?“ და პირდაპირ საქმეზე გადავედით?

ელის გაეღიმა. სულსწრაფობა მისი ხასიათის ერთ-ერთი გამოკვეთილი თვისება იყო.

– ჰო, კარგი კარგი. მითხარი, როგორა ხარ? როგორ გეძინა? და სიურპრიზი სადაა?

ნოამ ჩაიცინა. – ელი, ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრა.

– რა მოხდა?

– ერთ ადგილას მინდოდა წამეყვანე მაგრამ, ამ საავდრო ღრუბლების შემხედვარე, ვფიქრობ, რომ არ ღირს.

– რატომ?

– თავსხმა იქნება და გავილუმპებით. თანაც, ჭექა-ქუხილიც თუ დაერთო...

– ჯერ ხომ არ წვიმს? ძალიან შორსაა?

– მდინარეს ზემოთ უნდა ავუყვეთ, დაახლოებით ერთი მილი უნდა გავიაროთ.

– მერე ეგ რა ისეთი მანძილია? ადრეც ხომ გაგვიცურავს ნავით?

– ასეთ ამინდში, არა.

ელი წამით დაფიქრდა და მერე მტკიცე ხმით უთხრა:

– ჰოდა ახლა გავცუროთ. წვიმა ფეხებზე მკიდია.

– დარწმუნებული ხარ?

– ჰო.“

ნიკოლას სპარქსი, „დღიური“

ყველამ იცის როგორი ემოციური ვარ, თუმცა მხოლოდ ანიკა ხვდება, რა მადარდებს სინამდვილეში და რა ჰგონიათ დანარჩენებს, რომ მადარდებს. საერთოდაც, არ ვიცი საიდანა აქვს ამ პაწია გოგოს პრაქტიკული ცხოვრების ამხელა ნიჭი. ის ერთადერთია, რომელიც არ მაძლევს უფლებას რეალობას მოვწყდე და ამ გამოფხიზლებაში ჩემი გადარჩენისთვის საჭირო ყველა ქმედებას ატევს. გადარჩენა ხომ ყველას სჭირდება, მათ შორის მეც.

ვიცი, გაინტერესებს როგორ ვარ. ვერაფერს ვგრძნობ, სიმართლე გითხრა. განსჯის უნარი საერთოდ წამერთვა და რაღაც მომენტებში სუსტი ძალით მიბრუნდება ხოლმე. ცოტა ხანია გავიღვიძე და ასე მგონია მთელი საუკუნე გავიდა, რაც თვალები გავახილე. ისე მინდა დავნაღვლიანდე, მაგრამ არ გამომდის. გუშინაც გულიანად ვიცინოდით მე და ანიკა მეზობელი ქალის გიჟურ ამბებზე. ალბათ, ერთად რომ მეტი დრო გაგვეტარებინა, ახლა უფრო ცუდად ვიქნებოდი, - ვასკვნი და ცხადად ვგრძნობ იმ სიცარიელეს, რასაც ადამიანური ურთიერთობების ნაკლებობა მიქმნის.

ვდგები და სარკეში ვიხედები. ზოგჯერ მგონია, რომ გამოსახულება, რომელიც ახლა იქედან მიცქერს, ხშირად მატყუებს და ერთმანეთთან არაფერი გვაქვს საერთო. ის მომღიმარია და სიცილის დროს თვალები ლოყებში ეფლობა, მე კი შინაგანად გამოფიტული ვარ და სულ არა მაქვს ხალისის თავი, ის ოპტიმისტია და ცაში იმას ეძებს, რაც დედამიწაზე ვერ უპოვია, მე კი აქ მინდა ჩამოვიტანო სამოთხე და დავსახლდე. მას ბევრი მეგობარი ჰყავს, მე კი მხოლოდ ანიკა. მას არასოდეს ტოვებენ, მე კი ხშირად. ასე იბმება ჯადოსნური წრე ჩემსა და ჩემ გამოსახულებას შორის, რომელიც ვერაფრით გავარღვიე.

მახსოვს დღე, როცა პირველად შევხვდით. არა, დღე კი არა ღიმილი და შენი მზერა მახსოვს, რომელიც ჩემში დასახლდა და არც მინდოდა სადმე გამეშვა. მერე გადიოდა დღეები და როცა ახლოს იყავი, არ მავსებდი. სამაგიეროდ, შორს იყავი და შენი სიტყვები ისე დაიტოტენ ჩემში, როგორც ასწლოვანი მუხა მიტოვებული სოფლის ბოლოში. გრძელდებოდა ასე, ღიმილი, მზერა, სიტყვები. მეც მჯეროდა და თან არც მჯეროდა. ვიცოდი, არ იქნებოდა სიყვარული და არ იქნებოდა ვნება, მაგრამ მინდოდა ყოფილიყო რაღაც ისეთი, რაც დროებით მაინც შეაკავებდა ყოვლისმომცველ სევდას. ეს ალბათ, ყველაზე ეგოისტური სურვილი იყო, რაც კი ოდესმე გამჩენია.

ისევ ვწვები და მახსენდება წიგნი, რომელიც გუშინ ვიყიდე. ბედისწერა ყოველთვის დამცინის და ახლაც ფურცლებად შეკრული ისეთი სიყვარულის ისტორია მაქვს ხელთ, როგორსაც ცოტა თუ გამოცდის მთელი ცხოვრების მანძილზე. ზუსტად ვიცი, ახლა ყველაზე შეუფერებელი მომენტია „დღიურის“ წასაკითხად და მაინც ჯიუტად მივიწევ წინ. ცრემლები მალევე პოულობენ გზას, უმოწყალოდ მისერავენ ღაწვებს და ყელში ღვარად ჩაედინებიან. ისიც ვიცი, რომ ცრემლები ყოველთვის მეტია, ვიდრე ერთი წიგნი და ერთი ბიჭი, ამიტომაც არასოდეს მენანება, დავღვარო.

ვამთავრებ კითხვას და ცრემლების კვალი თითქმის აღარ მეტყობა. ნოამ და ელიმ ყველაფერი სწრაფად და უმტკივნეულოდ წაიღეს. ახლა კი უნდა ვეცადო და ამ სიცარიელით ცხოვრება ვისწავლო. ცუდია, როცა იცი რომ ნამდვილად შეძლებ.

დილიდან ისევ წვიმს. ცხოვრებაში პირველად კმაყოფილი ვარ ჩემი სიჯიუტით, რომ გუშინ გაიძულე ისეთ ჩამოქცევა ამინდში შემხვედროდი. ის, რაც მითხარი, ზუსტად მაშინ უნდა გეთქვა. გული იმაზე მწყდება, რომ სანამ გნახავდი, ვფიქრობდი, ისევ მთხოვდი შენთვის ბესამე მუცჰო მემღერა. უეჭველად გიმღერებდი. ახლა უკვე ბედნიერი ვარ რომ არ მთხოვე და იმ ფრაზის არსსაც ვწვდები, ერთხელ რომ მომწერე და მთხოვე არავისთვის მეჩვენებინა:

მყ ეყეს - ყოურ ეყეს,
მყ ლიპს - ყოურ ლიპს,

ოურ ეყეს ჰავე მეტ,
ოურ ლიპს ნოტ ყეტ.

მოგონებების მეშინია. ვეცდები, არასოდეს გავიხსენო როგორ მთხოვდი გაღიმებას და რატომ მჩუქნიდი ფრთებს, თუკი იცოდი რომ ვერასოდეს ვისწავლიდი ფრენას.

რასაც ვწერ ყოველთვის ყველაფერი რეალურ ცხოვრებაში მიხდება. დიდი ხანია ჩემი შემოქმედება საშინელ წინასწარმეტყველებად მექცა. ახლა იმასაც ვხვდები, რომ ჩემი ქვეცნობიერი ტრაგიზმისკენაა მიდრეკილი. წერო ტკივილზე ხომ ბევრად მარტივია, ვიდრე წერო სიხარულზე. ბედნიერ ადამიანებს დრო არ რჩებათ ფურცლებისთვის, ან შეიძლება ფურცლებს უყვართ ნაკლებად მხიარული ამბები. ცხოვრება ხომ „იყო და არა იყო რა“ არაა, ის უფრო „იყო და მუდამ იქნებაა.“ რა იყო და რა იქნება მუდამ? იყვნენ ადამიანები და მუდამ იქნება სევდა, სევდა, რომელიც ისეა გათქვეფილი სივრცეში, რომ შეუძლებელია ადამის მოდგმამ თავი დააღწიოს. შეიძლება მკითხო, მაშ, რისთვის ღირს ცხოვრება? მე კი აუცილებლად გიპასუხებ, რომ იმისთვის ღირს ცხოვრება, სხვებს ასწავლო როგორ იარსებონ შეხორცებულ სევდასთან ერთად იმის იმედით, რომ ოდესმე ამას შენც მიხვდები.

წვიმა კი მაინც მეყვარება...

სამაგიეროდ მეცოდინება, რომ არ მჭირდება ვიყო კარგი გოგო, თუ ეს ცხოვრებაში არცერთი მიზნის მიღწევაში არ დამეხმარება.

ქალებზე ფიქრობდი და იცი რა გვჭირდება? ის, რომ ვინმეს ცხოვრებაში ერთადერთნი და განუმეორებელნი ვიყოთ, კაცებმა კი ჩვენი პირველობა უპირობოდ აღიაროთ სხვა ქალებთან მიმართებაში. სულ ესაა.

ყოველთვის ვიცოდი რომ ასე მოხდებოდა, უბრალოდ მეგონა, შენც შეგეძლო და გარდაუვალი დასასრული დროებით, მაგრამ სასიამოვნო რეალობად გექცია.

თუკი ამ ყველაფრის მერე კიდევ ვერ ხვდები რას ველოდი შენგან, მითუმეტეს თუკი არ მიყვარდი და არც შენგან ვითხოვდი გყვარებოდი, გეტყვი... უბრალოდ თავი დამედო შენს მხარზე და ერთად გვეყურებინა ყველა ფილმი, რაც მოგწონს, მოგვესმინა ყველაფერი, რაც ოდესმე შექმნილა და უბრალოდ, ვყოფილიყავით ერთად, უბრალოდ, ვყოფილიყავით ერთად სტატუსების, ვალდებულებების, უაზრო დაპირებების გარეშე: მე და შენ. რაღაც მეტი, ვიდრე მეგობრობა და რაღაც განსხვავებული, ვიდრე სიყვარული.

შენ კი ვერაფერი გაიგე და ყველაფერი გააფუჭე.

ჩემი ბოლო წერილია.

როცა ვამბობ ბოლო-მეთქი, ესეიგი მართლა ბოლოა.

შენ არაფერი მიპასუხო.

უბრალოდ, თუ ოდესმე რამის თქმა ან კითხვა მოგინდება, შეარჩიე ისეთივე გაცრეცილი საღამო, თვალებში ჩამხედე და ისინი ყველაფერს გეტყვიან.

წერილი

ზაფხულია აქ უკვე. შენ ჩრდილოეთში ნესტის ჭიები გჭამენ, თბილისის ქუჩები კი ჩემი ფიქრებივით ხრჩოლავენ. საით წაგიყვანეს შენმა ოცნებებმა? აქ ჩვენი ოთახის ობობებსაც ენატრები. გაუთავებლად ქსოვენ მოგონებების ბადეს საწოლთან, ემოციებისგან რომ არ დავიცალო. როგორ იარე რძისფერ ბილიკებზე? მწერ, დასახულ მიზნამდე ჯერ კიდევ შორიაო. რთულიაო, ძალიან. წინ ხომ მიდიხარ? მათემატიკური სიზუსტით გათვლილი თუ ქაოსური ნაბიჯებით. მთავარია, წინ მიდიოდე. რა ფერის ცაა მანდ? აქ ღრუბლებს ისევ სერავენ დრაკონები. ხეებზეც ძველებურად სხდებიან და ცეცხლისფერთმიანი გოგოს მო-

ლოდინში წივილით აპობენ ჰაერს. მიახლოების მეშინია. მეშინია, არ გაქრნენ. მე როგორ ვარ? როგორც დამტოვე. სიყვარულით ვცხოვრობ. დილიდან-საღამომდე ყვითელ ავტობუსებს დავყვები და ვცდილობ, ბრბოსგან პოეტური სულები გამოვარჩიო. შენ იცი, როგორც. თუ ბედნიერი დღე გამითენდა და ყავისფერ მასაში წრფელ გულსა და ზეცისკენ მზირალ თვალებს წავაწყდი, მათ სიტყვებს ვჩუქნი. ჰო, უბრალო და მართალ სიტყვებს. ზოგს ვეუბნები, რომ ლამაზია, ალალია, კეთილია, იუპიტერის სევდაა ან „ირმის ნახტომის“ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია. მერე ვაკვირდები როგორ ბრწყინდება მათი სახის ნაკვთები და ჩვენს ოთახში კმაყოფილი და ბედნიერი ვბრუნდები. კმაყოფილი იმით, რომ საჭირო დროს საჭირო სიტყვები გავეცი და ბედნიერი იმით, რომ ეს ისაა რასაც ნამდვილად უნდა ვაკეთებდე. მანდ როგორ იღიმებიან? ალბათ ისე, რომ მათში ღმერთის პოვნა შეძლო. აქ ადარ. ვიცი, არაა მარტივი მოიკრიბო გამბედაობა და ჩვენი პატარა სარკმლის იქეთ არსებული სამყაროს შესაცნობად გასწიო. შენ ეს შეძელი. არც ოცნებებისთვის ბრძოლაა მარტივი. შენ ესეც შეძელი. მე ზოგჯერ მიჭირს, თუმცა ისიც ვიცი რომ ეჭვის ჭიების გარეშე არცერთ დიად საქმეს არ ჩაუვლია. იოცნებე, ჩემთან ერთად ისევ ბევრი იოცნებე, თუმცა გაუფრთხილდი იმ მომენტს, როცა ოცნებების მეცხრე ციდან ქვემოთ დაეშვები. ის, თუ როგორ დაენარცხები მიწას, შენს ისტორიას შექმნის.

... ხან როგორ მედგრად ვებრძვი ურჩხულებს,
ხან კი დაღლილი ჩემს ნერვებს ვკემსავ...

წერილი ბეჟანს

გამარჯობა ბეჟან. შენ მე არ მიცნობ. ჩემს დაბადებამდე 10 წლის წინ გაშალე ფრთები და მარადისობას შეერიე. ბავშვობიდან მახსოვს, ყველა ახსენებდა ნიჭიერსა და ახალგაზრდა პოეტს, უდროოდ რომ წავიდა ამქვეყნიდან, თუმცა მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რა ახლობელი გახდებოდი ჩემთვის წლების მერე.

გვანცა მქვია. უბრალოდ გვანცა კი არა, შენი ძმისშვილი გვანცა ხარაიშვილი. ვწერ ცოტ-ცოტას. მამიდა და მშობლები ამბობენ, რომ ჩემი წერის სტილი შენსას ძალიან ჰგავს. მათ არ იციან, რომ ამაზე დიდი კომპლიმენტი ჩემთვის მთელ სამყაროში არ მოიძებნება, რადგან შენი შემოქმედება დიდი ხანია ჩემში ცოცხლობს და იქნებ, საკუთარ თავში ყველაზე მეტად სწორედ ის მიყვარს.

ზოგჯერ, წარმოვიდგენ ხოლმე რა მოხდებოდა ჩემს გაჩენას მოსწრებოდი. იქნებ გეგრძნო, რომ ჩვენში არის რაღაც საერთო ხაზი და სულების ქვეყანაში გადაბარგება ცოტა ხნით გადაგედო. მერე ხომ შევძლებდი გამეზიარებინა მთელი შენი ფილოსოფია, ჯერ კიდევ ნედლი და გასაღრმავებელი და საკუთარი თვალით მეყურებინა როგორ ღვინდება მწერლის თავში ათუხთუხებილი მაჭარი ფურცლებზე... მაგრამ ჩვენ ერთმანეთს დროში ავცდით ბეჟან. დრო კი მოგეხსენება, დაუნდობელი ფენომენია.

არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც ძლიერ სულიერ კავშირს ვგრძნობთ. ასეთი კავშირი არაა მაინცდამაინც გენეტიკური. მისი არსებობა ისეთივე ბუნებრივი კანონზომიერებაა, როგორიც, მაგალითად, დაბადება–გარდაცვალება. ჩემდა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ყველა, ვისთანაც მსგავს სულიერ კავშირს ვგრძნობ, ჩემამდე წავიდა. წარმოსახვა, რომელიც შეიძლება სწორედ შენგან მერგო მემკვიდრეობით, მეხმარება ახლოს მყავდე ყოველთვის და ყველგან, სადაც ზეცაა. წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ დგახარ ღრუბლის კიდესთან და მაკვირდები. მანძილი კარგავს რეალურ ზომას და ის მხოლოდ შეფარდებითი ნაწილაკი ხდება ჩემსა და შენს შორის. მეც გხედავ და როცა გხედავ, ყოველთვის საოც-

რად იღიმები, მხოლოდ თვალებში გიდგას სამყაროს წიაღში არსებული უდიდესი სევდა, რომელსაც ყველა სულიერი ამტანობის მიხედვით ვატარებთ.

ცოცხალი რომ იყო იქნებ გეკითხა, ისევე როგორც შენს ერთ-ერთ პერსონაჟს ეკითხები „უსახელო მკვდრებში“, სიკვდილის თუ მეშინია. არა ბეჟან, სიკვდილი ვერ შეაშინებს მათ, ვისაც სჯერა მიწიერი ცხოვრება მხოლოდ დასაწყისია, რაღაც უფრო დიდისა და უფრო დიადის. სიკვდილი ვერც მათ შეაშინებთ, ვისთვისაც აწმყო წარსულის გარეშე სრული აბსურდია. მე მოუთმენლად დაველოდები იმ ძალას, რომელიც შენამდე მომიყვანს. მერე ჩაგეხუტები და გეტყვი, რომ ისე მენატრებოდი, როგორც მხოლოდ პოეზიით შეკავშირებულ, თუნდაც სხვადასხვა დროსა და სივრცეში განფენილ სულებს შეუძლიათ ერთმანეთი ენატრებოდეთ.

გულწრფელად, შენი გვანცა.

ლევან ბაბუხადია



ბულბულის ბუდე

მშვენიერი გაზაფხული იდგა. ტყემლებსა და ალუბლებს ყვავილობა დაემთავრებინათ და მწვანით იმოსებოდნენ. ახლა მსხლები და ბლები ბრიალებდნენ თეთრად. ვაშლებსა და ბიებს კვირტი დასკდომოდათ და მალე ისინიც ატკარცალდებოდნენ.

ახალი ნაწვიმარი იყო. წამოჩიტულ ბალახში მარგალიტებივით ეყარა ხეხილის ყვავილი, ალაგ-ალაგ ბრილიანტებივით ბრწყინავდა ცვარი.

ჩემს მონატრებულ ეზოში შევედი თუ არა, ბულბულის გაბმული სტვენა გავიგონე. შევდექი, მომეყურა-მეთქი. სტვენა განმეორდა და ახლა ჩახვეულ-ჩაკვარახჭინებული გალობაც აჰყვა.

გული სიხარულით ამევსო, სული სიამით გამებანგა. თვალი მშვენიერებით მიბრწყინავდა.

უცებ გვერდით ეზოდან შურთხივით სიმღერა აფრთხიალდა. ჩანთა წინკარში დავდე და ძმისას გადავედი. აივანზე სამიოდე კაცი ისხდა და მრავალჟამიერს აგუგუნებდა. რა საკვირველია, კამპანიას მეც შევუერთდი.

მალე სტუმრებმა წასასვლელად გაიწიეს. გულნაკლული ვრჩებოდი და მოსიმღერეებს ვთხოვე, ჩემს მოწყენილ სახლშიც ამიკრიახეთ ერთი სიმღერა-მეთქი.

უარი ვერ შემკადრეს და გამომყვნენ. ეზოში რომ გადავედით, ბებერი გულაბის ხეზე ბულბულმა დასტვინა. სმენად ვიქეცით, ისევ წეღანდელივით მეორე ხმა აჰყვა.

– ამის მერე რავა უნდა იმღერო კაცმა?! – თითქოსდა ხუმრობით თქვა პირველმა.

– შენ ბიძია, მთელი ორკესტრი გყოლია ეზოში და ჩვენ რაღას გვეძახდი?! – აჰყვა მეორე.

– ალბათ ბუდეს იკეთებენ სადმე და მთელი კვირა ამ დღეში არიან. – თქვა ჩემმა ძმამ.

მაშინ ერთი ბავშვობისდროინდელი ამბავი გამახსენდა და ახლა აუცილებლად უნდა გიამბოთ.

ჩვენი ძველი, აივნიანი სახლის წინ დიდი ზღმარტლის ხე იდგა. ტოტები ძალუმად გაეშალა და მთელ წინა ეზოს ჩრდილავდა. ეს ხე იყო ბავშვების გასართობი, შესაჯიბრებელი და სამოსახლო ადგილი.

ერთხელ, ყველასათვის მოულოდნელად, ჩვენი ზღმარტლის ხეზე ბულბულმა ბუდე გაიკეთა.

– სახლთან ასე ახლოს ბულბულის ბუდე ნამდვილად ღვთის წყალობაა! – ამბობდა დედაჩემი.

დილით ბავშვებს ბულბულის სულში ჩამწვდომი სტვენა გვაღვიძებდა. ხანდახან დღისითაც გალობდნენ ბულბულები და ყველანი გავისუსებოდით-ხოლმე.

– თქვენ ღამით უნდა ნახოთ, როგორ უმღერის მამა ბულბული ბუდეში მთვლემარე დედას. – გვეუბნებოდა მამა.

ერთ სისხამ დილას ჩიტების საშინელმა ჟრიამულმა გამაღვიძა. აივანზე ტიტლიკანა გავვარდი და რას ვხედავ: გამწარებული ჩიტები კატას დასევიან და თვალებს კორტნიან. იქვე, გვერდით, პატარა შეუბუმბლავი ბარტყი აგდია.

ყველაფერს მივხვდი: ჩვენს მსუნაგ კატას ბულბულის ბუდე დაენგრია და იყო გაცხარებული ომი.

უცბად კატამ თავი დაიძვრინა, იმ ცოცხალ-მკვდარ ბარტყს თათი დასტაცა და შურდულივით გავარდა.

ბულბულებმა კარგა ხანს გააგრძელეს მოთქმა და ჟივ-ჟივი. მერე გადარჩენილი ბარტყებიანად სადღაც გადაიკარგნენ.

მას შემდეგ ჩვენი ეზოს ახლოს ბულბულის გალობა აღარ გამიგონია.

გამასხენდა ეს სევდიანი ამბავი და ახლა იმაზე მისკდებოდა გული, ამ ნახევარი საუკუნის მერე იგივე ხვედრი არ რგებოდათ ჩემი ეზოს ბულბულებს.

ამას წინათ გულის ფანცქალით დავრეკე სოფელში და კესომ სიხარულით მითხრა: ბულბულებმა ბარტყები მშვიდობიანად დააფრინესო!

თონიდან მოპარული გოჭი და სტალინის საღლეგრძელო

სტუდენტობის დროს შიდა ქართლის ერთ სოფელში ვართ სტუმრად. უფრო ზუსტად, ერთმა ჯგუფელმა წაგვიყვანა თავის დაბადების დღეზე. სამის მეტი ვერ შევგროვდით: ქართელი მასპინძელი და ორი სტუმარი, მეგრელი და იმერელი.

ზამთრის პირია, გარემო გაყინული თოვლით არის დაფარული.

მატარებელს ჩამოვყევით, დანჯღრეული "უაზი" ვიქირავეთ და სოფელში ავედით.

მამამისი ახალგაზრდა, პატარა ტანის კაცი იყო, დედა – ლამაზი და ფაშფაშა.

გახურებულ ღუმელთან მიგვიყვანეს, უმალ გემრიელი კერძების სუნი გვეცა.

სიხარულით ცრემლმორეულმა დედამ სახელდახელო სუფრის გაშლა დაიწყო.

– წამოდით, ჩემთან! – გვითხრა მამამ და უკანა კარებში გაგვიყვანა.

სახლის უკან, კარგა მოშორებით შეფიცრული სათონე იდგა. აქაც სითბო და სურნელი ტრიალებდა. თონეში შამფურზე წამოცმული გოჭი იყო ჩაყუდებული. მაგიდაზე ახლადგამომცხვარი მთვარესავით პურებით სავსე გობი იდგა. იქვე იყო მოხარშული ქათმების მარილმოყრილი თავ-ფეხითა და კუჭმაჭით სავსე სინი. მალე ნივრის მწნილიც გაჩნდა და ერთი "პოლიტრა" ჯაჭვიანი ჭანჭურის არაყიც.

– ასეთ ზაკუსკას ქალაქში არავინ მოგართმევთ! – ცოტა კი დაგვამადლა მასპინძელმა, ერთი თვითონაც დაურტყა და დაგვტოვა. სულ ნუკი დალევთო! – კარებიდან მოგვაძახა.

– ეს რა სასულეაო! – დაადევნა შვილმა.

ამასობაში გოჭმა სუნი გაუშვა. ცოტა მოვაჭრათო! – დაიჩემა მეგრელმა. დამახინჯდებაო! – ქვა ააგდო ქართელმა.

ამ დროს, კედელს იქით, რაღაც ახრიგინდა და უცენზურო გინებაც მოჰყვა.

ოსი მეზობელია, მამაჩემს ემდურისო! – ჩუმად აგვიხსნა მასპინძელმა.

მერე დავუძახოთ და შევარიგოთო! – მეგრელმა.

თავისი საქმე თვითონ უკეთ იციანო! – გაჯიუტდა ქართლელი.

დედა მოუვა თხიპარია ოსსო! – ვთქვი მე. ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ოსი მყავდა ნანახი, ბიძაჩემთან სტუმრობდა მთელ კვირას და სულ ამას გაიძახოდა. – ძველი ამბავი მომაგონდა.

– ხო, ოსებს თხა უყვართ! – დაასკვნა მეგრელმა.

– თხა მეგრელებსაც კი გიყვართ! – არ დაუთმო ქართლელმა.

– თხაც გვიყვარს და გოჭიც, აბა ქართლელებს კი არ ვგავართ! – არც აცია მეგრელმა.

ქართლელიც აბულულდა და ამ დროს მამამისი შემოვიდა – გეყოფათ ახლა, ცოტა მომეხმარეთო. მერე გოჭს ჩახედა, შეტკუცულ კანზე თითები მოურაკუნა და მარილწყალი აპკურა. ცოტაც კიდენაო! – თქვა და გარეთ გამოგვყარა.

მეზობლებს ორი გრძელი მაგიდა მოეტანათ და ჩვენ გველოდებოდნენ, მეორე სართულზე რომ აგვეტანა.

ის იყო მაგიდები და სკამები მოვასამაგისეთ, რომ სათონის მხრიდან სართულებიანი გინება მოისმა. სტუმრები მოვერიდეთ და ჭიშკართან გავედით.

ჩვენმა ჯგუფელმა ამბავი მოიტანა: თონიდან გოჭი მოუპარავთო.

აკი თხაო?! – ორმნიშვნელოვნად იკითხა მეგრელმა.

არა უშავს, უგოჭოდაც ადვილად გავალთო! – თქვა ჩვენი კურსელის კლასელმა.

ასე იყო თუ ისე, მალე ყველანი დავწყნარდით. ახალი სტუმრებიც შემოგვემატნენ და ბოლოს მაგიდასთან მიგვიწვიეს.

ყველანი კიბეზე ავიკრიბეთ.

აი, ბიჭებო, გოჭიც მოვიდაო! – დაიძახა ჭიშკართან ვიღაცამ.

შემოვბრუნდით. ჭიშკარში ღაჟღაშა ახმახი დგას და შამფურზე წამოგებული, დაბრაწული გოჭი დროშასავით უჭირავს.

– აი, მეზობელიც ასეთი უნდა! – იყვირა ვიღაცამ.

– შენ კი ამბობდი თხიპარიაო! – მუჯლუგუნი მკრა მეგრელმა.

– ეს ის არ არის, რაც შენ გგონია-მეთქი! – არ ვიჯერებდი მე.

ოჯახის უფროსმა ყველანი მიგვწი-მოგვწია და კიბეზე ჩავიდა.

ვიფიქრე, ახლა ატყდება ვაი უშველებელი. პირიქით კი მოხდა. მთელი ლანძღვა-გინება უკან მიმაქვს, შე მართლა ოსოო! – სიცილით უთხრა მასპინძელმა და მეზობელს ძღვენი ჩამოართვა.

გოჭის დაჭრას აღარ გვალოდინეს, მაშინვე დაგვსხეს მაგიდასთან. თამადად ჩვენი ჯგუფელის კლასელი, მოზვერივით ბიჭი აირჩიეს.

მალე გოჭის ხორციც შემოიტანეს და თამადა წამოხტა, ეს უნდა აღვნიშნოთო!

დავიძაბე, რაღაც უხიაგოს იტყვის-მეთქი.

– ჩვენს დიდ ბელადს, სტალინს გაუმარჯოს! – გულზე მუშტი დაირტყა თამადამ და ბაკალი ჩაიპირქვავა. მერე მთელი ნაჭერი გოჭი ყბაში მოიქცია და ალავერდი პირდაპირ ჩემთან გადმოვიდა.

გაწბილებული რომ დავრჩი, ამაზე უფრო გავბრაზდი და ჯიუტად ვთქვი:

– მე ამ სადღეგრძელოს არ ვიტყვი!

– მა, უკეთესი შენ თქვი! – ვითომ დამითმო თამადამ.

ყველა წამოიჯაგრა. ახლაღა მივხვდი ვითარების არსს და დავიბენი. ამჯერად მეგრელმა გამომიყვანა მდგომარეობიდან: ჩემს ბაკალს ხელი სტაცა და ყველასთვის მოულოდნელად იყვირა: ზვიადს გაუმარჯოს!

ზოგს სიცილი შეცდა, ზოგმა ტაში დასცხო. შემთხვევით ვისარგებლე, ცარიელი ბაკალი მაღლა ავწიე და რიხიანად ვთქვი: “ჩემი ლამაზი ქვეყანა / ია-ვარდებით ფენილი, / ვისაც არ უყვარს სტალინი, / იმას მოუკვდა ლენინი.?

– ვინც ამაი აწყენინებს, ჩემთან ექნება საქმე! – ხმამაღლა თქვა თამადამ და ყველა გაჩუმა.

ქეიფი გაგრძელდა. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ისე დავთვერი, ამის მერე აღარაფერი მახსოვს.

მეორე დღეს რომ გამეღვიძა, ქვედა სართულიდან ცოლ-ქმრის თავშეკავებული კამათი მესმის:

– ხომ გეუბნებოდი, არეული დროა, ამდენ ხალხს ნუ შემიყრი-თქო!

– დასანიშნი ბიჭი მოგვესწრო და მა კარგი პური არ გვეჭამნა?!

– შენ სულ ჭამა და დალევა გახსოვს, იმ ვირებმა კი კინაღამ დამიხოცეს ეს უცხო ბავშვები.

– მაგენიც კაი ოყლაყები ყოფილან, თვითონაც არ დააკლეს ხელი!

გონება დავძაბე, ძლივს აღვიდგინე რაღაც-რაღაცეები. დაბუჟებული სხეული მოვისინჯე. ერთი-ორი ნაწიხლარი ძალიან მტკიოდა.

გვერდით მწოლი ძმაკაცი შევანჯღრიე. იმან დასიებულ-დასისხლიანებული თავ-პირი ამოსწია საბნიდან და ეგეც შენი სტალინიო! – ნიშნი მომიგო.

ეგ კიდევ შენი ზვიადი-მეთქი! – არ დავუთმე მე.

– ხომ გეუბნებოდით, აქ ისევ აუღებელი ქვეყანაა-თქო! – კარი შემოაღო იუბილარმა.

– სულ იმ ოსის ბრალი იყო ყველაფერი! – თქვა მეგრელმა.

– იმ ოსს ჩაუსვამს ცოლ-შვილი მანქანაში და წასულა.

– სად წასულა?

– ოსეთში.

– მერე სად არის მაგის ოსეთი?

– ცხინვალში.

– ცხინვალი ძირძველი სამაჩაბლოა!

– მაგ სამაჩაბლოს ძახილმა ქნა ყველაფერი!

– აბა, გულზე ხელი დავიკრიფოთ და ვუყუროთ დოყლაპიებივით?

– ოსები რა შუაშია, სულ სტალინის ჩადებულია ეს ბომბები! – როგორც იქნა ჩავურთე მე.

– სტალინის კი არა, თქვენი იმერელი ორჯონიკიძის! – პირში მეცა ქართლელი.

– ორჯონიკიძეც სტალინის ლეკვი იყო და ბერიაც! – თემა განვავრცე მე.

– ბერიას რომ დაცლოდა, ოსებსაც დედას უტირებდა და აფხაზებსაც! – ვითომ კარგი რამე თქვა მეგრელმა.

– მეტი რა უნდა დაცლოდათ, ნახევარი საქართველო ამოხოცეს! – ვთქვი მე და ჩაცმა დავიწყე.

– ჰო, ადექით, პახმელიაზე გამოვიდეთ და მოვუსვათ აქედან, მამაჩემი ჩვენთვის მანქანის მოსაყვანად არის წასული! – თქვა მასპინძელმა.

– აი, შენი ვაჟკაცობა ზურგზე გეტყობა! – იყვირა მეგრელმა უკნიდან, კიბეზე რომ ჩამოვდიოდით.

პალტო გავიხადე, შემოვაბრუნე და ზედ 45 ზომა ბატინკის ტალახიანი კვალი აჩნდა.

შემრცხა, მაგრამ თავი მაინც ვიმართლე: არა და შენსავით თავ-პირს მივუშვერდი-მეთქი.

ჭიშკართან გავედით, ქუჩაში ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა.

მალე ჩვენს წინ კარგად შენახული “21” გაჩერდა. იქიდან ჩვენი ჯგუფელის მამა გადმოხტა და დასხედითო! – შეუბღვირა შვილს. სახლში შევარდა და წინასწარ გამზადებული ათლიტრიანი შავი ღვინო გამოიტანა. ქალმა დიდი, გაბერილი ჩანთა გამოათრია.

– ქალაქში თქვენს ჭკუაზე იქეიფეთ! – შემრიგებლურად გვითხრა კაცმა, “პრავიზია” საბარგულში ჩაგვიწყო და უცერემონიოდ გამოგვისტუმრა.

გზაში ხმა არავის ამოგვიღია. ალბათ, ყველა თავისთვის ვფიქრობდით, როდის ჩავიდოდით ადგილზე და შევექცეოდით დატკუცული გოჭის ხორცს და კამფეტივით ღვინოს, მაგრამ ქალაქში გახურებული ომი დაგვხვდა და გოჭიც და ღვინოც გვერდზე დაგვრჩა.

ლალი კახიძე

„გულნატკენი ფარშევანგი“
(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ლამაზი ქალაქი, რომელსაც ერქვა „თეთრი ქალაქი“. დაგაინტერესებთ ალბათ ჩემო ძვირფასო მკითხველო თუ რას ნიშნავს „თეთრი ქალაქი“. ის მდებარეობდა ორ უზარმაზარ მთას შორი, ნაძვნარსა და ფიჭვნარში. აქ მხოლოდ განლაგებული იყო თეთრი სახლები – არა საცხოვრებელი. ეს იყო საავადმყოფოები, სადაც იკურნებოდნენ ფრინველები, ცხოველები, ტყის ბინადარნი, როგორც გარეული ასევე შინაური ცხოველები. ეს ქალაქი იყო სიცოცხლის ქალაქი. ისეთი სიხარული იყო საავადმყოფოში, რომ სიამოვნებით მიდიოდნენ ავადმყოფები. ამ საავადმყოფოებს განაგებდა დიდი, უზარმაზარი არწივი – ნიკოლა. ის ყველა კორპუსს, ყველა ექიმს, მაღალი რანგის იქნებოდა თუ რიგითი ექიმი, ყველას თვალყურს ადევნებდა, რომ მისი მეგობარი ფრინველ-ცხოველი ყველა კმაყოფილი ყოფილიყო. მართლა კარგი სიტუაცია, ჰარმონია სუფევდა ყველა საავადმყოფოში.

ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთ კორპუსს ეწვია ფარშევანგი პოეტი, მეზღაპრე. მან გადაწყვეტილება მიიღო რათა გამოეკვლია თავის ჯანმრთელობა. ეს რომ ნიკოლა – არწივმა შეიტყო, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მის მიმართ. საუკეთესო ექიმებმა გასინჯერს და დაადგინეს: ფარშევანგი საჭიროებს ოპერაციას. იმდენად კმაყოფილი დარჩა ფარშევანგი არწივის ესოდენ ყურადღების და ულამაზესი, გაპრანჭული საავადმყოფოს ინტერიერით – როგორ იტყოდა უარს ოპერაციაზე? – მისაღებ ჰოლში როიალი, პიანისტი კოდალა არაჩვეულებრივ ჰანგებს აჟღარუნებს, აგერ ყვავები ხორუმს ვეკვავენ – უკეთესს რას ნახავს თვალი? კედლებზე ადგილი არ არის დარჩენილი შედევრები ფერწერული ტილოების, თვალის მომჭრელად შეფენილან ენ რაოდენობით. მოკლედ ბევრი, რომ არ გავაგრძელო გათენდა მშვენიერი დილა, ჩვენი ფარშევანგი თავის მეუღლესთან და არაჩვეულებრივ უმცროს ქალიშვილთან ერთად მიადგა ამ ანტიკვარ საავადმყოფოს, როგორც კი ფეხი შედგეს შიგ, ვერ დამალა აღფრთოვანება ახალგაზრდა ფაშევანგმა თეკლამ და შესძახა:

– დედა ეს რა სილამაზეა? – ეს სასახლეა თუ საავადმყოფო?

– შვილო ეს საავადმყოფოა, რომელშიც პროფესიონალი ექიმებია, ყველა სიამოვნებით და ხალისიანად გაგიკეთებს ოპერაციას.

ფარშევანგი მართალია ძალიან მშიშარა იყო, მაგრამ იმდენად ენდობოდა არწივს, რომ ეს შიში უმტკივნეულოდ გადალახა. ოპერაციამდე გასავლელი იყო რამდენიმე ეტაპი.

პირველი ეტაპი – ღვთისნიერი ექთანი მტრედი, რომელმაც სისხლი აუღო ფარშევანგს უმტკივნეულოდ და წარმატება უსურვა.

მეორე ეტაპი – გასაუბრება მეორე ექთან ყვავთან. მოსთხოვა ფარშევანგს პასპორტი. თურმე სიჩქარეში პასპორტი სახლში დარჩენია. ზეპირად უთხრა პასპორტის მონაცემები მეუღლემ. განრისხდა ყვავი, ატეხა ერთი ამბავი, გამოაჩინა თავისი ნერვული ხასიათი. შეწუხდა ფარშევანგი, დაიბნა, მოუბოდიშა ყვავს, შემდეგ ყვავმა შევსებულლი ფურცელი მიაწოდა ხელის მოსაწერად. საწყალი ფარშევანგი სულ ცახცახებდა, მოერია შიში და სულ სხვა ადგილზე მოაწერა ხელი. ამაზე ყვავმა თავისი შავი თვალები აანთო, ხელის კანკალით დაკუჭა ეს ქაღალდი და .... ფარშევანგი ყოველივე ამის შემხედვარე ძალიან ცუდად გახდა. წავიდა, დატოვა უხმოდ ყვავი ექთანი.

მესამე ეტაპი – ფარშევანგი თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად ავიდა იმ სართულზე, სადაც ოპერაცია უნდა გაუკეთდეს. კარებთან ჯალათი კარისკაცი დახვდა. მან

მკაცრად უთხრა ფარშევანგს: თქვენ მარტო შედით, თქვენი ახლობლები კი დაბლა ჩავიდნენ და იქ დაგელოდონ. დაემორჩილა უხმოდ ფარშევანგი და მისი ოჯახი.

შევიდა ფარშევანგი დაჯდა მოსაცდელში და რას ხედავს? აგერ ბეღურა იკეთებს ოპერაციას და მისი ახლობელი სამი ბეღურა მის გვერდით. აგერ ირემი იკეთ ბს ოპერაციას და მისი ახლობელი სამი ბეღურა მის გვერდით, აგერ ირემი იკეთებს ოპერაციას და მისი ოთხი შვილი მის გვერდით. დაღონდა ფარშევანგი ფრთამოტეხილივით არის მარტო. მოიბუზა, თავში მოუჭირა, წნევამ აუწია. შეექმნა ემოციური ფონი. ოთახშიი შეიყვანეს მოსამზადებლად ფარშევანგი, ამ დროს ამავე ოთახში შემოიყვანეს უკვე ოპერაცია გაკეთებული კაჭკაჭი, რომელიც ენას არ აჩერებდა – ანესთეზიოლოგი ვენას ვერ პოულობდა, დამისახიჩრა ვენები, ძალიან ცუდად მომექცა.

ეს რომ ფარშევანგმა მოისმინა: დაინგრა მისი ნაქები საავადმყოფო ანტიკვარი, ის როიალი, რომელსაც სირინოზის ხმით ამღერებდა კოდალა მის მეხსიერებაში დაიფერფლა. ყველაზე უფრო შეეცოდა არწივი – ნიკოლა, რომელიც გაგებაში არ არის, თუ რა კოლექტივია და როგორი პერსონები არიან მის გვერდით... აიღო ფარშევანგმა თავისი ჩანთა და სასწრაფოდ, გულნატკენმა დატოვა საავადმყოფო.

საინტერესოა რას გადაწყვეტს ფარშევანგი და მისი ოჯახი. ეს კი გაურკვეველია ღმერთმა დალოცოს ყველა, ყველა ავადმყოფფი და გადაარჩინოს. ხოლო ექიმებს არ დაავიწყდეთ ჰიპოკრატეს ფიცი, და რაც მთავარია ჰქონდეთ შიში და რიდი უფლისა პირველ რიგში.

ტკბილ ძილს გისურვებთ.

„ნეკერჩხალი“

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი ღმერთი ჩვენი მწყალობელი. თბილისთან ახლოს მდებარეობს ულამაზესი სოფელი წალკოტი. როგორც კი სოფელი მთავრდება იწყება უზარმაზარი ტყე, სადაც ბინადრობენ როგორც ფრინველნი ასევე ცხოველები. დილით ისეთI ჭიკჭიკია ტყეში, თითქოს ორკესტრი უკრავს. ჰაერი სასწაული, ნაძვითა და უამრავი ხე-ბუჩქებით გაჯერებული.

ამ ტყეში ცხოვრობდა სასწაულ ფერებში, თIთქოს ცისარტყელა იყო მელია კუდაგრძელია. ის ძალიან მატყუარა იყო. შეჰყვირებდა: – ფრინველებო, დაიშალენით სასწაული ჭექა-ქუხილი მოდის, თუ არა და დაიხოცებით.

შეშინებული ჩიტები შეიყუჟებოდნენ თავიანთ სამალავებში და მთელი დღე მშიერ მწყურვალნი ელოდებოდნენ ჭექა-ქუხილს, მაგრამ ამაოდ. ამინდი იყო ძალიან კარგი. ჩიტები მოტყუილებულნი. მელია ისეთი ეშმაკი იყო, რომ მხეცებთან ასეთ ტყუილებს ვერ ბედავდა. მათ რომ ხედავდა 90^0 გარბოდა. განსაკუთრებით ეშინოდა ლომი ზაქარასი.

მელიის შემდეგი ტყუილი ძალიან შემაშფოთებელი აღმოჩნდა.

ოქტომბრის თვეში ტყეს და ფრინველებს დაეცათ შიშის ზარი. მელიამ უთხრა მათ: – ხანძარია, ხანძარია თავს უშველეთ ფრინველებო.

– აბა სად არის ხანძარი? – შეეკითხა ტოროლა.

– აბა გაიხედე ხევის პირას – როგორი წითელი ხანძარია? – უსირცხვილოდ მიუგო მელიამ.

დაიჯერეს ჩიტუნებმა ატეხეს წიოკობა.

– ჩქარა, ჩქარა მოგევშველეთ ხანძარია მიასწარით უხმობდნენ მხეცებს.

ჩიტებმა ნისკარტით დაიწყეს წყლის მიტანა ხევისკენ რათა ჩაექროთ ხანძარი.

რას ხედავენ? – ნეკერჩხლის წითელი ხე ბრდღვიალებდა.მიხვდნენ ჩიტები, რომ ისინი მწარედ მოტყუვდნენ მელია კუდაგრძელიასაგან.

„ნატვრის ხე“

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ერთ ლამაზ სოფელში, რომელიც თბილისთან ახლოს მდებარეობდა, ტყის პირას იდგა ულამაზესი ხე, რომელსაც „ნატვრის ხე“ დაარქვა ხალხმა. ყველას თუ კი ვინემს რამე სურვილი ჰქონდა შესასრულებელი მიდიოდა ტყის პირას მდებახე ხეს შესთხოვდა სურვილს და ფერად ბაბთას შეაბამდა წარმოიდგინეთ სურვილი სრულდებოდა. ნატვირს ხე სავსე იყო ულამაზესი ფერის ბაბთებით.

სოფელში ცხოვრობდა ძალიან ლამაზი 16 წლის გოგონა, სახელად ნაზიბროლა ნაზიბროლა ძალიანკარგად სწავლობდა სკოლაში სახლში დედას ხელსაქმეში ეხმარებოდა თავისუფალ დროს.

მისი ოცნება იყო: როგორმე მოხვედრილიყო ტყის პირას და „ნატვრის ხისთვის“ მასაც ეთხოვა თავის სურვილი. ოგოგნა იქ მარტო ვერ მივიდოდა, ხოლო დედას ვერ გაუმხელდა თავის სურვილის შესახებ.

ერთხელ თამით გოგონამ ნახა სიზმარი: მივიდა მასთან თეთრი რაში და უთხრა:

– ნაზიბროლა, ნაზიბროლა მე წაგიყვან „ნატვრის ხესთან“ და თხოვე შენი სურვილი.

– დიდი მადლობა უპასუხა გოგონამ.

ცხენმა შეისვა ნაზიბროლა და წაიყვანა „ნატვრის ხესთან“ ნაზიბროლამ წითელი ბაბთა შეაბა ნატვრის ხეს და სთხოვა: – ნატვრის ხეო, ნატვრის ხეო, წითელი წუღები მინდა, ძალიან გთხოვ შემისრულე ეს ნატვრა.

გათენდა დილა. ადგა საწოლიდან ნაზიბროლა და რას ხედავს – მის საწოლთან ლამაზი წითელი წუღები – სიხარულისგან შეჰკივლა – ნატვრის ხეო, დიდი მადლობა.

უფალმა შეუსრულა ნატვრა – რასაც გულით ინატრებთ ბავშვებო აუცილებლად შეგისრულდებათ.

ძილი ნების ჩემო პატარებო.

ზღაპარი

„სამი დათვი“

რუსეთის ერთ-ერთ უზარმაზარ ტაიგის ტყეში ცხოვრობდა სამი დათვი. სამივე თეთრები, ერთი ზომის, სრულიად ერთნაირი ტყუპები იყვნენ. ასაკით პატარები.

ხშირ ხეებს შორის მწვანე მდელო ბიბინებდა. მდელოს შუაში თეთრი ხის ტაძარი იყო აღმართული. ტაძრის ეზოში ზედ ზღრუბლთან თეთრებში გამოწყობილი, თეთრწვერა მოხუცი იდგა და დათუნიებს ეფერებოდა. დათუნიები მორჩილები იყვნენ. მოხუცმა მიმართა მათ:

-ჩემო დათვებო, ჩემო ბიჭებო, ახლა შეგიძლიათ ამ ლამაზ ტყეში გაისეირნოთ. დაღამებამდე დაბრუნდით. მე თქვენზე ვილოცებ.

-მადლობა ბაბუა, მადლობა. უპასუხეს დათვებმა. როგორ მოხვდნენ ეს დათუნიები ამ ტაიგის უზარმაზარ ტყეში?

ამბავი ასე ყოფილა: მოსკოვში მიხეილი ცხოვრობდა, მას ჰყავდა შვილი ბორია და სამი შვილიშვილი კოლინკა, ვასკა და ნიკალაი.

ბავშვებს დედა ადრე გარდაეცვალა. ეს ოჯახი იყო ძალიან მშვიდი, ღმერთის მოყვარული, ბაბუა მიხეილი მღვდელი იყო. ის გააგზავნეს იაკუტსკში, რომელიც მოსკოვიდან 8 ათას კილომეტრზეა მოშორებული. ბიჭებს ძალიან უყვარდათ ბაბუა და განიცადეს მისი წასვლა. მათი მამაც დაღონდა. ერთ დღეს ფანჯარასთან მოფრინდა კაჭკაჭი. ბიჭები ოთახში იყვნენ.

-კაჭკაჭო, რა ამბავი მოგვიტანე, ჩვენი საყვარელი ბაბუისაგან?

--ბაბუას ძალიან ენატრებით, ჩემო ლამაზებო.

-ჩვენც გვენატრება, დაგვეხმარე კაჭკაჭო, სამივემ ერთდროულად სთხოვა კაჭკაჭს.

კაჭკაჭმა თავის ნისკარტი ჩაუკაკუნა და სამივე ბიჭი გადაიქცა ლამაზ დათუნიებად.

-ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ ბაბუასთან, წინ დიდი გზა გელით.

გავიდა დრო. დათუნიებმა შედგეს ფეხი ტაიგის ტყეში და რას ხედავენ: მათ შეხვდათ უზარმაზარი ვეფხვი. რომლებსაც კურდღლების გუნდი მოჰყვებოდა გვერდით. ზოგიერთი მათგანი კი ამ უზარმაზარ მტაცებელს ზედ ზურგზე შემოსკუპებოდა. ისინი მიეფერნენ დათუნიებს.

მათ ბაბუა შემოეგებათ. ბაბუამ იცნო შვილიშვილები. დათუნიებმა ბაბუის წინაშე დაიჩოქეს და ხელზე ემთხვიენ.

ხედავთ ბავშვებო, რა დიდი სიყვარული ჰქონდათ ბავშვებს თავიანთი ბაბუის. ისინი დათანხმდნენ, გამხდარიყვნენ დათვები, ოღონდ თავიანთი ბაბუა ენახათ, მათ მამაც დათმეს ბაბუის გამო. ის ფესვები მოიძიეს და არ დაკარგეს საიდანაც მოდიოდნენ. მამაც მიხვდა, რომ თავის მამის და შვილების გარეშე მის სიცოცხლეს რა ფასი ჰქონდა. მან გადაწყვეტილება მიიღო და ტაიგას ეწვია, თავის უსაყვარლესი ადამიანების მოსაძიებლად. ძალა ერთობაშია. ჩემო ძვირფასო მკითხველო, არ მოგკლებოდეთ ბებია-ბაბუის სიყვარული, მშობლების სიყვარული, ნათესავების და მეგობრების. გიყვარდეთ ერთმანეთი, გაიხარეთ და იდღეგრძელეთ.

გაბერილი ქოთანი

იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში ცხოვრობდა ცაცია ბებია. ის სულ მარტო იყო. მისი შვილები და შვილიშვილები ქალაქ თბილისში ცხოვრობდნენ. სოფელი დავიწყებული ჰქონდათ. ქალაქის რიტმულ ცხოვრებაში იყვნენ ჩაბმული.

ცაცია ბებია ძალიან აქტიური ქალი იყო. მის ბუხარში მუდამ ცეცხლი გიზგიზებდა. ბუხრის გვერდზე დიდი გაბერილი ქოთანი იდგა. რომელშიც იხარშებოდა ლობიო. პერიოდულად ქოთანი იბერებოდა, იზრდებოდა და თითქოს უნდა გამსკდარიყო, ისეთ ფორმას იღებდა. ცოტა ხანში ისევ თავის ფორმას იღებდა. ეს ცაცია ბებიას შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რაში იყო საქმე. ერთ საღამოს ქოთანი ძალიან რომ გაიბერა და გაიზარდა, ბებიამ გადაწყვიტა, ღამე არ დაეძინა და ეთვალთვალა თუ რა ხდებოდა. ჩააქრო შუქი და დაუდარაჯდა. შუაღამე გადასული იყო, გამთენიის ხანს ხმაური მოესმა – რას ხედავს, თვალებს არ უჯერებს. შემოვიდნენ ჯუჯა პატარა კაცუნები, ძალიან სასაცილოები.

-ძალიან გვშია, ძალიან გვშია, ჩვენო ბებია, რით დაგვაპურებ ჩვენო ტკბილო ბებია? მიადგნენ ქოთანს, ერთმანეთს ვერ ასწრებდნენ, ჩაძვრნენ ქოთანში და გაიბერა ქოთანი. მიირთვეს ლობიო, დოქში ღვინოც კი მოძებნეს. მიაყოლეს ხილიც და ამოისუნთქეს. დილამდე წაუძინეს კიდეც. გამთენიას, გარიჟრაჟზე ჩუმად გაიპარნენ.

ბებია ამ ყველაფერს სიყვარულით ადევნებდა თვალს. მას ძალიან უხაროდა, რომ მისი საჭმელით იკვებებოდნენ მშიერი კაცუნები. ბებიამ უკვე იცოდა აი, თურმე რატომ იბერებოდა და იზრდებოდა მისი ქოთანი, ამის შემდეგ ყოველთვის დიდი სიხარულით აკეთებდა ლობიოს გაბერილ ქოთანში და კეცებზე ჭადებსაც აცხობდა პატარა კაცუნებისათვის, თან დააყოლებდა სიხარულით „ღმერთმა შეგარგოთ“.

ნანა დედა

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო – – – და იყო ერთი თბილი, ტკბილი, ლამაზი ქალაქი. ქალაქი რომელშიც ცხოვრობდა ძალიან ლამაზი, ბედნიერი, გონიერი, ჭკვიანი ხალხი, მაგრამ იყო გამონაკლისიც. – ამ ქალაქში მცხოვრებ ერთ–ერთ ოჯახს შევუღოთ კარი და ჩემო ძვირფასო მკითხველო ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ამ მშვენიერ ზღაპარში.



ამ ოჯახში ცხოვრობდა დედა, მამა და ვაჟიშვილი გოგლიკა. დედა ნანა იყო შემტევი, სამართლიანი ჭკვიანი გონიერი ქალი. თუ საჭირო იქნებოდა აბჯარსაც ჩაიცვამდა და მეომარიც გახდებოდა თავის მეუღლესთან ერთად. ზურა მამა და ნანა დედა შეციცინებდნენ ერთადერთ შვილს გოგას. მეორე მხრივ დედა ნანა იყო ძალიან მშვიდი, წყნარი ხმას არ აუწევდა საუბრის დროს თითქმის ჩურჩულებდა. მოხდა ის რასაც არავინ ელოდა. ამისთანა ოჯახმა გადაწყვიტა ქვეყნის დატოვება და სად წავიდნენ?

ქვეყანა შუაგულ ევროპაში.

ქვეყანა ლომი – ისე გშთანთქავს და ჩაგყლაპავს, შენგან ნაპერწკალიც კი არ დარჩება. როგორია ასეთი ქვეყანას დაუმეგობრდე და მის ცხოვრებისეულ ფერხებში ჩაება? თანაც როგორ ჩაება: დაიცვა და პატივისცე მის კაკუნებს, ადათწესებს, ენას. მისი რეჟიმით იცხოვრო. მაშინ შენ ვინ უნდა იყო? – მხოლოდ და მხოლოდ დიდსულოვანი – მოწესრიგებული ადამიანი. აი ზუსტად ის ადამიანია ჩვენი ნანა დედა. თბილი ქვეყნიდან წასული, გულგატეხილი – არა დედა, არა მამა, არა საყვარელი ბებია ლენა. ყველა მიწას მიაბარა საყვარელ სამშობლოში ძალიან უჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ იძულებული იყო რათა სიმშვიდეს სხვა ქვეყანაში ეძებდა.

მეუღლესთან და პატარა ბიჭუნასთან ერთად ფეხი შედგა ევროპის ულამაზეს, მეტად მკაცრ ქვეყანაში. მკაცრი როგორც კლიმატით ასევე თავის წეს–ჩვეულებებით. ეს ქვეყანაა ბელგია.

ბევრი იწვალა ოჯახმა, ბევრი იშრომა. ოჯახის მამა მარჩენალი გარდაიცვალა. დედა–შვილი არ შეუშინდა ბედის უკუღმართობას. მამაცი ნანა დედა უფრო ძლიერი და შემტევი გახდა. არც უფიქრია უკან დახევა. შიშის ნაბადში გახვეულიყო და ფარხმალი დაეყარა. პირიქით ყველა თავის ნიჭიერებას ფარდა ახადა და მაქსიმალურად გამოიყენა. უკრავდა და მღეროდა რესტორანში სადაც რევაზ ლაღიძის უკვდავი ჰანგები ააჟღერა. დარბაზში იღვრებოდა „თბილისოს“ და სხვა ცნობილი ჰიტების მელოდიები, რომელსაც ნანა დედა ერთი მეორეზე უკეთესად ასრულებდა. იყო მქუხარე ტაში და აპლოდისმენტები.

ერთ მშვენიერ დღეს, საღამო ხანი იყო ნანა ფეხით მისეირნობდა სახლისკენ. ერთ–ერთი სახლიდან კივილი ქალის შემოესმა:

– მიშველეთ, მიშველეთ ჩემი პატარა გოგონა კვდება – განწირული ხმით კიოდა ბავშვის დედა.

ნანა არც კი დაფიქრებულა, შევარდა უცხო ოჯახში. ბავშვი გააშიშვლა, რამოდენიმე წუთიანი მასაჟები ხერხემალზე ჩაუტარა და პატარა მომენტალურად მოვიდა გონზე. გაუღიმა ნანა დედას და თავის ლამაზი თვალები აახამხამა. მშობელმა გაიხარა მადლობა გადაუხადა შვილის გადამრჩენს. მეორე დღეს ბელგიის გაზეთები აჭრელებული იყო: „ოქროს ხელებაა ჩვენი ნანა საქართველოდან“

ათასი სეანსი უსასყიდლოდ ჩაუტარა პატარა სოფიას. ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს ნანას ხელების ამბავი. მოდიოდა მასთან ათასნაირი დაავადებული ხალხი. ის ყველას მკურნალობდა შედეგი იყო უნიკალური დიდი ეფექტით. ამის შემდეგ ქვეყანამ მას ერთ–ერთ კლინიკაში კაბინეტი გაუხსნა.

იყო ასეთი შემთხვევაც – ქუჩაში მტრედები საკენკს კენკავდნენ, უცებ ერთ–ერთი მტრედი აფართხალდა და დაეცა. შეწუხდა ხალხი, რა ქნან არ იციან. შემთხვევით ნანა მოხვდა ამ ქუჩაზე, უცებ აიტაცა მტრედი თავზე და ფეხებზე – მასაჟი ჩაუტარა. მტრედი აფართხალდა – აფრინდა ცაში, წრე დაარტყა. უცებ მტრედების გუნდი მოფრინდა. ოქროს ხელება ნანა სახლამდე ასე მიაცილეს მტრედების გუნდმა.

გავიდა წლეები და ნანამ დიდი სახელი მოიპოვა თავის შრომითა და კეთილსინდისიერებით შუაგულ ევროპაში. ასახელა თავის თბილი ქვეყანა და თავის მასპინძელი ევროპაც. ორივე ძალიან უყვარს. ბედნიერად ცხოვრობენ დედა–შვილი. შვილი მხატვარია, უამრავი ფერწერული ტილო აქვს შექმნილი. უკვე საცოლეა, მაგრამ თავს იკავებს ქართველი გოგონა უნდა ცხოვრების მეგზურად. უამრავი ქართველი გოგონები აქვს ტილოზე შექმნილი. შეჰყურებს მხატვარი და ტკბება თავის ნამუშევრებით და უცებ ერთ–ერთ ტილოზე შეაჩერა მზერა. ტილო გაბრწყინდა და გადმოვიდა მშვენიერი ასული რეალობაში ნამდვილი ქართველი გოგონა. მას სახელად ერქვა თეონა. გოგას არც გაჰკვირვებია რაც მოხდა, ისე ამას ელოდა. გაიხარა ნანა დედამ, როდესაც გაიგო სურათის ამბავი. ერთ კვირაში დიდი ქორწილი გაიმართა. აუსრულდა, დედას დიდი ხნის ოცნება. – მისი შვილი ქორწინდება – გიორგი და თეონა. ამ ქორწილში მეტად შთამბეჭდავი იყო თამადა, სუფრის წინამძღოლი. 50 წლამდე ახალგაზრდა კაცი ქართველი. ის იცავდა მამა–პაპურ წესჩვეულებებს მისი თამადობა იყო ნიჭიერების, პოეზიის და სიმღერის სინთეზი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მნახველზე: მან შეძლო ლხინის დღესასწაულად გადააქცევა. მან შესანიშნავად იცოდა ღვინის სმის ტექნიკა. ნამდვილი ვაჟკაცი იყო, მე ის მივამსგავსე „რუბენსის ტილოებზე გამოსახულ ბერძნების მეღვიენობის ღმერთს – დიონისეს“.

ღმერთმა ისმინოს ჩემი ვედრება და ნანას გული მალე გახარებულიყოს. შეუსრულოს ეს ნატვრა, ეს ქორწინება მისი შვილისა, ზრაპარი შესრულებულიყოს რეალობაში.

მეზღაპრე ძილინებისა.

ყვავილების ჩურჩული

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა იყო ერთი ტკბილი ოჯახი თუშეთში. ამ ოჯახში ორი პატარა და–ძმა ცხოვრობდა. ნია და ნიკო. ერთ მშვენიერ დღეს, მათი მშობლები, ბებია–ბაბუა, ნათესავები, მეზობლები, ყველა ყვავილებად გადააქცია ბოროტმა დევმა. დევს მოუნდა: დიდი მდელო, ულამაზესი ყვავილებით. ამიტომ უნდა მოეძებნა ლამაზი ხალხი, რომ ლამაზ ყვავილებად გადაექცია.

მართლაც მოაგროვა ულამაზესი ადამიანებისგან შემდგარი ოჯახები. ადამიანები, რომელიც მღეროდნენ, უკრავდნენ, სიკეთის მთისველნი. სილამაზით რჩეულნი, დიდი სიყვარულის ხალხი, ასეთი ხალხი თუშეთში ცხოვრბს. საბედნიეროდ და–ძმა ნია და ნიკო გადარჩა.

ეს მოხდა ასე; ნია და ნიკომ გადაწყვიტეს ჩუმად მშობლებისგან, გაუჩინარებულიყვნენ ტყეში, რათა განმარტოებით ჩონგურზე დაეკრათ, მოემზადებინათ რამოდენიმე სიმღერა კონცერტისთვის. მართლაც 5-6 საათი დაჰყვეს ბავშვებმა ტყეში, როდესაც დაბრუნდნენ სოფელში, არც სახლი დახვდათ, არც მშობლები. სასწაული კი ის იყო, რომ სოფელი ერთ მთლიან ტრიალ მინდვრად იყო ქცეული. ამ მინდორში კი იყო ულამაზესი ყვავილები ერთმანეთზე უფრო ლამაზები, ხასხასა ფერებში. ისეთი სურნელი იფრქვევოდა თითქოს ეხლა გაბრუვდები და ნეტარების მორევში გადავარდები.

დაიბნა და–ძმა რა ქნან არ იციან. სადღაც შორს დაინახეს ყვითელი უზარმაზარი სავარძელი და შიგ ზის დევი. ხარხარობს, იცინის, დევი ტკბება ამ მშვენიერებით. იქვე ბავშვებმა აღმოაჩინეს დიდი ხე – მოდი ნია, შეჰყვირა ნიკომ. აი ამ ხის ძირში დავიმალოთ და ყველაფერს თვალი ვადევნოთ.

მოსაღამოვდა – შუაღამეც მალე მოვიდა, ბავშვებს ჩაეძინათ და ძილში მოესმათ ყვავილების ჩურჩული.

– ისინი ჩურჩულებდნენ, რომ დევს არ მოესმინა მათი ლაპარაკი. ისინი ეფერებოდნენ, ამხნევებდნენ ერთმანეთს.

უცებ უზომო ვარდის სურნელი იგრძნო ნიამ.

– ნია დედაშენი ვარ ჩემო ლამაზო გოგონი

– ჩემო ნიკო ძალიან მიყვარხართ.

ბავშვებმა თვალები გაახილეს და რას ხედავენ ვარდი როგორ ეფერება ორივეს. სწორედ ვარდი – ბავშვებისთვის ტიროდა.

- დედიკო ნუ ტირიხარ, სთხოვა ნიამ დედას.

- მე შენ გიმღერებ. მართლაც გაისმა სევდიანი თუშური სიმღერა. შეუერთდა ნიკო და აგუგუნდა ჩონგური ნელ–ნელა. იცით რა მოხდა? თვითოეული ყვავილი ადამიანად გადაიქცა. და – – – დიდი ბედნიერება დატრიალდა. ეხვევიან ერთმანეთს, ეფერებიან ამ ლამაზი კუთხის ლამაზი ადამიანები. ხოლო დევმა, რომ ეს სურათი დაინახა გული აუჩუყდა და ძუნძულ–ძუნძულით თავი ტყეს შეაფარა.

ხედავთ ჩემო პატარებო რა დიდი ძალა აქვს მუსიკას სიყვარულთან ერთად. ღმერთმა არ მოგვიშალოს სიხარული, სიყვარული და კარგი დასასრული ამა თუ იმ ზღაპრისა.

მეზღაპრეს კი სიხარულით შეეძლოს წერა ლამაზი ზღაპრებისა. ამინ!

ჟუჟუნა ნიჟარაძე

სავსე ქართული სიდარბაისლით

ქალბატონი ციალა ღირსეული, დარბაისლური ქართულით მოსაუბრე, სამართლიანი პიროვნებაა, რომელთანაც ყოველი შეხვედრა სასიამოვნოა.

ციალა რომ ასეთია, ალბათ, არ არის შემთხვევითი – იზრდებოდა მშრომელ, სიყვარულით აღსავსე ადამიანთა გარემოცვაში. მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ ბიძები, დეიდები, ბიძაშვილ-დეიდაშვილები, განსწავლული ახლობლები, რომელთა ბრძნული საუბრების მოსმენას გოგონასათვის ამაოდ არ ჩაუვლია.

ბავშვობიდან ძალიან უყვარდა ადამიანები და კარგი სამეგობრო წრეც ჰყავდა, რომელიც ზაფხულობით ივსებოდა ქალაქებიდან ჩამოსული ახალგაზრდებითაც.

სოფელში საქმეს, აბა, რა გამოლევდა. ახალგაზრდები შინ თუ გარეთ დაუზარებლად და ხალისით შრომობდნენ. ბევრსაც კითხულობდნენ და წაკითხულის გარშემო მსჯელობდნენ. საღამოობით კინოშიც დადიოდნენ, გასტროლებით ჩამოსულ ცნობილ მსახიობთა დადგმებსაც ნახულობდნენ, სპორტულ ღონისძიებებსაც ესწრებოდნენ...

ციალა ხაჟალია
მხატვარი ციალა ჯანდელაკი

ქალბატონი ციალა ბევრ რამეს უმადლის სოფელს. თვლის, რომ იქ შრომა-გარჯამ, იქაურმა მოყვასმა, გონიერმა ადამიანებმა და დედის მეგობარმა ქალბატონებმა დიდი გავლენა მოახდინეს მის ჩამოყალიბებაზე, უფრო მეტიც, ხშირად ამბობს: მისი ყოფა ამ სოფლის ღონიერი ფესვებიდან აღმოცენდა და იმ ხალხში შეიმეცნა წუთისოფლის ავ-კარგი.

დაიბადა 1930 წელს, ქალაქ სამტრედიაში.

მამა – აკაკი ხაჟალია იყო რკინიგზელი, ელმავლის მემანქანე, დაუსწრებლად სწავლობდა საინჟინროზე, ციალას ბებია და ბაბუა (მამის მხრიდან) დაკრძალულნი არიან სამტრედიაში, მაცხოვრის შობის ეკლესიაში. ციალას ბაბუა – თედორე გეგუჩაძე (დედის მხრიდან) ინ დროში "სოფლის თავის" თანამდებობაზე მუშაობდა. იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა

ბებია მენიკო კაკაბაძეების დიდი გვარის წყალტუბოს შტოს წარმომადგენელი იყო, რომელმაც იმ დროში რვა შვილი – ერთი

ვაჟი და შვიდი ქალიშვილი აღზარდა და შესაფერისი განათლებაც მიაღებინა.

* * *

ციალას დარბაისელ, სიტყვაძვირ, სათნო, თავშეკავებულ და უპატიოსნეს დედასთან ხშირად საღამოობით თავს იყრიდნენ მეგობრები თუ მეზობლები – ქალბატონები: დაფინო ჩიჯავაძე, ოლღა და შურა ლეჟავები, მარიამ ნიკურაძე, ოლიჩქა წერეთელი, ელენე ლორთქიფანიძე, ნინა ჭირაქაძე, კატო ფარცვანია, თამარ ჩხეიძე და სხვები.

დარბაისელ ქალთა ეს კრებული საუბრობდა სოფლისა და ქვეყნის ავ-კარგზე. ამ ადამიანთა საუბრებიდან შეიტყო ციალამ დიდებულ თანასოფლელთა, ექიმების: კოლია და სამსონ ლეჟავების შესახებ. არაერთხელ უხსენებიათ ამ წრეში სახელოვანი საეკლესიო მოღვაწე ნაზარი ლეჟავა. დიდი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე, მისი მეუღლე ოლღა ლორთქიფანიძე, გამოჩენილი და ღირსებით სავსე მათი შვილები რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები. აქვე გაიგო მან, რომ მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა, მიხეილ ლომონოსოვმა თავის საუკეთესო მოსწავლეს, ქალბატონ რუსუდან ნიკოლაძეს, აჩუქა ლაბორატორია, რუსუდანმა თავის მხრივ ეს ლაბორატორია ჯიხაიშის სკოლას გადასცა და შემდეგ სწორედ ამ ლაბორატორიის დახმარებით სწავლობდნენ ჯიხაიშელი ბავშვები ქიმიას.

ამ ადამიანთა სასაუბრო თემატიკა მრავალფეროვანი იყო და ამ ურთიერთობებსა და საუბრებში, შრომასა და სანიმუშოდ სწავლაში ჩამოყალიბდა გოგონას აზროვნება, მსოფლმხედველობა, შრომისმოყვარეობა.

გავიდა წლები. ციალამ სკოლა წარჩინებით დაამთავრა და პირველსავე წელს მოეწყო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიურზე.

გოგონა წარჩინებით სწავლობდა. არაერთხელ დაწერილა მასზე ინსტიტუტის კედლის გაზეთშიც და გაზეთ "ინდუსტრიალ ქუთაისშიც". ლექციებს უკითხავდნენ საუკეთესო ლექტორები. ჰყავდა კარგი მეგობრები. ციალასთან პირველ კურსზე სწავლობდნენ: ოტია იოსელიანი და გურამ კლდიაშვილი. მართალია ციალა ამ ადამიანებს მერე და მერე ხშირად ვეღარ ხვდება, მაგრამ სისტემატურად კითხულობს მათ შემოქმედებას.

ცხოვრების მანძილზეც ბევრ საინტერესო მწერალს თუ პოეტს შეხვედრია, მაგრამ სტუდენტობის წლები მაინც თავისებურია...

1953 წელს ციალამ დაამთავრა ინსტიტუტი და ცოლად გაჰყვა ირაკლი ანდრიაძეს. შეეძინათ ორი შვილი – თეიმურაზი და მარინა.

ამის შემდეგ რამოდენიმეჯერ ურჩიეს მისმა ლექტორებმა, რომ გაეგრძელებინა სამეცნიერო ხაზით მუშაობა, მაგრამ ირაკლი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ყოველდღე ძალიან გვიან ბრუნდებოდა სამსახურიდან, ციალას დედა მუშაობდა (არც ეს იყო უმნიშვნელო მისი ოჯახისათვის), ჰყავდა დედამთილი, სტუდენტი მაზლი, მოხუცი ბებო... ამიტომ ქალმა აწონ-დაწონა ყველაფერი. შეფიქრიანდა, ვაი თუ ვერ შევძლო, შვილებსა და მეუღლეს გვერდით სათანადოდ მხარში ვეღარ ამოვუდგეო. ირაკლი ანდრიაძეების ოჯახში უფროსი შვილი იყო. შესაბამისად ციალაც უფროსი რძალი. მტერ-მოყვარე თავისას ითხოვდა. გარდა ამისა, შეფიქრიანებულა, აღმზრდელ- მასწავლებლებთან: ბატონებთან ანგია ბოჭორიშვილთან, ჯვებე როგავასთან და ქალბატონ თინა ნიჟარაძესთან თავი არ შევირცხვინოო.

ბუნებრივია, თავმოყვარე ქალბატონმა ოჯახს მისცა უპირატესობა და ღირსეულად ემსახურა ქმარ-შვილს.. (თუმცა ეკონომიკურად, მისგან შეტანილი ხელფასი ოჯახისთვის განუზომლად საჭირო იყო).

გავიდა წლები, ამასობაში ვაჟიშვილი – თეიმურაზი ჩაირიცხა საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ქალიშვილი – მარინა მეათე კლასის ფრიადოსანი მოსწავლე იყო. მეუღლე ირაკლი ანდრიაძე, თა-

ვის საქმეს გულდასმით ემსახურებოდა: მას საზოგადოება, როგორც პიროვნებასა და სპეციალისტს, უკვე იცნობდა.

* * *

დადგა ციალას ჯერიც.

მან მუშაობა თბილისის დღის გახანგრძლივებულ II საშუალო სკოლაში აღმზრდელმასწავლებლად დაიწყო.

მისთვის მთავარი საქმისადმი ერთგულება იყო. უყვარდა ბავშვები და თავდაუზოგავად შეუდგა მათ განათლებაზე ზრუნვას.

რამდენიმე წლის შემდეგ ქალბატონი ციალა გადაიყვანეს დაწყებითი კლასების მასწავლებლად, რომლის სადამრიგებლო კლასში ბავშვის მოხვედრის სურვილი ბევრ მშობელს ჰქონდა. ამ ნდობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და ჩვეული გულისყურით მუშაობდა. გაიარა დახელოვნების კურსები. ითვალისწინებდა კოლეგების რჩევებს. ცდილობდა, ბავშვებში მაღალი პიროვნული თვისებები ჩამოეყალიბებინა. მოკრძალებას გამოხატავდა თითოეული ყმაწვილის ოჯახისადმი. ყოველივე ამან მათ შორის ნდობა და პატივისცემა წარმოშვა.

შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად გადაიყვანეს. ბევრს მუშაობდა თავის თავზე. სურდა რაც შეიძლება სრულყოფილი ყოფილიყო მისი გაკვეთილები.

სკოლა მისთვის იყო ის სამყარო, სადაც ოჯახის შემდეგ ყველაზე კარგად გრძნობდა თავს. შეიძინა არაჩვეულებრივი მეგობრები, ქალბატონები: ლილი მგელაძე, თამარ მახათაძე, თინა თალაკვაძე, ლეილა ცაგარეიშვილი, გენრიეტა ცინცაბაძე, ციალა ჩიხლაძე, ლილი მგალობლიშვილი და სხვები, რომლებთანაც დღემდე უდიდესი მეგობრობა აკავშირებს

უნდა ვთქვათ, რომ ბევრი მისი ყოფილი მოსწავლე დღეს შესანიშნავი ექიმი, ინჟინერი, პედაგოგი თუ სხვა პროფესიის ღირსეული ადამიანია.

ქალბატონი ციალა ბუნებით ქველმოქმედია.

თავის დროზე მან მხარი დაუჭირა სკოლის დირექტორის ლილი მგალობლიშვილის ინიციატივას, რომლის საფუძველზეც, ციალას უშუალო თანადგომითა და უპირველესად, თბილისის მერიის დიდი ძალისხმევით სკოლას მიუშენდა სპორტული დარბაზი, მეორე სართულზე კი – კლუბი. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდა შესანიშნავი სკვერი.

1994 წელს გამოვიდა წიგნი სათაურით "იმედით შემოწირული", რომლის შემდგენლებმა სწორედაც რომ შთამომავლებს უძღვნეს ეს ნაშრომი.

წიგნის წინათქმაში წერია: **„საგულისხმოა, სამშობლოსთვის შეწირვის ასეთი სურვილი გაჩნდა მაშინ, როდესაც ჩვენს ხალხს მეტად უჭირს. ეს ნიშანია იმისა, რომ ერი ძლიერია და შესწევს უნარი პირადულზე წინ ეროვნული მიზნები დააყენოს!"**

ავტორები წიგნს ასე იწყებენ: „**მკითხველო, ხელში შენ უჩვეულო წიგნი გიჭირავს. ჩვენ, მისმა შემდგენლებმა, მას "მადლიერების წიგნი" ვუწოდეთ. აქ სალექსო სტრიქონებივით ჩამოწერილი გვარ-სახელები მართლაც, რომ ლექსივით ჟღერს, რადგან თითოეული მათგანის მიღმა სიკეთით, კეთილშობილებით და ღვთისნიერებით სავსე პიროვნებები დგანან".**

ბუნებრივია, ქალბატონი ციალა გამოეხმაურა ამ ღირსეულ წამოწყებას, თავისი წვლილიც შეიტანა ეროვნულ საქმეში და "ლექსივით ჩამოწერილ" გვარებს შორის, მისი გვარ-სახელიცაა შეტანილი.

* * *

დამოუკიდებელი საქართველოს ოცწლიანი ისტორია სავსეა უამრავი ტკივილით. მათ შორის, სამწუხარო იყო რუსთაველის გამზირის და საამაყო წარსულის მქონე, პირველი საშუალო სკოლის დანგრევა. ურთულესი მდგომარეობა სუფევდა ქვეყანაში.

ქალბატონი ციალა ამ დროსაც ინტელიგენციის გვერდით იდგა, ყოველ შაბათ-კვირას ფიზიკურადაც ეხმარებოდა სკოლის მშენებლებს...

* * *

იესო ქრისტეს 2000 და საქართველოს ეკლესიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით, 1995 წლის 20 ნოენბერს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურხევით, თბილისში, წინასწარმეტყველ ელიას მთაზე, დაიწყო სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა. ქალბატონმა ციალამ ხელფასის დანაზოგიდან, რამდენჯერმე უდიდესი თავმდაბლობითა და სიყვარულით გაიღო შესაწირი. ამის გამო, სხვა ქველმოქმედებთან ერთად, მისი სახელი გაზეთებშიც დაიბეჭდა და წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის "შემოწირულობათა წიგნშიც" შევიდა.

ქალბატონმა ციალამ, ასევე, გულთან ახლოს მიიტანა 2008 წელს შიდა ქართლიდან დევნილთა გასაჭირი და შესაძლებლობის ფარგლებში მათ გვერდით დადგა.

სკოლაში ხელმძღვანელობდა საზოგადოება"ცოდნას". რამდენჯერმე იყო ამ საზოგადოების ყრილობის დელეგატი. არის "ვახტანგ ჭაბუკიანის საზოგადოების" წევრი. ემსახურებოდა საზოგადოება "თბილისელის" არაერთ საინტერესო წამოწყებას. იყო საზოგადოებრივი მოძრაობა "ერთობა და კეთილდღეობის" წევრი. მონაწილეობდა "სოციალურ და ჰუმანიტარული ცენტრის" ღონისძიებებში. წერს საინტერესო წერილებს, მოთხრობებს, რეკომენდაციებს წიგნებისათვის. არის რამდენიმე წიგნის ავტორი. არის საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო და სიგელი.

ქალბატონ ციალასათვის უპირველესი მაინც ოჯახია. ის გახლავთ მეუღლე ირაკლი ანდრიაძისა, რომელიც რამდენიმე წელი მუშაობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად, იყო თბილისის პირველი მერი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საინჟინრო საქმეში გაწეული უდიდესი წვლილისათვის მიენიჭა "XX საუკუნის გამოჩენილი ინჟინრის" საპატიო წოდება. 1995 წელს აირჩიეს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარედ და საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელად. თავდადებული და ღირსეული საქმიანობისათვის სრულად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია II-ის გადაწყვეტილებით და ლოცვა-კურთხევით დაჯილდოვდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ხარისხის "წმინდა გიორგის" სახელობის ოქროს ორდენით.

ბატონი ირაკლი არაჩვეულებრივი ოჯახის თავკაცი იყო, რომელსაც გვერდით ედგა სათნო, ჭკვიანი და გამრჯე მეუღლე, ქალბატონი ციალა.

მათ ჰყავთ ორი შესანიშნავი შვილი – თეიმურაზი და მარინა.

გულნაზი ხარაიშვილი

ყველას უყვარხარ

ამჟამად ქალბატონი ციალა ხაჟალია გახლავთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

ციალა ხაჟალია, ჩემთვის როგორც აკადემიის ხელმძღვანელისათვის სასიამოვნო აღმოჩენაა.

მე და ქალბატონმა ჟუჟუნა ნიჟარაძემ მისსივე მოკრძალებული თხოვნით გადავწყვიტეთ დიპლომი სახლში გადაგვეცა.

ამით კი კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება სტუმრად ვწვეოდით, სულმნათი ირაკლი ანდრიაძისა და ამ ღირსეული ქალბატონის ტრადიციულ ქართულ ოჯახს. მივულოცეთ აკადემიკოსობა, შემდეგ მივიღეთ მისი შემოთავაზება, რომ მტაწმინდაზე, პანთეონში ავსულიყავით. ასეც მოვიქეცით! როდესაც ქალბატონმა ციალამ მთაწმინდიდან სამებას გადახედა, დიპლომი გაშალა და მეუღლის სულს ასე მიმართა: ჩემო ირა! ვიცი ეს ამბავი გიხარია და მილოცავ კიდეც ამ წარმატებას... გმადლობთ, ძვირფასო!..

ციალა ხაჟალიას

ისეთი დიდი მეუღლის პატრონს,
როგორიც შენი ირაკლი იყო...
ვიცი და ღრმად მწამს, არავინ არ გმტრობს,
ყველას უყვარხარ... მე ასე ვფიქრობ.
მეუღლის სული დაბადების დღეს,
გილოცავს ციდან და გეფერება...
რა გსურს გიყიდოს, ის სიას ადგენს
შენს ქალობას, რომ შეეფერება.
მას უნდა იყოს თვითონ თამადა,
აგიცისკროვნოს გრძნობის საწუთრო,
შენ იტრიალო ახლოს თამამად...
უნდა, რომ მის სულს მიესათუთო.
სინამდვილეში ეს სურვილია,
მანძილი არის სივრცე თქვენს შორის,
ეს ნატვრაა და... არის წყურვილიც,
ტკივილიც არის, ნისლი და თქორიც.
მე ასე გლოცავ: გქონდეს სიმშვიდე,
უფლის წყალობა ყოველდღიური.
გულს სიყვარული აღარ მომშივდეს,
სიცოცხლე გქონდეს მარადიული.

01.10.2013

ირაკლი ანდრიაძეს

ი – იცის უფალმა, რაც შეჰქმენი, რაც გააკეთე,
რ – იხით სიტყვებიც ლაგამს იწყვეტს მოსაგონებლად...
ა – ცილდა ზეცას, შენ დაგეძებს, რითმებს აფეთებს,
კ – აი ყმის სულის სადიადოდ, საგოგმანებლად.
ლ – ურჯ ზეცასავით დიდი არის უკვდავება და,
ი – ქ სასულეთში სადღეგრძელო შენზედ ითქმება...
ა – საფრენ ფიქრთან ალბათ, ქარიც არ გააჩხლდება,
ნ – იშნად კედლებში სიხარული ჩამოიქნება.
დ – არდმა ზღვის იქით ძალიან შორს გადააბიჯა,
რ – იჟრაჟის დილას ღვთის სამება მადლს ფენს ფერებით.
ი – ქ მისულები, ურწმუნონიც, ბევრი დადინჯდა,
ა – სეა, ასე, ხატებს კრძალვით მივეფერებით.
ძ – ინ! – ძინ! გაისმის ეკლესიის სამრეკლოდან და...
ე – რს ასალბუნებს, უწმინდესის ბრძნული სიტყვები.
ს – ამარადჟამოდ სულიწმინდის რწმენის კალოდან
ჩვენ მიწიერნი, სამების კვალს ლოცვით მივყვებით.

ირინა მდივანი, ლილი ბერიძე,
ციალა ხაჟალია, გულნაზ ხარაიშვილი,
ნატა იაშვილი, ლიკა დგებუაძე,
კონსტანტინე ჩიქოვანი

გულნაზ ხარაიშვილი, ციალა
ხაჟალია და კონსტანტინე ჩიქოვანი

სავალა პაკალა – ჯანი როდარი

ორ ბიჭუნას ეზოს კუთხეში წყნარი ადგილი მოეძებნათ და ახალ ენას იგონებდნენ. მათ გარდა ეს ენა არვის არ უნდა სცოდნოდა, მთელს დედამიწაზე.

– სავალა პაკალა – თქვა ერთმა

– პაკალა, სავალა ბრუფ! – უპასუხა მეორემ.

ორივემ ხმამაღლა გულიანად გადაიკისკისა.

მათგან შორიახლოს, მეორე სართულის აივანზე ერთი მოხუცი, გულკეთილი ბატონი – კაცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა, მის მოპირდაპირე ფანჯარაში კი ჩვეულებრივი, არც გულკეთილი და არც ბოროტი მოხუცი ქალბატონი იყურებოდა.

– სულელები არიან ეს ბავშვები, – თქვა ქალბატონმა.

– მე არ გეთანხმებით – უპასუხა გულკეთილმა მოხუცმა.

– ახლა ალბათ იმის მტკიცებასაც ინებებთ, რომ ყველაფერი გაიგეთ, როდესაც ისინი ბურტყუნებდნენ, არა?

– რასაკვირველია, უპასუხა გულკეთილმა ბატონმა.

– ყველაფერი კარგად მესმის; – ერთმა თქვა:

– დღეს კარგი ამინდიაო; მეორემ უპასუხა:

– ხვალ უკეთესი იქნებაო.

ქალბატონმა ცხვირი აიპრიხა. მაგრამ არაფერი უთქვამთ, რადგან ბავშვებმა კვლავ გააგრძელეს ლაპარაკი თავანთ ენაზე.

– მარასოვი, ბარაბასივი, პიპარამასვია – თქვა ერთმა.

ბამბარი, ბარბარარამოვი, კუმბარაბასვი, ბრუზ! უპასუხა მეორემ და კვლავ სიცილი ატეხეს.

იქნებ თქვათ ახლაც ყველაფერი გაიგეთ? წამოიძახა აღელვებულმა ქალბატონმა.

რასაკვირველია, გავიგე, – ღიმილით უპასუხა მოხუცმა ბატონკაცმა.

– ერთმა მათგანმა თქვა: – რა კარგია, რომ ქვეყანაზე ჩვენ ვცხოვრობთ!
მეორემ უპასუხა, – დიახ, ცხოვრება მშვენიერია?
– ნუთუ ასე მშვენიერია ეს ცხოვრება? – არ ნებდებოდა ქალბატონი.
– ბამბარა ბამბარა მასვი, ბრუფ, ბრუფ – უპასუხა მოხუცმა ბატონ კაცმა.
ვთარგმნეთ სოფელ მლეთაში 1965 წელს. ზაფხულში.

სვირინგი

ერთმა ჩემმა მეგობარმა მკითხა, შემთხვევით ტატუირების შესახებ ხომ არაფერი იცით? ერთი ის ვიცი, რომ მას ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები მისდევდნენ, რადგან შიშველები დადიოდნენ და ტანს სვირინგით იმშვენებდნენ-მეთქი. მამაკაცებს, უმთავრესად უფრო ცხოველები ეხატათ, ქალებს კი – ყვავილები. ამ ნახატებით, ცხადია, ისინი თავს იწონებდნენ.

XIII საუკუნის სპარსელ პოეტს რუმის, რომელიც სამეფო ოჯახიდანაა გამოსული, ნოველა აქვს დაწერილი. მაშინ ტატურებული ნახატი ადამიანის ტანზე სამკაულის მოვალეობას ასრულებდა და ამ მტკივნეულ პროცესს ადამიანები ძალიან ძნელად იტანდნენ.

„ერთი კაცი მისულა დალაქთან და უთხოვია: „ძალიან გთოხვთ, დამახატე გააფთებული ლომი, ისეთი ლომი, რომ მისი შემხედვარე მთელი ხალხი ვიშვიშებდეს. ლომი ჰოროსკოპით ჩემი ზოდიაქოა. იმასაც გთხოვ, ლომი მუქი, სქელი ფერის საღებავით დამახატოო.

დალაქმა ჰკითხა: რომელ ადგილზე გინდა დავხატო ლომიო?

– მხარზე დამახატე, – უთხრა კაცმა. – ამით უფრო გულადი და გაბედული გავხდები. ლომმა უნდა დამიცვას ბრძოლასა და ლხინშიო.

როგორც კი დალაქმა კაცს პირველი ნემსი დაარჭო, კაცმა ტკივილისაგან ღრიალი მორთო: კარგი კაცო, ძალიან მტკივა, მითხარი ერთი ახლა რას ხატავო?

– როგორ რას, შენ ხომ ლომი შემიკვეთე?..

– დიახ, მაგრამ მაინტერესებს, რა ადგილიდან დაიწყეთ გააფთრებული ლომის გამოხატვა?

– კუდიდან, – იყო პასუხი.

– დაანებე თავი კუდს! არ არის საჭირო კუდი! ხომ ხედავ კუდის ხატვის დროს სუნთქვა შემეკრა. დაანებე კუდს თავი ამჯერად, იყოს ლომი უკუდოდ.

დაუჯერა დალაქმა და გააგრძელა მუშაობა. ენერგიულად დაიწყო ჩხვლეტა.

– რას აკეთებ, – კიდევ აყვირდა გაჭირვებული კაცი, – რას ხატავ ახლა?

– თავსა და ფაფარს.

– არა, არ არის საჭირო ფაფარი, სხვა მხარე დახატე.

ახლა სხვა მხარეს დაიწო ჩხვლეტა დალაქმა. მაგრამ კაცი მაინც აყვირდა: ახლა რას ხატავო?

– მუცელსო, – იყო პასუხი.

– ო, ჩემო კარგო, არ არის საჭირო მუცელი... გააფთრებულ ლომს რაში სჭირდება მუცელი. უმუცლოდაც იცხოვრებს.

ამის გამოგნე დალაქმა დააგდო ნემსი და უთხრა:

– ასეთი ლომი ღმერთს არ შეუქმნია. ერთ მითხარი, სად გინახავს უმუცლო, უკუდო და უთავო ლომი? თუ შენ არ შეგიძლია ჩხვლეტა მოითმინო მაშინ შინ წადი და ნუღარ ისურვებ რომ ლომი ამოვკვეთო შენს ტანზე. ისე, გახსოვდეს, ასეთ საქმეზე რომ მიდიხარ,

უნდა შეგეძლოს ტკივილის ატანა. ამით კი გული ცხოვრების ძალას გაიგებს... ასეთია ეს ნოველა.

ეგვიპტეში მოგზაურობის დროს სასტუმროში წიგნით ხელში ერთი ახალგაზრდა კაცი გვეწვია და გვითხრა, ტატუირებას ვაკეთებ და ნახატების ამორჩევა ამ წიგნიდან შეგიძლიათო. ჩვენგან უარი რომ მიიღო, გვითხრა: თუ გასამრჯელო გეძვირებათ, თქვენ რამდენიც გინდათ, იმდენი მომეცითო. ჩვენ გაგვეცინა, რადგან ქართველი ქალ-ბატონისათვის ტატუირება ხომ მიუღებელი იყო. ეს დღესაც უნდა ახსოვდეთ და იცოდნენ ქართველმა გოგონებმა.

ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის დროს საკონცენტრაციო ბანაკების მუზეუმებში ვნახე ტაუიტრებული კანისგან გაკეთებული ხელთათმანები, ნათურების საფარები. საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანებს, რომელსაც საინტერესო სვირიგნი ჰქონდათ, ატყავებდნენ, შემდეგ ამ კანს ამუშავებდნენ და მხატვრული ღირებულების სახეს აძლევდნენ.

დღეს, როცა ადამანს უკვე სამოსი ფარავს ტანზე, ტანჯვით მიყენებული ესა თუ ის გამოსახულება ეკლესიურად შეუწყნარებლად ითვლება. თუმცა ზოგიერთები შემეწინააღმდეგებიან და იტყვიან, რა ვქნათ ეს ხომ დღეს მოდაშიაო.

მამა გიორგი (სხირტლაძე) თავის ქადაგებაში ადამიანებს ამცნობს თუ რატომ არის ცოდვა ტატუს გაკეთება. ეკლესია გვეუბნება, რომ ადამიანი ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა და მისცა მას ბეჭედი ღვთისა. ეს კი იმით გამოიხატა, რომ ადამიანს გააჩნია უკვდავი სული, თავისუფალი ნება, შემოქმედების მეტყველების, სინდისის უნარი და ა.შ. ამიტომაც ადამიანის სხეულზე დამატებით იეროგლიფისა თუ გამოსახულებების დახატვა არის წარმართული, მაგიური კულტებიდან მომდინარე და ჯადოქრულ რიტუალებად ითვლება.

თუ წინათ ტატუირებას ციხეში მყოფი ადამიანები მისდევდნენ, დღეს ამ საქმით თავს იწონებენ ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც მოდელების პროფესიას მისდევენ. ადრე კი, მახსოვს, რომ ჩემ მეუღლესთან რამდენიმე მამაკაცმა ოპერაცია გაიკეთა, რომ სვირინგები მოეცილებინათ, იმ მამაკაცებს მაღალი თანამდებობები ეკავათ და ხელებზე ტატურების გამო მოკლე ხალათებს ვეღარ იცვამდნენ.

მამა გიორგი იმასაც აღნიშნავს, რომ ტანზე ჯვრის გამოხატვაც შავი მაგიის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი, ე.ი. გამოდის, რომ სხეული ხდება თაყვანისცემის ობიექტი. ეს კი ეკლესიურად ყოვლად დაუშვებელია, დიდი ცოდვაა და აშკარად მკრეხელობას უტოლდება.

არიან ადამიანები, როცა ეკლესია ამა თუ იმ საკითხზე თავის უარყოფით აზრს გამოხატავს, ამბობენ, სად წერია, რომ ტატუირება, ან ნარკოტიკის მიღება, ან პორნოგრაფიის ყურება ცოდვააო? ამის პასუხად ვტყოდი, რომ შეიძლება ბევრი რამ არ იყოს კანონად დაწერილი, მაგრამ ხომ არსებობს ზეპირი, დაუწერელი კანონებიც, ადამიანებს ხომ აქვთ მორალი, რითაც უნდა ხვდებოდეს, თუ რა არის კარგი და რა ცუდი.

.შ. ტელევიზორში ვუცქერდი ათ გამოჩენილი ადამიანის დასახელებას, და დავრწმუნდი, რომ მართალია ჩვენი ეკლესია, როცა ამბობს, რომ ასეთი შეჯიბრების გამართვა მიუღებელია.

ვეკითხები ჩემ შვილთაშვილს 3 წლის ერეკლე მაჭავარიანს, აბა, ათი ადამიანი დამისახელე, ვინც შენი აზრით, ყველაზე კარგია-მეთქი. მანაც ჩამომითვალა: დედიკო, მამიკო, ბაბუ, ნუციკო (მამიდამისი), დალი (დიდი ბებო), ბებო (მამის დედა), და ასე გააგრძელა ჩამოთვლა. მართალი გითხრათ გამაოცა ბავშვის ასეთმა გულმოდგინებამ, რომელთაც იგი ჩემს შეკითხვას მოეკიდა.

ერთხელ მახსოვს, პოეტმა ირაკლი აბაშიძემ საუბარში მითხრა: რა ვართ ეს ქართველები, ყველას პირველი კაცობა გვინდა, არადა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ერთი აგურის დამდებიც არა ვართ საქვეყნო საქმეშიო.

მაგარამ მადლობა ღმერთს, თუ დააკვირდებით, დღესაც, როგორც მაშინ მარტო ლაპარაკით პირველი კაცობის მოპოვება საკმაოდ ძნელია, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგჯერ ადვილიც ხდება.

რა ბედნიერები ვიქნებოდით, ყოველმა ადამიანმა თითო აგური რომ დადოს სამშობლოს ასაშენებლად... მაშინ ხომ ნამდვილად აყვავდება ქვეყანა, ყოველმა ჩვენგანმა თითო ხე რომ დარგოს, ხომ გაშენდება დიდი ტყე-პარკი, ყოველი ჩვენგანი ყოველ ღარიბ ოჯახს რომ დაეხმაროს, ხომ დიდი მადლი იქნება! ასე თითო-თითოდ გაკეთებული საქმე თუ ყოველი დროულად ნათქვამი რჩევა სასიკეთოდ წაადეგება ჩვენს ქვეყანას.

დღეს, როცა ერს ჰყავს ისეთი სულიერი მამა, როგორიცაა ილია II, ერის შვილებს არ უნდა ეშლებოდეთ იმის გარჩევა. თუ რა არის კარგი და რა ცუდი და როცა ერის სახელით ვიწყებთ ცუდ ლაპარაკს, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დიდი ცოდვაა პირადი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ერის სახელით გამოსვლას შესაბამისი სტატუსი სჭირდება.

გულნაზ ხარაიშვილი

ორმოცი წლის აჩიკო ზღვაში დახრჩობას გადავარჩინე

სასწაული ჩემს თვალწინ მოხდა... ურეკში ვისვენებდი, მეგობარ ქალბატონთან ერთად. ათი დღე მომიწია ზღვის ტალღებთან ალერსმა და მზით გამთბარი ქვიშის ზეწრად წამოფარებამ. მზის სხივები მაბრაზებდნენ, კანს მიწვავდნენ...

ზღის ტალღები კი უზრდელად მექცეოდნენ, ტალღებს სახეში დაუზოგავად მცემდნენ... უცხოდ მხედავდა ზღვა პირველად ვიყავი მასთან და ეტყობოდა თავის კანონებს უნდა დავმორჩილებულიყავი.

ზღვის ნაპირზე სხვადასხვა ასაკის ხალხი საოცარ სცენას ქმნიდნენ. გასაოცარი იყო ჩვილი ბავშვების ჭკუმპალი, თვეების პატარებს არანაირი შიშის გრძნობა არ აწუხებდათ... დედის მკლავებში, ბევრს ეძინათ კიდეც.

თბილისის ერთ-ერთი სკოლის ბავშვები დამიმეგობრდნენ, ნიჟარებს მიგროვებდნენ, მეტიკტიკებოდნენ და ასე გადიდა ზღვათა სილამაზის ხილვა.

საოცარი იყო მზის ჩასვლა, თითქოსდა უნაპირო ზღვის სივრცე ელოდებოდა, თავის რჩეულს, მზეს! როდესაც სატრფოს თავის ტალღები მოიქცევდა, ცა სირცხვილით წითლდებოდა. მზე შენი შვილია ალბათ ცაო არა?.. მზე ზღვასთან რომ მრუშობს გრცხვენია და იმიტომ გედება ელვარების ფერი არა?

ვეჩურჩულებოდი ცას და ათასნაირი განცდებით ვბრუნდებოდი სასტუმრო „თბილისში“. სასტუმროში სრული სიმშვიდის იდილია იყო გამეფებული, ჩემი მეგობრის შვილის და დის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა ეს ყველაფერი. ჩვენ განსაკუთრებულ ოთახში მიგვიჩინეს ბინა და სტუმრებსაც განსაკუთრებულს იღებდნენ. ასე მაგალითად: ერთ დღეს გვეწვია მწერალთა კავშირის თავჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი მეუღლესთან ერთად) ქალბატონ მაყვალას ყველა ცნობდა და ხმამაღლა გამოხატავდნენ აღტაცებას...

საინტერესო იყო ის დღე რომელიც დიდ სევდასთან იყო დაკავშირებული ეს გახლდათ დიდი მოგზაურის უეცრად გარდაცვალება და მერე ჩემი დასვენების პერიოდში მისი ორმოცის მოახლოვება. შინაგანად სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, რადგან სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგადაც ყველაფერს ვაკეთებდი რაც შემეძლო: აი, მაგალითად: გავაკეთე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლის პრეზენტაციასაც მეცამეტე ნომრის გამოშვების შემდეგ ვაპირებ. ვაკეთებ ყველაფერს რასაც ვახერხებ და ღმერთმაც ნუქნას სხვამ მეტი არ გააკეთოს...

ურეკიდან ტელეფონით ვუკავშირდებოდი, აკადემიის წევრებს და ვაფრთხილებდი რომ მოგზაურის საფლავთან ჩემი დაწერილი ფიცი წაეკითხათ...

ორი საათი. ეს ის დრო იყო, როდესაც საფლავთან უნდა შეკრებილიყვნენ, ახლობელები, ნათესავები, მეგობრები, აკადემიის წევრები.

მზემ როდესაც ზომაზე მეტი სითბო გამოიმეტა ურეკის ტერიტორიაზე, საგანგებოდ გადახურულ დარბაზში ჩამოვჯექით მე და ქალბატონი ყამარი და ნაღვლილანად ვიხსენებდით იმ დღეებს, როდესაც ბატონი ჯუმბერი ცოცხალი იყო და ახალი იდეებით ოცნებობდა მოგზაურობაზე.

ეზოში ძალიან ლამაზი ჩიტი ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდა ჩვენსკენ, მოგვიახლოვდა და გარშემო შემოგვიარა, ქალბატონმა ყამარიმ თავისდაუნებურად სპორცმენ ფრინველად მო-

ნათლა მე კი ვესაუბრებოდი, შენში აუცილებლად ბატონი ჯუმბერის სულია ალბათ ახლა სტოვებს მიწიერ სამყაროს და მიდის ცის დასალიერს – ჩიტმა უსიტყვოდ იტრიალა ჩვენ გარშემო, ორივე ქალბატონი იმას ვგრძნობდით, რომ თვალებში შემოგვციცინებდა ფრინველი მერე კი არ გაფრინდა, ისევ გზა ჩვეულებრივი ადამიანივით გაიარა ბატონ ჯუმბერს ჰგავდა მისი სიარული.

მეორე დღეს ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ხვალ დილით ზღვაში დიდხანს გავჩერდეთ, რადგან საღამოთი ჩემი შვილიშვილის დაბადების დღე არის, თბილისიდან მსახიობი – ბატონ ტრისტან სარალიძე ჩამოდის და ჩვენც უნდა დავესწროთ ... ის ჩემი შვილიშვილის ნათლია არისო.

დილით აჩქარებული ნაბიჯით მივაშურეთ ზღვის ნაპირებს. ცურვა ოთხ დღეში ისე ვისწავლე ძალიან შორს მივყვებოდი ტალღებს, ისე შორს მივდიოდი ნაპირზე დამსვენებლები წერტილებივით მოსჩანდნენ.

ნიჟარების კრეფით გული ვიჯერე, რადგან ზღვის სიღრმეში წყალი მუხლებამდე მწვდებოდა, შემოვტრიალდი ზღვის ნაპირისკენ და გავაგრძელე ნიჟარების კრეფა, უცებ რაღაცა ბუჯ-ბუჯი და.... თითქოს განწირული, ხმა შემომესმა, სამი მეტრის მანძილზე წყალი უკვე ძალიან ღრმა იყო და სწორედ იმ სირღმეში იყო ეს ხმა. უცებ თავი ამოყო მამაკაცმა მიშველეთ დაიძახა და წყალში ჩაიძირა, უშველეთ... დავიყვირე და იქ ახლოს ჩემს გარდა არავინ იყო, არც დავფიქრებულვარ იმაზე თუ მე რა შეიძლება მომსვლოდა, მამაკაცთან ჭიდილში, სასწრაფოთ გავცურე ნახევრად გულწასული მამაკაცი კვლავ ზღვაში შევიყვანე, რადგან იქ წყალი მუხლამდე იყო. მამაკაცი ღრმად სუნთქავდა, წყალი ქონდა ნაყლაპი, შეშინებული, ხან დედიკოს, მიძახდა ხან დას, არადა ჩემი გარდაცვლილი შვილის ტოლი ბიჭი დახრჩობას გადავარჩინე. სახელი ვიკითხე მითხრა აჩიკო მქვიაო, ყაზბეგელი ვარო, არ დამტოვო დეიდაო, მეშინია ნაპირზე გამიყვანეო... მე უკვე აღარ ვენდე, რადგან უკვე გონზე მოსული მეც დამახრჩობდა.

აჩიკოს ვურჩიე იქ გაჩერებულიყო და ნაპირიდან მშველელს გაუგზავნიდი, არა მითხრა, მეშინიაო... დავამშვიდე, ნუ გეშინია, სიღრმეს ნუ შეხედავ. აი, ნახე შენს წინ რამდენი ნიჟარებია შეგიძლია დაჯდე კიდეცთქო, არაო მითხრა, ზურგით დავდგები და დაგელოდებიო.

ზურგით გამოვცურე და ქალბატონ ყამარს აუხსენი მდგომარეობა, იმ დღეს ათჯერ გავცურე და უკანვე დავბრუნდი, თურმე მაყურებლები ბევრი მყავდნენ და ჩუმად ამაყობდნენ კიდეც, ან ერთობოდნენ... რავიცი. ბოლოს მეგობარს უთხარი მეთერთმეტე გაცურვას შენ გიძღვნი და გამოცურვით ურეკს დავემშვიდობებითქო. ხოდა ბოლო გაცურვა სიცოცხლის ფასად მიჯდებოდა, სასწრაფოდ მაშვლთან მივედით და მისი დახმარებით აჩიკო ნაპირზე ცოცხალი დაბრუნდა. გახარებული სიზმარს ყვებოდა, წუხელის გარდაცვლილი მამა ვნახე მივყავდიო და დედაჩემმა არ გამატანაო, ის დედა ალბათ შენახარ და გადამეხვია...

იმ ღამეს ჩემი გელა ვნახე სიზმარში, ჩემი გარდაცვლილი შვილი, რაღაცა უხაროდა, ცოცხალი იყო, ვსაუბრობდით...

დილით გამახსენდა ის მწარე დღე, როცა ჩემი შვილი, ჩემს თვალწინ გარდამეცვალა, ჩემი ლომი ბიჭი დაცრუ ექიმებს ვანდე მისი ბედი, და შედეგი გარდაცვალებით დამთავრდა. მადლობა უფალო, იმისათვის, რომ სხვა ისევ მეცოდება და არ ვიშურებ არავისთვის სიცოცხლესაც კი.

ძმის ნაკვალები

1983 წლის 27 დეკემბერს, თბილისის საავადმყოფოში, სიცოცხლის წუთები ითვლებოდა. დედამიწაზე ვერდატეული სული უერთდებოდა ზეცას, გული? ... გულს არაფერი აშფოთებდა, აღარც სტკიოდა და აღარც უხაროდა. “გულთან არ დამადოთ ხელი, მტკივა, მტკი-

ვა და დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.” ამბობდა პოეტი სიცოცხლეში და იმწამსვე შეუძახებდა ფიქრებს: “გული სამარეშიც ამღერდება”.

ოცდაათი წელი იცოცხლა ტკივილებით დამძიმებულმა პოეტმა. მას შემდეგ. რაც ზეცის ბინადრებთან დაიდო ბინა, კიდევ ოცდაათი წელი გავიდა... პოეტი ბეჟან ხარაიშვილი უკვე სამოცი წლის გახდებოდა.

ბეჟან ხარაიშვილის იუბილე, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანმა საერთაშორისო აკადემიამ აღნიშნა თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც აკადემიის წევრებს გარდა შეიკრიბნენ პოეტის ძველი მეგობრები, ახლობლები და საერთოდ პოეზიის თაყვანისმცემლები. ისინი საუბრობდნენ ბეჟან ხარაიშვილის ლექსების უკვდავებაზე. პოეტმა თამარ ჯაჭვაძემ აღნიშნა, რომ ბეჟანის ლექსებს სტუდენტობის დროიდან იცნობდა და რამდენიმე მათგანი ზეპირადაც იცოდა მისმა თაობამ. “მირზა წავიდაო, ეს რა გამაგონეს, არ დაბრუნდებაო, თქვეს და ტყუვდებიან”...

საღამოს ესწრებოდნენ ჯგუფ ზღვარის წარმომადგენლები: კახა ბაციკაძე და სერგი ლომაძე, ისინი ხომ ბეჟან ხარაიშვილს გვანან ხმის ტემბრით, სხვისი ტკივილის და სიხარულის გაზიარებითაც, მათი ერთგული პოეტური მეგობრობა ბეჟანის და ლევან ბაბუხადიას მეგობრობას ჰგავს. მათ, ერთად როცა ვხედავ, ვხედავ ლევანის და ბეჟანის. დიდ ტკივილს და ამავე დროს დიდ სიხარულსაც განვიცდი. ამას ვინ მიხვდება, ჩემს გულში ვინ შემოიხედავს, კლდეკარია, შემოდწევას ვინ გაბედავს... მაგრამ, ქალი მაინც ქალია და აგერ ამ სტატიის წერის დროს თვალებიდან ცრემლები დაუპატიჟებელი სტუმრებივით ჩამოსრიალდნენ ლოყაზე. კახას და სერგის სიყვარული ისე ნაწილდება ჩემს გულში, როგორც ლევანის და ბეჟანის. ვეფვერები ფიქრით მათ, როგორც ოცდაათი წლის ძმასა და მის მეგობარს ლევანს. სინამდვილეში ეს ორი სულით ამაღლებული ძლიერი პოეტი შვილების ტოლებია და მათ ერთი საერთო სახელი დავარქვი “ჩემი ბიჭები”. მათ არასოდეს არ ვაქებ, არ ვანებივრებ, რადგან მათში ვხედავ ჯერ კიდევ ბევრ დაუწერელ შედევრს და არ მინდა თვითკმაყოფილება იგრძნონ. ბეჟანი მათგან განსხვავებული იმით იყო, რომ არასოდეს აკმაყოფილებდა ის, რასაც სწერდა, ბევრ ხელმაწერს ხევდა. რაც შემორჩა მისი ლექსები, მისი მეგობრებისა და მისი მეუღლის დამსახურებაა. მე ხელში ჩამივარდა ბეჟანის პროზაული ნაწარმოები, რომელიც მისი მეუღლის ხელით არის გადაწერილი, ამ ამაგის მიჩუმათება ნამდვილად არ ძალმიძს.

ხშირად მეკამათება ჩემი ბიჭების დედობილი, არაჩვეულებრივი პოეტი, ნუნუკა გურალია, ესენი ორივე დიდი პოეტები არიან და უნდა ვაღიაროთ-ო. მე ვიცი ვინც არიან – ვპასუხობ და შინაგანი ტკივილი თავს მახსენებს, ეს ტკივილი ბეჟანია, მისი პოეზიაა.

ბეჟანიმ დაამთავრა ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწავლობდა საღამოს განყოფილებაზე, პარალელურად მუშაობდა. სტუდენტობის წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. ის მუშაობდა თბილისის სანერგე მეურნეობაში, საიდანაც მიიღო ბინა, დაოჯახდა, შეეძინათ ვაჟი და ამდენი ტვირთი იდო სტუდენტის მხრებზე.

ერის ტკივილით იყო დამძიმებული პატრიოტი პოეტის გული. მახსენდება, ბეჟანიმ თავისი სამეგობრო წრე, საჩხერეში, სოფელ ხვანში ჩამოიყვანა. მთელი დღე ტყეში დადიოდნენ სოკოს საკრეფად, ხან მდინარე ძირულაში თევზს იჭერდნენ. საღამოობით მსჯელობდნენ, აანალიზებდნენ საქართველოში არსებულ, იმ დროინდელ მდგომარეობას. ერთ-ერთ საუბარს მამამ შეუსწრო, ჭერი შეაზანზარა მამაჩემის მკაცრმა ხმამ: – ბეჟან, არ დამღუპო, შვილო, “ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს-ო”. იმ პერიოდში ზვიად გამსახურდია იყო დაპატიმრებული და ამას წუხდნენ ლევანი და ბეჟანი.

ახლა იგი სამოცი წლისაა, განაწილდა წლები, ოცდაათი აქ დედამიწაზე და ოცდაათი – ცათა სასუფეველში.

საჩხერიდან მირზა ხარაიშვილი ჩამოვიდა ჩემი ძმისშვილი, მას ახლდა დავით შუბითიძე. რა თქმა უნდა გამეხარდა და ორივეს თბილ-თბილი სიტყვები შევაგებე: "კენჭი რაა, ისიც მიყვარს, ხმაც კი მიყვარს იმერლისა" – წარმოვთქვი და ერთმანეთი მოვიკითხეთ.

– მამიდა, საუბარი გააგრძელა მირზამ, ბატონმა დავითმა ჩვენს ხეობაში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია ააშენა. – სიხარულით თვალები გამიბრწყინდა და ჟურნალი მივაწოდე.

– იცით? ჩემი ჟურნალი წმინდა ნინოს ხატით სუნთქავს, უკანა გვერდზე მთავარანგელოზი მიქაელია. ორივე ხატი შექმნილია მსოფლიოში ცნობილი მხატვრის, რეზო ადამიას მიერ. ბატონმა დავითმა ჟურნალი ხელში აიღო, მოწიწებით ემთხვია. მასში სჩანდა ღვთის რწმენა და დიდი სიყვარული, ყველაფერი ღვთის ნებაა-ო, მითხრა და ჟურნალის დათვალიერებას შეუდგა. მირზასგან გავიგე, რომ ბატონი დავითი დეპუტატობის კანდიდატი იყო. ძალიან გამეხარდა, რადგან ღვთის მიმდევარში ყოველთვის მოყვასის სიყვარულია. ჩემი კუთხის ხალხს, მთის ბუნების შვილებს, სწორედ ასეთი პიროვნება გამოადგებოდათ, სამართლიანობის დასაცავად.

საუბრის დროს ასეთი იდეა დამებადა, რომ წავსულიყავით ბოდბეში. დავურეკე ბატონ ჯუმბერ ხარაიშვილს. ჯუმბერი ხომ მთელი გვარის და რაიონის საამაყო შვილია, სიკეთის თესვით და ახლა იგი მხრებზე ჯავრწამოკიდებული, კვლავაც სხვაზე ფიქრობს, თითქოსდა თავის სადარდელი აკლდეს. ბატონი ჯუმბერი შვილგარდაცვლილი მამაა, ის რწმენით ცოცხლობს. მას სჯერა, რომ მისი "კოკა" ახლაც მღერის ციდან მაგნოლიას. დავურეკე "ჩემს ბიჭებს" – კახას, სერგის, ლამზირა შეყილაძეს და ორი დღის შემდეგ ბოდბეს ვეწვიეთ.

ბოდბის მონასტერში მუშაობს ანა, ბეჟანის თანაკურსელი, იგი ორი შვილის დედაა. მისი შვილები; ზურაბ გორდეზიანი სიღნაღის გამგეობაში მუშაობს, რუსუდან გორდეზიანმა კი ცურვაში მსოფლიო რეკორდი მოხსნა, როგორს ქალთა, ისე მამაკაცთა შორის. აქ უბრალო წვლილი იმით მიმიძღვის, რომ იგი ბატონ ჯუმბერ ლეჟავამდე მე მივიყვანე, რომელმაც ამ დიდი წარმატების მიღწევაში გზა გაუკვალა. მეუღლე – გოდერძი გორდეზიანი – ექიმია.

სანთლები ავანთეთ და წმინდა ნინოს საფლავს ვემთხვიეთ. მე ასე ვგრძნობდი, რომ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩიტებიც კი თითქოს მოკრძალებით ჭიკჭიკებდნენ. წყნარ ჰარმონიას გავდა მათი გალობა. ანას საგანგებოდ სუფრა გაეშალა ბეჟანის სახელზე, მისი სულის საპატივსაცემოდ, მართლაც ღვთის დიდი მადლი და წყალობა იყო... რომ იტყვიან: "ჩიტის რძეც არ აკლდა". ანამ მამაო ჩვენო გვათქმევინა და... ქართული სულითა და დიდი სიყვარულით გამთბარი სადამო გავატარეთ. სიყვარულით გულანთებულები წამოვედით. გულში ვის რა იდეა ებადებოდა გზადაგზა, ეს უკვე ამოუცნობი იყო, ისე, როგორც ბეჟანის ბევრი ლექსი.

გავიდა რამოდენიმე კვირა და მოგვიწია საჩხერის რაიონში ჩასვლა, ახლა უკვე ჩვენი აკადემიის ეგიდით, როგორც დავით შუბითიძის მხარდამჭერები.

ჩვენთვის და თვითონ შუბითიძისათვისაც თითოეული კანდიდატი იყო ღირსეული და საამაყო. აუგი სიტყვა არავის დასცდენია. ასეთი თბილი, ერთმანეთის მიმართ პატივისცემით სავსე შეხვედრა მართლაც იშვიათია. ეს დღე იყო მოფერების, მიმტევებლობის დღე. გზადაგზა კლდიდან ნაშალი ქვები ცვიოდა, ფიქრით მასაც ვეფერებოდი, იმიტომ, რომ ისინი შეწყვეტილ სიცოცხლეს მახსენებდნენ... ჩამონაჟური წყალი კი დედის ცრემლებს. იმნაირ დედის ცრემლებს, რომელიც ტბად დააგროვებს ცრემლებს და ცდილობს სხვას არ და-

ანახოს, ის ტკივილი არ გააუბრალოოს. მირზას ჩავჩურჩულე: მამიდა გენაცვალოს, ერთ წყაროს რომ ბეჟან ხარაიშვილის სახელზე გააკეთებდეთ, ძალიან კარგს იზამდით, მის პოეზიას ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და ჩვეულებრივი მოკვდავივით რატომ უნდა განისვენებდეს ხვანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში-მეთქი. მირზა ჩაფიქრდა, მე უხერხულობა ვიგრძენი, რადგან ჩემი უფროსი ძმა ლევანი, ანუ მირზას მამაც იქ განისვენებდა და ყველასათვის საამაყო იყო თავისი საქმითა და ავტორიტეტით. მას საქართველოდან წასული, უცხოეთში მყოფი პოეტი, ლეილა შუბითიძე, მოხეტიალე პოეტს უწოდებს და მასზე წიგნის დაწერასაც ფიქრობს.

მირზამ პასუხი მოგვიანებით დამიბრუნა და მტკიცე გადაწყვეტილებით თქვა: დაგვაცადე მამიდა, ამ საქმეს მოვრჩეთ და დავით შუბითიძე რასაც ამჟღავნებს, ორ იმდენს გულში ფიქრობს და საერთოდ არაფერი ეშლება-ო.

დადგა არჩევნების დღეც, დავით შუბითიძემ დიდი წარმატებით გაიმარჯვა, ეს უფლის წყალობით მოხდა, წმინდა ნინოს მადლით, მას ხმათა უმრავლესობით დაუდასტურეს ეს გამარჯვება. დაწყნარდა უბანი, ხეობა და თითოეული ადამიანი და ეს ლექსი, მადლობა დავით! მატიანეს შემორჩება, რომელიც მისი კეთილი საქმეებიდან გამომდინარე, ამ ღირსეულ პიროვნებას მივუძღვენი.

მადლობა დავით!

მ – ადლის თესვისთვის დავით გერგო „ხვედრი პოეტთა“,
ა – მოდის მზე და ცაში მოსჩანს ცისკრის ფერები.
დ – ავით შენა ხარ სიკეთე და... სულის კომეტა,
ლ – იჩსა და ჭალვანს, მთელს ხეობას, რომ ეფერები.
ო – სიცოცხლეა... სიყვარული ახლა ჭალვანში,
ბ – ურუსი გაქრა.... მზე სხივებად წამოგვაფარე...
ა – ლბათ გატყდება „დედას პური“, ლექსის ლავაშით...
დ – არდი და ცრემლი შავი ძაძაც, ღმერთო გვაკმარე!
ა – ქ დღეს ზეიმობს, ზეცის სული, ცას გარდაცვლილი,
ვ – ითარც ფენიქსი, ბეჟანი აღსდგა, თავის ლექსებით...
ი – ფრინე სულო, ცას არა აქვს დასასრული და...
თ – ბილ საძირკველში კვლავაც ნედლობს ნიჭთა ფესვები.
მადლობ! დავით! სიკეთისთვის დიდი მადლობა!
სურვილად ეს მაქვს შენი საქმით კვლავ გამაოცო...
დარდების შემდეგ, ეს წუთია ჩემთვის აღდგომა,
ღვთის კურთხეულო, მთელი გულით უნდა დაგლოცო!

არჩევნებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ დავით შუბითიძე რედაქციაში გვესტუმრა. ერთმანეთი მოვიკითხეთ, ვატყობდი, რომ რაღაცას ფიქრში წონიდა და აანალიზებდა, თითქოს მის ხმაში ფოლადიც ერია. სიცოცხლეში ადამიანი იმაზე მეტს ვერ გააკეთებს რაც ბეჟანის გაუკეთებია ოცდაათი წლის განმავლობაში, სტუდენტობა, ექსპედიციები, ცოლი, შვილი, ბინისა და ნაკვეთის მიღება. მერე ყველაზე მთავარი პოეტის სახელის დამკვიდრება, მისი გარდაცვალების ოცდაათი წლიდან დღემდე. არის კიდევ მთავარი, ეს არის მისი დიდსულოვნება. მე სუფრაზე ჭირსა და ლხინში, სადაც მოვხვდი, ბეჟანის ახსენებენ, იგონებენ და... გასაკვირი აქ ერთი რამ არის, დღემდე აზრად არავის მოსვლია, სკოლისათვის, სადაც იგი სწავლობდა, ბეჟან ხარაიშვილის სახელი დაერქმიათ. მერე კი მისი პატრიოტული ლექსებით გაეზარდათ მომავალი თაობა. ამას ხომ თანხა არ ჭირდებოდა?!

ვდუმდი, ცრემლი მდიოდა, ვტიროდი. მერე ჩემს ყურში ახმიანდნენ ბეჟანის სიტყვები: “მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში...”.

“ჭია-ჭია მაპოვნინე საქართველო...” და წამოიშალა მთელი რიგი ლექსთა შედევრები:

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
– ვყიდი ვარძიას,
– ვყიდი ხერთვისს,
– ვყიდი არხოტს და ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი აზრი გამბოჭავს
მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი... ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე, მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ფრესკებს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

ეს და უამრავი სხვა შედევრი აქეთ-იქითაა გაბნეული და ასე მიდის უყურადღებობის წლები. დავდივარ ახლა, მე ძმის ნაკვალევზე, ვუძღვნი ლექსებს, მაგრამ რა უნდა დავწერო მისი შესადარი. ჩვენ ექვსი დედმამიშვილი ვიყავით, როცა წამოვიზარდეთ, მე და ბეჟანი უფრო ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. ალბათ ეს პოეტური სულთა კავშირი იყო. ისე ძალიან თბილები და ერთმანეთის მოსიყვარულე და ერთმანეთის გამზრდელებიც ვიყავით.

ახლა კი დავდივარ ძმის ნაკვალებით, ვეფერები ლექსით...

ბ-ილიკს, მის გავლილს, წლები რას წაშლის,
ე-ნაწყლიანი პოეტის სიტყვებს...
ჟ-ანგისფერ ფოთლებს ფიქრები აშლის,
ა-იყვანს ტყეში ამოსულ ნიყვებს.
ნ-ანატრ გაზაფხულს ვერ მოესწარი,
ხ-ის ტოტებს ტანი შემოეჟარათ...
ა-ხლა გახურავს ზეცის ზეწარი,
რ-ამდენს ვტირივარ, ძმაო, ბეჟანა.
ა-მ თოვლს, ამ წვიმებს როგორ გავუძლო,
ი-მედი ნისლით იხრჩობა კვამლში.
შ-ეშლილო ქარო, სევდის საუფლოვ.
ვ-ერ მოგიშორე, თითქოს ვარ ვალში.
ი-მიტომ გითმობ ქარო, ოხერო,
ლ-ოცვით საგზალი ცაში ავიდეს,
ი-მ ფაქიზ სულის ლექსის კენწეროს,
მივწვდე, თუ გინდა წლები გავიდეს.
მერე ავანთო გულს ლამპიონი,
გავაცისკროვნებ ბნელს ვარსკვლავებით.
მწამს მიწყალობებს მადლი სიონის
და ასე ვივლი ძმის ნაკვალებით.

თვალწინ დამიდგა ლევანისა და ბეჟანის მეგობრობა, რომელიც ფურცელზე ასე ჩამოიმარცვლა:

მთიდან დაშვებული ძირულა ღიღინებდა „ძირულისპირულს“, ხვანის მთების თავზე იღიმებოდა მთვარე, ცის კალოზე კენჭაობდნენ ვარსკვლავები, თმებგაშლილი წყლის ალის ამბავს ნებისად ჰყვებოდა გაფუშფუშებული ღრუბელი, ღამეულ ნიავს ჩამოქნილ მკლავებზე გაეწვინა მონარნარე მუზა, ვისთან გაახლოო, უმშვენიერესო, ჩასჩურჩულობდა.

ძირულას ძილისპირულს აყურადებდნენ ორნი, აოცებდათ იდუმალება ღამის. მონარნარე მუზის მიახლოვებას გრძნობდნენ მეგობრები. მათ სულებში კალმახებივით სხმარტალებდნენ რითმები, რიტმები და იბადებოდა... ჰო, გარინდებაში, დაყურადებაში, იდუმალებაში იშვებოდა უჩვილესი ლექსი. ფიქრის საფენებში შეხვეულ ფურცელზე მთრთოლვარედ რომ გადავიდოდა მერე...

სულს მზედ ჩარჩენია ის დრო, ენატრება უსაშველოდ, გაუსაძლისად.

ორნი! სადარი სულისანი, სადარი განცდისანი, სადარი ტკივილისანი, ოცნებისანი, სიბრალულისანი... ლევან ბაბუხადია და ბეჟან ხარაიშვილი. მათი მეგობრობა სტუდენტო-

ბიდან დაიწყო, სულმა სული იცნო. ერთი შეხედვით თითქოსდა ჩვეულებრივი ბიჭები იყვნენ, ხშირად მხოლოდ პურის (ან მჭადის) ნატეხი ჰქონდათ. მწარე ხახვისა და ბოთლს ღვინოზე ტკბილად გადევნიდნენ წუთებს, საათებს, მაგრამ მათ გვერდით მყოფნი გრძნობდნენ ლევანის და ბეჟანის რაინდული სულის გამოძახილს. მათი მსჯელობა, სადღეგრძელოები, ლექსობა, მხიარულება, სიყვარული, უსაზღვრო სიყვარული მოყვასისა და სამშობლოსი, იყო რაღაც სხვაგვარი – დიდი, ამაღლებული, ღმრთისეული... მათთვის მისაბაძი ჭეშმარიტი გმირი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყო. თავს ბედნიერად გრძნობდნენ, რომ მათი თანამედროვენი იყვნენ. მარწუხებივით ახრჩობდათ ნანატრ სამშობლოზე გაუმხელელი ფიქრი. ფურცლებზე დაფრქვეულ სტრიქონებში აქსოვდნენ განცდებს, მერე კითხულობდნენ პატარა ოთახსა თუ დიდ აუდიტორიაში, თანამოზიარეებთან თუ სხვაგვარად მოფიქრალეებთან და მათი სიტყვა, ქცევა, ნაბიჯი, იყო ყოელთვის გამორჩეულად კაცური, რაინდული...

ლევანი ოცნებობს იმ დროზე, როცა ერთად იყვნენ სადარი სულისანი. უყვარდა ლევანის საჩხერის მაღალმთიან სოფელ ხვანში მეგობართან სტუმრობა, ბეჟანის მყუდრო, თბილ კერაზე, მის მშობლებთან, დედმამიშვილებთან, როგორც უთბილეს საბუდარაში, ისე გრძნობდა თავს.

სულს მზედ ჩარჩენია ის დრო. ენატრება უსაშველოდ. ღამით, ძირულას საოცარ ნაპირებს აუყვებოდნენ მეგობრობაში მდინარის სათავისკენ, ცივ წყალში მოცეკვავე თევზებისკენ მიუწევდათ გული. უყვარდათ დაწინწკლულ კალმახთა სხმარტალის ცქერა. ათენებდნენ კიალას და მდინარის გულისკენ, ხელში სუფრის ჩანგალ მომარჯვებულები შედიოდნენ. ჩააშუქებდნენ წყალში კიალას, ამ დროს თევზები მხედველობის უნარს კარგავდნენ და სწრაფად „კაფენიკში“ ექცეოდნენ. ეს ბეჟანისაგან კარგახნის ნაცადი ხერხი იყო. ჰო, საოცრად უყვარდათ კალმახები. მოსხმარტალე, მოუხელთებელ, ბოლოს კი დამორჩლებულ ლექსის, თუ ნოველის სტრიქონებს ჰგავდნენ ისინი.

ნაადრევად ჩაიფერფლა უტკბილესი მეგობრობა, 30 წლის პოეტი ბეჟან ხარაიშვილი ნაადრევად განეშორა მიწიერ სამყოფს...

იდგა მეგობრის ცხედართან გაქვავებული, გულდაფლეთილი, სულდაღლილი და უთევდა ღამეს. საათები, წუთები ამოკლებდა მეგობართან გამოსათხოვარ დროს. გათოშილიყო ირგვლივ ყოველივე, თითქოს დასრულდაო ყველასათვის ყველაფერი.

მერე?

რაინდულად შეეჭიდა გაუსაძლის ტკივილს. ჭეშმარიტი მეგობრობა გარდაცვალებამაც ვერ ჩაფერფლა. მოიძია მიკუჭული, გაფანტული ფურცლები, აახმიანა სტრიქონები და სასოებით, რუდუნებით, საკუთარი სახსრებით გამოსცა მეგობრის წიგნი. ნათელი შუქი უხვად დაეფრქვა ღრმად მიძინებულს სტრიქონებს...

სამზეო იხილა სულის ნაჟურმა, ადამიანთა გულებისგან წარაკრაკდა, და... თითქოს მეორედ დაიბადა ბეჟან ხარაიშვილი. მე კი ვევედრები მაცხოვარს, შემაძლებინოს ლევან ბაბუხადიას მსგავსი მეგობრობა, ერთგულება, სულგრძელება, ვევედრები უფფალს ამრავლოს მზისქვეშეთში მისაბაძი ადამიანები, რომ განათდეს ქეყანა, იმძლავროს სიყვარულმა და ცხრაკლიტულში მოექცეს ბოროტება.

არაერთხელ მიგვრძნია, განმარტოვდება ვაჟკაცი საკუთაარ ფიქრებთან, სხეულს ჩაეღვენთება მდუღარე ცრემლი და უსაშველო მოენატრება, დრო სულს მზედ რომ ჩარჩენია.

იქიდან კი, მარადიული სამყოფიდან, გაუხუნარ მეგობრობას უწევს და მადლიერებით ჩამოჰღიმის უკვდავი სული. დაიღვრება მეგობრობის ცრემლი, რომელ ცრემლებზეც ასსე უთქვამთ ბრძენებს:

უცნაური რამ არის ცრემლი... ცრემლი დიდი სიხარულია, დიდი ტკივილია...

ცრემლი ადამიანის სულის ნაწილია, მისი ნამცვვრევია...

ცრემლი გამოუთქმელი დარდია... ვერთქმულით გამოწვეული ყელში გაჩხერილი სიტყვაა...

ცრემლი შენი სამშობლოა, მისი ტკივილიანი წრსულია, დღევანდელი დღეა, „უცნობად“ დარჩენილი ქართველი ვაჟკაცების საფლავებია...

ცრემლი დიდი მონატრებაა, მშობლიური კუთხეა, აფხაზეთია... იქ დარჩენილ წინაპართა საფლავებია, მბჟუტავ სანთელსა და დამჭკნარ ყვავილებს მომლოდინე უკვე ხავსშევლებული საფლავებია...

ცრემლი ფიქრია... უსაშველო ფიქრია, რომელიც არ გასვენებს, მიწას გწყვეტს და ბურუსში გახვეული მოგატარებს ყველგან, სადაც ვერ მიგესვლება...

ცრემლი უცნაური ხილვებია... თანმდევი სხივებია, სულისშემძვრელი ჩვენებაა... მიტოვებული ბოქლომებია, მიუწვდომლად მაღალი მთებია... ნაცრისფერი ღრუბლებია... მიტოვებულ საფლავებთან ჭირისუფლად მდგარი მტირალა ტირიფებია...

ცრემლი თვლასა და ხელს შუა გასული დროა, მდინარესავით ჩავლილი წლებია...

ცრემლი თვალსა და ხელს შუა გასული დროა, მდინარესავით ჩავლილი წლებია...

ცრემლი გარდასულ დღეთა დიდი მონატრებაა... მოლივლივე ზღვაა, ტალღების სევდიანი ჩურჩულია, ცხელი ქვიშის სიმხურვალის შეგრძნებაა, ზღვაზე მზის ჩასვლის ხილვის აუსრულებელი ოცნებაა...

ცრემლი სანთელივით მბჟუტავი იმედიცაა – იქნება მოხდეს სასწაული...

ეს ცრემლები გადაიქცეს იმედის მდინარედ, აკი გადაიქცა კიდეც... იმ სკოლას, სადაც ბეჟან ხარაიშვილი სწავლობდა, ბეჟან ხარაიშვილის სახელი დაერქვა. ეს იდეა დავით შუბითიძის იყო და... ბეჟანი გაცოცხლდა ოცდაათი წლის შემდეგ. ლევან ბაბუხადია კი ამ ამბით გახარებული ბეჟანის წიგნზე მუშაობს, იგი უკვე გამოსაცემად გადასცემს სტამბას, ბეჟანის ლექსების მეორე კრებულს. მწუხარების ცრემლი სიხარულის ცრემლმა შეცვალა.

მე წარმოვიდგინე ბეჟანის აჩრდილი, მაღალი, ლამაზი. გავიგონე მისი ხმა, ლოცვა, დავით შუბითიძის მიმართ, წარმოვიდგინე სკოლის ახმიანებული კედლები, გაბრწყინებული პედაგოგები, სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული პოეტები. გამახსენდა ზაური ნოზაძის სიტყვები: “არ გეგონოს ძმაო, ბეჟან, ძმობა ფეხზე დავიკიდე, რომ იცოდე ღამე თავთით, შენს ლექსებზე თავი მიდევს”-ო. წარმოვიდგინე მისი დატოვილი ხუთი წლის ლაშა, უკვე დაქორწილებული ორი თვალხატულა გოგონათი; გვანცათი და ბარბით, მეუღლით, ხატია ხატიაშვილით, კიდევ უფრო გაზრდილი მისი ძმისშვილი ხათუნა ხარაიშვილი, ახლა იმ სკოლის პედაგოგი, რა ბედნიერი იქნება ამ დროს, მას უსათუოდ გაახსენდება ის ლექსი, რომელიც მას მიუძღვნა ბეჟანმა, როცა პატარა იყო. “ხვანის ედდოფლად იზრდები ხათო”-ო. წარმოვიდგინე ხეობის ხალხი და გახარებული მე ვლოცავდი ყველას და განსაკუთრებით იდეის ავტორს – დავით შუბითიძეს!

. . .

წერა დავამთავრე, ოფლად ვიღვრებოდი, ჩემი რძალი ცირა მიქელაძე მეორე ოთახში დაფუსფუსებდა, მისი ხმა შემომესმა, რაღაცას ეფერებოდა, სასწრაფოდ გავედი და რას ვხედავ; ოთახში მერცხალი შემოფრენილიყო, ფანჯრის რაფაზე იჯდა და გვიყურებდა... მთელი ნახევარი საათი ჩვენთან დაყო, შემოუფრინა ოთახს და გაფრინდა. მე ფიქრით მოკითხვა დავაბარე ცაში წასულ ახლობლებთან და იცით კიდევ რა დავაბარე? ვახტანგი, გელას ოთხი წლის ბიჭი იზრდება და მამას საყვედურობს, რომ არ მოდის და კანფეტები არ მოაქვს მისთვის. მე კიდევ რომ ვატყუებ და ვეუბნები მამაშენი მოვა, უსათუოდ მოვათქო. ასეთი ტყუილი მჭირდებოდა ლაშასთან, ბეჟანის ბიჭთან. ლაშა ამიტირდა ბეჟანის დაკრძალვის დღეს. მამიდა მამა მეც მინდა, მუხრანის და მირზას რომ ჰყავს-ო... იძულებუ-

ლი გავხდი მეთქვა, რომ მამამისი მოვიდოდა და კანფეტებს მოუტანდა. ლაშა ახლა უკვე ორი შვილის მამაა და... მამამისი მოვიდა. გაცოცხლდა ბეჟან ხარაიშვილი, სახელის უკვდავებით... დავით შუბითიძის იდეითა და წმინდა ნინოს მადლით.

ბატონი ნუგზარი როგორც ორგანიზატორი და პიროვნება

სანთლით რომ ეძებოთ, ბატონ ნუგზარ ნადარაიაში ნაკლს, მჯერა, რომ ვერ იპოვნით. იგი ქართული, ეროვნული გულით ხელმძღვანელობს ფაზისის საერო აკადემიას. მის სულში სიკეთისა და ერთგულების გენი ჭარბობს. როცა ვინმეს უჭირს, მასში ცოტნე დადიანის სისხლი აყივლდება და იგი დაუფიქრებლად დადგება სიმართლის მხარეს. არ მოერიდება "ბრბოთა ხროვას". მას უყვარს რეალურად დასაფასებელი პიროვნებები. იგი აფასებს სამშობლოს ერთგულ ადამიანებს და სძულს ცხვრის ტყავში გახვეული მგლები. არის ძლიერი, მებრძოლი, უღალატო პიროვნება. სამეფო კარი მისთვის უწმინდესის რეზიდენციაა. იქ ივსება ღვთის მადლით და მერე კი უხვად არიგებს აკადემიის წევრებთან.

ბატონი ნუგზარი, როგორც ორგანიზატორი და პიროვნება, შეუდარებელია. როდესაც აწ გარდაცვლილი ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ცხრაწლიანი მოგზაურობის შემდეგ კვლავ სამოგზაუროდ მიდიოდა, იმ პერიოდში ბატონი ნუგზარი ფოთში იმყოფებოდა, სხვათაშორის დავურეკე და ვთხოვე, რომ მისთვის გზა დაელოცა სიკეთის მოძღვარს. რამოდენიმე საათის შემდეგ ბატონმა ნუგზარმა თვითონვე დამირეკა: ქალბატონო გულნაზ, მე თქვენი შეტყობინება კოლხურად მივიღე, გავაფრთხილე ადგილობრივი ფოთის ხელმძღვანელობა და ტელევიზია, აქ ფოთელები ღირსეულად დახვდებიან ღირსეულ მსოფლიო მოქალაქეს. საღამოს ჩემს ოჯახში მოვასვენებ, დილით კი მე თვითონ გავაცილებ გემზე.

ვწერ ბატონ ნუგზარ ნადარაიას პიროვნებაზე და მახსენდება 2012 წლის იანვარი. დარდწამოსხმული შევხვდი ახალ წელს, თუმცა მოლოცვები მსიამოვნებდა მეგობრებისგან. მამხნევებდნენ, მეფერებოდნენ და ათასნაირ კეთილი სურვილების დაბედებას მიწინასწარმეტყველებდნენ.

დღის დასასრულს, როცა ყინვისაგან გათოშილ ასფალტს მზემ უკანასკნელად დაანათა თავისი მოკრძალებული სხივები, დარდმა თავი კვლავ შემახსენა და ჩემს წინ მედიდურად გაიბღინძა. ცრემლებმა გადმოხეთქა წამწამებისაგან აშენებული კაშხალი და გულის უბეს მარილიანი საფენები შემომაფინა. დედამიწასა და მზეს შორის საყვედურით დატვირთული საუბარი გაიმართა:

– ვერა ხედავ, შენი სითბოთი ლოლუები ძირს ჩამოცვივდნენ და ბროლის ლარნაკივით დაიფშვნენ. ახლა ისევ ჭირხლის საბანი გადამაფარე. ყინვის არტახებით სული შემიხუთე. მხრები ოდნავ რომ შემითბა, პირი ზეცისკენ იბრუნე. შენი ასეთი საქციელი გაუტანელი და დაუნდობელი ადამიანების ცხოვრებას მაგონებს.

– მე ჩემი დრო მაქვს, რას მებუზღუნები, შენ მიწიერ შვილებს ასწავლე სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა, მე ღმერთის ბრძანებას ვასრულებ, ჩემი ნება რომ იყოს, დედამიწისკენ ისედაც არ ჩამოვიხედავ. ზეცაში ყველას თავისი ადგილი აქვს დათმობილი, იმის მიხედვით, თუ დედამიწაზე ყოფნის დროს რა სიკეთეებს აკეთებდა იგი. ჰოდა, მეც იქ მიხარია ყოფნა, სადაც სიყვარულისა და ერთმანეთის ფასი იციან.

დედამიწამ მზის ნათქვამში ჭეშმარიტება დაინახა და გაჩუმდა. მზემ საუბარი გააგრძელა: – მე როცა სხივებს მხრებზე წამოგასხამ, ჩემს სითბოს ადამიანების გულის სითბოც უნდა დაემატოს, მაშინ ანკარა ნაკადულებით აგევსებოდა უბე-კალთა. მე იმას ვდარდობ, ვისაც მინდა სითბო ვაჩუქო, იმასაც არ სწვდება ჩემი სხივები, ამ იანვრის სუსხიან

დღეს. ფიქრის გემი გაჩერდა. სანთელი ავანთე და ლოცვა დავიწყე. უფალს მშვიდობიანი დილის გათენება შევთხოვე და აივანზე გავედი. დღის დასასრულს კვლავ ნაღველი შემომაწვა, ყინვის სუსხმა ჩემს გულთან მოიკალათა, მერე მთლიანად მომწვდა და დარდის კუნძულზე გამომამწყვდია.

გამასხენდა ქადაგება, უფალმა რომ ბრძანა, განკითხვის დღეს გეტყვით: მწყურვალი ვიყავ და არ მასვით, მშიერი ვიყავ და არ მაჭამეთ, შიშველი ვიყავ და არ ჩამაცვით, სნეული ვიყავ და არ მომიარეთ. ყოველი გაჭირვებული ადამიანი, თქვენს წინ შემხვერდი და თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავი.

დარდის კუნძული იძირებოდა, იძულებული ვიყავი თან ჩავყოლოდი, რადგან ძალა არ მყოფნიდა უკან დასაბრუნებლად. კუნძულზე იმედის სხივმა შემოიხედა, ასეთ განსაცდელში რომ დამინახა, შევეცოდე და დახმარებას დამპირდა.

– შენ საიდან გაჩნდი? – მორიდებით შევეკითხე იმედის სხივს.

– მე ქრისტეს მოწაფე ვარ, თვალს გადევნებ და უკვე დავრწმუნდი, რომ უფლის იმედით მიიწევ წინ და უკან კი სიკეთის კვალს სტოვებ.

უწმინდესთან, ფოთის დელეგაციასთან ერთად, 2 იანვარს ბედობის დღეს ჟურნალი "ათინათი" უნდა დალოცოს უნეტარესმა, ამ დიდი საქმის ორგანიზატორი მე გახლავართ. იდუმალი ხმა თანდათან იკვეთებოდა, ხმაში ნუგზარ ნადარაიას ხმა ვიცანი. დაილოცოს ღმერთო შენი სამართალი, ეს ხომ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტია, დიახ, ის არის, ჩამესმა იდუმალმა ხმა.

შენ პოეტი ხარ, პოეტები ხომ უფლის რჩეული ადამიანები არიან, როცა გტკივათ ლექსით სტირიხართ და როცა გიხარიათ ლექსით გამოხატავთ, ლექსი მიუძღვენი იმედის სხივს. დავფიქრდი და ლექსის წერა დავიწყე.

ბატონო ნუგზარ:

ნ-აომარ მიწებს სევდის ნისლი გადანაცვრია,
უ-ფრთხის ცივ ტყვიებს ვარდები და გლოვით ჰყრის ცრემლებს,
გ-ულში დაჭრილა, ჯერ გაუშლელ კვირტს რომ აცლიან,
ზ-ოლი სისხლისა ამჩნევია ბაღსა და სკვერებს.
ა-მოიზრდება ფესვებიდან ისევ ნერგები,
რ-ილო-ჭრელის დროს მზის სხივები ყინულს გაადნობს,
ნ-არ-ეკალშიაც ცხოვრების გზას ნიჭით ერგები,
ა-მ დროს ნაფიქრალს, კოლხ მეგობრებს ბევრჯერ გაანდობ.
დ-ენთის სუნია, მოწამლულა შხამით მიდამო,
ა-რიდილია დაავიწყდათ? რა ღვთის წყრომაა,
რ-ამენაირად გათენება უნდა იწამო,
ა-მერ-იმერი აირია მგლური მტრობაა,
ი-ფრქვევა ტყვია გადაბუგეს მწვანე ხავერდი,
ა-რ გვიჩერდება თვალში ცრემლი ვგლოვობთ და მოვთქვამთ,
ს-ეტყვა მოვიდა, შემოიჭრა ქარი თავხედი,
და თუ დაგვითბა შრომა ჩვენს ჯიშს ოდითგან მოგვდგამს.

ბატონ ნუგზარ ნადარაიას ჩანახატში იმედის სხივი ვუწოდე, ამ სიტყვებს იგი იმსახურებს, მისი ხელმძღვანელობით მოხდა ჩემი შეხვედრა უწმინდესთან.

2 იანვარს, უწმინდესის რეზიდენციაში მოწიწებით შევაღე კარები. უწმინდესის ხელის შეხებით გულში სიმშვიდე ვიგრძენი. ჩემი სული ამაღლდა, გაპოეტურდა და ზეცის ტოლი

გახდა, რადგან პატრიარქმა თავისი დაწერილი ახალი საგალობელი მოგვასმენინა და წიგნებიც გვაჩუქა.

რა ბედნიერი ვიყავი, როცა უწმინდესისადმი მიძღვნილ ლექსს ვკითხულობდი, პატრიარქი მისმენდა, მოსწონდა... მლოცავდა...

ბატონო ნუგზარ:

შენ უმკლავდები ცივ ქარსა და თოვლიან ზამთარს...
ღვთის გზას ადგახარ, იფერფლები სიკეთის ალით,
არ უშინდები ქარბორბალას, ერევი აფთარს...
ცოტნეიდელო, მიტომ გლოცავს ციდან უფალი.

ნათელა ხარაიშვილი

სულში ჩაუწვდომი სინათლე

შაბათს, 10 მაისს, დილით, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტმა, ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა დამირეკა და მაცნობა: აკადემიკოსთა და აკადემიის წევრების ოცდაათკაციანი ჯგუფი საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო სახლ-მუზეუმში დიდი მგოსნის პატივსაცემად ლიტერატურული ღონისძიების გასამართად მოემგზავრებოდა. უდიდესი სიყვარულითა და დიდი მორიდებით მთხოვა, ჩემი ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად თუ შევძლებდი, მივსულიყავი საზეიმო სადამოზე. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ დატვირთული რეჟიმი მაქვს, მთავარი მაინც ჩემი ჯანმრთელობაა და ვფიქრობ, შევძლებ კი ფიზიკურად? იმ დღეს საერთოდ არ ვიყავი წესრიგში, მაგრამ სინდისმა შემაწუხა. მასპინძელი ვიყავი და უარი წასვლაზე როგორ მეთქვა?! დედამაც კატეგორიულად განმიცხადა, აუცილებლად უნდა შეძლო წასვლაო და თავად სუფრის სამზადისს შეუდგა.

რა ტკბილია სიცოცხლე, როცა სავსე დადიხარ ადამიანი. ეს სისავსე იმაში მდგომარეობს, რომ იმ ქვეყნის მკვიდრთან ისეთივე კავშირი გაქვს, როგორც ამქვეყნიურთან. ესაუბრები, უყვები სიახლეებს, სთხოვ შემწეობას. მაშინ აღარაფრად აგდებ ამქვეყნიურ ტკივილებს და იმედით ცოცხლობ. ამაყი ხარ იმით, რომ მდიდარი ხარ. ცაც შენია და დედამიწაც. დიდი მახსოვრობა გაქვს დასაბამიდან დღემდე. ამაყი ქართველი ხარ, ქრისტეს დიდებით მოსვლის მოლოდინში. გჯერა, გწამს „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. გაუტეხელი ქართველი ხარ, რწმენისა და სიმტკიცის დამცველი მთელ მსოფლიოში. კრავივით მორჩილი ბატკანი ხარ, ქრისტესთვის ზვარაკად შეწირული. მრავალჯერ გარდაცვლილი და გაცოცხლებული ხარ ქართულ მიწაზე, რომელიც წმინდანთა სისხლითაა მორწყული. კი არ გტკივა და გაბეჩავებს, გიხარია და გეამაყება ის დიდი განსაცდელები, რომელთაც უფალი გიგზავნის საცხონებლად სულისა და სადიდებლად ღვთისა. ანი და ჰოე ხარ და გინდა, არც ტანჯვა დათმო და არც სიხარული. ამით ხარ სავსე და სრულყოფილი. ყველგან ხარ და ყველასთან. სიყვარული ხარ, რომელსაც „ყველაფერი გწამს, ყველაფერი გჯერა, არ გშურს, არ ყოყოჩობ, თავისას არ ეძიებ“.

ქართველი ხარ, გაბრწყინების მოლოდინში. განღმრთობისთვის ემზადები, თუმცა შენი არსება ადამიანური ბუნების საზღვრებში რჩება, ზეცაში ხარ. მიწაზე ზეცით ცხოვრობ, მარადიული საკვებით - სიმართლით, სიყვარულით იკვებები. ამ გრძნობითა და ფიქრებით

იწყება ქართველის ყოველი დღე ან უნდა იწყებოდეს და დილიდანვე გამზადებულია ზეცაში საფრენად, სადაც არ არსებობს დრო, სივრცე, სხეულის შეგრძნება.

მიუხედავად იმისა, რომ ღრუბლიანი დილა გათენდა, სულში ჩაუწვდომი სინათლე იყო და უძლეველი ძალა. დიდი ქართველი მგოსანი ზეციდან გვიხმობდა. სამასპინძლოდ ყველაფერს ზეციდან გვიგზავნიდა. ასეთი საზეიმო განწყობით ავიარეთ საჩხერის ქუჩები, სადაც დიდ მგოსანს, ვინ იცის, რამდენჯერ დაუდგამს ფეხი. ის წარუშლელი ნაფეხურები გაცოცხლებულ არსებად მომყვებოდა გზად და მეც ადამიანური აზროვნებით ვფიქრობდი აკაკი წერეთლის სახელმწიფო სახლ-მუზეუმში მყოფთა შეხვედრაზე. მუზეუმის კარი სტუმრებისთვის ფართოდ იყო გახსნილი. ვერ ვიტყვი, რომ მომეჩვენა, კარს იქით ახალი სამყარო იწყებოდა. კოხტად მოვლილი ეზო, აბიბინებული ლორთქო ბალახით, შიგ განთავსებული შენობა-ნაგებობებითა და სხვადასხვა ჯიშის ხით, ეზოში მოფუსფუსე ადამიანებით, ორი საუკუნის წინანდელი საქართველო იდგა ეზოში. უძველესი შენობები სულიერივით გვესაუბრებოდა და მადლით გვავსებდა ეზოში შეკრებილებს რომ ერთმანეთი გვეპოვა და სიყვარული გვეგრძნო ზეაწეული. „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“, ყოველ ნაბიჯზე ღაღადებს ქართული მიწა. ამ ეზოში ასეთ ცვრიან ბალახზე რამდენჯერ ურბენია პატარა აკაკის. შემდეგ უკვე ბრძენკაცს, თავის სამშობლოსა და ქართველებზე ღრმად ჩაფიქრებულს, რამდენჯერ უოცნებია ამ ადგილებში. ახლა ჩვენც იმ მიწაზე მივაბიჯებთ და დიდი მგოსნის ნაფეხურებს მივუყვებით. საოცარი თანხვედრა იყო, წუთი არ დაკარგულა უქმად. სტუმრები და მასპინძლები ერთად შევედით ეზოში, სადაც მუზეუმის თანამშრომლები გველოდებოდნენ. სახლ-მუზეუმის დირექტორი, ბატონი ცეზარი თავის თანამშრომლებთან ერთად, მოწვეული სტუმრები, გაზეთ „მოდინახეს“ ჟურნალისტი ქალბატონი მაკა შუკაკიძე..... ასწლოვანი ხეები დიდი მგოსნის ცხოვრებაზე გვიყვებოდა. ბედნიერი იყო ის დღე, ყველას გულში სამოთხის სუნთქვა იგრძნობოდა. მგოსანი თავისი ლექსებით გვლოცავდა. მერე აკაკის ცრემლების წვიმა წამოვიდა ციდან, ცრემლები სიხარულისა, თითქოს შეგვაფხიზლა და მუზეუმის პირველ სართულზე შეგვკრიბა ყველანი, სადაც აკადემიკოს-პოეტთა პოეზიის საღამო მოკძალებული სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა ქალბატონმა გულნაზმა. ასეთი მადლმოსილი დღეების ქაღალდის ფურცლებზე აღწერა შუძლებელია, მაგრამ ადამიანთა გულში გრძნობებთან ერთად დაწერილი სამუდამოდ ინახება და ყოველი გახსენება სიცოცხლის ძალას გმატებს. სიამის წუთებს გჩუქნის, ცხოვრებას გიიოლებს, მარადიულ ნეტარებაში დამკვიდრების იმედს გაძლევს. მარტო მე არ განმიცდია იმ დღეს სამოთხისებური განწყობა, ეს ყველას ეტყობოდა - ლექსით, სიტყვით, სიმღერით, დუმილით, ცრემლით, ღიმილით სტუმრებისათვის გაშლილ სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელოებით. გახსნილიყო ზეცა, შემოქმედი პოეტები ცისა და მიწის შემოქმედს ლექსებით ესაუბრებოდნენ. სულის ზეიმი იყო. პოეტების კახა ბაციკიძის, სერგი ლომაძის ლექსი და სიმღერა ახალისებდა დარბაზს. ბატონ გიორგი ზუხბაიას დუმილით ნათქვამი სიტყვა იყო გვირგვინი იმ საღამოსი. გაოცებულნი დავრჩით იმ დღის მადლით, თითქოს წმინდანები ვიყავით ყველანი და დუმილით ნათქვამი სიტყვის მოსმენით, მქუხარე ტაშით, მეცხრე ცაზე დავაბიჯეთ ფეხი. ბატონ შალვა ილურიძის სიმღერა ისეთი აღმაფრენით იყო გაჟღერებული, კოსმოსშიც კი მოისმენდნენ. უფრო ხშირად წკრიალებდა ქალბატონის ფანდური და გულში ყველა ღიღინებდა „სულიკოს“. ზესტაფონელი ქალბატონის საჩხერელი საყვარელი შვილის ბაჩანა ჩაბრაძის დედის სიტყვა საფრანგეთში მცხოვრები საქართველოს დიდი გულშემატკივრის, 21 წლის უკვე დიდი კაცისა და საამაყო შვილის ლექსებით იყო გაჯერებული. პოეტის დედა სიხარულით კითხულობდა მხოლოდშობილი ობოლი შვილის ლექსებს. შთამბეჭდავი იყო აკადემიკოს ქალბატონის ლამზირა შეყილაძის სიტყვა. ზეცის თავანებამდე ასული თავმდაბლობა, მოკრძალება, ყველასათვის შესამჩნევი ერის

სათაყვანებელი ქალის სახე. სახლ-მუზეუმის დირექტორის, ბატონ ცეზარ ლაშხის სიტყვით გამოსვლამდე, ერთ დროს რაიონში პირველი კაცი იყოო, დანანებით გაიჟღერა. მაგრამ ასე კარგად დიდადამიანობა და კაიკაცობა სად გამოჩნდებოდა, როგორც ამ ლამაზ დარბაზში, სულმნათი აკაკის გვერდით, აკადემიკოსთა შორის. საჩხერის ერთ დროს პირველი კაცი ახლა უფრო დიდი ტიტულითა და სიბრძნით შეთეთრებული თმებით, ღმერთთან და ადამიანებთან მოსაუბრე, ამჯერად აკადემიკოსი, ბატონი ცეზარ ლაშხი, გულუხვად მასპინძლობდა დარბაზს და ყველას სიყვარულით გვისმენდა. აქვე ფუსფუსებდა ამაგდარი ქალბატონი, სამუზეუმო ნივთების დამცველი, იმედის გმირი კლარა მაჭარაშვილი. საჩხერის მკვიდრი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სატაძრო მედიცინის განყოფილების ხელმძღვანელი, სახალხო მკურნალი, აკადემიკოსი ქალბატონი ნაილი ხეთერელი, რომლის ხელოვნება ადამიანის სულიერ და ხორციელ გაჯანსაღებას ემსახურება. თამამად შემიძლია ვთქვა, მისი დამზადებული წამლებით ყველა დაავადების დამარცხება შეიძლება. უამრავ იმ დიდ ღირსებასთან ერთად, რაც ამ დიდებულ ქალბატონს აქვს, უპირველესია, რომ იგი ადამიანთა ჭეშმარიტი მკურნალია. მინდა, ყველა სათითაოდ ჩამოვთვალო, ყველას სამადლობელი სიტყვა ვუთხრა მობრძანებისათვის, საზეიმო საღამოზე მონაწილეობის, მოსმენისა და მასპინძლობისათვის, მაგრამ აქ როდის მთავრდება დღესასწაული, მიღმიერ სამყაროში გადასული სულები ჩვენს გარშემო ტრიალებენ და დღესასწაულის გაგრძელება მათით იწყება. ამით იყო იმდღევანდელი დღის სიამოვნება განპირობებული. ერთ განზომილებაში ვიყავით იმქვეყნიურნი და ამქვეყნიურნი. სრულიად ახალგაზრდა ასაკში წასული ბატონების ჯუმბერ ხარაიშვილის, ცეზარ ლაშხის, გულნაზ ხარაიშვილის შვილები ისხდნენ დიდი მგოსნის მოხმობით ჩვენთან და იყო სულის ზეიმი. ნამდვილი ზეიმი იყო სულისა, რომელიც აკაკის შემოქმედებითი ხელოვნებით მრავალჯერ ღამენათევ აკაკისეულ ხის ძველებურ ოთახში სტუმარ-მასპინძლობის ქართული ტრადიციების ჩვეული წესით დაგვირგვინდა გემრიელი საჭმელებითა და საუკეთესო ღვინოებით. ქართული სუფრა დიდი აკადემიაა და თამადაც ხომ აკადემიკოსი გვყავდა, აკადემიური სადღეგრძელოებით.

ვმადლობ საჩხერელ ქალბატონს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, პოეტს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს ასეთი მუხლჩაუხრელი, დაუღალავი და შემოქმედებითი მუშაობისათვის. გმადლობ, დაუვიწყარ მოგონებად რომ ჩამაწერინეთ ეს დღე ჩემი დღიურის ფურცლებზე.

შორენა ზახუტაშვილი

EMIGRANT

Emigrant! What does it mean? Of course everybody knows that it means a person who left native country to settle in another. But not everybody can feel what emigrant feels.This feeling is; missing your country,your people,your family.thinking about them everyday, everynight,every moment and everywhere. but I think more main is missing your country.In another country, you can have your partner, your children,parents,house,car,money and everything whatever you wish,but you can´t have your country with you,the place where you were born and grew,where you saw and learnt everything first time,these things never disappear from your memory.

my friend, Irma Mamisashvili told me about her… she said that, first she came to Spain with her husband,she left her own children in Georgia.She was missing her children too much and she was dreaming to have her children with her soon.And one day she realized her desire.She brought her children to Spain and she was feeling very happy.But after a little time,suddenly she felt that her life was missing something,this was her country, Georgia!

Georgia!!! Georgians!!!

Exactly! here I am,what I want to say,these are Georgians who miss their country more than other foreigners.Not all other emigrants feel missing their country,this is only Georgians who love Georgia.. saqartvelo.

Georgians everytime like to speak about Georgian culture and tradicions,and they always note with proud that they are from Georgia.

For example,it was me myself,l have a chance to tell this story.After 3 years being in Spain,I was coming back to Georgia,to see my family and country.On the way i needed to change a plane in Turkey,so I was sitting and waiting for the time to open the gate to Georgia.There gathered too many Georgians coming from different countries.One woman sat down front of me but a little bit aside watching to my face.She was coming from America.All Georgians started talking between each other.the woman who was coming from America told about herself…

It was 16 years she has not been in Georgia.Everybody outraged with a greif.People arounded her and gave many questions: why not,what happened etc.the answers were worse to listen, she went on..she said that she needed to send money for her father to buy some medicins for 10 years,but unfortunately her father died 2 years ego,and now she is coming back to Georgia but she cannot see her father.she said many sadly moments from her life.All her story was painful for everybody.During all this time I was sitting silently,listening to her story and thinking painfully,deeply sorry forward this woman,I don’t know her name but I never forget her face.Suddenly somebody asked me something and when I answered,the woman looked at me surprisely,oh! Are you Georgian? She replied.I looked at her and said slowly and sadly: yes, I am! At this moment I wanted to say the word unfortunately,because of her sad story,but I kept this word inside me and said proudly yes I am Georgian!

KEEP GEORGIAN SPIRIT!!!

In Georgia nobody cares about this,because there is a wide choice, which school the parents take their children to,or which church they go to.But here in Madrid the conditions are different for this.I'd like to introduce the situation about Georgian church and school.Both together because the school works by church support.

St. George church was founded in 2011,by peoples request,with the help of Georgian Diaspora.It's head is Archimandrite Pirosi Gotsiridze.Prayer liturgy being held every weekend and some midweek days.The church has chanters.It works by peoples donations.The parishioners come more on major Christian holidays,than the other usuall days.Normally there are very few parishioners,so there donation is less too.When I say church, maybe many of you imagined the big,carved,with fresco and marbeled church.No! It is only a quite large room,furnished with some icons,candlestands and some other church required equipment,which was available to gathered by the church.One thing that still is unavailable is Legalization.

Some Georgian parishioners go to other Orthodox churches.Such as Greek and Russian church.These parishioners pray in these churches for years and so it does not turned out easy for them to change these terms.I myself have prayed in Greek,Russian and Georgian churches,but most of I go to Georgian church.But all this doesn't have any importance where you pray;in a small room,in a marbled church or in any other place,important is to pray with heart and faith, Becouse God is everywhere. ,, The essence of God! Essence and be!''

What about the Georgian kids.For them Georgian school bell rings only Sunday.I am introducing, how they get Georgian aducation.The school named ,,Aisi'' was founded few monthes later from the foundation of the church,By support of the church.It's founder is Ms Tamari Chaduneli-Metreveli,current director of the school.The school is inside the church in a tiny room.It has around 15 pupils.They are from 3 untill 12 years old.The school has only 3 teachers.One herself Ms Tamari,teacher Tsira Melqadze and teacher Tea Qurkhuli.The subjects are taught such as Georgian Language and Literature,History,Geography and fundamentals of the History of Religion.The school works by the parent's support.For many parents it is difficult to bring their children in this school,because of many kind of reason;living far,working or any other things. These teachers don't have any wages from this school,but despite of this they are very glad and satisfied of their labor and merit.They think that by this way they save and keep Georgian childrens' spirit.But initially they save their soul.As here in foreign country they are remoted their profession.The school has Autumn,New Year's Eve and The year conclusion events.The children present Georgian folk dance,song and other Georgian traditional parties.Children's most favorite event is Autumn,because here they present the delicious process ,,make churchxela'' this moment for everybody is very lovely and funny,and children are proud,as though this process exists only in georgia and not in any other countries.

The parents are happier with this small school,because Sunday day their children can get Georgian aducation,to attend at Prayer liturgy,get blessed and partake uncover the secret as well.This is a really big mercy in foreign country.

ნიკო ხერკელაძე

„ქარჩოხთან დადენილი ცრემლები“

კარგად მახსოვს, ექვსი-შვიდი წლისა ვიქნებოდი, დიდედამ, მამის დედამ, ნინო ქენქაძემ, ქსნის ხეობაში, თავის სამშობლო მხარეში, სოფ. „ქენქაანთ კარში“ წამიყვანა, სანათესაოს მოსანახულებლად.

სოფელ ლარგვისამდე პატარა ავტობუსით მივედით, შემდეგ კი ფეხით განვაგრძეთ გზა, დაღლილები წყაროსთან გავჩერდით და შევისვენეთ.

ვხედავთ, მგზავრი წამოგვეწია, ქალბატონი იყო, გზა მშვიდობისაო, - გვითხრა, ჩვენთან ახლოს გაჩერდა, შეისვენა, წყალი დალია და დაღლილმა სული მოითქვა, ბებომ ჰკითხა, რომელი სოფლიდან იყო. ქარჩოხიდან ვარო, - იყო ქალის პასუხი.

შემდეგ წამოდგა და გზის პირას ქვებს კოცნა დაუწყო, ხელს უსვამდა ნაცრისფერ ლოდებს, - როგორ დაგივიწყეთ ჩემო ქსნის კლდიანებოო! დადიანურავ და ცხრაძმიხევოო!

შემდეგ ერთ დიდ ლოდს ხელები ნაზად შემოხვია, ზედ თავი ნაზად დაადო და ცრემლები გადმოსცვივდა. ქალი გულდათუთქული ტიროდა.

მე გაკვირვებულმა ბებოს ვკითხე თუ რა იყო მიზეზი ამ ქალის ცრემლებისა. ბებომ ამიხსნა, რომ ეს ქალი დიდი ხანია არ სწვევია სამშობლოს, ბავშვობის დროინდელ ხსოვნად შერჩენილ ადგილებს, ამ ჭალებსა და წყლებსო. სიზმარშიაც ესიზმრებოდაო, მონატრებას ვეღარ გაუძლო და სანახავად ჩამოსულაო. ასე ამიხსნა ბებომ ქალის ცრემლების მიზეზი.

ამ ამბის მოსმენის შემდეგ აღარავის გაუკვირდება, თუ როგორი სიყვარულით ზრდიდნენ ქართველი დედები შვილებს სამშობლოსათვის, რომ ქართული მიწა-წყალი მტრებისგან დაეცვათ. ასე იყო 1625 წლის ქარჩოხის ომშიც, სადაც ქსნელმა მეომრებმა, გიორგი სააკაძესთან ერთად, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და მოძალადენი სასტიკად დაამარცხეს.

რუხი მგლის ოინები

ბუნებაში სიარული ჩემთვის, მუდამ სახალისო მოვლენა იყო. დავდიოდი ადამიანთა ფეხდაუდგამ ადგილებში, ვიცოდი მგლის სოროები და დათვის ბუნაგები, სადაც ცხოველების სუნი დიდხანს იგრძნობოდა. როდესაც რომელიმე სოროსთან გავივლიდი, ისე მქონდა განვითარებული ყნოსვა, რომ ამ სოროში, მგელმა გაატარა ზამთარი თუ მელამ უშეცდომოდ ვგრძნობდი. და, გაგიმხელთ, მგლის სუნი მეტი სიმძაფრით გამოირჩევა.

სექტემბერი იდგა, სამხატვრო აკადემიაში არდადეგები იყო. მოვამზადე ზურგჩანთა, ჩავაწყე ვაშლი, პური, ნიორი და პატარა ბოთლით არაყი, შემოვირტყი პატრონტაჟი, გადა-

ვიკიდე თოფი და დილით ადრე, ძაღლის გარეშე, გავუდექი გზას. ავიარე მთავარანგელოზის ხატი, კოდის წყალი, ტალიანთ ახო, ჩიე კლდის მიდამოები, გუდაწვერის მთებისა და ჩადუნანის ველებისკენ გავემართე. ეშმაკის კლდეს რომ მივუახლოვდი, დაღლა ვიგრძენი, მზეც საშუადღეოზე იყო და შესვენება გადავწყვიტე. იქვე ახლოს, პატარა ხევში, წყაროც მორაკრაკებდა, მოვიხსენი ზურგჩანთა, წყალი პეშვით დავლიე და წახემსება დავიწყე. ქვემოთ დავაკება ჩადიოდა, ტყის პირამდის, მეტად ვაკე ადგილზე, საზაფხულო ბაკები იყო გამართული, რაც მეტი სიმწვანით გამოირჩეოდა, შიგნით ოთხი ცხენი დამშვიდებული ძოვდა ბალახს, მე მოვრჩი დანაყრებას, წასასვლელად მოვემზადე, თვალი ისევ ქვემოთ, ცხენებისაკენ, გამექცა. სულ მცირე ხანში ტყიდან ძაღლი გამოვიდა, ბაკს მიუახლოვდა, გარს შემოუარა, და შემდეგ გორაობა დაიწყო. მე ვფიქრობდი, ალბათ, პატრონიც მალე გამოჩნდება-მეთქი, ძაღლმა ისკუპა ღობის შიგნით, ჩახტა და იქაც გორაობა გააგრძელა, ცხენები შეცბნენ, ბალახის ძოვა შეწყვიტეს, ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ ბალახზე გორაობით გართულ ძაღლს.

ეს ძაღლი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ მასაც მოენატრა თავისი პატრონის ცხენები, და ეს გრძნობა როგორ გამოეხატა, აღარ იცოდა.

იმ ცხენებიდან შედარებით ახალგაზრდამ, ძაღლთან მიახლოვება დაიწყო, თან თავს იქნევდა და ხვიხვინებდა, ძაღლთან სულ ახლოს მივიდა, მანაც შეახო თათები, შემდეგ გაირინდა, მალევე წამოხტა, ღობეზე გადახტა და ტყისკენ დაეშვა. ჩემიდან ბაკებამდის დაახლოვებით 400 მეტრი იყო. ცოტა დავეჭვდი, მაგრამ ძაღლი დამაჯერებლად იქცეოდა. ტყისაკენ დაეშვა. ვფიქრობდი, რომ პატრონს შეხვდება და ცხენების ნახვას ახარებს-მეთქი. მეეჭვებოდა ძაღლის მოწითალო, მორუხო ფერი, წასვლა მინდოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა ამის საშუალებას არ მაძლევდა.

დაახლოვებით ნახევარი საათის შემდეგ ძაღლი ისევ გამოჩნდა, ცოტა დამძიმებით ამოვიდა ტყიდან.

ძაღლი ჩვეული ხალისით მივიდა ბაკთან, ისევ გარს შემოუარა და საიდანაც თავიდან გადახტა, იმავე ადგილიდან ჩახტა., ისევ დაიწყო გორაობა, თან ცხენებისაკენ ნელა მიიწევდა. იმ ახალგაზრდა ცხენმა ისევ ვერ დაძლია ცნობისმოყვარეობა, მივიდა ხვიხვინით ძაღლთან და ისევ ყნოსვა დააპირა, ისევე განზე გახტა და ხვიხვინით დაიწყო სირბილი. მე ეჭვი გამიძლიერდა, რატომ სჭირდებოდა ძაღლს ამდენი თვალთმაქცობა. ავიღე თოფი, ჩანთა და ნელა, შეუმჩნევლად დავიწყე ბაკთან მიახლოვება, რომ მანძილი შემემცირებინა. ცხენმა ძაღლთან მისვლა უფრო გაბედულად სცადა, სცადა და დაყნოსა კიდევაც, ერთიც და სწრაფად ჩააფრინდა კბილებით ცხენს ცხვირპირში.

სხვა ცხენებმა ბაკი გაანგრიეს და გავარდნენ გარეთ, ეს ცხენი ადგილზე ტრიალებდა, სიმძიმისაგან გაქცევას ვერ ახერხებდა, თან ცხვირპირიდან სისხლი ჩამოსდიოდა. მე სწრაფად მივუახლოვდი ბაკს, მოხერხებული დრო შევარჩიე და ვესროლე ჟაკანი. მგელი ამას არ ელოდა, ერთი შემომხედა და გაქცევა სცადა. შეხტა ბაკის ღობეზე, მაგრამ უკან ჩამოვარდა და მოკვდა. ფეხებში ჩავჭიდე ხელები და გარეთ გამოვათრიე, გავატყავე, მუცელი გაბერილი ჰქონდა. მგლის სიხარბე ცნობილია, მაგრამ თუ ნაჭამი იყო, ცხენს როგორდა შეჭამდა და დამაინტერესა. მგელი გავჭერი მუცელზე და რას ვხედავ, კუჭი სავსე ჰქონდა თიხამიწით. გამახსენდა, გამოცდილი მონადირესაგან ვიცოდი, მგელმა ცხენი რომ დაიმორჩილოს, ასეთ ხერხს მიმართავს: ამოივსებს კუჭს მიწით, რომ დამძიმდეს, შემდეგ ცდი-

ლობს, მსხვერპლს ცხვირპირში ჩააფრინდეს, დაღალოს, გაგუდოს და მოკლას. შემდეგ ნაჭამ მიწას კუჭიდან უკან ამოიღებს და მშვიდად შეექცევა მსხვერპლს.

ლომისის ნიში

1987 წელი იდგა, წყალუხვი, დიდთოვლიანი. წელს მეწყერმა დიდი ზარალი მიაყენა დასავლეთ საქართველოს. სტიქიამ არც აღმოსავლეთ საქართველო დაინდო, მაღალი მთებიდან მოვარდნილმა ღვარცოფებმა მდინარეების კალაპოტები გადაკეტა. საქართველოს მოსახლეობამ დიდად იზარალა.

იმ პერიოდში ყაზბეგის რაიონის სოფ. სნოში მივდიოდით ავტობუსით, შემოდგომა იყო, ბუნება ფარდაგივით აფერადებულიყო.

სნოს გადასახვევს რომ გავცდით, აქამდე ჩუმად მყოფი მგზავრები ახმაურდნენ, მძღოლს სთხოვეს - ავტობუსი გაეჩერებინა. სასწაული მოვლენის მომსწრენი გავხდით, ავტობუსიდან ჩამოსული ხალხი, თავდახრილნი, მდუმარედ, პირჯვრის გამოსახვითა და განცვიფრებული თვალებით შესცქეროდნენ ლომისის ნიშას.

ჩვენს თვალწინ იყო, აშკარა, რეალური საოცრება, მაღალი მთებიდან წამოსული ღვარცოფი ნიშთან მიახლოვებისას, ასე 30 მეტრი მანძილიდან, ორად გაყოფილა ისე, რომ ერთი კენჭიც კი არ შეხებია სალოცავს, მოუქცევია შუაში, შემდეგ გასცდენია, ასე 50 მეტრის გავლის შემდეგ ღვარცოფი ისევ შეერთებულა, გადაუთელავს გზა და ხევში ჩაკარგულა. ჩვენ წინ საოცრებას დაესადგურებინა, რწმენაგულგრილთაც კი ზეცისაკენ აღეპყროთ თვალი, ნიშის ირგვლივ უამრავი ქვა და ღორღი იყო დაგროვილი, ცოტა მოშორებით, ვაკეზე 30-იოდე ცხვარი ბალახს ძოვდა. ლომისის თეთრი ნიში, მასზე აღმართული თეთრი ჯვრით, თეთრი მარგალიტივით ქათქათებდა მწვანე მოლზე. იქვე ახლოს თეთრი ხუჭუჭა ბატკანი ნაზად წიწკნიდა ბალახს, ჩვენი იქ ყოფნის დროს მივიდა და ნიშის გვერდით დაწვა. ცოტა მოშორებით ქუდმოხდილი მწყემსი იდგა, მეორე პატარა ბატკანი ხელში ეჭირა. მგზავრებმა ნიშში ადრე ანანთები სანთლები ხელახლა აანთეს. შემოდგომა გრილად საღამოვდებოდა, ქარისაგან მოტანილი არყის ხის ყვითელი ფოთლები ციური წერილებივით სალოცავს გარს დაჰფარფატებდნენ. სანამ კარგად არ შეღამდა, ავტობუსი და სახლი არავის გახსენებია.

მგზავრთა მსჯელობა ასეთი იყო: როგორი დაუსაბამო და უსასრულოა ეს სამყარო, ღამით ლურჯ სივრცეში რამდენი ვარსკვლავია, რა მანძილია ვარსკვლავებს შორის, თითოეული ვარსკვლავი რამდენჯერ დიდია მზეზე, მზე კი რამდენჯერ დიდია დედამიწაზე.

ჰო, ეგრეა, ეგრე, კოსმოსიდან დედამიწა წერტილივითა ჩანსო, მაღალი ღმერთისაგან, რა ზღვა მადლს ატარებს ეს წერტილივით პატარა დედამიწა, რომ მაცხოვარი იესო ქრისტე სწორედ დედამიწაზე მოევლინა ამ სამყაროსო.

მზე კი ღმერთისთვალია, რომელიც სითბოსა და სიყვარულს თანაბრად უნაწილებს, დედამიწაზე, ადამიანების თამადობით, ყველა სულიერ თუ უსულო არსებებსა და საგნებსო.

აკვანი მიტოვებულ სოფელში

სოფელი ულდა რუხ ნისლისფერმა წყვდიადმა მოიცვა. ფერწერაში მუშაობით გართულმა ძლივსღა შევნიშნე, მზე რომ ჩასასვლელად გადაიხარა, დავკეცე მოლბერტი, თოფიც მხარზე გადავიკიდე და სოფლისაკენ გავემართე, ვფიქრობდი, აყეფდებოდნენ ძაღლები, ბალღებიც ჟრიამულით შემხვდებოდნენ, მაგრამ არსაიდან ხმა - არსით ძახილი, ირგვლივ მდუმარება გამეფებულიყო. განმარტოებით მდგარ სახლთან გავჩერდი, რომელსაც კედლები დაბზარვოდა. ჩემთან ახლოს, თოვლის ქათქათა სარეცელზე, გაქცეული შაშვის ფეხი ეხატა. სახლის მარცხენა მხარეს, კედელში, დიდი ხნით ცეცხლდაუნთებელი, მოწყენილი ბუხარი ჩანდა. მის ზემოთ ძველ ფიცრებზე აკვანი იდგა, ოდნავ გადახრილი, ზედ ძველი ფარდაგი ეფინა.

ახლოს მივედი, აკვანში ბოლოწითელას ბუდე გაეკეთებინა. რა სიმბოლურია, მტვრიან აკვანში, ბავშვის მაგიერ, ფრინველის ბარტყები დაზრდილიყვნენ. აკვნის ქვემოდან თაგვი გამოძვრა, ცნობისმოყვარეობით დამიწყო დაპწკვენილი თვალებით ყურება, არ შეშინებია, როგორც ჩანს, ადამიანებთან სიახლოვე თაგვისთვისაც სანატრელი გამხდარიყო.

კედელში დაბალი ფანჯარა იყო, იქიდან შემაღლებულ გორაზე სასაფლაო ჩანდა. სახლიდან გამოვედი და იქით გავწიე.

საფლავის რუხ ქვებს თოვლის სითეთრე ქუდებად ეხურათ. ერთ ქვაზე, შუაში, ნაბდიანი კაცი იყო გამოსახული, მის მარჯვნივ ხარი, მარცხნივ ჭედილა, მეორე ქვაზე ცხენთან მდგომი კაცი, ხმლით ხელში. იქ სიჩუმე იყო ისეთი, ტანში გაგცრიდა.

სოფელში ლხინიც ბევრი იყო და ჭირიცა, მაგრამ სიცოცხლეს წუთისოფელი დარქმევია, აქ მიწადქცეულმა ადამიანებმა, ყველამ თავის კონკრეტულ დროში იარსებეს. „იკარგქალეს“ და „იკარგკაცეს“, ჩამოგალეს თავიანთი წილი სამზეო, გულზე დაიკრიფეს ჯაფით დაქანცული კოჟრიანი ხელები და წავიდნენ, აბა რას იზამდნენ, ცას ხომ არ გამოეკერებოდნენ. წავიდნენ მათზე ადრე წასულ წინაპრებთან. იმათთანაც ხომ კავშირია საჭირო და აქ კი დარჩნენ თავიანთ შვილებში და შვილიშვილებში.

სევდის ბურუსში ვიყავი გახვეული, თვალი ისევ განაპირა სახლისაკენ გამექცა და გავშეშდი.

სოფელში ადამიანის ხსენება არ იყო და მათ მაგიერ ქარი ცარიელ აკვანს არწევდა.

მგლები მთვარიან ღამეში

ერთი საღამო მინდა გავიხსენო, რომელიც ბავშვობიდან ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. ეს იყო განწირული კაცის ყვირილი, ძაღლების გაავებული ყეფა, თოფების გრიალი.

ეს ამბავი ასე დაიწყო:

ზამთარი იდგა, ერთი ჩემი ბიძაშვილი, ჯიჯა, მისი ნამდვილი სახელი არავინ იცოდა, სტუმრად იყო ქვემო სოფელ ალვერში, კარგად შეზარხოშებული, დაემშვიდობა მასპინძელს და დაადგა გზას თავისი სოფლისაკენ. შუა გზა რომ ამოუვლია, შეუსვენია, იმ ადგილს ჭაჭელაურთა ჰქვია, სადაც ვაკე, გაშლილი ადგილებია. მთვარიანი ღამე ყოფილა, როგორც ჩანს, თეთრ თოვლზე ცოცხალი არსების მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

სმენად ქცეულ ჯიჯას გაღმა ტყიანი მთიდან მგლების ყმუილი მოესმა, შეშინებულს ფეხი აუჩქარებია, სოფლამდის დიდი მანძილიც აღარ იყო დარჩენილი. ეს გზა სადაც ამოდის, ჩვენი ბაღის ღობე ესაზღვრება, როგორც კი მოახლოვებულა ჯიჯა ღობეებთან, თოვლის ხრაშა-ხრუში მოესმა, მიატრიალა თავი და რას ხედავს, ხუთი მგელი მოსდევს კვალში.

იღბალზე ჯიჯა ღობესთან ახლო იყო. როგორც კი შეხტა ღობეზე, მგელმაც ჩაავლო ჩექმის ქუსლზე კბილები.

ჯიჯა ღობის შიგნით გადმოვარდა, ჩექმიანი ფეხი მგელს ეჭირა, მოისმა ყვირილი მიშველეთ, მიშველეთო. ჩვენ, ბავშვებს, გვეძინა, ყვირილზე ორი ბიძაშვილი სწრაფად გავარდა მისაშველებლად. საოცარი სანახაობა დადგა, სატირალიც და სასაცილოც ერთდროულად. ჯიჯას ჩექმაზე კბილებით ჩაფრენილი მგლები ღობის გარეთ ექაჩებოდნენ, ეს ორი კაცი კი ღობის შიგნით. სანამ სხვა მეზობლებმა ძაღლები არ აუშვეს და თოფები არ გაისროლეს, მგლები თავს არ ანებებდნენ საწყალ ჯიჯას. შემდეგ ამ კაცმა როცა მგლებისაგან დაზიანებული ფეხი მოირჩინა, თავისი გადამრჩენი ჩექმა მართულით თუთაზე ჩამოკიდა თვალსაჩინოებისთვის და გამვლელ-გამომვლელს უყვებოდა თავის თავგადასავალს.

მზევინარის ქვა

რასაც ახლა გიამბობთ, ჩვენს მეზობელ სოფელში მოხდა, და აქვე უნდა აღვნიშნო, მთის მოსახლეობის ახალგაზრდები ურთიერთსასიყვარულო განცდებს იშვიათად გამოხატავენ, უსიყვარულო ქორწინებას კი არაფრით არ შექმნიან.

ამ სოფელში სილამაზით ცნობილი მზევინარი და ერთერთ ოჯახში ნაშვილები თუში ზაქრო ცხოვრობდა. მათ ერთმანეთი უყვარდათ და მალულად შეხვედრებსაც ახერხებდნენ.

ერთერთი შეხვედრის დროს, წვიმიან ღამეს, ზაქროს მზევინარი სახლთან ახლოს, სადაც დიდი თეთრი ქვა იყო, იქამდის მიუცილებია და შემდეგ თავის სახლში წასულა.

მეორე დილით, სველ მიწაზე, თეთრ ქვასთან, მზევინარს ზაქროს ნაფეხურების კვალი შეუმჩნევია. შეყვარებულ ქალს თავისი გულისწორის ნაკვალევი ბრტყელი ქვებით შემოუღობავს, ზემოდანაც დიდი ბრტყელი ქვა დაუფარავს და თიხა-კირით გაულესავს, სველი მიწა რომ გაშრებოდა, ფეხის დანადგამი გამხმარი დარჩებოდა. მალე სამამულო ომი დაწყებულა, ზაქრო, სხვა ახალგაზრდებთან ერთად, ომში წაუყვანიათ.

დანაღვლიანებული მზევინარი იჯდა იმ თეთრ ქვაზე, ზაქროს ნაფეხურებთან, ხან წინდებსა ქსოვდა, ხან ლექსებსა წერდა.

ზაქრო ომიდან ვერ დაბრუნებულა, მზევინარისთვის ნაღვლიანად მიდიოდა დრო, არ გათხოვილა, იჯდა იმ თეთრ ქვაზე და თავის ზაქროს ელოდებოდ. თანასოფლელებს ბევრჯერ უნახავთ მზევინარი იმ თეთრ ქვასთან ჩაძინებული. მზევინარს დიდხანს უცოცხლია, ღრმადმოხუცებულს თავისი ბიძაშვილებისთვის ანდერძად დაუტოვებია, როცა სულს უფალს მივაბარებ, ამ ქვასთან, ზაქროს ნაფეხურებთან, დამკრძალეთო, ბიძაშვილებს შეუსრულებიათ მზევინარის თხოვნა. ეს დიდი თეთრი ქვა და მზევინარის საფლავი დღესაც არის. იმ სოფელში აღარავინ ცხოვრობს. კეთილ ადამიანებს ამ ქვაზე ნიში ამოუკვეთავთ, ორი კრამიტით სახურავი გაუკეთებიათ, შიგ მუდმივად დგას ლამაზად მოქარგული არყის ბოთლი და ალუმინის ჭიქა, გამვლელ-გამომვლელნი სანთელს ანთებენ და მზევინარისა და ზაქროს შესანდობარს ამბობენ.

თურმე, სიყვარულიც გამორჩეულთა ხვედრია. დღესაც იმ ქვას მზევინარის ქვას ეძახიან.

ერთხელ სახატავად წასულმა ამ სოფელში გამოვიარე, ხშირად მსმენოდა ამ ქვის შესახებ, რომ მივუახლოვდი, ქვასთან მოხუცი ქალი იჯდა, გამარჯობა ბაბო, გაგიმარჯოსო შვილო, და ნაღვლიანი თვალებით შემომხედა, ერთი თვეა ადამიანის ხმა არ გამიგონიაო, ბევრი ვისაუბრეთ, ბოლოს მარო ბაბომ თქვა, მე პატარა გოგო ვიყავი, მზევინარი რომ გარდაიცვალაო. მისი დაკრძალვიდან ორმოცი რომ გავიდა, ამ ქვის ახლოს, პატარა წყარო გაჩნდაო, აი, ხომ ხედავ კიდევაც, ქვიშიან ნაკვალევსო. რამდენჯერ დამილევია, სოფელი რომ დაიცალა, ეს წყაროც გაიბუტა და დაიკარგაო. ვინ იცის, თურმე, წყაროსაც გაბუტვა სცოდნია.

კვიცმა დედის ხმა იცნო

1971-1977 წლებში ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი, სადიპლომო თემაზე მუშაობა რომ მომიწია, გადავწყვიტე მომენახულებინა საქართველოს მთიანი მხარე, სადაც მხატვრებისათვის ძალზედ საინტერესო მასალაა ძველი ციხე-კოშკების და მრავალი ლეგენდების სახით.

შევიკრიბეთ სადიპლომო თემაზე მომუშავე 7 სტუდენტი და გადავწყვიტეთ, ხევსურეთში და თუშეთში გამგზავრება.

მოვემზადეთ ყველა საჭირო ნივთებით, საკვებით, საძილე ტომრებით, სახატავი ალბომებით, ეტიუდნიკებით, სამხატვრო აკადემიამ ჩვენი გეგმა საჭირო თანხით და ავტობუსით უზრუნველყო.

ბარისახომდე ავტობუსით მივედით, დანარჩენი გზა ფეხით უნდა გვევლო, პირაქეთა ხევსურეთში, ყველა სოფელში ვჩერდებოდით და ეტიუდებსა და ჩანახატებს ვასრულებდით, ერთი თვე ჩვენს ხელთ იყო და ვცდილობდით შედეგიანად გამოგვეყენებინა ეს დრო.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პირიქითა ხევსურეთის, შატილისა და მუცოს ნახვამ. მუცოს აკლდამებმა გული აგვიჩუყა, დიდი ხნის წინ ხევსურეთში შავი ჭირი გაჩენილა, სოფლიდან მოშორებით, ასეთი ავადმყოფებისთვის სპეციალურად აშენებდნენ აკლდამებს, სადაც შედიოდნენ სნეული ადამიანები და სიცოცხლის ბოლო დღეებს იქ ატარებდნენ.

ერთი აკლდამა განსაკუთრებით იზიდავდა ხალხს. აკლდამაში აკვანი იდგა, ძველი ჭილობით, შიგ ბავშვის ჩონჩხი მუმიასებურად დარჩენილიყო, აკვნის სახელურზე გადაწოლილი იყო დედა, თავი ბავშვის თავთან ჰქონდა დადებული, ჩონჩხადქცეული ხელებით თავის შვილს ჩახუტებოდა; ასე გამხმარ-გაშეშებული დედა-შვილი გულისშემძვრელ სანახაობას წარმოადგენდა.

სიტყვადამშრალნი წამოვედით მუცოს აკლდამებიდან. მეორე დღეს ბორბალოს „პერევალზე“ უნდა გადავსულიყავით. თუშეთის ნახვა გვინდოდა, ის ღამე ბორბალოს გადასასვლელთან გავათენეთ, დილით ადრიანად გავიღვიძეთ და დავუყევით ციცაბო გზას.

კარგა მანძილი რომ ჩავედით, მეორე ხეობიდან თუში მწყემსები მოდიოდნენ, თხუთმეტიოდე ცხენით, უამრავი ბარგი ეკიდათ, ქვაბები, ნაბდები, უმეტესი ყველით სავსე ტომრები იყო.

გზა ვიწრო, კლდიანი, დაბლა თვალჩაუდწევი უფსკრულით. ჩვენ გავჩერდით, ბარგი მოვიხსენით და ჩამოვჯექით, რომ თუშებს დაუბრკოლებლივ გაევლოთ, შვიდიოდე ცხენი რომ გაგვცდა, ერთი ცხენის ტვირთი კლდის ნაპირს წამოედო, ცხენი შებარბაცდა, წინა ფეხებით მუხლებზე დაეცა, ტანით გზის იქით გადაიხარა, უკანა ფეხებით ცდილობდა წონასწორობის შეკავებას, პატრონს აღვირი მაგრად ეჭირა, ისიც მიწაზე დაწვა, მარცხენა ხელი უძრავ ქვას ჩაავლო, მარჯვენით და დაჭიმული აღვირით ცხენს აკავებდა.

სხვა მწყემსებიც მოცვივდნენ, ერთმა ფაფარში ჩაავლო ხელები, მეორემ წინა ფეხები დაუჭირა, იქნებ ამოეყვანათ, ცხენი გულსაკლავად ჭიხვინებდა, მისი ნალებიდან კლდეზე ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა.

ბოლოს, აღვირმა ვეღარ გაუძლო, გაწყდა, ცხენი უფსკრულისაკენ დაეშვა, მისი ჭიხვინი და ქვაბების ხრიალი ერთმანეთში აირია.

ცხენი, თურმე, დედალი ფაშატი ყოფილა, მას კვიციც ჰყოლია, რომელიც სხვა კვიცებთან ერთად ბოლოში მოდიოდა, კვიცმა დედის ჭიხვინი იცნო, ვხედავდით, როგორი გაშმაგებული მორბოდა, სხვა ცხენების ფეხებშუა ძვრებოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა.

მწყემსებმა მისი დაჭერა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ, კვიცი დედის ხმას უფსკრულში გადაჰყვა.

ზემოთ კიდევ ისმოდა დედა ცხენისა და მისი კვიცის განწირული ჭიხვინი.

პატრონი კოჟრიანი ხელებით ცრემლებს იწმენდდა.

ობოლი

ერთხელ სოფელ სნოში რელიგიურ დღესასწაულს ათენგენობას ვესწრებოდი, ჩანახატების გასაკეთებლად მომარჯვებული მქონდა ალბომი და ფანქარი. ნიშთან ხალხს მოეყარა თავი, შესაწირავად მოეყვანათ კურატები, ყოჩები, ზოგს ქადა-ნაზუქი ეკავა ხელში. დეკანოზი ამწყალობებდა. ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ ხალხი გამოეყო ნიშს და აბიბინებულ მწვანე მოლზე ყველა თავთავის სუფრის გაშლას შეუდგა.

გამოიკვეთა მშვენიერი სანახაობა, ამაღლებულ კლდიან გორაზე იდგა ნიში თეთრი ქათქათა ჯვრით. მის გვერდით ისევე თეთრი ხილაბანდით თავშეკრული დეკანოზი ვალოდა ფირანიშვილი, მის გარშემო საქონლის მოკვეთილი თავები, სისხლის ტბორები მწვანე ბალახზე მოლიცლიცე, მოელვარე.

ყვითლად ანთებულ სანთლების რკალში თეთრი ნიში მაცხოვარის კვართივით ანათებდა.

ნიშიდან ცოტა მოშორებით იდგა შვიდირვა წლის, გამხდარი, ფერმკრთალი გოგონა, ორივე ხელით ქადა ეჭირა, ზედ დადგმული ქაღალდჩამობმული არყის ბოთლით. მტირალი თვალები ზეცისაკენ ჰქონდა აპყრობილი, ცრემლები ჩამოსდიოდა და დროდადრო კაბის სახელოთი იმშრალებდა, არსად წასვლას არ აპირებდა, მისი ქადა-ნაზუქი დეკანოზისაგან ჯერ დაუმწყალობელი იყო. დეკანოზმა გოგონას გახედა, რატომ სტირი ბიძაის ქალო? - გოგონას ჰკითხა. „რადგან ობოლი ვარ, იმიტომ მომიტოვე ბოლოსო“, დეკანოზი გოგონასთან მივიდა, ნაზად მოხვია ხელი და ნიშთან მიიყვანა, ხალხს გადასძახა, - სმენა იყოსო და ობოლი გოგონა განსაკუთრებული ხმით დალოცა.

ობოლი ფეხსაცმელი

მინდა გავიხსენო დაწყებით სკოლაში სწავლის დრო, როცა ადიდებულ მდინარეს ძლივს გადავურჩი.

ეს ამბავი კი ასე მოხდა, გაზაფხული იდგა, აპრილის თვე, წვიმიანი და თქეშიანი, მე და ჩემი ბიძაშვილი გოგონა მოვემზადეთ, დილით სკოლის ბილიკისაკენ დავეშვით. 4 წლიანი სკოლა ქვემო სოფელ ალვერში იყო გახსნილი. ჩვენს სოფელსა და ქვემო სოფელს შორის მდინარე ალეურა მოედინება, რაც შემდეგ მდინარე ქსანს მარცხენა მხრიდან უერთდება.

მდინარე ალეურა ხშირი წვიმებისაგან ადიდებულიყო, მასზე ხიდი იყო გადებული, ორი გრძელი ხით და დაწნული ლასტით. ხიდთან რომ მივედით, შევცბით, მდინარე მღვრიე ტალღებს მოაგორებდა, ვხედავდით წყალი ხიდის ქვეშ კი გადიოდა, მაგრამ დროდადრო ხიდის ზემოთაც გადადიოდა.

რა გვექნა, ამხელა გზა გამოვიარეთ და უკან როგორ გავბრუნებულიყავით, თანაც სკოლა უკვე ახლოს იყო, მის წინ სოფლის მცხოვრებთ მოეყარათ თავი, ხელს გვიქნევდნენ და იძახდნენ, - ნუ გეშინიათ, ნუ, ხიდი მაგრადაა შეკრული, და თან სქელი მავთულითააო დაბმული.

ასე შეგულიანებულნი გავხდით, თან მე ბიჭი ვარ, ხომ უნდა გამოვიჩინო გულადობა, ჩავავლე ჩემს ბიძაშვილ გოგონას ხელი და ვეუბნები, ხომ გაიგონე, ხიდი მაგრადაა შეკრული-მეთქი. რატომ უნდა გვეშინოდეს. შევდექით ხიდზე და ხელჩაკიდებულნი ნელა მივწევთ წინ, ხიდის შუა ადგილას რომ მივედით, ჩვენმა სიმძიმემ გარკვეულწილად იმოქმედა, ხიდი შეირყა, როგორც ჩანს, წყალს მისთვის ქვები ჰქონდა გამოცლილი, გვერდზე გადაწვა და ჩვენც წყალში ჩაგვიყოლა, რადგან ხიდი სქელი მავთულით დაბმული იყო, დინებისაგან ნაპირზე გაირიყა, ჩვენ ორივე წყალმა წაგვიღო, დღესაც ყურებში ჩამესმის ერთმანეთის სასოწარკვეთილი ხმა, არ მავიწყდება, ტალახისფერი ტალღების ტრიალი, დაბნეულები განწირულად ვტიროდით. აი, მაშინ კი მიხვდნენ ჩვენს უბედურებას სკოლასთან შეკრებილნი. მთელი სოფელი მდინარესთან გაჩნდა, 10 მეტრიანი სარებით, მდინარის პირას მოგვდევდნენ, მაგრად მოჭიდეთ ხელები, მაგრადო, სიცივისაგან გათოშილი ხელებით სარებს ვერ ვიჭერდით, მაგრამ სიცოცხლის წყურვილი ისეთი ძლიერი ყოფილა, ადვილად არ დავთმობდით, გრძელი სარების საშუალებით ჯერ ჩემი ბიძაშვილი გოგონა გაიყვანეს სამშვიდობოს, მერე მე. ისეთი შეციებულ-გალუმპულები ვიყავით, ფეხზე ვეღარ ვდგებოდით, მხრებზე შეგვისვეს და ისე აგვიყვანეს მარგო მასწავლებელთან სახლში. მან ცალ-ცალკე გაგვხადა სველი ტანსაცმელი, გამოგვიცვალა, თავისი შვილების ტანსაცმელი ჩაგვაცვა, დედასავით მოგვიარა, ჩაი დაგვალევინა, დაგვათბო, დაგვამშვიდა.

ჩვენი წიგნების ორივე აბგა წყალმა წაიღო, საღამო ხანს გრძელი გზითა და საიმედო ხიდით სახლებში დავბრუნდით.

ერთი მოვლენა დღემდის ნოსტალგიად მახსოვს, ახალი ნაყიდი წითელსარჩულიანი ბოტები მქონდა, ერთი წყალმა წაიღო, როცა სკოლაში გავაგრძელეთ სიარული, მდინარე ალეურას ნაპირებზე ხშირად დავდიოდი, იქნება სადმე გამოერიყა მდინარეს ჩემი ბოტი, მაგრამ ამაოდ. გაიარა წლებმა, სამხატვრო აკადემია რომ დავამთავრე, ეს მოვლენა ხსოვნიდან არ მომცილებია. დავხატე ტილო, ობლად დარჩენილი ფეხსაცმელი „ბოტი“.

ხაბავშვო განყოფილება

ყამარ ბლიაძე

ყამარ ბებოს ნობათი

ჰაცარა მორწმუნე

ბებომ ხუთი წლის ქეთევანი ეკლესიაში წირვაზე წაიყვანა; ყველა წმინდანს სანთლები აუნთო და ლოცვით შეევედრა ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების კეთილდღეობას.

–ბებო, მეც დამანთებინე სანთლები რა? – შეეხვეწა გოგონა.

–ჯერ შენ პატარა ხარ, ვერ შეძლებ, – უთხრა ბებომ.

ქეთევანმა მაინც არ დაიშალა. ბებომ იგი წმ. ნიკოლოზის ხატთან მიიყვანა, მაგრამ პატარამ შანდალზე კარგად ვერ დაამაგრა ანთებული სანთელი, გადმოვარდა და ბავშვს მკლავზე მოხვდა. ქეთევანს კანი აებურცა, ძალიან აეწვა, მაგრამ ტირილი შეიკავა. ბებომ ხელით მოუსინჯა დამწვარი.

–არა უშავს, ბებო, კიდევ კარგი, რომ მე დამეწვა მკლავი, ხატი კი გადარჩა. წმინდა ნიკოლოზი მომარჩენს, – ჩურჩულით დააიმედა ბებო ქეთევანმა.

ბებოს გაეღიმა და სიყვარულით მიიხუტა გულზე პატარა მორწმუნე.

ანდაზა:
მოთმინება ღვთისაგან ბოძებული მადლიაო.

უცყუარი ხაბუთი

ანა მამიდამ ბავშვებს – მე, გივის, ნუგზარს და ავთანდილს ფერად-ფერადი ბალიშა კანფეტები დაგვირიგა. ბავშვებმა, რა თქმა უნდა, მაშინვე გადავსანსლეთ. გივის კი ისევ შეუჭმელი ხელში ეჭირა და უდნებოდა. ნუგზარმა, შესთავაზა: მომეცი, ჯიბეში შეგინახავო. გულუბრყვილო გივიმ კანფეტები „შესანახად“ გაუწოდა. ნუგზარმა არც აცია, არც აცხელა და კანფეტები პირისაკენ გააქანა. ბიჭი ატირდა.

– ნუ სტირი, გივი, მაპატიე, გულით მინდოდა, რომ შემენახა, მაგრამ კანფეტმა შეჭმა მთხოვა, – თავი იმართლა ნუგზარმა.

ანდაზა:
მელიას მოსავლელად კრუხ-წიწილა მიაბარესო.

ენის გასაცეხები:

1. ტყემლის ტყაპა-ტყუპი, მჟავე ტყლაპი-ტყლუპი, პირში ყლაპი-ყლუპი.
2. ღიჭიანში გოჭი აჭყვიტინდაო: - ღიჭის ღეჭვა, ღაჭა-ღუჭი მინდაო.

პაცარა ბიჭის დიდი ნებისყოფა

ერთხელ, საბავშვო ბაღის აღმზრდელმა, ცდის ჩატარების მიზნით, ბავშვებს „დათუნია“ შოკოლადები დაურიგა, თან დასძინა: – ბავშვებო, თქვენი დედები ავად გამხდარან და თუ ამ შოკოლადებს მათ შეუნახავთ, მორჩებიანო. ახლა კი როგორც გსურთ, ისე მოიქეცით: გინდ შეჭამეთ, გინდ დედებს შეუნახეთო.

ბავშვებმა ბევრი ატრიალეს ხელში „დათუნიები“. ხშიარდ ხსნიდნენ, ზოგი თურმე ლოკავდა კიდეც და ისევ ახვევდა, ბოლოს ცდუნებას ვერ გაუძლეს და შემოეჭამათ.

პატარა სერგოს მისცეს თუ არა შოკოლადი, მაშინვე ჯიბეში შეინახა და დედიკოს მოსვლამდე არც ამოუღია. აგერ დედაც გამოჩნდა. ბიჭს თვალები გაუბრწყინდა:

–დედიკო, ჩემო დედიკო, რატომ გახდი ავად? ნუ გეშინია, ახლავე მოგარჩენ, წამალი აქ მაქვს: სერგომ ჯიბიდან შოკოლადი ამოიღო და დედას გაუწოდა: – შეჭამე, ჩემო დედიკო, მალე მორჩები, ნუ გეშინია. – გაუთავებლად იმეორებდა ბიჭი.

დედა დაიბნა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. აღზმრდელს შეხედა. აღმზრდელმა ყველაფერი უამბო.

– ყველა ბავშვს შემოეჭამა შოკოლადი, შენს ბიჭს კი მთელი დღის განმავლობაში ერთხელ არ წაუღია ხელი ჯიბისკენ.

– ყოჩაღ სერგო, ასე რომ გყავრებია დედა. – შეაქო ბავშვი აღმზრდელმა.

დედა მიეფერა პატარა ბიჭს და თვალებზე სიხარულის ცრემლი მოადგა.

ანდაზა:

კარგი ყმაწვილი ჯერ მშობლების სიხარულია, შემდეგ მამულისაო.

ენის გასატეხი:

ტატომ ნატოს კატა ხატა,
ნატომ კი ტატო დახატა.
კატომ კატა გადახატა,
ნატოც და ტატოც დახატა.

თანაბრად გაანაწილა

ძია ლექსოს კეკე ბებოს ერთი მანეთი ემართა. ლექსომ ბებოს ვალი მიუტანა, მაგრამ ბებომ არ გამოართვა და უკან მიუბრუნა. ლექსომ ისევ მიაწოდა ბებოს მანეთიანი და თან დასძინა: – ვალი ვალია. ბებომ კვლავ დაუბრუნა – არ ავიღებო, მერე ისევ

ლექსომ და ასე გადადიოდა მანეთიანი ხელიდან ხელში.

პატარა ზაზა გაოცებული შეჰყურებდა მათ, ბოლოს ვეღარ მოითმინა და შესძახა:

–მომეცით, მე გაგიყოფთო.

ზაზამ ბებოს მანეთიანი გამოართვა და სწრაფად გახია შუაზე.

–ეს შენ და ეს შენ. – გაუნაწილა ორივეს თანაბრად.

ძია ლექსოს და კეკე ბებომ ერთმანეთს გადახედეს და სიცილი წასკდათ.

ანდაზა:

მოთმინების ფიალაო, აივსება გვიანაო.

„დაკარგული“ ნანა

ახალი წელი ახლოვდებოდა. სამი წლის ნანას დედამ ბრჭყვიალა „წვიმებით“ გაწყობილი ლამაზი კაბა შეუკერა. ბავშვს საბოლოოდ მოასინჯა, სარკეშიც ჩაახედა და გახდა დაუპირა.

–დედიკო, დედიკო, ნუ გამხდი ლა... – შეეხვეწა პატარა გოგონა.

–არა, ჩემო ჩიტო, სახლში ამის ჩაცმა როგორ შეიძლება? საახალწლოდ უნდა შევინახოთ, – იყო დედის პასუხი. ნანას გული კი დასწყდა, მაგრამ დაემორჩილა დედის ნათქვამს და კაბა კარადაში შეინახეს.

შუადღისას დედამ ნანა დააძინა, თვითონ კი აივანზე სარეცხის გასაფენად გავიდა. ცოტა შეაგვიანდა. შემობრუნებულს ბავშვი საწოლში აღარ დახვდა. შეშინებულმა დედამ ბინის ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერა, საწოლების ქვეშაც შეიხედა, ხომ არ მემალებაო, მაგრამ ჩამიჩუმიც არსაიდან ისმოდა. ბევრი ეძახა, მაგრამ ამაოდ. გულგახეთქილი ქალი სადარბაზოში გაიჭრა, ახლა იქ ატეხა ძახილი. პასუხი ისევ არ იყო. ხმაურზე მეზობლები გამოვიდნენ, მთელი კორპუსი ფეხზე დადგა. ახლომახლო კორპუსები და ეზოებიც დაათვალიერეს. ბოლოს კიდევ ერთხელ კიდით კიდემდე საგულდაგულოდ შეამოწმეს სამოთახიანი ბინა. უკვირდათ, ასე უცბად სად უნდა გამქრალიყო ბავშვი?

საცოდავი დედა თავში ხელებს იცემდა და მთელი ხმით გაჰკიოდა:

–შვილო! ჩემო ნანა! ნანა! ნანა! სადა ხარ დედიკოოო!!!

მეზობლები ცდილობდნენ დედის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ. ხალხის ხმაურსა და ჩოჩქოლში უეცრად საიდანღაც ბავშვის ტირილის ხმა გაიგონეს. ყური მიუგდეს, ტირილი დახურული კარადიდან ისმოდა. კარი სასწრაფოდ გამოაღეს და ატირებული ნანა შერჩათ ხელში.

თურმე ბავშვს გაღვიძებია (იქნებ არც ეძინა?), კარადასთან მისულა, ძლივსძლივობით ჩამოუხსნია საზეიმო კაბა და დედამ არ დამინახოსო, კარადაშივე დაუწყია ჩაცმა; ბევრი

წვალების შემდეგ თავზე ჩამოუცვამს და სახელოშიც გაუყვია ხელი, მაგრამ დაღლილს კარადაშივე მისძინებია...

ასე აჭამა შიში დედასა და მეზობლებს პაწია ნანამ.

ჭიაკოკონა

ჭიაკოკონობა, ხალხური ტრადიციებით, აღდგომის მარხვის ბოლო ოთხშაბათ საღამოს სრულდება. მთელი კვირა ვემზადებოდით ბავშვები ამ საღამოსთვის. სადაც ფიჩხს, კუნძს, ან ნაფოტს ვიპოვიდით, კოცონისათვის ვაგროვებდით.

ჭიაკოკონობის საღამოც დადგა. კოცონი მართლა დიდი გამოგვივიდა. ცეცხლის ალი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. ბავშვები გავმხიარულდით. ბებოს გაკეთებულ დაირაზე ცეკვა-სიმღერაც გავაჩაღეთ. კოცონზე რიგრიგობით ვხტებოდით.



მეზობლის გოგო თამარი და ჩემი პატარა დაიკო ლიაც გადაახტდნენ ცეცხლს, მაგრამ ვაი, რომ ეს გადახტომა მარცხით დამთავრდა. გოგონები ერთმანეთს შეეჯახნენ და ლია კოცონში ჩავარდა. ამ დროს მამაჩემმა იმარჯვა და ბავშვი სწრაფად ამოიყვანა ცეცხლიდან. ლიამ ფეხებისა და მუცლის დამწვრობა მიიღო. სიხარული ტირილით შეგვეცვალა. გოგონას მკურნალობა სამი თვე გაგრძელდა.

ჩემო პატარებო, თითოეულ მონათლულ ადამიანს, დიდსა თუ პატარას, უფლისგან მოვლენილი მფარველი ანგელოზი ჰყავს, რომელიც წუთითაც არ გვტოვებს უყურადღებოდ.

უფალმა გადაარჩინა და მფარველმა ანგელოზმა დაიფარა ჩემი დაიკო ლია.

ცეცხლს და წყალსაც ხშირად სტუმრობს სატანა და ავსული, ნუ ენდობი, ცბიერია, ფიქრები აქვს მზაკვრული.

გამოცანა:

უმისობა ძნელია,
წითლად გააქვს ბრღვიალი,
უზნეობაც სჩვევია,
ხშირად მოაქვს ზიანი.

გამოცანა:

თორმეტ მაყრიონს მიუძღვის
მთლად ახალდაბადებული,
წლისთავზე გვემშვიდობება
ნაწყენი, დაღონებული.

ენის გასატეხი:
ძიძამ ძირმორეულ ძიძიას ძილისპირ ძილისპირული უმღერა.

ნუცა ბებოს „საბავშვო ბაღი"

გერმანელებთან ომი ახალი დამთავრებული იყო. შიმშილი და გაჭირვება ადგა ქვეყანას. ჩვენს სოფელში დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ვისაც კი ბარისა და თოხის ხელში დაჭერა შეეძლო, საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში სამუშაოდ იყო გასული. ჩვილი ბავშვის პატრონი დედაჩემიც სამუშაოდ გაიყვანეს.

სოფლის ყველა უბანში სასწრაფოდ გახსნეს „საბავშვო ბაღები", თუ შეიძლება იმათ ბაღები ვუწოდოთ. ქალებს, რომლებსაც კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობა არ შეეძლოთ, უბნის პატარებს აბარებდნენ მოსავლელად. დედაჩემმაც მიგვიყვანა მე, ნუგზარი და ახალფეხადგმული ავთო ნუცა ბებოს „საბავშვო ბაღში". აქ ყველა ასაკის ბავშვი ერთად ჰყავდათ თავმოყრილი. ძუძუს მოწყვეტილი თოთო ბავშვები მთელი დღე ღნაოდნენ, დედა უნდოდათ... ნუცა ბებომ აღარ იცოდა, რა ექნა, ერთს გააჩუმებდა, მეორე ატირდებოდა, მეორეს გააჩუმებდა, მესამე და ასე, მთელი დღე ჩიკორივით ტრიალებდა ხანში შესული ქალი.

„მენიუში" ყოველთვის ერთი და იგივე საჭმელი იყო. დილით – ალუმინის ჯამებში პურჩაყრილი, ან მჭად-ჩაყრილი ჩაი, შუადღისას კი – ლობიო ან წყალ-წყალა წვნიანი. ნუგზარს თუ საჭმლის დამატება უნდოდა, კოვზით ჯამზე კაკუნს ატეხდა ხოლმე და ნუცა ბებოც მზად იყო კერძი დაემატებინა.

სახლიდან ყოველთვის მიმქონდა დედაჩემის შეკერილი თოჯინები. სხვა არანაირი სათამაშო არ გაგვაჩნდა და ამითაც იოლად გავდიოდით. ნუცა ბებო ვერც ლექსებს გვასწავლიდა და ვერც ზღაპრებს გვიყვებოდა, წერა-კითხვის უცოდინარი ქალი იყო. სამაგიეროდ მშვენივრად გვართობდა თუნუქის ჩანახით. ჩანახს სოფელში მარცვლე-უ-ლის საწყაოდ იყენებდნენ. ჩვენს „საბავშვო ბაღში" კი ჩანახი დოლის მაგივრობას ასრულებდა. ნუცა ბებო მოხდენილად დაიდებდა მუხლებზე ჩანახს და უკრავდა და უკრავდა... ჩვენ კი, პაწაწუნა გოგო-ბიჭები, რაც ძალი და ღონე გვქონდა ვბუქნაობდით და ვმღეროდით. მთელ უბანში ისმოდა ჩანახის ბაგა-ბუგი.

თუ რომელიმე ბავშვს ძილი მოერეოდა, იქვე ოთახის კუთხეში ჭილობი იყო გაშლილი, ნუცა ბებო მიაწვენდა და საბანსაც მიაფარებდა.

ერთხელ აბრამ პაპა მოვიდა ჩვენს წასაყვანად. ნუცა ბებომ შესჩივლა:

– ჩემო აბრამ, რომ იცოდე, როგორ ვიღლები ამ ბავშვებთან. უფრო მეტად უმცროსები მღლიან. გამუდმებით ტირიან, დედას თხოულობენ, აქ მუშაობას ისევ ბარი და თოხი ჯობსო.

– რას იზამ, ნუცა-ქალო, უნდა გაუძლო. სტალინს თურმე ბრძანება გაუცია, დედებმა კოლმეურნეობაში უნდა იმუშაონ და ბავშვებმა ნუცასთან იტირონო. – ენამოსწრებულად დაამშვიდა აბრამ პაპამ „აღმზრდელი“ ქალი.

ანდაზა:

უხილო სოფელში კვრინჩხს გულაბს ეძახდნენო.

ენის გასატეხები:

1. ეჟვნების ჟღარაჟღურიო, ბავშვების ჟღავიჟღუვიო, ჩიტების ჟივჟივ-ჟუვიო.
2. ქაფქირი ქვაბში ქაფ-ქუფით, აქაფებულ წვნიანს აქაფებ-აქაფქირებდა.

ოჯახის ბურჯი

პაპა, ანკესები არ დაგავიწყდეს, ანკესები! – შეახსენა მურთაზ პაპას თორნიკემ, როცა პაპა მანქანის საბარგულში ბარგს ალაგებდა.

– რა დამავიწყებს, ჩემო ვაჟკაცო, პირველად ანკესები ჩავაწყვე, – თავზე ხელი გადაუსვა პაპამ ბიჭს.

მთელი ოჯახი მანქანაში ჩასხდა და ახალდაბისკენ აიღეს გეზი. აგერ ბორჯომის თვალწარმტაცი ხეობაც გამოჩნდა. თორნიკეს მტკვრის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა. მთელი ღამე არ ეძინა სიხარულით:

– რა კარგია, სათევზაოდ ვივლი, უჰ, რამდენ თევზს დავიჭერ... – ოცნებობდა ბიჭი. თევზაობაში გასულ წელს გაიწაფა. პაპასთან ერთად ქალაქგარეთ ტბაზე დადიოდა და ისე დახელოვნდა, გამოცდილ მეთევზესაც კი არ ჩამოუვარდებოდა. წელს კი პაპამ ბიჭს უფრო მოზრდილი ანკესი უყიდა.

– აი, მოვედით კიდეც! როგორ აბიბინებულა ჩვენი ეზოს მოლი... – სიამოვნებით ჩაილაპარაკა თორნიკეს დედამ და მანქანიდან ბარგის გადმოლაგება დაიწყო. თორნიკემ კი სწრაფად იპოვა თავისი ანკესი და მტკვრისაკენ დაეშვა.

– თორნიკე! რა დროს თევზაობაა? ჯერ დაისვენე, ნამგზავრი ხარ! – გასძახა დედამ.

– გთხოვ, დედა, შორს არ წავალ, აქვე სახლის წინ ვითევზავებ, – შეეხვეწა ბიჭი.

– წავიდეს, გაერთობა ბავშვი, – სთხოვა რძალს მამამთილმა.

დედას წინააღმდეგობა არ გაუწევია და ბარგის ამოლაგება გააგრძელა.

ბიჭს გაუმართლა. თითქოს დამწყვდეული ჰყავდაო, ისე სწრაფად ეკიდებოდა თევზი მის ანკესს. მოზრდილი ვედრო სწრაფად ივსებოდა სხვადასხვა ჯიშის თევზით. ბიჭი შინ გახარებული დაბრუნდა. მშობლები გაოცდნენ, ასე მოკლე ხანში ამდენი თევზი რომ დაი-

ჭირა პატარა ბიჭმა. გაიხარა მურთაზ პაპამაც:

– ყოჩაღ, ჩემო თორნიკე! სანიმუშო შეგირდი მყავხარ, გენაცვალოს პაპა.

– ნუთუ თევზები არ გებრალებოდა, რომ იჭერდი? – წყენით ჰკითხა ანამ.

– თევზების დედები ხომ იტირებენ, შვილები რომ წაართვი... – დაუმატა მარიამმა.

თორნიკე ჩაფიქრდა. სიბრალულის და სინანულის გრძნობა მასაც დაეუფლა.

– აბა, გაჩუმდით, გოგონებო, მეტი აღარაფერი უთხრათ თორნიკეს. თევზი იმისია, რომ უნდა დავიჭიროთ და საკვებად გამოვიყენოთ. შარშანაც ხომ მიირთმევდით თორნიკეს დაჭერილ თევზებს, აღარ გახსოვთ? – გააჩუმა დები მამამ.

საქმე ყველამ გაინაწილა.

მამამ თევზი გაასუფთავა, ბებომ მოხარშა, დედამ ცხელ-ცხელი მჭადები დააცხო, გოგონებმა სუფრა გაშალეს, პაპამ კი მარნიდან დოქით ღვინო გამოიტანა. ნამგზავრი და მოშივებული ოჯახი სუფრას მიუჯდა.

– თორნიკეს გაუმარჯოს, თორნიკეს, კაცურ კაცს! – წარმოსთქვა სადღეგრძელო პაპამ.

– გაუმარჯოს ვაჟკაც ბიჭს! დღეს თორნიკე ჩვენი მარჩენალიცაა და მასპინძელიც. – ჩაიღიმა მამამ და პაპას ჭიქა მიუჭახუნა. მათ ბებო და დედაც შეუერთდნენ და ყველამ ერთად შესვა თორნიკეს სადღეგრძელო. კმაყოფილმა ბიჭმა ქება შეიფერა. უხაროდა, ასე რომ ასიამოვნა თავისიანებს.

ენის გასატეხი:

ხევში ჩანჩქარა ჩანჩქერი ჩაჩხრიალ-ჩაჩუხჩუხებულა.

მეჭან ხარაიშვილის ოვვდავემა

ჭალოვანის სკოლა

გულნაზ ხარაიშვილი და მაყვალა





საჩხერის რაიონის სოფ. ჭალოვანის საშ. სკოლას პოეტ ბექან ხარაიშვილის სახელი მიენიჭა

დავით ტიგინაშვილი

ბექან ხარაიშვილს

შენზე ამბობენ გარდაიცვალაო. რამდენს იტყუება ეს ხალხი. ნეტავ თუ იციან, რას ნიშნავს გარდაცვალება, ეს ხომ სულის უსაზღვრო ზეიმია... ხოდა, რამდენი ხანია შენი ლამაზი სული იქ... იმ ისასრულო პოეზიის და სიყვარულის გალაქტიკაში არწივივით დაფრინავს. რა ბედნიერებაა პოეზიით დახუნძული ღრუბლები, პირველს შენ გეფერებიან და შენ გითანხმებენ თუ დღეს, ხვალ, ზეგ ვის დაატყდნენ თავს ამ ცოდვილ დედამიწაზე. ვინ ააწიოკონ, ვინ ააღრიალონ, პოეზიის და სიყვარულის ცრემლებით... რა ბედნიერებაა, რომ შენ ხედავ ყველაფერს ამას, შენ თვითონა ხარ მონაწილე ამ უსასრულო გალაკტიკური პროცესების. ხედავ უფლის გამობრძანებას ანგელოზებთან ერთად, მის განრისხებას თუ სიხარულს.

რაო ბექან, რას ამბობენ ღმერთის საუფლოში დედამიწიელებზე... ამ ცოდვით სავსე ხალხზე. გარდაიცვალაო! ვაი, რა ბედნიერებაა!.. ეხლა მოვკარი თვალი ღრუბლებს, შენს სურათს დავყურებდი და ოი, საოცრებავ! თვალებმა მიაჭედეს შენი ლამაზი სახე გაკრიალებულ ზეცას თუ შენ თვითონ გამომეცხადე?! ასე ხშირად ხდება ხოლმე ჩემს ცხოვრებაში, ნამეტნავად მაშინ, როცა კარგ ადამიანზე ვწერ პატარა მოკრძალებულ სიტყვას. ბიჭო, რა მშვენიერი ხარ. ნუთუ ყველა ნაღდი პოეტი ასე ლამაზად გამოიყურება მაგ ღვთიურ სამყაროში? დილა მშვიდობისა ძმაო! ჩვენს შეხვედრას და გაცნობას გაუმარჯოს. რა ხდება მანდ, პოეზიის სამყაროში, მე ვხედავ, როგორ მიაწერე ცაზე შენი დიდებული, ლამაზი, ახალი ლექსი. ნეტარება შენ, რა ფურცლების ტრიალი დაგჭირდება, დაბეჭვდა თუ სტამბებში ხეტიალი. როგორ არიან ჩვენი მგოსნები? შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაქტიონი... გოგლა, მუხრანი და ყველა... ყველა... ჩვენი საძმო და სადაქალო ქართული პოეზიიდან.

ისევ ომი აქვთ პირველობისთვის (როგორც ქართველებს გვჩვევია) თუ პოეზიის და სიყვარულის სურნელებით ჩამომთვრალები ერთმანეთს გულში ეხუტებიან... მე ვხედავ ცისკრის ვარსკვლავზე მაგათ დამშვიდებულ სახეებს... ვაი, როგორ შეცვლილან, რა ლამაზები არიან ეგ დალოცვილები... ნეტა ჩემი თვალით შეგახედათ. როგორ არის შენი პირველი სიყვარული – ლელა! როგორ გამოიყურება მაგ ღვთიური სამოთხიდან...

იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა,
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!..

რას შვრება შენი გადასახედიდან ბეწინას წისქვილი, ისევ ხმაურობს არაგვის ქვებთან და ტალღებთან?.. რა ხდება ხევსურეთის მთებში, რაო, რას ამბობენ მანდ, ლომები... როდის იფიქრებს ეს ხალხი მთაზე და მის მომავალზე. ისევ ბობოქრობს ჩემი დიდი პაპა – ვაჟა!!! ჰაი დედასა, ლომო!!!... აგისრულდა ნატვრა, როგორც ლექსში გაქვს...

ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას
ცერზე წითელი მიმინო გესვას!

დაისვი, ძმაო, ბოლო-ბოლო ცერზე წითელი მიმინო?! ნეტაი შენ!.. ისევ დინჯად ლოკავენ ძირულას ტალღებს რუხი კამეჩები?! ნეტარება შენ... დროზე არ ფიქრობ, დრო ფეხზე გკიდია... მიდი, იფრინე, ინავარდე, ძმაო, მაგ ფოლადისფერ ღრუბლებში. ღმერთმა უწყის ვის მოხვდება შენი ლამაზი მზერა პოეზიის, არწივთა საუფლოდან. ვის ააღრიალებს და ამაღამ ვის დაუფრთხობს ძილს შენი დაფეთებული სახე... რა ხდება მანდ, მთვარით მონამგლურ სიმინდებში. თვალთა საჭრეთელით სიყვარულმა ამოგჭრა გულზე, შენი სიყვარულზე ცოცხალი ასოები?! გენაცვაااალეეე!!!... ვაი, რა მართალი სიტყვებია:

გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!..

ნეტავ, როდის, როგორ ამოდის მზე მანდ, საუფლოში. როდის, როგორ თენდება... რა ბედნიერებაა ყოფნა მანდ მარადიულ მზიანეთში... სასაცილოები ვართ არა, დედამიწიელები ზეციდან საყურებლად. კიდევ კარგი ჩვენ ნაღდი პოეტები ხანდახან მაინც შევავლებთ ხოლმე თქვენს საუფლოს თვალს, თორემ რა გაუძლებდა ამ ტანჯულ ცხოვრებას. ხედავ, რა ბიჭი გაიზარდა შენი ვაჟკაცი - ლაშა! ნაღდი ქართველია, მაგას ვენაცვალე! იამაყე საქართველოვ! როგორ არის ჩემი გელა სხირტლაძე... ლომი!.. ჩემი გულნაზ ხარაიშვილის ვაჟკაცი. მაგას შემოევლოს ჩემი სიცოცხლე!.. მოდის, ჩვენი ძველებური, რქაწითელის ღვთიური სურნელება. სამოთხემდე... ჩვენი დანთებული სანთლები და დაღვრილი ცრემლები, გოდება, აღწევს მაგ ღვთიურ სამოთხემდე?!.. აი ახლაც, ეს ღვთიური ღვინო გადავაღვარე ამ წერილს, რომ უფრო გემრიელად და ტკბილად შეიგრძნო ჩემი გულისა და სისხლის სურნელება!.. უფალი, სანთელი, ადამიანი, ცრემლი, ღვინო. ნეტარება თქვენ მაგ ღვთიურ სამოთხეში! ნეტარება თქვენ, რომ დედამიწაზე საწამებლად და სალოცავად და-

ტოვეთ საქვეყნოდ აღიარებული, ცნობილი ქართველი პოეტი ქალი, მე ვიტყოდი აკროსტიხების დიდოსტატი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ნამდვილი „პოეზიის დედოფალი“ გულნაზ ხარაიშვილი! ეს ქალი ნამდვილ საოცრებებს ახდენს, როგორც პოეზიაში ასევე ადამიანურ, თბილ ურთიერთობებში. აი, რას ნიშნავს თქვენი მადლიანი ლოცვა ზეციური საქართველოდან. იამაყე საქართველოვ ხარაიშვილებით!

შენი ლექსი ვაჟას სისხლით
გადაუვლის მრავალ მზე-ჟამს...
ათინათის სიყვარული
ხარაიშვილ – მგოსან – ბეჟანს!

თამარ ჯაჭვაძე

ბეჟან ხარაიშვილის საუფლოში

16 სექტემბერია. სწავლა დაიწყო სკოლებში. ვინ არის, სკოლა რომ არ ახსოვდეს... მოსწავლეობა, ყველაზე ბედნიერი და უდარდელი ხანა...

პირველი დღე და პირველი გაკვეთილი...

დღესაც პირველი დღეა და რაღაც არის ამ პირველობაში განუმეორებელი, რომელიც დიდხანს ეხსომება ძალიან ბევრს... განსაკუთრებით ერთი პატარა ხეობის სკოლაში, სადაც ამ დღეს სტუმრებს ელიან დედაქალაქიდან, თანაც როგორ სტუმრებს, თანაც რა მიზეზით!

და დგანან პატარები, ელიან მოთმინებით, ელიან საათობით...

და როდესაც უკვე წყდება მოთმინების ძაფი, ივსება მოლოდინის ფიალა... მოდიან! მოდიან შორი გზით დაღლილი მგზავრები, დაღლილნი, მაგრამ რაღაცით ბედნიერნი..

და მერე შეხვედრა სტუმარ-მასპინძელთა. იმერული სტუმართმოყვარეობის უმაღლესი ზომა, სიხარული, ღიმილი და ძალიან დიდი ტკივილი, სიამაყიანი ტკივილი... ამ ტკივილს პოეტის სახელი ჰქვია. 30 წლის წინათ, 30 წლის ასაკში გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის სახელი ჰქვია...

ხეობა – მთების გალავანშია ჩასმული, ამ მთების ნაჟურით, მათი ფეხების ნაბანი და ნაკურთხი წყლით წარმოქმნილი მდინარე – ძირულა, უკვდავების წყაროდ რომ მოედინება, ტკბილად მოლიკლიკებს და მი-მოიკლაკნება ბაღნარად ქცეული მიდამოს გულში. ვინ იცის, აქ რამდენ პატარას უცელქია, ამ მდინარის წყალივით რომ გამოჰყოლია კალაპოტს და "შორს წასულან მისი გზები" ეს მირზა გელოვანის სიტყვები რამ გამახსენა? ადრე წასული და იმქვეყნად ადრეულ ასაკში გარდასული, ლექსად ამღერებული სული რაღამ ააწრიალა?! "ზოგი იცოცხლებს ლაღად და დიდხანს", "ზოგის სიცოცხლე სველ ასანთსა ჰგავს" ხმაურობენ გონებაში სხვადასხვა პოეტების ამონაკვნესები და მოდის ლექსი, ვით ნიაღვარი... აქ ხომ ულექსოდ ალბათ ერთი ფოთოლიც ვერ ძლებს, აქ ხომ ულექსოდ და უსიმღეროდ სიოც არა ჰქრის და ძირულას შხეფიც არ ეფერება თავისივე გულში სირინოზებივით მოლივლივე პატარა თევზებს. აქ ხომ მთებში ჩაძირული სული პირდაპირი გზით ზეცისაკენ მიეშურება, თითქოს ბუნება კარნახობს ოცნებას ცისკენ სამზერ-საფრენად...

სოფელი ჭალოვანი, საჯარო სკოლა, უმშვენიერესი შენობა, თანამედროვე დიდი ქალაქები რომ ინატრებენ, ისეთი ცინცხალი, კეთილმოწყობილი, სუფთა და კოპწია... და სტუმართმოყვარეობის და სიკეთის კიდევ ერთი დასტური, დიდი შენობის კარნიზებზე აუარებელი მერცხლის ბუდეები...

და შემოგანათებს სკოლის შესასვლელზე ოქროსფერი დაფა წარწერით: "ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალოვანის საჯარო სკოლა"... ოქროსფერი, თუ ოქროს ასოები! ჟრუანტელად რომ დაუვლის სხეულსა და სულს... პოეტის სახელის მინიჭება მშობლიური სკოლისათვის, იმ სკოლისათვის, რომლის კედლებშიც სულ ცოტა ხნის წინ ცელქობდა ერთი პატარა, ერთი უცნაური, სულით და სხეულით ლამაზი ბიჭი. ბიჭი, რომელმაც ჯერ თავისი პატარა სოფლის სახელი შორს წაიღო და მერე ამ პატარა სოფელში ჩამოიყვანა ქართული მწერლობის კლასიკოსი, თავისი დიდი მასწავლებელი, საერთოდ შემოქმედ თაობათა აღმზრდელი – რევაზ მიშველაძე. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და წლების მანძილზე ქართული მწერლობის ქომაგი, უხმლო მებრძოლი და ამორძალი – მაყვალა გონაშვილი, მუსიკოსები, მომღერლები, პოეტები, მეგობრები, თანაკლასელები, თანაკურსელები.

ამ ულამაზეს, უმშვენიერეს სამყაროში თვალი და გული თავისთავად ეძებდა გალაკტიონის ოცნებას "სადმე ყრუ ადგილს დავესახლები, სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი, სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ ადამიანი". ეძებდა თვალი იმ მყუდრო ადგილს, სადაც ცივილიზაციით დაღლილი გული მცირე ხნით მაინც განისვენებდა და მოიდრეკდა თავს. ეს ყველას გულში ჩუმად გაელვებული ოცნება ბატონმა რევაზ მიშველაძემ გაახმიანა და ინატრა ხმამაღლა, ყველას გასაგონად; ინატრა სადმე, ახლო-მახლო, პოეზიის პატარა ქოხი. რა თბილად მოეფერა პროზის რაინდი სკოლას და სოფელს, მოსწავლესა და მასწავლებელს, დიდსა და პატარას...

სკოლას სახელდების დღე მიულოცა, როგორც ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა უწოდა, პოეზიის დედოფალმა – მაყვალა გონაშვილმა, მან აღნიშნა, რომ ბეჟან ხარაიშვილი მისი თაობელი და უნივერსიტეტელი მეგობარი იყო... გაიხსენა ბეჟანის ძარღვიანი და ჯიშიანი ლექსის სტრიქონები.

სკოლისათვის ბეჟან ხარაიშვილის სახელის მინიჭება ყველაზე მეტად დეპუტატის დავით შუბითიძის დამსახურებაა, რისთვისაც მან დიდი მადლობა მიიღო პოეტის დის, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის – გულნაზ ხარაიშვილისაგან.

შორიახლოს მდგარი, ბეჟანის ნათესავები, ახლობლები სიხარულის ცრემლს ვერ იკავებდნენ, დიდმა გრძნობამ; სიამაყემ და ტკივილმა ერთიანად დაადუმა ყველა. სამაგიეროდ ყველას მაგიერ პოეტის ძმისშვილი, აკადემიის პატარა წევრი, ნიჭიერი და ღირსეული შთა-

მომავალი დიდი პოეტისა – გვანცა ხარაიშვილი შეეტკბილსიტყვა თავის სახელოვან წინაპარს. "ყველაზე მეტად ბეჟანის შენ ჰგავხარ"-ო – საამაყოდ დარჩენია გვანცა ხარაიშვილს ახლობელთაგან თქმული ეს სიტყვები.

სახელდების საღამო კიდევ ერთხელ დაამშვენეს ჯგუფ "ზღვარის" წევრებმა, როგორც აკადემიის დედა, ქალბატონი გულნაზი უწოდებს; "ჩემი ბიჭები"– ეს ბიჭები დღესაც მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. სერგი ლომაძემ ამჯერად ჩვეულებას უღალატა და თავისი საუცხოო ლექსი წაიკითხა, ბეჟანისადმი მიძღვნილი. კახა ბაციკაძემ უკვე შედევრად ქცეული საკუთარი ლექს-სიმღერით დაატკბო მსმენელი.

შთამბეჭდავი და ცრემლისმომგვრელი იყო და-ძმა ხარაიშვილების პედაგოგთა გამოსვლები, მათი მოგონებები ნიჭიერი და მოუსვენარი და-ძმის შესახებ.

ღია ცისქვეშ მოწყობილი სცენიდან რამდენჯერმე გაისმა ადრე წასული პოეტის საოცარი სტრიქონები, არა მარტო პოეტთა და მეგობართა, არამედ მოსწავლეთა, პოეტის ახლო ნათესავთა მიერ წაკითხული.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერა გააჟღერა შემოქმედებითი ჯგუფის – "ლომისი"-ს სოლისტმა შალვა ილურიძემ.

სიმღერა არც რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მანონ ყუბანეიშვილს დაუშურებია ამ ლამაზი საღამოსთვის, მისი ხმის ექომაც დაიარა ხეობის მყუდროება.

ყველაზე შთამბეჭდავი და გულის ამაჩუყებელი ბეჟან ხარაიშვილის თანაკურსელთა გამოსვლები გახდა. მაშინდელი პატარა გოგო-ბიჭები, ბეჟანის თანატოლები, ახლა უკვე ხანდაზმული და შემოქმედების და ცხოვრების გზაზე წარმატებული ადამიანები, იგონებენ არა მარტო თანაკურსელსა და მეგობარს, არამედ საკუთარ ახალგაზრდობას. იგონებენ, როგორ უყვარდათ და როგორი მეგობრობა და თანადგომა იცოდა იმ თაობამ.

ბეჟანი გაიხსენა (თუმცა არასოდეს დავიწყებია) ლევან ბაბუხადიამ, ვინაც ერთხელ უკვე უკვდავყო მეგობრის სახელი და საკუთარი ხარჯებით გამოსცა ადრე წასული მეგობრის ლექსების პირველი კრებული "სადღეგრძელო", რომელიც აქამდე ერთადერთიც იყო.

ციცო..... თავისი საქმიანი სიტყვა უთხრა მეგობრის ხსოვნას. მან საკუთარ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მსურველ ახალგაზრდებს პირობა მისცა, ვინც ამ პატარა სოფლის, ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჯარო სკოლიდან გადაწყვეტდა მის დაქვემდებარებულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას, ყველას ექნებოდა 10%-იანი და მეტი ფასდაკლება, სწავლის გადასახადზე.

და ბოლოს მაინც ამ საოცარი საღამოს წამყვანის, პოეტის დის, გულნაზი ხარაიშვილის თვალებში გაელვებული ცრემლის წვეთი გახდა, ემოციურად დატვირთული და დიდი სიყვარულისა და მოგონებების დამტევი საღამოს უკანასკნელი ლოგიკური წერტილი თუ ბოლო აკორდი. ეს ცრემლის წვეთი იყო ტკივილისა და სიამაყის, მწუხარებისა და სიხარულის საოცარი ნაზავი... ძმის ხსოვნის დარდი და მშობლიური ხეობასავით მწვანით მოსილი, წიგნადქცეული, პოეტის ოცნებების გამზეურებით მოგვრილი სიხარული.

ხეობის სიმწვანეში და ადრეულ სიმყუდროვეში თუ დღევანდელ ჟრიამულში ჩაძირული ძირულას ნაპირებზე ნელა-ნელა დაეშვა ბინდი. ნელ-ნელა მოიპარებოდა ერთი საოცარი დღის დასასრული, დღისა, რომლის დამთავრების სურვილი თითქმის არავის ჰქონდა, მიუხედავად დაღლილობისა, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ თქვა თავისი წილი სათქმელი, ყველა თავისებურად მიეფერა ადრე წასული და კიდევ ერთი ჭაბუკად დარჩენილი პოეტის ხსოვნას. კიდევ ერთხელ გამოხატა დამსწრე საზოგადოებამ მადლიერების გრძნობა, მათ მიმართ, ვინც უკვდავყო პოეტის სახელი და საკუთარ სკოლას დაუბრუნა მის გულში გაზრდილი ერთი პატარა ბიჭი, დღეს უკვე დიდი პოეტი და მისაბაძი, სახელოვანი ქართველი.

სოფელ ჭალოვანის მადლიან მიწაზე დარჩნენ ბეჟან ხარაიშვილის შვილის, ერთი კარგი ქართველი ვაჟკაცის – ლაშას ულამაზესი შვილები. ისინი დადიან, როგორც სახელოვანი კაცის ფიზიკური არსებობის, მისი სიცოცხლის გაგრძელებანი. რაც შეეხება სულიერ არსებობას, მას, მისივე სახელობის სკოლის ბიბლიოთეკის თაროზე დავანებული ბეჟან ხარაიშვილის წიგნი "ხვედრი პოეტთა" განაგრძობს და ეტყვის შთამომავლობას, როგორ წავიდა ამ პატარა ხეობიდან ძირულას წყალივით დაუდეგარი და მოუსვენარი პატარა ბიჭი, როგორ ჩაატია დიდი ცხოვრება თავის 30 წელიწადში... და მერე, კიდევ 30 წლის შემდეგ როგორ დაუბრუნდა თავის მშობლიურ ხეობას ლექსად და წიგნად, ხსოვნად და სიყვარულად, კაცურკაცობის ძეგლად და იმედად სიყვარულის გადარჩენისა.

ვტოვებთ ხეობას, ვტოვებთ ამ ლამაზ სამყაროს და სოფლის განაპირას, იმერეთის სტუმართმოყვარეობის სიმბოლოდ ქცეული, ფართოდ გაშლილი სუფრა გველოდება. გვიღიმიან შოთი პურები და იმერელი კაცის გულივით სუფთა, გამჭვირვალე და კამკამა ღვინო, რათა არდავიწყებული კაცი ერთხელ კიდევ ვახსენოთ, ქართულად, ღვინოში ჩაწებული პურით.

და თითქოს ესმის ყურთასმენას, და თითქოს ვხედავთ, იქ, მაღლა, ცათა სასუფეველში, ნანა სხირტლაძის ხელთქმნილ გობელენზე გამოსახულივით ყანწით ხელში მდგარი ბეჟანი, ისევ ისე დგას, დგას და იღიმება. იღიმება და ილოცება იმავე ყანწით. ლოცავს მომავალს, საქართველოს, შთამომავლობას, სამეგობროს და სანათესაოს... და იქიდანაც თითქოს ივედრება: "გულზე არ დამადო ხელი, მტკივა..." ჩვენ კი სწორედ მის გულზე და მაჯაზე გვიდევს ხელი, რადგან პოეტის გულისცემა სამშობლოს გულისცემაა და მისი მაჯა, მდუღარე სისხლის მოძრაობა, მომავალია მისივე და ჩვენივე სამშობლოსი. ის ტკივილიც, ზოგჯერ აუტანელი და მწარე ტკივილი უცილობელი თანამგზავრია პოეტური სულისათვის, შემოქმედისათვის, რადგან უტკივილოდ სიყვარული სიძვა და ლექსი ბოდვა იქნება მხოლოდ. სამშობლოს სიყვარულიც ხომ ასეთი ტკბილ-მწარე ტვირთია, ტვირთი, რომელსაც მხოლოდ რჩეულები ეზიდებიან.

ასეთი რჩეული იყო ბეჟან ხარაიშვილი, ადრე წასული კაცი და ლექსებად დარჩენილი სული. ხშირად ამბობენ პოეტი ღვთის კაცია, პოეტის ენით, პოეზიის ხმაზე თავად უფალი საუბრობს-ო. პოეტის სისხლი ალბათ სამშობლოს ჭრილობაზე წასაცხები მალამოა, ჟამიდან ჟამზე ეს სისხლი სწორედ მალამოსავით უნდა წაეცხოს მიწის ჭრილობებს. როგორც ანა იმედიძე ამბობს: "სამშობლოს არ ირჩევენ, სამშობლო ირჩევს." მართლაც სამშობლო ირჩევს საკუთარ ჭრილობებზე მალამოდ წასაფენ შვილებს. და ისევ ბეჟან ხარაიშვილის სიტყვებით დავამთავრებ, ადამიანის წასვლის შემდეგ, უკვე ხსოვნადქცეული, დიდი და მარადიული, "სიყვარული იწყებოდა ასე"!

სერგი ლომაძე

დაუვიწყარი დღე სოფელ ჭალოვანში
(ძირულას ხეობის მარგალიტი)

ბეჟან ხარაიშვილის ფენომენი ნელ-ნელა უფრო და უფრო განათდა, ამაღლდა, ლამის თვალშეუდგამ მწვერვალად იქცა. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ ოთხმოციან წლებში დაღუპული ოცდათი წლის პოეტი, რომელსაც იმხანად თითოოროლა ლექსი თუ ჰქონდა გამოქვეყნებული და ასე გაუკვდავდებოდა. არადა, ასე მოხდა. მისმა მეგობარ-ახლობლებმა, ლევან ბაბუხადიას მთავარსარდლობით, და პოეტის დამ – ასევე პოეტმა გულნაზ ხრაიშვილ-

მა, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ „ჭალოვანის მარგალიტის“ შემოქმედება არ დაკარგულიყო.

აკი არც დაიკარგა?

და ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებში ახალი ძალით დაიქუხა ადრეწასული პოეტის ხმამ, – გამოვიდა მისი ახალი წიგნი, სადაც გაერთიანდა ლექსები და პროზა, ხოლო საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანის იმ სკოლას, სადაც უკვე ლეგენდადქცეული პოეტი სწავლობდა, მისივე სახელი ეწოდა. იქაური დეპუტატის – დავით შუბითიძისა და იქაურ მცხოვრებთა, პედაგოგთა საერთო აზრით, სურვილით, ასე ნელ-ნელა მაღლდება მართალი საქმე კაცი-პოეზიის უკვდავებისა.

ჭალოვანის საშუალო სკოლა

ნუგზარ ნადარაია – ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი და ***რევაზ მიშველაძე*** – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

მაია ტყემალაძე – ჭიათურის კულტურის განყოფილების უფროსი

პოეზია ხომ ყველაფერია, მთელი სამყაროა; უმაღლეს ოცნებად ქცეული, ასეთ ოცნებამდე აზიდული ზმანებისეული ფერადი ბროლია, სიმბოლო რაიმე, მწვერვალი აბსოლუტური; რაღაცა კიდევ უფრო მეტი... და აი, სწორედ პოეზიის ერთ-ერთი ქურუმის დღე იყო, ჭალოვანში, თხუთმეტ სექტემბერს. ამიტომაც დაიძრა კულტურის ნაღები საზოგადოება. რაღა ათენის ანტიკური სკოლა და რაღა ჩვენი საკრებულო იმ მინი-ავტობუსში, რომელშიაც ვისხედით: პოეტები, პროზაიკოსები, მუსიკოსები, მხატვარ-მოქანდაკეები, მეცნიერ-ფილოსოფოსები, ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორი მეუღლითურთ, ორი აკადემიის პრეზიდენტები – ბატონი ნუგზარ ნადარაია და ჩვენი ძვირფასი გულნაზი. მწერალთა კავშირის თავჯდომარე, ბატონ რეზო მიშველაძე და პოეზიის დედოფალი – მაყვალა გონაშვილი. სწორედ ეს ორნი იყვნენ სული და გული მთელი ამ კრებულისა. სწორედ ისინი დირიჟორობდნენ მთელს ამ საზეიმო სვლას დასავლეთისაკენ. საზეიმო შეხვედრა-საღამოზე („საღამომ“ აქ, რაღა თქმა უნდა, პირობითი სიტყვაა. ღონისძიება ცხელი შუადღით დაიწყო, თითქმის ზუსტად დათქმულ დროს) ხოლო გულნაზი წამყვანი იყო ამ ღონისძიებისა... მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მანამდე გადავკვეთეთ აღმოსავლეთი, შევერიეთ დასავლეთს, ხოლო მერე განვლეთ მდინარე ძირულას ზღაპრული ხეობა, რომელიც თავისთავად პოეზიაა. აფსუსი იქნებოდა და აფსურდი, ამ ხეობას დიდი პოეტი რომ არ ებოძებინა ჩვენი ქვეყნისათვის. აკი ასეც მოხდა. თანაც – ერთი კი არა, ორი ჭეშმარიტი პოეტი უბოძა არცთუ დიდმა სოფელმა ჭალოვნმა მშობლიურ კულტურას.

აი ის სახლი, სადაც ხარაიშვილთა პოეტური ოჯახი ცხოვრობდა (ის დღესაც მათი სახლია), სკოლა მერეა აშენებული, ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით. ეზოში დაგვხვდა სკოლის ხელმძღვანელობა, ასევე – პედაგოგები და მოწაფეები. განწყობა – დიდებული. დავსხედით ჩვენთვის განკუთვნილ ადგილებზე და დაიწყო შეხვედრა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გამომსვლელები, როგორც სტუმრები, ასევე დამხვდურნი (მასპინძელნი) სკოლის დირექტორიც, პედაგოგებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ღონისძიებაში. საერთოდ, ძალიან თბილი შეხვედრა იყო, იმდენად თბილი, რომ ბატონმა რეზომ იქაურებს სთხოვა: ეგებ ერთი ქოხი დამითმოთ სადმე, ამ ხეობაში, რომ აქ, თქვენს შორის დავსახლდე სამუდამოდო. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ზეიმს ესწრებოდა იქაური მთავარი სასულიერო პირიც – სანდომიანი ახალგაზრდა, რომელიც ფილოსოფიური სიდინჯითა და ვერდაფარული სიხარულით აკვირდებოდა ამ დიდ სტუმარიანობას იმერეთში.

ეს ის დღე იყო, ის შეხვედრა, რომელსაც „ზღვარი“ ვერაფრით დააკლდებოდა. ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი აქაც, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ლიდერებმა – მე და კახა ბაციკაძემ წარვადგინეთ; კახამ, როგროც ყოველთვის, იმ დღესაც ისახელა თავი.

არ შემიძლია აღუნიშნავი დავტოვო ერთი გარემოებაც, – ხარაიშვილთა ცნობილ გვარს, ბეჟანისა და გულნაზის გარდა, ბოლო დროს, კიდევ ერთი პოეტი გამოერია – გვანცა ხარაიშვილი, რომელსაც ყველა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს. რაღა თქმა უნდა, ზეიმს ესწრებოდ გვანცაც, მისი ოჯახით. ასე რომ, მე და კახამ, როგორც იქნა, მოვახერხეთ ქალბატონი გულნაზისა და ჩვენს მიერ „აღმმოჩენილი“ მომავალი ვარსკვლავის ოჯახის გაცნობა: დიახ, თუ ხარაიშვილთა შეუპოვარ ხასიათს გავიხსენებთ, მივხვდებით, რომ გვანცა აუცილებლად მიაღწევს დიდ წარმატებას.

ძირულას ხეობაში ქეიფი – ესაა საოცრად ლამაზი ახდენილი სიზმარი. დასავლური სტუმარ-მასპინძელობა ხომ ცნობილია, და ღონისძიების შემდეგ, აი, სწორედ იქ გაგვიშალეს სუფრა, ერთ-ერთ სახელგანთქმულ საქეიფო ადგილას. უნდა ვაღიარო: პირადად მე, უკეთესი დრო, იქნებ, სხვაგან არსად მიტარებია.

მერე კი ის იყო, რომ საღამო შემოიპარა იმერეთის მთებში, მთელს ხეობაში. სივრცე, მთელი ის საოცრად ჯანსაღი გარემმო, ჰაერი, აივსო ღამის შეგრძნებით, და ჩვენ დავტო-

ვეთ დიდი პოეტის კუთხე-კუნჭული, მისი მშობლიური ხეობა. ვბრუნდებოდით თბილისში, მაგრამ ფიქრით ისევ იქ ვიყავით, იქ, იმ სივრცეში, რომელმაც ბეჟან ხარაიშვილის სუფთა გული და მისი დღესაც ჯერ კიდევ ჯეროვნად შეუსწავლელ-ჩაუწვდომელი ფენომენი წარმოშვა...

ვუყურებდი ბატონ ნუგზარ ნადარაიას და ამ დიდ ადამიანს სიხარულის სხივი დასთამაშებდა სახეზე. ეს ბუნებრივიც იყო რადგან კოლეგის, გულნაზ ხარაიშვილის ხეობაში მისი ძმის აღზევების მომსწრე გახდა.

ნაილი ხარაიშვილი

ისევ გინატრე ყვავილობისას
(პოეტ ბეჟან ხარაიშვილის 60 წლისადმი)

ბეჟან ხარაიშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტია იმ ცნობილ ქართველპოეტთა შორის, რომლებმაც ადრე დატოვეს ეს ცოდვილი წუთისოფელი, მაგრამ გვასაზრდოვებენ ისეთი ნიჭით აღსავსე და სიყვარულით გაჟღენილი პოეზიით, რომელიც დიდხანს ეყოფა საგზლად ქართველ ერს.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსები მუდმივად აზროვნებენ მკითხველის ნაირფერად მორთულ გაზაფხულში. თუმცა გაზაფხული ზოგჯერ ისეთი აელვარებული არ ეჩვენება კაცს, ბავშვობაში: "ცა რომ მტერდისფერობდა, ტყე რომ ფერი-ფერობდა". ატმის ყვავილს დაჟინებით შესცქერიან პოეტის უკვე ასაკოვანი მეგობრები, ეჭვის თვალით უყურებენ, ისევ ისეა, "აფეთქებული" თუ ოდნავ ჭკნობის ელფერი გადაჰკრავს? ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება, ისევე, როგორც ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის და სხვა მარადიულ სასუფეველში გადასულ ახალგაზრდა ქართველ პოეტთა შემოქმედება, არ გვაძლევს უფლებას, გული დავიმძიმოთ ბუნების კანონზომიერი, აუცილებელი, უსიამოვნო მოვლენებით.

გასაოცარი, ამაღლებული ნათელით დაუკავშირა პოეტმა თავის შემოქმედებაში ორთავ სოფელი – დროებითი და მუდმივი. თითქოს მაინც ზებუნებრივად მონაწილეობს იმ სილამაზის შექმნაში, რასაც სიცოცხლე და ცხოვრება ჰქვია.

მისი ლექსები ლხინითა და იმედით ავსებენ ადამიანების გულებს. "ყველაზე დიდი სასაფლაოა გული" – ამბობს პოეტი. მაგრამ იქვე გვმოძღვრავს და მოგვიწოდებს – "გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება."

მსოფლიოში აღიარებული პოეტებიც კი ვერ პოულობენ სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის ასეთ ლამაზ გზას. ამიტომაც ეს ახალგაზრდა კაცი განსაკუთრებულად ამოირჩია თანამგზავრად ორთავ სოფელმა და სამუდამოდ ჩაიკრა გულში ნაღდი ქართული პოეზიის მოყვარულთა სულებში სიყვარულით ცოცხლობს ბეჟან ხარაიშვილი. ყოველი ცისკრის ამოსვლას მისი პოეტის იდუმალი სხივიც მოსდევს თითქოს და ის დღე დალოცვილია, ის დღე ჩვენია, – სრულიად საქართველოსი. სამშობლო მისთვის გამოიხატება სიტყვაში "ჩვენია". "ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა, ჩვენში ასე იცის გათენება".

მხოლოდ უფალი განსჯის ადამიანის ცხოვრებაში ბედნიერებას და სიხარულს. ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება გვასწავლის, რომ ბედნიერებაც და სიხარულიც მოაქვს ადამიანთა შორის მართალ და ერთგულ ურთიერთობას. ეს უაღრესად ადამიანური ფასეულობები განსაზღვრავენ პოეტის ცხოვრების კრედოს.

მას სურს, რომ სამყაროში ყოველი დღე იწყებოდეს და მთავრდებოდეს ადამიანთა მეფური ურთიერთდამოკიდებულებით. თვით პოეტი და მისი შემოქმედება კი ემონება ყველას,

რადგან სხვას მეტი სულიერი კეთილშობილება შესძინოს. ამ ახალგაზრდა კაცის სიყვარული ქრისტესმიერია. ქრისტესმიერმა სიყვარულმა კი მანძილი არ იცის. მისი პოეზიაც თითქოს ჩვენი ტვირთის მტვირთველია, ჩვენი მსახურია. სწორედ ამიტომ ჩვენც, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს, ვისაც მტკივნეული გულის კარები გაგვიღო, ქედს ვიხრით მისი მოღვაწეობის წინაშე. ის ხომ თვითოეულ ჩვენთაგანს თავისთავზე მაღლა აყენებს, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეს გვჭირდება, ბეჟანისეული გაგებით ადამიანი იმსახურებს იყოს ყოველთვის ამაღლებულ სულიერ მდგომარეობაში. პოეტისათვის ფასეული მხოლოდ სულიერი სიყვარული არსებობს. სპეტაკი, ჭეშმარიტი, საღმრთო მადლით მოსილი. "კოდის წყალთან... იწყებოდა სიყვარული" სწორედ ასეთი. განსხვავებით სხვა პოეტებისაგან, რომლებიც ხორციელი გრძნობების გამოვლენას არ გაურბიან, თავიანთ ლექსებში, გულწრფელობა და სანდოობა ლაიტმოტივად გასდევს ბეჟან ხარაიშვილის სატრფიალო სტრიქონებს.

ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ორი სოფლის ურთიერთობის გზა გაუიოლა თითქოს. სულთა კავშირის შესახებ თეორიულ ახსნაში, მეტი სიცხადე შემოიტანა თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით.

ბეჟან ხარაიშვილი შეგნებულად არ ცდილობს სიცოცხლის გზაზე შემხვედრი ბილიკების გაანალიზებას. ბილიკი ყველასთვის ერთია ნარეკლიანი, ეკალბარდიანი, ქვაღორღიანი. შეგვახსენებს, რომ ნაკადულებთან მეგობრობაც წარმავალია: "ღელეებს შეუერთდებიანო ნაკადულები". "გულში ჩამეტკბობა პირველ ყოვლის." პოეტის შემოქმედება გვასწავლის, რომ ბუნების ქმნილებებიც ერთმანეთს ეძებენ. ჩვენც, ადამიანებს ერთმანეთი უნდა გვინდოდეს. ერთგულება და მორჩილება გვმართებს ერთმანეთისადმი. პოეტი ისე აღწერს ბუნებას, როგორც სხვა არავინ! – "ერთი გაიხედე, ქარი რა დღეშია, როგორ გადალოკა არემარე". რა ტკბობა, მშვენება და ხიბლია ამ სტრიქონებში გადმოცემული. ეს განცდა უჩვეულო გრძნობას ბადებს, თითქოს ადამიანი და ბუნება შესისხლხორცებულია ერთმანეთთან.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში სინანული ბედნიერების აუცილებელი კომპონენტია. ყოველი ადამიანი ცოდვილია, ამ წუთისოფელში სასიამოვნო მხოლოდ მოულოდნელობებია. ბედი ნაკლებად უღიმის ჭკვიანებს და ღირსეულთ. არავითარ ფიზიკურ თუ სულიერ ნაკლს არ ეძებს ადამიანში და არც განიკითხავს მას.

დარდი პოეტ ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თანამგზავრია. მისი შემოქმედება კი ადამიანებს დარდს უმსუბუქებს. გვაიმედებს, რომ მისი დაძლევა კაცს ძალუძს, თუ ის მართალია, ძლიერი სულის პატრონია.

პოეტი თავისი ლექსებით გვიმტკიცებს, რომ ძლიერი და უძლური სიყვარული არ არსებობს. სიყვარულს ერთი ძალა აქვს მხოლოდ – ის მარადიულია! –"მე იანვარში დავბადებულვარ და გაზაფხულზე მოვკვდები ლელავ". უიმედოდ არ ეძებს, ოღონდ იმედი შედეგის გარეშე არაფერია. "ახალი წელი კი დადგა, მაგრამ მე ძველებურად მეყვარები".

არიან ადამიანები, რომლებიც ურთიერთობას წყვეტენ ერთმანეთთან და ეს ჭრილობად აჩნდება გულს. ზოგჯერ ეს ჭრილობა სასიკვდილოა. უნდა გვეშინოდეს ამგვარი ურთიერთობების, თუ ვთხოვთ უფალს "გაგვხადოს ამ ტანჯვის ღირსი"? (შექსპირი) – "ისევ გინატრე ყვავილობისას, თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო."

პოეტ ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება ქართული უკვადავი პოეზიის ის ღირსეული ნაწილია, რომელიც ასე გვხიბლავს და გვაიმედებს ამ ბედუკუღმართ საწუთროში. "დიდი გადაიხადა მიწამ ძეობა". დედამიწა მისთვის დიდი დარბაზია, და ამ დარბაზში, ამაღლებულ ამბიონზე, აწყობს ქართული პოეზიის კდემამოსილი სულის აღზევებას. ამ დარბაზში შეჰყავს ადამიანები, ვის მიმართაც მისი სული მოკრძალებას გამოხატავს. სულიერების ამ დარბაზში ეპატიჟება სატრფოს. პოეტს კარგად ესმის, რომ პატიოსან სხეულში ბინადრობს მხოლოდ კეთილი სული, და რა კდემამოსილებით მიმართავს მას – "კოცნა? – არასდროს

არ მითხოვია". იმიტომ, რომ "მას" – "ურთიერთს" დროსა და სივრცეში აღიქვამს, როგორც მხატვრულ ტილოს, ამაღლებულს, ღვთიურს. ქალისადმი სიყვარულს ასეთი ფორმით ვერ გამოხატავენ, კლასიკოსი მწერლები, თავიანთ ნაწარმოებებში, სადაც ხშირად ხორციელი სიყვარული მეტად არის წინა პლანზე წამოწეული, ვიდრე სულიერი.

სხვა პოეტებივით არ აბრმავებს ქალის სურნელი. საყვარელი ქალისათვის ერთგულებას დროის დაკარგვად არ თვლის. პოეტი თვითონ საიმედოა და სიყვარულს ენდობა სხვა პოეტები იშვიათად ენდობიან ამ ძალას.

ის ენდობა, რადგან არის სიმართლე ამ გრძნობაში, რომელიც იმედს უსახავს სულში. – "შენს თვალებში ციმციმებდა მახსოვს, უსაზღვრო ცა იმედებით სავსე". დროისა და სივრცის კავშირი დარღვეულია. პოეტის სიტყვას უნდა ღრმად გაგება და არა ფრაზას მათგან შემდგარს.

პოეტ ბეჟან ხარაიშვილს თავისი ძვირფასი მეგობრები პატიოსნება და ერთგულება ეხმარებიან მარგალიტებად აკინძოს სიტყვები. – "მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს, მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?"

მღელვარე იყო პოეტის ცხოვრება. დიდი საქმეები ჰქონდა განსაზღვრული. სიცოცხლის ტვირთი ხომ შრომით და ჯაფით უნდა ზიდოს მოკვდავმა. ადრე წავიდა ამ სოფლიდან. ღრმა სიბერემდე ვერ ზიდა ცრუ საწუთროს აბგა. მისი გარდაცვალება კი უფლის მიერ ბოძებულ საიდუმლოს მკვეთრად აცხადებს: – კეთილი სულები არ კვდებიან, ისინი მარადიულ სოფელში აგრძელებენ ცხოვრებას.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზია შეგვახსენებს, რომ ამ ცხოვრებისგან გამათრახება არავის ასცდება! – "ამ ცხოვრებამ ხან დამძლია, ხან დავძლიე." – "შენ ორს ებრძვი მე და იმედს."

მისი პოეზია კი გვამხნევებს, იმედს გვაძლევს უფლისა და მისი სულის სადიდებლად.

ფრესკად გაეკარ

ყველაზე დიდი სასაფლაოა გული...
ბეჟან ხარაიშვილი

დარდების გორგალს ძარღვებს აწყვეტს შენი ლექსები,
ბურჟუასავით ხელთ მიპყრია ძველი ლორნეტი,
სულში ცეკვავენ მარგალიტები ქართული სიტყვის,
სიწმინდეებად, სიამაყედ, თავად პოეტის.
მამული იყო შენი ფუნჯი, გული, პალიტრა,
ჩაფიქრებული, მიყრდნობილი იყავი მთებზე,
არსებით გრძნობდი შავი ღრუბლის მოახლოებას,
დაჭრილ ხარივით რომ გმინავდი სამშობლოს ბედზე.
მაშინ მესაზღვრემ ლოდი დაგდო დაჭიმულ ნერვზე
რაინდულ ღიმით მიაგებე:
– „არ გეკადრება!"
...შენს მერე ქვეყნის ის სამანი ბჯერ დალეწეს,
არ ესმის ეშმას ანგელოზის ლოცვა-ვედრება.
და,
შენი გულით, – სასაფლაოდ გადაქცეულით,
ფრესკად აეკარ პოეზიას მოსვლისთანავე,

ძლიერი ფრთები შენს სულს ზეცად ეზიდებიან,
ვინ თქვა ლექსების,
ან პოეტის სიპატარავე.

თინათინ ხაბურზანია

ფიქრის კაცი

პოეტ ბეჟან ხარაიშვილს
ფიქრის კაცი დადიოდი ქვეყნად,
სიყვარულით სავსე გქონდა გული
და მტკივნეულ დარდად ტანზე გეცვა,
საქართველო, ქედზე დადგმულ უღლით.
დადიოდი რუსთაველზე, ლექსით
გატკეპნილი, პოეტური გზებით.
ჭადრების ქვეშ დაუტეველ მხრებით,
ვაჟკაცური, არწივული ფრთებით.
არ გინდოდა არაფერი ქვეყნად,
სამშობლოზე დარდის, ფიქრის მეტი.
რად გიმუხთლა აბელს შენ კაენმა,
შეგიცვალა დღე წყვდიადის ფერით.
და ქართველი, ისეთიც კი, შენ რომ
სასიკვდილოდ გაგიმეტა მაშინ,
მკერდზე ლექსად დაიწერე თვითონ,
ყველა ცოდვით, სიავით თუ ნაკლით.
ვერ მოესწარ ქარტეხილებს დროთა,
დაიღვარა, როცა სისხლი მოძმის.
თავჩაქინდრულ საქართველოს დროშას,
ვერ გაუძელ და მეორედ მოკვდი.
უთქმელ სიტყვას, დაუწერელ სტროფებს,
საქართველო იმკის ცრემლად რადგან,
იმ ძმათამკვლელ და სისხლიან ომებს,
შენი ლექსი ვერ დაედო წამლად.
ფიქრის კაცი დადიოდი ქვეყნად,
ზღვა სიყვარულს ვერ იტევდი სულში.
როგორც ლადო, როგორც მირზა, ბეჟან
შენც ჭაბუკად დარჩი მარად გულში!

ლიანა ოსიაშვილი მელიქიძე

ბ - ე - ჟ - ა - ნ ხ - ა - რ - ა - ი - შ - ვ - ი - ლ - ს

ბ – ედი, რომელიც გერგო წილხვედრად,
ე – ს შენს ლექსებში, როგორც მისანი,
ჟ – ინი რომ ჰქონდათ, მტრული, შენდამი,
ა – სე წინასწარ გამოიცანი...
ნ – ეტა "ქვეყანა რომ ანაცვალე",
ხ – ან სტროფნიც თავად ვარამს რომ სვამდნენ,
ა – რ დაგიფასეს მათთვის "ქრებოდი",
რ – ომ "გაგინეს და დანებს ლესავდნენ".
ა – ლბათ ნაკვალევს, როგორც "ირმისას",
ი – სე მისდევდი სატრფოს ხმას შორით",
შ – ენი კვალიც ხომ იმავ წამს წყდება,
ვ – არდის სუნში რომ იყნოსე "შმორის".
ი – სევ შეგხარით, "წითელ მიმინოს",
ლ – ეგენდა სტროფნიც ხომ ჩემს წინა ძევს...
ს – ტრიქონებს, ბედს რომ წინასწარ მიხვდი,
მისხალ-მისხალ ვხსნი, ვით ნაანდერძევს..

გულნაზი ხარაიშვილი

დრომ არ მიშველა

თბილისის ქუჩებს ვაკვირდები, შენს კვალს დავეძებ...
ფეხთა ნატერფალს ძველებური პეწი რჩენია,
ლექსები წერე! ჩამესმის და თითქოს მაქეზებ,
ეს ხმის ჩურჩული, ჩემო ბეჟან, ვიცი შენია.
დრომ არ მიშველა, ეს თვალები ისევ ტირიან,
მენატრები და ტკივილებიც უსაზღვრო არის,
შენი მხარ-ბეჭი ჩემო ძმაო, ცის ჯებირია,
ხმა კი სიონის გუმბათების სამრეკლოს ზარი.

ჩემ ძმას ბეჟანის

წახვედი, როგორც მწარე სიზმარი,
გადაგიბრუნდა ბედის ურემი.
ახლაც გიგონებს ხვანის მთა-ბარი,
იქ კვნესის შენი ნაფეხურები.
თურმე რა ცეცხლით გეწვოდა სული,
როცა ცხოვრებამ უწყალოდ გეჟეჟა.
რა ჯაჭვით გქონდა ბედი დაბმული,
ჩემო უსაზღვრო ტკივილო ბეჟან!
წუთისოფელი თუმც ბევრჯერ ავობს
გთხოვ, ნუ დამზრახავ ბედზე გამწყრალო,
თუ არ დაგადებ გულთან ხელს ძმაო,
რომ ტკივილებით არ გაგამწარო.
დაგვტოვე, მაგრამ კვლავ ჩვენთან ბრწყინავ,
გლოცავენ შენი მოძმენი, ძმაო,
ზეცაში ჰპოვე შენ მშვიდი ბინა,
და ძირს ჩამოსვლას ამაოდ ლამობ.
ლექსით უმღერდი სამშობლოს ზეცას,
შენი სიტყვები მტერს მოთოკავენ,
იმ გზას შენს გავლილს დრო ვერ დაკეცავს,
რადგან ლექსს მაინც ხომ ვერ მოკლავენ.
ნუ იტყვით გრძნობა გამიმძაფრაო
(უფალს არ დავღლი სიცოცხლის თხოვნით)
გულს, ამ ყველაზე "დიდ სასაფლაოს"
შენახვა ძალუძს მრავალთა ხსოვნის.
შემინდე ძმაო შენს დას ცრემლგამშრალს,
ვარ ლოცვით ცისკენ ხელებაწვდილი,
შენს დიდ სიცოცხლეს აგრძელებს ლაშა,
შენი სულის და ხორცის ნაწილი.

ჯუმბერ ლეჭავა ლეგენდაა

ჯუმბერ ლეჭავა გულის სიიდან არ ამოიშლება

ქუქუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი

ეს ამბავი, ზოგს უკვე აღარც ახსოვს და შეიძლება არც გაუგია. არა და რა დაგიმალოთ, მართალია დიდი ხნის წინათ მოხდა, რასაც ეხლა მოგიყვებით, მაგრამ მზარავს, როცა ვიხსენებ. ზღვაზე წასვლა ყველას გვიყვარს, ჩვენს ქვეყანას, ხომ შავი ღზვა ამშვენებს ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია, ბევრ ზღვის ნაპირზე, უფრო სწორედ ზღვის ნაპირას წყალში შევსულვარ.

ბედნიერება მქონდა მემოგზაურა წყნარი ოკეანის ზღვებში სამხრეთ ჩინეთის, იაპონიის, ხონგაის ყურეში ატლანტის ოკეანის ზღვებში: ხმელთა შუა ზღვაში, შავი ზღვის, მალტის, აზოვის. მარმარილოს ზღვა, ბოსფორის სრუტე

ინდოეთის ოკეანის ზღვებში: წითელი ზღვა, არაბეთის.

ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ზღვები: ნორვეგიის, გრელანდიის, აღმოსავლეთ ციმბირის.

მოგზაურობა გემით მდ. ვოლგაზე, მდინარე დუნაიზე.

ბაიკალის ტბით, ონეგის, ლადოგის ტბებზე, გუძინის ნაპირზე ნიაგარაზე და ა.შ.

ზღვაზე წასვლა ყველას გვიყვარს. ჩვენს ქვეყანას, ხომ შავი ზღვა ალამაზებს. ზღვის ცისფერ წყალს, რომ ვუყურებდი სულ მიკვირდა, რატომ ჰქვია შავი ზღვა. და აი, ერთ დღესაც ცა გაშავდა წამოვიდა კოკისპირული წვიმა და უცებ ზღვის წყალი გაშავდა. რამდენიმე დღე შავ ზღვას ვუყურებდი და მაშინ მივხვდი ჩვენმა წინაპრებმა, რატომ დაარქვეს ეს სახელი.

პირადად მე ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია და ბევრ ზღვებსა თუ მდინარეებში, უფრო სწორედ ზღვის ნაპირს წყალში შევსულვარ, მაგრამ ამას დიდი ცურვა არ ჰქვია, მარტო ვჭყუმპალაობდი. ესეც იმიტომ, რომ 15 წლის, რომ ვიყავი მთელი ოჯახით ქობულეთში ვისვენებდით: დედა, დიდედაჩემი, ჩემი და დალი და დეიდაშვილი მედიკო. ვცხოვრობდით კარლო კალანდაძის ოჯახში. გვერდით სახლში კი ისვენებდნენ საკონცერტო გასტროლებზე ჩასული: სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი და გურამ საღარაძეები, ემანუელ აფხაიძე, ბიძაჩემი ლევანი, რომელიც მათ კონცერტებს მუსიკალურად აფორმებდა. ერთ დღესაც ნაპირიდან ცოტა ღრმად შევუცურე ზღვაში. მიხაროდა, რომ ასე გავთამამდი, უცებ ვიღაცამ და-

იწყო ჩემი წყალში ჩათრევა შეშინებულს არ ვიცოდი რა მომემექმედა. ისე შემეშინდა, რომ გამომიყვანეს ზღვიდან. ბევრი წყალიც მქონდა ნაყლაპი. ძლივს მომასულიერეს არა და თურმე გურამ საღარაძემ „გაგეხუმრეო“. კარგი ხუმრობა კი იყო. დღეს როცა ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ეს შემთხვევა მე კარგად მახსოვს, იმიტომ, რომ მის მერე ნაპირს ვეღარ ვცილდები აი, გურამს კი აღარც კი ახსოვდა, თუ მისი ხუმრობა „რა ძვირად“ დამიჯდა, ყველაფერი ეს იმიტომ მოგიყევით, რომ უვერტიურასავითაა ის. რაც ეხლა უნდა მოგიყვეთ. ვინც კარგად იცოდა ცურვა და წყლისაც არ ეშინოდა ნაპირიდან 50 მეტრზე მეტის გაცურვის უფლება არ ჰქონდა, მას მესაზღვრეები აკონტროლებდნენ.

და აი, 1994 წელს ოქტომბრის თვე იდგა შავი ზღვა თავისი მშვიდი ტალღებით სიამოვნებას გვრიდა დამსვენებლებს. თუმცა დამსვენებლების რაოდენობამ ისე იკლო, რომ ზღვის პირას კანტა-კუნტად დაინახავდით. მათ დღის 1 საათი იქნებოდა სასტუმრო „მედეასთან“ თამრიკომ ჩემი მეგობრის ლალი კობახიძის ქალიშვილმა გადაწყვიტა ზღვაში წყლით გაეგრილებინა მზეზე გარუჯული ტანი, თამრიკოს ცურვით ბევრი იყო გაოცებული, რამდენჯერმე ზღვაში საზამთროც შეუტანია იქ გაუჭრია და ცურვის დროს კარგად მიურთმევია. საოცარია, ზღვა, საზამთრო და ასე ლაღი მოძრაობა წყალზე.

რამდენი საათი შეუძლია ზღვის წყლით სიამოვნება მიეღო. და აი, იმ დღესაც შეცურა ლამაზი ზღვის კოსტუმით. თევზივით მიცურავდა. კარგა მანძილი რომ გაიარა მიიხედ-მოიხედა და ზღვის ნაპირი არსად ჩანდა. არა და ზღვის წყალმა თითქოს შეიტყუა ღრმად იგი და თამრიკო მიხვდა,რომ მხარი ეცვალა. მას შეეძლო ზურგზე დაწოლილს თვაალი მიეხუჭა და ასე სვენებ, სვენებით კარგი მანძილი გაეცურა. ამჯერადაც ასე მოხდა საით გაეცურა აღარ იცოდა. დრო ძალიან სწრაფად გადიოდა, უკვე მოსაღამოვდა. თითქოს მზეს მისდევდა, მაგრამ ისე სწრაფად ჩაესვენა მზე, რომ ამ სიამოვნებით თითქოს თავბრუ დახვეული ჯადოქარივით, რაღაც ძალა არ ეშვებოდა. და თამრიკოც ლაღად სირინოზივით, თავისუფლად მოძრაობდა. წყნარ, მშიდ ძღვის ზედაპირზე. აი, პირველი ვარსკვლავიც გამოჩნდა და ცაზე მკრთალად გამოსახული მთვარე უკვე გაცოცხლდა. ცის თაღი თანდათან ივსებოდა ვარსკვლავებით, თამრიკო მიხვდა, რომ ზღვაზე ასე ლაღად მისი ცურვა შეიძლება რამე ხიფათში ჩააგდოს, არა და პირველ რიგში, რომ ზღვის ნაპირას დარჩენილი მისი მეგობრები შეწუხდებოდნენ მისი დაგვიანებით.. ასე მთელი ღამე წყლის ზედაპირზე მყოფს შეცივდებოდა თუ არა უფრო ღრმად ჩაყვინთავდა წყალში და თითქოს თბებოდა... თამრიკომ ის არ იცოდა რომ წყლის ზედაპირზე დღისით თუ სითბო 30 გრადუსამდე იყო ღამით 11 გრადუსით შემოიფარგლებოდა. ძალას კი მთვარე და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქოს ენერგიას კოსმოსიდან სთავაზობდნენ. თამრიკო ხან წითლდებოდა, ხან თავის საყვარელ ლექსებს ხმამაღლა კითხულობდა. აი, გამოჩნდა უკვე რიჟრაჟზე დიდი იტალიური გემი თამრიკო მიუახლოვდა გემს გემიდან გამობოლვით შავი ფერით შეიმოსა. ეგონა გემი აიყვანდა, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მას არ გქონდა უფლება სასაზღვრო ზოლში გემის შეჩერების. უკვე დილით რიჟრაჟზე პირველი მზის სხივი მას შეესალმა და სიხარულის შეგრძნებით იმედი მიეცა. ამ დროს იქ დაინახა შორიდან ზღვაზე მოძრავი ბარჟა. თამრიკო უკვე თურქეთში იყო ეს ბარჟა სოხუმიდან მიემართებოდა – ტრაპიზონში. მისი მგზავრები დილაადრიან კარტოფილის ფრცქვნით იყვნენ დაკავებული. მათ შორიდან დაინა-

ხეს, შავი რაღაც ჯადოქარი მასა ატეხეს ყვირილი რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო მათი შთამბეჭდავი ამ მაზუთში ამოსვრილი მაშინ გაიფანტა, როცა ბარჟას მიუახლოვდა. ავიდა ბარჟაზე და ორი კაცი, ერთი ქალი და ბავშვი სიცილით იგუდებოდნენ თუ საიდან გაჩნდა ამ შუა ზღვაში... დიასახლისმა მისცა საპონი და თამრიკო ისევ გადახტა ზღვაში და საპონით სულ ჩამოერეცხა მისი სიშავე. ულამაზეს მართლა ანგელოზს გავდა, დააპურეს ,თავისი ტანსაცმელი შემოაცვეს და სთხოვეს მათთან ერთად ტრაპიზონში გაყოლოდა. ამ დროს მთელი ბათუმისა და თბილისის მთავრობა აფორიაქებული ეძებდნენ თამრიკოს. თბილისიდან არჩილ გოგოლია ვეჩეს საშუალებით დაუკავშირდა ბათუმის მთავრობას.

უკვე მოსაღამოვდა თამრიკომ დაინახა ზღვაზე, კატერები ცაში კი ორი ვერტალიოტი. ბარჟის მეპატრონეებმა თამრიკოს აუკრძალეს რაიმე ზედმეტი მოძრაობა, რომ მაშველებს არ დაენახათ. ერთი კატერი ძალიან ახლოს მიუახლოვდა ბარჟას, მესაზღვრეებმა ჰკითხეს „ხომ არ შეგიმჩნევიათო ახალგაზრდა გოგო და მათ უარზე თამრიკო მიხვდა, რომ ეს ძიება მის გამო იყო უცებ წამოხტა და პირდაპირ ზღვაში აღმოჩნდა მეზღვაურებმა თამრიკო წყლიდან ამოიყვავნეს თბილ პლედში გაახვიეს და ასე წამოიყვანეს. ეს ისე სწრაფად მოხდა რომ მადლობის თქმა ვერ მოახერხა. მთელი გზა კატერებს თან თოლიების დიდი რაზმი მიაცილებდა. თითქოს თამრიკოს პოვნა მათაც გაიგეს...

ბათუმში სასაზღვაო სამმართველოს უფროსი, ექიმები, სასწრაფოს მანქანა უამრავი ხალხი შეეგება თამრიკოს. იმ წუთას თბილი ტანსაცმელი ჩააცვეს, ექიმებმა გასინჯეს, ყველა ეფერებოდა თამრიკო ზღვაში გატარებულ ღამეს, სიზმარში მოსვენებას არ აძლევდა.

დღეს უკვე, როცა თამუნა ბებია გახდა თურმე მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი თავისი შვილებისათვის და არც შვილიშვილებისათვის არ მოუყოლია. ფიქრობს რომ ამ ამბავს ზღაპრად, მის ფანტაზიად ჩაუთვლიან.

ეს ნარკვევი კი, როცა მოუყევი ჩვენი ოჯახის უახლოეს პიროვნებას ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, იუნესკოს მსოფლიო დესპანს, მსოფლიო სპორცმენს, გაეროს ბუნების დაცვის ელჩს გინესის მრავალგზის რეკორცმენს, მსოფლიო ველომოგზაურს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენის კავალერის მსოფლიო 2009 წლის ადამიანს, მსოფლიო მრავალი ქალაქის მოაქალაქეს, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელს, 5 აკადემიის აკადემიკოსს ასეთმა პოპულარული პიროვნება ძალიან დაინტერესდა და მთხოვა ის რაცა მოუყევი დამეწერა ნარკევევად და დამებეჭდა ჟურნალ „ათინათში“.

დღეს, როცა აღარ არის ცოცხალი ბატონი ჯუმბერი ვასრულებ მის თხოვნას და ყოველთვის ვფიქრობ ქართველი ქალის ასეთ გმირულ შემართებაზე.

* * *

ნიციდან სწრაფმავალ მატარებლით პარიზისკენ გამოვემგზავრეთ. ერთ-ერთ სადგურზე ერთი ზანგის ქალბატონი ამოვიდა რამდენიმე ხელჩანთით. ჩემი შვილი ერეკლე წამოხტა მიეხმარა, ჩანთები ვაგონის შემოსასვლელში თაროზე დააწყო და ამით მთელი ვაგონის მგზავრების ყურადღება მიიპყრო. ზანგმა ქალბატონმა დიდი მადლობა გადაუხადა, მგზავრობა ძალიან სასიამოვნო იყო. რამდენიმე საათში პარიზში ვიყავით. პარიზს ჩვენ ვამბობთ, ფრანგები კი პაღის უწოდებენ. ჩვენი ბარგი ერეკლემ ურიკაზე დააწყო და ტაქსების გაჩერებასთან შეაჩერა. აღმოჩნდა, რომ ის ჩემოდანი, რომელშიც მისი ტანსაცმელი ეწყო დაიკარგა დაიკარგა ყველასათვის ძალიან საწყენი იყო იმ ჩემოდნის დაკარგვა. ვურჩიე დაბრუნებულიყო და იქნებ ვაგონში მოიძებნებოდა. სულმოუთქმელად გაიქცა ერეკლე. ვაგონი აღარ იდგა, მაგრამ აი, საოცრებავ, ის ზანგის ქალბატონი იდგა თავის ბარგით და ყარაულობდა ერეკლეს ჩემოდანს. „დარწმუნებული ვიყავი, რომ მოძებნებოდითო. ერეკლემ

მადლობა გადაუხადა და როცა ჩემოდნით ხელში დავინახეთ ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „სიკეთე თავის გზას არ დაკარგავსო“, ასე ამბობენ ხალხში და ამჯერადაც ამ ნათქვამმა გაამართლა.

მარინა ყიფიანი

ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას!

ჯ--ერაც არ მინდა დავიჯერო" მეხის გავარდნა",
უ--ლმობელ სიკვდილს თუ შეეძლო მისი დაჩაგვრა,
მ--რავალი ჯილდო-რეკორდებით უბადლო სპორტსმენს,
ბ--რმა ბედისწერა მუღალატა, როგორ დაჯაბნა.
ე--რის და ქვეყნის სასახელო მამულიშვილო,
რ--აგულმა უნდა აიტანოს შენი დაკარგვა,
ლ--აჟვარდ სივრცეში ზეცას ასწვდა სული ძლიერი,
ე--მახსოვრებიქართველობასდაარდაგკარგავს.
ჟ--ამთაცვლასახელსდანატოვარსვერასდააკლებს,
ა--ხალთაობასგაუნათებსგზასმომავლისას,
ვ--ამაყობ, მეციმსაქართველოსერთიშვილივარ,
ა--სეთვაჟკაცებსრომიგლოვებსჩვენგანწასვლისას.

მერი სპანდერაშვილი

საქართველოს ისტორიის საძირკველში ჩადებული ოქროს ზოდი

იმდენი რამ დაიწერა ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე, იმდენჯერ გააოცა მსოფლიო თავისი „რომანტიკული ველოსიპედით“, რომ მე ახალი რაღა უნდა დავწერო; მაგრამ მაინც ვცდი, რომ დაგვიანებული პატივისცემა და არტაცება გამოვხატო....

ბატონი ჯუმბერი ხშირად ხმარობდა სიტყვას „ჩვენ“ რაშიც გულისხმობდა „ღმერთი, ჩემი ველოსიპედი და მე“ - ერთად ვმოგზაურობთო. მან თავისი მოგზაურობა მიუძღვნა საყვარელ ადამიანებს: მეუღლე - ლიანა ალიბეგაშვილს, მეგობრის ვაჟს – რატი კუკაჩეიშვილს და მეგობარ ჟიული შარტავას.

ბატონი ჯუმბერის თაოსნობით იბეჭდებოდა ჟურნალები, რომლებსაც საკუთარი სახსრებით აფინანსებდა. ჟურნალ „ჯუბა ბაბუას საზღაპრეთში“, ბავშვების სულიერ და ფიზიკურ აღზრდაზე, მათი ჯანსაღი ცხოვრების წესის აუცილებლობაზე საუბრობდა. ჟურნალი „ათინათიც“ ხომ სწორედ მის სახელს უკავშირდება: ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.

კაცმა, რომელიც ფაქტიურად მკვდრეთით აღსდგა, სასწაულები მოახდინა. მსოფლიო მოგზაურმა უამრავ განსაცდელს გაუძლო: უდაბნო, ჯუნგლები, ციმბირი, გაყინვის საშიშროება და ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა თავის საყვარელ საქართველოში.

მინდა ჩემი ფიქრები ფურცლებზე გადმოვიტანო: რატომ უჭირდა ბატონ ჯუმბერს სპონსორების მონახვა? რატომ აიღო მან ვალები ჟურნალი „მოგზაურის“ გამოცემისას? რატომ უთხრა უარი თბილისის ყოფილმა მერმა საპატიო მოქალაქეობაზე? რატომ არ გამოუყვეს ფული ახალი რეკორდის დამყარებისთვის და რატომ არ ისურვა სხვისი დროშის ქვეშ რეკორდის დამყარება? ვფიქრობ და კ. გამსახურდიას სიტყვები მახსენდება: „თუ დიდი კაცი გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

მიუხედავად ამისა, თქვენი საქმიანობით საქართველოს ისტორიის საძირკველში ერთი მაგარი მკვიდრი ქვა ჩადეთ, რომელიც ოქროს ზოდის ფასია. თქვენი ცხოვრება ის საჯილდაო ქვა იქნება, რომლის აწევაზე მრავალი ქართველი იოცნებებს მომავალში.... თქვენი უკვდავებაც ამაში გამოიხატება. უფლის წყალობით მრავალ განსაცდელს გაუძელით. ალბათ, ამიტომაც უწოდეთ „ჩემი ბობოქარი ცხოვრება“ თქვენს მიერ განვლილ გზას.

მირანდა ხოდელიძე

ბატონი ჯუმბერი იყო კაცი, მსოფლიო ლეგენდა. მან მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სპორტს და ჯანსაღ ცხოვრებას.

ბატონი ჯუმბერი იყო მსოფლიოს სპორტსმენი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველოსიპედისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენის კავალერი, ხუთი აკადემიის აკადემიკოსი.

სწორედ ასეთი პოპულარული პიროვნების სახელს ატარებს მეცნიერებათა აკადემია, რომელშიც მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის საამაყო და სასიქადულო შვილები – აკადემიკოსები, პროფესორები და პედაგოგები, რომლებიც თავგაუზოგავად შრომობენ და გადმოსცემენ თავიანთ უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას მომავალ თაობას. არ შეიძლება ამ აკადემიის კედლებში აღზრდილმა ახალგაზრდებმა რომ არ მიაღწიონ ცოდნის უმაღლეს მწვერვალს და არ გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილები. სწორედ ამ კედლებში, ამ აკადემიასი იზრდებოდა ჩემი შვილიშვილიც – მირანდა წიკლაური, რომელმაც ცხრა თვის წინ მოულოდნელად 16 წლის ასაკში მიგვატოვა, მიატოვა ყველა მისი მეგობარი, პედაგოგი, ახლობელი და გაფრინდა ზეცაში, უფალთან. ის იყო ანსამბლ “ქსოვრელების” სოლისტი და პედაგოგი ელდარ შოშიტაშვილი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. მაგრამ ავბედითმა შემთხვევამ ის ასე უმოწყალოდ იმსხვერპლა.

მისი გარდაცვალების შემდეგ მე მტკიცედ გადავწყვიტე, რომ მიმეძღვნა ჩემი თავი ამ აკადემიისათვის და გავმხდარიყავი მისი ერთგული წევრი და ყველასთან ერთად გამეზიარებინა ყველა მისი ტკივილი თუ სიხარული, მაგრამ, აი, კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა და დიდი ტკივილი, მოულოდნელი გარდაცვალება ბატონი ჯუმბერის, რომელმაც კვლავ გააახლა ჩემში უდიდესი ტკივილი.

“სანთელს დავუნთებ წმინდა მარიამს
და შევავედრებ შენს სულზე ლოცვას,
შენ, საქართველოს უდიდეს ვაჟკაცს
უკანასკნელად გილოცავთ დიდ გზას.
შენ განისვენე წყნარად და მშვიდად,
ზეციდან ლოცე ქართველი ერი,
ვიცი, რომ ჰპოვებ ცის სასუფეველს
და ჩაგიხუტებს უფალი ღმერთი.”

თინათინ ხაბურზანია

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო და იქნება მე-20 და 21-ე საუკუნეების ლეგენდის ახალი გმირი. კაცი-ლეგენდა

მე, მისი სახელობის აკადემიის წევრმა, შევეცადე ჩემი მოკრძალებული ლექსებით შევხმიანებოდი მის ამოუცნობ ფენომენს. მისი ნათელი სანთელივით გაუძღვება ჩვენს აკადემიას და ჩვენც შევეცდებით ღირსეულად გავაგრძელოთ მის მიერ დაწყებული ღირსეული საქმეები.

გამოსათხოვარი ჯუმბერ ლეჟავას

ვერ დაგიტირა თანამეცხედრემ,
ვერ დაგაპკურეს შვილებმაც ცრემლი,
მაგრამ ქართველი, ყოველ მეორე,
ჭირისუფალი იყო დღეს შენი.
შემოიარე მსოფლიო ვრცელი,
შენ ბრუნდებოდი გამარჯვებებით.
დღეს რად ირჩიე ასეთი გზები,
რომ დაგეკრიფა გულზე ხელები.

მიგაცილებდა ცრემლი და სევდა,
ტიტულთა მთელი არზის რეკორდსმენს.
მსოფლიოს დესპანიც იმიტომ გერქვა,
გზებზე ტოვებდი მხოლოდ სიკეთეს.
უკვდავება ბევრ მოღვაწეს ერგო,
დაიმშვენა ბევრმა ჯილდოთი მკერდიც.
მთავარი ჯილდო, რაც შენ ერთს გერგო,
სიყვარულია ქართველი ერის!

2014წ, 30 ივლისი

მანონ ყუბანეიშვილი

რა საშინელებაა... ის კუბოში წევს მშვიდად, ოდნავ სევდიანი სახით. ნეტა რა ვაწყენინეთ? ალბათ, ბევრი რამ ეწყინა ამ ღვთისკაცს ჩვენგან, ამიტომაც წაიყვანა ღმერთმა, არ გაწირა მეტი ტანჯვისათვის... მან ხომ მთელი მსოფლიოს სიხარული და ტკივილი იგემა ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

რა ალალია მისთვის დასვენება, ღვთის ჯილდოა თითქოს, მაგრამ როგორ დაგვაკლდა ის, როგორ გვედგა, ფიზკურად თუ ბრძნული სიტყვით, გვერდით; მზად იყო, ყოველთვის საჭირო რჩევა მოეცა, ამ უკიდეგანო სპეციალობაში, როგორიც კლასიკური მუსიკაა, თუმცა მისი სპეციალისტი სულაც არ იყო. როგორ შეეძლო ჩასწვდომოდა მის სიდიადეს! როგორ უშურველად იმეტებდა დადებით შეფასებას! გამოხატავდა აღტაცებას, ამკობდა ჩემს ხელოვნებას ისეთი სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგში მოღვაწეობის დიდი სტაჟი მაქვს, არავის გამოუმეტებია ჩემი მისამართით, ჯერჯერობით.

ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა მარგუნა ასეთი ლეგენდარული ადამიანის გვერდით ყოფნა, მეგობრობა... და როცა წარმოვიდგენ, რომ ის იყო ჩემი პროექ-

ტის დირექტორი და მეგზური (საუბარია საქართველოს მსოფლიო მიდწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირი "გიორგი"-ს მიერ წამოყენებულ პროექტზე – დირექტორი გვანჯი მანია – დევიზით: "ხელოვნება აერთიანებს ყველას!" ესაა მუსიკალურ-სარეკორდო მარათონი – 2000 მეტი კლასიკური ნაწარმოების ორმაგი დატვირთვით (როგორც პიანისტი – კონცერტმაისტერი და ვოკალისტი ერთდროულად) შესრულება. გული სიამაყით მევსება, თუმცა ახლა ვინ განახორციელებს ჩვენს დაგეგმილ მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო: თბილისი, საქართველო – მსოფლიო. კიდევ იქნება ადამიანი, რომელსაც ასეთი აღფრთოვანება შეუძლია გამოხატოს ჩემს გამო? მან წარმადგინა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილთან აკადემიაში, რის შემდეგაც დაიწყო ჩემი შემოქმედებითი მეგობრობა ამ უმშვენიერეს პიროვნებასთან.

მე როგორც შემიძლია გავაგრძელებ დაწყებულ საქმეს, იმედი მაქვს მისი სახელი მიწიდანაც დამეხმარება...

გემშვიდობებით საოცარო ადამიანო; კეთილო, ვაჟკაცურო, გულუხვო, სიმართლის მძებნელო მთელს დედამიწაზე და მსურველო, რომ ის შენს სამშობლოში დაგეთესა, ყველაზე დიდი დოზით.

შენ აღარა ხარ, რა ტკივილია, რა სიცარიელემ დაისადგურა უცებ... რა ვქნათ, როგორ განვახორციელოთ უშენოდ თქვენი მიზნები, იდეები, ჩვენ ამისათვის ძალიან პაწაწინები ვართ. დაგტირით თქვენ და უფრო მეტად ჩვენს თავს. ნეტავ უპატრონო ცხვრების ფარას არ ვემსგავსოთ.

რა გვეშველება, როგორ დავისაჯეთ, რომ ვერ გაგიფრთხილდით.

რუსუდან გორდეზიანი

ჩემთვის საერთოდ მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება. მისი ისტორიების მოსმენის შემდეგ, ზოგჯერ უკვდავიც კი მეგონა. ბოლოს, გადრაცვალებამდე ოთხი დღით ადრე შევხვდი ტექნიკურ უნივერსიტეტში და ერთად დავგეგმეთ საცურაო მარათონი, რომელსაც აგვისტოში ჩავატარებდით. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე იუბილარი იყო და ტელეფონით მივულოცე. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი, ამქვეყნიურ ცხოვრებაში. სიცოცხლეში ვერ ვაფასებთ ადამიანებს. ალბათ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სიკვდილი, რომ უფრო მეტად გვიყვარდეს სიცოცხლე. ბატონი ჯუმბერის დამსახურებაა თუკი რამეს მივაღწიე სპორტში. ბოლომდე მედგა გვერდით. თავის აღმოჩენას მეძახდა. საკუთარი თავის რწმენას მმატებდა ის, რომ მას სჯეროდა ჩემი. მოიარა მსოფლიო, გაუძლო ამდენ განსაცდელს, გამოცდას ტკივილს, ღალატს, რწმენით ღმერთისა და სიყვარულით ადამიანების მიმართ, სიყვარულით სამშობლოს მიმართ. გაფრენილი ჩიტივით შემოუარა მსოფლიოს და სამშობლოში დაბრუნდა. ალბათ ამიტომ გაუძლო ამდენ განსაცდელს, რომ საქართველოს სიყვარულს ატარებდა თან. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით საქართველოზე, ქართველობაზე და სიყვარულზე სამშობლოსადმი. ახლა უფრო მეტად ვხვდები, როგორი შვილი დაკარგა საქართველომ და როგორი მოძღვარი მე. თუმცა მან იმდენი გააკეთა ჩვენი ქვეყნისათვის და ისე იცხოვრა, რომ მჯერა საუკუნეებს გაუძლებს მისი სახელი და ღირსება საოცარ ადამიანად მსოფლიოს შთამომავლობისათვის. მისი თავმდაბლობა არ გვაძლევდა უფლებას დაგვენახა მისი დიდი ადამიანობა და ალბათ ჩვენ ვერც შევძლებდით ამის დანახვას, რადგან ძნელია დაინახო ის გზა, რომელიც მან განვლო, ერთი შეხედვით დაინახო მსოფლიო და ერთ კადრში ჩატიო იგი. ცხოვრების რაღაც ეტაპზე ადამიანებს ვშორდებით, რომელიღაც გზაჯვარედინზე, რაღაც გვაშორებს, რასაც სიკვდილს ვეძახით, მაგრამ მჯერა, რომ

ეს მხოლოდ დროებითი განშორებაა და ოდესღაც, სადღაც, ისევ, კვლავ შევხვდებით ჩვენს ძველ მეგობრებს.

არ გემშვიდობებით!

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე:
"ეხ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!"
თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,
ერთი იმედით, სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს!
საქართველოში როცა კვდებოდნენ,
უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე:
"ეხ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!"
ჩვენ ვაუკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!
რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამქვეყანაზე!

ლამზირა შეყილაძე

დაუვიწყარი ექსკურსია

მზემ თითქოს უსასრულობით ზენიტს მიაღწია, გაბრწყინდა და მეტი მხურვალებით უმტკიცებდა დედამიწას თავის სიძლიერეს. ჰაერი დაიხუთა, სუნთქვა გაჭირდა, ხალხი ქუჩაში გასვლას ერიდებოდა. ამ გაუსაძლის სიცხეს თუ ცხოვრებას ასე თუ ისე გაჭირვებით ვუძლებთ. რას არ მოიფიქრებს ადამიანი! როგორი შესატყვისი სახელი დაარქვეს ქართველებმა ერთ-ერთ თამაშს "ამტანები". ნამდვილად რომ შეგვეფერება, არა ამის ახსნას კი არ ვაპირებ, უბრალოდ, გამახსენდა...

ტელეფონის წკრიალმა გამომაფხიზლა ფიქრებიდან. სიცხით გათანგული ყურმილს დავწვდი. ჩემი სულის მოზიარემ ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა ჩვეული სითბოთი და სიყვარულით მომიკითხა, საუბარში მან მამცნო: შაბათ საღამოს მცხეთაში ექსკურსიას ვაწყობთ, იქნებ შენც შემოგვიერთდე-ო. სიხარულით დავეთანხმე. ვიფიქრე ყოველი დღე ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს და ერთ განსხვავებულ დღეს რომ შეეცვალა ერთფეროვნება, ამაში რა იქნებოდა ცუდი?!

გეზი მცხეთისკენ ავიღეთ, რა თქმა უნდა, ღვთიური ადამიანი ღვთის გზაზე გატარებს, შევედით ჩვენს დიდ სალოცავში, სვეტიცხოველში. მოვილოცეთ, სურვილების ასრულება, ერთი-მეორის კეთილდღეობა, ჩვენი სამშობლოს ერთიანობა და სიძლიერე შევთხოვეთ, უფალს მადლობა ვუჩურჩულეთ, ზეციურ დასს მოწიწებით მივეალერსეთ და გამოვედით.

შემდეგ დედათა მონასტერს ვეწვიეთ, ღმერთო ჩემო, რამდენჯერ მიფიქრია იქ მოფუსფუსე დედებზე და მათზე, ვინც უფლის გზაზე შემდგარა და ემსახურება უფალს. მეც ხშირად მქონია და ეხლაც მაქვს სურვილი, რომ მათ შევუერთდე, მაგრამ ალბათ, ჯერ მზად არ ვარ ამ დიდ საქმისთვის. ამ ფიქრებში ჩაძირულმა დავანთე სანთლები და იგივე ლოცვებით და სურვილებით მივესათუთე ხატებს. მეგობრები ჩემზე ადრე გამოვიდნენ ტაძრიდან. თვალით მოვძებნე და მათკენ განვაგრძე სვლა, როდესაც მათ სიახლოვეს მივედი, ჩემს წინ ასეთი სურათი გადაიშალა: საფლავი, მასზე გულაღმა მწოლიარე ბავშვი, რომელსაც თვალები ზეცისკენ აღეპყრო, ირგვლივ ხალხი ირეოდა, ზოგი ფეხზე იდგა და ჩუმად ბუტბუტებდა. ზოგი მუხლმოყრილი საფლავზე სურათს დებდა, ზოგი ჯვარს, ზოგიც

მხოლოდ საფლავის მიწას ეხებოდა ხელებით და ჩურჩულით ლოცულობდა. მზერა საფლავის ქვისკენ გამექცა. ღმერთო ჩემო, ეს ხომ მამა გაბრიელის საფლავია! სურათიდან მამა გაბრიელის ღვთიური გამომეტყველება და მზერა ირგვლივ მყოფებს მადლს და სიყვარულს აფრქვევდა. ჩემი პირველი სათხოვარი გულაღმა დაწოლილი ბავშვის სიჯანმრთელე იყო. თუმცა, არ ვიცი თუ რა აწუხებდა, ანდა რა მნიშვნელობა აქვს, ხომ სტკივა... შემდეგ დანარჩენი ხალხის კეთილდღეობა შევთხოვე, ბოლოს ჩემი საწუხარიც დავამატე.

ჩემთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ისე ვერ ვილოცე, როგორც ადრე მქონდა გადაწყვეტილი, ვერც ღვთიური ზეთი წამოვიღე, სამაგიეროდ, ვგრძნობ, რომ წმინდა გაბრიელის მადლი გამომყვა და ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მეხსიერებაში ეს ლამაზი საღამო წარსულის მშვენიერი ფურცელი იქნება, სურათებიც გადავიღეთ ამ დღის აღსანიშნავად. მე პირადად მეამაყება ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებების გვერდით, უფრო მეტად კი ბატონ ჯუმბერ ლეჟავასთან ყოფნა. აქეთ-იქიდან ესალმებოდნენ და ჩუმად ერთიმეორეს ეჩურჩულებოდნენ: ეს ბატონი ჟუმბერ ლეჟავა ბრძანდება, დიდი მოგზაური. რამდენიმეს აღტაცებულ თვალებსაც კი წავაწყდი, რაც მეტ სიამოვნებას მანიჭებდა. მომსალმებელთა შორის იმყოფებოდა 20-21 წლის ყმაწვილი, ჩვენი თანამემამულე, ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები, როდესაც ბატონი ჯუმბერი წარუდგინეს, მან აღფრთოვანება ვერ დამალა: ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი დიდი პიროვნება თუ ასე თავისუფლად დადიოდა და მე შევხვდებოდი-ო.

ბატონმა ჯუმბერმა შეაგება: აი, აქ, შენს ახლოს, რომ ქალბატონები დგანან, პოეტები არიან, ყმაწვილის თვალებიდან სიხარული, სიამაყე, სიყვარული გამოსჭვიოდა. ხელმეორედ ჩამოგვართვა ხელი და ჩვენც დედური ლოცვა შევაგებეთ. ბატონმა ჯუმბერმა კი უთხრა: იცოდე, სადაც არ უნდა იყო, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდა იღწვოდე-ო.

ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ჩვენ ყველას ერთი დიდი საფიქრალი გვაქვს, ეს ჩვენი სამშობლოა. სამშობლო, შენ ჩვენი სულის განუყოფელი ნაწილი ხარ და გვტკივიხარ ისე, როგორც საკუთარი სხეული!

ჩვენ გავჩნდით ქვეყნად ღმერთისგან,
ღმერთია ჩვენი მფარველი,
ღმერთო, გვაშორე სიმუხთლე,
გაამთლიანე ქართველნი!

ბატონ ჟუმბერ ლეჟავას

სამშობლოსათვის თმობდი სიცოცხლეს,
რამდენჯერ მკერდში მოგხვდა ისარი.
დარჩება დროთა ქრონიკონებს,
კაცი, მსოფლიო დაუვიწყარი.
ახლა დაგტირით, დიდო ლეგენდავ,
თვალთაგან გვცვივა ცრემლები ღვარად.
შენი სვიანი სულის მშვენება,
სამშობლოს გულში ენთება მარად.
ღვთიური მადლით იყავ მოსილი,
სიმართლის წმინდა კოშკი აიგე.
ჩვენი ლოცვები და სიყვარული,
დიდ საუფლოში საგზლად წაიღე!

29. 07. 2014 წელი

კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას

იყავ უამრავ სიკეთით სავსე,
უმკლავდებოდი ცხოვრების ღელვას,
ჩვეულ სიმშვიდით გარდაიცვალე,
კაცი, რომელიც დაგვაკლდი ყველას.
რამდენჯერ მდგარხარ სიკვდილის ზღვარზე,
უშიშრად განვლე გზა მამაცობის.
ლეგენდად ივლის დედამიწაზე,
სახელი შენი დიდი კაცობის.
შენთვის ღიაა ზეცის კარიბჭე,
შეეგებები ყოველ მზისობას.
ბუნებით სათნო და სულით ბროლა,
მზეში გაჰყვები მარადისობას.
დროს გადალეწავს ტალღების ზვირთი
და ისტორია გაიმზიანებს.
შენი ქრონიკის, ცხოვრების ტვირთი
გაჰკვეთს უხილავ მერიდიანებს.
დაუვიწყარი შენი სახელი,
სამშობლოს გულში კვლავ იხმაურებს;
აწი კი, შენი სული, ნათელი,
უკვდავებაში იმოგზაურებს.

2014 წ.

ნაილი ხარაიშვილი

მსოფლიო მოგზაურ ჯუმბერ ლეჭავას ხსოვნას

ბევრჯერ გინახავს მზის ჩასვლა ჯუნგლში,
და შეხიზნულხარ თავშესაფარში მოთმინებისა,
რა სიძლიერის სიკეთე კრთოდა მაგ თვალებიდან!
შეპყრობილივით გზას გითმობდა ხროვა მგლებისა..
შენს დანახვაზე გადიქცეოდა ვეფხვი კეთილად,
შემოსილ მაუგლს მოგელოდნენ ტყის ბინადარნი,
ტოტს გაწოლილი, გიღიმოდა შავი ავაზაც,
შენს სტუმრობას აგრძნობინებდა ხმა შინაგანი.
მეგობარივით ტაშს გიკრავდა არწივი ციდან,
ცელქი მაკაკა ლიანისგან გიქსოვდა ჰამაკს,
ლეოპარდების ოჯახებსაც რომ შეხვდებოდი,
გესალმებოდნენ სათითაოდ ლამაზს და ამაყს.
მგალობელ ჩიტთა გაოცებდა გაორკესტრება,
ვით ცისარტყელა, თუთიყუშთა ირაო ცაზე,
ველურ ბუნების ეგზოტიკას სიღრმით სწვდებოდი,
სიყვარულს ჰფენდი მოგზაური მსოფლიოს გზაზე.
ვერ გაუძლებენ ყვავილებიც შენს ზეცად ასვლას,
მათგან ნაკმევი სურნელება გამოგაფხიზლებს,
შენთვის მოქარგულ ფიანდაზზე დაგავანებენ,
მათთან ერთად გვემშვიდობები ჩვენც, ძმადნაფიცებს.
შავით მოსილა ველოსიპედის ორი ბორბალიც,
ორთავ სოფელში ნათლით გიბრწყინავს ძლიერი სული,
წინა ბორბალით გულში დარდებს, ფიქრებს იხვევდი,
და,
მეორე კი...
დაგყვებოდა, როგორც წარსული.

ლაშა ხარებავა

ბატონო ჯუმბერ, თქვენ ერთად-ერთი პიროვნება იყავით საქართველოში მსოფლიო მოქალაქე...

ერის შვილობა, მსოფლიო მოქალაქეობა, უბრალოება, სიკეთის თესვა ერთად, ვინმეს შეემიჯნოს, სხვაში ნამდვილად არ მინახავს, თქვენ ერთად-ერთი პიროვნება იყავით ასეთი და თითოეულ ქართველი ამაყობდა თქვენით კიდეც...

მჯერა ცაშიც ზარ-ზეიმით შეგხვდებოდნენ. მე ისიც მჯერა, რომ ჩემი ძმა „ბათუ" შემოგებებოდა და გეტყოდათ: ვერ მიცანი?.. მე ბათუ ვარ, მიწიერნი „სამართლიანს", რომ მიწოდებდნენ... რადგან აქ მოსვლა შენთვის აუცილებლობას წარმოადგენს, მიგულე ერთგულ მეგობრადო.

გიორგი ლარიაშვილი

"შეუცნობელია გზანი უფლისანი", შეუცნობელია სამანი ადამიანის შესაძლებლობებისა.

"უშიში, ვითარცა უხორცო"- ეს ეპითეტი, ალბათ, ყველაზე მეტად ბატონ ჯუმბერს შეესაბამებოდა. მან დიდი შემართებით, ფიზიკური და სულიერი ძალისხმევით, განუსაზღვრელი შრომისმოყვარეობით, უდიდესი მოტივაციით, პასუხისმგებლობით, სამშობლოსა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით, თავისი ცხოვრების წესით, გვიჩვენა, რისი მიღწევა შეუძლია, ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანს.

ძნელად წარმოსადგენია, ფიქრით გაჰყვე მის განუმეორებელ, ფათერაკებით აღსავსე განვლილ გზას, შეეხო მის მარშრუტს და განიცადო, შენი თვალით იხილო მთელი მსოფლიო, გადაიღო და აღწერო ნანახი, საკუთარ პრიზმაში გაატარო და ნააზრევი შემეცნებითი ტრაქტატის სახით გააცნო საზოგადოებას.

ზამთარში გაიარო ჩრდილოეთის ქვეყნები, სუსხში და ქარბუქში. ზაფხულში უდაბნოში, ტროპიკულ წვიმაში თუ სიცხეში – გადალახო მთები, ათასობით კილომეტრები და წინააღმდეგობები.

აჩვენო ადამიანის ფენომენალური ფიზიკური და სულიერი ძალის სიმბიოზი, რაც ასე უხვად მიანიჭა უფალმა ბატონ ჯუმბერს, იმ იშვიათ უნარებთან ერთად, და რაც ასე გამოიხატა მის უაღრესად დიდ კეთილშობილებასა და თავმდაბლობაში, შინაგან კულტურასა და ინტელექტში, მის კომუნიკაბელურობაში, საოცარ სიმშვიდესა და წონასწორობაში, მის დიდ, ლაღ იუმორში.

ჩვენდა საამაყოდ, ბატონმა ჯუმბერმა მთელ სამყაროს აჩვენა ქართველი კაცის სულის და გენის ძალა, ქართველი ვაჟკაცის სახე და ხასიათი.

ბევრი დიდი ქვეყანა იამაყებდა ამ შესანიშნავი პიროვნებით. შემთხვევითი არაა, რომ იგი ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შეყვანილია 500 წარჩინებულ ადამიანთა სიაში. მის

ასაკში დამყარებული გინესის რეკორდები განუმეორებელია.

2009 წელს აღიარებულია მსოფლიო ადამიანად. აღარ ჩამოვთვლი მის მიღწევებს და რეგალიებს, მან სიცოცხლეში დაიდგა ძეგლი უკვდავებისა.

მე ბედნიერი ვარ, რომ ახლოს ვიცნობდი ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენ შევთანხმდით, ნატურიდან შემექმნა მისი პორტრეტი, თუმცა მოუცლელობის გამო გადადებდა სეანსს და ჩვეული, უცოდველი, ლაღი ღიმილით მომიბოდიშებდა: "აუცილებლად გამოვნახავ დროს, დაგიკავშირდები და დავიწყოთ-ო"...

ფასდაუდებელია და შესასწავლი მისი ფენომენი. კაცმა, რომელმაც იტვირთა დაამარცხა და დაიპყრო მთელი მსოფლიო. კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. კაცმა, რომელმაც იცხოვრა ალალად, გააზრებული ცხოვრებით, ლამაზი სიყვარულით და ჩვეული სიმშვიდით შეაბიჯა მარადისობაში. კაცი, რომელიც დააკლდა მსოფლიოს და ეზიარა უკვდავებას.

ნიკო ხერკელაძე

მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლაჟავა

ჩვენ, ქართველებს საამაყოდ ყოველთვის გვექნება ის განცდა, რომ მსოფლიო მოგზაურთა სიაში ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ, ღირსეულად დაიკავა სათანადო ადგილი.

მოგზაურობისა და მსოფლიოს ნახვის სურვილი, ერთობ მოჭარბებულიც ძალიან ბევრს აქვს, გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნის არსებობის წესს, მათი ტრადიციების შინაარსს, იოლად, შესაძლოა ფინანსური მხარეც მოაგვაროს, მაგრამ უმთავრესი მაინც ფიზიკური მზადყოფნაა, რაც ბატონ ჯუმბერს მოჭარბებულადაც ჰქონდა. მოგზაურობა ხომ არ არის მარტო უცხო ქვეყნების ეგზოტიკური ადგილ-სანახების ნახვა და ტკბობა.

მოგზაურის ბედი მრავალ სახიფათო რისკებთან არის დაკავშირებული. ასეთი მიზნის მიღწევა უდიდეს ნებისყოფას ითხოვს.

მოგზაური, როგორც სპორტული სახეობა, ეს არის ისეთი მოვლენა, გულშემატკივარი, მაყურებელი ხან რომ ჰყავს და ხან რომ არა ჰყავს. მოგზაურს, შესაძლოა ისეთ ადგილებზე მოუწიოს სიარული, ხან ფეხით და ხან ველოსიპედით, სადაც ადამიანებს ფეხიც არ დაუდგამთ, სადაც მხოლოდ ცალკეული ცხოველებია და ისინი იჩენენ მოგზაურის მიმართ ცნობისმოყვარეობას. არა დროულად საჭმელის მიღება, არა დროულად ჰიგიენური მოწესრიგება, ყველაფერი ასეთი ხომ ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენას?! საქმეც ამაშია, რა ინტერესი, მიზანსწრაფვა უნდა ამოძრავებდეს კაცს, ასეთი, რომ უკან არასოდეს არ იხევდეს. ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, თავისი გენეტიკური მრწამსით, აზროვნებით, სუფთა ქართული იდეალების მატარებელი იყო. როგორც საფუძველი პატრიოტული სულისკვეთებისა, მეორე მხრივ კი კოსმოპოლიტი, დედამიწაზე მვხოვრებ მსოფლიო ხალხთა მიმართ მოსიყვარულე გული და სული ჰქონდა. მისთვის სამშობლო საქართველოდან იწყებოდა და მთელ დედამიწაზე ვრცელდებოდა. მას რომ საშუალება ჰქონებოდა, მთვარეზეც და მთელ სხვა პლანეტებზეც იმოგზაურებდა.

მოგზაურობას დიდი ხიბლი და მაგნიტური მიზიდულობაც აქვს, თითოეული საათი, დღე, კვირა, თვე ახალ ახალი სიურპრიზებით გეპატიჟებათ. უნახავი არ დამტოვოთო. მეორეს მხრივ, მოგზაურის ხვედრი ესოდენ სარისკოა და მისი ოჯახის წევრების მოლოდინი; როდის დაუბრუნდება მოგზაური ოჯახს.

ბატონი ჯუმბერ ლაჟავას სამოგზაურო საუბრები ბევრჯერ მომისმენია. იგი ცდილობ-

და, მისი ყველა თავგადასავალი, მსმენელისათვის, საინტერესო და მიმზიდველი გაეხადა. არ გამოტოვებდა არცერთ სიტყვას, წვრილმან მოვლენასაც კი, რომ ის უყურადღებოდ დაეტოვა. იგი სხვადასხვა ქვეყნების მოახლეობის ზნე ჩვეულებებზე, ტრადიციებზე ისეთი სიყვარულთ, განცდებით საუბრობდა, თითქოს თავის სამშობლოზე გელაპარაკებოდა. ბიოლოგიურად ყველა ქვეყნის ადამიანები ხომ ერთნაირები ვართ, სარწმუნოებით და ტრადიციებით ჩვენ განვსხვსვდებით. იგი ამბობდა; დედამიწა ძალზედ ლამაზია, ნუთუ არ დადგება ისეთი დრო, ადამიანებმა ურთიერთგასანადგურებელი იარაღი აღარ გამოუშვან-ო.

აქვე მინდა ბატონი ჯუმბერ ლაჟავას შესახებ, როგორც თავმდაბალი კაცი, ერთი შემთხვევა გავიხსენო. მე მას სუფრაზე ოთხჯერ შევხვედრივარ, ერთ-ერთი კასპში იყო, ბატონ უშანგი მოსიაშვილთან. როცა აღნიშნულ დროზე სტუმრებმა თავი მოვიყარეთ ბატონ უშანგისთან, ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო ნადირაშვილი მოგვიანებით მოვიდნენ. დარბაზის ბოლოში სათადარიგო მაგიდა იდგა, სადაც სამი კაცი იჯდა, მხოლოდ. ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო იმ მაგიდისაკენ გაემართნენ, იქ მსხდომთ მიესალმნენ და დარბაისლურად დაბრძანდნენ. იმ საზეიმო სუფრაზე იყო ხალხი, რომელნიც ბატონ ჯუმბერს არ იცნობდნენ, ჩვენ იუბილართან, ბატონ უშანგისთან ვისხედით. ეს მაგიდა მთლიანად შევსებული იყო. ბატონ უშანგი მოსიაშვილს ეუხერხულა, ბატონი ჯუმბერის და კარლოს ბოლო მაგიდაზე ყოფნა. მისი მითითებით, სწრაფად მოადგეს ჩვენს მაგიდას სხვა მაგიდა და შეავსეს სანოვაგით. ბატონმა უშანგიმ მიკროფონი მოიმარჯვა, ბოდიში მოუხადა ბოლო მაგიდაზე მსხდომ ადამიანებს, და ბატონი ჯუმბერი და ბატონი კარლო ჩვენთან გადმოიპატიჟა. ბატონმა ჯუმბერმა უარი განაცხადა; სადაც ვართ, კარგად ვართ-ო! აი, აქ გამოჩნდა მისი თავმდაბლობა, ეს ორივე პიროვნება ჩვენს მაგიდასთან გადმოვიდნენ. ბატონმა უშანგი მოსიაშვილმა იქ მყოფ საზოგადოებას გააცნო ბატონი ჯუმბერ ლაჟავა და სთხოვა მოეყოლა რამდენიმე ეპიზოდი მისი მოგზაურობის შესახებ.

ბატონი ჯუმბერი ფეხზე ადგა, მორიდებული ადამიანის იერი ჰქონდა, დინჯად დაიწყო თავისი თავგადასავალის თხრობა. დარბაზში სიჩუმე იდგა, ისეთი სიჩუმე, რომ ბუზის ფრენის ხმასაც გაიგონებდით.

თამარ ჯაჭვაძე

ჩვენს გვერდით ლეგენდა დადიოდა

ჯუმბერ ლეჟავა გარდაიცვალა-ო! რაო? რას ამბობთ? ეგ როგორ? რა მოერეოდა ჯუმბერ ლეჟავას?! – გაოცებული კითხულობს ნაცნობი და მეგობარი. ეს, ის არ არის მსოფლიო ველოსიპედით რომ შემოიარა? – კითხულობს უცნობი და უცხო.

და უკვირს ყველას, განურჩევლად ყველას.

მან ხომ სიკვდილი დაამარცხა, თანაც რამდენჯერმე.

და მაინც...

გარდაიცვალა.

ეს ხომ ნიშნავს, რომ დატოვა ხორციელი ცხოვრება და სხვაგვარი მოგზაურობა დაიწყო სულეთის სამყაროში. არა ველოსიპედით, მიწაზე და ნაბიჯ-ნაბიჯ, სადაც ამდენი (გარდა მეგობრებისა) მტერი და ქვეგამხედვარი ეღობება ადამიანს... არამედ ცაში, დიდი სულიერი და გონებრივი ინერციის ძალით, ფრენას რომ უწოდებენ ზოგჯერ.

და დარჩა დიდი სიცარიელე აქ, ჩვენს გვერდით. სიცარიელე, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შეავსებს. დარჩნენ საქმენი მისნი, აურაცხელი სიგელები და მედლები. დარჩნენ

ადამიანები, ვისაც იგი უყვარდა და ვინც მას უყვარდა. დარჩა თვალცრემლიანი გოგონა, რომელიც მან ცხოვრების დიდ გზაზე გაიყვანა და ხელი შეაშველა გაჭირვებისა და ძნელბედობის ჟამს. დარჩა დაობლებული სამეგობრო. დარჩნენ გადიდებული სურათები მეუღლის და შვილის...

და დარჩა მისი სახელობის აკადემია, მხრებჩამოყრილი ადამიანები, გაოცებულნი რომ მისჩერებიან ერთმენეთს და უკვირთ, უკვირთ...

ისედაც ხომ ყველას უკვირდა: – ცოცხალი კაცის აკადემია ვის გაუგონია-ო?! – არ გაუგონიათ და ახლა გაიგონონ-ო – ეს აკადემიის პრეზიდენტის გულნაზი ხარაიშვილის კიდევ ერთი გაბედული და ორიგინალური პასუხი და ნაბიჯი გახლდათ.

დღეს უფრო დიდი და ტკივილიანი სიყვარულით შეჰყვარებიათ აკადემიის დაობლებულ და საოცარ ადამიანდაკარგულ წევრებს ერთმანეთი. დგანან ერთმანეთის გვერდით, შეჰყურებენ ერთმანეთს და ამ მარადიულ წრებრუნვაში ჩაბმულ სამყაროს და უკვირთ, უკვირთ...

ასე, კუს ნაბიჯით კი არა, აქილევსის მუხლით გარბიან წლები, ნელა-ნელა გვეცლებიან გვერდიდან შეჩვეული და შეთვისებული ადამიანები და რჩება ისევ სიცარიელე, რომელსაც სხვანი და კვლავ სხვანი შეავსებენ, რათა მარადისობის ვეებერთელა სამყაროში წონასწორობა არ დაეკარგოს სიცოცხლეს და დედამიწამ ისევ იტრიალოს უსასრულო სამყაროს ერთ პატარა გალაქტიკაში.

ადამიანთა მეხსიერებაში რჩება მოგონება, განვლილი ცხოვრების და... ნეტარება მას, ვისაც ისეთი ცხოვრებით უცხოვრია, რომელზეც მრავალია მოსაგონარი. მრავალი და საუკეთესო.

მეც ერთი პატარა მოგონება ამეკვიატა, იმ მწარე დღეებში, ჯუმბერ ლეჟავას ძალიან დიდ თავმდაბლობაზე. შემთხვევა, რომელმაც მაშინვე გამაოცა.

სულ ცოტა ხნის წინ, მთელი საქართველო მცხეთისაკენ, მამა გაბრიელის საფლავისაკენ დაიძრა. მიდიოდნენ ავადმყოფნი და უძლურნი, დედები და ბავშვები, მიცვალებულთა პატრონები და სრულიად ჯანმრთელნი და ბედნიერნი.

გულნაზი ხარაიშვილმა დარეკა: თბილისში ჩამოდით, საოცარ ადგილას მივდივართ-ო. მე და ლამზირა შეყილაძე წავედით. ქალბატონი გულნაზის კაბინეტში ერთი კედლიდან უდროოდ გარდაცვლილი ძმის – ბეჟან ხარაიშვილის სურათი გადმოგხედავს... მეორე კედელზე რამდენიმე წელია გაჩნდა შვილის – გელა სხირტლაძის სურათი...

მამა გაბრიელის საფლავზე წასასვლელად შევემზადეთ. ცოტა ტრანსპორტის მოძიება გაგვიჭირდა, ყველა ნაცნობი დაკავებული ან ქალაქიდან გასული აღმოჩნდა. ბოლოს ქალბატონმა გულნაზმა, ბოლოს კი არა პირველ რიგში გასახსენებელი პიროვნება გაიხსენა... სულ რამოდენიმე წუთში, კაბინეტში ჯუმბერ ლეჟავა შემოვიდა და... მაშინვე მცხეთისაკენ ავიღეთ გეზი. გზად დალი აბესაძე შემოგვიერთდა.

მცხეთა საქართველოთი იყო სავსე და მოძრაობა კი არა, მგონი ქალაქში სუნთქვაც კი ჭირდა. მცხეთის შესასვლელები, ყოველი მხრიდან დაცვის ქვეშ დაგვხვდა, მანქანებით გადაჭედილ ქალაქში, ტრანსპორტი აღარ შედიოდა. საფლავის მოლოცვის ძალიან დიდი სურვილით შეპყრობილნი, გარს ვუვლიდით ქალაქს და ვეძებდით გამოსავალს კი არა, ქალაქში შემავალ გზას. ამ მიმოსვლაში მყოფთ უცებ გამახსენდა: – ბატონო ჯუმბერ, სადღაც აფრიკაში ორი მეომარი ტომი დროებით წყვეტდა ომს, თქვენ რომ გაგევლოთ, მოდით, სწორედ ამ სიტყვებით ვთხოვოთ პოლიციას, იქნებ შეღავათი დაუშვან და გაგვატარონ-მეთქი. ყველა დამეთანხმა, ჯერი თავად დიდ მოგზაურზე დადგა... და ყველა ჩვენგანის გასაოცად, ბატონმა ჯუმბერმა მორიდებით გამოგვიცხადა: – უხერხულია და იქნებ სხვა დროს წამოვიდეთო!

გაოცებული დავდუმდი. ამ სამყაროში, სადაც თითქმის ყველა ხერხი გამართლებულია მიზნის მისაღწევად, თურმე დიდი ადამიანები საოცარი მოკრძალებით, ჩუმი ნაბიჯებით და ბავშვივით სუფთა ღიმილით დადიან, რომ არავინ შეაწუხონ. ადამიანები, ვისთვისაც მიზნის მიღწევა ყველანაირი ხერხით კი არა, მხოლოდ გულის სისხლით, დიდი ძალისხმევით და თავშეწირვით არის დასაშვები და მისაღები.

ასეთი კაცი დადიოდა ჩვენს გვერდით, როგორც ხშირად უწოდებენ; კაცი – ლეგენდა!

მცხეთიდან უკან დაბრუნების გამო დიდ მოგზაურს გული რომ არ სტკენოდა, თავად გულმოკლულმა ქალბატონმა გულნაზმა ყველასთან ერთად დაამშვიდა: – ალბათ უფალს ასე ენება-ო!

დღეს ის დღე უკვე წარსულად ქცეულა, მოგონებად შემოგვრჩენია, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ადამიანები მუდამ უფლის ნებაზე არ დავდივართ.

ჯუმბერ ლეჟავას ასე მოულოდნელი გარდაცვალება უფლის ნება კი არა, შეიძლება ჩვენი ადამიანური შეცდომა იყო, მედიცინის შეცდომა. იგი ხომ ყველას უკვდავი გვეგონა (შეიძლება არაფიზიკური, არამატერიალისტური გაგებით) და ვერც კი წარმოიდგენდა ვინმე, რომ ასეთი დიდი და გამძლე, მაგრამ სიკეთეში და სიყვარულში დაღლილი გული, კიდევ ერთ ტკენას და ჩხვლეტას ვეღარ გაუძლებდა.

მე კი მგონია, რომ ჯერ ვერც კი გაგვიცნობიერებია, რომ ჩვენი დიდი მოგზაური და მშვიდობის დესპანი, ჩვენს გვერდით აღარ იქნება...

...და ვიდრე ცოცხლები ვიქნებით, ვიდრე ამ სააქაოს, ამ სამყაროს კიდე-განედში ვმოგზაურობთ, ალბათ დიდი დაფიქრებისას მეყსეულად, ცნობიერების დაგაღმა გადასახლებულნი, ძალიან ხშირად დავუცდით თითქოსდა უკანასკნელი მოგზაურობიდან მის დაბრუნებას...

რეალობაში კი, ადრე თუ გვიან, ჩვენც გავუყვებით იმ მარადიულ გზას, ამ სამყაროში წუთიერად შემოხეტებული მოგზაურები.

გემშვიდობებით

შემოგივლია ლურჯი პლანეტა,
დაგქონდა გული, ტკივილით სავსე...
ახლა მიდიხარ სამოგზაუროდ
უსასრულობის კოსმიურ გზაზე.
დატოვე ბედი, ცრემლით ნაზავი,
დღეს, უჩვეულო, ირჩიე სხვა გზა...
და სიყვარული უზარმაზარი
ყვავილებივით წაიღე საგზლად.

ხსოვნა-აჩრდილი იმედს გიწვდიდა,
ერის დესპანო და მოგზაურო,
მიწაში არა, წახვალ მიწიდან,
უკვდავებაში სამოგზაუროდ.
მიტოვებული, სულშეშლილები,
მოგინატრებენ უვალი გზები...
დღეს საქართველო გემშვიდობება,
დღეს საქართველოს ემშვიდობები!

გაგა გულიაშვილი

ბატონო ჯუმბერ, შენი სახელობის აკადემიის წევრები გზას გილოცავთ ცის სავალ გზაზე და გჯეროდეს, ჩვენს გულებში სამუდამოდ დარჩები იმედის უშრეტ წყაროდ...

ოთარ ურუშაძე

ჯუმბერ ლეჟავა

ადამიანი ლეგენდა, ასე შეიძლება უწოდო ჯუმბერ ლეჟავას. რომელმაც მიუხედავად შელახული ჯანმრთელობისა და ასაკისა, შეუძლებელი შესძლო და ალბათ ადამიანის შესაძლებლობის ზღვარი გადალახა. მან მსოფლიოში გაიტანა ქართველი კაცის როგორც საკვირველი ფენომენის სახელი.

ყველაფერი ჯანმრთელობის გამოსწორების მიზნით დაიწყო. მან ნაბიჯ-ნაბიჯ სისტემატიური ვარჯიშებით, უდიდესი ნებისყოფის წყალობით, მიაღწია წარმოუდგენელ შედეგს. გახდა გინესის რეკორდსმენი იატაკიდან ხელით აზიდვაში და ასევე გარკვეული პერიოდის შემდგომ ორთვლიანი ველოსიპედით, მსოფლიოს შემოუარა.

ჯუმბერი გავიცანი, ჩემი პოეზიის კრებულის პრეზენტაციაზე. იგი მაშინ უკვე გინესის რეკორდსმენი გახლდათ. გვანჯი მანიამ, რომელიც ასევე ესწრებოდა პრეზენტაციას და გახლავთ, გინესის საზოგადოების წარმომადგენელი საქართველოში, გვამცნო რომ ჯუმბერს ახალი რეკორდის დამყარება აქვს ჩაფიქრებულიო. კერძოდ იგი აპირებს ორთვალა ველოსიპედით, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობასო. მე და ჯუმბერი ერთი ასაკის გახლდით. მიუხედავად იმისა რომ მე ახალგაზრდობაში ველოსპორტით ვიყავი გატაცებული, იმ ასაკში, ველოსიპედით მცხეთაშიც კი გამიჭირდებოდა ჩასვლა. რაც ჯუმბერს გულახდილად უთხარი. მას გაეცინა და მითხრა, – ყველაფერი უდიდესი შრომის შედეგად მოდისო. ჯერ ველოსიპედის მართვას სრულად დავეუფლები, შემდეგ დისტანციებს ნელ-ნელა გავზრდიო. მისი ეს ჩანაფიქრი, ოცნებას უფრო გავდა და მის რეალიზაციაში ეჭვი შემეპარა. მან კი უამრავი კითხვა დამისვა: – რა სახის და წონის ველოსიპედები არსებობენო? აქვს თუ არა ველოსიპედებს კაუჩუკის საიმედო საბურავებიო? რომელი სახის ველოსიპედს მირჩევო?, და სხვ. მე ვუპასუხე რომ თანამედროვე ველოსიპედები შედარებით მსუბუქი და დახვეწილია. მაგრამ, მისი წონა საკმაოდ შეიძლება გაზარდოს, მოგზაურობისათვის საჭირო საგნების ტრანსპორტირებამ. ისიც ვუთხარი რომ თანამედროვე ველოსიპედების ფასი საკმაოდ გაიზარდა და მანქანის ღირებულებას მიაღწია. ამიტომ მართვის ჩვევები და გამძლეობა ჯობდა თავიდან იაფად ღირებულ გზატკეცილების ველოზე დაეხვეწა. მე კიდევ ერთხელ ვურჩიე, ხელი აეღო ამ სახიფათო ჩანაფიქრზე, რაზეც მისმა თანაკლასელმა ბრძანა რომ ჯუმბერისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი და იგი დარწმუნებული იყო მის წარმატებაში.

მართლაც, გავიდა ხანი და პრესაში გამოჩნდა, მსოფლიოს გარშემო მოგზაურის ინტერვიუ სხვადასხვა კონტინენტიდან. ეს იყო საოცრება, წარმოუდგენელი რამ, ეს იყო ქართული გენის ზეიმი. ჯუმბერმა ოცნება რეალობად აქცია. დღეს საქართველოში ბევრი გინესის რეკორდსმენი გვყავს მაგრამ უნდა მოგახსენოთ რომ ჯუმბერის რეკორდი ორიგინალობითა და მასშტაბით გაცილებით მაღლა დგას და ვფიქრობ რომ განუმეორებელია.

წერილები

ტიტე მოსია

ივანე გეგიას ვოდევილი: „სიყვარულის მონა“

„სიყვარულის მონა“ ივანე გეგიას ერთადერთი ვოდევილია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. იგი დათარიღებული არ არის. ერთი რამ ცხადია.ეს ერთმოქმედებიანი პიესაშექმნილია 1890წლამდე, ვინაიდან ავტორს არ შეუტანია პოეტური ნაწარმოებების პირველსავე კრებულში „ლექსთაკონა“, რაც თბილისში დაისტამბა ამავე წელს.

ვოდევილს (კომედიის სახე, დრამატული ჟანრის მცირე ფორმის მინიატურული ნაწარმოები) „სიყვარულის მონა“ ოთხი მოქმედი პირი ჰყავს: ლიზა და ზაალი (ცოლ-ქმარი), ნიკიფორე (ლიზასსაყვარელი) და მათე: იგივე მათია (ლიზას მსახური). თხზულებას „სიყვარულის მონა“ იმიტომ ჰქვია, რომ ზაალი დაუმონებია ლიზას სიყვარულს. დაუმონებია და დაუბრმავებია კიდეც, რადგან ვერ ხედავს, ვერ ხვდება ცოლის ღალატს მანამდე, ვიდრე ამაში პრაქტიკულად არ დარწმუნდება, საკუთარი თვალებით არ დაინახავს ღალატის შედეგს.

ავტორი ლიზას „ვისრამიანული“ სამიჯნურო ბუნების ფარდას ხდის კალმის ერთი მოსმით:

„საყვარლის სიყვარული ძნელია,
ეს ქვეყანაუმიჯნუროდ ბნელია“...[1]
„მიჯნურებ თანცხოვრება რა კარგია.
თუმცა ერთი მყავს, მარტო ის რას მარგია“.[2]

ივანე გეგია ლიზას შინაგან ბუნებას ვოდევილის დასაწყისშივე გვაცნობს, რითაც წინასწარ გვამზადებს თუ როგორ მივადევნოთ თვალყური მის უზნეო საქციელს, რაც გამოიხატება შიშველ სქესობრივ ლტოლვაში, ცხოველურ ვნებაში, ცოლქმრულ ღალატში.

ლიზა წუხს საცოდავად „უსისხლებში ჩავარდნის“ გამო, სადაც „ერთიც არ ყმაწვილობს ,ყველას ყურები ჩამოუყრიათ“. იგი ქალების ძაგებაშია: „ქალები ვართო, და ცახცახებენ, რისეშინიათ იმ გასაწყვეტლებს“. ზნეობრივი ყოფაქცევის ქალებს უწუნებს სიყვარულში კაცების ყურმოჭრილ ყმებად ქცევას,მათ შეახსენებს: „განათლებულ ქვეყნებში თურმე ქალები კაცებს წინ მიუძღვიან“ .ლიზას თანამედროვე ქალებმა თურმე არ იციან, რომ „ეს წუთქვეყანა მარტო კაცთათვის არ გაჩენილა“. ლიზა თურმე ყოველივე ამას ადრე მიმხვდარა: „ჩემს სახლში ქმარზე უფალი მე ვარ“. მისი ქმარი ზაალი კარგკაცად ესახება (აქ უფრო ირონიულ წარმოდგენასთან გვაქვს საქმე), ვინაიდან ცოლს არ უშლის სეირნობას, სრულ თავისუფლებაში ჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში: „ვაჩვენებ მაშინ ღალატიმტრობას, მთლად ავუმტუტებ შინაურობას“.

---

[1] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 97.
[2] იქვე, გვ. 95.

ზაალი ცოლის მიმნდობია, მოსიყვარულე, მის გულს ოდნავადაც არ ეკარება ღალატზე ფიქრი. თავს ბედნიერ კაცად თვლის და ლიზას ერთგულებას არ აკლებს. ემადლიერება გამჩენს ღირსეული, თავმდაბალი, ერთგული ცოლის ყოლის გამო:

„მადლობელი ვარ ჩემი გამჩენის,
სწორედ რომ ღირსი ცოლი მაჩუქა.
ერთგული ჩემი და თავმდაბალი,
მტრედია, მტრედი, ცით მონაფრენი“.[3]

ზაალი ანგარიშს არ უწევს მთავარ გარემოებას: იგი ფიზიკურად და ასაკობრივადაც შეუფერებელი ქმარია ლიზასი, ავადმყოფია, უძლური, თავისი წარსულით მოაქვს თავი, ყმაწვილკაცობისას ცხენის ჯირითის მოგონებით, რაც თურმე საარაკოდ ყოფილა აღიარებული. რატომ უნდა გაჰყოლოდა ასეთ ბებერ და სნეულს ცოლად სიცოცხლით სავსე ლამაზი ქალი? ეს ქორწინება ანგარებაზეა დაფუძნებული. ლიზა გატაცებულა ზაალის ქონებით და არა მისი სიყვარულით ან მამაკაცობით. ნატრობს უკვექმრის სიკვდილს, რათა თავის საყვარელთან (ნიკიფორე) ერთად დაეუფლოს ზაალის ავლა-დიდებას:

„ვინ იცის, ეგებ, ღმერთმა გვიბრალოს,
მალე ჩაძაღლდეს იმ შავ მიწაში,
მერე მაგ ოხრის ავლა-დიდება
ხელში გვექნება საპატრონოდა“.[4]

ნიკიფორე სულმოუთქმელად უდასტურებს: „ნამდვილსა ბრძანებთ ფოლიც კარგია, სულ ამისთანა ქესატ დროშია“. „ცით მონა ფრენმა მტრედმა“ ლიზამ თავისის გარეგნული თვალწარმტაცობა, ქალური ღირსება, ზნეობა და მორალი უმსხვერპლა ფულის, ქონების სიყვარულს. ამან აქცია იგი ცბიერ, მეძავ და ქმრის მოღალატე არსებად. შესანიშნავად გადმოსცემს პოეტურად ივანე გეგია ამ ტიპის ქალის შინაგან ავლა-დიდებას, გაიძვერობას, ყველაფრის კადრებას მიზნის მისაღწევად. თვალყური გავადევნოთ ლიზას და ზაალის დიალოგს.

ზაალი გვიან ბრუნდება შინ და მოუბოდიშებს ცოლს, რომელსაც თავის „გულთან“ აიგივებს („ხომ ჩემზე, გულო,არ ხარ გამწყრალი“). ფარისეველი ლიზა თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს შიშით იყო გაგუდული „სნეულიანი კაცის“დროზე მოუსვლელობით. იქნებ ვინმეს შუაღამეში თხრილში ჩაეჩეხა და სიცოცხლემოესწრაფა, მაშინ ვითომ რა უნდა ექნა ქმრის სიყვარულით „გადამკვდარ“ ქალს: „მერე სად ხრამში გადავისროლო და საწყლებული ოხერი თავი“. ზაალი უმტკიცებს, მოსაკლავად ვინ გამიმეტებდაო:

„სხვა იქით იყოს, სუყველამ იცის
ჩემი წარსული, ყმაწვილ კაცობა.
ჩემი ჯირითი, ცხენით ნავარდი
განა აქ მარტო თქმულა არაკად“.[5]

ლიზა უფრო ღრმად არწმუნებს ზაალს ,რომ თითქოს უმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია („და შენს საფლავში მეც ჩამიტანე“). ამით ნიადაგს ამზადებს ქმრის კიდევ ერთხელ გასაბრიყვებლად („გასაცურებლად“). საყვარელთან (ნიკიფორე) გართობა მოენატრა, ქმრის წინაშე თავი მოიმკვდარუნა ,გაგზავნა იგი ექიმის („დოხტური“) მოსაყვანად:

„სულ ბაზრის ბოლოს რომ დოხტური დგას,

---

[3] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 89.
[4] იქვე, გვ. 101.
[5] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 88.

წადი, მიშველე და მომიყვანე.
ეგებ გიბრალოს, ბეჩავო, ღმერთმა
და არ მომიკვდე ამ ორ დღეშია“.[6]

ლიზამ სიზმრის მოყოლით კიდევ უფრო დაზაფრა ქმარი: ჩემი ძმა მიხა, რომელიც შარშანგარდამეცვალა, სასუფეველში მოსეირნე დავინახე, გაიხარა ჩემთან შეხვედრით, უკანგაშვებას არ მიპირებდა „მთავარანგელოზსაც ვთხოვე გაშვება. ოჯახი, ქმარი მიტირის-მეთქი, მაგრამ იმანაც არ გაიგონა ჩემი ვედრება, ოხვრა, ქვითინი“. ქმრის განწყობა კიდევ უფრო დაამძიმა ლიზამ:

„მან (მთავარანგელოზმა–ტ.მ.) მითხრა–შენ თვით არ მოსულიყავ,
ან ხვალ ან ზეგ მე მოგიყვანდი.“
მაგრამ კარგი ჰქენ, უჩემოდ მოდი.
გეპატიება მრავალცოდვაო.
მას შემდეგ: ზაალო, არ ვიცი რისთვის,
სრულად მომესპო ცხოვრების გემო.
მეც აღარ ვატყობ ჩემსთავს სიკეთეს,
არ ვფიქრობ აწი მედღე ვიგემო“.[7]

ზაალს ცუდად ენიშნა სიზმრის შინაარსი, თითქოს ზეცა დაემხო თავზე, ვერ გაბედა ცოლის მარტო დატოვება და გადაწყვიტა მსახური მათე გაეგზავნა ექიმთან. ეს კი ლიზას არ აწყობდა, რადგან ქმრის მოსაშორებლად ქსოვდა ობობის ბადეს. დაარწმუნა ქმარი, რომ თითქოს მათეს არ გამოჰყვებოდა ექიმი. ზალი ექიმისკენ გაეშურა. მარტო დარჩენილი ლიზა დადის და მღერის: „ჩემი ქმარი ბებერია, ბარგია, საალერსოდ მე ის აღარ მარგია“.

ლიზამ როგორც კი „ჭირი“ მოიშორა ზაალის სახით, მათე სასწრაფოდ გაგზავნა საყვარელთან–ნიკიფორესთან: „უთხარი–ახლავ მოვიდეს ჩემთან, მარტოხელია, ეშინიათქო“. მათია ბუტბუტით გადის: „ჯანდაბა შენ და იმ ნიკიფორეს“. ტექსტში ვკითხულობთ: „ლიზა პირს იბანს, სარკეში იხედება, უმარილ სიცხებს, ტურნერს იკეთებს, კაბას იცვამს, თმას ივარცხნის, მივა სტოლთან და ბანქო გამოაქვს ყუთიდან, შლის“.[8] დადის და მღერის:

„საყვარლის სიყვარული ძნელია,
ეს ქვეყანა უმიჯნურად ბნელია.
სასეირნოდ მთა რად მინდა, ველიმე,
შესაქცევად ნიკიფორეს ველიმე“.[9]

როგორც იქნა, ნიკიფორე ესტუმრა ლიზას. ახლა საჭირო იყო მეორე „ჭირის“ მოშორება მათიას სახით. ისიც „გაისტუმრა“ ზაალის მოსაძებნად „ვოკზალში“. მარტოდარჩენილ ლიზას და ნიკიფორეს შორის დიალოგი გაიმართა, რომელიც ნიკიფორემ წამოიწყო:

„თქვენებრ გონება მახვილნი
ქალი ძვირია ამ ჩვენს მხარეში,
სწორედ მე მიკვირს თქვენი ქალობა
ზაალი ოხერს რომ ემონება“.[10]

ნიკიფორე გულს იოხებს ზაალის გინებით, თითქოს ამით სურს ლიზას კიდევ უფრო

---

[6] იქვე, გვ. 90.
[7] **ი.გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 93.
[8] იქვე,გვ. 97.
[9] იქვე.
[10] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 100.

შეაძულოს ქმარი:

„მართლა დღეს იყო, არ ვიცი, გუშინ,
სამიკიტნოში ეგდო დამთვრალი,
გრძნობა-გონება მთლად დაჰკარგვოდა,
ძაღლი ულოკდა ცხვირ-პირს დათითხნილს“.[11]

ცბიერი ნიკიფორე ლიზას მოუწოდებს ასეთ ქმართან გაყრისკენ, რათა გაუადვილდეს მასთან ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა: „მერე მე და შენ უფრო გვექნება თავისუფალი დრო, ისვლა-მოსვლა“. ლიზათავის საყვარელს მოთმინებას ურჩევს: იქნებ გაყრა-გაცლა სულ არ დამჭირდეს, მანამდე ზაალი „ჩაძაღლდეს იმ შავ მიწაში“, ხოლო ჩვენ შეგვრჩებაო მისი („მაგ ოხრის“) ავლა-დიდება საპატრონოდო.

ამასობაში ლიზამ იგრძნო ზაალისდაბრუნება („ხედავ, პირშავი აღარ წასულა“), მოჰკიდა ხელი ნიკფორეს და ტახტის ქვეშ დამალა, იმ პირობით, რომ შეეცდებოდა ქმრის მოტყუებას და ამით შეუქმნიდა ხელსაყრელ მომენტს გასაპარად.

ლიზამ თბილად მიიღო ზაალი, „გამოჯანსაღებულად“ მოაჩვენა თავი. ქმარმა ცოლს აუხსნა ექიმის მოუყვანლობის მიზეზი:

„სოფელში, თურმე, ავად გამხდარა
ვიღაცა დიდ თავადის შვილი,
გუშინ მისულან, წაუყვანიათ,
ბარე სამიდღე იქ დარჩებაო“.[12]

ლიზა არწმუნებს უექიმოდაც „გამოჯანმრთელებაში“: „უდოხტუროდაც, ღვთით, კარგადა ვარ“. ლიზას სხვა „გასაჭირი“ აქვს: რამეფრად აქედან გააპაროს ნიკიფორე. მათიაც არ ჩანს. ლიზა მოუწოდებს ზაალს, მინდვრად უპატრონოდ დარჩენილი ძროხა და ხარი დააბინავოს. ქმარს უხარია ცოლის კარგადყოფნა და საქონელი არც ადარდებს: „რა უშავს მერე, შენ სანაცვლოდა მგელს შაეჭამოს იმათი თავი“. ლიზა ზარმაცად წამოიწევა ლოგინიდან ზაალისთვის იმის მოსაჩვენებლად, თითქოს თვითონ აპირებდა ხარ-ძროხის დამწყვდევას. ქმარმა დაუშალა და თვითონ გადაწყვეტს წასვლას, ამდროს გამოჩნდება მათე, რომელსაც რბილად გაკილავს ლიზა, მერე ზაალს ურჩევს მათეს დაეხმაროს საქონლის დაბინავებაში. ამ „გაწამაწიაში“ იყო ცოლ-ქმარი, როცა „ნიკიფორე ძალაუნებურად იცხვინკებს“. ლიზამ ქმარს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ეს მას მოუვიდა: მე დამეცხვინკა, სურდო მჭირს ძრიელ“. ზაალი მიხვდა, რომ ლიზა ცრუობდა: „ღმერთმა გიშველოს, შეევა, შენა, რამდენი ახლა შენ დაიცხვინკე“. ცოლმა ქმარს ეჭვებისგან გათავისუფლება ურჩია.

ზაალმა მიმოიხედა აქეთ-იქით, შეიხედა ტახტის ქვეშ და ლიზას სეტყვასავით დააყარა კითხვები:

„ნუღარ ფიცულობ, შე ბოზო, შენა!
უფალმა ღმერთმა შენ შეგაჩვენა,
ეს ვინდა არის, იუდას კერძო,
განა გაყავი ჩემი სიცოცხლე?“[13]

გაცოფებული ნიკიფორე ნადირივით გამოვარდება ტახტიდან და ზაალს შეუტევს:

„გაჩუმდი, თორემ სულს ამოგაძრობ,

---

[11] იქვე.
[12] იქვე, გვ. 103.
[13] **ი. გეგია,** გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 109.

ხედავ რაღაებს კიდევ ყაყანებს.
ცოდვა არ არის ზუთხივით ქალი
შენს გამხმარ გვერდებს რომ უწვებოდეს“.[14]

ასე სრულდება ვოდევილი „სიყვარულის მონა“. ივანე გეგიას იდეური ჩანაფიქრი ნათელია: მშვენიერებით შემკული ქალი არ უნდა ქორწინდებოდეს გარეგნულად და ასაკობრივად შეუფერებელ კაცზე. ამასთანავე, ანგარებაზე, ქონებრივ სიმდიდრეზე აგებული სიყვარული და ქორწინება „წარმავალია, ცვალებადი და უმტკიცები“.

ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლინება

ქართველოლოგიურ ლიტერატურას ახალი მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა – „გიორგი მთაწმინელდის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“. მისი ავტორია დენიზა სუმბაძე – ცნობილი თეოლოგი, ფილოსოფოსი, მწერალი-ესსეისტი. გაბრიელ ქიქოძეზე. მისივე გამონათქვამის კვალობაზე ვიტყვით, რომ ეს წიგნი არის პიროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლინება. ვინც ამ ჩინებული მოაზროვნის ნაშრომებს იცნობს, ადვილად და მკაფიოდ შეამჩნევს, რომ თითოეულ მათგანს წითელ გვირისტად გასდევს ეროვნულ-მოქალაქეობრივი პათოსი, საქართველოს თავგადაკლული სიყვარულის იდეა. სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. დენიზა სუმბაძე სიყმაწვილიდანვე აქტიურად ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში, რომელსაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან თავკაცობდნენ სულმნათი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. იმთავითვე გამოირჩა სამეგობრო ოთხეული: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, იდა თვარაძე, დენიზა სუმბაძე.

დენიზა სუმბაძე სრულიად ახალგაზრდობიდანვე იმდენად მედგარი ადამიანი იყო, რომ, მიუხედავად ზვიად გამსახურდიასთან მეგობრობის განსაკუთრებულობისა, არ ერიდებოდა მასთან მსოფლმხედველობრივ განხეთქილებაში ყოფნას. მათ შორის ჩადგა ანთროპოსოფია (რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება, რომელიც ღვთის ადგილას გაღმერთებულ ადამიანს აყენებს) და შტაინერი. გასაზიარებელია დენიზა სუმბაძის ვარაუდი, რომ შესაძლოა მსოფლიო მასონურმა მოძრაობამ სწორად შტონერის შრომებით დაიწყო საქართველოში შემოსვლა. მიგვაჩნია, რომ შტაინერის ანთროპოსოფიით ზვიადის და მერაბის გატაცება თავის დროზე იმას როდის ნიშნავდა, თითქოს ეს მათი მსოფლმხედველობრივი თანხვედრა იყო, ან შტაინერის მსოფლმხედველობაზე დამყარებას მოასწავებდა. მით უფრო ვერ გავიზიარებთ ავტორის თვალსაზრისს, თითქოს ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებული პოლიტიკური ორგანიზაციის სახელწოდება – „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“. ეს სახელწოდება იყო მხოლოდ მიბაძვა და ანალოგია „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საფრანგეთისა“.

მე, როგორც ზვიადის და მერაბის ეროვნული იდეალების უვადო ტყვეობაში მყოფი, აბსოლუტურ თანაგრძნობას ვუცხადებ საანალიზო წიგნში გახმოვანებულ დენიზა სუმბაძის პოზიციას ნატოსთან მიმართებაში. მე პირადად ნატო მაგონებს ბიბლიური შემეცნების ხეს. სამყაროს ცენტრში მოხეირე უმშვენიერეს შემეცნების ხეს („ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“) სატანის წაქეზებით როგორც კი მიუახლოვდა ევა, დაავიწყდა უფლის მცნებანი, აკრძალული ხილი იგემა და შესცოდა ღმერთს, დასცილდა ამით ღვთიურ ბუნებას. ევას ემსგავსებიან ნატოსკენ მიმსწრაფი ერებიც. ნატოს ბრჭყვიალებით გონდაბინ-

[14] იქვე.

დულნი მისივე ხილით დანაყრებით კარგავენ ეროვნულ ტრადიციებს, რელიგიურ მრწამსს და ნებსით თუ უნებლიედ მასონური მატარებლის მგზავრები ხდებიან.

ნატო ხომ ალენ დალესის, ბჟეზინსკის, სოროსის, მასონთა ლოჟის იდეოლოგიაზე აგებული სამხედრო ორგანიზაციაა, რომელსაც, ზვიად გამსახურდიას ენით რომ ვთქვათ, მტაცებლური მიდგომა ახასიათებს სხვა ქვეყნისადმი. ნატო ებრძვის ეროვნულ მოძრაობებს, იგი მიმართულია ეროვნული სახელმწიფოების წინააღმდეგ: „ეროვნული სახელმწიფოები ამუხრუჭებენ კაცობრიობის პროგრესს, „ეროვნულობა“ ანუ ნაციონალიზმი არის ადამიანის ავადმყოფობა, იგივე კიბოს სიმსივნე (აურელიო პეჩჩეი).

დენიზა სუმბაძე ნატოს დახარბებულ ქართველობას შეახსენებს შტაბ-ბინაში (ბელგია) მოთავსებულ გიგანტურ კომპიუტერს, რომლის კოდური ნომერია 666, რომელიც ასოცირდება „გამოცხადების“ წიგნის სტრიქონებთან: „ვიხილე მხეცი... და მისცა მას ურჩხულმა ძალა მისი და ტახტი მისი და ხელმწიფება დიდი და რიცხვი მისი მხეცისა ექვსასსამოცდაექვსი“ (გამოცხ. 13, 1; 13, 2; 13, 18). ნატოს ეს გიგანტური კომპიუტერი, დენიზა სუმბაძის ენით რომ ვთქვათ, ნატოს შტაბ-ბინის „მხეცის“ ტახტი, მონიტორინგს ახორციელებს მთელი პლანეტის ხალხის მასებზე (ჯონ კოლემანი – ამერიკელი პოლიტოლოგი).

დენიზა სუმბაძე მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშ-რომის ავტორია: „ადამიანისა და სახელმწიფოს იდეალი პლატონის ფილოსოფიაში“, „თავდავიწყებისათვის, ანუ ირრეალურის ეთიკური გააზრებისათვის პლატონის ფილოსოფიის შუქზე“, „დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“, „მოწამეობა და აზროვნება“ (ქრისტიანობა და პლატონი). „მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე“ (შოთა რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართება), „ქალდეველები ბიბლიაში, ანუ კაცობრიული თვითშემეცნება და ქართველი ერის ფენომენი“, „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია და ა.შ.

დენიზა სუმბაძე მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა. რად ღირს იმ ფაქტის დასახელება, რომ მან ძველბერძნული ენიდან გადმოაქართულა პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის პირველსაფუძვლები“, დიონისე არეოპაგელის ტრაქტატი „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის“.

წარმოდგენილი წიგნი შეიცავს დენიზა სუმბაძის მიერ სხვადასხვა დროს საჯარო გამოსვლებისა და ცალკეული წერილების კრებულს. ამასთანავე, მკითხველი მასში იპოვის ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას. იდა თვარაძის ბიოგრაფიებთან დაკავშირებულ საგულისხმო მომენტებს. რაც მთავარია, თავიდან ბოლომდე წიგნს ასულდგმულებს ეროვნული სულისკვეთება, ეროვნულ-მოქალქეობრივი პოზიცია. გამოკვეთილია ქართველთა ცნობიერებიდან ეროვნული იდეალების ამოშლის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ ბრძოლაში დენიზა სუმბაძისთვის ამოსავალი პუნქტია შუა საუკუნეებიდან ზარების დარისხება. სახელოვან წინაპართა აჩრდილების გამოხმობა თანამედროვეთა გამოსაფხიზლებლად, გამოსაღვიძებლად „წესისამებრ მამულისა სვლისთვის“.

ინტერესს იწვევს დენიზა სუმბაძის წერილი „გიორგი მთაწ-მინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, რომელიც ავტორს წიგნის სახელწოდებადაც გამოუტანია. მასში დაკვირვების ობიექტად არის ქცეული XI საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის პავლე მოციქულისადმი მიძღვნილი სავედ-რებელი („ქებაჲ პავლეჲსი“), რომელიც ასე იწყება:

„დიდებულო, ქრისტეს მოციქულთა თაო!
ახალსა ამას ერსა საღმრთოსა,
ეკლესიისა ნესტუად ხმატკბილად,
საღმრთოჲშჯული დაგვიმტკიცე, ნეტარო“...

როგორც ვხედავთ, ქართველი ერი ამ ტროპარში წარმოდგენილია „ახალ საღმრთო ერად“ ანუ „ახალ ღვთაებრივ ერად“. დენიზა სუმბაძე გიორგი მთაწმინდელისეულ ამ ცნებასთან სავსებით ლოგიკურად აერთიანებს იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილ საგალობელს – „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ავტორი წერს: „ამ ორ ნაწარმოებში: იოანე-ზოსიმეს საგალობელში ქართული ენისადმი და გიორგი მთაწმინდელის საგალობელ-საევდრებელში პავლე მოციქულისადმი მთელი მოძღვრება. მოცემული ერის შესახებ, მისი დამარხული ვინაობისა და სამომავლო სულიერი მისიის შესახებ“. ამავე თვალსაზრისს უკავშირებს იგი დავით აღმაშენებლის მიერ გელათის აკადემიის შექმნას „სხუად ათინად“ და „მეორედ იერუსალიმად“ ანუ კაცობრიობის ისტორიის ახალი ინტელექტუალური და სულიერი გასხივების კერად. ამავე აზრის დასტურად მიაჩნია ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მიერ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობის წოდების მიღებაც. ეს წერილობით პირველად დასტურდება გიორგი მერჩულეს მიერ 951 წელს შექმნილ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ანუ ქართული პროზის პირველ შედევრში – „გრიგოლ ხანძთელისცხოვრება“. გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს ეუბნება: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“.

დენიზა სუმბაძემ ილუსტრირებული ფრაზის შინაარსში თუ სა-იდუმლოში ახლებურად ჩაგვახედა, პოპულარული და დაკანონებული მოსაზრებებისგან განსხვავებით: „უნდა დავაკვირდეთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ასახულ წოდებას ბაგრატიონებისას, როგორც წოდებას და არა რეალურ გენეტიკურ განსაზღვრულობას ჩვენი მეფეებისას... შვილად წოდებულსა“ და არა შვილსა და შთამომავალს“.

კვლავ დავუბრუნდეთ გიორგი მთაწმინდელის სავედრებელ-საგა-ლობელში („ქებაპავლეჲსი“) მოცემულ გამოთქმას: „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“. დენიზა სუმბაძეს მიაჩნია, რომ ამ ტაეპში გახმოვანებულია გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველების იდეა ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ახალი ერის შესახებ. ცხადია, აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს ატრიბუტზე „ახალი“, ჩვენი აზრით, იგი იმავე შინაარსის დამტევია, რაც „განახლებული.“ აქ ცნება „განახლება“ ქართულ სასულიერო პოეზიაში ხშირად ფიგური-რებს: „ქრისტე, ღმერთო, ბუნებაჲ კაცთაჲ დაძულებული ცოდვისაგან განაახლენ“ (ჭილ-ეტრატი-სიადგარი, გვ. 18); „მესამე დღესა აღდგა ქრისტე მკვდრეთით და ძველი იგი კაცი, ადამ, განაახლა, ესე არს ღმერთი ჩუენი“ (უძველესი იადგარი, II, გვ. 403). ამ გამოთქმების სათავეა ბიბლია: „განიძარცუეთძველი იგი კაცი და შეიმოსეთ ახალი იგი განახლებული მეცნიერება მსგავსად ხატისა მის დამბადებლისა მისისა“ (კოლას, 3, 9-10). საგულისხმოა ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ წმ. მარიამის არსებაში განსხეულებული ქრისტე ქართველი ჰიმნოგრაფების მიერ წოდებულია მეორე ადამად: „რომელი მეორე ადამ ქალწულმა გვიშვა“ (მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები. გვ. 52); „მეორე ადამ, ქრისტე მოვიდა ძიებად პირველსა მის და შეწირა თავისი თავი უცოდველმან სოფლისა ცოდვათა და ერის უმეცრებისათვის“ (ძველ ქართ. სახელ. პოეზია, გვ. 309). სინურმრა-ვალთავში ვკითხულობთ: „ახლისა ვენახის კვირტი, რომელმან ტევანი გამოიღო კურთხევისა და დაჰხსნა სალმობანი ჩუენში“ (გვ. 47).

დავით გურამიშვილის პოეზიაში „ძველი დღის“ ანტონიმად ჟღერს „ახალი დღე“: „ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე ღამე მზიანი... ახალმა დღემანგანწმინდა ღვარძლიან ნაკმაზიანი... სანამ დღე ძველი დღესახალსჩვენ დღედ არ გაგვინათებდა“... ე.ი. აქ საუბარია „ძველი დღის“ ანუ მამაღმერთის გაახალდღევებაზე ანუ ქრისტედ განახლებაზე.

გავიხსენოთ „ქებაჲ და დიდება ქართულისა ენისა“, სადაც ვკი-თხულობთ: „ახალმანნინო მოაქცია და ჰელენედედოფალმან“... ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, ძველ ქართულში „ახალი“ ნიშნავდა რიგით პირველსაც. ატრიბუტ „ახალთან“ დაკავშირებით შეუძ-

ლებელია აქვე არ გავიხსენოთშავთელის გამონათქვამი:

„ახალო რომო,შენთვის თქვეს რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა,
ვნატრიელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა“.

ზემოთ საილუსტრაციო ნიმუშები სპეციალურად დავაფიქსირეთ. მიგვაჩნია, რომ მსაზღვრელი „ახალი“ იგივე შინაარსითაა გაჯე-რებული, რაც გიორგი მთაწმინდისეულ შესიტყვებაში – „ახალი ერი“, ეს ნიშნავს ქრისტეს რჯულით განახლებულ ერს, გაქრისტიანების შემდეგ ახალ ერად მოვლენილს, საღმრთო ერად, ანუ საღმრთო სჯულის მატარებელ ერად. ვინაიდან ქრისტიანული რელიგია მსოფლიო რელიგიაა, საკაცობრიო რელიგია, ამდენად, ამ სარწმუნოების მატარებელი ერი, მათ შორის ქართველი ერი, მსოფლიო ერია, ანუ ახალი ერი. სავსებით სწორად შენიშნავს დენიზა სუმბაძე, რომ ბიზანტიამ ჩაუყარა საფუძველი ქრისტიანობის მსოფლიო რელიგიად ქცევას.

როდესაც გიორგი მთაწმინდელი ლაპარაკობს „ახალ ერზე“, ცხადია, მას არ ავიწყდება „ძველი ერი“ ანუ წარმართული ხანის ქართველი ერი, რომელიც გაქრისტიანების შემდეგ ჩამოყალიბდა „ახალ ერად“ ანუ ქრისტეს მოძღვრებაზე დამყარებულ ერად. მაცხოვრის რჯულისადმი თავგანწირულმა ერთგულებამ აქცია იგი არა მარტო ახალ, არამედ „საღმრთო ერად“. არა მგონია, რომ „საღმრთო ერი“ ნიშნავდეს მხოლოდ „ღვთაებრივ ერს“. მასში უთუოდ მოიაზრება ქრისტეს რჩეული ერი, ანუ მასში ქრის საგალობლის – „ქებაჲ... ქართულისა ენისაჲს“ სული, გამოკვეთილი იდეით, რომ მაცხოვარი მეორედ მოსვლისას კაცობრიობას განიკითხავდა მხოლოდ ქართული ენით. პირველად ზვიად გამსახურდიამ გაგვარკვია, რომ ძველ ქართულში „ენა“ და „ერი“ სინონიმური სიტყვებია. ასე რომ, იოანე-ზოსიმეს თანახმად, ქრისტეს მიერ ამორჩეულ ქართულ ენაში თავისთავად მოიაზრება ქართველი ერი.

2001 წელს პარიზში ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე დენიზა სუმბაძემ წაიკითხა საინტერესო მოხსენება, სადაც პირველად მსოფლიო მეცნიერებაში განაცხადა, რომ ქრისტიანობა ეს არისქალდეური ცნობიერების ამოხეთქვა იუდეაში. ასევე მან განაცხადა ეს „ქალდეურის“ როგორც ცნების ახალი დატვირთვითა და შინაარსით: „ქალდეურის“, როგორც უძველესიქართული ცივილიზაციის გაგებით“.

წარმოდგენილ წიგნშიც დენიზა სუმბაძე იგივე აზრს ავითარებს. იგი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეს უკანასკნელ სიტყვებს: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი?!“ – „უფალო, უფალო, რაისთვის დამიტევებ მე უმწეოდ?!“ ეს სიტყვები, როგორც ცნობილია, წარმოთქმულია არამეულ ენაზე. ამან შეიძლება, – წერს ავტორი, – გავცელებული აზრი იესო ქრისტეს ებრაელობისა, ნაცრად აქციოს; ფსიქოლოგიურად დაუშვებელია ადამიანმა სხვის ენაზე მიმართოს უფალს თავისი უკანასკნელი სათქმელისათვის, უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ ქრისტეს მშობლიური ენაც და ღვთისმშობლის ენაც არამეულია.არამეული ენა იგივე ქალდეველების ენაა. იესო ქრისტე არამეული ცნობიერების წარმომადგენელია, – წერს დენიზა სუმბაძე და იქვე განაგრძობს: „იესო ქრისტეს შემოსვამ „დავითიანობის“ ტიტულით გამოიწვია მისი ებრაელად გაგება, მისი ებრაელობის დამკვიდრება თვით პავლე მოციქულის მიერ, ისევე როგორც ეს მოხდა ბაგრატიონების შემთხვევაში, მაშინ როდესაც, ამ ტიტულს თავისი ისტორიოსოფიური დანიშნულება ჰქონდა და არა პირდაპირი.

წიგნში სამი დანართის სახით წარმოდგენილია: 1. „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“, 2. „საქართველოს მონარქისტული იდეა სრულიად სახიფათო ფაზაშია შესული“. ამ დანართებთან დკავაშირებით შეგვიძლია გავიმეოროთ წიგნის რეცენზენტის რევაზ ბალანჩივაძის

მიერ ნათქვამი: „მენანება, რომ მათ დანართი ერქვათ... საქმე ისაა, რომ „დანართს“ უმეტესწილად ყოველთვის ნაკლები პრეტენზია აქვს, ვიდრე ძირითად ნაწილს... დენიზა სუმბაძის „დანართები“ კი თავისი ღრმა შინაარსით ძირითადი იდეის ტოლი და სწორი, ამ იდეის შემდგომიგავრცობა და დასაბუთება, მისი უკეთ წარმოჩენაა“.

არაჩვეულებრივი ნაშრომია „პავლე ინგოროყვა და ქართველ ბაგრატიონთა პირველი ხსენებანი: ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, თუ რა მოზღვავებული პასუხისმგებლობით უნდა იწერებოდეს სამეცნიერო ნაშრომი.

ერთი სიტყვით, დენიზა სუმბაძის წიგნის – „გიორგი მთაწ-მინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ – სახით მკითხველმა მიიღო შესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, რომელიც გაჯერებულია ეროვნული სულისკვეთებით.

ლუარა სორდია

გრიგოლ რობაქიძე და ქართული რენესანსის პრობლემა

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უკავია როგორც მისი წინამორბედი, ისე მისი თანამედროვე ქართული სიტყვიერი კულტურის სიდიადის გაცნობიერებას, უცხოური და ქართული რენესანსის თავისებურებების გააზრებას.

ახსენებდა რა იტალიური რენესანსის გიგანტს-დანტეს და ქართული პოეტური სიტყვის მწვერვალს-შოთა რუსთაველს, “ვეფხისტყაოსნის“ ავტორს იტალიური რენესანსის წინამორბედად წარმოაჩენდა; “არავის შეუძლია მსოფლიო ისტორიიდან ამოშალოს დანტე ალიგიერი,რადგან ამით ისტორია დაღარიბდება.არც ის შეუძლია ვინმეს,წარხოცოს ისტორიაში სახელი რუსთაველისა,რომელმაც მსოფლიო საგანძურში ღვთიურ-მშვენიერი რამ შეიტანა.სამხრეთის ცის მუქ-ლურჯი თაღის ქვეშ იშვოდა ღვთიური სიტყვა მისი-მეთორმეტე საუკუნის უდაბნოში იგი მზიური ერთადერთი წინამორბედი იყო ფეროვანი რენესანსისა....მხატვრული სინთეზი ელლინის მზიურ-ხალისიანი სიტყვისა და აღმოსავლეთის „დიადი შუადღის“ ნაღვლიანი ფიქრისა“(არჩილ ჯორჯაძეს)(1,178-179).

„ქართველობის ნამდვილი დაბადება მოხდა მე-12 საუკუნეში.ქართველთა ენტელეხიის (შემოქმედებითი ფორმა-ძალის)სხეულება რუსთაველია.რუსთაველმა თავისი ნიჭით ქართული გენია განასხეულა“ (არჩილ ჯორჯაძეს) (1,299).

წერილში „აკაკის ქნარი“(1,300) ისევ რუსთაველი მოიხსენიება ქართველი გენიის სიმბოლოდ: რუსთაველი პოტენციაა ქართველთა სულიერი კულტურისა: მასში მოქცეულია ქართველთა გენიის შესაძლო ცხადება“.

გრიგოლ რობაქიძე ხაზს უსვამდა, რომ რუსთაველის პოემა არა მარტო ქართული,არამედ აღმოსავლეთის,მცირე აზიის კულტურის მწვერვალია.

1921 წლის 26 მაისს რუსთაველის ძეგლის გახსნაზე გრიგოლ რობაქიძეს წარმოუთქვამს ასეთი სიტყვა: “საქართველო არ არის უბრალო ეთნოგრაფიული ცნება, არც მხოლოდ გეოგრაფიული მოხაზულობა: საქართველო ავლენს მცირე აზიის მთელ სივრცეზე განფენილ მნიშვნელოვან კულტურას. ამ კულტურის გამჩენელი გენიის შოთა რუსთაველის ძეგლის საძირკვლის ჩაყრა იძენს უზარმაზარ აზრს.

„და, ეს ძეგლი, სიმბოლო ქართული გენიის უნივერსალობისა,იყოს აღმოსავლეთის

მთელი კულტურის და მისი ხალხების დამოუკიდებლობის მონუმენტი“ (2,64).

გრიგოლმა ერთ-ერთმა პირველმა დარეკა ჩვენში სიახლის ზარები,დაამკვიდრა მოდერნიზმი,იყო „ცისფერყანწელთა“ კონსულტანტი.

პოეზიის განახლებისთვის,მწერლის თვალსაზრისით, აუცილებელი იყო ახალი გზების ძიება, უნივერსალობა, პლასტიკურობა, გზნება (2,128).

მწერლის შთაგონების წყარო იყო როგორც როგორც წარმართულ ეპოქაში, ისე ქრისტიანულ სამყაროში. უნივერსალობის მოთხოვნაში იგულისხმებოდა როგორც აღმოსავლური,ისე მთელი მსოფლიო სიბრძნის საფუძვლიანი გათავისება, მსოფლიო ისტორიის, ფილოსოფიის,მითოლოგიის,წმინდა წერილის ჭეშმარიტებასთან ზიარება.

„მალშტრემისათვის“გაკეთებულ განმარტებაში გრიგოლ რობაქიძე წერდა:”ქალში ვიხილე ნამდვილი „მიწა“ ატეხილი მკერდებით და თავისგამეტების ნებით. კაცში ვიხილე ნამდვილი ზეკაცური არსი, რომელიც ცოცხლობს ბედის სიყვარულით. აქ არის რენესანსის ხერხემალი და ნიცშეს სხეული ფატუმისა” (2,137).

ქართული კულტურული რენესანსის გამარჯვების უპირველეს პირობად მიიჩნეოდა როგორც „ეროვნულ ტრადიციებთან სისხლხორცეული კავშირი“, ამასთან „ევროპულ ლიტერატურულ სიახლეებთან ორგანული სიახლოვე“ (3,241).

გრიგოლ რობაქიძე ქართულ, აღმოსავლურ რენესანსზე საუბრობდა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ათიან წლებში,გაცილებით ადრე, ვიდრე ამ საკითხზე შალვა ნუცუბიძის სენსაციური,საფუძვლიანი თვალსაზრისი გახმოვანდებოდა.

ცნობილია, შალვა ნუცუბიძე მეცნიერულად ასაბუთებდა ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და ქართველი პეტრე იბერის იგივეობას,დასავლური რენესანსის საფუძვლად არეოპაგიტიკას აღიარებდა და საუბრობდა რუსთაველის რენესანსზე, რომელიც, მისი აზრით, წინმსწრები იყო ევროპული, იტალიური რენესანსის და წარმოადგენდა დასავლურ-აღმოსავლური სიბრძნის უმაღლეს სინთეზს (შალვა ნუცუბიძე, აღმოსავლური რენესანსი და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა, 1941 წ., შოთა რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, 1947წ.,) ქართველი მეცნიერის მოსაზრება გაზიარებული იქნა ევროპაში (ჰონიგმანი), რუსეთში (ა.ლოსევი).

საფიქრებელია, რომ გრიგოლ რობაქიძე ქართული რენესანსის შესახებ ასეთ დასკვნამდე დამოუკიდებლად მივიდა.

მწერალი მრავალგზის უსვამდა ხაზს, რომ ქართული კულტურის განახლების გზა აღმოსავლური და დასავლური კულტურების სინთეზირებაა. “საოცარია აღმოსავლეთი. მარტო ინდოეთი და სპარსეთი რად ღირს. საქართველოც ხომ ნატეხია აღმოსავლეთის.და ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისთვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ (2,132).

გრიგოლ რობაქიძე იზიარებდა ისტორიკოსების მოსაზრებას, რომ ქართველთა უძველესი პირველსამშობლო ქალდეა იყო და თავის პოეტურ ფესვებს იქ ეძებდა.

„გველის პერანგის“ ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებდა მე-18 საუკუნის აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაზე: “საქართველოს აღორძინება ჯერ კიდევ მე-18 საუკუბეში ისხამს ფრთებს, აღორძინება იგი არ იყო ძლევა ტრაგედიისა იგი იყო მხოლოდ შეცნობილი გამოთქმა ტანჯვისა და მაშასადამე ერთგვარი მისი პასუხი“ (1,280).

ჯერ კიდევ 1913 წელს აფიქსირებდა მწერალი რენესანსის ნიშნებს: “საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო, – წარმოვთქვი ერთხელ და ამ სიტყვის სიმართლეს დღითიდღე უფრო ვგრძნობნ, მაგრამ რენესანსი იგი ჯერ კიდევ ქაოსისა და ფორმის ბრძოლაში აშკა-

რავდება და კიდევ დიდი დროა საჭირო, რომ ფორმამ სავსებით სძლიოს ქაოსს. ეს ფიქრები მებადება, როცა შევცქერი ჩვენი უახლესი ხელოვნების ზრდას (4,35).

მიიჩნევდა რა შოთა რუსთაველს აღმოსავლური რენესანსის გენიალურ წარმომადგენლად, იტალიური, დანტეს რენესანსის წინმსწრებად, გრიგოლ რობაქიძე აღორძინების ნიშნებს ხედავდა თავის თანამედროვე ლიტერატურაშიც: "საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო. და მალე მოვა დრო,როცა ხელოვანი ქართველ შთამაგონებელ მუზას იხილავს, უფრო ლაღსა და მატყვევებელს: ტყის ტევრით ღამით გამოდის მომხიბლავი ქალწული, ხელში თამაშით ცეცხლის რგოლებს ზღვის მქშინავ მკერდზე ისვრის,იწვის ზღვის გული,იხსნება იგი და შლის ძვირფას თვალ-მარგალიტს" (ერის სული და შემოქმედება) წერილი დაიბეჭდა 1913 წელს, 12 აპრილს, "სახალხო გაზეთში" (1,317).

სპეციალურად ამ საკითხს ეძღვნება წერილი „ქართული რენესანსი" რომელშიც ბევრი რამ არის ნაწინასწარმეტყველები,ხოლო ახალი რენესანსის ჩასახვის ათვლის წერტილად წიწამურის ტრაგედია მიიჩნევა: 'მისტიური სიმბოლო ქართული რენესანის ჩასახვის წიწამურის ველია..." ამ დროს ქართველმა იგრძნო საქართველო – და ამ გრძნობიდან ისახება ქართული რენესანსი."

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ილია ჭავჭავაძის ტრაგედია ერის გამოღვიძების სტიმული გახდა, წმინდა მსხვერპლს უშედეგოდ არ ჩაუვლია,პირიქით,სულის თვალის ახელის იმპულსი გახდა: "ილია ჭავჭავაძე მსხვერპლია, შეუცნობლად შეწირული საქართველოს საყოფელი სახის ხილვისათვის. საქართველომ იგრძნო საქართველო და ამ გრძნობიდან ისახება ქართული რენესანსი."

ხსენებული რენესანსი მე-20 საუკუნემ უნდა განამტკიცოს. ამ საუკუნეში საქართველო ან სრულად უნდა მოისპოს, ანდა აყვავდება მსოფლურად. მოსალოდნელი უფრო მეორეა.

აანალიზებდა რა შექმნილ ვითარებას,მწერალი მიიჩნევდა,რომ რენესანსის მიღწევისათვის საჭირო იყო რამდენიმე სიძნელის დაძლევა.

პოეტი სიძნელედ ასახელებდა ანთროპოლოგიური ხასიათის პრობლემას:"არც ერთი ხალხი ერთი ეროვნული პლაზმიდან არ ჩამოსხმულა. ჯერ მრავალი სხვადასხვა ხალხოსნური თესლი და შემდგომ მათში გამართული ბრძოლის მიერ წარმოშობილი ერთი პლაზმა,-აი,მარტივი ხაზი ერის ჩამოყალიბების."

ამის მაგალითებად მიჩნეული არიან ბერძნები,ფრანგები,რუსები.

შემდეგ საუბარია ქართველებზე: ჩვენ ვიცით მრავალი ეთნიური თესლი,რომელიც ორგანულად შეედღა „ვითომ" საქართველოს ეროვნულ პლაზმას, ამას გვასწავლის საქართველოს ისტორია,მაგრამ ძალზე გვაფიქრებს ეს „ვითომ".

მეორე სიძნელეს მწერალი ხედავდა „თემურ პარტიკულარიზმში", კუთხურობაში:"ეს ერთგვარი მრავალფეროვნება, მდიდარი სხვა-და-სხვაობა იმ ზომამდე მიდის ხანდახან, რომ უნებურად ფიქრი იბადება, შესაძლოა ისინი სხვადასხვა ხის დგმას წარმოადგენდნენ,ნათესაურ რკალში მოქცეულს".

შემდეგ დასმულია აბსოლუტიზმის პრობლემა: "აბსოლუტიზმი ისტორიაში აუცილებელიც არის და საჭიროც. მრავალ სასტიკ მხარესთან ერთად,მას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარეც: იგი ჰქმნის ერთ მთლიან ფსიქიკას, სასტიკი ყალიბით ასხეულებს ერის ნებისყოფას. საქართველოში სასტიკი აბსოლუტიზმის უქონლობა ხელს უწყობდა ჩვენს ეროვნულ დაქსაქსულობას,ანარქიული ბუნების განვითარებას.

მწერლის აზრით, მარქსისტების მტკიცება მართალია,რომ საქართველოს ერთიანობა რუსების ხელმწიფობის დროს იქნა მიღწეული, მაგრამ ეს იყო ერთობა მონობით.

წერილში მესამე სიძნელედ მიჩნეულია გავლენის სფერო: "გავლენას ყველა ერი გა-

ნიცდის,მაგრამ ყოველი ჯანსაღი ერი შემტევ ძალას ავლენს და ამით უმკლავდება გავლენას.ეს აუცილებელია თვითმყოფადი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისთვის.”

გრიგოლ რობაქიძე სვამდა კითხვას:”ჰქონდა თუ არა საქართველოს მაგარი შემტევი ძალა?” პასუხი ასეთია: ”შემტევი ძალა საქართველოში ყოველთვის არ ყოფილა მახვილი და მედგარი.”

კეთდება საბოლოო დასკვნა:ჩვენს კულტურას ყოველ სფეროში,მრავალი ‘’გავლენა” შედუღებული და გარდაქმნილი კი არა აქვს, არამედ მიკრულია მეტხორცად. ეს გავლენა ‘’მეტხორცი” მესამე სიძნელეა ქართული რენესანსისა.

‘’აი,სამი სიძნელე, რომელიც უნდა სძლიოს ქართულმა რენესანსმა.ძლევა აქ მეტად საძნელოა.”

მწერლის კრედო,რენესანსთან დაკავშირებით, ასე ყალიბდება: ”ქართული რენესანსის მონაწილემ ორგანული სხეულებით უნდა იგრძნოს საქართველო მის ისტორიულ დენაში და მონახოს მისი ნამდვილი საყოფელი სახე, შემდგომ შემოქმედის ხელმწიფებით უნდა გამოჰკვეთოს მან იგი სახე კულტურულს შემოქმედებაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეჰქმნის ქართული რენესანსი ნამდვილ სტილს. ეს კი მეტად საძნელოა” (ქართული რენესანსი, ”საქართველო”, 1917წ. 257).

საქართველოს განთავისუფლებას,მის გაერთიანებას ჭვრეტდა მწერალი და ამას მიიჩნევდა გამარჯვების საწინდრად: ”ქართული რენესანსისითვის პირობები თანდათან უკეთესდება. დღეს თუ ხვალ საქართველო განთვასუფლდება... იგი გაერთიანდება და გამთლიანდება... ქართველმა უნდა იგრძნოს რაინდული შემოქმედებით საქართველო. მხოლოდ ამ შემთხვევაში აყვავილდება ქართული რენესანსი.ასეთი გრძნობა... მისტიურობამე აყვანილი... ყოველ ზღუდეს გადალახავს... ქართველი ხელოვანი ამასთანავე რაინდიც უნდა იყოს სულიერი, რომ მთელი ქართველობა ამოსწუროს მის ისტორიაში და გამოჰკვეთოს მისგან ნამდვილი სტილი.” (ქართული რენესანსი,გაზ. ”საქართველო”, 1917წ. 257)(6,14).

წერილი გადმობეჭდა ‘’კვირის პალიტრამ” (2005წ,4-20ნოემბერი)

გრიგოლ რობაქიძე დაბეჯითებით აცხადებდა: ”არის იდეა და სტილი რენესანსისა”(არჩილ ჯორჯაძე) (1,277).

„დაიმსხვრა გმირი სააკაძის ძლევამოსილი ხმალი, სიმბოლო საქართველოს გაერთიანების იდეისა, იჭედება ლეგენდით სხვა ხმალი, ხმალი სულიერი,სიტყვა წინასწარმეტყველური, სიმბოლო ეროვნულის რენესანსისა” (არჩილ ჯორჯაძეს) (1,285).

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება მართლაც იყო ძლიერი სულიერი იარაღი,წინასწარმეტყველური,რენესანსის მრავალი ნიშნით გამორჩეული,ქართული ეროვნული გონის განსაკუთრებულობის მაცნე, რაც მომავალში საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

ტიციან ტაბიძემ პირველმა იგრძნო გრიგოლ რობაქიძის სიდიადე და იგი დანტეს გვერდით მოიხსენია: ”ხარ მეორეჯერ მონათლული დანტეს ემბაზში, იყავი მეფე-ზეცას გიწერს ბედის მწერალი,დაცემის ორმო და აღდგომის თეთრი მწვერვალი,დიდების ცეცხლი მარად გინთებს სამეფო კარავს, გამარჯვების მზეს უბედობა ვეღარ დაფარავს, პოეტს, მეგობარს მაამაყებ მელექსეთბაში.”

პროფ. რევაზ მიშველაძე კითხულობს:რა ხდება?გალაკტიონის პირველი წიგნი შვიდი წლის გამოსულია და რა “მეფობაზე”, ‘’დანტეს ემბაზზე”, ”დიდების ცეცხლზე” ელაპარაკება ტიციან ტაბიძე გრიგოლ რობაქიძეს?... ჩემი აზრით, გრიგოლ რობაქიძემ ლიტერატურაში ახალი სკოლის შექმნით ჭეშმარიტად ახალი და სწორედ თავისი სიახლით უცნაური,უჩვეულო ლექსი მოიტანა,რასაც ჰქვია ავანგარდიზმი,მოდერნიზმი საერთოდ და სიმბო-

ლიზმი კონკრეტულად, სწორედ რომ ათიანი წლების მეორე ნახევარში გრიგოლ რობაქიძემ დაამკვიდრა და ამით ჩვენს მწერლობაში ევროპული მოდური სკოლების გავრცელებას ლიბო გაუმაგრა"(6,143).

1920წ. გაზეთ „პოეზიის დღეში'' ტიციან ტაბიძე გრიგოლს მოიხსენიებს,როგორც „მელექსეთბაშს,დიდების ცეცხლით ნათელფენილს, სამეფო კარვის მეუფეს,დანტეს ტოლს'': ''ტიტველ სირენას და მოთენთილ მადონას დალალს, ყველაფერს იტევს შენი ლექსი მოანდამატე,ბრინჯაოს ცხენით შემოგხვდება ტოლივით დანტე, შუადღის სიცხეში გაალებულს მოგისმენს დამთვრალს. შენი ლექსია გაციებულ პლანეტათ მარში.დიდების ცეცხლი მარად გინთებს სამეფო კარავს, გამარჯვების მზეს უბედობა ვეღარ დაფარავს.ძმას და მეგობარს მაამაყებ მელექსეთბაში.''

აშკარაა, აქ ჩვეულებრივი სიახლეები კი არა, ნაგულისხმევია პოეტური შემოქმედებითი სიტყვის მწვერვალი, გენიალური ნიჭი და შემთხვევითი არც ის არის რომ გრიგოლს გენიოსად მოიხსენიებდნენ უცხოელებიც (რუდოლფ კარმანი,ფრანკ მარაონი, ებერჰარდ კრეჩმერი, ლეოპოლდ ციგლერი,სტეფან ცვაიგი, რომენ როლანი...).

ალბათ, შემთხვევითი არ იყო რომ მეოცე საუკუნის ქართულ მხატვრულ სიტყვაზე ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებდა გალაკტიონ ტაბიძე.

ეს თემა მომავალში საკვლევ ძალზე აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება...

ლიტერატურა

1. შერისხულნი 15ტომად,ტ.2, თბ.1994
2. აკაკი ბაქრაძე, კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი,თბ.2003
3. ავთანდილ ნიკოლეიშვილი,მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, 1 ტომი, ქუთაისი,1994
4. ჟერნალი „ოქროს ვერძი'',1913წ. 3
5. „კვირის პალიტრა'', 2005 წ. 4-20 ნოემბერი
6. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1999წ.

მანანა კვატაია

"პორტრეტთა" ენიგმური სივრცეებიდან

1919 წელს თბილისში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის რუსულენოვანი ესეების კრებული "პორტრეტები", სადაც ავტორი წარმოდგება, როგორც შესანიშნავი ესეისტი-ანალიტიკოსი, რუსული მწერლობისა და ფილოსოფიის ღრმა მცოდნე და შემფასებელი, მასშტაბური, ორიგინალური ხედვის მოაზროვნე და მკვლევარი.

ეპიგრაფის მიხედვით, კრებული ავტორს რუსეთისათვის მიუძღვნია, მისი თქმით, იმ ქვეყნისათვის, რომლის "თვალუწვდენელ სტეპებში აპოკალიფსური ცხენების ფლოქვთა თქარათქური ისმის". მართლაც, "პორტრეტები" ახალ რუსეთს ეძღვნებოდა, ერთი შეხედვით, გარდაქმნილ, პროგრესის გზაზე დამდგარ რუსეთს. რომანოვთა სამასწლოვანი დინასტიის დამხობამ საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი გააღვივა. ჩვენმა მოღვაწეებმა მომლოდინე მზერა ჩრდილოეთს მიაპყრეს. რუსეთის ფენომენს გრიგოლ რობაქიძეც იკვლევდა. ეს ნათლად იკვეთება მის "პორტრეტებში", რომლის ორიგინალური ესეები ეძღვნება სხვადასხვა დროის ოთხ ცნობილ

რუს მოაზროვნეს: პეტრე ჩაადაევს, მიხეილ ლერმონტოვს, ანდრეი როზანოვს, ანდრეი ბელის. ავტორის მთავარი აქცენტი ამ გამოჩენილ პიროვნებათა შინაგანი ხატისა და ენიგმის, იდუმალი პლასტებისა და არსის მხატვრულ კვლევაზეა გადატანილი.

გრიგოლ რობაქიძემ შემოქმედებითად განავითარა მეოცე საუკუნის დასავლური აზროვნების პოსტულატები. თავის ესეში "ექსპრესსიონიზმი" მწერალი მიუთითებდა: "მე მსურს ავსახო საგანი არა ისე, როგორც არსებობს საგანი თვითონ, მაგრამ არც ისე, როგორც ჩემს შთაბეჭდილებებშია იგი ასახული, არამედ ისე, როგორც არის იგი გარდაქმნილი ჩემს სულში.. ექსპრესსიონიზმისათვის თავი და თავი საგნის გარდაქმნაა სულით და არა უბრალო ასახვა". სახეცვლილმა საგნებმა თუ იდეებმა რობაქიძის თხზულებებში ახლებური ბრწყინვალება შეიძინა. რობაქიძის "პორტრეტებშიც" ამგვარი ლაიტმოტივი იკვეთება. მოკლედ შევეხებით მის გმირებს და ძირითად პრობლემატიკას.

პორტრეტი პირველი: პეტრე ჩაადაევი. კრებულის პირველი ესე ცნობილ რუს დეკაბრისტსა და მოაზროვნეს პეტრე ჩაადაევს ეძღვნება. მრავალი წყაროს გამოყენებით გრიგოლ რობაქიძე სიღრმისეულად იკვლევს გმირის ფენომენს. მოკლე, ლაკონური ფრაზებითაა დახასიათებული მისი ჰაბიტუსი და პიროვნული თვისებები: "მაღალი. გამხდარი. ტანადი.. სახე გაპარსული: ხმელი, ფერმკრთალი, გამომწვარი. ფოლადი მონაცისფრო-ცისფერი თვალების მზერაში: მკაცრი ხაზი ზედა ბაგისა; რბილი – ქვედასი: შეერთებაში – ბასრი ირონია. შიშველი, გრანიტისებური თავის ქალა – მბრძანებლური ინტელექტი.. გულღია მზერა და ნაღვლიანი ჩაცინება.. გონების მხნეობა და მარადიული ნაღველი. ყველაფერში არისტოკრატი. ინახავს საკუთარ ცხენებს. "ინგლისური კლუბის" მუდმივი წევრი. შეუცვლელი მაღალი წრის სალონებში. დახვეწილი მანერები.. საკუთარ თავშია ჩაკეტილი. მდუმარე. თავდაჭერილი. იცის ნიღბის ტარება. ამაყი. დამოუკიდებელი. გაბედული". მე-18 საუკუნიდან თითქოს ჩვენს დროშიც შემოაბიჯებს პეტრე ჩაადაევი და ამ სტრიქონებში მისი პიროვნული არსი ფილიგრანული სიზუსტითაა დახასიათებული.

კონცეპტუალურია ტექსტის ის ადგილები, სადაც ტრაგიკული ხვედრის დეკაბრისტის შინაგანი მრწამსია გადმოცემული: "ვიღაც უცხოელი რუსული გვარით: ჩაადაევი – თითქოს ფსევდონიმია: რუსს არ ჰგავს.. მსუბუქი ზიზღით დამოკიდებულება ყოველივე რუსულის მიმართ.. დიახ! ჩაადაევი ემიჯნება ყოველგვარ "რუსულს". უფრო მეტიც: ის ემიჯნება ყოველგვარ ადამიანურს".

გრიგოლ რობაქიძე განმარტავს გმირის ნააზრევის ცენტრალურ იდეას (სიცოცხლე ღმერთში) და შენიშნავს, რომ მსოფლიოს ისტორია ღვთაებრივის პლასტიკური განხორციელებაა, ხოლო მისი კონკრეტული ხატი – ქრისტეა. სიცოცხლე ქრისტეში – ადამიანის შინაგანი ამოცანაა. კაცობრიობა ღმერთის წიაღიდან გამოვიდა, – ის ღვთაებრივ წიაღში უნდა დაბრუნდეს. მაგრამ როგორ? – საკუთარ თავში მატერიალურ სტიქიებზე მუდმივი გამარჯვებით.

პეტრე ჩაადაევის ნაწერებისა და მასზე არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რობაქიძე დაასკვნის, რომ ის პეტრე დიდისა და ალექსანდრე პუშკინის რიგის მოღვაწეა, მისი მთავარი დამსახურება კი ისაა, რომ მან "პირველად ნათლად და მკაცრად დასვა "რუსეთის პრობლემა".

პორტრეტი მეორე: მიხეილ ლერმონტოვი. "ლერმონტოვის ნიღაბში" ექსპრესიულად იკვეთება ტრაგიკულად აღსრულებული ნიჭიერი შემოქმედის გარეგნული შტრიხები, წინააღმდეგობრივი ბუნება, სულიერი ხატი. ჩვენს წინაშეა ყველასაგან განდგომილი, მარტოსული, მაგრამ ამაყი მიხეილ ლერმონტოვი, რომლის ჭეშმარიტ სახეს იდუმალი და შეუვალი

ნიღაბი ფარავს. რობაქიძე თვლის, რომ მწერლის "საიდუმლო" მისსავე "ნიღაბში" იმალება, რომელიც, ერთი შეხედვით, შემზარავია. "ლერმონტოვის ბუნებაში იყო რაღაც ავისმომასწავებელი და ტრაგიკული.. რაღაც დაბინდული და უკეთური ძალა გამოკრთოდა მისი შავგვრემანი სახისაგან, მისი დიდი და უძრავი მუქი თვალებიდან", – უთქვამს ი. ტურგენევს.

მიხეილ ლერმონტოვის პიროვნული და შემოქმედებითი დუალიზმის რობაქიძისეული ახსნა ასეთია: მწერლის "მონადა" ვერ შეიგრძნობს საკუთარ "სხეულს": ის არ არის "ის", არამედ ვიღაც მესამე პირია; და ამიტომ იგი დაუნდობელია "მისადმი": მისთვის ის სულ ერთია: ფეხქვეშ თელავს, ლანძღავს, ეზიზღება.. რადგან ის არ არის "ის", არამედ "სხვაა". ამავე დროს, რწმენა განგებისადმი, ფატალიზმი – ლერმონტოვის სტიქიის განუყრელი ელემენტია.

მ. ლერმონტოვს მკაცრად აფასებდნენ მისივე თანამემამულეები, მათ შორის, ვლ. სოლოვიოვი და დ. მერეჟკოვსკი – მასში დემონსაც კი ხედავდნენ. "ლერმონტოვის ნიღაბში" გრიგოლ რობაქიძე ცდილობს, შემოქმედის ჭეშმარიტი ბუნების იდუმალი სიღრმეები მიმოიხილოს და საზარელი ნიღბის ქვეშ მისი ფაქიზი და ზემგრძნობიარე სული განჭვრიტოს.

პორტრეტი მესამე: ვასილი როზანოვი. ორიგინალური ხედვის მწერლისა და ლიტერატორის გარეგნული ხატს რობაქიძე მისივე თხზულებებიდან აღადგენს (ის გარკვეულ ანტიპათიასაც კი იწვევს): "წითელი სახე, როგორღაც უსიამოვნო კანი, ლაპლაპა (არა მშრალი). თმა მთლად ცეცხლისფერი (გიმნაზიელს) და ზემოთ აფშეკილი, მაგრამ არა კეთილშობილ "ზღარბისებურად" (მამაკაცური ხასიათი), არამედ რაღაც აღმართულ ტალღად, სრულიად უაზროდ (უცნაურად)," – ასე დაუხასიათებია როზანოვს საკუთარი თავი და სასოწარკვეთილს აღმოხდენია: "ასე საძაგელს ვინ შეიყვარებს?" არანაკლებ გულახდილია მისი აღიარება: მე ქალებს არასოდეს მოვწონდი.

ვასილი როზანოვის თხზულებებზე დაყრდნობით ესეში მისივე სულიერი ავტოპორტრეტიცაა წარმოდგენილი: "საგანთა რაღაც ფეტიშიზმი მახასიათებს. "წვრილმანები" ჩემი "ღმერთებია".. ჩემი სული რაღაც დომხალია.. ტალახის, სინაზისა და ნაღვლისაგანაა დაწნული.. მე მთლად ფესვებში ვარ, ფესვებს შორის. "ხის კენწერო" – ჩემთვის სრულიად გაუგებარია." როგორც ვხედავთ, გმირის ენიგმა აქაც რთული და წინააღმდეგობრივია.

გრიგოლ რობაქიძეს როზანოვი მისსავე პერსონაჟს, პერედონოვს, აგონებს: მან ბევრი რამ იცის, მაგრამ მისი შემოქმედებითი ნატურა საკუთარ თავში უჩვეულოდაა ჩაღრმავებული. აქედან: მისი სუბიექტურობა, რეალურობის გრძნობის დაკარგვამდეც კი. სულ მუდამ საკუთარ თავს უსმენს: – და არ ძალუძს სხვათა მოსმენა. იგი საკუთარ თავს ჯერ კიდევ დედის წიაღში გრძნობს. საოცარი ფენომენია: "ცხოვრობ დედის წიაღში, თითქოს საშოდან არც გამოსულხარ: აქედან – საკუთარ თავში ჩაღრმავება, მუდმივი სწრაფვა მარადიული სიჭაბუკისაკენ.. ყველაფრისადმი დამოკიდებულებაში ირონია, საკუთარი თავისადმიც კი", – ვკითხულობთ ესეში.

მწერლის აზრით, ამგვარ მდგომარეობაში მყოფ როზანოვს მეტაფიზიკურად ჯერ სახეც არა აქვს: მასში ინდივიდუალობა არ არის.. მაგრამ, ამავე დროს, მას ახასიათებს გენიალური ყოვლისმგრძნობელობა, ყველაფერში შემოქმედებითად შეღწევის უნარი: მას ესმის "ესეც" და "სხვაც". ადამიანურად ის სახის არმქონეა, მაგრამ, სამაგიეროდ, არაადამიანურად სამყაროსეულია. ამითვე აიხსნება მისი საოცარი სიშიშვლეც (ნიცშეს ერთ-ერთი მწვავე პრობლემა).

გრიგოლ რობაქიძე განმარტავს, რომ როზანოვის ფენომენი "საშოსეული"ცხოვრების მდინარებაშია. აქედან: მისი არსების რიტმი – სქესი. როზანოვს უყვარს იუდაიზმი, მისი პანთეისტური ეროტიზმი, რადგან "იუდაიზმი თესლის რელიგიაა".

"სტილი – საგანთა სულია"., – უთქვამს ვ. როზანოვს. გრიგოლ რობაქიძე თვლის,

რომ როზანოვის სტილი ისევე ფენომენალურია, როგორც თავად როზანოვი და ის ღირსეულ მკვლევარს ელის.

პორტრეტი მეოთხე: ანდრეი ბელი. ეს ის მწერალია, რომელსაც, რობაქიძის თქმით, შემთხვევით არ ამოურჩევია ფსევდონიმი: "ბელი" – აპოკალიფსური ხატი. ანდრეი ბელი მარადისობასთან იყო წილნაყარი. მისი ერთ-ერთი თანამედროვის თქმით, "ბელის სამყაროში დრო არ იყო ის, რაც ჩვენთვისაა.. იგი ეპოქებით აზროვნებდა".

ესეში "ანდრეი ბელი" გრიგოლ რობაქიძე იკვლევს პოეტის საიდუმლოს, რაც, მისი თქმით, "ნიშნავს იპოვო მისი შემოქმედებითი სულის ინდივიდუალური რიტმი". ეს რიტმი კი თურმე შემოქმედის მიწისადმი დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება გამოვლინდეს (რობაქიძე განმარტავს, რომ მიწის ხატის ქვეშ იგულისხმება საგნები, დრო, ქაოსი.. საგნები დროში და მათ ქვემოთ ქაოსი).

ფრ. ნიცშეს შეხედულებით, სამყაროს არსება – "მიწა" "უნდა ვიაზროთ, როგორც სიცოცხლე.. "მიწა", რომელიც ნიცშეს მოძღვრებაში იკავებს ღმერთის ადგილს, სწორედ რომ სიცოცხლის მომნიჭებელი ძალაა, თავად სიცოცხლეა, ე.ი. დროში და სივრცეში გაშლილი შემოქმედებითი პროცესია... "მიწა" რაღაც პასიური, ინერტული ნივთიერი საწყისი კი არ არის, არამედ "სიცოცხლე", "ცხოვრება" ((ბუაჩიძე 1993: 259-260).

რობაქიძის აზრით, ანდრეი ბელი – რუსეთის ნამდვილი წინასწარმეტყველია, რომელმაც პეტერბურგის ხატში მიწის აპოკალიფსური (–და, ამასთან, დაფერფლვის) გზით უარყოფა მოგვცა.

"ანდრეი ბელი – აპოკალიფსისის ნამდვილი ეპილეპტიკია", – ამგვარი შთაბეჭდილება დარჩენია რობაქიძეს მწერლის ხილვისას პარიზში, 1907 წელს, მერეჟკოვსკის ლექციაზე. "მისი დაფერფლილი სული არამიწიერი სევდით უფრთებოდ დაქრის საკუთარ მშობლიურ გამომწვარ სივრცეებში", – ასე აღიქვამს მწერალი ბელის პოეზიას, მის ფსევდონიმს კი ამგვარად ხსნის: "ანდრეი" – უნებლიედ ჩნდება აზრი "პირველწოდებულობაზე" (ანდრია პირველწოდებული); "ბელი" – აპოკალიფსური ხატი: "ახალი სახელი, რომელიც არავინ უწყის, იმის გარდა, ვინც მას იღებს; ის სულის "თეთრ ქვაზეა" ამოტვიფრული". ესეს ავტორი თვლის, რომ ანდრეი ბელი თავის ფსევდონიმს ამართლებს.

დამოწმებანი:

ბუაჩიძე 1993: ბუაჩიძე თ. ფრიდრიხ ნიცშე და მისი "ესე იტყოდა ზარატუსტრა". – წიგნში: ნიცშე ფრ. ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბილისი: 1993.
რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ. პორტრეტები. რუსულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ. თბილისი: "არტანუჯი", 2012.

ძალაუფლების კონცეპტის ალგორითმი

ავტორიტარულ ხელისუფლებათაგან ყველაზე სასტიკი და სისხლიანი – მეოცე საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმები – კონკრეტულ ლიდერთა, აღიარებულ ავტორიტეტთა, პიროვნულ თვისებებთანაც ასოცირდება. მაქს ვებერმა მათი სამი ტიპი გამოყო: რაციონალური, ტრადიციული, ქარიზმატული. დიქტატორულ რეჟიმთა ბელადები ძლიერ ნებასა და სისასტიკესთან ერთად პიროვნული ქარიზმითაც გამოირჩეოდნენ, რაც მასებზე თუ ინდივიდებზე მათ უსაზღვრო გავლენასაც განაპირობებდა.

„ყველა ტირანი ერთნაირია, ისინი მხოლოდ ვერაგობისა და სისასტიკის ზოგიერთი

უმნიშვნელო ელფერით განსხვავდებიან. სისასტიკით ყველა ერთმანეთს ჰგავს" (რობესპიერი). ტირანის, დიქტატორის თემა მარადიულია. ტოტალიტარიზმის ფორმირების აუცილებელი პირობა, მისი საფუძველი ტოტალიტარული ინდივიდია, რომელსაც ახასიათებს თვითდამკვიდრებისა და ძალაუფლების წყურვილი, აგრესიულობა, ორიენტირება ლიდერის ავტორიტეტზე, საკუთარ სოციალურ ჯგუფსა და სახელმწიფოზე, აზროვნების სტერეოტიპულობა, კონფორმიზმი, ინტელიგენციის სიძულვილი და ა.შ. (ენციკლოპედია 2002: 13).

ავტოკრატია, ერთი მხრივ, ემყარება თანამედროვე ტექნოლოგიებს, მეორე მხრივ, ლეგიტიმაციას. "ლეგიტიმურობის საკითხი მაინც გადამწყვეტია ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე უსამართლო და სისხლიანი დიქტატურისათვის" (ფუკუიამა 1999: 33). ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი საკუთარი ხალხის დიდმა ნაწილმა აღიარა. "ჰიტლერს მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ შიშის, არამედ მისი ლეგიტიმური ავტორიტეტის რწმენით" (იქვე). ფუკუიამას შედარებით, მაფიაში ისე ვერ გახდები უფროსი, თუ შენი "ოჯახი" არ აღიარებს შენს ლეგიტიმურობას, ამგვარადვეა ავტოკრატიის შემთხვევაშიც.

ავტორიტარიზმის აღმოცენებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავტორიტეტს, რომელიც სამართალზე მაღლა დგას. ავტორიტეტი, ბელადი, ტოტალიტარული ხელისუფლების პირამიდის თავში ზის. მას აქვს აბსოლუტური, შეუზღუდავი ძალაუფლება. ნებისმიერი ეს სისტემა მის კულტს ქმნის. ძალაუფლების კულტი – აქაა ტოტალიტარული სისტემის არსი. ის პიროვნების კულტზე უფრო სიცოცხლისუნარიანია. მეოცე საუკუნეში მის გამო იქმნებოდა კომუნისტური თუ ფაშისტური მითოსი, საფუძველი ეყრებოდა ახალ რელიგიას.

„მკვდარნი არიან ყველა ღმერთები: აწ ვისურვოთ, რათა ზეკაცმა იცოცხლოს", – განაცხადა გასული საუკუნის დასაწყისში ფრიდრიხ ნიცშემ და ზეკაცობის მსურველთ მიმართა: "ღმერთი თქვენი უდიდესი საფრთხე იყო". ღირებულებათა ტოტალური გადაფასების ეპოქაში უღმრთო ადამიანებმა კომუნისტური და ფაშისტური მიმართულების ახალი რელიგია შექმნეს.

„მარქსი არის გაპიროვნებული ღმერთი.. კარლ მარქსს ჰყავს თავისი მოციქული ლენინი" (ვ. ნოზაძე, „კომუნისტური ესხატოლოგია"). ამგვარივე მოციქულებად თუ ღმერთების თანასწორად შეირაცხნენ სიცოცხლეშივე მითოლოგიური შარავანდედით მოსილი სხვა ლიდერები. საბჭოთა კავშირში იქმნებოდა ლენინიადა, სტალინიადა, ბერიადა.. (ა. ბაქრაძე); გერმანიასა და იტალიაში ხოტბა-დიდებით იხსენიებდნენ ჰიტლერს, მუსოლინის..

ვიქტორ ნოზაძის შეფასებით, ეკლესიის მსგავსად, მარქსიზმ-ლენინიზმიც უკომპრომისოდ იბრძოდა საკუთარი დოგმების დასადგენად, გადახრების წინააღმდეგ, რასაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ახალ, მარქსისტულ-ლენინურ რელიგიას ვიქტორ ნოზაძე კომუნისტურ ესხატოლოგიას უწოდებს და ასე განმარტავს: ეს არის სწავლა (დოგმა) უკანასკნელ ნივთთა, მოვლენათა (ეს-ხატოს) შესახებ, რომლის თანახმად დადგება დრო, როდესაც საყოველთაო ბედნიერება დამყარდება – კომუნისტური მითოსი, რომელსაც, მეცნიერის თქმით, განხორციელება არ ეწერა. მისივე განმარტებით, ამგვარი ესხატოლოგიის საფუძველი ძველი რუსული შეხედულებაა, რომლის მიხედვით, რუსი ხალხი უნდა ყოფილიყო "მესია", ანუ "ცხებული", რომელიც ამ ქვეყანად დაკარგულ სამოთხეს აღადგენს. ეს რელიგიური მესიანიზმი რუსულ იმპერიალიზმში გადაიზარდა, რაც, ნოზაძის შეფასებით, მსოფლიოს საფრთხეს უქმნის.

ბელადთა კულტმა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობას წარუშლელი დაღი დაასვა: ქვეყნის შიგნით ლიტერატურა განვითარების ტრადიციულ, ორგანულ გზას ასცდა. ამავე დროს, საქართველოს ფარგლებს გარეთ, ემიგრაციაში, სხვაგვარი ტექსტებიც იქმნებოდა: უცხოეთში იძულებით გადახვეწილი ქართული მოაზროვნეები თავიანთ ნაწერებში რეალისტურად აფასებდნენ საბჭოთა სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს, მის "სრულ-

ქმნილ", "კაცთმოყვარე" ბელადებს, ამავე დროს, ისინი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ფაშიზმსა და მის ლიდერებზე.

1939 წლის შემოდგომაზე იენაში ოიგენ დიდერიხსის გამომცემლობამ დაბეჭდა გრიგოლ რობაქიძის "ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი მწერლის თვალით დანახული" – სკანდალური თხზულება, რომელიც წლების მანძილზე აკრძალული გახლდათ. ჩვენი ფიქრით, ესაა წიგნი-ენიგმა, რომლის ამბივალენტური, ალეგორიული პლანი განსაკუთრებულ დაკვირვებას ითხოვს. ამასთან, გასათვალისწინებელია თვით ავტორის დეფინიცია: "საბჭოეთში მე მომნათლეს "ფაშისტად", ესეც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. "წიგნი ჰიტლერზე"?? ეს წიგნი "პითაგორეული" გეგმებითაა აგებული. მოკლედ: აქ ნაციონალისტურ-სოციალისტური მსოფლხედვა სრულიად შენგრეულია შინაგან.. ომის ღერღირში ვიღას ეცალა ნიუანსების ამოცნობისათვის?" (გრიგოლ რობაქიძე. "გულნადები", წერილი ქართველ მწერლებს). ემიგრაციაში მყოფი რობაქიძის პიროვნულ და შემოქმედებით ბედზე უარყოფითად აისახა მისი თხზულებები ჰიტლერსა და მუსოლინიზე. როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ისე მის შემდეგაც, ქართველი მწერლის თხზულებებს ევროპაში აღარ ბეჭდავდნენ.

1947 წლის შემოდგომაზე ჟენევაში გრიგოლ რობაქიძეს დაუწერია "ჩემი განმარტება", რომლის ტექსტი ამ ბოლო ხანებამდე უცნობი იყო. მისი ორიგინალი პირველად 2011 წელს გერმანიაში გამოქვეყნდა. თხზულება შეიცავს საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილ 21 გვერდს და დაცულია ციურიხში, ოტო ცოგის (ტტო ძაუგ) არქივში. ჩვენ იგი ქართულ ენაზე ვთარგმნეთ და 2012 წელს შევიტანეთ წიგნში: გრიგოლ რობაქიძე. " რო დომო სუა" (გამომცემლობა "არტანუჯი", "უცნობი გრიგოლ რობაქიძის" სერიით).

„ჩემი განმარტება" ავტორის ერთგვარი აღსარებაა, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ გაუგზავნაგერმანიის მწერალთა გაერთიანებებს,გერმანელ გამომცემლებს,პენ-კლუბს, თავის მკითხველს. თუმცა ამ ტექსტის გამოქვეყნება ვერავის გაუბედავს.

თხზულება მრავალმხრივაა საყურადღებო. ის გვაცნობს მწერლის ბიოგრაფიის უცნობ დეტალებს, გადმოსცემს "ადოლფ ჰიტლერის" შექმნის ისტორიას, განმარტავს ნაწარმოების ძირეული პოსტულატების რობაქიძისეულ ხედვას.

ავტორის ფიქრით, "ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი მწერლის მიერ დანახული" გერმანელი დიქტატორის პორტრეტია. მას, "როგორც "ნაწარმოებს", განმარტება არ სჭირდება. მასში ყოველი სიტყვა მოფიქრებულია, ყოველი სტრიქონი – აწონილ-დაწონილი. თავისი ზუსტი სიმოკლით იგი სონეტს (!) ემსგავსება!." ამ უკანასკნელ თეზას მწერალი ამგვარად ხსნის: თხზულება 14 თავისაგან შედგება, როგორც სონეტი – 14 სტრიქონისაგან. თუმცა, მისივე თქმით, "იგი უფრო მეტია, ვიდრე "მხოლოდ" ლიტერატურული საქმე." "ჩემი განმარტება" სწორედ იმ საბედისწერო გაუგებრობას ეძღვნება, რომელიც საზოგადოებაში ამ "მეტმა" გამოიწვია. "მართებული იქნებოდა, ამაზე ავტორის სიტყვაც შეესმინათ", - წერს გრიგოლ რობაქიძე და დასძენს: "მე მუდამ "მესამე" ნაპირზე ვდგავარ: – მდინარეს ასეთიც აქვს – და ამგვარად: იქედან აქეთ, პიროვნული მიკერძოების გარეშე, თხზულებას, ვითარცა საჭადრაკო პარტიას, მკაცრად გავაანალიზებ." მრავალი პრობლემის ძირფესვიან ანალიზთან ერთად "ჩემი განმარტება", ისევე, როგორც რობაქიძის სხვა თხზულებებიც, უკიდურეს სიღრმეებამდე იკვლევს ძალაუფლების კონცეპტის ალგორითმს.

ჩვენ აქ გრიგოლ რობაქიძის ამ თხზულებას დეტალურად არ განვიხილავთ. ქვემოთ მხოლოდ მისი ერთი მცირე ფრაგმენტის ჩვენეულ თარგმანს გთავაზობთ:

„იმ ფაქიზ კიდეზე, სადაც "ძილი" და "ღვიძილი" ერთმანეთს ეხება და რომელზეც ზმანება სინამდვილეში მოჩვენებით ვიზიონად იქცევა, ერთხელ ვიხილე იგი (ადოლფ ჰიტლერი. – მ.კ.). მის თვალებს გუგები არ ჰქონდა: ისინი ბრმად ბრწყინავდნენ – ხშირი, გოგირდისფერი ფოთლების დარად – და მაინც: მოპირდაპირეს სრულად მსჭვალავდნენ. ჩვე-

ნება წამიერად გამკრთალდა. მე მედიტაციურად, ღრმად ჩავფიქრდი. ამგვარი თვალები უმეტესად იმ ადამიანებს აქვთ, რომლებიც "მანა"-ძალას ("ანა"- რაფტ) ფლობენ.

„მანა"-ძალა ცხოველის ძალაა. შესაბამის თხზულებაში ამ ძალას ეძღვნება ერთი მონაკვეთი, ციტირებული ჩემი რომანიდან "მცველნი გრალისა". პირველი ადამიანები ცოდვით დაცემამდე დედიშობილანი იყვნენ, თუმცა არ რცხვენოდათ თავიანთი სიშიშვლისა. ცოდვით დაცემის შემდეგ მათ თავიანთი თავი სიშიშვლეში დაიჭირეს და მყისიერად ლეღვის ფოთლებით შეიმოსნენ. რას ნიშნავს ეს? იყო ეს ოდენ წმინდა აღთქმის დარღვევით გამოწვეული სიმორცხვე, როგორც ამას ჩვეულებრივ საუკუნეთა განმავლობაში განმარტავდნენ? არა, აქ რაღაც უფრო მეტი იმალება: აქ ფიზიკა მეტაფიზიკაში გადადის. ახლობლის წინაშე ნაკლებად გვრცხვენია ჩვენი სიშიშვლისა. მაგრამ, უცხო მზერას თუ დავიჭერთ, ასე უმალვე ვიფარავთ სიშიშვლეს. ადგილი "შესაქმეთა" წიგნში ჩვენს ყოფიერებაში შემოჭრილ "გაუცხოებას" ნიშნავს. ცოდვით დაცემის მეშვეობით ადამი და ევა ერთმანეთის წინაშე დაეცნენ, ე.ი. ერთმანეთის მიმართ "გაუცხოვდნენ". ადამიანის არსება ტრანსცენდენტურად დაიმსხვრა. მსხვრევის შედეგად მსოფლიოში გაჩნდა მეტაფიზიკური შიში. შიშის დროს ჯერ მიზეზებს გაიაზრებენ, შემდეგ თაურშიშსაც. ბავშვი, რომელიც სივრცობრივად ჯერ "საზღვრებს" არ იცნობს, სირცხვილისა და შიშის გარეშეა. დამნაშავე, როგორც "საზღვრებს" გადააბიჯებს, უსირცხვილო და უშიშარია. ცხოველმა არც სირცხვილი იცის და არც შიში, ჩვენებური გაგებით, რადგან ის არც საზღვრებს იცნობს, ასევე, ჩვენი გაგებით. იგი სხვას "საგნად" ("ობიექტად") ვერ აღიქვამს: ის მას ხედავს, როგორც თვალს, ვითარცა სინათლის ზღვას. თუ თვალს სინათლეს "საპირისპიროდ" გადავუწევდით, როგორც "საგანს" ("ობიექტს", " ეგენ"-"შტანდ")), მისი მხედველობის ძალა უმალვე დაიმსხვრეოდა. ადამი და ევა ცოდვით დაცემამდე ერთმანეთს აღიქვამდნენ არა როგორც "საგნებს" ("ობიექტებს"), არამედ როგორც "განსაკუთრებულ მე-ს" ("შონდერსელბსტ"). მათ თავიანთ თავში "ცხოველი" ჰყავდათ (სტრიქონები რილკეს "დუინური ელეგიებიდან" – ცხოველი არ იცნობს "საპირისპიროს" - მართებული ჩანს). რომანო გარდინი (ღომანო უარდინი) ამას ძალზე ზუსტად განმარტავს. ფრჩხილებში: ცხოველის მისეული გაგება ჩემეულს ეთანხმება. არ ვკამათობ, რომ ის, დაბადებითვე ინტერპრეტატორი, საკუთარ გაგებამდე თვითონ ვერ მივიდოდა. ეს ფაქტია, რომ ჩემი წიგნი უფრო ადრე გამოვიდა. აქვე უნდა შევეხოთ იმას, რომ "ელეგიების" "ანგელოზი", ჩემი თვალთახედვით, სათავეს ზუსტად ასევე "შესაქმეთა" წიგნიდან იღებს, თუმცა ის, წმინდა წერილის მიხედვით დანახული, ჩანს, მართებულად ვერ გაიაზრება. რილკე აქ "თითქმის" (" ეინაჰე") კიდეზე დახეტიალობს. ამგვარად, ცხოველი განუყოფელია: მასში ღვთაებრივი მთლიანობა კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს. ასე არაა ადამიანი, ცოდვით დაცემული. იგი ხანგრძლივად, "შუალედში" ცხოვრობს. ის "არის", მაშინ, როდესაც "ჯერ კიდევ არ" არის. მისი "წესი" ამგვარია: "ვიქნები ის, ვინც შენ ხარ". ცხოველი მეტაფიზიკურად ყველა მარადიულობისათვის "იქნება". იგი არ ისახავს მიზანს, "ის მუდამ მიზანთანაა". ადამიანი აღწევს მიზანს, მაშინ, როცა ისახავს მას. იგი განცალკევდება. ცოდვით დაცემისას მას განეშორება ცხოველი: ღვთაებრივი მთლიანობა. ახლა ის ნაღვლობს თავის დაკარგულ ნახევარზე: ცხოველზე, მის მეტაფიზიკურ ძმაზე. იგი აღმერთებს ცხოველს. "ტოტემის" ფენომენი ამგვარად უნდა აიხსნას. ასეთია ჩემი აზრი.

რამდენადაც მოკლეა ადამიანში ეს "შუალედი", იმდენად ზუსტად მოქმედებს იგი. ის სრულად ითავისებს ზეპიროვნულ ძალებს, ამგვარად, ეს "სივრცე" ნულოვან წერტილამდე რედუცირდება. ამ ძალების მოზღვავებისას იგი პიროვნულ "საზღვრებს" გადალახავს: გარკვეული ხარისხით ის უკანვე იბრუნებს დაკარგულ მთლიანობას. აქ სათავეს იღებს "მანა"-ძალა: ცხოველის ძალა. . . (ადოლფ ჰიტლერი. – მ. კ.) უცილობლად ფლობდა ამ ძალას. ის

მასთან ვლინდებოდა, ვითარცა ძველი ბერძნების " აიროს". ეს ნიშნავს: როგორც უნარი, ყოველი მიზნის მისაღწევად ქმედებისას შეარჩიო სწორი წამი, არც უფრო ადრე და არც უფრო გვიან. მოვლენათა საშინელმა შემობრუნებამ "მიუნხენის ლუდსახარშში" იმ ცნობილი ხმის მიცემისას, რომელშიც . .-ის მეთაურობით შვიდი კაცი მონაწილეობდა, ასევე ცნობილ "მიუნხენის შეთანხმებამდე" – ეს სრულად დამიმტკიცა - ჩემი თხზულება, რომელიც მრავალწლიანი მედიტაციების შედეგია, 1938 წლის შემოდგომაზე დასრულდა.

„მანა"-ძალა თავისთავად ბნელია. "საზღვრის" გადაბიჯებისას დამნაშავე უსირცხვილო და უშიშარია, ასევე ჩანს წმინდანი "ზღვრის" გადალახვისას, სირცხვილისა და შიშის გარეშე. ორივე თავისებური "მანა"-ძალაა. დიადი გამოცხადებისას, რომელიც "მანა"-ს საშუალებით მოქმედებდა, ეს უკანასკნელი მეორე დაბადების გზით განწმენდდა. მისი ზემოქმედება ნათელი და უვნებელი გახლდათ. ამგვარად არ ხდება, თუ მეორედ არ დაიბადები. მაგალითად, რასპუტინი – ფენომენი, რომელიც დღემდე შეუცნობელი რჩება – ამ ძალას ფლობდა. მაგრამ მას ის სულიერი დაბადება არ განუცდია: იგი ბნელად ზემოქმედებდა (ამის შესახებ ჩემს 1935 წელს დაწერილ ესეში "რასპუტინი – რუსი ენქიდუ". განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო: ვერცერთმა გამომცემელმა გაბედა, რომ ესე გამოექვეყნებინათ). . . გერმანულ სივრცეში ასევე რჩებოდა, მეორედ დაბადების გარეშე. ის ბრმად მოქმედებდა – კვლავ ჩემი ზმანებისეული ხილვა მახსენდება. მას მოძრაობაში მოჰყავდა მილიონები. ეს მას გამოსდოდა, რადგან მილიონთა იმპულსურ ძალებს განასახიერებდა. ის ფორმას აძლევდა მოძრაობას, ვიდრე იგი მას კვებავდა. ინსტინქტური ძალები, ვგულისხმობ, პრინციპები: რასა, სისხლი, ხალხი, მიწა – ზუსტი იყო".

დამოწმებანი:

ენციკლოპედია 2002: მსოფლიოს ენციკლოპედია. მოსკოვი: "სოვრემენნი ლიტერატორ", 2002. რუსულ ენაზე.

ფუკუიამა 1999: ფუკუიამა ფრ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი: მშვიდობისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1999.

მიხეილ ბოჭორიშვილი - თავისუფლებისათვის მებრძოლი შემოქმედი

დღევანდელმა მკითხველმა მიხეილ ბოჭორიშვილზე მცირე რამ იცის. მისი სახელი უკავშირდება დიდ გალაკტიონს, რომელიც, ნოდარ ტაბიძის თქმით, "თითქმის მარტოდმარტო მიარღვევდა წყვდიადს, ამხანაგ-თანამგზავრი ბევრი ჰყავდა, გულის მესაიდუმლე კი ერთი ან ორი. მათ შორის პირველი ადგილი მიხეილ ბოჭორიშვილს ეკუთვნის" (ტაბიძე 2000:. 232)

ისინი ერთად სწავლობდნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში და მათი ყმაწვილური ურთიერთობა ჭეშმარიტ მეგობრობაში გადაიზარდა. "მე მზად ვარ, ღიმილით ავიდე სახრჩობელაზე შენი გულისთვის", - სწერდა მიხეილ ბოჭორიშვილი გალაკტიონს. "ჩემს თავს მირჩევნიხარ და ჩემი წარმატება ისე არ წამახალისებს, როგორც შენი", - ვკითხულობთ სხვა ბარათში. "მხოლოდ შენ ერთი ხარ ჩემი მეგობარი, ჩემი გულისტოლი, სხვა არავინ გამაჩნია"; "შენ რომ არ მყავდე, მე ვერ ვიცოცხლებ.. ამ ქვეყნად მხოლოდ შენ მყავხარ თანამოზიარედ და მხოლოდ შენ მეგულები მფარველად, მცველად", - მიმართავს მ. ბოჭორიშვილი დიდ პოეტს. სხვა წერილში კიდევ უფრო ნათლად შეიგრძნობა მათი სულიერი განუყრელობა: "არ ვიცი, რომ შენც ჩამომშორდე, შემდეგ შევძლებ თუ არა ცხოვრებას. მაგრამ იმედი მაქვს, შენ არ მიღალატებ და ძმურად გამომიწვდი ხელს"; "შენი ჭი-

რიმე! ხმა, ხმა გამე, ვიხრჩვები სოფლის მლაშე ჭაობში" (ნ. ტაბიძის პუბლიკაცია).

თავის წერილებსა და დღიურებში გალაკტიონიც არაერთხელ იხსენიებს მიხეილ ბოჭორიშვილს. 1921 წელს პოეტს ერთგული მეგობრისათვის შემდეგი სტრიქონები მიუძღვნია:

"გვიყვარდა როსმე, ძვირფასო მიშელ,
სადამოს ქარში ერთად ცხოვრება.
მზეებში ვქმნიდით მაშინ მე და შენ
და ქარი მარად გვემახსოვრება."

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი" რომ დაარსდა, პოეტმა მიხეილი რედაქციაში მიიწვია. დემნა შენგელაიას უთქვამს: "ბოჭორიშვილი "გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის" სულისჩამდგმელი იყო. ტექნიკურ და სამეურნეო საკითხებსაც არსებითად ის აგვარებდა. სულით ინტელიგენტი, ფაქიზი ბუნების კაცი გახლდათ. გალაკტიონს თვალებში შეჰყურებდა, შესციცინებდა. მე დავალებული ვარ მისგან. მმფარველობდა და მახალისებდა. სამარის კარამდე გალაკტიონის უერთგულესი და თავდადებული აბჯართმტვირთველი იყო". მ. ბოჭორიშვილი ერთხანს მწერალთა კავშირის მდივანიც გახლდათ.

მიხეილ ბოჭორიშვილის ბედით განსაკუთრებით მას შემდეგ დავინტერესდით, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მისი პირადი საქმე ვნახეთ (იხ. *ფონდი 6, საარქივო №25326, ტ.2, ყ. 46 (მიხეილ ბოჭორიშვილის საქმე).*

1990 წლის 4 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატიების საკითხების განყოფილების გამგის ო.მ. გორდელაძისათვის ოფიციალური მიმართვა გამოუგზავნია გაზეთ "ტყიბულის რედაქტორს ს. მერკვილაძეს: "ქ. ტყიბულის მკვიდრი მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილი – პოეტი და პროზაიკოსი, გალაქტიონ ტაბიძის ახლო მეგობარი. იგი დაბადებულია 1893 წელს, 1924 წელს დააპატიმრეს, როგორც მემარჯვენე ესერი, პარიტეტული კომიტეტის წევრი, აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მას მიუსაჯეს დახვრეტა, რომელიც 1935 წლის 3 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უმაღლესი კოლეგიის მიერ შეცვლილია 10 წლის გადასახლებით. მაგრამ ცნობილი არ არის, თუ რომელი სტატიით. ასევე უცნობია გარდაცვალების თარიღი. გთხოვთ, გვიპასუხოთ, რეაბილიტირებულია თუ არა მ.ნ. ბოჭორიშვილი და როდის?" სხვადასხვა ორგანოებსა და არქივებში მოძიების შემდეგ, 1991 წლის 21 იანვარს გაზეთ "ტყიბულის" რედაქციისათვის უცნობებიათ: "მიუხედავად მიღებული ზომებისა, სისხლის სამართლის საარქივო საქმის ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოხერხდა".

ბუნებრივია, ამგვარმა ინფორმაციამ კვლევა-ძიების გაგრძელებისაკენ გვიბიძგა. საქმე ეხებოდა 1924 წლის სისხლიან ტრაგედიას და მის ერთ-ერთ გმირს. მივმართეთ იმდროინდელ პრესას. გაზეთი "კომუნისტი" 1924 წლის 5 სექტემბერს (№202) პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით იუწყება: "საქართველოს საგანგებო კომისიისაგან: 4 სექტემბერს საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა დააპატიმრეს შემდეგი პირები:

1. პარიტეტული კომიტეტის (ეგრედ წოდებული "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი") თავმჯდომარე და მენშევიკური ავანტიურის ხელმძღვანელი თავადი კოტე ანდრონიკაშვილი.

2. პარიტეტული კომიტეტის წევრი და ნაციონალ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი იასონ ჯავახიშვილი.

3. მენშევიკების ცეკას სამხედრო კომისიის წევრი, თავადი გიორგი ჯინორია.

4. პარიტეტული კომიტეტის წევრი ნაციონალ-დემოკრატთა პარტიიდან აზნაური მიხეილ იშხნელი.

5. პარიტეტული კომიტეტის წევრი მემარჯვენე ესერების პარტიიდან მიხეილ ბოჭორიშვილი."

თუ სად და როგორ დააკავეს 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორები, ეს ცხადი ხდება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კოტე ანდრონიკაშვილს სიტყვიდან, რომელიც მას 1925 წლის 22 ივლისს თბილისში, სასამართლო პროცესზე წარმოუთქვამს: "ჩვენ დავმარცხდით. დამოუკიდებლობის კომიტეტი მთლად ჩავარდა. ჩვენ დაგვიჭირეს შიომღვიმის ტყეში, სადაც ვიყავით გასული. მოგვიყვანეს თფილისში მე, იას. ჯავახიშვილი, მიხ. ბოჭორიშვილი, გ. ჯინორია. რაც შეეხება მიხ. იშხნელს, ის დააპატიმრეს თფილისში და იმავე ღამეს, 4 ენკენისთვეს, მოიყვანეს ზაკჩეკაში. ყველა ჩვენ ცალ-ცალკე მოგვათავსეს ჩეკას სარდაფებში. ჩვენ, რა თქმა უნდა, თავზე ხელს არ დაგვისვამდნენ და გამზადებულნი ვიყავით დასახვრეტად".

გაზეთ "კომუნისტს" 1925 წლის 7 ივლისს (№158) თავის ფურცლებზე დაუწყია 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელებისა და მონაწილეთა სასამართლო პროცესის ამსახველი მასალების პუბლიკაცია სათაურით "პარიტეტული კონტრრევოლიუციის გასამართლება", სადაც წარმოდგენილია ბრალდებულთა ერთი ჯგუფი (ფოტოებითურთ): მიხეილ ბოჭორიშვილის შესახებ ვკითხულობთ: "მიხეილ ბოჭორიშვილი: 32 წლისა, გლეხი სოფ. ტყვიბულიდან, საშუალო განათლებით, უცოლო, პოეტი, ესერების პარტიის წევრი 1914 წლიდან. სცხოვრობდა ლეგალურად. ქ. თბილისის მწერალთა კავშირის მდივანი".

პრესაში დაბეჭდილია ბრალდება ყველა დაპატიმრებულის მიმართ ("კომუნისტი", 17 ივლისი, გვ.3): საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით, უცხო სახელმწიფოსთან კავშირი ინტერვენციის მიზნით, ტერორისტული აქტების მოწყობა და ჯაშუშობა.

იმავე გაზეთში 1925 წლის 31 აგვისტოსა და პირველ სექტემბერს დაბეჭდილა სახელმწიფო ბრალმდებლის ნიკოლოზ ოკუჯავას ვრცელი საბრალდებო სიტყვა, სადაც მითითებულია:"ჩემის მხრივ, წინადადებას ვიძლევი, ანდრონიკაშვილზე, ჯინორიაზე, ჯავახიშვილზე, ბოჭორიშვოლზე, ცინცაბაძეზე, კახიანზე, იშხნელზე და პირველზე მიყენებული იქნეს უსათუოდ უმაღლესი ზომა სასჯელისა".

როგორც საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივის მასალებიდან ჩანს, უმკაცრესი განაჩენის მიუხედავად, მიხეილ ბოჭორიშვილი სიკვდილით არ დაუსჯიათ. 1935 წელს ის კვლავ ცოცხალი ჩანს. ამ წლის 3 აგვისტოს მისთვის კვლავ 10 წლით პატიმრობა მიუსჯიათ.

მ. ბოჭორიშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი დგინდება პავლე ბერეკაშვილისა და გივი გეწაძის პუბლიკაციით, რომელიც 1991 წელს 20-21 იანვარს გაზეთ "ტყიბულს" დაუბეჭდავს. მიხეილის მშობლებს 6 შვილი ჰყოლიათ: 2 ვაჟი და 4 ქალი.

როგორც ირკვევა, 1924-1925 წლებში დახვრეტას გადარჩენილი მ. ბოჭორიშვილი გადაუსახლებიათ (თუმცა სად და როდის, ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა ჯერჯერობით არ ჩანს). პ. ბერეკაშვილი და გ. გეწაძე პირადი წერილების მიხედვით ასახელებენ პოეტის გადასახლების ადგილს: მას ტამბოვის ოლქის კალპაშევოდან მამისა და დისათვის გამოუგზავნია ბარათი, რომელიც 1930 წლის 25 თებერვლითაა დათარიღებული (აქედან გამოგზავნილ წერილებს ავტორი დათალხულს უწოდებს). გადასახლებულ პოეტს იმდენი ტანჯვა-წამება გადაუტანია, რომ იოლად აღარაფერი აღელვებს: "მამა, მე შევეჩვიე, ყოველივე უსიამოვნებას პირდაპირ და გულგრილად შევხედო.". ამავე წერილში საინტერესო ფრაზას ვხვდებით: "ფრანგული და გერმანული ენები უკვე შევისწავლე. ახლა ინგლისურს მივყავი ხელი," – წერს მ. ბოჭორიშვილი ახლობლებს. პ. ბერეკაშვილისა და გ. გეწაძის მითითებით, მიხეილ ბოჭორიშვილი გარდაცვლილი უნდა იყოს სამამულო ომის პერიოდში, კერძოდ, 1943 წლის ახლოს.

აქ გვსურს ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება. გაზეთ "ტყიბულის" ზემოხსენე-

ბულ პუბლიკაციაში მითითებულია მიხეილ ბოჭორიშვილის გადასახლების ადგილი: ტამბოვის ოლქის სოფელი კალპაშოვო. შესაძლოა, ოლქის დასახელება ზუსტი არ იყოს. ყოფილი პოლიტპატიმრის ლიზიკო (ელისაბედ) ქავთარაძის წიგნში "28 წელი გულაგში" მოხსენიებულნი არიან პოლიტიკური ნიშნით გადასახლებულნი (მათ შორის, ქართველები), რომლებიც მდინარე ობის ნაპირას, ტომსკის ოლქის სოფელ კალპაშოვოში იხდიდნენ სასჯელს.

ლ. ქავთარაძე სულისშემძვრელად აღწერს გადასახლებულთა უმძიმეს მდგომარეობას: "ადამიანთა სიიდან ამოშლილი ხარ, ხვალაც საქონელი იქნები უმდაბლესი, ვიდრე გაუძლებ.. თუ დაეცემი, არავის აინტერესებს, ვინ იყო იგი. განა სულ ერთი არ არის?!. ცხედარს ამ ნომრიან საჭდეს შიშველ ფეხზე გამოაბამენ, უკანასკნელ წესს აუგებენ – ვახტიორი შეამოწმებს – ხიშტით დაჩხვლეტს და სხვებთან ერთად ორმოში გადაუძახებენ. ჭირისუფალი ნუ ეძებს, ნურას უცდის.. წესი არ არის, აცნობონ, არავინ მიაწვდის საანდერძო სიტყვას (ქავთარაძე 2008: 71)".

ვინ იცის, იქნებ თავისუფლებისათვის მებრძოლ უნატიფეს პოეტს მიხეილ ბოჭორიშვილს, ათასობით სხვა უჩინარ გმირთა მსგავსად, გულაგის ჯურღმულებში სასტიკი აღსასრული ხვდა წილად.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ, ამავე წლის დეკემბერში, გალაკტიონს დაუწერია ცნობილი ლექსი:

"დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია,
და სისხლიანი დგას ანგელოსი.
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი".

სისხლიან ქარიშხალში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას რომ ისახავდა მიზნად, მებრძოლთა პირველ რიგებში გალაკტიონის მეგობარი მიხეილ ბოჭორიშვილი იდგა. ზაზა აბზიანიძე შენიშნავს: "ბედის ირონიით, 1924 წელს დაწერილ, მაგრამ თარიღშეცვლილ ამ ლექსს აქვეყნებდნენ და მკითხველს აზეპირებდნენ, როგორც საბჭოთა ლირიკის ნიმუშს".

მიხეილ ბოჭორიშვილი 32 წლის იყო, როცა დააპატიმრეს და წამების გზას გაუყენეს. ურთულესი ცხოვრების მიუხედავად, მან, როგორც შემოქმედმა, ბევრი რამ მოასწრო: წერდა და იმდროინდელ პრესაში აქვეყნებდა ლექსებს, პოემებს, პროზაულ ტექსტებს, თარგმნიდა და სხვ. ის იბეჭდებოდა ფსევდონიმებით: "ნიკ-ძე", "ადონისი", "მირბახი", "მიმქრალი".მ. ბოჭორიშვილს ორი წიგნიც გამოუცია: 1919 წელს ქუთაისში დაბეჭდილა მისი "ეტიუდები", 1922 წელს კი გამოქვეყნებულა ვრცელი მოთხრობა "მეტეხი", რომელსაც ამგვარი ეპიგრაფი უძღვის: "თქვენ! რომელნიც ყმაწვილურ გატაცებებით დაიფერფლეთ წამების კოცონზე. თქვენ! რომელთა წმინდა ხსოვნა არ ამეტყველდა უკვდავ ლეგენდებში.. მიიძღვენით ეს სტრიქონები". ეს სიტყვები სიმბოლური აღმოჩნდა თავად მათი ავტორის, მიხეილ ბოჭორიშვილისათვის!

ბოლოს გვინდა მოვიტანოთ რამდენიმე ფრაგმენტი "მეტეხიდან", სადაც ნათლად იკვეთება შემოქმედის უსაზღვრო, უნაპირო სიყვარული საქართველოსადმი:

"რა ნაზი და მხიბლავი ხარ, სამშობლოვ ჩემო!
ცელქი, მოუსვენარია შენს მკერდზე მოჩქრიალე რუები.
საუცხოვოა ყვავილებით აქარგული შენი მინდვრები.
იდუმალებით მოცულია შენი ტყეები.
რა კარგია, როდესაც ფოთლებზე მიწვება დაღლილი სიო და წელში გადაზნექს ტოტებს.
და ეს ქოხები, ეს ისლით დახურული სახლები.

და ეს მაღალი მთები, დარაჯად რომ გიდგანან.
აქ, ერთ ისლით დახურულ ქოხში ამეხილა თვალები..”
“წამართვეს ჩემი ქვეყანა, ჩემი სამშობლო..
და ერთხელ კიდევ რომ ვეღირსოდე რიონის გიჟმაჟ ტალღათა ჩქრიალის მოსმენას.

მინდა, დედასა და ნაცნობებს მივწერო, თითო ტომარა მიწა გამომიგზავნონ. ამ მშობლიურ მიწას მოვფენ იატაკზე და ვიყვირებ: ვერ წამართმევთ სამშობლო მიწას.. მივიწერები, რიონის წყალი გამომიგზავნონ..

ვფიცავ სიყმაწვილეს, ერთს ნაბიჯს არ დავთმობ აქეთკენ გადმოსადგმელად. დეე, დამახრჩონ, ოღონდ სახრჩობელას ბოძები მშობლიურ მიწაზე იყოს დამაგრებული!”

თავისი მრწამსისა და ქვეყნისადმი ერთგულება მიხეილ ბოჭორიშვილმა მედგრად და ღირსეულად დაამტკიცა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან 90 წელი სრულდება. ჩვენ, შთამომავლები, ვალდებულნი ვართ პატივი მივაგოთ იმ დღეების გმირთა ხსოვნას!

ლიტერატურა:

ტაბიძე 2000: ტაბიძე ნ. გალაკტიონი (ცხოვრება და შემოქმედება). თბილისი: 2000.
ქავთარაძე 2008: ქავთარაძე ლ. 28 წელი გულაგში. თბილისი: “პეგასი”, 2008.

შტრიხები დიდი ჰოლანდიელი მხატვრის პორტრეტისათვის

გრიგოლ რობაქიძის ყოველი ახლად მიკვლეული თხზულება მკითხველს ნოვაციითა და ორიგინალურობით ხიბლავს. ამგვარ ტექსტთა რიგშია გენიალური ჰოლანდიელი მხატვრის, ვან გოგისადმი მიძღვნილი მცირე მოცულობის დაუმთავრებელი ესე, რომლის გერმანულენოვანი ტექსტი “Vინცენტ ვან ოგჰ. სოტჰერისცჰე ედიტატიონ ვონ რიგოლ ღობაკიდსე” (“ვინსენტ ვან გოგი, ეზოთერული მედიტაცია გრიგოლ რობაქიძისა”) გახლავთ დასაწყისი თხზულებისა, რომლის შექმნის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ამ ფრაგმენტის ორიგინალი 2010 წელს ი. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის გადაუციათ. გერმანული ტექსტი დაბეჭდილია ნუგეშა გაგნიძისა და მარგრეტ შუხარდის წიგნში “გრიგოლ რობაქიძე (1880-1962). ქართველი მწერალი ორ ენასა და კულტურას შორის”. აახენი, 2011 (უგესცჰა აგნიდსე. არგრეტ შცჰუცჰარდ. რიგოლ ღობაკიდსე (1880-1962). ინ გეორგისცჰერ იცჰტერ ზწისცჰენ ზწეი შპრაცჰენ უნდ ულტურენ. შჰაკერ Vერლაგ. აცჰენ, 2011).

ამ ბოლო ხანებამდე უცნობი იყო ის ფაქტი, რომ ვინსენტ ვან გოგის პიროვნებითა და შემოქმედებით გრიგოლ რობაქიძეც დაინტერესებულა. ტრაგიკული ხვედრის მხატვარი-გენიოსი, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის ხელოვნებაზე, 10 წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში 2100 ხელოვნების ქმნილებასა და ესკიზს ქმნის. 1886 წელს ახალგაზრდა ჰოლანდიელი პარიზში გადადის და ძმის, თეოს მეშვეობით ფრანგ იმპრესიონისტებს უკავშირდება. მალე ვან გოგი სამხრეთული ინტენსიური ფერებისა და შუქის ძიებაში პარიზიდან საფრანგეთის სამხრეთს მიაშურებს, სადაც იხიბლება ადგილობრივი ლანდშაფტითა და ულევი სინათლით.. “იგია პირველი მხატვარი, რომელმაც ნამჯის ღობეებისა და სიმინდის ყანების, ზეთისხილის ხეების დაგრეხილი ტოტებისა და მუქი, ალივით დაკლაკნილი კვიპაროსების სილამაზე აღმოაჩინა” (ეჰ. გომბრიხი. ხელოვნების ამბავი (ქართული თარგმანი). თბილისი: “ლოგოს პრესი”, 2012, გვ.547).

გამორჩეულია გენიალური მხატვრის სტილისტიკა. “ვან გოგი ცალკეულ მონასმებს არა მარტო ფერის დიფერენცირებისათვის, არამედ საკუთარი სულიერი მღელვარების გად-

მოსაცემადაც იყენებდა.. ვან გოგის ფუნჯის მონასმები გარკვეულად გვამცნობს მის გუნება-განწყობილებას.. იგი ფერებსა და ფორმებს იმის გამოსახატავად იყენებს, რასაც ამ საგნების გამო განიცდიდა და, რაც უნდოდა, სხვებსაც განეცადათ" (იქვე, 548).

სპეციალისტები სამ უდიდეს, მაგრამ უზომოდ მარტოსულ მხატვარს – სეზანს, ვან გოგსა და გოგენს - თანამედროვე ხელოვნების გზამკვლევებად მიიჩნევენ. "სეზანისმიერმა გადაწყვეტამ დასაბამი მისცა კუბიზმს, რომელიც საფრანგეთში წარმოიშვა, ვან გოგისამ – ექსპრესიონიზმს, რომელმაც ყველაზე ძლიერი გამოძახილი გერმანიაში ჰპოვა, გოგენისამ – პრიმიტივიზმის სხვადასხვა ფორმას" (იქვე, 555).

ვან გოგისეული ფერთა მისტიკა განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. ერთ-ერთი გამორჩეული და იდუმალი – ყვითელი ფერი – მისი ფერთამეტყველების ქვაკუთხედი გახლავთ. ჩანს, სწორედ ამ ფერის ენიგმამ მიიზიდა გრიგოლ რობაქიძეც, რომელიც თავის დაუმთავრებელ თხზულებაში ამ საოცარ ფენომენს უძველესი ხანის ატლანტისის ტაძრის დიდი ხნის წინ დაკარგულ, ოქროსფერ-სპილენძისფერ (" რეიცჰალკოს") მეტალს უკავშირებს.

ქვემოთ გთავაზობთ გრიგოლ რობაქიძის ამ ესეს ფრაგმენტის ჩვენეულ ქართულ თარგმანს.

მანანა კვატაიას თარგმანი

ვინსენტ ვან გოგი

შიშველი, სრული შუადღისას, როდესაც ყველა, სუნთქვაშეკრულნი, იდუმალად მოახლოებული თხისფეხება მწყემსთა ღმერთის მთრთოლვარე მოლოდინში ფოთოლივით ირინდება, ქვის ნოტიო გამოქვაბულიდან ნელ-ნელა გამოხოხდება მეწამული გველი და მზეს მიეფიცხება. მერე იგი მზისკენ აღიმართება და ხარბი ყლუპებით სხივთა ნაკადს სვამს. უეცრად – თითქოს ნაკადი პირში დაამრგვალაო – ოქროსფერ-ყვითელ ქვას გადმოაგდებს. ის მას შორს გადაისვრის და მზის სხივებში თამაშობს. ქვა ჯადოსნობითაა აღსავსე. თუ ვინმე შესძლებს, გველს ქვა იდუმალი ხერხით გამოსტაცოს, შემდეგ მისთვის ყოფიერება ღვთაებრივი გახდება. ასე მოგვითხრობს ერთი ქართული თქმულება. ჯადოსნურ ქვას ქართველთა ენაზე "ხვითო" ჰქვია. სიტყვის ძირში ეპითეტი, ჩანს, "ღვთაებრივადაა" ჩასმული. ქვა ოქროსფერ-ყვითლად ბრწყინავს, ვითარცა მზის კვერცხი. ატლანტისის ტაძრის ერთი სვეტი, რომელზეც, პლატონის ღვთაებრივი ცნობით, სამსხვერპლო ცხოველი იკვლებოდა, ოქროსფერ-სპილენძისფერი " რეიცჰალკოს"-ით იფერებოდა, უძველესი დროის მეტალით, რომლის შენადნობი დაკარგული ჩანს – ან ის კრეტაზე, კნოსოსის სასახლეში, ბალთაზე თუ აღმოჩნდება? უეჭველია, ჯადოსნური ქვის, "ხვითოს" მსგავსად ანათებდა ის სვეტი, რომელზეც შესაწირი სამსხვერპლო აქტის გზით ღვთაებრივ ელემენტს ეზიარებოდა. ეგვიპტეში ფიქრობდნენ: განდობილს ხელეწიფებოდა, მზის ფლუიდები თავის საკუთარ სისხლში მიეზიდა. თქმულება ახმიანდა, ვითარცა ექო ატლანტთაგან მზის გაღმერთებისა.

ვინსენტ ვან გოგს სიცოცხლის მანძილზე გარს ერტყა ეს ფერი: მზის ფერი. მან ის დიდი ბრძოლით მოიპოვა. თუმცა არა როგორც პრომეთემ, რომელმაც ცეცხლი ღმერთებს მძლავრად "გამოსტაცა", არამედ, ვითარცა "ცეცხლის მბრძანებელმა", რიგ-ვედას " ტჰარვან"-ში, ღმერთისადმი მსხვერპლშეწირვით. ვან გოგისთვის მხატვრობა არ იყო უბრალოდ "მეტიერ", ის მისთვის თავად "ყოფიერების აქტი" გახლდათ. წამებული მხატვრის ცხოვრების გზა ამას სრულად ამტკიცებს. "მზესუმზირებში" გვხვდება მზის ფერი – მზის თვალი – სასწაულებრივად, მისი განუმეორებელი დაბადება. ეს სურათი ყველა სხვა სურათის ჩანასახოვანი ხატია, ის მათ ყველას ანათებს. დიახ, იგი მათ სრულქმნის და ყოველ მათგანში მარად მბრძანებლობს ის, ყვითელი ფერი. თავის ერთ უმშვენიერეს ნახატზე იგი წერს..

ლია წურწუმია

გლობალიზაცია და განათლება

გლობალიზაცია ისევე ძველია, როგორც ცივილიზაცია. 2000 წლის წინათ რომის იმპერატორი, მოაზროვნე და ფილოსოფოსი წერდა: მე ვარ მარკუს ავრელიუსი, რამდენადაც ვარ რომის მოქალაქე, ხოლო როგორც ადამიანი, მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ". ეს გამონათქვამი ნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ რომის იმპერიაში ადამიანი პასუხისმგებლობას გრძნობდა არა მარტო საკუთარი სახელმწიფოს, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე, რამდენადაც სამყარო მოიაზრებდა როგორც ერთიანი, ეს იყო გლობალიზაციის ანტიკური გაგება.

დღეს პოპულარული სიტყვა „გლობალიზაცია" ყველაზე მოდური ცნებაა, რომელიც XX ს.-ის 80-იანი წლებიდან გავრცელდა. იგი შემოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა ლევიტმა 1983 წ. თავის ერთ-ერთი სტატიაში, რომელშიც ეს ცნება გამოიყენა, როგორც ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების შერწყმის ფენომენი, ხოლო 1990 წლიდან ეს ცნება გამოიყენება ფართო მნიშვნელობით, როცა იგი ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებისა და შეზღუდვების გაუქმებას გულისხმობს.

გლობალიზაცია არის პროცესი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ენობრივი ერთიანობისკენ. ამრიგად, გლობალიზაციას პროცესის სახე აქვს ყველა ასპექტში, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ. გლობალიზაცია უვარგისი და ნეგატიური მოვლენა რომ იყოს, იგი ასე სწრაფად ვერ გავრცელდებოდა. მისი ლოგიკა დადებითია – კაცობრიობის ცხოვრების პროგრესი ითხოვს, რომ იგი ერთიან საფუძველზე უნდა მოეწყოს. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციის პროცესი მსოფლიოში ხორციელდებოდა სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო იმპერიის შექმნის იდეა, ჩინგის ხანის, ჰიტლერის კონცეფცია „ათასწლიანი რეიხის" შესახებ, ან კომუნიზმის იდეა და სხვა.

გლობალიზაციას აქვს თავისი ანტონომიური ტერმინი – ლოკალიზაცია. გლობალიზაციის ნეგატიური მხარეებიც აქვს, ამიტომ მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რომლებსაც ანტიგლობალისტებს ეძახიან.

გლობალიზაციის მახასიათებლებია: წარმოებისა და ეკონომიკის მსოფლიო მასშტაბები, ასევე განათლება და მეცნიერება ერთიან, მსოფლიო ქსელში ებმება (მაგალითად, საქართველოს საუნივერსიტეტო სწავლება ბოლონიის უნივერსიტეტის პროგრამას შეუერთდა) სამყარო გახსნილი ხდება სპორტის, კულტურის, ხელოვნებისა და საინფორმაციო სფეროში.

საინფორმაციო სფეროს ტექნოლოგიზაციის (თანამგზავრების, ინტერნეტის, მობილურის, ტელეფაქსის, ფეისბუქის) მეშვეობით დედამიწის ყველა სფეროსთან შეიძლება დაკავშირება, ამან თითქოს ერთ სახლად გადააქცია მსოფლიო.

გლობალიზაცია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში ინტერნაციონალიზაციის შედეგად ზღვარს წაშლის ქვეყნებს შორის, ხელს უწყობს მათ დაახლოებას ეკონომიკის, სამხედრო, მხატვრულ-კულტურული და სხვ. კუთხით. მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა ლოკალური ქვეყნის პრობლემები ადამიანის უფლებების დარღვევის, გენოციდის, ტერორიზმის, ტრეფიკინგის, ეროვნული ჩაგვრის და სხვა. პრობლემებთან დაკავშირებით.

გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაციას, ეროვნული კულტურის მსოფლიოში გატანას, განათლების სისტემაში მსოფლიო სტანდარტების ათვისებას, მეცნიერების სფეროში მსოფლიო მიღწევების სწრაფ გავრცელებას, ტექნიკის

სიახლეების დანერგვას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გლობალურ ეკონომიკაში ჩართვა (მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, ტრანსეროვნული კორპორაციების დირექტივებით ხდება ეროვნული ეკონომიკის დარეგულირება), ზოგი ქვეყანა მოქნილი ეროვნული პოლიტიკით ახერხებს გლობალური ეკონომიკის სიკეთეები გამოიყენოს, ზოგისთვის კი ეს პროცესები დამღუპველია.

მსოფლიოს საერთაშორისო ქსელში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურულ ჩართვას განათლების ინტეგრაცია და გლობალური საგანმანათლებლო სტანდარტების გათვალისწინება მოჰყვება ხოლმე. მაგალითად, რამდენიმე წელია, საშუალო სკოლის სწავლების 12 კლასით განისაზღვრა, ჩვენი სამაგისტრო და საბაკალავრო დიპლომეტის საერთაშორისო (ევროპული) დონეზე მოწესრიგება. განათლების ინტეგრაციის გარეშე შეუძლებელია გლობალიზაციის პროცესებში ჩართვა, რაც ნებისმიერ ქვეყანას იზოლაციაში მოაქცევს და ხელს შეუშლის მის ნორმალურ განვითარებას. იმ შეთანხმებებში, რაც ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში იდება, განათლების წილი ძალიან დიდია. სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია განათლბის მომსახურება საექსპერტო დარგად აქციოს, ამისათვის საჭიროა იზრუნოს, განათლების დამადასტურებელი დიპლომებისა და მოწმობების საერთაშორისო აღიარებას მიაღწიოს, ეს ძალიან კარგია ეკონომიკური დარგების, კულტურული და პოლიტიკური პროცესების განვითარებისათვის, რაც აუცილებელია ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ განათლების სფეროში გლობალიზაციით გატაცებამ ეროვნული ტრადიციების იგნორირება, ეროვნული ფასეულობების დაკარგვა არ გამოიწვიოს მოზარდ თაობაში. ამერიკანიზაციის საფრთხე ევროპამ კარგა ხანია დაინახა და ცდილობს ეროვნული იდენტიფიკაცია დაუბრუნოს ქვეყნებს.

გლობალიზაციას, როგორც ერთიანი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური სივრცის შემქმნელს, პატარა ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა, ბევრ სიკეთესთან ერთად დიდი საშიშროებაც შეიძლება მოჰქონდეს, ეს უპირველეს ეხება ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების მოშლას.

ჩვენ წინა ლექციებში არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ფილოსოფიური აზრის განვითარებამ აჩვენა ადამიანის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, არსი. ადამიანი ქმნის კულტურას, მეორე ბუნებას: ისტორიის განვითარება, კაცობრიობის პროგრესი ადამიანის უნარებისა და შესაძლებლობების სრული გამოვლენისაკენ სწრაფვაა. ადამიანის სიკეთის, ბედნიერებისა და შემოქმედებითი თავისუფლების სამსახური უმაღლეს დანიშნულებად გამოაცხადა რენესანსმა, განმანათლებლობამ, გერმანელმა კლასიკურმა ფილოსოფიამ.

ამიტომ, დღესაც გლობალიზაციის დადებითი, პოზიტიური მხარე იმით უნდა შეფასდეს, რამდენად ემსახურება იგი ადამიანს, მის სიკეთეს, ბედნიერებასა და თავისუფლებას. სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ გლობალიზაციისა და განათლების საკითხი მხოლოდ ეროვნული კულტურის განვითარების ფონზე.

დავიწყოთ იქიდან, რომ ადამიანი ვერ იქნება თავისუფალი არსება, თუ მას ეროვნულობა დავუკარგეთ, ანუ გავწყვიტეთ მემკვიდრეობითი კავშირი მის წარსულთან, ისტორიულ ფესვებთან. ადამიანი ყოველთვის რომელიმე ერის კუთვნილებაა, ეს ღვთის ნებაა. ადამიანის ეროვნული ბუნება მის კულტურაში იხსნება, კულტურა ერის ფსიქიკური ცხოვრების სარკეა. ერის ფსიქიკის ჩამოყალიბებში კი განსაკუთრებული როლი ენას, ტრადიციებს ეკუთვნის. ეროვნული კულტურა მშობლიურ ენაზე სწავლების გზით შეითვისება. ამიტომ განათლების სისტემა ნებისმიერ ქვეყანაში ეროვნულ ენაზე უნდა აკეთებდეს აქცენტს. მშობლიური ენა და ლიტერატურა ეროვნული კულტურის საყრდენია, ამიტომაც მისი სწავლება სკოლაში განსაკუთრებულ ადგილს უნდა იკავებდეს. სწორედ ამაზე მიუთითებდა ჰეგელიც.

გლობალიზაციის პირობებში უცხო ენაზე სწავლების პედალირება ყველაზე დიდი საფრთხეა, რაც პიროვნების ეროვნულობის დაკარგვას ნიშნავს, ეს კი ადამიანის „გაუცხოებას“, მის სულიერ ინდიფერენტიზმს იწვევს მისი მშობლიური გარემოსადმი, ახლობლებისადმი, მშობლებისადმი, ისტორიული ფესვებისადმი. ასეთი ადამიანი ნიადაგგამოცლილია, მას ზნეობრივი ღირებულებებისადმი სრული გულგრილობა ეუფლება. ამიტომ შეიძლება პროვინციალიზმად მოვნათლოთ ზოგიერთების მეტისმეტი გატაცება უცხო ენებით, უცხო სიტყვების ხმარებით, უცხო კულტურით. რატომ? როცა საკუთარს კარგად არ იცნობ, სხვისი მეტად მოგწონს.

მსოფლიო კულტურა ფასობს იმდენად, რამდენადაც იგი გამდიდრებულია ეროვნული კულტურებით. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველა წერდა პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ცნებათა დაპირისპირების უაზრობაზე მე-20 საუკუნის დასაწყისში. ვაჟა ხაზს უსვამდა თავის სტატიაში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომ ეს ორი ცნება ერთმანეთს არ უპირისპირდება და არც გამორიცხავს. ეროვნული კულტურის მიღწევები ამდიდრებს მსოფლიო კულტურას, გენიოსი მთელი მსოფლიოს კუთვნილებაა, თუმცა იგი კონკრეტული ერის შვილია.

როცა ჩვენ ეროვნული კულტურის არსებობაზე ვსაუბრობთ გლობალიზაციის პირობებში, ეს კულტურათა დიალოგისა და ურთიერთგამდიდრების პროცესად წარმოგვიდგენია. მსოფლიო კულტურა მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი იქნება, რაც უფრო მეტი ეროვნული კულტურა იარსებებს დედამიწის ზურგზე. ისე, როგორც ბუნებას უხდება მრავალფეროვნება, ასევე კულტურის ღირებულება მის მრავალფეროვნებაშია. შოთა რუსთაველი ამბობს: „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა, ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქყვეანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“. არა მგონია, აქ მხოლოდ ბუნების მრავალფეროვნება ეგულისხმა რუსთაველს. მსოფლიოს მრავალფეროვნება, უპირველესად, კულტურათა მრავალფეროვნებას გულისხმობს.

გლობალიზაციის ეროვნულ კულტურაზე შემოტევა უპირველესად მასობრივი კულტურის სახით ხდება. მასობრივი კულტურაა ის, რომელსაც ფაქტობრივად ეროვნულობა არ აქვს, ეს ყველგან მოსახმარი კულტურაა, კომპიუტერების და სხვა საშუალებათა სახით.

ამერიკული პოპკულტურა, ფილმები საშინელებებზე, შოუ-კულტურის იაფფასიანი ნომრები, ყალბი ესტრადა, ფსევდო-მომღერლები, სათამაშო სახლები-კაზინოები, ძალადობა და აგრესია ტელეეკრანებიდან, ზომბირება ძალის, ფულის გავლენის მეშვეობით, ეს ყველაფერი ანგრევს მოზარდის, ახალგაზრდის ფსიქიკას, მის ცნობიერებაში ხდება ღირებულებათა გადაფასება უფრო მარტივის, მაცდუნებლის ნაცვლად.

დღეს გლობალიზაციის მიზანია ერთიანი მსოფლიო ფსიქიკის, კულტურის ადამიანის – ფაბერ-ჰომო – („ფაბერ“ – საქმიანი) ტიპის შექმნას, რომელიც მხოლოდ ცივილიზაციის სიკეთით კმაყოფილდება, მატერიალურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს. ამიტომ მისი ძირითადი სამიზნე ოჯახი, ეკლესია და სკოლაა, ეროვნული იდეოლოგიის უარყოფა, ეროვნული ღირებულებების ლიბერალური ღირებულებებით შეცვლა, ფსევდო-დემოკრატიის ფარდის მიღმა პიროვნების ინდივიდუალიზმის უარყოფა სხვადასხვა საშუალებებით ხორციელდება. ეს მსოფლიო პოლიტიკაა, რომელსაც ორი ან სამი იმპერიალისტური, ძლიერი სახელმწიფო საკუთარი გავლენის სფეროების დასაპყრობად ახორციელებს.

გლობალიზაცია გარდაუვალია, იგი უტევს ეროვნულ კულტურას. ერის მზაობაა საჭირო. ეროვნული კულტურის დაცვა, ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრება შეიძლება დავუპირისპიროთ ამ პროცესს.

ამირან ლომაძე

ადზრდის პრაქტიკა, მისი პირველი ფორმები, ადამიანთა გვაროვნულ-თემური გაერთიანებების ეპოქაში (პალეოლითი, ნეოლითი, ენეოლითი)

В.Ф. Зыбков, У историков общественного сознания. М. 1967.

„ინდივიდზე სოციალურ-კულტურული გარემოს ზემოქმედება, მისი დემიურგიული გავლენა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესზე უწინარეს ყოვლისა ვლინდება **მოზარდი თაობის აღზრდის სისტემაში**. ისმისკითხვა: პალეოლითურ დონეზე მყოფ პირველყოფილ საზოგადოებაში არსებობდა თუ არა მოზარდი თაობის აღზრდის რაიმე სისტემა? დიახ, არსებობდა. მაგრამ ამის თქმა აშკარად არაა საკმარისი. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ".

„ქალის ხაზით ჩამოყალიბებულ გვაროვნულ გაერთიანებაში (მატრიარქატში) არსებობდა მოზარდი თაობის აღზრდის ძალზე მკაცრი სისტემა, სადაც ინდივიდს შთააგონებდნენ და უნერგავდნენ ისეთ ნიშნებსა და თვისებებს თვით ეს საზოგადოება რომ იყო დაინტერესებული და მის მოთხოვნებს პასუხობდა. ამასთან, დადგენილი წესების დამრღვევნი ისჯებოდნენ მკაცრად, სიკვდილითაც კი. ასეთ ვითარებაში ინდივიდის ფსიქიკასა და შეგნებაზე საზოგადოების აღმზრდელობითი ზემოქმედება იყო სიტყვა შეუბრუნებული და კატეგორიული, რაც განსჯას არ ექვემდებარებოდა; საზოგადოება ინდივიდს შთააგონებდა და თავს ახვევდა თავის მორალსა და მსოფლმხედველობას. თუ რა ღრმად იდგამდა ფესვებს ინდივიდის შეგნებასა და ფსიქიკაში საზოგადოების ამგვარი მბრძანებლური მოთხოვნები და მითითებები, ამას კარგად გვიჩვენებს ე. წ. ტაბუაციებთან დაკავშირებული უამრავი ეთნოგრაფიული დაკვირვება. ჯ. ფრეზერმა და ზ. ფროიდმა შეკრიბეს ტაბუს დიდძალი ეთნოგრაფიული კოლექცია. ვისარგებლებთ ამ კოლექციით რათა ვაჩვენოთ თუ რა ღრმად მკვიდრდება ეს ტაბუაციები პირველყოფილი ადამიანის შეგნებაში, როგორ განსაზღვრავენ და არეგულირებენ ისინი მის ქცევას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ერთხელ, ახალ ზელანდიაში, ტომის ბელადმა გზაში თავისი სადილის ნარჩენები გადაყარა. იქვე მყოფმა მშიერმა ყმაწვილმა აკრიფა და შეჭამა ბელადის მიერ გადაყრილი სადილის ეს ნარჩენები. ის იყო ყმაწვილმა დაამთავრა ნარჩენების ჭამა, რომ მეორემ დაინახა ეს და საშინლად შეშფოთებულმა უთხრა ყმაწვილს, რომ მან შეჭამა ბელადის ტაბუირებული სადილი. ყმაწვილი ჯანმრთელი და მამაცი იყო, მაგრამ მოისმინა რა ნათქვამი, ის დაეცა აუტანელი კრუნჩხვებით და მეორე დღის საღამოს გარდაიცვალა.

მეორე ფაქტი. მაორის ერთ-ერთი ტომის ბელადს დაეკარგა სანთებელა. თანატომელებმა შემთხვევით იპოვეს ეს სანთებელა და სარგებლობდნენ მით, უკიდებდნენ რა თავიანთ ჩიბუხებს (ყალიონებს). როცა გაიგეს, თუ ვის ეკუთვნოდანაპოვნი სანთებელა (სანთებელა კი ტაბუირებული იყო), შიშისაგან თავზარდაცემულნი გარდაიცვალნენ (З. Фроид. тотемитабу. М., 1923, стр. 56). ამგვარი ფაქტი უამრავია აღწერილი და ყველა ეს ფაქტი დამაჯერებლად ასაბუთებს ქცევის ცნობილ ნორმებს, ტაბუაციებში რომაა ჩამოყალიბებული და განმტკიცებული, პირველყოფილი ადამიანი გაიცნობიერებს თავისი საზოგადოების (გვარის, ტომის) კანონებად, რომელთა დარღვევა-შეუსრულებლობას მოსდევს უმძიმესი სასჯელი – სიკვდილი ან ულმობელი საზოგადოებრივი ბოიკოტი, რომელიც შესატყვის ვითარებაში დამრღვევის სიკვდილის დასჯის ტოლფასია (მაგალითად, გვარიდან ან ტომიდან განდევნა" (გვ. 218).

ტაბუაციის ასეთმა მკაცრმა და კატეგორიულმა მნიშვნელობამ, მისმა პრაქტიკულმა ქმედითმა ფუნქციამ მისცა შესაძლებლობა მატრიარქატს, სადაც კი მოხერხდა მისი ჩამოყალიბება, გამოეყვანა კაცობრიობა კანიბალიზმის საშინელებიდან და დაედო სათავე ცივილიზაციის წარმოშობისა და განვითარებისათვის, ჰუმანიზმის საწყისისათვის, მაგრამ ამასთან, რა ძვირად დაუჯდათ, რა კოლოსალური ძალისხმევა, ჯაფა და ზრუნვა დასჭირდათ ქალებს, რომ მოეპოვებინათ ადიარება და წამყვანი გავლენა გვარში: "ქალთა პალეოლითური პატარა ქანდაკებები მაჩვენებელია ქალი-დედისა და ქალი-დიასახლისი იმ სამოქალაქო (საზოგადოებრივი) კულტურისა, რომელიც პალეოლითში ჩამოყალიბდა... როგორც ენოგრაფიული ცნობები გვიჩვენებენ, მაგალითად იროკეზებთან მიწათმოქმედების მფარველი-ღმერთები ქალღმერთებია... ერთი უძველესი ზნეობრივი წეს-ჩვეულება, რომელიც პალეოლითურ ეპოქაში აღმოცენდა და, უეჭველია, ქალის საზოგადოებრივ გავლენას უკავშირდება არის ეგზოგამია და ტაბუაციათა სისტემა, რომელიც მიმართულია **ინცესტის,** ე. ი. დედის მხრით უახლოეს ნათესავთა სისხლაღრევის ქორწინების წინააღმდეგ." (გვ. 214. 215).

ა. მ. ზოლოტორიოვის აზრით, ეგზოგამიის წარმოშობა განსაზღვრა "ქალმა, როგორც ძირითადმა სამუშაო ძალამ პირველყოფილ საზოგადოებაში: ფესვების, ბოლქვების, მწერების, ნაყოფის, ბოსტნეულის შეგროვება, იარაღებისა და სამკაულის, ბავშვების ტარება ადგილიდან ადგილზე გადასვლისას, ეს ყველაფერი ქალის მოვალეობა იყო. ქალს ხშირად უხდებოდა მამაკაცის გამოკვებაც, აძლევდა რა მას თავისი მარაგის უმეტეს ნაწილს" (З.М. Золоторев. Происхождениеензогамии. л., 1932, стр. 40)... ავსტრიელებში ოჯახის ყოველდღიურ გამოკვებაზე უმთავრესად ქალები ზრუნავენ. მათ მხრებზეა მთლიანად მძიმე შრომა: ქალი დაეხეტება კალათითა და ჯოხით, აგროვებს ნაყოფს, თხრის საკვებად ვარგის ფესვებს, ამოჩეხავს ხის მერქნიდან მატლებს და ა.შ. ხშირად ქალი ბავშვს ზურგით ატარებს მთელი დღე და ჩამოსვამს მიწაზე მხოლოდ მაშინ, როცა უნდა ამოთხაროს ან აძვრეს ხეზე. დაბრუნდება თუ არა საცხოვრებელ ადგილზე, მას აქაც საქმე თავსაყრელად აქვს: უნდა მოამზადოს შეგროვებული ნაყოფი, კარგად გარეცხოს და დაალბოს შხამიანები. მამაკაცს მოაქვს სახლში ნანადირევი გარეული ფრინველი, გარეული ფუტკრის თაფლი, კვერცხი, მაგრამ ცხოველურ საკვებს ჩვეულებრივ თვითონ იტოვებს, ხოლო მისი ცოლი თვითონ ჭამს და ბავშვებს კვებავს მის მიერვე მოგროვილი ნაყოფითა და ფესვებით" (გვ. 215).

„რა არის იმ ტომრებში, რომელთაც ველური ტომის ქალები საკუთარი ზურგით ატარებენ, როცა განუწყვეტლივ გადადიან ადგილიდან ადგილზე? – კითხულობს რატცელი და განაგრძობს – საკმარისია თუნდაც ზერელედ გავეცნოთ, რაც ამ ტომრებშია, რომ საკმაოდ მაღალი წარმოდგენა შეგვექმნას ველურთა სამეურნეო წინდახედულებაზე. რას არ ნახავთ ამ ტომრებში! თქვენ იქ იპოვით ბრტყელ ქვებსაც საკვები ფესვების დასაფხვნელად, კვარცის ნატეხებსაც საჭრეთელად, შუბის წვერებსაც, სათადარიგო ქვის ნაჯახებსაც, კენგურუს მყესებისაგან დამზადებულ თასმებსაც, ოპოსუმის ბეწვსაც (მატყლს), სხვადასხვა ფერის თიხასაც, ხის ქერქსაც, ქონის ნაჭრებსაც. ეს მთელი მეურნეობაა!" (Г.В. Плеханов, писмабезадреса,М., 1956, стр. 57).

აღნიშნულთან დაკავშირებით ვ. ფ. ზიბკოვეცი წერს: "შესაძლოა პირველყოფილ საზოგადოებაში ქალის შედარებით მძიმე შრომის აქ მოტანილი ფაქტები ეწინააღმდეგება თვით მატრიარქატის ანუ დედობრივი ძალაუფლების ცნებას, გვარში მის გაბატონებულ მდგომარეობას? არა, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება და არ უარყოფს მას. ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია. აქ ქალები გაცილებით დიდი და ნამდვილი პატივისცემით სარგებლობენ, ვიდრე ცივილიზებულ სამყაროში, ისინი თავიანთი მდგომარეობით მატრიარქატის პირობებში ნამდვილი ქალბატონები იყვნენ. ამიტომ მატრიარქატული წყობილების დროს ქალი დიდ და ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი

შეგნების ჩამოყალიბებაში". (გვ. 216-217).

„თუ უძველესი ხელოვნების შესწავლას მივუდგებით... მეცნიერული დიალექტიკის პოზიციიდან, ჩვენს წინაშე გადაიშლება პირველყოფილი კულტურის მრავალი საინტერესო დეტალი, **რომელსაც აქამდე არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას...** კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს დამასაბუთებელი ფაქტები იმ დებულების სასარგებლოდ, რომ უკვე საწყის სტადიებზე სახვითი ხელოვნება ე.წ. ყოვლისა **პრაქტიკული შემეცნებითი დანიშნულებისა იყო.** გ. ბრეილმა კასტილიოს გამოქვაბულში აღმოაჩინა კედელზე ხელების სილუეტები. ნახატზე კონტურით გამოსახულია ორი ბიზონი და ამ ნახატის ფონზე გამოკვეთილი სისტემის გარეშე განლაგებულია სილუეტები ხელებისა ფართოდ გაშლილი თითებით; ხელების ზომა და მათი კონფიგურაცია ეჭვს არ ბადებს, რომ აქ გამოსახულია ათი ინდივიდის ათი ხელი; ათი – მარცხენა ხელის სილუეტია, ერთიც მარჯვენასი; რვა სილუეტზე კარგად ჩანს, რომ ხელებზე ამპუტირებულია (მოკვეთილია) ცერის თითო ფალანგი; ამ მიმართებით ორი სილუეტი საეჭვოა. გ. ობერმაიერმა გ. ბერიელის ეს ნაპოვნი მიაკუთვნა რა ორინიაკის ეპოქას (ძველი ქვის, პალეოლითის ხანა), გამოთქვამს აზრს, რომ ცერა თითის პირველი ფალანგის მოკვეთის ეს ფაქტი საიდუმლო საკულტო ზიარების ცერემონიის კვალია, რომელსაც უკვე პალეოლითის ეპოქაში ჰქონდა ადგილი. დაბოლოს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი ფალანგაამპუტირებული (მოკვეთილი) ცერიანი ხელების სილუეტები ან იქვეა ბიზონის გამოსახულებებთან, ან ზედ ბიზონის გამოსახულებაზეა უშუალოდ აღბეჭდილი. განა ბუნებრივი არაა დავუშვათ, რომ მოცემულ შემთხვევაში კონფირმაციის ცერემონია დაკავშირებული იმათ სწავლებასთან, ვისაც ბიზონებზე ნადირობას აზიარებან? ასეთი დაშვება ეფუძნება საყოველთაო და საკმაოდ ცნობილ ეთნოგრაფიულ ფაქტს: მხედველობაში გვაქვს მოზარდთა ზიარების ცერემონია ავსტრალიელებთან, რაც განზრახ მიყენებული ჭრილობებით დასრულდება ხოლმე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ დროს მოზარდების მიერ სამონადირეო ჩვეულებათა დაუფლებას." (გვ. 70-71).

დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაშო 60-მდე გამოქვაბულია გამოკვლეული და შესწავლილი, სადაც ნაპოვნია გამოქვაბულის კედლებზე გამოსახული პედაგოგიკის თვალსაზრისით მეტად საინტერესო და ანგარიშგასაწევი მამონტის, ბიზონის, მარტორქების სილუეტები, ბიზონის სკულპტურული გამოსახულებანი, გორელიეფური და ბარელიეფური გამოსახულებანი ბიზონებისა და ირმებისა, რომლებიც **დაცხრილულია ხელშუბებით.** ნატიფად, რეალური მანერით შესრულებული ამგვარი გამოსახულებების სიუხვით გამოირჩევიან, მაგალითად, გამოქვაბულები: "კასტილიოსი", "მარსულის", "პასეიგას", "პინდალის", "ფონ-დეგომის", "კაბრელის", "ლა-მუტის", "ნიოს", "ტრუა ფრესის", "მონტესპანის", "გარგასის" (ესენი უმთავრესად ესპანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიაზეა). "მონტესპანის" გამოქვაბულში რამდენიმე საკმაოდ ვრცელი დარბაზი აღმოჩნდა. ერთ-ერთში იდგა თიხისაგან გამოძერწილი ლომის ფიგურა, რომლის ნამსხვრევები დარბაზის იატაკზე ეყარა. ქანდაკება ხელშუბის დარტყმით იყო დამსხვრეული. მეორე ვრცელ დარბაზში უზარმაზარი დათვის ქანდაკება იდგა, რომელიც ასევე იყო ხელშუბებით დაცხრილული. საყურადღებოა, რომ "ჭრილობები" ქანდაკებათა სხეულზე ხელშუბებით ისეთ ადგილზე იყო მიყენებული, რომელთაც ცხოველთათვის ყველაზე მეტი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ. **მაშასადამე, აქ ასწავლიდნენ და ავარჯიშებდნენ ხელშუბების სროლაში, აჩვევდნენ ნადირობის ხელოვნებას** – ასეთია სპეციალისტ მკვლევართა აზრი დღეს.

კესტერე წერს, რომ ზოგიერთი გამოქვაბულის ე.წ. "დეკორატიულ დარბაზებში" კედლებზე უამრავი ხელის ანაბეჭდია, უმთავრესად ჭაბუკებისა (არის რამდენიმე ბავშვის ხელის ანაბეჭდიც). "გარგასის" გამოქვაბულში 200-მდე ასეთი ანაბეჭდია. ყველაფერი ეს, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, **პალეოლითის ხანას** განეკუთვნება.

„ალტამორის" გამოქვაბულის დიდი დარბაზის ჭურზე არის **გვიანდელი პალეოლითის** დროის ნახატიც. აქ, საკმაოდ რეალისტური მანერით გამოსახულია ბიზონების ჯოგი, ცხენები, ერთი გარეული ტახი და ერთიც დედა ირემი. განსაცვიფრებელია მხატვრის დახვეწილი ხელოვნება, სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანი სპეციალიზაციაც. მკვლევართა აზრით, **გვიანდელ პალეოლითის მხატვრის ამ შედევრს უთუოდ შემეცნებითი და სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულება ჰქონდა.**

მკვლევარებმა გადაიღეს გამოქვაბული "პასეიგას" (ესპანეთი) სრული გეგმა, სადაც გამოქვაბულის მთელს სიგრძეზე, მისი გვერდითი განშტოებების სულ ბოლო დაფარულ ან ძნელად შესაღწევ ყველაზე ყრუ ადგილებში (სულ ასეთი 12-ია აღნიშნული ამ გეგმაზე) არის პალეოლითური ხელოვნების (ფრესკები, გრავიურები, ქანდაკებები, ბარელიეფები, გორელიეფები) ძეგლები. ეს ძეგლები კარგადაა შემონახული. სწორედ ამ ადგილებში ტარდებოდა ე.წ. ინიციაციები. ეთნოგრაფიული დაკვირვებებიც გვიჩვენებენ ინიციაციები ყოველთვის ტარდება არანაზიარებთაგან (ქალებისა და ბავშვებისაგან) დიდი გასაიდუმლოებით (გვ. 68-79).

დაბოლოს ვ. ფ. ზიბკოვეცი აკეთებს ლოგიკურ დასკვნას: "პირველყოფილ საზოგადოებაში მოზარდი თაობის აღზრდასა და სწავლებას თითქმის ცენტრალური ადგილი ეკავა პალეოლითის ეპოქის საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. არსებობისათვის ბრძოლაში სიძნელეები და ძირითადი წარმოებების (ნადირობის) ხასიათი ადამიანებისაგან მაღალ გაწაფულობას მოითხოვდა და აქ სახვითი ხელოვნების პროფესიონალურ-ინფორმაციული დანიშნულება განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა" (გვ. 73), რომ "გამოქვაბულთა კედლებზე ხელების ანაბეჭდი, ცერა თითზე მოკვეთილი პირველი ფალანგით, ეკუთვნით იმ ჭაბუკებს, რომელთაც გაიარეს ნადირობის ხელოვნებასთან ზიარების ცერემონიები... რომ გამოქვაბულთა საიდუმლო გროტები, სადაც ნაპოვნია პალეოლითური ხელოვნების ძეგლები... წარმოადგენენ **ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდის** პუნქტებს. არქეოლოგთა აღმოჩენები გვიჩვენებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობისაა მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ამასთან ეს ინფორმაცია მოდის ისტორიული წარსულის ისეთი სიღრმიდან, რომელიც ჩვენი დროიდან დაშორებულია ასი ათასი წლებით" (გვ. 78). მაშასადამე, "ინიციაციის ღრმა ტრადიციულობას ასაბუთებს გამოქვაბულთა უძველესი ფრესკები და გამოქვაბულებში ნაპოვნი ხელოვნების სხვა ძეგლები. ინიციაციის წეს-ჩვეულებანი, რომელიც რამდენიმე კვირა და რამდენიმე თვეც კი გრძელდებოდა – ეს **არქაული ფორმაციის თავისებური უნივერსიტეტებია**, სადაც ჭაბუკები იღებენ შესაბამის განათლებას.

ამ განათლების პრაქტიკული, დადებითი რაციონალური ბირთვი აშკარაა: წყაროები არ გვაწვდიან ცნობებს ისეთ შემთხვევებზე, რომ ინიციაციისათვის მომზადებულ ჭაბუკებს თავი აერიდებინოთ ამ მძიმე გამოცდა-ტანჯვისთვის ყველა საფეხურის გავლისათვის. მაგრამ ამგვარი თავისარიდების შემთხვევები არათუ შესაძლებელია ყოფილიყო, იგი სავარაუდოცაა, რამდენადაც იმ გარემოებით, რომ ასეთი შემთხვევები იყო ნამდვილად, ერთადერთ შესაძლებლობას იძლევა ავხსნათ

საინიციაციო ცერემონიალის სისასტიკე-ულმობელობა და სირთულე, რომ მოზარდებსა და ჭაბუკებში ამოშანთოს დაუმორჩილებლობის სულისკვეთება, თვითნებობა, თავისუფალი აზროვნება" (გვ. 74).

ამ ფაქტს ეთნოგრაფიული გამოკვლევებიც ადასტურებენ: "ავსტრიელებთან მამაკაცის ინიციაციის რთული წეს-ჩვეულებანი შედგება მრავალი მძიმე გამოცდით, რომელსაც გადის საიდუმლო ზიარების პროცესში ჭაბუკი. ამ მძიმე და მტანჯველი გამოცდილების დადებითი მიზანია ახალგაზრდაში, ჭაბუკში ნებისყოფის თვისებებისა და მონადირისა და მებრძოლის (მეომრის) ჩვევების აღზრდა: ამტანიანობა, გულადობა, ფიზიკური ტკივილის

დაძლევის, დიდი ხნით სიმშილის მოთმენის უნარ-ჩვევები და ა. შ. მეორე მხრივ, რითაც ჩვეულებრივ მთავრდება ამ ზიარების წეს-ჩვეულებებისადმი გაცნობა, სრულწლოვანებას მიღწეულ ჭაბუკს შთააგონებენ სხვადასხვა წარმოდგენასა და რწმენას, რაც ხალხის სულიერ ტრადიციას და ასე ვთქვათ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ **სიბრძნეს** შეადგენს. ზიარების პროცესში ჭაბუკს შთააგონებენ ქცევის ნორმებს, რომელიც მოწიფული მამაკაცების ღირსებას შეადგენენ; მას გაანდობენ განსაკუთრებულ საიდუმლო სიტყვებს, რომელთა წარმოთქმაც შეიძლება მხოლოდ იმ ზიარებაგავლილთა საზოგადოებაში; მოუთხრობენ მითებს ალჩერინგის, ანუ ხალხის ლეგენდარულ წარსულზე; დაბოლოს ჭაბუკს გაანდობენ ტოტემურ საიდუმლოებებს, რომელთაც დოგმების მნიშვნელობა აქვთ, ე.ი. დებულებებს, რომელთა კრიტიკული განხილვა კატეგორიულად დაუშვებელია.

ინიციაციებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ წეს-ჩვეულებებს, საინიციაციო ჭაბუკში უფროსი ასაკის პირთა წინაშე მოკრძალებული მორჩილების გრძნობის აღზრდასთან რომაა დაკავშირებული. ავსტრალიელთა ინიციაციების მთელს სისტემაში, რომელიც ძალზე დაწვრილებითაა აღწერილი და შესწავლილი, ეჭვს არ იწვევს მისი საერთო ტენდენცია და ღრმა ტრადიცია, თუ ამ სისტემის ინტერპრეტაციისას დავრჩებით ბოლომდე ობიექტურ-ისტორიულ პოზიციაზე". (გვ. 72-73).

როგორც ზემოთ მდიდარი არქეოლოგიური მასალის გულდასმითმა ანალიზმა და შესწავლამ აჩვენა, უკვე კაცობრიობის გარიჟრაჟზე – პალეოლითის ეპოქაში, პირველყოფილ ადამიანთა პირველი საზოგადოებრივი გაერთიანების ეტაპზე (ოჯახი, გვარი, თემი, ტომი), **შვილებზე, მოზარდ თაობაზე ზრუნვის ინსტიქტი** გარდაიქმნა თუ არა **აღზრდად,** იგი, ეს აღზრდა იმთავითვე წარმოსდგა თავისი **ოთხივე კომპონენტით:** მოზარდი თაობის **– გონებრივ, ეთიკურ, ესთეტიკურ და ფიზიკურ** განვითარებაზე, რომელთა შინაარსი, ცხადია, განსაზღვრული იყო განვითარების იმ დონით, რასაც მიაღწია კაცობრიობამ შორეული პალეოლითის ხანაში, ცხოვრებისა და არსებობისათვის ბრძოლის უმკაცრეს და ურთულეს პირობებში.

ზემოწარმოდგენილი სურათი, რომ უფრო სრული და დამაჯერებელი იყოს, ვ. ფ. ზიბკოვეცი მოუხმობს **ეთნოგრაფიულ** მონაცემებს და წერს: "არქეოლოგიურ წყაროებს დიდი დამასაბუთებელი ძალა აქვს, ძალა თვალსაჩინოებისა და ჭეშმარიტებულობისა იქ, სადაც საქმე ეხება უძველესი ადამიანის არსებობისათვის მატერიალური წარმოების, ყოფაცხოვრებისა და ბუნებრივი პირობების **მნიშვნელობის** საკითხს. მაგრამ მხოლოდ არქეოლოგიური წყაროები **არაა საკმარისი** გავაშუქოთ ჩვენი შორეული წინაპრების **სულიერი** ცხოვრება... ამ მიმართულებით შეუდარებლად უფრო უტყუარი და ზუსტია **ეთნოგრაფიული** ცნობები, რომლის შესაძლებლობა წარსულის სიღრმეში შეღწევისა თუმცა შეზღუდულია, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდია. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი **პროექციის** საშუალებით, უდავო ფაქტებს რომ ეფუძნება, ეთნოგრაფიის შეღწევადობა წარსულის სიღრმეში შეიძლება მივიყვანოთ არქეოლოგიური ეპოქის მუსტიერულ ეპოქამდე, რომელიც ჩვენს დროს 100-150 ათასი წლითაა დაშორებული (ძველი ქვის ხანის, პალეოლითის ადრეული პერიოდი).

რასაკვირველია, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ მუსტიერის ეპოქის პირობებში, რომელთაც ექნებოდათ საზოგადოებრივი ორგანიზაციის განსაზღვრული დონე და მუსტიერის ეპოქის ადამიანისათვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები, არქეოლოგიურმა მეცნიერებამ არ იცის. მაგრამ ავსტრალიის მატერიკის სამხრეთით მდებარე განმარტოებულ კუნძულზე დაახლოებით ამ ასიოდე წლის წინ ცხოვრობდა ხალხი მენანეზიური ტიპის სავსებით თანამედროვე ფიზიკური გარეგნობით, რომლის ყოფა-ცხოვრებაში შემორჩა ისეთი გადმონაშთური მოვლენები, რომელთაც ვხვდებით მუსტიერის ეპოქის ძეგლებში, რო-

გორც ტიპიურ მოვლენებს. მხედველობაშია ტასმანიელები, რომლებიც ეთნოგრაფთა საყოველთაო აზრით, იყვნენ ყველაზე **პირველყოფილნი ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთაც კი ოდესმე იცნობდა მეცნიერება.**

მ. ო. კოსვენი მიუთითებს ("პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები. მ., 1957, გვ. 36) იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ ტასმანიაში თითქმის არ გვხვდება კაჟი, რაც განაპირობებდა დამუშავების სხვაგვარ ტექნიკასა და იარაღის სხვაგვარ ფორმებს. ამასთან ერთად ტასმანიელთა ქვის ინვენტარი წარმოდგენილია საკმაოდ პრიმიტიული ტიპის – მუსტიერულის იარაღებით. ტასმანიელები უმნიშვნელო რაოდენობით იყენებდნენ ძვალს (ამით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ორინიაკო- სოლიუტრეიცებისაგან). როგორც ჩანს, ეს იმით აიხსნება, რომ ტასმანიაში არ იყო დიდი ცხოველი, მაშასადამე არც შესაფერისი ძვლის მასალა. მ. ო. კოსვენის სიტყვებით, "ტასმანიელები შეიძლება ჩავთვალოთ კაცობრიობის ყველაზე ჩამორჩენილ ჯგუფად, რომელსაც კი იცნობს ეთნოგრაფია".

ტასმანიელთა შესწავლის ძირითად წყაროებს საკმაოდ მრავალრიცხოვან თანამხილველთა ცნობები... ევროპელთაგან ყველაზე პირველად კუნძული აღმოაჩინა ჰოლანდიელმა აბელ ტასმანმა 1642 წელს; თვითონ ხმელეთზე არ გადასულა, გადავიდა ხომალდის რამდენიმე მეზღვაური და მზარეული პეტრ იაკობსონი. 130 წლის შემდეგ ფრანგი მარიონ დე ფრენი გადავიდა ნაპირზე. 1777 წელს სახელგანთქმული მოგზაური ზღვაოსანი ჯეიმს კუკი ეწვია და რამდენადმე შეაღწია კუნძულის სიღრმეში, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა აბორიგენებთან, ესაუბრა მათ, პირველმა ჩაწერა ცოცხალი ტასმანიური მეტყველების რამდენიმე სიტყვა. 1788, 1793, 1802 წლებში იყვნენ კუნძულზე სხვადასხვა ექსპედიციები ინგლისიდან და საფრანგეთიდან, ხოლო 1802 წლის 14 დეკემბერს ინგლისის ფლოტის ლეიტენატმა რობინსონმა კუნძულზე აღმართა დიდი ბრიტანეთის დროშა, დატოვა იქ შეიარაღებული ჯგუფი და გამოაცხადა კუნძული ინგლისის ტერიტორიად. მალე კუნძულზე შეიქმნა ინგლისური დასახლება სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან (ბანდიტები და მკვლელები), რომელთაც ინგლისში მოიხადეს სასჯელი საკატორღო ციხეებში და გაასახლეს კუნძულ ტასმანიაზე. 1804 წლის 3 მაისს დასახლება რიდსონთან პირველად მოხდა კენგურუზე ნადირობიდან მშვიდობიანად მომავალ აბორიგენთა მასობრივი ჟლეტა...

ინგლისელთა მიერ კუნძულის კოლონიზაციის დაწყების დროისათვის (1803 წ.) ტასმანიელთა საერთო რაოდენობის შესახებ ყველაზე სანდოდ მიიჩნევენ მელვილის მონაცემებს, რომლის მიხედვით აღნიშნული დროისათვის კუნძულზე დაახლოებით 20 ათასამდე ტასმანიელი (ყოფილა) ცხოვრობდა. ტასმანიელთა ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების, ენის სულიერი სამყაროს შესახებ ცნობებს ყველაზე შედარებით სრულად გვაწვდიან ჯეიმს კუკი, ლა ბილარდიელი და ფრანსუა ჰერონი. ტასმანიელებზე განმაზოგადებელი შრომათა შორის ყველაზე უკეთესია ჰენრი ლინ- როტას ფუნდამენტური თხზულება "ტასმანიის მკვიდრნი".

...დასახელებული ავტორები სწორად წარმოგვიდგენენ ფაქტებს, მაგრამ თავად არ იციან, რომ გვატყობინებენ ტასმანიელთა ქორწინებითი ურთიერთობის ჯგუფურ ხასიათს. ტასმანიელთა "ოჯახის" წევრთა რიცხვი 30-დან 50-მდე აღწევდა, მასში შედის მოწიფული მამაკაცები და ქალები, ჯგუფური ქორწინებით რომ არიან დაკავშირებულნი, ღრმად მოხუცებულები და ბავშვები. საკვების ძებნაში "ოჯახი" განუწყვეტლივ გადადიოდა ადგილიდან ადგილზე მთელი თავისი საოჯახო ბარგით, მაგრამ მკაცრად განსაზღვრულ, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, მეზობელი ტომის საზღვრამდე. წლის ცივ სეზონებში "ოჯახს" ჰქონდა საერთო კარავი და კენგურუს საერთო ტყავები, როგორც ჩანს, საგებად და ლაბადებად, სიცივისაგან თავდასაცავად. რამდენიმე ასეთი ოჯახი შეადგენდა ტომს. ცნობილია, რომ კენგურუზე მასობრივი საალყო შემწყვდევითი ნადირობისას ტომის ყველა "ოჯახი ერთიანდებიდა; ტომის ყველა მოზრდილი მოსახლეობის მონადირეთა კოლექტივი 300-ზე

მეტ კაცს ითვლიდა. ეს ნიშნავს, რომ ტომის საშუალო რიცხვობრივი რაოდენობა, აღწევდა 1000 კაცს, ბავშვებთან და ღრმა მოხუცებულებთან ერთად" (გვ. 182-185).

„კენგურუზე საალყო ნადირობისას ტასმანიელი ქალები მამაკაცებთან თანასწორად მონაწილეობდნენ, თუმცა რამდენიმე სხვა ფუნქციას ასრულებდნენ (ნადირს გზას უჭრიდნენ და მიერეკებოდნენ შესამწყვდევად მოხერხებულ ადგილზე); რაც შეეხება სელაპებზე და ოპოსუმებზე ნადირობას, იგი უმეტესად ქალების შრომის სფეროს შეადგენდა. საერთოდ, ეთნოგრაფი დამკვირვებლები ერთსულოვნად აღნიშნავენ ტასმანიელ ქალთა შრომის-მოყვარეობასა და ზნეკეთილობას და იმას, რომ სწორედ მათ აწევთ შრომის ძირითადი სიმძიმე (გვ. 187). ...ტასმანიელებს არ ჰყავდათ შინაური ცხოველები, ჯერ არც გვაროვნული გაერთიანება ჰქონდათ, მაგრამ მათი გაერთიანება ჯოგიც არ იყო უკვე..." (გვ. 188).

სერგი ლომაძე

ამირან ლომაძე – ეპოქის დიდებული მოაზროვნე

ჩემს ადრეულ წლებზე ყველაზე დიდი გავლენა ოთხ ადამიანს ჰქონდა. ესენი იყვნენ – დეიდა, ბაბუა (დედის მხრიდან) და დედ-მამა. აი, სწორედ ერთ-ერთ ამათგანზე მინდა მოგითხროთ ამ წერილში.

მამაჩემი – დიდებული ქართველი მეცნიერ-ფილოსოფოსი, პედაგოგი, ისტორიკოსი ამირან ლომაძე, დაიბადა 1924 წლის ორ მარტს, და იცოცხლა რა ოთხმოცდაათი წელიწადი, მოესწრო ორი საუკუნის (მეოცე-ოცდამეერთე) მთელს ეპოქებს. გარდაიცვალა იგი ახლახან – 2014 წლის ხუთ ოქტომბერს, დატოვა რა უამრავი ნაშრომი, რომელთა დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია. ყოველივე ამას უნდა მოძიება, დალაგება-დამუშავება, წიგნებად ქცევა. მიუხედავად ყველაფერისა, მხოლოდ ის ორი წიგნიც კი (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ), რომელნიც ამირანმა შექმნა და გამოაქვეყნა აკაკი ტოლიაშვილთან ერთად (პედაგოგიკის ისტორია, და ქრესტომათია), მამაჩემს უმაღლესი რანგის მკვლევარად წარმოაჩნეს. იგი მუშაობდა, ინტენსიურად, ლეგენდარული პედაგოგის-კვინტილიანეს საკითხის შესახებაც (პროფესორ გულნაზ ხუხუასთან ერთად) და სხვა უამრავ საკითხზეც, მაგალითად – კომენსკის ფენომენზე, დიდი იაკობისა და უშინსკის საკითხებზე და ასე შემდეგ. იაკობ გოგებაშვილი ამირან ლომაძისათვის იდეალი გახლდათ ადამიანისა, ისევე, როგორც წმინდა ილია მართალი, როგროც – შალვა ნუცუბიძე, სავლე წერეთელი...

და მაინც, ვფიქრობ, რომ ყველაზე უფრო ღირებული აზრები მამაჩემმა იქნებ მაშინ გამოთქვა, როცა იგი შეეხო უძველეს ქართულ-ბერძნულ ფესვებს, ანუ დასაწყისს დიდი ევროპული კულტურისა, დიდი ცივილიზასიისა. სწორედ ამ საწყის-საფუძველზე ამოშენდა, შემდეგ, გენიალური ანტიკური სამყარო. მე და ჩემი მეგობრები, ახლო ადამიანები, აქტიურად ვცდილობთ დავამკვიდროთ გარკვეული იდეები, მამაჩემისა, სახელოვნებო-სამეცნიერო საზოგადოებებში. მაგალითად: მან ყურადღება გაამახვილა მითიური ქართველის, ბერძენთა რძლის, მედეას შთამომავლობაზე, რითიც მყარად დაამტკიცა, რომ ჩვენს მედეას არათუ თვითონ არ მოუკლავს საკუთარი შვილები, არამედ – ის ბავშვები საერთოდ არც დახოცილან, და შემდეგ უკვე მათი მემკვიდრენის კვალსაც კი ვავლენთ ნახევრადმითოსურ ისტორიაში. ხოლო მედეა, დიდი აიეტის ქალიშვილი, როგორც თავისი დროის მოღვაწე, ვთქვათ, მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დასაგმობი პიროვნება კი არაა, არამედ ერთ-

ერთი სიმბოლოა უძველესი ხანისა, არგონავტთა ეპოქისა, და უნდა მოშორდეს მის სახელს სხვადასხვა ჭორები.

მამამ აღადგინა, გამართა ძველი დრო, მითოსი, ხოლო კითხვას, თუ რა იყო „ოქროს საწმისის“ ქვეშ მოაზრებული საგანი-იდეა, მან ფილოსოფიური პასუხი გასცა: ეს იყოო ოქროს ვერძის სიმბოლური ქანდაკება, რომელიც ფარავდა გარკვეულ ცოდნებს, ხოლო ასეთი ქანდაკებანი უნდა ჰქონოდათ იმ დროის ბერძენ (ან, პრო-ბერძენ) მეფეებს, რადგანაც ეს იყო ცოდნა-საბუთი, ლოგოსი, მათი ჭეშმარიტი მეფობის დამადასტურებელი. ეს ქანდაკებანი მეფე პელოპისაგან უნდა იღებდეს სათავეს. ხოლო იასონს ოქროქანდაკება (ოქრო ვერძი) იმისათვის სჭირდებოდა, რომ განემტკიცებინა, საბოლოოდ დაესაბუთებინა, მეფედ გახდომის მისეული ამბიცია. ბოლოს მან მოიპოვა „ოქროს საწმისი“, მაგრამ ბოროტმა ნათესავებმა მაინც არ გაამეფეს და ამის მერე აირია როგორც მისი, ისე მედეას ცხოვრება.

მამაჩემის ნაფიქრ-ნააზრევნი ისეთი დიდია, რომ ამ სტატიაში მათს აჩრდილს თუ ჩავატევ, იმასაც ვერა. ამირანი, თავისი მოსახელე მითიური გმირივით, ბუმბერაზი გულისა და გონების ადამიანი იყო, და რას ჩაეტევა ერთ სტატიაში მისი აზროვნების თვალსაწიერი. ახლა სწორედ მითიურ ამირანზე გამახსენდა, – სულ ამბობდა მამა: ვერაფრით გავიგე, რატომ შეიტანეს სკოლის სახელმძღვანელოებში ის შედარებით ახალი ვერსია, სადაც გმირ ამირანს (ჩემს დიდ სეხნიას) ქრისტე-ღმერთი აჯაჭვავს კავკასიის ქედზეო. სინამდვილეში ეს იყოო უძველესი ღმერთი, ქრისტემდელი, ღვთაება მაშინდელი პანთეონის მრისხანე ლიდერი, და რატომ აპირისპირებენ ჩვენს გმირს, ამირანს, მაინცდამაინც კაცობბრიობისათვის წამებულ ისეთ ამაღლებულ სახე-ხატთან, როგორიც იესო ქრისტეაო, რატომ ასწავლიანო ბავშვებს ასეთ რამეს?

მართლაც დამაფიქრებელი კითხვაა. ამირან ლომაძემ ბევრი სხვა ისეთი კითხვაც დატოვა, რომელსაც დღემდე არ აქვს პასუხი.

ახლა რაც შეეხება მამაჩემს, როგორც პიროვნებას: იგი იყო საშუალო სიმაღლის, სიმპათიური მამაკაცი. დიახ, ვთქვათ, ბაბუასავით (დედის მამა) მაღალი არ გახლდათ, მაგრამ ხიბლი კი ნამდვილად არ აკლდა. ფართე შუბლი, ლურჯი (ხანდახან-რუხი) თვალები, დაკვირვებული მზერა, სახის კარგი ნაკვთები... იგი პროვინციაში დაიბადა, მაგრამ ჩამოყალიბდა კლასიკურ თბილისელ ინტელიგენტად. სულ წიგნებთან იყო. ოცნებებში უფრო დაფრინავდა, ვიდრე ცხოვრობდა. იდეალისტ-თეორიტიკოსი უფრო იყო, ვიდრე პრაქტიკოსი, და მისი დაწერილი თუ დაუწერელი იდეები თითქმის იდეალურნი გახლდათ. მე მას მაინც ხშირად ვეკამათებოდი (ასევე იქცეოდა ჩემი ძმაც), ვეკამათებოდი, მაგალითად, მატრიარქატის ზედმეტი გაფეტიშებისა გამო, და ასე შემდეგ, მაგრამ მთლიანობაში ვთვლი, რომ ამირანი გენიალური იყო, პირდაპირ ვიტყვი, – იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო რჩეული პიროვნება გახლდათ მათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი პიროვნება, და ვამაყობ, რომ სწორედ მისი შვილი ვარ.

ცოლი გვიან შეირთო (იქამდე ხომ თბილისში ბინა უნდა ეშოვნა, დამკვიდრებულიყო). მანამდე მეორე მსოფლიო ომი მოიარა, რომელშიაც, სხვათა შორის, მამამისიც იბრძოდა – სერგო ბაბუ (მე მისი სახელი დამარქვეს, თუმცა ჩემს გამზრდელ დეიდას სახელჟღერადობად „სერგი“ უფრო მოსწონდა, ასეც მეძახდა და მერე ასეც დავირქვი). ბაბუაც მოღვაწე კაცი იყო, საკმაოდ ცნობილი ფოლკლორისტი-მუსიკოსი, რომელიც თვით ლეგენდარული ერქომაიშვილების ძველ ჯგუფში მღეროდა, იყო პუბლიცისტიც და სხვა. იგი გმირულად დაიღუპა ომში. აქვე ვიტყვი, ბაბუაც, მამაც, ყველაფერთან ერთად, ლექსებსაც წერდნენ. საერთოდ, პოეზია, ლომაძეებს, სისხლში გვაქვს, ეს ჩვენი საუკუნოვანი „სენია“.

გადმოცემათა თანახმად (უფრო – ძველი, საგვარეულო გადმოცემები) ლომაძეების გვარი საუკუნეების წინ იღებს სათავეს. ადრე ისინი ძირითადად, თავისუფალი მეომრები

ყოფილან, თავისებური რაინდები, და რადგანაც ხეტიალი უყვარდათ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადააწყდებოდით ამ გვარს. მაგალითად: მესხეთში, გურიაში, ქართლში და სხვაგანაც. გურიაში ყველაზე უფრო მოიკიდეს ფეხი. ერთ დროს ძლიერი გვარი იყო, ენათესავებოდნენ ზოგ სხვა გვარებსაც, მერე კი ბევრნი აღარ დავრჩით ძველი, ნამდვილი ლომაძეები.

ლომაძეებს ოდითგანვე იტაცებდათ ხელოვნება და მეცნიერება. ხელოვნებიდან მეფე-პოეზიასა და მუსიკას უფრო გამოარჩევდნენ, მეცნიერებიდან კი – ფილოსოფიას. მამაჩემს, პოეზია-მუსიკასთან ერთად, მაგალითად, ხატვაც ძალიან უყვარდა. ფილოსოფია ხომ მისი პირადი სტიქია იყო. უყვარდა ტექნიკაც, სპორტიც. იყო დაუღალავი ალპინისტი და დაუმარცხებელი მოჭადრაკე. ახლობელნი, ხანდახან, მოყვარულ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონსაც კი ვუწოდებდით. მამა მშვიდი ბუნების, ბევრისამტანი ადამიანი იყო (უკომპროისო, ფიცხიც კი, მხოლოდ მეცნიერულ კამათში გახდლათ), იუმორით სავსე, რაც აწონასწორებდა დედის უფრო ფიცხ, უფრო გურულ ხასიათს, და მიუხედავად იმისა, რომ ორივე მშობელი კარგი პედაგოგი მყავდა (დედა ახლაც პედაგოგია), მამამ მაინც უკეთ იცოდა ბავშვებთან ურთიერთობა. იგი, ადრეულ წლებში, ოჯახისთვის შეუცვლელი ადამიანი გახლდათ. მერეც ასე იყო.

ამირან ლომაძე ცნობილი მეცნიერი იყო, მაგრამ იღბლიან კაცს მას მაინც ვერ ვუწოდებ. დამფასებლებთან ერთად, უამრავი მოწინააღმდეგეც ჰყავდა სამეცნიერო ფრონტზე თუ ცხოვრებაში, რომელთაც ბევრჯერ მოუგონეს ჭორები და ჩაუხერგეს გზა ათასი სხვადასხვა ფანდით. ერთი ხანობა საქმე ისეც დადგა, მიუხედავად იმისა, რომ მამა არასოდეს ყოფილა დისედენტი თუ განსაკუთრებულად მოსისხლე იდეოლოგიური მტერი წითელი რეჟიმისა, იგი მაინც აღმოჩნდა თვით იმპერიული რეჟიმის პირისპირაც კი... მოკლედ, შინაურმა თუ გარეშე მოწინააღმდეგეებმა ბევრჯერ დააბრკოლეს... და არაერთნი თუმცა ყოველთვის აფასებდნენ, როგორც უაღრესად განათლებულ ადამიანს, დიდ მეცნიერს, მკვეთრი აღიარებები მაინც მხოლოდ სიცოცხლის ბოლო თვეებში მიიღო. პირველი სწორედ ჩვენი აკადემია იყო (გულნაზ ხარაიშვილის მიერ დაარსებული – ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემია), რომელმაც აკადემიკოსის დიპლომი გაუგზავნა, ხოლო მერე სწრაფადვე აირჩიეს პედაგოგიკის აკადემიაში აკადემიკოსად, გაუგზავნეს პროფესორის, დოქტორის ტიტულატურა და საერთოდ, მრავალი აღიარება მიიღო ბოლო თვეებში. მისი კანდიდატობა, რომლითაც გაატარა ცხოვრების დიდი ნაწილი, მისი ბრძოლები, მისი უიღბლობა ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა. რჩება ნამდვილი აკადემიკოსი ამირან ლომაძე, რომლის იდეები, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს. ეს იყო ყოვლისმცოდნე კაცი, რომელიც ვერასოდეს იქნებოდა მდიდარი, რამეთუ მისი სულის სიმდიდრეს ვერასოდეს გაუწევდა კონკურენციას სიმდიდრე მატერიალური.

გადაწყვეტილება მივიღე, რომ წიგნები ვუძღვნა რამდენიმე ადამიანის ცხოვრება-მოღვაწეობას ერთი ასეთი ნაშრომი უკვე დავწერე, იგი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ღვაწლზე მოუთხრობს საზოგადოებას. დიახ, მსურს ისევ დავწერო ასეთი წიგნები, და ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად უნდა მიეძღვნას მამაჩემის – ამირან ლომაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რათა უფრო სრულად დავხატო ლიტერატურულ-მეცნიერული პორტრეტი ამ ფილოსოფოსისა, (უაღრესად მრავალმხრივი ადამიანისა), საზოგადო მოღვაწისა.

ეს სტატია კი რას დაიტევს...

მაშ სტატიას აქ დავასრულებ.

თბილისი. 2014 წელი.

P.S. მამას წლების წინ მიანიჭეს ომისა და შრომის ვეტერანის სტატუსი. მართლაც

ასე იყო – ეს განსაცვიფრებლად ნიჭიერი და შრომისმოყვარე პიროვნება მთელი ცხოვრება სულ ბრძოლასა და შრომაში გახლდათ. დამაშვრალი კაცი გახდლათ, უძ ელდებოდა ასეთი ცხოვრება, მაგრამ საქმენი მაინც ყოველთვის გამარჯვებამდე მიჰყავდა, ხოლო მისი მთავარი სტიმული ყოველთვის იყო სახე-ხატება მისივე მშობლებისა – სერგო და ფლორა ლომაძეებს იგი, უბრალოდ, აღმერთებდა. დედამისი საერთოდ უმაღლეს იდეალად ექცა, რომელზედაც ფიქრით ლოცულობდა... ხოლო სანამ ამქვეყნად იარსებებს მშობლებისა და შვილების ისეთი ამაღლებული ერთიერთ-სიყვარული, როგორც ეს საქართველოში იციან, მანამდის ყოველთვის იარსებებს ერი ქართული. იდეა აცოცხლებს ადამიანსაც კერძოდ, და ხალხსაც ზოგადად. ხოლო სიყვარულმა უმაღლეს იდეათა სავანეში მარადიულად დაიმკვიდრა ადგილი...

თინათინ ხოხობაშვილი

აღზრდის მნიშვნელობა, ლოცვის არსი და სათნოება

ცხოვრების მცნება

ცხოვრების მცნება მეტად ფართო და ყოვლის მომცემია, იგი გულისხმობს ყოფიერებას, არსებობას. ადამიანის შეგნებული მოქმედება ცნობიერების ჩამოყალიბების შემდეგ ყალიბდება. ადამიანის ზნეობრივი ცნობიერება არამარტო ცოდნაზეა დამოკიდებული, არამედ მის სულიერ განვითარებაზე. მარტო ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი ზნეობრივად მოიქცეს. მაგალითად ქურდმა იცის, რომ ქურდობა ცუდი საქციელია (ბოროტებაა) მაგრამ მაინც იპარავს. ე.ი მას აქვს ნორმის ცოდნა და არ აქვს ნორმის შეგრძნება. ნორმის შეგრძნება რომ განუვითარდეს ადამიანს ამისთვის აუცილებელია ცოდნასთან ერთად სურვილი, ძალა და ნებისყოფა. ეს კი ნაკლებად შესაძლებელია რწმენის და ეკლესიური ცხოვრების გარეშე.ადამიანი, რომელიც ეკლესიური ცხოვრების გარეშე მხოლოდ ცოდნისმცნებას მიყვება, მის ზნეობრივი მცნების სურვილი მომენტალურად ქვეითდება და ყოველი მოქმედება ზერელე და მცდარია. ესკი საზიანოა, რადგან არამარტო ადამიანის ზნეობრივ თვისებებზე ახდენს გავლენას, არამედ მის სულიერ და ფიზიკურ ჯამრთელობაზე. (სწორედ ამ მიზეზით ხდება ის რთული დაავადებები როგორიცაა ნერვოფსიქოლოგიური და ფსიქიური აშლილობები).

აღზრდის მნიშვნელობა

ადამიანის ზნეობრივი კანონზომიერების განვითარება ძირითადად იმ გარემოზეა დამოკიდებული თუ რა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უხდება ყოფნა.

ცნობილია, რომ ადამიანის აღზრდა დაბადებიდანვე იწყება, ამიტომ უმნიშვნელოვანესია მშობლის და მასწავლებლის როლი ადამიანის ცხოვრებაში. მარტო გაზრდა და საგნის სწავლა ვერ ჩამოაყალიბებს ბავშვის სულიერ და ფსიქოლოგიურ უნარებს სწორ გზას. მშობელი და მასწავლებელი კარგად უნდა ერკვეოდნენ თვითეული ბავშვის ფსიქოლოგიაში, (უნდა შეეძლოთ მათი ნიჭის და სათნოების დანახვა). მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის სულიერი და ფსიქოლოგიური განვითარების უმაღლესი შედეგის მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ ქრისტიანული ფასეულობებით, ღვთის კრძალვით და სიყვარულით. ბავშვს უნდა შევამეცნოთ მათი უფალი დედა ეკლესია, რომელიც გვასწავლის: „პატივი-ეც მამასა

შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს და დღეგრძელი იყოს ქვეყანასა ზედა".ბავშვისთავიდანვე უნდა შევასწავლოთ, რომ უფალი მათი ზეციური მამა და შემოქმედია, რომელიც უნდა უყვარდეთ მთელი გულით და რომ ყოველი ბავშვის უღირსი საქციელი და სიტყვა შეურაწყობს უფალს. თუ ბავშვების აღზრდაში თავიდანვე ასეთ კეთილ საწუთრს ჩავდებთ, მერე უშიშრად შეგიძლიათ ასწავლოდ ნებისმიერი მეცნიერება და ხელოვნება.მერე თვითონ გაარკვევენ, რაარის კარგი და რა – ცუდი. მათ ვერანაირი ცუდი მეგობარი ვერ გადაიყვანს სწორე გზიდან და ვერანაირი ცუდი ცხოვრება ვერ გატეხს და დაამარცხებთ მათ.

ლოცვის არსი

საკითხი, რომელიც ლოცვასთან დაკავშირებით დაისმის, ორ ასპექტს მოიცავს: პირველი – სვლა ღმერთისაკენ და მეორე – როგორ წარმოვთქვამთ ლოცვის სიტყვებს და საით მივმართავთ. ლოცვა სიღრმისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან სახარება მიგვითითებს, რომ ღვთის სასუფეველი ჩვენშია, თუ ღვთის სასუფევლის პოვნა საკუთარ თავში ვერ შეძელი, თუ საკუთარ თავში, ჩვენივე არსების სიღრმეში ვერ შევხვდით ღმერთს, მაშინ ნაკლებად სარწმუნოა, რომ მასთან შეხვედრას სადმე – ჩვენს გარეთ შევძლებთ. მაგალითად-შეიძლება ადამიანი ეკლესიაში დადიოდეს, ასრულებდეს ეკლესიურ კანონებს და ისე გავიდეს ამ ქვეყნიდან, რომსარწმუნოების არსი მისთვის მიუწვდომელი იყოს. ასეთ ადამიანებს იაკობ მოციქული ეუბნება, თქვენ გესმით უფლისაგან, „რამე თუ ითხოვდით მოგეცემათ", მაგრამ ასევე ამბობს: „ითხოვეთ დავერ მიიღებთ", რამეთუ არასწორად ითხოვეთ.

სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ ფეხდაფეხ მივყვეთ ტაძრისაკენ მიმავალ ბილიკს, ცნობიერისა და ქვეცნობიერის თანხვედრი – სულის ძვრით აღმოცენებული ვედრება ისე უნდა აღვასრულოთ, რომ ლოცვის შინაარსს აღიქვამდეს გონებაც და გულიც.ნებისმიერი ადამიანის ლოცვას აქვს დიდი ძალა, მაგრან რაც უფრო მეტად ყურადღებით და სულიერებით არის ადამიანი ლოცვისაკენ მიმართული იმას მეტი მიეცემა.

1. წმინდა კვიპრიანე ლოცვისადმი ყურადღებისთვის ამბობს; როგორ გინდა ღმერთმა შეისმინოს შენი როცა თავად არ გესმის.

2. წმინდა ივანე კლემაქსი კი ამბობს „ლოცვა თავისი ხარისხით ადამიანის ღმერთთან ყოფნა და შეერთებაა", ხოლო მოქმედებით მომწვევნი ნიჭთა, უხილავი წარმატება, საზრდო სულისა, განათლება გონებისა, მომაკვდინებელი სასოწარკვეთილებისა, გზამჩენი იმედისა.

3.წმინდა თეოფორე კი წერს; ლოცვა – მეცნიერებათა მეცნიერებაა", ხოლო სათნოთმეტყველების წმინდანთა სწავლებაში გამონათქვამია, რომ ლოცვაზეცის საუნჯეა გასაღებია ღმერთისა და ადამიანს შორის შუამავალია, კიბეა მიწისა – ზეცასთან და კაცისა ღმერთთან.

4. წმინდა ივანე ოქროპირმა თქვა: – იპოვეთ საკუთარი გულის კარი და მიხვდები რომ ის ცათასასუფევლის კარია.

5. ილია II კი ბრძანებს „როცა გულიდან გამოდის ლოცვა, როცა გული ლოცულობს, – ეს არის ყველაზე დიდი და ძლიერი ლოცვა... არშეიძლება ღმერთმა არშეისმინოს ასეთი ლოცვა.

6. მამა გაბრიელმა ბრძანა „ილოცეთ ყველასათვის, ლოცვა მთებს ძრავს" ამას გიტოვებთ ანდერძად. განსაცდელის ჟამს რწმენითა და იმედით უნდა იდგეთ.

– თუ ღვთის მცნებას არ იცავთ, ნუ დაღლით უფალს ამდენი ლოცვით, არ ისმენს და ლოცვა ცოდვად შეგერაცხებათ!

– როცა რამე გინდათ სთხოვოთ წმინდანს, ჯერ წმინდა სამების სახელით გადაისა-

ხეთ პირჯვარი, შემდეგ ღვთიშობლის ლოცვა თქვი: „ღვთიშობელო, ქალწულო გიხაროდენ!" ხოლო ამისშემდეგ წმინდანს მოუხმე სამჯელ. ესე მაგალითად: „წმინდაო დიდო მოწამეო გიორგი! ევედრე ღმერთსა ჩემთვის!" ამისშემდეგ კი სულის სასარგებლოდ რაცგინდა, ისე ითხოვე.

– უფალსყველაფრისთვის უნდა ჰმადლობდე. ადამიანს უფლისშეწევნის გარეშე არაფერი ძალუძს. უფლისიმედი არუნდა დაკარგო. „კაცთათვის შეუძლებელი –ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელი არს"უცოდველი ამქვეყნად არავინაა.უნდა ეცადო, სხვა არგანიკითხო და თავი სხვაზე უკეთესი არ გეგონოს. ადამიანი დაულალავად უნდა მიისწრაფოდეს ღვთისაკენ, ერისკაცი იქნება ის თუ ბერი. ადამიანი ამ მისწრაფებით ცხონდება. ბერს ბერისა მოეთხოვება და ერისკაცს ერისაო.ყოველთვის გვახსოვდეს, რომ უფალი შენთან არის, შენ კი უყურადღებობის გამო არახარ მასთან.

7. ეპისკოპოსმა თეოდორემ (ტეკუჩევმა) თქვა - მხოლოდ ღმერთშია ჭეშმარიტი სიხარული, ბედნიერება და ნეტარება. მისი წართმევა მხოლოდ ცოდვას შეუძლია, რომელსაც უნდა ებრძოლოთ თქვენი ნეტარებისათვის ამ და მომავალ საუკუნეში.

ზნეობრივი ღვთისმეტყველება

ზნეობრივი ღვთისმეტყველების უდიდესი ნაწილი სათნოებაა, სათნოების როლი დიდია ადამიანის სულიერ განვითარებაში.დედამიწაზე არაფერი შეედრება სულიერ სათნოებას ღირსებით.ადამიანისსულიერი ღირსებისთვის მთავარი არსი მიიღწევა სათნოებით და ზნეობრივი ღვთის მეტყველებით.

ღვთისმეტყველური სათნოებები ანუ მადლმოსული სათნოებანი, რომლის ჩამოყალიბებაც მორწმუნე ადამიანის სულში ყალიბდება ესაა:

ადამიანს სამი ყველაზე დიდი სათნოება, სამი საღვთისმეტყველე სათნოება; რწმენა სასოება და სიყვარული. და თუ ეს სამი ყველაზე დიდი სათნოება მოიპოვა ადამიანმა, რომარ გაუსხლდეს ხელიდან ეს ღვთაებრივი მადლი,აუცილებელიარწმენით, სიკეთით, იმედით და მოყვასის სიყვარულით, ანთებული გული.უფალი ყველა ქრისტიანს მოგვიწოდებს: უპირველესი მოვალეობა და საქმე ქრისტიანისა არის მოყვასის სიყვარული.მამა გაბრიელმა ბრძანა „საჭმელზე მეტად ადამიანის სიყვარული უნდა გშიოდეს და ღვინოზე მეტად მათი სიყვარულით უნდა თვრებოდე" და ასევე ბრძანებს „ღმერთი არს სიყვარული". ღვთის უმაღლეს წვდომას, ემატება ღვთისმოსავობა და ქრისტიანული სიბრძნე ანუ ღვთაებრივი ცნობიერება „სათნოება".

დედამიწაზე არაფერია ქრისტიანულ ჭეშმარიტ სათნოებით ცხოვრებაზე მაღალი. ბევრი რამარის ამქვეყნად პატივისცემის ღირსი: ხელოვნება, მეცნიერება, სიმდიდრე და პატივი მაგრამ მათარ ახლავთ სათნოება. ამქვეყნად არაფერი შეედრება ქრისტიანულ სათნოებას ღირსებით, რადგან სათნოების მომხვეჭელი იხვეჭს დაუტაცებლად. ადამიანმა შეიძლება დაკარგოს მიწიერი დიდება, სიცოცხლე, მაგრამ სათნოებები, რომლებიც სიცოცხლის მანძილზე მოიპოვა ღვთის სამსჯავრომდე მიჰყვება.ამიტომ ადამიანის სულიერი ყრმობის ასაკში უნდა ჩამოყალიბდეს სულიერი ცხოვრების მიზნები და შესწავლილი იქნეს ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც ადამიანი საკუთარ თავში ბოროტებას შეებრძოლება და საფუძველს ჩაუყრის მოყვასის სიყვარულს.ასევე, საფუძველს ჩაუყრის მიზნის დასახვასა და განხორციელებაში, რადგან უმიზნოდ და უქმად გატარებული დრო, ზნეობრივი კანონზომიერებით ცოდვაა.ასევე, ცხოვრებისეული სიბრძნე გვასწავლის, რომ დრო მთავარი კაპიტალია, დრო ტალანტია მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად.

Ratiani Lali

LINGUISTISCHE GENDEROLOGIE- SPRACHE ALS MITTEL DER GENDERKONSTRUIRUNG

Linguistische Genderologie wird in der Sprachwissenschaft als wissenschaftliche Richtung angenommen, die die Gender –Aspekte der Sprache und Kommunikation erforscht. Es wurde eine theoretisch-methodische Basis der Genderforschung formiert, die als eine konkrete disziplinäre Richtung in der soziallen Wissenschaften angenommen wird Beim Erlernen des Genders schenkt man eine grosse Aufmerksamkeit dem Charakter der Sprache, der im verbreiteten Kommunikations-prozess verwendet werden soll.**[Кирилина А1999,7]**

Durch die strukturelle Analyse der Sprache wird eine ausfürliche Information davon gegeben, was für eine Rolle Gender in verschiedenen Kulturen spielt, welche Ansichten es über die Weiblich – und Männlichkeit in der ganzen Welt gibt. Genderforschung untersucht die Rollen und Differenzen der Geschlechter und ihr Verhältnis untereinander. Da die Sprache die Produktion der in der Gesellschaft existierenden sozial-kulturellen Vorstellungen, ein Teil des Lebens ist und durch sie das Gesellschaftsleben aufgebaut wird, bietet das Sprachpraxis beim Erlernen der Frauen- und Männersprache eine ausgezeichnete Möglichkeit, Retropespektiveund Perspektive derpatriarcha-lischen Stereotypen zu analysieren.

Im vorliegenden Artikel wird es versucht, die Folgen der **soziolinguistischen, empirischen, sprachlichen, kommunikativen Untersuchungen** und auch **Verhaltensweisen** sowohl der **Frauen**, als auch der **Männer** zu geben. Die Sprache baut das Leben der Gesellschaft auf und ist ein Teil des Lebens. Genderforschung untersucht die Rollen und Differenzen der Geschlechter und ihr Verhältnisuntereinander in der Gesellschaft. „Mit Gender ist grundsätzlich das soziale Gesch-lecht gemeint.In der Forschungspraxis ist das Thema Gender in weiten Teilen Frauenforschung und weist Schnitflächen und Überschneidungen mit feministischen Bewegungen auf“.[**Holger Kuße, 2008.]**

In der kommunikativen Hinsicht sind Genderforschungen sehr wesentlich. Hier zeigen sich die Eigentümlichkeiten der Gendersprache und Gender-Rede. In solchen Relationen nehmen Manipula-tionen einen bedeutenden Platz ein. Die Manipulation als eine der besonderen Arten der psychologi-schen Wirkungen ist ein Geheimeinfluss, der vom Objekt der Manipulation unbemerkmar bleiben soll.**[Кирилина А. 1999, 7]**

Es ist sehr interessant zu wissen, was für eine Rolle eine Manipulation in den Genderrelationen spielt. Es gibt folgende Mittel des Spracheinflusses: Behauptung, Überzeugung, Zwang, Befehl, Bitte, Flehen, Vergewaltigung. [**СтернинИ.А. 20, 10-11]**

Heut zu Tage wird in der Genderlinguistik sowohl Frauen-, als auch Männersprache betrachtet. Die lebendige Sprache/Rede ist mit der Beziehung der klassischen und modernen kommunikativen Theorie verwendet, weil durch die Kommunikation vor allerdings die Nachrichten übergegeben werden.

Im Sprachgebrauch in Frauen –bzw. Männersprache gibt es **Geschlechtsspezifische Züge, Stereotypen**:kleine Mädchen lernen früher sprechen, sprechen nuancierter und geschickter als Knaben; Frauen sprechen und schreiben geschickter und müheloser als Männer (aber die echten literarisch-sprachlichen Genies sind Männer?). Frauen sprechen auch nur um den Kontakt aufrechtzuerhalten, die Männer nur, um Information zu vermitteln.Frauen weisen öfter auf Personen hin, verwenden mehr interaktionale Elemente (Fragen)als Männer.Frauen verwenden mehr Ausdrücke der Unsicherheit oder des Zögerns, defekte Sätze. Frauen verwenden Intonation und paralinguistische Mittel (Gebärden usw.) expressiver als Männer.Frauen werden im Gespräch öfter unterbrochen als Männer.Es gibt einen

spezifischen Frauen- Männerwortschatz (Frauen: [positive] emotionale und affektive Wörter; Männer: Schimpf- und Fluchwörter, Tabubruch, verbale Gewalt).Sind diese Stereotypien a) wahr, b) universal, c) nicht auf andere Faktoren als Geschlecht (z.B. Macht) reduzierbar, d) eher bewusste Performanzen als "unbewusste" ("angeborene" oder "eingeprägte") Neigungen? Frauen sind statusbewusster, Frauen haben eine unsichere gesellschaftliche Position und sind deshalb stärker, Die Verallgemeinerungen über "Frauensprache", werden immer stärker in Frage gestellt.**[Sisko Brunni in Heikkinen & al. 1998]**

Gegen die Vorstellung „natürlicher“ Rollen und Verhaltensweisen der Geschlechter hatSimone de Beauvoireine entschieden sozial-funktionale Erklärung der Geschlechterrollen vertreten „Man kommt nicht als Frau zur Welt, man wird es. Kein biologisches, psychisches,wirtschaftliches Schicksal bestimmt die Gestalt, die das weibliche Menschenwesen im Schoß der Gesellschaft annimmt. Die Gesamtheit der Zivilisation bestimmt dieses Zwischenprodukt zwischen dem Mann und dem Kastraten, das man als Weib bezeichnet. Die Einigen unter den Wissenschaftlern üben Kritik der „natürlichen“ Geschlechterdifferenz aus.[**Hausen, K. 1983]**

In der Sprache gibtes auch traditionelle Darstellungen der „natürlichen“ Geschlechterdif-ferenz. Frauen drücken sich in der Regel natürlicher, zarter und dennoch kraftvoller, alsMänner aus. Ihre Sprache ist ein treuerer Spiegel ihrer Gedanken und Gefühle.Wirklich durch ihr Wesen näher an die Natur geknüpft, durch die wichtigsten unddoch gewöhnlichsten Ereignisse ihres Lebens in größere Gleichheit mit ihrem ganzenGeschlecht gestellt, verfeinern und verschönern sie die Naturgemäßheit derSprache, ohne ihr zu rauben, oder sie zu verletzen. Ihr Einfluss geht im Familienlebenund im täglichen Umgang so unmerklich in das gemeinsame Leben über, dass er sicheinzeln nicht festhalten lässt.[**Humboldt, W. In:***Werke*. Bd. 3. Stuttgart 1963, S. 144–367;

Darüber besteht jedoch kein Zweifel, daß die Frauen in allen Ländern davorzurückschrecken, gewisse Körperteile und gewisse natürliche Verrichtungen mit denunmittelbaren und oft derben Bezeichnungen zu benennen, die Männer und vor allemjunge Leute bevorzugen, wenn sie unter sich sind. Die Frauen ersinnen deshalbharmlose und schönfärbende Wörter und Redensarten.NachJespersenist für dieFrauensprache unvollständige Sätze, parataktischer Satzbau,Euphemismen,verstärkende Adverbien, geringerer Wortschatz, durchschnittliche Wortwahl eigen, sie reden mehr und schneller . Die Männersprache wird durch:vollständige Sätze, hypotaktischer Satzbau, Kraftausdrücke und Tabuwörter,umfangreicherer Wortschatz, ungewöhnliche und innovativeWortwahl, Sprachstörungen charakterisiert, sie reden weniger.[**Jespersen, O.1925, 229]**

Nach den **soziolinguistischen Untersuchungen zur Frauen- und Männersprache** verwenden Frauen weniger “stigmatisierte Formen” als Männer, sie sprechen korrekter.Frauen entwickeln gegenüber soziolinguistischen Normen eine höhere Sensibilität als Männer.Frauen verfügen über eine größere sprachliche Variationsbreite als Männer; sie können sich Kommunikationssituationen besser anpassen: In informellen Situationen verwenden sie mehr innovative, in formellen Situationen mehr konservative *correcte* Formen.Frauen bemühen sich aufgrund ihrer gegenüber Männern sozioökonomisch schwierigeren Situation um größere sprachliche Korrektheit. Sie signalisieren den sozialen Status mit sprachlichen Mitteln.Frauen orientieren sich mehr am sprachlichen Standard als Männer, sind aber sprachlich nicht „konservativer“. Frauen reagieren flexibler auf neue Umweltbedingungen.**[Holger Kuße,2008,]William Labov,** 1972]

Nach den **Empirischen Untersuchungen zum kommunikativen Verhalten und Handeln von Frauen**besitzenFrauen einen differenzierten Wortschatz im trivialen Bereich der Farbbezeichnun-gen.z. B. *ecru*, *mauve*, *lavender,* Frauen verwenden schwächere Ausrufe oder Kraftausdrücke als Männer, z. B. *oh dear!* Frauen verwenden Adjektive, die Assoziationen von Frivolität und Trivialitäterwecken, z. B. *adorable*, *charming*, *lovely* .Frauen stellen häufig Fragen und verwenden angehängte Frageformen (*tag questions*),z. B. *Sure it is hot here, isn’t it?* Frauen neigen zur Verwendung von Unschärfemarkierungen (*hedges*), z. B. *you know*,*kind of,*Frauen drücken sich höflicher aus als Männer (z. B. indirekte Aufforderungen)Diese Merkmale

weiblichen Sprechens sind Ausdruck der gesellschaftlichenMachtlosigkeit von Frauen.[**Robin Lakoff**, 1973, 45–80, **Braun,** F./Pasero, U. 1993, **Braun**, F./Pasero, U. 1997, **Braun,** F./Pasero, U. 1999]

Frauen orientieren sich in Aussprache und Grammatik an der hochsprachlichen Norm.Männer dagegen neigen zu Formen der Umgangssprache oder des Dialekts. DieseFormen sind z. T. positiv mit Männlichkeit assoziiert und können ein verdecktesPrestige haben.Frauen sind höflicher und indirekter als Männer: Sie kennzeichnen ihre Äußerungen z.B. häufiger als Bitten. Männer neigen zu direkten Aufforderungen und verwendenmehr Imperative.Frauen sprechen andere häufig mit Namen an. Sie beziehen ihr Gegenüber aktiv in dasGespräch ein. Frauen agieren dialogisch: Sie stellen mehr Fragen und verwendenabschwächende Formulierungen. Damit geben Frauen ihren Aussagen einezurückhaltende Form.Männer sind in Gesprächen auf die Rolle des Sprechenden orientiert: Sie ergreifenhäufiger das Wort als Frauen und produzieren längere Äußerungen. Sie neigen zuUnterbrechungen – insbesondere bei Frauen. Als Zuhörerinnen durch Minimalreaktionen wie *hm*, *ja* oder *genau* ihr Interesse an den Äußerungenanderer. Männer geben weniger Minimalreaktionen, erhalten aber mehr als Frauen.Der Gesprächstil von Frauen ist kooperativer: Frauen greifen Beiträge von anderenauf, lassen andere zu Wort kommen und sprechen persönlicher. Dagegen erscheint derGesprächsstil von Männern kompetitiv: Männer beziehen sich häufig auf eigeneÄußerungen statt auf die von anderen und kümmern sich weniger um denBeziehungsaspekt des Gesprächs.**[Holger Kuße, 2008]**

Nach den Untersuchungen in der **Genderlinguistik in therapeutischer Absicht**leben Frauen und Männer in verschiedenen „Kulturen“. Ihre Sprachen und kommunikativenVerhaltensweisen unterscheiden sich fundamental. Frauen und Männersprechen unterschiedliche „Genderlekte“.

z.B. Mit Minimalreaktionen („hm, hm“) signalisieren Frauen Aufmerksamkeit, Männer hingegen Zustimmung. Fragen von Frauen sind oft indirekte Vorschläge,Männer verstehen sie als Fragen.

Die unterschiedlichen Sprachen von Frauen und Männern haben ihre Ursache schonim Kindesalter.]Kinder bevorzugen gleichgeschlechtliche Freundschaften. Dabei sindJungengruppen hierarchisch strukturiert und von Konkurrenz geprägt. Mädchendagegen spielen in kleinen Gruppen oder zu zweit. Sie streben nach Bindung undBeliebtheit. Diese unterschiedlichen Strukturen bringen unterschiedliche Kommunikationsstilehervor. Die unterschiedlichen Kommunikationsformen sind weder zu bewerten, noch zuüberwinden. Paartherapien müssen auf einen respekt- und verständnis-vollen Umgangmit dem jeweils anderen Kommunikationsstil des Gegenüber zielen.

[Deborah Tannen 1990, John Gray 1992]

Frauen und Männer leben in verschiedenen „Kulturen“. Ihre Sprachen und **kommunikativen**

Verhaltensweisen unterscheiden sich fundamental. Frauen und Männersprechen unterschiedliche „Genderlekte“.z B.: Mit Minimalreaktionen („hm, hm“) signalisieren Frauen Aufmerksamkeit,

Männer hingegen Zustimmung. Fragen von Frauen sind oft indirekte Vorschläge,Männer verstehen sie als Fragen.Die unterschiedlichen Sprachen von Frauen und Männern haben ihre Ursache schon

im Kindesalter. Kinder bevorzugen gleichgeschlechtliche Freundschaften. Dabei sindJungengrup-pen hierarchisch strukturiert und von Konkurrenz geprägt. Mädchendagegen spielen in kleinen Gruppen oder zu zweit. Sie streben nach Bindung undBeliebtheit. Diese unterschiedlichen Struk-turen bringen unterschiedliche Kommunikationsstilehervor. Die unterschiedlichen Kommunikati-onsformen sind weder zu bewerten, noch zuüberwinden. Paartherapien müssen auf einen respekt- und verständnisvollen Umgangmit dem jeweils anderen Kommunikationsstil des Gegenüber ziel-en.[**Lorber,** J./Farrell, S. A.1991, **Braun,** F./Pasero, U.1997, Braun, F./Pasero, U.1999,**Gotburg-sen**, A. 2000]

Frauen und Männer kommunizieren unterschiedlich. Geschlecht ist keinevorgegebene außer-sprachliche Variable, die die Sprachproduktionauf bestimmte Weise beeinflusst.Das (soziale) **Geschlecht** wird durch kommunikative Aktivitäten erst inszeniert undhergestellt: Frauen und Männer stellen sich durch ihr Verhalten als Frauen und alsMänner dar; erst durch diese Inszenier-ung entsteht überhaupt soziales

Geschlecht.Die Inszenierung von Geschlecht geschieht auf der Grundlage von Regeln und symbolischenOrdnungen wie z. B. Sprache, Kleidung und anderen alltäglichen Verhaltensweisen.Männer und Frauen tragen durch ihr Sprachverhalten selbst zur Differenz bei. Sieinszenieren Gender immer wieder neu. Wenn Frauen z.B. mit Minimalreaktionenkooperatives Gesprächsverhalten signalisieren, inszenieren sie damit zugleich„Weiblichkeit“ und bestätigen die dem Geschlecht zugeschriebenen Merkmale.[Holger Kuße, 2008]

Anschliessend kann man sagen, dass in den linguistischen Beschreibungendas Verständnis sowohl der Sprache, als auch der Gesellschaft durch den Genderparameter besser ermöglicht wird. Ihre Folgen werden als Beitrag im Durcharbeiten des systematischen, wissenschaftlich begründeten Komplexes gegenseitigergänzenden Methodik des Genderstudiums mittels verständlichen Apparats der Linguistik aufgefasst.Die Sprache, als Konstruirungs- und Festigungmittel der sozialen Realität, theoretischer und methodologischer Grundlage für die linguistischen Genderologie und die Vertiefung solcher Vorstellungen werden als eine der pespektivtesten und prioritätesten Richtungen der antropoonentischen Aneignung der Sprache fördern.

Literaturverzeichnis

1,3.Кирилина А. Лингвистическиегендерные исследования М.1999.
2.9.12.Volger Kuße. Kulturwissenschaftliche, Sozio und Genderlinguistik.Dresden. 2008.
William Labov. Sociolinguistic Patterrs Philadelphia. University of Pensylvania Press.1972
4.СтернинИ.Практическаяриторика. М.2003.
5.Sisco Brunni in Hekkinen @al.1998.
6.Hausen,K. Die Polasierung der Geschlechthscharaktere. 1983.
7.Humbodt O.Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbane /Bd.3. Stuttgart.1963.
8. Jepersen O. Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung. Heidelberg 1925
10.Robin Lakoff Language and womansplace. In:Language in Society 2,1973.
11.Braun F Frauenforschung in universitären Disziplinen. Westdeutscher Verlag. 1993.
Braun F. Kommunikation von Geschlecht. Pfaffenweiler. 1997.
Braun F. Perceiving and performing gender Opladen:Westdeutscher Verlag.
John Gray Men are from Mars. Women are from Venus. Newyork. 1992.
13.Debrah Tannen. Warum Männer und Frauen aneinander vorbeireden. Hamburg. 1991.
14.Lorber,J. The social construktion of gender. New bury park etc. 1991.
Braun, F. Kommunikation von Geschlecht Pfiffenweiler. 1997.
Gottburgsen, A.Stereotype Muster des sprachlichen doing gender. Wisbaden. 2000.

რატიანი ლალი

ლინგვისტური გენდეროლოგია-ენა როგორც გენდერის კონსტრუირების საშუალება

ლინგვისტურ აღწერაში გენდერული პარამეტრის გათვალისწინება იძლევა როგორც ენის ასევე საზოგადოების უკეთ გაგების შესაძლებლობას. კვლევის შედეგები წარმოადგენენ მნიშვნელოვან წვლილს, მონაპოვარს გენდერის შესწავლის სისტემური, მეცნიერულად დასაბუთებული ურთიერთშემავსებელი მეთოდიკის დამუშავებაში. ისინი ხელს უწყობენ ენას, როგორც სოციალური რეალობის კონსტრუირების გაღრმავების, ლიგვისტური გენდე-

როლოგიის თეორიული თუ მეთოდოლოგიური ბაზის განმტკიცებისა და ასევე ანთროპო-ორნენტური მიმართულების საშუალებას.

ენა საზოგადოების ცხოვრების შემადგენილი ნაწილია, მისი სტრუქტურული

კვლევით შესაძლებელია ამა თუ იმ კულტურაში გენდერის როლის შესახებ არსებული შეხედულებების ამომწურავი ინფორმაციის მიღება.

ენა ხომ საზოგადოებაში არსებული სოციალურ-კულტურული წარმოდგენების ერთგვარი პროდუქტია. ის გვაძლევს ენობრივი პრაქტიკის, ქალისა და მამაკაცის საკომუნიკაციო ენის შესწავლის პატრიარქალური სტერეოტიპების რეტროსპექტივისა და პერსპექტივის ანალიზის შეანიშნავ საშუალებას.

Ratiani Lali

LINGUISTIC GENDEROLOGY – LANGUAGE AS CONSTRUCTING WAY OF A GENDER

In Linguistic description the consideration of gender parameters gives opportunity of a better understanding of both a language and also a society. Research results are important contributions, achievements in developing of mutually complementary, systematic, scientifically justified methods.They promote a language as the deepening of a social construction of reality, strengthening of the basics of theoretical and methodological linguistic Genderology and the way of anthroponomy direction. Language is a part of social life, by its structural research is available to get detailed information on viewpoint of the culture of gender role.

In society language is a social - cultural product of perceptions. It provides an excellent analysis of retrospective and perspective opportunity of language learning of linguistic practices, patriarchal stereotypes of men and women communication.

Professor Doctor an der Staatlichen Universität Suchumi

Strukturell-semantische Modelle im Satzgefüge mit dem Prädikativsatz

Die Besonderheiten der Satzgefüge die, die Realisierung der syntaktischen Funktionen des Prädikats durch die Nebensätze bedingen, können als zahlreiche strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

Ziel der vorliegenden Arbeit ist die charakteristischen Züge der Prädikatsätze sichtbar zu machen, ihre Spezifik festzustellen, durch die Beschreibung eigentümlicher charakteristischen Merkmale die Sätze dieser Art zu ergänzen, die Besonderheiten der Satzmodelle und – Strukturen, ihre bestimmte syntaktische Funktionen darzustellen, durch die den bekannten deutschen Schriftstellern entnommene Prädikatsätze gefestigte Übungen kennenzulernen und die Notwendigkeit ihrer Erfüllung hervorzuheben, beim Erlernen der deutschen Sprache die für das georgische Auditorium geeignete Fehler zu berücksichtigen, Ausnahmsfälle an den Tag zu legen.

Der Prädikativsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion des Prädikativs - stellt den nominalen Teil des nominalen Prädikats durch einen Nebensatz dar und ist mit dem Hauptsatz untrennbar verbunden. (Das verbale Prädikat kann durch einen Nebensatz nicht vertreten werden).Die Prädikativsätze kommen selten vor. Sie antworten auf die Fragen: **wer, was, wie ist das Subjekt?** Im Hauptsatz tretten oft die Korrelate: **der, die, das, so, es, derjenige, diejenige, dasjenige** auf.z.B.

Ihre Fmpfindlichkeit für die Ordnung bleibt die, wie sie auch früher gewesen ist.

Das Problem ist das, wie wir unsere Pläne in die Tat umsetzen können.

Der junge Mann scheint nicht mehr das zu sein, was er vor einigen Jahren gewesen ist.

Der Hauptsatz mit einem Prädikativsatz besteht aus einem logischen oder formellen Subjekt und einem von den kopulativen Verben: **sein, werden** (häufig), **scheinen, heißen,bleiben** (seltener), **dünken** (wenig vorkommend).

Nach ihrer Stellung im Satzgefüge sind die Prädikativsätze immer Nachsätze.Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz sind sie **konjunktionale** oder **relative** Nebensätze. Die ersteren werden durch die Konjunktionen: **dass, als, ob, als ob, wie wenn, als wenn** eingeleitet.z.B.

Die Folge dieser ziemlich schüchtern geäußerten Kriege war, **dass** ich in der Presse meines Vaterlands für einen Verräter erklärt wurde. (H. Hesse).

Sein größter Wunsch bleibt, dass er seine wissenschaftliche Qualifikation im Ausland erhöht. (R. Klappenbach).

Es scheint als verheimlichen ihm die Freunde etwas.

In den durch „**als**“ eingeleiteten Sätzen steht das finite Verb unmittelbar nach der Konjunktion. Die dass-Prädikativsätze können meistenfalls auch als Subjektsätze interpretiert werden.z.B.

Das Wichtigste ist, ob er durch seine Handlungen jemandem eine Unannehmlichkeit verursacht. (R. Klappenbach).Was ist das Wichtigste? - Subjektsatz / Prädikativsatz.

Es war mein Glück, dass im Hause meines Vaters die gewaltige großväterliche Bibliothek stand. (H. Hesse).Was war mein Glück? – Subjektsatz / Prädikativsatz.

Als Kriterium für die Feststellung der syntaktischen Funktion der Nebensätze dieser Art wird die Reihenfolge des Haupt- und des Nebensatzes im Satzgefüge genannt – geht der Hauptsatz dem Nebensatz voran, so wird der nachgestellte Nebensatz als Prädikativsatz interpretiert. Zugrunde dieser Interpretation liegt die Reihenfolge des Subjekts und des Prädikats im Satz - das Subjekt geht dem Prädikat meistens voran.[15]

Die relativen Prädikativsätze werden durch Relativpronomen: **der, die das** und Relativadverbien: **wer, was, wie, wofür, woher, womit, daher, damit, dadurch** u.a. eingeleitet.z.B.

Eine früh geschlossene Freundschaft ist, **was** nicht schon vor uns selbst stirbt. (H. Mann).

Wenn im Hauptsatz das logische Subjekt betont, expressiv hervorgehoben wird, kommen verhältnismäßig oft die relativen Prädikativsätze vor. In diesen Fällen wird der Hauptsatz durch das Subjekt eingeleitet und enthält nicht selten das Korrelat -**es**.

Das Kreuz ist es, das die Gläubigen als Symbol des Christentums ehrfurchtsvoll küssen.

Ein echter Mensch heißt, wer sich für seine Nächsten verantwortlich fühlt.

Seltener kommen mit dem Hauptsatz asynthetisch, ohne Bindewort angeknüpfte prädikative Nebensätze vor.z.B.

Es schien, er hatte seine Pflichten vergessen.

Unsere Uberzeugüng ist, niemand ist für diese Arbeit geeignet.

Es bleibt nur, wir müssen das seelische Gleichgewicht behalten.

In den Prädikativsätzen werden meist die Zeitformen des Indikativs gebraucht. In den durch die Konjunktionen: **als ob, als wenn, wie wenn** eingeleiteten Nebensätze, die einen irrealen Vergleich ausdrücken, auch in den asyntetischen Prädikativsätzen werden die Zeitformen des Konjunktivs angewandt. z.B.

Der Ring scheint, **als wenn** er aus echtem Gold wäre.

Seine Antwort war, **wie wenn** er meine Frage im voraus gewusst hätte.

Das bittere Gefühl blieb, **als ob** alles vor kurzem passiert wäre.

Es heißt, **er** könnte uns nicht richtig.verstanden.

---

[15]E. Schendels. „Deutsche Grammatik" (Morphologie, Syntax, Text) S.369; M. G, Arssenjewa u.a. „Grammatik der deutschen Sprache“ S. 334.

Als Ersatzformen der Prädikativsätze dienen:

– Infinitivgruppen mit der Partikel „zu“. z.B.

Das Zweckmäßigste ist, dass man alleFormalitäten zeitig erledigt. = Das zweckmäßigste ist alle Formalitäten zeitig zu erledigen.

Ein einfacher erweiterter Satz. bewusst ist. = Das Bewusstsein eigener Pflicht ist das Wesentlichste für jeden von uns.

Die Transformationen dieser Art gelten aber nicht für alle prädikativen Nebensätze.

Die strukturell-semantischen Besonderheiten der Satzgefüge, die die Realisierung der syntaktischen Funktion des Prädikativs mit einen Nebensatz bedingen, können durch folgende strukturell-semantische Modelle dargestellt werden:

I . HS-Subjekt(Subst/Pronom/, Peson/Ding/Erscheinung+Kopula(sein, werden, bleiben, scheinen, heissen, dünken-Indikativ)+Korrelat (der, die, das, der-,die-,dasjenige) + dass /als/ob-NS. z. B.

Ein wahres Wunder ist, dass er diese Situation so geschickt zu seinem Nutzen verwendet hat.

Die Frage bleibt, ob wir eine befriedigende Lösung des Problems finden können.

Der Misserfolg heißt, dass wir alles von vorn beginnen müssen.

II.HS-Subjekt(Subst/Pron,Person/Ding/Erscheinung)+Kopula(Verb-sein,werden, bleiben, scheinen, heissen, dünken-Konjunktiv)+(Korrelat) der, die, das, der, es, die-, dasselbe) + als ob/als wenn/wie wenn-Konjunktiv-NS.z.B

Sein Gesicht war, als wenn es von diesem Ereignis erst jetz erfahren hätte.

Der Alte blieb, als ob er keinen Ausweg aus dieser Lage finden könnte.

Der arme Mann scheint, als ob er im Stehen schliefe

III.HS-Subjekt(Subst./Pron.Person/Ding/Erscheinung+Kopula(Verb-sein, werden, bleiben, scheinen, heissen, dünken-Indikativ+(Korrelat: der, die das, es, der-, die-,das-selbe)+Relativpronomen/Relativadverbien:wer, was, wie, wofür, worüber, daher, da-durch)-NS. z.B.

Die alten Menschen sind nicht mehr die, die sie in ihrer Jugend gewesen sind.

Dein Freund scheint nicht der, der dir die finanzielle Unterstützung zusichern kann.

IV.HS-Subjekt(Subst., unpers. Pronom. “es”+Kopula(Verb-sein, werden, bleiben, scheinen, heissen, dünken) +Prädikativ(der, die, das, es, der-,die-,dasselbe)+als/ als ob/als wenn/wie wenn/-NS. z.B

Das Mädchen blieb versteinert stehen, als hätte es ein fürchterliches Unangenehm gesehen.

Sein Gesichtsausdruck war, als wenn er davon nichts wüsste.

V. HS-Subjekt (Subst.unpers. Pronom.”es”+Kopula(Verb-sein, werden, bleiben, scheinen, heissen, dünken)+(nur)

HS-Subjekt(Subst/ Pron.-Ding.Person. Erscheinung)+Prädikat-Verb+ Objekt (Subst.Pron). z.B.

Es bleibt nur, jeder muss seine Nerven behalten.

Es scheint, wir können keine befriedigenden Resultate haben.

Es heißt, alle sollen zeitig an Ort und Stelle sein.

Fragen zur Selbstkontrolle

1. Welche syntaktische Funktion erfüllt der Prädikativsatz im Satzgefüge?
2. Auf welche Fragen antworten die Prädikativsätze?
3. Wie ist die Stellung der Prädikativsätze im Satzgefüge?
4. Welche Arten der prädikativen Nebensätze unterscheidet man nach ihrer Verbindung mit dem Hauptsatz?
5. Aus welchen Satzgliedern besteht der Hauptsatz mit einem prädikativen Nebensatz?
6. Welche Korrelate treten im Hauptsatz auf?

7. Wie ist der Wortbestand des Hauptsatzes?
8. In welchem Fall können die Prädikativsätze auch als Subjektsätze interpretiert; werden?
9. Was dient zur Feststellung des Unterschieds zwischen den subjektiven und prädikativen Nebensätzen?
10. Wie ist die Gebrauchsfrequenz der kopulativen Verben im Hauptsatz?
11. Welche Konjunktionen leiten die Prädikativsätze ein?
12. In welchen Prädikativsätzen werden die Zeitformen des Indikativs, b.z.w des Konjunktivs gebraucht?
13. Wodurch können die Prädikativsätze ersetzt werden?

Prädikativsätze

Übungen

1. In welcher, von den angeführten Satzgefügen ist der Nebensatz ein Prädikativsatz. Stellen Sie zu jedem Nebensatz die passende Frage.

1. Niemand weiß, was er sich dachte. (H. Fallada). 2. Unsere Überzeugung war, dass der Arzt uns etwas verheimlicht. (Duden). 3. Die Verluste waren bedeutender, als man es im Voraus bezeichnet hatte. 4. Es scheint, als werde die Geschichte immer schöner. (H. Andersen). 5. Es war, als ob die Mutter für die ungeheuere Last eine schwache, dünne Nebenstütze bekommen hätte. (L. Frank). 6. Das war eine ungeheuere Summe, viel mehr, als das alte Gerumpel wert war. (L. Feuchtwanger). 7. Es war, als wollte die göttliche Natur selber in den Kampf eingreifen. (R. Carstensen

2.Verbinden Sie die Satzpaare zu den Satzgefügen und stellen Sie die Fragen zu den Nebensätzen.

Muster: Es ist das Erstaunlichste. Sie bleiben ihren Traditionen bis heute treu. Das Erstaunlichste ist, dass sie ihren Traditionen bis heute treu bleiben.

Was ist das Erstaunlichste?

1. Es bleibt mein sehnlichster Wunsch. Ich sehe dich wieder. 2. Die Krankheit nimmt einen schweren Verlauf. Es ist das schlimmste. 3. Es heißt das Wesentlichste. Du hast dein Ziel erreicht. 4. Es bleibt das Bedeutendste. Du bist mir treu. 5. Er hat die Bestätigung seines Verdachtes erhalten. Das ist das Schlimmste. 6. Es wird das Wichtigste. Unsere junge Generation zeigt ein starkes Verlangen nach der Vollkommenheit. 7. Es ist sein Vorzug. Er ist seiner Pflicht bewusst.

3. Vervollständigen Sie die angegebenen Hauptsätze durch passende konjunktionale Prädikativsätze.

Muster: Mein nagender Kummer ist, ...

Mein nagender Kummer ist dass ich dich vor dieser Gefahr nicht sichern kann.

1. Seine feste Entscheidung bleibt, ... 2. Das Kind scheint, ... 3. Mein quälender Zweifel ist, ... 4. Das Unwetter scheint, ... 5. Es heißt, ... 6. Sein Programm scheint, ... 7. Ihre Beschäftigung bleibt ... ...

4. Vervollständigen Sie die angegebenen Hauptsätze durch relative Prädikativsätze. Gebrauchen Sie dabei die passenden Korrelate.

Muster: Das friedliche Koexistenz der Staaten heißt ..., ...

Die friedliche Koexistenz der Staaten heißt das, was das friedliche Nebeneinanderbestehen von Staaten mit unterschiedlicher Gesellschaftsordnung genannt wird. (Duden).

1. In unserer Stadt bleibt die Situation ... ..., ... 2. Das Skandal mit ihm ist ... ..., ... 3. Das Problem scheint ... ..., ... 4. Seine Verantwortung für eigene Pflichten bleibt ... ..., ... 5. Der christliche Glaube ist ... ..., ... 6. Bis heute bleibst du ... ..., ... 7. Seine Beharrlichkeit ist ... ..., ...

5. Vervollständigen Sie die angegebenen Hauptsätze durch asynetische prädikative Nebensätze.

Muster: Seine feste Überzeugung ist, ... Seine feste Überzeugung ist, niemand darf sich in die fremde Angelegenheit ohne Genehmigung einmischen.

1. Die Gewissheit bleibt doch, ... 2. Die erste Aufgabe des Ausbildungssystems ist, ... 3. In jedem Land bleibt das akute Problem, ... 6. Die Zwangläufigkeit war, ... 7. Unsere Überzeugung bleibt, ...

6. Ergänzen Sie die angegebenen Hauptsätze durch irreale Prädikativsätze. Übersetzen Sie die Sätze ins Georgische.

MUSTER: DER ALTE SCHEINT, ...

DER ALTE SCHEINT, ALS OB ER MIT SEINER BESCHÄFTIGUNG ZUFRIEDEN WÄRE. ლ ლ ბ ბ შ/ ო X ßI ო VIშI შ I Iო I I I შ.

1. DIE ERFAHRUNG SCHEINT, ... 2. UNSER FREUND BLEIBT, ... 3. DER RESULTAT UNSERER ANSTRENGUNGEN SIND, ... 4. ER SCHEINT ... ... 5. DER HIMMEL IST ... ... 6. DEINE ELTERN SCHEINEN, ... 7. SEIN GESICHTSAUSDRUCK IST, ...

7. Vervollständigen Sie die Nebensätze ihrem gedanklichen Inhalt gemäß durch unten angegebene Hauptsätze.

1. ... ..., dass du alles spielend erreichen kannst. 2. ... ..., wie sie vor Jahren war. 3. ... ..., dass an ihn eines Diebstahls beschuldigt. 4. ... ..., in eigener Sache kann niemand Richter sein. 5. ... ..., dass er seinem Bruder am Fleiß gleichkommt. 6. ... ..., wie er das alles geschaffen hat .7. ... ..., dass die dich in deinem Selbstvertrauen nicht stärkt.

8. FORMEN SIE DIE ANGEGEBENEN EINFACHEN ERWEITERTEN SÄTZE IN DIE SATZGEFÜGE MIT PRÄDIKATIVEN NEBENSÄTZEN UM:

Muster: Der österreichische Dichter Hugo Huppert hat in Jahren 1949-1954 das weltberühmte Poem von Schota Rustaveli „Der Recke im Tigerfell“ ins Deutsche übersetzt. - Der österreichische Dichter Hugo Huppert war es, der in Jahren 1949-1954 das WELTBERÜHMTE POEM VON SCHOTA RUSTAVELI INS DEUTSCHE ÜBERSETZTE.

1. HEINRICH HEINES TALENT ALS DICHTER UND PUBLIZISTEN WAR IM 19. JAHRHUNDERT ALLGEMEIN ANERKANNT. 2. WILHELM HUMBOLDT HAT IM JAHRE 1809-10 DIE BERLINER UNIVERSITÄT BEGRÜNDET. 3. IM JAHRE 1915 SCHUF ALBERT EINSTEIN SEINE RELATIVITÄTSTHEORIE. 4. JOHAN WOLFGANG GOETHE HOB DIE DEUTSCHE LITERATUR AUF DIE HÖHE EINER KLASSISCHEN NATIONALLITERATUR. 5. LUDWIG VAN BEETHOVEN WAR DER GROßMEISTER DER WIENER KLASSIK. 6. JOHAN SEBASTIAN BACH BEDEUTET DIE HÖHE UND ABSCHLUSS DES MUSIKBAROCKS. 7. DER BEDEUTENDSTE PHYSIKER ALBERT EINSTEIN HAT DIE ALLGEMEINE RELATIVITÄTSTHEORIE GESCHAFFEN.

9. Übersetzten Sie die Sätze ins Georgische

1. DAS WAR, WAS ER AUF SEINEM ERSTEN WEGE ZU SEHEN BEKAM. (H. MANN). 2. ES IST GAR NICHT, WAS ICH MIT DEM SINGEN MEINE. (R. MUSIL). 3. ES HIEß, DASS ER DEN ANFANG BESSER KANNTE.

(H. MANN). 4. DER GRUND ZU SEINER BEUNRUHIGUNG IST, DASS DIESER VERTRAG IHM NUR NACHTEILE BRINGT. (DUDEN). 5. IHRE UNGEZWUNGENE HEITERKEIT BLIEB IM VERLAUF DES GANZEN ABENDS, ALS OB ALLE ANWESENDEN MITEINANDER SEIT LANGEM BEKANNT WAREN. (R. KLAPPENBACH). 6. DAS WAR, WAS ER VOM BLUT SEINES HAUSES ZUR HAND HATTE. (H. MANN). 7. DIE HAUPTSACHE BLEIBT, DASS SIE KEIN BALLETT MEHR BRAUCHEN. (H. MANN).

10. Übersetzen Sie die Sätze ins Deutsche.

1. შენს უდიდეს ნაკლად რჩება ის, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა არ გაგაჩნია. 2. მისი თავშეკავებულობაა, რასაც მისი მეგობრები ყველაზე მეტად აფასებენ. 3. დიდი უსამართლობაა ის, რასაც თქვენ და თქვენი მსგავსნი წლების მანძილზე ჩადიოდით. 4. ყველას ღრმა რწმენაა, რომ ჩვენ ამაში ბრალი არ მიგვიძღვის. 5. უმნიშვნელოვანესია, სწორად გამიგებ თუ არა. 6. იშვიათი გამონაკლისია, რომ თქვენც ამ სამუშაოში იღებთ მონაწილეობას. 7. მხოლოდ და მხოლოდ ბოროტი ჭორია ის, რაც შენ მომიყევი.

11.Analysieren Sie syntaktisch und morphologisch die nachstehenden Sätze.

1. DEIN ECHTER FREUND IST, MIT DEM DU GEMEINSAME ANSCHAUUNGEN UND INTERESSEN HAST 2. DAS DATUM DES SPORTFESTES BLEIBT, WIE ES DAS SPORTKOMITEE VOR ZWEI WOCHEN ANGEGEBEN HAT. 3. INNERE BEFRIEDIGUNG HEIßT, DASS MAN EIGENE BEMÜHUNGEN ZUM ERFOLG FÜHRT. 4. DAS ERSTAUNLICHSTE SCHEINT, WIE SCHNELL SICH SEINE TRÄUME VERWIRKLICHT HABEN. 5. SEIN EISERNER FLEIß IST, WAS IHN ZU EINEM GROßARTIGEN ERFOLG FÜHREN KANN. 6. NOCH HEUTE BLEIBT SEINE LIEBE SO FEURIG, WIE SIE VOR JAHREN GEWESEN IST. 7. DAS PROBLEM IST, WORÜBER WIR AUSFÜHRLICH DISKUTIEREN MÜSSEN.

ლალი რატიანი

სტრუქტურული-სემანტიკური მოდელები შემასმენლურ დამოკიდებული წინადადებებში

რეზიუმე

ქვეწყობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებებით განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალრიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით.

ნაშრომის მიზანია რთული ქვეწყობილი წინადადებების, კერძოდ, შემასმენლურ დამოკიდებული წინადადებების დაწვრილებითი დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელებისა და სტრუქტურების თავისებურებებისა და განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღწერა, ცნობილი გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებებისსახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სიძნელეების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა.

ილუსტრირებული ენობრივი მასალა გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუ-

ქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენის ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

Lali Ratiani

Structural - semantic Models in the Predicative Clause

Summary

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by subordinate clauses, schematically they can be presented as numerous structural - semantic models.

The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a predicative clause, determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on subordinate clause taken from famous German authors' works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases.

The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დალი ზერაგია

ქალთა მიმართ ძალადობა

აგრესიის ერთ-ერთ გამოხატულებად ძალადობა ითვლება. ძალადობა მსოფლიო პრობლემაა, მას შეიძლება ახორციელებდეს - როგორც ერთი ადამიანი, ისე ადამიანთა ჯგუფი ან მთელი საზოგადოება. ბოლო პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად გახშირდა ძალადობის შემთხვევები, კერძოდ, მსხვერპლს ქალი წარმოადგენს და ათეულობით ასეთი ფაქტი ფატალურად დამთავრდა. ძალადობის სახეებია: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური, სექსუალური და სხვა. ძალადობის ფორმა ორი სახისაა: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი ფიზიკური ძალადობაა, ხოლო ირიბი- სოციალური უსამართლობები. ძირითადი შინაგანი ფაქტორები, რომლებიც ადამიანს ძალადობისკენ უბიძგებს მისი კოგნიტურ-ემოციური მდგომარეობებია. ფიზიკური აგრესიის უმთავარეს მიზეზს განრისხება წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემებით მკვლელობათა სამი მეოთხედი მოტივირებული აგანრისხებით. განრისხების გამომწვევი ძირითადი მიზეზი აფრუსტრაცია. საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ კვლევაში 2400-მდე ქალი გამოიკითხა. ქორწინებაში მყოფი ყოველი მეთერთმეტე ქალი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. ძალადობის სხვადასხვა ფორმით 35% დაზარალდა. რიგ შემთხვევებში ქალები ვერც აცნობიერებენ რომ ძალადობის ქვეშ ცხოვრობენ. მათ ასეთი ყოფა ტრადიციის ნაწილად, ცოლ-ქმრული ცხოვრების, ოჯახის მართვის მიღებულ წესად მიაჩნიათ. 50%-ს მიაჩნია, რომ ცოლი ქმარს უნდა ემორჩილებოდეს, უჯერებდეს მაშინაც კი, თუ არ ეთანხმება. 34,1% ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს. გამოკითხულთა 80% ძალადობის გამომწვევ მიზეზად უმუშევრობა სთვლის. ქალთა 78,3% ძალადობას ოჯახის შიდა პრობლემად მიიჩნევს. ძალადობის მსხვერპლ ქალთა უმრავლესობა პოლიციას დახმარებისთვის იშვიათად მიმართავს. საქართველოს მასშტაბით ყველა ზემძიმე ვითარება ამ მხრივ თბილისში, აჭარასა და კახეთშია. კახეთში ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოხატულებით ქალთა 92% იტანჯება, თუმცა არც ეს პროცენტია ზუსტი.

ადამიანის უფლებების შინაარსის გაგების არცოდნა, ან სხვა „იძულებითი“ მომენტი განაპირობებს ქალის მსხვერპლად გადაქცევას, საზოგადოების ინერტულობა, ჯერ კიდევ კარგად გამოხატული პატრიარქალური მორალი ქალს მიიჩნევს „შემსრულებლად“ და რაც მთავარია „რა სიტყვის ხალხი“, რომელიც აიძულებს ქალს აირჩიოს დუმილი და შედეგად არა ერთი სადისტური მკვლელობა. სად უნდა ვეძებოთ ძალადობის საფუძვლები? ცხადია, რომ ძალადობას არ გააჩნია არც ეროვნება და არც რელიგია, მისი საწყისები უნდა ვეძებოთ აღზრდის ან სოციალური და სწავლის პროცესში. საზოგადოების ამგვარი დაბალი ცნობიერება განათლების, ზნეობის არ არსებობის შედეგია. კულტურული სტერეოტიპია, რომ მამაკაცი უნდა ბატონობდეს ქალზე, მას ქალზე და გოგონაზე მესაკუთრეობის პრეტენზია აქვს, მის დაქვემდებარეაბაშია ოჯახში ყველა სფერო. ეკონომიკური ძალადობისას, ქალი ეკონომიკურად დაქვემდებარებულია კაცზე, ფინანსებზე შეზღუდული აქვს ხელმისაწვდომობა. დისკრიმინაციული კანონებია რეგულირებს საკუთრების უფლებას განქორწინების ან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქონების მიღების საკითხს. სახელმწიფო თუ

კერძო სექტორში დასაქმების ნაკლები პერსპექტივა. ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში ქალის დასაქმების სურვილიც კი სახიფათოდ აღიქმება კაცის მხრიდან, ძალაუფლების დაკარგვის კუთხით.

პოლიციის თუ სასამართლოს მხრიდან ხშირად დამამცირებელი მოპყრობა ქალებისადმი და გოგონებისადმი, რომელიც გულისხმობს მდედრობითი სქესის მეორე ხარისხოვნებაზე, მის აბუჩად აგდებას, უცენზურო სიტვებით მოხსენიებას და სხვ. ოჯახური წინააღმდეგობის გამომწვევი ფაქტორი აგრეთვე შეიძლება გახდეს ქალის დასქმების სურვილი ხელისუფლებაში, მედიაში, ძალოვან სტრუქტურაში, სამედიცინო სფეროში და სხვ. ქალებზე ძალადობის ფორმა და ხარისხი განსხვავებულია თითოეულ ქვეყანაში, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური სიტუაციის შესაბამისად. იაპონიაში ქალებზე პარტნიორების 15% ძალადობს, ეთიოპიასა და პერუში 70%. როდესაც ბავშვი ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობის მოწმეა ეს საფრთხეს უქმნის მის სრულფასოვან განვითარებას. კვლევებმა აჩვენა რომ ასეთი ბავშვების ამ ჯერად ოთხჯერ მეტად ძალადობენ იმკაცებთან შედარებით რომლებსაც ბავშობაში ტრამვული გამოცდილება არ ქონიათ. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა რომ რიგ ქვეყნებში ქალთა მიმართ გამოვლენილი სექსუალური ძალადობა აივ ინფექციით დაინფიცირების საშიშროებას ზრდის. ერთ-ერთი ასეთი სისასტიკე მოპყრობამდე დრობითი სქესისადმი, გამოვლინებაა არასრულწლოვნების იძულებითი ქორწინება. გათხოვების ასაკი შეიძლება იყოს 12-13 წლისასაკიან კიდევ უფრო ნაკლები. ასეთი ქორწინება ხდება კანონმდებლობის გვერდის ავლით, ჩუმად, ტრადიციის შესაბამისად. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ გადაუხდიან ქალის საფასურს, ან ერთ „მჭამელს" მოიშორებენ ოჯახიდან. ზოგიერთ ქვეყანაში ქალის გენიტალიების დასახიჩრების მაღალ მაჩვენებელს ვაწყდებით. UNUNISEFE-ის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, აფრიკისა და შუააზიის ქვეყნებში 125 მილიონი ქალი და გოგონა გახდა გენიტალიების დასახჩრების მსხვერპლი. სომალი (ქალების 98%), გვინეა (96%), ეგვიპტე (91%). აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში დედებიც დილობენ შვილ გოგონებს მექანიკური დაზიანებით მკერდი გაუუთოონ, რათა მკერდგაბრტყელებული ნაკლებ მიმზიდველია, ამით ცდილობენ თავიდან აიცილონ ნაადრევი სექსუალური ძალადობა და საშუალება მიეცეთ განათლების მიღების ან დასაქმების.

ქალზე ძალადობის ათასობით ფაქტია გამოვლენილი. ძალადობის ზუსტი სიხშირის დადგენა შეუძლებელია, თუმცა მეცნიერული კვლევითი რკვევა, რომ განვითარებულ ქვეყნებში მიახლოებით ორმოც პროცენტამდე პარტნიორისგან ნაცემი ქალია. ძალადობისას ქალები ძლიერ ფიზიკურ დაზიანებებს იღებენ, ვინაიდან კაცი ქალზე ღონიერია. პარტნიორებს შორის თავდაპირველად დაძაბულობა იქმნება, ხოლო შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებად გადაიქცევა, რომელსაც მოჰყვება მონანიება, მოძალადე ითხოვს პატიებას და მსხვერპლისადმი პატივისცემის გამოვლინებას იწყებს. ეს ციკლი მეორდება ახალი დაძაბულებობის დაწყების შემდეგაც. კვლევების შედეგად ცნობილია, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების განათლების ცენზი (ხშირშემთხვევაში) გაცილებით მაღალია მოძალადესთან შედარებით.

ფიზიკური ძალადობის ტკივილების გარდა მსხვერპლ ქალებს სტანჯავთ დეპრესია, შფოთვა, უსუსურობის და არასრულფასოვნების განცდა, უძილობა, თავის ხშირი ტკივილი დასხვა. ცემა ახსნილია ფემინისტურ, სოციო კულტურულ და ფსიქოლოგიურ თეორიებით. ფემინისტური თეორიის მიხედვით კაცები სცემენ ქალებს რათა მოიპოვონ ან შეინარჩუნონ მათზე ძალადობა. საუკუნეების განმავლობაში ქალი კაცის საკუთრებად ითვლებოდა და სხვადასხვასახის ძალადობა უკანონობად არ ითვლებოდა. ქალთან შედარებით კაცის უპირატესობის განცდა, მოძალადე კაცს უბიძგებს მისდიოს ტრადიციულ გენდერულ როლს.

სოციო კულტურული თეორიის მიხედვით აგრესია არ მიიჩნევა მიუღებელ მოვლენად. მას გამოიყენებენ, როგორც კონფლიქტის მოგვარების და ქცევის გაკონტროლების ტექნიკას, ეს მაშინ თუ სხვა მეთოდებმა არ გაამართლა. ფსიქოლოგიური თეორიები ხაზს უსვამ-დნენ მსხვერპლი ქალის ფსიქოლოგიურ დეფექტს, როგორიცაა მაზოხიზმი, რის გამოც ქა-ლები თავის ბედს ურიგდებიან. სოციალური და სწავლის თეორიით ქალის ცემა შეიძლება მოდელირებით იყოს შეძენილი. მოძალადე კაცი ბავშობაში იგივეს ხედავადა საკუთარ ოჯახში და შეიძლება თვითონაც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, შესაძლებელია ბავ-შობაში განცდილი და ჩამოყალიბებული ატიტუდის იმიტირებას ახდენდეს.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 95% ქალია. ძალადობის შედეგად უფრო მეტი ქალი კვდება, ვიდრე სიმსივ-ნით, მალარიით, ავტო-საგზაო შემთხვევებში და ომის დროს ერთად. ყოველწლიურად მსოფლიოში ხუთი ათას ქალს საკუთარი ოჯახის წევრი კლავს. ძირითადი მოძალადე მი-სივე პარტნიორი მამაკაცია.

რეზიუმე

ძალადობა, როგორც ადამიანის ყველაზე არაადამიანური მოპყრობა, ისევ ადამიანის მიმართ. კაცობრიობას, თავისი განვითარების ეტაპებზე უდიდესი გამოცდილება აქვს, ამ-მან კი ერი საქციელის მხრივ. სამწუხაროდ ხშირად ვაწყდებითსაკითხისგადაჭრისძალისმი-ერმეთოდებს. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გარეშე ამ პრობლემის მოგვარება წარმოუდგენელია, თუმცა სამართლებრივი ბერკეტებიც უდიდეს წვლილს შეიტანს ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში.

გამოყენებული წყაროები:

1. ი. იმედაძე-ფსიქოლოგიის საფუძველები, გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2008.
2. მ. ბალიაშვილი-სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი 2010.
3. ნ. ჯორჯიკია-სოციალური კონფლიქტები, „ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი 2009.
4. ფილიპზიმბარდოფსიქოლოგიადაცხოვრება.
5. http://www.tabula.ge
6. http://1feelfree.wordpress.com
7. http://dalada.wordpress.com
8. http://makuproduction.blogspot.com
9. http://icres.wordpress.com

ფრანგულიდან თარგმნა დალი ზერაგიამ

მარსელ პრუსტი

კომბრე

დიდი ხნის განმავლობაში ძალიან ადრე ვწვებოდი... ზოგჯერ სანთელი არც კი იყო ჩამწვარი, თვალები ისე ჩქარა მეხუჭებოდა, რომ დროც არ იყო მეთქვა: „მეძინება“. ნახევა-რი საათის შემდეგ მოძალებული ფიქრი ძილს მიფრთხობდა, მინდოდა ტომეულიც დამედო, რომელიც, ვფიქრობდი... კიდევ ხელში მეჭირა...

... სანთელს შევუბერე, ძილისას არ შემიწყვეტია ფიქრი იმაზე, რაც ის-ის იყო წამე-

კითხა, მაგრამ ჭარბმა ფიქრებმა განსაკუთრებული წრე შეკრა; მეგონა იქიდან ვლაპარაკობდი: ეკლესია, კატორღა, ფრანსუა პირველის და შარლ კენტის მეტოქეობა... ეს რწმენა რამდენიმე წამის განმავლობაში გაღვიძების წინ ცოცხლობდა, იგი ჩემს გონებაზე არ ზემოქმედებდა, მაგრამ თვალებს ამძიმებდა და ხელს მიშლიდა მეფიქრა, შანდალი ენთო თუ არა. შემდეგ იწყებოდა ფიქრი, ვხვდებოდი თუ არა მახვილგონიერი, წინარე მეტაფსიქოზური ფიქრების შემდეგ; წიგნის შინაარსი გონებას სცილდებოდა და ვთავისუფლდებოდი მისი გარემოცვისგან; მაშინვე აღმოვჩნდებოდი ბნელ არეალში და მიკვირდა, რომ ირგვლივ სიბნელე იყო... თვალებზე შემოწოლილი იდუმალი სიმშვიდე, შეიძლება უფრო იდუმალი ვიდრე ჩემი გონება, წარმოჩნდებოდა, როგორც უმიზეზო საგანი, გაუგებარი როგორც მიუწვდომელი სიბნელე. თავს ვეკითხებოდი: რომელი საათი შეიძლება ყოფილიყო?! მატარებლის საყვირის ხმა მესმოდა, ოღონდ ცოტა უფრო შორეული, როგორც ტყის ფრინველთა სტვენა; ჩემს გონებაში შორი მანძილიდან აღიბეჭდებოდა ის უკაცრიელი განფენილობა, სადაც მგზავრს მიეჩქარებოდა უახლოესი სადგურისაკენ; იმ პატარა ბილიკისაკენ, რომელიც მის გონებას აცოცხლებს და კიდევ... სხვა ბილიკები... შეუჩვეველი დაბრკოლებები და უკან დარჩენილი საუცხოო ლამპიონები, რომელიც სიბნელეში მიმავალს ასდევნებია მშვიდი დაბრუნების იმედით.

ბალიშის ნაზ, სავსე, ლამაზ კიდეებს მშვიდად ვეხებოდი, როგორც ბავშვობის ლოყებს. ასანთის ღერს ჩამოვკრავდი, საათისათვის რომ შემეხედა. მალე შუაღამეა... ეს ის წუთია როცა ავადმყოფი იძულებულია გაემგზავროს და იძულებულია დაწვეს უცნობ სასტუმროში; კრიზისისაგან გაღვიძებულს, ახარებს კარის ქვეშ შემოჭრილი სინათლის სხივი. რა ბედნიერებაა, უკვე დილაა!

ამ წუთში მოსამსახურეები უკვე წამოდგნენ; ჩამოირეკება და მოვლენ ავადმყოფის მისაშველებლად. იმედი შვების მომგვრელია, ტანჯვას უმსუბუქებს და იმედს აძლევს. უკვე ჰგონია, ნაბიჯის ხმაც ესმის; ნაბიჯები ახლოვდება და წყდება... სინათლის სხივი რომელიც კარის ქვეშ იყო გაუჩინარდა... შუაღამეა; ეს-ეს არის გაზიც ჩააქრეს; უკანასკნელმა მოსამსახურემ გაიარა, და დარჩა მხოლოდ მტანჯველი ღამე უწამლოდ...

ჩამძინებოდა... ზოგჯერ კი ხის ისრებიანი მაღვიძარას რიტმული ცემა მაღვიძებდა. თვალის გახელისას ჩემს წინ ბნელი კალეიდოსკოპი, მომენტალურად შუქის გაელვება, ნამძინარევი გონება, სადაც თითქოს იძირებოდა ავეჯი, ოთახი და ყველაფერი, რომლის მცირე ნაწილს შევადგენდი, ის გაუცნობიერებლობა, რომელსაც ვერთვოდი, ან უკეთ ჩანიძებისას დაუძალებლად ვუერთდებოდი რაღაც ასაკს ჩემი საწყისი ცხოვრებისა და აღმოვაჩენდი ბავშვურ საშინელებებს. ისეთს როგორსაც ჩემი დიდი ბებია მიყვებოდა და რომელიც დღისით იფანტებოდა. ეს იყო ჩემთვის ახალი ცხოვრების დასაწყისი, რომელსაც ვერასოდეს წაშლიდნენ. დამავიწყდებოდა ყოველივე ეს ძილის დროს; ვცდილობდი როგორმე გამეხსენებინა, რომ გავქცეოდი ჩემი დიდი ბიძის ხელებს, მაგრამ ბალიშს ისეთი სიფრთხილით ვეხებოდი, სანამ კვლავ ოცნების სამყაროში ჩავიძირე...

ზოგჯერაც როცა ევა იბადებოდა ადამის გვერდიდან, ასევე ჩემშიც ქალი იშვებოდა ჩემი ნეკნიდან. სიამოვნებას, რომელსაც ვგრძნობდი, ვფიქრობდი, რომ ამას სწორედ ევა მთავაზობდა. ჩემი სხეული, რომელიც გრძნობდა, საკუთარ სითბოს, სურდა მასში შესვლა და ეს მაფხიზლებდა. ჰუმანურობის ეს ნარჩენი უკვე შორეულად მომეჩვენა იმ ქალთან ერთად რომელმაც უკვე რამდენიმე წუთია მიმატოვა. ჩემი ლოყა ჯერ კიდევ თბილი იყო მისი ამბორისაგან და სხეული კი მისივე ტანის სიმძიმით. დიახ, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე მას ჰქონდა თითქოს ქალის ნაკვთები, რომელიც ცხოვრებაში მიგრძვნია და იმ მიზნისაკენ მიბიძგა, რომ ხელახლა აღმომეჩინა, ხელახლა მეძებნა იმათ მსგავსად ვინც სამოგზაუროდ მიდის, რათა საკუთარო თვალებით ნახოს სასურველი ქალაქი და წარმოიდგინოს,

რომ შეუძლია იგემოს ჭეშმარიტებაში სიზმრის ხიბლი. ნელ-ნელა იმისი მოგონება იშლება... მავიწყდება ოცნების ქალიშვილი...

კაცს, რომელსაც სძინავს, დროის სვლა, წლები და სამყარო კვლავ მის გონებაშია. ეს მის ინსტინქტში ადიბეჭდება და წამიერად ამოიკითხავს მიწიერს, რომელსაც ფლობს, დროს რომელიც გაიპარა გაღვიძებამდე; მაგრამ მათი რიგი ერთამენთში აირია და შეწყდა, რომ დილისათვის გამოძინების შემდეგ, ძილმა ისევ შეიპყროს კითხვისას, იმ განსხვავებულ ადგილზე, სადაც მას ჩვეულებრივ სძინავს; საკმარისია მისი გადაწეული მკლავი და ... მზის სხივის უკან დახევა; გაღვიძების პირველ წუთს იგი ვეღარ შეძლებს შეიცნოს დრო და თავს პატივს დასდებს წავიდეს დასაძინებლად. იგი ოხრავს ახლა შეცვლი და განსხვავებულ პოზიციაში, მაგრამ სავარძელში ჩამჯდარი სადილის შემდეგ; მაშინ იწყება აფორიაქება დეზორბიტირებული სამყაროსი, ჯადოსნური სავარძელი დროის და სივრცის გარკვეულ მონაკვეთში მთელი სიჩქარით მოძრაობს; თვალის ახელისას კი თავს არწმუნებს რომ უკვე რამდენიმე თვეა სხვა სამყაროშია,მაგრამ საწოლშივე ძილი ისე ღრმა იყო, რომ მთელ ჩემს გონებას მოიცავდა; რის გამოც ვეღარ ვგრძნობდი სად ჩამეძინა... შუაღამისას როცა გავიღვიძებდი ვერ ვგრძნობდი ვინ და სად ვიყავი, ვიყავი მხოლოდ საწყისი უბრალოება, იმ არსებობის შეგრძნებით, რომელიც მხოლოდ რომელიმე ცხოველის შიგნითაა. ვიყავი თითქოს აკლდამის ადამიანი, შემდეგ ისევ მოგონება... და კვლავ არა ის ადგილი, სადაც სინამდვილეში ვიყავი, არამედ იმათთაგანი რომლებთანაც ოდესმე მიცხოვრია. იქიდან მოვიდოდა შველა, თავი, რომ დამეღწია, საიდანაც მარტო გამოსვლას ვერ შევძლებდი; სადაც წამში გავივლიდი ცივილიზაციის საუკუნეებს; ნავთის ლამპაზე ნახავრად ბუნდოვნად დანახულ სურათს აღვიქვამდი; დავინახავდი გადაკეცილ საცვლების საყელოებს, რომლებიც თანდათან ქმნიდნენ ჩემში ორიგინალურ ხაზებს.

შესაძლებელია საგნების უძრაობამ ჩვენს ირგვლივ გვაიძულოს ჩვენივე რწმენით, რომ ეს სწორედ ისაა და არაა ეს და წარმოდგენით ჩვენივე აზრების უძრაობაა მათ წინაშე.

არის შემთხვევა როცა ვიღვიძებ და ჩემი გონება წარუმატებლად ამოქმედდება, რომ გავაცნობიერო სად ვარ, ყველაფერი ტრიალებს ირგვლივ სიბნელეში; საგნები, ქვეყნები, წლები. ჩემი სხეული მეტი მოძრაობით დამძიმებული, დაღლილი ფორმით ეძიებდა, რომ სხეულის ნაწილები დაბრუნდებოდა პირვანდელ პოზიციას და მიიმართებოდა კედლისაკენ, ავეჯისაკენ, რათა აღედგინა ის ადგილი სადაც იმყოფებოდა.

მისი მეხსიერება, მისი მუხლების, მხრების მგრძნობელობა ერმანეთის მიყოლებით შთააგონებდნენ ადგილებს სადაც მას დაუძინია, მაშინ როცა მის ირგვლივ უხილავი კედლები ცვლიდნენ ადგილს წარმოდგენილი ოთახების ფორმის მიხედვით და ტრიალებდნენ წყვდიადში. სანამ ჩემი ფიქრები გაცოცხლდება, რომელიც მერყეობდა ფორმებისა და დროის ზღურბლზე აიგივებდა ბინას, უახლოვდენოდა რა გარკვეულ გარემოებებს, თვით ჩემს სხეულს- რომელიც იხსენებდა თითოეული საწოლის ფორმას, კარების ადგილებს, სინათლის შემოჭრას ფანჯრებში. ფერების რაობას, იმ აზრით, რომ კვლავ ჩამეძინებოდა და კვლავ გავიღვიძებდი. ჩემი გვერდი ცდილობდა ორიენტაციაში გარკვეულიყო, წარმოსახავდა წაგრძელებულ სხეულს კედელზე, უზარმაზარ საწოლში და მაშინვე ვიტყოდი: „აჰა უკვე ჩავიძინე თუმცა დედა არ მოსულა საღამო მშვიდობის სათქმელად“. სოფელში ვიყავი ბაბუასთან, რომელიც მრავალი წელია გარდაიცვალა.

ჩემი სხეული იმ გვერდზე რომელზეც ვიწექი, ერთგული მცველი წარსულისა, რომელსაც ჩემი გონება ვერასოდეს დაივიწყებდა; მომაგონებდა ძველ ბოჰემურ ჭიქის ალს, ჩამოკიდებულს ჯაჭვით ჭერზე, მომაგონებდა სიენის მარმარილოს ბუხარს, ჩემს კომბრეს საწოლ ოთახში, ჩემს დიდ მშობლებთან, იმ შორეულ დღეების წუთებს, როცა მათ ჩვეულებრივ წარმოვიდგენდი ზუსტი წარმოსახვის გარეშე და უკეთესად დავინახავდი როცა გავიღვიძებდი.

შემდეგ ცოცხლდებოდა მოგონება ახალი პოზიციაში; კედლები თითქოს სხვა მხარეს ჩამწკრივებულიყო;ჩემს ოთახში ვიყავი, სოფელში ქალბატონ სენ-ლუპესტან; ღმერთო ჩემო! ათ საათზე ნაკლებია, ამ დროს სადილი მთავრდება!კვლავ მკვდარივით ჩამეძინა, ტანსაცმელის გამოუცვლელად, როგორც ხდება ხოლმე ყოველ საღამოს ქალბატონ სენ-ლუპესთან ერთად სეირნობიდან დაბრუნებისას, რადგან მრავალ წელს გაევლო კომბრეს შემდეგ, მაგრამ ჩვენი მოგვიანებული მოსვლით,რჩებოდა მხოლოდ წითელი ფერის ანარეკლი, რომელსაც ვამჩნევდი ჩემი ფანჯრის მინაზე. ეს ცხოვრების სხვა სახე იყო, რომელსაც ზანსონვილში ვატარებდი ქაბატონ სენ-ლუბესთან ერთად, ეს იყო სხვა სახის სიამოვნება, რომელსაც ვგრძნობდი მხოლოდ ღამით, მთვარის შუქის სავალზე, სადაც ოდესდაც მზეს ვეთამაშებოდი; ვხედავდი ოთახს სადაც ჩამეძინებოდა, იმის ნაცვლად რომ მესადილა, ნაცვლად ამისა შორს ვხედავდი ლამპიონების შუქს მარტო თავის ფარს რომ ანათებდა. ასეთი შთამაგონებელი არეულ-დარეული ტრიალი გრძელდებოდა მხოლოდ რამდენიმე წამი, ხშირად ჩემი ხანმოკლე დაურწმუნებლობა იმ ადგილისა სადაც ვიმყოფებოდი, რომელიც უკეთ გამოიჩეოდა, ერთმანეთისგან სხვადასხვა განზომილებით ,რომლისგანაც იგი იყო შექმნილი, რომელსაც ჩვენ გამოვეყოფით, როცა ვხედავთ რა, გაქცეულ ცხენს რა, თანმიმდევრულ პოზიციებს, რომლებსაც კინეტოსკოპი გვიჩვენებს, მაგრამ მრავალჯერ დამინახავს ხან ერთი ხან მეორე, დამინახავს ოთახები სადაც ჩემი ცხოვრება გამიტარებია და ვამთავრებდი ხანგრძლივი ოცნებებით ყველ იმის მოგონებას, რომელიც გაღვიძებისას წარმომიდგებოდა; ზამთრის ოთახი, სადაც ვწვებით და თავს მოუსვენრად ვატარებდით ბუდეში რომელიც იკუმშება უჩინარ საგნებთან ერთად: ბალიშის ერთი კუთხე, საბნის სიმაღლე და გადასაფარებლის ბოლო, საწოლის კიდე დება ღოზეს ნომერი, რომელიც ბოლოვდება ხელოვნული ფრინველებით, რომლებიც საბოლოოდ გაქვავებულან; სადაც სიცივის დროს სიამოვნებას ვიგემებთ, რომ გავემიჯნოთ გარე სამყაროს (როგორც ზღვის მერცხალი რომელიც თავის ბუდეშია, მიწის ქვეშ თავი რომ დაიცვას მიწის სითბოსგან) სადაც ცეცხლი გიზგიზებს მთელი ღამე ბუხარში, სადაც სძინავთ პალტოებში გახვეულებს, თავი დააღწიონ ცხელ ჰაერს მუგუზალების გამონაშუქს, რომელიც ხელშეუხებელი ალკოჰოლივით ინთება, თავი დააღწიონ გამოქვაბულებს და თვით ოთახსაც თერმული კონტურებით გახურებულ და მოძრავ ზონას, სიოს რომელიც ჩვენ გვიგრილებს სახეს, შემოდის კუთხეებიდან, ფანჯრის მოპირდაპირე კარდებიდან ან მოცილებული კერიიდან, რომლებიც უკვე გაცივებულია; - ზაფხულის ოთახები სადაც გვიყვარს ყოფნა ღამის სინესტესთან, სადაც მთვარის შუქი მიბჯენილია ნახევრად ღია დარაბებზე, ეცემა ლამაზ საფეხურთან საწოლის ძირამდე და გვძინავს თითქმის ღია ცის ქვეშ. ზოგჯერ მის თვალწინ გაიელვებს ლუი XVI-ს ოთახი ისე მხიარული, როგორც პირველ საღამოს, სადაც თავს არ ვგრძნობდი მეტად უბედურად და სადაც ბოძების კოლონა მსუბუქად შველოდა ჭერს, მოსცილებოდა ისეთი მოკრძალებით, რათა ეჩვენებინა და შეენახა საწოლისათვის ადგილი...ზოგჯერ პირიქით,პატარა და ოდნავ აწეული ჭერი პირამიდული ფორმით ღრმავდებოდა ორივე სართულის სიმაღლეში და ნაწილობრივად უერთდებოდა იმ აკაციას სადაც, პირველი სართულიდანვე აღშფოთებული ვიყავი უცნაური სუნით,რომელსაც ეწინააღმდეგებოდა იისფერი ვარდები,დაუყოვნებლივ უერთდებოდა კედლის საათის ხმამაღალ ხმაურს,ისე როგორც თითქოს იქ არ ვიყავი; უცნაური და შეუბრალებელი ოთხკუთხა სარკე.უცნაური,ირიბად ხერგავს ერთ-ერთ ოთახის კუთხეს და სწრაფად ღრმავდებოდა იმ მინდვრის სიდიადეში ,რომელსაც ვიზუალურად წარმოვიდგენდი გაუთვალისწინებელ ადგილზე,სადაც ფიქრების მოძალებით საათების განმავლობაში გაოგნებული ვიყავი,მინდოდა მაღლიდან ჩამომეღო რაღაც,რომ მიმეღო ოთახის ზუსტი ფორმა,მივსულიყავი მისი გიგანტური ძაბრის სიმაღლემდე და მტანჯველ გრძელ ღამეებამდე,მაშინ როცა გაშოტილი ვიყავი საწოლზე გა-

ხელილი თვალებით და სმენაგაქვავებული ვგრძნობდი ნესტოებით და გულისცემით, ჩვეულებრივ ფარდების ფერების შეცვლამდე,კედლის საათის გაჩერებამდე მისულ ირიბ,დისიმილირებულ და მკაცრ შებრალებამდე,სუნის სრულ მოცილებამდე და ჭერის სიმაღლის შემცირებამდე.ჩვეულება! მოხერხებული და თანდათანობითი დამლაგებელი,რომელიც იწყებს ჩვენი გონებრივი აზრის დარღვევას კვირების განმავლობაში;მიუხედავად ყველაფრისა ბედნიერებაა მიაგნო ჩვევისა და რაიმე საშუალების გარეშე, როგორ მცირდება მომქანცველობა და მიდის იქამდე ,რომ დაგვაბრუნოს ძველ სამყოფამდე.სმენად გადაქცეული ვიყავი,ჩემი სხეული კი უკანასკნელად შემოტრიალდა და ჩემს წინ აღიმართა სიკეთის ანგელოზი.ვიწექი საბნის ქვეშ,ოთახში და ვარაუდით ვაცნობიერებდი,რომ სიბნელეში ყველაფერი ადგილზე იყო-კომოდი,საწერი მაგიდა,ბუხარი, ფანჯარა ქუჩაზე რომ გადიოდა და ორი კარი,მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ არ ვიყავი კვლავ ჩემში; გაღვიძებისას, წუთით წარმოისახა სურათი,რომელმაც დამარწმუნა ჩემს რაობაში.ჩემი გონებაც მოძრაობდა; არ ვცდილობდი მაშინათვე დაძინებას; ღამის მეტი წილი მოგონებაში გავატარე.ვიგონებდი ჩემს წინანდელ ცხოვრება კომბრეში,ჩემს დიდ მამიდას -ბაბლეკში,პარიზში, დონსურში, ვინიზში და სხვაგან.ვიგონებდი ადგილებს და პირებს,რომლებსაც ვიცნობდი; ვიხსენებდი,რაც მათთან მენახა ან გამეგონა და უთქვამთ.

კომბრეში,თითოეული დღე ნაშუადღევიდან მოყოლებული,სანამ ლოგინში დავწვებოდი,ჩემი ფიქრების საგანი იყო.ვფიქრობდი,ახლა უკვე დედაჩემისა და ბებიაჩემისგან შორს. ჩემი საწოლი ოთახი კვლავ გახდა ჩემი ფიქრების მყარი და მტკივნეული წერტილი.ეს საღამოები ჩემს გასართობად გამოუგონიათ,სადაც ჩემი საცოდავი გამომეტყველება შეეძლოთ ენახათ...

ჩემთვის ჯადოსნური ფანარი,რომ მოეცათ სადილის დროს შევიტყობდი,მაგრამ ჩემი ლამპა თავზე დამნათოდა;

კვლავ ფიქრებში ,გავიხსენე პირველი არქიტექტორი და გოთური ხელოვნების მინის ოსტატი,რომლებიც კედლებზე იყო გამოსახული ზებუნებრივი ხედით; მასთან ერთად ლეგენდებიც იხსნებოდა მოციმციმე მინებში.ამით ჩემი ნაღველი იზრდებოდა,ვინაიდან ეს მოციმციმე ნათება არღვევდა ჩემს დუმილს,რომელიც ოთახის წყალობით მქონდა,ახლა კი მის გამო აუტანელი გამხდარიყო,ამას ვეღარ ვიცნობიერებდი და ვწუხდი,რომ ეს იგივე სასტუმროს ოთახი იყო რკინიგზიდან ჩამოსვლისას ,რომ შედიან.ჩემი ცხენის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სვლა,ჩემი გოლო საშინელი ზრახვით მავსებდა,რომელიც თითქოს სამკუთხა ტყიდან გამოდიოდა,რომელიც მუქი მწვანე ფერით ახავერდოვნებდა ბორცვის გვერდს და რხევით წინ მიიწევდა საცოდავი ბრაბან ჟენევიევის კოშკისაკენ მრუდე ხაზებით.ეს კოშკი ალბათ საზღვარი იყო იმ ოვალურ მინებთან ერთად,რომლებიც ფარნის კულისებს შორის ჩაცურებულიყო.ამ კოშკს წინ ლანდი ჰქონდა,რაზეც ალბათ ლურჯქამრიანი ჟენევიევიც ოცნებობდა.კოშკი და ლანდი ისე გაყვითლებულიყო,რომ მსგავსი არ მენახა. იტყოდით თითქოს მინების ოქროსფერი ჩარჩო აჟღერებულიყო ბრაბანის სახელით.ეს თითქოს ცხადად ასე იყო. გოლო ერთი წუთი შეჩერდა,რომ მოესმინა ხმამაღლა წაკითხული ყბედობა მამიდაჩემისა,რომელსაც ისეთი გამომეტყველება მიეღო თითქოს ჩინებულად ესმოდა და თავის პოზიციას ჩინებულადვე ახამებდა ტექსტის სიდიადესთან მიმართებაში. ჩემი გოლო უკვე ახლა ნახტომისებურად მშორდებოდა, არაფერს შეეძლო შეეწყვიტა მისი ნელი სვლა. ფარნით თუ გავარჩევდი გოლოს, რომელიც განაგრძობდა წინსვლას ფანჯრის ფარდებზე. ამობურცულებს ტოვებდა და ნაკეც-ნაპრალებში ქრებოდა,რაღაც ზებუნებრივი არსით გოლოს სხეული ფარავდა მატერიალურ დაბრკოლებებს,ყოველ საგანს, რომელიც მას ხვდებოდა,როგორც ჩონჩხს,მისთვის მთელი შიგთავსი კარის ღილაკი იყო,რომელიც უხილავად ტივტივებდა ხის წითელ კაბაზე,მის ფერწასულ მელანქოლიურ სახეზე,რომელსაც მღელვარება არ ეტყობოდა...

ლია ქურხული

ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარების ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ

ბავშვთა სწავლა-აღზრდის პრობლემებთან დაკავშირებით პედაგოგებისა და მშობლების ჩივილი ძირითადად უკავშირდება ბავშვის განვითარების სამ ძირითად სფეროს. ესენია: ინტელექტუალური, პიროვნული და სოციალური. როგორც წესი, მშობელი ფსიქოლოგთან რჩევისათვის მიდის იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი სირთულეებს აწყდება ცოდნის დაუფლების პროცესში - უჭირს ლექსის დასწავლა, არ შეუძლია მარტივი კონსტრუქციების აწყობა, ცოტას ლაპარაკობს, არ ინტერესდება, უინიციატივოა და ა.შ. ამ მხრივ სირთულეთა მიზეზები შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს და გამომდინარეობდეს ფსიქო-სომატური პრობლემებიდან (გადატანილი ავადმყოფობები, ემოციური და ფიზიკური ტრავმები და სხვ.), რომლებმაც გარკვეულწილად გავლენა იქონიეს ტვინის სტრუქტურის ფუნქციონალურ დარღვევებზე, ბავშვის ტვინი იმდენად პლასტიურია, რომ მისი ფუნქციონალური დარღვევის აღმოფხვრა, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება მხოლოდ სპეციალური განმავითარებელი მუშაობითა და სწორი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. აღნიშნული დარღვევები შესაძლოა პროვოცირდებოდეს სწავლა-განათლების არასწორი ფორმითა და ორგანიზებით. ასეთ შემთხვევაში ბავშვები უარყოფითად ეკიდებიან ნებისმიერ ძალისხმევას, რომელიც საჭიროებს ინტელექტუალურ ქმედებას, უჭირთ მასალის შეთვისება, ადვილად იღლებიან, ღიზიანდებიან და ა.შ. ამგვარი ბავშვის საერთო მდგომარეობას უკავშირებენ ან ბავშვის უნარების განვითარების დაბალ დონეს ან პედაგოგის მიერ მის ამოჩემებას. სინამდვილეში კი ამის რეალური მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ უფროსები ნაკლებად ითვალისწინებენ სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ბავშვთა თავისებურებებს, ზედმეტად ტვირთავენ მათ, თავს ახვევენ ამ ასაკისთვის შეუფერებელ სასწავლო საქმიანობას, ერთდროულად ასწავლიან რამდენიმე უცხო ენას, კითხვას, წერას, ანგარიშს და სხვა. ბავშვები ვერ უძლებენ ამგვარ ინტენსიურ დატვირთვას, არ ესმით რთული შინაარსის სასწავლო მასალები, უარს აცხადებენ ამ პროცესში მონაწილეობაზე და ერთი რამ უტრიალებთ თავში - გაექცნენ არასასიამოვნო სიტუაციას და ითამაშონ.

რთული ბავშვის კატეგორიაში შესაძლოა მოხვდეს ნიჭიერი ბავშვიც, რომელიც მუდმივ კონფლიქტში შედის თანატოლებთან და უფროსებთან. იგი ნაკლებად უსმენს პედაგოგსა და მშობელს, იღებს თანატოლებისაგან განსხვავებულ არაორდინალურ გადაწყვეტილებებს, განსხვავებულია მისი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. ამგვარ ბავშვთან ურთიერთობისას პედაგოგს სჭირდება სპეციალური მიდგომა, რათა დააინტერესოს ჩვეული საქმიანობით. სხვა მხრივ, ნიჭიერი ბავშვები ადვილად ართმევენ თავს დასმულ ამოცანას, შესწევთ უნარი, იოლად დაიმახსოვრონ და გადაამუშავონ დიდი მოცულობის ინფორმაცია, გამოირჩევიან აქტიური შემეცნებით, რითაც მკვეთრად განსხვავდებიან სწავლაში სირთულეების მქონე ბავშვებისაგან..

არანაკლებ პრობლემურია ბავშვის პიროვნული განვითარების დარღვევები: ჰიპერაქტი-

ურობა, აუტიზმი, შფოთვიანობა, მძაფრად გამოხატული აგრესიულობა, საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა. მშობელი უნდა გაერკვეს მისი ბავშვის განვითარების თავისებურებებში, რა მკვეთრი განსხვავებები აქვს თანატოლებისაგან, დაინახოს მისი „ძლიერი“ და „სუსტი“ მხარეები; ფსიქოლოგთან და პედაგოგთან ერთად განსაზღვროს მოთხოვნის დონე, შეარჩიოს მასთან მუშაობის ფორმის ძირითადი მიმართულება.

სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში განსაკუთრებით საყურადღებოა ბავშვთა ნახატები, რომლიც ვრცელ ინფორმაციას იძლევა როგორც ბავშვის შინაგანი ბუნების, დამოკიდებულებების, ასევე პიროვნული თავისებურებების შესახებ.

„დროის მდინარე“ - ასეთი სახელი დაარქვა 8 წლის ბავშვმა მის მიერ შესრულებულ ნახატს. იგი ყვება, რომ მდინარიდან დიდ რეზერვუარში ჩაედინება წყალი. წყალთან ერთად თვითონაც ქაოტურად მოძრაობს და ახლანდელი დროიდან წარსულში მოგზაურობს. თავდაპირველად იგი დიდია, შემდეგ შიგნით ტრიალ-ტრიალში თანდათანობით პატარავდება, ბრუნდება წარსულში, შედის ვარსკვლავში და იქ ქრება.

ნახატი ბავშვის სულიერი სამყაროს და გარშემომყოფების მიმართ მისი დისკომფორტის განცდის წარმოჩენის კარგი მაგალითია. მასში გადმოცემულია ბავშვის ამქვეყნიური ცხოვრებით უკმაყოფილება, ადრეულ ბავშვობაში დაბრუნების ძლიერი სურვილი. იგი გამოხატავს სწრაფვას თავისუფალი ცხოვრებისაკენ, რომელიც ამჟამინდელ ცხოვრებაში ვერ მოიპოვა და, მისი აზრით, შეუძლებელიცაა, რადგან გარშემომყოფები მას აკრძალვებით, შეზღუდვებით, გაუთავებელი შენიშვნებით აბრკოლებენ. მას უნდა „დროის მანქანის“ მეშვეობით გაექცეს ყოველივე ამას და შევიდეს ვარსკვლავში, მშვიდ, წყნარ გარემოში, სადაც არავინ და არაფერი შეაწუხებს, დროის მდინარის გარშემო მიმოფანტულია სიმბოლოები (ცილინდრი, საზამთრო, ხახვი, ორი თვალი, სკამი, ეშმაკი, ხე, ვარსკვლავი.), რომელთაც ბავშვმა თავისებური ახსნა მოუძებნა.

მშობელმა უნდა გააცნობიეროს, თუ რამდენად რთულია ბავშვისათვის ამ სამყაროში ცხოვრება, მოთმინებით დააკვირდეს და გაითვალისწინოს მისი ყოველი გამონათქვამი და ჟესტი, ყურადღებით დააკვირდეს მის მიერ შესრულებულ ნახატებს. ამ ნახატებით ბავშვიცდილობს გამოხატოს საკუთარი აზრი, ემოციები და გრძნობები, მათი ყურადღებით გაცნობა კი მშობელს ეხმარება ყოველივე ამის გაცნობიერებასა და ბავშვთან მიმართებაში საკუთარი დამოკიდებულების ფორმირებასა და უკვე ჩამოყალიბებული ქცევის ფორმატის კორექციაში.

მშობლები ხშირად უჩივიან ბავშვის მოჭარბებულ მგრძნობიარობასა და ჩაკეტილობას. მათ უკვირთ, რომ სრულყოფილ, კეთილგანწყობილ და მოსიყვარულე ოჯახებში აღზრდილი ბავშვები გამოირჩევიან უარყოფითი პიროვნული თვისებებით. ოჯახის თითოეული წევრის მეურვეობამ ბავშვზე, საკუთარი შეხედულებების თავსმოხვევამ, მასში შესაძლოა გამოიწვიოს როგორც ბაზალური ემოცია (მარტოობის განცდა, ასევე ამბივალენტობა (შერეული გრძნობა): მორჩილება, ეჭვიანობა დაბნეულობა და ა.შ. ამ შემთხვევაში ბავშვის პიროვნებისათვის რთული ხდება საკუთარი „მე-ს“ ადეკვატური ხატის შექმნა, რადგან უფროსებისაგან ეკრძალება გადაწყვეტილების მიღება.

პრობლემებია ბავშვის სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ დარღვევები შეიძლება უკავშირდებოდეს გარშემომყოფებთან ურთიერთობას. ბავშვს არ ესმის, თუ როგორ დააღწიოს თავი კონფლიქტურ სიტუაციებს, ერიდება სოციალურ კონტაქტებს და თავს გრძნობს გარიყულად, ეჭვიანობს და-ძმაზე, მშობლების მხრიდან განიცდის ძალადობას (ფიზიკურ, ვერბალურ და ა.შ.) ამგვარი ქცევის საბაბი ინდივიდუალურია, მაგრამ ყველა მათგანი დაკავშირებულია ბავშვის პიროვნულ თავისებურებებთან და ვლინდება მის სულიერ მდგომარეობაში (უნარ-ჩვევების განვითარების დონე, ინტერესები და სხვა).

დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა სკოლისათვის ბავშვთა მომზადება, სკოლასთან ადაპტაცია. თანამედროვე პირობებში ბავშვის სკოლაში შესვლა განისაზღვრება ექვსი წლის ასაკით და ნებაყოფლობით დასაშვებია 5 წელიც. პრაქტიკა მოწმობს, რომ მშობელთა უმრავლესობა ვერ გარკვეულა რა არის სკოლისათვის ფსიქოლოგიური მზაობა. ისინი მიუთითებენ მხოლოდ ბავშვთა გონებრივ მზაობაზე, ხოლო ფიზიკური, პიროვნული, სოციალური კომპონენტები ყურადღების მიღმა რჩებათ. ბავშვის გონების პროგრამირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ მასზე მანიპულირება მშობელს შეიძლება ძვირად დაუჯდეს. ფსიქოლოგიის პრაქტიკაში ცნობილია ფაქტი, როდესაც ამერიკაში სპეციალური პროგრამის მიხედვით ერთიდან ოთხ წლამდე ასაკში ბავშვების ჯგუფს, რომელთაც შემდგომში „სათბურის ბავშვები“ უწოდეს, მშობლების დიდი ენთუზიაზმით საფუძვლიანად შეასწავლეს: უცხოური ენა, კითხვა, ანგარიში და ვიოლინოზე დაკვრა. ოთხი წლის ასაკში ეს ბავშვები კითხულობდნენ და ვიოლინოზე უკრავდნენ მეორე-მესამე კლასის ბავშვის დონეზე, თუმცა მოგვიანებით მათგან მიიღეს ნევროზით, აგრესიითა და სხვა ფსიქიკური დარღვევებით დაავადებული ბავშვები და არა „ვუნდერკინდები“.

ადრეული ასაკიდან დაწყებული ზედმეტად მკაცრი მეთოდებით აღზრდა ხელს უშლის ემპათიის და სიმპათიის ჩამოყალიბებას. არსებობს კვლევა, რომლის მონაცემებით ბავშვთა ზრუნვის ცენტრში აკვირდებოდნენ ახალფეხადგმულ ბავშვებს, რომლებსაც უხეშად ეპყრობოდნენ აღმზრდელები. სხვა, ნორმალურ პირობებში გაზრდილ თანატოლებთან შედარებით, ეს ბავშვები მოწყენილი თანატოლების მიმართ თანაგრძნობას არ ამჟღავნებდნენ და მათ მიმართ უფრო უარყოფით ემოციებს - ბრაზსა და ფიზიკურ შეტევას, გამოხატავდნენ.

ეს ნიშნავს, რომ მშობლები, უფროსები ბავშვებისათვის მოდელებს წარმოადგენენ და-მათი სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია აღზრდისა და სწავლების მეთოდებში საწყისი ეტაპიდანვე მეტი სიხშირით გამოიყენონ ქველმოქმედების, სიკეთისა და სიყვარულის „გაკვეთილები“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ქურხული „ბავშვთა აგრესია“, თბ., 2006
2. ლ. ქურხული, „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ემოციები, მათი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური შეფასება“, თბ., 2003
3. ფილიპ ზიმბარდო, „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, თბ., 2009

რეზიუმე

ბავშვთა სწავლა-აღზრდის პრობლემები ძირითადად ინტელექტუალურ, პიროვნულ და სოციალურ სფეროებს მოიცავს. მშობლებისა და პედაგოგების ამოცანაა გაერკვნენ ბავშვის სწავლასა და ქცევასთან, პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების ინტელექტუალურ თუ ფსიქო-სომატურ წარმომავლობაში. ბავშვთა ნახატების გაცნობა მშობლებს დაეხმარება უკეთ გაერკვნენ მათ შინაგან ბუნებასა და იმ განცდებში, რომლებსაც ბავშვები გამოხატავენ. ბავშვებთან აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება არაა მიზანშეწონილი, რადგანაც ეს ხელს უშლის მათში ემპათიისა და სიმპათიის განვითარებას.

რუსუდან მხეიძე

კითხვის პროცესის შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები

თანამედროვე საზოგადოებაში კითხვა, განსაკუთრებით კი დახელოვნებული კითხვა უდიდეს მნიშმნელობას იძენს. ცხადია, ვინც ვერ მოახერხა ეფექტური კითხვის უნარის განვითარება ფრიად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგადად ზრდასრულთა უმეტესობისათვის კითხვა წარმოადგენს მარტივ პროცესს, რომელიც მათი მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას არ საჭიროებს.განსახვავებული ვითარებაა ბავშვებთან (6-დან 11 წლის ჩათვლით) კითხვის პროცესში მათზე წარმოებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ ბავშვები დიდ სირთულეებს განიცდიან შედარებით მარტივი მოთხრობების აზრის გაგებისას, ანუ კითხვის უნარის დაუფლება მათთვის საკმაოდ რთულ პროცესს წარმაოდგენს. მითუმეტეს რომ კითხვა, როგორც Г.Краиг-ი აღნიშნავს, არ გულისხმობს მხოლოდ ფონეტიკის დაუფლებასა და გრაფემების დეკოდირების უნარის გამომუშვებას, არამედ ის აუცილებლად საჭიროებს ტექსტის აზრის გაგებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ლისე (1993) მიუთითებდა: „დახელოვნებული კითხვის შესახებ ლიტერატურის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ავტორს უნდა მიეტევოს იმაზე ფიქრი, რომ კითხვის მიზანი არის ნაბეჭდის გადაქცევა მეტყველებად. რათქმა უნდა ეს მცდარი აზრია. სინამდვილეში კითხვის მიზანი არის ტექტის მოცემული ნაწილის გაგება (თუნდაც მხოლოდ სიამოვნების მიღების მიზნით)"

Краиги (2001) კითხვას განმარტავს, როგორც სიმბოლური კომუნიკაციის ფორმას, რომელიც ვარაუდობს ყურადღების, აღქმის, მეხსიერების, უკვე არსებული ცოდნის ასოციაციებისა და კონკრეტული ტექტის არსებობას. ტექსტის გაგება საჭიროებსგარკვეული რაოდენობით პერცეპტუალურსა და სხვა კოგნიტურ პროცესებს, ასევე ენისა და გრამატიკის კარგ ცოდნას. ზოგჯერ კითხვას „ვიზუალურად წარმართულ ფიქრსაც" კი უწოდებენ Eysenk M.W Kean M.T „Cognitive Psychology" 1999) ჩამოთვლილ პროცესებს კითხვის დროს განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ. ზოგიერთი მათგანი დაკავშირებულია ინდივიდუალური სიტყვების მნიშვნელობის იდენტიფიკაციასა და მის გაფართოებასთან, ზოგიც მოქმედებს ფრაზებისა და წინადადებების დონეზე, ხოლო რამოდენიმე მათგანი უკავშირდება მთელი მოთხრობის ან წიგნის თემატურ სტრუქტურას.

კითხვის პროცესში მონაწილე ამ და სხვა პროცესების შესასწავლად სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. აქ ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე მთგანს, ერთ-ერთი ასეთი მეთოდი არის კითხვის დროს თვალების მოძრაობის ჩაწერა(დაინერ , , შერენო 1994) ეს მეთოდი ფლობს ორ სპეციალურ ძალას.

1. უზრუნველყოფს ყურადღებასთან დაკავშირებული პროცესების ჩაწერას.
2. ის აძლევს მკითხველს ბუნებრივად კითხვის შესაძლებლობას.

მართლაც მკითხველისათვის ვისი თვალების მოძრაობების ჩაწერაც უდნა მოხდეს, ერთადერთი შეზღუდვა ის არის რომ მან ამ დროს თავი სრულიად გაუნძრევლად უნდა გააჩეროს. თუმცა ამ მეთოდს ერთი ძირითადი ნაკლიც აქვს, ანუ ჩვეულებრივ ძალიან ძნელია ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა პროცესებს აქვთ ადგილი ყოველი ფიქსაციის დროს.

შემდეგი მეთოდი მიზნად ისახავს ინდივიდების უნარის კვლევას ჩანაწერების განხორციელებას ხმამაღლა კითხვის დროს. მოცემული მეთოდი გვაძლევს საშუალებას გავაანალიზოთ კითხვის დროს დაშავებული შეცდომები და აგრეთვე შევაფასოთ ის გზები, რომლებითაც ინდ-ები მოქმედებენ ტექსტში დაშვებულ შეცდომებზე რეაგირებისას. (შეც-

დომით დაწერილი სიტყვები) თუმცა მეთოდში შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი პრობლემა: პირველი პრობლემა მდგომარეობს იმაში რომ ზრდასრულ ინდ-ბისათვის ხმამაღლა კითხვა უკვე არ წარმაოდგენს ბუნებრივ მდგომარეობას, მეორე პრობლემა არის ის, რომ ხმამაღლა კითხვა ჩუმად კითხვასთან შდარებით თითქმის ნახევრად უფრო შენელებულია (რადგან როგორც Р. Вудвортс-ი აღნიშნავს, მეტყველებითი მოძრაობები აფერხებენ სწრაფად კითხვას), რაც გულისხმობს სუბსტანციონალური განსხვავების არსებობას კითხვის ორ ფორმას შორის და ბოლოს მესამე პრობლემაა ის, რომ სიტყვის დანახვას და მის დასახელებას შორის არსებული დროის მცირე პერიოდი დაახლოებით ორ სიტყვას უდრის. შესაძლებელია აქ ჩამოთვლილი ფაქტები არ მოგვეჩვენოს იმდენად მნიშმნელოვნად, მაგრამ აქ აშკარად ჩნდება იმის შესაძლებლობა , რომ კითხვის დროს დაშვებული შეცდომები, უფრო მეტად წარმაოდგენენ განსხავებასთან დაკავშირებულ შცდომებს, ვიდრე ჭეშმარით კითხვით შეცდომებს.

კითხვის შემსწავლელი მესამე მეთოდი ცნობილია სწრაფი თანმიმდევრული ვიზუალური პრეზენტაციის სახელით. სიტყვები(ჩვეულებრივ ერთ წარდგენაზე ერთი) სწრაფად და თანმიმდევრულად ჩნდებიან ეკრანის ერთი და იმავე ნაწილში ისე , რომ მკითხველმა ტექსტის წაკითხვა თვალების გაუნძრევლად შეძლოს. ამ ტექნიკის გამოყენებისას ხშირად წარმატებულად ხორციელდება მოკლე ნაწყვეტების გაგება მაშინაც კი, როდესაც პრეზენტაციის სიჩქარე წუთში 100 სიტყვას შეადგენს. ამ მეთოდის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერიმენტატორი მნიშვნელოვან კონტროლს ფლობს იმაზე თუ რა არის წარმოდგენილი და რა დროს რა შუალედში. მიუხედავად ამისა, მეთოდს აქვს რამოდენიმე სერიოზული ნაკლიც, ანუ ის მაინც განსხვავდება კითხვის ბუნებრივი პროცესისგან ორი ძირითდი მიზეზით.

1. შეუძლებელია ტექსტის კიდევ ერთხელ (თავიდან) წაკითხვა
2. პარაფოვიალური პროცესი , რომელიც მნიშმნელოვან როლს თამაშობს კითხვის ბუნებრივ პროცესში, ირელევანტური ხდება ფიქსაციის წერტილში ცაკეული სიტყვების წარმოდგენის დროს.

მეოთხე მეთოდი მოიცავს სუბიექტის მიერ კნტროლირებული ტექსტის პრეზენტაციას.

ამ მეთოდის რამოდენიმე ვარიაცია არსებობს, მაგრამ ყველა მათგანის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ ინდივიდი აკონტროლებს ტექსტის წარმოდგენის სიჩაქარეს ღილაკზე დაჭრის გზით, როდესაც მას სურს შემდეგი სიტყვის (ან სიტყვების) ნახვა. ჩარპენტერ ნდ ჭულლ (1982) აღნიშნეს , რომ ინდივიდის მიერ კონტროლირებადი პრეზენტაციისას კითხვის ზღვრული სიჩქარე დაბალი იყო. ამ მეთოდის გამოყენება უფრო მარტივია ვიდრე თვალების მოძრაობის ჩაწერის მეთოდისა, მაგრამ მას რამოდენიმე ნაკლიც აქვს. (კერძოდ, სრულიად არაბუნებრივი დავალების დამატებამ ღილაკის დაჭრა) შესაძლებელია კითხვაში ჩართულ პროცესებში გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს. ეს კი ჰგავს იმ შემთხვევას, რომელსაც სიტყვები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი და პარაფოვიალური პროცესების გამოყენება შეუძლებელი ხდება.

კითხვის შემსწავლელი მეხუთე მეთოდი ზემოთ დახსიათებული მეთოდებისგან განსხვავებით უფრო მეტ მრავალფეროვან დავალებებს მოიცავს. ღაინერ. , ოლლატსეკ (1989) ამ დავალებებს განიხილავდნენ როგორც სიტყვის იდენტიფიკაციის ტექნიკებს, რადგან მათი გამოყენებისას ღებულობდნენ იდენტიფიაკციისათვის საჭირო კარგ დროის შედეგებს. ერთ-ერთი ასეთი დავალება იყო ლექსიკური გადაწყვეტილების მიღება (ანუ გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, შეადგენენ თუ არა მოცემული ასოები სიტყვას) , ხოლო მეორე- სიტყვის დასახელება(სიტვყის ხმამაღლა წარმოთქმა, რაც შეიძლება სწრაფად) ამ მეთოდის გამოყენებისას ინდივიდებს თხოვდნენ წინადადებების წაკითხვას, რომლებშიც ბო-

ლო სიტვყა წინმსწრები კონტექსტიდან გამომდინარე, ძლიერად ან სუსტად ჩწერის მეთოდთან შდარებით არის ის, რომ ჩვენ შეგვიძლია სრულიად წარწმუნებულები ვიყოთ იმაში, რომგ არკვეული გადამუშვება განხორციელდა მოცემულ სიტყვებზე და მოცემულ დროში. უნდა ავღნიშნოთ, რომ სიტყვების დაფიქსირების დროს, იდენტიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ან არა. თუმცა აქაც ვხვდებით გარკვეულ ნაკლს, ანუ კითხვის ბუნებრივი პროცესი გაწყვეტილია დამატებითი დავალების შემოტანით და ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ ზუსტად რომელი პროცესებია ასახული ლექსიკური გადაწყვეტილების მიღების და დასახელების დავალებების შსრულებისათვის დახარჯული დროის განმავლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Eysenk M.W , Kean M.T – Cognitive PsychologyA students Handbook. Psychology Press 1999
2. Rayner, K, Sereno. S.C. –Eye movements in reading Psychodiagnostic studies- Handbook of Psycholinguistics N.Y (1994)
3. Rayner K, Pollatsek . A – The Psychology of reeding. London 1989
4. Вудвортс.Р – Экспериментальая психология М. 1950
5. Краиг.Г – Психология Развития М. 2001

კითხვის პროცესის შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია კითხვის პროცესების შესწავლის ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხები. სტატია წარმოადგენს პრიველ ნაწილს კითხვის პროცესის კოგნიტურ ფსიქოლოგიური კვლევისა. მოცემულ სტატიას მეორე ნაწილად მოყვება კითხვის პროცესის თანამედროვე უახლესი კვლევები.

მანუჩარ მაჩაიძე

ფილოსოფიური საუბრები

მანუჩარ მაჩაიძე, როგორც ფეხბურთელობისას შეარქვეს "დიდი მანუჩარი" არა მარტო სპორტის რაინდი, არა მარტო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და საუკეთესო სპეციალისტი მშენებლობაში – რკინა ბეტონის ტექნოლოგიაში, არა მარტო მხატვარი... არამედ საუკეთესო მოსაუბრე გახლავთ. უმაღლეს სასწავლებელში და ასპირანტურაში მიღებული საფუძვლიანი განათლება აძლევს იმის საშუალებას ფილოსოფიის და ისტორიის ლაბირინთებიდან გამოიტანოს დიდ ფილოსოფოსთა და მეცნიერთა ნააზრევი და თანამედროვე ყოფიერებასთან, პოლიტიკასა და რელიგიასთან გაავლოს მეტად საყურადღებო პარალელები. როგორც ილია მართალი ამბობდა: ხელოვნება ხელოვნებისათვის კი არა ხელოვნება ხალხისათვის... ასევე საჭირო ფილოსოფია და მეცნიერება მხოლოდ სწავლულთა ვიწრო წრისათვის კი არა, მასისათვის ხელმისაწვდომი! ენა, ეროვნულობა, კანონი, მორალი... ეს ის თემები და ღირებულებებია, რომელსაც ერთეულები კი არა ნახევარი ერი მაინც უნდა ედგეს მცველად და მფარვე-

ლად. ჯერ კიდევ კომუნისტური მსოფლმხედველობის ჭაობიდან თავის დაღწევის მხოლოდ მოსურნე ქვეყანას (90-იანი წლები) მანუჩარ მაჩაიძემ ხელთ მისცა, დღევანდელობისათვის ყურადსაღები, საოცარი ნაშრომი – "ერი და თანამედროვეობა". სწორედ მისი ავტორის ეროვნული, ფილოსოფიური, მეცნიერული, პოლიტიკური პარალელებით შეიძლება დაინტერესდეს იგი, ვისთვისაც ძვირფასია ზემოთ ხსენებული ღირებულებები. (იდეის ავტორი – თამარ ჯაჭვაძე

ბატონო მანუჩარ ჩვენი საუბარი დავიწყოთ ურთულესი თემით – ფიქრები სიკვდილ-სიცოცხლეზე.

– ადამიანის ცნობიერებაში ადრეული ასკიდან შემოდის ფიქრი სიკვდილზე. ერთადერთი, რაც ნამდვილია და ვერავინ გაექცევა ეს სიკვდილია, მაგრამ ადამიანები სხვადასხვაგვარად ეგუებიან ამაზე ფიქრს. არიან ადამიანები, ვინც ამის გამო იტანჯებიან. ამიტომ გამოგვიგზავნა რელიგია ღმერთმა, ქრისტიანობა, რომელიც ამ შიშთან ბრძოლაში უნდა დაეხმაროს ყველა მოკვდავს. მატერიალისტები ამას ამტკიცებენ, რომ დღეს ხარ, ხვალ არ იქნები, და ამას უნდა შეეგუო. მატერიალიზმის მამამთავარი დემოკრიტე თავის ეთიკურ შრომებში ამბობს, იმიტომ მივდივარ ღმერთის წინააღმდეგ, რომ დავეხმარო ადამიანს დაძლიოს სიკვდილის შიში. ყველა ნორმალური, მოაზროვნე ადამიანისათვის ესაა უდიდესი პრობლემა, რომ ის უნდა მოკვდეს. ქრისტიანობა, ჩვენი ეკლესია გვეუბნება, შენ რომ მოკვდები შენს სხეულში არსებული სული კვლავ იარსებებს. ამით ამქვეყნიური შვება გაქვს ადამიანს. და სხვა ყველაფერთან ერთად, ადამიანებში ამ პატარა შვებასაც კი ებრძვიან მატერიალისტები და გაიძულებენ იფიქრო მათებურად. ასე იყვნენ კომუნისტები, ვინც არ აძლევდა უფლებას ადამიანს თვითონ გადაეწყვიტა ეს საკითხი; დაეჯერებინა იმქვეყნიური ცხოვრება. ადრეულ საუკუნეებში ურწმუნოების დევნაც არ იყო მართალი, მაგრამ რასაც კომუნისტები აკეთებდნენ, ეს არაადამიანური იყო. დღეს კიდევ არსებობენ ისეთები, ვინც ამტკიცებენ, რომ ღმერთი არ არსებობს და იმქვეყნიური ცხოვრების არ სჯერათ. ამ ხალხს არც გამოცხადებების სჯერათ. ასეთ ადამიანებს არც გამოცხადების სჯერათ რატომ გადმოდის ღვთაებრივი ცეცხლი აღდგომა დღეს და მაინცადამაინც მართლმადიდებლების სანთელი ინთება?! ბევრი ურწმუნო ხომ არა არის რაიმე ფოკუზი,, მაგრამ მრავალი თვითმხილველი არსებობს; ეს არის სასწაული, მაგრამ ზოგიერთ ადამიანზე სასწაულიც არ მოქმედებს.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენელი, პროტაგორა, რომელიც ამბობდა; რომ ადამიანი არის ყველა საგნის გამნსაზღვრელი, არსებულის, როგორც არსებულის და არარსებულის, როგორც არარსებულის და ქვეყნად არსებობს ზუტად იმდენი ჭეშმარიტება, რამდენი ადამიანიც არის. არ არსებობს ყველა ადამიანისათვის თანაბრად მისაღები ზნეობრივი, მორალური კანონები სიკეთე, ვაჟკაცობა, სილამაზე. ყველა ადამიანს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი შეხედულება აქვს და ასეც უნდა იყოს, აქედან ჩამოყალიბდა უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომელიც მსოფლიოში საკმაოდ პოპულარულია. მართლაც ნებისმიერ საკითხზე ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს. ავიღოთ თუნდაც ხელოვნება, პოეზია, მხატვრობა... ერთადერთი მეცნიერება, სადაც პროტაგორას შეხედულება დამარცხებულია ეს არის მათემატიკა. ზუსტი მეცნიერება, სადაც მეორე აზრი არ არსებობს. ორჯერ ორი ყოველთვის არის ოთხი. ჩვენთან ყოფიერებაში, ნებისმიერ სფეროში მიდის კამათი, აზრთა სხვადასხვაობა. შეიძლება ზოგიერთს საქვეყნოდ აღიარებული კომპოზიტორი არ მოსწონდეს. ასეთი მდგომარეობაა სახვით ხელოვნებაშიც. ლეონადრო და ვინჩის "მონა ლიზა" იყო ჩამოტანილი მოსკოვში, პუშკინის მუზეუმში, ხალხის რაღაც ნაწილს (თუნდაც უმნიშვნელოს) არ მოეწონა. ასე, რომ პროტაგორა მართალი აღმოჩნდა. მაგრამ მის წინააღმდეგაც

შემუშავდა შეხედულება. მაგალითად სოკრატემ მოგვცა ცნების, როგორც აბსოლიტური ზოგადობის მნიშვნელობა. ცნება ფილოსოფიაში პირველად შემოიტანა სოკრატემ, როგორც უმაღლესი ზოგადობა. ამ ზოგადი ცნებებით უპირისპირდება პროტაგორას, შეიძლება ადამიანს აქვს თავისი შეხედულებები, მაგრამ არსებობს ზოგადი, რომელთან მიმართებაშიც ადამიანი უნდა იყოს მართალი. შეიძლება ვთქვათ მიქელანჯელოს "დავითი" არ მოგვწონს, მაგრამ დიდი უმრავლესობა აღიარებს მას, როგორც უდიდეს ქმნილებას. ამან სუბიექტური იდეალიზმი ჩარჩოებში მოაქცია, რადგან უმრავლესობის აზრი უნდა გაითვალისწინო, რომელიც უმაღლეს ზოგადობას უჭერს მხარს. გამონაკლისი მათემატიკური მეცნიერებაა, მათემატიკურ ფორმულას ერთადერთი ამონახსნი აქვს.

ადამიანი ხშირად ეგოისტია და თავი მართალი ჰგონია, მას უნდა საკუთარი თავის წარმოჩინება. ლაო-ძი ამბობს: "ნუ იბრწყინებ ვითარცა ბრილიანტი, იყავ უბრალო, ვითარცა ქვა." მაგრამ ერთადერთი მოძღვრება, რომელიც თავმდაბლობას ასწავლის, არის ქრისტეს მოძღვრება. ქრისტემდე ვერცერთმა დიდმა მოაზრონემ ვერ თქვა, ის რაც ქრისტემ თქვა: "გიყვარდეს მტერი შენი". ამის შესრულება ურთულესია, მაგრამ ძალიან დიდი ადამიანობაა. ურთულესი ზნეობრივი ნორმებია, რომელიც ადუნებს აგრესიას და ადამიანებს უკეთესობისაკენ უბიძგებს. ავიწყებს ომებს, შურისძიებას, მკვლელობას...

– რას იტყვით ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ თეორიებზე?

– არსებობს ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი თეორიები. კოსმოლოგიური, ტელეოლოგიური, ონტოლოგიური დასაბუთების კრიტიკის შემდეგ, კანტმა მოგვცა ეთიკური დასაბუთება. მე ვფიქრობ, რომ ეგ უფრო მეტად მისაღებია, ვიდრე მატერიალისტების მიერ შექმნილი სამყაროს მატერიალისტურ-მექანისტური ახსნა, რომელიც წარმოუდგენელია და რომელიც სჯეროდა დემოკრიტეს, ეპიკურეს, ლუკრეციუსს, მარქსს ენგელსს და ლენინს, და ყველას, ვისაც ინტელექტუალებად მოაქვთ თავი.

არისტოტელე, პლატონი, ჰეგელი, ლაიბნიცი, ამბობენ, რომ ღმერთი არის აზროვნება. არისტოტელე ამბობს, რომ ღმერთი არის აზროვნების აზროვნების აზროვნება და იგი აზროვნებს თავის თავს და ეს აზრი, ქრისტიანობის დასაწყისში ჩაუთვალეს არასწორ შეხედულებად. ასე გამოდიოდა თითქოს არისტოტელეს ღმერთი ფიქრობდა მარტო თავის თავზე. არისტოტელე ამბობდა, რომ კარგი იქნება თუ ადამიანის გონება სიკვდილის შემდეგ შეუერთდება საერთო აზროვნებას. დაახლოებით ყველა მაინც ასე აზროვნებს, რომ სიკვდილის შემდეგ ისევ უბრუნდება ღმერთს და მას უერთდება. ფაქტიურად ქრისტიანული მორალი, თუნდაც სამოთხე, თუნდაც ის, რომ სული უკვდავია და მიდის ღმერთთან იგივეა. ზოგი არ ყოფს სულსა და გონებას ერთმანეთისაგან, ზოგი ყოფს. არისტოტელესთან ინტელექტი სხვაა და სული სხვაა. ადამიანის ინტელექტი, გონება უკვდავია, იგი აბსოლუტური გონის, კოსმიური გონების შემადგენელია. დაახლოებით ამას ამბობს ლაიბნიცი. ჰეგელი ამბობს, რომ ეს ქვეყანა არის ღმერთის თვითშემეცნების პროცესი. მე ვფიქრობ, რომ მან არისტოტელე თავისებურად გაიმეორა.

ძალიან საინტერესოა ანსელმ კენტერბერიელის ონტოლოგიური დასაბუთება, იგი ამბობს: აზრი ღმერთის შესახებ არის აზრი ყოვლად სრულის შესახებ, ისეთის შესახებ, რომელზე უდიდესის მოაზრება შეუძლებელია. ის, რომელზე უდიდესის მოაზრება არ შეიძლება, არ არის მარტო გონებაში, ვინაიდან გონებაში არსებულზე უდიდესის მოაზრება ყოველთვის შესაძლებელია, ამიტომ, ის რომელზე უდიდესის მოაზრება შეუძლებელია, არსებობს სინამდვილეში. ეს არის ღმერთის ცნებიდან ღმერთია არსბობის დასაბუთება. მხოლოდ და მხოლოდ ღმერთი არის ისეთი, რომელზე უდიდესის მოაზრება შეუძლებელია. სხვა ნებისმიერის მოაზრება შესაძლებელია. ამას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგალითად კანტი გამოვიდა არისტოტელეს "მეტაფიზიკის", კენტერბერიელის ამ მოძღვრების

წინააღმდეგ და ვითომ გაანადგურა. სინამდვილეში მეტაფიზიკა ჯერ ვერავინ გააკრიტიკა, იმიტომ, რომ "მეტაფიზიკა" ეს არის მოძღვრება ღმერთის შესახებ. დღესაც იკითხება ლექციები მის მოწინააღმდეგეთა გასამართლებლად. ჯერ კიდევ სამი საუკუნის წინ დაწყებული შეხედულებების გასაგრძელებლად. "მეტაფიზიკის" კრიტიკა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიწყო, შემდეგ გააგრძელა კანტმა, მატერიალისტებმა (გასენდი, ჰობსი) დღეს ასეთი შეხედულებების გასამართლებელი ლექციები არ უნდა იკითხებოდეს.

კანტსაც ეგონა, რომ მეტაფიზიკა გაანადგურა, მაგრამ შემდეგ ჰეგელმა მოგვცა კანტის კრიტიკის კრიტიკა, სადაც დაამარცხა კანტი და თქვა, რომ მას ბევრი რამ აერია. მიუხედავად იმისა, რომ იყო დიდი მოაზროვნე, კანტმა ვერ მოსპო ღმერთის არსებობის თეორიული დასაბუთება.

– გავიხსენოთ შეხედულებები მორალის და კანონის შესახებ. ადამიანთა ურთიერთობების განმსაზღვრელი ცნებები და რეალობა.

– მორალის შესახებ ყველა მოაზროვნე ადამიანს, აქვს თავისი შეხედულებები, მაგრამ უმჯობესია დიდი ფილოსოფოსების ნააზრევი გავითვალისწინოთ. მათი შეხედულებიდან ბევრი რამ შეიძლება გავიხსენოთ, მაგალითად, არისტოტელეს "დიდი ეთიკა" კანტი ამბობდა: მორალი არის მოძღვრება არა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიყოთ ბედნიერნი, არამედ იმის შესახებ თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ვიყოთ ბედნიერების ღირსნი. ამიტომ მორალი უნდა დაუკავშირდეს რელიგიას, რომელსაც აქვს თავისი მორალური კანონები. ყველამ კარგად იცის ათი მცნება ქრისტიანული ცხოვრების წესები, მართლმადიდებლობა. ამ წესებით მოდის ქართველი ერი, ვინც მიიღო ქრისტიანობა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში, აქედანაც იწყება ქრისტიანული მორალი, რაც ჩვენი წინაპრების არჩევანია. ეს შეეხება სხვადასხვა ერებს, მარტო ჩვენ ხომ არ ვართ მართლმადიდებლები, მართლმადიდებლები მსოფლიოში ორას მილიონამდეა... მაგრამ ჩვენ საკუთრივ ჩვენი დამასახიათებელი მორალური კანონები გვაქვს, რომელიც შეიძლება დაწერილიც არ არის, მაგრამ ჩვენს ბუნებაშია ჩადებული, ეს შეიძლება იყოს მეგობრობა, მეზობლობა... სხვებსაც გააჩნიათ ეს გრძნობები, მაგრამ ჩვენ ჩვენი, გამორჩეული და ჩვენთვის დამახასიათებელი დამოკიდებულებები ვიცით. ცნობილია კანტის გამოთქმა: ორი რამ აკრთობს სულს, რაც უფრო ხშირად და დაბეჯითებით ვაზროვნებ მათზე, ეს არის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში. ადამიანი სწორედ ამით განსხვავდება ცხოველებისაგან, რომ მას აქვს მორალური კანონი. მართალია ადამიანი გონებრივად მაღლა დგას ცხოველებზე და ფრინველებზე, მაგრამ ძირითადი განმასხვავებელი მაინც მორალია, სწორედ მორალს აჰყავს ადამიანი უმაღლესი საფეხურზე. ადამიანი, ანუ ზნეობრივი არსება, იმიტომ არის ქვეყნის მბრძანებელი, რომ მას აქვს ინტელექტი და მორალი. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, საქართველოში, მიდის შეტევა ჩვენი მორალური კანონების გადასაფასებლად და შესაცვლელად. ჯერ კიდევ მოქკავშირის დროიდან დაიწყო ისეთი პოლიტიკის გატარება, რაც ქართველი ხალხისათვის მიუღებელი იყო. XVII საუკუნის ფილოსოფოსმა თომას ჰობსმა, რომელიც იყო მატერიალისტი, ათეისტი, შექმნა მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. მან წინა პლანზე წამოწია ადამიანური ეგოიზმის თემა, რომ ადამიანი არის ეგოისტური არსება, მას მარტო საკუთარი თავი უყვარს, მეშჩანი და ხარბია... მან გაილაშქრა არისტოტელეს ეთიკის წინააღმდეგ, სადაც იგი ამბობდა, რომ ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი. სწორედ მის საწინააღმდეგოდ თქვა თომას ჰობსმა, რომ ადამიანს აქვს მტაცებლური ბუნება, მაგრამ, რადგან მას უწევს საზოგადოებაში ცხოვრება, იგი იძულებულია თავისი მოთხოვნილებები შეკვეცოს, დათმოს, რათა იცხოვროს საზოგადოებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამუდმებული ომები იქნება. სახელმწიფო, (რომელიც ასეთი ეგოისტური არსებებისაგან შედგება) სწორედ იმიტომ არსებობს. თომას ჰობსმა წამოაყენა ხელშეკრულების თეორია, ბუნებრივი კანონების თეორია და განაცხადა, რომ ადამიანმა

რომ იცხოვროს სახელმწიფოში და მისი უფლებები იყოს დაცული, სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი. თუმცა ეს ეგოისტური მიდრეკილებები წინა პლანზე წამოაყენა და გაილაშქრა ქრისტიანობის დოგმატიკის წინააღმდეგ, საერთო ქრისტიანული მორალი უარყო და მკაცრ ინდივიდუალურ ჩარჩოებში ჩასვა საზოგადოება, აქედან წამოვიდა სწორედ ბურჟუაზიული საზოგადოების ინდივიდუალიზმი "ბრძოლა არსებობისათვის" ამის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი ქართველი კაცი თავისი ბუნებით, მიუხედავად იმისა, რომ გამოვიარეთ უამრავი იმპერიების უღელქვეშ ყოფნა, მათი ძალადობა, ქართველ კაცში არსებობდა და დღესაც არსებობს კოლექტიურობა, მეგობრობის, მეზობლობის, ნათესაობის... გრძნობა. ამ ღირებულებებს ებრძოდა მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა... ქართველობას ებრძოდა, რადგან მეტისმეტად ქართულია ეს ნათესაობა, მეგობრობა, ძმობა, უბნელობა... ამას ებრძვიან მსგავსი იდეოლოგიის მატარებლები, ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო თომას ჰობსი, მისი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, XVII საუკუნეში გამოცემული წიგნი "ლევიათანი", საუკუნეების განმავლობაში იყო სამაგიდო წიგნი ახალგაზრდა კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის. ძალიან ბევრი მოაზროვნე იქამდე მივიდა, რომ თომას ჰობსის მოძღვრებაში წაიკითხა ადამიანის მტაცებლური ბუნება. კაპიტალისტურ ქვეყნებში, შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველოც, ამ მოძღვრებამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა, თუნდაც იმაში, რომ სახელმწიფოს, ხელისუფალთა მიერ ხდებოდა ეგოიზმის უმაღლეს საფეხურზე ასვლა, დატაცება ქონების, ადამიანის მიერ ადამიანის დაჩაგვრა, წართმევა... ამას ამართლებდა შეხედულება - ძლიერი იმარჯვებს, სუსტი უნდა განადგურდეს. მსგავსი მოძღვრება იყო ძველ საბერძნეთში მემარჯვენე სოფისტების, რომლებიც ამბობდნენ, რომ ადამიანები დაბადებიდან იყოფიან ორ ჯგუფად, ერთნი არიან ბატონები, რომლებიც ძლიერები არიან, ენერგიულები, აქტიურები და მეორენი – მონები. ესე იგი ადამიანი იბადება ან მონად ან ბატონად. სახელმწიფოს კანონები მოქმედებს მარტო სუსტებზე, მათ უნდა მისდიონ კანონებს, ხოლო ძლიერებისათვის კანონი არ არის აუცილებელი, მათ უნდა იცხოვრონ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლიან, სილამაზე და ბედნიერება მარტო ძლიერმა იცის და მისთვის არსებობს. იგივე შეხედულება გაიმეორა ინგლისელმა ფილოსოფისმა ბერნარდ მანდევილმა მეთვრამეტე საუკუნეში. ნოველაში "ფუტკრების შესახებ" სწორედ ამას გაუსვა ხაზი, რომ ბრძოლა სახელმწიფოში ეს არის ბუნებრივი მოვლენა და ასეც უნდა იყოს, რადგან ბუნებაში არსებობს ბრძოლა არსებობისათვის. არსებობს სხვა შეხედულებაც, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ ღმერთმა ყველა ადამიანი თანასწორი შექმნა და უნდა იყოს ერთმანეთის სიყვარული, დახმარება, არტრუიზმი. ამის წინააღმდეგაა სწორედ თომას ჰობსის, მემარჯვენე სოფისტებისა და ბერნარდ მანდევილის მსოფლმხედველობა. ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოში ბოლო პერიოდში - ბრძოლა არსებობისათვის - ეს თეორია იყო პრაქტიკაში, რომელსაც მმართველი პარტიები ახორციელებდნენ. ამიტომაც იყო ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, ქრისტიანული მორალის წინააღმდეგ... და სწორედ ამიტომ იყო ძალადობა, წართმევა, დატაცება.

– ენა და ეროვნება დღეს გლობალიზაციის ჩრდილში მოექცა, რას იტყვით ამ ღირებულებების შესახებ?

– ენა ღვთის მიერ ნაბოძებია და ყველა ერისათვის მოვლენაა. საერთოდ ბიბლიიდან ვიცით ენა როგორც წარმოიქმნა. კაცობრიობა ერთ ენაზე მეტყველებდა ბაბილონის გოდოლის აშენებამდე, ადამიანთა შორის კავშირის გაწყვეტის გამო შემოიღო ღმერთმა სხვადასხვა ენები. მათი გაფანტვის მერე, ყველა ერსა აქვს თავისი ენა. ეს ძალიან რთული საკითხია. ყველა ენა ღმერთიდან მოდის, ოთხი ათასამდე ენა, არის მკვდარი ენები, რომელზე მოლაპარაკე ხალხიც აღარ არსებობენ, დიალექტები ხომ აურაცხელია. მაგრამ არის ასეთი მიმდინარეობა, სადაც ერთი ენა უნდათ შექმნან, საერთაშორისო. ამის მაგალითია ხელოვნური ენები ესპერენტო, იდო, ვოლაპუკი. ამ საერთაშორისო ენის შექმნამ ვერ გაამართლა.

ასევე ღვთისაგან არის ეროვნება. ეროვნებებზე ძალიან კარგად წერს ჰეგელი თავის "გონის ფილოსოფიაში". განიხილავს ერებს, რასებს. მათ არსებობას ღვთიურ ნებას ანიჭებს, და ამბობს, რომ ყველაფერი ღმერთისგან არის. ჩემს ნარკვევში (იგულისხმება "ერი და თანამედროვეობა") მოყვანილი მაქვს ნაწყვეტი ანთროპოლიგიიდან, სადაც ერებზეა ლაპარაკი.

აი, რას ამბობდა ქართველების შესახებ დიდი გერმანელი მოაზროვნე: "ბუნებითი გონის ზოგადი პლანეტარული სიცოცხლე განკერძოვდება დედამიწის კონკრეტულ განსხვავებულობებად და იყოფა კერძო ბუნებით გონებად, რომლებიც თავიანთ მთლიანობაში ქვეყნის სხვადასხვა ნაწილთა ბუნებას გამოხატავენ და რასათა განსხვავებულობას შეადგენენ. ადამიანთა რასების განსხვავებულობა ჯერ კიდევ ბუნებითი განსხვავებულობაა, ანუ ისეთი, რომელიც ბუნებითს სულს ეხება, როგორც ასეთი იგი დაკავშირებულია იმ მიწა-წყლის გეოგრაფიულ განსხვავებულობებთან, რომლებზეც ადამიანები დიდ მასებად იკრიბებიან. მიწა-წყლის სწორედ ეს განსხვავებებია სწორედ ის, რასაც ქვეყნის ნაწილებს ვუწოდებთ. ინდივიდი-დედამიწის ამ დანაწევრებაში რაღაც აუცილებელი ძევს." ესე იგი, რადგან ქართველები აქ ვცხოვრობთ, ამაში არის რაღაც განსაკუთრებული. ეს ღმერთისგანაა, ჩვენი თვისებებიც ღმერთისგანაა. ქართველი ერის არსებობის შესახებ სხვა უამრავი გამოკვლევა არსებობს, კავკასიურ რასაში უპირველესად ქართველი იგულისხმება. ერი, ბაუერი ამბობს, ხასიათის შედარებითი ერთობაა. ქართველი ერი უძველესი ერია. ამაზე წერენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი ისტორიკოსები და მემატიანეები. ზუსტი არსებობის თარიღის დადგენა ძნელია, მაგრამ დადგენილია, რომ უძველესი ერი ვართ. ქართველმა ერმა, თავისი ისტორიული წარსულით უდავოდ დაიმსახურა არსებობისა და თვითმყოფადობის უფლება. ვინც ამ ერს და ენას ებრძვის ის ებრძვის ღმერთს.

– საქართველოს ნამდვილად აქვს საამაყო მეცნიერების, ხელოვნების, მწერლობის... საერთოდ აზროვნების სფეროში. რას იტყვით ქართული ფილოსოფიის შესახებ?

– ჰეროდოტე წერს, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი წარსულის და გენიალურად მოაზროვნეხალხი არიან ეგვიპტელები. ბერძნებს მათგან ძალიან ბევრი რამ აქვთ გადმოღებული. ფაზისში ჩამოსულმა ჰეროდოტემ თქვა, რომ ეგვიპტელები და ქართველები ერთი წარმომავლობის ხალხია, ყველაფერში ჰგვანან ერთმანეთს ცხოვრების წესით,, შეხედულებით, ლაპარაკითაც, რასაცთავად ეგვიპტელებიც აღნისნავდნენ.

ქართველებს გვყავდა ფილოსოფოსები: იოანე პეტრიწი, პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი)... რაც შეეხება კომუნისტური პერიოდის ქართველ ფილოსოფოსებს, მათ შესახებ სწორი დასკვნის გამოტანა რთულია. შესწავლილი მაქვს მათი თხზულებები; მოსე გოგიბერიძე, სავლე წერეთელი, შალვა ნუცუბიძე, ბაქრაძე, დანელია. განათლებული ხალხი იყვნენ, მაგრამ საეჭვოა, მართლა მატერიალისტები იყვნენ, თუ არსებული რეჟიმის შიშით აკრიტიკებდნენ ღმერთს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სიმართლეს მალავდნენ, ამიტომ ძნელი გასაგებია რას ფიქრობდნენ, მაგრამ მათი პწკარების ქვეშ, თითქოს რაღაც სხვა აზრი იმალება. არა ის, რომელსაც ამტკიცებდნენ, არამედ ის, რომელიც სჯეროდათ. ეს მოაზროვნენი დაჩაგრა რეჟიმმა და დემოკრიტესა და ლენინის მომხრეებად აქცია. დღეს ნამდვილად ძნელი გასაგებია მატერიალისტები იყვნენ თუ იდეალისტები. მათ სიმართლის თქმის საშუალება არ ჰქონდათ. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მაინც იდეალიზმისაკენ იხრებოდნენ.

დღემდე ვერცერთმა მატერიალისტმა ვერ დაამტკიცა. რომ ღმერთი არ არსებობს. საერთოდ ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს ვერავინ გასცდა. სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, მანამდე ჰერაკლიტე, პითაგორა, პარმენიდე, ემპედოკლე... მათ შემდეგ აზროვნების ისტორიას წინ დიდი ნაბიჯი აღარ გადაუდგამს. უბრალოდ მათ ყველაფერი თქვეს.

თანამედროვე ფილოსოფიური აზრები

დათო ყანდაშვილი

მოკლე, ლაკონური ჩანაწერები
ჩემი შეხედულებით, ადამიანთა ცხოვრებაში არსებული ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტების გარშემო

ადამიანის ამქვეყნიური, მიწიერი სიამოვნებების ნუსხა მხოლოდ ორ ერთეულამდე დადის და მიწიერს მიჯაჭვული ადამიანი ამ ორი საზომით და ამ ორი საზომისათვის ცხოვრობს. ესენია:

საჭმლით საკუთარი თავის დაკმაყოფილების პროცესში მიღებული სიამოვნება

ვნების დაკმაყოფილების პროცესში მიღებული სიამოვნება.

ადამიანის არაამქვეყნიური, სულიერი სიამოვნების ნუსხაც მხოლოდ ორ ერთეულამდე დადის და მიწიერს მოწყვეტილი ადამიანი მათით საზრდოობს და ზომავს. ესენია:

ჭეშმარიტების შეცნობის პროცესით მიღებული სიამოვნება.

გაბრძოლების, სიძლიერისათვის საკუთარის (სიკეთის) კეთების პროცესში მიღებული სიამოვნება.

თუ ადამიანს ჰარმონიულობის მიღწევის ბედნიერება ხვდა წილად, მას უჩნდება უნარი მიწიერი და სულიერი სიამოვნების ურთიერთშეთავსებისა ერთმანეთის არ დაზიანების ხარჯზე.

❖ ❖ ❖

გონიერნი, ბრძენნი სხვათა შეცდომების აღქმით სწავლობენ, ხოლო უგუნურნი საკუთარი შეცდომების დაშვებით და შემდეგ მისი გამოსწორებისთვის უწევთ ცხოვრება.

❖ ❖ ❖

თუ სწავლობ იმისთვის, რომ მიღებული განსწავლულობით, შედეგად მარტო მატერიალური კეთილდღეობა მოიპოვო, მაშინ სჯობდა საერთოდ არც დაგეწყო სწავლა.

❖ ❖ ❖

მატერიალური კეთილდღეობა დიდი რაოდენობით დიდი ძალაუფლებაა, ამიტომ ვინც ძალაუფლების სწორად გამოყენება არ იცის მას არც უნდა ჰქონდეს ის.

❖ ❖ ❖

მატერიალური კეთილდღეობა ცოტა რაოდენობით არსებობის საშუალებაა და ვინც არსებობის არსი სწორედ ვერ გაიგო, მას მატერიალური კეთილდღეობა არსებობის გარდუვალი აუცილებლობისთვის საჭიროზე ნაკლები ექნება მუდამ (იქამდე ვიდრე არსებობის არსის გაგებას არ მოინდობს).

❖ ❖ ❖

ვინც არსებობის არსი გაიგო (მეტ-ნაკლებად), მას ძალაუფლების სურვილი არ უნდა გაუჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, რაც ჰგონია რომ გაიგო, სინამდვილეში ვერ გაუგია. ხოლო თუ მართლა გაიგო, მაშინ ძალაუფლება, სურვილის არ ქონისდა მიუხედავად, თავად მივა მასთან.

❖ ❖ ❖

ერთადერთი ჭეშმარიტი სიმდიდრე – ჭეშმარიტი ცოდნაა, განათლებაა, რომელსაც განსხვავებით მატერიალური სიმდიდრისა ვერავინ და ვერაფერი წაგართმევთ, ვერც ყაჩაღი ან პოლიცია, ვერც ავადმყოფობა ან ექიმი, ვერც სახელმწიფო უშიშროება ან საგადასახადო ინსპექცია, ვერც ბანკი და ვერც სიკვდილი.

❖ ❖ ❖

სწავლა კიბის საფეხურებს ჰგავს, რომელთა ათავების შემდეგ განათლება გელის და თუ ვინმე რომე-

ლიღაც საფეხურზე გაჩერდა ან სულაც უკან გამობრუნდა სწავლის უაზრობის ბრალი კი არ არის, მხოლოდ და მხოლოდ მისივე მოუთმენლობის ბრალია.

❊ ❊ ❊

სიყვარული წარმოუდგენელი ძალის სინათლეა, თვალებს რომ ვერ გაუსწორებ და ძალიან ძნელია წარმოდგენა იმისა, როგორ უნდა შეიგრძნო სიყვარული განათლების გარეშე.

❊ ❊ ❊

ვისაც უყვარს, მას არ უნდა სძულდეს.
ვისაც უყვარს, მას არ უნდა ეშინოდეს.
ვისაც ეზიზღება, მას ვერ ეყვარება.
ეს ყოველივე იმ სიყვარულზე, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული.

❊ ❊ ❊

ისწავლე რა არის ამ ქვეყნად მართლა საკეთებელი და ყოველთვის ის აკეთე რაც შენს გულს უნდა და არა ვინმეს.

❊ ❊ ❊

არ არსებობს გზა, რომელიც რაიმემდე არ მიგიყვანს. რა გზითაც მიდიხარ გაიხედ-გამოიხედე და დაფიქრდი – რატომ მოხვდი იქ? შემთხვევით არავინ არასოდეს, არსად არ მოხვედრილა და არც მოხვდება.

❊ ❊ ❊

არ არსებობს ისეთი დაპყრობილი მწვერვალი განათლებისა ადამიანის მიერ, რომლის შემდეგაც უფრო მაღალი მწვერვალი არ მოდიოდეს, თანაც თვალსაწიერის დიაპაზონში. უბრალოდ, თვალები კარგად უნდა მოიფშვნიტო და აწეული ცხვირი თავის ადგილზე უნდა დააბრუნო.

❊ ❊ ❊

ხელოვნური ბუნებრივის შვილია და სულსწრაფი ბავშვივით ტკბილი სასუსნავი უყვარს.
ბუნებრივი სრულად მოიცავს ყოველივე ხელოვნურს რაც კი არის, ხელოვნური კი ბუნებრივს მთლიანად, ამომწურავად, სრულად ვერასოდეს მიაღწევს.

❊ ❊ ❊

ხელოვნური ურთიერთგაგების გამოხატვა, მლიქვენლობა, მაამებლობა ტკბილი გემოს საწამლავის მირთმევაა ღიმილიანი სახით.

❊ ❊ ❊

ყოველთვის, ყველგან, ყველაფერში იყავი ის, რაც ხარ. თვითმყოფადობა ბუნებრივობის უმაღლესი ფორმაა.

❊ ❊ ❊

ადამიანი იმიტომ ხდება შენი მტერი რომ შენი სურვილის განხორიცელებას მისით ხელი ეშლება. ეგებ ჯერ საკუთარი სურვილისთვის გადაგეხედა, ვიდრე გაემიჯნები და დაუპირისპირდები შენნაირვე ადამიანს.

❊ ❊ ❊

ერთი ადამიანისთვის პატივის მიგება მეორე ადამიანის შეურაცხყოფის ხარჯზე მრუშობაა ანგარებიანი. ადრე თუ გვიან ის პირველიც მეორის მდგომარეობაში აღმოჩნდება თუ ესეთი პატივის მიღება მოსწონს, სიამოვნებს და მისაღებად მიაჩნია.

❊ ❊ ❊

პატიოსნება სხვა ადამიანთა მხრიდან პატივის მიღებას, პატივისცემის დამსახურებას გულისხმობს თავად ამ ადამიანის დაუსწრებლად.

❊ ❊ ❊

თუ ვინმეს შეურაცხყოფ საკუთარი მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებით მის ზურგს უკან (დაუსწრებლად), იცოდე, რომ შენს თავს მიაყენებ შეურაცხყოფას და მოგვიანებით კი, განხორციელებულ, მატერიალიზირებულ ზიანს.

❊ ❊ ❊

იმ სიმართლის თქმას აზრი არა აქვს, რომელიც ჭეშმარიტებას რაიმენაირი ფორმით არ ემსახურება. სხვა შემთხვევაში სიმართლის დეკლარირება საკუთარი პიროვნების უპირატესობის დაფიქსირება იქნება. ხანდახან დუმილი ოქროზე ძვირფასია.

❊ ❊ ❊

არ არსებობს ტყუილი, რომელიც არ გამომჟღავნდება,
არ არსებობს სიმართლე, რომელიც არ დაფასდება,
არ არსებობს ჭეშმარიტება, რომელიც არ დაჯილდოვდება,
არ არსებობს სიმცდარე, რომელიც არ დაისჯება.

❊ ❊ ❊

ამპარტავნება თითქმის იგივეა რაც ანგარება იმ განსხვავებით, რომ ანგარება ეგოიზმის გამოვლინებაა გონებრივ დონეზე, ხოლო ამპარტავნება ეგოიზმის გამოვლინებაა გრძნობისმიერ დონეზე.

❊ ❊ ❊

რეალურად, თითოეული ადამიანისათვის არსებობს ის, რის არსებობისაც სჯერა და ხედავს მხოლოდ მას, რისი დანახვა უნდა, რისი დანახვაც არ სურს, თვალწინ რომ დაუდო, მაინც ვერ დაინახავს.

❊ ❊ ❊

ადამიანის გარემო ყოველთვის ისეთია, როგორიც მისი შიდა არსია. თუ გარემოს შეცვლა გსურს შენი საკუთარი შიდა არსი უნდა შეცვალო.

❊ ❊ ❊

ამ ქვეყნად ყველაზე ძნელი აღზრდაა და თუ შენ ეს არ შეგიძლია, იმას მიეცი საშუალება ეს აკეთოს, ვისაც ეს შენზე უკეთ ძალურძს.

❊ ❊ ❊

ყველაზე დიდი სისულელე ამქვეყნად საკუთარი პიროვნების შეგნებულად ტყუილში მყოფებაა, რომელიც გარემოსთან მიმართებაში ნიღბის ტარებით, თამაშით გამოიხატება.

❊ ❊ ❊

ადამიანის მხრიდან სერიოზულობის ნიღბით ყოფნა მისი შიშების (სულიერი სიყვარულის სიმცირის) მაჩვენებელია და გარემოსგან დაცვის საშუალებას წარმოადგენს. თუმც, ჩემის აზრით, ეს უფრო სტრაუსის დაცვის მეთოდს უფრო ჰგავს.

❊ ❊ ❊

ადამიანის მხრიდან არასერიოზულობის ნიღბით ყოფნა მისი სისასტიკის (მატერიალური სიყვარულის სიმცირის) მაჩვენებელია და გარემოზე თავდასხმის საშუალებას წარმოადგენს.

❊ ❊ ❊

როცა ვიღაცას რაიმეს თავზე ახვევ, აიძულებ, წარმოიდგინე რა გუნებაზე დადგებოდა შენთვის რომ ასე გაეკეთებინათ. ეგებ გეცადა აგეხსნა, რატომ ფიქრობ რომ ასე სჯობს გააკეთოს და არა სხვაგვარად. თუ საერთოდ არ სურს შენი მოსმენა იქნებ ჩარევა არც ღირდეს ძალმომრეობის ფასად, თუნდაც ამით ვიღაცის მატერიალური ან სულიერ სიცოცხლეს შეექმნას საფრთხე.

❊ ❊ ❊

რასაც არაობიექტურად უდგები, ის რეალურად უცნობია შენთვის და, ალბათ, უკლებლივ ყველა ადამიანისათვის ყველაზე დიდი უცნობი საკუთარი პიროვნებაა.

❊ ❊ ❊

ის, ვინც საკუთარ პიროვნებას რეალურად ობიექტურად გაიცნობს, მისთვის მთელი სამყაროს ყველა საიდუმლოებები გაიხსენება.

❊ ❊ ❊

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. განგება საკუთარი შესაძლებლობების შესაბამის წინააღმდეგობებს აძლევს ადამიანს. უბრალოდ საჭიროა გამოსავლის პოვნა.

თუ ადამიანი ცალსახად და უალტერნატივოდ საკუთარი სხეულის ინტერესებს ემსახურება და ეს ცხოვრების მთავარი და ერთადერთი მიზანი ხდება, მაშინ მასში ღმერთის ცნება, იმაზე უკეთესად გარდაქმნის სურვილი, ვიდრე არის, კვდება.

თუ ადამიანი აღარ ცდილობს გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე არის, მაშინ მისი არსებობა ბუნებრივი კანონზომიერების გადასახედიდან აზრს კარგავს. ამ წამიდან ეს ადამიანი იწყებს ნელ-ნელა კვდომას, ჩაქრობას.

ყველა პრობლემა, რაც კი არსებობს ადამიანის გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, ხელოვნურად არის შექმნილი. ასე ვთქვათ, რეალურად, პრობლემა არ არსებობს. საჭიროა იმ ხელოვნური მარწუხებიდან, რომლებშიც თავს ვიმყოფებთ, ბუნებრივ მდგომარეობაში გადასვლა და პრობლემა უბრალოდ გაქრება.

პრობლემები უნდა იყოს ადამიანის მიზნების და სურვილების არსის და რაობის მოკარნახე.

ინტერესები, მათი სიღრმე, მრავალფეროვნება და ეთიკური ხარისხი პირდაპირ კოპირებულად აისახება ადამიანის მიღწევებში და წარუმატებლობებში, პრობლემებში და განცხრომებში.

ინტერესების შესწავლით მთლიანად და ამომწურავად შეიძლება ადამიანის სრულყოფილი გახსნა. მითხარით თქვენი ინტერესები და გეტყვით ვინ ხართ თქვენ.

ოცნება არსებული რეალობიდან გასვლის, მოწყვეტის საშუალებაა. რაც უფრო ღრმა არის ოცნება, მით უფრო მცირეა კონტაქტი რეალობასთან და შედეგად, მით უფრო დიდი სასოწარკვეთილება და თვითგვემა მოაქვს.

თუ ერთი ადამიანის ინტერესები მის გარშემო მყოფ ადამიანთა ინტერესებს არ შეესაბამება, მაშინ იგი „უცხო სხეულად“ არის მიჩნეული და მარტოობისთვისაა განწირული, ვიდრე იმ გარემოს არ იპოვის, სადაც იგივე ინტერესებით ცხოვრობენ; ან ვიდრე არ დაემორჩილება იმ გარემოს ინტერესებს, სადაც იმყოფება.

თუ ადამიანის ინტერესები სხვა ადამიანთა ინტერესების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება და ცალსახად მათგან გამომდინრეობს, ასეთ ადამიანს საკუთარი „მე“ არ გააჩნია და იმ ადამიანებს, ვის ინტერესებსაც აკმაყოფილებს, როგორც კერპებს ისე ემსახურება.

თუ ადამიანის ინტერესები მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება და სხვა ადამიანთა ინტერესების იგნორირებას ახდენს ან ცდილობს ეს მაქსიმალურად მოახერხოს, ასეთ ადამიანს საკუთარი „მე“ აღზევებული ჰყავს და საკუთარ პიროვნებას როგორც კერპს ისე ემსახურება და შეძლებისდაგვარად სხვებსაც აიძულებს ამას.

თუ ადამიანის ინტერესები სარწმუნო, მდგრადი, ღვთიური ინტერესების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება, ის თავისუფლებას მიაღწევს.

რაც შეეხება თავისუფლებას:

თავის უფალი მხოლოდ ის არის, ვისაც საკუთარი ცხოვრების (ბედის) განგების უფლება აქვს მინიჭებული. ისე რომ აბსოლუტური თავისუფლების მიღწევა ადამიანისთვის თეორიულ დონეზეც კი შეუძლე-

ბელია. თუ ადამიანი ასეთ მეტამორფოზას შესძლებს თავის თავში ის უკვე ადამიანი აღარ იქნება, ანუ ზეადამიანი (სულიერი სამყაროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი) გახდება.

❊ ❊ ❊

ჭეშმარიტი სიკეთე იმის კეთებაა, რაც მართლა, რაც ჭეშმარიტად საკეთებელია.

❊ ❊ ❊

საკუთარი პიროვნების ინტერესების შეგნებულად დაზიანების ფასად ჩადენილი ქმედება სიყვარულის სახელით (ემოციური მიჯაჭვულობით გამოწვეული) სინამდვილეში ბოროტებაა პირველ რიგში იმ ადამიანებისთვის ვისთვისაც გაკეთდა ეს ე. წ. სიკეთე. ეს ქმედებები ამ ადამიანების უპასუხისმგებლობის მკვეთრ აწევას იწვევს და შეუგნებლობის მომატებას ემსახურება.

❊ ❊ ❊

ჭეშმარიტი ბოროტება იმის კეთებაა, რაც ჭეშმარიტად არ არის საკეთებელი.

❊ ❊ ❊

საკუთარი პიროვნების ინტერესებისთვის ჩადენილი ქმედება სხვა, ამ ქვემედების პროცესში მონაწილე პიროვნების ინტერესების დაზიანების ხარჯზე (ამბიციური მიჯაჭვულობით გამოწვეული), ნამდვილად აშკარა ბოროტებაა, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში საკუთარი პიროვნებისათვის, ვისთვისაც გაკეთდა ეს ე. წ. სიკეთე. გარშემო მყოფი პიროვნებებისთვის კი, ეს უპასუხისმგელობის გამოვლინების დანახვის მშვენიერი საშუალებაა.

❊ ❊ ❊

თუ ვინმესთან მიდიხარ გერჩივნოს გულწრფელად გკითხონ რატომ არ მოდიოდი, ვიდრე გულში იფიქრონ, ან კიდევ უარესი, გითხრან: რატომ მოხვედი?!

❊ ❊ ❊

ხასიათი, ცალსახად შეიძლება ითქვას, ჩვევებისაგან შედგება.

❊ ❊ ❊

ვისაც საკუთარი ჩვევების რაობაზე ობიექტური წარმოდგენა აქვს, მას საკუთარი ხასიათის შეცვლის უნარიც გააჩნია ნებისყოფის ძალისხმევით.

❊ ❊ ❊

საკუთარი ჩვევების კონტროლირების მქონე ადამიანს საკუთარი ბედის განგების სერიოზული შანსები და შესაძლებლობები აქვს.

❊ ❊ ❊

ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ჩვევაც რომ შეცვალოს ადამიანმა თავის თავში მისი ხასიათი აუცილებლად შეიცვლება.

❊ ❊ ❊

ჩვევა რაღაცა სახით თავისთავად კერპია და მხოლოდ უჩვეულობით ანუ უშუალობით შეიძლება კერპებისაგან თავის დაღწევა.

❊ ❊ ❊

ადამიანისთვის ე. წ. ოქროს შუალეში გადასვლა, რაც, ფაქტიურად, ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმალური ძალისხმევით თუ შეიძლება მიიღწეს, სრული პასუხისმგელობით შეიძლება ითქვას, ე. წ. სიკვდილის ტოლფასია.

❊ ❊ ❊

ადამიანის მხრიდან ყველასთან და ყველაფერთან ობიექტური დამოკიდებულება (არაფრისა და არავის სუბიექტური არც მიმხრობა და არც გადადგომა) ანუ უშუალობა მხოლოდ მას შემდეგ მიიღწევა, რაც ოქროს შუალედს ჭეშმარიტად გაივლის. ეს უდიდესი ბედნიერებაა და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

❊ ❊ ❊

ადამიანში სიზარმაცის გამოვლინებას იმ დისკომფორტის, უხერხულობის გრძნობა იწვევს, რომელსაც მოიტანს ნებისმიერი ქმედება ადამიანის მხრიდან და რომელიც შინაგან აღქმაში წინასწარ უკვე ხდე-

ბა ტვინში ან უკავშირდება იმ ქმედების შედეგებს, რომლებიც წარსულში უკვე იყო.

❊ ❊ ❊

უშუალობას სიტუაციების, ფასეულობების, ქმედებების, გრძნობებისა და, საერთოდ, ყველაფრის ბუნებრივი გამჭვირვალობა მოაქვს. ადამიანი აღარ არის დამოკიდებული იმ შიშზე, თუ რას იტყვის ან რას იფიქრებს ან რას მოიმოქმედებს გარემო მის შესახებ. იგი ფაქტიურად გარემოზე არ დამოკიდებული, გარემოსაგან თავისუფალი ხდება და გარემო თავად ხდება მასზე დამოკიდებული ნებაყოფილობითა და ხალისით.

❊ ❊ ❊

ხელოვნურად, არაბუნებრივად შექმნილი გამჭვირვალობა ადამიანში უშუალობას კლავს, ამცირებს და ადრე მორალით, საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებებით, თუ შინაგანი ცენზურით (სინდისით) შეზღუდული არასრულყოფილება უკვე სრულყოფილებად ასაღებს თავს და საზოგადოების ცნობიერების მანკიერი ნაწილი სარეველა ბალახივით ედება საზოგადოებრივი ყოფიერების წესს. ასეთ საზოგადოებაში უმანკოება ნამდვილად ზედმეტი და, უფრო მეტიც, დასაცინი ატრიბუტი ხდება.

❊ ❊ ❊

არაძალისმიერება ჭეშმარიტად ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ფასეული ცნებაა.

❊ ❊ ❊

ძალისმიერება მმართველის მიერ სამართავზე მართულის იგნორირებას იწვევს (ინტერესების) და ამას დიქტატურას ეძახიან. სხვაგვარად ამას დემონურობაც შეიძლება ეწოდოს.

❊ ❊ ❊

ძალისმიერება მმართველის მიერ საკუთარი ინტერესების იგნორირების საზიანოდ და, ცალსახად, სამართავი ნაწილის ინტერესების სასარგებლოდ უსარგებლო, უსუსური, დაბეჩავებული მდგომარეობის წარმოქმნას იწვევს გარემოში და ამას უფრო დემოკრატიის დარქმევა შეეფერება. სხვაგვარად, ამას მონობაც შეიძლება ეწოდოს.

❊ ❊ ❊

დედამიწაზე ზოგადად ადამიანები იმის მიმართ, რაც უყვართ (ყოველ შემთხვევაში ამ სახელით იხსენიებენ) არაძალისმიერი მიდგომით გამოირჩევიან, ხოლო მათთვის კეთილდღეობის, სიამოვნების მინიჭებისათვის კი დანარჩენ გარემოს („მე“-ს სიშორის საფეხურეობრივი დაყოფის შკალით) ძალისმიერი მიდგომით უდგებიან. ხოლო ე. წ. ძალიან დიდი სიყვარულის შემთხვევაში კი, ხდება საკუთარი პიროვნების ძალისმიერების (შეგნებულად შეზღუდვა-შევიწროების) ქვეშ ყოფნა ამ საყვარელი არსების (ძირითადად ადამიანის) წინ დაყენებით. ამის შემდგომ კი, როდესაც საბოლოო ჯამში ღებულობენ არასასურველ შედეგებს ყოველთვის უმნიშვნელო სისულელეებს უკავშირებენ ამას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში საკუთარი თავის ქმედებებს გამოწვეულს მათი ფასეულობრივი აღქმიდან.

❊ ❊ ❊

არაძალადობა არის ძალით არ მიდგომა, ძალმომრეობით არ ზომვა როგორც გარემოს, ისე საკუთარი პიროვნების მიმართ. ძალის ნებისმიერ გამოვლინებას ჭეშმარიტ სიყვარულთან არავითარი საერთო არ გააჩნია და ეს წმინდაწყლის ემოციების შედეგებია.

❊ ❊ ❊

ძალადობის არ დაშვების, ან აღმოფხვრის მცდელობაც, თავის მხრივ, უცილობლად ძალისხმევაა, ე. ი. ძალადობაა და ის ადამიანის დადებითი ემოციებიდან იღებს სათავეს, თუ აღმოფხვრის (ან არ დაშვების) მიზანი ძალადობის არ დაშვებაა და არა შიში ახლობელი ადამიანის ან საკუთარი სხეულის დაშავებისა, დაზიანებისა.

❊ ❊ ❊

სისასტიკე ადამიანის მხრიდან იმ სიტუაციებიდან გამომდინარეობს, რომლებშიც ის დამოუკიდებელი ვერ არის და ეს დამოუკიდებლობა ძალის მეშვეობით (ძალადობით) უნდა მიიღოს.

❖ ❖ ❖

ეგოიზმს თუ განვიხილავთ როგორც რაღაც კონკრეტულ სიდიდეს და მის რაიმე ერთეულით გაზომვას მოვინდომებთ, მაშინ მე ვიტყოდი, რომ ეგოიზმის ერთეული არის ჩვევა, რეფლექსი, ინსტინქტი, რაც გინდათ ის დაარქვით, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

❖ ❖ ❖

ეგოიზმის, როგორც სიდიდის რეალური „რიცხობრივი“, ნომინალური მაჩვენებელი კი არის სიზარმაცე.

მე ეს ყოველივე ე. წ. მათემატიკური ფორმულითაც კი შემიძლია გამოვხატო.

ეგოიზმი = სიზარმაცე x ჩვევა.

❖ ❖ ❖

დამოკიდებულება, თავის მხრივ, მატერიალურის სიყვარულიდან, მატერიაზე მიჯაჭვულობისაგან მომდინარეობს. აქედანვე ჩნდება შიშები. ამ დამოკიდებულებას მოაქვს ისინი ვერ მიღების, ვერ დაცვის, ვერ შენარჩუნების, არ დაკარგვის, მიჯაჭვულობის ობიექტის მხრიდან არ შენაცვლების და ასეთი ტიპის ვარაუდებისაგან, ეჭვებისაგან.

❖ ❖ ❖

დამოუკიდებლობა სულიერების სიყვარულიდან, სულიერებაზე მიჯაჭვულობისაგან მომდინარეობს. აქედან ჩნდება ჭეშმარიტი სიყვარული. ამ დამოკიდებულებას მოაქვს ის თვითკმარობის დაცულობის, მიმდინარე რეალობის ობიექტურ რეალობად მიღების, მყუდროების, მიჯაჭვულობის ობიექტის მიმართ ერთგულების და ასეთი ტიპის შეგრძნებებისაგან.

❖ ❖ ❖

რა არის ადამიანის ცხოვრების არსი?

მე დღეს ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არსი მდგომარეობს ადამიანის იმაზე უკეთესად გარდაქმნაში, ვიდრე ის არის. სადამდე? ბოლომდე, ვიდრე ადამიანი ცოცხალია. ეს ძალიან, ძალიან ძნელია, შეუძლებელი თუ არ არის. და რა არის ბოლო? ადამიანი უნდა მივიდეს ღმერთის ცნობიერების აღქმის დონემდე და შეერწყას ღმერთს.

სხვა ყველაფერი დანარჩენი არის ის მოვლენები, რომლებიც ამ პროცესში ხდება და თუ ვინმეს ეს მოვლენები უფრო მნიშვნელოვნად ეჩვენება, ვიდრე პროცესი, ის, უბრალოდ, უგუნურია, ხოლო მას ვისაც ეს მოვლენები არაფრად მიაჩნია, უნდა ყველაფერი გამოტოვოს, ყველაფერს გადაახტეს და პირდაპირ პროცესის ბოლოში მოხვდეს, ისიც მოუთმენელი და უგუნურია.

ზუსტად პროცესის დროს მომხდარი მოვლენები უნდა იყოს მამოძრავებელი წინ უკეთესობისკენ და მათგან ადამიანი მხოლოდ სიამოვნებასა და ღმერთისადმი მადლიერებას უნდა გრძნობდეს.

ისტორია

სიმონ ზაქარაია

„დადუმებული ცოდნის ტაძარი"
ანუ
წიგნი ტრაგიკული სინამდვილეზე

„ბევრი მწარე დღე ახსოვს საქართველოს, ახსოვს თუ როგორ აოხრებდნენ არაბები, მონღოლები, სპარსელები, თურქები.
ჩვენს ქვეყანას ახსოვს მტარვალები, ქართველთა მოსისხლე მტრები- მურვან ყრუ, ბუღა თურქი, თემურ ლენგი, შაჰ-აბაზი, აღა-მახმად-ხანი,მათ მიერ ქართველთა დევნა-შევიწროება, მაგრამ არც ერთს ამმტარვალთაგანს ქართველთა მიმართ არ გამოუჩენია ისეთი სისასტიკე,როგორც გამოიჩინეს აფხაზმა ბოევიკებმა 1992 წლიდან ქართულ-აფხაზურიკონფლიქტის დროს ...“

ვალერიან ზუხბაია, წიგნიდან „გალი“.

ის ტრაგედია, რაც აფსუა მტარვალებმა ჩაიდინეს გალის რაიონის მშვიდობიან მოსახლეობის წინაშე, რომელსაც მოჰყვა არასრულწლოვანები, ქალები, მოხუცები, ავადმყოფები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეფასებულია, როგორც კაცობრიობის წინაშე უმძიმესი დანაშაული, რაზედაც პასუხს აგებს ამის ჩამდენი ბანდები.

წიგნი „დადუმებული ცოდნის ტაძარი“ ეძღვნება მტრის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, ერთ-ერთ წარმატებულ, გალის №2 საშუალო სკოლა-გიმნაზიის მდიდარ წარსულსა და დღევანდელ ავბედით სინამდვილეს, რაც წარმოადგენს არა მარტო ამ სასწავლებლის ისტორიას, არამედ ჩვენი ერის ტრაგიკული ცხოვრების ნაწილს.

წიგნის ავტორებია ამავე სკოლის ღვაწლმოსული პედაგოგები ქალბატონი მზია ხორავა და ბატონი კლიმენტ ქობალია. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ამ სკოლაში მზიასთან ერთად ერთ ჯგუფში მეც მისწავლია მე-8, მე-10 კლასებში, ასევე ყველა ჩემი შორეული წინაპრები აფხაზეთელები იყვნენ, ამიტომ როგორც ჩემი მშობლიური სკოლა, ასევე მთელი აფხაზეთი ჩემთვის მძიმე განცდაა.

სწორედ, აფხაზეთში ამ ისტორიულ უსამართლობას მიუძღვენი ჩემი ხუთი წიგნი და მრავალი პუბლიკაცია, ომის პერიოდში ორჯერ ვიყავი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრილი და ჰოსპიტალიზირებული (ეს სხვათა შორის).

აქვე, დიდი კმაყოფილებით მინდა ავღნიშნო, რომ ეს წიგნი, როგორც ზემოთ ვწერდით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შესახებ წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც ცალკე ასახავს ჩვენი სახელოვანი პედაგოგების ერთი ჯგუფის მოღვაწეობას, რომლებსაც ჩვენდა საუბედუროდ ამ ძლიერ სასწავლებელ დღეს მემკვიდრე არ ჰყავს. იგი როგორც ერთ-ერთი ლიდერი სკოლა, ოკუპაციის შემდეგ შეიარაღებულმა ბანდფორმირებებმა, მთელი შენობის აუდიტორია-ლაბორატორიები გააპარტახეს.

წიგნი „დადუმებული ცოდნის ტაძარი“ დაწერილია მაღალ პროფესიურ დონეზე, მწერლური ხელოვნებით, რასაც მკითხველი უდაოდ მთლიანად იზიარებს ავტორებთან ერთად. რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა, როცა წერ შენი მშობლიური სასწავლებლის სახელოვან წარსულზე, მის შემოქმედებით არსზე, მაგრამ რა ძნელია იქვე, იმავე წიგნის ფურცლებზე გიწევს საუბარი ძნელად ასატან ტრაგიკულ აწმყოზე, მის დაცემაზე და ბურუსით მოცულ

მომავალზე, რაც თავისთავად გულისხმობს მთლიანად აფხაზეთში ქართული მოსახლეობის მომავალ ბედსაც.

მიუხედავად წიგნში აღწერილი მოვლენების წინააღმდეგობრივი შინაარსისა, ავტორების მსჯელობაში ჰარმონიის დარღვევა არსად შეიმჩნევა, რაც მათი მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს.

წიგნის დასაწყისში განხილულია გალის რაიონის ისტორია, რომელსაც რევოლუციამდე სამურზაყანო ერქვა. რა თქმა უნდა მდინარეებს – ენგურსა და ღალიძგას შორის ტერიტორია, კოლხეთის უძველესი ცივილიზაციის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, რაც დადასტურებულია მდიდარი არქეოლოგიური მასალებით, რომელიც ნაპოვნია ფიჩორის, გუდავის, დიხაზურძის და სხვ. ადგილების გათხრების დროს.

გალის რაიონი თავის საზღვრებში, როგორც ერთ-ერთი ძლიერი, მდიდარი და კულტურული ერთეული საქართველოში ჩამოყალიბდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა ჰქონდა კომუნისტურ იდეოლოგიას კარგი და რა ცუდი, მაგრამ ჩვენ ყველაზე უფრო ვაფასებთ იმ დროს, როცა ჩვენი ერი იზრდებოდა, ლაღდებოდა და მრავლდებოდა, როცა მთელს აფხაზეთის ტერიტორიაზე გაიხარა და გაიფურჩქნა ქართველი კაცის გენმა, წავიდა კომუნისტები და . . .

შემდეგ, წიგნში საინტერესოდაა გადმოცემული გალის რაიონში მოსახლეობის რიცხობრივ ზრდასთან ერთად ახალი სკოლის მშენებლობის დაწყების აუცილებლობა, რომელიც მალე №2 საშუალო სკოლის სახელწოდებით ჩამოყალიბდა, ხდება სკოლის დაკომპლექტება შერჩეული კადრებით. აქვეა ჩამოთვლილი გალის რაიონის ის ხელმძღვანელები, რომლებიც დიდი დახმარება გაუწია საშუალო სკოლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას. ნახსენებია სკოლის დირექტორები, რჩეული პედაგოგები, რომლებმაც თავიანთი მაღალი ღირსებით ათეული წლების განმავლობაში დამოძღვრეს მოსწავლე-ახალგაზრდობის რამდენიმე თაობა.

რა თქმა უნდა, სავალდებულო არ უნდა იყოს ყველა მოსწავლისაგან დიდი ნასწავლი პიროვნება გამოვიდეს, მაგრამ ბედნიერია ყველა ის თაობა, რომლებსაც ისეთი პედაგოგები ჰყავდა მოძღვრად, როგორებიც იყვნენ ნინა ეზუგბაია – დირექტორი, პლატონ ემუხვარი – სასწავლო ნაწილის გამგე, გიორგი ტორუა (ჩაგუევიჩი), ვალერიან კეზუა, ვენე გაბისონია, ვარა ფილიშვილი, შირინ ყოლბაია, ალექსანდრე ჭაავა, ალიოშა კილანავა, გულნარა ხაბურზანია, დავით შონია, ბათლომე თოდუა, კლიმენტ ქობალია, ფაცია მარღანია, ჩემი თანაკლასელი და მეგობარი, დიდი პედაგოგების ღირსეული მემკვიდრე მზია ხორავა და სხვები.

მქონდა ბედნიერება ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონოდა დიდ გიორგ ტორუასთან (ჩემი დედის, ნუცა ბაგათელიას მასწავლებელიც იყო), ბატონებთან ლუსიანე სოსელიასთან, პლატონ ემხვართან, ციფრო წულაიასთან, ალექსანდრე ჭაავასთან და მოგვიანებით ბ-ნ შოთა გველიასთან, ლუიზა შენგელიასთან (ჩემი დეიდაშვილის მეუღლეა). ასევე ჩემი გზის გამკვალავი იყო სასიქადულო, „ჩუმი“ უნიჭიერესი პედაგოგი ბაგრატ ხორავა.

წიგნის ავტორებს ჩამოთვლილი ჰყავთ მე-2 საშუალო სკოლის ღირსეული თაობები, რომლებიც უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაუბრუნდნენ თავიანთ საამაყო სკოლას და განაგრძობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-ფორმირების წმინდათა-წმინდა საქმეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქალბატონი ნონა შონია, გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, რომელმაც ყველაზე უმძიმეს და ურთულეს პერიოდში უნარიანად უხელმძღვანელა ოკუპირებულ ტერიტორიაზე თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსებულ სკოლებს.

გალის მეორე საშუალო სკოლა დამთავრებულთა შორის ბევრია ცნობილი პიროვნებები, სიამაყით დავასახელებდი საქართველოში ერთ-ერთი სახელოვანი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ ლალი ეზუგბაიას.

გალის რაიონი მუდამ იყო დიდი და ნიჭიერი პიროვნებების დაბადებისა და დავაჟკაცების ნოყიერი სივრცე: მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ილია ვეკუა, დამონე გოგოხია, ვლადიმერ ალფენიძე, ხუტა ბერულავა და სხვ.

როგორც ასეულ ათასობით აფხაზეთის საკუთარი მიწა-წყლიდან გამოძევებული ქართველი, მეც ერთი წუთითაც არ ვკარგავ კუთხე-მამულში დაბრუნების იმედს, მჯერა, რომ ქარული გენი ისევ აღორძინდება ჩვენს სათაყვანებელ მიწაზე.

რამდენადაც „დადუმებულ ცოდნის ტაძართა“ რიცხვი ოკუპირებულ აფხაზეთში გაგრიდან გალამდე მრავალრიცხოვანია, აღნიშნული წიგნის მთავარი ობიექტის, გალის №2 საშუალო სკოლის შესახემ ცალკე, იზოლირებული საუბარი ჩემის აზრით, ოდნავ უფერულიც იქნება. ამიტომ შევეცდები სხვა საკითხეზედაც ვილაპარაკო, რომელიც ნაწილობრივ ეხება ქართული მოსახლეობის გამოძევებას საკუთარი მიწა-წყლიდან, რაც უფრო საინტერესო იქნება მკითხველებისათვის.

არავინ იცის ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველთა ბედი რა გზით წარიმართება, მისი უძველესი, ნამდვილი მემკვიდრე გენი ისევ აღორძინდება თუ არა ჩვენი საამაყო წინაპრების ოფლით, სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწაზე, თუმცა დღეს ძალთა თანაფარდობა უდაოდ მოწინააღმდეგეთა მხარეზეა.

1995 წლიდან დღემდე ვცხოვრობ თბილისში, ამ ხნის განმავლობაში ჩემთვის არაერთხელ დაუსვამთ შეკითხვა – რას ვერჩოდით ჩვენ, შედარებით მცირერიცხოვან აფხაზებს, ან კიდევ რატომ ვერ დავამარცხეთ ისინი, რატომ გამოვექეცით მათ? აი, ის კითხვები, რომლებსაც სვამენ საქმეში ჩაუხედავი ადამიანთა სერიოზული ნაწილი, რომელსაც ხშირად აგრესიული ხასიათიც აქვს. რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას აქ არ ვაპირებ, რადგან ამაზე მრავლადაა ფუნდამენტალურად პასუხი გაცემული და მეც, როგორც აფხაზეთიდან დევნილმა ჩემს წიგნებში მას ხაზი გავუსვი.

ის, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა 1992 წელს, ეს უბედურება უცხოტომელთა მიერ მზადდებოდა საუკუნეების განმავლობაში. მართალია წიგნში „დადუმებული ცოდნის ტაძრის“ ავტორებს მკითხველთათვის თითქმის ყველა შესაძლო საინტერესო საკითხებზე აქვთ გაცემული პასუხი, მაგრამ მეც შევეცდები მოკლედ შევეხო და გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები იმ ტრაგიკული შედეგების გარშემო, რაც აფხაზეთში დატრიალდა.

სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის ურთიერთობის სიძველე

აფხაზეთის სამთავრო, ეგრისის სამეფოდან მოყოლებული და უფრო ადრეც, მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, შემდეგ კი ერთიან ქართულ სახელმწიფოს ექვემდებარებოდა. აფხაზეთის სამთავროს, მის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მეთაურობდნენ მთავრები - შარაშიები, რომლებიც ლიტერატურულ წყაროებში იხსენებიან როგორც შარვაშიძეები, (გვარი შარაშია ქართულად ნიშნავს მეგზურს, შარა – გზა, ხალხის წინამძღოლს, ერისთავს). აფხაზეთის ტერიტორიაზე ოდითგანვე ცხოვრობდნენ მეგრელები, მათ შემოსეული მტრებისაგან იცავდა ოდიშის სამთავრო, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მთელი საქართველო, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს. აქ ერთიანი ძალით აშენებდნენ გზებს, ხიდებს, ციხე-სიმაგრეებს, კულტურულ ძეგლებს და რაც მთავარია მეგობრობას და სიყვარულს. როგორც მთავრების ოჯახებს შორის, ასევე თავადთა ოჯახებს შორის იყო ქორწინება და ნათესაური ურთიერთობა. ეს ტრადი-

ციული მიმდინარეობა ირღვევა მე-17 საუკუნის დასაწყისიდან, როცა ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარე ტომებმა იწყეს მასობრივად ჩამოსახლება შავი ზღვის სანაპიროზე.

ვინ არიან ადგესუები და როდის ჩნდებიან ისინი შავი ზღვის სანაპიროზე

ამ კითხვის პასუხის გასაცემად მე აქ მოვიყვან თანამედროვე მკვლევართა შორის უდაოდ აღიარებული მეცნიერის ნათელა ფოფხაძის შრომებიდან ამონარიდს: „პლინიუსმა კავკასიის აღსაწერად 20-ზე მეტი ცნობილი ავტორების ნაშრომები გამოიყენა ..., ავტორს სავსებით ცხადად აქვს გარკვეული, რომ პირველ საუკუნეში აბსუა ქვეყანა მდებარეობდა კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსთან. პლინუსი აღნიშნავს, აფსუა ხალხის ეთნიკურ კუთვნილებასაც. აფსუა ხალხი, სკვითი ხალხი იყო. I საუკუნეში ისინი ცხოვრობდა კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე მომცრო ყურის ერთ ნაპირზე ..., პლინიუსის ამ ცნობის სანდოობა ეჭვს არ იწვევს. მან ობიექტურად მიუთითა ფაქტი – აბსუა ქვეყანა (ალბათ სატომო გაერთიანება, ქვეყანა რომ ჰქონოდათ ამ სიშორე მანძილზე სხვისი მიწის მისატაცებლად ხომ არ შემოგვესეოდნენ, ს.ზ.) კასპიისპირეთის ჩრდილო ნაწილში მდებარეობდა.

„აბსუა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ჩრდილო კავკასიიდან, სამხრეთ კავკასიაში უღელტეხილით გადმოდიოდა და იქვე სამურზაყანოს ჩრდილოეთის მიწებს იკავებდა. უფრო ჩრდილოეთით ზღვის ნაპირზე, ადიღე ტომები ჩამოსახლდნენ. სახელწოდება „ჩარქასი“ (და არა ჩერქეზი, ს.ზ.) თურქებმა უწოდეს ადიღე ხალხს და ნიშნავს შარაგზის ყაჩაღებს (თურქი რომ ამას სხვას უწოდებს გასაგებია მათი ვინაობა! ს.ზ.). ყველა ევროპელი მოგზაური თუ მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ადიღე ხალხები, აბსუა ხალხიც XIX საუკუნეშიც იმ დონეზე იდგა თავისი ყოფით, როგორც 2000 (ორი ათასი) წლის წინ ახასიათებდა ვანდალებსა და გუთებს, (კულტურულ ძეგლთა გამანადგურებლები, უძველესი გერმანელი ტომები), ალანებს. კოლხები 3000 წლის წინათაც მაღალი ცივილიზაციით გამოირჩეოდნენ“ (ნ. ფოფხაძე „შავი ზღვას კოლხეთის ზღვა ერქვა“, გაზ. ახ. ივერიელი, 14.VI.90).

ის, რაც აქ უწერია ნ. ფოფხაძეს, ამ ავადსახსენებელმა ტომებმა, მთელი მსოფლიოს წინაშე „ზედმიწევნით“ დაამტკიცეს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის არგაგონილ და არნახულ მრისხანებით მათ ძარცვასა და ამოხოცვაში. მართალია, ჩრდილო კავკასიელი ტომები თავშეფარების ძიების მიზნით 1300 წლიდან მცირე რაოდენობით ჩამოდიოდნენ მთებიდან, მაგრამ მათი მიზანსწრაფული ჩამოწოლა ხდება მე-17 საუკუნის 30-იანი წლებიდან.

სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს შორის ურთიერთობის გამწვავება

ის ტრადიციული კეთილი და საიმედო ურთიერთობები სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის, რომელიც არსებობდა მე-17 საუკუნის დასაწყისამდე, თითქმის ჩაბარდა ისტორიას. მათ შორის ამ დროიდან დიდი მტრობა და შუღლი ჩამოვარდა, რაც შემდეგმა საუკუნეებმა ვერ განკურნა. სამთავროებს შორის ურთიერთობის გამწვავება ლევან II დადიანის არაორდინალურმა ქმედებამ გამოიწვია. როგორც ცნობილია, ლევან II დადიანი საქართველოში ერისთავებს და მეფეთა შორისაც კი ერთ-ერთი უძლიერესი იყო. მას ცოლად ჰყავდა აფხაზეთის მთავრის სორეხ (ზოგიერთი სეტემანსაც უწოდებს) შარაშიას ქალი, რომლისგან ლევანს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა. ლევანმა ეჭვიანობის ნიადაგზე ცოლი აწამა, მას ცხვირი და ყურები დააჭრა და მამას, სორეხს სასახლეში მიჰგვარა. ამასთან ერთად, მოკლე დროში, ლევანის სასახლეში აფხაზი ცოლისაგან შეძენილი ორივე ვაჟი გაურ-

კვეველ ვითარებაში დაიღუპა (მეტი შთამომავლობა არც კი ჰყავდა). ეს მოხდა 1623 წელს.

ასეთმა უმსგავსო ინციდენტმა,მთავრებს შორის სამუდამო და შეურიგებელი მტრობა და შუღლი ჩამოაგდო. ამაყმა აფხაზებმა დადიანს ასეთი თავგასულობა აღარ აპატიეს, დაიწყეს მის წინააღმდეგ საკმაოდ მომზადებული და რისხვისშემცველი შეტევები. ჩრდილოეთიდან საგანგებოდ და მიზნობრივად ჩამოყვანილი აბსუების რაზმები, მშივრები და უპოვარნი, მდიდარ და აყვავებულ ქართულ მოსახლეობას გრიგალისებური, მოულოდნელი შემოტევებით შიშის ზარს ცემდნენ, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ და მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი ტყვეებად მიჰყავდათ, რომლებსაც ყიდიდნენ მაჰმადიანურ ქვეყნებში. მართალია ლევან დადიანმა არაერთხელ დაამარცხა აფხაზ-ჩერქეზთა და ჯიქთა ლაშქარი, 60 კილომეტრიანი დამცავი კედელიც ააშენა მდინარე კელასურის სათავედან შორეულ ფანავის მთებამდე, მაგრამ ვერც ამან უშველა, შარაშიების მიერ ჩამოსახლებული რიცხობრივად მრავალი რაზმები სულ ახალ-ახალ მიწებს იპყრობდნენ. „სორეხ შარვაშიძემ და მისმა სახლიკაცებმა ყვაპუმ, მათი მომხრე, უკვე გააფსუებული ფეოდალების დახმარებით, რამდენჯერმე სცადეს მდინარე ენგურის გადალახვა და სამეგრელოს შიდა სამთავროში შეჭრა, მაგრამ ისინი უკუგდებულიქნა. სამაგიეროდ აბსუა მტაცებლები მტკიცედ დამკვიდრდნენ ოდიშის მთავარ ნაწილში, ენგურის მარჯვენა მხარეს. ასე შეიქმნა XVII საუკუნის ბოლოს მდ. ენგური აფხაზთა და ოდიშის სამთავროებს შორის საზღვრად“ (ა. ჯაფარიძე „აფხაზეთი“, 2007).

უცხოელი ისტორიკოსები და მოგზაურები აღწერენ თუ როგორი უკიდურესი სისასტიკით ეპყრობოდნენ აფსუა დამპრყოლებლები ოდიშის მკვიდრ ქართულ მოსახლეობას, კერძოდ დღევანდელი გუდაუთის, სოხუმ-გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის ტერიტორიის მცხოვებლებს. ისისნი ატყვევებდნენ, ყიდიდნენ, ხოცავდნენ ყველაფეს იტაცებდნენ, ანადგურებდნენ მეურნეობას, აუკაცრიელებდნენ სოფლებს.

თანამედროვე აფხაზური, ანუ აფსუა ეთნოსის ჩამოყალიბება

„საქართველოს ერთიანი მონარქიის პოლიტიკური დაშლის შემდეგ გაძლიერდა ფეოდალური განკერძოების პროცესი, ამას დაერთო გარეშე მტრების ინტენსიური შემოსევები, მათ შორის კავკასიის მთიელი ტომების – ჩრდილო-დასავლეთით აბაზურ-ადიღური, ცენტრალურ ნაწილში ოსური, ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტანური ტომების ჩამოსახლების პროცესი“ (ბეჟან ხორავა).

განსაკუთრებით ინტენსიურად ყალიბდებოდა კოდორის ხეობის შუა და ზემო წელის აბსუური დასახლებები, სადაც მოსახლეობის რაოდენობამ ხუთი ათას მიაღწია. წებელდა დალის ხეობას ფლობდა მარშანიების ფეოდალური საგვარეულო. წყაროების მიხედვით ეს „მარშანიები წარმოშობით მარუშიანები იყვნენ, სვანეთის ერისთავების – ფარჯანიან-ვარდანიძეების შთამომავლები. მარშანიები უვკე გააფსუებულები იყვნენ“, (ბ. ხორავა). დალის ხეობის ეს ტომობრივი გაერთიანება იმდენად გაძლიერდა, რომ ისინი არც შარვაშიძეების ხელისუფლებას ცნობდნენ და არც რუსეთის მფარველობაში შევიდნენ, მათ წყალგამყოფი ქედის უღელტეხილებით ახლო ურთიერთობა ჰქონდათ დიდ ყაბარდოსთან, ასევე აბაზებთან და ყარაჩაელებთან.

წებელდა-დალის ხეობის თითქმის დამოუკიდებელი გაერთიანება, ახალი უბედურების მომტანი გახდა ბარის ქართული მოსახლეობისათვის. კარგად გაწვრთნილი ბანდიტური ყაჩაღები, მოულოდნელი თავდასხმებით მუსრს ავლებდა მათ. პროფ. გერონტი გასვიანის მონაცემებით ბაღნარად ქცეულ ერთ ქართულ სოფელს. ერთი თავდასხმის დროს უკაცრიელად აქცევდნენ. „ოჩამჩირის რაიონი სოფელი ჭალა (შემდეგ ასუები არქმევენ ჭლოუს), სადაც ცხოვრობდნენ შემდეგი გვარის მეგრელები: შუშანია, ჯგვიბუია, სუბუქია, ჯაკობია,

გუგუტია, მჭიშია, ვარსემია, ხვარაშია, (ალბათ შემდეგში ხორავა), უჩაია, სოფერდია, ეიშია, რუსაყია, გოგილავა, სამელია, ღრუბლაია, მურუა, ცისტარია, კოდია, ქაჯაია, ლოგუა, გაბელია, ხუხუშია, ჯგუბურია, ფიოლია, ძაძუა, კონჯარია და სხვ. აბსუათა თავდასხმის შედეგად წალეკილი და გაუკაცრიელებული იქნა“, (მ. გასვიანი, წიგნიდან „აფხაზეთი“, თბ. 2004). წიგნში ჩამოთვლილია ასეთი რამდენიმე სოფელი, რომელიც მთლიანად განადგურებული იქნა დალის ხეობის ყაჩაღების თავდასხმებისაგან.

ოჩამჩირისა და სამურზაყანოს მეგრული მოსახლეობა სრული მოსპობისაგან გადაარჩინა კავკასიის რუსული კორპუსის ჯარებმა, რომელთა არა ერთი გაფრთხილების მიუხედავად, დალის ხეობის სატომო თვითმარქვია გაერთიანება მაინც არ ემორჩილებოდა და განაგრძობდა ბარის მოსახლეობის დარბევას.კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი გრ. როზენი აბსუებს კატეგორიულად აფრთხილებდა აღეკვეთათ მტაცებლობა, ყაჩაღობა, ძარცვა, მშვიდობიან სოფლებზე თავდასხმების შეწყვეტა, აყრილი მოსახლეობით ვაჭრობა. მაგრამ ყაჩაღი და დაუნდობელი უცხო ტომები მაინც არ იშლიდნენ თავიანთ სიავეს, ძარცვით სიმდიდრის შოვნას, ძვალ-რბილში გამჯდარ მრისხანებას და რაც მთავარია ყოველგვარი ცივილიზაციის მიმართ ველურ დამოკიდებულებას განაგრძობდნენ.

რა თქმა უნდა, ასეთი დაუმორჩილებელი – ველური შეიარაღებული ბანდების თარეში რუსებს არ აწყობდათ, ამიტომ რუსული ჯარის ნაწილებს, რომლებსაც დიდი აღტაცებით შეუერთდა, სამურზაყანოს, აფხაზეთის და სვანეთის სახალხო ლაშქრები 1840 წლის 24 დეკემბერს, ცეცხლთა და მახილით შეიჭრა დალის ხეობაში მურავიოვის ხელმძღვანელობით და ორი კვირის განმავლობაში, მანამდე აუღებელი აულები მიწასთან გაასწორა, აბსუა მარშანიები ჯერ ფსხუში, შემდეგ ჩრდილოეთში გაიქცნენ. მურავიოვის ბრძანებით 5 ათასი ოჯახიდან გადარჩეული 500 ოჯახი აჰყარეს და წებელში ჩამოასახლეს. ამ ღონისძიებების შემდეგ მოისვენა დაბლობის ადგილობრივმა მოსახლეობამ, ისევ იწყო სოფლებმა აღორძინება. უბედურება ის იყო, რომ რუსული სრული მმართველობის დამყარების დროსაც, აბსუები თავიანთ უპირატესობას ავრცელებდნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაზე, უკვე გაუტკბათ თბილი და მდიდარ კუთხეში ცხოვრება, რომლის სფუძველი იყო ბრძანებლური ჟინი და არა კეთილსინდისიერი შრომით ქონების შოვნა.

ქართულ მიტაცებულ მიწებზე დამკვიდრების შემდეგ ცივილურ გარემოსთან შეუთავსებელი აბსუები, აგრძელებენ შუღლსა და მტრობას ადგილობრივ, განსაკუთრებით სამურზაყანოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთან. ამით ისინი არ კმაყოფილდებიან და შავიზღვისპირეთზე გაბატონების მიზნით დაიწყეს გაუთავებელი აჯანყებები რუსული ჯარების წინააღმდეგ. რუსებმა საწინააღმდეგოდ ჯერ 1964 წელს აფხაზეთის სამთავრო გააუქმა, ხოლო თურქეთის დამარცხების შემდეგ, ისინი თურქეთში გადაასახლა, რასაც მუპაჯირობას უწოდებენ. ამით მათი მწვალებლური მოქმედებები არ დამთავრებულა, თურქეთიდან ნაწილი უკან დაბრუნდა, აქ დარჩენილებს შეუერთდა და შემდეგ რაც დაატრიალეს, მკითხველთათვის ცნობილია.

საბჭოთა სისტემის შექმნის შემდეგ, მიუხედავად არა ავტოქტონური, შემოსული ხალხის ურიცხვი პრეტენზიებისა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ისევ აღორძინდა და გაიხარა ქართულმა გენმა, მაგრამ ეს საუბედუროდ ისევ დროებითი შეიქმნა. აბსუებმა, რუსები დაიყოლიეს და საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ ისევ განაახლეს ბრძოლა ქართველთა წინააღმდეგ, რაც შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. რუსული არმიის მხარდაჭერით აბსუებმა აისრულეს თავიანთი წადილი და ოცნება, ცეცხლით და მახვილით ამოჟლიტეს ქართული მოსახლეობა, ცოცხლად გადარჩენილები იქიდან გამოაძევეს.

აქვე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ ფაქტს, რომ აბსუებმა ამ ომშიც გამოავლინეს ის სისასტიკე და მრისხანება, რაც მათ ჩვეოდათ ჩვენს მიწა-წყალზე ჩმოსახლე-

ბის პირველი დღიდან საუკუნეების განმავლობაში.

ამის დასტურად, აქვე მინდა მოვიყვანო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის წიგნიდან „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“ ამონარიდი გალის რაიონის შესახებ: „ომის დამთავრების შემდეგ გენოციდის პოლიტიკა განსაკუთრებით ფართო მასშტაბით განახორციელეს გალის რაიონში, რომელიც ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული ..., ამ რაიონის მოსახლეობას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია, იგი 29 სექტემბერს ოკუპანტებმა უომრად დაიპყრეს, (აი, შენი „ძვირფასი მთავარსარდალი და სამხედრო საბჭო ქვეყნისა“, ს.ზ.), რის შემდეგაც მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ჟლეტას შეუდგნენ. სეპარატისტები ესხმოდნენ სოფლებს, არბევდნენ და ხოცავდნენ მოსახლეობას, გადაბუგეს და დაანგირეს 5730 სახლი, 40 საშუალო სკოლა ..., 25 ათასი მსხვილფეხა საქონელი გარეკეს და სხვ.

აი, ის სისასტიკე, რაც მათ ჩაიდინეს გალის რაიონის მშვიდობიან მოსახლეობაზე, რამდენიმე მაგალითი ათასებიდან:

„ცანავა ოთარ, სოფ. პირველი გალი – მტარვალებმა აიძულეს ნოდარ ფარცვანიასთან ერთად ორმო გაეთხარათ და სასტიკი წამების შემდეგ ორივე ცოცხალ-მკვდარი ჩამარხეს შიგ 1993 წლის დეკემბერში“.

„ცაავა მირო გრიგოლის-ძე, 52 წელს, სოფ. აჩიქგვარაში ძმასთან, ჭიჭინიასთან ერთად დახვრიტეს, შემდეგ კი ცოცხალ-მკვდრები თავის სახლში დაწვეს“.

„ცაცუა ჟორჟი, 65 წლის,სოფ. ოქუმი, საკუთარ სახლში ჩაკეტეს და ცოცხლად დაწვეს ძმასთან და დასთან ერთად“.

„ცობეხია აკაკი, სოფ. განახლება, გალის 8 წლიანი სკოლის დირექტორი, ცოცხლად დაწვეს“.

„წურწუმია ჟუჟუნა შალვას ასული, სოფ. აჩიგვარა, ჯერ გაუპატიურეს მეუღლეს თვალწინ, შემდეგ ცეცხლმოკიდებულ სახლში ორივე დაწვეს“.

„ხვედელავა ჟორჟი დახვრიტეს გრიგოლ ჭკადუასთან ერთად, გვამი ღორებმა დაგლიჯეს“.

„ხინკალაძე კოტე, სოფ. პირველი გალი, 50 წლის, დაწვეს საკუთარ სახლში“.

ასეთი ბედი ეწვია მარტო გალის რაიონის ათასზე მეტ მშვიდობიან მოსახლეს.

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთ „დიოსკურიის“ რედაქციაში მუშაობის პერიოდში (მთ. რედაქტორი პოეტ-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი), საქმიანი ურთიერთობა გვქონდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინიხსტრთან ბატონ ალექსადრე აპლაკოევთან, ასევე შედარებით მოკრძალებული, მაგრამ მაინც გალის რაიონის საგანმანათლებელი რესურსცენტრის უფროსთან ქალბატონ ნონა შონიასთან.

გაზეთის ფურცლებიდან დაინტერესებული მკითხველი ეცნობოდა, როგორც მთლიანად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დევნილი სკოლების, ასევე გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე უმძიმეს პირობებში განახლებულ სწავლებას სკოლებში.

სწორედ, ასეთი გაუგონარი აწიოკება-დარბევის შემდეგ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციების ზეგავლენით ოდნავ შერბილდა ბოევიკთა თარეში რაიონში, გახიზნულთა ნაწილი უბრუნდება სოფელს, მიუხედავად იმისა, რომ მან სრულებითაც არ იციან რა ელოდება უახლოეს მომავალში. მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ ბრუნდებოდნენ ისინი ოჯახის წევრებთან და წრმოიდგინეთ ბავშვებთან ერთად. ხალხის ასეთმა თავგანწირულმა და უშიშარმა მოქმედებამ ჩააფიქრა ქალაქში და სოფელში დაბრუნებული საშულო სკოლის პედაგოგები, რათა განეახლებინათ სკოლებში მოსწავლეთა მეცადინეობა.

პედაგოგებმა სოფლის მოსახლეობაასთან ერთად შეძლოს გაპარტახებული სკოლის

შენობის, რამდენიმე ოთახის გარემონტება და სასწავლო პროცესის დაწყება. ყველასთვის ნათელია, თუ რა დონეზე უნდა ყოფილიყო ასეთ პრიმიტიულ პირბებში სწავლება, მისი ეფექტი, მაგრამ აქ უმთავრესია მორალურად და ფიზიკურად განადგურებული ხალხის უკვდავებისგკენ სწრაფვა, საკუთარი მიწა-წყლის ფანატიკური სიყვარული და მარიამ ღვთისშობლის წილხვედრი ქვეყნისა და ხალხის ისევ აღზევება წინაპართა ნერჩზე.

ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 2007 წლის მონაცემებით 32 სკოლა ფუნქციონირებდა, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს.

გალის ცენტრში დაბრუნებული მოსახლეობა, ალბათ იმედს არ კარგავს, რომ საამაყო, №2 საშუალო სკოლა-გიმნაზიის შენობაში მეცადინეობა ისევ განახლდება, რაც ქართული უკვდავი გენის აღორძინების კიდევ ერთი უტყუარი მაგალითი იქნება.

გვჯერა, სამართლიანობა თანდათან აღსდგება აფხაზეთში, აბსუების აზრობრივი პოტენციალი გადაიხრება დემოკრატიისაკენ და ქართველებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაძლებლობაში დარწმუნდებიან, რაც მათი გადარჩენის ერთად-ერთი გამოსავალია.

და ბოლოს, ღმერთმა დაგლოცოთ წიგნისათვის „დადუმებული ცოდნის ტაძარი“, ძვირფასო, ნიჭიერო და ბრძენო, მერხის მეგობარო ჩემო დაიკო მზია, ასევე მადლობას მოვახსენებ ჩემი თაობის სკოლა დამთავრებულთა სახელით, ჭეშმარიტ მამულიშვილს ბატონ კლიმენტ ქობალიას ასეთი უკვდავი ნაშრომისათვის.

მე დაზუსტებით არ ვიცი რა კეთდება აფხაზეთში სხვა „დადუმებული ცოდნის ტაძრების“ უკვდავსაყოფად, მაგრამ აფხაზეთის განათლების სამინისტროს მოღვაწოების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს გაგრიდან ენგურამდე ყოველი ქართული სკოლის შესახებ მოკლე ინფორმაციული წყაროების შექმნა და ცალ-ცალკე გამოქვეყნება, რა თქმა უნდა სანამ ამ სკოლის მოღვაწე პედაგოგები ჯერ-ჯერობით საღ-სალამათები არიან.

მუხრან ბიწაძე

უცნობი და ნაცნობი დეტალები სოფელ ქვაციხის უძველესი ისტორიიდან

ციხე თუ ყორღანი

წინათქმა:

„ადგილს, რომლის შესახებაც უნდა მოგითხროთ და ვიმსჯელოთ, მას ადგილობრივი მოსახლეობა დაახლოებით ოთხი საუკუნეა წმინდა ადგილად მიიჩნევს და მას „საკურწის წმ. გიორგის ჯვრის“ ხშირად კი მხოლოდ „ჯვრის“ სალოცავის სახელწოდებით მოიხსენიებს. ხოლო შორეული წარსულისა და ამ ადგილის არსებობის, დანიშნულებისა და ფუნქციის შესახებ არსებითად არავინ არაფერი იცის. სამწუხაროდ ისტორიული წყაროებიც დუმან და არას გვაუწყებენ მის შესახებ. მე შევეცადე გამერკვია ამ ძირძველი ადგილის წარმომავლობა და წარმომეჩინა მისი რეალური სახე. გადმოგცემთ ჩემს მოსაზრებებსა და ვერსიებს და იმასაც თუ რას ეყრდნობა და რაზეა ისინი დაფუძნებული“.

სოფელი ქვაციხე ქ. ჭიათურიდან ჩრდილო დასავლეთით 18 კმ-ის მანძილზე მდებარეობს. იგი ზღვის დონიდან 600 მ-ის სიმაღლეზე იმყოფება. მას ჩრდილოეთით ტყიბულის, დასავლეთით თერჯოლის, ხოლო სამხრეთ დასავლეთით ზესტაფონის რაიონები ესაზღვრება. ასევე ჩრდილო დასავლეთით ადგილობრივი პატარა მთა წიფორა და ჩრდილოეთი-

დან რაჭის მთები გადმოჰყურებს. ხოლო შორს, სამხრეთ დასავლეთით მოსჩანს თრიალეთის მთებიც. ასეთი ხედი იშლება „საკურწის წმ. გიორგის ჯვრის“ სალოცავიდან.

სოფელ ქვაციხეს აღმოსავლეთის მხრიდან და მდინარე „ცხრაპირას“ სათავიდან სამხრეთით 200-იოდე მეტრის მოშორებით გადმოჰყურებს 25 მ-ის სიმაღლის და 50 მ-ის სიგანის კლდე, რომელიც მთლიანობაში შეიძლება ითქვას ერთ უზარმაზარ ქვას წარმოადგენს. ერთი შეხედვით გვეჩვენება რომ ეს კლდე ხელოვნურად აგებული ძველი ციხე-სიმაგრეა, სწორედ მის ზედა მხარეს, რომელსაც მისადგომი აღმოსავლეთის მხრიდან აქვს მას უწოდებენ „საკურწნის წმ. გიორგის ჯვრის სალოცავს“ და არ არის გამორიცხული სოფლის სახელწოდება „ქვაციხე“ კლდეში ანუ ამ შემთხვევაში ქვაში არსებულ ციხესთან იყოს დაკავშირებული. ხოლო მოსახლეობა მის ახლო ტერიტორიებს დღესაც „ნაციხვრების“ სახელწოდებით მოიხსენიებს.

აღნიშნულ ქვას, ანუ კლდეს დასავლეთის მხრიდან აქვს დიახ 80 სმ-ის სიმაღლის პატარა შესასვლელი, საიდანაც აღმოჩნდებით პატარა ზომის კლდის დარბაზში. რომლის ფართი დაახ. 3X4მ^2-ს შეადგენს, სიმაღლე 15 მ-ს, ხოლო დარბაზის კლდის ბუნებრივი სახურავი დრო-ჟამთა ვითარების გამო ჩამონგრეულია, მხოლოდ მცირეოდენი ნაწილიღაა შემორჩენილი. ამ პატარა დარბაზს ნამდვილად ეტყობა შორეული წარსულის კვალი. კლდეზე აშკარად ეტყობა ჯაჭვის კიბის კვალი და ასასვლელი ზემოთ გვირაბისაკენ, რომელიც ათიოდე მეტრის სიმაღლეზეა. გვირაბში შეღწევა ვერ ხერხდება, რადგან სიღრმეში მიმავალი გვირაბის ნაწილი ჩამონგრეულია. გადმოცემით და თვითმხილველების თქმით – გვირაბით გადიხართ „ოთახებში“ სადაც ქვის დიდი მაგიდა და ქვის სკამებია გამოკვეთილი. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც კლდის იგივე „დიდი ქვის“ ჩრდილოეთით ორასიოდე მეტრში გამოედინება მდინარე ცხრაპირა (აღნიშნული მდინარე სოფ. ვაჭევას კასტრული მღვიმიდან იღებს სათავეს) და შიდა რელიეფი აქაც კასტრულია, ადვილი შეაძლებელია კლდეში ანუ „ქვაში“ შეფარებული ადამიანები კასტრული რელიეფის მეშვეობით მდინარესაც უკავშირდებოდნენ.

ჩემი ვარაუდით აღნიშნულ ადგილს ადვილი შესაძლებელია შორეულ წარსულში ჰქონიდა ციხის დანიშნულება და ფუნქცია. ე.ი. კლდეში ანუ იგივე „ქვაში“ არსებობდა ციხე სადაც ადამიანები თავს აფარებდნენ. სოფლის სახელწოდებასაც ქვაციხე ჩემი აზრით აქედან მომდინარეობს ანუ „ქვასციხე“ იგივეა რაც დღევანდელი სახელი ქვაციხე.

დასახელებულ კლდეს (რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ ვისაუბრეთ) მისი აღმოსავლეთი მხარე არანაკლებ საინტერესო და საყურადღებოა. აღმოსავლეთის მხრიდან აღნიშნულ კლდეს აშენებული, უფრო ზუსტად მოდგმული აქვს ხელოვნური ბორცვი, რომელიც ჩემს მიერ იქნა აღმოჩენილი XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. ბორცვის სიმაღლე 8 მ-ს შეადგენს, ხოლო ძირა დაბლა მხარის გარშემოწერილობა დაახლოებით 120 მ-მ-ს შეადგენს. თვითონ ბორცვი კი ქვებითა და მიწითაა ნაგები, ხოლო ზემოდან ამ ქვებისა და მიწის მასას 10-15 სმ-ის სისქის დუღაბი (კირხსნარი) ჩასხმულია მთლიანი ზედაპირის მასშტაბით. რომელიც მიწითა და მინდვრითაა დაფარული და მნახველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება რომ აღნიშნული ბორცვი ბუნებრივია და გარეგნულად ხელოვნურად აგების არაფერი ეტყობა ისეა შეხამებული გარემოსთან. ბორცვის ზედა მხარე მოსწორებულია, იგი კლდის ქიმის პარალელურადა გასწორებული და მისი ფართობი 200 კვ.მ-ს შეადგენს.

ბორცვის ზედაპირის შუა ნაწილში ორი მეტრის სიღრმეზე არის ოვალური ნაგებობა, რომელიც გაკუთხული ქვითა და დუღაბითაა ნაშენი, ხოლო მისი სიგრძე ორ მეტრს აღემატება. მე მას სიმბოლურად „გაძარცული სამარხი“ ვუწოდე. ჩემი აზრით ძნელია იმის თქმა რომ იქ სხვა რამ ყოფილიყო. აღნიშნული „სამარხიდან“ ჩრდილოეთით მეტრ ნახევრის მოშორებით გავაკეთე არქეოლოგიური ჭრილი 3 მ-ის სიღრმის და 2 მ. სიგრძის. ზე-

დაპირიდან 30 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ქვევრი, რომლის სიმაღლე შეადგენს 115 სმ. ხოლო შუა ნაწილის დიამეტრიც 150 სმ) იგი მიწით იყო ამოვსებული, ხოლო ქვევრს აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან ფაქტიურად მის ირგვლივ დაახლოებით 1 მ-ის სისქის, მეტრნახევარი სიგრძის და ამდენივე სიღრმის კედლები აქვს ამოშენებული, კედლები დუღაბითაა ნაშენი და ქვევრიც დუღაბშია ჩასმული. მთელი ეს ნაგებობა ცენტრში კი ქვევრით ჩრდილოეთის მხრიდან ებმის ქვის კედლების ნაშენით „გაძარცული სამარხის“ ნაგებობას. ძნელი სათქმელია ეს ქვევრსამარხი იყო თუ კიდევ მას სხვა დანიშნულება ჰქონდა. ჯერ-ჯერობით ეს ამოუცნობ საიდუმლოდ რჩება. ერთი კი ცხადია – ქვევრი ადრე ვიღაც სხვას ჰქონდა ნანახი, ვინაიდან ის საკმაოდ დაზიანებულია და მასში მიწასთან ერთად ქვებიც იყო ჩაყრილი. ამას ისიც ადასტურებს რომ XX ს-ის 60-იან წლებში (ადგილობრვების გადმოცემით) ზოგიერთი ადგილობრივს (რომლებთაგან დღეს ცოცხალი აღარავინაა) „განძის“ მოპოვების მიზნით დაუწყიათ თვითნებური გათხრების წარმოება ბორცვის ტერიტორიაზე. თვითმხილველების თქმით ისინი პოულობდნენ მიცვალებულების საფლავებს და მათ თავის ქალებსა და ძვლებს, ალბათ კვალის დაფარვის მიზნით ერთად ორმოებში ყრიდნენ – მარხავდნენ. ამიტომაც არის ნაპოვნი რამდენიმე ადამიანის თავის ქალა და ძვლები ერთად ჩაყრილი, აქვე უნდა ითქვას რომ ადამიანები მიწის ზედაპირიდან ნახევარი მეტრის სიღრმეზე იყვნენ დაკრძალულნი, თავი დასავლეთის მხარეს, ისე როგორც ეს ქრისტიანულადაა მიჩნეული. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ამ ადგილას წარსულში სასაფლაო ყოფილა. ამას ალბათ მათ აფიქრებინებთ ის გარემოება რომ აქ ადამიანები მასიურად იყვენენ დამარხული, ხოლო ხშირ შემთხვევაში ერთმანეთზეც ყოფილან დამარხულნი. ხელოვნურ ბორცვებზე სასაფლაოს არსებობას გამოვრიცხავ, ვინაიდან ასე ზერელედ ადამიანებს არ მარხავდნენ, მითუმეტეს ერთმანეთზე არ აწყობდნენ. ჩემი ვარაუდით საქმე უნდა გვქონდეს XVIII ს-ის 40-იან წლებში როცა ზემო იმერეთში შავი ჭირის ეპიდემიამ ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. ადამიანები იმ დროს მასიურად იხოცებოდნენ, ხოლო მათი ახლობლები როგორც და სადაც მოახერხებდნენ იქ მარხავდნენ. ჩემი ვარაუდით ასე იყო არსებულ სიტუაციაშიც, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ მიწის ზედაპირი – კირხსნარითაა დაფარული შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კირი ეპიდემიის შემდგომ გავრცელებას აფერხებდა.

ჩემი ვარაუდით ხელოვნურ ბორცვს სულ სხვაგვარი ფუნქცია და დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ასე მაგალითად: შუა საუკენეებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ქრისტიანულ რელიგიაში გავრცელებული იყო რელიგიური მიმდინარეობა მესვეტეობა. მორწმუნე ადამიანები (ბერები) უარს ამბობდნენ ყოველგვარ ამ ქვეყნიურზე, ადამიანებისაგან მოშორებით კლდეებზე აგებდნენ მონასტრებს, ცხოვრობდნენ გამოქვაბულებში და თავიანთ დარჩენილ სიცოცხლეს ღმერთისადმი ლოცვაში ატარებდნენ. ამის კლასიკური მაგალითია ჩვენს მახლობლად არსებული კაცხის სვეტი და მისი ისტორია.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი „მესვეტეობის“ ვერსიას ბოლომდე ვერ გამოვრიცხავ. იქნებ მართლაც იყო აქ ასეთი ქრისტიანული მიმდინარება და ვინ იცის რომ ბორცვზე დაკრძალული ადამიანები მორწმუნე ბერები ანუ „მესვეტეები“ არ არიან. თუმცა ბერებს ანუ „მესვეტეებს“ ნამდვილად გაუჭირდებოდათ ამოდენა ხელოვნური ბორცვის აგება, ან კიდევ ვინ იცის იქნებ ეს ბორცვი შუა საუკუნეებამდე რამდენიმე საუკუნეების მიღმა არსებობდა?

ჩემი ვარაუდით ბორცვთან მიმართებაში საქმე უნდა გვქონდეს ქრისტიანობამდე არსებულ ეპოქასთან. ამას მაფიქრებინებს შემდეგი გარემოებები: ბორცვიდან აღმოსავლეთით 70 მ-ის მოშორებით ადგილობრივმა მკვიდრმა ნოდარ ბედინაშვილმა გასული საუკუნის 70 –იან წლებში ყანაში მუშაობისას იპოვა მონეტა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ბორცვთან ახლო მდებარე ყანებში მრავლადაა კერამიკის ნამსხვრევები. უფრო მეტიც, 70 -იანი წლების

ბოლოს აღმოჩნდა რამდენიმე ხანჯალი, რომლებსაც დღემდე ვერ მივაკვლიე და არც მათი ლითონური წარმომავლობის შესახებ ვიცი რამე. დავუბრუნდეთ ზემოთ აღნიშნულ მონეტას. მასზე ქალის ფიგურა (სახე) ყოფილა გამოსახული რაღაც უცხო წარწერით. როგორც ნ. ბედინაშვილი ამბობს მონეტა ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს წაუღია, ხოლო იქიდან თბილისში გადაუგზავნიათ და რაც ყველაზე მთავარია, წარწერა იქაც ვერ ამოუკითხავთ. (მე მეეჭვება რომ იმ დროინდელ ქართველ მეცნიერებს ის ვერ შესძლებოდათ). შემდეგ კი ეს მონეტა მოსკოვში მოხვედრილა, იქიდან კი ლონდონში. როგორც ნ. ბედინაშვილი აღწერს მონეტას, იგი ჩემი ვარაუდით უნდა იყოს ძველი ბერძნული მონეტა „აფროდიტას“ გამოსახულებით. სამწუხაროდ მონეტის ისტორია გაურკვეველია და ჯერ-ჯერობით მის სიზუსტეს ვერ დავადგენთ. მეორე უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტი ისაა, რომ ბორცვიდან ჩრდილო დასავლეთით ასიოდე მეტრში ნაპოვნია შუა ბრინჯაოს ხანის დროინდელი ხელშუბის პირი რომელიც 3000-2800 წლის წინანდელია და ის ამჟამად ჩემთან ინახება. ჩემს მიერ წარმოებული არქეოლოგიური ჭრილიდან რაიმე ხელმოსაჭიდი ექსპონატი ჯერ-ჯერობით ნაპოვნი არაა, თუ არ ჩავთვლით ქვევრს და კერამიკის ნამსხვრევებს.

და მაინც მე ვფიქრობ ეს ხელოვნური ბორცვი ქრისტიანობამდე არსებულ ეპოქას უკავშირდება. ჩემი ვერსიით საქმე უნდა გვქონდეს ერთ-ერთ უძველეს ყორღანთან. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ ბორცვიდან სამხრეთით ასიოდე მეტრში გადიოდა ძველი საქარავნო გზა (იხ. მ. ბერძენიშვილი ტ. VIII) რომლის გარკვეული მონაკვეთი დღესაცაა შემორჩენილი ხოლო გადმოცემის მიხედვით ამ გზის პირას მდგარა ბუნებრივი ხე კედარი – უთხოვარირომელსაც ჯვრის ფორმა ჰქონია. მისი კუნძის და ფესვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (რომელიც დღემდე შემორჩენილია) ხე რამდენიმე ათეული მეტრის უნდა ყოფილიყო. მოსახლეობა ამ ადგილს წმინდა ადგილად მიიჩნევს ხის კუნძზე ანთებენ სანთლებს, ფულსაც სწირავენ. ძნელი სათქმელია მაგრამ ეს ტრადიცია იქნებ კავშირში იყოს ძველ წარმართობასთან, როცა ადამიანები აკულტებდნენ (აღმერთებდნენ) ბუნებრივ საგნებს თუ მოვლენებს, აგრეთვე ციურ სხეულებს, ცხოველს, ხეს, კლდეს და ა.შ.

ხოლო ხელოვნური ბორცვი თუ მართლა ყორღანია, არ გამოვრიცხავ რომ აქ რომელიმე უცხოელი მხედართმთავარი, ან დიდებული იყოს დამარხული. ამას მაფიქრებინებს: 1. მონეტა, 2. საქარავნო გზა, 3. ხელშუბის პირი. რა თქმა უნდა ყორღანის ქართულ ვერსიას უპირატესობას ვანიჭებ.

მაგრამ სამწუხაროდ ისტორიული წყაროები აარფერს გვაუწყებენ ჩემს მიერ დასახელებული ვერსიების შესახებ. თუ არ ჩავთვლით XVIII ს-ის ცნობილ საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს. რომელიც მდ. ცხრაპირას ღრუდოს უწოდებს და აღნიშნავს: „ადგილობრივი მოსახლეობა ღრუდოში კალმახს ფაცერით იჭერს, ხალხნი არიან გონიერნი და თვინიერნი“. (იხ. ვ. ბატონიშვილი - „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“.) სულ ეს არის რასაც ვახუშტი გვაწვდის ჩვენი სოფლის შესახებ, ხოლო ეს კიდევ მაფიქრებინებს რომ საქმე უნდა გვქონდეს ძალიან შორ ისტორიულ წარსულთან. ე.ი. ვახუშტის დროს იგივე სახე ჰქონდა ხელოვნურ ბორცვს და მის შემოგარენს. ხოლო ბორცვი რომელიც „წმინდა გიორგის ჯვრის სალოცავის“ სახელით მოიხსენიებენ აღნიშნავენ გიორგობის დღესასწაულს, მოდიან სტუმრებიც მეზობელი მხარეებიდან.

ხოლო ოთხი წელია რაც ამ ადგილას ჩემმა მეგობარმა რაიბული ბრეგვაძემ წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი ააგო. გადმოცემის მიხედვით წარსულშიც ყოფილა აქ სალოცავი, მაგრამ რაიმე ნაშთი მისი არსებობის შესახებ არ ჩანს.

ზემოთ დასახელებული ხელოვნური ბორცვიდან დაახლოებით 4 კმ-ში ჩრდილო აღმოსავლეთით სოფლის განაპირას არის ამაღლებული ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „წვერს“ უწოდებს. ზოგი ადგილობრივების გადმოცემით ამ ადგილას უნდა

ყოფილიყო ციხე სახელწოდებით „ქვეციხე“. მოგახსენებთ რომ „ზეციხე“ არსებობდა სოფელ ხრეითში და მისი ნაშთი დღესაცაა შემორჩენილი, რომელიც ქვაციხიდან ჩრ. აღმოსავლეთით 10-12 კმ-ის მანძილზეა. ხოლო რაც შეეხება „წვერს“ და იქ არსებული ციხის ვერსიას, აქ მართლაც არის მცირეოდენი ნაგრევის რაღაც ნაშთი, მაგრამ ძნელი სათქმელია აქ ციხე იდგა, სათვალთვალო კოშკი თუ სხვა დანიშნულების რაიმე ნაგებობა. ამ ადგილის კავშირ-ურთიერთობას ხელოვნურ ბორცვთან, მითუმეტეს ძველ დროში არ გამოვრიცხავ. უფრო მეტიც - „წვერზე“ (დაახ. 5 – ოდე წლის წინ ადგილობრივმა მკვიდრმა დათო ჩუბინიძემ იპოვა) ბრინჯაოს ცული, რაც რა თქმა უნდა იგივე ეპოქისაა, როგორც ხელოვნურ ბორცვზე „ჯვარზე“ ნაპოვნი ხელშუბის პირი. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ჩემს მისწრაფებას იქით რომ ჩვენი მხარე „ქვაციხე“ უძველესი ისტორიული ეპოქიდან მომდინარეობს. (აღნიშნული ცულის მოძიება და მიკვლევა ჯერ კიდევ შეიძლება...).

ახლა რაც შეეხება სახელს „ქვაციხეს“.

არ გამოვრიცხავ იმას რომ შეიძლება მართლაც არსებობდა „წვერზე“ ასეთი სახელწოდების ციხე ან სათვალთვალო კოშკი, მაგრამ მე გამოვრიცხავ რომ სახელწოდება „ქვაციხე“ არა მგონია „ქვეციხედან“ წარმომდგარიყო. მივაქციოთ ყურადღება „ქვა ციხე“, რომელიც ნაწარმოები შეიძლება იყოს. „ქვას ციხე“-დან – რაც ქვაში არსებულ ციხეს მიანიშნებს. ხოლო დროთა ცვალებადობისა და გასვლის შედეგად ადვილი წარმოსადგენია რომ თანხმოვანი - ს – ამოვარდნილიყო (გამქრალიყო) სიტყვიდან „ქვას ციხე“ და მიგვეღო დღევანდელი სახელწოდება ქვაციხე. ხოლო „ქვეციხის“ შემთხვევაში ხმოვანი –ე- უნდა გადაკეთებულიყო –ა-ად, უნდა მიგვეღო „ქვაციხე“, რაც ძალზე იშვიათად ხდება ქართულ ლექსიკაში და ასეთ ვარიანტს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე პირადად გამოვრიცხავ.

ხოლო თუ ასეთი სახელწოდებით ციხე მართლა არსებობდა ეს ჩვენ ისევ ხელოვნურ ბორცვთან მიმართებაში უნდა ვეძიოთ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კლდე ანუ „ქვა“, რომლის სიმაღლე 25 მ-ს სიგანე კი 50 მ-ს შეადგენს და მას აღ. მხრიდან მიდგმული ანუ მინაშენი აქვს 8 მეტრიანი სიმაღლის ხელოვნური ბორცვი, არ არის გამორიცხული ოდესღაც კლდეში იგივე „ქვაში“ არსებული ციხე დამალეს, რომ ის მტრისათვის არ ყოფილიყო შესამჩნევი და ხელმისაწვდომი. ხოლო ბორცვი ისეა აშენებული ადგილ-მდებარეობას რომ ვერანაირად ვერ გაარჩევ და ვერ წარმოიდგენ რომ ის ხელოვნურადაა შექმნილი. ხოლო ბორცვის ზედა ნაწილი, რომელიც კლდის „ქვის“ ზედა მხარესთანაა გასწორებული და რომლის ფართობი კლდის ზედაპირთან ერთად 200 კვ.მ-ს შეადგენს და სწორედ მის ქვეშა ციხე რომელზეც უკვე ვსაუბრობდით და სახელწოდება „ქვაციხე“ რაც ნიშნავს ქვემოს, დაბლა-ქვეშ არსებულს. ხოლო ასეთ შემთხვევაში კი საქმე უნდა გვქონდეს იმასთან რომ სახელწოდება „ქვეციხე“ იგივე ციხის ანუ „ქვაში“ არსებულ ციხეზე „ქვას ციხე“-ზე (ქვაციხე)-ს უნდა მიუთითებდეს.

ციხის არსებობის ჩემი ვერსია ადრე თუ გვიან აუცილებლად დადასტურდება და ჩვენს სოფელს რომელსაც დღეისათვის „საკურწე“ ეწოდება და ქვაციხის საკრებულოს შემადგენლობაში შედის და ამ ორი სოფლის სიმბოლური საზღვარი მდინარე ცხრაპირაა, ხოლო ჩემი ვერსიის დადასტურების შემთხვევაში სოფელი საკურწე აღიდგენს თავის ძირძველ სახელწოდებას „ქვაციხე“-ს.

დღეს-დღეისობით ჩემი ვერსიები ვერსიებად რჩება, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ ჩვენი სოფელი ისტორიულ წყაროებში XVI ს-დან იხსენიება, მაშინ შეიძლება წინააღმდეგობებში ვარდებით, მაგრამ იგივე ბრინჯაოს ხელშუბის პირი, ბრინჯაოს ცული (რომ არაფერი ვთქვათ მონეტის შესახებ). გვაძლევს იმის გარანტიას ვიფიქროთ რომ სოფელმა „ქვაციხემ და მისმა ისტორიამ XVI საუკუნიდან 3000 (სამი ათასი) წლის წინანადელ ეპოქაში გადაინაცვლოს.

ეს რა თქმა უნდა დიდი აღმოჩენა და მიღწევა იქნება არა მარტო ჩვენი სოფლისა და ქვეყნისათვის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის.

ჭიათურა – ქვაციხე

ბოლო თქმა:

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩემი მოსაზრება არსებული ხელოვნური ბორცვის შესახებ წერილის სახით გადავეცი არქეოლოგიურ ცენტრს თბილისში, რომელიც იქნა განხილული არქეოლოგიურ საბჭოზე. პასუხიც მივიღე ბ-ნ ვახტანგ ჯაფარიძისაგან. მაგრამ ქვეყნის იმ დროინდელი პოლიტიკურ – ეკონომიკური და ასევე ისტორიული წყაროების არ არსებობის გამო აღნიშნულთან დაკავშირებით კვლევა-ძიება არ დაწყებულა. დღეისათვის კი შედარებით სხვა ვითარებაა თანაც ისტორიული მასალები მეტი მაქვს წარმოდგენილი. ვფიქრობ დაინტერესება იქნება აღნიშნული ადგილის მიმართ და დღემდე არსებულ ბევრ გაუცემელ კითხვას გაეცემა პასუხი.

მუხრან ბიწაძის ექსპედიცია საკურწის მიმდებარე ტერიტორიაზე (კერძოდ, ეკლესიაში).

მორისონ ქობულია



ადამიანთა საზოგადოების ისტორიისა და ბუნების მოვლენათა ფილოსოფიური კვლევის ახალი მეთოდიკის შესახებ

ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში ახალი ისტორიული ეპოქა დაიწყო მეოცე საუკნის ორმოცდაათიანი წლებიდან, კერძოდ მაშინ, როდესაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს ატომური ენერგია, გამოიგონეს ატომური რეაქტორი და მისი ეფექტურად მართვის მიზნით გამოიყენეს კომპიტერული ტექნიკა, რასაც შედეგად მოყვა მეცნიერულ – ტექნიკური რევოლუცია. აი, ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდიდან იწყება რევოლუციერი პროცესები ადამიანთა სამეურნეო საქმიანიბაში, ეკონომიკაში, პოლიტიკასა და საზოგა – დოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. აქედან იწყება რადიკალური ცვლილებები თვით ბუნებაში, რომელიც უზარმაზარი პრობლემების წინაშე აყენებს კაცობრიობას. ოცდამეერთე საუკუნეში მეცნიერულ – ტექნიკური რევოლუცია დაჩქარებული ტემპებით ვითარდება და ძველი პრობლემები კი არ მცირდება, არამედ ახალ – ახალი გადაუჭრელი პრობლემები ჩნდება და სულ უფრო საშიშ სახეს იღებს იგი.

რაშია საქმე? რატომ ხდება ასე და არა სხვაგვარად?

თუ სისწორით დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ კომპიუტერული ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონის, ატომის ბოლომდე დაშლის შედეგად მიკროსამყაროში მოპოვებული აღმოჩენების, კოსმოსის ათვისების შედეგების, ბიოლოგიაში მოპოვებული წარმატებების, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობის დამადასტურერებელი მეცნიერული გამოკვლევების და სხვა მეცნიერებებში მოპოვებული ფაქტების ახსნა შეუძლებელია კანტის „დუალიზმით“, ჰეგელის იდეალიზმითა და მარქსის მატერიალიზმის კვლევის მეთოდებითა და მსოფლმხედველობით, მათი ფილოსიფიური თეორიებით. მით უფრო, შეუძლებელია მათი ისტორიული და ეკონომიკური შეხედულებებით იმ პროცესების გაგება, რომელიც მიმდინარეობს საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობაში, კაპიტალისტური და სოციალისტური ცხოვრების წესებში, მათ ბაზისსა და ზედნაშენში, საზოგადოებრივ ყოფიერებასა და მის ცნობიერებაში.

მეცნიერულ – ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, შეცვალა არამარტო საზოგადოების ისტორია, არამედ ის გეოგრაფიული გარემო, სადაც თითოეულ ჩვენთაგანს უხდება ცხოვრება. შეცვალა არა უკეთესობისაკენ, არამედ უარესობისაკენ. ისე, რომ კაცობრიობა მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესიის განვითარების უკუპროპორციული სისწრაფით მიექანება კატასტროფისაკენ. პრობლემები, რომელიც მსოფლიო საზოგადოების წინაშე წამოიმართა, იმდენად მზარდი, აშკარა და შოკისმომგვრელია, რომ მსოფლიო ცივილიზაცია პანიკურ რეჟიმში გადასვლის ზღვარს მიუახლოვდა, რაც ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში აისახება: ადამიანებმა დაკარგეს მომავლის რწმენა; აპოკალიფსის მოლოდინშია; „არმაგედონის დღის“ დადგომას ელოდება; ქრისტეს მეორედ მოსვლას შიშნარევი იმედით შეჰყურებს.

ჩვეულებრივი ობივალეტისათვის კი ცხოვრება თავისი გზით მიდის, ანუ მდიდრები კიდევ უფრო მდიდრებიან, ხოლო ღარიბები ღატაკდებიან. ხელოვნურად იზრდება ფასები ყველაფერზე; ნადგურდება სამუშაო ადგილები; მათხოვრებით აივსო ქუჩები; მილიონობით ადამიანები შიმშილით იხოცებიან; სწავლა – განათლებამ დაკარგა ფასი; კულტურისა და მეცნიერების დეგრადაციის პროცესი სახეზეა. ასეთ ვითარებაში რიგითი ადამიანებისათვის

ცნობილი გახდა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ამაზრზენი გეგმები. კერძოდ, მსოფლიოს შვიდმილიარდიანი მოსახლეობა სხვადასხვა ფარული მეთოდებით ხელოვნურად შეამცირონ „ოქროს ერთმილიარდამდე“.

დასაკარგი არაფერი გვაქვს. დადგა ის მომენტი, როდესაც უკან დასახევი გზა მოჭრილია, ამიტომ უნდა გადაიდგას გადამწყვეტი და მეცნიერული არგუმენტებით დასაბუთებული და სწორად გათვლილი ნაბიჯები – თეორიულად უნდა აიხსნას ახალი ეპოქის დაწყებიდან ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები, შემუშავდეს ახალი მსოფლმხედველობა, ახალი ფილოსოფიური აზროვნება, ახალი თეორია, ახალი იდეოლოგია და ახალი გეოსტრატეგიული პოლიტიკა, რომელიც უარყოფს ყველაფერ იმას, რაც მიძველებული და დრომოჭმულია, რაც დამყაყებული და რეაქციულია, რაც აბრკოლებს და ხელს უშლის კაცობრიობის პროგრესულ განვითარებას. ხმამაღლა და გაბედულად უნდა ვთქვათ უარი კლასთა ბრძოლის თეორიაზე, მდიდრების პრივილეგიებზე, მშრომელი ადამიანების ღირსებაშემლახველ, დამამცირებელ კანონებზე. უნდა დავიწყოთ სამართლიანობის აღდგენა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ერებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის, უფრო მეტიც, სამართლიანობის აღდგენა უნდა დაიწყოს კლასებსა და სოციალურ ფენებს შორის, სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რათა სამუდამოდ დამყარდეს დედამიწაზე მშვიდობა და კეთილდღეობა. აქედან გამომდინარეობს ის ძირითადი ამოცანა, თუ როგორ შეიძლება ყველა იმ უბედურების შეჩერება, რაც ხდება და შემდეგ მისი სასურველი მიმართულებით განვითარება? დღემდე მოღვაწე ცნობილმა და უცნობმა ადამიანებმა, მეცნიერებმა, ფილოსოფოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ სწორად აეხსნათ ჩვენი გარემომცველი სამყარო, ბუნება და ადამიანთა საზოგადროებივი ცხოვრების ის სინამდვილე, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. მაგრამ მათ მიერ შემუშავებული ფილოსოფიური თეორიები და მსოფლმხედველობები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე ეპოქის პრაქტიკულ მოთხოვნებს, ამიტომ ჩვენს წინაშე დგას ურთულესი ამოცანა – შევიმუშაოთ ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისა და ბუნების მოვლენების შესწავლის ახალი მეთოდი, მასში აღმოცენებული კანონების შეცნობის ახალი მეთოდი, რათა შესაძლებელი გახდეს სამყაროში, ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების სწორი ახსნა, ამ მოვლენათა სწორი გაგება. ვიპოვოთ საგნებსა და მოვლენებს შორის ორგანული კავშირი, მათი ერთმანეთისაგან დამოკიდებულება და მათი ურთიერთგანპირობებულება. ვიპოვოთ ის მთავარი და არსებითი კანონი, რომელიც საერთო საფუძველია სამყაროს, ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოებისათვის. რა ფარულ კანონებს შეაქვს წესრიგი საგნებისა და მოვლენების მოძრაობაში, ცვალებადობასა და განვითარებაში.

ჩვენი კვლევა – ძიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა ფილოსოფიური მკვლევარები, ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული, თანამედროვე მეცნიერების ჩათვლით, სამყაროსა და ყველაფერი არსებულის პირველსაწყისის საფუძვლად აღიარებენ ან იდეას (იდეალისტები), ან მატერიას (მატერიალისტები), ან ორივეს ერთად (დუალისტები), მაგრამ არსად არ არის ნათქვამი, რომ არსებული სინამდვილის პირველსაწყისი შეიძლება იყოს ენერგია, ანუ ბუნების სხვადასხვა ძალები: ინერციის, სიმძიმის, ხახუნის, მიზიდულობის, გრავიტაციული, სითბური ან სხვა რომელიმე ძალა. მაშინ როდესაც ბუნების ძალები ყველგან გვხვდება და იგი ასრულებს ადამიანების შრომით საქმიანობაში უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. სწორედ ბუნების ძალები სცემდა შიშის ზარს ადამიანებს უძველესი დროიდან. სამწუხაროდ, ფილოსოფიურ მსჯელობებსა და კვლევებში ყველაზე ნაკლებად არის მასზე ყურადღება გამახვილებული. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არის ფილოსოფიური მეცნიერების ყველაზე სერიოზული ნაკლი, რომლის გამისწორებასაც შევეცდებით, რადგანაც ბუნების ძალების შემო-

ტანა ფილოსოფიურ მსჯელობაში ჩვენ მეტად მნიშვნელოვან მომენტად გვესახება.

ამდენად, ახალი მსოფლმხედველობის ძირითადი ღირსება იქნება ის, რომ ყოფიერების პირველსაწყისის ცნებაში ერთ–ერთ ძირითად კომპონენტად შემოგვაქვს ენერგია და მას ვაყენებთ მატერიისა და იდეის გვერდით, მათთან ორგანულ კავშირში, შეუქმნადი და დასაბამისეულის, პირველსაწყისის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ თუ კი შეიძლება ყოფიერების პირველსაწყისად აღებულ იქნას ან მატერია, ან იდეა, ან ორივე ერთად, ერთმანეთის პარალელურად, დუალისტურად, სავსებით ლოგიკურია და მისაღები უნდა იყოს ის, რომ ყოფიერების პირველსაწყისად სამერთიანი ელემენტი იყოს აღებული, რომლის შემადგენელი და ორგანულად შეკავშირებული ნაწილები იქნება – მატერია, იდეა და ენერგია. ასეთი ერთიანობის თვალსაჩინო მაგალითია თვითონ ადამიანი, რომელშიც თანაბარი სიძლიერითა და ჰარმონიით არის შერწყმული და შეზავებული მატერია, სულიერება და ბიოენერგია. რომლის პარაფსიქოლოგიური და ექსტრასენსული წვდომის არეალი უსასრულოა.

შემთხვევით არ უნდა იყოს ქართულ ენაში სამყარო ორი ცნებით გამოხატული: ა) სამი და ბ) ყარო. რომელშიც შეიძლება იმთავითვე ნაგულისხმევი იყოს რაღაც სამი საწყისის შესახებ, ანუ სამი წყაროს შესახებ . სამი წყარო, სადაც ცნებათა გაერთიანების პროცესში „ი“ და „წ“ ბგერები ამოვარდა და დარჩა „სამყარო“. ეს ცნება კი ნიშნავს ყოველივე არსებულის ერთობლიობას. „სამების“ ცნება რელიგიაში დაკონკრეტებული და განმარტებულია შემდეგი სახით – „მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა“. მამა ღმერთში იგულისხმება არამატერიალური, აბსოლუტური გონი (ჰეგელი), ძე ღმერთი განსხეულებული ღმერთი ქრისტე, ხოლო სულიწმინდაში კი რაღაც უხილავი ძალა; მატერიალურ სამყაროში სამება, ანუ სამერთიანი პირველსაწყისი ასე გამოიყურება – მატერია, ენერგია და იდეა (ცნობიერება) ადამიანის ტვინით გამოვლენილი; ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში სამება შემდეგი სახით იკვეთება, კერძოდ, გეოგრაფიული გარემო, სადაც ადამიანის არსებობისათვის ყველა პირობაა შექმნილი, თვითონ ადამიანი თავისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობებით და ბუნების ძალები, რომელსაც ადამიანი თავის შრომით საქმიანობაში მუდამ იყენებს. ამდენად, სამების პრინციპები სამყაროს, ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ყველა სფეროში მკაფიოდ იკვეთება და მათი ერთიანობის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს.

უახლესი მეცნიერული აღმოჩენებით დადგინდა, რომ კოსმოსური გალაქტიკები და პლანეტები, ადამიანის ტვინის სფეროები და ინტერნეტის კომპიუტერული ქსელები კვანძებად არიან განლაგებული, რაც განპირობებულია გლობალური და ფუნდამენტალური კანონზომიერებით, რაღაც ერთიანი საწყისის საფუძველზე.

უაღრესად საინტერესოა ფიზიკის მეცნიერებაში მოპოვებული აღმოჩენები სამყაროს საწყისის ძიებაში, კერძოდ, ბირთვულ ფიზიკაში. აღმოჩენილია ატომის ბირთვის ემცირესი ნაწილაკები „ბოზონ ხიგსი“, ანუ „ღვთიური ნაპერწკალი“ და „ნეიტრინო“. დადგენილია, რომ ნეიტრინო არის სამი სახის: ელექტრონული, მიონური და ტაუონური. სამი ნეიტრინოსაგან შექმნილია ერთი კვარკი. ფიზიკოსებს ჯერ ვერ გაუციათ პასუხი იმაზე, თუ რატომ არის კვარკი ზუსტად სამი ფერის და ზუსტად სამი თაობის, ხოლო ამ რიცხვთა დამთხვევას რა ურთიერთობა აქვს ჩვენი სამყაროს სამგანზომილებიანობასთან. (სტანდარტული მოდელი – ელემანტარული ნაწილაკების აღნაგობისა და ურთიერთქმედების თანამედროვე თეორია). სამი რიცხვის მისტერია ამითი არ მთავრდება. ატომგულის სტრუქტურა აგებულია სამ – სამი კვარკებისაგან, ლეფტონებისა და ანდრონებისაგან. ასე, რომ „სამება“ შემთხვევითი მოვლენა არ შეიძლება იყოს. ახლა გადავხედოთ ადამიანთა საზოგადოების ისტორიას და დავინახავთ, რომ რიცხვი სამების პრინციპი წითელი ხაზივით გასდევს კაცობ-

რიობის ისტორიას უძველესი პერიოდიდან დღემდე. რომ ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ნამდვილი წანამძღვარია სამი ერთმანეთისაგან განუყოფელი ფაქტი, ანუ ობიექტურად არსებული სინამდვილე, რომელთაგან თუნდაც ერთის არარსებობის შემთხვევაში ვერ იარსებებდა ადამიანთა საზოგადოება როგორც ასეთი. ეს წანამძღვრებია: 1. გეოგრაფიული გარემო; 2. თვით ადამიანი, თავისი უნიკალური გონებრივი თვისებებითა და სხეულებრივი აგებულებით; 3. ენერგია, ანუ ბუნებაში არსებული სხვადასხვა ძალები. „სამების“ დიალექტიკური კავშირით არის განპირობებული ადამიანთა საზოგადოების და მისი კანონზომიერი განვითარება ისტორიული პერიოდების მიხედვით და მის ფარგლებში მარტივიდან რთულისაკენ, დაბალი საფეხურიდან მაღლისაკენ.

ადამიანთა საზოგადოების ისტორია კი იწყება ასე: ადამიანი მისი არსებობისათხელსაყრელ გარემო პირობებში, სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით იწყებს შრომის იარაღების წარმოებას, არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად (სამების უზოგადესი კანონზომიერებიდან გამომდინარე). შრომის იარაღების დამზადების პროცესში ადამიანი იყენებს ბუნების გარკვეულ ძალას. ეს არის ინერციის ძალა. ქვის ქვაზე დარტყმით

ადამიანმა ქვა გამოიყენა როგორც დანისთვის საჭირო მასალა და როგორც მარტივი იარაღი. შეგნებული, მიზანმიმართული შრომის დასაწყისშივე ადამიანმა ინსტიქტურად, მაგრამ შეგნებულად, „სამების“ ზოგადი კანონებიდან გამომდინარე გამოიყენა ბუნებაში არსებული ინერციული, ანუ დარტყმის ძალა. ადამიანმა დაარღვია დედამიწასა და ქვას შორის დამყარებული ძალთა წონასწორობა მასში არსებული ბიოენერგიისა და გონიერების გამოყენებით. ამ მომენტიდან იწყება ადამიანის მიერ შეგნებული შრომითი საქმიანობა და წარმოება. ტექნიკის ევოლუციური განვითარების პროცესში ადამიანი იძენს შრომით გამოცდილებასა და შრომით ჩვევებს, რომელსაც გადასცემს მომავალ თაობებს და ქმნის ადამიანთა საზოგადოების ისტორიას. „ისტორია სხვა არაფერია, თუ არა თანმიმდევრული ცვლა ცალკეული თაობებისა, რომელთაგანაც თითოეული იყენებს ყველა წინანდელი თაობის მიერ გადმოცემულ მასალას, კაპიტალსა და მწარმოებილ ძალებს“ (მარქსი). ყოველი ახალიისტორიული პერიოდი იწყება ისევ სამერთიანი წანამძღვრით – გეოგრაფიული გარემო, ადამიანი და ბუნების ახალი ძალა. ეს მეორე პერიოდი გამორჩეულია იმითი, რომ ადამიანი თავის შრომით საქმიანობაში ინერციულ ძალასთან ერთად იყენებს ბუნების სხვა ძალას, ამ შემთხვევაში სითბურ ძალას, ანუ ცეცხლს. ცეცხლის დასამორჩილებელი ტრქნიკური საშუალება არის კერია. ამდენად ადამიანი ცეცხლს იყენებს მიზანმიმართულად, გონივრულიდ და მას არ აძლევს სტიქიად გადაქცევის საშუალებას, როგორც ეს ბუნებაში ხდება ხოლმე. ადამიანთა საზოგადოება ამის შემდეგ განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა და ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. მაგრამ იგი აქ არ შეჩერებულა და განვითარერბის ახალ საფეხურზე გადასვლისათვის ყველა პირობა შეამზადა.

მესამე პერიოდი ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში დაიწყო მას შემდეგ, რაც ადამიანმა აღმოაჩინა ბუნების ახალი ძალა და გამოიგონა მისი დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალება – მშვილდი და ისარი. ეს იყო მოჭიმვის, ანუ დრეკადობის ძალა. ამ მესამე პერიოდშიც სახეზეა „სამების“ პრინციპი და მისი კანონზომიერი მოქმედება. „სამების“ ეს პრინციპი ადამიანთა საზოგადოების განვითარებას აძლევს მკაცრად განსაზღვრულ მიმართულებას, რადგანაც წარმოების მიზნით შექმნილი შრომის იარაღებით, ანუ ტექნიკური საშუსლებებით დამორჩილებული ბუნების ძალების მოქმედების კანონები განსაზღვრავენ საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის შეწონასწორების კანონებს, ასევე განსაზღვრავს ადამიანთა შრომით საქმიანობას, შრომის წესებს, ადამიანებს შორის ურთიერთობებსა და ცხოვრების წესებს, მათ ტრადიციებს, ადათ – წესებს, ზნეობას და აზროვ-

ნებასაც კი.

ადამიანთა საზოგადოებაში მოქმედმა „სამებამ“ განსაზღვრა ის, რომ სამი იტორიული პერიოდის მანძილზე ადამიანებს შორის არ ყოფილა ქონებრივი უთანაბრობა, კლასობრივი დაპირისპირება, არამედ ადამიანი იძულებული იყო თავი დაეცვა ბუნებისაგან, რომლის პირმშო იყო თვითონ, რადგანაც იგი ბუნებასთან განპირობებულ

ურთიერთობაში იმყოფებოდა. შრომის იარაღები, რომელსაც იყენებდა ბუნების მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, არ იძლეოდა სხვაგვარად არსებობის საფუძველს. მაგრამ განვითარების შემდგომ ისტორიულ პერიოდში, როდესაც ადამიანი გადავიდა წარმოებითი მეურნეობის ახალ ფორმაზე და შეძლო ბუნების ახალი ძალის – გამწევი ძალის გამოყენება და მისი დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალებების გამოგონება – გუთანი, უღელი, ბორბალი, ურემი, ეტლი და სხვა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ადამიანთა ურთიერთობაში ჩაისხა და თანდათანობით გამძაფრდა დაპირისპირება თვით ადამიანებს შორის, რომელიც გაგრძელდა მრავალი ათასი წელი და მოიცვა შემდგომი სამი ისტორიული პერიოდი. ქონებრივი უთანასწორობის ნიადაგზე წარმოშობილი კლასთა ბრძოლა დღესაც გრძელდება ყველაზე ბინძური და უხეში ფორმებით, რომლის რეალურად დაძლევის ობიექტური საფუძვლები მოამზადა ახალმა ეპოქამ, თუ როგორ ამაზე მსჯელობა გვექნება ქვემოთ.

გამწევი ძალის გამოყენებითა და მისი დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალე– ბების გამოგონებით ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში დაიწყო რიგით მეოთხე ისტორიული პერიოდი, საწყისი და წანამძღვრები სამელემენტიანი „სამება“ აღმოჩნდა, კერძოდ, გეოგრაფიული გარემო, ადამიანი და გამწევი ბიოლოგიური ძალა.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში რიგით მეხუთე ისტორიული პერიოდი დაიწყო მაშინ, როდესაც ადამიანმა დაიმორჩილა ისევ ბუნების ახალი ძალა – წყლისა და ქარის დინების ძალები და გამოიგონა მისი დასამორჩილებელი ურთულესი ტექნიკური საშუალებები – წყლისა და ქარის ბორბალი, კბილანები, ღვედური გადამცემები, მქნევარები და სხვა, რამაც სათავე დაუდო მანუფაქტურულ წარმოებასა და მანქანური ტრქნიკის გამოგონებებს. ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ ადამიამა დაიმორჩილა ორთქლისა და დენის ძალები და გამოიგონა მისი დასამორჩილებელი კიდევ უფრო რთული ტექნიკური საშუალებები, მაგრამ ამან კი არ შეამცირა კლასობრივი დაპირისპირება ადამიანებს შორის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ წარმოშვა ქვეყნებს შორის სისხლიმღვრელი ომები, გაამძაფრა წინააღმდეგობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, რელიგიურ მიმდინარეობებსა და სხვადასხვა ქვეყნის ერებს შორის. მსგასი პრობლემების გამძაფრება და მისი მასშტაბების ზრდა სახეზეა, მაგრამ ახალმა ეპოქამ, რიგით მეექვსე ისტორიულმა პერიოდმა შექმნა იმისი წინა პირობები, რომ კლასთა ბრძოლა დამთავ– რდეს, რადგანაც ატომური ენერგიის აღმოჩენით კაცობრიობა კვლავ დაუპირისპირდა იმ გეოგრაფიულ გარემოს რომელშიც მას უხდება ცხოვრება.

მეოცე საუკუნის 40 – 50 –ანი წლებიდან კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო კიდევ ერთი ახალი ისტორიული პერიოდი, რიგით მეექვსე პერიოდი, როდესაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს ატომური ენერგია და გამოიგონეს მისი დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალება – ატომური რეაქტორი, რომლის მსგავს ენერგიას მანამდე არ იცნობდა ადამიანი და რომლის მსგავსი ტექნიკური საშუალება არ ყოფილა ბუნებაში. ამ ენერგიის დამორჩილებისა და მართვის პროცესი იმდენად რთული იყო, რომ მისი მოქმედებაში მოყვანა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა კომპიტერული ტექნიკა. „სამების“ ასეთმა ურთულესმა გამოვლინებამ სათავე დაუდო ახალ ისტორიულ ეპოქას, რომლის განვითარების ახლანდელ საფეხურზე

ნათლად იკვეთება, რომ ატომის გახლეჩამ და უზარმაზარი ენერგიის გამოთავისუფლებამ გამოიწვია ისეთი რევოლუციური პროცესები, რომელსაც ვერ მოუძებნა ახსნა ადამიანის გონებამ და საზოგადოებრივი აზროვნების იმ მარაგმა, რომელიც დააგროვა კაცობრიობამ. ადამიანებმა პირველი სამი პერიოდი იცხოვრეს უკლასო საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, ხოლო მომდევნო სამი ისტორიული პერიოდი კი იცხოვრეს კლასობრივი ბრძოლის საშინელ პირობებში. პირველ სამ პერიოდში ადამიანს ბრძოლა უხდებოდა ბუნებრივი კატაკლიზმების წინააღმდეგ, რათა თავი გადაერჩინა, მეორე სამეულ პერიოდში კი, „ბუნებაზე გამარჯვებულმა“ ადამიანმა საკუთარ მოძმეს გამოუცხადა ომი და ასე იარა რამოდენიმე ათასი წელი, მაგრამ იგი კვლავ დაუპირისპირდა ბუნებას, მას შემდეგ, რაც გაარღვია მიკრო სამყარო ატომის ბირთვის გახლეჩით. „ამ თავხედობას“ კი ბუნება არ გვაპატიებს, ამიტომ ჩვენ გაფუჭებულ საქმეს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ.

ამდენად, ადამიანთა საზოგადოება ავიდა განვითარების ახალ საფეხურზე და მიაღწია უდიდეს წარმატებებს, მაგრამ დაუგროვდა ახალი ურთულესი პრობლემები, რომელთა დადებითად გადაჭრა შეუძლებელია ძველი მეთოდებითა და ხერხებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ, „სამების“ დიალექტიკური მეთოდის გამიყენებით გავაკეთოთ მსოფლიოში მიმდინარე პრაქტიკული პროცესების ანალიზი და საზოგადოებას შევთავაზოთ მეცნიერული არგუმენტებით დასაბუთებული მეთოდით იმ პრობლემების დადებითად გადაჭრის რეალური გზები, რომელიც ასე აშფოთებს მსოფლიო საზოგადოებას.

ამდენად, ჩვენ მივადექით ადამიანთა საზოგადოების განვითარების იმ ზღვარს საიდანაც დაწყებულია და ნათლად იკვეთება მისი განვითარების შორეული პერსპექტივები, სადაც შესაძლებელია ავაშენოთ ისეთი ახალი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის, ერისა და ეროვნების, თითოეული ადამიანისასათვის იქნება მისაღები და ბედნიერების მომტანი.

ადამიანთა საზოგადოების ისტორიისა და ბუნების ფილოსოფიური კვლევის მეთოდიკის შესახებისტორიის პერიოდიზაცია

ისტორიის მეცნიერებაში ფართოდ გამოიყენება ისტორიის პერიოდიზაცია. ისტორიული პერიოდების ერთმანეთისაგან გამიჯვნის საფუძვლად იღებენ რაიმე დიდმნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც ხდება ხოლმე საზოგადოებაში ან ბუნებაში. პერიოდიზაციის გამოყენებით ისტორიული მოვლენების მეცნიერული კვლევა უფრო მოსახერხებელია, რადგანაც სხვადასხვა ეპოქების შედარებითი ანალიზის დროს ნათლად ვლინდება მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, განმასხვავებელინიშნები და ცხოვრების მოვლენათა მემკვიდრეობითობა, აგრეთვე ის ძირითადი კანონზომიერებანი,რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანთა საზოგადოების განვითარებას. პერიოდიზაციის ერთიანიგაგება ჯერ-ჯერობით არ არის მიღწეული მაგრამ იგი ამ, ფორმითაცუდიდეს როლს ასრულებს მეცნიერებაში ისტორიული პროცესების - უკეთ შესწავლისსაქმეში.

ისტორიის პერიოდიზაცია ანტიკურ ხანაში გაჩნდა და იგი ისტორიას ოთხ პერიოდად ყოფდა: ოქროს საუკუნე, ვერცხლის საუკუნე, ბრინჯაოს საუკუნე და რკინის საუკუნე. თუ რატომაა ასეთი დაყოფა, ნამდვილად გაუგებარია. რომაელებმა შექმნეს ახალი პერიოდიზაცია. მათი აზრით, კაცობრიობამ გაიარა ოთხი დიდი პერიოდი: ასურეთ-ბაბილონის, მიდია-სპარსეთის, ბერძნულ-მაკედონიური და რომაული. ამაში ის აზრი იყო ჩადებული, რომ ღმერთმა მსოფლიო მმართველობა პირველად ჩააბარა ასურეთ-ბაბილონის მეფეებს,

შემდეგ მიდია-სპარსეთის მეფეებს, მოგვიანებით ბერძენ-მაკედონელებს, ბოლოს კი რომის იმპერიის მმართველებს. საბოლოოდასკვნა იყო ის, რომ რომის მმართველობა ღმერთის ნებით იყო შემოღებული და იგი გაგრძელდებოდა მარადიულად, სამყაროს დასასრულამდე.

XV-XVI საუკუნეებში, აღორძინების ეპოქაში შემოღებულ იქნა ისტორიის ახალი პერიოდიზაცია, ეგრეთ წოდებული სამწევრიანი დაყოფა: 1) ძველი მსოფლიოს ისტორია; 2) შუა საუკუნეების ისტორია; 3) ახალი ისტორია. უფრო მოგვიანებით ამას დაემატა უახლესი ისტორია. ამჟამად ისტორიულ მეცნიერებაში და სასკოლო სახელმძღვანელოებში გამოიყენება სამწევრიანი დაყოფა, პლიუს უახლესი ისტორია, რაც სასწავლო პროგრამების შედგენისათვის მოხერხებულია, ხოლო სკოლის მოსწავლეებისათვის ადვილად ასათვისებელი.

XIX საუკუნეში ფართოდ გავრცელდა ისტორიის სამწევრიანი დაყოფის სხვადასხვა ვარიაციები, რომელიც ეკონომიკასა და საქონლის გაცვლა-გამოცვლის წესებს ეფუძნებოდა: 1) კარჩაკეტილი საშინაო მეურნეობა; 2)სამოქალაქო მეურნეობა; 3) სახალხო მეურნეობა. ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ამერიკელმა მკვლევარმა ჰენრი მორგანმა შეიმუშავა სამწევრიანი პერიოდიზაცია. მან კაცობრიობის ისტორია უძველესი პერიოდიდან ჩვენამდე დაყო სამ პერიოდად: 1) ველურობა; 2) ბარბაროსობა; 3) ცივილიზაცია. არქეოლოგი მეცნიერების მიერ შემუშავებული პერიოდიზაცია სრულიად განსხვავდება დანარჩენებისაგან. არქეოლოგიის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ადამიანი დედამიწაზე გაჩნდა ორი მილიონი წლის წინათ. ამას ადასტურებს ადამიანის მიერ დამზადებული ქვის იარაღები, რომელიც ამოღებულია უძველესი ნასახლარებიდან არქეოლოგიური გათხრების შედეგად. არქეოლოგიური პერიოდიზაცია შემდეგი სახით არის დაყოფილი: 1) ძველი ქვის ხანა, ანუ პალეოლითი; 2) შუა ქვის ხანა, ანუ მეზოლითი; 3) ახალი ქვის ხანა, ანუ ნეოლითი; 4) სპილენძ-ქვის ხანა, ანუ ენეოლითი; 5) რკინის ხანა, რომელიც დღესაც გრძელდება.

ტექნიკის ისტორიის მეცნიერებმა განსხვავებული პერიოდიზაცია შექმნეს. მათი აზრით, ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მიერ ბუნების ძალების გამოყენებას. რომლის დასამორჩლებელი ტექნიკური საშუალებებია შრომის იარაღები. ადამიანის მიერ ბუნების ძალების გამოყენებაზე ყურადღება გაამახვილა ინგლისელმა მეცნიერმა ს. ლილიმ, ხოლო რუსმა მეცნიერმა შუხარდინმა შეიმუშავა შემდეგი სახის პერიოდიზაცია: 1) ბიოენერგეტიკა – მექანიკური სამუშაოების წყაროდ გამოყენებულია ცხოველისა და ადამიანის ენერგია; 2) მექანიკური ენერგია – გამოყენებულია მექანიკური ენერგია, რომელიც მჟღავნდება წყლისა და ქარის დინების სახით; 3) კომპლექსური ენერგია – უმეტესად გამოყენებულია მექანიკური მუშაობის წყაროდ სითბო, რომელიც გამოიყოფა სათბობის წვის დროს; 4) კომპლექსური ენერგია – უპირატესად გამოყენებულია პირველად წყაროდ სითბოს ენერგია და გიდრავლიკური, ხოლო მეორადი – ელექტრო ენერგიის სახით; 5)ატომური ენერგია – ბირთვული ენერგიის გამოყენება თბო და ელექტრო ენერგიის მისაღებად. გარდა ამისა, არსებობს ისტორიის პერიოდიზაციის სხვა ფორმებიც, რომელსაც ისტორიკოსები და ფილოსოფოსები იყენებენ საზოგადოების ამა თუ იმ მოვლენებისა და ისტორიული ფაქტების ანალიზის დროს. ევროპელ და ამერიკელ ისტორიკოსებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ისტორიის პერიოდიზაცია იდეების მიხედვით (რელიგია, იდეოლოგია, მსოფლმხედველობა), სულის თავისუფლების მიხედვით (ჰეგელი), რელიგიის მიხედვით: 1) კონფუცი, 2) ბუდა, 3) ქრისტე, 4) ისლამი. აგრეთვე მსოფლმხედველობის მიხედვით – კათოლიციზმი, ავტორიტარიზმი, დემოკრატიზმი, კომუნიზმი და ლიბერალიზმი. ზოგიერთები ისტორიულ პერიოდიზაციას ყოფენ დიდი ადამიანების მოღვაწეობის მიხედვით: მეფეების, იმპერატორების, გამოჩენილი მხედართმთავრების,პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრებისა და გამოჩენილი

ბიზნესმეწარმეების მოღვაწეობითაც კი. ასევე პოპულარულია ისტორიის პერიოდიზაცია იმპერიების ცვალებადობის მიხედვითაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა შეიმუშავეს ახალი ტიპის პერიოდიზაცია, რომელიც ფორმაციული პერიოდიზაცის სახელითაა ცნობილი, რომლის ძირითადი ნიშანი არის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, რაც ვლინდება წინააღმდეგობის წარმოშობით საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, რომელიც შემდეგ გადაიზრდება სოციალურ რევოლუციაში და მთავრდება ახალი ფორმაციის დაბადებით. ფორმაციებს, მათი აზრით, საფუძვლად უდევთ საკუთრების ესა თუ ის ფორმა და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეკონომიკური წყობით, წარმოებითა და ცხოვრების წესით. აქედან გამომდინარე, მათ ადამიანთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალად გამოაცხადეს წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, რომელიც წარმოიშვება ადამიანთა შრომითი საქმიანობის პროცესში. აქედან გამომდინარე, ისინი აკეთებენ დასკვნას, რომ პირველყოფილი თემური წყობილების დროს არსებობს წარმოების ერთი წესი, რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი საკუთრების ფორმა, მონათმფლობელური წყობილების დროს – წარმოების მეორე წესი, რომელსაც შეესაბამება მონათმფლობელური საკუთრება, ფეოდალიზმის დროს არსებობს წარმოების მესამე წესი, რომელსაც შეესაბამება მიწის ფეოდალური საკუთრება, კაპიტალისტური წყობილების დროს არსებობს წარმოების მეოთხე წესი, რომელსაც შეესაბამება კერძო საკუთრება, ხოლო სოციალიზმის დროს არსებობს წარმოების სხვა წესი, რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი საკუთრება. ყველა საზოგადოებრივი წყობილების შემადგენელ ნაწილებად აღიარებულია ბაზისი და ზედნაშენი. ბაზისში იგულისხმება წარმოება და ეკონომიკა, ხოლო ზედნაშენში – სახელმწიფოს პოლიტიკური და იურიდიულ – სამართლებრივი წყობა.

ზემოთ ჩამოთვლილი პერიოდიზაციები გამოიყენება სხვადასხვა ისტორიულ დარგებში კონკრეტული ისტორიული მოვლენების შესწავლისათვის, მაგრამ ისინი ვერ ქმნიან ისტორიის ერთიან სისტემას, ვერ იძლევიან კაცობრიობის განვითარების სრულყოფილ სურათს. ამიტომ ჩვენ შემოგვაქვს ახალი ტიპის პერიოდიზაცია, სადაც ცალლეულ პერიოდებს შორის გამყოფ საზღვარს ქმნის ადამიანის მიერ აღმოჩენილი კონკრეტული ბუნების ძალა და ამ ძალის დასამორჩილებლად გამოგონებული ტექნიკური საშუალება. ამ კონკრეტული მომენტიდან იწყება პროგრესული ცვლილებები საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. იგი გვაძლევს საშუალებას ვნახოთ თუ როგორ მიმდინარეობდა კაცობრიობის განვითარება და როგორ შეიძლება განვითარდეს იგი მომავალში.

ადამიანის მიერ აღმოჩენილი, დამორჩილებული და გამოყენებული ბუნების ძალების მოქმედების დინამიკა შემდეგი თანმიმდევრობით ლაგდება:

1) ინერციის ძალა (2,6 მილიონი წლიდან 600 ათას წლამდე).

2) ცეცხლის ძალა (600 ათასი წლიდან ძვ. წ. აღრიცვით 13 ათას წლამდე).

3)მოჭიმვის ძალა (ძვ.წ. აღრიცხვით 13 ათასი წლიდან ძვ. წ. აღრიცხვით 4 ათას წლამდე).

4) გამწევი ძალა (ძვ. წ. აღრიცხვით 4ათასი წლიდან ძვ. წ. აღრიცხვით III – I საუკუნემდე).

5) ბუნების უსულო ძალები (წყლის, ქარის, ორთქლის, აფეთქებისა და დენის ძალები), (ძვ.წ. აღრიცხვით III – I საუკუნიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე).

6) ატომის ძალა (XX საუკუნის 40-იანი წლებიდან და გრძელდება დღესაც).

აქ მოტანილი ქრონოლოგიური თარიღები მიახლოებითია, ამიტომ შეიძლება მისი შემდგომი შესწორება-დაზუსტება, თუკი მოხერხდება სათანადო მატერიალური და სხვა

სახის მასალების აღმოჩენა. თითოეული ასეთი ძალის გამოყენებას ადამიანის მიერ ბუნებასთან ურთიერთქმედების პროცესში, ადამიანსა და ბუნებას შორის ნივთიერებათა გაცვლის პროცესში, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს და ადამიანის გაძლიერებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ბუნების ძალები ადამიანთა საზოგადოების ყოველი ისტორიის წანამძღვრად და მისი არსებობის ერთერთ საფუძვლად გვევლინება თვით ადამიანთან და კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად.

საზოგადოების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ადამიანი ბუნების ახალი ძალების დამორჩილების შემდეგ კი არ ივიწყებს ადრე დამორჩილებულ ძალებს, არამედ პირიქით, მათში აღმოაჩენს ახალ თვისებებს და უფრო ეფექტურად იყენებს მას ახლად აღმოჩენილი და დამორჩილებული ძალის მეშვეობით.

ახლა განვიხილოთ დეტალურად ადამიანის მიერ აღმოჩენილი ბუნების ეს ძალები როგორ არიან ჩართულნი დიალექტიკურ კავშირში ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში, თვით საზოგადოების ყველა მიმართულებით კანონზომიერ და დინამიურ განვითარებაში, გეოგრაფიული გარემოს გარდაქმნის პროცესში და ბოლოს ადამიანის როგორც ინტელექტუალური ფენომენის ჩამოყალიბებაში.

1) გეოგრაფიული გარემოს შექმნა ადამიანის სურვილებზე არ არის დამოკიდებული, ადამიანი თვითონ არის დამოკიდებული გეოგრაფიულ გარემოზე და საერთოდ, ბუნებაზე. ადამიანი ბუნების კანონზომიერი განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღმოცენებული ფენომენია, განსაკუთრებული სხეულებრივი აგებულებით და გონებრივი ცნობიერებით, რომლის მთავარი დანიშნულება ალბათ ის არის, რომ სამყაროს ევოლუციური, ანუ თანდათანობითი შემეცნება და ბუნების გარდაქმნა ხდებოდეს მდგრადი სხეულებრივი აგებულების შენარჩუნების საფუძველზე. განსხვავება ადამიანსა და დანარჩენ ცხოველებს შორის დაიწყო იმითი, რომ ადამიანმა დაამზადა და თავის შრომით საქმიანობაში გამოიყენა ქვის იარაღები. ეს პროცესი არქეოლოგების მტკიცებით დაიწყო 2-2,5 მილიონი წლის წინათ, მაგრამ არცერთ მეცნიერს არ დაუსვამს კითხვა იმის შესახებ თუ როგორ მოახერხა ადამიანმა ამის გაკეთება? ამბობენ, რომ ქვის ქვაზე დარტყმით გამოჩორკნა ქვის წვეტიანი დანა და ხელცულიო. და ეს იყო ყველაფერი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დროს მოხდა უფრო დიდი ფაქტი ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. კერძოდ ის, რომ ამ დარტყმის პროცესში ადამიანმა გამოიყენა ბუნების ძალა, რომელსაც ფიზიკის მეცნიერები უწოდებენ ინერციის ძალას. რას ნიშნავს ეს? დედამიწის მიზიდულობის ძალის პირობებში ქვა და სხვა უსულო ბუნებრივი საგნები უძრავ ანუ ინერციულ მდგომარეობაში არიან დედამიწის მიმართ მანამ, სანამ მათზე რაიმე ძალა არ იმოქმედებს, სტიქიურად ან სხვა სახით. ჩვენი მსჯელობის შემთხვევაში ორი ქვა ადამიანმა შეგნებულად, წინასწარგანზრახვით, მიზანმიმართული მოქმედებით მოიყვანა მოძრაობაში და დარტყმის შედეგად მივიღეთ ჩვეულებრივი ქვისაგან ისეთი ფორმის საგანი, რომელმაც განმსაზღრელი როლი შეასრულა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში. ერთი შეხედვით, ამ უბრალო პროცესში მოხდა უდიდესი რევოლუციური გადატრიალება არა მარტო ცხოველთა სამყაროში, არამედ მთელ დედამიწაზე, უფრო მეტიც, მთელ კოსმიურ სამყაროშიც. ასეთი შეფასების გარეშე გაუგებარი დარჩება ადამიანის, როგორც ინტელექტუალური არსების როლი და ფუნქცია, როგორც ბუნების გარდამქმნელი და შემმეცნებელი ფენომენისა. ამდენად, ადამიანი არა მხოლოდ გამოეყო ცხოველთა სამყაროს და ამაღლდა მათზე, არამედ ინერციული ძალის გამოყენებით დაიწყო თვით იმ სამყაროსა და სივრცის მიზანმიმართული გარდაქმნა, რომლის პირმშოც თვითონ არის. ამდენად, მარტივი ქვის იარაღი არის ინერციული ძალების დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალება, რომლის მეშვეობითაც ადამიანი სწავლობს მის ირგვლივ არსებულ გეოგრაფიულ გარემოს, იღებს ყოველდღიურად

პრაქტიკულ გამოცდილებას და ამოწმებს მისი ნააზრევისა და საქმიანობის სისწორეს, სწავლობს ბუნებასთან ურთიერთობას. დასაწყისში ეს მოუტანა ადამიანს ქვის ქვაზე დარტყმამ და ინერციული ძალის დამორჩილებამ. შემდგომ ეტაპზე, დაიწყო რა სამეურნეო საქმიანობა ანუ წარმოება, ადამიანებმა შრომა გადაინაწილეს და გაჩნდა შრომის დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. როგორც ეკონომისტები ფიქრობენ, ასეთი დანაწილება იყო შრომის ასაკობრივი დანაწილება, რადგანაც ქვის იარაღების დამზადებას ალბათ ეწეოდნენ ხანდაზმული და გამოცდილი ადამიანები, ხოლო ამ იარაღების ეფექტურად გამოყენება შეეძლო კუნთმაგარ და ძლიერ ახალგაზრდებს. ამავე პერიოდიდან იწყება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესი, კერძოდ, პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის ჩამოყალიბება, რომელიც შეესაბამებოდა შრომის იარაღების წარმოების დაბალ საფეხურს და იგი ვითარდებოდა ქვის იარაღების წარმოებასთან ერთად. ეს არის ის ძირითადი ნიშნები, რომელიც მეორდება ისტორიის ყველა ახალი პერიოდის დასაწყისიდან და საზოგადოების პროგრესულ განვითარებას განსაზღვრავს.

2) ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში ახალი ისტორიული პერიოდი იწყება ისევ ბუნების სხვა ძალის აღმოჩენითა და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოგონებით. ეს არის სითბური ძალა, ანუ ცეცხლის ძალა, რომლის მყარად დასამორჩლებელი ტექნიკური საშუალება არის კერია, ღუმელი, ფეჩი და სხვა. არქეოლოგებმა ადამიანის მიერ ცეცხლის გამოყენების კვალი აღმოაჩინეს 600 ათასი წლის წინანდელ ფენებში, გამოქვაბულებში და ღია სადგომებში. საქართველოში ცეცხლის ნაშთები აღმოჩენილია საკაჟიას, დევის ხვრელის, ჯრუჭულისა და სხვა გამოქვაბულებში. რა ძირითადი პროცესები განვითარდა ამ პერიოდში? ჩვენ სახეზე გვაქვს ისევ სამერთიანი წანამძღვარი: 1. ადამიანი უკვე ქვის იარაღით აღჭურვილი; 2. გეოგრაფიული გარემო, სადაც ადამიანს უხდება ცხოვრება; 3. ახალი ბუნების ძალა-ცეცხლი. ადამიანმა გამოიგონა ცეცხლის დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალება კერია, მას უკვე აქვს მყუდრო საცხოვრებელი ადგილი და დაცულია მტაცებელი ცხოველების თავდასხმებისაგან, სადაც შედარებით მშვიდად შეუძლია გააგრძელოს ქვისა და სხვა მასალებისაგან იარაღების დამზადება, მათი ტექნიკური გაუმჯობესება და ახალ-ახალი სახეობების წარმოება. მას შემდეგ, რაც ადამიანმა შექმნა მისთვის მუდმივი საცხოვრებელი პირობები, მისი შრომითი საქმიანობაც განვითარდა. უკვე მიეცა შესაძლებლობა მოიმარაგოს საკვებად ვარგისი და შესანახად გამოსადეგი მცენარეული პროდუქტები, ამიტომ აქედან დაიწყო შემგროვებლობითი მეურნეობა და მონადირეობა. ეს არის შრომის ახალი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება, რომელმაც ახალი პერსპექტივები გაუხსნა ადამიანთა საზოგადების განვითარებას. ამაღლდა ადამიანთა კოლექტიური თანამშრომლობა, განვითარდა ნადირობა, ნანადირევი ხორცისაგან საჭმლის ცეცხლზე მომზადება და სხვა. ცეცხლის გამოყენების შემდეგ იწყება პირველყოფილი ჯოგის დაშლა და სისხლით მონათესავე გვაროვნული თემების ჩამოყალიბება, კოლექტიური ოჯახების შექმნა. ამ დროს წარმოიშვა პუნალუა ოჯახი, რომლის განვითარების უმაღლესი ფორმაა წყვილადი ოჯახი. როგორც ვხედავთ, ბუნების ახალი ძალის გამოყენებასა და მისი დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალებების გამოგონებას მოყვება, ერთის მხრივ შრომის ახალი დიდი საზოგადოებრივი დარგის აღმოცენება და დანაწილება, ხოლო მეორე მხრივ უკვე არსებული და ახლად გამოგონებული ტექნიკის სწრაფი განვითარება, რაც პირდაპირ ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვა მხარეების განვითარებას – გვარის, თემის, ტომის, ოჯახის, ნათესაური კავშირებისა თუ სოციალური ურთიერთობებისა.

3) ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში მესამე პერიოდი იწყება ბუნების კიდევ ერთი ახალი ძალის აღმოჩენითა და მისი დასამორჩილებელი სრულიად ახალი ტექნიკური

საშუალების გამოგონებით. ეს არის მოჭიმვის, ანუ დრეკადობის ძალა, რომლის დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალება არის მშვილდ – ისარი. ჩვენ სახეზე გვაქვს ამ ახალი ეპოქისათვის ისევ სამერთიანი წანამძღვარი: 1. ადამიანი, ამჟამად უკვე ქვის იარაღით, ცეცხლითა და კერიით აღჭურვილი ადამიანი; 2. გეოგრაფიული გარემო, შეიძლება მიგრაციით მოპოვებული გარემოც; 3. ბუნების ახალი ძალა – მოჭიმვის ძალა, რომლის დასამორჩლებელი ტექნიკური საშუალება მშვილდ-ისარია. ამ ეპოქაშიც დაიწყო შრომის ახალი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება, კერძოდ ადამიანმა თანდათანობით დაიწყო წარმოებით მეურნეობაზე გადასვლა, რაც დაგვირგვინდა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის აღმოცენება-განვითარებით. ქვის იარაღების განვითარებით, ცეცხლისა და მოჭიმვის ძალის გამოყენებით ადამიანმა შეძლო განვითარების გარკვეულ საფეხურზე მოეშინაურებინა ცხოველები და მოეყვანა მცენარეები, ანუ დაეწყო მიწათმოქმედება. ამის შემდეგ მონადირეობა და შემგროვებლობითი მეურნეობა კი არ გამქრალა, ან დაკნინებულა, არამედ კიდევ უფრო განვითარდა და გახდა მრავალფეროვანი. ყველაფერმა ერთად განსაზღვრეს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ახალი მიმართულება. განვითარდა მეთუნეობა, ხელოსნობა, კულტურა, დამწერლობა და სხვა. ამდენად, განვითარების წინა პერიოდმა შეამზადა ყველა ობიექტური და სუბიექტური პირობები იმისათვის, რომ კაცობრიობა გადასულიყო თვისობრივად განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე–უკლასო საზოგადოებრივი წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებრივ წყობილებაზე.

4) ახალი, მეოთხე ისტორიული პერიოდი ისევ სამი წანამძღვრით იწყება. 1) ადამიანი; 2) გეოგრაფიული გარემო; 3) ბიოლოგიური ძალა, ანუ ცხოველების გამწევი ძალა. ეს პერიოდი ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში დადგა მას შემდეგ, რაც ადამიანმა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე გააცნობიერა ის, რომ მიწის დამუშავებაში შეიძლება გამწევი ძალა გამოიყენოს და ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს, მეტი მოსავალი მოიყვანოს, ხოლო მძიმე სამუშაო ცხოველებს დააკისროს. ამდენად, მან აღმოაჩინა ახალი ძალა ვირის, ცხენის, ხარისა და სხვა ძალების სახით. გამოიგონა ამ ძალების დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალება – უღელი და გუთანი, შემდეგ კი ბორბალი, ურემი, ეტლი და სხვა ტექნიკური საშუალებები. ამავე პერიოდში დაიწყო შრომის ახალი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. სოფლის მეურნეობას (მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას) გამოეყო ხელოსნობა და იგი ცალკე დარგად ჩამოყალიბების მიმართულებით განვითარდა. გაჩნდა დასახლებული პუნქტები, სოფლები, ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ამ პერიოდისათვის განვითარდა ეკონომიკა, ვაჭრობა, აღებ-მიცემა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გამრავლდა მოსახლეობა, დაიწყო ტომთა დიდი მიგრაციული პროცესები. მიწათმოქმედი ტომები ეძებდნენ ნოყიერ მიწებს, ხოლო მესაქონლე ტომები ბალახით მდიდარ საძოვრებს. გვარებს, თემებსა და ტომებს შორის დაიწყო ომები ახალი ტერიტორიებისა და სიმდიდრეების ხელში ჩაგდების მიზნით. გაჩნდა ქონებრივი უთანაბრობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა-ექსპლოატაცია. დაიწყო ტომთა დიდი გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი სახელმწიფოდ ფორმირების პროცესი. განსაკუთრებით აგრესიულად მოქმედებდნენ მომთაბარე მესაქონლე ტომები, რომლებიც იძულებული იყვნენ ახალ-ახალი საძოვრები ჩაეგდოთ ხელში თავიანთი საქონლის გამოსაკვებად. ადამიანებს შორის ომები და მტრობა ახალ-ახალი მიწებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების მიზნით დაიწყო, რაც დღესაც გრძელდება. ამავე პერიოდში წარმოიშვა დიდი იმპერიები და ცივილიზაციები დიდი მდინარეების სანაპიროებზე: ეგვიპტეში, შუამდინარეთში, ინდოეთსა და ჩინეთში. მსოფლიო მეცნიერებაში გაბატონებულია ის აზრი, რომ ადამიანმა წარმოებითი მეურნეობა სწორედ ამ ადგილებში დაიწყო, რაც ძნელად დასაჯერებელია, რადგანაც პირველყოფილი ადამიანის მიერ ქვის იარაღების

დამზადებისათვის, მით უფრო მცენარეების გაშენებისათვის იქ არც მაშინ და არც ახლა არავითარი ბუნებრივი "სასათფურე" პირობები არ არსებობს. ისტორიული ფაქტებითა და არქეოლოგიური მასალებით მტკიცდება, რომ დედამიწის ვერცერთ კონტინენტზე, სადაც ბუნებრივი და "ხელოვნური" პირობები არ იყო შემზადებული, ადამიანმა ვერ გადალახა ბუნების ძალების ათვისების ის მკაცრი თანმიმდევრობა, რომელიც მოცემულია ჩვენს მიერ შედგენილი პერიოდიზაციის სქემაში. ამიტომ ცივილიზაციის ფესვების ძებნა ადვილია თუ პატიოსნად იქნება გათვალისწინებული ის, რომ პირველყოფილ ადამიანს ქვის იარაღის დამზადება შეეძლო იქ სადაც იქნებოდა თბილი ჰავა, ასევე იქნებოდა ფლორა ცოცხალი ორგანიზმებით, ხოლო ფაუნა ვულკანური წარმოშობის ქვის მრავალფეროვანი მასალით მდიდარი. იქნებოდა ბევრი კასტრული მღვიმე, პატარა მდინარეები, რომლის გადალახვას ადვილად შეძლებდა პირველყოფილი ადამიანი. და რაც ყველაზე მთავარია, წარმოებით მეურნეობაზე გადასვლა შესაძლებელი იქნებოდა იქ, სადაც ნალექების რაოდენობა თანაბრად იყო განაწილებული მთელი წლის მანძილზე. მცენარეების მოსარწყავად ადამიანს რთული ნაგებობის აშენება არ დასჭირდებოდა, რადგანაც პატარა მდინარეები და ნაკადულები ბუნებრივად შეასრულებდა ამ რთულ მისიას და ადამიანებს ასწავლიდა და შეძენდა მორწყვის გამოცდილებას. ასეთი "სასათფურე ადგილი" მხოლოდ სამხრეთ კავკასიაშია, კონკრეტულად კი რიონ-ყვირილასა და მტკვრ-ალაზნის აუზი, მდინარე იორისა და ხრამის მთა-ველები ერთად აღებული, დღევანდელი აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებამდე. აქ არის შრომის მარტივი იარაღების დამზადებიდან მცენარეებისა და ცხოველების წარმოებაზე გადასვლის იდეალური გეოგრაფიული გარემო პირობები, საიდანაც ხდებოდა ალბათ ადამიანთა პერიოდული მიგრაციები და ამ მიღწევების გავრცელება-განვითარება დედამიწის სხვა მხარეებში ყველა მიმართულებით.

5) მეხუთე ისტორიული პერიოდი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ბუნების ახალი ძალების აღმოჩენა და მისი დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალებების გამოგონება მოხდა განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში, მაგრამ სამერთიანი წანამძღვრის პრინციპი აქაც შენარჩუნებულია. კერძოდ, 1) განვითარების მაღალ საფეხურზეა ასული ადამიანი, თავისი ფიზიკური და გონებრივი სრულყოფილებით; 2) ბუნებრივი გეოგრაფიული გარემო, რომელიც მთლიანად გაჯერებულია ადამიანის ძალიხმევით შექმნილი ხელოვნური პირობებით; 3) ბუნების ახალი ძალები, რაც ვლინდება წყლისა და ქარის დინების სახით. ადამიანი ამ შემთხვევაშიც იწყებს ამ ძალების დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალებების გამოგონებას. კერძოდ ძვ. წ. აღ-ით III-I ს.ს. რომის იმპერიაშიგამოგონებულ იქნა ახალი ტიპის წყლის წისქვილი. მისი მთავარი ღირსება იყო ის, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში ბუნების დასამორჩილებელ ტექნიკურ საშუალებებში გამოყენებულ იქნა კბილანა, რომელიც გამოიგონა ინჟინერმა ვეტრუვიამ. მან მდინარე ტიბრში ვერტიკალურად ჩაუშვა წყლის ბორბალი და ჰორიზონტალურად დაუყენა ღერძი, ხოლო შექმნილი კუთხე კბილანით გადაბა და წყლის დინების მარგი ქმედების კოეფიციენტი გაზარდა ისე, რომ მოძრაობაში მოიყვანა 1,5 ტონა სიმძიმის დოლბის ქვა. ხელის საფქვავზე მიჯაჭვული მონების შრომა უკვე აღარ იყო საჭირო, ხოლო რომის იმპერატორებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეკვებათ ჯარი და მოსახლეობისათვის უფასოდ მიეწოდებინათ პური. ამით თავიდან აიცილეს სახალხო აჯანყებები თვით რომში. ისტორიულად ცნობილია, რომ კბილანის გამოგონებამ და ახალი ტიპის წყლის წისქვილმა არამარტო გადაარჩინა და გაუხანგრძლივა რომის იმპერიას არსებობა შვიდი საუკუნით, არამედ მთლიანად შეიცვალა დასავლეთ ევროპის განვითარების მიმართულება, ხოლო შემდეგ მსოფლიო ცივილიზაცია. ტექნიკის მეცნიერების განმარტებით წყლის წისქვილი არის ყველაზე მარტივი მანქანა. დღეს არსებული მანქანური და სხვა სახის მრავალფეროვანი ტექნიკა

წარმოუდგენელია კბილანის გარეშე. ვიდრე ვეტრუვიას მიერ გამოგონებული წყლის წისქვილი თანამედროვე მანქანებად იქცეოდა, კაცობრიობას დასჭირდა ორიათას წელზე მეტი დრო. მანქანური ტექნიკის განვითარების მაღალ საფეხურზე ადამიანმა შეძლო ბუნების სხვა ძალების გამოყენება, კერძოდ ორთქლის, შიდაწვისა (აფეთქების) და ელექტრო ძალების გამოყენება და მათი დასამორჩილებელი ურთულესი მანქანური და სხვა სახის ტექნიკის გამოგონება, მთლიანობაში ეს არის მანქანური ტექნიკა, სადაც მუდამ და ყველგან მექანიკური მოძრაობის სხვადასხვა სისტემებში უმთავრესი ადგილი უკავია კბინალების მრავალფეროვან კომბინაციას. ამ უდიდესი გამოგონებების შედეგად იმთავითვე დაიწყო შრომის ახალი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. ეს იყო გონებრივი შრომის ჩასახვისა და შეუქცევადი განვითარების ხანგრძლივი პროცესი, მისი თანდათანობით გამოყოფა ფიზიკური შრომისაგან, შემდეგ მისი გადაქცევა მეცნიერების სხვადასხვა დარგებად, რამაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. ამ პერიოდში საზოგადოებრივი შრომის მთავარი დარგებია ფიზიკური და გონებრივი შრომა, რომელიც შემდგომ იყოფა ქვედარგებად სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობაში, ვაჭრობაში, სხვადასხვა მანუფაქტურულ წარმოებაში, მრეწველობაში, მეცნიერებაში, განათლების სისტემაში, ხელოვნებაში და ა.შ. შრომის დანაწილების ეს ურთულესი სისტემა საბოლოო ჯამში ქმნის ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისეთ მიმართულებას, რომლის შეცვლა ცალკე აღებულ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს უკვე აღარ შეუძლია, ანუ ადამიანი თავისი "მოქმედების მსხვერპლი ხდება" განვითარების გარკვეულ საფეხურზე და იძულებულია მიჰყვეს მას.

6) მეექვსე ისტორიული პერიოდი დაიწყო ჩვენი თაობის თვალწინ, 1942 წელს, როდესაც აშშ-ში ჩიკაგოს უნივერსიტეტის სტეგ-ფილდის შენობაში პირველად კაცობრიობის ისტორიაში მეცნიერებმა აამუშავეს ატომური რეაქტორი და შეძლეს ბირთვული ენერგიის დამორჩილება, მისი სითბური ენერგიის გონივრული მართვა. ახალი ეპოქის საწყისად კვლავ სამერთიანი წანამძღვარი გვევლინება: 1) ადამიანი, (მეცნიერთა მთელი არმია და საქმიანი ადამიანები); 2) ადამიანების მიერ შეცვლილი გეოგრაფიული გარემო; 3) ატომური ენერგია. მეცნიერებმა გამოიგონეს სრულიად ახალი ტიპის ტექნიკა, ატომური რეაქტორი, რომლის მსგასი მანამდე არ ყოფილა. ახალი ბუნებრივი ძალის, ატომის დამორჩილების პროცესში მეცნიერებმა გამოიყენეს კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც სამასი წლის მანძილზე კუს ნაბიჯებით ვითარდებოდა, ხოლო ბუნების ახალმა ძალამ, ბირთვულმა ენერგიამ, მასში გააღვიძა ის მთვლემარე რესურსები, რომელმაც სათავე დაუდო მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას XX საუკუნის 50-იანი წლებიდან.

ამდენად, ატომური ენერგიის აღმოჩენით, ატომური რეაქტორის გამოგონებითა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით დაიწყო შრომის ახალი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება, რომელიც სრულიად განსხვავდება ადრე არსებული შრომის დარგებისგან. ეს არის ადამიანის შრომის გადატანა ახალ სივრცეში, საჰაერო და კოსმოსურ სივრცეში. ადამიანს არ შეუძლია უარი თქვას შრომის ამ დარგის განვითარებაზე. საჰაერო სივრცისა და კოსმოსის ათვისება პოპულარული და პერსპექტიული გახდა. ხოლო ამ მიზნით გამოყენებული ტექნიკა მრავალფეროვანი, სრულყოფილი და საიმედო. ეკონომიკური თვალსაზრისით კი მომგებიანი. ჯერ-ჯერობით ამ სფეროში დიდი სახელმწიფოები აქტიურობენ, მაგრამ ტექნიკის განვითარება იქეთკენ მიდის, რომ სულ მალე პატარა სახელმწიფოებიც ჩაერთვებიან შრომის ახალი დარგის განვითარების მარათონში და ახალ სიტყვას იტყვიან ისინი. რაც უფრო ადრე დაიწყებს ამ მიმართულებით მუშაობას ქართველი ერი, მით უფრო ადრე გამოვა იგი იმ მძიმე ტექნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და მონური მდგომარეობიდან, რომელშიც ამჟამად იმყოფება. მხოლოდ ეს გზაა ჩვენი ქვეყნი-

სათვის პერსპექტიული და არა დასავლეთი, ჩრდილოეთი, ან აღმოსავლეთი. ჩვენი გადარჩენის საიმედო გზა "ზეცისკენ მიდის".

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ ყველა ის ძირითადი პერიოდიზაცია, რომელიც შემუშავებილია ისტორიულ მეცნიერებაში. აქვე ჩამოვაყალიბეთ ახალი სქემა და გამოვთქვით მოსაზრება, რომ ძველი პერიოდიზაციები ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომელიც დგას მსოფლიო საზოგადოების წინაშე. კერძოდ, 1) როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ გლობალური დათბობის შედეგად მოსალოდნელი გლობალური და მზარდი კატასტროფები? 2) როგორ შევაჩეროთ ენერგო რესურსების ამოწურვისა და კვების პროდუქტების დეფიციტის ზრდის პროცესები? 3) ან როგორ აღმოვფხვრათ გლობალური ეკონომიკური კრიზისები? 4) როგორ შეიძლება შევაჩეროთ და ვარეგულიროთ გლობალური ეკოლოგიური რღვევის პროცესები? 5) როგორ ავიცილოთ თავიდან გლობალური და ლოკალური ომები? 6) როგორ შეიძლება სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბისა და სიმდიდრის პოლარიზაციის შეჩერება, დემოგრაფიული პრობლემების დაძლევა, ატომური, ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სახის მასობრივი მოსპობის იარაღების წარმოება და არსებულის უსაფრთხოდ განეიტრალება და სხვა. ჩვენს მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაციის გამოყენებითა და გათვალისწინებით, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გავლილი ხუთი პერიოდი ერთნაირი კანონზომიერებით ვითარდებოდა, ხოლო ადამიანებს მძაფრი პრობლემები არ აკლდებოდა, თუმცა მათი წარმატებით გადაჭრის გზები ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე, რომელსაც გონიერი ადამიანები მუდამ აღმოაჩენდნენ და წარმატებით ახერხებდნენ წამოჭრილი პრობლემების დროულად გადაწყვეტას. ძველ და დღევანდელ პრობლემებს შორის ძირითადი განსხვავება ის არის, რომ წინა პერიოდებში წამოჭრილი პრობლემები არ იყო ისეთი გლობალური და ყოვლის მომცველი, როგორიც არის ამ ბოლო პერიოდში წამოჭრილი, რადგანაც ეს პერიოდი გვაყენებს მკაცრი არჩევანის წინაშე: ან უნდა შევძლოთ ამ პრობლემების გადაჭრა ერთიანი ძალებით, მსოფლიო საზოგადოებამ შეთანხმებული და გონივრული თანამშრომლობით, დიდმა და პატარა ერებმა, მდიდრებმა და ღარიბებმა, სუსტებმა და ძლიერებმა, მოწინავეებმა და ჩამორჩენილებმა, ან ყველანი ერთად უნდა გავნადგურდეთ. ეს გარდაუვალი კანონზომიერებაა.

ამის შესახებ მომდევნო სტატიებში გვექნება მსჯელობა.

ახალი მსოფლმხედველობის არსი და რაობა.

მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანთა საზოგადოება დადგა ახალი მსოფლმხედველობის შემუშავების აუცილებლობის წინაშე, რადგანაც აქამდე არსებილი ფილოსოფიური, თეორიული და რელიგიური შეხედულებები ვერ ხსნიან XX საუკუნის შუა ხანებიდან დაწყებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციების შედეგად წარმოქმნილ იმ მოვლენებს და პრობლემებს, რომლებიც მიმდინარეობს ტექნიკის, მეცნიერების, ეკონომიკის, აზროვნებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებში, რაც იწვევს დაპირისპირების გამწვავებასა და ომებს ქვეყნებს, კლასებსა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია შეიქმნას ისეთი მსოფლმხედველობა, რომელიც იქნება თავსებადი და ტევადი ყველა იმ მსოფლმხედველობისა, რაც შეუქმნია კაცობრიობას თავის არსებობის მანძილზე, ეს იქნება მატერიალისტური, იდეალისტური, დუალისტური, რელიგიური, მისტიკური თუ სხვა.

მეცნიერთა აზრით, ფილოსოფოსები ძირითადად იყოფიან ორ დიდ ბანაკად, კერძოდ,

მატერიალისტებად და იდეალისტებად.

ა) მატერიალისტების მსოფლმხედველობის ამოსავალი დებულებაა მატერიის პირველადობა (მარქსისტები). მათი აზრით, მატერია შეუქმნადი და მუდამ არსებული ელემენტია, რომლის დიალექტიკური მოძრაობისა და განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვება ცნობიერება, იდეა, გონი, ღმერთი. ანუ მატერიისაგან წარმოიშვება არამატერიალური.

ბ) იდეალისტური მსოფლმხედველობის ამოსავალი დებულებაა გონის, იდეის, ღმერთის პირველადობა. მათი აზრით, ღმერთი, იდეა შეუქმნადი და მუდამ არსებული ფენომენია, რომელმაც შექმნა მატერია, რეალური სამყარო და მისი ნება-სურვილით ხდება მატერიის მრავალფეროვანი საგნებისა და მოვლენების წარმოშობა და მოძრაობა. ასევე ადამიანთა ნება - სურვილების მართვა. ანუ არამატერიალურისაგან წარმოიშვება მატერიალური.

გარდა ამისა, არსებობს დუალისტური მსოფლმხედველობა (კანტი), რომლის მიხედვით მატერია და იდეა, ღმერთი შეუქმნადი და მუდამ არსებული ელემენტებია. არსებობს სხვა სახის მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვით, ყველაფრის საწყისია ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის, ბნელსა და ნათელს შორის, ყინულსა და ცეცხლს შორის და ა. შ.

ასეთი მსოფლმხედველობები ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ და მათ შორის ანტაგონისტური წინაღმდეგობებია, რაც კლასობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის არის დამახასიათებელი. ეს ყველაფერი ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვანაირად აისახება. მაგალითად, მონათმფლობელურ ეპოქაში მონათმფლობელებსა და მონებს შორის დაპირისპირებაში, სხვადასხვა პარტიებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, ქვეყნებს შორის ტერიტორიებისა და სიმდიდრისათვის ბრძოლაში და ა. შ., ფეოდალურ ფორმაციაში ფეოდალებსა და გლეხებს შორის ბრძოლაში, მამულებისა და სიბდიდრისათვის ბრძოლაში და ა. შ., კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაპირისპიურება ვლინდება მუშათა კლასსა და ბურჟუაზიულ კლასებს შორის ბრძოლაში. ყველა ამ ეპოქების მსოფლმხედველობა ემსახურება გაბატონებული კლასების ინტერესებს, რომლის მიხედვითაც მათი იდეოლოგები ამართლებენ და აკანონებენ გაბატონებული კლასების უფლებებს მშრომელ და დაჩაგრულ მასაზე. მათი მთავარი არგუმენტია ის, რომ "ღმერთმა ასე მოაწყო სამყარო", რომ "ღმერთს ასე სურს და მის ნებას წინ ვერავინ ვერ აღუდგება და თუ ვინმე ამას მაინც გააკეთებს, ღმერთი მას დასჯის" და ა. შ.

დღევანდელ მსოფლიოში მსოფლმხედველობებს შორის წინააღმდეგობა აისახება კაპიტალისტურ და სოციალისტურ ფორმაციებს შორის დაპირისპირებაში, მდიდრებსა და ღარიბებს შორის დაპირისპირებაში, მმართველ ელიტასა და მშრომელთა ფართო ფენებს შორის დაპირისპირებაში, ბუნებასა და ადამიანებს შორის დაპირისპირებაში.

ძირითადი არსი ყველა მსოფლმხედველობისა, მათ შორის მატერიალისტური და იდეალისტური მსოფლმხედველობისა, არის ის, რომ სამყაროში ყველაფრის საწყისი არის ისეთი რაღაც, რომლის შექმნის მიზეზის დასახელება ჩვენი, ადამიანური ცნობიერებისათვის წარმოუდგენლად და შეუძლებლად არის მიჩნეული. ამიტომ არის მატერია მუდამ არსებულად წარმოდგენილი მატერიალისტების მიერ, ხოლო ღმერთი-იდეალისტებისათვის.

ი. ბ. სტალინი ნაშრომში: "დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" წერს, რომ მარქსისტულ-ლენინური პარტიების მსოფლმხედველობა არის დიალექტიკური მატერიალიზმი. მატერიალისტური მსოფლმხედველობით კომუნისტები დაუპირისპირდნენ ბურჟუაზიას და მისი დიალექტიკური იდეალიზმის მსოფლმხედველობას. მარქსი და ენგელსი ამაზე არ შეჩერებულან და შექმნეს ისტორიული მატერიალიზმის თეორია, რითაც ისინი დაუპირისპირდნენ კაპიტალისტების ლიბერალურ-დემოკრატიულ თეორიას, ხოლო

კაპიტალისტურ იდეოლოგიას - კომუნისტური იდეოლოგიით. ახალ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც დაიწყო ადამიანის მიერ ატომური ენერგიის დამორჩილებით, დაპირისპირების ასეთმა სახემ აზრი დაკარგა, რადგანაც სულ უფრო აქტუალური ხდება დაპირისპირება ადამიანებსა და ბუნებას შორის. ამიტომ აუცილებელი გახდა ახალი ეპოქის შესაბამისი მსოფლმხედველობის შექმნა, რომელიც პასუხს გადცემს როგორც მატერიალისტების, ასევე იდეალისტების წინაშე წამოჭრილ პრობლემებს და ხელს შეუწყობს დაპირისპირებული მხარეების შეხედულებათა დაახლოების პროცესებს. ახალი მსოფლმხედველობის საწყისი, ამოსავალი დებულება და ლოგიკური მსჯელობის წანამძღვრები ვერ იქნებიან თვითნებურნი, არარეალური და ფანტასტიკური, არამედ, პირიქით, ეს წანამძღვრები არიან ნამდვილი, ბუნებრივი და ბუნებაში არსებული რეალური ელემენტები, საგნები და მოვლენები. ეს წანამძღვრები არიან მატერიის უსასრულოდ მცირე ნაწილაკები (უმცნაკები, ამჟამად "ბოზონ ხიგსი"), ცნობიერება და ბუნების ძალები (ბუნებაში არსებული სხვადასხვა ენერგიები). ჩვენ ახალს არაფერს არ ვიგონებთ, ჩვენ უბრალოდ, წინამორბადი მეცნიერების მიერ დაგროვილი ცოდნის საფუძველზე და ლოგიკური მსჯელობის მეთოდების გამოყენებით შევეცდებით ახლებურად დავალაგოთ ძირითადი, საწყისი წანამძღვრები და ჩამოვაყალიბოთ ტევადი და თავსებადი ახალი მსოფლბხედველობა, ახალი თეორია ადამიანთა საზოგადოების განვითარების სწორი გზის შესახებ.

ახალი მსოფლმხედველობის ამოსავალ და ძირითად დებულებად ვიღებთ ტრადიციად ქცეულ შეუქმნადობის პრინციპს და ვაღიარებთ, რომ მატერია და ცნობიერება არის შეუქმნადი და აქვე ვამატებთ, რომ მატერია და ცნობიერება არის თანაბარ მნიშვნელოვანი საწყისი ყველაფრისა, ხილულისა და უხილავისა. ამითი ჩვენ ვაღიარებთ, რომ დუალისტურ მსოფლ მხედველობაში არის ჩადებული რაღაც მნიშვნელოვანი შინაარსი, მაგრამ იგი ვერ ამაღლდა წმინდა სამების დონეზე, რაც ყველა რელიგიურ სწავლებაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს, ამიტომ ჩვენ დუალისტური მსოფლმხედველობის იმ დონეზე ვერ გავჩერდებით, რომელიც დამუშავებულია კანტისა და სხვა ფილოსოფოსების მიერ და შევეცდებით წინ გადავდგათ ნაბიჯი პროგრესისაკენ, ქართული აზროვნების შემდგომი განვითარებისაკენ და ვიპოვოთ კიდევ ერთი საწყისი, რომელიც პირველადია და მატერიისა და ცნობიერების ტოლფასი მნიშვნელობა აქვს სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების დიალექტიკური განვითარებისა და არსებობისათვის. ასეთ ელემენტად შეიძლება დავასახელოთ სამყაროში, ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედი ბუნების ძალები და სხვადასხვა ენერგიები, რაც საშუალებას მოგვცემს, გავხსნათ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყიერებაში ფართოდ გავრცელებული "წმინდა სამების" საიდუმლოს ნამდვილი შინაარსი. ამითი ქართული აზროვნება, შეიძლება ითქვას თამამად, რომ დაუბრუნდება საკუთარი აზროვნების ბუნებრივ საწყისებს, რითაც აღდგება დიალექტიკური კავშრი წარსულსა, აწყმოსა და მომავალს შორის.

ფიზიკის მეცნიერებმა ბოლო პერიოდში აღმოაჩინეს სამყაროს ყველაზე მცირე ნაწილაკი, რომელსაც უწოდეს "ბოზონ ხიგსი", ანუ "ღვთიური ნაპერწკალი", რომელიც უზარმაზარი ენერგიის მატარებელია. ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მატერია გადადის ენერგიაში, ხოლო ენერგიიდან იბადება მატერია. ჩვენი გაგებით, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მატერია შეუქმნადია, მაშინ ენერგიაც შეუქმნადია და მათი ურთიერთ განპირობებულობა ბუნებრივი პროცესია, სადაც ენერგია მატერიასთან ერთად სამყაროს პირველ საწყისად გვევლინება. ამიტომ ჩვენ გვაქვს სრული მორალური უფლება იმისა, რომ ვთქვათ, ახალი მსოფლმხედველობა გაცდება მონიზმისა და დუალიზმის ფარგლებს და იგი სამი თანაბარ მნიშვნელოვანი ელემენტის – მატერიის, ცნობიერებისა და ენერგიის - შეუქმნადობისა და პირველსაწყისობის პრინციპებამდე ამაღლდება.

სამერთიანი საწყისი რომ რეალურია, ამისი უამრავი მტკიცებულება არსებობს როგორც რეალურ სამყაროში, ასევე ადამიანთა ცნობიერებაში, საზოგადოებრივ ურთიერთობაში და ხალხურ ზეპირსიტყვიერ აზროვნებაში, ლეგენდებში, ზღაპრებსა და მითოლოგიურ აზროვნებაში.

პირველ მტკიცებულებას გვაძლევს თვითონ ცნება "სამყარო", რომელიც მოიცავს ყველაფერს დაწყებული უმცირესი ნაწილაკიდან დამთავრებული გალაქტიკებითა და მეტა გალაქტიკებით, დაწყებული ერთუჯრედიანი ამებიდან დამთავრებული ადამიანით, ყველაფერს თავისი დიალექტიკური კავშირებით. ცნება სამყარო რთული სიტყვაა და იგი შედგება ორი ცნებისაგან "სამი" და "წყარო"-საგან, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ყველაფრის საწყისი არის სამი წყარო, რომელთა გაერთიანების შემდეგ ასო "ი" და "წ" ამოვარდა და სამი წყაროს ნაცვლად მივიღეთ "სამყარო". სამი საწყისის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ბიბლიაც, რომლის მიხედვით სამება იშიფრება შემდეგნაირად: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა. მამა ღმერთი აქ არის უხილავი, ძე ღმერთი არის ქრისტე, რომელიც მატერიალური ხორცშესხმით იხილეს ადამიანებმა. "ვინც მიხილავს მე, იხილავს მამას ჩემსას და ჩემით შეიცნობს მამას". წმინდა სამების სადიდებელი სამების ეკლესია საქართველოში აგებულია ელიას მთაზე, რომელიც ქართული აზროვნების განსახიერებაა. ქართულ ხალხურ ზეპირ სიტყვიერებაში სამება დიდი და წმინდა სახით არის წარმოდგენილი: "დიდია წმიდა სამება, ცის კიდურამდე ელავსო, მისი ყრმის გამარჯვებულსა, ნაბადივითა თელავსო" (ხალხური). თვით ადამიანიც სამი საწყისით არის წარმოდგენილი. როგორც მატერიალური საგანი, ცოცხალი არსება, მეორე როგორც ცნობიერი და მოაზროვნე, მესამე როგორც ბიოენერგეტიკული ძალების მატარებელი.

ამდენად, ახალი მსოფლმხედველობის ძირითად დებულებად და ამოსავალ, საწყის წანამძღვრად შეგვიძლია ავიღოთ სამერთიანი საწყისი: 1. მატერია, 2. ცნობიერება, 3. ენერგია. რომელთა წარმოქმნის მიზეზის დასახელება ადამიანის გონებისათვის ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. იგი შეუქმნადი და მუდამ არსებულია. სწორედ მატერიის, ცნობიერებისა და ენერგიის დიალექტიკური კავშირით არის აგებული მთელი სამყარო. ბუნებაში ისე არის მოწყობილი მათი ერთიანობა და სამსახიერება, რომ თუ ერთ შემთხვევაში ბუნების ხილული საგნები და მოვლენებია წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში ბუნების ყოვლისშემძლე ძალებია წარმოდგენილი სტიქიისა და სხვადასხვა ენერგიების სახით, ხოლო მესამე შემთხვევაში ცოცხალი არსებების სახით წარმოდგენილია ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, რომლის გვირგვინი არის თვით ადამიანი. მატერია, სიცოცხლე (ცნობიერება) და ბუნების ძალები განუყოფელ დიალექტიკურ კავშირში არიან ერთმანეთთან და ერთმანეთს განაპირობებენ და ქმნიან მრავალფეროვან საგნებსა თუ მოვლენებს. ამას ადასტურებს სხვადასხვა დარგის მეცნიერების უახლესი კვლევები და ფანტასტიკური აღმოჩენები. ისინი აღიარებენ, რომ ცნობიერება გააჩნია არა მხოლოდ მაღალინტელექტუალურ ადამიანებს, არამედ მცენარეებს, უჯრედებს, ვირუსებს, ბაქტერიებს, ცხოველებსა და ფრინველებსაც კი. რომ სიცოცხლე გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში და პერსპექტივაში უფრო დიდი და სენსაციური აღმოჩენებია მოსალოდნელი. ფიზიკის კორიფეებმა, ათეისტმა მეცნიერებმა შემთხვევით არ უწოდეს ახლად აღმოჩენილ უმცირეს ნაწილაკს "ბოზონ ხიგსი", ანუ "ღვთიური ნაპერწკალი", ხოლო რომის პაპს გაუგზავნეს აღიარებითი წერილი, რომ მათ იხილეს და იწამეს ღმერთი ამ აღმოჩენით.

ახალი მსოფლმხედველობის საწყის დებულებად და ლოგიკური მსჯელობის წანამძღვრებად სამების (მატერია, ცნობიერება, ბუნების ძალები) შემოტანა უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისათვის. რატომ? იმიტომ, რომ მატერიალური საგანი, თუნდაც უმცირესი ელემენტარული ნაწილაკი, უძრავ

მდგომარეობას ინარჩუნებ მანამ, სანამ მასზე რაიმე ძალა, ანუ ენერგია არ იმოქმედებს, ამიტომ იგი ენრგიის მოქმედების ობიექტია. ენერგიას მოძრაობაში მოყავს მატერია სტიქიურად და ამ ორ საწყისს შორის ურთიერთკავშირით მიიღება ქაოსური მოძრაობა. ბუნებაში ქაოსურ მოძრაობას ყველგან და ყოველთვის ვხედავთ, მაგრამ ჩვენ ბუნებასა და სამყაროში ვხედავთ მოწერიგებულ მოძრაობასაც, ამიტომ ადამიანებს უჩნდებათ ბუნებრივი კითხვა: ვინ, ან რა აწესრიგებს ყველაფერ ამას? ჩვენ ვერ ვხედავთ მატერიისა და ბუნების ძალებს შორის არსებულ ურთიერთკავშირში წარმოქმნილი ქაოსის მომწესრიგებელს, შემოქმედს – ცნობიერებას, სამაგიეროდ ვხედავთ მკაცრად განსაზღვრულ წესრიგს სამყაროში, ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაში. თუ სისწორით დავაკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რომ მომწესრიგებლად ყველგან გვევლინება ცნობიერება, საყოველთაო ცნობიერება, რომელიც ისევე დაყოფადია, როგორც მატერია და ბუნების ძალები. ცნობიერება, მატერია და ბუნების ძალები საწყის საფუძველშივე ქმნიან სამერთიან კავშრს, თვითშემოქმედებით, წმინდა სამებას. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ მსჯელობის დასაწყისისთვის ლოგიკური მსჯელობის წანამძღრებად ავიღებთ ფიზიკის მეცნიერების მიერ სულ ახლახან აღმოჩენილ ელემენტარულ ნაწილაკს "ბოზონ ხიგსს", რომელსაც მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მატერიის ნაწილაკია, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ის არის ენერგია, მაგრამ ისინი თანხმდებიან იმაში, რომ ის არის "ღვთიური ნაწილაკი", რომელსაც გააჩნია ცნობიერება. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ასეთი დასკვნა არის ფიზიკის მეცნიერების მრავალწლიანი კვლევების აღიარებული შედეგი, ჩვენც შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ლოგიკური მსჯელობის საწყის წანამძღვრებად წმინდა სამების შემოტანა თანამედროვე მეცნიერული კვლევების მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს და ჩვენი მსჯელობის ლოგიკური შედეგიც აბსოლიტური ჭეშმარიტების აღმოჩენის ტოლფასი იქნება.

ამდენად, წმინდა სამების შემოტანა ახალი მსოფლმხედველობის საწყის დებულებად გამართლებულია როგორც მეცნიერული, ასევე თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგანაც იგი თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის ნათელ და რეალურ სურათს გვიჩვენებს. კერძოდ, რა პრინციპით არის აგებული სამყარო; როგორ არის ადამიანი ჩართული ბუნებასა და მის გარემომცველ სამყაროში; როგორ ხდება გარემომცველი სამყაროს ასახვა ადამიანის აზროვნებაში; ადამიანის როლი და დანიშნულება სამყაროში. აქედან გამომდინარე, ნათლად იკვეთება ადამიანთა საზოგადოების განვითარების სწორი, ბუნებრივი მიმართულება და იმ პრობლემების წარმატებით გადაჭრის კონკრეტული გზები, რომელიც წამოიჭრა მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე XXI საუკუნის დასაწყისში.

გლობალური პრობლემების აღმოცენებისა და მისი მასშტაბების განუხრელი ზრდისა და გამწვავების საწყისი პერიოდი ჩაისახა მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიმორჩილა ატომის უზარმაზარი ენერგია, გამოიგონა ატომური რეაქტორი და მისი მოქმედებაში მოყვანის მიზნით გამოიყენა კომპიუტერული ტექნიკა, რასაც მოჰყვა XX საუკუნის 50 – იანი წლებიდან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომლის აჩქარებული ტემპები და მაშტაბები ახლაც გრძელდება და სულ უფრო ზრდის და ამწვავებს იმ საფრთხეებს, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს დედამიწაზე. საკითხი ასე დგას: ან უნდა მოიძებნოს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული და მათემატიკური სიზუსტით გათვლილი გზები, ან გულხელდაკრეფილი და უაზრო დროსტარებაში უნდა ველოდოთ საყოველთაო კატოსტროფას, რომელიც გარდაუვალია. სწორი არჩევანის გაკეთება ჩვენს გონიერებასა და სინდისზეა დამოკიდებული.

ამალია საზანდრიშვილი

ბოლომდე დაიხარჯა თავისი ქვეყნისათვის

საქართველომ კიდევ ერთი ურჩეულესი შვილი დაკარგა ბატონი აკაკი გასიტაშვილი.

მართალია, თავს ვინუგეშებთ, რომ მისი სული ნათელშია, რომ, სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II თქმით, ღმერთს უფრო ჰყვარებია ისინი, რჩეულთა შორის რჩეულები და მაინც, როგორ მძიმეა ჩვენთვის აქ, ამ წუთისოფელში დარჩენილთათვის, განშორება ამ ნათელით მოსილ ადამიანებთან.

აკაკი იყო თავისი საქმის ერთგული, მცოდნე, უაღრესად ტაქტიანი, მტკიცე ნებისყოფისა და ფართო ინტერესების მქონე პიროვნება.

იგი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აფასებდა ამა თუ იმ ფაქტს და მოვლენას და თავის შეხედულებებს სიამოვნებით უზიარებდა ნაცნობ მეგობრებსა და მოსწავლეებს. იგი არასოდეს მოგახვევდათ თავის საკუთარ აზრს და როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, უაღრესად მომთმენი და სულგრძელი მსმენელი იყო.

ბატონი აკაკი არასოდეს ზრუნავდა თავის კარიერაზე. საოცარი თანაგრძნობა იცოდა. ის გაჭირვებაშიც ისეთივე სადა და უბრალო იყო, როგროც ყოველდღიურ ცხოვრებაში.

არ მოსწონდა ზედმეტი მოჩვენებითობა და უბედურების თეატრალიზებული განცდა, მაგრამ მისი უხმო თანადგომა გაცილებით ხანგრძლივი საჭირო და საიმედო იყო.

ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ბატონ აკაკის თანამშრომლობა იგემა, ინც მისი ამაღლებული და გამორჩეული სულის სისპეტაკეს წუთით მაინც ეზიარა.

ბატონი აკაკი მაღალზნეობრივი მოთხოვნილებათა და მტკიცე პრინციპების პიროვნება იყო. თავისი ადამიანური თვისებებით და პროფესიული დონით მან თანამშრომელთა, სპეციალისტთა და თავისი შრომით ღრმა კვალი გაავლო მოსწავლე ახალგაზრდობის სპეციალისტთა აღზრდის საქმეში. მისი სახელი მუდამ მადლობითა და მოკრძალებით მოიხსენიება.

აკაკი ეკუთვნოდა იმ შესანიშნავ ადამიანთა პლეადას, რომლებიც თავიანთ დაუღალავი შრომით და კეთილშობილური საქმიანობით ხალხის გულწრფელ სიყვარულს იმსახურებენ. აკაკი იყო ბრწყინვალე მოქალაქე, შესანიშნავი პედაგოგი, დაუშრეტელი ენერგიისა და შრომის უნარის მქონდე ადამიანი.

მან თავისი უზადო ნიჭისა და ტიტანური სშრომის წყალობით დიდი სიყვარული დაიმსახურა როგორც ნამდვილმა შემოქმედმა.

ამბობენ, უკვდავი სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ იწყებაო და თუ ეს ასეა, ჭეშმარიტად უკვდავია მუდამ კეთილად მოსაგონარი ადამიანის სახელი.

ბატონმა აკაკიმ ღრმა სიბერემდე იცხოვრა.

ხალისიანი, მოუღლელი ცხოვვრებით. არაჩვეულებრივი ნათელი გონებით განეშორა წუთისოფელს. აკაკის ნათელი სახელი და მართალი გული დიდხანს გვემახსოვრება მის ამხანაგებს, მეგობრებს, თანამშრობლებს, ვისთვისაც ძვირფასია ნამდვილი მამულიშვილის ხსოვნა.

აკაკი გასიტაშვილის მოღვაწეობას მიესადაგება შემდეგი სტრიქონი:

„როცა სამარეს დახედავ წუთით
და უნებურად ძნელდება სუნთქვა,
ჰე, მოიხადე ქართველო ქუდი!

აკაკის შენი მადლობა უთხარ.“

აკაკი გასიტაშვილმა ცხოვრებაში ნათელი კვალი დატოვა.

ნათელი გზით გავლილი სწავლულის, ბატონ – აკაკი გასიტაშვილის სახელი იმ ქართველ მამულიშვილთა პლეადას ამშვენებს, ვინც გამორჩეული ღვაწლით დიდი ამაგი დასდო მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ქვეყნის განვითარების წინსვლას. იგი სწორედ გამორჩეული მოღვაწე გახლდათ. უაღრესად განათლებული, ბრწყინვალე მოქალაქე, უსაზღვრო ენერგიის პატრონი. დიდი შრომისმოყვარეობით იმსახურებდა საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემას. ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობისას უაღრესად კულტურული, – თავისი სისადავით მეტ სათქმელს ამბობდა, თუმცა მრავალსიტყვაობა არ უყვარდა. იცოდა მოსმენა და სხვისი გაჭირვება გაზიარების ფასი. ამას ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე უხმოდ აკეთებდა. მეგობრებისთვის საიმედო დასაყრდენი იყო. ასეთ ადამიანებს არ ახასიათებთ სხვათა მოქცევა საკუთარი გავლენის ქვეშ, თუმცა საკუთარ შეხედულებებს სიამოვნებით გაგიზიარებდათ აკაკის სახელი ბრწყინავდა ქარელის №40 ტექნიკურ სასწავლებელში.

საწავლო პრეოცესის სწორად წარმართვაზე ზრუნვასთან ერთად მისთვის აღსაზრდელთა უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. სისტემატურად კითხულობდა თითოეული მოსწავლის ყოფით პირობებს. მისგან ბევრს ისწავლიდით, თუმცა მასზე იტყოდით ინტელიგენტად დაიბადაო. დათმენა და სულგრძელობა ძალზედ უხდებოდა. მისი ბუნებრივი თვისებები აქცევდა ბატონ აკაკის კოლექტივის ლიდერად, თორემ კარიერაზე არასოდეს უფიქრია. მისი კოლეგები, თანმშრომლები თავს ბედნიერად ვთვლიდით, რომ ასეთი ხელმძღვანელი გვყავდა. გვეამაყებოდა და გვეიმედებოდა მასთან ურთიერთობა სულიერად აღგვამაღლებდა ხოლმე.

მისი ცოდნა და მოღვაწეობის არეალი მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით არ შემოიფარგლებოდა. ჩვენმა სასწავლებელმა სახელი გაითქვა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელი გარდა პროფესიული სწავლებისა იქ დიდი ყურადღება ექცეოდა კულტურული ღონისძიებების ჩატარებასაც ბატონი აკაკის მზრუნველობით სასწავლებელში შეიქმნა სხვადასხვა წრეები.

წარჩინებული მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობდნენ ჩატარებულ ოლიმპიადებში და გამარჯვებულებიც ბევრი გვყავდა, რომლებიც დაჯილდოვებული იყვნენ დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებითაც.

მოამაგე დირექტორის მზრუნველ ხელს არ გამორჩენია სასწავლებლების ეზო გარემოს გალამაზება, გამწვანება. მისი მოღვაწეობის დროს ულამაზესი ბაღი გაშენდა მარადმწვანე ხეებით.

1977 წელს ქარელის პროფსასწავლებელმა მეგობრობა დაამყარა ქალაქ ლომონოსოვოს №8 პროტექნიკურ სასწავლებელტან. წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა აღნიშნულ სასწავლებელთან და ბატონი აკაკის უშუალო ხელმძღვანელობით ლომონოსოვის №8 პროფსასწავლებლის პედკოლექტივის წარმომადგენლები და წარჩინებული რამდენიმე მოსწავლე გვესტუმრნენ. ისინი დაინტერესდნენ ჩვენი მუშაობით და ჩვენც ღირსეული მასპინძლობა გავუწიეთ.

ჩატარდა კონკურსი – პროფესიაში საუკეთესონის და ქარელის №40 სპტს მოსწავლეებმა კარგი შედეგი აჩვენეს და დიპლომიც დაიმსახურეს. აქაც დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ აკაკის. როდესაც დაგვემშვიდობნენ ლომონოსოვიდან ჩამობრძანებულლი სტუმრები საჩუქრად გადმოგვცეს პ.კ. კლოდტის სკულპტურული ნამუშევარი ა.ბ. კოზლოვის ანიჩკოვის ხიდზე ერთ-ერთი ცხენის სკულპტურა პ.კ. კლოდტის სკულპტურული ნამუშევრის მიხედვით რომელზედაც გაკეთებულია წარწერა: საჩუქრად ქარელის №40 პოლიტექნიკური

სასწავლებლის პედაგოგიურ კოლექტივს პედაგოგიური თანამშრომლობის საპატივსაცემოდ ქ. ლომონოსოვის №8 პროფსასწავლებლის კოლექტივისაგან.

ეს გახლავთ ა.ბ. კოზლოვის ნამუშევარი სადაც წარმოდგენილია ქ. ლენინგრადის ანიჩოვის ხიდზდე ერთ-ერთი ცხენის სკულპტურა, პ.კ. კლოდტის სკულპტურული ნამუშევრის მიხედვით.

ბატონი აკაკი განსაკუთრებით ზრუნავდა ნიჭიერი კადრების დასაქმებაზე. უყვარდა ახალგაზრდებთან მუშაობა, იზიარებდა მათ მოსაზრებებს და ახაისებდა. სწორედ მისი დამსახურებაა ქარელის №40 სპტს კოლექტივის წარმატებები სხვდასხვა სპეციალობებში.

ქარელის №40 სპტს მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოდიოდნენ გამოცდილების გასაზიარებლად, სასწავლებლად. ქარელის №40 სპტს უამრავი კურსდამთავრებული დღესაც მოღვაწეობს ქვეყნის სხვადასხვა ადგილას.

ბატონ აკაკის შეფასების კრიტერიუმი შრომისმოყვარეობა გახლდათ. პატივს სცემდა მცოდნე, ნიჭიერ პედაოგებს, ახალისებდა და მხარში ედგა მათ.

უამრავი ჯილდო ჰქონდა მიღებული ბატონ აკაკის. მის მკერდს ამშვენებდა დიდ სამამულო ომში (1941-1945წ) დამსახურებული მედლები. მისი დიდი დამსახურებაცაა ქარელის № 40 სპტს ჯილდოებიც.

სამშობლოს სიყვარული შეიძლებოდა ესწავლა მისგან ადამიანს. ბოლომდე გაიხარჯა თავისი ქვეყნისთვის. ღრმა სიბერემდე იცხოვრა ხალისიანი, მოუღლელი ცხოვრებით.

ახალგაზრდობის თაობათა აღზრდა და საჭირო ცოდნით აღიჭურვა დიდი საქვეყნო საქმეა, ჩვენი ხალხის მომავლის საქმეა. ეს საქმე მთელი საზოგადოების შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს, ყოველდღიურ ზრუნვასა და დახმარებას საჭიროებს, მაგრამ ძირითადად მაინც ამ საქმეში მასწავლებელი დგას.

მასწავლებელი დიდი ძალაა, მან თავისი უანგარო მოღვაწეობით, ობიექტურობითა და პირუთვნელობით მოსწავლის პატივისცემა და სიყვარული უნდა დაიმსახუროს. პატივი და დიდება ახალგაზრდობის აღმზრდელს, სკოლის ბურჯს, განათლების საქმიან მედროშეს, მასწავლებელს.

ბატონი აკაკი გასიტაშვილი, რომელიც მოღვაწეობდა ქარელის №40 სპტს იყო სწორედ ის მასწავლებელი რომელმაც ღრმა კვალი დამჩნია ამ სასწავლებელს მისმა უტეხმა ნებისყოფამ, საარაკო შრომის მოყვარეობამ – დიდ ორგანიზატორად, პროფესიულ სასწავლებლის მამამთავრად მოუვლინა ქარელის №40 სპტს.

მინდა ისიც ვთქვა, რომ სკოლის მეთაურობა, მოწამის გვირგვინი უფროა, ვინემ დიდება შარავანდედი, არა მარტო იმის გამო კი არა, რომ ყოველგვარი იერიშების ობეიქტი სასწავლებლის მეთაურია, არამედ უფრო იმიტომ, რომ სასწავლებლის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებელია იმაზე რომ ამ სასწავებლის იდეის ენერგიისა და ზოგჯერ მსხვერპლის გაღებასაც მოითხოვს.

ბატონი აკაი პირადი მაგალითით უქმნიდა ახალგაზრდობას ერთგვარ მოდელს მამულისშვილობას მისგან ვითვისებდით არამარტო აზროვნების სტილს, არამედ ვსწავლობდით ცხოვრებისა და მოქალაქეობის წესსაც. ბატონი აკაკი უშურველად გასცემდა ხოლმე

მოსწავლეთათვის ყველაფერს. იგი ყოველგვარი პომპოზური ფასადის მტერი იყო. იგი მასწავლებლებს გვმოძღვრავდა შემდეგი სიტყვებით: „ქარელის №40 პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის პერსტიჟი საკუთარ პრესტიჟად უნდა აღვიქვათ და ალბათ ეს იქნება მადლობის ყველაზე ღირსეული ფორმა ჩემთვისო“.

ბატონი აკაკი მთელი ჩვენი პედკოლექტივის სულის ინჟინრად მოიაზრებოდა გაღიმებული სახით გვეტყოდა, მოდით ჩამოვსხდეთ ყველანი ერთად და ვილაპარაკოთ გამორჩეულ მეთოდებზეო. ამ სიტყვების შემდეგ ვიკრიბებოდით პედკაბინეტის ოთახში. ჯერ თვითონ დაიწყებდა საუბარს და ჩვენ გულდასმით ვუსმენდით. საუბარს ასე იწყებდა: „რომ მასწავლებელმა თავისი საგანი კარგად უნდა ასწავლოს მოსწავლეს გაკვეთილი ხალისიანი უნდა გამოვიდეს გზადაგზა მასწავლებელმა თემასთან დაკავშირებული საინტერესო ამბებიც ჩაურთოს. პირადი შთაბეჭდილებებით გაამდიდროს. ეს გაკვეთილს აცოცხლებს და კლასს მოასსმენად განწყობას. მაგრამ მასწავლებელმა არა მხოლოდ საგანი უნდა ასწავლოს, არამედ კაცური ცხოვერების ანბანიც. ამას კი ახალგაზრდობის მხრიდან ნდობის მოპოვება სჭირდება. ისმება კითხვა, როგორ მოიპოვოს მასწავლებელმა ეს ნდობა? მისი მოპოვება მე სწავლების მეთოდი მგონიაო. ამას რომ მიაღწიოს მასწავლებელმა სამართლიანი უნდა იყოს. მოსწავლეებისადმი დამოკიდებულბას თანასწორობის საზომით ზომავდეს და ასეთ მასწავლებელს ისინიც შეიყვარებენ. შემდეგ ადგა ფეხზე და განსაკუთრებული ტონით წარმოთქვა: აი, მოსწავლეებთან მისასვლელი პედაგოგის კეთილსაიმედო გზა. აი, სწავლების მეთოდი! მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიჩნევენ ახალგაზრდები მასწავლებელს ზნეობრივ მსაჯულად. და მაღალი ტონით დაამატა. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ პედაგოგობა თანამდებობა კი არ არის, არამედ მოვალეობაა, მაგრამ ორმაგი დანაშაულია, შეგნებული გქონდეს და არ შეასრულო. და საწარმოო სწავლების ოსტატების საყურადღებოდ აღვნიშნავ რომ ოსტატი არა მარტო შეგირდს უნდა ასწავლიდეს, არამედ მისგანაც უნდა სწავლობდესო. ამაში თავმოყვარეობის შემლახველს ვერაფერს ვხედავო და უამრავი ასეთი გონივრული საუბრები გრძელდებოდა ხოლმე.

როცა გაკვეთილზე გვესწრებოდა და შემდეგ გაგვირჩევდა ჩატარებულ გაკვეთილს ყოველთვის ხაზს უსვამდა ამ სიტყვებს: ჩემი დევიზია: „ცოდნის შეფასებაში ვიყოთ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი-ო“ და ეს სიტყვები იყო ჩვენთვის ჩვენი ცხოვრების თანამდევი.

№40 პროფესიული სასწავლებლი იყო ის პროფესიის სამჭედლო, სადაც შექმნილი იყო ყველა პირობა სასწავლო პროცესის ჯეროვნად წარმართვისათვის გვხიბლავდა სწორად შერჩეული ადმინისტრირება, მართვის სტილი, რომელიც ორიენტირებული იყო მოსწავლეებზე. იყო კეთილ განწყობილი ურთიერთობა, მშვიდი ატმოსფერო, აკადემიური გარემო... გვიქმნიდა კომფორტს.

ჩვენი, პედაგოგების დევიზი იყო: მოსწავლეებს ვასწავლოთ, რა არის მოყვასის სიყვარული, გასაჭირში მყოფის დახმარებით გამოწვეული ბედნიერების განცდა. ვასწავლოთ რა არის ჭეშმარიტი დაფასებული ღირებულებები, რისთვისაც ღირს ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი. ვცდილობდით ჩაგვენერგა მათში ჩვენი სამშობლოს უძველესი კულტურითა და ისტორიით სიამაყის განცდა.

პედკოლექტივის მიზანი ერთი იყო, გაგვეცნობიერებინა მათთვის ამ ქვეყნად არსეობის არსი. პასუხისმგებლობა ოჯახის, შთამომავლობისა და სამშობლოს წინაშე.

ქარელის №40 სპტს გამოირჩეოდა მაღალი რეიტინგით.

სასწავლებეში ტარდებოდა ლექციები: „სამართლებრივ-ზნეობრივი, მორალური აღზრდა“.

ტარდებოდა თეორიული კონფერენციები:

„ჩემი ცხოვრების მიზანი“

დიდი ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას.

ეწყობოდა გამოფენები თვითნაკეთი ხელსაწყოების. გაფორმებული იყო სასწავლო კოსპუსში.

იყო სტენდები: „სამშობლო ჩვენი გულის ფეთქვაა, სამშობლო ჩვენი გულის ძახილი!“

ეწყობოდა კონკურსები სათაურით: „საუკეთესო უკეთესთა შორის“.

ტარდებოდა თეორიული კონფერენციები, ტარდებოდა ექსკურსიები ღირშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად.

დიდი ყურადღება ექცეოდა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას რომლის მასწავლებელი იყო პოლკოვნიკი კალესნიოვი, ენერგიული და შრომისმოყვარე პიროვნება.

მან შექმნა სტენდი „ისინი სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდნენ.“ მოწყობილი იყო კუთხე: „შეხვედრა წვევამდელებთან“.

ხშირად იმართებოდა პოეზიის საღამოები პატრიოტულ თემებზე: „რა არის გმირობა“, „ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსა“, „დედა სამშობლო გვეძახის“ და მრავალი სხვა. ტარდებოდა ვიქტორინები სხვადასხვა თემებზე.

ჩატარებული ღ ნისძიებების შესახებ იბეჭდებოდა წერილები გაზეთებშიც ვაწყობდით კედლის გაზეთების კონკურსს „დაე, მუდამ იყოს მზე“.

მოვაწყეთ ფართო მოცულობის გამოფენა თემაზე: „საზღვარგარეთელი მწერლები, რომლებმაც შექმნეს მეგობრობის თემებზე ნაწარმოებები.“

ტარდებოდა პოზიის საღამოები. მაგალითად: ჩატარდა დიდი საღამო თემაზე: „გალაკტიონი თვითონ პოეზიაა“ და მოწვეული გვყავდა ბატონი ნოდარ ტაბიძე, რომელიც სიტყვითაც გამოვიდა საღამოზე.

სასწავლებელში ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობოდა შრომით აღზრდას და პროფესიულ ორიენტაციას. ამ მიზნით ხდებოდა კავშირის განმტკიცება უახლოეს საწარმოო დაწესებულებებთან. ვაწყობდით ექსკურსიებს ფაბრიკა-ქარხნის და აგარის შაქრის კომბინატის. შევქმენით საწარმოო ბრიგადები და მათი მუშაობისათვის ხელმძღვანელობა.

სასწავლებლის ცენტრალურ კორპუსს ამშვენებდა სტენდი: „ისინი ჩვენს სასწავლებელში აღიზარდნენ.“

ხდებოდა სასწავლო ფილმების ჩვენება „ყველა პროფესია კარგია, არიჩიე სურვილისამებრ“.

ტარდებოდა ღონისძიებები თემებზე: „შრომით ვადიდოთ სამშობლო“.

წლების მანძილზე მუშაობის დროს გვქონდა სიძნელეებიც, დაბრკოლებები, გაუთვალისწინებელი შეფერხებანიც, მაგრამ ყოველთვის სძლევდა შემართება, ლტოლვა გამარჯვებისაკენ – და ჩვენი კოლექტივიც თავიანთი ქცევით, სიტყვითა და საქმით მაგალითს აძლევდნენ ყველას, ვისაც კი ჩვენ მახლობლად უხდებოდა ყოფა და შრომა.

აკაკი გასიტაშვილი დღენიადაგ ზრუნავდა მასწავლებელთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა ცოდნის და პროფესიალიზმის ამაღლებაზე იგი იყო საინტერესო, მრავალწახნაგოვანი პიროვნება, რომელთანაც მუშაობა სიამოვნებას ანიჭებდა როგორც თანამშრომებლს ასევე მოსწავლეებსაც – მისი მუშაობა ერთი ლამაზი ისტორიაა, აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნეს არქივის მასალები და მოიცეს მონოგრაფია.

ირაკლი გიორგაძე



რუსეთ-თურქეთის ომების ზოგადი მიმოხილვა XV-XIX სს-ში

რუსეთ-თურქეთის ბრძოლის ისტორია პირობითად რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. ამ ორ ქვეყანას შორის კონფლიქტი სათავეს XV საუკუნიდან იღებს.

ჩემს თემაში შევეცადე სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის დაყრდნობით ზოგადად მიმომეხილა რუსეთ-თურქეთის ომები, მათ შორის როგორც საომარი, ასევე საზავო ხელშეკრულებები წარმოგვეჩინა ორივე ქვეყნის იმპერიალისტური სახეები.

1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემით ბიზანტია, ანუ „მეორე რომი“ დაეცა, რამაც ხელსაყრელი პირობა შეუქმნა რუსეთის იმპერიას „მესამე რომის“ სტატუსი მოერგო, რაც ითვალისწინებდა მთელი ქრისტიანული სამყაროს თანნმიმდევრული მტრის, თურქეთის წინააღმდეს მთავარი სასაზღვრო სიმაგრის, ისტორიულ-პოლიტიკური ფუნქციის შესრულებას. ეს როლი, როგორც ისტორიული ბედი რუსმა ხალხმა მიიღო თავის თავზე იძულებით, რადგან მზარდი თურქული ექსპანსია არ უტოვებდა მას სხვა არჩევანს. თურქები ითვისებდნენ რა განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთსა და ანატოლიაში ტერიტორიებს, უმეტესად დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების დახმარებით. წინ წაიწიეს ბალკანეთსა და შავი ზღვისპირეთში, რათა სრულებით ალყაში მოექცათ მაშინდელი მსოფლიოს ეკონომიკური, სულიერი და კულტურული დედაქალაქი კონსტანტინეპოლი. ამით ოსმალები გადაიქცნენ საერთო ევროპულ მუქარად, ამიტომ მისი უწინდელი მოკავშირეები და პარტნიორები გაერთიანდნენ ანტიბიზანტიურ კოალიციაში - ავსტრია-უნგრეთი, ჩეხეთი, ვლახეთი, პოლონეთი, გერმანული სახელმწიფოები, აგრეთვე ესპანეთი ქმნიდნენ კავშირებს და აწყობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებს.

კონსტანტინეპოლის აღებამ თურქეთი გადააქცია, ძალმოსილ დერტჟავად. ეს იყო უკვე არა ურდო შემდგარი 50 000 მამაკაცისა ქალისგან, არამედ ძლევამოსილი იმპერია, რომელსაც შეეძლო ერთ პუნქტში 250 000 არმიის გამოყვანა, მათი ასეთი სიძლიერის ახსნა შეიძლება, მხოლოდ იმ მსუბუქი პოლიტიკით, რომლითაც ისინი ახდენდნენ სხვა ხალხებისა და ტერიტორიების ასიმილირებას. თურქებად იქცეოდნენ ყველა ისინი, ვინც თანხმდებოდა მსხვერპლად შეეწირა რელიგია, პრივილეგირებული მდგომარეობის შეძენის სანაცვლოდ, ასეთები კი არც თუ ცოტა იყვნენ. ბევრ ქრიასტიან ბავშვს ხელს სტაცებდნენ და ძალადობით გადაჰყავდათ ისლამში. ქრიასტიანი მშობლებისგან წარმოშობა არანაირად არ უშლიდა მათ ხელს კარიერის მოწყობაში. ასე მუჰამედ II -ის დროს დიდი ვეზირად იყო მაჰმუდ-ფაშა, მართლმადიდებელი სერბისა და ბერძენი ქალის ვაჟიშვილი. ამგვარად, კონსტანტინეპოლის დამპყრობლები ეთნოგრაფიული აზრით, ძლივს შეიძლება ჩაითვალონ მონღოლურ რასად, თუმცა კი მათი ენა უეჭველად იყო მონღოლური, რასის შეცვლა ჩქარდებოდა კიდევ უფრო იმით, რომ თურქების ჰარამხანას უმეტესწილად დაპყრობილი ხალხები ავსებდნენ.

რუსეთი უშუალოდ შეეჯახა თურქეთს კონსტანტინეპოლის დაცემიდან 150 წლის შემდეგ. ამ დროისათვის შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში ჩამოყალიბებული იქნა ორი მონათესავე თურქული სახელმწიფო: ყირიმისა და ოტომანთა სამეფო. ისლამიზებული, მომთაბარე ხალხების მორალითა და ზნეობით, რაც ითვალისწინებდა მონებით ვაჭ-

რობას, ტერიტორიების მიტაცებას და სხვა აგრესიული ზრახვებს. ყველაფერი ამისთვის კი ფართოდ იყენებდნენ რუსი ხალხის ადამიანურ რესურსებს. ცხადია ყოველივე ამან ეს ორი სახელმწიფო რეალურ კონფლიქტში ჩააბა.

ამდენად პირველი პერიოდი რუსეთ-თურქეთის კონფლიქტისა დაკავშირებულია თურქეთის წინსვლასთან ზღვისპირეთის ჩრდილოეთ მხარეს და მოიცავს მთელ XVII საუკუნეს. ამ კონფლიქტის მახასიათებელი გახდა რამდენიმე ევროპულ ქვეყანასთან ერთობლივი ბრძოლა თურქული ექსპანსიის შესაჩერებლად.

მე-2 პერიოდმა მოიცვა პრაქტიკულად მთელი XVIII საუკუნე და ხასიათდებოდა რუსეთის, როგორც მთავარი ანტითურქული ძალის გადამჭრელი შეტევით მსოფლიო მასშტაბით.

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის საზავო ხელშეკრულება 1735 წლამდე არ დარღვეულა . 1735 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო, რომელიც 1739 წლამდე გაგრძელდა. ომის ფორმალური მიზეზი გახდა ყირიმის ხანის თავდასხმები სამხრეთ პროვინციებზე. ომის ნამდვილი მიზეზი კი ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შავიძღვისპირეთში რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება იყო.

1736 წელს რუსეთმა არმიამ დაიკავა ყირიმის სახანოს დედაქალაქი ბახჩისარაი და აზოვის ციხესიმაგრე. 1737 წელს მდინარე დნეპრის შესართავში მდებარე ოჩაკოვის ციხესიმაგრე. 1739 წლის 18 სექტემბერს რუსეთ-ოსმალეთს შორის ბელგრადში ხელი მოეწერა საზავო მოლაპარაკებას (ტრაქტატს), რომლის ძალითაც ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო აზოვი, მხოლოდ საფორტიფიკაციო მშენებლობის უფლების გარეშე.

ბელგრადის საზავო ხელშეკრულების ძალით დამარცხების მიუხედავად, ოსმალეთმა შეინარჩუნა ყველა სიმაგრე ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

აზოვისპირეთისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დაპყრობა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად რჩებოდა. ამან ცხადია გამოიწვია ახალი ომის დაწყება 1768 წელს. ძველად შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირო აღმოსავლეთ სლავთა ტომებით, ულიჩებით და ტივერტებით იყო დასახლებეული, მაგრამ ისინი აქედან აზიის მომთაბარე ტომებმა განდევნეს.

XIII საუკუნეში ეს ტერიტორია თათარ-მონღოლთა ხელში აღმოჩნდა, ხოლო XV საუკუნეში ოსმალეთის იმპერიამ ხელთ იგდო შავი ზღვის სანაპიროები, ყირიმის ხანი სულთანის ქვეშევრდომი გახდა. ამ დროიდან ეს ტერიტორია რუსეთის წინააღმდეგ განუწყვეტელი თავდასხმის იქცა.

რუსეთისათვის აუცილებელი იყო შემოემტკიცებინა შევი ზღვის სანაპიროები, ხელში ჩაეგდო ზღვისპირეთის მიწები და რაც მთავარია მოსახერხებელი საზღვაო გზები. 1868 წელს თურქეთის ვასალის ყირიმის ხანის ჯარები კიდევ ერთხელ შეიჭრნენ რუსეთში, რაც რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების საბაბად იქცა. რუსეთის არმიის სათავეში იდგა გენერალი რუმიანცევი, რომელმაც თავი გამოიჩინა 7 წლიან ომში პრუსიასთან (1756-1763წწ). რუმიანცევის ტაქტიკა შეტევის და გამარჯვების ტაქტიკა იყო. რუსეთის არმია, რომლის შემადგენლობაში მოლდაველი ხალხებიც იყო 1770 წელს მდინარე ლარგასთან დაბანაკებულ 80 ათასიან არმიას დაესხა თავს, რუსებმა ღამით მდინარე გადალახეს და მოულოდნელი იერიშით აიძულეს მტერი უკან დაეხიათ. კიდევ უფრო დიდი ბრძოლა მოხდა მდინარე კაგულთან (დუნაის ქვემო ნაწილი) თურქეთის არმიის მთავარსარდალი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის არმიას ალყაში მოიქცევდა, მაგრამ რუმიანცევმა მტერს გაერთიანების საშუალება არ მისცა. მან თვითონ მიიტანა იერიში და ცალ-ცალკე გაანადგურა. ამ გამარჯვებისათვის რუმიანცევმა გენერალ ფერლდ მარშალის წოდება მიიღო.

სახმელეთო არმიის ამ დიდი გამარჯვებას მხარს უმშვენებდა რუსეთის ფლოტის

ბრწყინვალე გამარჯვება გ.ა სპირიდონოვის მეთაურობით. ეს ფლოტი 1770 წელს ბალტიის ზღვიდან გამოვიდა, ევროპას შემოუარა და გიბრალტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვაში შევიდა. ჩესმენის უბესთან (ეგეოსის ზღვაში ქაოსის კუნძულებთან ახლოს) იგი თურქეთის ფლოტს შეხვდა და ცეცხლი გაუხსნა. გაბედულმა რუსმა მეზღვაურებმა წარმატებით შეასრულეს ეს ამოცანა და მტრის ფლოტი ცეცხლის ალში გაეხვია. ამ გამარჯვებამ საბოლოოდ გადაწყვიტა ომის ბედი.

1769 წელს აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაწყო ვლახეთისა მოლდავეთის ტერიტორიებზე, ასევე აზოვის ზღვის სანაპირო ზოლში. 1770 წელს რუსეთის არმიამ მდინარე ლარგასა და მდინარე კაგულთან დაამარცხა ოსმალეთის არმია და მდინარე დუნაის მიადგა 1770 წელსვე. რუსეთის სამხედრო ფლოტმა ხმელთაშუა ზღვაში, ჩესმენის ყურეში გაანადგურა ოსმალეთის სამხედრო ესკადრა. 1771 წელს რუსებმა ყირიმის სახანოს ტერიტორია დაიკავეს.

ოსმალეთთან ომში რუსეთის საიმპერატორო კარმა ქრისტიანი ხალხების გამოყენებაც გადაწყვიტა. 1769 წელს რუსეთმა და ქართულმა სამეფო-სამთავროებმა (იმერეთი, ქართ-კახეთი) სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრეს. 1769 წელს რუსეთის არმიის საექსპედიციო კორპუსი გენერალ გოტლიბრ-კურტ-ჰენრიხ-ტოტლებენის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. 1770 წლის აპრილში ქართლ-კახეთისა და რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ძალა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა. ქართველებსა და რუსებს მტკვრის ხეობით ახალციხის მიმართულებით უნდა შეეტიათ. 1770 წლის აპრილში გენერალმა ტოტლებენმა, აწყურის ციხე ალყის დროს ერეკლე II მოღალატურად მიატოვა და უკან გამობრუნდა. მართალია 1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან გამართულ ბრძოლაში ქართლ-კახეთის ლაშქარმა ერეკლე II-ის სარდლობით ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ქართველთა და რუსთა ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ ჩაიშალა. აწყურის ციხესთან ბრძოლის მიტოვების შემდეგ გენერალი ტოტლებენი თავისი რაზმით იმერეთის სამეფოში გადავიდა. ტოტლებენის ღალატი, რუსეთის საიმპერატორო კარის შორს გამიზნული გეგმის ერთი დეტალი იყო.

სოლომონ II -მ ისარგებლა იმით, რომ ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში ახალციხის ფაშის ძირითადი ძალები გაანადგურა და ოსმალებს შეუტია. 1770 წელს იმერეთის მეფემ ოსმალეთს ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებიც დაატოვებინა, ამის შემდეგ კი ქუთაისის ციხეში გამაგრებულ ოსმალებს შეუტია, თუმცა ციხის აღება ვერ შეძლო. 1770 წლის 2 ივლისს სოლომონ II-მ და გენერალმა ტოტლებენმა ბაღდადის ციხეს შემოარტყეს ალყა. მალე ოსმალური გარნიზონი დანებდა. 6 აგვისტოს ღამით ტოტლებენის აშკარა თანადგომით ოსმალთა გარნიზონი შეუმჩნევლად გაიპარა ქუთაისის ციხიდანაც. 1770 წლის 3 ოქტომბერს ტოტლებენმა ფოთის ციხეს შემოარტყა ალყა, მაგრამ ვერ აიღო. გენერალ ტოტლებენს მალე იმერეთის მეფესთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა და რუსეთის საიმპერატორო კარმა გაიწვია უკან. 1771 წლის მაისში იმერეთში რუსთა საექსპედიციო კორპუსის ახალი მეთაური გენარალი ალექსეი სუხოტინი ჩავიდა. ფოთი ვერც სუხოტინმა აიღო და 1771 წლის ოქტომბერში ალყა მოხსნა. 1772 წლის ივნისში რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა საქართველოს საზღვრები დატოვა.

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დასრულდა, ოსმალები განდევნილი იყვნენ იმერეთის ციხეებიდან: ქუთაისიდან, ცუცხვათიდან, შორაპანსა და ბაღდადიდან.

1774 წლის 10 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე გასასვლელი-შავი ზღვისპირეთის სტეპის ზონა. დნეპრსა და ბუკს შორის რუსეთის ხომალდებმა შავ ზღვაში ნაოსნობის

უფლება მიიღეს. ყირიმის სახანო დამოუკიდებლად გამოცხადდა, მას საკუთარი ძალებით დამოუკიდებლობის დაცვა არ შეეძლო. 1783 წელს ყირიმის ხანმა ხელი აიღო ძალაუფლებაზე. ყირიმი და სახანოს სხვა სამფლობელოები რუსეთს შემოუერთდნენ.

ეკატერინე II-ემ იცოდა, რომ თურქეთი ყირიმის დაკარგვას ვერ შეურიგდებოდა, ამიტომ მან თურქეთთან ახალი ომისათვის მზადება დაიწყო. ეს ომი 1787-1791 წლებში მიმდინარეობდა. რუსეთთან კავშირში თურქეთის წინააღმდეგ ავსტრიაც ომობდა. ომში რუუსეთის არმიის მთავარსარდალი ეკატერინე II-ის რჩეული მხედართმთავარი პოტიომკინი დაინიშნა. ამ ომში თავი გამოიჩინა, შემდეგში ცნობილმა მხედართმთავარმა სუვოროვმა, რომელიც განუწყვეტლივ მონაწილეობდა მე-18 საუკუნის მრავალრიცხოვან ომებში, რის შედეგადაც მან შეიმუშავა სამხედრო ხელოვნების სავსებით დამუკიდებელი საფუძველი. მას შეეძლო შთაეგონებინა მემომრებისათვის საკუთარი ძალებისადმი რწმენა. თურქეთთან მეორე ომში მან არ უღალატა ჩვეულებას და დიდი გამარჯვება მოიპოვა 1789 წელს მდინარე რიმნიკთან (დუნაის შენაკადი). რუსეთ-თურქეთის ამ ომის დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იზმაილის ციხე-სიმაგრის აღებას. იზმაილის შავიძღვისპირეთში თურქეთის ბატონობის დასაყრდენი იყო. ევროპელი ინჟინრების მიერ აგებული ეს ციხე-სიმაგრე აუღებლად ითვლებოდა.

1790 წლის 11 დეკემბერს ათ საათიანი ბრძოლის შემდეგ იზამაილი აღებული იქნა.

შავ ზღვაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა რუსეთის ფლოტმა ადმირალ თ. უშაკოვის მეთაურობით. უშაკოვი სუვოროვის წესებს იყენებდა ზღვაზე, ამიტომ მას სხვის სუვოროვი შეარქვეს. 1791 წლის გაზაფხულზე თურქეთის ფლოტი მეორედ დამარცხდა. იმავე წელსვე ნიასაში ხელი მოაწერეს ზავს, რომლითაც რუსეთის ხელში გადავიდა სამხრეთ ბუქსა და დნესტრს შორის მდებარე მიწები. რუსეთმა საბოლოოდ მოიმაგრა ფეხი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. ამრიგად, თურქეთთან მეორე ომის შემდგე რუსეთმა მისთვის აუცილებელი გასასვლელი მოიპოვა შავ ზღვაზე. რუსეთის შემადგენლობაში შევიდა სამხრეთ უკრაინა და ყირიმი.

რუსეთის შავიზღვის სანაპიროზე განმტკიცებამ რუსეთის მოსახლეობამ (რუსები, უკრაინელები, მოლდოველები) იხსნა თურქი დამპყრობლების მუდმივი თავდასხმებისაგან. ხელშეკრულებით გათვალისწინებული 23-ე მუხლი ეხებოდა საქართველოს.

„საქართველოსა (იმერეთის სამეფო) და სამეგრელოში (ოდიშის სამთ) მდებარე ციხეები: ბაღდადი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ. თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ ბრწყივნალე პორტას, მის საკუთრებად იქმნებიან ცნობილნი. ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ დათქმულ დროს რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად, ვალდებულებას იღებს ყველა იმათი სრული ამინისტია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცყოფა მიაყენეს. ბრწინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე. ამასთან პორტა ვადებულებას კისრულობს არცერთი მათგანი არ ჩაითვალოს თავის ქვეშევრდომად, იმის გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ. ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში, ასევე არავითარი სახით არ შეავიწროებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს. არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების მშენებლობას, შეკეთებას. ჩილდირის ვალმა და სხვა გამგებლებმა თუ ოფიცრებმა არ შეა-

ვიწროვონ ისინი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა, მაგრამ რადგანაც დასახელებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი“ (ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების 23-ე მუხლი).

ამრიგად, ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება იყო რუსეთის მიერ დადებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც მეტ-ნაკლებად გათვალისწინებული იყო საქართველოს ინტერესებიც.

რუსეთის ბრძოლა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და აზოვისპირეთში გაბატონებისათვის 1783 წელს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ყირიმის სახანო რუსეთის მფლობელობაში გადავიდა, რასაც ცხადია ოსმალეთის ინტერესები შეეწირა და ახალი ომი მათ შორის გარდაუვალი გახდა. ახალი ომი 1787 წელს დაიწყო და 1791 წლამდე გაგრძელდა. 1790 წელს მთელი რიგი თურქული ციხესიმაგრეების აღების შემდეგ რუსეთის არმიამ აიღო იზმაილის ციხესიმაგრე და ოსმალეთი იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკებას დათანხმებოდა.

1791 წლის 29 დეკემბერს იასში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი), რომელმაც დაადასტურა 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების ყველა მუხლი. ხელშეკრულების ძალით ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის ტერიტორიად გამოცხადდა. ასევე რუსეთს გადაეცა შავი ზღვის სანაპირო მდინარეებს დნესტრსა და ბუგს შორის, ასევე თურქეთმა სცნო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები. მე-5-ე მუხლის ძალით ოსმალეთის სულთანი ვალდებულებას იღებს, რომ ახალციხის ფაშა თავს აღარ დაესხმოდა ქართლ-კახეთის სამფლობელოებს.

XVIII საუკუნეში რუსეთთან ომებში დამარცხების მიუხედავად, ოსმალეთი რევანშისთვის ემზადებოდა. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთსა და საფრანგეთს შორის ოსმალეთის ლავირება დამთავრდა იმით, რომ აუსტერლიცის ბრძოლაში (1805წ) რუსეთის მარცხის შემდეგ ოსმალეთი საფრანგეთს მიემხრო და რუსეთთან ურთიერთობის ხელოვნურად დაძაბვა დაიწყო. ოსმალეთმა რუსეთის გემებისთვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები დახურა, ამავე დროს უგულებელყო რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებით მოლდავეთის, ვალახეთისა და სებებისათვის ნაკისრი ვალდებულებები.

1806 წელს დაიწყო ახალი რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც1812 წლამდე გაგრძელდა. 1810 წელს რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე დუნაი და მიაღწია ბალკანეთის უღელტეხილებს. მომდევნო წლებში წარმატებები მოიპოვა კავკასიის ფრონტზეც. 1910 წელს აიღო ფოთი და სოხუმი. 1811 წელს კი ახალქალაქი. 1812 წლის 16 მაისს ბუქარესტში რუსეთ-ოსმალთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი), რომლის ძალითაც უცვლელად რჩებოდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრე დადებული ყველა ხელშეკრულება. დამატებით კი რუსეთმა მიიღო ბესარაბია. ოსმალეთმა სცნო ქართ-კახეთის სამეფოს, გურიის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავრობოების გადასვლა რუსეთის მფლობელობაში. საზავო ხელშეკრულების მე-6 მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში უნდა აღდგენილიყო ომამდელი სახით. რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა ფოთი და ახალქალაქი, მაგრამ შეძლო სოხუმის შენარჩუნება, იმის გამო რომ 1810 წელს აფხაზეთის მთავარი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. საბოლოოდ რუსეთს დარჩა შავი ზღვის სანაპირო სოხუმიდან რედუტ-კალემდე (მდინარე ხობის შესართავი).

რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირებამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და რუსეთის იმპერიის სწრაფვამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით უპირატესი გავლენა მოეპოვებინა ოსმალეთზე. რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი გამოიწვია 1828-1829 წლებში. ომი

თავიდანვე ორ ფრონტზე ბალკანეთსა და სამხრეთ-კავკასიაში დაიწყო.

1828 წელს რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე პრუტი და მოლდავეთის სამთავროს ტერიტორიაზე შევიდა. რუსეთმა დაიკავეს იასი და ბუქარესტი. 1829 წელს გადალახეს ბალკანეთის მთები და უბრძოლველად შევიდნენ ანდრიანოპოლში. წარმატებას მიაღწიეს ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაშიც. 1828 წელს რუსულმა არმიამ დაიკავა ანაპა (ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთი) ყარსი, ახალქალაქი, ახალციხე და ბაიაზეთი.

1829 წლის 2 სექტემბერს ანდრიანოპოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთმა მიიღო მდინარე დუნაის დელტა, საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ევროპაში, კვლავ მდინარე პრუტზე რჩებოდა. ხელშეკრულების მე-4 მუხლის ძალით, ოსმალეთმა აღიარა რუსეთის ხელში საქართველოს (ქართლ-კახეთი), იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის გადასვლა, ასევე გულისტანი საზავო ხელშეკრულებით ირანის მიერ სამხრეთ კავკასიაში რუსეთისათვის ტერიტორიების დათმობა. ე.ი ჭარ-ბელაქანის (საინგილო) გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. იმავე მეოთხე მუხლის ძალით რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში უნდა გადასულიყო შავი ზღვის სანაპიროდან გურისა და აჭარას შორის, შემდეგ საზღვარი მიუყვებოდა იმერეთის სამხრეთ საზღვრებს, ახალციხისა და ყარსის ტერიტორიებს, ისე რომ ეს უკანასკნელნი რუსეთის საზღვრებში რჩებოდნენ. რუსეთ-ოსმალეთის ახალი სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები-ყარსისა და ტრაპეზუნტის საფაშოებისა და ახალციხის საფაშოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი რჩებოდა ოსმალეთის შემადგენლობაში. ტერიტორიები ახალი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით-საქართველო (იგულისხმება ქართ-კახეთი) იმერეთი, გურია, ასევე შავი ზღვის სანაპირო-წმინდა ნიკოლოზის სიმაღლიდან მდინარე ყუბანის შასართავამდე გადადიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა ომის დროს დაკავებული ახალციხის საფაშოს ნაწილი, ყარსი და ყარსის საფაშო, ბაიზეთი და ბაიზეთის საფაშო, არზრუმი და არზრუმის საფაშო.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან რუსეთის მიზანი გახდა „ევროპის სნეული ადამიანის“ (ომპერატორ ნიკოლო I-ის გამოთქმა)- ოსმალეთის საბოლოო განადგურება და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაუფლება თავდაპირველად რუსეთი იმედოვნებდა, რომ ამ საქმეში ევროპის სახელმწიფოები მის მხარეს დაიჭერდნენ, მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა დაუშვებლად მიიჩნიეს რუსეთის ასეთი გაძლიერების პერსპექტივა და ომში ოსმალეთის მხარე დაიჭირეს. ომმა „ყირიმის ომის“ სახელი მიიღო (1854-1856წწ) და რუსეთისათვის წარუმატებელი შედეგით დასრულდა.

რუსეთმა თურქეთს ომი ოფიციალურად 1853 წლის ნოემბერში გამოუცხადა. საომარი მოქმედებები დაიწყო შავ ზღვაზე, ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ამიერკავკასიაში. 1853 წელსვე რუსეთის ფლოტმა ადმირალ ნახიმოვის სარდლობით სინოპის ყურეში გაანადგურა თურქეთის ფლოტი. წარმატებით დაიწყეს რუსებმა საომარი მოქმედებები ბალკანეთზეც.

კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები ომის ოფიციალურ გამოცხადებამდე დაიწყო. 1853 წლის ოქტომბერში თურქები თავს დაესხნენ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე შეკვეთილის საგუშაგოს. თურქების თავდასხმის მომენტისათვის საგუშაგოზე იმყოფებოდა რუსთა მცირერიცხოვანი რაზმი და გურიის სახალხო ლაშქარი გიორგი გურიელის მეთაურობით. თურქების ჭარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა მრავალი ჯარისკაცი და სახალხო მოლაშქრე. ბრძოლაში დაღუპა გიორგი გურიელიც. მებრძოლებმა საგუშაგო მხოლოდ მაშინ დატოვეს, როცა საბრძოლო მასალის მარაგი ამოწურეს.

ყირიმის ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებზე და ხელი შეუწყო ბრიტანეთ-საფრანგეთის პოზიციების განმტკიცებას ოსმალეთის იმპერია-

ში, მის გადაქცევას ნახევრად კოლონიურ ქვეყნად. აგრეთვე ყირიმის ომმა გამოაშკარავა რუსეთის სისუსტე დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ყირიმის ომის დროს კავკასიის ფრონტზე ოსმალთა სარდალმა ომერ-ფაშამ მოაოხრა აფხაზეთი, გურია და სამეგრელო და ახალციხის დაკავებას ცდილობდა.

ყირიმის ომი 1856 წლის მარტში დამთავრდა პარიზის ზავით. ზავის პირობები შეეხო კავკასიასაც. ყარსის სანაცვლოდ მოკავშირეებმა რუსეთს დაუბრუნეს სევასტოპოლი და ყირიმის ნახევარკუნძული მთლიანად. თურქებმა დატოვეს სამეგრელოსა და აფხაზეთში მათ მიერ დაკავებული ტერიტორია. შავი ზღვა ცხადდებოდა ნეიტრალურად, მისი პორტები ღია იქნებოდა, როგორც მომიჯნავე ისე სხვა ქვეყნების სავაჭრო ხომალდებისათვის, ხოლო სამხედრო ხომალდებისათვის სამუდამოდ იქნებოდა ჩაკეტილი, გარდა გამონაკლისისა. რუსეთი და თურქეთი იღებდა ვალდებულებებს შეეტანა შავი ზღვის სანაპიროზე სამხედრო- საზღვაო არსენალი. ისინი აგრეთვე ინარჩუნებდნენ თავიანთ სამფლობელოებს აზიაში იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილი იყო ომამდე.

ყირიმის ომში რუსეთი კავკასიის ფრონტს მეორეხარისხოვნად თვლიდა და მის გამაგრებაზეც დიდად არ უზრუნია, თუმცა ქართველებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას და საბოლოოდ თურქებმა დატოვეს ეს რეგიონი.

ყირიმის ომმა ცხადყო, რომ რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ადგილი ჩრდილო კავკასიის რეგიონი იყო, აქ მოსახლეობდნენ დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ადილეს მთიელები. აქაური მაჰმადიანი მოსახლეობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შასანარჩუნებლად, მეფის ცარიზმის წინააღმდეგ შეუპავარ ბრძოლას ეწეოდა. ბრძოლას 1834 წლიდან შამილი ედგა სათავეში. იგი ოსმალეთსა და ინგლისს დაუკავშირდა და ყირიმის ომის დროს აზერბაიჯანსა და საქართველოს გავლით ოსმალეთის არმიასთან შეერთება სცადა, მაგრამ რუსი სამხედრო ნაწილებისა და ქართველი მოხალისეთა რაზმების წინააღმდეგობის გამო საწადელს ვერ მიაღწია, თუმცა თავისი სამხედრო ოპერაციების წყალობით რუსეთს მეტად გაურთულა მდგომარეობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაცვის საქმეში. ყირიმის ომის შემდეგ 1859 წელს შამილი დაატყვევეს და ჩრდილო კავკასიელებმაც 1864 წლიდან წინააღმდეგობა შეწყვიტეს. ქვეყანაში დაიწყო მასობრივი მუჰაჯირობის პროცესი-ასი ათასობით მაჰმადიანი მთიელი, მათ შორის აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი, რუსებმა ძალდატანებით გადაასახლეს ოსმალეთში, მათი მამა-პაპისეული მიწა-წყალი კი შეავსეს რუსეთის იმპერიიდან ჩამოსახლებულმა კაზაკებმა, ამავე დროს გრძელდებოდა რუსეთის სახელწიფოს წინსვლა შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით ყაზახეთსა და შუა აზიაში. 1860 წლის პეკინის ხელშეკრულებით რუსეთმა მდინარე უსურიდან წყნარ ოკეანემდე ფართო ტერიტორიები მიიღო. წყნარი ოკეანის სანაპიროზე ააგო საზღვაო ციხესიმაგრე ვლადივოსტოკი.

XIX საუკუნის შუა წლებში მეფის მთავრობამ ყაზახეთის დამორჩილება დაამთავრა და თავისი ხელისუფლება გაავრცელა ყირგიზი ტომების მნიშვნელოვან ნაწილზეც. ასევე 60-იან წლებში რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა შუა აზიის სამი მსხვილი გაერთიანება, კოკანდისა და ხიგის სახანოები და ბუხარის საამირო.

რუსეთმა XIX საუკუნის 70-იან წლებში ისარგებლა საფრანგეთის სამეფოს დასუსტებით და მიზნად დაისახა თავი დაეღწია 1856 წელს პარიზის საზავო ხელშეკრულების სამარცხვინო პირობებისაგან.

XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხი კვლავ გამწვავდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სახელწიფოთა (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია) ბრძოლა თურქეთის ტერიტორიის გადანაწილებისათვის ახალ სტადიაში შევიდა. ყი-

რიმის ომში (1853-1856წწ) განცდილი მარცხის შემდეგ, რუსეთი წელში გაიმართა და ახალი ომისათვის მზადება დაიწყო. რუსეთის მისწრაფებას ხელთ ეგდო ბოსფორ-დარდანელის სრუტეები და ქალაქ სტამბოლს ტრადიციულად ეწინააღმდეგებოდა ინგლისი და საფრანგეთი, სამაგიეროდ მის ბრძოლას თურქეთის წინააღმდეგ მხარს უჭერდა ბალკანეთის მოსახლეობა, რომელიც განმათავისუფლებელ ომს აწარმოებდა თურქეთის უღლის გადასაგდებად, ხოლო ქართველი ერი მხარს უჭერდა რუსეთის ლტოლვას-განედევნა თურქეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან.

XIX საუკუნის 70-იან წლებში „აღმოსავლეთის საკითხი" კვლავ მოექცა საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში, გაძლიერდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობის გაყოფისათვის. ავსტრია-უნგრეთს, რომელსაც სურდა ბოსნიისაც და ჰერცოგუვინის ხელში ჩაგდება, აშინებდა რუსეთის გავლენის ზრდა ბალკანეთზე. დიდი ბრიტანეთი გაბატონებული იყო ოსმალეთის ბაზარზე და მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მიერ ბოსბორ-დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდების ცდებს. გერმანია ხელს უწყოდა აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებას, რადგან ეს აძლევდა მას მოქმედების თავისუფლებას ცენტრალურ ევროპაში.

ყირიმის ომის დროს შექმნილი ინგლის-საფრანგეთ-პრუსიის კავშირი დაიშალა. ამით რუსეთ პარიზის ზავის პირობების გადასინჯვის საშუალება მიეცა. 1871 წელს ლონდონის კონფერენციაზე რუსეთის მოთხოვნით გაუქმდა შავი ზღვის აუზის ნეიტრალური სტატუსი. რუსეთს შავი ზღვის სანაპიროზე სამხედრო სიმაგრეების მშენებლობისა და ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის საშუალება მიეცა, თუმცა იმავდროულად ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაიკეტა ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის და ოსმალეთს უფლება მიეცა მშვიდობიანობის დროს სრუტეები გაეხსნა მეგობარი ქვეყნების სამხედრო გემებისათვის.

რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი ფაქტორივად დააჩქარა ბალკანეთის სლავი ერების აჯანყებამ თურქეთის ტერიტორიაზე, რომელის 1875 წელს დაიწყო. ბალკანეთზე სლავების აჯანყებას თურქეთის დამსჯელი ექსპედიციაების ამოქმედება მოჰყვა. ინგლისისაგან წაქეზებულმა თურქეთმა ყურად არ იღო რუსეთის მოთხოვნა, შეეჩერებინა დამსჯელი ოპერაციები, რაც ხელსაყრელი საბაბი გახდა ომის დაწყებისათვის. 1877 წლის აპრილში რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს.

რუსეთის არმიის შეჭრას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დიდი სიხარულით შეხვდნენ სლავი ხალხები. 1877 წელსვე რუსებმა ალყა შემოარტყეს თურქების მთავარ ციხე-სიმაგრეს პლევნას, ამავე დროს მათ დაიკავეს შიპკის უღელტეხილი, რათა არ დაეშვათ თურქების დამატებითი ძალების გამოსვლა სამხრეთ ბალკანეთიდან. ამის პარალელურად რუსეთმა საომარი ოპერაციები დაიწყო მეორე ამოერკავკასიის ფრონტზეც, ქართველებიც ცხადია მიესალმნენ ომის დაწყებას, რადგან იმედი გაუჩნდათ, რომ აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამჯერად დაუბრუნდებოდა დედასამშობლოს აჭარის ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ „ოსმალოს საქართველოს". საკითხებისადმი ქართველი საზოგადოება განსაკუთრებით დაინტერესდა XIX საუკუნის 60-70-იანწლებში. ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ კავშირი აღედგინათ თურქეთის მიერ დაპყრობილ ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებთან. რუსეთ-თურქეთის ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, მამია გურიელმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა. ივანე კერესელიძე შეხვდა და ესაუბრა აჭარელთა თავკაცს და მეტად პოპულარულ აჭარელ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს, ქართველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია 1875 წელს აჭარაში დაწყებულმა აჯანყებამ, რომლის საბაბი ის იყო, რომ თურქებმა

მოინდომეს აჭარელი რაზმის გაგზავნა აჯანყებული სლავების წინააღმდეგ. აჭარელებმა ანტითურქული გამოსვლები დაიწყეს, დაიწყო მთელი საქართველოს მაშტაბით სახალხო ლაშქრის შეკრება, რომელშიც მთელი ომის მსვლელობის მანძილზე 38 ათასი კაცზე მეტი ნებაყოფლობით ჩაეწერა.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების დროისათვის კავკასიაში რუსეთს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გააჩნდა. სერიოზულად იყო მომზადებული თურქეთიც. საომარი მოქმედებები კავკასიის ფრონტზე დაიწყო 1877 წლის აპრილში. ამავე წელს რუსებმა ააგეს ქალაქები ბაიაზეთი და არტაანი, თუმცა ვერ შეძლეს მათი შენარჩუნება, მეტიც მარცხი განიცადეს აჭარაშიც. მართალია 1877 წელს ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადასულმა ჯარებმა დაიკავეს სოფლები: მუხაესტატე და ხუცუბანი, მაგრამ წინ ვეგარ წაიწიეს. მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო ციხისძირი, რომლის დასაცავადაც თურქულმა სარდლობამ 35 ათას ჯარისკაცს მოუყარა თავი. გარნოზონს აქტიურად უჭერდა მხარს სამხედრო ფლოტიც, ამის გამო რუსეთის არმიამ ციხისძირის აღება ამ პერიოდში ვერ შეძლო. მარცხი განიცადეს რუსებმა აფხაზეთშიც, რომლის ნახევარი თითქმის თურქებმა დაიკავეს, რასაც ანტირუსული მოჰყვა, ეს რუსეთის იმპერიისთვის ძალზე საშიში იყო, ამიტომ აფხაზეთში სასწრაფოდ გაიგზავნა ახალი დამხმარე ძალა, რომელიც რეგულარული ჯარისა და ქართული სახალხო ლაშქრისაგან შედგებოდა. ამჯერად თურქები დამარცხდნენ, რუსები სოხუმში შევიდნენ. თურქებმა მალე აფხაზეთი მთლიანად დაცალეს.

1877 წლის შემოდგომაზე რუსები შეტევაზე გადავიდნენ და ნოემბერში ყარსი აიღეს. რუსეთის არმიის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოებები, ისინი სულთანს ომის შეწყვეტას და დაზავებას ურჩევდნენ. ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გართულების თავიდან ასაცილებლად ალექსანდრე II-მ ოსმალეთის წინადადება მიიღო. 1878 წლის 19 თებერვალს სტამბოლიდან დასავლეთით თორმეთ კილომეტრში მდებარე დაბა სან-სტეფანოში რუსეთსა და ოსმალეთს შორის წინასწარი ზავი დაიდო, რომლის ძალითაც ჩერნიგორია გამოცხადდა დამოუკიდებლად. ასევე დამოუკიდებლობა მოიპოვეს სერბეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის სამეფოებმა. მდინარე დუნაიზე უნდა დანგრეულიყო ყველა ციხესიმაგრე, ამასთან რუმინეთის, ბულგარეთის და სერბეთის წყლებში იკრძალებოდა სამხედრო ხომალდების მანევრირება. რუსეთის იმპერატორი თანახმა იყო 410 მილიონი რუბლის სანაცვლოდ, რომელიც დაეკისრა თურქეთის სულთანს მიეღო მისგან ტერიტორიები: ბესარაბია, არდაგანი, ყარსი, ბათუმი და ბაიაზეთი. ამასთან რუსეთისათვის დათმობილ ტერიტორიაზე მყოფ მოსახლეობას შეეძლოთ სამი წლის განმავლობაში გაეყიდათ უძრავი ქონება და გადასახლებულიყვნენ იმპერიის საზღვრებს გარეთ. სხვა შემთხვევაში გამოცხადდებოდნენ რუსეთის ქვეშევრდომებად. წინასწარი საზავო ხელშეკრულების რადიფიცირებისთანავე სამხედრო ტყვეები გაიცვლებიან ორივე მხრიდან დანიშნული კომისრების მონაწილეობით, რომლებიც გაემგზავრებიან ოდესასა და სევასტოპოლში.

სან-სტეფანოს ზავი მიუღებელი აღმოჩნდა ევროპის ქვეყნებისთვის, რუსეთს ევროპის ქვეყნებთან ომის რეალური საფრთხე დაემატა. ინგლისმა და ავსტრია უნგრეთმა დადეს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულება. სან-სტეფანოს ზავის გადასინჯვის მიზნით მათ საერთაშორისო კონგრესის მოწვევას მიაღწიეს. გერმანიის კანცლერის ოტო ფონ მისმარკის თავმჯდომარეობით ბერლინში შედგა 1878 წლის 1 ივლისს ხელი მოეწერა ბერლინის ტრაქტატს. 1878 წლის იანვრისათვის მთელი შავშეთი რუსეთის ჯარებისა და ქართული ლაშქრის მიერ იქნა დაკავებული. წარმატებით იქნა დაძლეული ბალკანეთის ოპერაციაც. რუსეთის ჯარები სტამბულს მიუახლოვდნენ. თურქეთის ხსნა სრული კატასტროფისგან ინგლისმა ითავა. მან რუსეთს შეტევის შეჩერება მოსთხოვა და მანაც თავი

აარიდა ინგლისთან ურთიერთობის დაძაბვას. რუსეთის ჯარები, სტამბოლთან ახლოს დაბა სან-სტეფანოში შეჩერდნენ. რუსეთსა და თურქეთს შორის 1878 წლის 3 მარტს გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. სან-სტეფანოს ზავის პირობებით დამოუკიდებლობა მიიღეს ბულგარეთმა, რუმინეთმა და ჩერნოგორიამ. რუსეთს გადაეცა ასევე ევროპაში-ბესარაბია, ნაზიაში-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი. ზავის პირობებმა არ დააკმაყოფილა ინგლისი, რომლის დაჟინებითაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა მიაღწიეს. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას ბერლინის კონგრესზე (1878 წლის ივნისი-ივლისი) რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა ზოგი რამ დაეთმო. 1878 წლის ივლისში ბერლინში ხელმოწერილი ტრაქტატით, რუსეთს გადაეცა თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. ბერლინის ტრაქტატის ძალით ბათუმი რუსეთს პორტო-ფრანკოს ძალით (თავისუფალი ქალაქ-ნავსადგური) გადაეცა. მხოლოდ აჭარაში კერძოდ, ბათუმში კვლავ რჩებოდა თურქული გარნიზონი.

1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა ბათუმიც გაწმინდეს, თუმცა იგი პორტო-ფრანკოდ (თავისუფალ ქალაქად) რჩებოდა 1886 წლამდე. ამ წელს რუსეთმა პორტო-ფრანკოს სტატუსი ცალხმრივად გააუქმა. ბერლინის კონგრესით მიკუთვნებული ტერიტორია რუსეთმა საბოლოოდ ბათუმის, ყარსისა და არტაპნის ოლქებად დაჰყო. აჭარის უდიდესი ნაწილი ბათუმის ოლქში შევიდა, რომელიც ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. აჭარის შემოერთებას მოჰყვა მაჰმადიანი ქართველების თურქეთში გადასახლება მუჰაჯირობა, რაც რუსეთის ინტერესებში შედიოდა. იგი დაინტერესებული იყო სახემწიფო საზღვრის რაიონიდან, რაც შეიძლება მეტი მაჰმადიანი ქართველი მოეშორებინა, ამიტომ აჭარის მაჰმადიან მოსახლეობას რუსებმა აუტანელი პირობები შეუქმნეს. ამას მოჰყვა ის რომ ფაქტიურად 1877-1878 ომის წლებში აჭარიდან გადაიხვეწა დაახლოებით 30 ათასი ქართველი მაჰმადიანი. მუჰაჯირობა გაგრძელდა აფხაზეთშიც, საიდანაც ეს პროცესი ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს დაიწყო. საბოლოო ჯამში აფხაზეთმაც აჭარის მსგავსად თურქეთის ომის გამო 30 000-მდე მაჰმადიანი მოსახლე დაკარგა.

მიუხედავად ამ ტრაგიკული ფურცლისა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა საქართველოს დაუბრუნა აჭარის მამაპაპისეული ძირძველი ტერიტორია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის ომების განხილვის პროცესში ნათლად წარმოჩინდა ევროპულ სახელმწიფოების მისწრაფებანი და რაც მთავარია თუ რა გავლენა მოახდინა რუსეთ-თურქეთის ომებმა საქართველოზე.

ეკონომიკა

სულიკო თავბერიძე

ინდივიდის, სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართება

თანამედროვე ეპოქაში, ინდივიდის ცხოვრება სახელმწიფოს გარეშე ძნელი წარმოსადგენია. ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება ინდივიდის უფლებების და თავისუფლების ხარისხი. როგორაა ინდივიდის როგორც თავისუფალი არსების და სახელმწიფოს, როგორც მაიძულებელი ინსტიტუტის იმგვარად თანაარსებობა შესაძლებელი, რომ არ დათრგუნოს პირველის ინტერესები და ამავე დროს მეორემაც შეძლოს ფუნქციონირება. სახელმწიფო ის აუცილებელი ინსტიტუტია, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა იმ ბუნებრივ მდგომარეობას, რომელიც განისაზღვრება, როგორც „ომი ყველა ყველას წინააღმდეგ". სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს ინდივიდთა ინტერესების დაცვას ამ მოწესრიგების პროცესში, ინდივიდის სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა იდეალს მიუახლოვდა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებში და თუ პრობლემები მაინც არსებობს, ის მოგვარდება ამ სისტემის განვითარებასთან ერთად, როგორც გიდენსი აღნიშნავს, დემოკრატიულობის კრიზისი არასაკმარისი დემოკრატიულობაა.

„პარტიებისა და საპარლამენტო პოლიტიკის მიმართ ინტერესის შემცირება არ არის იგივე, რაც დეპოლიტიზაცია" (7), ახდენს ბეკის ციტირებას ა.გიდენსი და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განვითარებული დემოკრატიის პირობებში, როცა სამოქალაქო საზოგადოების ისეთი სეგმენტები როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და მოქალაქეთა სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, არ შეუძლიათ ფუნქციურად ჩაანაცვლონ სახელმწიფო, რამდენადაც ეს უკანასკნელი უნდა იყოს და არის კიდეც დემოკრატიის პირობებში) გარანტი სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა.

თანამედროვე ეპოქაში, ინდივიდის ცხოვრება სახელმწიფოს გარეშე, ძნელი წარმოსადგენია. ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება ინდივიდის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ხარისხი კანონთა შინაარსს სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური სისტემა განაპირობებს. როგორაა ინდივიდის, როგორც თავისუფალი არსების და სახელმწიფოს, როგორც მაიძულებელი ინსტიტუტის, იმგვარად თანაარსებობა შესაძლებელი, რომ არ დაითრგუნოს პირველის ინტერესები, და ამავე დროს მეორემაც შეძლოს სრულფასოვნად ფუნქციონირება.

სახელმწიფოს დეფინიციაში დომინირებს მის ძალადობრივ მხარეზე ყურადღების გამახვილება. მ.ვებერი აღნიშნავდა. რომ „სახელმწიფო ადამიანთა ისეთი ერთობაა, რომელიც ერთი, მისთვის ნიშანდობლივი არის შიგნით, თავის ხელში იღებს მონოპოლიას ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობაზე" (1). მოგვიანებით პ.ბურდიე (4) აღნიშნულს სახელმწიფოს მხრიდან სიმბოლურ ძალადობაზე მონოპოლიასაც დაუმატებს. სიმბოლური ძალადობა, განხორციელებული სახელმწიფოს მხრიდან მიმართულია იმაზე, რომ ზოგადად საზოგადოებაში და კონკრეტულად ინდივიდებში დაინერგოს სააზროვნო სტრუქტურები. აღქმისა და აზროვნების კატეგორიები. რომელიც მის (სახელმწიფოს) არსებობას არა მხოლოდ მისაღებს, არამედ სასურველსაც გახდის საზოგადოებისათვის. მისი რეალიზაციის შედეგად, დაწესებული ინსტიტუტი გვაიძულებს დავივიწყოთ რომ იგი არის ხანგრძლივი ინსტიტუციონალიზაციის შედეგი და წარმოდგება საზოგადოებისთვის ბუნებრიობის ყველა გარეგნუ-

ლი ნიშნით. ფაქტობრივად სახელმწიფოს არსებობა ძალადობრივი მექანიზმის გარეშე წარმოუდგენელია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რამდენად ყოვლისმომცველია და რა ფორმითაა განხორციელებული იგი. თუ სახელმწიფო სოციალური წარმონაქმნია და იგი ადამიანთა მოღვაწეობის შედეგია, თავად ადამიანი ბუნებრივი მოცემულობაა, რომელიც სპეციფიკური ნიშანთვისებებით ხასიათდება. ადამიანი თავისუფალი, კონკრეტულ მიზნებზე ორიენტირებული არსებაა, როგორც ე.ფრომი ამბობდა, „ადამიანის არსებობა და თავისუფლება თავიდანვე განუყოფელია" (6), რადგან მას, ბიოლოგიური ინსტიქტის სახით მოქმედების მზა ფორმულა არ ეძლევა. ადამიანს თავად უხდება პრობლემათა მოგვარების გზებისა და დასახული მიზნის მიღწევის საშუალებათა ძიება. ადამიანს თავისი სპეციფიკა ბუნებრივად გაცნობიერებული ფორმით არ ეძლევა. განვითარების საწყის ეტაპზე იგი თავს ბუნებასთან ერთიანობაში აღიქვამდა, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებდა მის მიერ არაბუნებრივი მოვლენების ბუნებრივად აღქმასა და არააუცილებლის აუცილებლად აღიარებაში ადამიანს არ შეეძლო განესხვავებინა ბუნებრივი და ნორმატიული კანონები, რითაც არსებულ ურთიერთობებს აღიქვამდა, როგორც ობიექტურ, ბუნებრივ მოცემულობას, რითაც ცხოვრებას მკაცრ ჩარჩოებში აქცევდა და ინერტულს ხდიდა. ინდივიდი თავის ცხოვრებას წინასწარ განსაზღვრულად მიიჩნევდა, რომლის რეალიზაციის პროცესში რაიმეს შესაცვლელად ძალა არ შესწევდა. საზოგადოებას, სადაც ინდივიდის თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული აუცილებლობით იზღუდება და თითქმის გამოირიცხება ე.პოპერი (5) დახურულს უწოდებს. დახურული საზოგადოება, ისტორიულად, წინ უსწრებს ღია საზოგადოებას, რომელიც ინდივიდს მეტ ღირებულებას ანიჭებს, ვიდრე ერთობას და აღიარებას ინდივიდუალურ თავისუფლებას, საყოველთაო აუცილებლობის უარყოფისა და ბუნებრივი და ნორმატიული კანონების განსხვავების საფუძველზე. სახელმწიფო, რომელიც ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას. რომელიც ინდივიდის მაგივრად ადგენს მიზნებს და ამ მიზნის მიღწევის საშუალებებს, რომელიც არ ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მოხდეს ადამიანის თვითრეალიზაცია, არ შეიძლება ადამიანის ბუნების შესაბამისი იყოს. თვითცნობიერების ამაღლების შემდეგ ადამიანმა თანდათანობით უარი თქვა თავისი ბუნება შესაბამისობაში მოეყვანა არსებულ წესრიგთან , პირიქით თავად შეეცადა შეექმნა საზოგადოებრივი მოწყობის ისეთი ტიპი , რომელიც თვითრეალიზაციის და თვითდამკვიდრების შესაძლებლობას მისცემდა. ამ მცდელობის შედეგად მე - 20 საუკუნის ბოლო, მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობამ პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტიპი აღიარა. შიშსა და ძალადობაზე დამყარებული ძალაუფლება, შეთანხმებულზე დამყარებულმა შეცვალა. ანუ თანხმობის საფუძველზე ხდება ხელისუფლების არჩევა, რომელსაც საზოგადოება ავალდებულებს შექმნას პირობები ადამიანთა თავისუფალი მოღვაწეობისათვის და აძლევს უფლებას მიმართოს იძულების მექანიზმს იმათთან მიმართებაში, ვინც არღვევს სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმებს და საკუთარი ინდივიდუალური მიზნის მიღწევისას, სხვათა თავისუფლების ხელყოფას არ ერიდება. უნდა ავღნიშნოთ, რომ დემოკრატიულ პოლიტიკური რეჟიმი კი უშვებს საზოგადოებრივი აზრის დინამიზმს, თუმცა მცდელობას - ფაქტები, საზოგადოების მიერ აღქმული იქნეს ისე, როგორც მმართველობისათვის მისაღები, ადგილი მაინც აქვს. პ.ბურდიე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებისადმი. იუმის კითხვაზე, თუ როგორ ახერხებენ მცირერიცხოვანი მმართველები მართულთა დამორჩილებას, როცა ეს უკანასკნელები ბევრად აღემატებიან მმართველებს, პ.ბურდიე პასუხობს „სახელმწიფოს არ აქვს იმის აუცილებლობა, რომ გასცეს ბრძანება და ჩაიდინოს ფიზიკური ძალადობა, რომ მოაწესრიგოს სოციალური სამყარო. იგი იმდენად ხანგრძლივად იარსებებს, რამდენადაც სახელმწიფოს შეუძლია აწარმოოს ობიექტური სტრუქტურებთან შეთანხმებული კოგნიტური სტუქტურები, და ამგვარად უზრუნველყოს რწმენა

დადგენილი წესრიგისადმი „დოქსიკური მორჩილება: (4) მაგრამ დემოკრატიული სისტემის პირობებში, მოქმედებს მექანიზმი, რომელიც აკონტროლებს, რომ სახელმწიფოს გავლენამ ინდივიდზე კანონით განსაზღვრულს არ გადააჭარბოს. დემოკრატია უშვებს და ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, მაშინ როცა, ტოტალიტარული სახელმწიფო მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების განადგურებას. ფ.ფუკოიამა აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ძირითადი პოლიტიკური სიახლე ძლიერი ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნა იყო, რომელზეც საუბარი ძირითადად, მე -2 მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ტოტალიტარიზმი ჩვეულებრივი ავტორიტარიზმისაგან იმით განსხვავდება რომ თუ პირველი სამოქალაქო საზოგადოების კონტროლით კმაყოფილდებოდა, მეორემ მისი სრული განადგურება დაისახა მიზნად" (3).

სამოქალაქო საზოგადოება ეს არის სფერო ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის. მოშე ლევინი ამბობს: „სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს სასარგებლო ბაზისს, აერთიანებს ქსელებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც არსებობს და მოქმედებს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ან არიან ოფიციალური ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლით განავითარონ საკუთარი შეხედულებები ნაციონალურ ან ლოკალურ საკითხებზე და შემდეგ გაავრცელონ ეს შეხედულებები თავიანთ წევრებზე, პატარა ჯგუფებსა და ბოლოს ხელისუფლებაზე". თუმცა ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება იდენტიფიცირდება გაბატონებული რეჟიმის ოპოზიციასთან, დასაწყისში მისი მიზანი იყო საფეხურებრივი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები გაბატონებული რეჟიმის პირობებში, რომ ეს ცვლილებები მიმართული ყოფილიყო სახელმწიფოსგან დაუცველი საზოგადოების მოთხოვნილებებზე". თანამედროვეობაში ინდივიდს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის შემდეგი მიმართება არსებობს: სახელმწიფო აწესრიგებს ინდივიდთა ცხოვრებას და იცავს მათ ურთიერთაგრესიისაგან; იმ ძალადობისაგან რაც ერთმა ინდივიდმა შეიძლება მიაყენოს მეორეს. უზრუნველყოფს, რომ მათი თავისუფლება არ გადაიზარდოს თვითნებობაში. თავის მხრივ, სახელმწიფოც განიცდის კონტროლს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რომ კანონით მინიჭებულ ძალაუფლებას არ გადააჭარბოს და არ შეზღუდოს ინდივიდის უფლებები და თავისუფლება. სახელმწიფომ და სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა ითანამშრომლოს, მაგრამ ამასთანავე უნდა აკონტროლოს ერთმანეთი. მათ შორის ზღვარი არ არის მუდმივად დადგენილი. სიტუაციური პირობებიდან გამომდინარე სახელმწიფო ხან მეტად ერევა, ხან ნაკლებად სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებაში. ღია საზოგადო სფერო მნიშვნელოვანია როგორც ლოკალურ, ასევე ნაციონალურ დონეზე, და არის გზა, რომლითაც დემოკრატიზაცია პირდაპირ უკავშირდება ერთობის განვითარებას და რომლის გარეშეც დიდია რისკი იმისა, რომ ერთობა გამოეყოს ფართო საზოგადოებას და ჩაეფლოს კორუფციაში. „საზოგადო" აქ გულისხმობს ფიზიკურ საზოგადო სივრცეს ლოკალური ერთობის დეგენერაცია გამოიხატება არა მხოლოდ ზოგადი რღვევით, არამედ საზოგადო სივრცის - ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა ადგილების გაქრობით, სადაც ხალხი თავს უსაფრთხოდ გრძნობს. სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მოიცვას სახელმწიფომ, როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში. სადაც არ იყო განვითარებული საზოგადო სფერო და ყოველდღიური სოციალურობა სახლით შემოიფარგლებოდა. რესტორნები, კაფეები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები სოციალური ინტერაქციებისათვის შეზღუდული რაოდენობით იყო წარმოდგენილი. ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება იცავს ინდივიდს სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ძალაუფლებისაგან. თუმცა იგი არ არის სპონტანური წესრიგისა და ჰარმონიის წყარო. სახელმწიფომ უნდა გადაჭრას ამ სფეროში წარმოქმნილი წინააღმდეგობები, რაც შეიძლება გამოიხაროს ერთობის მომავლის შესახებ განსხვავებულ წარმოდგენებში, რომლებიც სხვადასხვა ლოკალურ ჯგუფებს

გააჩნია. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ინდივიდები ინტერესთა კონფლიქტისაგან, რის შესაძლებლობაც ყოველთვის არსებობს სამოქალაქო საზოგადოებაში.

ა.გიდენსი აღნიშნავს, სახელმწიფო არსებობს, რომ:

1. უზრუნველყოს განსხვავებულ ინტერესთა რეპრეზენტაციის საშუალებები.
2. განსაზღვროს ადგილი სადაც შესაძლებელი იქნება დაპირისპირებულ ინტერესთა გამოთქმა.
3. შექმნას და დაიცვას ღია საზოგადოებრივი სფერო, სადაც შესაძლებელი იქნება კამათი პოლიტიკური საკითხების შესახებ
4. დაარეგულიროს ბაზარი საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით და წაახალისოს კონკურენცია იქ სადაც მონოპოლიის საშიშროებაა.
5. ხელი შეუწყოს სოციალურ მშვიდობას ძალადობის საშუალებების კონტროლით
6. ხელი შეუწყოს ადამიანური კაპიტალის განვითარებას განათლების სისტემაში მისი მნიშვნელოვანი როლით
7. მხარი დაუჭიროს კანონთა ეფექტურ სისტემას (7).

აღნიშნული ფუნქციების ჩანაცვლება რომელიმე სოციალური ინსტიტუტით ფაქტობრივად შეუძლებელია. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად შეუძლებელია თუნდაც იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ადგენს და აკონტროლებს იმ ინსტიტუტებს რომელსაც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოება, მის ყველა კონკრეტულ სფეროში„ეკონომიკურად სამოქალაქო საზოგადოება ფუნქციონირებს ბანკებით, კორპორაციებით, ბირჟებით და კანონით, რომლებიც მართავს შრომით ურთიერთობებს პოლიტიკურად პოლიტიკური პარტიებით, ლობისტთა ჯგუფით. რომელთა საშუალებითაც მოქალაქეები ცდილობენ გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე. კომუნიკაციური სფერო მოიცავს მედიას, გამომცემლობას, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტებს, რომლებიც ცდილობს ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი (8).

ა.გიდენსი საუბრობს მესამე გზის პოლიტიკაზე. რომლის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება აღიარება დემოკრატიის უფრო დახვეწილ სრულყოფილ ფორმას აძლევს. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ხალხს მოსწონს დემოკრატია და ფიქრობს, რომ უნდა მოიძებნოს მისი შემდგომი განვითარების გზები, რომ უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში ხალხის ნდობა და ინტერესები შემცირდა პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პროცესების მიმართ, მაშინ, როცა გამოკითხულთა 90% კმაყოფილია მმართველობის დემოკრატიული ფორმით (7), ანუ ბევრ ქვეყანაში დემოკრატიის გავითარება აღწევს იმ დონეს, როცა არსებული პოლიტიკური მდგომარეობით კმაყოფილება ინერტულს ხდის მოქალაქეებს პოლიტიკური მოვლენების მიმართ, ანუ იქმნება მდგომარეობა, როცა არჩევნებში მონაწილეობს მაქსიმუმ 50%, დარჩენილი ნაწილი კი პროცესში არ ერევა. „საქმე გვაქვს საზოგადოებრივ შეთანხმებასთან, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს ანდობს მმართველობის არჩევას, ხოლო მმართველობას ამ არჩევნების ჩატარებას. ანუ საზოგადოება იყოფა ორად: ისინი, ვინც ხმას აძლევს და ისინი ვინც არ ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას. ეს შეთანხმება მოქმედებს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში და უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ საზოგადოების კონტროლს. თუ საზოგადოების დარჩენილი ნაწილი (არააქტიური) ძალიან შეწუხდა მმართველობით, ის მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში და აუცილებლად მოახდენს გავლენას შედეგებზე" (2). ამ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო საზოგადოება, რომ ეს ინდიფირენტულობა პოლიტიკური პროცესების მიმართ არ გახდეს სოციალური დეზინტეგრაციის მიზეზი. სამოქალაქო საზოგადოების პირობებში ვითარდება ინსტიტუციონალური ინდივიდუალიზმი, რაც ხელს უწყობს აქტიური შემოქმედებითი ინდივიდის ჩამოყალიბებას.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო ის აუცილებელი ინსტუტია, რომელიც აწესრიგებს ადამიანურ ურთიერთობებს, იმ მდგომარეობას, რომელიც ჰობსის მიერ განისაზღვრა. „როგორც ომი - ყველა ყველას წინააღმდეგ". სამოქალაქო საზოგადოება კი არის ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდთა ინტერესების დაცვას ამ მოწესრიგების პროცესში. ინდივიდის, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა იდეალურს მიუახლოვდა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებში და თუ პრობლემები მაინც არსებობს, ის მოგვარდება ამ სისტემის განვითარებასთან ერთად. როგორც ა.გიდენსი აღნიშნავს, დემოკრატიულობის კრიზისის მიზეზი არასაკმარისი დემოკრატიულობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ.ვებერი. პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა. თბილისი. 1994
2. გ.თევზაძე. საქართველო ძალაუფლების სიმულაციები. თბილისი, 1999
3. ფ. ფუკოიამა. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი, 1999
4. БУРДЬЕ П. ДУХ ГОСУДАРСТВАГЕНЕЗИС И СТРУКТУРА БЮРОКРАТИЧЕСКОГО ПОЛЯ. В КН.,,ПОЕТИКА ПОЛИТИКА", СПБ,,,АЛЕТЕЙЯ", 1999.
5. ПОПЕР К. ОТКРЫТОЕ ОБШЕСТВО И ЕГО ВРАГИ. Т. 1, М, 1992.
6. ФРОММ Э. БЕГСТВО ОТ СВОБОДЫ. М.1997.
7. Giddens A. The thirs way, the renewall of social democracy
8. Nagle O.J. and Mahr A. Democracy and Democratuzation.1999.

ჯუმბერ ხარაიშვილი

სახელმწიფო ვალის ეკონომიკური შინაარსი და მართვის მეთოდები

პრაქტიკაში საბიუჯეტო დეფიციტის აღმოფხვრის სამი ძირითადი მეთოდი არსებობს (ნახ.1). პირველი მეთოდის მიხედვით დეფიციტის აღმოფხვრა დაკავშირებულია გადასახადების ამოღებადობის დონის ამაღლებასთან (მაგალითად, საგადასახადო განაკვეთების გაზრდა წარმოადგენს არაპოპულარულ მეთოდს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების უკმაყოფილება, სამეწარმეო საქმიანობის შემცირება და სხვა).

ნახ. 1

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროებისკლასიფიკაცია[16]



[16]მოსიაშვილივ., ჭელიძე მ., ფინანსების საფუძვლები. თბ., 2012. გვ., 83.

ემისიის ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრის საშუალებად (და არა ფულის ბრუნვის ბუნებრივი რეგულირების საშუალებად) გამოყენება ასევე არასასურველია, ვინაიდან ეს ჩვეულებრივ იწვევს ქვეყანაში ინფლაციის დონის ზრდას. ყველა ქვეყნისთვის მეტად მისაღებია მესამე საშუალება - ფულადი სახსრების სახელმწიფო სესხების სახით აღება. ტერიტორიული ერთეულების დონეებზე საბიუჯეტო დეფიციტის აღმოფხვრისთვის შესაბამისად გამოიყენება მუნიციპალური სესხები.

როგორც ვიცით, სახელმწიფო კრედიტი წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთ ფორმას. *სახელმწიფო კრედიტი* – არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება, ერთის მხრივ, სახელმწიფოსა და, მეორეს მხრივ, იურიდიულ, ფიზიკურ, უცხოურ პირებს შორის დაკრედიტების პირობებით ფულადი სახსრების მოძრაობისას. ამ დროს სახელმწიფო გამოდის ფულადი სახსრების მსესხებლის როლში.

სახელმწიფო კრედიტისთვის, როგორც საფინანსო სისტემის ელემენტისთვის, დამახასიათებელია არა მხოლოდ ფინანსების ტრადიციული ფუნქციები, არამედ სხვა თავისებურებებიც. მაგალითად, სახელმწიფო კრედიტის გამანაწილებელი ფუნქცია ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

- თავისი არსით ეს არის გამანაწილებითი ურთიერთობები, რომლებიც დამახასიათებელია მშპ-ის მეორადი განაწილებისთვის;
- ამ ურთიერთობების მიზანს სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებულ ფონდებში სახსრების მოზიდვა წარმოადგენს;
- ამ ურთიერთობების ერთ-ერთ მონაწილე ყოველთვის სახელმწიფოა.

თუ შევადარებთ სახელმწიფო ფინანსების სხვა ფორმებს, შეიძლება აღვნიშნოთ სახელმწიფო კრედიტის შემდეგი თავისებურებები:

- ფულადი სახსრების მოძრაობა ხორციელდება ორივე მიმართულებით, იმ დროს, როდესაც, მაგალითად, გადასახადები მოძრაობს მხოლოდ ერთი მიმართულებით;
- სახელმწიფო კრედიტს, როგორც წესი, გააჩნია ნებაყოფლობითი (და არა იძულებითი) ხასიათი;
- სახელმწიფო კრედიტისთვის დამახასიათებელია საკმაოდ დიდი ვადები, იმ დროს, როდესაც საბიუჯეტო ურთიერთობები ჩვეულებრივ იგეგმება და ხორციელდება 1-2 წლის განმავლობაში;
- სახელმწიფო კრედიტს გააჩნია ერთჯერადი ხასიათი, იმ დროს, როდესაც საგადასახადო შემოსავლებს – რეგულარული (განმეორებითი) ხასიათი.

სახელმწიფო კრედიტის ცნება მჭირდოდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ვალის განსაზღვრებასთან, ვინაიდან სახელმწიფო ვალი ყოველთვის წარმოიშობა, წარმოადგენს პირველის შედეგს. *სახელმწიფო ვალი* – არის ქვეყნის ყველა სავალო ვალდებულებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მთელი აქტივებით.

საქართველოს კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ", სახელმწიფო ვალი შემდეგნაირად არის განმარტებული: *საქართველოს სახელმწიფო ვალი* - არის საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსებიდან მიღებული სახელმწიფო საში-

ნაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა.[17]

სავალო ვალდებულებების სახეები. სავალო ვალდებულებებს შეიძლება გააჩნდეს შემდეგი ფორმები:

1. საკრედიტო შეთანხმებები და ხელშეკრულებები საკრედიტო ორგანიზაციებთან, უცხოურ სახელმწიფოებთან და საერთაშორისი საფინანსო ორგანიზაციებთან;
2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
3. მესამე პირების მიერ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ ხელშეკრულებები;
4. სავალო ვალდებულებები, რომლებიც გადმოფორმდა მესამე პირებისგან სახელმწიფო კანონების საფუძველზე;
5. შეთანხმებები წინა წლების სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის შესახებ.

ძირითადად მიღებულია <u>*სახელმწიფო სესხების კლასიფიკაცია*</u> შემდეგი სახით:

1. *ემიტენტების მიხედვით* – სესხები, რომლებიც მართვის ცენტრალური და ტერიტორიული ორგანოების მიერ არის განთავსებული;
2. *განთავსების ადგილის მიხედვით* – შიდა და საგარეო სესხები. შიდა სესხები ვრცელდება ქვეყნის შიგნით, შიდა ბაზარზე, ეროვნულ ვალუტაში (თუმცა ქვეყანაში მაღალი ინფლაციური პროცესების არსებობისას, შიდა სესხის განთავსება შესაძლოა მოხდეს უცხოურ ვალუტაში). საგარეო სესხების განთავსება ხდება უცხოურ ფულად ბაზარზე ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში;
3. *ბაზარზე მიმოქცევის მიხედვით* – საბაზრო და არასაბაზრო სესხები. საბაზრო სესხები ექვემდებარება თავისუფლად ყიდვა-გაყიდვას და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმოიქცევა. არასაბაზრო სესხების ემისიას (განთავსებას), როგორც წესი, ახორციელებს სახელმწიფო კონკრეტული ინვესტორების მოსაზიდად;
4. *დაფარვის ვადებზე დამოკიდებულებით* – მოკლევადიანი (ერთ წლამდე დაფარვის ვადით), საშუალოვადიანი (1-დან 5 წლამდე დაფარვის ვადით), გრძელვადიანი (5 წლიდან და ზემოთ დაფარვის ვადით);
5. *შემოსავლის გადახდის ხასიათის მიხედვით* – მომგებიანი, პროცენტული, ნულოვანი კუპონით;
6. *სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფაზე დამოკიდებულებით* – უზრუნველყოფილი (ობლიგაციები, რომლებიც უზრუნველყოფილია გირაოთი, კერძოდ განსაზღვრული ქონებით) და უზრუნველყოფის გარეშე (რომლებიც უზრუნველყოფილია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის მთელი ქონებით) სესხები;
7. *შემოსავლის განსაზღვრის მეთოდზე დამოკიდებულებით* – სავალო ვალდებულებები ფიქსირებული (მყარი საპროცენტო განაკვეთით) და მცურავი შემოსავლებით;
8. *სასესხო ვალდებულებების დაფარვის ვადებზე დამოკიდებულებით* – ვადაზე ადრე დაფარვის უფლებით და ვადაზე ადრე დაფარვის უფლების გარეშე.

ზოგიერთ უცხოურ სასწავლო ლიტერატურაში სახელმწიფო სესხების კლასიფიკაციის პარალელურად ასევე მოცემულია სახელმწიფო ვალის კლასიფიკაცია შემდეგი სახით[18]: საშინაო ვალი; საგარეო ვალი;კაპიტალური ვალი;მიმდინარე ვალი.

---

[17]საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ".

[18] Хори Док. В. Основы управления финансами. - М,: Финансы и статистика, 2009. с. 235-237.

საქართველოს კანონმდებლობით, *საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი* – არის ეროვნული ვალუტით გამოსახული სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნება საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებით.

ზოგადად, საგარეო ვალის ქვეშ იგულისხმება სავალო ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება და გამოხატულია უცხოურ ვალუტაში. საქართველოს კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ" აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი – არის უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსებიდან მიღებული თანხებით.

კაპიტალური სახელმწიფო ვალი – არის სახელმწიფოს მიერ გამოშვებული და დაუფარავი სავალო ვალდებულებები მათზე დარიცხული პროცენტების ჩათვლით.

მიმდინარე სახელმწიფო ვალი – არის ბიუჯეტის მიმდინარე გადასახდელები და მიმდინარე სავალო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ხარჯები.

*<u>სახელმწიფო კრედიტის მართვა.</u>*სახელმწიფო სავალო ვალდებულებების გამოშვებისა და განთავსების მომზადებასთან, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებასთან, სახელმწიფო ვალის მომსახურებასთან და დაფარვასთან, სესხებისა და გარანტიების მიწოდებასთან დაკავშირებული ქმედებების ერთობლიობა გაიგება, როგორც *სახელმწიფო კრედიტის მართვა.* სახელმწიფო კრედიტის მართვა შეიძლება განხილულ იქნას *ვიწრო* და *ფართო* გაგებით. *ვიწრო* გაგებით, სახელმწიფო კრედიტის მართვის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს სასესხო ვალდებულებების გამოშვებასა და განთავსებასთან, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებასთან, სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვასთან, სესხებითა და გარანტიებით უზრუნველყოფასთან.

ფართო გაგებით,სახელმწიფო კრედიტის მართვის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის ისეთი მიმართულებების ფორმირება, რომელიც განსაზღვრავს მის საქმიანობას მსესხებლის, კრედიტორისა და გარანტის რანგში. მას ახორციელებს სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ბიუჯეტის დეფიციტსა და მის დასაფინანსებლად საჭირო სესხების მოცულობას; ფულის მიმოქცევაზე, კრედიტზე, წარმოებაზე, დასაქმებაზე ზემოქმედების მიზანს და მიმართულებებს; მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობას და სხვა.

სახელმწიფო კრედიტის მართვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს *სახელმწიფო ვალის კონვერსია.* სახელმწიფო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კორექტივები შეიტანოს სესხების თავდაპირველ პირობებში. ადრე გამოშვებული სახელმწიფო სესხის ან სხვა ფასიანი ქაღალდების პირობების შეცვლას (პროცენტების შემცირება, გადასახადის

გადახდის გადაწევა, ფასიანი ქაღალდების კლასის შეცვლა და სხვ.) კონვერსია ეწოდება.

სახელმწიფო კრედიტის მართვის პროცესში შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა ხორციელდება:

1. მსესხებლისთვის ვალის ღირებულების მინიმიზაცია;
2. სახელმწიფო სასესხო ვალდებულებებით ბაზრის გადავსებისა და მათი კურსის მკვეთრი მერყეობის დაუშვებლობა;
3. მობილიზებული სახსრების ეფექტური გამოყენება და გამოყოფილი კრედიტების მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლი;
4. კრედიტების დროულად დაბრუნების უზრუნველყოფა;
5. ფინანსური პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების მაქსიმალურად გადაწყვეტა.

როგორც წესი, სახელმწიფო კრედიტის (ვალის) მართვას ახორციელებს მართვის ცენტრალური და ადგილობრივი (მუნიციპალური ვალის) ორგანოები, საფინანსო და საკრედიტო ინსტიტუტები. სახელმწიფო ვალის ოპერაციულ მართვას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მთავრობის ხელმძღვანელი, ჩვეულებრივ ფინანსთა სამინისტრო, ხაზინა და ცენტრალური ბანკი ერთობლივად ახორციელებენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებთან

საერთაშორისო სავალუტო ფონდი-სსფ (ინგლ.International Monetary Fund, IMF) წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ დაწესებულებას, რომლის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში (აშშ) წარმომადგენლობა გააჩნია 100-მდე ქვეყანაში. იგი შეიქმნა ბრეტონ-ვულსის (აშშ) საერთაშორისო კონფერენციაზე 1944 წელს. სსფ-ის კონცეფციის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯონ მეინარდ კეინზმა, რომელიც ხელმძღვანელობდა დიდი ბრიტანეთის დელეგაციას. მის შექმნაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა 29 სახელმწიფომ 1945 წლის 27 დეკემბერს, ხოლო ფუნქციონირება დაიწყო 1947 წლის 1 მარტიდან. დღეისათვის სსფ-ში გაერთიანებულია 186 სახელმწიფო, მის სტრუქტურაში მუშაობს 2100-ზე მეტი კაცი მსოფლიოს 140 ქვეყნიდან. ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ატარებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და მზადაა აღიაროს სსფ-ის წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სსფ მიზნები ჩამოყალიბებულია შეთანხმებათა მუხლებში, რომელიც ასრულებს ამ ორგანიზაციის წესდების როლს და მდგომარეობს შემდეგში:

ხელი შეუწყოს სავალუტო-საფინანსო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას, უზრუნველყოს საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო პრობლემებზე ერთიანი მუშაობისა და კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება;

მხარი დაუჭიროს საერთაშორისო ვაჭრობის დაბალანსებული ზრდის პროცესს და ამის საფუძველზე იზრუნოს დასაქმებისა და რეალური შემოსავლების მაღალი დონის მისაღწევად, აგრეთვე წევრი- სახელმწიფოების საწარმოო ძალთა განვითარებისათვის;

უზრუნველყოს ვალუტების სტაბილურობა, შეინარჩუნოს წევრ-სახელმწიფოებს შორის მოწესრიგებული სავალუტო რეჟიმი და თავიდან აიცილოს ვალუტების დევალვაცია კონკურენციაში უპირატესობის მოპოვების მიზნით;

ხელი შეუწყოს მიმდინარე ოპერაციებზე სახელმწიფოებს შორის ანგარიშსწორების მრავალმხრივი სისტემის შექმნას, აგრეთვე სავალუტო შეზღუდვების აღმოფხვრას, რომე-

ლიც ხელს უშლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას;

მიაწოდოს წევრ - სახელმწიფოებს რესურსები შესაბამისი გარანტიებით და შეუქმნას მათ რწმენა დისპროპორციის დარეგულირებისა საგადასახდელო ბალანსებში ისე, რომ ზიანი არ მიადგეს კეთილდღეობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;

შეამციროს წევრი-სახელმწიფოების საგადასახდელო ბალანსებში წონასწორობის დარღვევის ხანგრძლივობა, აგრეთვე შეამციროს ამ დარღვევის მასშტაბები;

შეინარჩუნოს სავალუტო პარიტეტის მდგრადობა;

მიაწოდოს საკრედიტო რესურსები ფონდში მონაწილე ქვეყნებს საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორებისათვის.

სსფ ძირითადი ფუნქციებია:

ფულად პოლიტიკაში საერთაშორისო თანამშრომლობისადმი მხარდაჭერა;

მსოფლიო ვაჭრობის გაფართოება;

დაკრედიტება;

ფულის გაცვლითი კურსების სტაბილიზაცია;

დებიტორი ქვეყნების კონსულტირება;

საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის სტანდარტების შემუშავება;

საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის პუბლიკაცია.

სსფ მართვის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო (ინგ. Board of Governors), რომელშიაც თითოეული ქვეყანა-წევრი წარმოდგენილია მმართველით და მისი მოადგილით. როგორც წესი, ისინი არიან ფინანსთა მინისტრები ან ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები. საბჭოს საქმიანობაში შედის ფონდის ძირითადი საკითხების გადაწყვეტა; შეთანხმებათა მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა; წევრი ქვეყნების მიღება და გარიცხვა; კაპიტალში მათი წილის განსაზღვრა და გადასინჯვა; აღმასრულებელ დირექტორთა არჩევა. მმართველები იკრიბებიან ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ, მაგრამ შეუძლიათ ჩაატარონ არაგეგმიური სხდომები, აგრეთვე ხმა მისცენ ფოსტით ნებისმიერ დროს.

სსფ საწესდებო კაპიტალი შეადგენს დაახლოებით 256 მლრდ აშშ დოლარს (2008 წლის 1 იანვარი). მისი ფორმირება ხდება წევრი - სახელმწიფოების შეთანხმებით, რომელიც განისაზღვრება დადგენილი კვოტების შესაბამისად. სსფ წესდებაში არაა მოყვანილი კვოტების განსაზღვრის მეთოდიკა, თუმცა თავიდანვე მისი მოცულობა დაკავშირებული იყო ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, როგორიცაა ეროვნული და საგარეო ვაჭრობა და გადახდების მოცულობა. უკანასკნელ წლებში პრაქტიკულად გამოიყენება „ გაანგარიშებითი კვოტები", რომელიც განისაზღვრება ფორმულით, სადაც მონაწილეობენ მონაცემები სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე, მიმდინარე ოპერაციებზე, სახელმწიფო რეზერვების და მიმდინარე შემოსულობების ცვლილებაზე. კვოტის მოცულობის გადასინჯვა ხდება ყოველ ხუთ წელიწადში.

კვოტები გამოიყენება ფონდის თითოეული წევრის ფინანსური შენატანების დასადგენად, წევრი სახელმწიფოების ხმათა რაოდენობის განსასაზღვრად, ფონდში კრედიტის მოცულობის კვოტასთან პროპორციულობის სიდიდის გასაანგარიშებლად.

სსფ ყველაზე მეტ ხმებს ფლობდნენ (2006 წლის 16 ივნისის მდგომარეობით) : აშშ-17,8 %; გერმანია- 5,99 %; იაპონია- 6,13 %; დიდი ბრიტანეთი-4,95 %; საფრანგეთი-4,95%; საუდის არაბეთი- 3,22% იტალია- 4,18%; რუსეთი-2,74%; ევროკავშირის 15 ქვეყნის წილი-30,3%-ია, ხოლო მრეწველურად განვითარებული 29 სახელმწიფოს (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი-ქვეყნები) შეადგენს 60,35% ხმას. სხვა ქვეყნებზე,რომლებიც შეადგენენ ფონდის წევრთა 84 %-ზე მეტს მოდის მხოლოდ 39,75%.

2013 წლის მდგომარეობით აშშ-ს შემდეგ სსფ ყველაზე მეტ ხმებს ფლობენ შემდეგი ქვეყნები:

ნახ. 2.2.1.

იაპონია	6,12 %
გერმანია	5,98 %
დიდი ბრიტანეთი	4,94 %
საფრანგეთი	4,94 %
ჩინეთი	3,72 %
იტალია	3,24 %
კანადა	2,93 %
რუსეთი	2,73 %
ნიდერლანდები	2,37 %
ბელგია	2,12 %

რაც შეეხება საქართველოს, იგი ხმების 0,07 %-ს ფლობს.

სსფ წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო სისტემის ცენტრალურ დაწესებულებას, რომელიც წევრ ქვეყნებს აძლევს სესხებს საგადასახდელო ბალანსის პრობლემების დასაძლევად, სტაბილიზაციისა და პროგრესული რეფორმების გასატარებლად. მაგალითად, გასული საუკუნის დასასრულს, აზიური ფინანსური კრიზისის დროს (1997-1998 წ.წ.) სსფ-მ გადამჭრელი ღონისძიებები გაატარა და სერიოზული დახმარება გაუწია სამხრეთ კორეას რეზერვების განმტკიცებაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აიღო ვალდებულება და სამხრეთ კორეას გაუფორმა 21 მილიარდი აშშ დოლარის სესხი ეკონომიკის რეფორმის, საფინანსო და კორპორაციული სექტორის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური ვარდნის დასაძლევად. 2000 წლის ოქტომბერში სსფ-მ ასევე დაამტკიცა კენიაზე გასაცემი დამატებითი კრედიტი 52 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით გვალვით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის და სიღარიბის დასაძლევად.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში სსფ მნიშვნელოვნად დაეხმარა განვითარებად ქვეყნებს. 2008 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განვითარებადი ქვეყნებისათვის 1.2 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 2009 წელს - 3.8 მლრდ აშშ დოლარი გამოყო. 2010-2012 წლებში ეს თანხა საშუალოდ 2.0 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა.

გარდა ფინანსური დახმარებისა, სსფ წევრი-ქვეყნების მთავრობებსა და ცენტრალურ ბანკებს უწევს ტექნიკურ დახმარებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციას უკეთებს კადრების მომზადებას. მაგალითად, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ სსფ-მა გამოიჩინა ინიციატივა და ბალტიის ქვეყნებს, რუსეთს და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს დაეხმარა ცენტრალურ ბანკებში სახაზინო სისტემის ორგანიზაციაში.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა და პოლიტიკა ფინანსური სექტორის სფეროში – სსფ-ს საქმიანობის ძირითადი ობიექტებია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი წევრი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზედამხედველობის განხორციელებისას ძირითადად იხილავს მთლიანობაში ეკონომიკის შედეგებს, რომელიც ცნობილია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სახით, რომელშიც შედის: წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების მთლიანი მოცულობა, წმინდა ექსპორტი, დასაქმება და ინფლაციის დონე, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ სსფ-ს მთელი ყურადღება გადატანილი აქვს ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე (პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან, საპროცენტო განაკვეთების, ფულად-საკრედიტო და გაცვლითი კურსის რეგულირებასთან), ის სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს საფინანსო სექტორისა და საბანკო სისტემის რეგულირებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ურთიერთობა საქართველოსთან. სსფ-ის ურთიერთობა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან რამდენადმე განსხვავდება ურთიერთობისგან სხვა დანარჩენ წევრ-ქვეყნებთან. თანამშრომლობის დასაწყისშივე სსფ-ის საქმიანობა მიმართული იყო იქითკენ, რომ ყოფილი სსრ კავშირის მთავრობებს დახ-მარებოდა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში. ინფლაციის დაბალი დონე თავისთავად უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ერთად, აუცი-ლებელია შეიქმნას მყარი ეკონომიკური ზრდისთვის შესაფერისი პირობები, რომელიც სტრუქტურულ ცვლილებებს, შინაგანი დაგროვებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტი-ციების მოცულობათა გაფართოების უფრო მაღალ ტემპებს მოითხოვს.

საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის მიზნით სსფ-ის ხელშეწყობითა და რეკომენდაციით შემუშავებულ იქნა წლების მიხედვით მოქმედების კომპლექსური გეგმა, ჩამოყალიბდა საქართველოში სსფ-ის საქმიანობის ძირითადი მიზნები: ჰიპერინფლაციის დაძლევა, კუპონის კურსის სტაბილიზაცია, ბიუჯეტის საკანონმდებლო ორგანოებში მიღება და დამტკიცება; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება და კრედიტორებთან ურთიერთობათა ნორმალიზაცია. შემდგომში პროგრამა დაკონკრეტდა შემდეგნაირად:

1. ინფლაციის შემცირება თვიურ 1%-მდე;
2. ფისკალური დეფიციტის შემცირება;
3. ფულადი რეფორმის განხორციელება;
4. საერთაშორისო რეზერვების გადიდება;
5. პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება;
6. კრედიტორებთან მოლაპარაკების დასრულება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან 1996 წლის 28 თებერვალს საქართველომ მიიღო 83.25 მლნ აშშ დოლარის პირველი ტრანში. 1996 წლის პროგრამის ძირითადი მიზნები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება;
2. წლიური ინფლაციის 15-20%-ის ფარგლებში მოქცევა;
3. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-ის 7.1%-მდე დაყვანა;
4. საერთაშორისო რეზერვების 2.7 თვის იმპორტით დაფარვა;
5. სახელმწიფო შემოსავლების მშპ-ის 6.7%-მდე გაზრდა;
6. პრივატიზაციის ფორსირებული ტემპებით გაგრძელება;
7. ახალი საკანონმდებლო დოკუმენტების მიღება.

საქართველომ მეორე ტრანში 1997 წლის 27 მარტს, 76 მლნ აშშ დოლარის მოცულობით მიიღო. მოცემული ტრანშის მიზნები და შედეგები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

1. ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარება (წლიური 8-10%);
2. წლიური ინფლაციის 10-12%-მდე შემცირება;
3. ფისკალური დეფიციტის შემცირება;
4. ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურიზაცია;
5. სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და პროცესის დაჩქარება.

სსფ-გან მესამე ტრანში საქართველომ 80 მლნ აშშ დოლარის მოცულობით, 1998 წლის 28 ივნისს მიიღო. ამ ტრანშის მიღებისას სსფ-მ საქართველოს მიზნად დაუსახა:

1. ეკონომიკური ზრდის მიღწეული ტემპის შენარჩუნება;
2. წლიური ინფლაციის ტემპის 10%-მდე დაყვანა;
3. ფისკალური დეფიციტის შემცირება;
4. ენერგეტიკის რესტრუქტურიზაციის დასრულება;
5. სასოფლო-სამეურნეო და ურბანული მიწების პრივატიზაციის გაგრძელება;
6. მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარება;
7. ფინანსური და სავალუტო კრიზისის აღმოფხვრა.

სსფ-მა საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად 1999 წელს შეიმუშავა სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი დაფინანსების მექანიზმი, რომლის მიზანი 1999 წლისთვის შემდეგნაირად განისაზღვრა: ხანგრძლივი დახმარების გაწევა უფრო ღრმა და გაჭიანურებული სტრუქტურული პრობლემების მოგვარებისა და სიღარიბის დაძლევისკენ მიმართული მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში. საჭირო გახდა სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავდა მაკრო-ეკონომიკურ, სტრუქტურულ და სიღარიბის დაძლევის პოლიტიკას.

სწორედ ამ პრობლემის დასაძლევად 2001 წლის 12 იანვარს დამტკიცდა სსფ-ის პირველი 3-წლიანი პროგრამა 141 მლნ აშშ დოლარის დაფინანსებით. ეს პროგრამა ითვალისწინებდა:

1. ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას (1.8%-ის ნაცვლად 3.5%-ის მიღწევას);
2. წლიური ინფლაციის 6%-მდე დაყვანას;
3. ფისკალური დეფიციტის შემცირებას;
4. ანტიკორუფციული პროგრამის ამოქმედებას;
5. სახელმწიფო და საპენსიო დავალებების შემცირებას;
6. სოციალურ სექტორში რეფორმების დაწყებას, სოციალური დახმარების სისტემის სიღარიბის შემსუბუქებაზე ორიენტირებას.

სსფ-მა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით 2004 წლის 4 ივნისს დაამტკიცა მეორე 3-წლიანი პროგრამა 141.6 მლნ აშშ დოლარის მოცულობით, სადაც 2004-2007 წლე ბის თვის გათვალისწინებულ იქნა :

1. ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარება (წლიური 6%-ანი ზრდა);
2. წლიური ინფლაციის 5-6%-მდე დაყვანა;
3. ფისკალური დისციპლინის შემდგომი გამყარება;
4. ხელფასებისა და პენსიების დავალიანებათა სრული დაფარვა;
5. ძირითადი სოციალური ხარჯების გაზრდა;
6. რეფორმების მხარდაჭერა ენერგეტიკულ სექტორში;
7. საერთაშორისო რეზერვების გაზრდა (1.5 თვის იმპორტის მოცულობით);
8. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაცია.

სსფ საქართველოს უწევდა და კვლავ უწევს ტექნიკურ დახმარებას შემდეგ ძირითად მიმართულებებში:

1. მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;
2. ეროვნული ბანკის ფუნქციონირებისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაუმჯობესებაში;
3. საბანკო ზედამხედველობისა და ფინანსური სექტორის რეგულირებაში;
4. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში;
5. მაკროეკონომიკური სტატისტიკის სრულყოფაში.

რაც შეეხება საქართველოს მთლიან დავალიანებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, სსფ-ის მიმართ საგარეო ვალის ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს: საქართველოს მთავრობაზე – 395946 ათას აშშ დოლარს, საქართველოს ეროვნულ ბანკზე – 592749 ათას აშშ დოლარს.

როგორც ვხედავთ საქართველო ნაყოფიერად თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. 2013 წლის 31 მარტის მონაცემებით სსფ-ის მიმართ საქართველოს მთავრობის ვალი შეადგენს-362,919 ათას აშშ დოლარს, ხოლო ეროვნული ბანკის ვალი შეადგენს- 282,749 ათას აშშ დოლარს. 2013 წლის 30 აპრილის მონაცემებით საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი წარმოდგენილია 280,372 ათას აშშ დოლარამდე.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ზოგადი ნორმები

თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საკუთარი შემოსულობებით და ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით. საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით ადგილობ რი ვი თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწი ნებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ქალაქის მერის ან გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა გა-

ნისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ის ფარგლებში. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, პროექტის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, ორგანიზაციული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

გათანაბრებითი ტრანსფერი. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერით უზრუნველყოფს სახელმწიფო. ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმარ-თველ ერთეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემა გათანაბრებითი ტრანსფერი.

გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობების ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელები სათ ვის ფინანსური რესურსების გათანაბრება. გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა გამოიანგარიშება საბიუჯეტო კოდექსით დროის განსაზღვრული მომენტისათვის განსაზღვრული წესითა და ფორმულით.

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშების ფორმულის მიზნებისათვის პირველ ეტაპზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა მარ თლებრივი აქტით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერ თეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლი ანი მოცულობა, რომელიც არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომი ნალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე ნაკლები.

მეორე ეტაპზე გაიანგარიშება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის მოცულობა თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის.

შემდგომ ეტაპზე გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა).

იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა.

მომდევნო ეტაპზე გამოიანგარიშება თითოეული ადგილობრივი თვით მმართველი ერ-

თეულის ბიუჯეტის გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა, რომე ლიც მიიღება შესაბამისი ფორმულის მიხედვით.

გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის განსაზღვრის ფორმულა. თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით:

T=E-R,

სადაც:

T – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი ტრანსფერი;

E – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი, რომელიც გაიანგარიშება სტატისტიკური მონაცემებისა (მოსახლეობის რაოდენობა, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფართობი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე) და გათანაბრებითი კოეფიციენტების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამიჯვნით;

R – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავ ლები (გრანტების გარდა), რომელიც თითოეული ადგილობრივი თვით მმარ თველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგ ნო ზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციას (მათ შორის, გაანგარიშებისას გამოყენებული სტატუსისა და მხარდაჭერის კოეფიციენტებს) ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ჯულიეტა ალავიძე

საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს შორის ცენტრალური ადგილი მსოფლიო ბანკს (World Bank) უჭირავს, მსოფლიო ბანკის ჯგუფში შედის ოთხი ორგანიზაცია:

1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ) (IBRD), რეტონ-ვუდსის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად შეიქმნა (1944წ. ივლისი, აშშ). რგსბ-ს წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ სსფ-ის წევრები. მის შემადგენლობაში 180 სახელმწიფოა გაერთიანებული, საწესდებო კაპიტალი 182მლრდ დოლარია.

რგსბ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- განვითარებადი ქვეყნებისათვის გრძელვადიანი სესხების და კრედიტების მიცემა საწარმოო მიზნით, სოფლის მეურნეობის და სასოფლო რეგიონების, ენერგეტიკის განვითარებისათვის. შესაბამისი მთავრობების დავალიანებათა დაფარვაზე გარანტიების გაცემა, სესხების გაცემა კონკრეტული პორექტებისთვის;
- სესხების გაცემა განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის,

გზატკეცილების და რკინიგზების, ელექტროკავშირის, ქალაქის პორტების, ენერგეტიკული დანადგარების შესაქმნელად, ასვე განათლების, ჯანდაცვის განვითარებისათვის, კადრების მოსამზადებლად.

- განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც იყოფა შემდეგ სახეებად: ა) ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება როგორც სესხების და კრედიტების სემადგენელი ნაწილი. უვადო სესხები და კრედიტები ტექნიკურ დახმარებაზე; ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება ფონდის მეშვეობით პროექტების მომზადებისას; ბ) ტექნიკური დახმარება, რომელსაც უწევს რგსბ, მაგრამ არ აფინანსებს – იგი ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოს როლს. აქ ჩართულია რგსბ-ს ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტები; გ) ტექნიკური დახმარება ადმინისტრაციული ბიუჯეტის ხარჯზე.

2. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (გსა) (IDA) შექმნა 1960წ. და ფორმალურად რგსბ-სგან დამოუკიდებელია. ამასთან რგსბ-ის პრეზიდენტი გსა-ის პრეზიდენტია, ე.ი. ფაქტობრივად გსა-ს აკონტროლებს რსგბ. გსა-ის შემადგენლობაში 159 ქვეყანა შედის, რომელთაგან 26 განვითარებადია.

გსა-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება უღარიბეს და ნაკლებად კრედიტუნარიან ქვეყნებში პროდუქტების დაკრედიტება მათი ეკონომიკური განვით რების მიზნით. კრედიტების მიმღები ქვეყნები შეირჩევა ოთხი კრიტერიუმით: ა) ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანაში წლიური შემოსავალი უნდა იყოს 1305 აშშ დოლარზე ნაკლები; ბ) ქვეყანაში დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა უნდა იყოს, რომ განვითარების მიზნით გაცემულმა გრძელვადიანმა კრედიტებმა გაამართლოს; გ) ქვეყანა სერიოზულ სიძნელეებს უნდა განიცდიდეს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებით; დ) ქვეყნის პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ფაქტობრივად, გსა-ის მიერ გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე მოდის, სადაც წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 800 აშშ დოლარია. გსა კრედიტებს გასცემს, როგორც წესი 50 წლის ვადით, წლიური 3%-იანი განაკვეთით. კრედიტები გაიცემა უცხოურ ვალუტაში საქონლისა და მომსახურების იმპორტზე გადასახადებისათვის. კრედიტების ხარჯვა უნდა განხორციელდეს ვაჭრობების, აუქციონების და სხვ. საშუალებებით.

3. საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (სფკ) (IFC)შეიქმნა 1956წ. ფაქტობრივად იგი რგსბ-ს ფილიალია და სპეციალიზდება შემდეგი მიმართულებებით:

- საწარმოების დაფინანსება წევრ-ქვეყნებში უშუალოდ კერძო კომპანიებისათვის სეხების მიცემით და ინვესტირების განხორციელება ამ ფირმებში სფკ-ის საკუთარი სახსრებით, რომელიც არ საჭიროებს გარანტიებს მთავრობათა მხრიდან. სესხები გაიცემა 7-დან 12 წლამდე ვადით ძირითად ვალუტაში ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთებით; სესხების დაფარვა იმ ვალუტით ხდება, რომლითაც სესხი მიიღეს;
- ინვესტიციების განხორციელება საკუთარი სახსრებით გადამამუშავებელ და მომპოვებელ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ საწარმოებში, ტურიზმში;
- კერძო ფინანსრუი სახსრების მიზიდვა ინფრასტრუქტურის, გარემოს განვითარების პროექტებში ინვესტირებისათვის.

4. ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო (იგმს) (MICA) შეიქმნა 1988წ. როგორც მსოფლიო ბანკის ფილიალი. მის შემადგენლობაში 154 ქვეყანა შედის. იგმს-ის ძირითადი მიმართულება რისკებზე გარანტიების გაცემაა, რომლებიც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- ადგილობრივი ვალუტის არაკონვერტირებადობა; მიმღებ ქვეყანაში საკუთრების ექსპროპ-

რიაცია; მიმღები ქვეყნის კონტრაგენტთა მხრიდან კონტრაქტის დარღვევა;
- იგმს შერჩეულ ინვესტორებს წევრ-ქვეყნებში, უპირატესად განვითარებად ქვეყნებში და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში არაკომერციულ რისკებზე აძლევს გარანტიებს, რაც ფაქტობრივად პოლიტიკური რისკისაგან დაზღვევას ნიშნავს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) (IMF) რეტონ-ვუდსის ორგანიზაციაა, იგი დაფუძნდა 1944წ. სსფ გაერო-ს სპეციალიზებულ ორგანიზაციად ითვლება, წესდებით გაერო-ს უფლება აქვს მისცეს მას რეკომენდაციები გადატარებელი პოლიტიკის შესახებ. სსფ-ის მთავარ მიზანს ვალუტათა გაცვლითი კურსების მოწესრიგება და საბიუჯეტო დეფიციტების შემცირება წარმოადგენს, რაც საერთაშორისო ბაზარზე კაპიტალის თავისუფალ გადანაცვლებას შეუწყობს ხელს. ამ მხრივ, მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებამ ომის შემდგომ ეკონომიკურ პროგრესს დიდად შეუწყო ხელი.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გვერდით მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (საბ), რომელიც ჯერ კიდევ 1930წ. დაარსდა. მასში ამჟამად 33 ქვეყანა შედის, მ.შ. დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა, აღმოსავლეთ ევროპის 6 ქვეყანა, აშშ, იაპონია და სხვ. საბ ატარებს კომერციულ ოპერაციებს ამ ქვეყნების ბანკებთან, ორგანიზებას უკეთებს სავალუტო თანამშრომლობას და თვითონ აქტიურად მონაწილეობს მასში. საბ, მართალია, სახელმწიფოთაშორის ინსტიტუტად გვევლინება, მაგრამ ფუნქციონირებს წმინდა კომერციულ საფუძველზე, როგორც სააქციო საზოგადოება, იხდის რა დივიდენდებს აქციებზე. მისი აქციების დიდი ნაწილი ეკუთვნის ევროპულ ცენტრალურ ბანკებს.

საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკს (რგებ), რომელიც ხშირ შემთხვევაში, რგმბ-ს ევროპულ ანალოგად გვევლინება და განვითარების ისლამური ბანკი, რომელიც 47 ისლამურ სახელმწიფოს აერთიანებს და მათ განვითარებაზე ზემოქმედებს.

ქვემოთ მოვიყვანთ მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეგიონული ბანკების, ფონდების და საფინანსო ორგანიზაციების ჩამონათვალი.

რეგიონული ბანკები: ევროპული საინვესტიციო ბანკი (ესბ), განვითარების აზიური ბანკი (გაბ), არაბულ-აფრიკული საერთაშორისო ბანკი (აასბ), განვითარების აფრიკული ბანკი (გაფბ), ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების განვითარების ბანკი (ცასგბ), განვითარების დასავლეთაფრიკული ბანკი (გდბ), განვითარების კარიბული ბანკი (გკბ), ლათინოამერიკული საექსპორტო ბანკ (ლასბ), განვითარების ამერიკათშორისი ბანკი (გაბ), ეკონომიკური ინტეგრაციის ცენტრალურ ამერიკული ბანკი (ეიცაბ), არაბულ-ლათინოამერიკული ბანკი (ალბ).

რეგიონული ფონდები და საფინანსო ორგანიზაციები: კარიბის საინვესტიციო ფონდი (ასფ), ანდის სარეზერვო ფონდი (ასფ), არაბული სავალუტო ფონდი (ასფ), ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდი (ესგაფ), ნექო-ს სპეციალური ფონდი, სავალუტო კვლევების აფრიკული ცენტრი (სკაფ), ცენტრალური აფრიკის სავალუტო კავშირი (ცასკ), ევროპული სავალუტო სისტემა (ესს), დასავლეთაფრიკული სავალუტო კავშირი (დსკ), ფრანგული ბანკის ზონა (ფბზ), კარიბის საინვესტიციო კორპორაცია (კსკ), განვითარების ანდის კორპორაცია (გაკ), ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი (ჩსბ), ამერიკათშორისი საინვესტიციო კორპორაცია (ასკ).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები საგარეო სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებისას, მრავალფეროვან მექანიზმებს იყენებენ, კერძოდ: საიმპორტო და საექსპორტო ტარიფებს, ექსპორტის და იმპორტის ქვოტებს, ლიცენზირებას, სუბსიდირებას, რითაც თავიანთ მწარმოებლებს, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულ უპირატესობებს უქმნიან და ა.შ. ქვეყ-

ნებს შორის ურთიერთობები, ჩვეულებრივ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით რეგულირდება. 1920-1933წწ. ხუთი მსოფლიო ეკონომიკური კონფერენცია ჩატარდა, რომლებზეც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს. ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომის გამო შეფერხდა. 1948წ. ფუნქციონირება დაიწყო ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურმა შეთანხმებამ. 1995წ. 1 იანვრიდან იგი გადაკეთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად (ვმო).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) – გაეროს სისტემის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სპეციალიზებული ორგანიზაციაა. ვმო წარმოგვიდგება როგორც ორგანიზაცია და იმავდროულად სამართლებრივი დოკუმენტების კომპლექსი, თავისებური მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მთავრობების უფლებამოვალეობებს საქონელთა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. ვმო-ს წევრებად გვევლინება 132 სახელმწიფო და კიდევ 32 ქვეყნის ემზადება მასში შესასვლელად.

ვმო-ს მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და მისთვის მდგრადი საფუძვლების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ეს მიიღწევა, ნაწილობრივ, წესებისა და შეთანხმებების მეშვეობით და დადგენით, რომელიც წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობას ეხება და ნაწილობრივ მოლაპარაკებების გზით, რომელიც იწვევს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შემდგომ ლიბერალიზაციას.

ვმო-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებად გვევლინება:

- კონტროლი იმ მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების გადაწყვეტილების მიღებასა და გამოყენებაზე, რომლებიც ვმო-ს სამართლებრივ ბაზას შეადგენენ;
- ფორუმის როლის შესრულება მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ჩასატარებლად;
- წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო დავების რეგულირება;
- დაკვირვება წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაზე;
- ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა და მიწოდება საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის განვითარებისა და გამოყენების მექანიზმების საკითხებზე.

საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების სფეროში ვმო-ს უმნიშვნელოვანესი პრინციპები შემდეგია;

უპირატესი ხელშეწყობის ანუ დისკრიმინაციის უარყოფის პრინციპი. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ ნებისმიერი უპირატესობა, პრივილეგია, შეღავათი ან იმუნიტეტი, რომელსაც ანიჭებს ნებისმიერი წევრი ქვეყანა სხვა ქვეყნებიდან წარმოშობილი ან ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვის გამიზნული ნებისმიერ პროდუქტს, გავრცელდეს დაუყონებლივ და უპირობოდ სხვა წევრი ქვეყნებიდან წარმოშობილ დაყ ველა სხვა წევრი ქვეყნისთვის გამიზნულ ანალოგიურ პროდუქტზე.

ეროვნული რეჟიმის პრინციპი. ეს პრინციპი ადგენს, რომ წევრმა ქვეყნებმა უცხოური წარმოშობის საქონელს უნდა მიანიჭონ იგივე რეჟიმი, რაც ეროვნულ საქონელს შიდა გადასახადებისა და მოსაკრებელის სფეროში, ასევე ვაჭრობის მარეგულირებელ ეროვნულ კანონებთან, განკარგულებებთან და წესებთან დაკავშირებით.

ეროვნული მრეწველობის დაცვის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ იმპორტზე ტარიფების გზით, ეროვნული მრეწველობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანას შეუძლია განახორციელოს დაცვა, რომელიც დაეფუძნება საბაჟო ტარიფებს და არა სხვა სავაჭრო-პოლიტიკურ ზომებს, რაოდენობრივი (ქვოტების) შეზღუდვების, სტანდარტების და ა.შ. ჩათვლით.

ვაჭრობის საფუძვლების მდგარდობის შექმნის პრინციპი. ამ პრინციპის დაცვა უზრუნველყოფილია მოლაპარაკების მხარეებს შორის შეთანხმებული სატარიფო დონეების

დაცვის აუცილებლობით. ეს გულისხმობს, რომ რომ ტარიფები უნდა შემცირდეს მრავალმხრივი მოლაპარაკებების გზით და არ უნდა გაიზარდოს.
სამართლიანი კონკურენციის ზემოქმედების პრინციპი. საუბარია სუბსიდიების შემცირებისა და დემპინგის დაუშვებლობის შესახებ.

1999წ. საქართველო ვმო-ს წევრია. ერთი მხრივ ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაცია ვმოში ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, დაიცვას საკუთარი მეურნეობა გარეშე ძალის დისკრიმინაციული ზემოქმედებისაგან, რაც გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია (თუ იგი კონკურენტუნარიანია) რეალურად შევა ევროკავშირის და სხვა ბაზარზე შედავათიანი პირობებით. ტრანსფორმირებადი ეკონომიკისათვის ეს ძლიერი მხარდაჭერაა, ხოლო მეწარმეებისათვის რეალური სტიმული. წამოჭრილი საერთაშორისო დავები მოგვარდება ვმო-ს დავების კომიტეტის მეშვეობით.

მეორე მხრივ, ვმო-ს წევრობა საქართველოს ავალდებულებს უზრუნველყოს საკუთარი საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან. ამასთან ეფექტურად ამოქმედდა ორმხრივი ხელშეკრულების ფაქტორი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო მიიღებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს მსო-ს სხა წევრ ქვეყნებთან.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD), 1964 წელს შეიქმნა და მასში 188 ქვეყანაა გაწევრიანებული. მისი წლიური საოპერაციო თანხა 50მლნ აშშ დოლართ შემოიფარგლება. შემოსავლების ძირთადი წყარო კი გაეროს რეგულარული ბიუჯეტია. ტექნიკური თანამშრომლობის საქმიანობა ფინანსდება სარეზერვო ბიუჯეტიდან, რომლის თანხაც 24მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ძირითადი ამოცანაა მოახდინოს ფოკუსირება ვაჭრობის, ფინანსურ, ტექნლოგიურ, ინვესტიციებისა და მდგრადი განვითარების სფეროებზე და განვითარებად ქეყნებში ვაჭრობსა და ეკონომიკის განვითარება დააჩქაროს. ყველა ამ საქმიანობაზე პასუხისმგებელია გაეროს ვაჭრობისა და განვითარების საბჭო. 1996 წელს უკანასკნელმა IX კონფერენციამ დაარსა საბჭოს სამი კომისია, რომელთა მიზნებიც შესაბამის სფეროებში ეკონომიკური საქმიანობის განვითარებას ითვალისწინებს.
UNCTAD-ის მისიაა:დააჩქაროს განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარება;მინიმუმამდე დაიყვანოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული სოციალური თუ ეკონომიკური სახის განსხვავება;გააუმჯობესოს სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვთ;ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ისეთ აღორძინებას, რომლებიც ქვეყანას კეთილდღეობას მოუტანს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები თანამედროვე ეტაპზე

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 95-ე მუხლის შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", რომელიც 2009 წლის 24 სექტემბერს იქნა მიღებული.

ეროვნული ბანკი თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევი-

საგან მის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების – საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“, სადაც მოცემულია ეროვნული ბანკის საქმიანობის ზოგიერთი ძირითადი სამოქმედო რაოდენობრივი პარამეტრი და წლის განმავლობაში განსახორციელებელი სტრატეგიული ღონისძიებები ფულად-საკრედიტო, პრუდენციული რეგულირების სფეროსა და ქვეყნის საგადასახდელო სისტემის განვითარებისათვის.

კანონმდებლობის შესაბამისად, ეროვნული ბანკის ამოცანებია:

1. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

2. ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ მიზნით ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, სისტემური რისკის კონტროლს, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, პოტენციური რისკების შემცირებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის გატარებისას იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს[19]*:*

- რეფინანსირების სესხები;
- ღია ბაზრის ოპერაციები;
- მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები;
- ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები;
- სავალუტო აუქციონები.

რეფინანსირების სესხები. 2008 წლის სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა მონეტარული პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტი – ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები. აღნიშნული ინსტრუმენტის საშუალებით ხორციელდება საბანკო სექტორისთვის მოკლევადიანი ლიკვიდობის საჭიროებისამებრ მიწოდება. რეფინანსირების ინსტრუმენტის მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვა. ეროვნული ბანკი არის ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელი, ამდენად მას აქვს საშუალება რეფინანსირების ინსტრუმენტით მიაღწიოს ბანკთაშორის ბაზარზე სასურველ საპროცენტო განაკვეთს.

2010 წლის აპრილიდან ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა ახალი ინსტრუმენტი – მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი. აღნიშნული ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს საშუალება აქვთ მიიღონ სესხი გარანტირებულად, აუქციონის გარეშე. საპროცენტო განაკვეთი მუდმივმოქმედ რეფინანსირების სესხზე განისაზღვრება, როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს დამატებული ერთი პროცენტული პუნქტი.

ღია ბაზრის ოპერაციები. ღია ბაზრის ოპერაციები წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც არაპირდაპირი გზით ხდება მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე ზეგავლენა ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით. აღნიშნული ოპერაციებისთვის გამოიყენება ეროვნული ბანკის *სადეპოზიტო სერტიფიკატები, მთავრობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები.* ფასიანი ქაღალდე-

[19] http://www.nbg.gov.ge/index.php?m=558

ბის გაყიდვა საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს ამოიღოს საშუალოვადიანი ჭარბი ლიკვიდური სახსრები საბანკო სისტემიდან. ეროვნული ბანკის და სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია ხელს უწყობს ფულადი ბაზრის განვითარებას.

სადეპოზიტო სერტიფიკატები. სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება ეროვნული ბანკის მიერ 2006 წლის სექტემბრიდან ხდება. სადეპოზიტო სერთიფიკატების საშუალებით ხდება საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების ამოღება საბანკო სისტემიდან. სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, ხოლო გაყიდვა ხორციელდება აუქციონის მეშვეობით. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ კომერციულ ბანკებს. სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის ჩატარება ეფუძნება მრავალი ფასის მეთოდს. სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე მოქმედებს საპროცენტო განაკვეთის ჭერი, რომლის ზემოთაც გაკეთებული განაცხადი არ დაკმაყოფილდება. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკი სთავაზობს კომერციულ ბანკებს სამთვიან და ექვსთვიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს.

მთავრობის სახაზინო ვალდებულებები. სახაზინო ვალდებულება არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი. სახაზინო ვალდებულების გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და იფარება ნომინალური ღირებულებით.

სახაზინო ობლიგაციები. სახაზინო ობლიგაცია არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საშუალოვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი. ამჟამად, სახაზინო ობლიგაციების გამოშვება ხდება 1-დან 10 წლამდე დაფარვის ვადით, კუპონის 6 თვეში ერთხელ გადახდით.

სახელმწიფო ობლიგაციები. საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წლის მარტში გააფორმეს შეთანხმება „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ". ამ შეთანხმების საფუძველზე, 2006 წლის 17 მაისისთვის არსებული 832.9 მლნ ლარის დავალიანებიდან ნაწილი ყოველწლიურად გადაფორმდება საქართველოს ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილ ერთწლიან, ყოველწლიურად განახლებად სახელმწიფო სავალო ვალდებულებად – სახელმწიფო ობლიგაციად, ხოლო მეორე ნაწილი – სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, რომელთა დაფარვაც განხორციელდება შესაბამისი წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დავალიანება სრულად უნდა დაიფაროს 2030 წლის 16 მარტამდე. სახელმწიფო ობლიგაციების საჯარო შეთავაზება ხორციელდება სახელმწიფო ობლიგაციების აუქციონის მეშვეობით. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ კომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით. აუქციონის ჩატარება ეფუძნება მრავალი ფასის მეთოდს.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების განსაზღვრა ხდება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ ცალ-ცალკე ეროვნული და უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე (მაგ. ბანკში განთავსებულ დეპოზიტებზე, ნასესხებ სახსრებზე). მათი გაანგარიშება წარმოებს 14-დღიანი პერიოდის ინტერვალების საშუალო მოზიდულ სახსრებზე.

ეროვნული ვალუტით საშუალო მოზიდული სახსრებისთვის კომერციული ბანკები ვალდებული არიან 14-დღიანი დასაცავი პერიოდის განმავლობაში ეროვნულ ბანკში საკორესპოდენტო ანგარიშზე საშუალო ნაშთის სახით იქონიონ არანაკლებ მინიმალური სარეზერვო თანხისა. უცხოური ვალუტით საშუალო მოზიდული სახსრებისთვის მინიმალური სავალდებულო რეზერვების შენახვა წარმოებს უცხოური ვალუტის სარეზერვო ანგარიშებ-

ზე ეროვნულ ბანკში. ბანკები ვალდებული არიან დაცვის 14-დღიანი პერიოდის განმავლობაში სარეზერვო ანგარიშზე იქონიონ სარეზერვო ნორმის შესაბამისი თანხა, რომელიც დაბლოკილია ამ პერიოდის განმავლობაში.

ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები. ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები წარმოადგენს ეროვნული ბანკის მუდმივმოქმედ ინსტრუმენტებს, რომელთა შეთავაზება ხდება კომერციული ბანკებისთვის მათი მოთხოვნის საფუძველზე. ერთდღიანი სესხი გაიცემა კომერციულ ბანკებზე შესაბამისი უზრუნველყოფის საფუძველზე. სესხის უზრუნველყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საბანკო გარანტიები და ბანკების სასესხო აქტივები. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვა ხდება საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე. ერთდღიან სესხზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს ერთნახევარი პროცენტული პუნქტი. ერთდღიანი დეპოზიტის ეროვნულ ბანკში განთავსება კომერციულ ბანკს შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე. მომდევნო სამუშაო საბანკო დღეს, საოპერაციო დღის გახსნისთანავე, ერთდღიანი დეპოზიტის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს ეროვნული ბანკი ჩარიცხავს ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე. ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს ერთნახევარი პროცენტული პუნქტი. ერთდღიანი სესხებისა და ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტებით ფაქტობრივად დაწესდა საპროცენტო განაკვეთის სამპროცენტიანი დერეფანი ბანკთაშორის ბაზარზე, რაც ხელს უწყობს ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებას.

სავალუტო აუქციონები. სავალუტო აუქციონი წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ყიდის ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე. სავალუტო აუქციონის მიზანია საერთაშორისო რეზერვების შევსება, კაპიტალის დროებითი ჭარბი შემოდინების გაცვლით კურსზე ზეგავლენის აღმოფხვრა და/ან კერძო და სახელმწიფო საგარეო სალდოს დაბალანსება.

იმისათვის რომ ეროვნულმა ბანკმა ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები შეინარჩუნოს ადეკვატურ დონეზე, ბაზარზე პერიოდულად ახორციელებს სავალუტო ინტერვენციას და ყიდულობს უცხოურ ვალუტას. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ინტერვენციების შედეგად იზრდება ფულის მიწოდება. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული წარმოქმნის ქვეყანაში ინფლაციის რისკებს, ეროვნული ბანკი განახორციელებს აღნიშნული ოპერაციების სტერილიზაციას ღია ბაზრის ოპერაციების საშუალებით. გარდა ზემოთგანხილული შემთხვევებისა, ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციის საჭიროება წარმოიშობა მთავრობის უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების შედეგად.

სებ-ი წარმოადგენს მთავრობის ბანკირს, შესაბამისად მთავრობის ანგარიშები გახსნილია ეროვნულ ბანკში. აქედან გამომდინარე, მთავრობის უცხოური შემოდინებები და გადინებები პირდაპირ ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშიდან ხორციელდება და არ ხვდება სავალუტო ბაზარზე. ამის გამო, ქვეყნის დაბალანსებული საგადამხდელო ბალანსის მიუხედავად, შესაძლებელია არსებობდეს საგარეო უარყოფითი სალდო კერძო სექტორში და ამავდროულად სახელმწიფო დადებითი სალდო. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი ამ განსხვავებების დასაბალანსებლად მოახდენს სავალუტო ინტერვენციას გაყიდვის მიმართულებით და პირიქით.

მაგალითად, კრიზისის დროს 2008-2009 წლებში კერძო სექტორს ჰქონდა უარყოფითი საგარეო პოზიცია. ამავდროულად, უცხოური სამთავრობო დახმარებების ხარჯზე მთავრო-

ბას ჰქონდა დადებითი საგარეო პოზიცია. ქვეყნის მთლიანი საგარეო პოზიცია დაბალანსებული იყო. აქედან გამომდინარე, სებ-მა ამ პერიოდში სავალუტო აუქციონებით კერძო სექტორს მიაწოდა ამ დისბალანსით გამოწვეული უცხოური ვალუტა. ეროვნული ბანკი აუქციონს ატარებს მრავალი ფასის მეთოდით. აუქციონის ჩატარების შესახებ ეროვნული ბანკი წინასწარ შეტყობინებას უგზავნის კომერციულ ბანკებს. აუქციონში გამარჯვებულ ბანკებთან ანგარიშსწორება ხდება აუქციონის მომდევნო საბანკო დღეს.

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განაკვეთები[20]

[ბოლოგანახლება: 08.01.2014]	ვადიანობა	განაკვეთი (%)
რეფინანსირების სესხი	7 დღე	5.75%
მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი	7 დღე	(5.75+1) %
ერთდღიანი დეპოზიტები	1 დღე	(5.75-1.5) %
ერთდღიანი სესხები	1 დღე	(5.75+1.5) %
სადეპოზიტო სერტიფიკატები	3/6 თვე	განისაზღვრება აუქციონით
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	/5/10 წელი	განისაზღვრებააუქციონით
	ეროვნული ვალუტით მოზიდულისახსრებისთვის	უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის
სარეზერვომოთხოვნა1	10.0 %	15.0 %
- ნარჩენი ვადიანობებისმიხედვითეროვნულივალუტით 1 წელ ზემეტივადიანობისდაუცხოურივალუტით 2 წელზემეტივადიანობისნასესხებისახსრებიგათავისუფლებულიასარეზერვომოთხოვნებისაგან, ხოლოუცხოურივალუტით 1-დან 2 წლამდევადიანობისნასესხებისახსრებისათვისსარეზერვონორმაშეადგენს 5%-ს.		

ვალერი მოსიაშვილი

საბანკო ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარების რეტროსპექტივა

დღემდე დავის საგანია საკითხი, თუ სად და როდის წარმოიშვა პირველი „ბანკი" თუ საბანკო ტიპის დაწესებულება. ბანკის ერთ-ერთ უძველეს ოპერაციებად მიჩნეულია საშემნახველო ოპერაციები. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ უძველეს საზოგადოებაში სპეციალიზდებოდნენ საშემნახველო ოპერაციებზე. ამ საქმიანობით დაკავებული იყვნენ როგორც კერძო პირები, ასევე ტაძრები. ვინაიდან საკულტო დაწესებულებები იყო ყველაზე საიმედოდ დაცული ადგილი, მოსახლეობა სწორედ მათ ანდობდა თავიანთ დროებით თავისუფალ რესურსს (დანაზოგს). აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ტაძრები (განსაკუთრებით ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში) ამავდროულად წარმოადგენდნენ თავისებურ „საბანკო დაწესებულებებს", რომელთაც მოგვიანებით ფულის მიბარებასთან ერთად,

[20] http://www.nbg.ge/index.php?m=539

მათი გასესხებაც დაიწყეს (ფული აქციეს პროცენტის მომტან კაპიტალად). ისინი ფულად საშუალებებს ყველა შესაძლო წყაროდან აგროვებდნენ და კრედიტით აძლევდნენ მოთხოვნის შესაბამისად, პირველ ყოვლისა გაბატონებულ კლასს.

ბანკების მსგავსი ინსტიტუტები ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში არსებობდა. ეგვიპტეში საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა ძვ. წთ. აღ. 2700 წელს. ბაბილონისა და ასურეთის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები (მაგ., ჰამურაბის კანონების კრებული, ძვ. წთ. აღ. 1704-1662 წ.წ.) მოწმობენ, რომ მაშინაც იყო ვექსილი და ჩეკი, ხოლო სახსრების შენახვისა და სასესხო ოპერაციების ფორმები კანონით რეგულირდებოდა. მაგ., სახსრების შენახვისათვის კანონი ითვალისწინებდა გადასახადს. იმ დროს სესხები გაიცემოდა არა მხოლოდ ფულადი ფორმით, არამედ ცალკეული საქონლის სახით (მაგ.: ხორბლით, ფინიკით, შალით, ზეთით და ა. შ.), აქაც აგრეთვე ადგილი ჰქონდა პროცენტის დარიცხვას. ამასთან, საქონლის შესანახად გამოიყენებოდა საკულტო-რელიგიური შენობები, რადგან იქ უზრუნველყოფილი იყო უმაღლესი უსაფრთხოება.

მონათმფლობელურ საბერძნეთში მონასტრები, როგორც ფულის შენახვის ადგილები, წამყვან როლს ასრულებდნენ და კულტის მსახურებიც არსებითად თავისებურ ბანკირებად ითვლებოდნენ. *ერნსტ კურტიუსი წიგნში – „საბერძნეთის ისტორია"* წერს: ყველა წამყვან მონასტერთან დაკავშირებული იყო ფინანსების მართვა. ქურუმები ესწრაფვოდნენ მონასტრის წლიური შემოსავლის გაზრდას მათი უნარიანი მართვით, მიწის არენდით, სესხის მომგებიანი გაცემის საშუალებით, განძის წარმოქმნას, რომელიც საკმარისი იქნებოდა არა მარტო წეს-ჩვეულებების შესასრულებლად, არამედ მონასტრის ძლიერების განმტკიცებისათვის. სწორედ ამ დროს მიეკუთვნება ცნობილი ძარცვა. ჰეროსტრატემ ძვ. წთ. აღ. 356 წ. არტემიდა ეფესელის ტაძარი დაწვა არა იმიტომ, რომ „ისტორიაში შესულიყო", როგორც ეს მიღებული იყო, არამედ იმისათვის, რომ დაწვის გზით დაეფარა ძარცვის კვალი. ძვ. წთ. აღ. V ასწლეულში რომში გაიცემოდა პროცენტიანი სესხები გირავნობით ან მის გარეშე, ხოლო 100 წლის შემდეგ გამოჩნდნენ „ბანკირები". მეორე პუნიკური ომის დროს (დაახლოებით ძვ. წთ. აღ. 200 წ.) რომი ხმელთაშუა ზღვის წამყვან საფინანსო ცენტრად ითვლებოდა.

სავახშო კაპიტალმა თავის სრულ განვითარებას მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში მიაღწია. იგი ორი ძირითადი ფორმით არსებობდა: ფულადი სესხის სახით გაბატონებული კლასებისათვის (მონათმფლობელებისა და ფეოდალებისათვის) და ნატურალური ფორმით საქონლის მარტივი მწარმოებლებისათვის. ამ დროისათვის მევახშეებად უმთავრესად ვაჭრები, ფეოდალი-მიწათმოქმედნი, აგრეთვე მონასტრები გამოდიოდ-ნენ. საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალი იყო. იგი 40-დან 100%-მდე მერყეობდა, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გაცილებით მეტიც ყოფილიყო. მაღალი საპროცენტო განაკვეთი ეწინააღმდეგებოდა საწარმოო ძალების განვითარებას, ძირს უთხრიდა მონათმფლობელური და ფეოდალური წარმოების წესს.

როგორც ცნობილია, ხელისუფალი ომისა და კრიზისის დროს ხშირად მიმართავდა მიმოქცევაში არსებული ლითონური ფულის გაფუჭებას.

ცნობილია მონეტის გაფუჭების სამი ხერხი:

1) მონეტის გაფუჭება მისი მოცულობის შემცირებით;

2) მონეტის გაფუჭება მისი სინჯის შემცირებით. ამ დროს მონეტაში უხვად ურევდნენ უბრალო (იაფფასიან) ლითონს, რაც საგრძნობლად ამცირებდა მის რეალურ ღირებულებას;

3) დაბალი ღირებულების ლითონის ზედაპირის უფრო მაღალი ღირებულების ლითონით დაფარვა.

შემდეგ გაჩნდა ზარაფების პროფესია, რომლებიც ამოწმებდნენ მონეტების ხარისხს და გაცვეთილის შეცვლის აუცილებლობისას, ახდნენ ახლის გაჭედვას. ფულის ასეთმა გაცვლამ ბოლოს გამოიწვია დეპოზიტური ოპერაციების განვითარება თანამედროვე გაგებით. პირველად ფული საბანკო დაწესებულებებში თავსდებოდა დეპოზიტების სახით იმ პირობით, რომ შემდგომ პატრონებს იგივე მონეტები დაუბრუნდებოდათ. შემდეგ დაიწყეს დეპოზიტების გამოყენება სესხისათვის, რამდენადაც მევახშეს უნდა დაებრუნებინა იგივე თანხა და არა იგივე ფული, როგორც ასეთი, ამიტომ ე.წ. შენახვის დეპოზიტები თანდათან გარდაიქმნა ბანკის დეპოზიტებად. კლიენტს შეჰქონდა ბანკში ფულადი თანხა იმისათვის, რომ გარკვეული დროის შემდეგ გადაეტანა იგი თავისი სავაჭრო პარტნიორის ანგარიშზე. იმავდროულად მის საბანკო ანგარიშზე შედიოდა გადასახადები კლიენტებისაგან. ანგარიშებში დებეტური და კრედიტული ჩაწერების საშუალებით ხორციელდებოდა ფულის ბრუნვა.

ზოგიერთი მკვლევარი იზიარებს აზრს, რომ ე.წ. „პირველ ბანკირებად" უნდა მივიჩნიოთ „ტრაპეზიტები" (ბერძ. trapezitai), რომლებიც ძვ. წთ. აღ. VI საუკუნეში გამოჩნდნენ.[21] ტრაპეზიტები, გარდა იმისა, რომ ცვლიდნენ და ამოწმებდნენ ფულად ნიშნებს, ასევე იძლეოდნენ სესხს მოძრავი და უძრავი ქონების გირავნობის ქვეშ (გემები, გემის ტვირთი, მონები და სხვ.). ზოგიერთი ტრაპეზიტები მისდევდნენ ვაჭრობასა და ხელოსნობას, ჰქონდათ თავიანთი დამღა (ნიშანი), ამოწმებდნენ და ადასტურებდნენ ხელშეკრულებებს. არცთუ იშვიათად, ტრაპეზიტების როლში გამოდიოდნენ ტაძრები. ტრაპეზიტების ფუნქციებს რომის იმპერიაში ასრულებდნენ არგენტარიები (argentarii).[22]

ზოგიერთი წყარო მიუთითებს, რომ პირველ საბანკო დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს 1156 წელს იტალიის ქალაქ ვენეციაში დაფუძნებული „მონტენეგების" ე.წ. „ჟირობანკი[23]. „ჟირობანკები" ახორციელებდნენ არა ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას, არამედ უნაღდო გატარებებს საბანკო წიგნაკში მსესხებლის ანგარიშიდან გამსესხებლის ანგარიშზე.

თუმცა ავტორების უმეტესობა მიიჩნევს, რომ პირველ ბანკად უნდა მივიჩნიოთ **1407 წელს იტალიის ქალაქ გენუაში გახსნილი სან-ჯორჯოს სახელობის ბანკი,***რომლის ყველაზე ცნობილი კლიენტი იყო განთქმული მოგზაური ქრისტეფორე კოლუმბი.*[24]

ამ დროისათვის, იტალიაში გამოჩნდა საბანკო საქმიანობის ახალი ინსტიტუტები. წარმოიქმნა და განვითარდა ბუღალტრული აღრიცხვის ორმაგი სისტემა, რომელმაც თავისი მნიშვნელობა დღემდე შეინარჩუნა. XII საუკუნეში იტალიაში გაჩნდა პირველი ვექსილი. XIV ს-ში ჩვეულებრივი გახდა ვექსილის წარმოდგენა არა მარტო მეანაბრის, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ. XVII ს-ის ბოლოს შემოღებულ იქნა გადაცემითი მინაწერი (ინდოსამენტი) ვექსილებზე, რაც აბსტრაქტულ საგადასახადო ვალდებულებად იქცა. ასევე იტალიაში დეპოზიტების ბაზარზე გაჩნდა ბანკნოტები. ეს განპირობებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით, საწარმოო ძალებისა და ვაჭრობის სწრაფი განვითარებით. ოქრო ფულის სა-ხით არ კმაროდა და წარმოიქმნა მოთხოვნილება „სავაჭრო ფულზე".

საწყის ეტაპზე ეს ბანკნოტები სრულყოფილად უზრუნველყოფილი იყო დეპოზიტებით. როგორც კი ზარაფებმა შეამჩნიეს, რომ ყოველდღიურად ყველა ანაბარი არ გამოიყენებოდა თავისი მფლობელების მიერ და ყოველდღიური მოთხოვნილება ყველა დეპოზიტის მხოლოდ განსაზღვრულ პროცენტს შეადგენდა, მათ დაიწყეს საგირაო ბილეთების მიცემა ვაჭ-

[21]http://antiquites.academic.ru/1935/
[22]http://dic.academic.ru/dic.nsf/brokgauz_efron/6015/
[23]http://brandfin.ru/all-finansi/72-istoriya-vozniknoveniya-bankov.html
[24]http://storyof.ru/dengi-finansy/istoriya-poyavleniya-pervogo-banka

რებზე დეპოზიტური დაფარვის გარეშე და ამით თვითონ აძლევდნენ მათ კრედიტებს. ასეთი ბანკნოტები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანამედროვე ბანკნოტის წინამორბედი. XVII ს-ში, ინგლისში, კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე, ბანკნოტებმა ფართო გავრცელება ჰპოვა მას შემდეგ, რაც ინგლისის ბანკმა დაიწყო მათი მიმოქცევაში გაშვება.

მევახშეების მონოპოლური პოზიციები დაირღვა სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისტების მიერ, რომელთაც შემოიღეს ერთმანეთისათვის კრედიტების მიცემა ზომიერი პროცენტებით. მათ ბრძოლას მევახშეების წინააღმდეგ მრავალ ქვეყანაში მხარს უჭერდა სახელმწიფო.

თანამედროვე საბანკო საქმის სათავეები უნდა ვეძებოთ, პირველ ყოვლისა, იტალიის, უფრო ზუსტად, ჩრდილოეთ იტალიის შუა საუკუნეების ზარაფების საქმიანობაში. ცნება „ბანკ“ მომდინარეობს იტალიური სიტყვისაგან **„BANCO”** (ტრაპეზიტების (არგენტარიების, ზარაფების) სკამი, ფულის სათვლელი მაგიდა). ყველაზე გავლენიანი იყო კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ბანკები – კურიები. საყოველთაოდ ცნობილია მედიჩის ბანკი ფლორენციაში. ფლორენციაში არსებულ ბანკის მთავარ კანტორას 16 ფილიალი ჰქონდა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა პარიზი, ლონდონი, ბრიუგე, ლიონი, ვენეცია, გენუა, რომი, ნეაპოლი. მთავარი კანტორა იძლეოდა ფულად გზავნილებს, რომლებსაც ყველა ფილიალი ანაზღაურებდა და აღნიშნავდნენ, რომ მედიჩის სავაჭრო სახლი ანაზღაურებს თანხას დედამიწის ნებისმიერ კუთხეში ნამდვილი გზავნილების წარდგენისას... ოქროს გულდენებში”. გერმანიაში აუგსბერგის და საბანკო სახლის ფიუგერებმა 1508 წ. შეძლეს მთელი თავისი რომის აგენტურის გაერთიანება პაპ იოანე მეორის ბანკში, მაგრამ ფიუგერები ახორციელებდნენ ოპერაციებს არა მარტო პაპთან, არამედ ევროპის მეფეებთან და კაიზერებთანაც.[25]

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მთელ მსოფლიოში ბანკების როლი წარმოებისა დამიმოქცევის მოცულობის განვითარების შესაბამისად იზრდებოდა. გაჩნდა თავისუფალი ფულადი რესურსები, რომელთა აკუმულირება ხორციელდებოდა და სესხის სახით მრეწველ და მოვაჭრე კაპიტალისტებისაკენ მიიმართებოდა. მეურნეობის ყველა დარგში სასაქონლო-ფულადი მიმოქცევის განვითარებამ საბანკო კაპიტალის განვითარებაც განაპირობა.

ბანკების საწყის ფუნქციებს – ფულით ვაჭრობას ახალი ფუნქცია – კაპიტალის მართვის ფუნქციაც დაემატა, რომელსაც პროცენტული შემოსავლები მოჰქონდა. ბანკებმა, როგორც კაპიტალის შემგროვებლებმა, წარმოების მთლიანი პროცესების მომსახურება დააწესეს და მასზე უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა მიიღეს. კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა აღმოცენდა და განვითარდა, როგორც რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ.

სარგებლის მომტანი კაპიტალი, რომელიც მანამდე მხოლოდ წვრილ მეწარმეებზე და დიდგვაროვნებზე ფუფუნებით ცხოვრებისათვის გაიცემოდა, კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებს და მოთხოვნებს დაექვემდებარა. კაპიტალისტი მსესხებელი გახდა, რომელიც კრედიტს არა ფუფუნებით ცხოვრებისათვის, არამედ მწარმოებლური განვითარების მიზნებით იღებდა. კრედიტებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ბანკები აიძულა საკრედიტო რესურსების გაზრდისათვის ეზრუნათ. ბანკები არა მარტო თავისუფალი ფულადი კაპიტალის ცენტრალიზაციას ახდენდნენ და მის გამოყენებას სარგებლის მიღების მიზნით ახორციელებდნენ, არამედ მოსახლეობის წვრილ დანაზოგებსაც კაპიტალად აქცევდნენ.

მთლიანობაში შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ბანკები საწყის ეტაპზე ასრულებდნენ ოთხ

[25] მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., საბანკო საქმის საფუძვლები. თბ., 2013. გვ.: 8.

ძირითად ფუნქციას[26]: 1. შუამავლობა საკრედიტო ოპერაციებში; 2. შუამავლობა საგადასახდელო ურთიერთობებში; 3. დანაზოგებისა და ფულადი რესურსების მობილიზაცია და მათი გადაქცევა კაპიტალად; 4. მიმოქცევისათვის საკრედიტო იარაღების (ბანკნოტა, ჩეკი) შექმნა და დანახარჯების შემცირება.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ საბანკო საქმის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებები, განვიხილოთ საკითხი – განვითარების რა ეტაპები გაიარა ზოგადად საბანკო საქმემ. ავტორთა უმეტესობა აღიარებს, რომ საბანკო საქმემ თავისი განვითარების გზაზე გაიარა ოთხი ძირითადი ეტაპი:[27]

პირველი ეტაპი – ანტიკური პერიოდიდან პირველი ბანკის წარმოშობამდე (1407 წელი, როცა გაიხსნა სან-ჯორჯოს სახელო-ბის ბანკი);

მეორე ეტაპი – 1407 წლიდან 1694 წლამდე (ინგლისის ბანკის ჩამოყალიბებამდე). ამ ეტაპისთვის დამახასითებელია „ჟირობანკების" ფართე ქსელის შექმნა;

მესამე ეტაპი – 1694 წლიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე. საბანკო სისტემის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია ინგლისთან, როცა შეიქმნა ინგლისის ბანკი (1694 წ.), რომელიც ახალი ნაბიჯი იყო საბანკო სისტემის განვითარებაში, რადგან იგი ფაქტობრივად წარმოადგენდა ცენტრალური საბანკო სისტემის შექმნის პირველ პრეცენდენტს. ბანკი შეიქმნა 1268 აქციონერის მიერ 1 200 000 ფუნტი სტერლინგის საწესდებო კაპიტალით სახელმწიფოს ფინანსური პრობლემების დაძლევის მიზნით. ბანკის პირველი გარიგება იყო მეფე ვილჰელმ მესამესთვის კრედიტის მიცემა, რაც (კრედიტის გაცემა) თავისთავად წარმოადგენდა პირველ ოფიციალურ კრედიტს, რომელიც გაიცა წლიური 8%-იანი განაკვეთით.[28] ამის შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა დეპოზიტურმა ოპერაციებმა.

მეოთხე ეტაპი – ამ ეტაპზე იზრდება ბანკების რაოდენობა, ყალიბდება სრულყოფილი საბანკო სისტემა, მზარდი კონკურენცია იწვევს სხვადასხვა ოპრაციების წარმოშობას. 1877 წლიდან იწყება ლიზინგის ოპერაციები, მოგვიანებით ფაქტორინგული ოპერაციები. ბანკები აფართოებენ ოქროთი ვაჭრობას და დაკავებული არიან სავალუტო ოპერაციებით; თანდათან იზრდება მათი გავლენა არა მარტო კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკაზე, არამედ მთლიანად მსოფლიო მეურნეობაზე. ბოლო პერიოდში ბანკები ითვისებენ და სპეციალიზდებიან მათთვის არატრადიციულ ოპერაციებზე (მინდობილობითი ოპერაციები, ფასეულობის შენახვა, ანდერძის განკარგვა და სხვ.).

პირველი ფულის ნიშნები მსოფლიოში

ჯერ კიდევ არ არის ერთიანი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ სად და როდის მოიჭრა პირველი მონეტები. 4-5 ათასი წლის წინ ადამიანისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო ფული. იმ დროს უკვე იყოფოდნენ სამიწათმოქმედო და სამესაქონლოე ტომებად, წარმოიშვა ხელოსნობა. ადამიანი ხელოსნურ ნაკეთობაზე ცვლიდა პირუტყვს, მარცვლეულს, ცხოველთა ტყავს. გაცვლისას ფასეულობის საზომად თავდა პირველად იყენებდნენ ცხოველთა ტყავს ან საქონელს. გაცვლის განვითარებასთან ერთად მოსახერხებელი საზომი გახდა ლითონი.

---

[26]http://www.grandars.ru/student/finansy/vozniknovenie-bankov.html)

[27]http://brandfin.ru/all-finansi/72-istoriya-vozniknoveniya-bankov.html

[28]http://storyof.ru/dengi-finansy/istoriya-poyavleniya-pervogo-banka/.

ფულის შექმნა მიეწერება ორ კერას. ერთი არის კუნძული ეგინა ეგეოსის ზღვაში და მეორე არის მცირეაზიური სახელმწიფო ლიდია, რომელიც, უხეშად რომ წარმოვიდგინოთ, მდებარეობდა დღევანდელი ანკარის დასავლეთით.

პირველ მონეტებზე გამოსახულება იყო მხოლოდ ერთ მხარეს. მონეტას აქვს ორი მხარე - ზურგი და შუბლი. შუბლის მხარეს გამოსახავდნენ ხოლმე. ხოლო მეორე მხარეს იყო ჩაჭდეული კვადრატი. ეს ძველი მონეტებისთვის იყო დამახასიათებელი.

თანამედროვე მონეტას აქვს ორი დამღა. ერთ დამღაზე ათავსებენ მეტალს და მეორე დამღას ადებენ. მაშინ მეორე დამღა არ არსებობდა. მეტალი პირველ დამღაში რომ ჩაეჯინათ, იღებდნენ სპეციალურ სპილენძის წკნელს და აწვებოდნენ ზევიდან და, შესაბამისად, იმ წკნელის ბოლო ოთხკუთხედი რჩებოდა ზევიდან. ამიტომ მონეტები ერთ მხარეს უფრო დავირტული იყო გამოსახულებით, ვიდრე მეორე მხარეს. შემდეგ მიხვდნენ, რომ მეორე მხარის დამღაც იყო საჭირო.

ლიდიურ მონეტებზე გამოსახული იყო ლომები და ხარები. ეგინას მონეტებზე გამოსახული იყო კუ. იმიტომ, რომ ეგინა "კუს" ნიშნავს.

ძველ საბერძნეთში ამ მიზნით ზოგჯერ რკინის წკნელებს იყენებდნენ; მაგრამ ისინი ძალიან მძიმე იყო. ასეთი ფულის შესანახად საკუჭნაოებს აგებდნენ, ბაზარში ფული ურმით მიჰქონდათ. მალე საფასურად ძვირფასი ლითონების, უპირველეს ყოვლისა, ვერცხლის გამოყენება დაიწყეს. იგი ძვირი იყო და ამიტომ სავაჭრო საქმეების მოგვარებისას მათი შედარებით მცირე რაოდენობა იყო საჭირო.

გაჩნდა ასაწონი ფული – ზოდები ან გარკვეული წონის რგოლები. ძველ აღმოსავლეთში ასეთ წონით ფულს ძვ. წ. VII ს – ში გამოიყენებდნენ. ბაზრებზე წონიდნენ არა მარტო შესასყიდ სურსათს, არამედ ფულსაც. ძველ ეგვიპტეში შუა მეფობის ხანაში (ძვ. წ. 2200 - 1710 წწ.) წონითი ფულები ვერცხლის რგოლების სახით იყო. შემონახულია ნახატები, თუ როგორ წონიან ვერცხლის რგოლებს. პირველი მონეტები გაჩნდა ლიდიაში, მცირე აზიაში ძვ. წ. VII ს – ში. ეს იმით აიხსნება, რომ ლიდიაზე გადიოდა სავაჭრო გზები საბერძნეთსა და აღმოსავლეთ ქვეყნებში. აქ ადრე გახდა საჭირო სავაჭრო საქმეების გამარტივება, ხშირად ძნელი საცნობია მცირე, უფორმო ნატეხის მონეტა. მაგრამ მასში იყო მთავარი – ჰქონდა ნიშანი მისი გამომშვები ქალაქისა, რომელიც მონეტის წონის გარანტიას იძლეოდა. პირველი ბერძნული მონეტები გაჩნდა კუნძულ ეგინაზე ძვ. წ. VII ს – ში. ეგინურ დრაჰმებზე გამოსახული იყო კუ, მეორე მხარეს კი აჩნდა ნაჭდევის კვალი, რითაც იგი მარაგდებოდა ჭრის დროს, იწონიდა დაახლოებით 6 გრამს.

ძველ ბერძნებს მონეტათა საკუთარი საზომი ჰქონდათ. წვრილი ვერცხლის ფულს ობოლი ერქვა. ექვსი ობოლი შეადგენდა დრაჰმას, ორი დრაჰმა კი – სტატერს. მაგრამ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქალაქში ამ მონეტებს წონაც სხვადასხვა ჰქონდა. საბერძნეთის ადრეულ მონეტებს წარწერები არ ჰქონდა, ხოლო გამოსახულება მხოლოდ წინა პირზე აჩნდა. ქალაქთა სახელების წარწერა დაიწყეს ძვ. წ. VI ს – ის შუა წლებიდან, ხოლო ძვ. წ. V ს – ში საბერძნეთში ისწავლეს ორივე მხარეზე სხვადასხვა გამოსახულებებიანი მონეტების გამოჭრა. მაგალითად, ათენში იჭრებოდა მონეტა, რომლის შუბლზე გამოსახული იყო ქალღმერთ ათენას თავი, ზურგზე კი – ბუ (ათინას ფრინველი). ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშია ქერჩისა და ტამანის ნახევარკუნძულებზე მდებარე ბოსფორის სამეფოს ბერძნული ოქროს მონეტები. წინაპირზე გამოსახული იყო ზღაპრული არსების სილენის თავი, ხოლო მეორე მხარეზე კბილებში შუბგარჭობილი ფანტასტური გრიფონი.

პირველი ბერძნული ოქროს მონეტები გამოუშვა მაკედონიის მეფემ ფილიპემ (ალექსანდრე მაკედონელის მამამ) და ეწოდებოდა „ფილიპიკები". ალექსანდრე მაკედონელი თავის უზარმაზარ მონარქიაში ჭრიდა ერთნაირი გამოსახულებისა და წონის მონეტებს – ეს

იყო ტეტრადრაქმები (4 დრაქმა), რომლის წინაპირზე გამოსახული იყო თვით ალექსანდრე გმირ – ჰერაკლეს თავსაბურით, მეორე მხარეზე კი – ზევსი. ალექსანდრე მაკედონელის ტეტრადრაქმებს მისი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს ხმარობდნენ. ტეტრადრაქმებს პონტოს სახელმწიფოს მეფე მითრიდატე VI უშვებდა. წინაპირზე გამოსახული იყო მეფის თავი დიადემით, მეორეზე კი ირემი საძოვარზე. ძვ. წ. IV ს – ში მონეტათა ჭრის ხელოვნებამ საბერძნეთში უმაღლეს აყვავებას მიაღწია, განსაკუთრებით ქ. სირაკუზში. აქ ჭრიდნენ მონეტებს, რო მელთა წინაპირზე გამოსახული იყო სირაკუზის მფარველი ქალღმერთი, ხოლო მეორეზე – ექვსცხენიანი ეტლი. ამ მონეტებს ჭრიდნენ შესანიშნავი ოსტატ – მხატვრები. ძველ რომში თავდაპირველად იხმარებოდა წონითი მონეტები – ბრინჯაოს ზოდები, რომლებზეც მოგვიანებით გაჩნდა ხარის, ხომალდის, ცხვრის და სხვა გამოსახულებები. ვერცხლის მონეტების მოჭრა დაიწყეს რომში ძვ. წ. III ს – ის 60 – იან წლებში. ძირითადად გავრცელებული იყო ვერცხლის მონეტა – დენარი. მისი თავდაპირველი წონა 4, 37 გრ. სხვადასხვა დროს იცვლებოდა. ამას გარდა, რომში ჭრიდნენ ბრინჯაოს, შემდეგ კი ოქროს მონეტებს. რომში პირველი ზარაფხანა მდებარეობდა ქალღმერთ იუნონა – მონეტას ტაძარში, აქედან მოდის ტერმინი „მონეტა". რესპუბლიკის ეპოქის რომაული დენარიების წინაპირზე მოთავსებული იყო ღმერთების გამოსახულება; მეორე მხარეს კი – ორი გაჭენებული ცხენოსნის, ზარაფხანის სამუშაო იარაღების – გრდემლის, ეროსა და მარწუხის და სხვათა გამოსახულებანი.

იმპერატორები ოქროსა და ვერცხლის მონეტებს თავისი გამოსახულებებით უშვებდნენ. ასეთებია: ახალი წელთაღრიცხვით I ს – ის მონეტები იმპერატორ ავგუსტუსისა, რომელთა ზურგზე გამოსახულია სამსხვერპლო; იმპერატორ ნერონის მონეტების ზურგზე მტრის მკერდზე ფეხდაბჯენილი ლეგიონერის გამოსახულება იყო; V ს. იმპერატორ კონსტანტინეს მონეტის მეორე მხარეზე გამოსახული იყო შენობა; ამავე დროს სენატი უშვებდა სპილენძის მონეტებს. საიმპერატორო ოქროს მონეტები – ესანიშნავი რეალისტური პორტრეტებიანი აურეუსები, რომის ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს განეკუთვნება. გვიანი ხანის რომის იმპერიაში სამონეტო საქმემ კრახი განიცადა. ვერცხლსა და ოქროში სხვა ნაერთებს ურევდნენ. პორტრეტებსა და სხვა გამოსახულებებს ადრინდელი მხატვრული ფასეულობა არ გააჩნიათ, რაც კულტურის დაცემაზე მეტყველებს. მონეტების

შესწავლით მკვლევარი შეიტყობს ძველი ხალხების ცხოვრების სხვადასხვა მხარეს: მეურნეობას, პოლიტიკურ წყობასა და კულტურას, მაგალითად, ტეტრადრაქმის ჭედურობა ამა თუ იმ ქვეყანაში მეტყველებს ალექსანდრე მაკედონელის ბატონობაზე, ხოლო მისი მონარქიის საზღვრებს გარეთ ნაპოვნი ტეტრადრაქმები – იმ დროის სავაჭრო ურთიერთობებზე. ბევრი ანტიკური მონეტა ახლაც არის ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში.

ქართული ფულის წარმოშობა და განვითარების რეტროსპექტივა. კოლხეთი იმ მოწინავე სახელმწიფოთა შორის იყო, რომლებმაც ფულის მოჭრა დაიწყეს. მას მოიხსენიებენ როგორც კოლხური თეთრი, მისი რვა ტიპია შემორჩენილი. გამოსახულია დაღრენილი ლომი, ასევე მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომი. ზურგის მხარეს ჩაჭდეულ კვადრატში გამოსახულია დაჩოქილი ქალღმერთი ხარის თავით. კოლხურ თეთრზე ასევე გამოსახულია ადამიანის სამი თავი - შუბლის მხარეს ერთი თავია და ზურგის მხარეს ჩაჭდეული კვადრატის გამოსახულებაში ორი თავი ერთმანეთს უყურებს. ეს არის მთვარის ქალღმერთი და აქ მთვარის სამი ფაზაა დაფიქსირებული. ადამიანის თავის გამოსახულება არის ბერძნულ-არქაისტული სტილის. ერთ-ერთ ნომინალზე წეროც არის გამოსახული.

კოლხური თეთრის ყველაზე პოპულარული ტიპია მონეტები ადამიანის და ხარის თავის გამოსახულებით. ეს მონეტები ძალიან გავრცელებულია და დიდი რაოდენობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში. რაც შეხება გამოსახულებების სიმბოლურ დატვირ-

თვას, ხარი დაკავშირებული იყო მთვარის თაყვანისცემასთან, ხოლო ლომი - მზის თაყვანისცემასთან.

არის გამონაკლისები - მხოლოდ ზოგიერთზე გვხვდება ასოები , , , ან Ф. ყველაზე ხშირია -ასოებიანი მონეტები (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ასეთები ათზე მეტია), სხვა სახის წარწერიანი მონეტები სულ თითო ეგზემპლარის სახითაა მოღწეული. მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის რომ კოლხური მონეტები იჭრებოთა თავად კოლხეთში. ქ.ხონში ნაპოვნ განძში მონეტის ერთ-ერთი ეგზემპლარი დამზადების პროცესში მყოფი ჩანს (ერთი მხარე გლუვი აქვს), რაც თითქოს აგრეთვე მათ ადგილობრივ დამზადებაზე მეტყველებს. ხოლო მეორე ჯგუფი თვლის, რომ ეს მონეტები შესაძლოა ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებში იყოს მოჭრილი. კოლხური თეთრის არსებობა ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ ძვ. წ. VI-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე სახელმწიფო არსებობდა. კოლხური მონეტები ასევე აღმოჩენილია (ყირიმში – ნიმფეის ტაძრის ნანგრევებში; ქერსონესში; სოჭის რაიონში; ტრაპეზუნტის მიდამოებში.

რაც შეეხება რელიგიურ სიმბოლოებს, პირველი ჯვარი მონეტაზე ჩნდება მეექვსე საუკუნის მიწურულს ერისმთავარ სტეფანოზ პირველის ნუმიზმატიკურ ძეგლებზე. ეს ის ერისმთავარია, რომელმაც ჯვრის მონატერი ააშენა და რომელმაც სპარსელებისგან მოიპოვა დამოუკიდებლობა. მისი წინამორბედი ერისმთავრები ჭრიდნენ სასანიდურ მონეტების მიმსგავსებულ ვარიანტს, რომლებზეც შუბლის მხარეს გამოსახული იყო შაჰი, ხოლო ზურგის მხარეს საკურთხეველზე ანთებული ცეცხლი და ორი მცველი. ეს არის წმინდა სასანური ნუმიზმატიკური ძეგლი.

ქართლის ერისმთავრებმა ჯერ შაჰის თავის ზევით მოათავსეს ასომთავრული ნიშნები. ვთქვათ "გ" და "ნ" - გურგენი. "ჯ" და "რ" ჯუანშერ. შემდეგ სტეფანოზ პირველმა მონეტის ზურგის მხარიდან ცეცხლი მოაშორა და მის მაგივრად აღმართა ჯვარი და მონეტის შუბლის მხარეზე ასომთავრული პირდაპირ მოათავსა სრული სახელი "სტეფანოზ".

შემდეგ დავით კურაპალატი თავის ნუმიზმატიკურ ძეგლზე აწერს დაქარაგმებულად: "ქრისტე, შეიწყალე დავით კურაპალატი" და ჯვარია აღმართული მონეტაზე. ესეც ქართული სიმბოლიკაა. მონეტებზე აისახებოდა ასევე მეფეთა ტიტულატურაც. მაგალითად, გიორგი მეფე არის "მეფე აფხაზთა და ქართველთა, და ნოველისიმოსი, და სევასტოსი და კესაროსი" და ამ მხრივ საქართველოს გაერთიანებაც სიმბოლურად აისახა დავით აღმაშენებლის დროის ნუმიზმატიკურ ძეგლზე. ბაგრატიონთა ნიშანი ერეკლეს მიერ შემუშავებული ჩნდება ერეკლე მეორის ნუმიზმატიკურ ძეგლზე, სადაც არის ერთთავიანი და ორთავიანი არწივები.

ქართულ მონეტებზე თარიღები აითვლება სხვადასხვანაირად. ზოგი მმართველობის წლების მიხედვით არის, ზოგი მუსლიმური წელთაღრიცხვაც არის დაფიქსირებული იმიტომ, რომ ერთი პერიოდი არაბები ჭრიდნენ ქართლში ფულს. მუსლიმურ წელთაღრიცხვას ჰიჯრა ჰქვია და აითვლება იქიდან, მუჰამედი როდესაც გაიქცა მექადან მედინაში. ჩვენი წელი თუ მზეს მიჰყვება, არაბების წელი მიჰყვება მთვარეს.

პირველად ქართული წელთაღრიცხვა ქორონიკონი დაფიქსირებულია გიორგი მესამის ნუმიზმატიკურ ძეგლზე. გიორგი მესამის მონეტა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ პირველად ჩნდება მხედრული დამწერლობის ნიმუში ნუმიზმატიკურ ძეგლზე.

ნუმიზმატიკურ ძეგლებზე ასევე აისახებოდა დამპყრობლების ყოფნა საქართველოში. ამ მხრივ საკმაოდ მძიმეა მეცამეტე-მეთვრამეტე საუკუნის პერიოდი. ამ დროისთვის იჭრებოდა საოკუპაციო მონეტები. ამიტომ თბილისის ზარაფხანას ჰქონდა ორმაგი დატვირთვა - ერთსა და იმავე ზარაფხანაში მონღოლებიც ჭრიდნენ ფულს ირანში მჯდომი ილხანის სახელით და იმავე ზარაფხანაში დემეტრეც ჭრიდა ფულს. სეფიანებმა კი უკვე დაიწყეს უნი-

ფიცირებული მონეტების მოჭრა. აბასები, რომლებსაც ისპაჰანში ჭრიდნენ, იგივე აბასები იჭრებოდა თბილისის ტერიტორიაზეც.

კოლხეთმა ფულის მოჭრა კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ უზარმაზარი ჩავარდნა ჰქონდა ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან მეათე საუკუნემდე. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ ხდება პირიქით. იბერიაში ფული თითქოს არ იჭრებოდა თავიდან. აქ ფულის მოჭრა შედარებით გვიან, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში დაიწყეს, მაგრამ უფრო სტაბილურად გააგრძელეს.

პირველი ნამდვილი ფული მოჭრილია ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში. მოჭრა ბაგადატ ბივრატის ძემ. ეს იყო კლარჯეთის ერისთავი, პირველი ბაგრატიონი. ამის შემდეგ თუ რამე იჭრებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, ეს იყო ყალბი მჭრელების მიერ მოჭრილი. ისინი ბაძავდნენ კოლხეთიდან შემოსულ მინაბაძებს.

მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში ფული იბერიაში არ იჭრება. მეექვსე საუკუნეში ჭრიან ქართლის ერისმთავრები. მეშვიდე საუკუნეში არ იჭრება. მერვე საუკუნეში კი უკვე არაბები ჭრიან მუსლიმური ტიპის ფულს.

თბილისის ზარაფხანა ინტენსიურად მოქმედებს მერვე, მეცხრე, მეათე საუკუნეებში. შემდეგ აქ წყდება ფულის მოჭრა და დასავლეთ საქართველო აქტიურდება ამ კუთხით. ბაგრატ მეოთხის, გიორგი მეორის და დავით აღმაშენებლის ფულები ქუთაისში იჭრებოდა. დემეტრე პირველი, გიორგი მეორე და თამარი კი მილიონობით ჭრიდნენ ფულს თბილისში. ამის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფულის მოჭრა პრაქტიკულად არ შეწყვეტილა. ოღონდ ის ფული შეიძლება ყოფილიყო ეროვნული და შეიძლება ყოფილიყო საოკუპაციო სერიები - მონღოლების, სეფიანთა ირანელების და შემდეგ უკვე რუსების 1804 წლიდან.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, შუასაუკუნეებში აქ პერიოდულად იჭრებოდა ფული. მაგალითად, დავით ულუ გაიქცა დავით ნარინთან ქუთაისში. მოჭრეს ფული. რუსუდანი გაიქცა ცხუმში. იქაც ფული მოჭრეს და ა.შ. XVII-XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ფული აღარ მოჭრილა. შემოდიოდა ევროპული მსხვილი ვერცხლის ფულები და ოსმალური ძალიან წვრილი ახჩები, რომლებიც ქისაში იყო ჩაყრილი.

ქართული ნუმიზმატიკა მთავრდება 1832-33 წლებით, როდესაც დაიხურა თბილისის რუსული ზარაფხანა. რუსები ჭრიდნენ ფულს, რომელიც ჩვენთან მიმოიქცეოდა. შემდეგ პრობელემები შეიქმნა და საერთოდ გაჩერდა ფულის მოჭრა.

რუსული მმართველობის პერიოდში შემოდის ქაღალდის ფული. ეს უკვე ბონისტიკაა. ქაღალდის ფულში იგულისხმებოდა 0,8 გრამი ოქრო, რომელიც ნაციონალურ სარეზერვო ბანკში ინახებოდა. ქართველები ამას ნაკლებად იგებდნენ და არც ესმოდათ ქაღალდის ფულის აზრი მეცხრამეტე საუკუნეში. რუსული ფული შემოვიდა ორ კატეგორიად. ერთი იყო ასიგნაციები, რომელსაც არ გააჩნდა ოქროთი გამაგრება. შემდეგ კი შემოვიდა ბანკნოტი, რომელიც გამაგრებული იყო ოქროთი.

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას კურირებდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზები დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს. ამ პერიოდისათვის ქართული ბონის გამოსაშვებად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი – საშინაო და საგარეო მდგომარეობის შედარებით სტაბილურობის ფონზე ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ დადგა

დრო ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დასმოდა სომხეთსა და აზერბაიჯანზე საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების მოსამზადებელი სამუშაოები 1918 წლიდან მიმდინარეობდა. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში XVI საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“ შეირჩა. ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ მარჩილი, როგორც ფულის ერთეული, მიმოიქცეოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „სულთა მატიანეში“ მოხსენიებულია ქართველი დიდგვაროვნების მიერ მონასტრისათვის შეწირული მარჩილის ნომინალები.[29]საწყის ეტაპზე ქართული ფული ბონების სახელით(სახით) გამოდიოდა.

1920 წლის ივნისში მთავრობის დავალებით მხატვარმა ევგენი ლანსერემ 25 მარჩილის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი შეასრულა.

საქართველოს ეროვნული ვალუტა – მარჩილი მიმოქცევაში გერმანული მარკის პარიტეტული კურსით უნდა გასულიყო. XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის ნივთიერ წყაროდ შემორჩენილია 25 მარჩილის ღირსების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ამ დროისათვის დაბეჭდილ ნებისმიერ ფულის ერთეულთან შედარებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანეთი ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა. მისი კურსი რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებისა“ და ამიერკავკასიის ბონების პარიტეტული იყო, რის გამოც იგი თავისუფლად მიმოიქცეოდა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის პოსტიმპერიულ ქვეყნებშიც. საქართველოს სახელმწიფო ბანკის საქმიანობის შედეგად დარეგულირდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შემუშავდა ფულის ახალი რეფორმის გატარების პროექტები და განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომ დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა. ამის შემდგომ ცხადია, რომ საქართველო შევიდა საბჭოთა სამანეთო ზონაში 1993 წლამდე.

ინვესტიციებისადაეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების თეორიები

ეკონომიკური თეორია დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიკური ზრდის პრობლემებს. შეიქმნა არაერთი მოდელი, რომელიც ასახავს კავშირს ეკონომიკური ზრდის და მის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს, ინვესტიციებს შორის.

ეკონომისტების წინაშე დგება საკითხი, თუ როგორ ვიპოვოთ დამოკიდებულება დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა მოდელი, რომელშიც მოთხოვნა ტოლია მიწოდებისა იმ შემთხვევაში, თუ დანაზოგების (S) მოცულობა ტოლია ინვესტიციებისა (I) I=**S**. ეს მოდელი ნაწილობრივ ეყრდნობა სეის კანონს, ამ კანონის მი-

[29] http://nbg.ge

ხედვით, ერთობლივ მოთხოვნას და ერთობლივ მიწოდებას შორის ტოლობა დაყვანილ იქ-ნა დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ტოლობამდე. სეის კანონის მიხედვით, ფაქტობ-რივად იწარმოება იმდენი, რამდენი მოთხოვნაცაა. მაგრამ ამ კანონის აშკარა ნაკლი ის არის, რომ შეიძლება არ მოხდეს მთელი საქონლის რეალიზაცია დანაზოგების შექმნის პირობებში და მიწოდებამ ასახვა ვერ ჰპოვოს მოთხოვნაში.

დანაზოგები იწვევენ დარღვევებს შემოსავალ-გასავლების ნაკადში და ამით აფერხებს სეის კანონის მოქმედებას, დანაზოგები წარმოადგენს შემოსავლების ნაკადიდან სახსრე-ბის ამოღებას, რაც იმას იწვევს, რომ მომხმარებლის დანახარჯები არასაკმარისი აღმოჩ-ნდება მთელი წარმოებული პროდუქციის გასაყიდად. თუ საოჯახო მეურნეობები ზოგავენ თავიანთი შემოსავლის რაღაც ნაწილს, მიწოდება ვერ ქმნის თავის საკუთარ მოთხოვნას და დანაზოგები იწვევენ მოხმარების უკმარისობას.

მაგრამ კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ დანაზოგები სინამდვილეში არ იწვევს მოთ-ხოვნის უკმარისობას, ვინაიდან ყოველი დანაზოგი ინვესტირებულ იქნება მეწარმეთა მი-ერ. ინვესტიციები ავსებენ ნებისმიერ „ხარვეზს“ მოხმარებაში, რომლებიც დაგროვებითაა გამოწვეული. მეწარმეთა საინვესტიციო დანახარჯები შემოსავალ-გასავლის ნაკადის დამა-ტება ან შევსებაა, რომლებსაც შეუძლიათ დაზოგვით გამოწვეული მოხმარების ნებისმიერი „ხარვეზის“ შევსება **S**=I ტოლობით. ამ მოდელს ეკონომიკურ ლიტერატურაში „კლასიკუ-რი“ მოდელი ეწოდება.

პირები, რომლებიც ახორციელებენ შემოსავლების ნაწილის დაზოგვას და ინვესტირე-ბას, ერთიდაიგივენი არ არიან, ამიტომ კლასიკოსების მტკიცებით დანაზოგთა და ინვესტი-ციების ტოლობას უზრუნველყოფს ფულის ბაზარი (ე.ი. სარგებლის განაკვეთი). დაზოგვა-ცა და ინვესტიციებიც სხვა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია პროცენტზე, დაზოგვა პირდაპირპროპორციულია სარგებლის განაკვეთის პროცენტისა, ხოლო ინვესტიციები კი უკუპროპორციული. შედეგად ვღებულობთ, რომ S არის პროცენტის ნორმის მზარდი ფუნ-ქცია და I კლებადი. ამ შემთხვევაში როგორ მივაღწიოთ წონასწორობას? სწორედ საბაზ-რო ეკონომიკის პირობებში მომხმარებელს შეუძლია მომგებიანად დააბანდოს თავისი და-ნაზოგი ინვესტორთან, ხოლო ინვესტორს კი, მხოლოდ მათი მეშვეობით შეუძლია მიიღოს სარფიანი კრედიტი.

საპროცენტო განაკვეთი ასახავს მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობების რყევას, შედეგად წარმოიქმნება „წონასწორული საპროცენტო განაკვეთი“, რომლის დროსაც ინვეს-ტირებული დანაზოგები ტოლი იქნება დაკრედიტებული ინვესტიციებისა.

კლასიკოსები მიიჩნევდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკას შეუძლია „თავად განვითარ-დეს“. სახელმწიფოს დახმარება ეკონომიკის ფუნქციონირებაში, მათი აზრით, მავნედ ით-ვლება. აქ ფაქტობრივად საპროცენტო განაკვეთი წარმოდგენილია, როგორც თვითრეგული-რებადი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში კაპიტა-ლისტური ქვეყნების ეკონომიკა წააწყდა საერთო ეკონომიკური უწონასწორობის უპრეცენ-დენტო ხანგრძლივ მდგომარეობას, რომელსაც 1929-1933 წლებში დიდი დეპრესია ეწოდა. იგი გავრცელდა მთელს მსოფლიოში.

სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ასპარეზზე ჯ.მ. კეინზი, რომელმაც გააანალიზა რა 1929-33 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ეჭვი შეიტანა დანაზოგებისა და ინ-ვესტიციების იგივეობაში. შეიმუშავა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საფუძვლები, რასაც მიუძღვნა მისი ძირითადი ნაშრომი.

კეინზიანელები ვარაუდობენ, რომ დანაზოგთა სუბიექტები და ინვესტორები არსე-ბი-თად სხვადასხვა ჯგუფებია, რომლებიც თავიანთი დანაზოგების და ინვესტიციების გეგ-

მებს სხვადასხვა საფუძველზე შეიმუშავებენ, დაზოგვის შესახებ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა მოტივი უდევს საფუძვლად. კერძოდ, დანაზოგების დონე სუსტადაა დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე.

კეინზი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინვესტიციების სიდიდეზე მოქმედებს მთელი რიგი ისეთი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან დანაზოგების დონესთან ინვესტიციების ავტომატურად შეთავსებას პროცენტის ნორმის მეშვეობით. მისი აზრით, ეს ფაქტორებია: კაპიტალზე მოგების მოსალოდნელი ნორმის შემცირება (კლებადი ნაყოფიერების კანონის მოქმედების შედეგად) და მყარი საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, კეინზი თვლიდა, რომ პროცენტის ნორმის შემცირებით ხელმისაწვდომი ხდება კრედიტი და იზრდება საინვესტიციო შესაძლებლობები, თუმცა მისივე განმარტებით, არსებობს საპროცენტო განა-კვეთის ისეთი დაბალი ზღვარი, როცა ნაღდ ფულზე მოთხოვნა ძალიან დიდია და ამის შემდგომ პროცენტის შემცირებას უკვე აღარ შეუძლია სტიმული მისცეს ინვესტიციურ აქტივობას.

კეინზი აგრეთვე თვლიდა, რომ ინვესტიციების მოცულობის ცვლილების ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზია ეროვნულ შემოსავალში მოხმარების წილის შემცირება. პირადი მოხმარების დინამიკა მან ე.წ. ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს დაუკავშირა, რომლის მიხედვითაც, ადამიანებს თითქოს მიდრეკილება აქვთ სახსრები დახარჯონ იმაზე უფრო ნელა, ვიდრე მათი შემოსავლები იზრდება. რადგან იხარჯება არა მთელი შემოსავალი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი (მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება 1-ზე ნაკლებია), ეროვნულ შემოსავალში მოხმარების საშუალო დონე განუწყვეტლივ მცირდება.

ყოველივე ეს ეხება საბაზრო თვითრეგულირების პირობებს. ამგვარად, კეინზს მიაჩნდა, რომ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, რაც საბაზრო თვითრეგულირების შესახებ კლასიკოსთა შეხედულების უარყოფას ნიშნავს. კეინზი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინვესტიციების მოცულობის ზრდა მხოლოდ სახელმწიფოს ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი. მისი აზრით, თუ ქვეყანაში არ არის მიღწეული სრული დასაქმება, მაღალი დანაზოგი ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, ვინაიდან იგი შემოსავლის პასიური წყაროა და წარმოებაში არ გამოიყენება, ამიტომ საჭიროა ჭარბი დანაზოგის ამოღება გადასახადის მეშვეობით, რაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ჩარევით.

საინვესტიციო პროცესისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის თვალსაზრისით საინტერესოა მულტიპლიკატორის თეორია, რომელიც ასევე შემოგვთავაზა ჯ. კეინზმა და რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ეკონომიკური ციკლის ახსნაში. ამ თეორიის ამოსავალი პუნქტია ინვესტიციების როლის განსაზღვრა ეროვნული შემოსავლისა და დასაქმების მოცულობის ზრდაში.

კეინზის მიხედვით, ინვესტიციების გადიდება იწვევს დასაქმების ზრდას, მასთან ერთად ზრდის შემოსავალს და მოხმარებას და შესაბამისად აფართოებს წარმოებას. ამ დამოკიდებულებას იგი უწოდებს მულტიპლიკატორს, ხოლო შედეგად მიღებულ ეფექტს – მულტიპლიკაციურს.

მულტიპლიკატორი არის მნიშვნელოვანი სიდიდე. ის ასრულებს არა მარტო წარმოებისა და, შესაბამისად, დასაქმების ზრდის იმპულსის როლს, არამედ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანს, მაკროეკონომიკური რეგულატორის როლსაც, ანუ იწვევს დანაზოგებისა და ინვესტიციების დაბალანსებას. ასე, მაგალითად, ინვესტიციების შემცირება იწვევს წარმოების მოცულობის შემცირებას, დასაქმების შემცირება ამცირებს სამომხმარებლო მოთხოვნას და დანაზოგებს. მთელს ეკონომიკაზე გავრცელებული ეს მულტიპლიკაციური პროცესი იწვევს დანაზოგების ჯამურ შემცირებას, რაც ინვესტიციების ჯამური შემცირების ტოლფასია. ამის შედეგად დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის მყარდება წონასწორობა.

მულტიპლიკატორის თეორიის შემდგომ განვითარებას ვპოულობთ რ. ჰაროდის, ჰანსენის და პ. სამუელსონის შრომებშიც. აღსანიშნავია, რომ მულტიპლიკატორის თეორია წარმოადგენს პრინციპულად ღია კონცეფციას, რომელიც მუდმივად ფართოვდება და იხვეწება.

ეკონომიკური ციკლის მთავარი დეტერმინანტი – კაპიტალდაბანდება მნიშვნე-ლოვანწილად დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე, როგორიცაა მსოფლიოში მოცემული ეკონომიკური და პოლიტიკური როლის გაძლიერების პერსპექტივა, საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მსოფლიო მოსახლეობის ზრდა და ა.შ. ინვეტსიციებზე მოთხოვნა დამოკიდებულია სახელმწიფოს ფულადი შემოსავლების პოლიტიკაზე. მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ამაღლება იწვევს მიწოდების გადიდებას და შესაბამისად, ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდას. ხოლო როცა ეკონომიკური დაქვეითების დროს ძნელდება წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია და მცირდება წარმოების მოცულობა, ადგილი ექნება კაპიტალის დაგროვების შემცირებას.

რაზე მიუთითებს აღნიშნული მსჯელობა? აშკარაა, რომ კაპიტალდაბანდებებზე მოქმედებს გასაღებისა და პროდუქციის წარმოების ზრდა. ეს დამოკიდებულება ცნობილია, როგორც „აქსელერატორის პრინციპი“, რომელიც ეკონომიკური ციკლის თითქმის ყველა თეორიის შემადგენელი ელემენტია. აქსელერაციის პრინციპის არსი შემდეგია: მზარდი შემოსავალი, რომელიც პირველადი ინვესტიციების მულტიპლიკაციური ზემოქმედების შედეგად მიიღება, ადიდებს სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნას. დარგები, რომლებიც აწარმოებენ სამომხმარებლო საქონელს, ფართოვდებიან და ეს იწვევს მოთხოვნის ზრდას საწარმოო დანიშნულების საქონელზე, ანუ წარმოების საშუალებებზე. ამასთან სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის ცვლილება გამოიწვევს მკვეთრ ცვლილებებს საწარმოო დანიშნულების საქონლის მოთხოვნაზე. ეს დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების თავისებურებებთან. ეს უკანასკნელი კი საჭიროებს ერთდროულ მსხვილ დანახარჯს, რომელიც თანდათანობით განთავსდება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმოებაში. ამიტომ არსებული საწარმოების გაფართოების, ან ახალი საწარმოების მშენე-ბლობისას ახალი ძირითადი კაპიტალის შექმნაზე გაწეული დანახარჯები აჭარბებენ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებას. სხვა სიტყვებით „აქსელერაციის პრინციპი“ ეხება „მზა პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილებას“.

ამერიკელი ეკონომისტი ე. ჰანსენი განმარტავს: „აქსელერატორი – ეს არის რიცხობრივი მამრავლი, რომელზე ნამატი შემოსავლის თითოეული დოლარი ადიდებს ინვესტიციებს“.

ამრიგად, საინვესტიციო საქონლის მოთხოვნის ცვლილება განიხილება, როგორც სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის ცვლილების ფუნქცია, ხოლო ახალი ან სტიმულირებული ინვესტიციების ნაზრდი გამოითვლება, როგორც შემოსავლის ნაზრდის ნამრავლი აქსელერაციის კოეფიციენტზე. აქსელერატორის უმარტივესი ფორმულა ასეთია:

$\mathbf{I_t = a\,(Y_t - Y_{t-1})}$;

სადაც: $\mathbf{I_t}$– ახალი ინვესტიციების ზრდაა;

$\boldsymbol{a}$– აქსელერატორის კოეფიციენტი;

$\mathbf{Y_t - Y_{t-1}}$– შემოსავლის ნამატი;

$\mathbf{Y_t}$ –შემოსავლის სიდიდე ბოლო პერიოდისათვის;

$\mathbf{Y_{t-1}}$ –შემოსავლის სიდიდე წარსულ პერიოდში;

შესაბამისად, შემოსავლის ნამატიდან ეფექტი, რომელიც ინვესტიციების ნამატით აისახება, პირდაპირ დამოკიდებულებაშია აქსელერაციის კოეფიციენტთან და ამიტომ შემოსავლის გადიდებისას, როგორც წესი, ინვესტიციები იზრდება.

აქსელერაციის პრინციპი შეიძლება დავუკავშიროთ სამომხმარებლო საქონელზე მოთ-

ხოვნისა და მათი წარმოების ზრდას. მაშინ ჰანსენის მიხედვით, „ძირითად კაპიტალზე წმინდა დანამატების მოთხოვნა დამოკიდებულია არა სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის დონეზე, არამედ მისი მოთხოვნის ზრდის ტემპზე“. შემდეგ: „როცა სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდის ტემპი სუსტდება, (მაშინაც კი, თუ მოთხოვნა, თუმცა ნაკლებად სწრაფად, მაგრამ მაინც იზრდება), დამატებით მოწყობილობებზე მოთხოვნა აბსოლუტურად მცირდება. თუ მოთხოვნა სამომხმარებლო საქონელზე მუდმივი რჩება, დამატებითი მოწყობილობების შეძენა საჭირო აღარ არის და დოვლათის მწარმოებელი დარგები მუშაობენ არსებული მოწყობილობების შენარჩუნებაზე ცვეთის შესაბამისად.

აქედან გამომდინარეობს, რომ: ჯერ ერთი, აქსელერატორის ზემოქმედებას სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როცა მოთხოვნის ზრდის ტემპი იცვლება და არა მაშინ, როცა ხდება სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის აბსოლუტური მოცულობის ცვლილება. მეორე, ფუნქციონალური დამოკიდებულება არსებობს ახალ ინვესტიციებსა და სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის ზრდის ტემპს შორის და, მესამე, აქსელერაციის პრინციპი ორმხრივი ზემოქმედების უნარით ხასიათდება.

ამრიგად, აქსელერაციის პრინციპით აიხსნება დამოკიდებულება კაპიტალური დოვლათის წარმოებასა და საქონლის საზოგადოებრივ მოხმარებას შორის.

მულტიპლიკატორი და აქსელერატორი ერთმანეთს განაპირობებენ.

მულტიპლიკატორის თეორიის მიხედვით, ინვესტიციების ზრდა მრავალმხრივ ზემოქმედებს შემოსავალზე. შემოსავალი მულტიპლიკატორის სიდიდის შესაბამისად იზრდება. რაც თავის მხრივ ზრდის სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის ტემპებს და შემდგომ მათ წარმოებას. აქედან გამომდინარეობს სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი საწარმოების მშენებლობის აუცილებლობა. ეს თავის მხრივ აფართოებს წარმოების საშუალებათა წარმოებას.

მულტიპლიკაციური ეფექტის გამომწვევი პირველადი ინვესტიციები ავტონომიური ინვესტიციების ხასიათს ატარებენ. მისგან განსხვავებით, აქსელერაციის პრინციპს საქმე აქვს სტიმულირებულ ინვესტიციებთან, რომლებიც დამოკიდებულია შემოსავალზე, ანუ საქონლის მოცულობის ან საბოლოო მოთხოვნის ზემოქმედების შედეგია. ავტონომიური ინვესტიციები ეკონომიკის გაფართოების პროცესის პირველადი ბიძგია და იწვევს მულტიპლიკაციურ ეფექტს, ხოლო სტიმულირებული ინვესტიციები მზარდი შემოსავლის შედეგია და იწვევენ შემოსავლის შემდგომ ზრდას.

შესაბამისად, შემოსავლის ცვლილება დამოკიდებულია მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის ურთიერთზემოქმედებაზე. რაც საბოლოო ანგარიშით, უზრუნველყოფს ეკონომიკის შემდგომ ზრდას.

70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური მიმართულებები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ეკონომიკურ კონცეფციებს, კერძოდ, მონეტარიზმსა და რაციონალური მოლოდინის თეორიას.

მონეტარისტების თვალსაზრისით, სახელმწიფოს ჩარევა არყოფით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. საბაზრო სისტემა, თუ არ ხდება სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკის ფუნქციონირებაში, თავისთავად უზრუნველყოფს საერთო ეკონომიკურ სტაბილურობას. სახელმწიფოს ჩარევა კი, თავისი კეთილი ზრახვების საწინააღმდეგოდ, ძირს უთხრის ამ შესაძლებლობას. გარდა ამისა, მონეტარისტები, თვლიან, რომ სახელმწიფო თავისი შეცდომებით ეკონომიკურ პოლიტიკაში ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემის არასტაბილურობას, აძლიერებს ციკლურ მერყეობებს.

მონეტარისტებს მიაჩნიათ, რომ საინვესტიციო დანახარჯები ძალზე მგრძნობიარეა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი. ფულზე თავდაპირველი მოთხოვნის გაფართო-

ება საპროცენტო განაკვეთის შედარებით დიდ ზრდას იწვევს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ერთობლივი მოთხოვნის საინვესტიციო კომპონენტს.

მონეტარისტები აკეთებენ დასკვნას: ხელმძღვანელმა საკრედიტო-ფულადმა დაწესებულებებმა უნდა მოახდინონ არა საპროცენტო განაკვეთის, არამედ ფულადი მიწოდების სტაბილიზაცია.

სინამდვილეში მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საპროცენტო განაკვეთის სტაბილიზაციაზე უარის თქმას შეიძლება თან ახლდეს მისი და საინვესტიციო დანახარჯების მკვეთრი მერყეობა.

რაციონალური მოლოდინის თეორეტიკოსები (რმთ), ამტკიცებენ, რომ დისკრეციულმა პოლიტიკამ შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკური არასტაბილურობა. თუ ეკონომიკა დაქვეითებისაკენ მიექანება, სახელმწიფო ამაზე გადასაახადების შემცირებით რეაგირებს, აძლიერებს რა, მაგალითად, კაპიტალდაბანდებებზე გადასახადის შეღავათს, რაც საწარმოებს საშუალებას მისცემს გადასახადით დაბეგრისაგან გაათავისუფლოს თავისი საინვეტსიციო დანახარჯების 10%-ი. ეს მოულოდნელი საჩუქარი გაზრდის მოსალოდნელ მოგებას საინვესტიციო პროექტებისაგან და ამით სტიმულს მისცემს საინვესტიციო დანახარჯებს და ერთობლივ მოთხოვნას. მოკლედ, ფისკალური პოლიტიკა იმოქმედებს ეფექტიანად, მაგრამ თუ სიტუაცია რამდენჯერმე მეორდება, მეწარმეები იმ მოსაზრებამდე მიდიან, რომ ეკონომიკაში დაქვეითებაზე პოლიტიკოსები რეაგირებენ კაპიტალდაბანდებებზე გადასახადის შეღავათების მიცემით, ან რაიმე სხვა საგადასახადო შეღავათით. მაშასადამე, როცა დაქვეითება დაიწყება, მეწარმეები თავს შეიკავებენ კაპიტალდაბანდებებისაგან, გადასახადების შემცირების მოლოდინით, რაც გაზრდის ამ ინვესტიციათა მოგებას, მაგრამ კაპიტალდაბანდებათა გადავადების გადაწყვეტილება აძლიერებს დაქვეითებას. როდესაც გადასახადები ნამდვილად შემცირდება, ინვესტიციათა ნაკადი გაძლიერდება. სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკამ გაზარდა ინვესტიციათა მერყეეობა და გააძლიერა როგორც დაქვეითების ციკლური, ისე აღმავლობის ფაზა. ამრიგად, დისკრეციული პოლიტიკა უფრო აძლიერებს, ვიდრე არბილებს ციკლურ მერყეობას. რაციონალური მოლოდინის თეორეტიკოსთა მოსაზრებით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა უარი გვეთქვა დისკრეციულ პოლიტიკაზე რაციონალური მოლოდინის წესების სასარგებლოდ.

რმთ-ს წყალობით ეკონომისტები და პოლიტიკოსები მეტ ყურადღებას უთმობენ მოლოდინის შესაძლო ზეგავლენას პოლიტიკის ცვლილების შედეგებზე, კავშირებს მიკრო და მაკროეკონომიკურ თეორიებს შორის. ამრიგად, მონეტარიზმმა და რმთ-მ ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს თეორიასა და პოლიტიკაზე.

ეკონომიკური ზრდის ანალიზი საწარმოო ფუნქციის მარტივი მოდელის (*კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია*), ასევე ჰაროდ-დომარის მოდელის საფუძველზე არ იძლევა სრულ წარმოდგენას მის წყაროებზე, ამ უკანასკნელთა თანაფარდობაზე, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონესა (მოხმარებასა) და წარმოების მოცულობის ურთიერთკავშირზე, ასევე სხვა კონკრეტულ გარემოებებზე. ყოველივე ამის ახსნა შესაძლებელი გახდა რობერტ სოლოუს მიერ შემუშავებული ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელის საფუძველზე.

სოლოუს მოდელის განსაკუთრებული ნიშანია შრომისა და კაპიტალის ურთიერთშენაცვლების დაშვება, რითაც შესაძლებელი ხდება წარმოების ამ ფაქტორთა როლისა და მათი თანაფარდობის ცვლილების მნიშვნელობათა გათვალისწინება ეკონომიკური ზრდის ანალიზის დროს.

სოლოუ განიხილავს ეკონომიკური ზრდის პროცესს სხვადასხვა, კერძოდ დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობის, წარმოების ფაქტორების მუდმივი და ცვალებადი უკუგების (მწარმოებლურობის) დაშვების პირობებში.

სოლოუს მოდელის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ეტაპობრივად გავაანალიზოთ ეკონომიკური ზრდის, საერთოდ წარმოების მოცულობისა და ცხოვრების დონის ცვლილება მათი ფაქტორების მიხედვით.

უწინარესად განიხილება ექსტენსიური ფაქტორები – შრომა და კაპიტალი. ამასთან მათი როლი დგინდება წარმოების მოცულობასთან, მოხმარებასა და დანაზოგებთან, ინვესტიციებთან კავშირში. სოლოუს მოდელის საშუალებით წყდება ის საკითხი, თუ როგორ მოქმედებს წარმოების მოცულობის ცვლილებაზე დანაზოგებისა (ინვესტიციებისა) და მოხმარების თანაფარდობა. ცხადია, შეიძლება ვთქვათ, რომ დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდა იწვევს წარმოების გაფართოებას საერთოდ, მაგრამ ეს არაა საკმარისი ამ მოვლენის ახსნისათვის. უნდა გაირკვეს, თუ როგორია თანაფარდობა მწყაბრიდან გასულ კაპიტალსა და ინვესტიციებს შორის, როგორია დანაზოგები (ინვესტიციების) ის ნორმა, რომელიც ზიანს არ მიაყენებს მოცემული თაობის მოხმარებას (კეთილდღეობას), როგორ შეიძლება იცვლებოდეს შრომის კაპიტალაღჭურვილობა, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი, კაპიტალის მწყობრიდან გასვლის გათვალისწინებით.

სოლოუს მოდელში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონის და მოხმარების მდგრადი დონის ცნებები. კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე განიხილება ისეთ მდგომარეობად, როცა ინვესტიციები შესაბამისობაშია კაპიტალის მწყობრიდან გასვლასთან.

ეკონომიკური ზრდა არის ამ თანაფარდობის დარღვევა-აღდგენის პროცესი. როცა დანაზოგის ნორმა იზრდება მაშინ კაპიტალის მარაგიც იზრდება. იმის მიხედვით, ინვესტიციები სჭარბობს, თუ კაპიტალის მწყობრიდან გასვლა. საბოლოოდ ეს ცვლადები ერთმანეთს უტოლდება, თუმცა შემდგომ ტოლობა კვლავ ირღვევა. კაპიტალშეიარაღების მდგრადობა შეესაბამება ეკონომიკის წონასწორობას.

მოხმარების მდგრადობა არის სხვაობა გამოშვებასა და ძირითადი კაპიტალის გასვლას შორის. მასში აისახება მოხმარებასა და წარმოების მოცულობას შორის დამოკიდებულება დანაზოგების (ინვესტიციების) გათვალისწინებით. მოხმარების მდგრადი დონე ეკონომიკური წონასწორობის ერთ–ერთ გამოვლენას ნიშნავს. მოხმარების მაღალი ნორმა ამცირებს ინვესტიციებს და, მასასადამე, გრძელვადიან პერიოდში თვით მოხმარებასაც.

სოლოუს მოდელის საფუძველზე ყალიბდება ე.წ. „ოქროს წესი“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პოლიტიკისათვის. კაპიტალის დაგროვების ოქროს წესი გულისხმობს კაპიტალის დაგროვების ისეთ დონეს, რომელიც განაპირობებს მდგრადობას მოხმარების მაღალი დონის პირობებში. ეს წესი კაპიტალის დაგროვებას აკავშირებს მოხმარების დონესთან. ცხადია, მნიშვნელოვანია კაპიტალის ისეთი ზრდა, რომელიც მოხმარების მაღალ დონესაც უზრუნველყოფს. ეკონომიკური ზრდა შეიძლება გავააანალიზოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ხორციელდება კაპიტალის დაგროვების ოქროს წესი, ეკონომიკა უახლოვდება ან სცილდება მას. მაშასადამე, აქ ისმის საკითხი დაგროვებისა და მოხმარების ნორმების ოპტიმიზაციის შესახებ, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის თვალსაზრისით. უნდა გაირკვეს დანაზოგებისა და მოხმარების როგორმა ნორმებმა შეიძლება შეუწყონ ხელი ორივე ამოცანის გადაწყვეტას. უნდა ითქვას, რომ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ჩატარებულმა გაანგარიშებებმა უჩვენა დაგროვების მაღალი ნორმის კავშირი ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპთან. დინამიკური ეკონომიკური ზრდა იმ ქვეყნებში მიმდინარეობს, სადაც შემოსავლები მაღალია და მნიშვნელოვანია დაგროვების ნორმა, ხოლო მცირე შემოსავლიან (მოსახლეობის ერთ სულზე) ქვეყნებში დაგროვების ნორმა დაბალია და მასტაბებიც მცირე, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც არასახარბიელოა. ასეთი დასკვნა საფუძვლიანია, მაგრამ ეს

არ ნიშნავს, რომ ეს საკმარისი იყოს. დაგროვების ნორმის კონკრეტული, მიზანშეწონილი ნორმის საკითხი არ იდგეს. სოლოუს მოდელის მნიშოპვნელობა ამ საკითხის გადაწყვეტისათვის უდაოა.

აშკარა ხდება, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი თავისთავად არ ნიშნავს ასეთივე ტემპით ეკონომიკურ ზრდას.

სოლოუს მოდელის საფუძველზე დგინდება ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულება მოსახლეობის რიცხოვნობის მატებაზე. მოდელში მოსახლეობის ზრდის ტემპი განიხილება კაპიტალის დაგროვებასთან და მისი ზრდის ტემპთან კავშირში, ცხადია, მოსახლეობის ზრდა ყოველთვის ვერ შეუწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას. ხელშემწყობ ფაქტორად ის მაშინ გამოვა, როცა ადგილი არ ექნება კაპიტალშეიარაღების შემცირაბას, შესაბამისად გაიზრდება (ან არ შემცირდება) კაპიტალი ერთ მუშაკზე გაანგარიშებით შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები არ დაეცემა შრომის მწარმოებლურობა. სოლოუს მოდელი ამ მხრივ კარგად წარმოაჩენს იმ გარემოებებს, რომელთაც ყურადღება უნდა დაუთმონ მთავრობებმა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დროს.

სოლოუს მიერ შემუშავებული ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ მოდელში ყურადღებას იპყრობს ეკონომიკური ზრდის ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გათვალისწინება, როგოროცაა ტექნოლოგიური პროგრესი. სოლოუს მოდელში მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე შრომის მწარმოებლურობის (ეფექტიანობის) მეშვეობითაა ახსნილი. ფაქტორების მუდმივი მწარმოებლურობის პირობებში ეკონომიკური ზრდა ცხადია, რესურსების რაოდენობის ზრდის ტოლია. რეალობაში ეკონომიკური ზრდის ტემპი გამოყენებული რესურსების ზრდის ტემპს აჭარბებს. ძნელი არაა ამგვარი გადაჭარბების მიზეზი დავადგინოთ. რესურსების მწარმოებლურობა არაა მუდმივი, იგი პრაქტიკულად იზრდება. ეს ხდება ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე, რაშიც იგულისხმება როგორც ახალი ტექნიკის, წარმოების უახლესი პროცესების გამოყენება, ახალი პროდუქციის ათვისება, გამოშვება, ასევე მუშაკთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა და სხვა გაუმჯობესებანი ეკონომიკის ყველა დონეზე, მაგრამ მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით ამ მიზეზების ცოდნამ არ შეიძლება დაგვაკმაყოფილოს. სოლოუს მოდელის მეშვეობით შესაძლებელი ხდება რაოდენობით პარამეტრებში დავადგინოთ რესურსების ეფექტიანობის (მწარმოებლურობის) გადიდების როლი ეკონომიკურ ზრდაში, რაც გაიგივებულია მასზე ტექნოლოგიური პროგრესის ზემოქმედებასთან. ეკონომიკური ზრდის მოდელი აღნიშნული ფაქტორის მონაწილეობით წარმოგვიდგება შემდეგი საწარმოო ფუნქციის სახით:

YY= F(K,L x E),

სადაც **–Y-**წარმოების მოცულობაა (მშპ);

K – კაპიტალი, **L** – მუშაკთა რიცხოვნობა, **E** – მუშაკთა შრომის მწარმოებლურობა.

აქედან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის ცვლადებში შემოდის ახალი ცვლადი, რომელიც ასახავს მის ერთ-ერთ ფაქტორს რესურსების ეთობლივ მწარმოებლურობას. ამრიგად, ეკონომიკური ზრდის ტემპი შეიძლება წარმოვიდგინოთ რესურსების რაოდენობის ზრდის ტემპისა და მათი ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდის ტემპის ჯამის სახით. მდგრადი ზრდისა და სოლოუს მოდელის განტოლებები კი შემდეგნაირად შეიძლება ჩაიწეროს:

კაპიტალი შრომის ერთეულზე მუდმივი მწარმოებლურობით:

k= K/ EL

წარმოების მოცულობა შრომის ერთეულზე მუდმივი მწარმოებლურობით:

y=Y/(EL)=y(k)

წარმოების მოცულობა ერთ მუშაკზე:

Y/L=yE (მატების ტემპი)

წარმოების საერთო მოცულობა:

Y=y(EL) (მატების ტემპი, სამუშაო ძალის ზრდის ტემპია) კონკრეტული გაანგარიშებებით დადგინდა, რომ სოლოუს ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ პროცესის ანალიზის მეთოდების გაღრმავების მიმართულებით. ამასთან იგი, მართალია აფართოებს ანალიზისა და ეკონომიკური ზრდის ფაქტორების წრეს, დეტალებს, მაგრამ სრულად მაინც ვერ მოიცავს მათ. მაგალითად, არაა ასახული ბუნებრივი პირობების ცვლილების გავლენა და ხასიათი, ასევე საზოგადოებრივ, მ.შ. ეკონომიკურ ურთიერთობათა როლი და ა.შ. ამ საკითხებს შემდგომ სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა ყურადღება მიექცა, და შემუშავდა ახალი მოდელები რომლებიც ამჯერად ჩვენი განხილვის საგანი არაა, რამდენადაც სცილდება ჩვენი კვლევის საგანს – ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის საკითხს.

სულხან მახათაძე



საერთაშორისო საფინანსო ბაზრის განზოგადებული სტრუქტურის დახასიათება

მსოფლიო საფინანსო ბაზრის განზოგადებული სტრუქტურა წარმოდგენილია ნახ 1-ზე. დერივატივების (ფასიანი ქაღალდებიდან, ვალუტიდან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების) ბაზრის სეგმენტებს წარმოადგენს:

- ოფციონები – მათ მფლობელებს უფლებას აძლევს იყიდონ ან გაყიდონ საჭირო აქციები;
- სვოპები – შეთანხმებები განსაზღვრული დროის განმავლობაში ფულადი გადახდების გაცვლის შესახებ;
- ფიუჩერსები – კონტრაქტები მომავალ მიწოდებაზე, მაგალითად, ვალუტისა ფიქსირებული ფასით.

საკრედიტო ბაზრის სეგმენტს საბანკო კრედიტები წარმოადგენს, ხოლო სადაზღვევო მომსახურების ბაზრის, მაგალითად, გადაზღვევა. სავალუტო ბაზრის სეგმენტებად შეიძლება განხილულ იქნეს სავალუტო ფასეულობების სახეები, ხოლო ფასიანი ქაღალდების ბაზრის – შესაბამისი წილობრივი და სავალო ფასიანი ქაღალდები.

მსოფლიო საფინანსო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებს, ნაწილებს შორის საზღვრები საკმაოდ პირობითია, ვინაიდან ფინანსურ რესურსებს შეუძლიათ მათ შორის გადაადგილდნენ. მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებში ფინანსური კრიზისები გარდაუვლად აისახება სხვა რეგიონების მდგომარეობაზე.

მსოფლიო საფინანსო ბაზრის შემადგენელ ნაწილებს გააჩნიათ შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- ყოველდღიური ფინანსური ოპერაციების უზარმაზარი მასშტაბები, მათი განხორციელება 24 საათის განმავლობაში;
- გეოგრაფიული საზღვრების არ არსებობა;

- წამყვანი ქვეყნების ვალუტების, აგრეთვე ეკიუს, ევროს და ნასესხობის სპეციალური უფლების (SDR – ინგ. Special Drawing Rights, უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ) უპირატესი გამოყენება;

- მსოფლიო საფინანსო ბაზრის მონაწილეებს წარმოადგენენ პირველხარისხოვანი ბანკები, მაღალრეიტინგული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები, სოლიდური რეპუტაციის მქონე მსესხებლები;

- ფინანსური ოპერაციების ავტომატიზაციის მაღალი დონე.

მსოფლიო საფინანსო ბაზრის მონაწილეების კლასიფიკაცია. მსოფლიო საფინანსო ბაზრისთვის დამახასიათებელია მისი მონაწილეების სახეების და თვითონ მონაწილეობის ფორმების მრავალფეროვნება. მსოფლიო საფინანსო ბაზრის ერთი და იგივე მონაწილე შეიძლება მუშაობდეს ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე. მონაწილეების კლასიფიკაცია მოცემულია ნახ. 2-ზე

დავახასიათოთ მსოფლიო საფინანსო ბაზრის ცალკეული მონაწილეები. პირდაპირ მონაწილეებს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც უშუალოდ საკუთარი სახსრებით და საკუთარი სახელით ან კლიენტების დავალებით ახორციელებენ ფინანსურ გარიგებებს. ირიბი მონაწილეები დამოუკიდებელ გარიგებებს არ ახორციელებენ.

ხეჯერები მსოფლიო საფინანსო ბაზარზე ოპერაციებს ექსპორტიორების სავალუტო ამონაგების არახელსაყრელი სავალუტო-საკურსო ცვალებადობისგან დაცვის მიზნით (მსგავს ოპერაციებს ხეჯირების ოპერაციები ეწოდება) ახორციელებენ, რისთვისაც გამოიყენება რისკების დაზღვევა და დერივატივების ბაზრის ინსტრუმენტები.

სპეკულიანტები გარიგებებს მხოლოდ მოგების მიღების მიზნით დებენ სავალუტო კურსების ცვლილების ხარჯზე.

ტრეიდინგი ეწოდება ერთი და იგივე ფასიანი ქაღალდების გაყიდვას და შემდეგ ყიდვას მოგების მიღების იმედით, მათი საკურსო ღირებულების ცვლილების ხარჯზე.

არბიტრაჟერები ფინანსურ ოპერაციებს (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ყიდვას) ერთ ბირჟაზე ახორციელებენ სხვა ბირჟაზე საპირისპირო ოპერაციების (მაგალითად, იგივე ფასიანი ქაღალდების გაყიდვის) ერთდროული ჩატარებით. საარბიტრაჟო გარიგებების რისკი საგრძნობლად დაბალია, ვიდრე, მაგალითად, სპეკულაციური გარიგებების შემთხვევაში.

მსოფლიო საფინანსო ბაზრის მონაწილეების კლასიფიკაცია ყველაზე უფრო დაწვრილებით ემიტენტის ტიპის მიხედვით არის წარმოდგენილი. საერთაშორისო სააგენტოებს საჯარო (გლობალური და რეგიონალური) საფინანსო ორგანიზაციები მიეკუთვნებიან, მაგალითად, რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ), განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის ცენტრალური ბანკი და სხვა. მსოფლიო საფინანსო ბაზარზე მონაწილეების სახით ასევე შეიძლება წარმოდგენილ იქნენ რეგიონალური მთავრობები და მუნიციპალური მთავრობები (ადგილობრივი ადმინისტრაცია). კვაზისამთავრობო ემიტენტებს მიეკუთვნებიან მთავრობათა გაერთიანებები.

ინსტიტუციონალური ინვესტორები მსოფლიო საფინანსო ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს წარმოადგენენ და მათ შეიძლება მიეკუთვნონ: სადაზღვევო კომპანიები (35%), საინვესტიციო კომპანიები (23%), საპენსიო ფონდები (25%), სხვა (17%) (ფრჩხილებში მოცემულია მსოფლიო საფინანსო ბაზრის მონაწილეების წილი).

მსოფლიო საფინანსო ბაზრის მონაწილეების კლასიფიკაცია

ნახ.2.

საკლასიფიკაციო ნიშანი	**მონაწილეების სახეები, დასახელებები**
1. ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობის ხასიათი	1. პირდაპირი მონაწილეები 2. ირიბი მონაწილეები
1. მონაწილეობის მიზნები და მოტივები	1. ხეჯერები; 2. სპეკულიანტები; 3. ტრეიდერები; 4. არბიტრაჟერები.
1. ემიტენტის ტიპი	1.საერთაშორისო სააგენტოები; 2.ეროვნული მთავრობები; 3.პროვინციალური მთავრობები; 4.მუნიციპალური მთავრობები; 5.კვაზისამთავრობო ემიტენტები; 6.კორპორაციები; 7.საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები,ბანკები.
1.ინვესტორის ტიპი	1. კერძო ინვესტორები; 2. ინსტიტუციონალური ინვესტორები.
1. მონაწილის წარმოშობის ქვეყანა	1. მონაწილეები განვითარებული ქვეყნიდან; 2. მონაწილეები განვითარებადი ქვეყნიდან; 3. საერთაშორისო ინსტიტუტები; 4. ოფშორული ცენტრების (ზონების) მონაწილეები.

მსოფლიო საფინანსო ბაზრის მონაწილეების კლასიფიკაციაში წარმოშობის ქვეყნის მიხედვით განსაკუთრებით გამოიყოფა ოფშორული ცენტრების (ზონების) მონაწილეები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან კუნძულოვანი სახელმწიფოები (კვიპროსი, ბაჰამის კუნძულები, პანამა და სხვა), მსოფლიო საფინანსო ცენტრების გვერდით მდებარე ქვეყნები (ირლანდია, ლიხტენშტეინი), საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილე ქვეყნების ცალკეული ტერიტორიები. ზოგიერთი მინაცემებით, ოფშორულ ცენტრებში ჯამში დაახლოებით 5 ტრლნ აშშ დოლარის ფინანსური რესურსებია განთავსებული.

საქართველოს საფონდო ბირჟის საქმიანობის ძირითადი ტენდენციები

საქართველოს საფონდო ბირჟა[30] (სსბ) არის ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, რომელიც ჩამოყალიბდა USAID-ის დახმარებით და მოქმედებს ამერიკელი ექსპერტების ხელშეწყობით შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში, პასუხობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკის საბაზისო მოთხოვნებს.

იგი სთავაზობს ეფექტურ საინვესტიციო მექანიზმს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებს. სსბ-ის ელექტრონული სავაჭრო სისტემა ბროკერებს სამუშაო ადგილებიდან ათასობით სხვადასხვა აქციით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც

[30] http://www.gse.ge

განლაგებულია როგორც სსბ-ის სავაჭრო დარბაზში, ასევე-დისტანციური წვდომის დახმარებით – საბროკერო კომპანიათა ოფისებში.

საქართველოს საფონდო ბირჟა დაფუძნდა 1999 წლის დასაწყისში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალთა ბირთვის, მოწინავე ქართული ბანკების, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების ინიციატივით. 2000 წლის იანვარში, სსბ ოფიციალურად იქნა აღიარებული თვითრეგულირებად ორგანიზაციად და მიენიჭა საფონდო ბირჟის ლიცენზია, ხოლო 2000 წლის მარტიდან ატარებს რეგულარულ საბირჟო ვაჭრობებს. ამჟამად საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 138 ემიტენტის ფასიანი ქაღალდია დაშვებული. 2000 წლიდან არის საფონდო ბირჟების ევრაზიული ფედერაციის (FEAS) წევრი. საფონდო ბირჟების ევრაზიური ფედერაცია დაფუძნდა 1995 წლის 16 მაისს 12 დამფუძნებელი წევრის მიერ. დღეს მათი რიცხვი შეადგენს 34 ნამდვილ და 13 აფილირებულ წევრს. ფედერაციის წევრობა ღიაა ევროპისა და აზიის განვითარებადი საფონდო ბირჟებისთვის.

საქართველოს საფონდო ბირჟა არის სააქციო საზოგადოება და მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ" და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად. მისი სრული სახელწოდებაა: ქართულად – სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა"; ინგლისურად – Joint Stock Company "Georgian Stock Exchange". მისი შემოკლებული სახელწოდებაა: ქართულად – სს „საქართველოს საფონდო ბირჟა"; ინგლისურად – GSE.

თავისი სტატუსით სს „საქართველოს საფონდო ბირჟა" წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.

ბირჟის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო მექანიზმის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ბირჟის საქმიანობის საგანია:

ა) ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება;

ბ) ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობის ორგანიზება საბირჟო წესების და პროცედურების შესაბამისად;

გ) საბირჟო ვაჭრობების შედეგების შესახებ და საფონდო ბაზართან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება;

დ) კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

ბირჟის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30 000 (ოცდაათ ათას) ლარს. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 3 000 000 (სამ მილიონ) ცალ აქციად, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 (ერთ მეასედ) ლარს. ბირჟის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება.

ბირჟის ხელმძღვანელობა ევალებათ მის გენერალურ დირექტორს და დირექტორებს. ბირჟის გენერალური დირექტორი:

- არის პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებების განხორციელებასა და შესრულებაზე;
- არის ბირჟის ოფიციალური წარმომადგენელი მის ყველა ურთიერთობებში სახელ-

მწიფოსთან, სხვა ორგანიზაციებთან თუ პირებთან;

• ნიშნავს ბირჟის თანამშრომლებს, ექსპერტებსა თუ მრჩევლებს და განსაზღვრავს მათ მოვალეობებს, სამუშაო პირობებსა და ვადებს;

• განსაზღვრავს საწევრო შენატანებისა და სხვა გადასახდელების გადახდის წესს;

• სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს სავაჭრო და საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანასა და სისტემიდან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციების გადასახდელს;

• იწვევს ბირჟის აქციონერთა საერთო კრებას.

ბირჟის გენერალურ დირექტორს და დირექტორებს ევალებათ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში:

➢ უზრუნველყონ მოქმედი კანონმდებლობის, ბირჟის წესდების, შინაგანაწესის დაცვა და აღნიშნულთან მიმართებაში ბირჟის წევრების საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შემოწმება;

➢ მოახდინონ უფლებამოსილების დელეგირება ბირჟის სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებზე, საზოგადოების შინაგანაწესის შესაბამისად, იმ პირობით, რომ მხარეს, რომელზეც ამგვარ გადაწყვეტილებას ექნება ზემოქმედება, შეუძლია მოსთხოვოს ბირჟის დირექტორებსა თუ სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების ხელმეორედ განხილვა;

➢ დადგენილი წესით დაუშვან ფასიანი ქაღალდები ბირჟის სავაჭრო სისტემაში, მიიღონ გადაწყვეტილება ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეჩერების, ასევე ფასიანი ქაღალდების ლისტინგის (საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების დაშვების (კოტირებადი ფასიანი ქაღალდების სიაში შეტანის) პროცედურა, რომელიც მოიცავს ემიტენტის სამეურნეო და საფინანსო მდგომარეობის, ფასიანი ქაღალდის ექსპერტიზას, საფონდო ბირჟის მოთხოვნების დაცვის გარანტირებას ემიტენტის მიერ) დროებით შეჩერების შესახებ;

➢ დაუშვან წევრები და მათი ბროკერები საფონდო ბირჟაზე საქმიანობისთვის და დროებით ან საერთოდ აუკრძალონ სავაჭრო სისტემაში ვაჭრობა ბირჟის წევრების ბროკერებს;

➢ უზრუნველყონ ბირჟის კანონიერი და სწორი საქმიანობა, აგრეთვე ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე კოტირების, ფასების და მასთან დაკავშირებული საბაზრო ინფორმაციის გამოქვეყნება;

➢ მიაწოდონ ბირჟის წევრებს ინფორმაცია მათ მიერ დადებული გარიგებების შედეგებზე;

➢ გამოიყენონ სანქციები ბირჟის წევრებისა და ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვებული ემიტენტების მიმართ ბირჟის წესების დარღვევის შემთხვევაში, თანახმად კანონმდებლობისა, დადებული ხელშეკრულებებისა და ბირჟის წესებისა;

➢ გამოიყენონ სხვა ნებისმიერი უფლება, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონებით, საზოგადოების შინაგანაწესით და ბირჟის წესებით.

ბირჟის წევრები შეიძლება იყვნენ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტები (მათ შორის კანონით გათვალისწინებული უცხოური ფინანსური ინსტიტუტები). წევრებს გააჩნიათ უფლება დადგენილი წესით მონაწილე-ობა მიიღონ ბირჟის მიერ ორგანიზებულ საფონდო ვაჭ-რობებში და ისარგებლონ ბირჟის სამსახურების მომსახურებით.

ბირჟაზე არ იქნება მიღებული წევრებთან დაკავშირებული არც ერთი წესი ან არ იქნება შეტანილი ცვლილება ამ წესებში მანამ, სანამ წევრები აღნიშნულის მიღებამდე

არანაკლებ ორი კვირით ადრე არ გაეცნობიან მათ, არ განიხილავენ და მიღებამდე ერთი კვირით ადრე არ წარმოადგენენ შენიშვნებს, თუ ასეთები წარმოიშვება.

წევრთა ძირითადი მოვალეობებია:

- დაიცვან ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის და ბირჟის წესების მოთხოვნები, აგრეთვე შეასრულონ ბირჟის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებები;
- დაიცვან ტექნიკური, ტექნოლოგიური და კომერციული ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნებამაც ზიანი შეიძლება მიაყენოს ბირჟას, მის წევრებსა და მათ კლიენტებს;
- დროულად გადაიხადონ ბირჟის მიერ დაწესებული საწევრო, საკომისიო შენატანები და სხვა გადასახდელები;
- თავისი ქმედებებით ან/და განცხადებებით არ მიაყენონ ბირჟას ზიანი, არ შელახონ მისი ავტორიტეტი და პრესტიჟი;
- შესაბამისი მოვლენის დადგომიდან ან გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინონ ბირჟის მმართველ ორგანოს მათ ფინანსურ და იურიდიულ სტატუსში მომხდარი ან მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათი ვალდებულებების შესრულებაზე ბირჟისა და მისი წევრების მიმართ;
- ჰქონდეთ კანონით გათვალისწინებული სათანადო ლიცენზია;
- მისცენ ბირჟას წერილობითი თანხმობა თავისი ჩანაწერების და დავთრების შემოწმებაზე, ნებისმიერი მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენის მიზნით.

2013 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ფა-სიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან:

საბროკერო კომპანიები: 1. შპს თი-ბი-სი ბროკერი; 2. სს ბი ჯი კაპიტალი; 3. შპს ქართუ ბროკერი; 4. შპს თბილინტერკაპიტალი; 5. შპს საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი +; 6. შპს კაუკასუს ფაინენშალ სერვისი; 7. სს კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი; 8.შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი; 9. შპს ლიბერთი სიქიურითიზ; 10. შპს მენა ფაინანშიალ სერვისის ენდ ტექნოლოჯის; 11. შპს სტოქს.

დამოუკიდებელი რეგისტრატორები: 1. სს კავკასრეესტრი; 2. სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი; 3. შპს ეროვნული რეესტრი; 4. შპს კაპიტალ რეგისტრი.

ლიცენზირებული საფონდო ბირჟა: სს საქართველოს საფონდო ბირჟა.

ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი: სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი.

2013 წლის დეკემბრის მონაცემებით, 138 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული სსბ-ის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 1.1 მილიარდ დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 17.9 ათას ლარს.

საქართველოს საფონდო ბირჟის 20 იანვრის (2013 წ.) სავაჭრო სესიაზე 3 კომპანიის 52,731 ათასი აქცია გაიყიდა. საბირჟო ვაჭრობაზე „საქართველოს ბანკის“ (GEB) 200 აქცია 3,9 ათას ლარად გაიყიდა. აქციის მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო შეწონილი ფასი კი 19,5 ლარად განისაზღვრა. აქციის ფასი ბოლო, 18 იანვარს (2013 წ.) გამართული ვაჭრობის შემდეგ არ შეცვლილა. ასევე გაიყიდა Liberty Consumer–ის (GTC) 8,087 ათასი აქცია, 485 ლარად. აქციის ფასმა 6 თეთრი შეადგინა. ბოლოს, აღნიშნული კომპანიის აქციებით ბირჟაზე გასული წლის 9 (2012 წ.) დეკემბერს ივაჭრეს და მაშინ აქციის ფასი 10 თეთრი იყო. ოდნავ შემცირდა „ლიბერთი ბანკის“ (BANK) აქციების ფასი, თუმცა გაიზარდა ვაჭრო-

ბის მოცულობა, 20 იანვარს (2013 წ.) ვაჭრობაზე ბანკის 44,444 ათასი აქცია გაიყიდა თითოეული 0,018 ლარად, ხოლო 18 იანვარს (2013 წ.) 5,433 ათასი აქცია, თითოეული 0,0184 ლარად.

„საქართველოს საფონდო ბირჟის" კრებსითი ინფორმაცია ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებთან დაკავშირებით ემიტენტების მიხედვით, ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებთან დაკავშირებით საბროკერო კომპანიების მიხედვით, დაფიქსირებულ გარიგებებთან დაკავშირებით საბროკერო კომპანიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებისა და რეგულირების თეორიული საფუძვლები

საინვესტიციო პროცესის რეგულირების მექანიზმი განხილულ უნდა იქნას საინვესტიციო საქმიანობის მასტიმულირებელ ელემენტებთან ურთიერთკავშირში, რომელთაგან აღსანიშნავია საინვესტიციო აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის დამოკიდებულება ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების სიდიდესთან და ეროვნული შემოსავლების ზდასთან.

საინვესტიციო აქსელერატორის არსი. მოთხოვნის ზრდა ფართო მოხმარების საქონელზე წარმოშობს ჯაჭვურ რეაქციას, რაც უკავშირდება მოთხოვნის გაზრდას ამ საქონლის მწარმოებელ მანქანა-დანადგარებზე. ეს კანონზომიერება, რომელიც ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ კლარკმა აღმოაჩინა და რომელსაც „აქსელარაციის პრინციპი" ეწოდა, წარმოადგენს ციკლური განვითარების უმთავრეს მამოძრავებელ ელემენტს.

საინვესტიციო აქსელერატორის პრინციპის გასაგებად გამოიყენება კაპიტალტევადობის კოეფიციენტი. მეწარმე ცდილობს სასურველ დონეზე შეინარჩუნოს კაპიტალისა და მზა პროდუქციის ურთიერთშეფარდება. მაკროეკონომიკურ დონეზე კაპიტალტევადობის კოეფიციენტი გამოხატება კაპიტალისა (ინვესტიციები) და შემოსავლის (მშპ) შეფარდებით. ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისათვის კაპიტალტევადობის კოეფიციენტი სხვადასხვაგვარია. მაგალითად ის გაცილებით დიდია მანქანათმშენებლობაში, ვინაიდან მზა პროდუქციის ერთეულზე საჭირო კაპიტალის დიდი დანახარჯები და გაცილებით ნაკლები, ვიდრე მსუბუქ მრეწველობაში. ცვლილებები მზა პროდუქციის გაყიდვების მოცულობაში იწვევს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების რაოდენობის ცვლილების აუცილებლობას, რათა კაპიტალტევადობის კოეფიციენტი სასურველ დონეზე შენარჩუნდეს.

საინვესტიციო თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე მულტიპლიკატორის კონცეფციასაც. საინვესტიციო მულტიპლიკატორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ინვესტიციების ზემოქმედების შედეგად გაზრდილი შემოსავლები იწვევენ მოთხოვნის ზრდას. მულტიპლიკატორის პრინციპი განსაკუთრებით კარგად ჩანს ახალი საინვესტიციო პროექტების ამოქმედების დროს, როდესაც სამუშაოების დაწყება ხდება ახალი სამუშაო ძალის დაქირავების შედეგად. სამუშაო ძალას უჩნდება შემოსავალი და შედეგად ის სახსრები, რომელიც აუცილებელია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. იზრდება მოთხოვნა, რაც თავის მხრივ იწვევს დამატებითი შრომითი რესურსების ჩართვას იმ დარგებში, რომლებიც სპეციალდებიან მოთხოვნილი საქონლის გამოშვებაზე. თავის მხრივ ამ ჯგუფის შრომითი ძალის შემოსავლების ზრდა იწვევს მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებას მომიჯნავე დარგებში და ა.შ. ამგვარად იქმნება კლებადი ჯაჭვური კავშირი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის. მულტიპლიკატორის ეფექტი და კლებადობის ინტენსივობა-ხანგრძლივობა დამოკიდებულია საწყისი იმპულსის სიდიდეზე.

მულტიპლიკატორი გვიჩვენებს ინვესტიციური ნაკადების ზრდის გავლენას მზა პროდუქციისა და შემოსავლების ზრდაზე. მულტილპიკატორის პრინციპის მეშვეობით ადვილია

დადგინდეს სახელმწიფო სტიმულირების ეფექტი. თუ სახელმწიფომ დაიქირავა შრომითი ძალა, რომლის შემოსავალი გაიზრდება 1 მლნ ლარით, მაშინ ერთობლივი მოთხოვნა გაცილებით უფრო მნიშვნელოვან მაჩვენებელს მიაღწევს. ეს გამოწვეულია პირველ რიგში დარგებს შორის არსებული ურთიერთკავშირით, ხოლო მეორეს მხრივ, იმით, რომ ინვესტიციების მოცულობით გამოწვეული შემოსავლის ზრდა იყოფა პირად მოხმარებად და დანაზოგებად - რაც უფრო მაღალია მოხმარების წილი, მით უფრო ძლიერად მოქმედებს მულტიპლიკატორი და პირიქით, თუ მაღალია დანაზოგებისადმი მიდრეკილება მულტიპლიკატორის ეფექტი სუსტდება.

მულტიპლიკატორის ეფექტი თავიდთავად გულისხმობს გარკვეული პირობების არსებობას. იგი თავს იჩენს უპირველეს ყოვლისა გამოუყენებელი სიმძლავრეებისა და თავისუფალი შრომითი ძალის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელ დარგებშია მიმართული საინვესტიციო კაპიტალდაბანდებები, როგორია მათი სტრუქტურა. მულტიპლიკაციის ეფექტი ძირითადად თავს იჩენს ეკონომიკური აღმავლობის პირობებში და არა კრიზისების დროს. აქედან გამომდინარე მულტიპლიკატორს შეუძლია როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად იმოქმედოს ეროვნული შემოსავლის ზრდაზე.

მულტიპლიკატორის მასტიმულირებელი ეფექტი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: თუ იზრდება გადასახადები, მაშინ მულტიპლიკატორის სიდიდე კლებულობს, თუ იმპორტი დიდი მოცულობით ხორციელდება, მაშინ ახალი შემოსავლების გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ გაედინება და იზრდება საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის ალბათობა.

საინვესტიციო აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის ეფექტი ერთობლიობაში იძლევა მულტიპლიკატორ-აქსელატორის ეფექტს, რომელიც დამუშავებულია პოლ სამუელსონისა და ჯონ ჰინკსის მიერ.

აქსელერატორ-მულტიპლიკატორის ეფექტი ასახავს ეკონომიკური სისტემის ციკლური რყევების მექანიზმს. როგორც ცნობილია, ინვესტიციების ზრდა გარკვეული მოცულობით იწვევს ეროვნული შემოსავლის გაცილებით უფრო დიდი მოცულობით ზრდას მულტიპლიკატორის ეფექტის გავლენით. გაზრდილი შემოსავალი თავის მხრივ მომავალში (გარკვეული დაყოვნებით, ვინაიდან ინვესტიციების განხორციელების შემდეგ საჭირო გარკვეული დრო, რათა ობიექტი ამოქმედდეს სრული სიმძლავრით) გამოიწვევს საინვესტიციო ნაკადების ზრდას აქსელერატორის ეფექტის მოქმედების შედეგად. ამგვარად წარმოებული ინვესტიციები წარმოადგენენ ერთობლივი მოთხოვნის შედეგს, რომელიც თავის მხრივ კვლავ ხელს შეუწყობს შემოსავლების ზრდას და ინვესტორებს ახალი კაპიტალდაბანდებებისკენ უბიძგებს.

რა თქმა უნდა, ეკონომიკური ზრდა არ იქნება უსასრულო, ვინაიდან 5-10 წლის განმავლობაში ეროვნული შემოსავლების მაჩვენებლები მიაღწევდა გიგანტურ მასშტაბებს, რაც პრაქტიკაში არ ხდება. საქმე იმაშია, რომ შემოსავლების სიდიდე რეალურად შემოფარგლულია პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდით, რაც წარმოადგენს რყევების ამპლიტუდის ზედა ზღვარს ერთობლივი მიწოდების მხრიდან. ეკონომიკური ზრდა განხორციელდება მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული ზედა ზღვარი და მთლიანად არ იქნება გამოყენებული შრომითი ძალა და წარმოების საშუალებები. ამ დროს წარმოების ტემპი ნელ-ნელა ეცემა, ხოლო ინვესტიციების სტიმულირება აქსელერატორის მხრიდან მცირდება. მეორეს მხრივ, ეროვნული შემოსავლის შემცირების რყევითი ამპლიტუდის ქვედა ზღვარს წარმოადგენს შემცირებული ერთობლივი მოთხოვნა. ზრდადი ეროვნული შემოსავლის ტალღა ზედა ზღვარის მიღწევისას დაბლა ეშვება, იწყება საქმიანი აქტივობის შემცირება. ქვედა ზღვარზე მიღწევისას, კი სათავეს იღებს საპირისპირო პროცესი ეკონომიკური აღმავლობისა და გამოცოცხლებისა.

საინვესტიციო საქმიანობის გასააქტიურებლად სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა რამდენიმე ეტაპად იყოფა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველ ეტაპზე, სახელმწიფო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია ინვესტიციების სტიმულირებისათვის უმნიშვნელოვანეს კომლექსურ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და გააქტიურებისაკენ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და გაკოტრების შესახებ კანონის განხორციელებისა და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისაკენ.

ფინანსური რესურსების გამოძებნა შესაძლებელია მეწარმეთა გადასახდებით დაბეგვრის შემსუბუქებით და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციით, რაც მიიღწევა საგადასახადო კანონმდებლობისა კარდინალური შეცვლის გზით, კრედიტებსა და ინვესტიციებზე სახელმწიფო გარანტიების სისტემის ჩამოყალიბებით, ეკონომიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლით და ა.შ.

პირველი ეტაპის შემდეგ (შესაძლებელია მის პარალელურადაც) სახელმწიფო ახორციელებს სახელმწიფო ინვესტიციების გაფართოებისაკენ მიმართულ ნაბიჯებს. ეკონომიკური ზრდა და საინვესტიციო პოლიტიკა განიხილება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური კუთხითაც. სახელმწიფო არ კმაყოფილდება მხოლოდ „დამის დარაჯის" როლით, რასაც საკმაოდ დამაჯერებლად ადასტურებს გერმანიის გამოცდილება. კერძოდ, სახელმწიფო 25-30%-ით აფინანსებს სამეწარმეო საინვესტიციო პროცესების განხორციელებას, ხოლო 65-70%-ით სოციალურ ინფრასტრუქტურას. თუ საქმე ეხება საერთო ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფასა და მხარდაჭერას, ბაზრის მიერ მოწოდებული ზოგიერთი ტიპის საქონელი და მომსახურება იმყოფება გონივრული სახელმწიფო პროტექციონიზმის ზემოქმედების ქვეშ.

რა თქმა უნდა ყოველივე ეს არ ნიშნავს დირექტიული მმართველობის დამყარებას, თუმცა კონკურენციის უზრუნველყოფის მხრივ სახელმწიფოზე ბევრია დამოკიდებული. უნდა ითქვას, რომ უმეტეს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფომ თვითონ ჩამოაყალიბა საინვესტიციო სტრატეგია (მაგალითად, 70-80-იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ერთი მხრივ, გამოიყენებოდა საკრედიტო რესტრიქციები სავალდებულო რეზერვების გაზრდილი ნორმების სახით და მეორე მხრივ, განისაზღვრებოდა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში დაბანდებების ნორმა. სამხრეთ კორეაში პრეზიდენტის ბრძანებით პრიორიტეტულ დარგებზე, სავალდებულო წესით, გაიცემოდა შედავათიანი კრედიტები).

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფო კრედიტებს უნდა ჰქონდეთ მიზნობრივი მხარდაჭერა, რისთვისაც მიზანშეწონილია სპეციალური საინვესტიციო ინსტიტუტების შექმნა. ინდოეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში ძირითადი ფულადი ნაკადები რეგულირდება სახელმწიფო ბანკების მიერ, რომლებიც განაგებენ წარმოების განვითარებაში დანაზოგებისა და მოზიდული საკრედიტო რესურსების დაბანდების საქმეს. კერძოდ, ისინი ცენტრალიზებულად ახორციელებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებული მიმართულებების ინვესტირებას რეგულირებადი საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ეს პროცესი ხორციელდება სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის ჩარჩოებში მოქმედი „განვითარების" ბანკების მეშვეობით. ამ მხრივ, სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკაში დიდი როლს თამაშობს ბრაზილიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეროვნული ბანკს. იგი აქტიურად მონაწილეობს იმ სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციაში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი ქვეყნის სამეურნეო კომპლექსისათვის. 2009-2013 წლებში ამ

საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული კრედიტების რაოდენობამ შეადგინა 44,5 მლრდ დოლარი, ხოლო რესურსების მოცულობამ 2013 წლის ბოლოს 55 მლრდ-ს გადააჭარბა. ამ ბანკის ძირითად საინვესტიციო საქმიანობას შეადგენს სამრეწველო საწარმოების მოდერნიზაცია, საგარეო ვაჭრობა, კრედიტების გაცემა ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების ტექნოლოგიურ გადაიარაღებისათვის, სამრეწველო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარების პროგრამები და პროექტები, სოციალური დანიშნულების პროექტები და სხვა. გერმანიაში გამოიყენება ინვესტიციების შერეული დაფინანსების პრაქტიკა, სადაც ინვესტიციის სტიმულირების ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტები გამოიყენება, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები, დაჩქარებული ამორტიზაცია, ფედერალური და სამიწო ბიუჯეტების სუბსიდიები და კრედიტები. სხვადასხვა სახის ფედერალური დახმარება არ აჭარბებს საინვესტიციო პროექტის საერთო დანახარჯების 35%-ს, დანარჩენი ნაწილი ინვესტორის ხარჯზე იფარება. სახსრების მოზიდვა ხდება რეგიონული განვითარების ეროპული ფონდიდანაც, რომელიც წარმოადგენს ინვესტირების დაფინანსების გარე წყაროს.

ყოველივე აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აუცილებელია სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობის გაზრდა ეკონომიკაში პროგრესული ძვრების მხარდასაჭერად. თუმცა, ამის მიღწევა შეიძლება არა მხოლოდ ე.წ. „განვითარების ბიუჯეტით", არამედ სახელმწიფოს მონაწილეობით შერეულ საინვესტიციო კომპანიებში და ასევე საინვესტიციო ობლიგაციებში. სახელმწიფომ საკონკურსო საინვესტიციო პროექტებში თავის თავზე უნდა აიღოს საინვესტიციო რისკების წილი არა მხოლოდ სამეწარმეო სფეროში, არამედ სამოქალაქო საცხოვრებელი მშენებლობის სფეროში.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო მექანიზმებში სახელმწიფოს ჩარევის დასაშვები დონე შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო „ჩარევას" ახორციელებს სამრეწველო წარმოების „სასიცოცხლო ციკლების" მიხედვით. კერძოდ, სახელმწიფო ჩარევა უნდა მიმდინარეობდეს „სასიცოცხლო ციკლების" ცვლილებების ხაზით. მრეწველობის ზოგიერთ დარგში სახელმწიფოს მხრიდან ფართო მასშტაბიანი ჩარევა შეიმჩნევა სასიცოცხლო ციკლის საწყის ეტაპზე. ამასთან, დარგის განვითარების კვალდაკვალ ჩარევა მცირდება. თუკი დარგი ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს ეჯახება სახელმწიფოს მიერ ჩარევა კვლავ ძლიერდება.

საინვესტიციო საქმიანობის ოპტიმიზაციის მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ სახელმწიფო, საინვესტიციო პროცესზე გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთებისა და ფულადი ნაკადების რეგულირებით, რის შედეგადაც, კომერციული ბანკების გავლით, ფულადი ნაკადებისა და შიდა დანაზოგების სამეწარმეო ინვესტიციებად გარდაქმნით მიიღწევა სამეწარმეო სფეროს განვითარება. საპროცენტო განაკვეთების მკაცრი რეგულება არც თუ დიდიხნის წინ გამოიყენებოდა საფრანგეთში, აშშ-ში, ომის შემდგომ იაპონიაში. დღეისათვის ასეთ ნაბიჯებს იყენებენ აზიის ქვეყნებში - ჩინეთში, ინდოეთში, ახლო და შუა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. საპროცენტო განაკვეთის რეგულირების პოლიტიკის გარეშე ეს ქვეყნები ვერ შეძლებდნენ შეენარჩუნებინათ კაპიტალის დაგროვებისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების მაღალი დონე.

როგორც ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, საინვესტიციო მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობა, რომელიც, ჩვენი აზრით, იყოფა ორ ნაწილად, საინვესტიციო და არასაინვესტიციო საქონელზე მოთხოვნად, ამ უკანასკნელში იგულისხმება მოხმარების საგნებიც. საინვესტიციო პროცესის რეანიმაცია უნდა დაიწყოს საინვესტიციო საქონელზე წარმოების მოთხოვნის უზრუნველყოფით, რისთვისაც აუცილებელია მიზანმიმართული ფულადი ემისის განხორციელება. ამასთან, საინვეს-

ტიციო ფულადი ემისია უნდა განხორციელდეს ნორმალურად ფუნქციონირებადი სიცოცხლისუნარიანი საწარმოების, პერსპექტიული საინვესტიციო პროექტებისა და გადახდისუუნარო ადგილობრივი საწარმოების დაფინანსებისათვის. ამასთან, სახელმწიფომ ძალისხმევა უნდა მიმართოს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად და მოსახლეობის ანაბრების ინვესტიციებად გარდასაქმნელად.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული დისპროპორციების პირობებში საინვესტიციო პროცესების სახელმწიფო რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების შეთანაწყობით, ხოლო ეკონომიკური წონასწორობისა და საფინანსო და სამეწარმეო სექტორების დაბალანსებური განვითარების მიღწევის დროს სახელმწიფო რეგულირების როლი შეიძლება შემცირდეს, საჭიროების შემთხვევაში კი შენარჩუნდეს და გაძლიერდეს კიდეც.

ვანო შუშტაკაშვილი

კაპიტალის მიგრაციის მიმართულებები გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპზე

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი ცვალებადობა შეიმჩნეოდა 70-იან და 80-იან წლებში. ეკონომიკური ზრდის ტემპები განსაკუთრებით ისეთ ფირმებზე ახდენენ მნიშვნელოვან ზემოქმედებას, რომლებშიც საერთაშორისო ვაჭრობაში და ინვესტიციებში სხვადასხვა ქვეყნები მონაწილეობენ. როგორც წესი, ზრდის მაღალი ტემპები საქონელისა და მომსახურების იმპორტის გადადებას იწვევს. აღნიშნულ ცვლილებებს თან შეიძლება სხვა ქვეყნებიდან სესხების მიღებაში მზარდი საჭიროება გაუჩნდეს და პირიქით, ზრდის უფრო დაბალი ტემპები სესხების საჭიროებას ამცირებენ. მიუხედავად ამისა, ზრდის ტემპები – არის მხოლოდ ერთი ფაქტორი, რომელიც კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე ზემოქმედებს. დანარჩენი ფაქტორები მოიცავენ: სავაჭრო პოლიტიკას, სახელმწიფოს ჩარევის მოცულობის შემცირებას ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებაში და ფინანსური ოპერაციების ჩატარებაში, საინვესტიციო შესაძლებლობების ცვლილებაში. ყველა აღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ზრდას 1978 წლიდან.

80-იანი წლიდან განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ყოველწლიური ზრდის ტემპების დიდ მერყეობას განიცდიდნენ. აღნიშნულ ქვეყნებში მშპ-ს ზრდა იცვლებოდა 4.3%-იდან 1981-1988 წ.წ. 3,3%-მდე 1989 წელს და 2,4% 1990 წელს. ზრდის ტემპები შემცირდა 1,4%-მდე 1991წ, მაგრამ გაიზარდა 3.0%-მდე 1992 წელს.

აღნიშნული ტენდენციები კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ზრდის ტემპები 80-იან წლებში 70-ინაი წლების მაჩვენებლებთან მიმართებაში 3/4-ით შემცირდა. ზრდის ტემპები განსაკუთრებით დაბალი იყო დასავლეთის ნახევარსფეროს განვითარებადი ქვეყნებისათვის. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებმა, განსაკუთრებით სინგაპურმა,

ჰონკონგმა, ტაივანმა და სამხრეთ კორეამ, პირიქით 1981-1992 წლების ზრდის ტემპების 5.5-8.7%-ის დონეზე შენარჩუნება შეძლეს.

ცენტრალიზებულ გეგმიური ეკონომიკიანი ყოფილი ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო წლებში ზრდის ტემპების შემცირება გადაიტანეს. საკუთარი შიდა ეკონომიკური პრობლემების გარდა, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შემცირებამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასავლეთზე ექსპორტის დაცემამდე მიგვიყვანა. აღნიშნულმა ფაქტორებმა ისეთი სიტუაციების წარმოშობა გამოიწვიეს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა 1981-1988წწ. (საშუალოდ 3.7%) შეიცვალა დაცემით 1990-1992 წ.წ. პერიოდში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) მიღწევები მკვეთრად კონტრასტულია აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილებასთან მიმართებაში. საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიური დანერგვისა და ცენტრალიზებული დაგეგმვის შესუსტების გზით ჩინეთმა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები შეინარჩუნა, რამაც საშუალოდ 11,3%-ი 1981-1988 წწ. და 6,0%-ი 1988-1992წ.წ. შეადგინა.

მშპ-ის ზრდის ტემპების შემცირების ტენდენციის გამოხატვით, 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ვაჭრობის მოცულობამ უფრო დაბალი ტემპებით დაიწყო ზრდა. მსფ-ის მონაცემების მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები შემცირდა 5%-იდან 70-იან წლებში საშუალოდ 2,7%-მდე 80-იანი წლების დასაწყისისათვის, მაგრამ გაიზარდა საშუალოდ 5,8%-მდე 1984-1991 წლებში. აღნიშნული ვარდნის პირობებში, შეიცვალა მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურა: სანედლეულო პროდუქტმა მასში ადგილი მზა ნაკეთობებს დაუთმო. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად აშშ-მ თავისი წილი მსოფლიო ეკონომიკაში გაზარდა 12%-დან 1981 წ 15,5%-მდე 1991 წელს. ასევე მსოფლიო ვაჭრობის მიმართულებებიც შეიცვალა. 1988 წელს აზიაზე მოდიოდა აშშ-ის ვაჭრობის 31%, მაშინ როდესაც ევროპის წილი 23%-ს შეადგენდა. იაპონიამ და სხვა აზიურმა ქვეყნებმა პროტექციონალისტური ღონისძიებების დანერგვის საშიშროებაზე პასუხად ევროპასთან ვაჭრობა გაზარდეს. 1984 წლიდან საკუთარი შიდა დანაზოგებისა და სავაჭრო ბალანსის აქტიური სალდოს ხარჯზე და როგორც კაპიტალის მსხვილმა მსოფლიო ექსპორტიორმა, ნავთობის ქვეყანა-ექსპორტიორების ორგანიზაცია (ОПЕК) –ა შეცვალა.

კაპიტალის მსოფლიო ნაკადები: თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო კაპიტალი მიისწრაფის იქეთკენ, სადაც შემოსავლები და წარმადობა საკმაოდ მაღალია. უფრო მეტიც ჩვენთვის სამართლიანია ველოდოთ, რომ საწარმოო ფონდებიდან შემოსვლების სტრუქტურა სტაბილური უნდა იყოს, რამდენადაც ისინი მის საფუძველში ჩადებულ წარმადობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ არ გვექნებოდა საფუძველი კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებში სერიოზული ცვლილებები მიგვეღო. თუმცა ასეთ ცვლილებებს ბოლო 20 წლის განმავლობაში ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება აშშ-ს ეხება.

1983 წლიდან კრედიტების საერთაშორისო ნაკადები აშშ-ში უწყვეტად იზრდებოდა. 1983-1990 წლებში კაპიტალის მსოფლიო ნაკადებმა აშშ-ში 879 მლრდ დოლარი შეადგინა, მათ შორის იაპონიაზე მოდიოდა 327 მლრდ დოლარი, ანუ 37%, ევროპულ კავშირზე 16% და ოფშორულ

ცენტრებზე და განვითარებად ქვეყნებზე – 47%. აშშ-ში შემოსული უცხოური კაპიტალის დიდი ნაწილი იყო ინვესტირებული ამერიკულ სახელმწიფო ობლიგაციებში, სამრეწველო ობლიგაციებში, აქციებში და ასევე განხორციელებული იქნა პირდაპირი ინვესტიციები ზოგიერთ დარგებში. უცხოური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაკადი აშშ-ს მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის იყო გამოყენებული. რთული ურთიერთკავშირები აღნიშნულ "ორჯერად დეფიციტებს" შორის ცალკე იქნება განხილული, თუმცა ასეთი სახის კონიუნქტურისას საკმარისია მითითებული იქნას, რომ "ორმაგ დეფიციტს" არასტაბილურობის გაძლიერება ისევე შეუძლია, როგორც სავალუტო ბაზარზე აშშ-ის დოლარზე შემამცირებელ ზეწოლას. აღნიშნული არასტაბილურობა შეიძლება გამწვავდეს, თუკი უცხოელი ინვესტორები აშშ-ში ადრე დაბანდებული სახსრების გაწვევის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ფინანსური ბაზრის გლობალიზაცია: 1980 წლიდან ფინანსური ბაზრების სისტემამ გლობალურ დონეზე დაიწყო ფუნქციონირება. წარმოიშვა ისეთი მსოფლიო ფინანსური ქსელი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი ფინანსური ცენტრები შემაერთებელს წარმოადგენს. მან ნიუ-იორკის და სხვა წამყვანი, ლონდონის, ტოკიოს და ციურიხის ფინანსური ცენტრების ჩათვლით ერთმანეთს დაუკავშირა. ლონდონი – არის ევროვალუტის წამყვანი ცენტრი. ფასიანი ობლიგაციების ტოკიოს ბაზარი – ბოლო წლებში იაპონიაშია დანაზოგების დიდი მოცულობისა და კაპიტალის სიჭარბიდან გამომდინარე, უფრო პოპულარული გახდა. ციურიხიც – ასევე ძირითადად უცხოური დეპოზიტების ანონიმურობის შედეგად, უცხოეთის ობლიგაციების წამყვან ბაზარს წარმოადგენს. სხვა საერთაშორისო ფინანსური ცენტრები, ისეთები, როგორიცაა ფრანკფურტი, ამსტერდამი, პარიზი, ჰონკონგი, ბაგამის კუნძულები, კამაის კუნძულები, კაპიტალის მსოფლიო ნაკადებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებდნენ, რაც უფრო დეტალურად სხვა თავებში იქნება განხილული.

აღნიშნულ ცენტრებს შორის კავშირების განმტკიცებამ ფინანსური რევოლუცია გამოიწვია, რომელსაც გააჩნია სამი საკვანძო ასპექტი: საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გლობალური მონაწილეობა, საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაცია და ფინანსური ინოვაციების სწრაფი განვითარება.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გლობალური მონაწილეობა: პირველი ასპექტია ფინანსური რევოლუცია. იგი მსოფლიო კაპიტალის მზარდი ნაკადების ქვეყნებს შორის ფინანსური კონკურენციის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული ტენდენცია, სახელმწიფოს მხრიდან შიდა ბაზარზე საქმიანობაში ჩარევის მოცულობის შემცირებისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის შედეგად, ცალკეული ქვეყნების მთავრობებზე ახდენენ ზემოქმედებას. აშშ-ი ფასიანი ქაღალდების წარმატებული და მზარდი ბაზარი 80-იან წლებში უცხოეთის ბანკებისა და ბროკერებისათვის მიმზიდველი იყო. იაპონიამ 1980 იანი წლების დასაწყისიდან უცხოური ვალუტის ბაზრისა და შიდა ფინანსური ბაზრის ლიბერალიზაცია დაიწყო. ანალოგიური გამოცდილება დიდმა ბრიტანეთმაც გამოიყენა კაპიტალზე 1979 წელს კონტროლის გაუქმებისა და აქციების ბაზრის რეფორმის ("დიდი შოკის") 1986 წლის ოქტომბერში განხორციელებით. შედეგად დიდი ბრიტანეთის ფინანსური ბაზრები

ევროობლიგაციების საერთაშორისო ბაზრისა და აქციების ბაზრის საქმიანობის გაფართოების ხარჯზე მეტად მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაცია: ფინანსური რევოლუციის მეორე ასპექტი – შიდა და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებს შორის ბარიერების აღმოფხვრასთან და ბაზრის აღნიშნულ სექტორებს შორის მრავალი კავშირები განვითარებასთან არის დაკავშირებული. თავისუფალ კაპიტალს შეუძლია თავისუფალ კაპიტალს შეუძლია თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე შიდა ბაზრიდან მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე და პირიქით გადანაწილდეს. იმდენად, რამდენადაც მიმდინარეობს ფინანსური ინტეგრაციის პროცესი, ფინანსური ინსტიტუტები აფუძნებენ ურთიერთგასესხების, დაკრედიტების, ინვესტირებისა და ფინანსური მომსახურების განხორციელების მიზნით აფუძნებენ ფილიალებს წამყვან ფინანსური ცენტრებში. საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაციას ტოლი ხარისხის სარგებლის მოტანა შეუძლია როგორც მსესხებლებისათვის ასევე კრედიტორებისათვისაც. მაგრამ მსესხებლები და კრედიტორები სხვადასხვა ხარისხის რისკის ზემოქმედებას განიცდიან საბაზრო რისკის, საპროცენტო რისკის, სავალუტო რისკისა და პოლიტიკური რისკის ჩათვლით. აღნიშნულის შემცირების მიზნით მისაღები რისკები და ზომები ქვემოთ ცალკე იქნება განხილული.

საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაცია ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრის სხვა მონაწილეების წინაშე მრავალ პრობლემას წარმოქმნის. პირველ რიგში, ინვესტორებისათვის შეიძლება რთული იყოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე საქმიანობასთან მიმართებაში საიმედო მონაცემების მიღება, მაგალითად, მრავალი ფინანსური ოპერაცია, ისეთები როგორიცაა, პროცენტული სვოპები, გარე საბალანსო მუხლებს მიეკუთვნებიან და ანგარიშგების ჩვეულებრივი არხების მეშვეობით არ ფიქსირდებიან. სხვა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალის ბაზრების ინტეგრაციამ კაპიტალის გადადინების საწყისი პროცედურების გამარტივებამ მიგვიყვანა. ფულად-საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელობისათვის ძნელია სახსრების მადესტაბილიზირებელი ნაკადების თავისდროულად პროგნოზირება ან აღმოჩენა იმისათვის, რომ მაკორექტირებელი სტრატეგიის ფორმირება იქნას განხორციელებული. დასასრულს, საბაზრო ინტეგრაციას ფინანსური ბაზრის ყველაზე სუსტი ადგილების გაძლიერება და მის საქმიანობაზე კონტროლის პრობლემის გართულება შეუძლია.

ფინანსური რევოლუციის მესამე ასპექტს – ფინანსური ინოვაციები, ანუ ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების შექმნა წარმოადგენს. ფინანსური ინსტიტუტები, ისეთები, როგორიცაა ევროდოლარის დეპოზიტური სერთიფიკატები, ევროობლიგაციები ნულოვანი კუპონით, სინდიცირებული კრედიტები ევროვალუტაში, პროცენტული განაკვეთი, სავალუტო სვოპები და მოკლევადიანი ვალდებულებები ცვალებადი პროცენტით, საერთაშორისო ფინანსური ბაზრებზე, მეტად პოპულარულები გახდნენ. ისინი ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული. ევროვალუტაში სინდიცირებული კრედიტების მოცულობების შემცირებას 1982 წლის შემდეგ, რომელიც თან განვითარება ქვეყნების დავალიანებების კრიზისი მოყვა, დააჩქარა სეკიურიტიზაციის პროცესი ანუ ფინანსურ ბაზრებზე კრედიტის საზიანოდ ფასიანი ქაღალდების როლის გაზრდის პროცესი. აღნიშნული პროცესის გამოყენებით, მსესხებელს შეუძლია შეამციროს დამოკიდებულება პირდაპირი საბანკო დაკრედიტებისაგან და მის ნაცვლად გამოუშვას

მოკლევადიანი კომერციული თამასუქები ან მოკლევადიანი ობლიგაციები, რომელთა განთავსება კომერციული ან საინვესტიციო ბანკების მიერ არის გარანტირებული. აღნიშნული ინსტრუმენტები შეიძლება პერიოდულად იქნას გამოშვებული და გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების მსგავსად მეორედ ბაზარზე გაყიდული. ევრონოტების გამოშვების პროგრამა წარმოადგენს ასეთი სეკიურიტიზაციის პროგრამას. ფასიანი ქაღალდების გამოშვება გაიზარდა 10 მლრდ დოლარიდან 1983 წელს 26 მლრდ დოლარზე უფრო მეტად 1985 წელს.[31]

ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა გლობალიზაციის პროცესი დააჩქარეს და გააძლიერეს. კერძოდ, კავშირის საშუალებებმა საერთაშორისო ოპერაციების ჩატარების სიჩქარე და მათი მოცულობა გაზარდეს. აღნიშნულის შედეგად ინფორმაციებისა და კაპიტალის ნაკადები უფრო სწრაფად ხორციელდება. ტელეკომუნიკაციები ეხმარება ბანკებს დანაზოგები მთლიანი მსოფლიოს დეპოზიტური პულებიდან მოიზიდონ და სახსრები მსესხებლებისაკენ ყველაზე მაღალი შემოსავლისა და ყველაზე დაბალი დანახარჯების პირობებზე მიმართონ. საინვესტიციო ბანკებს გარიგებები ობლიგაციებში და უცხოურ ვალუტაში შეუძლიათ СВИФТ-ის მეშვეობით გააფორმონ. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ აკრედიტივები გადახდების ელექტრონული სისტემების მეშვეობით უცხოეთში მათ წარმომადგენლობაში საკუთარი შტაბ-ბინებიდან განახორციელონ; ადგილობრივ ექსპორტიორებთან და იმპორტიორებთან აღნიშნული კავშირის უზრუნველყოფა კომპიუტერის მეშვეობით ხორციელდება.

რისკების მართვის პოლიტიკა კომერციულ ბანკებში

ეჭვს არ იწვევს საკითხი, რომ ნებიმიერი ბანკის წარმტებული საქმიანობა დიდ არის დამოკიდებული მის მიერვე გატარებულ რისკების მართვის პოლიტიკაზე. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა ისე უნდა აიგოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონკრეტული ოპერაციის განმახორციელებელი (შემდგომში რისკების ამღები) თითოეული სამსახურის დამოუკიდებელობა შიდა აუდიტისა და ასევე რისკების მართვის სამსახურებისაგან. რისკების ეფექტიანად მართვის მიზნით თითოეულმა ბანკმა უნდა შექმნას ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბანკის მიზნებთან, ბიზნესპოლიტიკასთან, მოცულობასთან, კომპლექსურობასა და შესაძლებლობებთან. ეს სტრუქტურა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რისკების მართვის კომიტეტს და სტრუქტურულ ერთეულს (რისკების მართვის სამსახურს). რისკის მართვის კომიტეტს შეიძლება ჰყავდეს მუდმივი და არამუდმივი წევრები და იგი უნდა შედგებოდეს დირექტორატის წევრთა სულ ცოტა უმრავლესობისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან:

თუ, მაგალითად, ბანკის დირექტორატში 3 წევრია, რისკების მართვის კომიტეტი შეიძლება დაკომპლექტდეს გენერალური დირექტორითა და დირექტორით, რომელიც კურირებს ბანკში რისკების მართვას (შემდგომში - შესაბამისი დირექტორი), ან დირექტორით, რომელიც კურირებს კონკრეტულ სფეროს (მაგ.საკრედიტო საქმიანობა, მარკეტინგი, საოპერაციო და სხვ.)

[31] Morgan Guaranty Trust Company. Global Financial Charge //World Financial market (December 1986): 2.

ბანკი ვალდებულია დანიშნოს შესაბამისი დირექტორი როგორც რისკების მართვის კომიტეტის მუდმივი წევრი;

რისკების მართვის კომიტეტის მიერ მომზადებულმა რეკომენდაციებმა უნდა ასახოს კომიტეტის წევრებს შორის მიღწეული შეთანხმება:

შესაბამისი პასუხისმგებელი პირები არიან ის პირები, რომლებიც თანამდებობრივი იერარქიით ერთი საფეხურით ჩამორჩებიან დირექტორატის იმ წევრებს, რომლებიც ბანკში უშუალოდ კურირებენ საბანკო ოპერაციების განხორციელებასა და რისკების მართვას;

რისკების მართვის კომიტეტში პასუხისმგებელი პირები შეყვანილი უნდა იყვნენ

რისკების მართვის კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა მაგალითად სახაზინო, საინვესტიციო და საკრედიტო საქმიანობა, საბანკო ოპერაციები და ა.შ. რისკების მართვის კომიტეტი უფლებამოსილი და პასუხისმგებელია მოამზადოს და მისცეს რეკომენდაციები ბანკის გენერალურ დირექტორს სულ ცოტა ქვემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) რისკების მართვის პოლიტიკის ფორმულირება და მასში შესატანი ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის – რისკების მართვის სტრატეგია და იმ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გეგმა, რომლებიც გამოწვეულია გარე ანომალიური ფაქტორებით. ამგვარ ფორმულირებას ერთობლივად უზრუნველყოფენ ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და რისკების მართვის ქვედანაყოფის ხელმძღვანელები;

ბ) რისკების მართვის რეგულარული გამოყენების გაუმჯობესებასა ან მიღწევებზე განპირობებული ბანკის გარე ან შიდა მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილებით, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე, ასევე რისკის პროფილზე და ამგვარი გამოყენების ეფექტიანობის შეფასების შედეგები;

გ) ჩვეულებრივი პროცედურებისაგან განსხვავებულ (არატიპობრივ) ბიზნეს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგალითად ბიზნესის მნიშვნელოვანი გაფართოება, რომელიც განსხვავდება ბანკის ადრე დამტკიცებული ბიზნესგეგმისგან, ან რისკის გაწევა დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებით, – ამ გარემოებებთან დაკავშირებით რეკომენდაციები უნდა მომზადდეს ბანკის ბიზნესის

აუცილებლობების და იმ კონკრეტულ ოპერაციასა თუ ოპერაციებთან დაკავშირებული ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ბანკის მიერ დადგენილი პროცედურებიდან გადახვევას საჭიროებს.

რისკების მართვის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ოპერაციების მოცულობასა და კომპლექსურობას, ისევე როგორც ბანკისათვის დამახასიათებელ რისკებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ბანკს შეუძლია განსაზღვროს სწორი ორგანიზაციული სტრუქტურა საკუთარი მდგომარეობის, მათ შორის ფინანსური მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების შესაბამისად.

მთლიანი აქტივების მიხედვით შედარებით მსხვილი ბანკისათვის, რომელიც კომპლექსურ ბიზნესოპერაციებს ახორციელებს, რისკების მართვის სამსახურის (ქვედანაყოფი) ორგანიზაციულმა სტრუქტურამ უნდა ასახოს ბანკის ბიზნესმახასიათებლები. მთლიანი აქტივების მიხედვით შედარებით პატარა ბანკისათვის, რომელიც ნაკლებად კომპლექსურ ბიზნესოპერაციებს ახორციელებს, ბანკმა შეიძლება დანიშნოს სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც რისკების მართვის სამსახურის ფუნქციას განახორციელებს.

ბანკის მოცულობიდან და ოპერაციების კომპლექსურობიდან გამომდინარე, რისკების

მართვის სამსახურის (სტრუქტურული ერთეულის) უფროსის თანამდებობა შეიძლება იყოს საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი (რისკის ამღები) სამსახურის უფროსის თანამდებობის ტოლფასი ან მისგან განსხვავებული. ამასთან, რისკების მართვის სამსახურის უფროსი უშუალოდ უნდა ექვემდებარებოდეს გენერალურ დირექტორს ან შესაბამის დირექტორს.

რისკების მართვის სამსახური დამოუკიდებელი უნდა იყოს რისკების ამღები სტრუქტურული ერთეულებისაგან, როგორიცაა ხაზინის, ინვესტიციების, დაკრედიტების, ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულები. რისკების მართვის სამსახურის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას შემდეგი:

ა) მონიტორინგი გაუწიოს რისკების მართვის კომიტეტის მიერ რეკომენდებული და დირექტორატის მიერ დამტკიცებული რისკების მართვის სტრატეგიის განხორციელებას;

ბ) საერთო პოზიციის/რისკების მონიტორინგი, აგრეთვე მონიტორინგი ცალკეული რისკისა და ბიზნესის სახეობის მიხედვით;

გ) სტრესტესტების გამოყენება, რათა დადგინდეს რისკების მართვის პოლიტიკისა

და სტრატეგიის განხორციელების გავლენა თითოეული რისკის ამღები სტრუქტურული ერთეულის მუშაობაზე;

დ) ბანკის შიგნით შემუშავებულ ნებისმიერ ახალ საქმიანობასთან და/ან პროდუქტთან დაკავშირებით წინადადებების განხილვა. საკითხების შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, შეუძლია თუ არა ბანკს განახორციელოს ახალი საქმიანობა და/ან პროდუქტი, მათ შორის გამოიყენოს ის სისტემა და პროცედურები, რომლებიც გავლენას იქონიებს ბანკის რისკების საერთო პროფილზე;

ე) რისკების პროფილის შესახებ ანგარიშის მომზადება და ბანკის გენერალური დირექტორისა და რისკების მართვის კომიტეტისათვის წარდგენა რეგულარულად ან სულ ცოტა კვარტალში ერთხელ. საბაზრო პირობების რაიმე მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში ანგარიში უფრო ხშირი ინტერვალებით უნდა მომზადდეს. ნაკლები რისკის შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად საკრედიტო რისკი, ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ყოველ კვარტალში ერთხელ.

საბანკო რისკების მართვის პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტების დადგენა. რისკის მართვის პოლიტიკა არის რისკის მართვის მიზნით შექმნილი წერილობითი დოკუმენტი და იგი უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ხედვას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. იგი უფრო მეტად ფოკუსირებული უნდა იყოს ბანკის ოპერაციებისათვის დამახასიათებელ რისკებზე.

რისკის მართვის პოლიტიკა არის რისკის მართვის სტრატეგიათა გაერთიანება, რომელმაც სხვა ასპექტებთან ერთად უნდა უზრუნველყოს და მოიცვას შემდეგი:

ა) ბანკმა დაიცვას რისკის ლიმიტი, რომელიც შესაბამისი იქნება ბანკის პოლიტიკასა და შიდა პროცედურებთან, კანონებთან და შესაბამისი ნორმატიული აქტების დებულებებთან;

ბ) ბანკი იმართებოდეს ისეთი ადამიანური რესურსების გამოყენებით, რო მე ლთაც აქვთ რისკის მართვასთან დაკავშირებული ცოდნა და გამოც დილება, ბანკის კომპლექსურობისა და ბიზნესშესაძლებლობების შესაბამისად;

გ) ბანკის მიერ საბანკო პროდუქტებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა თითოეული საბანკო პროდუქტისა და ოპერაციისათვის დამახასიათებელი რისკის ანალიზის საფუძველზე, რაც ბანკის ოპერაციებისა და საქმიანობის კომპლექსურობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს;

დ) ბანკის ეკონომიკური ნორმატივების გათვალისწინებით რისკების შეფასების მეთოდის შემუშავება და რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა ბანკის თითოეული საბანკო პროდუქტისა და ოპერაციის, აგრეთვე ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკის ზუსტი დაანგარიშების მიზნით, აგრეთვე რისკების თაობაზე მონაცემებისა და ინფორმაციის შესახებ ანგარიშების მომზადება, რომლებიც გამოყენებული იქნება მომგებიანი ბიზნესგადაწყვეტილებების მისაღებად;

ე) ლიმიტებისა და რისკების ზღვრების დადგენა, რომლებიც პოტენციური რისკების ლიმიტებს წარმოადგენს და რომლებიც შეიძლება ბანკის კაპიტალმა აიტანოს; აგრეთვე ბანკის რისკების მართვის მონიტორინგის ინსტრუმენტის შექმნა;

ვ) შიდა კონტროლის სისტემის შექმნა რისკების მართვის გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისობა შიდა პოლიტიკასა და პროცედურებთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან (შესაბამი სობის რისკი), მენეჯმენტისა და ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოპერაციების ეფექტიანობა და ქმედითობა და რისკის კულტურის ეფექტიანობა ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე;

ზ) რისკის რეიტინგის შეფასება, როგორც ბანკის მიერ საბანკო პროდუქტებისა და ოპერაციების ზოგიერთო ასპექტის მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელების საფუძველი;

თ) გაუთვალისწინებელ გარემოებათა გეგმის მომზადება ყველაზე ცუდი სცენარების გათვალისწინებით (გარეშე და შიდა ფაქტორები), რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბანკის გადარჩენა.

რისკების მართვის სტრატეგიის მიღებისას ასევე უნდა იქნეს გათვა ლის წი ნებული, ბანკის ფინანსური მდგომარეობა, ბანკის ორგანიზაციული სტრუქ ტუ რა და ის რისკები, რომელიც გარე და შიდა ფაქტორების ცვლილებით წარმოიქმნება.

პოლიტიკისა და პროცედურების ფორმულირებისა და რისკების ლიმიტების დადგენისას, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს რისკისადმი მიდრეკილება. ამ პროცედურებისა და ლიმიტების დადგენამ უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი: ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების გადაცემის ზუსტი მასშტაბები; ლიმიტების და პროცედურების დადგენის შესახებ ადეკვატური დოკუმენტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს განხილვასა და აუდიტს; დადგენილი პროცედურებისა და ლიმიტების რეგულარული განხილვა წელიწადში ერთხელ მაინც ან უფრო ხშირად, რომელიც ბანკის რისკის პროფილს, ტიპს, მოთხოვნებსა და განვითარებას შეესაბამება; როგორც საერთო ლიმიტების დაწესება, ასევე ლიმიტები რისკის ცალკეული სახეობების და ბანკის სპეციფიკურ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების მიხედვით.

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა

იოსებ ფოჩხუა

რამოდენიმე თეორემა ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის განშლადობის შესახებ

ვთქვათ, R არის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, რომელზეც განსაზღვრულია 2π პერიოდული ფუნქცია $f:R \to R$. დავუშვათ $f \in L[-\pi;\pi]$, მაშინ f ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს სახე:

$$f \sim \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty}(a_n cosnt + b_n sinnt),$$

ხოლო მის შეუღლებულ ტრიგონომეტრიულ მწკრივს ექნება სახე:

$$f \sim \sum_{n=1}^{\infty}(-b_n cosnt + a_n sinnt),$$

სადაც,

$$a_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t)cosktdt\,,\; b_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t)sinktdt,$$ k N.

მაშინ ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივის კერძო ჯამს ექნება სახე:

$$S_m(t;f) = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(y+t)D_m(y)dt,$$

სადაც

$$D_m(y) = \frac{1}{2} + cosy + \cdots + cosmy = \frac{sin\left(m+\frac{1}{2}\right)y}{\frac{2\sin y}{2}},$$

რომელსაც დირეხლეს ბირთვი ეწოდება.

$\{\chi_m(t)\}_{m=1}^{\infty}$ -ით ავღნიშნოთ ორთონორმირებული ჰაარის სისტემა, სადაც $t\in[0;1]$.

ჰაარმა დაამტკიცა, რომ თუ $f(t) \in L[0;1]$, მაშინ ფურიე-ჰაარის მწკრივი

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m(f)\chi_m(t)$$,

კრებადია თითქმის ყველგან $[0;1]$ შუალედზე $f(t)$ ფუნქციისკენ, სადაც

$$a_m(f) = \int_0^1 f(y)\chi_m(y)dy$$

მტკიცდება შემდეგი

ლემა 1. არსებობს 2π-პერიოდული $\{\varphi_n(t)\}_{n=1}^{\infty}$ ფუნქციათა მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

1.ფუნქცია $\varphi_n(t) \geq 0$, როცა $t \in [0;2\pi]$, ხოლო ინტეგრალი

$$\int_0^{2\pi} \varphi_n(t)dt = 2 \qquad (n = 1,2,\dots);$$

2. $\varphi_n(t)$ ფუნქცია $[0; 2\pi]$ შუალედში გააჩნია შემოსაზღვრული ვარიაცია.

3. ყოველ $\varphi_n(t)$ ფუნქციისთვის შეიძლება შერჩეულ იქნას ისეთი დადებითი რიცხვი M_n, სიმრავლე $E_n \subset [0; 2\pi]$ და q_n მთელი რიცხვი ისეთი, რომ

$$\lim_{n\to\infty} M_n = \infty;$$

$$\lim_{n\to\infty} mes E_n = 2\pi$$

ყოველი t წერტილისთვის E_n სიმრავლეში არსებობს $p_n(t)$ ნომერი ისეთი , რომ

$p_n(t) \le p_n$ და $\left|S_{p_n(t)}(t, \varphi_n)\right| > M_n (n = 1, 2, \dots).$

სადაც $S_p(t, \varphi_n)$- ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამია.

ამ ლემის საფუძველზე მტკიცდება

თეორემა1. (ა.კოლმოგოროვ) არსებობს $\Phi(t) \in L(0; 2\pi)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი განშლადია თითქმის ყველგან.

თეორემა 2. არსებობს

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m \chi_m(t), \qquad \text{სადაც} \sum_{m=1}^{\infty} a_m^2 < \infty$$

მწკრივი, რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე.

თეორემა 3. $L^2(0,1)$ სივრცეში, ნებისმიერი $\{f_i\}_{i=1}^{\infty}$ ბაზისისთვის არსებობს $F \in L^2(0,1)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს მწკრივი

$$F(t) = \sum_{k=1}^{\infty} a_k f_k(t) (a_k = (F, \psi_k)),$$

რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე. სადაც $\{\psi_k\}$, არის $\{f_k\}$ სისტემის შეუღლებული სისტემა.

ლიტერატურა

1. П. Л. Ульянов А. Н. Колмогоров и расходящиеся ряд Фурье Успех матю наук. т.38 вып. 4(232) 1983 г.
2. Л. В. Жижиашвили некоторые вопросы теории тригонометрических рядов Фурье и их сопряженных Издательство Тбилисского университета 1993г.

I. Pochkhua

On the S^2 Sphere on the Second-Order Differential of the Vallee-Poussin Integral

Let R^3 be three-dimentional Euclidean space, points of which we denote as $x=(x_1,x_2,x_3)$, $y=(y_1,y_2,y_3)$, etc., (x:y) be a scalar product of the vectors x and y and $(x;y)=x_1y_1+x_2y_3+x_3y_3$, the

length of the vector x is equal to $|x| = \sqrt{(x;x)} = \sqrt{\sum_{i=1}^{3} x_i^2}$

Denote a unit sphere $\{x; x \in R^3, |x| = 1\}$ by S^2. Spaces of summable functions and continuous on S^2 denote by $L(S^2)$ and $C(S^2)$ respectively.

Cartesian coordinates x_1, x_2, x_3 and spherical ones p, θ, φ of the point x are connected with equalities:

$$x_1 = p\cos\theta$$
$$x_2 = p\sin\theta\cos\varphi$$
$$x_3 = p\sin\theta\sin\varphi$$
$$0 < \theta, 0 \le \varphi \le 2\pi$$

Denote by γ the angle that is made with radii drawn from the origin of coordinates to points $x = (\theta, \varphi) \in S^2$ and $y = (\theta', \varphi') \in S^2$

It is easy to show, that

$$(x, y) = \cos\gamma = \cos\theta\cos\theta' + \sin\theta\cos\varphi\sin\theta'\cos\varphi' + \sin\theta\sin\varphi\sin\theta'\sin\varphi'. \quad (1)$$

if $\theta = 0$, i.e. x coincides with the pole, then from (1) we get $\cos\gamma = \cos\theta'$, therefore $\gamma = \theta'$.

$Let f \in L(S^2)$. Integral

$$V_n(f; x) = \frac{(n+1)}{4\pi} \int_{S^2} \left[\frac{1 + (x; y)}{2}\right]^n f(y) dS^2(y) \quad (2)$$

We shall call Vallee-Poussin singular integral.

It is easy to show [1] that

$$\int_{S^2} \left[\frac{1 + (x; y)}{2}\right]^n dS^2(y) = \frac{4\pi}{n+1}$$

Denote Laplace operator on the sphere S^2 or in R^3 by D. An angular part of the Laplacian $\overline{\Delta} f(x)$, written in spherical coordinates [1] is

$$D = \frac{1}{\sin\theta}\frac{\delta}{\delta\theta}\left(\sin\theta\frac{\delta}{\delta\theta}\right) + \frac{1}{\sin^2\theta}\frac{\delta^2}{\delta\theta^2}$$

Generalized Laplace operator $\overline{\Delta} f(x)$ at the point $x \in S^2$ of function f is defined by the equality:

$$\overline{\Delta} f(x) = \lim_{h \to 0} \frac{\frac{1}{2\pi \sinh} \int_{C(x;h)} f(y) dS(y) - f(x)}{\sin^2 \frac{h}{2}}$$

The operator of the second order has a form:

$$\overline{\Delta}^2 f(x) = \lim_{h \to 0} \frac{\frac{1}{2\pi \sinh} \int_{C(x;h)} f(y) dS(y) - f(x) - \overline{\Delta} f(x) \sin^2 \frac{h}{2}}{\frac{1}{4}\sin^2 \frac{h}{2}}$$

Let

$$\phi_n(\gamma)=\frac{n+1}{4\pi}\left(\frac{1+\cos\gamma}{2}\right)^n$$

In [1] the following Lemma was proved:

Lemma 1. The following equality is true.

$$D^2\phi_n(\gamma)_{\substack{\theta=0\\ \phi=0}}=\frac{n(n+1)}{2^{(n+1)}\pi}[(n-1)-(n+1)\cos\gamma](1+\cos\gamma)^{n-1}=n(n+1)(\phi_{n-1}(\gamma)-\phi_n(\gamma))$$

It is clear, that

$$D^2\phi_n(\gamma)\big|_{\substack{\theta=0\\ \phi=0}}=n(n+1)(D\phi_{n-1}(\gamma)-D\phi_n(\gamma))=$$

$$=\frac{n^2(n+1)}{4\pi}\left((n-1)^2-2n^2\left(\frac{1+\cos\gamma}{2}\right)+(n+1)^2\left(\frac{1+\cos\gamma}{2}\right)^2\right)\left(\frac{1+\cos\gamma}{2}\right)^{n-2}=$$

$$=n^2(n+1)\{(n-1)\phi_{n-2}(\gamma)-2n\phi_{n-1}(\gamma)+(n+1)\phi_n(\gamma)\}$$

The following lemmas are proved:

Lemma 1.

1. $\int_0^\pi D^2\hat{O}_n(\gamma)\sin\gamma d\gamma=0;$
2. $\lim_{n\to\infty}\max_{0<\delta\le\gamma\le\pi}\left|D^2\phi_n(\gamma)\right|=0;$
3. $\int_0^\pi D^2\hat{O}_n(\gamma)\sin\gamma\sin^4\frac{\gamma}{2}d\gamma=\frac{1}{2\pi}\left[1-\frac{5n+6}{n^2+5n+6}\right];$
4. $\int_0^\pi\left|D^2\hat{O}_n(\gamma)\right|\sin\gamma\sin^4\frac{\gamma}{2}d\gamma=O(1).$

Lemma 2. If the equalities $f(x)=0$, $\overline{\Delta}f(x)=0$ and $\overline{\Delta}^2f(x)=0$ imply

$$\lim_{n\to\infty}DV_n(f;x)=0.$$

Then from $\overline{\Delta}^2f(x)=S$ it follows that

$$\lim_{n\to\infty}DV_n(f;x)=S.$$

Theorem 1. $Let\, f\in L(S^2)$. If at point $x\in S^2$ finite function $\overline{\Delta}^2f(x)$ exists, then

$$\lim_{n\to\infty}D^2V_n(f;x)=\overline{\Delta}^2f(x)$$

Theorem 2. $If\, \overline{\Delta}^2f(x)\in C(S^2)$, then $\lim_{n\to\infty}D^2V_n(f;x)=\overline{\Delta}^2f(x)$ uniformly over x.

REFERENCES

1. S.B. Topuria. Trudy Gruz. Politekh. Instituta, 3(260), 1983, 5-11 (Russian).

I. Pochkhua

On the S^2 Sphere on the Second-Order Differential of the Vallee-Poussin Integral

Resume. **Notions of a Laplace operator and a generalized Laplace operator of the first and second orders are introduced. By means of the Laplacians, sufficient conditions of convergence of the integral of the differ entiated two times Vallee-poussin integral are proved.**

ᲙᲘᲡᲛᲘᲡᲠᲗᲘᲚᲘ

ᲚᲐᲨᲐ ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲕᲐ

ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ

საბანკო კანონმდებლობის უმთავრესი ამოცანაა განსაზღვროს კომერციული ბანკების იურიდიული უფლება-მოვალეობები საბანკო ოპერაციების განხორციელების პროცესში, ხოლო საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება, ბანკებისადმი წარდგენილი მოთხოვნების საყოველთაობის საფუძველზე, განაპირობებს ისეთი ეკონომიკური გარემოს შექმნის შესაძლებლობას, რომელიც როგორც ცალკეული ბანკის, ისე მთლიანად საბანკო სისტემის სტაბილურობასა და მდგრადობას უზრუნველყოფს.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დადგენილია ბანკის უფლება-მოვალეობათა ძირითადი პრინციპები, რომლებიც საყოველთაოდ არის აღიარებული და დაკანონებული, ესენია:

1. ბანკი უფლებამოსილია მოიზიდოს და განკარგოს ფულადი საშუალებები;
2. აწარმოოს საბანკო-საანგარიშსწორებო მომსახურება და გა-დარიცხვები კლიენტებისა და ბანკი-კორესპონდენტების მითითებით;
3. გახსნას კლიენტებისა და ბანკი-კორესპონდენტების, მათ შო-რის უცხოური ბანკების საბანკო ანგარიშები და მოემსახუროს მათ;
4. გამოუშვას, გაყიდოს, იყიდოს და შეინახოს საგადასახადო დოკუმენტები და ფასიანი ქაღალდები, ასევე აწარმოოს მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;
5. გასცეს გარანტიები, იშუამდგომლოს და შეასრულოს სხვა ვალდებულებები მესამე პირთათვის, თუ იგი ექვემდებარება შესრულებას ფულადი ფორმით;
6. მოიპოვოს საქონლის მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მოთხოვნები, თავის თავზე აიღოს უფლებამოსილება ამ მოთხოვნების შესრულებაზე, აწარმოოს მათი ინკასირება (ფორფეიტინგი) სასაქონლო ნაკადების დამატებითი კონტროლირებით (ფაქტორინგი);
7. აწარმოოს ანგარიშებსა და ანაბრებზე არსებული უცხოური და სამამულო ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები რეზიდენტებთან და არარეზიდენტებთან;
8. მოიზიდოს და მარაგის სახით იქონიოს ძვირფასი ლითონები, ასევე აწარმოოს ძვირფასეულობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი ოპერაცია, რომელიც ნებადართულია საერთაშორისო საბანკო კანონმდებლობით;
9. აწარმოოს ნდობითი, ანუ სატრასტო ოპერაციები, რაც შეიძ-ლება გულისხმობდეს ფულადი სახსრების და ფასიანი ქაღალდების მოზიდვას, განთავსებას და ბრუნვას კლიენტის განკარგულებისა-მებრ;
10. აწარმოოს ლიზინგური და იპოთეკური ოპერაციები;
11. აწარმოოს საბროკერო და საკონსულტაციო მომსახურება;
12. აწარმოოს სხვა საკომისიო-შუამდგომლობითი ოპერაციები და მომსახურება.

როგორც ცნობილია, თანამედროვე საბანკო სისტემაში კომერციული ბანკების საქმიანობას არეგულირებს ცენტრალური ბანკი კანონებით, რომლებიც შეადგენენ საბანკო სისტემის საკანონმდებლო საფუძველს და ინსტრუქციებით, რომლებიც განსაზღვრავენ

საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის ეკონომიკურ ნორმებს. კომერციული ბანკებისადმი წარდგენილი ძირითადი სამართლებრივი ნორმატივებია:

– საწესდებო კაპიტალის ფორმირებისა და კაპიტალის საკმარი-სობის ნორმატივი;

– კომერციული საკრედიტო ორგანიზაციის მიერ ნაკისრი რის-კების ზღვრული სიდიდის ნორმატივები;

– ცენტრალურ ბანკში დეპონირებული აუცილებელი რეზერვების მინიმალური ოდენობის ნორმატივი;

– სხვა მოთხოვნები, რომელთა შეუსრულებლობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობაზე, ან საზედამხედველო შემოწმების უტყუარობაზე, როგორიცაა საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებასთან დაკავშირებული ნორმატივები, აუდიტორული დასკვნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული წესები და სხვა.

ბანკის ფუნქციონირების მომდევნო ეტაპზე მნიშვნელოვანია საწესდებო კაპიტალის, როგორც საბანკო საქმიანობის რეგულირების ფუნქცია, რომელიც საბანკო ოპერაციების მოცულობისა და შესაბამისად, საბანკო რისკების გაუმართლებელი ზრდის შემთხვევაში შეზღუდვის ზომების განხორციელებას გულისხმობს.

ჩვეულებრივი საწარმოო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ბანკის კაპიტალი იყოფა ე.წ. „პირველად კაპიტალად" და „მეორად კაპიტალად" (Core capital and Supplimentary capital), მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში და საბანკო სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში პირველადი და მეორადი კაპიტალის შემადგენლობა განსხვავებულია. საქართველოს ეროვნული ბანკის დადგენილებით:

„პირველადი კაპიტალი" – მოიცავს საკუთარი ჩვეულებრივი აქციების რეალიზაციიდან, ან პარტნიორების მიერ წილის შეტანით მიღებულ კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებას და სხვა.

„მეორად კაპიტალში" კი იგულისხმება პრივილეგირებული აქ-ციების რეალიზაციიდან მიღებული კაპიტალი, მიზნობრივი ფონდები, საერთო რეზერვები, სუბორდინირებული სესხები (მინიმუმ 5 წელი) და სხვა.

რაც შეეხება ბანკებისათვის ფიქსირებული საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის დაწესებას, ვფიქრობთ საყურადღებოა თავად ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ პრინციპებში დაფიქსირებული შეხედულება:

„საბანკო ზედამხედველობის ორგანო უნდა ადგენდეს ბანკის საკუთარი კაპიტალისადმი მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც ასახავენ ბანკების მიერ გაწეული რისკის ხასიათს და ბანკის კაპიტალის კომპონენტებს მისი ზარალის დაფარვის უნარის გათვალისწინებით. იმ ბანკებისათვის, რომლებიც აქტურად არიან ჩართული საერთაშორისო ოპერციებში მოთხოვნები არ შეიძლება იყოს კაპიტალისადმი ბაზელის შეთანხმებით დადგენილ მოთხოვნებზე დაბალი"[32]. ამგვარად, საზედამხედველო ორგანოების მხრიდან საწესდებო კაპიტალის მიმართ კონკრეტული მოთხოვნების წაყენებით ფაქტიურად იქმნება ეკონომიკური ქცევის ნორმები, ბანკების ფინანსური არამდგრადობისა და გადაჭარბებული რისკებისაგან დასაცავად.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის მართვა, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ნიშნით უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოების უმთავრეს პრობლემად იქცა. მასთან დაკავშირებული მოთხოვნების

[32] Core principles for Banking Supervision. Basle commitee on Banking Supervision. Basle 2007.

წაყენებით ფაქტიურად განისაზღვრება ეკონომიკური ქცევის ნორმები, რომელთა შესრულება იცავს ბანკებს რისკების ზრდისა და სხვა გაუთვალისწინებელი სირთულეებისაგან, ამასთან მის წარმატებულ კომერციულ საქმიანობაზე მეტყველებს. როგორც ცნობილია, რაც უფრო მაღალია საბანკო ოპერაციებში რისკის დონე, მით უფრო იზრდება მოთხოვნები კაპიტალის საკმარისობასთან დაკავშირებით, ხოლო კაპიტალის ადეკვატურობა საზედამხედველო და მარეგულირებელი ორგანოებისათვის ბანკის საიმედოობის ერთ-ერთ უტყუარ მახასიათებელს წარმოადგენს.

კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი ფაქტიურად განიხილება, როგორც ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი, მაგრამ არა განყენებული მახასიათებელი, რომელიც ბანკის საქმიანობის სისტემური ანალიზის დროს სხვა ანალიტიკურ მაჩვენებლებთან ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ.

კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრისათვის გადაისინჯა მრავალი მიდგომა და შესაბამისად, მისი გამოთვლის სხვადასხვა ხერხები არსებობს, მაგრამ საბოლოოდ საერთაშორისო აღიარება ჰპოვა კუკის კოეფიციენტმა, რომელიც საბანკო კაპიტალის მოცულობასა და აქტიური ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფარდებით განსაზღვრავს კაპიტალის შესაძლებლობებს მოსალოდნელ დანაკარგებთან მიმართებაში.[33]

$$\text{კაპიტალის საკამარისობა (K)} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{რისკის მიერ შეწონილი აქტივების ჯამი}}$$

1988 წლიდან კუკის კოეფიციენტი დაკანონებულ იქნა ბაზელის საერთაშორისო კომიტეტის მიერ საკრედიტო ორგანიზაციების კაპიტალის საკმარისობასთან დაკავშირებით შემუშავებულ მეთოდიკაში და წარმოადგენდა ერთგვარ შეთანხმებას ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტსა და მის წევრ ქვეყნებს შორის.

სანამ კომერციული საკრედიტო ორგანიზაციის მიერ ნაკისრი რისკების ზღვრული სიდიდის ნორმატივზე ვისაუბრებდეთ, განვიხილოთ მისი არსი და წარმოშობის ფაქტორები:

საბანკო პრაქტიკაში რისკი გვევლინება როგორც განსაზღვრული მოვლენების ზემოქმედებით გამოწვეული მოსალოდნელი დანაკარგი, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საკრედიტო, სადეპოზიტო, საფონდო, სავალუტო რისკებთან, ლიკვიდობის დაუბალანსებლობასთან, საბანკო ბოროტმოქმედებასთან, სტიქიურ უბედურებასთან და სხვა. ამდენად, საგანგებო დამცავი ღონისძიებების გატარება, ამ შემთხვევაში რისკების ზღვრული სიდიდის ნორმატივის შემოღება მათი მოცულობის მაქსიმალური შეზღუდვის საშუალებას იძლევა, რაც საბოლოო ჯამში ბანკის საქმიანობის საიმედოობისა და ეფექტიანობის ზრდას განაპირობებს.

მეოცე საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში ბაზრების დარეგუ-ლირების, კაპიტალის მობილურობის გაზრდის, ახალი საბანკო პრო-დუქტებისა და ტექნოლოგიების ფართო გავრცელების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდებოდა საბანკო რისკებიც, რაც საბანკო კრიზისების სახით გამოვლინდა, როგორც განვითარებადი (არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ტაილანდი, მალაიზია, ინდოეთი), ისე „ეგთო" (იაპონია, ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, ჩეხეთი,

[33]ЕрпилёваИ.Ю. «Международноебанковскоеправо» Москва, 2008. стрю 21

საფრანგეთი) ქვეყნებში. ამ პირობებში, საზედამხედველო სამსახურებმა, კერძოდ ბაზელის კომიტეტმა გამოაქვეყნა რისკების შეფასებასთან დაკავშირებული რიგი დირექტივები და განმარტებები საკრედიტო ორგანიზაციებისათვის. კერძოდ: რისკების შემადგენლობაში გამოყოფილ იქნა სამი მსხვილი კატეგორია: საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი და სხვადასხვა სახის რისკები, რომლებიც მოიცავს პირველ რიგში საოპერაციო რისკს, საპროცენტო რისკს ბანკის ბალანსის ანგარიშების მიხედვით, ასევე ლიკვიდობის დაკარგვის, რეპუტაციის გაუარესების და ა.შ. რისკებს. სამწუხაროდ მესამე კატეგორიის რისკების გამოვლენისა და დაჯგუფების მეთოდოლოგია ჯერ-ჯერობით არასაკმარისადაა დამუშავებული და მუშაობა მათი შესწავლის მიმართულებით გრძელდება.

ახალი მეთოდიკის მიხედვით განსაზღვრულია მსესხებლის შემდეგი ძირითადი კატეგორიები: ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები (ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება და ცენტრალური ბანკი) კომერციული ბანკები და რეალური სექტორის არასაფინანსო ინსიტუტები. ახალ მეთოდიკაში დაშვებულია რისკების შეწონვის ახალი შეფასებების გამოყენებაც, კერძოდ, 100%-ზე მეტი, მაგალითად, 150% და ა.შ. გარდა ამისა, განსაზღვრულია მსესხებლის ქვეყნების მიხედვით დაჯგუფების მიზანშეწონილობის საკითხიც სარეიტინგო სააგენტოების მიერ ბანკის ვალდებულებების ინდივიდულაური შეფასების საფუძველზე.

პირველი კატეგორია – ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისა და ცენტრალური ბანკების სახით მიჩნეულია ყველაზე საიმედო ჯგუფად. რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, მათ მიმართ მოთხოვნების რისკი ერთი გრადაციით დაბალია პირველი კატეგორიის ორგანოების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ რისკის კოეფიციენტი კომერციული ბანკებისათვის შეიძლება შეიცვალოს მისი სარეიტინგო შეფასების პარალელურად. ანუ კოეფიციენტი, რომელიც როგორც წესი 50% შეადგენს, შეიძლება შემცირდეს 20%-მდე თუ ბანკს მინიჭებული აქვს უმაღლესი სარეიტინგო შეფასება, ან გაიზარდოს 100%-მდე საწინააღმდეგო დაბალი რეიტინგის არსებობის შემთხვევაში. ანალოგიურად მოქმედებს სარეიტინგო შეფასების მონაცემები მესამე კატეგორიის – არასაფინანსო ინსტიტუტების რისკების კოეფიციენტების დადგენაზეც. თუ საწყისი მაჩვენებელი 100%-ია, მაღალი სარეიტინგო შეფასების შედეგად იგი 20%-მდე მცირდება, ხოლო დაბალი რეიტინგის დაფიქსირებით 150%-მდე იზრდება.

ცვლილების შეტანის შემდეგ ახალ შეთანხმებას მომხრეების მრავალრიცხოვნობის მიუხედავად სერიოზული მოწინააღმდეეგებიც გამოუჩნდა, რომლებიც მას „ზედმეტად რეგლამენტირებულს" უწოდებდნენ და თვლიდნენ, რომ იგი ბანკებს რისკების ეფექტიანად მართვის სურვილს დაუკარგავდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მხრიდან განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი გახდა ამ შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი დებულება – რისკების შეფასებისათვის საკუთარი რეიტინგების გამოყენების შესახებ, რადგან შინაგანი რეიტინგების საფუძვლზე შეუძლებელია რისკების ობიექტური შეფასება. ამ ექსპერტების აზრით, დამოუკიდებელი სარეიტინგო სისტემა უფრო საიმედო და ობიექტურია, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისების და სხვა საბაზრო გაუგებრობების პროგნოზირებაში. თუმცა, როგორც ბატონი ი. კოვზანიძე მიიჩნევს: „გარდამავალი ეკონომიკისა და არც ისე განვითარებული საბანკო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში აღიარებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების არარსებობის გამო რისკების შეფასების აღნიშნულ მეთოდიკაზე გადასვლა საკმაოდ გაძნელდება".

რთულ პრობლემას წარმოადგენს რისკების შეფასება გარესაბალანსო ოპერაციების მიხედვით, რადგან ამ ანგარიშებზე ძირითადად პირობითი და საგარანტიო ოპერაციები აღირიცხება, რომელთა შესრულება შესაძლო ხასიათის მატარებელია. ამდენად, რისკების შეფასება შემდეგი პროცედურების გატარებას ითვალისწინებს: თავდაპირველად გარესაბა-

ლანსო ვალდებულების ნომინალური თანხა გადაიყვანება საკრედიტო რისკის ექვივალენტებში, შემდეგ კი მიიღება შეწონილი მაჩვენებელი საბალანსო ოპერაციების მიხედვით მსესხებლის კატეგორიის შესაბამისად.

ბაზელის შეთანხმებაში წარმოდგენილ იქნა გარესაბალანსო ოპერაციების მიხედვით რისკების შეფასების სახეცვლილი ვარიანტი:

– ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო შემდეგი სახის ვალდებულებებს: ფინანსური გარანტიები, საბანკო აქცეპტები, სასესხო და ფასიანი ქაღალდების სთენდ-ბაი-აკრედიტივები – 100%.

– პირობითი ვალდებულებები გარიგებების მიხედვით, ზოგიერ-თი სახის ობლიგაციები და სთენდ-ბაი-აკრედიტივები ზოგიერთი სახის ოპერაციების მიხედვით – 50%.

– მოკლევადიანი თვითლიკვიდირებადი პირობითი ვალდებულებები სავაჭრო ოპერაციების მიხედვით (დოკუმენტური აკრედიტივი) – 20%.

– ვალდებულებები ანდერრაიტინგზე ერთ წელზე მეტი ვადით – 50%.

– ბანკის ვალდებულებები, საკრედიტო ხაზები 1 წელზე მეტი ვადით – 50%.

– ანალოგიური ვალდებულებები 1 წლით, ან ნებისმიერ დროს დაფარვის უფლებით – 0%.

– ვადიანი საპროცენტო და სავალუტო გარიგებები (სვოპები, ოფციონები და ფიუჩერსები). ვალდებულებების ამ კატეგორიის მიხე-დვით პოტენციური საკრედიტო რისკი განისაზღვრება განსაკუთრებული წესით, რადგან იგი დამოკიდებულია არა კონტრაქტის მთლიან ნომინალურ თანხაზე, არამედ გადასახდელი პრემიის ოდენობაზე. გარიგების რომელიმე მონაწილის გაკოტრების შემთხვევაში საპროცენტო კონტრაქტების მიხედვით რისკის პროცენტული სიდიდე შეთანხმების მიხედვით დადგენილია ნულოვან დონეზე 1 წლამდე ვადის კონტრაქტებისათვის და 0,5%-ის ოდენობით 1 წელზე მეტი ვადით, სავალუტო კონტრაქტებისათვის შესაბამისად 1% და 5%.

რაც შეეხება საბანკო რეზერვის ნორმატივს იგი სამართლიანად ითვლება საბანკო საგადასახადო-საანგარიშსწორებო მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირების ძირითად პირობად. გარდა ამისა, რეზერვი ასრულებს არასაიმედო სესხების დაზღვევის ფუნქციასაც, ხოლო ამცირებს რა საბანკო აქტივების რისკიანობას, მინიმუმამდე დაჰყავს დანაკარგები და იცავს ბანკს გაკოტრებისაგან, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მთლიანად საბანკო სისტემის სტაბილურობის განმტკიცებას.

განვითარებული საბანკო სისტემის მქონე ქვეყნების უმრავლესობაში რეზერვების ნორმები მიკროეკონომიკური მიზნების განხორციელებისათვის ნაკლებად გამოიყენება. თუმცა ეს შეიძლება გამართლებულიც კი იყოს საბანკო სისტემის განვითარების ამა თუ იმ ეტაპის თავისებურებების გათვალისწინებით. როგორც წესი, ძალზე მაღალი სარეზერვო ნორმების დაწესება არ შეესაბამება მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ საერთო ტენდენციას, მაგრამ მათი შემცირება არ არის რეკომენდებული ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან და ანტიინფლაციური, მარეგულირებელი ზომების გატარებას საჭიროებენ.

საქართველოში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბანკო რეზერვების ფორმირებას. ბოლო ათწლეულის მოვლენების შეფასებითი რკვევა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უდავოდ პოზიტიური ღონისძიებები იქნა განხორციელებული კომერციული ბანკების ე.წ. "სარეზერვო პოლიტიკის" სრულყოფის მიმართულებით, რასაც მოწმობს სპეციალური წესების შემუშავება ერთის მხრივ "კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციის და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების შესახებ" და მეორეს მხრივ – "მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის შესახებ".

2001 წლის 15 იანვრიდან ამოქმედდა „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი“. იგი არეგულირებს როგორც ბანკის მიერ გაცემული სესხების (პირობითი ვალდებულებით წარმოშობილი დავალიანების ჩათვლით), ასევე ბანკთაშორისი დეპოზიტების, არასაბანკო ქონების, გირაოთი დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების კლასიფიკაციას რისკის მიხედვით და შესაძლო დანაკარგების გასანეიტრალებლად შესაბამისი რეზერვების შექმნას. აღნიშნული დოკუმენტით აქტივების კლასიფიკაციას განსაკუთრებული ეკონომიკური დატვირთვა მიეცა: იგი იძლევა აქტივების ხარისხისა და რეალური ღირებულებების დადგენის საშუალებას, რაც განმსაზღვრელია ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის.

ამ წესის ამოქმედებასთან ერთად, კომერციული ბანკები ვალდებულნი გახდნენ შეემუშავებინათ წერილობითი პოლიტიკა აქტივების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ბანკების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ მათმა დიდმა ნაწილმა გარკვეულიკორექტირება განიცადა მოქმედი წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

კლასიფიკაციას, როგორცწესიდაექვემდებარა, ნებისმიერივალუტითფორმირებულიდასაბალანსოუწყისებშიარსებულიყველააქტივი; გირაოდაიპოთეკა, როგორცლიკვიდურიანარალიკვიდურიუზრუნველყოფისკატეგორია; რესტრუქტურიზებულისესხები; ბანკთაშორისიდეპოზიტებიდასხვ. კატეგორიებისმიხედვითაქტივებისკლასიფიკაციისგანხორციელებისდროსბანკმაუნდაგამოიყენოსმათგარშემოარსებულინფორმაციაზედაყრდნობილიმოსაზრებები, რაცუნდაეფუძნებოდესთოთოეულკატეგორიასთანდაკავშირებულსტანდარტებსადაკომპონენტებს. დღეისათვისგამოყოფილია 5 კატეგორია, ესენია:

– სტანდარტულისესხები, როცარეზერვისესხისძირითადითანხისგადაუხდელინაშთის 2%-სუნდაშეადგენდეს;

– საყურადღებოსესხები, ამჯერადრეზერვიგანისაზღვრებასესხისძირითადითანხისგადაუხდელინაშთის 10%-ისოდენობით;

– არასტანდარტულისესხები, ამშემთხვევაშისარეზერვოპროცენტი 30%-მდეიზრდება;

– საეჭვოსესხები, სარეზერვო 50%-ისოდენობით;დაბოლოს

– უიმედოსესხები, რომელზეცგათვალისწინებულიასესხისძირითადითანხისგადაუხდელინაშთის 100%-იანირეზერვი.

კომერციულიბანკებისმიერაქტივებისკლასიფიკაციისადაშესაძლოდანაკარგებისრეზერვებისშექმნისადაგამოყენებისწესისთანახმადბანკივალდებულიააწარმოოსასევეარასასესხოაქტივებისკლასიფიკაცია, მათიშესაძლოდანაკარგებისრეზერვებისშექმნადაუიმედოაქტივებისბუღალტრულიაღრიცხვადაჩამოწერა.

რაცშეეხება “მინიმალურისარეზერვომოთხოვნებისგაანგარიშებისადადაცვისწესს”, ამდოკუმენტისთანახმად, ეროვნულიბანკიკომერციულბანკებსუწესებსმინიმალურსარეზერვომოთხოვნებს, რომლებიცგანისაზღვრებაბანკებისმოზიდულსახსრებთანპროცენტულითანაფარდობით, გამოისახებასაპროცენტოგანაკვეთითდაექვემდებარებაეროვნულბანკშისავალდებულოშენახვას. ესრეზერვები, თავისმხრივდაყოფილიამინიმალურსავალდებულორეზერვებადდამინიმალურგასაშუალოებულრეზერვებად. ძირითადიგანსხვავებამათშორისგამოიხატებაიმ ნიშნით, რომმინიმალურისავალდებულორეზერვებიექვემდებარებაშენახვასბანკებისსავალდებულორეზერვებისანგარიშზეეროვნულბანკში, ხოლომინიმალურიგასაშუალოებული-

რეზერვები – ბანკებისსაკორესპონდენტოანგარიშზეროვნულბანკში.[34] აქვეუნდააღინიშნოს, რომმინიმალურისარეზერვომოთხოვნებისნორმადგინდებაცალცალკეეროვნულიდაუცხოურივალუტითსაშუალომოზიდულისახსრებისმიხედვით. ანგარიშგებამინიმალურისარეზერვომოთხოვნებისშესრულებისშესახებეროვნულიბანკისზედამხედველობისადარეგულირებისსამმართველოსწარედგინებადეკადურად, იგიპასუხისმგებელიასაჯარიმოსანქციებისდაწესებაზეამმოთხოვნებისშეუსრულებლობის, ანმათთანდაკავშირებულისხვადარღვევებისაღმოჩენისშემთხვევაში.

ჩვენსმიერზემოთგანხილულისამინორმატივი, შეიძლებაჩაითვალოსკომერციულიბანკებისათვისწაყენებულსავალდებულომოთხოვნათახერხემლადიურიდიულასპექტში, რომელზეცაგებულიადანარჩენინორმატიულიაქტებიდამოთხოვნები, მაგრამროგორცპრაქტიკულადდადასტურდა,საბანკოსაქმიანობისპოტენციურსაფრთხედშეიძლებაიქცესარამხოლოდქვეყნისშიგნითრეგისტრირებულიბანკების, არამედიმუცხოურიბანკებისსაქმი-ანობაც, რომლებიცარექვემდებარებიანრეგულირებასამავექვეყნისკანონმდებლობით. ამდენად, დროთაგანმავლობაშიმომწიფდააზრიიმისშესახებ, რომრეგულირებისპროცესისსრულყოფისათვისშეუძლებელიამოქმედებამხოლოდეროვნულიკანონმდებლობისფარგლებშიდა ქვეყანაშირეგისტრირებულიბანკებისადამათიფილიალებისპარალელურადაუცილებელიაყველაუცხოურიწარმომავლობისსაკრედიტოდაწესებულებისდამათიმოქმედიშვილობილიორგანიზაციებისსაქმიანობისგამჭვირვალობაც, რაცმხოლოდსხვადასხვასახელმწიფოებისსაზედამხედველოორგანოებსშორისმჭიდროთანამშრომლობითმიიღწევა. აღნიშნულიპრობლემებისმოგვარებისმიზნით, ათთაჯგუფის – “ – 10”ცენტრალურიბანკებისხელმძღვანელებისმიერჩამოყალიბდაბაზელისკომიტეტი, რომლისდაფუძნებისსაფუძვლადიქცა 1975 წლის 12 თებერვლისსაერთაშორისოანგარიშსწორებისბანკისმიერგავრცელებულიპრეს-კომუნიკე[35].

ბაზელის კომიტეტი მიზნად ისახავდა საბანკო რეგულირების საკითხებისადმი ერთგვაროვანი მიდგომის შემუშავებას მონაწილე ქვეყნებს შორის, რაც საბოლოოდ ზედამხედველობისა და კონტროლის 25 ძირითადი პრინციპის სახით ჩამოყალიბდა, რომელმაც სრულად მოიცვა ბანკებისა და საზედამხედველო ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი. განვიხილოთ ეს პრინციპები და მათი სრულყოფის შესაძლო მიმართულებები:

1. საზედამხედველო ფუნქციების დაკანონება. ცენტრალურ ბანკს ენიჭება ნორმატიული აქტების შემუშავების უფლება, რომელთა შესრულება საყოველთაო იქნება ნებისმიერი ტიპის საკრედიტო ორგანიზაციისათვის.

2. უნივერსალურობა და აუცილებლობა. ზედამხედველობას უნდა დაექვემდებაროს ყველა საკრედიტო ორგანიზაცია გამონაკლისის გარეშე, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის ტერიტორიაზე, ამასთან ზედამხედველობაზე თანხმობა და საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნათა შესრულება აუცილებელი პირობაა არა მარტო საბანკო ლიცენზიის მოსაპოვებლად, არამედ საბანკო ოპერაციების განსახორციელებლადაც.

3. საზედამხედველო ორგანოთა მოთხოვნების ერთგვაროვნება. ყველა საკრედიტო ორგანიზაციას, რომლებიც ასრულებენ ერთნაირ ფუნქციებს, უნდა წარედგინოთ ერთნაირი მოთხოვნები, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია დიფერენციაციაც, რაც თავისმხრივ გათვალისწინებულია საბანკო კანონმდებლობით.

---

[34]მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესი, ჟურნალი ბანკი 5-6/2011, გვ. 60-62

[35] Thompson. The Basle Concordat International Collaboration in Banking Supervizion. Current Legal Issues Affecting Central banks. IMF, Volume I, pg. 331.

ბაზელის პრინციპების თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ წესებისა და ნორმების განსაზღვრას, რომელთა დაცვა დაეხმარება ბანკს თავისი საქმიანობის საწყის ეტაპზე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში. ესენია: ლიკვიდურობის, გადახდისუნარი-ანობის, სავალუტო, საკრედიტო, საპროცენტო, საბაზრო და სხვა რისკების მაქსიმალური დონის ნორმატივები.

ბაზელის კომიტეტის გადაწყვეტილებით, სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში, მარეგულირებელ ორგანოებს ევალებათ ასევე მაღალი ეთიკური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა, ფულად-საკრედიტო ბაზრებზე სტაბილურობის შენარჩუნება, კრიმინალური სტრუქტურების მიერ ბანკების საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოყენების ფაქტების აღმოჩენა და აღკვეთა და სისტემური კრიზისების თავიდან აცილება, თანამედროვე მაკორექტირებელი ზომების საშუალებით.

მით უფრო ახლადჩამოყალიბებული საბანკო სისტემისათვის, რომელსაც გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უწევს განვითარება და რომლისთვისაც მეტად აქტუალურია ღირსეული ადგილის დამკვიდრება მსოფლიო საბანკო საზოგადოებაში, კერძოდ, ნდობის მოპოვება როგორც უცხოელ ინვესტორებთან, ისე ადგილობრივ მოსახლეობაში, უდავოდ აუცილებელია თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის მიმართულებით.

ლაშა ხარებავა – *ფაზისის სამეცნიერო, საერო აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.*

სახელმწიფო მართვის სტრუქტურის მახასიათებლები

ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება გარკვეული ორგანიზაციული ფორმების რეალიზაციას ეფუძნება, რომელთა ერთობლიობაც წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმს. სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმში ცენტრალური ადგილი უკავია სახელმწიფო აპარატს, რომელიც აერთიანებს სახელისუფლო ორგანოებს. სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმში სახელმწიფო აპარატთან ერთობლიობაში აგრეთვე განიხილება უშუალო დემოკრატიის ზოგიერთი ფორმა (რეფერენდუმი, არჩევნები და სხვა), ანუ მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციის ფორმები.

სახელმწიფოს მართვის მექანიზმი წარმოადგენს სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და დაწესებულებათა იერარქიულ სისტემას, რომელიც სარგებლობს მონოპოლისტური უფლებებით სახელმწიფო საკითხების (პრობლემის) გადაწყვეტაში და გააჩნია სათანადო ორგანიზაციული, მატერიალური და სხვა საშუალებები.

სახელმწიფო ხელისუფლება მოქმედებს რა თავისი კონკრეტული ორგანოებისა და დაწესებულებების მეშვეობით უწესებს მათ გარკვეულ უფლებამოსილებებს და აკისრებს შესაბამის კომპენტენციას. სასურველია, რომ სახელმწიფო მმართველობით ორგანოებს გააჩნდეთ შეწონასწორებული უფლებები, მოვალეობები და შესაბამისი პასუხისმგებლობა, რაც უნდა ფიქსირდებოდეს შესაბამის კანონებში და კანონქვემდებარე აქტებში.

სახელმწიფო მართვის ყოველი ორგანო და ორგანიზაცია მის დაქვემდებარებაში მყოფი საკითხების გადაწყვეტისათვის და უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის, მას გააჩნია მისთვის შესატყვისი სტრუქტურა, საკადრო შემადგენლობა და სხვა. მთავარი კი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო უნდა ყალიბდებოდეს სახელმწიფოში კანონით დადგენილი წესით. იგი უნდა მოქმედებდეს კანონით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში და ყველა სახელმწიფო ორგანო ერთობლიობაში უნდა ქმნიდეს ერთიან სისტემას.

სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმის ეფექტურობის განსაზღვრა მოითხოვს კომპლექსურ, სისტემურ კვლევებს, რომელთა პირობებშიც აუცილებელი ხდება მისი შემადგენელი ცალკეული ელემენტის (ინსტიტუტების) ოპტიმალურობის განსაზღვრა, მათი ურთიერთშეთანაწყობის ხარისხის შეფასება (სტატიკურ მდგომარეობაში) და მათი ფუნქციონირების პროცესში (დინამიკაში). ამავე დროს არასრულყოფილი იქნება სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმის შეფასება მხოლოდ მისი შემადგენელი ინსტიტუტების ანალიზის საფუძველზე. აუცილებლობას წარმოადგენს იმ გარემოს შეფასება, რომელიც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების (ინსტიტუტების) მოღვაწეობის ხარისხის შეფასებაში. ეს არის: პოლიტიკური ვითარება, სამოქალაქო საზოგადოების სრულყოფილება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აგრეთვე საგულისხმოა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გავლენის გათვალისწინება.

სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების ფორმირება, როგორც წესი (დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოებში) ხორციელდება ხელისუფლების შტოთა გამიჯვნის საფუძველზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) რაციონალური ორგანიზაცია და სრულფასოვანი კონტროლის განხორციელების მიზნით. აშშ-ის 1787 წლის ფედერალური კონტიტუციის მთავარი „არქიტექტორი! ჯეიმს მედისონი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებათა შტოების გამიჯვნა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სახელმწიფო ორგანოების განცალკევება. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო მმართველობითი ორგანოები უნდა წარმოადგენდნენ ერთიან სისტემას, მაგრამ ხელისუფლების ცალკეულ შტოს უნდა გააჩნდეს დანარჩენი სახელისუფლებო ორგანოების კონსტიტუციური კონტროლის უფლება, რაც თავისთავად ხელისუფლების შტოთა გამოჯვნის აუცილებლობას ამტკიცებს.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ქვეყნებში სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია არჩეულ პრეზიდენტს. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაურის როლი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საპარლამენტო რესპუბლიკაში. საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტს არ გააჩნია სამთავრობო ხელისუფლება და სახელმწიფოს მართვის საქმეში ის მონაწილეობას არ ღებულობს.

იმი ძირითადად წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს, თუმცა კონკრეტული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით, თუ ის მმართველი პარტიის ხელმძღვანელობას ეკუთვნის, მას შეუძლია ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზე.

სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ძალზე მნიშვნელოვანია პრეზიდენტის როლი იმ ქვეყნებში სადაც იგი აღჭურვილის სამთავრობო ხელისუფლებით და ფორმალურად ან ფაქტობრივად აერთიანებს ერთ პიროვნებაში სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებას. მსგავსი მდგომარეობა პირველ რიგში ტიპიურია აშშ-სა და ლათინური ამერიკის საპრეზიდენტო რესპუბლიკებისათვის და მმართველობის შერეული ფორმის ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორიც საფრანგეთია.

შეიძლება ითქვას, რომ აშშის სახელმწიფო მმართველობის იერარქიაში პრეზიდენტი გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე კონგრესი. აქ პრეზიდენტის სამართლებრივი მდგომარეობა საპრეზიდენტო რესპუბლიკის კლასიკური ნიმუშის დონეზეა წარმოდგენილი, როგორც კონსტიტუციური, ისე კონსტრუქციული სისტემით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. პრეზიდენტის ხელისუფლება აშშ-ში ქვეყნის სახელმწიფო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ფაქტორია და იგი ქვეყნის მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავს, რამდენადაც კონსტიტუციის თანახმად მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება მას ეძლევა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში თითქმის ცალსახად საპრეზიდენტო ხელისუფლებას მიენიჭა უპირატესობა. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც პრეზიდენტი უმაღლესი თანამდებობრივი პირი და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, უზბეკეთის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის პრეზიდენტები სახელმწიფოს მეთაურები არიან

საპრეზიდენტო რესპუბლიკების და მმართველობის შერეული ფორმების ქვეყნების სახელმწიფოს მეთაური ფართო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სფეროში და მას საკანონმდებლო პროცესზე ზემოქმედების გადამწყვეტი საშუალებანი გააჩნია. იგი ფლობს განკარგულებით (რეგლამენტირებულ) ხელისუფლებას, მნიშვნელოვან პრეროგატივებს შეიარაღებულ ძალთა და სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის სფეროში.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნული მატარებელი. მთავრობის წევრები განიხილებიან როგორც პრეზიდენტის თანაშემწენი და მის მიერვე ინიშნებიან ან დაითხოვებიან. თანაც ამ შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობის წესი არ მოქმედებს.

სახელმწიფოს მეთაურის სახელით და მისი ხელმოწერით გამოიცემა აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი აქტები. საპარლამენტო რესპუბლიკებსა და მონარქიებში ამგვარი აქტები საჭიროებენ მთავრობის მეთაურისა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი მინისტრის ხელმოწერით დადასტურებას. საპარლამენტო რესპუბლიკებსა და შერეული მართვის ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტები არ საჭიროებენ მინისტრთა კონტრასიგნაციას, რადგან ეს არის მათი ქმედების აუცილებელი პირობა.

სახელმწიფო მეთაური აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ხელმძღვანელობს ადმინისტრაციულ აპარატსა და შეიარაღებულ ძალებს, ნიშნავს უმაღლეს სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირებს, არის შეიარაღებულ ძალთა მეთაური. აშშ-ის პორეზიდენტს შეუძლია გასცეს ბრძანება ამერიკის შეიარაღებულ ძალთა გამოყენებაზე, თუ ეს არ არის დაკავშირებული ომის გამოცხადებასთან, რადგან ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება კონგრესის კომპეტენციას განეკუთვნება.

საკანონმდებლო ხელისუფლება წარმოადგენს წარმომადგენლობით ხელისუფლებას. არჩევნების შედეგად მოსახლეობა გადაცემს თავის რჩეულთ უფლებებს, რათა მათ იმოღვაწეონ საკანონმდებლო ხელისუფლებაში და მათი (ხალხის, ამომრჩეველთა) სახელით განახორციელონ სახელმწიფოს მართვის საკითხები. აღნიშნული დებულების საფუძველზე შეიძლება ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ წარმომადგენლობითი ორგანოები შეადგენენ პირველად საფუძველს სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმში.

საკანონმდებლო ხელისუფლება ერთის მხრივ პირველადი და უზენაესია ვინაიდან ხელისუფლების სხვა შტოები (აღმასრულებელი და სასამართლო) ეფუძნებიან მის მიერ მიღებულ კანონებს. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მთელი სახელმწიფო ხელისუფლება თავმოყრილია საკანონმდებლო ორგანოებში. ამგვარად, საკანონმდებლო ხელისუფლება არის ხალხის მიერ დელეგირებული უფლებებით აღჭურვილი ჯგუფი სახელმწიფო მართვის უფლებების განხორციელებისათვის საკანონმდებლო თვალსაზრისით.

საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება კოლეგიალურად საკანონმდებლო აქტების განხილვითა და მიღებით. აგრეთვე აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელებით, უმთავრესად ფინანსურ სფეროში.

საკანონმდებლო ხელისუფლების რეალიზება არჩეული პარლამენტის მეშვეობით წარმოებს, რომელიც ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით, საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს. როგორც წესი, დემოკრატიულ ქვეყნებში პარლამენტი ორი პალატისაგან

შედგება. ორპალამენტიანი (ზედა და ქვედა) პარლამენტი მეტად დაზღვეულია ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისაგან, რაც არც ისე იშვიათად ახასიათებს ერთპალატიან პარლამენტს. ორპალატიანი პარლამენტის ზედა პალატის უფლებამოსილებანი, როგორც წესი, უფრო ხანგრძლივია ვიდრე ქვედა პალატისა. ზედა პალატის შემადგენლობა უფრო ნაკლებ განახლებას განიცდის და დაკოპლექტებულია უფრო ასაკოვანი და გამოცდილი დეპუტატებით. მისი ანუ ზედა პალატის ფორმირება ხორციელდება არაპირდაპირი არჩევნების გზით და უმეტეს ქვეყნებში ზედა პალატის ვადამდელი დათხოვნა არ ხდება ქვედა პალატის მსგავსად.

პარლამენტი და მისი ორივე პალატა თავისი უფლებამოსილებათა პერიოდში ქმნიან კომიტეტებს (ქვეკომიტეტებს) და კომისიებს (მუდმივი, დროებითი და შერეული). მსოფლიოს პარლამენტარიზმის ტრადიციების მქონე ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და აუცილებელი კომისიაა – შემათნხმებელი კომისია, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს პალატათა შორის შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევა განსხვავებულ შეხედულებათა პირობებში. პარლამენტის კომისიებს გააჩნიათ საკანონმდებლო ინიციატივები კანონშემოქმედებაში, აგრეთვე მთავრობისა და სახელმწიფო მმართველობითი აპარატის მოღვაწეობის კონტროლის უფლება.

პარლამენტს გააჩნია გადასახადების დაწესების, სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების, ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობების პროცესში მონაწილეობისა, ქვეყნის თავდაცვის საკითხების გადაწყვეტის უფლებები. პარლამენტს აგრეთვე შეუძლია განახორციელოს სხვა ფუნქციებიც, კერძოდ: პრეზიდენტისა და მთავრობის წევრების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა (იმპიჩმენტი), სპეციალური საგამოძიებო კომისიების შექმნა და სხვა.

პარლამენტის მუშაობის პირობებს და წესს განსაზღვრავს მისი რეგლამენტი, რომელშიც აისახება კანონშემოქმედებითი პროცედურების თანმიმდევრობა. კერძოდ: საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის განხილვა კომისიებსა და პლენარულ სხდომებზე, მიღება, დამტკიცება და გამოქვეყნება.

სახელმწიფო-სამართლებრივი დოქტრინა მთავრობას ტრადიციულად განიხილავდა, როგორც აღმასრულებელი ხელისფულების ორგანოს, რომელიც მოქმედებს კანონის საფუძველზე და მის აღსასრულებლად. იგი ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ახორციელებს სახელმწიფოს საერთო პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და ყოველდღიური საქმეების მართვას.

მთავრობა, როგორც ტერმინი, განზოგადოებული სახელწოდებაა საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული აღმასრულებელი ორგანოების ნაირფეროვნებისა, რომელთაგან იგი ყველაზე ხშირად მინისტრთა კაბინეტად, უფრო ნაკლებ მინისტრთა საბჭოდ იწოდება.

თავად სიტყვა „მინისტრი“ - ლათინური „მინისტერიუმიდან“ წარმოდგება და თანამდებობას, სამსახურს ნიშნავს. აქედან იღებს სათავეს – მინისტრთა კაბინეტიცა და მთავრობის მეთაურით – პრემიერ-მინისტრად წოდებული პირველი თანამდებობის პირი. თუმცა აქაც ფუნქციონალური ერთგვაროვნების პირობებში გვხვდება ტერმინოლოგიური სხვადასხვაობა, იტალიაში, მაგალითად, მთავრობის მეთაური ოფიციალურად იწოდება მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ, გერმანიასა და ავსტრიაში კანცლერად, ხოლო ნორვეგიაში – სახელმწიფო მინისტრად.

ხელისუფლების დანაწილების შესახებ თეორიის შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლება იზღუდებოდა და წონასწორდებოდა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიერ და ეს ტრიადა სახელმწიფო მექანიზმის შიგნით ქმნიდა „ურთიერთშეკავშირებისა და გაწონასწორების“ სისტემას. თავად ტერმინი „აღმასრულებელი ხელისუფლე-

ბა“, მთავრობის როლისა და ადგილის თვალსაზრისით მიუთითებს მის დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების სისტემაში და მის პოზიციაზე, რომლის ტოლფასი ფორმულა ასე გამოიყურება – აღასრულებს, მაგრამ არ წყვეტს.

მთავრობა საერთო მმართველობის ორგანოთა რიგს განეკუთვნება. იგი ათანხმებს და წარმართავს სამთავრობო ხელისუფლების ქვემდებარე ყველა სამინისტროს და უწყების მუშაობას. ამასთან მთავრობა შეიმუშავებს სახელმწიფოს შინაგანი და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას ცხოვრებაში.

სამთავრობო პროგრამის რეალიზაცია აისახება მთავრობის გადაწყვეტილებებში, დოქტრინებში, ცირკულარებში და ბრძანებულებებში, რომლებიც განსაზღვრავენ ადმინისტრაციის მოღვაწეობას. ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნორმატული ხასიათსი აქტების სახე ეძლევათ და მათ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ზოგადსავალდებულო ძალა ენიჭებათ.

მთავრობა სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც სარეგლამენტო (განმკარგულებელი) ხელისუფლების მატარებელი, რაც მას საშუალებას აძლევს გამოსცეს ისეთი ნორმატიული აქტები, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს იმ საკითხებს არეგულირებენ, რომლებით მთავრობის განმგებლობას მიეკუთვნებიან. ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებით სარგებლობენ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მთავრობის ცალკეული წევრებიც.

მთავრობას გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და აქტიურად ზემოქმედებს საკანონმდებლო პროცესზე, რომ ქვეყნებში მთავრობის კანონპროექტს პრიორიტეტი გააჩნია იმ კანონებთან შედარებით, რომლებსაც დეპუტატები წარმოადგენენ ზოგიერთ სფეროებში. მაგალითად, საბიუჯეტო სფეროში მთავრობას გააჩნია განსაკუთრებული უფლება შეიტანოს კანონპროექტი. სამთავრობო წინადადების გარკვეული ვადის განმავლობაში დაუმტკიცებლობა მას აძლევს შესაძლებლობას აამოქმედოს თავისი კანონპროექტი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის პარლამენტის მიერ არ იქნება დამტკიცებული.

მთავრობის მეთაურის ხელში სამთვრობო ხელისუფლების კონცენტრაციის პროცესს რიგ ქვეყნებში საკანონმდებლო განმარტება ახლავს თან. გერმანიაში ფედერალური კანცლერი ადგენს პოლიტიკის ძირეული დებულებებს და პასუხიმგებელია მათი განხორციელებისათვის. იტალიაში მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე ხელმძღვანელობს საერთო პოლიტიკას და პასუხისმგებელია მთავრობის პილიტიკის განხორციელებისათვის.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სამთავრობო ხელისუფლების განხორციელების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციონალურ დატვირთვას მათდამი განსაზღვრული კომპეტენციის აღსრულების თვალსაზრისით. ამდენად, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მმართველობის სისტემაში განსაზღვრული „ადგილმდებარეობით“, არამედ მათდამი მინიჭებული ფუნქციების ხასიათითაც. ამ ნიშნით სახელმწიფო ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოები შეიძლება ხუთ ჯგუფად დაიყოს:

1. არსებული წყობილების და მართლწესრიგის ორგანოები, – როგორიცაა შინაგან საქმეთა სამინისტრო დ პოლიცია, თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალების შტაბი, იუსტიციის სამინისტრო, სპეცსამსახური;

2. საგარეო ურთიერთობის ფუნქციების მატარებელი ორგანოები – საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკური კავშირების და საგარეო ვაჭრობის სამსახურები და ე.წ. საგარეო ურთიერთობათა კონვენციური ორგანოები;

3. ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც ეკონომიკურ ფუნქციებს განახორციელებენ – გარდა ფინანსებისა და ვაჭრობის ტრადიციული ორგანოებისა აქ იქმნება მეურნეობის ძირითადი დარგების – მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის და ა.შ. განმგებელი ორგანოები;

4. სახელმწიფო სოციალური ფუნქციების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოები: შრომის, ჯანდაცვის, განათლების სამინისტროები, სოცუზრუნველყოფის საკითხების განმგებელი უწყებანი;

5. იდეოლოგიური ფუნქციების განმახორციელებეი სამსახურები: აქ გარდა იდეოლოგიური დამუშავების „ტრადიციული“ ხერხებისა (ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების აპარატი, ეკლესია, პერიოდული პრესა, რომელიც მონოპოლიებს ეკუთვნის). იქმნება სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საზოგადოებრივი აზრის გადამუშაცების ფუნქციებს.

იდეოლოგიური ფუნქციის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ინფორმაციის, განათლების, კულტურის, მეცნიერების სამინისტროებს. სპეიალური დანაყოფები, რომლებიც მოწოდებული არიან ზემოქმედება მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, იქმნებიან ცენტრალურ უწყებებში. ჩვეულებრივ, ესენი არიან საზოგადოებასთან კავშირისათვის შექმნილი განყოფილებები ან ჯგუფები.

სასამრთლო ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მესამე შტოს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში კანონიერებისა და სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას. იგი ამავდროულად სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმის მოქმედების დამაბალანსებელი და საზოგადოებაში სამართლიანობის განუხრელი დაცვის საშუალებაა.

ცივილიზებულ სამყაროში სასამართლო ხელისუფლება დამოკიდებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. უფრო მეტიც იგი გამოდის მედიატორის როლში მოქალაქის (პიროვნების) ინტერესების დაცვაში ხელისუფლებასთან სადაო ვითარების წარმოქმნის პროცესში.

სასამართლო ხელისუფლება ხელმძღვანელობს რა კონსტიტუციური დებულებებით და კანონებით დამოუკიდებელია თავის გადაწყვეტილებებში. ამავე დროს მას გარკვეული უპირატესობა გააჩნია საკანონმდებლო და აღამსრულებელ ხელისუფლებასთან შედარებით ოპერატიულობის თვალსაზრისით.

შეიძლება აღინიშნოს ის, რომ სასამერთლო ხელისუფლება წარმოადგენს სპეციფიკურ, დამოუკიდებელ სახელმწიფო ხელისუფლების შტოს, რომელიც საჯაროდ (შეჯიბრებითი პაექრობითი, კოლეგიური მიდგომით იხილავს სასამრთლო სხდომებზე სამართლებრივი გადახდებისა და დარღვევების საკითხებს პიროვნებებს, პიროვნებათა ჯგუფებს, პარტნიურებს, კონკურენტებს და სახელისუფლებო ორგანოებს შორის, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ქვეყანაში მოქმედი კონსტიტუციისა და მოქმედი კანონების საფუძველზე.

სასამართლო ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი) გამიჯვნის კონსტიტუციური და სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში.

სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურა გარკვეულად განსხვავდება ფედერაციული და უნიტარული მოწყობისა და მართვის სახელმწიფოებში. როგორც წესი, უმეტეს ქვეყნებში არსებობს სამი დონის (ინსტანციის) სასამრთლოები (უზენაესი ან უმაღლესი, საოლქო და ადგილობრივი). გარდა აღნიშნულისა რიგ ქვეყნებში შექმნილია საკონსტიტუციო სასამართლოები.

მთლიანობაში სამართლის განხორციელების სისტემა შეიცავს სასამრთლო ორგანოებს, რომლებიც მოქმედებენ კონსტიტუციურ, ზოგად (საერთო) სამეურნეო, ადმინისტრაციულ და სხვა იურისდიქციის სფეროში.

ადგილობრივი მმართველობა, როგორც სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი ელემენტი, რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის და სახელმწიფოს საერთო ინტერესების თავშეყრის კვანძს წარმოადგენს.

ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება ამ მიზნით შექმნილი ხელისუფლების მიერ დანიშნული წარმომადგენლების მიერ. და თუ ადგილობრივი მმართველობა მხოლოდ პირველი მათგანის პრეროგატივაა სახელმწიფო ცენტრალური ორგანოებისადმი დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით, მაშინ ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების ასეთი მექანიზმი ადგილობრივი თვითმმართველობის კატეგორიას განეკუთვნება.

ადგილობრივი, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, მუნიციპალური თვითმმართველობა ძირითადად მოიცავს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მართვას, რომელიც ხორციელდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის მიერ არჩეულ ორგანოებისა და მათი ადმინისტრაციული აპარატის მეშვეობით.

ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფო მმართველობის ერთგვარად დეცენტრალიზებული ფორმაა, რომლის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს არჩევითობა და გარკვეული დამოუკიდებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მართვა-გამგეობაში, რისთვისაც იქმნება შესაბამისი ორგანოების სისტემა, რომელთაც საკუთარი აღმასრულებელი აპარატი, შესაბამისი უფლებამოსილებანი და მატერიალური ბაზა გააჩნიათ მუნიციპალური საკუთრების სახით.

მუნიციპალური ორგანოები, განსხვავებით სახელმწიფო მექანიზმის სხვა რგოლებისაგან, უფრო მჭიდრო, უშუალო კონტაქტში არიან მოსახლეობასთან და ამდენად უფრო საგნობრივად და ოპერატიულად რეაგირებენ ადგილებზე პოლიტიკური კლიმატის ცვლილებებზე. თუმცა, მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ელემენტარულად აღრეულია ზღვარი მმართველობისა და თვითმმართველობის ცნებების მოცულობებს შორის, მათი უფლებრივი დამოუკიდებლობა ერთგვარად იზღუდება კიდეც, როცა ადგილობრივი მმართველობის მთელი რიგი ფუნქციები დაკისრებული აქვთ ცენტრალური ხელისუფლების დანიშნულ წარმომადგენლებს, მით უფრო როცა ეს ურთიერთობა მკაფიოდ არ არის დარეგულირებული შესაბამისი კანონმდებლობით.

ჭეშმარიტად დემოკრატიულად მიჩნეულია ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციის ის სისტემა, რომელიც არა მარტო აცხადებს, არამედ რეალურად უზრუნველყოფს მართვის ქვედა რგოლების წარმომადგენლობითი ორგანოების ოპერატიულ მონაწილეობას ადგილობრივი მართვის საქმეში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებას, ჩვეულებრივ, განსაზღვრავენ როგორც სპეციალური კანონები ადგილობრივი მმართველობის შესახებ, აგრეთვე კანონები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ დარგებს.

აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და უმრავლეს კაპიტალისტურ ქვეყნაში ადგილბრივი ორგანოების კომპეტენციის საზღვრები დადგენილია მათი უფლება-მოვალეობებისა და სახელმძღვანელო საგნების დეტალური ჩამონათვალის სახით. ამ ქვეყნებში მუნიციპალიტეტებს მხოლოდ კანონით დადასტურებული ქმედებათა უფლება გააჩნიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივი ორგანოების აქტები არამართლზომიერად. კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევა.

სხვადასხვაგვარი უფლებამოსილებანი, რომელიც მუნიციპალურ ორგანოებს გააჩნიათ, შეიძლება გაერთიანდეს შემდეგ ძირითად ჯგუფებში:

1) საფინანსო-ეკონომიკური უფლებამოსილებანი, რომელთა შორის მთავარია ადგილობრივი ბიუჯეტის მიღება;

2) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფერობში არსებული უფლებამოსილებანი. მუნიციპალურ ხელისუფლებათა განმგებლობაშია ისეთი აღმასრულებელი ორგანოები, როგორიცაა ადგილობრივი პოლიცია, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს საპატრულო და სხვა დაცვითი სამსახური, სანიტარული პოლიცია და პოლიციური საქმიანობის სხვა სახეები.

3) კომუნალური მომსახურების, კეთილმოწყობისა და ბუნების დაცვის სფეროში არ-

სებული უფლებამოსილებანი. აქ შედის: ტრანსპორტის განვითარება და მოძრაობის რეგულირება, ადგილობრივი საგზაო მშენებლობა, დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობა, ჰაერისა და წყალსაცავების დაბინძურების წინააღმდეგ ზომების მიღება, წყალმომარაგება, განათება და ა.შ.

4) სოციალური სფეროში არსებული უფლებამოსილებანი. აქ შედის: მოწყალება და მეურვეობა, დახმარება საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე, იაფი ბინების მშენებლობა, მუნიციპალური საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, ბიბლიოთეკების და სხვა ობიექტების მშენებლობა.

მუნიციპალური მმართველობა შეიცავს ორი სახის ორგანოებს, როგორიც არის არჩევითი მუნიციპალური საკრებულიები (საბჭო, ასამბლეა) და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც ფორმალურად მოწოდებულნი არიან ცხოვრებაში გაატარონ წარმომადგენლობითი ასამბლეის გადაწყვეტილებანი.

მუნიციპალური საკრებულო. რომელიც შეიძლება სხვადასხვა დასახელებას ატარებდეს – საგრაფოს საბჭო, გენერალური საბჭო, მუნიციპალური საბჭო, კომუნალური საბჭო – განვითარებული ქვეყნების უდიდეს ნაწილში აირჩევა პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების საფუძველზე შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტოიული ერთეულის მოსახლეობის მიერ.

მუნიციპალური საკრებულოს დამხმარე ორგანოებია მუდმივი და დროებითი კომისიები, რომლებიც, დარგობრივი პრინციპით იქმნებიან საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში ან ასრულებენ ერთჯერად საკონტროლო ფუნქციას.

მმართველობის მუნიციპალურ სისტემათა მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს მუნიციპალურ საკრებულასთან ერთად შეადგენს აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც ადგილობრივი საქმიანობის ყოველდღიურ და ოპერატიულ მართვას ახორციელებენ.

არსებობს ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ფორმირების სამი ძირითადი სახესხვაობა:

პირველი სახესხვაობაა, როცა მუნიციპალური საკრებულო თავისი წევრების რიგებიდან ირჩევს თანამდებობის პირებს, რომლებიც ქმნიან ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს. მას შეიძლება ჰქონდეს ერთპიროვნული (მერი – საფრანგეთში) ან კოლეგიალური (მაგისტრატი – გერმანიის ზოგიერთ მიწებში) ხასიათი. ასეთი აღმასრულებელი ორგანოს რეალური როლი არაერთგვაროვანია სხვადასხვა ქვეყანაში. აღმასრულებელი ორგანოების ასეთ სახესხვაობას განეკუთვნება აგრეთვე, მონარქის მიერ შესაბამისი მუნიციპალური საკრებულოს წარმოდგინებით დანიშნული მერები და ბურგომისტრები ჰოლანდიასა და ბელგიაში.მეორე სახესხვაობა დაფუძნებულია მოსახლეობის მიერ. მინიციპალური საკრებულოს და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოს ცალ-ცალკე არჩევაზე. ყველაზე სრულად და დასრულებული სახით ეს სისტემა გამოიყენება იაპონიაში, სადაც გუბერნატორები პრეფექტურებში, ქალაქების მერები და სოფლების მამასახლისები აირჩევიან უშუალოდ მოსახლეობის მიერ. ეს სისტემა სხვადასხვა სახით გამოიყენება აშშ-ის ზოგიერთ შტატში და გერმანიის ადგილობრივი მმართველობის ზოგიერთ რგოლში.

აღმასრულებელ ორგანოთა მესამე სახესხვაობაა არაარჩევითი ორგანოები, რომლებსაც დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გააჩნიათ არჩევითი ორგანოები, რომლებსაც დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გააჩნიათ არჩევითი მუნიციპალური საკრებულოს მიმართ.

ზოგიერთ სახელმწიფოებში ადმინისტრაციული ზედამხედველობისა და კონტროლის გარდა მოქმედებს მუნიციპალური ხელისუფლების გადაწყვეტილებების ცენტრალური ორგანოების აქტებისადმი შესაბამისობის სასამართლო კონტროლი, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მიერ ხორციელდება.

ხელოვნება

ნელი კვახაძე-ჯამრიშვილი

ბუმბულით შესრულებული უნიკალური შემოქმედება

შუამთის ძველი ტაძარი

„მოძღვარი“

ყინწვისის ტაძარი

მეტეხის ტაძარი

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი

ბერად აღკვეცილი
რუსთაველი

სვეტიცხოველი

მცხეთა

გიორგი ნოქარიშვილი

შემოქმედება

პეიზაჟი „ვენეცია“

ნატურმორტი „შემოდგომა“

აბსტრაქცია „მზის ამოსვლა“

აბსტრაქცია

„მინდვრის ყვავილები“

„მზესუმზირები“

„ყვავილები“

პეიზაჟი „ჩემი ეზო“

აბსტრაქცია
„აფხაზეთის ლანდშაფტი“

ჟანა ხვიჩია

თექაზე შესრულებული ნამუშევრები







ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტი

ნორჩი ათინათელები

ლუკა შედანია

ინტერვიუ ბატონ გურამ ოდიშარიასთან

ბატონო გურამ, ჩემთვის დიდი პატივია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან საუბარი. ამჟამად მსურს მოგისმინოთ, როგორც პოეტს, პროზაიკოსს, სცენარისტს, დრამატურგსა და მთარგმნელს...

მე ვარ ლუკა შედანია. ვსწავლობ 167-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასში. ჩემს რამდენიმე თანატოლთან ერთად, ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „ათინათის“ ერთ-ერთი აქტიური ავტორი. ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორმა და აკადემიის პრეზიდენტმა, პოეტმა ქალბატონმა გულნაზ ხარფაიშვილმა, ყველა თაობის წარმომადგენელი დააკავშირა ერთმანეთთან. ჩემი და ჩემი თანატოლების გზამკვლევი გახლავთ ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ჟურნალ „ათინათის“ საბავშვო განყოფილების რედაქტორი, ქალბატონი ლამარა გერგედავა, ხელშემწყობი და მხარდამჭერი კი სკოლის დირექტორი ლაშა კილაძე.

ჩვენს სკოლაში, ნორჩი ათინათელების საქმიანობა მასწავლებელთან, ლამარა გერგედავასთან ერთად, ერთი ჩვეულებრივი, საგაკვეთილო პროექტის შემდეგ დაიწყო. მას შემდეგ ვთანამშრომლობთ რედაქციასთან. საინტერესო ისაა, რომ ამას გამოხმაურება მოჰყვა ჩვენსავე სასწავლებელში და შეიქმნა ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრე, რომელსაც ფილოლოგი ქალბატონი ლელა მესხი ხელმძღვანელობს.

ჟურნალ „ათინათის“ საბავშვო განყოფილება უკვე, კარგა ხანია, საქართველოს სხვა სკოლებთანაც ამყარებს კავშირს და აქტიურად ცდილობს გამოავლინოს შემოქმედი მოსწავლეები, მოიწვიოს ისინი რედაქციაში , როგორც ნორჩი ავტორები.

ჩვენ ვაფასებთ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას , განსაკუთრებით, გვიყვარს ლიტერატურა.

ახლა კი რამდენიმე კითხვა მინდა დაგისვათ:

1. ბატონო გურამ, თქვენ საინტერესო ბიოგრაფია გაქვთ, სხვადასხვა დროს სოხუმში ეწეოდით აქტიურ კულტურულ საქმიანობას, განსაკუთრებით რომელს გამოყოფდით?

ლექსების წერა პატარაობიდანვე დავიწყე, დედა პედაგოგია, ხორავას ქალი, (აკაკი ხორავას ნათესავი). ამჟამად 94 წლისაა და დევნილობის შემდეგ ცხოვრობს თბილისში.

მე ხუთი წლისას შემეძლო კითხვა, 6-7 წლის ასაკში ბევრი წიგნი მქონდა წაკითხული, მეორე კლასიდან დავიწყე ლექსების წერა და პირველად მე-9 კლასში ვიყავი, როცა დაიბეჭდა ჩემი ნამუშევრები.

პირველ კურსზე სწავლისას ჩემი ლექსები ერთ-ერთ სოლიდურ კრებულში შევიდა, მას შემდეგ გამოვეცი 20-23 წიგნი. პარალელურად ვხატავდი, მე-5 კლასში ვიყავი, როცა ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი ნახატები, მაგრამ, საბოლოოდ, ლიტერატურამ გადასძლია.

წიგნების უმეტესობა თავად მე გავაფორმე, როგორც მხატვარმა, ფოტოხელოვნებაც მიტაცებდა. ახლა ამ ყველაფრისთვის ვერ ვიცლი.

ჩემი ლექსები, ცხრა წიგნი, ასევე ერთი ლიტერატურული ზღაპრების კრებული, აფხაზეთში გამოიცა ომამდე. ვწერდი ნოველებსაც, მაგრამ, ყოველთვის, როგორც პოეტს ისე მიცნობდნენ.

ლუკა შედანია, გურამ ოდიშარია და გულნაზ ხარაიშვილი

ნახატებსა და ლექსებში ვცდილობდი ნათლად წარმომეჩინა სოხუმის ბუნების თავისებურებანი.

გალაკტიონ ტაბიძე თავის ერთ-ერთ წერილში მოგვითხრობს: „ჩვენ ზღვაზე ლექსებს ვწერთ როგორც ტურისტები, ჩავდივართ, ვისვენებთ და ვბრუნდებით, მაგრამ ზღვას სხვა თვალი სჭირდება, იქ დაბადებული კაცის, რომ შეიგრძნოს იგი“. მისი ეს ჩანაწერი გამოვიყენე, როგორც ჩემი შემოქმედების გზამკვლევი და შუქურა. მე ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ მე ზღვის პოეტი უნდა გავმხდარვიყავი. ზღვა თავისი ფერებით გამოირჩევა, დილით სხვაა, საღამოს სხვა... სოხუმში ხარობს უამრავი უნიკალური მცენარე, მაგალითად: არგენტინული აურაკარია, მექსიკური აგავა, უამრავი ჯიშის პალმა და ეგზოტიკური ყვავილები. იქ შენობებიც კი სხვანაირია - სასტუმრო „რიწა“ (რომელიც ომის დროს დაიწვა), სასტუმრო „აფხაზეთი“. ზღვისპირა ქალაქში უფრო ადრე თენდება, ვიდრე სხვაგან, რადგან როგორც კი ამოვა მზე, ზღვა უზარმაზარ სარკესავით ირეკლავს სინათლეს, ამიტომ ზღვისპირა ქალაქებში სინათლე ყოველთვის უხვადაა, სადაც ბევრია სინათლე, იქ ფერებიც გამოკვეთილია.

ვან გოგს თუ გავიხსენებთ მას აქვს შემოქმედების 2 პერიოდი. ჩრდილოეთ ევროპაში ცხოვრებისას მის ნამუშევრებში ჭარბობდა მუქი ფერები, ხოლო სამხრეთში, ხმელთაშუა ზღვის პირას ცხოვრებისას – ნათელი, სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე.

შემოქმედი უნდა ცდილობდეს შექმნას რაიმე ახალი, თქვას ისეთი რამ, რაც სხვას ჯერ არ უთქვამს. ამიტომ ბევრს ვკითხულობდი და ვსწავლობდი. სკოლის პერიოდში გალაკტიონი იყო ჩემი კერპი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ამ პოეტს იმდენი ღვაწლი ჰქონდა ქართულ პოეზიაში, ლექსებში ახალს ვერაფერს ვიტყოდი, ამიტომაც, სხვა გზა ავირჩიე - ვერლიბრი, თეთრი ლექსები.

ძალიან ბევრი ვიკითხე აღმოსავლური ფილოსოფია, კერძოდ ძენ-ბუდიზმი, (დაუმთავრებელ სტრიქონებს შორის საკითხავი, ის შეიძლება წაიკითხოს მკითხველმა და უცებ მის აზრს ვერ მიუხვდეს, რადგან ჩაღრმავებას საჭიროებს), ამიტომ მე მაქვს ერთ, ორ და სამ სტრიქონიანი ლექსები, რაც მაშინ ბევრს არ მოსწონდა, რადგან პოეტი ამ ორ-სამ სტრიქონში ამბობს მთელს სათქმელს. მაგალითად, პოეზიაში არის იაპონური მიმდინარეობა ჰაიკუ, სამ სტრიქონიანი ლექსები:

„ჭასთან ბადიას ღამით
სურო შემოხვევია
მე მეზობლისას მივდივარ წყალზე“

ანუ ჭასთან მისულ ადამიანს, ბადიაზე, სათლზე შემოხვეული სურო დახვდა და მეზობელთან წავიდა წყალზე - ის არ ამბობს, მაგრამ იგულისხმება, რომ არ სპობს სუროს,

სიცოცხლეს, რომელიც პოეტმა მასში დაინახა. ამ შემთხვევას ევროპელი პოეტი ვრცლად გადმოსცემდა. რუსთაველიც ხომ იმავეს ამბობს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“...

ჩემი პირველი კრებული 27 წლის ასაკში გამოვეცი. მაშინ საბჭოთა ცენზურა ყველა სახის ლექსს არ ბეჭდავდა, თუმცა, მოვახერხე და დავბეჭდე ისე, როგორც ჩაფიქრებული მქონდა.

ჩემი შემოქმედება ძალიან მოსწონდათ თბილისში და კრიტიკოსებისგანაც დადებით შეფასებას ვღებულობდი, მაგრამ აფხაზეთის ომის შემდეგ გამიჭირდა ლექსის დაწერა, რადგან მშობლიურ ქალაქში, ომის დროს, ვიხილე გადამწვარი შენობები, ზღვაზე მოტივტივე ცხედრები, ცეცხლმოდებული პალმები, რომლებიც მკარნახობდნენ, ენერგიით მავსებდნენ, რომლებსაც ვუძღვნიდი ლექსებს.

სოხუმის გარეშე დარჩენილმა, მიმართულება შევიცვალე და პროზაზე გადავედი.

2.თქვენ ცხრა პოეტური და შვიდი პროზაული კრებულის ავტორი ბრძანდებით, რომელთაგან სიამოვნებით გავეცანი წიგნებს: „სოხუმში დაბრუნება“, „ზღვის გასაღები“, „შუადამის ხე“. რა მიგაჩნიათ შემოქმედის უპირველეს მოვალეობად?

შემოქმედის უპირველესი მოვალეობაა წეროს კარგად, ამისათვის ბევრი უნდა იკითხოს და ბევრიც უნდა იცოდეს. ზოგიერთი მწერალი იმით საზრდოობს, რაც ახალგაზრდობაში წაუკითხავს, მიაღწევს რაღაც სიმაღლეს და კმაყოფილია.

შემოქმედი თავისი ლექსებით, მოთხრობებით, ნახატებით ემსახურება თავის ხალხს, მშობლიურ კულტურას.

ქართველი ერი, საზღვარგარეთ, ცნობილია თავისი კულტურით. ჩვენ არ გვაქვს „მერსედესის“, „სონის“ ან „პანასონიკის“ ფირმები, მაგრამ გაგვაჩნია უდიდესი კულტურა, რომლითაც გვიცნობენ და პატივს გვცემენ.

აუცილებელია, შემოქმედს უყვარდეს ადამიანი. არიან მწერლები, რომელთა ნაწარმოებებში არ იგრძნობა ადამიანის სიყვარული და, შესაბამისად, მკითხველიც ცოტა ჰყავთ, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში ჩანს ადამიანების უდიდესი სიყვარული და ამიტომაც ის დღესაც ძალიან პოპულარულია.



ლუკა შედანია და თეონა ჯაყელი (კულტურის სამინისტროს მედიასთან სამართლებრივი ურთიერთობის უფროსი)

3.კულტურის სამინისტროს აქვს ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა, რომლითაც შემოქმედებს საშუალება ეძლევათ განახორციელონ თავიანთი მიზნები, აქვს თუ არა სამინისტროს გათვალისწინებული ნიჭიერ მოსწავლეთათვის მსგავსი პროექტები?

დიახ, სამინისტროს აქვს ასეთი პროგრამა, რომლითაც პოპულარიზაციას ვუწევთ ჩვენს ლიტერატურას საზღვარგარეთ.

ჩვენ მწიგნობარი და ძველი ერი ვართ, ბერძნებთან, ებრაელებთან ერთად, რომლებმაც პირველი წიგნები წერეს, თარგმნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მსოფლიო ამ კუთხით იმდენად არ გვიცნობს, როგორც ჩვენი ფოლკლორით, სიმღერებითა და ცეკვებით. სწორედ ამიტომ გამოვაცხადეთ პრიორიტეტად ვაჟას, რუსთაველის, სხვა კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის თარგმნა და გატანა საზღვარგარეთ. ეს პროექტი დაგვირგვინდება 2018 წელს, ფრანკფურტის

წიგნის ბაზრობით, რომელიც არის ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიოში. ჩვენ ვიქნებით საპატიო სტუმრები, რაც საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ ჩვენი მწერლობა, ამასთან ერთად, მთელი წლის განმავლობაში, საშუალება გვექნება სტუმრებს გავაცნოთ ჩვენი კინო, თეატრი, მხატვრობა...

სპეციალური პროექტი,ბავშვებთან დაკავშირებით, სამინისტროს არ გააჩნია, მაგრამ ჩვენთვის პრიორიტეტია სწავლება კულტურის განხრით, მაგალითად, დღეს ჩემთან იყვნენ ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეები, რომლებმაც გერმანიის ექვს ქალაქში ჩაატარეს კონცერტები, სადაც მათ დიდი მოწონება დაიმსახურეს. ხელს ვუწყობთ განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდებს.

4.რომელი თეატრის სცენაზე დაიდგა თქვენი პიესები?

ჩემი პიესები დადგეს სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის, ქუთაისის, ჭიათურისა და სამოყვარულო თეატრებმა. განსაკუთრებით მიყვარს სპექტაკლი „ზღვა რომელიც შორია“, ის დადგა დიდმა რეჟისორმა, თემურ ჩხეიძემ, ის იდგმებოდა „სამეფო უბნის თეატრში“, მას ძალიან ბევრი მაყურებელი ჰყავდა მთელი ექვსი წლის განმავლობაში, გასტროლებზეც იყო საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, სპექტაკლი არ გაგრძელდა, თუმცა, მოთხოვნა დღესაც არის.



გულნაზ ხარაიშვილი, შორენა ტალიკაშვილი (მინისტრიეს თანაშემწე), ლუკა შედანია და ნინო გადილია (მინისტრიეს მოადგილის თანაშემწე).

5.ჩვენ, „ნორჩ ათინათელებს“, გვსურს ჟურნალი „ათინათი“ იყოს საქართველოს ყველა ბიბლიოთეკის თაროზე. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

ქალბატონი გულნაზი მესაუბრა ამ დიდებული წამოწყების შესახებ. ჟურნალის სახელწოდება „ათინათი“ - ძალიან ლამაზი და პოეტურია. მისაღები და მისასალმებელია, რასაც თქვენ აკეთებთ. ჩვენ შევეცდებით ყოველნაირად ყურადღება მოგაქციოთ და შეგეხიდოთ.

6.საერთაშორისო კონფერენციებზე, რომელთა მონაწილეც თქვენ ბრძანდებით, სხვა თემებთან ერთად, განიხილებოდა განათლების საკითხები, რას ითვალისწინებს ეს თემა?

განათლება ერთ-ერთი უპირველესი საკითხია, რადგან ქვეყნის სიძლიერეს, სწორედ განათლებული თაობა განაპირობებს, ამიტომ, ამ მიმართულებით, უამრავი პროგრამა და პროექტი არსებობს განვითარებულ ქვეყნებში. ჩვენთანაც, განათლების სამინისტროში, ჩემი კოლეგა ბევრ რეფორმას გეგმავს ამ კუთხით.

ჩვენს სამინისტროსაც აქვს კულტურის მიმართულებით საგანმანათლებლო სსიპ-ები, სამუსიკო-სამხატვრო სკოლები, კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, სადაც ახალგაზრდებს ვასწავლით, შესაბამისად, ურთიერთობა გვაქვს განათლების სამინისტროსთან.

არის ერთი პროექტიც, განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის. ჩვენ მათ ვეხმარებით, რათა ისწავლონ საზღვარგარეთ.

7. სახალხო დიპლომატიის ფარგლებში თქვენ ხვდებოდით აფხაზებს და ოსებს, რას გვეტყოდით ამ შეხვედრების შესახებ?

სახალხო დიპლომატია აუცილებელია, ხშირად ის საკითხები, რომელზეც ოფიციალური დიპლომატია ვერ საუბრობს, განიხილება ასეთ არაფორმალურ შეხვედრებზე.

ამ მიმართულებით ყოველთვის არის მეტი ურთიერთობა, მეტი კონტაქტები, ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენს ხალხებს შორის ნდობის აღდგენისა და დაახლოებისათვის. ადამიანები ინტერესდებიან იმით, თუ რა ხდება მეორე მხარეს, რა პრობლემები აქვთ მათ. ასეთი ტიპის ურთიერთობები შეუცვლელია და აგერ უკვე 20 წელია აქტიურად ვარ ჩართული მასში, თუმცა, მინისტრობის შემდეგ ვერ ვახერხებ შეხვედრებში მონაწილეობის მიღებას. ამ წლების მანძილზე ძალიან ბევრი ძველი მეგობარი დავიბრუნე, ახლებიც შევიძინე და ამ ადამიანებთან ძალიან ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს დღესაც. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით აქტიურობა.

8. თქვენ, 2008 წელს , სამხრეთ კორეაში, მოგენიჭათ მშვიდობის ელჩის სტატუსი, რა დამსახურებისათვის ანიჭებენ მას ადამიანს?

აფხაზეთის ომამდე ხშირად ვამბობდი, რომ აფხაზეთში ტანკები არ უნდა შემოვიდეს, იარაღი არ უნდა იყოს გამოყენებული, ჩვენ, აფხაზები და ოსები ვართ უძველესი კავკასიელები, ერთად ვაშენებდით ერთიან სამშობლოს, სახელმწიფოს – საქართველოს, ამისათვის აუცილებელი იყო დიალოგი, კამათიც კი მთავარია სიმართლის გარკვევას არ შეეწიროს ახალგაზრდობი. ეს ყველაფერი აფხაზებს ახსოვდათ და პირველსავე შეხვედრაზე, რომელიც ომის დასრულებიდან ორიოდე წელში გაიმართა, თქვეს, რომ გურამ ოდიშარიასთან ისაუბრებდნენ.

ომამდე ვიყავი ლიტერატურული ჟურნალ „რიწას“ მთავარი რედაქტორი და ყველა კარგად მიცნობდა, აფხაზებს ჩემი სიტყვები, პოზიციები ახსოვდათ და მიმიწვიეს. ათეულობით შეხვედრის მონაწილე ვარ მრავალ ქვეყანაში. შეხვედრების მონაწილეებს ხშირად გვიწვევდნენ კონფერენციებზე. ერთ-ერთი დიდი კონფერენცია იყო სამხრეთ კორეაში. თურმე, იქ ყველას ბიოგრაფია, დამსახურებები შესწავლილი ჰქონდათ. სწორედ ამის გამო მომენიჭა მშვიდობის ელჩის სტატუსი. ეს სტატუსი მეხმარებოდა ურთიერთობებში.

ბატონო გურამ, თქვენ წლების წინ ბრძანდებოდით ჩვენი, 167-ე საჯარო სკოლის საპატიო სტუმარი. სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეების სახელით მინდა გადმოგცეთ დიდი მადლობა სკოლის დაფასების, ხოლო დღეს კი, გულითადი მასპინძლობის გამო.

ინტერვიუ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტ ნუგზარ ნადარაიასთან

მოგესალმებით, ბატონო ნუგზარ, მე გახლავართ დიდი მოგზაურის, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალი "ათინათის" ნორჩი ლიტერატორი, თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე – ალექსანდრე ლეთოდიანი. თუ შეიძლება რამდენიმე კითხვას დაგისვამთ:

1. **ბატონო ნუგზარ, მიამბეთ თქვენი პიროვნების შესახებ, ვინ არის ბატონი ნუგზარ ნადარაია?**

მე შემიძლია ვრცლად მოგახსენოთ, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ალბათ, უხერხულია მიმოვიხილო მთელი ჩემი ბიოგრაფია და წარმოვაჩინო ის მიღწევები, რაც ამ ჩემი 70 წლის განმავლობაში მქონია, მაგრამ ერთს გეტყვით, ცხოვრების პრინციპებსა და მეგობრებს არ ვიცვლი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტელეფონის ნომრებსაც. რატომ ტელეფონის ნომრებს? - არიან ადამიანები, რომლებიც, როგორც კი იერარქიულ საფეხურებზე დაწინაურდებიან, ტელეფონებს, მისამართებს, ყველაფერს იცვლიან, ვაითუ, ვინმემ შეგვაწუხოსო. ჩემი პოზიციაა: შეგაწუხოს, შე დალოცვილო, თუ შეგიძლია რაიმეთი დაეხმარო, ღმერთმა ხომ სიკეთითა და სიყვარულით გაგვაჩინა, თუ არ შეგიძლია, აუხსენი, დაამშვიდე და ნუ გაანაწყენებ მოყვასს და, მთავარია, ჩემო ალექსანდრე, სხვებს ისე მოექცე, როგორც შენ გსურს მოგექცნენ. სადღეისოდ, მეცნიერთა აკადემიის წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ვხელმღვანელობ ისტორიული კოლხეთის ფილოსოფიური ცენტრის მემკვიდრე ფაზისის უძველეს აკადემიას და ვთვლი თავს წარმატებულ ადამიანად.

2. **სანამ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი გახდებოდით, სად მუშაობდით?**

ჩემი ბიოგრაფია მრავალმხრივია. მართალია, საშუალო სკოლა წარჩინებით არ დამიმთავრებია, მაგრამ არც სამიანი მყოლია არასოდეს. როდესაც მშობლები გარდამეცვალნენ, უკვე ჩამოყალიბებული მქონდა ჩემი ცხოვრების მიზნები, ამოცანები. პასუხისმგებლობა დამეკისრა ოჯახის მეთაურისა, დავრჩით მოხუცი ბებია და ჩემზე 2 წლით უმცროსი და. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მაცხოვრის ხატის წინაშე მუხლი მოვიყარე და შევევედრე უფალს, შემაძლებინე–მეთქი, უფალო, ჩემი დედ-მამის ცოცხალ ძეგლად ვიქცე, რომ მათ მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს არ დავავიწყო მათი ხსოვნა. ღმერთმა მისმინა და მიმაჩნია, რომ შევასრულე ის განაწესი, რაც მამაზეციერმა დამაკისრა. საერთოდ, გიყვარდეს ღმერთი, იწამე უფალი, მიენდე მას და ის ყოველთვის შენ გვერდით იქნება. მეტსაც გეტყვი, ლოცვა, ეს სულის საცხონებელია, გულწრფელად და მხურვალედ მლოცველი გული თავად უფალს ეჩურჩულება და მისგანვე ძლიერდება.

3. **მიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ, გყავთ შვილიშვილები?**

სანამ ოჯახზე მოგახსენებდეთ, გეტყვით, რომ ფრიადზე დავამთავრე ინსტიტუტი, წარჩინების დიპლომით, ასევე ფრიადებზე დავამთავრე ასპირანტურა, ობოლმა ბიჭმა. ამჟამად, ჩემო ალექსანდრე, ყველაფერი ანაზღაურებადია, შემოსავლები ძალიან მწირია, სწავლაც ფასიანია, ჯანმრთელობაც და ა.შ. ადრე ყველაფერი უფასო იყო, სახელმწიფო ზრუნავდა და გთხოვდა ერთადერთს: ისწავლე და იყავი ღირსეული ცვლა საზოგადოებისა. მე დავიცავი კიდევაც დისერტაცია, ერთხმად მომანიჭეს მეცნიერებათა კანდიდატის ხარის-

ხი. ახლა ბევრი რამ შეცვლილია. ევროპულ სტანდარტებს გაუთანაბრდა სამეცნიერო ხარისხი. დრე, მოსკოვში, საკავშირო საატესტაციო კომისია იხილავდა, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ყველა დისერტაციას და იქ ამტკიცებდნენ. საქართველოდან ბევრი საჩივარი მიდიოდა მოსკოვში, სამწუხაროდ, ალბათ შურის გამო. სულხან-საბას განმარტებით შური არის ავადმყოფობა სხვისი კარგად ყოფნის გამო და ასეთი შურიანობა დღემდე მტრულად მომსდევს, იმიტომ კი არა, რომ მე ვარ რაიმეში დამნაშავე, არა, უბრალოდ, არიან ადამიანები, რომელთა შექმნაში ღმერთი, ალბათ, არ მონაწილეობს, მათ ყველასი შურთ, აღიზიანებთ სხვისი წარმატება. მშრომელი კაცი როცა შრომობს, ფუთქები უჩნდება ხელის გულზე, მე საწერი კალმის გამო გამიჩნდა ფუთქები, იმდენი ვწერე, ვიკითხე და იმდენი ღამე ვათიე. მახსოვს, ჩემი გამზრდელი ბებია მეტყოდა: კიდევ არ გძინავს, შვილო? 4 საათია, დაისვენე. არადა, ღამე კარგია მუშაობა, როცა სამარისებური სიჩუმეა და შენს აზრებთან, ფიქრებთან და ხედვებთან ხარ მარტო.

ვმუშაობდი სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ერთ-ერთ დიდ თანამდებობაზე, ეკონომიკური სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ, შემდგომ ქიმიზაციის სამმართველოს უფროსად, მეცნიერებისა და ტექნიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელად და, აი, ასეთი წარმატებების მქონე როდესაც გახლდით, სამინისტროში მობრძანდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე, სოფლის მეურნეობის პრობლემების გასაცნობად და მე შემომთავაზეს ახალგაზრდობის სახელით მეთქვა სიტყვა, რომელიც მას მოეწონა, ეს მერე გავიგე, როდესაც მასთან მოვხვდი გასაუბრებაზე, რეკომენდაცია გამიწიეს, მაშინ ცენტრალურ კომიტეტში მუშაობა დიდი პრესტიჟი და პასუხისმგებლობა იყო. ახლა რომ არჩევენ ხალხს ნაცნობობით და ანკეტაში არ იხედებიან, ნუ ეწყინებათ და ფაქტია ეს, მაშინ ასე არ იყო, განვლილი გზა უნდა გაანალიზებულიყო და ასე აღმოვჩნდი ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად.

როდესაც გასაუბრებაზე მოვხვდი ბატონ ედუარდთან, მან გაიხსენა ეს, აი, შენი რეკომენდაცია განაპირობა შენმა კარგმა გამოსვლამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზეო. შემდეგ პარტიულ განყოფილებაში ვიყავი ორგანიზაციული პარტიული მუშაობის ინსპექტორად, ერთი წელიც არ მიმუშავია აპარატში, გადამიყვანეს ხობის რაიკომის პირველ მდივნად, პირადად ედუარდ შევარდნაძემ ჩამიყვანა და წარმადგინა, მანვე გამიწია რეკომენდაცია, აღნიშნულ თანამდებობაზე. ვიმუშავე 12 წელი. დღესაც იხსენებენ იმ წლებს: ოლიმპიური რეზერვების საცურაო კომპლექსი ავაშენე, სადაც რუსეთის ცურვის ფედერაციის პრეზიდენტი, წარსულში რუსეთის ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში ვლადიმერ სალნიკოვი ვარჯიშობდა და გადიოდა წვრთნას. კულტურის სასახლეში კი ოპერის, ბალეტისა და თეატრის მსახიობები ჩამოდიოდნენ გასტროლებზე და ასე გაითქვა სახელი ხობმაც და მისმა თავკაცმაც. შემდგომ იქიდან, როგორც წარმატებული ხელმძღვანელი, მოვხვდი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სავ კომიტეტის მეორე მდივნად, სადაც ვიმუშავე 6 წელი. ვეხმარებოდი მაღალმთიან რაიონებს, შენსავით ნიჭიერ ახალგაზრდებს, რათა თავი გამოეჩინათ, მომხდარიყო მათი ნიჭის თვითრეალიზაცია და ამით ვარ მე ბედნიერი.

ხობელებმა დამიფასეს ეს ღვაწლი და, 18 წლის მუშაობის შემდეგ, ერთხმად ამირჩიეს ეროვნული პარლამენტის წევრად, შესაბამისი ვადა არც იყო გასული, რომ ედუარდ შევარდნაძემ მთხოვა, ფოთში დამეწყო მუშაობა. ეს ქალაქი საქართველოს ეკონომიკის ლოკომოტივი იყო, იმ დროს. რთულ პირობებში გვიწევდა საქმიანობა. შუქი წყდებოდა ხშირად, საწვავი არ იშოვებოდა, რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა იყო და ასეთ ვითარებაში, ფაქტიურად, სამუშაოდ კი არა, გამოდის, რომ საბრძოლველად გამაგ-

ზავნეს ფოთში. ბატონი ედუარდის წასვლის შემდეგ, დავრჩი უმუშევარი, ვერ გავხდი ნაციონალების მოსაწონი. ისევ ხალხმა მთხოვა, რომ 20 წელზე მეტია რაც ფაზისის აკადემია არ ფუნქციონირებს და იქნებ ჩაუდგეთ სათავეშიო. სათავეზე ვერ დავეთანხმე მაშინ, გამახსენდა მსოფლიოში განთქმული მეცნიერი ცოტნე მირცხულავა, ფოთელი კაცი იყო, მას გავუწიე რეკომენდაცია, დავუდექი მხარში მოადგილედ და აღვადგინეთ ეს ყველაფერი. შემდეგ ბატონი ცოტნე გარდაიცვალა და, თქვენ წარმოიდგინეთ, დატოვა ანდერძი, სადაც მხოლოდ რამდენიმე პუნქტი იყო და ერთ-ერთი მე მეხებოდა, თუ ვინმეს მე მივანდობ ფაზისის აკადემიას, ეს ნუგზარ ნადარაია იქნებაო. ასე, ანდერძით გავხდი პრეზიდენტი.

დავქორწინდი ცოტა გვიან, იმიტომ, რომ მინდოდა ჩემი ოჯახი ფეხზე დამეყენებინა, უმცროსი და გამეზარდა. მას კონსერვატორია დავამთავრებინე და დღეს წარმატებით მუშაობს მუსიკალურ კოლეჯში, თბილისში. დაოჯახებულია. ჩემი ამბავი კი ასე მოხდა: გავიცანი ფოთელი ახალგაზრდა გოგონა, ძალიან მომეწონა, გულში ჩამრჩა და გაცნობიდან, ფაქტიურად, ერთი თვეც არ იყო გასული, გადავწყვიტეთ დაოჯახება. ჩემი და ჩემი მეუღლის მშობლები ადრეც მეგობრობდნენ. ვცხოვრობთ მეგობრულად, გვყავს ვაჟი, რომელიც არჩეულია პარლამენტში, საქართველოს ეროვნული პარტიის პირველ ვიცე პრეზიდენტად. მანაც გვიან შექმნა ოჯახი, დაიცვა დისერტაცია, მყარად დადგა ფეხზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა დაოჯახება. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ძალიან ზრდილობიანი, კეთილშობილი და კეთილსინდისიერი რძალი მყავს, რომელმაც გვაჩუქა ნინო, შესანიშნავი შვილიშვილი. სამიწლინახევრისაა, ბაღში დადის. ამბობს, ბებია და ბაბუა კეთილსინდისიერი ადამიანებიაო. როცა ვეკითხები, ნინო, ვინ გასწავლა ეს-მეთქი, მეუბნება: არავის არ უსწავლებია ბაბუ, მე თვითონ ვიციო.

4. რას გვეტყვით ბატონი ჯუმბერ ლეჟავას შესახებ?

ჯუმბერ ლეჟავა გახლდათ ჩემი მეგობარი. ეს არის კაცი ლეგენდა, მან ასახელა საქართველო და ის სიცოცხლეშივე ერის, ქვეყნის, დედაეკლესიის უკვდავებად იქცა, რადგან ველოსიპედით მსოფლიოს გარშემო ის მოგზაურობდა ბიბლიით, ქართული ხუთჯვრიანი დროშით და "ვეფხისტყაოსნით", აცნობდა მთელს მსოფლიოს ჩვენს ქვეყანას. დიდი პიროვნება იყო, ის გულწრფელად დაიტირეს თავისმა მეგობრებმა, საახლობლო წრემ, მაგრამ სახელისუფლებო სტრუქტურებს ცოტა მეტი ყურადღება შეეძლოთ გამოეხატათ, რა მაქვს მხედველობაში? სამძიმრის წიგნი იციან დიპლომატებმა, საქართველომ ასეთი კაცი დაკარგა და მსოფლიო მასშტაბით სამძიმრის წიგნი უნდა გახსნილიყო ჩვენს საელჩოებში, ეს არ მომხდარა. მე ეს მიმაჩნია დიდ უპატივცემულობად. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში და მე მაქვს ინფორმაცია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც ის მოღვაწეობდა, იჩენს ინიციატივას, რომ მოუარონ მის საფლავს და ეს მისასალმებელია. ჩვენ, მისი სახელობის აკადემიის წევრები, ვფიქრობთ, განვიხილოთ საფლავის პროექტი, იქ უნდა გამოიხატოს მისი ატრიბუტიკა, დამსახურება, თვითონ საფლავმა უნდა გვითხრას მეგობარსაც და უცხოსაც მისი დამსახურებები. საფლავი უნდა მოგვითხრობდეს მის ღვაწლზე, ეს ძალიან რთული საქმეა და ამიტომ გვინდა განვიხილოთ ჩანაფიქრი იმ არქიტექტორისა თუ მოქანდაკის, რომელიც ფიქრობს ამ საფლავის შექმნაზე. მას ბევრი საქმე ჰქონდა კიდევ დასაგეგმი, განსახორციელებელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრ რამეზე სტკიოდა გული. მისი ეროვნულობა, ბევრ შემთხვევაში, სამთავრობო წრეებში, სასჯელიც იყო. იმასაც მოესწრო კაცი, რომ მას წინათ მოქალაქეობა შეუჩერეს, იმიტომ, რომ ეროვნულ მთავრობას, ზვიად გამსახურდიას, უჭერდა მხარს. მას ჰქონდა შემოთავაზებები ამერიკაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოქალაქეობის მიღებაზე.

ჟუმბერ ლეჟავა იყო, არის და იქნება საქართველოს უკვდავება, მოვლენა, კაცი ლეგენდა. მე მისი მეგობარი ვარ, მორწმუნე კაცი ვარ და დავპირდი საფლავზე, რომ ყოველდღიურად ლოცვებს აღვავლენ და სანამ ცოცხალი ვარ, მის სულს ვავედრებ უფალს.

5. მომავალ ახალგაზრდობას რას ურჩევდით?

ახალგაზრდობას ვურჩევდი იყოს მართალი, გულადი. ნუ იქნებიან უკეთურთა მხარდამჭერი. ეროვნული უნდა იყო, პატრიოტი, შენი მშობლები და საქართველო გაახარო, გაამრავლო და, რა თქმა უნდა, უნდა გიყვარდეს ღმერთი, ბეჯითი სწავლა, ცხოვრების ჯანმრთელი წესი – ვარჯიში, აი, მე 70 წლის კაცი ვარ და კვირაში ორჯერ 10 კილომეტრს დავრბივარ. უნდა იყო გულწრფელი, მართალი, სიკეთე უნდა ჩაიდინო და ღმერთი ყოველთვის შენს მხარეს იქნება და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უნდა მოექცე სხვას ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენ.

6. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს პიროვნება?

პიროვნება არ უნდა იყოს კრიტიკული, ამბიციური. არ უნდა შეაწუხო ადამიანი შენი ამპარტავნებით, განდიდების მანიით, პირიქით, შენს თავმდაბლობაშია შენი გამარჯვება, შენი სახე და ზნეობა. არასოდეს არ უნდა ჩაიდინო ცოდვა, თუ ჩაიდინე უნებლიეთ, უნდა მიხვიდე მოძღვართან, უფალი კეთილია და აუცილებლად გაპატიებს. უნდა იყო მართალი და მოუსმინო მშობლებს, არ არის დაფიქსირებული ფაქტი მსოფლიოში, რომ მშობელმა შვილს უღალატა, ასეთი რამ არ არსებობს, შვილმა კი, ყოფილა შემთხვევები, რომ გული ატკინა მშობელს. მეგობრების არჩევაში უნდა იყო ძალიან კონკრეტული, მარტო კეთილგანწყობილებით კი არ უნდა დაიმეგობრო მოყვასი, არამედ საქმით.

7. რას იტყვით ფაზისის აკადემიაზე?

ფაზისის აკადემია, როგორც მოგახსენეთ, არის უძველესი სამეცნიერო დაწესებულება, III-VII საუკუნეებში ფუნქციონირებდა, ახლანდელ ფოთში – ისტორიულ ფაზისში და ევროპიდან, აზიიდან და სხვა შორეული კონტინენტებიდან, რაც დაფიქსირებულია ისტორიულ წყაროებში, ჩამოდიოდნენ აქ აღსაზრდელები, რათა მოეწყვიტათ ცოდნის ნაყოფი და ამით ამაყობდნენ. ჩვენ უძველესი ისტორიული სამეცნიერო საგანამანათლებლო ცენტრი აღვადგინეთ.

8. რას იტყვით ჟურნალ "ათინათზე"?

ჟურნალი "ათინათი" არის დიდებული მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ჟურნალი, სადაც თაობათა კავშირია, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი ორგანიზატორი, ეროვნული პიროვნება, პატრიოტი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი. მივესალმები ჟურნალ "ათინათის" გამოცემას, ის ემსახურება ქართული ფენომენის, ქართული სულიერების, ქართული ადათწესების და ქართული ამაღლებული ზნეობის დამკვიდრებას, პროპაგანდას უწევს იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ბიოგრაფიით და საქმეებით საქართველოს ამშვენებენ. აი, ეს არის ჩვენთვის "ათინათი". ვუსურვებ გამარჯვებებს, წარმატებებს და ახალ-ახალ დიდ აღმაფრენას. ეროვნულ ჩარხზე ალესილი ცოდნა, ჭკუა, ნიჭი და ზნეობა – ეს არის "ათინათი".

ალექსანდრე: დიდი მადლობა, თქვენთან საუბარი სასიამოვნო იყო.

ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ საჩუქრად გადმომცა ფაზისის აკადემიის მიერ გამოცემული წიგნი "ცოტნეიდელი".

საინტერესო პიროვნებასთან ინტერვიუ და ძვირფასი საჩუქარი ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ ნათელ სხივად დარჩება მუდამ.

ინტერვიუ კარლო ნადირაძვილთან

მოგესალმებით, ბატონო კარლო, მე გახლავართ დიდი მოგზაურის, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალი "ათინათის" ნორჩი ლიტერატორი, თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე – ალექსანდრე ლეთოდიანი. თუ შეიძლება რამდენიმე კითხვას დაგისვამთ:

9. ცოტა რამ თქვენი ბიოგრაფიიდან:

დავიბადე 1945 წლის 12 ოქტომბერს. 1964 წელს დავამთავრე თბილისის მე-6 საშუალო სკოლა, წარჩინებით. იმავე წელს გამოცდები ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე და 1970-იანი წლიდან შევუდექი შრომით საქმიანობას.

10. მიამბეთ თქვენი ეროვნული საქმიანობების შესახებ

რამდენიმე სერიოზული ღონისძიება მაქვს ჩატარებული. ამათგან მე უმთავრესად მიმაჩნია ის, რომ დედასამშობლოს ჩამოვუყვანეთ, 1994 წლის 7 ოქტომბრიდან 14 ოქტომბრამდე, 500 ემიგრანტი ქართველი. ამ ღონისძიებას ერქვა "ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ეროვნული ფორუმი".

11. მიამბეთ თქვენი აკადემიის წევრობის შესახებ

2001 წელს, აი, სწორედ ამ ღონისძიებისთვის, რომლის გენერალური დირექტორი გახლდით მე, ხოლო პრეზიდენტი იყო რეზო ჩხეიძე. ჩემი ღვაწლი დააფასა საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ და 2003 წელს მომენიჭა აკადემიკოსის, ხოლო 2005 წელს – პროფესორის წოდება.

12. მიამბეთ უჯარმის შესახებ

უჯარმა არის არამარტო კახეთში, არამედ მთელს საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული და უნიკალური ძეგლი, თავისი მნიშვნელობით, როგორც თავდაცვითი ზღუდე, პოლიტიკურად, სოციალურად, რელიგიურად და ბუნებითაც გამორჩეული – 5 კომპონენტს მოიცავს მისი სიდიადე. რაც მთავარია, იქ არის ჯვარი პატიოსანი, თქვენ გეცოდინებათ, როდესაც მეფე მირიანს შემოადამდა თხოთის მთაზე, უფალს სთხოვა დახმარება. წმინდა ნინოს ბრძანებით, პირველი – ჯვარზე გაკეთდა ძეგლი, ჯვარი პატიოსანი, მეორე – თხოთის მთაზე და მესამე იქ არის. აი, ამით არის ძალიან დიდი უჯარმა, მესამე ჯვარი პატიოსანი არის აღმართული. იქ აღესრულა ვახტანგ გორგასალი, ქრისტიანობისთვის თავდადებული მეფე. გეცოდინებათ, ალბათ, ისტორიიდან, რომ ჩვენს პირველ დროშას ეწერა გორგასლიანი, მერე წამოვიდა დავითიანი და თამარიანი, ანუ სამნაირი დროშა იყო. აი, სწორედ გორგასლის ცხოვრება უკავშირდება უჯარმას და უნდა ვიცოდეთ, რომ უჯარმა 500 წელიწადი, 5 საუკუნე მეტოქეობას უწევდა, როგორც თბილისს, ისე მცხეთას, ყველაფერში. ეს იყო სამეფო რეზიდენცია და მან დიდი როლი შეასრულა ქართლის ცხოვრებაში.

13. მიამბეთ საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობაზე

საზოგადოებრივი მოღვაწეობა მრავალმხრივია და შორს წაგვიყვანს ამაზე საუბარი, მაგრამ ახლა შემიძლია ორი შემთხვევა გავიხსენო. რაჭაში არის ლამაზი სოფელი სევა, იქ შენდება ეკლესია. მე სოფლის გამგეობის წევრი გახლავარ, აი, ახლა თქვენ სადაც იმყოფებით, ამ შენობის დირექტორიც გახლავარ. ისე მრავალმხრივია, რა თქმა უნდა, ჩემი საქმიანობა, ნოტარი კლუბის წევრიც კი ვარ, საერთაშორისო კლუბია, მისი წევრები არიან ობამა, ბილ გეითსი და სხვა ცნობილი ადამიანები.

14. მიამბეთ ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების შესახებ

მყავს ორი შვილი, ბიჭი და გოგო. ბიჭი ცხოვრობს შეერთებულ შტატებში, კონექტიკუდის შტატში, არის კონორეჟისორი, ჰყავს ერთი შვილი, არის შეერთებული შტატების მოქალაქე. აქ მყავს გოგო, თათია, რომელსაც ჰყავს 4 შვილი, 34 წლისაა და 4 შვილი ჰყავს. მე დღეს შვილიშვილებით ვარ დახუნძლული, მყავს 5 შვილიშვილი.

15. რას იტყვით ჟურნალ "ათინათის" შესახებ?

ჟურნალი "ათინათის" შესახებ ვიტყვი იმას, რომ ამასწინათ ერთ-ერთ შეხვედრაზე ვთქვი ხმამაღლა და თამამად, რომ დღეს იშვიათია ასეთი ჟურნალი, ის ერთ-ერთ სასახელო ადგილს იჭერს იმ ჟურნალებში, როგორც მკითხველის თვალსაზრისით, როგორც რეალიზაციის თვალსაზრისით, ისე თავისი შინაარსითა და მონაცემებით პოპულარულია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დრო და დრო კიდევ უფრო მეტ პოპულარობას შეიძენს და ძალიან მიხარია, რომ ნორჩი ათინათელები მონაწილეობთ ამ დიდ საქმეში და მის ფესვებზე გაიზრდებით. ჟურნალი "ათინათი" უნდა გავრცელდეს ყველა სკოლასა და დაწესებულებაში, რომელსაც ბიბლიოთეკა აქვს.

16. რას გვისურვებთ ახალგაზრდობას?

ახალგაზრდობას გისურვებთ, ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრებას, კარგ სწავლას, მშობლების დაჯერებას და, რაც მთავარია, ერისა და ღმერთის სიყვარულს.

ალექსანდრე: დიდი მადლობა, საინტერესო იყო თქვენთან საუბარი.

ინტერვიუ ვაჟა ახვრაშვილთან

მოგესალმებით, ბატონო ვაჟა, მე გახლავართ ქ. თბილისის 51 ს/სკოლის 6 კლასის მოსწავლე ეკატერინე მარშანია, ნორჩი ათინათელი, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ბატონო ვაჟა ჩვენთან.

ბატონო ვაჟა როდის დაიწყეთ სიმღერა?

მოგესალმებით, სიკეთე მინდა გისურვოთ მომავალ თაობას. რაც შეეხება შეკითხვას გიპასუხებთ: ეს იყო 1944 წ. ომის შემდგომი პერიოდი, ჩემმა მეზობელმა მომმართა და მითხრა: ვაჟა შენ კარგი სმენა გაქვს, ვინაიდან ფორტეპიანინო არა მაქვს, მე ვიოლინოს მოგცემ და შენ ისწავლე დაკვრაო. მე ვუპასუხე: მამაჩემი მძმედ არის და ამის დრო არ მექნება მეთქი. ეს ქალბატონი არ მომეშვა და დავიწყე მეცადინეობა ვიოლინოზე. თანდათანობით მივხვდი, რომ მუსიკა ჩემი მიზანი იყო და შესაძლებლობებიც საკმაოდ კარგი აღმომაჩნდა. გავაგრძელე ჩემი საქმიანობა მალე ორკესტრშიც მივიღე მონაწილეობა, მომეწონა ჩემი პარტია. მე და კომპოზიტორმა ნუგზარ ვაწაძემ გადავწყვიტეთ მივსულიყავით რექტორთან, წინადადებით, ჩვენ მუსიკას ვწერთ და თქვენი დახმარება გვჭირდება. მალე კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშილმა - მოგვიწოდა და დაგვეხმარა, რათა კონცერტი გაგვემართა კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში. მოხდა საოცრება კონცერტის დღეს საკონცერტო დარბაზი იყო მსმენელებით სავსე, რა თქმა უნდა ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. კონცერტი წარმატებით ჩაიარა და მოწონებაც დავიმსახურეთ. ამ პერიოდში გამოცხადდა კონკურსი რომანსებზე. 5 დაწესებული პრემიიდან 3 პრემია მივიღე მე. აღსანიშნავია ის რომ ჩემს სადიპლომო დაცვას ესწრებოდა ცნობილი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი. მოგვნიანებით კონსერვატორი ის პროფესორი გავხდი. ვიყავი კომპოზიტორთა კავშრის თავჯდომარე, მაგრამ მოგვიანებით ჩემი ნებით გადავდექი. მას შემდეგ დამოუკიდებლად ვმუშაობ. ვწერ კამერულ მუსიკას, მუსიკას თეატრისთვის, ბალეტისთვის აქვს 7 მუსიკალური კომედია დაწერილი. აგრეთვე დაწერილი მაქვს სონატების, კვარტეტების და კვინტეტების მუსიკა.



როდის დაწერეთ თქვენი პირველი სიმღერა და რომელია ეს სიმღერა.

ბორის ფოცხიშილის ლექსზე – „რა ტურფა გაზაფხულია“ ყველაზე მეტი სიმღერა დაწერილი მაქვს ბორის ფოცხიშვილის ლექსებზე.

- სულ რამდენი ნაწარმოების ავტორი ხართ?

სიმღერა თითქმის 200-მდე მაქვს დაწერილი. სიმფონიური და კამერული მუსიკა, კინო მუსიკა არც თუ ისე ბევრი, მაგალითად კინოფილმი „მზე შემოდგომისა“ რამოდენიმე მუსიკა, მარჯანიშილის და რუსთაველის თეატრების სპექტაკლებისთვის.

რომელია ბატონო ვაჟა, თქვენი საყვარელი სიმღერა და ვინ არის თქვენი საყვარელი მომღერალი?

ყველა სიმღერები მიყვარს, განსაკუთრებით გამოვყოფდი სიმღერებს „პატარა გოგო“ „სხვა საქართველო სად არის“ „დღეები მიდიან“ „დინამო, დინამო, დინამო“

საყვარელი მომღერალი არის ქ-ნ ნანი ბრეგვაძე, ის ჩემი კურსელი იყო და ყველა მუსიკას ვწერდი ნანისთვის, ის შესანიშნავი შემსრულებელი იყო.

- სიმღერა, რომელიც ყველასთვის საყვარელი სიმღერაა „დღეები მიდიან“ ვის ეძღვნებოდა.

ამ სიმღერას თავისი ადრესატი ყავდა იმ პერიოდში.

- როგორ შექმენით პოპულარული სიმღერა „დინამო, დინამო, დინამო“, რომელიც ქართული ხიტი გახდა.

მე გახლავართ ძალიან დიდი გულშემატკივარი ფეხბურთის, უამრავი წიგნიგ გამაჩნია ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე. როცა ჩვენმა ფეხბურთელებმა ერევნის ლიგას მოუგეს რა დამაძნებდა და დიდი სიხარულით დავწერე ეს სიმღერა, მორის ფოცხიშვილის ლექსზე. როგორც ხედავთ ხალხმა ძალიან შეიყვარა ეს სიმღერა.

- მეუღლის შესახებ, ხომ ვერ გვეტყოდით, ვინ არის, რა პროფესიის გახლავთ?

ჩემი მეუღლე არის მუსიკოსი, პედაგოგი გახლავთ. ამავე დროს პოეტი. მის ლექსებზე შექმნილია 7 სიმღერა. რამოდენიმე წიგნის ავტორია, არის არაჩვეულებრივი მეუღლე, დედა და ძალიან თბილი და ტკბილი ბებია.

- ბატონო ვაჟა რას უსურვებდით ჟურნალ „ათინათს“.

მე ვიცნობ ამ ჟურნალს, ძალიან მიხარია, რომ ეს ჟურნალი არსებობს. ამ ჟურნალის დიდი მხარდამჭერი ვარ. ძალიან ცნობილი მოღვაწეები ამ ჟურნალში თანამშრომლობენ.

- ბატონო ვაჟა სამომავლოდ ალბათ კიდევ ბევრი ახალი ნაწარმოებებით გაგვახარებთ.

რა თქმა უნდა მაქვს ბევრი გეგმები, ახლო მომავალში. მაქვს მოწვევები ტელევიზიაშიც და კიდევ ბევრი მრავალი ღონისძიებები.

ბატონო ვაჟა, დიდი მადლობა მინდა მოგიხადოთ, ჩემთვის ეს დღე დაუვიწყარი იქნება. მე ძალიან მიყვარს თქვენი სიმღერები, ვუსმენ სიამოვნებით. განსაკუთრებით - მიყვარს „დინამო, დინამო, დინამო“. მე ვამაყობ თქვენით, ვინაიდან საქართველოს ყავს თქვენისთანა ნიჭიერი კომპოზიტორი, რომლის მუსიკები ყველა პერიოდში ყველა თაობისთვის არის სასიამოვნო მოსასმენი და დაუბერებელი. მიყვარხართ, პატივს გცემთ და მუდამ თქვენი ნაწარმოებების თაყვანისმცემელი ვიქნები. მინდა წარმატებები გისურვოთ და კიდევ ბევრჯერ გაგვახაროთ ახალი სიმღერებით.

ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან

ქალბატონო მაყვალა! მოგესალმებათ ქ. ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე თამაზ აფაქიძე

1. თქვენ ბრძანდებით პოეტი, დედა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე წლების განმავლობაში როგორ ათავსებთ ამ სამ დიდ საქმეს ერთი პიროვნება?

დავიწყოთ იმით,რომ ყველაფრის სათავე სიყვარულია, აქედან გამომდინარე, როცა გიყვარს შენი საქმე, შენი ოჯახი უფრო მეტს აკეთებ. როცა სიყვარული არ უდევს საფუძვლად საქმეს, შეიძლება უმნიშვნელო საქმეც ვერ გააკეთო.

მე მადლობელი ვარ ღმერთის რომ დედობის მადლით ვცხოვრობ და მადლობელი ვარ უფლის, რომ ასეთ სამსახურში ვარ.

2004 წლიდან 2014 წლამდე ვიყავი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სადაც ამ საქმეს უძღვებოდნენ მ. მაჭავარიანი, ნ. დუმბაძე, შ. ნიშნიანიძე, ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე ჩვიდმეტი დიდი მწერალი თუ პოეტი, ხოლო მდივნებად იყვნენ ასევე დიდი მწერლები და პოეტები, როგორებიცაა: ი. ნონეშვილი, გ. აბაშიძე. აქედან გამომდინარე ჩემთვის დიდი პატივი იყო მათთან ერთად მუშაობა.

ახლადჩატარებულ მწერალთა ყრილობაზე ჩვენ შევცვალეთ მუშაობის სტრუქტურა. ხუთი ადამიანი ვართ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რომლებიც ერთმანეთს შევენაცვლებით.

წელს არის ბატონი რეზო მიშველაძე, შემდეგ მე. იქნება გუნდური მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს მწერლთა კავშირის გაერთიანებას. ამჟამად ვხელმძღვანელობ უცხოურ მწერლობას.

2. ქალბატონო მაყვალა! რომელი წლიდან წერთ ლექსებს?

რადგან მამა კახეთიდან იყო, ხოლო დედა გურიიდან, მთელი ჩემი ბავშვობა, ხან კახეთში ვიყავი და ხან გურიაში, მშობლები კი თბილისში ცხოვრობდნენ.

ვარ კახეთში წითელწყაროს რაიონის ერთერთ ულამაზეს სოფელ არბოშიკში, რომელიც მთებს შუაა მოქცეული, რაღაც ძალზედ გამორჩეული ცაა ჩემს სოფელში. ღამით, როდესაც აივანზე ვიყავი გამოსული და ვუცქეროდი, ამ დროს ექვსი წლის ვიყავი, გამიჩნდა ლექსის დაწერის სურვილი და დაუძახე ბებიას: ბებია! ბებია! მუზა მომივიდა, მუზა. . . მაშინვე გამოვიდა ოთახიდან. ბებოს დედილასაც ვეძახდი, რადგან ძალიან მიყვარდა. მოიტანა კალამი და ჩაიწერა ლექსი. იმ დღიდან დღემდე მომყვება ეს უფლის ნაკარნახევი მადლი. ლექსი კარგია თუ ცუდი, ყველაფერი უფლის ნებაა.

უცნაურია ისიც, რომ ჩემი პირველი ლექსი ფილოსოფიური იყო. ეძღვნებოდა სიკვდილ სიცოცხლის თემას. მახსოვს ასე მთავრდებოდა:

„მივქრივარ, თეთრ რაშზე ვზივარ,
მივაპობ მთებსა და ველებს,
მივქრივარ იქ, სადაც სიკვდილი არ არის,

მივქრივარ იქ, სადაც სიცოცხლე ჩქეფს“.

ეს იყო 1966 წელი, როცა მთელი საქართველო დიდი მწერლის, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს ზეიმობდა და ყველას, განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა პოეზიის მწერლობის მიმართ.

3. რა არის თქვენთვის პოეზია?

მოკლედ რომ გითხრათ, ალბათ ყველაფერი.

4. როგორ გაიხსენებდით ბატონ ჰამლეტს?

ჰამლეტი მარტო ჩემთვის კი არა, არამედ საქართველოსთვისაც დიდი პიროვნება იყო. იგი უბოროტო, კეთილშობილი ადამიანი იყო, რომელსაც გაგიკვირდებათ და მტერი არ ჰყავდა. მისი თვალები მოყვასის სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა. ამიტომ იმსახურებდა ხალხის სიყვარულს.

5. ქალბატონო მაყვალა! თუ შეიძლება როგორი მშობელი იყო ბატონი ჰამლეტი და თქვენ თუ გავხართ მას, როგორც მშობელი?

ბატონი ჰამლეტი მოსიყვარულე მამა და მშობელი იყო. მახსოვს მას ყოველთვის აგვიანდებოდა. ყველა ჰამლეტს დაეძებდა.

არ ვიცი რამდენად ვგავარ მას ამ კუთხით, მაგრამ მასავით მიყვარს ჩემი ოჯახი და შვილები.

6. თუ შეიძლება მოგვიყევით თქვენი ოჯახის შესახებ?

მყავს ქალ-ვაჟი. მარეხმა დაამთავრა თავისუფალი უნივერისტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გატაცებულია პოეზიით, წერს ლექსებს.

ვაჟი – ივანე კეზუა მხატვარია. გაკეთებული აქვს რამოდენიმე გამოფენა.

პროექტში, რომელიც მარეხმა გააკეთა. „თბილისი და თბილისელები“. სხვა ახალგაზრდა მხატვრებთან ერთად, ივანეს ნამუშევრებიც არის შესული.

მეუღლეს დამთავრებული აქვს სასოფლო, მაგრამ გატაცებულია დიზაინით და ამ სფეროში მოღვაწეობს.

7. თქვენი საყვარელი პოეტი, მწერალი?

სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა პოეტებითა და მწერლებით ვიყავი გატაცებული, მაგრამ გალაკტიონი მუდმივად ჩემი თანამგზავრია.

დოსტოევსკი ჩემი უსაყვარლესი მწერალია. მიყვარს ბაბელი, მარკიზი, რეზო მიშველაძე, გოდერძი ჩოხელი, რომელთანაც დიდი მეგობრობა მაკავშირებდა.

8. თქვენი საყვარელი ლექსი?

შეიძლება ითქვას, რომ საპროგრამო ლექსია „ვალი“.

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვირაც ქარივით გაგაქილიკებს,
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,
ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.
იყო ერთგული დედა და ცოლი
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.

და სხვა კეკლუცი ქალების დარად
არ შეგისრულდეს ნატვრა აროდეს,
არ იყოს ვინმე სიმარტივიდან
შენს დასახსნელად მოუხაროდეს,
ეს იმას ნიშნავს, არ განუგეშოს,
როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში
არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მაერტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია
იყო პოეტი და იყო ქალი.

არის ლექსი პატრიარქთან დაკავშირებით, რომელიც ჩემთვის ძვირფასია.

სიყვარულის მასწავლებელი

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსოთ სიბრძნის სალარო
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო
როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც ლერწამი
თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ აჰყვებით შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიწმინდის მცველი,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო უნეტარესო.
მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბეწვიც არ შემარჩინეს,
ბევრჯერ ეს გული, ნაწამები სევდით ამევსო
მადლობელი ვარ ნუგეშისათვის, მწყემსო კეთილო
ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო.
ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით სიყვარულის მასწავლებელო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო.

9. ქალბატონო მაყვალა! რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ შესახებ?

ჯერ მინდა მის რედაქტორზე გითხრათ ორი სიტყვა, გასაკვირია როგორ ახერხებს ეს ქალბატონი ამდენს ჩვენს დროში. როდესაც მრავალი ცნობილი ჟურნალი დაიხურა უსახსრობის გამო, ქალბატონი გულნაზი წინ მიიწევს და არ უშინდება წინააღმდეგობებს, ეს ჩვენს დროში გმირობის ტოლფასია. აქედან გამომდინარე მინდა ვუსურვო მთავრობის მხრიდანაც და მეცნიერებიდანაც მეტი თანადგომა და მხარდაჭერა.

10. თუ შეიძლება გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი შემოქმედებიდან?

ადრე პოლიცია კი არა მილიცია იყო. ახალი ჩამოსული ვარ მოსკოვიდან, სადაც პირველად ვნახე ცხოველთა ბაზარი.

ბატონ ნუგზარ ერგემლიძეს მილიციის დღესთან დაკავშირებით შემოქმედებითი საღამო უნდა გაემართა მათ დაწესებულებაში და მეც მიმიწვია ამ საღამოზე მონაწილეობის

მისაღებად. დადგა ჩემი ჯერიც და აი საკვირველება, ჩემი წაკითხული ლექსის „ცხოველთა ბაზარი“-ს შემდეგ ტაშის მაგივრად სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ლექსი კი ასეთი იყო:

„ცხოველთა ბაზარი“

და როგორც ჩვენში, აქ ცხოველებშიც,
მეტი ფასი აქვს ძაღლებს ფინიას,
ჩირად ფასობენ აქ უჩინონი
უცქერი ფიქრობ და მეშინია“

11. ქალბატონო მაყვალა! რას გვისურვებთ ახალგაზრდობას.

ჩემო პატარა მეგობარო! ძალიან მინდა, რომ მშვიდობიან და სამართლიან ქვეყანაში იცხოვროთ, ეს კი განუყოფელია ერთმანეთისაგან.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ. ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობა და ინტერვიუს ჩაწერა.

ინტერვიუ ლაგოდეხის რესურსცენტრის უფროსთან მანანა ჩიკვაიძე



გამარჯობათ ქალბატონო მანანა! თქვენ ბრძანდებით ქალაქ ლაგოდეხის რესურს ცენტრის ხელმძღვანელი. თუ შეიძლება რომ ჩემი რესპოდენტი იყოთ.

დიდი სიამოვნებით მოგისმენთ და ვეცდები ამომწურავი პასუხი გავცე თქვენს კითხვებს.

1. ქალბატონო მანანა! რით განსხვავდება ჩვენი თაობა თქვენი თაობისაგან?

თქვენი თაობა კარგად არის გარკვეული ახალ ტექნოლოგიებში, ვიდრე ჩვენ, უფრო სწრაფად აზროვნებენ, სწრაფად იღებენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებებს ვიდრე ჩვენი თაობა.

2. მოგწონთ თუ არა თქვენი თანამდებობა და რამდენი ხანია ხართ რესურს ცენტრის უფროსი?

მინდა გითხრა, რომ ვარ პროფესიით პედაგოგი, რაც ძალიან მეამაყება. ვმუშაობდი №1 საჯარო სკოლაში, ხოლო 2006 წლიდან ვარ ამ თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე მუშაობა საშუალებას მაძლევს ვიცოდე ლაგოდეხის რაიონის სკოლების მიღწევები. დავეხმარო მათ სხვადასხვა საკითხების გადაჭრაში.

3. გთხოვთ გვიამბოთ თქვენი ოჯახის შესახებ?

მყავს ორი ვაჟი. უფროსი აიტი მენეჯერია. უმცროსი საბანკო საქმით არის დაკავებულ;ი. ყავს მეუღლე რომელთანაც ერთად „ლიბერთი ბანკში" მოღვაწეობენ. მყავს შვილიშვილი – ელენე. მეუღლე მედიცინის მუშაკია – თერაპევტი.

4. თქვენ, რომ იღებდეთ გადაწყვეტილებებს რას შეცვლიდითსკოლაში?

გავაუმჯობესებდი სასკოლო ინფრასტრუქურას და გავამკაცრებდი დისციპლინას.

5. რა რჩევას მისცემთ დღევანდელ ახალგაზრდობას?

რაც შეიძლება ბევრი იკითხონ და არ დაკარგონ უქმად დრო.

6. როგორია თქვენი პოზიცია? სკოლაში უნდა იყოს მანდატური თუა არა?

უნდა იყოს. ეს აუცილებელია.

7. სკოლაში უნდა ტარდებოდეს ღონისძიებები თუ არა? რომ დაგპატიჟოთ დაგვესწრებით?

აუცილებლად უნდა ტარდებოდეს. სიამოვნებით მივიღებ თქვენს მოწვევას.

8. როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა სკოლაში საატესტატო გამოცდები, მაშინ როცა იქ მიღებულ ნიშანს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს?

საჭიროა, რადგან ნებისმიერი გამოცდა აწესრიგებს ცოდნის შემოწმებას და ფსიქოლოგიურად აჩვევს სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვას.

9. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ელექტრონული ჟურნალების შესახებ. თქვენ რას ფიქრობთ საჭიროა თუ არა ელექტრონული ჟურნალი?

საჭიროა. ნებისმიერ მშობელს შეუძლია ნახოს თავისი შვილის ნიშნები კომპიუტერის საშუალებით.

10. თქვენი აზრით არის თუ არა ისეთი ბერკეტი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის წიგნთან დაახლოებას?

ჩემი აზრით სკოლის ბიბლიოთეკების მხრიდან სხვადასხვა მწერალთან თუ პოეტთან დაკავშირებული საღამოების მოწყობა, წიგნის კვირეულის მოწყობა. თვით ოჯახის წევრებთან ურთიერთთანამშრომლობით შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა.

11. რას უსურვებთ დღევანდელ მე-12 კლასელებს?

რაც შეიძლება მეტი ცოდნის შეძენას საკუთარი მომავლის მოსაწყობად და პროფესიონალიზმს მათ არჩეულ პროფესიაში.

12. ქალბატონო მანანა, ჩემს მეგობარს ბატონმა ჯამბურიამ, რომელიც ლაგოდეხის გამგებელია მერხებთან დასმულ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა რომ ეს საკითხი განათლების გადასაწყვეტია. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

დიახ, განათლების სამინისტრო ზრუნავს სკოლებში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ეტაპოვრივად ხდება სკოლის ინტერიერის განახლება. ამასთანავე თვით სკოლასაც გააჩნია ხარჯები რომელიც მიმართულია ამ მხრივ.

ინტერვიუ რევაზ მიშველაძესთან

ტარიელ ხარატიშვილი

მოგესალმებით ბატონო რეზო მე გახლავართ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ტატო ხარატიშვილი, ნორჩი ათინათელი, ვწერ ლექსებს და ვარ სტიქაროსანი.

ძალიან დიდი სურვილი მქონდა თქვენგან ინტერვიუს აღების და ეს დღეც დადგა.

დიდი ინტერესით გავეცანი თქვენს ბიოგრაფიას: დაიბადეთ 1940 წ-ის 1-იანვარს. სკოლა დაამთავრეთ ქუთაისში 1958-წს, შემდეგ დაამთავრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, იქვე მუშაობდით 40-წელი. პარალელურად იყავით მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, პროზის სექციის ხელმძღვანელი და რედაქტორი ჟურნალებისა: „კრიტიკა“ და „ნუგეში“, მიღებული გაქვთ უამრავი პრემია, ბრძანდებით „ღირსების ორდენის“ და „ივანე ჯავახიშვილის“ მედლის კავალერი, მიღებული გაქვთ „რუსთაველის“ და „ი. ჭავჭავაძის“ პრემიები, გამოეცით თქვენი 25-ტომეული. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი უბრალოებით.

1) და მაინც ხომ არაფერი გამომრჩა?

ჩემო ტარიელ, არათუ გამოგრჩა, არამედ უფრო მეტიც მითხარი ვიდრე მეკუთვნოდა. იცოდე შენ, არავითარ ჯილდოს და ტიტულს მნიშვნელობა არა აქვს მწერლისთვის და ხელოვანისთვის, თუ ეს ჯილდო მას ნიჭის გამო არ ეკუთვნის. ყველაფერი ჩემი ცხოვრების ეპიზოდებიდან არის, როდის რა პრემია მიმიღია, რა თანამდებობაზე ვყოფილვარ. მთავარი რევაზ მიშველაძის ადგილის გარკვევისთვის, არის ის 25 ტომი, რომელიც ქართველი მკითხველის თაროზე დავდე. მიმდინარე 2014 წელს. ამიტომ დავიწყოთ, რომ შენ ესაუბრები მხცოვან და შენ, როგორც ამბობ დამსახურებულ მწერალს, ნუ იქნები აღფრთოვანებული ჩემი შემოქმედებით, მე ერთი ჩვეულებრივი ქართველი მწერალი ვარ და ერთმანეთს ვესაუბროთ, როგორც მეგობარმა-მეგობარს, კოლეგამ-კოლეგას. მე კარგად ვიცი შენი სახელი და გვარი, ამიტომ დავთანხმდი შენთან საუბარზე, ჩემს უსაყვარლეს მეგობარს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, რომ ნიჭიერი ყმაწვილი ხარ. აი ეს არის ყველაზე დიდი ეპითეტი, რასაც მე ვეტყოდი შენი ასაკის და ცოტა უფროსი ასაკის ლიტერატორსაც კი.

2. რა ემოცია აღძრავს თქვენში მუზას?

ტარიელ შენ მომავალი პოეტი ხარ და უნდა გითხრა, რომ მუზა ძალიან აბსტრაქტული ცნებაა, ლამაზი სიტყვა კია. სინამდვილეში. არავითარი მუზა არ არსებობს, არავითარი პოეტური ქალღმერთი არ დაგაფრინდება შენ მხრებზე და ჩურჩულს არ დაგიწყებს. მუზა არის მხოლოდ და მხოლოდ განწყობის შექმნა რაიმეს დასაწერად. 100 პროცენტიდან მხოლოდ რამოდენიმე პოეტია, რომელიც ახალ პოეზიას ქმნის, დანარჩენი ერთმანეთის ლექსების გადამღერებას უნდება. გალაქტიონ ტაბიძე, შოთა ნიშნიანიძე, ლადო ასათიანი და კიდევ თითებზე ჩამოსათვლელი პოეტებისა.

მუზა ძალიან ხელოვნური მცნებაა პროზაიკოსებისთვის. მე ვარ პროზაიკოსი ვწერ: მოთხრობებს, ნოველებს და რომანებს. მე მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ვიწყებ წერას, როცა არ შემიძლია არ დავწერო, ჩემთვის მაგიდასთან მიმჯაჭველი არის ამბავი, სიუჟეტი, რომელიც მე მომხიბლავს. ასეთი ამბები ჩემს ყურს ძალიან ხშირად ხვდება. მაგალითად: შეიძლება სრულიად შემთხვევით მივდიოდე იმერეთის, რომელიმე სოფელში და გავხდე მომსწრე იმ სოფლის სკოლადამთავრებული 30 წლის ბიჭი, როგორ დაიღუპა საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში და მადლიერმა სოფელმა, როგორ მიანიჭა მისი სახელი სკოლას, მე რომ ჩამოვდივარ იქიდან, ამ შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ, სულ ვფიქრობ, როგორი იყო ეს ბიჭი. ფიქრი ჩემში იბადება მისი ხალასი, უშუალო და ცრემლის მომგვრელი პოეზიიდან, ამ წუთში ეხლაც ამაზე ვფიქრობ, როგორ მოვხაზო ჩემს ნოველაში ბეჟან ხარაიშვილის პორტრეტი. ეს არის ჩემი დამოკიდებულება ლიტერატურეს მიმართ, ან შეიძლება ვიღაცამ გიამბოს: ასეთი და ასეთი ამბავი მოხდაო და ამან შეიძლება ჩემში აღძრას განწყობა წერისათვის. გონებაში ეს იხარშება. ნამდვილი მწერლის გონება სულ მუშაობაშია, აი ახლაც, შენ რომ მიზიხარ, ეს ლამაზთვალება, ჭკვიანი ბიჭი მე ვფიქრობ, ნეტავ რა იქნებოდა მე, რომ მქონოდა საშუალება მე-6 კლასის მოსწავლე დავმჯდარიყავი რომელიმე უფროსი თაობის მწერლის წინაშე, როგორ მოვიქცეოდი მე, რას ვკითხავდი და რას მიპასუხებდა იგი. აი ეს არის ეხლა რაც ტრიალებს ჩემს ტვინში ამ შეკითხვებიდან გამომდინარე.

3) თქვენი ფავორიტი მწერალი?

ჩემი საყვარელი მწერალი არის შოთა რუსთაველი. ეს არის მსოფლიოს ყველაზე დიდი პოეტი.

4) თქვენ ბევრი სტუდენტ გაგიზრდიათ, თუ გყოლიათ მწერლობის ნიჭით დაჯილდოვებული სტუდენტ, რომელმაც მთელი ცხოვრება დაგამახსოვრათ თავი?

ძალიან დიდი ხნის წინანდელი ამბავია: 1960 წელს შევედი უნივერსიტეტში, ჯერ ვიყავი ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი, შემდეგ 1966 წლიდან ბესარიონ ჟღენტის შემდეგ, მე ვიყავი ამ წრის ხელმძღვანელი 2006 წლამდე ეს ის წელია, როდესაც წინა მთავრობის „დმსახურებით“ არსებობა შეწყვიტა ერთადერთმა ალმანახმა-რომელიც გამოდიოდა 50 წელი მას ერქვა „პირველი სხივი“ მისი ავტორიც მე ვიყავი. უნივერსიტეტში ჩაკვდა ყოველგვარი ლიტერატურული ცხოვრება. ეხლა 1 წელია, რაც უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს, დაგვაბრუნეს ორიოდე ათეული პროფესორი და ნელ-ნელა უნივერსიტეტი ემსგავსება იმ ეროვნულ კერას, რომელიც არსებობდა უნივერსიტეტის დაარსებიდან 1918 წლიდან 2006 წლამდე. 2006 წ-დან 2012 წლამდე იცოდეს ისტორიამ უნივერსიტეტი ფაქტიურად გაუქმებული იყო.

2006 წლიდან იქ პარპაშებდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და ჩემდა სამწუხაროდ დღესაც, ნაციონალური მოძრაობის არაერთი წარმომადგენელი არის უნივერსიტეტის „ფუნქციონერი“, ვერ გაიწმინდა ეს ჩვენი საამაყო ეროვნული კერა, ნაც. მოძრაობის ნარჩენებისაგან, მიუხედავად დღევანდელი რექტორის მცდელობისა. ასე, რომ ჩემო კარგო, მე უამრავი სტუდენტი მყავდა, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ გეტყვით, რომ დღევანდელი მწერალთა კავშირის 80% უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ყოფილი წევრები არიან. მე არ ვიტყვი ჩემს მიერ დაოსტატებული და გაზრდილები არიან მეთქი. დაოსტატება, ლიტერატურულ ვარჯიშში მიხმარება შეიძლება, მაგრამ შენ მისგან პოეტს ვერ შექმნი თუ იგი დაბადებული არ არის პოეტად. არავითარი სკოლა მაგას არ უშველის. ვარჯიშით შეიძლება რაღაც დინეს მიაღწიო, რითმების დაკავშირება, კომპოზიციის კანონები შეისწავლო, მაგრამ პოეტი ვერ გამოვა. კითხულობ ასე ლექს და არის გალექსილი პუბლიცისტიკა. როგორც გალაქტიონი იტყოდა: თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი. ასე,

რომ ვინც არ უნდა დავასახელოთ ჩემზე 15-20 წლით უმცროსი მწერალი ყველა ჩემი ნამოწაფარია, მე მათ გვარებს არ ჩამოვთვლი, იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთზე უკეთესები არიან, მე ისინი ყველა მახსოვს და ყველა მიყვარს.

5) გთხოვთ მოგვიყვეთ თქვენი ბავშვობის შესახებ, როგორი ბავშვი იყავით, რა გიყვარდათ, რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?

რევაზ მიშველაძე, როგორც ბავშვი, ჩემო ტარიელ, ისეთივე ბავშვი იყო, როგორც ყველა ბავშვი, სხვაზე მეტად ცელქი ვიყავი, მაგრამ სკოლაში კარგად ვსწავლობდი. ერთი, რამაც გადამარჩინა მე მივდევდი სპორტსაც. 2 თვეში 75 წლის ვხდები. ამასწინათ ჩვენი გამოშვების სურათს ვათვალიერებდი და 47 კურსდამთავრებულიდან 14 ვართ ცოცხალი. ძნელ ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება, წუთი-სოფელმა გვაჯანჯღარა და ბევრი გარდაიცვალა. გადრა სპორტისა მიყვარდა კითხვა, ის იყო ჩემი კერპი. შენ გიყვარს სპორტი? მე ყველა ახალგაზრდას ვაძლევ რჩევას, რომ იყოს სპორტით გატაცებული. სპორტი შენში ხსნის ვაჟკაცობას, რაინდობას, სიმამაცეს, შემოქმედებით ძალას გმატებს. ამასწინათ ვკითხულობდი, ფრანგ მწერალს-ანრი მორუას, აქვს დაწერილი: თუ რამ არის კარგი და ზნეობრივი ჩემში, ეს სპორტმა მომცაო. შენ იცოდე, რომ ყველა კარგი მწერალი მსოფლიოში, ვაჟკაცი იყო, ფიზიკური გამძლეობის გარეშე ჭეშმარიტი ლიტერატურა არ იქნებოდა.

მე ვფიქრობ ხანდახან, როგორი ვაჟკაცი შეიძლება ყოფილიყო შოთა რუსთაველი. დიდი ფიზიკური და სულიერი ძალის გარეშე არ დაიწერებოდა „ვეფხის ტყაოსანი“. იქ ერთი სცენაა: ვეფხის და ლომის შებრძოლებისა და მერე ტარიელის ჩარევისა, ვეფხის და ლომის შერკინებაში. ამას მხოლოდ ფიზიკურად და სულიერად ძლიერი ადამიანი აღწერდა.

6) თქვენი აზრი სკოლებში ქართული ენა-ლიტერატურის სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებზე.

მე ვიცი, რომ ამჟამად ძალიან სავალალო მდგომარეობაშია ქართული ენის და ლიტერატურეს სწავლება სკოლაში, თუ ძალიან მცირე გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში. ეს გამონაკლისი მოდის მხოლოდ ინდივიდ მასწავლებლებზე. თუ მასწავლებელია თვითონ კარგი პიროვნება, პატრიოტი, ქართული ენისა და ლიტერატურის მოყვარული იგი მაინც შესძლებს კარგად შეასწავლოს თავისი საგანი მიუხედავად იმისა, რომ მთელი სისტემა იყო ამის წინააღმდეგი გასულ 9 წლეულში. გასული 9 წლის განმავლობაში გაუქმდა ქართული ენის კოლეგია, ე. ი. ქართული ენის ნორმების დამდგენელი კომისია. იკითხებოდა მხოლოდ შემცირებული პროგრამა. ქართული ენა-ლოიტერატურა შემცირდა მისაღებ გამოცდებზეც.

უამრავი სტატია მაქვს დაწერილი ამის თაობაზე, თუ რიგორ შემცირდა და თანდათანობით გაუქმდა მისაღებ გამოცდებზე ქართული ენა-ლიტერატურის ჩაბარება, იმ ტესტების გამოგონება, ქართული საათების შემცირება სკოლებში, აკრძალვა ნახევრად არალეგალურად სკოლებში გამოჩენილი მწერლების შეხვედრებისა, ემსახურებოდა იმას, რომ არ განვითარებულიყო ქართული კულტურა, მაგრამ განსაკუთრებით პატრიოტმა ადამიანებმა, მაინც შეძლეს გამოეტაცათ, ამ უბედურ დროში, რამდენიმე ქართული ჟურნალი და გაზეთი, რომ მკითხველს ქონოდა სულიერი წყარო. გაუქმდა „ცისკარი“ და „მნათობი“, ეს ტრადიციული ქართული ჟურნალები, ეს ხომ ტრაგედიაა.

7) რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ როლზე, როგორც მომავალი თაობისთვის ასევე ზოგადად.

მე როგორც ვიცი, შენი უფროსი მეგობარია ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, რომელმაც შეძლო ამ უმძიმეს დროში არაჩვეულებრივი ქართული ჟურნალის გამოცემა. მე მიხარია, რომ იქ ერთმანეთის გვერდითაა შენი თაობის დამწყები პოეტებიც და მხცოვანი პოეტებიც.

ეს ისეთი კარგი მაგალითია ლიტერატურული საქართველოს მობრუნებისა, რომ მე როგორც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი, აღფრთოვანებული ვარ. ეს არის ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწის საქციელი. დანარჩენი შემდეგ კრიტიკოსებმა იმსჯელონ, რა იყო კარგი და რა უარესი. აი მაგალითად „ნობათი“ და იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, რომ შეიქმნა, მას ისიც კი გაუბედეს, რომ დაეწუნებინათ „დედაენა“, მაგრამ დღემდე მასზე უკეთესი ვერავინ ვერაფერი შექმნა. დედაენა შეუცვლელი წიგნია.

8) ბატონო რეზო მე საკმაოდ პატარა ასაკიდან დავიწყე ლექსების და ჩანახატების წერა, ზოგიერთ ლექსს, რომ დავწერ და რამოდენიმე ხნის შემდეგ წავიკითხავ, აღარც მახსოვს რომ დავწერე, ხან მიკვირს კიდეც ნუთი ეს მე დავწერე? არ ვიცი რა მაწერინებს, ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენს რჩევა-დარიგებებს. რას მირჩევდით? თქვენ შეიძლება არ იცნობდეთ ჩემს ლექსებს თუ ნებას მომცემთ წაგიკითხავთ (წაიკითხა თავისი ლექსი „მოდით სამშობლოს მივუძღვნი ამ ლექსს“).

სიამოვნებით მოგისმინე ჩემო კარგო. უპირველესყოვლისა მიიღე ჩემი მოწონება და მხარზე ხელის დაკვრა. კარგი ბიჭი ხარ, გრძნობ ქართულ სიტყვას, მუსიკალური ხარ, მოგდევს რითმა, გაქვს სათქმელი და ამ სათქმელის გამოხატვის საშუალება. მე მიმაჩნია, რომ შენი სახით ერთი კარგი პოეტი გაეზრდება საქართველოს. გაეზრდება მეთქი, იმიტომ გითხარი, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაო, იკითხო. მე გირჩევ შეეცადო მოკლედ წერო, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამად კარგიო“, ეს განსაკუთრებით ლირიკის ავტორებს ეხებათ. თვითონ რუსთაველის პოემა დიდი რომანია, ის სხვა ჟანრია, ის პოტური რომანია. არის ასეთი ლიტერარურული ჟანრი, კომპოზიციის გრძნობა. როცა ლექს დაწერ, ერთი ფიქრი დააყოლე თან, რომ იმ თემაზე რაზეც ვწერ, ბევრი ლექსი დაწერილა. სხვის მიერ გაკვალული გზით არ იარო და სენეული ფიქრი, შენეული ფრაზა და შენეული ინტონაცია ჩადო შიგ. ლაკონური აზროვნება, რაც შეიძლება ორიგინალური და ჩემეული ვიყო.

9) დიდი ინტერესთ ვკითხულობ თქვენს ნოველებს, ისინი ჩემთვის სულხა-საბას იგავარაკებივითაა, საიდანაც ძალიან ბევრი სიბრძნის სწავლა შეიძლება, ისინი ისეთი შთამბეჭდავია ჩემთვის, სურვილი მიჩნდება მათ გაგრძელება ჰქონდეთ და სიამოვნებით წავიკითხავდი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „ცივმა ღამემ“. თქვენ არ გქონიათ სურვილი რომელიმე ნოველლა გაგეგრძელებინათ?

არ მქონია ნოველური სიუჟეტი ის ისა, რომ მოულოდნელად მთავრდებოდეს. ჯერ ჩემთვის არავის არ მოუმართავს, რომელიმე ნოველა გააგრძელეო. ის კი არა, ხან ვფიქრობ ნამეტანი, ხომ არ ვილაპარაკე მეთქი. მწერალს, რომელსაც წერტილის დასმის გრძნობა არა აქვს ის მწერალი არ არის. ილია ჭავჭავაძეს ჰყავს პერსონაჟი „გლახა ჭიაშვილი“, რომელიც იწყებს და ვერ ამთავრებს, ლაკონურობა, სისხარტე, მკითხველის ყურადღების ბოროტად არ სარგებლობა, ეს არის ჭეშმარიტმა მწერალმა გულის ფიცარზე, რომ უნდა დაიწეროს.

10) თუ ხედავთ მომავალ თაობაში იმის პოტენციალს, რაც საქართველოს სჭირდება.

რა თქმა უნდა, ამას, რომ ვერ ვხედავდე თავს მოვიკლავდი, მაგრამ საქართველომ და ჩვენმა სკოლებმა, ჩვენმა აღმქრდელობითმა სასწავლებლებმა, ბოლო გამოტოვებული, ეროვნული აღზრდის 9 წელიწადი უნდა შეავსოს, რომელიც გამოატოვებინა წინა-სააკაშვილის მთავრობამ. დიდი ნაბიჯებით უნდა იაროს, რომ ეროვნული მოქალაქეები აღზარდოს. ეროვნული მოქალაქეები რას ჰქვია? თავის სამშობლოს თავისუფლებისთვის, რომ იბრძვის. თუ ოდესმე სათავეში მოვა თაობა, რომელსაც დარდი არ ექნება, საქართველოს წართმეული მიწების, რომელსაც სურვილი არ ექნება სამაჩაბლო და აფხაზეთის დაბრუნებისა, მე ჩავთვლი, ეს არაეროვნული თაობაა და საქართველოს მომავალი არ უწერია. მაგრამ მე იმედი მაქვს უფლის ნებით ყველაფერი კარგად იქნება.

11) ბატონო რეზო. ჩემი ქართული მასწავლებელმა ქალბატონმა მერი სპანდერაშვილმა ერთხელ სკოლაში ჩამიტარა პერსონალური პოეზიის საღამო, შემდეგ კი ქაბატონი გულნაზის დახმარებით მქონდა თბილისში. თუ უფლის ნება იქნება კიდევ მაქვს სურვილი სასწავლო წლის ბოლოს მქონდეს პოეზიის საღამო და დიდი მოწიწებით მინდა გთხოვოთ ახლავე. იქნებ დრო გამონახოთ და მობრძანდეთ.

სიამოვნებით დავესწრები, კარგი ბიჭი ხარ ძალიან.

12) უღრმესი მადლობა დრო, რომ დამითმეთ. მე ამ ერთი საათის განმავლობაში იმდენი ცოდნა და გამოცდილება მივიღე, ალბათ მთელი ცხოვრება გამყვება.

ინტერვიუ ცეზარ ღაშხთან

– გამარჯობათ! მე გახლავართ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ტარიელ ხარატიშვილი. ვწერ ლექსებს და ვარ სტიქაროსანი, "ნორჩი ათინათელი"

– გამარჯობათ! სასიამოვნოა, კეთილი იყოს შენი მობრძანება!

– აკაკი წერეთელი "საქართველოს უგვირგვინო მეფე" – ასე უწოდებდა ქართველი ერი თავის სათაყვანო პოეტს. მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში ვარ და დირექტორთან მომიწია შეხვედრა. ბატონო ცეზარ, რომელ წელს გაიხსნა მუზეუმი?

– მუზეუმი გაიხსნა 1941 წელს, რომელსაც ერქვა აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი, ხოლო 1943 წლიდან გამოცხადდა სახელმწიფო მუზეუმად.

– აკაკი წერეთელი ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული პოეტი იყო. საჩხერის რაიონში ვინ შეიძლება ჩაითვალოს მის მიმდევარ პოეტად?

– რა თქმა უნდა მუხრან მაჭავარიანი.

– მისი აკრძალული ლექსებიდან ერთ-ერთი ზეპირად ვიცი!

– ახლა მე მაინტერესებს ეს ლექსი საიდან გაქვს?

– შემოქმედებით წრეში გვყავს რეჟისორი, ვატარებთ საღამოებს, მან მომცა ერთ-ერთი მხატვრული კითხვის საღამოსათვის.

– საინტერესოა. მე მუხრან მაჭავარიანის აკრძალული ლექსები ვიცი. მასთან არა უბ-

რალო, არამედ მეგობრული ურთიერთობა მქონდა 1972 წლიდან. ეს დიდი ხნის ამბავია. გვაქვს სურათები ერთად გადაღებული დათო ნადირაძეს მუხრან მაჭავარიანს და მე. 2000 წელს მუხრანი და მე. 1989 წელს სოფელ ჩონთაში გადაღებული სურათი მუხრანთან.

– აკაკი წერეთლის ფილოსოფიური ხედვის ცენტრში ადამიანი დგას. ამ მხრივ აკაკი საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებდა, რომელიც მემკვიდრეობით დარჩა საქართველოში. დღეის მდგომარეობით იმერეთში ეს ტრადიციები ხორციელდება?

– შეიძლება ითქვას, რომ ამ კითხვის პასუხს მუზეუმი მუდამ სცემს მთლიანად თავისი საქმიანობით, იმდენად, რამდენადაც რაც მეტი ექსკურსანტი მოვა, რაც მეტი მნახველი მოვა, მით მეტად შეგვიძლია ვუთხრათ თუ რა ტრადიციებია დაცული ამ მიმართულებით, ისე, რომ ტრადიციები გრძელდება. სტუმართმოყვარეობის ტრადიციები მკვიდრადაა, არაფერი გვიშლის მათ დაცვას და გაგრძელებას. დიდ ქალაქებში სხვაგვარადაა. ვკითხულობთ პრესას და ხშირად უცხო ენათა ლექსიკონი გვჭირდება, რომ გავიგოთ რა იწერება "ფაილები", "იმეილები" და ათასგვარი უცხო სიტყვებითაა გადაჭედილი. როცა ტელევიზორში სამზარეულოზეა ლაპარაკი, იმის მაგიერ რომ ვთქვათ – საკაზმები, ამბობენ "ინგრედიენტები" საოცარი სიტყვაა ქართულ ენაში, ადრე რუსულად ამბობდნენ "პრიპასები" მოიტანეო, რა მნიშვნელობა ჰქონდა "ინგრედიენტით" ჩანაცვლებას? ქართული ენის სიწმინდეს დაცვა სჭირდება. კარგია, რომ ცდილობ ქართულ ენასთან ახლოს იყო. კი ბატონო, რამდენი ენაც გინდა ისწავლეთ. მუხრანს ხომ აქვს ეგ ლექსი. ენა რამდენიც გინდა ისწავლე, მაგრამ უმთავრესია ქართული. ამიტომ ქართულ ენას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ამხანაგებშიც ვინმეს რომ წამოსცდება არაქართული სიტყვა, შეგიძლია უხეშად კი არ ჩაერიო, უთხრა ქართულად ასე ითქმება და რად გინდა ინგლისურად ან ფრანგულად ნათქვამი!

– რამდენი თანამშრომელია მუზეუმში?

– რაოდენობით 27, მაგრამ აქ რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც დამსახურებას. მაგალითად: ქალბატონი კლარა მაჭარაშვილი მუზეუმში მუშაობს 1957 წლიდან. შემდეგ, კლარას მომდევნო სტაჟი ლეილა მაკასარაშვილს აქვს. შემდეგ მაია კაპანაძე, რიმა კაპანაძე, ლეილა ზამბახიძე – თითოეული 20, 25, 30 წლის სტაჟით. ესაა ძირითადი ბირთვი, რასაც ჰქვია სამუზეუმო მუშაობა. მაგრამ ამის გარდა, ძეგლს ხომ უნდა დაცვა, ამხელა ადგილ-მამულს ხომ უნდა მოვლა- პატრონობა. ჩვენ გავაშენეთ მაღაზიები, ეს ყველას დამსახურებაა, მაგრამ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ საქმეში ლევან ვასაძეს, შვიდი შვილის მამას, უბრწყინვალეს ქართველ კაცს, რომელიც წელს გვპირდება გამოგვიგზავნოს 1300 ძირი ვაზი, ჯიში – ციცქა, იმას გავაშენებთ მაისამდე. დანარჩენი გვყავს მუშა-ხელიდა ტექნიკური პერსონალი.

– ამ კითხვაზე უკვე დაიწყეთ საუბარი, ლევან ვასაძის დახმარების აღნიშვნით, თუ გაქვთ სხვა შემოწირულობები?

– ჩვენ ამას უფრო ქველმოქმედებას ვარქმევთ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ იშვიათია, რომ ასეთი პიროვნებები გამოჩნდნენ. აღარ ვილაპარაკებთ ბატონ ბიძინაზე, რომელმაც თითქმის განადგურების პირას მისული აკაკის სასახლე, როსტომისეული სასახლე, დამხმარე ნაგებობები მთლიანად აღგვიდგინა. დაახლოებით მილიონნახევარი ლარის სამუშაოები შესრულდა, შემოღობვა, გადახურვა. მთელი რიგი სიკეთეები აქვს გაკეთებული. ასე, რომ ქველმოქმედება გვახსოვს ბიძინასგან, ლევანისგან, ბიძინა კურტანიძისა და მამამისი კოლია კურტანიძისგან.

კლარა მაჭარაშვილი – უწმინდესის დედაომ,დედა ალექსანდრამ შემოგვწირა თანხა, დიდი მადლობა მას. მანანა შარაშენიძემ შემოგვწირა... ამ თანხით ალექსანდრეს ოთახში დაგებული მუხის იატაკი აღდგა. ეს არის უდიდესი მადლი, რა თქმა უნდა ამაში უწმინდესის უდიდესი მადლი ურევია.

– აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით რა ღონისძიებები გაქვთ გათვალისწინებული?

– ღონისძიებები ძალიან ბევრი გვაქვს გათვალისწინებული. ეს ცდება მუზეუმის ფარგლებს და იწყება საჩხერის აღმოსავლეთ შემოსასვლელიდან და დასავლეთ შემოსასვლელიდან. უპირველეს ყოვლისა გვინდა აღვადგინოთ ის ძველი გზა, რომლითაც აკაკი ურმით რკინიგზის სადგურიდან ამოდიოდა სოფელ სხვიტორში. ეს გზა არსებობს, ყველამ იცის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გარკვეული ფირნიშები, გარკვეული წარწერები გაკეთდეს, მიმანიშნებელი იმისა, რომ აკაკი ამ გზით მობრძანდებოდა ხოლმე სხვიტორში. ასე, რომ ღონისძიებები ძალიან ბევრია, როგორც ინფორმირებული ვართ, იუნესკოს ეგიდით უნდა აღინიშნოს 167 წელი და გარდაცვალების 100 წელი. ამაში უნდა ჩაერთოს, რა თქმა უნდა, მთელი ქვეყანა და რაიონის ინიციატივა, დანარჩენი სამუზეუმო საქმიანობა რაც არის, ამას ჩვენგან მოითხოვენ და ჩვენ ყოველ წუთს ვართ მოწოდების სიმაღლეზე, გვაქვს ღონისძიებათა ვრცელი გეგმა.

– ჩვენ "ნორჩ ათინათელებს" სურვილი გვაქვს იუბილეზე ჩამოვიდეთ და აკაკის ლექსები წავიკითხოთ. ამ პროექში თუ მიგვაღებინებთ მონაწილეობას?

– აქედანვე გეპატიჟებით, როცა გვექნება იუბილე, ჯერ დაბადების დღის, შემდეგ გამოცემული ტომების წარდგინება, აუცილებლად იქნებით. შარშან ასეთ ზეიმს ესწრებოდა პრეზიდენტობის კანდიდატი, დავლოცეთ და წარმატებას მიაღწია. აქ რომ დაგლოცავთ ეს დიდი მადლი იქნება. ჩვენ გვაქვს გათვალისწინებული აკაკის ტექსტებზე შექმნილი სიმღერების შემსრულებელთა კონკურსი, თუ შენისთანა კარგი ბიჭები გამოჩნდებიან ლექსის თქმაში რა თქმა უნდა ჩაგრთავთ.

– რას უსურვებთ მომავალ თაობას?

– მე ასე მგონია, რომ იმაზე დიდი სურვილი არაფერი არ არის, ვიდრე გიყვარდეს შენი სამშობლო, ისე, როგორც ეს უყვარდა აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონს, ისევე, როგორც უყვარდა მუხრანს, მურმანს... ახალგაზრდებს გისურვებთ რას იცით? რაც მთავარია არ აჩქარდეთ. აკაკის აქვს ერთი ასეთი ბრძნული აზრი, მოსწავლემ და სტუდენტმა, სწავლის დამთავრებამდე, არავითარ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, იმიტომ, რომ ის მომწიფებული არ არის ამ საქმისათვის. როცა დაამთავრებს მერე შეუძლია თავისი გზა თვითონ ნახოს. აი დღეს, გუშინ და იმის წინაც რომ იყო გამოსვლები, მე ამაზე გული მიკვდებოდა... მოსწავლე, სტუდენტი არ უნდა იყოს პოლიტიკასთან.

განათლების სისტემაში უცნაური რამ შემოვიდა, შენ ალბათ დამეთანხმები, რომ ხანდახან პატარა წკიპურტი, შენიშვნასავით ხომ მოუხდება მოსწავლეს? როცა ცელქობს და გაკვეთილს არ ისწავლის. გალახვა კი არა, შეურაცხყოფა კი არა, ლამაზად, მოფერებითი შენიშვნა. თქვენ არავითარ შემთხვევაში არ გააკეთოთ, რასაც მოგვიწოდებდა სააკაშვილის რეჟიმი, რომ; დაასმინეთ მასწავლებელი, დაასმინეთ თქვენი მეგობარი-ო. ამას არ დაუჯეროთ! თქვენ უნდა იყოთ დამოუკიდებელი ხალხი, საქართველოს მშენებელი ხალხი და არა დამსმენი. ერთგულად ემსახუროთ ქვეყანას და იყოთ ნამდვილი პატრიოტები.

– გადაწყვეტილი მაქვს მუზეუმის განყოფილების გამგესთან და თანამშრომლებთანაც დავსვა შეკითხვები. (ამ შეკითხვების პასუხებში თანამშრომლები ჩაერთვნენ: ქალბატონი კლარა მაჭარაშვილი, ლეილა ზამბახიძე, მაია კაპანაძე, რიმა კაპანაძე, ლეილა მაკასარაშვილი.)

– ვინ იყო აკაკი წერეთლის მუზეუმის გახსნის ორგანიზატორი?

ცეზარ ლაშხი – გახსნის ორგანიზატორად შეიძლება ჩაითვალოს აკაკის და. მან შეინარჩუნა ყველაფერი და მერე ორგანიზატორობა იოლი გახდა. მაშინდელი მწერალთა კავ-

შირი იყო ფედერაცია, დაინტერესდნენ და აქ ჯერ დასასვენებელი იყო მწერლებისათვის და პოეტებისათვის. 1939-ში გაიხსნა სახლ-მუზეუმი. შეიძლება სახელმწიფომ შექმნა მუზეუმი, მაგრამ უდიდესი წვლილი აკაკის დას მიუძღვის, მის შენარჩუნებაში და დღევანდლამდე მოყვანაში.

– თუ შეიძლება გვიამბეთ სამუზეუმო ექსპონატების შესახებ!

ცეზარ ლაშხი– ყველაზე დიდი რელიკვია ესაა აკაკის აკვანი, როგორც იცით 1908 წელს მოღვაწეობის 50 წლის იუბილეზე აჩუქეს. სავანელმა გლეხებმა, მისი ძიძის ნათესავებმა მოიძიეს აკვანი და მიუტანეს იუბილეზე. ზედ წარწერა აქვს, ვერცხლის ფირფიტაზე: "შენი ვარსკვლავი სხვა არის, ბედმა გიცინაო, იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო." შემდეგ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი სულ უბრალო ნივთებია. თუნდაც ვინც იცის, რომ აკაკი ამ კიბეზე ადიოდა, ზოგჯერ მოდიან და ამ საფეხურებს კოცნიან, ესეც დიდი რელიკვიაა.

ლეილა ზამბახიძე – ჩვენთან ინახება აკაკის თმები. აი, როგორ უნდა გიყვარდეს ადამიანი, დალაქმა 1914 წელს დეკემბერში რომ დაკრიჭა თმები, ეს თმები ქილაში ჩადებული შეუნახია და ეთნოგრაფიის მუზეუმს გადასცა. ანდა სასტუმროში ხელი რომ დაიბანა აკაკიმ ის საპონი შეინახა მეპატრონემ და ისიც ეთნოგრაფიის მუზეუმს გადასცა. ეს ნივთები ახლა ჩვენთან ინახება. მისი ოჯახური ნივთები ყველაფერი შენახული გვაქვს. აქ არის ფერწერული ტილოები, ცნობილი მხატვრების: თოიძის, უჩა ჯაფარიძის, ბერძენიშვილის...

– გყავთ თუ არა დამთვალიერებლები?

ცეზარ ლაშხი– ძალიან ბევრი დამთვალიერებელი გვყავს. სასიხარულო ის არის, რომ ამ დამთვალიერებლებში 90% არის მოსწავლე-ახალგაზრდობა.

მაია კაპანაძე– გარდა ამისა გვაქვს გამოფენები. 2012 წელს გვქონდა გასვლითი გამოფენა, ეროვნულ მუზეუმში, თბილისში. ბ-ნ.მა ლორთქიფანიძემ დაგვითმო საგამოფენო სივრცე. წელს 2013 წ. სექტემბერში გავაკეთეთ გამოფენა აჭარაში, ბათუმში. თქვენ ვერ წარმოიდგენთ იქ რა ხდებოდა! დაახლოებით 10 000 დამთვალიერებელი მოვიდა ერთი კვირის განმავლობაში. როცა ვიღებდით გამოფენას, ხალხი მოდიოდა და გვთხოვდნენ კიდევ დარჩითო.

– გყავთ თუ არა გიდი?

ცეზარ ლაშხი – ყველა პროფესიონალი გიდები ვართ!

მაია კაპანაძე – ქალბატონი კლარა ფონდის მცველია და ამასთან ამხსნელიც. ქალბატონი კლარა არის მემატიანე. მან დაწერა მუზეუმის ისტორია.

– ბატონო ცეზარ! ჩემი ბებია 84 წლისაა, თქვენ რამდენი წლის ბრძანდებით?

– შენი ბებია 9 წლით უფროსი ყოფილა ჩემზე! 1939 წლის 31 მარტს ვარ დაბადებული, მე – ცეზარ ლაშხი, ზვიად გამსახურდია და ვარდიკო ნადიბაიძე. (იცინის, ასეა და რა ვქნა?!)

– როგორ გესახებათ თქვენი მომავალი თანამშრომლობა ჟურნალ "ათინათთან"?

ლეილა ზამბახიძე –მე, როდესაც ქალბატონი გულნაზი გავიცანი, მაშინვე ვიფიქრე, ჩვენ დავმეგობრდებით! ასე იფიქრა ქალბატონმა გულნაზმაც.

ცეზარ ლაშხი – გულნაზი ხარაიშვილი მე გავიცანი ბონდო კობაძის წიგნის "ექვთიმე თაყაიშვილი"-ს წარდგინებაზე. მაშინ ჟურნალი "ათინათი" მოდიოდა ჩვენთან კულტურის განყოფილებაში, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია. ნებისმიერ ჟურნალთან და მედიასთან აუცილებელია მუზეუმის ურთიერთობა, სხვანაირად ჩვენ როგორი უდიდესი გამოფენაც არ უნდა მოვაწყოთ, თუ ამას არ ექნა რეკლამა, ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ამიტომ მადლობელნი ვართ, რომ მობრძანდით. ძალიან აქტიურ თანამშრომლობას დავგეგმავთ თქვენთან, რამდენადაც უდიდესი დღესასწაული გველის ჩვენ 2015 წელს. თუ გექნებათ სა-

შუალება ჩვენ თანამშრომელთა სამეცნიერო ნარკვევების დაბეჭდისა, ამ მხრივაც სიამოვნებით ვითანამშრომლებთ.

– რას უსურვებთ ჟურნალ "ათინათის" მკითხველებს?

ცეზარ ლაშხი – აქ შეიძლება ტრაფარეტულად ითქვას, რომ რაც შეიძლება მეტი ტირაჟით გამოსულიყოს, მეტი მკითხველი ჰყოლებოდეს, საქართველო გამთლიანებულიყოს, ემსახუროს ჟურნალს ერთიანი საქართველოსათვის, არა მარტო ქართველებისათვის არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ერისათვის. და ჩვენ სურვილს, მუზეუმის სურვილს იმით დავამთავრებთ რომ მუზეუმი და ნებისმიერი ჟურნალი და გაზეთი ემსახურება საქართველოს ხვალინდელ დღეს და ერთად ვითანამშრომლებთ, რომ ჩვენი ქვეყანა, როგორც უწმინდესი და უნეტარესი ბრძანებს, სულ მალე გაბრწყინდეს.

– თანამშრომლებს თუ აქვთ სურვილი რამე დაამატონ ჩვენს საუბარს?

კლარა მაჭარაშვილი– ღმერთმა ქნას რომ არ დაგჭირებოდეთ ჟურნალის ტარება მკითხველამდე, ეს არის მთავარი, მივსულიყავით იმ შეგნებამდე, რომ წიგნი შეუცვლელია და ყველა გამხდარიყოს საქართველოში წიგნიერი, რომ ხალხი მისულიყოს იქამდე, წიგნი და ჟურნალი ხელიდან ხელში გადასულიყოს და ეთქვათ გვაშოვნინეთ და ჩვენც შეგვახვედრეთო!

ცეზარ ლაშხი – ახლა ყველას ნებართვით ტატოს წიგნები მინდა ვაჩუქო წარწერებით.

ესენია: აკაკი წერეთლის პოემების ახალი გამოცემები – "წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში" და "ანდრია პირველწოდებული", ცეზარ ლაშხის "დამეხსენი ჩრდილოელო ანუ აკაკი და რუსეთი" და "აკაკი. ქრისტიანობის ჭეშმარიტი მსახური და მქადაგებელი."

საუბრის, გულღია მიღების და გულთბილი მასპინძლობის შემდეგ, ვტოვებთ აკაკის სამყაროს, იმ იმედით, რომ შემოქმედებითი მეგობრობა გაგრძელდება.

ინტერვიუ ლაგოდეხის რაიონის №1 საჯარო სკოლის დირექტორთან მანანა...ჩაღაბაშვილი

მოგესალმებით ქალბატონო მანანა.

– მე ვარ ნორჩი ათინათელი – ტატო ხარატიშვილი. მსურს რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ, ვიცი, რომ ბავშვობაში ძალიან გიყვარდათ კითხვა.

– მართალია, მეც და ჩემი თაობის ყველა ბავშვს უყვარდა კითხვა. წიგნი ხომ შეუცვლელია. ის აძლევს კაცს საზრდოს გონებისა და სულისას. ვერავითარი კომპიუტერი ვერ შეცვლის მის ხიბლს.

– როგორ გესახებათ ჩვენი სკოლის მომავალი?

– როგორც ყველა დირექტორს, მეც დიდი სურვილი მაქვს ჩემი სკოლა იყოს წარმატებული, სადაც საუკეთესო პირობები იქნება შექმნილი მოსწავლეთა სწავლებისათვის.

– ქალბატონო მანანა, რას აკეთებთ იმისათვის, რომ ლაგოდეხის № 1 საჯარო სკოლა იყოს წარმატებული?

– სკოლის ხელმძღვანელის ძირითადი დანიშნულება ხომ სკოლის პროფესიული მართვა, მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვაა, სკოლის პედაგოგებთან ერთად ვცდილობ შევქმნა ჯანსაღი და პროდუქტიული სასკოლო გარემო. ვზრუნავთ, რომ სწავლის თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეს ყველა მოსწავლეს და ავამაღლოთ სწავლების ხარისხი.

– რატომ აირჩიეთ პედაგოგის პროფესია?

– ჩემი პირველი მასწავლებელი იყო აწგანსვენებული ქალბატონი ქეთევან ლაცაბიძე. სათნო, თბილი, მოსიყვარულე გულის ადამიანი. ანბანის თითოეული ასო-ბგერის ახსნას სითბოსა და სიყვარულს აქსოვდა. მეც ყოველთვის მას ვბაძავდი, რამაც განსაზღვრა ჩემი მომავალი პროფესია.

– ჩვენ ვიცით რომ წარმატებით ჩააბარეთ დირექტორის სასერთიფიკაციო გამოცდები, რამდენი წელია, რაც დირექტორი ბრძანდებით და რა პრობლემებს აწყდებით მუშაობის დროს?

– 2007 წლიდან ვხელმძღვანელობ ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლას წელს მოვიპოვე საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების დამადასტურებელი სერთიფიკატი. ძნელია დირექტორობა, მაგრამ თუ ადამიანს საქმე უყვარს და აინტერესებს, ყველა სიძნელეს დაძლევს. სკოლაში პრობლემები, რა თქმა უნდა, არსებობს და იარსებებს, რადგან ყოველი დღე ერთმანეთისაგან განსხვავდება, ყოველი დღე შემოქმედებითია და სკოლა მუდმივად სიახლეების პროცესშია.

– თქვენ გამოირჩევით განსაკუთრებით სითბოთი და თანაგრძნობით ბავშვების მიმართ, ყველა ბავშვი; ცელქი და მშვიდი, ნიჭიერი და უნიჭო ერთნაირად გიყვართ?

– როგორც ასეთი, უნიჭო ბავშვი არ არსებობს. ჩვენ მასწავლებლებმა, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ მისწრაფებებს და მათ ნიჭს. შესაფერისი მიმართულება მივცეთ. ამიტომ ყველა მოსწავლე საყვარელია.

– თქვენ მზრუნველობთ სოციალურად დაუცველ ორ ბავშვს. ალბათ ბავშვების დიდმა სიყვარულმა მიგაღებინათ ეს გადაწყვეტილება. ძნელი არ არის ამდენი საქმის ერთად კეთება?

– უდავოდ, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, ბავშვების დიდმა სიყვარულმა მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება. თუ იმასაც დავამატებთ, თვითონ ბიჭებიც თბილი და მოსიყვარულეები არიან, ამდენად, შეუძლებელი არ არის ამდენი საქმის კეთება.

– სანამ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლაში დაიწყებდით მუშაობას იქამდე სად მუშაობდით?

– პირველად მუშაობა დავიწყე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმის საჯარო სკოლაში, შემდეგ საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ლაგოდეხის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. პარალელურად ვმუშაობდი ლაგოდეხის №1 სკოლაში მასწავლებლად.

– რას უსურვებთ ჩვენს თაობას და კერძოდ ჟურნალ "ათინათს" და ათინათელებს?

– მინდა დიდი წარმატებები ვუსურვო ჟურნალ "ათინათს" მის დამფუძნებლებს და მთავარ რედაქტორს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და მის გუნდს, ათინათელებს. მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი წარედგინოთ ქართველი საზოგადოების წინაშე.

ინტერვიუ მერი სჯანდერაშვილთან

– მოგესალმებით მერი მასწავლებელო. თქვენ ჩემს შესახებ ყველაფერი იცით, ჩემი გაცნობა აღარ გჭირდებათ, ამიტომაც პირდაპირ კითხვებზე გადავალ. რამდენი წელია, რაც სკოლაში ასწავლით?

– მოგესალმები. სიამოვნებით ვუპასუხებ შენს შეკითხვებს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ერთი წელი ვიმუშავე თბილისის № 24 საჯარო სკოლაში, შემდეგ კი მშობლების მოთხოვნით, დავუბრუნდი მშობლიურ რაიონს და 32 წელია ვმუშაობ ლაგოდეხის № 1 საჯარო სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

– თქვენ ყველა მოსწავლეს უყვარხართ. თქვენი მოსწავლეები ყველა წარმატებით აბარებენ ნებისმიერ გამოცდას ქართულში, გაგვაცანით თქვენი ქართულის მასწავლებელი.

– ჩემი ქართულის მასწავლებელი იყო გრიგოლ ნოზაძე. მან შემაყვარა ეს პროფესია, ნათელში იყოს მისი სული. რაც შეეხება ჩემს მოსწავლეებს, მართლაც ძალიან ბევრმა მასახელა, ბევრმაც ჩემი სპეციალობა აირჩია და დღეს მოღვაწეობენ სხვადასხვა სკოლებში. მიხარია, როცა წლების წინ კურსდამთავრებული მისწავლეები სახლში მაკითხავენ და ერთგვარად ანგარიშს მაბარებენ, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ცხოვრებაში.

– გაგვაცანით თქვენი ოჯახის წევრები.

– მყავს ორი შვილი; ვალერი და დათო ღონღაძეები, 4 შვილიშვილი: ლუკა, ლაშა მარიამი და თეკლა – ისინი ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ფერიები არიან.

– ყველაზე მეტად საქართველოს რომელი კუთხე გიყვართ და რატომ?

– მართალია, კახეთში ვცხოვრობ, მაგრამ ყველაზე მეტად დასავლეთი, კერძოდ ჭიათურა მიყვარს, რადგან მყავდა თანაკურსელი, მარინა არჩვაძე, რომელმაც სტუმრად წამიყვანა ჭიათურაში. იქ იმდენი სითბო მაჩვენეს, რომ დღემდე მომყვება და არც არასოდეს დამავიწყდება.

– რატომ გადაწყვიტეთ რომ მასწავლებელი უნდა გამოსულიყავით?

– მასწავლებლობა ბავშვობიდანვე მიტაცებდა, იმიტომ, რომ პედაგოგების ოჯახში გავიზარდე

– მერი მასწავლებელო, ვიცით, რომ თქვენი ყოფილი მოსწავლეებიდან რამდენიმე პოეტია, მათ თავიდანვე ეტყობოდათ პოეტური ნიჭი თუ შემდეგ გამოამჟღავნეს და ვინ არიან ისინი?

– ჩემი მოსწავლეებიდან ბევრი წერდა ლექსებს. მათ შორის გამოვყოფდი კახა ტიგინაშვილს, რომელიც ამჟამად ცნობილი ექიმია, ოთარ გელაშვილს, ლუკა ბაღაშვილს, თიკო ყულიშვილს... მე მჯერა რომ მათ მთელი საქართველო გაიცნობს.

– როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?

– საქართველო უფლის ნებით გაბრწყინდება!

– რას უსურვებთ ჟურნალ "ათინათს" და ათინათელებს?

– ჟურნალ "ათინათს" ვუსურვებ ბევრ ნიჭიერ პოეტსა და მწერალს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს გამოეთქვას თავისი მოსაზრებები, ფიქრები, ოცნებები "ათინათის"ფურცლებზე, ვუსურვებდი ტირაჟის ისე გაზრდას, რომ წიგნის სიყვარული ზღვასავით მოსდებოდეს ახალგაზრდობას და რაც მთავარია, ჟურნალის რედაქტორს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, რომ თავისი სითბო უხვად გაენაწილებინოს ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის.

– რას უსურვებთ ჩვენს თაობას, მოგწონთ თუ არა მათი გონება და როგორი წარმოგიდგენიათ ჩვენი შვილები?

– თქვენს თაობას ვუსურვებ წიგნის სიყვარული მოგმადლებოდეთ უფლისგან, თქვენი

თაობა უფრო განვითარებულია, ვიდრე ჩვენი იყო. თქვენი შვილები კიდევ უფრო უკეთესები იქნებიან, ვიდრე თქვენ ხართ. "ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა" – ხომ ასე?!

დიდი მადლობა იმისათვის, რომ მოიცალეთ და პატივი დამდეთ. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ლამაზ ცხოვრებას, მოყვასის სიყვარულს და ყოველივე კარგს.

ინტერვიუ რუსუდან გორდეზიანთან



– გამარჯობათ მე ვარ ლაგოდეხის №I საჯარო სკოლის მე-6-ე კლასის მოსწავლე – ტარიელ ხარატიშვილი. ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან საუბარი.

– დიდი მადლობა, ჩემთვისაც!

– ქალბატონო რუსუდან! როდის დაიწყო თქვენი მარათონი, საიდან დაიწყო სურვილი იმისა, რომ ეს სპორტული გზა აგერჩიათ?

–დედას მეგობარმა, მისი ჯგუფელის, აწ გარდაცვლილი პოეტის, ბეჟან ხარაიშვილის დამ, ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა მიმიყვანა ბატონ ჯუმბერ ლეჟავასთან და ერთად გადავწყვიტეთ, ორი წლის წინ, რომ მოვემზადებოდი მარათონული ცურვისთვის.

– რომელი იყო თქვენი პირველი გამარჯვება?

– ჩემი პირველი გამარჯვება იყო 2013 წელს, როცა დამყარდა საქართველოს რეკორდი, დახურულ აუზში ცურვისას, 24 საათის განმავლობაში ვცურავდი. აქვე იყო ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილი, ესწრებოდა მრავალი საათის განმავლობაში. აქტიურობდა ჯუმბერ ლეჟავა, ბეგლარ ელბაქიძე, ზურაბ გაბუნია, ემზარ კიკაბიძე, გვანჯი მანია და მრავალი სხვა.

– როგორც ვიცით თქვენი მამა ექიმია, იყო თუ არა თქვენს გვერდით?

– კი, ჩემთან ერთად იყო და ბოლომდე, დედაც მოვიდა და დედაც ჩემს გვერდით იყო.

– ამან ალბათ სტიმული მოგცათ, რომ გაგეგრძელებინათ ცურვა.

– ეს იყო ერთგვარი საჩვენებელი ვერსია, რომ მერე გავსულიყავთ ღია ზღვაში, არც ვიცოდი თუ მყარდებოდა საქართველოს რეკორდი. 10 საათი შემომთავაზეს ცურვა, მე ვუთხარი, რომ გავცურავდი 24 საათის განმავლობაში.

– როგორც ვიცით ბატონ ჯუმბერთან ერთად დაგეგმილი გქონდათ ის ღონისძიება, რომელშიც უკვე მარტომ მიიღეთ მონაწილეობა და გაიმარჯვეთ კიდეც. თუ შეიძლება გვიამბეთ რას გეგმავდით, რას საუბრობდით და როდის უნდა გამართულიყო ეს მარათონი?

– ბატონ ჯუმბერს და მე გვქონდა მრავალი გეგმა, დავისახეთ მიზანი, რომლისაც გვჯეროდა და გვწამდა, ჩვენ ერთად მივიწევდით ამ მიზნისკენ. გასულ წელს უნდა ჩაგვეტარებინა ლეგენდარული მარშრუტი ბათუმი–ფოთის გაცურვა, მაგრამ ვერ ვიპოვეთ სპონსორები, მიზერული თანხა იყო საჭირო, მაგრამ არ შედგა ეს გაცურვა. წელს დავგეგმეთ ისევ და დარწმუნებული იყო ბატონი ჯუმბერი, რომ ეს გაცურვა შედგებოდა, მაგრამ 21 ივლისს ვისაუბრეთ ბოლოს, 23-ში დაბადების დღე მივულოცე, 25-ში დილით კი, ის მოულოდნელად გარდაიცვალა.

– იმ დროს, როცა ბატონი ჯუმბერი უკვე აღარ იყო, თქვენ განიცდიდით, ვის ჩათ-

ვლიდით ყველაზე ახლო მეგობრად ვინც გვერდით დაგიდგებოდათ, მე არ ვგულისხმობ სპონსორს, არამედ ადამიანს, ვინც ჯუმბერის მაგივრობას გაგიწევდათ.

– ბატონი ჯუმბერის მაგივრობას ვერავინ ვერ გაწევს. კი არიან ადამიანები, ვინც მან გამაცნო, თუნდაც ბეგლარ ელბაქიძე, რომელიც ჩემთან ერთად იყო 24 საათის განმავლობაში, მაგრამ ჯუმბერი შეუცვლელია. ყოველი ადამიანი ინდივიდია და შეუცვლელი და არც უნდა ვეცადოთ, რომ ის ვინმეთი ჩავანაცვლოთ.

– და მაინც უფლის შემდეგ ვის თვლით, რომ გვერდით გყავდათ და ძალიან გულშემატკივრობას გიწევდათ?

– ძალიან ბევრს ვფიქრობდი, რომ ასეთ ვითარებაში, როდესაც ბატონ ჯუმბერთან ერთად დაგეგმილი მქონდა და არც მეგონა რომ გაცურვა შედგებოდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო თავის თავზე და მისი ეგიდით ჩატარდა, ბატონი ჯუმბერი ვერც მოესწრო, მისი გარდაცვალების შემდეგ აღარც მივარჯიშია... დიდი მადლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასეთი თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, ამ ეროვნულ საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის. ახლა რასაც მეუბნებით; ვის ვთვლიდი მხარდამჭერად, წინა დღეებში ვფიქრობდი, რატომ მოხდა ასე, მარტო რად დავრჩი, ჩავთვალე რომ ეს მარათონი, რომელიც გარდაცვლილ გმირებს ეძღვნებოდა, სიმბოლური იყო. უბრალოდ ჩვენ გავიყავით, მე აქ დავრჩი და ბატონი ჯუმბერი იქ, როგორც წმინდა გიორგი იყო იმ გმირებთან ერთად, ისე ბატონი ჯუმბერიც მათ უმშვენებდა გვერდს. მე კი ის ადამიანები, ვინც მან გამაცნო და ვინც ჩემს გვერდით იყო.

– ალბათ გქონდათ რწმენა იმისა, რომ მისი სულიც დაგეხმარებოდათ.

– რა თქმა უნდა, მე მასზე ვფიქრობდი და საერთოდ მთელი ამ ცურვის განმავლობაში ვგრძნობდი მას.

– მეც მაქვს ჩემი მიზნები და უფრო კონკრეტულად მაინტერესებს რა ასაკში უნდა დაიწყოს მოზარდმა ასეთ რეალურ მიღწევებზე ფიქრი. თქვენ რამდენი წლისა ხართ?

– მე ვარ 26 წლის.

– რა გაქვთ დამთავრებული?

– თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე, მოცეკვავე ვარ პროფესიით, ქორეოგრაფი.

– ქორეოგრაფია უფრო გიტაცებდათ თუ ცურვა? როდის აღმოაჩინეთ თქვენ თავში, რომ ცურვა იყო თქვენი ჰობი?

– ცურვა ყოველთვის იყო ჩემ ცხოვრებაში, მე იმდენად მიყვარს ცეკვა ჩემი პროფესია რომ, სამედიცინო უნივერსიტეტში ვსწავლობდი, გამოვიტანე საბუთები, ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდანაც გამოვიტანე საბუთები, იმის გამო, რომ ცეკვა მინდოდა და სხვაგან ვერსად გავჩერდებოდი. ცეკვა მე მართლა ყველაფერზე მეტად მიყვარს, რაც შეეხება ცურვას, ცურვა მიყვარს, მაგრამ ცეკვაზე მეტად არა. იმდენად მიყვარს ჩემი პროფესია, რომ რამდენჯერაც უნდა დავიბადო, მაინც ამ გზას ავირჩევ.

– რამდენადაც ვიცი, როდესაც თქვენ ქალბატონ გულნაზისთან ერთად მიხვედით ბატონ ჯუმბერისთან, მაშინაც არჩევანი გქონდათ ცეკვას გაჰყოლოდით თუ ცურვას. ბატონმა ჯუმბერმა მაშინ გირჩიათ, რომ ცეკვა კარგია, მაგრამ არის საქართველოში ძალიან ბევრი ხელოვანი, მოცურვეები კი არ არიანო. ეს გზა ჯუმბერის რჩევით აირჩიეთ?

– კი, ასე არის, მაგრამ ცეკვა ის სამყაროა, რომელსაც გავყავარ სხვა განზომილებაში.

– ლექსებს წერთ?

– კი, ვწერ ლექსებს.

– თუ გამოგიქვეყნებიათ?

– არა და სურვილიც არ მაქვს. ქაღალდზეც არ ვწერ, რომ დედამ არ ნახოს და არ დაბეჭდოს სადმე.

– მე თვითონ "ნორჩი ათინათელი" ვარ და დიდი სურვილი მაქვს ჩვენს ჟურნალში დაბეჭდოთ ლექსები.

– კი, ბატონო, ერთ ლექსს შემოგთავაზებთ, ჩვენი სარწმუნოებიდან გამომდინარეს, თქვენს ასაკში, დაახლოებით 15 წლის ასაკში დავწერე;

"ალბათ გვგონია, რომ სამუდამოდ ვიფარფატებთ, ვით ანგელოზნი, მანამდე, სანამ მზე და მთვარე იკაშკაშებს იდუმალ ცაზე. არა, თქვენ ცდებით, ჩვენს ნაფეხურებს წაშლიან სხვები, ვით შემოდგომა აცილებს ფოთლებს ხეების ტოტებს. რატომ ქრებიან ანდა ჩნდებიან ვარსკვლავები თეთრ, სპეტაკ თოვლზე ბნელ, შავ ღამეში? ანგელოზები სანთლებით ხელში მიუყვებიან ჩვენს ტანჯულ სულებს, შორს სასულეთში... და მაინც რა არს საიდუმლო სიცოცხლის არსის? ყველა მივდივართ იმ ქვეყანაში, სადაც გველიან. ჩვენი ცოდვები ყოველ ნაბიჯზე გვესალმებიან. მონანიება უფლის წინაშე რატომ გვრცხვენია? ღვთის პატიება დიდი ხვედრია.. და ნურც ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ უცოდველი ქვეყნად ბევრია, არც კი არსებობს ამქვეყნად ცოდვა, რის მიტევებაც ძალზე ძნელია."

ძალიან მიყვარს ბუნება, მთა მიყვარს ზღვაზე მეტად! ეს შეიძლება უცნაური იყოს, მაგრამ მთაში რომ ახვალ სიმაღლეზე და ხელებს გაშლი, ნიავი რომ დაგიბერავს, ეს ისეთი თავისუფლებაა... წყალს სიმძიმე აქვს, ნიავს კი ისეთი სითბოს შეგრძნება! თითქოს გეხუტება...

– მართალია ცურვაში დაამყარეთ რეკორდი, მაგრამ მთა ისე გყვარებიათ, მთამსვლელობაზეც ხომ არ ფიქრობთ?

– არა! მთამსვლელობაზე ბავშვობაში ვოცნებობდი, კოსმონავტობაზეც ვოცნებობდი, არქეოლოგობაზეც... ხან მიწაში მინდოდა, ხან ცაში... მთაში უბრალოდ ჩემს ბუნებას ვხედავ, ძალიან მიყვარს რაჭაში სიარული, შოვში, სადაც მდინარე არის – ბუბა, ის რომ მოედინება, განსაკუთრებით ღამით, ვეებერთელა ქვები მოაქვს და ერთმანეთს ახეთქებს და შუაზე ხლეჩავს ამ ქვებს. სათავეს საიდანაც იღებს – ჭანჭახი, იქ ვარ ნამყოფი, ესაა საოცრება, თოვლი დნება და ჩამოდის. ხანდახან იშლება თოვლი და ადარ არის მდინარე, მაგრამ სანამ არის და მოედინება, რამხელა ძალა აქვს! რაღაცნაირად ცხოვრებასაც გავს, ადამიანის სულიერი სიძლიერე ჩანს ამაში. ხელოვანის თვალით შეიძლება ასე დავინახოთ. ჩემი უკანასკნელი ლექსიც ამაზე დავწერე, ჩვენ ვიბადებით, ვცოცხლობთ, ვკვდებით, მივდივართ, მაგრამ გააჩნია იმას, როგორ ვცოცხლობთ. რამდენად ვბედავთ სიცოცხლეში და რამდენად ვაძლევთ ჩვენს თავს იმის უფლებას, რომ სულს მივცეთ თავისუფლება, ჩვენს სურვილებს მივცეთ თავისუფლება. ეს ლექსიც ამ ბოლო დროს დავწერე: "მე მიყვარს მთა, ზღვა სიგიჟეები და მიყვარს ჩემი ოცნება ყველა, თუნდაც რომ მექცნენ ისინი მტრებად. მე მიყვარს ხმა, მდინარის ხმა, ლელოდ რომ მიაქვს მთა დანაშალი, და დაე, იყოს ის დანამშრალი, ხომ მაინც ლეწავს, ხომ მაინც ბედავს, როცა ქვებს ლეწავს, მთის გულში ფეთქავს, ასე ზამთარიც ბუნებას წეწავს და გაზაფხული მას ახლად ძერწავს."

– თქვენ, როგორც ცურვაში გააკვირვეთ ქვეყანა, ასე მგონია, ისეთი ძლიერი სახეები გაქვთ, მალე პოეზიაშიც გააკვირვებთ ყველას.

– ვერ ვიტყვი ძლიერი პოეზიაა-მეთქი, მაგრამ რაც არის, გრძნობით არის დაწერილი.

– მე ჩემი ბავშვური გადასახედიდან მჯერა, რომ სხვადასხვა დარგში გააკვირვებთ

საქართველოს, წავიდა ჯუმბერ ლეჟავა, ბევრი განუხორციელებელი მიზნებით და მჯერა, რომ მის იდეებსაც ბევრჯერ გადახედავთ და შესაძლებელია მის სულს მიუძღვნათ, მისი იდეების განხორციელება.

– არ ვიცი, რა გითხრათ. რომ არა ჯუმბერ ლეჟავა, მე ჩვეულებრივ ვიცურავებდი ზღვაზე, არ იქნებოდა ამდენი ადამიანი გახარებული, ვისაც ამდენი სიხარული მივანიჭე ჩემი ქმედებით, ამისი თავი და თავი და საფუძველი არის ჯუმბერ ლეჟავა, ქალბატონი გულნაზი, ვინც მასთან მიმიყვანა, ასე რომ გავყვეთ ალბათ მისი ძმა, რომელიც იყო დედა-ჩემის თანაკურსელი და მეგობარო და ალბათ ასე უსასრულოდ რაღაც ჯაჭვი გრძელდება და კიდევ უსასრულოდ გაგრძელდება, საერთოდ ყველაფერი ისე ხდება, როგორც უფალი ინებებს. მე მგონი დღევანდელი დღით უნდა ვიცხოვროთ. შეიძლება, სურვილების დონეზე, ძალიან ბევრი სურვილები გვქონდეს, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიაროთ ყოველი სურვილისკენ, თუ ზედმეტად დავიჯერებთ, შეიძლება მერე იმედგაცრუება გვქონდეს და ეს იმედგაცრუება ერთგვარი სტრესია ადამიანისთვის. ფრთხილად უნდა ვიყოთ, ზედმეტად არ უნდა დავაჯეროთ ჩვენი თავი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფლის ნებაა ყველაფერი და როგორც იგი ინებებს, ისე იქნება ყველაფერი.

– მე, როგორც "ნორჩი ათინათელი" ვამაყობ, რომ ამ აკადემიაში ვარ, თქვენ თუ ამაყობთ, რომ ხართ მისი სახელობის აკადემიის წევრი?

– რა თქმა უნდა, მე რომ გადმომცეს დიპლომი, ვერ ვაჩენდი, მრცხვენოდა, ვფიქრობდი, რომ დაუმსახურებელი იყო. ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგ, უკვე ძალიან დიდ რამეს ნიშნავს ჩემთვის.

– ჩვენ "ნორჩ ათინათელებს" გვაქვს ჩვენი გვერდი ჟურნალში, ხომ არ გექნებათ სურვილი გამოიყოს გვერდი: ფიზკულტურა და სპორტი, სადაც იქნება ჟუმბერ ლეჟავას ჯანმრთელობის ფორმულის შესახებ საუბარი, თქვენ, მისი მეგობრები, ბეგლარ ელბაქიძე და სხვები, ისაუბრებთ სპორტის შესახებ, ბატონი ჯუმბერის პიროვნებაზე, რაც ჩვენ მომავალ თაობას გამოგვადგება, რომ ამ კვალზე გავიზარდოთ.

– რა თქმა უნდა ბატონი ჯუმბერი სულ ამაზე საუბრობდა, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესით უნდა ვიცხოვროთ, ბავშვები სპორტით უნდა იყვნენ დაკავებულნი, სულ წუხდა ამაზე, რომ საქართველოში სპორტს არ ექცეოდა ყურადღება, რაც კვებასთან ერთად აუცილებელია ბავშვის ჩამოყალიბებაში.

– მე დედისერთა ვარ. თქვენ რამდენი დედმამიშვილი ხართ?

– მე ერთი ძმა მყავს.

– ხომ არაფერს გაიხსენებდით კურიოზულს, და-ძმობისას, ბავშვობის პერიოდში? გიყვარდათ ერთმანეთი?

– კურიოზული ახლა ჩანს, თორემ...(იცინის) ისე სულ ვჩხუბობდით მე და ჩემი ძმა. თითქმის ყოველდღე. ისე, მე რომ სპორტულ ფორმაში ვიყავი, მისი დამსახურებაა.

– დიდი მადლობა, რომ გვესტუმრეთ რედაქციაში, სურვილი მექნება, რომ ყოველთვის გაინტერესებდეთ ჟურნალი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჯუმბერ ლეჟავას სახელი იცოცხლებს ჟურნალში და თქვენებურ წვლილს შეიტანთ მასში.

– დიდი მადლობა თქვენ და დიდი მადლობა ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს, რომ ასე უფრთხილდება ბატონი ჯუმბერის სახელს. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვს მას. იგი ძალიან ძლიერი ქალბატონია და ამავე დროს ძალიან სევდიანი და მადლობა, რომ ქართულ საქმეს აკეთებს. იმ გზაზე დგას, რაზეც ბატონი ჯუმბერი მიდიოდა.

ინტერვიუ ლაგოდეხის გამგებელთან კახა ჯამბურიასთან

–გამარჯობათ! მე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპრიფილიანი საერთაშორისო აკადემიის "ნორჩი ათინათელი". ინტერვიუ ავიღე ჭიათურის ამჟამინდელი გამგებლის, საჩხერის და ლაგოდეხის ყოფილი გამგებლების, სხვიტორში აკაკი წერეთლის მუზეუმის დირექტორისგან, ბიძინა ივანიშვილის დეიდის ქალბატონ მერისგან, ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენის – რუსუდან გორდეზიანისგან, ჩემი სკოლის დირექტორისგან. დიდი სურვილი მქონდა თქვენც შეგხვედროდით და დამესვა რამოდენიმე შეკითხვა. გთხოვთ გვიამბოთ თქვენი და თქვენი ოჯახის შესახებ.

– კახა ჯამბურია, პასპორტით კარლო, მყავს ოჯახი, მეუღლე ორი შვილი; ერთი არის ცამეტი წლის მეორე ხუთი წლის. ერთი დადის პირველ სკოლაში, შენ სადაც დადიხარ და მეორე პირველ საბავშვო ბაღში. მე ვარ იურისტი და ეკონომისტი, აქამდე ვმუშაობდი არასამთავრობო ორგანიზაციაში, ლაგოდეხში, სამოქალაქო განვითარების ასოციაციაში, მერე გადავედი თბილისში, ვიყავი სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრში და ბოლო პერიოდში თბილისში ვმუშაობდი მუნიციპალური განვითარების ფონდში. ბოლოს ვიყარე კენჭი ლაგოდეხის გამგებლობაზე ხალხმა მხარი დამიჭირა და გავხდი გამგებელი.

– თქვენი ბაბუა კარლო კალაძე და ბებია ნინო ნიკურაძე ღვაწლმოსილი პედაგოგები დაცნობილი და პატივსაცემი ადამიანები იყვნენ. ისინი ჩემი ბაბუის ტარიელ ხარატიშვილის ახლო მეგობრებიც ყოფილან. რამაც ძალიან გამახარა. რა თვისებებით გავხართ ბაბუას?

– ბაბუას თვალებით ვგავარ. მე ბაბუას ვერ მოვესწარი. იგი ადრე გარდაიცვალა 72 წელს. მე 75-ში დავიბადე. თვისებებით, მეუბნებიან უფრო სამართლიანობის კუთხით ვგავარ, ესაა ძირითადი მსგავსება.

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– სამომავლო გეგმები, რისთვისაც ამირჩია ლაგოდეხის მოსახლეობამ, ესაა, რაც შეიძლება მეტი პრობლემები მოვაგვაროთ, ესაა სასმელი წყლის პრობლემა, გზების პრობლემა, სანიაღვრე არხების პრობლემა... და სხვა რაც მუნიციპალიტეტს ეკუთვნის გასაკეთებლად, ეს პრობლემები მოვაგვაროთ. განვითარდეს ჩვენი რაიონი მომავლისკენ და იყოს მოსახლეობა კმაყოფილი. ეს არის ჩემი სამომავლო გეგმები.

– რომელია თქვენი ყველაზე ლამაზი, განხორციელებული ოცნება და ჯერ კიდევ მიურწეველი მიზანი?

– განხორციელებული ოცნება ისაა, რომ ორი შვილი მყავს. ორი ბიჭი მყავს და კიდევ მინდა, რომ ორი გოგო მყავდეს. მიუღწეველი მიზანი ცხოვრებაში არ მქონია. ისეთი მიზანი რომ დამესახა და ვერ მიმეღწია ის იყო, რომ ბავშვობაში მინდოდა ფეხბურთელი

გამოვსულიყავი და ვერ გამოვედი, ვთამაშობდი, მაგრამ მშობლებმა არჩიეს რომ სწავლა-განათლებისთვის უნდა დამედო თავი. დავანებე ფეხბურთს თავი და შევედი ვეკუას სკოლაში, ეს არის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა თბილისში, ამის გამო სპორტს შევეშვი.

– რა პერსპექტივებია ხალხის დასაქმებასთან დაკავშირებით ლაგოდეხში?

– ლაგოდეხში ხალხის დასაქმებაზე, ჩვენი მუნიციპალიტეტი მიზანია, ხელი შევუწყოთ გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობას, ბიზნესის განვითარებას, ტურიზმის განვითარებას, რადგან უფრო მეტი ადამიანი დასაქმდეს ამ სფეროში. ამუშავდება მინი ქარხნები ხილის გადამამუშავებელი, კონსერვატების, სადაც შეიძლება მოსახლეობის დასაქმება. ეს არის პერსპექტივაში და ამისთვის უნდა ვიშრომოთ მეტი, რომ შევუქმნათ პირობები ბიზნესის განვითარებას.

– ლაგოდეხელ ბავშვებს და მოსახლეობას დიდ პრობლემას უქმნის მაწანწალა ძაღლები. არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც შეუძლებელია ქუჩაში უშიშრად გავლა. თუ გაქვთ რაიმე ღონისძიებები ამასთან დაკავშირებით?

– მაწანწალა ძაღლების პრობლემა ყველა რაიონშია, ეს საერთოდ ქვეყნის პრობლემაა და როგორც სხვაგან ასე ჩვენთანაც მოგვარდება იგი.

– "ნორჩი ათინათელები" ვცდილობთ ჩვენი ჟურნალების გავრცელების მასშტაბების გაზრდას. ჟურნალი შემეცნებითია და ძალიან ბევრი სიახლის მომტანია მოსწავლეებისათვის. თქვენ თუ გაქვთ სურვილი ჟურნალი "ათინათი" შევიდეს ლაგოდეხის სკოლებში?

– ლაგოდეხის სკოლებში რომ შევიდეს ჟურნალი "ათინათი" მე ამის წინააღმდეგი არა ვარ, პირიქით კარგიც იქნება, გააჩნია რა კუთხით შევა ამ სკოლებში. ჩვენ თუ ბიუჯეტიდან მოგვიწევს ამ თანხის გადახდა ამ ეტაპისათვის ეს თანხები ბიუჯეტში არა გვაქვს, მაგრამ თუ სკოლა ჩათვლის საჭიროდ რომ შეიძინოს ჟურნალი, ეს კარგი იქნება.

– ბატონო კახა, ვიცი, რომ ძალიან ბევრი საქმე გაქვთ მოსაგვარებელი, თქვენ ერთი ხართ და მთელი რაიონის მოსახლეობა თქვენ მოგმართავთ თავისი პრობლემებით. მაგრამ მე ერთი საჭირბოროტო საკითხის დაყენებასაც ვბედავ, იმიტომ, რომ ეს ჩვენი თაობის მომავალ სწორად განვითარებას ეხება. მე და ჩემი კლასელები, მოსწავლეების უმრავლესობა, ვსხედვართ ჩვენი ასაკისთვის შეუფერებელ მერხებზე, მე უკვე მაქვს პირველი ხარისხის ხერხემლის გამრუდება. თუ თქვენ ამ პრობლემას მოაგვარებთ, ჩათვალეთ, რომ მომავალი თაობის წინაშე ვალი უკვე მოხდილი გაქვთ.

– რაც შეეხება სკოლებს და მერხების მოწყობას, ეს ჩვენს პროგრამაში არ შედის. სურვილიც რომ გვქონდეს, რომ შევიძინოთ მერხები და სკამები ამის იურდიული საშუალება არა გვაქვს. ეს არის განათლების სამინისტროს პროგრამა და განათლების სამინისტრომ უნდა იზრუნოს ამაზე. მე, როგორც ვიცი დაგეგმილია სხვადასხვა სკოლების რეაბილიტაცია და ახალი აღჭურვილობით მომარაგება.

– რას უსურვებთ ჟურნალ"ათინათს" და მომავალ თაობას?

– ჟურნალ "ათინათს" ვუსურვებ, რომ რაც შეიძლება მოძლიერდეს, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით დაიბეჭდოს და გავრცელდეს მოსახლეობაში და იყოს ისეთი ჟურნალი, რომ მოქალაქეებს მოსწონდეთ და მოწადინებული იყვნენ ამ ჟურნალის ყიდვაზე, თვითონ "ნორჩი ათინათელები", ვინც სტატიებს წერთ ამ ჟურნალში, გაგეგრძელებინოთ წერა. მეც ვწერდი სტატიებს ძირითადად სპორტზე, მაგრამ არ გამიგრძელებია ეს საქმე, მაგრამ დღეს გამგებელი ვარ. თქვენ გექნებათ ცხოვრება წინ და ეს გამოცდილება გამოგადგებათ მომავალში, გისურვებთ კარგ მომავალს და წარმატებებს ცხოვრებაში.

– გმადლობთ რომ დრო დაგვითმეთ.

ინტერვიუ ზურაბ გასიტაშვილთან

მოგესალმებით ბატონო ზურაბ, მე გახლავართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისაო აკადემიასთან არსებული ჟურნალ "ათინათის" ნორჩი ათინათელი, ლაგოდეხის №3 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე: თებრონე მაისურაძე. თუ შეიძლება, გამაცანით თქვენი პიროვნება.

მე გახლავართ ზურაბ გასიტაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

რომელი რაიონიდან ხართ?

მე დავიბადე ქალაქ ხაშურში.

ვიცი, რომ ხართ რექტორის მოადგილე, კითხულობთ თუ არა ლექციებს?

კი, ვკითხულობ ლექციებს, უფრო მეტად მაგისტრებთან და დოქტორანტებთან.

რამდენი დედმამიშვილი ხართ?

ორი.

ვინ არიან თქვენი მშობლები?

ჩემი მშობლები არიან: მამა, აკაკი არჩილის ძე გასიტაშვილი და დედა, მარიამ სამსონის ასული მძინარაშვილი.

რას მეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე.

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა არის XX საუკუნის გამოჩენილი პიროვნება. მე ამ სიტყვას, გამოჩენილს, არ ვამბობ ზოგადად, ის, ნამდვილად ასეთი იყო. მე ადრეც ვთქვი და დღესაც გავიმეორებ, რომ გავა საუკუნეები და ბევრი ჩვენგანი დავიწყებას მიეცემა, ჯუმბერ ლეჯავას პიროვნება კი დარჩება ქართველი ხალხისა და ახალგაზრდობის საამაყო პიროვნებად, რომელსაც ჰქონდა უნიკალური სპორტული ნიჭი და ამავე დროს, იყო დიდი მოგზაური.

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას თუ უწევდით დახმარებას გეპეის ადმინისტრაცია?

რა თქმა უნდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა ბატონი ჯუმბერისათვის. მას უნივერსიტეტში გამოყოფილი ჰქონდა სპეციალური ცენტრი, სადაც ყველანაირი პირობები ჰქონდა შექმნილი ყოველდღიური მოღვაწეობისათვის. ბატონი ჯუმბერის მეგობრები არიან: ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი ხემძღვანელები. ესენი არიან: ბატონი არჩილ ფრანგიშვილი, ზურაბ წვერაიძე, შალვა ნაჭყებია, ივანე გორგაძე... ბატონ რექტორს ბებია ლეჟავა ჰყავდა და ორმხრივ უყვარდა ბატონი ჯუმბერი, როგორც გამოჩენილი და საყვარელი ადამიანი, ასევე, როგორც ნათესავი

რას აფასებთ ყველაზე მეტად მოზარდ თაობაში?

გულწრფელობას.

თქვენ როგორი მოსწავლე იყავით?

რთული. როცა I კლასში ვიყავი, ჩემმა მშობელმა კლასის დამრიგებელს, ქალბატონ ნინა რუხაძეს, ჰკითხა, როგორ იქცევაო, მან უპასუხა: მთელი გაკვეთილი ბურდღუნებსო. ასეთი მოსწავლე ვიყავი. Iსე, როგორც მოსწავლე, ცუდი არ ვიყავი, ვერ ვიტყვი, რომ ფრიადოსანი გახლდით თუმცა მათემატიკაში და ფიზიკაში, ნამდვილად, წარმატებული და

ძლიერი ვიყავი. ჰუმანიტარული საგნებიც მომწონდა, თუმცა მამაჩემივით ძლიერი არ ვყოფილვარ.

წარმოიდგენდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გარდაცვალებას ამ ასაკში?

ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ძლიერი სულის კაცი, რომელმაც გაუძლო ძალიან ბევრ და დიდ პრობლემებს, ამ ასაკში გარდაიცვლებოდა. იგი სიკვდილის წინაშე არაერთხელ მდგარა, თუმცა უფლის წყალობით, ის გადარჩა. ის გრძნობდა, რომ მარტო მისი ნებისყოფა კი არა, უფლის წყალობაც იყო, მისი გადარჩენის მიზეზი. სიმართლე გითხრათ, ჯუმბერი მე ვერ წარმომედგინა მოხუცებული. ის უნდა წასულიყო ისე, როგორც წავიდა. უფალმა იგი წაიყვანა ლამაზი და მარად ახალგაზრდა. ასეთი დარჩება ის ჩვენს ხსოვნაში, ორიგინალური და ძლიერი პიროვნება.

ხართ თუ არა იმ ფილმით კმაყოფილი, რომელიც გადაიღო ჯუმბერ ლეჟავას აკადემიამ?

ბრწყინვალე ფილმია, და ვთვლი, რომ ის უნდა იყოს ქართული საინფორმაციო სივრცის ფართო გაშუქების საგანი. ამ ფილმმა თითქოს ძველ დროში დამაბრუნა. დღევანდელ საზოგადოებას სულიერება გვაკლია. პატრიარქი მუდამ ბრძანებს, რომ ნეგატიური ინფორმაციით არ უნდა ვაწუხებდეთ ადამიანებს, მათ სწორედ ასეთი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ,როგორიც ეს ფილმია. ლამაზი მუსიკის ფონზე, სულიერად შემოდის ბატონი ჯუმბერის პიროვნება და კიდევ უფრო სამაგალითო და საამაყოა თვითოეული ჩვენგანისათვის. ეს ფილმი ყოველთვის კარგს მოუტანს და სამაგალითო იქნება ქართველი საზოგადოებისათვის

დღეს ჯუმბერ ლეჟავა აღარ არის, გააგრძელებთ თუ არა მის აკადემიასთან თანამშრომლობას?

რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ. ჩვენ არ დავივიწყებთ ბატონი ჯუმბერის სახელს და გადავცემთ მომავალ თაობებს. არ დავივიწყებთ მის პიროვნებას, რომ ჩვენც არ დაგვივიწყონ. როგორც ერთ-ერთ იგავში გვხვდება: კაცი მამას ხის ჯამს გამოუთლის და მაგიდიდან მოშორებით დასვამს, ჭურჭელს აღარ დაგვიმტვრევ და შენი უგემური ჭამით ჭამას აღარ შეგვაზიზღებო, ცოტა ხანში დაინახავს, თავის შვილი ხის ჯამს თლის, მამა ჰკითხავს: - რას აკეთებო? შვილი პასუხობს: - რომ დაბერდები, შენთვის დამჭირდებაო. ზუსტი ინტერპრეტაციით შეიძლება ვერ ვყვები, მაგრამ, ამ იგავის დედააზრი ისაა, რომ "რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო". ჩვენ უნდა შეგვეძლოს, ადამიანების დაფასება, არამარტო გარდაცვალების შემდგომ, არამედ მათ სიცოცხლეშივე, რათა ჩვენც დაგვაფასონ.

კითხვები, რომლებიც უნდა დამესვა და ვერ დავსვი, ხომ არაფერს დაამატებდით თქვენი პიროვნების შესახებ?

ჩემს პიროვნებაზე არ არის საუბარი ამ შემთხვევაში. მე კიდევ ერთხელ მინდა მივესალმო, თქვენს ინიციატივას, რომ. ბატონი ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრება კიდევ უფრო ფართოდ გააშუქოთ ქართული საზოგადოების წინაშე.

გმადლობთ, რომ მიმიღეთ და გამონახეთ დრო ჩემთან შესახვედრად.

ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ურთიერთობა.

ინტერვიუ ლევან ბაბუხადიასთან

მოგესალმებით, ბატონო ლევან. მე გახლვართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისაო აკადემიასთან არსებული ჟურნალ "ათინათის" ნორჩი ათინათელი, ლაგოდეხის №3 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე: თებრონე მაისურაძე. როგორ მოხვდით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში?

მოგესალმებით. კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, შევეცდები, რომ ვიყო კარგი რესპოდენტი. რაც შეეხება, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში მოხვედრას. ამ აკადემიის პრეზიდენტის, ქალბატონი გულნაზის ძმა, ბეჟან ხარაიშვილი იყო ჩემი თანაკურსელი, რომელიც ნაადრევად გარდაგვეცვალა. გარკვეული წლების შემდეგ, ქალბატონმა გულნაზიმ თვითონ მოგვნახა და, რომ იტყვიან, გვერდში დამიყენა. შურს, რომ თავისი ძმის მაგივრობა გავუწიო და მეც, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვცდილობ, რომ ქალბატონ გულნაზისთან ვიყო ახლოს და ხელი შევუწყო, მაგრამ ეს დიდი პატივი ცოტა მეუხერხულება კიდეც.



იქნებ გვიამბოთ რამე თქვენი და ბატონი ბეჟანის ურთიერთობაზე.

მე და ბეჟანი, სტუდენტობის პირველი წლებიდანვე, ვიყავით ძალიან ახლო მეგობრები და ბევრი მოსაგონარი მაქვს. რა თქმა უნდა, დამავიწყდა კიდეც, სხვადასხვა რაღაცები, მაგრამ ბეჟანთან დაკავშირებით, თითქმის ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს. ჩვენი ახალგაზრდობის ამბავს გავიხსენებ. ბეჟანი, სხვათაშორის, დაბადებული იყო ახალ წელს და ყოველთვის თავის ახლობლებს და თანაკურსელებს გვიწვევდა ხოლმე, ახალ წლის მეორე დღეს. ერთხელაც, ასეთი წვეულების დროს, ადრე მივედი, რომ დავხმარებოდი ბეჟანს და გაკვირვებული დავრჩი. მაგიდა გაწყობილი იყო ისე ლამაზად, რომ კარგ დიასახლისსაც კი შეშურდებოდა. როცა ვკითხე, თუ ვინ მიეხმარა, მან სიცილით მითხრა, რომ არავინაც არ მიხმარებია, თვითონ გაამზადა ყველაფერი. გარდა იმისა, რომ გემრიელი კერძების კეთება იცოდა, რაღაც ლამაზად გაწყობა, ფხალეულზე მრგვლად დაჭრილი ხახვები, რაღაც გულებივით ჰქონდა დაწყობილი და თებშებზე ლამაზად სამ-სამი ბროწეულის მარცვალი ჰქონდა ჩადებული. როდესაც გოგონები მოვიდნენ, ისინი აღფრთოვანებული დარჩნენ სუფრის სილამაზით. ასე უყვარდა სილამაზე, ლექსი, პოეზია და საერთოდ სიცოცხლით იყო სავსე, მაგრამ სამწუხაროდ ნაადრევად წავიდა ჩვენგან.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება თქვენი წარსული საქმიანობა, იქნებ გვითხრათ რამე?

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვეწეოდი საგამომცემლო საქმიანობას. დიდი ხანი ვმუშაობდი ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში რომელსაც შემდეგ სამშობლო ეწოდა. შემდეგ ვმუშაობდი ასავა-დასავალში და ალიაში როცა ეს გაზეთები დაფუძნდა. იქ ვიყავი გამომცემლობის დირექტორი შემდეგ მოვხვდი საბავშვო ჟურნალ დილაში სადაც საკმაო ხანი ათი წელი ვიმუშავე. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსოვს და ჩემთვის ბევრი კარგი მოსაგონარი მაქვს რადგან ვაკეთებდი საყვარელ საქმეს ვემსახურებოდი ბავშვების ესთეტიკურ აღზრდას. ამ ბოლოს კი ჩამოვაყალიბე ახალი ჟურნალი ხატი, რომე-

ლიც მალე გამოვა. ეს ჟურნალი საბავშვო იქნება და მიეძღვნება მათ სულიერ აღზრდას.

რა ადგილი უჭირავს თქვენ შემოქმედებაში ბავშვებს და მომავალ თაობას?

მე დიდი ხანია როგორც იცით ვემსახურები ბავშვების ესთეთიკურად აღზრდას მათთვის ვწერდი და ვმუშაობდი. მომავალშიც ვაპირებ ვწერო და ვიცხოვრო ბავშვებისთვის რადგამ მათ დიდი ადგილი უჭირავთ ჩემს ცხოვრებაში. მე მყავს სამი შვილიშვილი და მინდა მათ და საერთოდ მომავალ თაობას დავუთმო ჩემი შემოქმედება.

მე ვიცი რომ თქვენ წერთ ლექსებს და მოთხრობებს როგორია თქვენი მუშაობის სტილი?

ლექსებს ბავშვობიდან ვწერ, თუმცა მაინდამაინც პროდუქტიული არ ვარ, სამწუხაროდ ბევრ ლექსებს არ ვწერ. უფრო მეტად ამ ბოლო დროს მოთხრობებზე გადავედი. ვცდილობ რომ ლექსიც და მოთხრობაც ლაკონურად, სხარტად და რაც შეიძლება მარტივი ენით ვწერო და ვაღწევ კიდეც ამას.

ბატონო ლევან ამ ბოლო დროს ლექსი ხომ არ დაგიწერიათ ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნისადმი მიძღნილი და თუ წაგვიკითხავთ?

ბეჟანზე სულ რამდენიმე ლექსი მაქვს დაწერილი. ერთი ჩვენი სტუდენტობის დროს დავწერე რომელიც თვითონ ბეჟანსაც ძალიან მოსწონდა. მერე მისი საფლავის საეტაფიო ლექსი დავწერე. მისი გარდაცვალების შემდეგ ვერიდებოდი მასზე ლექსების დაწერას. მოთხრობებიც მაქვს მიძღვნილი მაგრამ ამ ბოლოს ძალაუნებურად გაჩნდა ჩემში სურვილი მასზე დამეწერა ერთი პატარა ლექსი:

ჩემს ძველ მეგობარ ბეჟან ხარაიშვილის
შემომიარე ჩემს ძველ ბინაში
და ახლა უკვე ბებრულად ჩავსხდეთ,
მაგრამ ვაი რომ ჭაბუკად დარჩი
და სულში იქნებ ვეღარც კი ჩაგწვდე
გამიადვილე შენთან წამოსვლა
ისე მიამბე ზეცის ამბები
მე კი ლექსები უნდა შეგიქო
თუმცა არ გიყვარს დითირამბები
შენი სტრიქონი ისევ ცინცხალობს
და ნერვებივით თრთიან რითმები
ნეტავ თუ მართლა ხარ ასე ახლოს
თუ ლექსნარევი ღვინითა ვთვრები.

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

სამომავლო გეგმები ძირითადად დაკავშრებულია ახალ ჟურნალთან. მინდა რომ ჟურნალი გახდეს პოპულარული და სასარგებლო ბავშვების სულიერი აღზრდისათვის.

რას უსურვებთ ჟურნალ ათინათს?

ათინათი უკვე ძალიან პოპულარული და სქელტანიანი ჟურნალი გახდა. მასში ბევრი ცნობილი ავტორი იბეჭდება. მივესალმები ათინათის წამოწყებას ნორჩი ჟურნალისტების ჩართვას, ძალიან კარგი წამოწყებაა როგორც შემოქმედებითი ასევე ჟურნალისტური განვითარებისთვის ახალგაზრდა თაობაში. ვუსურვებ რომ ეს საქმე გაგრძელდეს, ასევე ავტორთა წრეც უფრო გაზრდილიყოს და საერთოდ მინდა რომ ათინათი იყოს წარმატებული და პოპულარული ჟურნალი.

მადლობა რომ მიმიღეთ და გამონახეთ დრო ჩემთან შესახვედრად.

ინტერვიუ ჯუმბერ ხარაიშვილთან

მოგესალმებით ბატონო ჯუმბერ მე გახლავარ ლაგოდეხის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე თებრონე მაისურაძე. თქვენი პიროვნება გავიცანი ჟურნალ ათინათიდან თქვენ სპეციალობით ეკონომისტი ბრძანდებით თუ შეიძლება მიამბეთ თქვენი წარსულის შესახებ. რატომ აირჩიეთ ეს დარგი და რა იყო საფუძველი ამ დარგში რომ მოღვაწეობა გაგეგრძელებინათ?

წარმოშობით საჩხერის რაიონის სოფელ ისიდან ვარ. დავამთავრე საჩხერის რაიონის სოფელ ჭავლის საშუალო სკოლა. მიუხედავად იმისა რომ ძალიან მინდოდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოწყობა, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით ჩავაბარე სამედიცინოზე, ამაში ხელი შამიწყო იმ ფაქტმაც, რომ საშუალო სკოლა დავამთავრე მედალზე. მაგრამ რატომღაც გულმა კვლავ გამიწია პოლიტექნიკური ინსტიტუტისკენ და იმ წელსვე გადავედი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, სპეციალობით ავტომობილები. 1959 წელს დავამთავრე მუშაობა დავიწყე თბილისის ავტოშემკეთებელ ქარხანაში. ამის პარალელურად დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ეკონომიკის ფაკულტეტი.

რა გაკავშირებთ ქალაქ ჭიათურასთან?

მართალია საჩხერის რაიონში დავიბადე მაგრამ ჩემი ბავშვობის და ყრმობის წლები ჭიათურაში გავატარე, რადგან მთელი ნათესაობა ძირითადად ჭიათურაში მყავს. ვმუშაობდი რიგით ინჟინრად ჯერ საჩხერის ავტო-სათავსო საწარმოში, 1975 წელს კი ჭიათურა-საჩხერის ავტო-სათავსო საწარმოების გაერთიანების დირექტორი გავხდი. სულ ტრანსპორტში ვმუშაობდი 35 წელიწადი.

როგორც ჩემთვის ცნობილია ძალიან უყვარხართ ამ რაიონის ხალხს . როგორ მოიპოვეთ ეს სიყვარული?

ჩვეულებრივი მუშაკი ვიყავი. ვხელმძღვანელობდი ერთ ერთ წამყვან დიდ სატრანსპორტო საწარმოს, რომელიც ამარაგებდა არამარტო ჭიათურას, არამედ მთელ საქართველას სამშენებლო და სამრეწველო მასალებით. რადგან საჩხერისა და ჭიათურის ქვიშა და საერთოდ საამშენებლო მასალები საუკეთესოა.

ბატონო ჯუმბერ მიუხედავად იმისა რომ ეკონომისტი ხართ უცნაური გაყოფა გცოდნიათ. კერძოტ მეტს სხვას აძლევდით და ნაკლებს თქვენთვის იტოვებდით. რატომ ვერ გამოიყენეთ თქვენი მათემატიკური ნიჭი სათქვენოდ?

თქვენ წეღან მკითხეთ თუ რატომ ვუყვარვარ ჭიათურის რაიკომში ყველას. პირველ რიგში ვიყავი თავდადებული შრომაზე და რათქმა უნდა წარმოების წინსვლაზე. მიყვარს ჩემი ხალხი, ჩემი ერი, ჩემი ქვეყანა და ჩემი ნომერ პირველი მიმართულება იყო იქით რომ წინ წამეყვანა წარმოება და ამავე დროს კარგად ყოფილიყვნენ ჩემი თანამშრომლები. სწორედ ამ მიზეზით გაერთიანების ერთერთ კრებაზე, როდესაც ჭიათურის პარტიის რაიკომის მეორე მდივანი გვესწრებოდა, ჩემს თანამშრომლებს გამოვუცხადე, რომ ვისაც ორი წლის შემდეგ არ ექნებოდა სახლკარი მოწესრიგებული ჩემ წარმოებაში ვერ იმუშავებდა, რადგან თუ ადამიანს საკუთარ სახლში არ აქვს წესრიგი, იგი საწარმოშიც ვერ იქნებოდა მოწესრიგებული. შევპირდი რომ ყველანაირად შეუწყობდი ხელს. ვეხმარებოდი ტრანსპორტით მშენებლობა იქნებოდა თუ მგზავრობა და ყოველთვის ყურადღებით ვექცეოდი. ამან განაპირობა ხალხის ჩემდამი სიყვარულიც და სტიმული მისცა ჩემ თანამშრომლებს, რის გა-

მოც წარმოებაშიც და ოჯახშიც გაათმაგებულად დაიწყეს შრომა. არ მოგვკლებია რესპუბლიკური თუ საკავშირო დროშები. მოსკოვში სამრეწველო გამოფენაზეც ვიყავით თორმეტი წლის განმავლობაში, ვიყავით მოწინავეთა რიგებში არა მარტო რესპუბლიკაში არამედ საბჭოთა კავშირშიც.

თქვენ იყავით ჭიათურის მერიც ამის შესახებ რას გვეტყვით?

ზვიად გამსახურდიას პერიოდში შემომთავაზეს ჭიათურის საკრებულოს თავმჯდომარეობა. 1992 იანვარს გადააყენეს ზვიად გამსახურდია, მაგ დროს ხალხმა მოითხოვა ჩემი ქალაქის ხემძღვანელად არჩევა, მეც დავთანხმდი 9 თვე ვიმუშავე შემდეგ კენჭი ვიყარე დეპუტატობაზე, თუმცა გაიმარჯვა უფრო მეტად დამსახურებულმა, აწ განსვენებულა ექიმმა გოგი კიკნაძემ. მას შემდეგ ბიზნესში ვარ ჩართული.

როგორც ვიცი თქვენ პარლამენტშიც იყავით ეს რომელი წლები იყო?

პარლამენტში მე დეპუტატი არ ვყოფილვარ. მქონდა შემოთავაზება პარლამენტში თუმცა უარი განვაცხადე, არ მინდოდა პარლამენტის წევრობა.

რამდენი შვილი გყავთ ბატონო ჯუმბერ?

მე მყავდა 4 ბიჭი. ერთი გარდამეცვალა 1997 წელს, სამი დღეს სახეზეა

როგორ მამას უწოდებთ თქვენ თავს?

მიუხედავად იმისა რომ შვილის გარდაცვალებით გულდაკოდილი მამა ვარ, მაინც ბედნიერ მამად ვთვლი თავს.

რამდენი შვილიშვილი და შვილთაშვილი გყავთ?

ცხრა შვილიშვილი და რვა შვილთაშვილი მყავს.

როგორც ვიცით გუშინ შეგეძინათ შვილთაშვილი რა დაარქვით მას?

დიახ გუშინ პატარა გოგონა შეგვეძინა, მშობლებმა სესილი დაარქვეს.

რას იტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე?

ეს პიროვნება მოვლენა იყო ჩვენი ერისათვის, მას მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც იდეალურ პირვნებას. იშვიათად იბადება მსოფლიოში ადამიანი, რომელიც ერს გაუთქვავს სახელს თავისი დიდი მიღწევებით, გინესის რეკორდებით, მოგზაურობით და თავისი ბუნებით.

რას იტყვით ჟურნალ ათინათზე?

ჟურნალი ათინათი არის ერთერთი საუკეთესო ჟურნალი ქართულ ჟურნალებს შორის. პირველი ჟურნალიდანვე ძალიან მომეწონა და დავინტერესდი, მასში არის სტატიები სარწმუნეობაზე, პოეზიაზე, პროზაზე, ისტორიაზე და სხვა. განსაკუთრებით მომწონს ახალგაზრდა თაობის ჩართულობა ამ ფერხულში. ძალიან მიხარია რომ გვეზრდება განათლებული და პატრიოტული სულის თაობა. ეს ჟურნალ ათინათის დამსახურებაა და იმედია ასე გაგრძელდება მომავალშიც.

დიდი მადლობა ბატონო ჯუმბერ რომ გამონახეთ დრო და ჩემთან გასაუბრება ისურვეთ. დღეს საკმაოდ წარმატებული დღე მქონდა ინტერვიუ ჩავწერე ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილესთან ბატონ ზურაბთან. მწერალთან და პოეტთან, საბავშვო ჟურნალის რედაქტორთან ბატონ ლევან მარუხატიასთან. ასევე ინტერვიუს მოცემის სურვილი გამოთქვეს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა და დეკანმა. მადლობა უფალს და თქვენ, რომ ამხელა პიროვნებებმა პატარა ბავშვს დამითმეთ ეს დრო.

მე თავად დიდი მადლობა ასეთი დაფასებისათვის.

ინტერვიუ ილია ჭიაურელთან

ელენე გულიაშვილი
თბილისის №1 კლასიკური გიმნაზიის
VIII კლასის მოსწავლე



– მე გახლავართ ელენე გულიაშვილი, "ნორჩი ათინათელი",

გთხოვთ გაგვეცნოთ.

– კი, ბატონო, ილია ჭიაურელი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ჩვეულებრივი კახელი კაცი, რომელიც წლებია უკვე, რაც მუშაობს თვითმმართველობაში, 1991 წლიდან, პირველი ეროვნული არჩევნების შემდგომ.

– რა პროფესიის ბრძანდებით, გიყვართ თუ არა თქვენი ძირითადი პროფესია?

– სამწუხაროდ პროფესიის სიყვარულზე რა გითხრათ, იმიტომ, რომ არ დამცალდა იმაზე მუშაობა, მაგრამ მაინც მიყვარს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე, მაშინდელი სტყეო-სამეურნეო ფაკულტეტი, მეტყევე ინჟინრის სპეციალობით, მიყვარს და ძალიანაც მიყვარს, მაგრამ დიდი ხანი არ მიმუშავია ამ სპეციალობით, გადმოვერთე აქეთ, თვითმმართველობაში.

– ორიოდე სიტყვით რას იტყვით რაიონის საერთო მდგომარეობაზე, ხალხის დასაქმებაზე?

– ორიოდე სიტყვით ცოტა ძნელია მაგის თქმა, მაგრამ მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ რთული, ყველაზე რთული პრობლემა, თუკი რამე არსებობს ამჟამად არის რაიონში დასაქმების პრობლემა. ზოგადად თვითდასაქმებულთა რაოდენობა ბევრია, ეს არის კატეგორია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მუშაობს, მაგრამ შემოსავლის დონე იმდენი არ არის, რომ ადამიანი დაკმაყოფილებული იყოს. ეს ყველაზე მთავარი პრობლემაა, მაგრამ თბილისთან სიახლოვე მაინც გვაძლევს იმ უპირატესობას, რომ ის დიდი სამრეწველო ცენტრია და იქ მუშაობს ჩვენი ხალხი.

– რა შეიცვალა ბოლო წლებში რაიონში და განსაკუთრებით თქვენი მმართლელობის პერიოდში?

– სტრაბახო რომ ვთქვათ ბევრია-მეთქი... გვაქვს ბევრიც, სიმართლე რომ გითხრათ 91 წლიდან და უფრო ადრიდანაც მახსოვს ეს რაიონი და მახსოვს მისი ინფრასტრუქტურა, საკმაოდ ძლიერი და განვითარებული რაიონი იყო სამრეწველი თვალსაზრისით, ძალიან ბევრი ქარხანა-ფაბრიკა მუშაობდა, მაგრამ დღეს ფაქტიურად, შენარჩუნებული გვაქვს ძალიან ცოტა, თითზე ჩამოსათვლელი ღვინის ქარხნები, მეფრინველეობის ფაბრიკები. რაც შეეხება იმ დიდ ავტოშემკეთებელ ქარხანას... სამრეწველო საწარმოები სამწუხაროდ აღარ გვაქვს. მაგრამ ამ ბოლო წლებში, დაიწყო ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა, ძირითადად წყალგაყვანილობა, გზები, სკოლების, საბავშვო ბაღების შეკეთება-შერემონტება და ის, რაც შეგვიძლია, და რასაც შევძლებთ ჩვენი ბიუჯეტით გავაკეთებთ მხოლოდ და მხოლოდ პატარ-პატარა მონაკვეთებს და ყველგან. დიდი გარღვევა, რომ გითხრათ არა გვაქვს, მაგრამ რაც გვაქვს, ლამაზად მოვლილია ჩვენი რაიონი და ვცდილობთ, რომ ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მომავალი კარგად განვითარდეს.

– ამბობენ, რომ პრობლემებია სასმელ წყალთან დაკავშირებით.

– წყლის პრობლემები დაკავშირებულია ძირითადად მოძველებულ სისტემასთან. ის სისტემები, რომლებიც საგარეჯოს ჰქონდა, საუკეთესო სათავე ნაგებობა, ცნობილი ქურდიანების მიერ გაკეთებული და დაპროექტებული. იქიდან გამომდინარე მილები, 1913 წელს მეფის დროინდელი გაკეთებულია და შესაცვლელია, საკმაოდ ძვირადღირებული პროექტებია წყლის პროექტები, მაგრამ შეგვიძლია ნაწილობრივ შევაკეთოთ, რომ მოსახლეობას რაღაც დონეზე მაინც ჰქონდეს წყალი. მაგრამ მაინც რთულია. რთული ადგილი გვაქვს ჩვენ სოფელ უდაბნოში, სადაც წყლის მიწოდება 40 კილომეტრზე ელექტრო ენერგიის მეშვეობით ხდება. მაგრამ სოფლებს ძირითადად აქვთ მომარაგება, ნაქწილობრივ. 24 საათიანი მომარაგება მარტო თოხლიაურშია.

– რაც შეეხება უდაბნოს, არის იქ მოსახლეობა და რა მდგომარეობაშია სოფელი?

– ამჟამად, დახლოებით 160 კომლამდე ცხოვრობს, ძირითადად ეკომიგრანტები არიან სვანეთიდან ჩამოსახლებულები, ჯავახეთიდან ჩამოსულები. კარგი სოფელია, მაგრამ რთულია მისახედად, რადგან განაპირა სოფელია.

– როგორია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა რაიონში?

– სხვათა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე ახლა ვესაუბრებოდი კულტურის გაერთიანების ხელმძღვანელს. საკმაოდ კარგი ტრადიციები გვაქვს ჩვენ, საგარეჯოს, გვქონდა და ახლაც გრძელდება შეძლებისდაგვარად. ბავშვთა ანსამბლებთან დაკავშირებით, ფილკლორული ანსამბლები, გვყავს ძალიან კარგი ქალთა ანსამბლი "ჩინარი", მუსიკალური სასწავლებელი გვაქვს, ჩემის აზრით ძალიან კარგი, სადაც მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს კლასში, უდაბნოში გვყავს სოფლის ქალთა ანსამბლი "კასლეტილა", რომელიც სვანური სიმღერების და ფოლკლორის ძალიან კარგი შემსრულებლები, შემნახავი და გამავრცელებლები არიან. კაკაბეთში "ბერიკაცები", გარეკახური სიმღერების მოძიებით, შესრულებით და გავრცელებით არიან დაკავებულნი, ადგილზე პატარა დასი თეატრის, სადაც მუშაობენ ახალგაზრდები, გვაქვს თოჯინების თეატრის წრე, ცეკვის წრეები... ასე, რომ არ ვუჩივით ამ მხარეს და შეიძლება ბევრი რამ სატრაბახოც გვქონდეს.

– ვიცით, რომ საგარეჯოს ჰქონდა ეთნოგრაფიული მუზეუმი, გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმი, რა მდგომარეობაშია დღეს კულტურული მემკვიდრეობა?

– გოგლა ლეონიძე ჩვენი სიამაყეა, მთელი საგარეჯო ამაყობს ამხელა ბუმბერაზი კაცი გვყავდა პატარძეულში. დაახლოებით 4 წლის წინათ შევაკეთეთ ეს სახლ-მუზეუმი ძალიან კარგად. ჩატარდა შიდა და გარე სამუშაოები, მოეწყო ეზო, დაინიშნა ამ მუზეუმის დირექტორი და მუშაობენ, ატარებენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებს, შეხვედრებს, ხშირად იმართება გოგლასადმი მიძღვნილი საღამოები. ასევე ორი წლის უკან მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და მიმდებარე ტერიტორია შევაკეთეთ, კაპიტალურად. აბსოლუტურად შევცვალეთ შენობები. დავტოვეთ ძველი, მაგრამ შიდა ინტერიერი გაკეთდა, სანახები და ყველაფერი რაც თანამედროვე მუზეუმებს სჭირდება. დავნიშნეთ იქ დირექტორი, გვყავს ჯგუფი, რომელიც მუშაობს ამ მუზეუმში. თვითონ გამგეობას და მუნიციპალიტეტს რაც შეეხება სპეციალისტები მუშაობენ ძეგლთა დაცვაზე. აბსოლუტურად აღვწერეთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლი, თავიდან ბოლომდე. არა მხოლოდ "გარეჯი"-ს კომპლექსით ვართ ცნობილი, უამრავი ძეგლი გვაქვს ტერიტორიაზე, ახლა დარეკეს კულტურის სამინისტროდან, ორი ჩვენი ძეგლი პატარძეულის ციხე და გიორგიწმინდის ციხე შეიტანეს სარეაბილიტაციო ნუსხაში. ჩვენ თვითონ ნინოწმინდაში გავაკეთეთ რესტავრაცია, ზემო ყანდაურაში. დაწყებული გვაქვს კიდევ რამდენიმე სოფელში, ამ კუთხითაც გვაქვს საამაყო.

– რაიონში თუ გამოდის პერიოდული პრესა, როგორიც იყო წლების წინ "ივრის განთიადი"?

– "ივრის განთიადი"-ს მსგავსი არა, მაგრამ გვაქვს ჩვენი პერიოდული პრესა სხვათაშორის რამდენიმე წლის უკან ტელევიზიაც გვქონდა და რაღაც პრობლემების გამო ვერ იმუშავა, სიხშირე ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ კერძო სტრუქტურაა და ვეღარ განავრცეს თავისი საქმიანობა. ჩვენი საინფორმაციო გაზეთი თვეში ოთხჯერ გამოდის, ქალბატონი თინა ილაურია მისი ხელმძღვანელი. გაზეთი "კახეთის კარიბჭე" ძირითადად საჭირბოროტო საკითხებს აშუქებს.

– საგარეჯოს რაიონიდან ჩვენი აკადემიის წევრია დავით ივრისპირელი, თუ დაგვისახელებთ სხვა საყურადღებო შემოქმედთა გვარებს.

– დათო, ძალიან საყვარელი და საამაყო კაცია ჩვენთვის, ხანდახან ხდება ისე, რომ ადამიანს მაშინ არ აფასებ, როცა საჭიროა და მერე წლები გამოაჩენენ ყველაფერს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მეგობრები ვართ და მეგობრულადაც და იმ ვალდებულებითაც, რასაც მაკისრებს ჩემი თანამდებობა, ხშირად მიხდება მასთან მუშაობა და ურთიერთობა. რაც შეგვიძლია, შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთებთ პატარ-პატარა საქმეებს. ასევე ძალიან საყვარელია ჩვენთვის პოეტი რომან ზუკაკიშვილი, შემოქმედი, ალალი, პატიოსანი, წესიერი კაცი. ცოტა ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და ხშირად გვიხდება მასთან ურთიერთობა, დახმარება. მოდიან ახალგაზრდები, გვყავს სახალხო მთქმელები, გომბორის ზონაში ლეილა არჩემაშვილი მუშაობს მათთან.

– როგორია შემოქმედებითი მუშაობა, თუ ეწყობა პრეზენტაციები, გამოფენები და სხვა ღონისძიებები?

– გამოფენებთან დაკავშირებით ჩვენ რამოდენიმეჯერ გვქონდა აქ გამოფენა. იცით თქვენ, იყო პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი, რომლის ქალიშვილიც მხატვარია, მან მოაწყო ფოტოგამოფენები. ტარდება საღამოები, ბავშვთა მოთხრობების კონკურსები, ახლა იდეა იყო ლიტერატურული სალონისათვის ფართის გამოყოფის შესახებ და ალბათ უფრო ინტენსიური გახდება მათი ურთიერთობა ერთმანეთთანაც და მოსახლეობასთანაც.

– ჟურნალ "ათინათს" ჰყავს თავისი აღსაზრდელები – "ნორჩი ათინათელები". როგორია თქვენს რაიონში მოსწავლე შემოქმედთა ცხოვრება, მათთან მუშაობა?

– ჩვენთან გამგეობას თავისი ახალგაზრდული სამსახური ჰყავს, რომელიც მუდმივად აწყობს აქტიურ ბავშვებთან შეხვედრებს, დაჰყავს სხვადასხვა კონკურსებზე, აქაც ატარებენ საღამოებს, მე თვითონ რამოდენიმეჯერ ვყოფილვარ და ძალიან მომწონს მათი მუშაობა, მაგრამ უფრო უკეთესს ვისურვებდი. ცხოვრება ასეა, ხომ იცით, როცა თოფები ისვრიან მუზები ჩუმდებიანო, ნელა-ნელა გამოვდივართ ამ მდგომარეობიდან და ყველას უჩნდება სურვილი წიგნთან სიახლოვის და მასზე მუშაობის, მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონულმა საშუალებებმა დაჩაგრა ამ ბოლო ხანებში, მაგრამ წიგნი მაინც წიგნია და, ადამიანი როცა თვითონ წერს და ჩაჰყურებს თავის ნაწერს, ეს ბავშვობიდანვე უნდა შეითვისოს და შეიგუოს ასე მგონია.

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები, რის შეცვლას აპირებთ თქვენს საქმიანობაში?

– რომ გითხრათ გაგეცინებათ, პირველი გეგმა მაქვს ბიჭები დავნიშნო (იცინის)...კარზეა მომდგარი თვითმმართველობის არჩევნები და ვნახოთ რას იზამს ხალხი, რას გადაწყვეტს, როგორ გადაწყვეტს, რა იქნება. მე ამ რაიონში უნდა ვიცხოვრო და ამ რაიონში მივებარო სასუფეველს.

– ოჯახის შესახებ გვიამბეთ!

– მეუღლე და ორი ბიჭი მყავს. როგორც გითხარით დასაქორწილებლები, ვცდილობ და მინდა რომ კარგი ქართველები იყვნენ. პატარები აღარ არიან, საქმიანობენ, კერძო

სტრუქტურებში. ორივე უმაღლესი განათლებით არის. მეუღლე ამჟამად არ მუშაობს. მუშაობდა, ჰქონდა თავისი კერძო ბიზნესი, ამჟამად დიასახლისობს.

– რას უსურვებთ მომავალ თაობას?

– მომავალ თაობას რას გისურვებთ იცით? თაობათა შორის ძალიან ლამაზი კავშირი უნდა იყოს, თბილი... და ძალიან ლამაზად უნდა იცხოვრონ თაობებმა. მომავალს რომ უსურვებ, იმ დროისათვის აწმყოც უნდა იყოს, რომელიც არის მომავლის მშობელი და

კარგად უნდა იყოს ყველა თაობა. საერთოდ კახური და ტრადიციული ქართული იყო ძველი ცხოვრება, ერთ ოჯახში ერთად იყვნენ მშობლები და შვილები. ბოლოს ჩვენმა ამპარტავნებამ მოიტანა ეს, ერთად რა გვინდა, როგორ ვიცხოვრებთ. არადა, ის იყო თაობათა კავშირი, უწყვეტი კავშირი, ერთად თანაშეზრდის ცდა იყო. მომავალ თაობას იმას ვუსურვებ, რომ ის თავისი ქვეყნის სიყვარული, წიგნის სიყვარული ისწავლონ. წიგნი სულ სხვა რამეა, აქ შენ სამყაროს იქმნი. კომპიუტერმა შეიძლება სულ გამოგიყვანოს მდგომარეობიდან, რა თქმა უნდა ტექნოლოგიურ პროცესს არ უნდა ჩამორჩე, უნდა ისწავლო თუკი დედამიწის ზურგზე რამე ახალი იქნება, მაგრამ იმ ჩვენს ძირძველს არ უნდა გავანებოთ თავი და ის ჩვენში უნდა იყოს, სისხლში. ერთადერთი, საქართველოს რაც გადაარჩენს, რაც შეიძლება მეტი ნასწავლი ადამიანი, სხვა არაფერი საშველი არა გვაქვს. არავინ არაფრის მომტანი არ არის არც ჩვენიანი, არც სხვისიანი, გარედან. შრომა უნდა ვისწავლოთ, შრომას უნდა მივეჩვიოთ პატარაობიდანვე და ცოდნა მივიღოთ. სხვებს უნდა ვჯობდეთ. მაგის შესაძლებლობაც გვაქვს და გენეტიკურად ძალიან ჭკვიანი ხალხი ვართ, მაგრამ დროის გაფლანგვა გვიყვარს, ცოტა შრომისმოყვარეობა გვაკლია. ეს ყველაფერი თუ თქვენ გამოასწორეთ, თქვენ იქნებით ძალიან კარგი თაობა. სხვათაშორის სხვისგან სწავლებასაც არ უნდა მოერიდოთ. მერე რაა რომ სხვა ერისაა და სხვა კარგად აკეთებს, იქიდან უნდა გადმოიღო კარგი და არა ყველაფერი. მისი ვიცოდეთ, მაგრამ ჩვენი გვქონდეს.

– გაქვთ თუ არა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიასთან შემგდომი ურთიერთობის ანდა თანამშრომლობის სურვილი?

– თქვენ, აკადემიას, მომავალ თაობას უნდა ჰქონდეს, თორემ ჩემი სურვილი ბევრს არას ნიშნავს. (იცინის) ჩვენთან მოდიან ბავშვები, საჯარო სკოლიდან, ერთვებიან სამუშაო პროცესში, ზოგჯერ ბავშვის თვალი ხედავს იმას, რაც ჩვენ შეიძლება გამოგვრჩეს მხედველობიდან. ეს კავშირები აუცილებელია ყოველთვის.

– რას უსურვებთ ჟურნალ "ათინათს" და მის მკითხველებს?

– ჟურნალ "ათინათს" ბევრ ფულს ვუსურვებ, (იცინის) რომ ბევრი გამოვიდეს. ისე ვერ გამოვა და ვერ გავრცელდება. ჩვენი თაობა "ცისკარზე" და "მნათობზე" გაიზარდა. ეს რაღაც იყო, როცა იქ დუმბაძეს კითხულობდი, ჭაბუას კითხულობდი, უმაღლეს სასწავლებლებში სკოლებში იყო ჯგუფები რომლებიც კითხულობდნენ და გამოჰქონდათ სამსჯავროზე. ეს გვაყვარებდა ავტორებს. თუ ვერ ვნახეთ და არ წავიკითხეთ, ისე ვერ შევიყვარებთ. ადრე იყო მასიური საშუალება და ახლა აღარ არის ბავშვებისათვის და ახალგაზრდა თაობისათვის მისაწვდომი, ამიტომ გარბის მდარე და მასიური ხასიათის საკითხა-

ვისკენ. ჩვენც შეიძლება წაგვეკითხა მსგავსი რამ, მაგრამ მანამდე სხვა რამ გვქონდა წაკითხული. მასწავლებლები გვასწავლიდნენ ჯერ ქართულ სულს, მერე მსოფლიო კლასიკას. ჟურნალი "ათინათი" ხელიდან ხელში უნდა გადადიოდეს, უნდა კითხულობდეს ერთი ადამიანი, მერე მეორეს აძლევდეს. დღეს ასეა, ხვალ შეიძლება აფეთქება მოხდეს ჩვენს კულტურულ შემეცნებაში, რომ ძებნა დავუწყოთ ასეთ მიმალულ მარგალიტებს. როცა ადამიანი ამთავრებს თავის საქმიანობას ჰკითხავენ მათ; რა ვერ გააკეთე-ო. ყველა უკლებლივ ლაპარაკობს, რომ საკმარისი ვერ გავიღე განათლებისთვისო, არავინ არ მალავს ამას, მაგრამ იმ მომენტში, იმას არ აკეთებს რაც საჭიროა. ჩვენ არა ვართ ის ქვეყანა მსოფლიო დონის გადატრიალება შევძლოთ, შეგვიძლია, მხოლოდ ჩვენი ცოდნით რაღაც გავაკეთოთ სასიკეთო. ამისათვის "ათინათი" უნდა გაძლიერდეს. შემოქმედებით კავშირებს ყურადღება უნდა მიექცეს.

– თუ გაქვთ სურვილი რაიმე დაამატოთ ჩვენს კითხვებს?

– რაღაც შინაგანი გრძნობა მაქვს, რომ ალბათ ნებისმიერ კითხვაზე შემიძლია ვუპასუხო, არც შეცდომის აღიარება მიჭირს. ქართველებმა ერთმანეთისგან უნდა ვისწავლოთ მოფერება, ერთმანეთის გადარჩენა, ერთმანეთის მოვლა და მთელ ქვეყანას ერთად უნდა მოვუაროთ.

ვტოვებთ საგარეჯოს და გზადაგზა ვხედავთ რომ წინანდელი, ნგრევის წლებისაგან განსხვავებით, რაღაც სასიკეთოდ შეცვლილა, რაღაც შენდდება, რაღაც ლამაზდება, ძველი თეატრის შენობაც თითქოს სუნთქავს, ქალაქის ცენტრშიც მოძრაობაა, მოძრაობა განახლებისკენ და რა თქმა უნდა წინსვლისაკენ, ისევ ჩვენი, მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

თამარ ტყეშელაშვილი



იუზა რობაქიძე - ბ-ნი ჯუმბერ ღეჟავას უახლოესი მეგობარი.

1)გთხოვთ გაგვეცნოთ!

მე ვარ იუზა რობაქიძე, შსს-ს ყოფილი თანამშრომელი, პოლიციის პოლკოვნიკი. დავიბადე თერჯოლის რ-ის ს. ახალთერჯოლაში. დავამთავრე ჩხარის საშ. სკოლა, გავიარე სამხედრო სამსახური რუმინეთის საზღვართან, ქ.რენეში. დაბრუნებისთანავე სამსახური დავიწყე შსს რიგებში. უმაღლესი განათლება მივიღე მოსკოვში შსს-ს აკადემიაში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. ვარ იურისტი.

შსს-ს სისტემაში გავიარე ყველა გზა პოლიციის ლეიტენანტობიდან პოლკოვნიკობამდე. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ცნობილი მოვლენების დროს ვიბრძოდი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. ვარ ომის ვეტერანი, მრავალი ჯილდოს მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი. ამჟამად ერთ-ერთი ფირმის გენერალური დირექტორი. მე ვთვლი, რომ ვარ წარმატებული პიროვნება.

2)კარიერაში წარმატებას ხშირად „საჭირო დროს საჭირო ადგილზე" აღმოჩენას უკავშირებენ, გამართლებას ან შრომისმოყვარეობას. თქვენს შემთხვევაში წარმატებული კარიერა რა ფაქტორებმა განსაზღვრა?

ყველაზე მეტად, ალბათ შრომისმოყვარეობამ. მე გავიზარდე მრავალშვილიან ოჯახში

ოთხ და-ძმასთან ერთად ობოლი ბიძაშვილები იზრდებოდნენ. შრომა უპირველესი იყო. დღემდე ასეა.

იყო ალბათ გამართლებაც - როგორც აკადემიაში, ისე შსს-ს სისტემაში არაჩვეულებრივ კოლექტივში მოვხვდი. ეს იყო რთული პერიოდი- იშლებოდა იმპერია, მის ადგილზე დამოუკიდებელი სახელმწიფოები ყალიბდებოდა. სამართალდამცავ ორგანოებს ურთულესი ფუნქციის შესრულება ევალებოდა - ახალ სახელმწიფოებში წესრიგის დამყარება. აი, ამ დროს, მე ვთვლი, რომ ეს პერიოდი კარგად გავიარეთ. პირადად ჩემთვის კარიერაში წარმატება აქედან დაიწყო. საერთოდ, ცნობილია ჩემი გვარის ბევრი წარმომადგენელი, რომელიც იმ პერიოდში შს ორგანოებში მუშაობდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

3)გვიამბეთ თქვენი გვარის ყველაზე ღირსეული წარმომადგენლის გრიგოლ რობაქიძის შესახებ.

გრ. რობაქიძემ ბედისგან განკუთვნილი მისია ბრწყინვალედ შეასრულა მრავალი რამ შექმნა ქართველთა პოპულარიზაციისათვის: „ქართული რასსა რაინდული სისხლით არის აცეცხლებული, ეს არ არის უბრალო სიტყვა და არც უბრალო თვისება, საქართველოს ისტორია რაინდობის პათოსით იმართებოდა ყოველთვის, რაინდობა ჩვენი ეროვნული პროფილის შნოიანი ხაზულია.“

მას მხოლოდ ერთი ნატვრა ჰქონდა: „როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანდებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ ჩემ საქართველოს“

ჩვენც, რობაქიძეები ვუსრულებთ ამ ნატვრას- 28 ოქტომბერს ვიკრიბებით მცხეთაში, სვეტიცხოველში იმ პაწა სალოცავის წინ, ვანთებთ სანთელს და პატივს მივაგებთ ჩვენს ღირსეულ წინაპარს.

მე საჩუქრად გადმოგცემთ კრებულს „ბედი ქართლისა“, რომელიც გამოცემულია 1964წ. პარიზში. ეს არის ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული, რომლისგანაც ბევრს გაიგებთ ამ ლეგენდარული პიროვნების შესახებ.

4) შინ ყოფნისას ძირითადად დროს სად ატარებთ? ყველაზე მეტად კომფორტს რა გიქმნით?

შინ ყოფნისას დროს ჩემს ბაღში ვატარებ. მე დაგათვალიერებინებთ ჩემს ეზოს და მიხვდებით, სად შეიძლება ადამიანმა ამაზე კარგი ადგილი ნახოს. აქ არის წარმოდგენილი 80-მდე სხვადასხვა ჯიშის ხეხილი და ვაზი. მაისიდან ნოემბრამდე აქ ხეხილი მწიფობს. თითოეულ ხეს და ბუჩქს ვესაუბრები. ვაზს ხომ განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. 7 ჯიშის ვაზია ამ ეზოში. ნახეთ ერთ-ერთი მტევანი- თითქმის 1კგ-ია. ძალიან დიდ შრომას ითხოვს მაგრამ თუ ბუნებამ გაგიმართლა და კარგი მოსავალი მიიღე, ყველა დაღლა გავიწყდება და უბედნიერესი ხარ.(ვაზზე ბევრი შეიძლება ვისაუბროთ)

5)გაგვაცანით თკვენი ოჯახი.

მყავს მეუღლე- სულიკო თავბერიძე, პროფესიით ისტორიკოსი, პროფესორი, ყოფილი აგრარული უნივერსიტეტის კათედრის გამგე. ორი შვილი და შვილიშვილები. ქალიშვილი - ქეთევანი- ეკოლოგიის დოქტორი და ვაჟი -გიორგი, ისიც იურისტია და ასევე ფარმაცევტი.

შვილიშვილი წელს ჩაერიცხა უნივერსიტეტში. ამავე დროს ამთავრებს მუსიკალურ

სასწავლებელს. მეორე შვილიშვილი ამერიკაში სწავლობს და იქაც ცდილობს ასახელოს ჩვენი სახელოვანი გვარი.

6)გაქვთ თუ არა სურვილი ითანამშრომლოთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიასთან?

რა თქმა უნდა. თუმცა, ჯერ თქვენ უნდა გქონდეთ ჩემთან ურთიერთობის სურვილი და თუ ეს არსებობს, აუცილებელიცაა. თქვენს თაობას მოუხდება ჯუმბერ ლეჟავას ფენომენის შესწავლა. ეს უდიდესი პიროვნება ჩვენს გვერდით ცხოვრობდა; თითოეული დღე წინასწარ გვქონდა გათვლილი, სად და როგორ გაგვეტარებინა. ყველა წარმატების თანამონაწილე ვიყავით და ალბათ ჩვენი მოგონებები დაგეხმარებათ მისი ფენომენის საფუძვლიანად ჩაწვდომაში.

ინტერვიუ შოთიკო შუბითიძესთან

შოთიკო შუბითიძეს ესაუბრა, თამარ ტყეშელაშვილი თბილისის 147-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე

- **სად და როდის დაიბადე?**
- მე დავიბადე ამერიკაში, 2003 წლის 31 იანვარს.
- **სად სწავლობ და როგორ?**
- ვსწავლობ პირველ ექსპერიმენტალურ სკოლაში. რა თქმა უნდა, კარგად.
- **ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარი?**
- ჩემი საუკეთესო მეგობარი გახლვათ გიორგი ბიწაძე.
- **რომელია შენი საყვარელი საგანი?**
- ჩემი საყვარელი საგანი არის ისტორია.
- **შენი ჰობი?**
- ჩემი ჰობია – კარატე.
- **გაქვს თუ არა სოფელი და რას აკეთებ, როცა სოფელში ხარ?**
- ჩემი სოფელია ჭალვანი და უმეტესად ვვარჯიშობ, როცა იქ ვარ.
- **როგორია შენი სოფელი?**
- ჩემი სოფელი ძალიან ლამაზია, ჩამოედინება ორი მდინარე, გარშემო კი აკრავს ტყე.
- **შენი მშობლები და დედმამიშვილები? რას გვეტყვი მათ შესახებ?**
- ოჯახში ვართ ხუთნი. მყავს ორი და. დედა – ხათუნა გოგორიშვილი. მამა – დავით შუბითიძე.
- **რომელ სპორტით ხარ დაკავებული და რომელი წლიდან?**
- სპორტით დაკავებული ვარ, კერძოდ, კარატეთი დაახლოებით 2009 წლიდან.
- **რა მოღვაწეობა გაქვთ სპორტში?**
- სპორტში 3ჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი და ერთხელ კავკასიის ჩემპიონი კონტაქტურ კარატეში.

- **სად აპირებ სწავლისა და ცხოვრების გაგრძელებას?**
- სწავლის და ცხოვრების გაგრძელებას ვაპირებ ამერიკაში.
- **რა მიზნები გაქვს სამომავლოდ?**
- სამომავლოდ, ჩემს სოფელში, როცა გავხდები სრულწლოვანი, მსურს ვავარჯიშო მომავალი პატარა თაობები.
- **გყავს თუ არა მოძღვარი?**
- დიახ, მყავს. ასევე ვარ სტიქაროსანი. ჩემს სოფელში მოღვაწეობს მამა ნიკოლოზი, რომელიც გახლავთ ჩემი მოძღვარი.
- **ვინ არის შენი საყვარელი სპორტსმენი?**
- ჩემი საყვარელი სპორტსმენია იაპონელი – მიდორი კენჯი.
- **ვინ არის შენი კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი?**
- კარატეს ფედრაციის პრეზიდენტი გახლვათ – ანზორ ჩუბინიძე.
- **ვინ შეგაყვარა სპორტის ეს სახეობა? ანუ კარატე?**
- სპორტი შემავარა ბიძაჩემმა, გია გოგორიშვილმა.
- **ვინ იყო შენი პირველი მასწავლებელი კარატეში?**
- ჩემი პირელი მასწავლებელი არის ივერი თირაშვილი.
- **რას ეტყოდი შენს თანატოლებს?**
- უყვარდეთ სწავლა და იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრებით.
- **ჩვენ გისურვებთ მომავალ სპორტსმენს უამრავ წარმატებას, ჩვენი ქვეყნის საამაყოდ.**

ინტერვიუ საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარე — ფრიდონ ბურდულთან

– გამარჯობა! მე ვარ თამარ ტყეშელაშვილი, "ნორჩი ათინათელი" თუ შეიძლება გაგვეცანით, პირველ რიგში.

– გამარჯობათ, მე გახლავართ ფრიდონ ბურდული, ამ ეტაპზე საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარე.

– ხართ თუ არა დაოჯახებული ?

– კი.

– საოცნებო ქალაქი, სადაც იცხოვრებდით ?

– საგარეჯო.

– რა გახსოვთ და რა არასოდეს დაგავიწყდებათ თქვენი ბავშვობიდან?

– ძალიან რთული შეკითხვაა, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი კარგი მახსოვს, რომელიც არ დამავიწყდება. კონკრეტულად რამის თქმა ცოტა გამიჭირდება, მაგრამ ყველაზე მეტად ალბათ ჩემი სკოლა, სკოლის წლები.

– რა იყო თქვენი ოცნება და აგიხდათ თუ არა ეს?

– ოცნების ასრულება, საერთოდ, ცოტა ძნელია ამ ცხოვრებაში. რაღაც ამიხდა, რაღაც ვერახდება, ჩემი ოცნება იყო, გამოვსულიყავი კარგი ადამიანი და რამდენად ამიხდა ეს, არ ვიცი, ეს უნდა სხვამ შეაფასოს, ჩემო კარგო.

– ყველაზე დიდი ტკივილი, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ?

– ეს სულ ახლახანს იყო, დედის გარდაცვალება.

– ვიზიარებთ! შეცვლიდით თუ არა რამეს თქვენს ცხოვრებაში?

– ალბათ არა!

– როგორი ხასიათი გაქვთ?

– სერიოზული შეკითხვაა, (იცინის) რა გითხრათ, მე მგონია, რომ საკმაოდ მტკიცე ვარ და ამავე დროს მომთმენი და ლოიალური, ხასიათი ეს ერთი ფაქტორი არ არის, ხასიათი შედგება კომპლექსისგან.

– როგორი ადამიანია თქვენთვის მისაბაძი?

– თამრიკო, თქვენ როგორც გასწავლიან სკოლაში, შესაბამისად აღიქვამთ კიდეც, ამ ყველაფერს, როგორიც უნდა იყოს მისაბაძი ადამიანი. ჩემთვის თვისებრივად მისაბაძია ქართველი კაცი, ისტორიულად ქართველი კაცი, რომელსაც უყვარს თავისი ოჯახი, თავისი სამშობლო, უყვარს სტუმარი, როცა საჭიროა იბრძვის, შრომობს, როცა საჭიროა ქეიფობს... (შეიძლება ცოტა უხეში გამონათქვამია) ასეთი ადამიანია ჩემთვის მისაბაძი, მე რამდენად ვარ ასეთი, არ ვიცი, მაგრამ მისაბაძი ნამდვილად არის.

– რას გვეტყვით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ ?

– ჩემი სამომავლო გეგმები... აქამდე ექიმი გახლდით, ახლაც ექიმი ვარ და ადამიანის ჯანმრთელობა იყო ჩემთვის მთავარი. პროფესია არ იცვლება, ახლაც იგივეა, მაგრამ ცოტა უფრო ფართო კონტექსტში. ჩემი საკრებულოში ყოფნისას ჯანმრთელობასთან ერთად, მეტნაკლებად ადამიანთა მდგომარეობა შევცვალო ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით და თანადგომით.

– რა სპეციალობის ბრძანდებით ?

– ექიმი-კარდიოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. 1982 წლიდან 2012 წლამდე ვმუშაობდი თბილისში. კარდიოლოგიის ინსტიტუტში ვიყავი 20 წელი, მეცნიერ თანამშრომლად. ვმუშაობდი ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალში, ექიმ-კარდიოლოგად და ბოლოს საგარეჯოში, ვიდრე საარჩევნო ბატალეაში ჩავებმებოდი.

– ექიმები სხვაგვარი, ფაქიზი სულის ადამიანები არიან, ალბათ ძნელია საკრებულოში მუშაობა?

– ყველა ექიმის სახელით გიხდით მადლობას ამ სიტყვებისათვის. საქმე იმაშია, რომ ერთი ეტაპი უნდა დამთავრდეს და უნდა მოვიდეს სხვა ხალხი, რომელიც სხვაგვარად მიუდგება ამ საკითხს, ადამიანებზე ზრუნვას გაიხდის მთავარ სამოქმედო გეგმად.

– რის გაკეთებას აპირებთ რაიონში კულტურის სფეროში?

– გვყავს ჯგუფი, რომელიც კულტურულ ღონისძიებებს კურირებს. ორი დღის შემდეგ არის პრემიერა თეატრში, არის ხატვის წრე, საჭადრაკო წრე... საერთოდ მე მიმაჩნია, როდესაც რაიონში მოდიხარ იქ კულტურა სულია და სული თუ დაკარგეთ არაფერი არ გამოვა. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური გაკეთდება იმისთვის, რომ სულიერება არ დაიკარგოს. სულიერების დედა კულტურაა. მე ვიცი გამგებლის დამოკიდებულება, ამ საკითხისადმი. კულტურა უნდა აღორძინდეს. 27 სექტემბერს იყო ღონისძიება ლეონიძის სახელობის მუზეუმში. მუნიციპალიტეტმა და საკრებულომ აქტიური მონაწილეობა მიიღო. მე მაქვს სიგელი, პატრიარქის ხელმოწერით. ამ სულიერებას უნდა გავუფრთხილდეთ და შევინახოთ, ასეთი ლამაზი მომავალი თაობისთვის, რათა მათ იცოდნენ ვისი გორისანი არიან.

– უდაბნოს შესახებ რას იტყვით?

– უდაბნოში ჩავატარეთ დასუფთავების აქცია, ჩემი პირადი მონაწილეობით, საკრებულოს წევრები მყავდნენ წაყვანილი. მოვახატინე სკოლა, უდაბნოს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი კარიბჭე, ყველაზე მოშორებული ქართული სოფელი, რომელიც აზერბაიჯანის საზღვარზეა და მას სხვანაირი ფუნქციური დატვირთვა აქვს. გეგმაში გვაქვს გარეჯის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ძალა არ დავიშუროთ ამ კულტურული ძეგლის საკადრისად მოსავლელად. გარდა

ამისა, გვაქვს ინფრასტრუქტურული პროექტები, წყლის მომარაგების გასაუმჯობესებლად. მთავრდება ტენდერი, აღსდგება საირიგაციო სისტემა. წელს მისახლეობა ძალიან დაზარალდა გვალვის გამო, მოსავალი ვერ მიიღო. თუმცა ამ ეტაპზე, ჯერ თვალშისაცემი გაუმჯობესება არ გვაქვს, თუმცა მომავალს ოცნებით და იმედით შევყურებთ. მაქსიმალურად შეეცდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მატერიალური და კულტურული ცხოვრების აღორძინებას.

– თქვენ რაიონს ჰყავს ცნობილი პოეტი დავით ტიგინაშვილი, რომლის ლექსები იბეჭდება ჟურნალ "ათინათში" სასურველია სკოლებშიც და ბიბლიოთეკებშიც შევიდეს ეს ჟურნალი, რას ფიქრობთ ეთანხმებით თუ არა ამ აზრს?

– ვეთანხმები, ალბათ უნდა შევიდეს.

– აკადემია ატარებს ჟუმბერ ლეჟავას სახელს. მე ამ აკადემიის ჟურნალის ნორჩი "ათინათელი" ვარ, თქვენ გაქვთ თუ არა სურვილი ითანამშრომლოთ ამ ჟურნალთან ?

– თქვენი აქ მობრძანება და ჩვენი შეხვედრა უკვე იმისი დადასტურებაა, რომ სურვილი გვაქვს ამ თანამშრომლობის.

– ბატონ ჯუმბერზე გადავიღეთ ფილმი, რომლის გაგრძელებასაც ვაპირებთ. თქვენ თუ ისურვებთ მონაწილეობას?

– ეს რთული შეკითხვაა, იმიტომ რომ, თავად ბატონ ჯუმბერს სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ საერთოდ, ყველას გაგვიგია მის შესახებ, ასეთ კაცის შესახებ საუბარი სასიამოვნოცაა. ალბათ უნდა ვისაუბროთ, უფრო დეტალურად, მისი მიღწევების შესახებ.

– რა რჩევას მოგვცემდით ჩვენ თაობას, ბავშვებს?

– პირველ რიგში იმას, რომ ქვეყანა უნდა გიყვარდეთ, მშობლები უნდა გიყვარდეთ, სწავლა უნდა გიყვარდეთ, ადამიანი უნდა გიყვარდეთ და მუშაობა უნდა გიყვარდეთ.

– დიდი მადლობა რომ დაგვითმეთ დრო.

– თქვენ მადლობა, მობრძანებისათვის!

ინტერვიუ ვახტანგ ბარბაქაძესთან

მაისის თვეში სტუმრად ვეწვიეთ ბ-ნ ვახტანგ ბარბაქაძეს, რომელიც გახლავთ რუსთავის თირკმლილს ცენტრის ერთ-ერთი დაამფუძნებელი და დირექტორი. სასიამოვნო იყო ბ-ნ ვახტანგთან სტუმრობა. გამოირკვა, რომ ძალიან ბევრი საქმით არის დაკავებული, გარდა იმისა, რომ გახლავთ ამ ცენტრის დანფუძნებელი, მისი საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, რის გამოც თავისუფალი დრო ნაკლებად რჩება... თუმცა, როცა აქვს ამის შესაძლებლობა, ცდილობს, იყოს ოჯახთან ერთად.

მისი საოცნებო ქვეყანა გახლავთ – ამერიკა. კითხვაზე თუ რატომ? გვიპასუხა – მოსწონს ცხოვრების წესითა და ადამიანებისშრომისადმი დამოკიდებულებით. თუმცა რაც შეეხება სად უფრო ლამაზი ბუნებაა, მისთვის ყველაზე ლამაზი საქართველოა.

ბ-ნ ვახტანგი დაიბადა თერჯოლის რაიონის სოფელ – ჩხარში, სადაც სწავლობდა მეორე კლასამდე, შემდეგ კი სწავლა გაუგეძელებია თბილისში. სწავლობდა ხუთებზე. ჰყავს მეუღლე – პროფესიით ექიმი, 22 წლის ვაჟიშვილი და ერთი დედმამიშვილი – მადონა ბარბაქაძე, პროფესიით ექიმი.

ბ-ნ ვახტანგს დავუსვით რამდენიმე კითხვა რუსთავში არსებულ თირკმლის ცენტრთან დაკავშირებით:

- **როდის დაიწყო ფუნქციონირება რუსთავის თირკმლის ცენტრმა?**

- რუსთავის თირკმლის ცენტრმა ფუნქციონირება დაიწყო 2013 წლის მარტში.

- **რა ტიპის მომსახურეობას უწევს პაციენტებს ეს დაწესებულება?**

- ეს არის ძირითადად სამედიცინო მომსახურეობა მათ შორის არის რამდენიმე მიმართულება, მთავარი მომსახურების სფერო გახლავთ თირკმლის უკმარისობის მქონდე პაციენტები, ანუ პაციენტები, რომელთა თირკმლის ფუნქციაც პრაქტიკულად ნულის ტოლია, ანუ თირკმელი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. ასეთი ტიპის პაციენტებს სჭირდებათ ჰემოდიალეზი ანუ ხელოვნური თირკმელის აპარატთან მიერთება.

- **რას გულისხმობს ჰემოდიალოზი**?

- ჰემოდიალეზი გულისხმობს აპარატთან პაციენტის ე.წ. ხელოვნური თირკმლის აპარატთან პაციენტის მიერთებას 4 სთ-ის განმავლობაში და ამ პაციენტისთვის ეს არის 2 დღის მანძილზე საკმარისი. ანუ, რომ წარმოვიდგინოთ, პაციენტები კვირაში 3ჯერ 4 სთ-ის განმავლობაში არიან ამ აპარატთან მიერთებულნი და თირკმლის ფუნქციას ასრულებს ეს აპარატი. ამიტომ ჰქვია ხელოვნური თირკმელი, რადგან თიტკმელი ვერ ფუნქციონირებს, აპარატი წმინდავს ორგანიზმს ანუ თირკმლის ფუნქციას ასრულებს.

- **სხვა რა მომსახურეობას უწევს ეს დაწესებულება პაცინეტებს?**

- სხვა მომსახურება არის ამბულატორიული მომსახურება. ჩვენ გვყავს შინაგანი დაავადების სპეციალისტები: ე.წ. თერაპევტი, გვაქვს ექოსკოპია და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლაბორატორია რუსთავში. შესაბამისად, აი, ამ მომსახურებასაც ვუწევს პაცინეტებს.

- **როგორ შეარჩიეთ სამედიცინო კადრები?**

- სამედიცინო კადრების შერჩევა დიალეზის სფეროში, რა თქმა უნდა, იყო პრობლემატური. ეს კადრები მთლიანად დაკომპლექტებულია თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს არსებული კადრებით. მაგრამ უკვე, რადგან ერთი წელია ვფუნქციონირებთ, მოხდა ადგილობრივი კადრების აღზრდა ანუ მათი ტრენირება. ამჟამად აქ მუშაობენ, როგროც თბილისელი, ასევე რუსათაველი თანამშრომლებიც.

- **ბ-ნ ვახტანგ, თქვენთან პაციენტი იხდის მომსახურეობის ღირებულებას, თუ მომსახურება უფასოა?**

- რაც შეეხება ჰემოდიალეზს, ეს არის პაციენტისთვის უფასო, კერძოდ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ

პაციენტების სრულფასოვან დაფინანსებას ჰემოდიალიზის სეანსებით. მათ შორის, როგორც თანამშრომლების ხელფასების გადახდას, ასევე ერთჯერადი საშუალებებით უზრუნველყოფს ჩვენს დაწესებულებას, ანუ ჰემოდიალიზის სეანსი პაციენტისთვის არის უფასო. რაც შეეხება ამბულატორიულ მომსახურებას, რომელშიც შედის ექოსკოპია, ლაბორატორიული მომსახურება, ექიმის კონსულტაცია. ეს, რა თქმა უნდა, ფასიანია.

- ჯამში რამდენი პაციენტის მომსახურება შეუძლია ამ დაწესებულებას?

- ამჟამად არის 64 პაციენტი, რომლებიც გადიან მკურნალობის კურსს. შესაძლებლობა კი დაწესებულებას აქვს დაახლოებით 200 პაციენტამდე.

- არის თუ არა სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულება ან მომსახურეობა რუსთავში?

- რუსთავში ანალოგიური ტიპის მომსახურება არ არსებობს. ეს ერთადერთი დიალიზის ცენტრია, აქამდე სანამ ჩვენ არ გავაკეთეთ ეს ენტრი, არ იყო და ბუნებრივია, რუსთაველ პაციენტებს უხდებოდათ თბილისში ჩასვლა დიალიზის სეანსის ჩასატარებლად. წარმოიდგინეთ, ორ დღეში 1ჯერ 1^{სთ}-გზა, ჩასვლა-ჩამოსვლა, თანხები, ეს ყველაფერი მათთვის მნიშვნელოვანი შეღავათია რუსთავში დიალიზის ცენტრის გახსნა.

- რით გამოირჩევა თქვენი კლინიკა სხვა სამედიცინო დაწესებულებებისგან?

- ალბათ, როგორც შეატყვეთ, დიზაინით, ინტერიერით გამოირჩევა პირველ რიგში და ასევე პაციენტებისადმი მიდგომით. ჩვენ შევეცადეთ აქ ჰემოდიალეზს პაციენტებისთვის ოჯახური გარემო შეგვექმნა, ანუ ჩვენ გვაქვს სადიალეზო დარბაზში სურათ ბი, რაც ჯანსაღ ატმოსფეროს უქმნის პაციენტებს. ყველა პაციენტს აქვს საშუალება უყუროს ტელევიზორს, აქვს ყურსასმენები, რისი მეშვეობითაც ერთმანეთს ხელს არ უშლიან. გარდა აისა, გვაქვს კომპიუტერული ქსელი და უსადენო ინტერნეტი. პაციენტს იმ 4სთ-ის მანძილზე შეუძლია უყუროს ტელევიზორს, მოუსმინოს მუსიკას, იმუშაოს კომპოიუტერით ინტერნეტში შეფერხების გარეშე. აი, ამას უზრუნველყოფთ ჩვენ. ამით გამოირჩევა ჩვენი დაწესებულება სხვა დაწესებულებებისგან არა მარტო რუსთავში, არამედ თბილისის ფარგლებშიც. იშვიათია ასეთი დონის მომსახურება.

ბ-ნ ვახტანგს აქვს ორი პროფესია. პირველი – დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და გახლავთ ექიმი. მეორე პროფესია კი არის ბიზნეს-ადმინისტრირება, დამთავრებული აქვს მაგისტრატურა და გარდა ამისა, თავის დროზე ბრძანდებოდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და კითხულობდა ლექციებსაც. შესაბამისად კითხვის დასმაც გაგვიგრძელდა.

- გაქვთ თუ არა სურვილი, თქვქენი ნაშრომები, ნაწილობრივ მაინც დაიბეჭდოს ჟურნალ – „ათინათში“?

- რა თქმა უნდა, აქ რომ წარმოვიდგინოთ ეს ტიპიური პროექტი არის მოდელი, ახალი არ მოგვიგონია, გამოგიტყდებით ახალი ველოსიპედის მოგონების ნაცვლად, გავაკეთეთ ტიპიური ამერიკული დიალეზის ცენტრის მოდელი თავისი მიდგომით, დარბაზების განლაგებით და სხვადასხვა. სტრუქტურის განლაგებით, რაც მნინშვნელოვან ეკონომიას იძლევა, როგორც პერსონალის, ასევე ხელფასების მხრივ, გათბობის, გაგრილების მხრივ, რაც მნიშვნელოვანი თანხები ჯდება. ჩვენთან არის ე.წ. კლიმატკონტროლი.

კითხვას რომ დავუბრუნდეთ, ჩვენი დაწესებულების ფართოდ რეკლამირებას არ ვაპი-

რებთ. ახლა ეს ტიპიური მოდელი მიტომ ვახსენეთ, რომ თავის მიზანს მიაღწია. ყველა რუსთაველი პაციენტი, ვისაც თირკმელი აწუხებს, უკვე მოდის ჩვენთან და ხდება დიაგნოსტიკა. თუ ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თირკმლის ფუნქცია პრაქტიკულად არ სრულდება, მაშინ ერთვება სახელმწიფო პროგრამაში. იტარებს ჩვენთან 2 დღეში 1-ჯერ ამ მკურანლობას. ამიტომ ასეთი ტიპის პაციენტების მოსაზიდად ჩვენ დამატებითი ძალისხმევა არ გვჭირდება და ამიტომ განზრახული არ გვაქვს, რომ რაიმე ტიპის რეკლამირებაში დავხარჯოთ თანხა. რაც შეეხება დანარჩენი მიმართულებით, თუ ვინმესთვის ჩვენი მოხსენებები, მასალები და სამეცნიერო ნაშრომები საინტერესო იქნება, ჩვენ, რა თქმა უნდა, ხელს შევუწყობთ.

ასეთი იყო ჩვენი შეხვედრა. ჟურნალი „ათინათი“ მადლობას უხდის ბ-ნ ვახტანგს საუბრისათვის. ჩვენ კი, მთელი შემოქმედებითი გუნდი ვუსურვებთ დიდ წარმაეტებებს ბ-ნ ვახტანგსა და მის კილინიკას.

თიკო წულაია

ინტერვიუ ყამარ ბლიაძესთან

ქალბატონ ყამარ ტიელიძე-ბლიაძის ორმა წიგნმა სათაურით „ყამარ ბებოს ნობათი“, არა მარტო ნორჩი, არამედ ზრდასრული მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა. მწერალს გაესაუბრა და საინტერესო ინტერვიუ მოამზადა თბილისის № საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე თიკო წულაიამ.

– ჩვენო ძვირფასო ყამარ ბებო, ჩვენ საქართველოს პატარებს, რომლებიც აღფრთოვანებულნი ვართ თქვენი წიგნებით; გვაინტერესებს რატომ აირჩიეთ ეს სათაური?

– როდესაც I წიგნი დავასრულე, სათაურის მოსაძებნად ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია. წიგნი გვიან, ბებიობის ასაკში დავწერე და სათაურიც აქედან გამომდინარე შევარჩიე.

– როდის დაგეუფლათ ბავშვებისათვის წერის სურვილი?

პოეზია ძალიან მიყვარს. ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი, თუმცა სამიოდე ლექსის მეტი არ შემომრჩა. როცა შვილიშვილები მეყოლა, გადავწყვიტე მათთვის პატარა საბავშვო წიგნი მიმეძღვნა. სულ მალე სურვილი გამიჩნდა წიგნით არა მარტო ჩემი შვილიშვილები, არამედ მთელი საქართველოს პატარები გამეხარებინა, მივფერებოდი და გულში ჩამეკრა. ყველა ბავშვი ჩემთვის ხომ ისეთივე საყვარელია, როგორც საკუთარი შვილიშვილები?!

როგორი გრძნობა გეუფლებათ მაშინ, როცა მომავალი თაობა თქვენს ლექსებს კითხულობს, ან თქვენი პიესების გმირებს ასახიერებს?

სასკოლო ღონისძიებებზე ხშირად მიწვევენ და როცა ბავშვები ჩემს ლექსებს კითხულობენ, ანდა სცენაზე ჩემი რომელიმე პიესა იდგმება, უბედნიერესი ვარ.

სიხარულის ცრემლებიც ხშირად წამომსვლია.

თქვენს მიერ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილი „ანბანთქება“ ძალიან მოგვწონს, თანაც ამ წიგნების მეშვეობით ადვილად შეიძლება ძველი ქართული დამწერლობის შესწავლა, როგორ გაგიჩნდათ ეს იდეა?

პირველ წიგნში გადავწყვიტე იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით თითოეულ ასობგერისთვის შესაბამისი ლექსი მიმეძღვნა და თან დამერთო ძველი ქართული ანბანი, მეორე წიგნში ეს იდეა უფრო გავაღრმავე. ძველი ქართული ანბანის შესწავლა აუცილებელია ყველა ქართველისთვის. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოგვცა ასეთი კურთხევა: „ჩვენ გაგვაჩნია სამი დამწერლობა, სამი ანბანი... მოვალენი ვართ, ვიცოდეთ სამივე ანბანი, თავისუფლად უნდა ვკითხულობდეთ სამივე დამწერლობას“...

როცა ტაძარში მრევლი შედის და წმინდანების ფრესკებს უყურებს, სამწუხაროდ ფრესკებზე არსებულ წარწერებს ვერ კითხულობს. არ უნდა მოიშალოს ხიდი, რომელიც სახელოვან წარსულს ბედნიერ მომავალთან აკავშირებს.

თქვენს იგავებში განსახიერებულნი არიან ცხოვრებაში არსებული ადამიანები, რას გვეტყვით ამის შესახებ?

ყველა იგავის პერსონაჟების პროტოტიპები ისეთი ადამიანები არიან, რომლებთანაც პირადი ურთიერთობა მქონია. ცხოვრებაში ხომ ბევრ, როგორც კეთილ და სათნო, ისე გაიძვერა და ბოროტ ადამიანს შევხვედრივარ, სწორედ ისინი არიან ჩემი იგავების დადებითი თუ უარყოფითი გმირები.

ორივე წიგნში თითქმის ყველა ლიტერატურული ჟანრი იყრის თავს, თუ გიჩნდებათ სურვილი ჟანრის მიხედვით ცალ-ცალკე წიგნებად გამოსცეთ?

სამომავლოდ ნამდვილად ვფიქრობ ჟანრის მიხედვით ცალ-ცალკე გამოვცე და თან ახლითაც შევავსო წიგნებში მოცემული ნაწარმოებები. ამჟამად ვაპირებ ენის გასატეხების, რებუსების, გამოცანების, ანდაზების და შეგონებების ერთ წიგნად გამოცემას.

მეორე წიგნში განსაკუთრებული ადგილი უკავია სასულიერო-შემეცნებით ნაწილს, საიდანაც ნორჩი მკითხველი ეცნობა ათი მცნებისა და ცხრა ნეტარების არსს. რა როლს ანიჭებთ სარწმუნოებას, მომავალი თაობის სულიერ და ზნეობრივ ამაღლებაში?

სასულიერო-სემეცნებით ნაწილში შევეცადე არა მარტო ათი მცნებისა და ცხრა ნეტარების ბავშვებამდე მიტანას, არამედ შევიტანე ისეთი შეგონებანიც, რომლებიც მოზარდების ჭეშმარიტ ქრისტიანებად აღზრდას შეუწყობს ხელს. რწმენით აღზრდილი ბავშვი კი რა თქმა უნდა საქართველოს ბრწყინვალე მომავლის საწინდარია. მე კი, როცა ეკლესიაში შევდივარ და წირვა-ლოცვაზე პატარა გოგო-ბიჭებს ვუყურებ, მიხარია და მჯერა, რომ ისინი კარგი და საამაყო მამულიშვილები დაიზრდებიან.

სასულიერო-შემეცნებით ნაწილში გავეცანით წმინდანთა ცხოვრებას და მარტვილობას, რაც მეტად მნიშვნელოვანია მართლმადიდებელი მრევლისთვის. აპირებთ თუ არა ამ კუთხით წერის გაგრძელებას?

რა თქმა უნდა მე-3 წიგნში სხვა წმინდანების ღვაწლისა და მარტვილობის გადმოცემასაც ვაპირებ.

რა გეგმები გაქვთ მომავალში? თუ გვპირდებით, რომ გაგვახარებთ ახალი „ყამარ ბებოს ნობათით“?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკვე ვმუშაობ მე-3 წიგნზე და შევეცდები კვლავ გავახარო ჩემი ნორჩი მკითხველი.

სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათის ჟურნალ „ათინათში“ მეტად მნიშვნელოვანია საბავშვო განყოფილება; თქვენ, როგორც საბავშვო მწერალს, გაქვთ თუ არა სურვილი, თქვენი შემოქმედება პატარა მკითხველს ჟურნალ „ათინათის“ საშუალებით გააცნოთ?

მე აქტიურად ვთანამშრომლობ ჟურნალ „ათინათთან“. წინა ნომერში უკვე დაიბეჭდა ჩემი რამდენიმე ლექსი და მოთხრობა.

რას გვისურვებ საქართველოს პატარებს?

საქართველოს პატარებს ვუსურვებ ჯანმრთელობას; ბედნიერ, ძლიერ და გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას; უყვარდეთ მოყვასი, წიგნი და როგორც ილია მართალმა (ჭავჭავაძე) გვიანდერძა, უერთგულონ მამულს, ენას და სარწმუნოებას.

მერი ბერაძე

ინტერვიუ ბეგლარ ეიბაქიძესთან

– მოგესალმებით ბატონო ბეგლარ, მე გახლავართ მაია ბერიძე. თქვენზე ძალიან ბევრი მსმენია, მიხარია, რომ მოხვედით ჟურნალ "ათინათის" რედაქციაში. ორიოდე სიტყვით მინდა გაგეგებინოთ.

– კი ბატონო გისმენთ!

– პირველ რიგში საიდან ბრძანდებით?

– მე ვარ ხაშურის რაიონიდან, დავიბადე სოფელ გომში.

– დაოჯახებული ხართ?

– რა თქმა უნდა. მყავს მეუღლე, ორი შვილი; ბიჭი, გოგო, შვილიშვილები ორი, ისინიც ბიჭები.

– ამჟამად სად ცხოვრობთ?

– ამჟამადაც იქ ვცხოვრობ, სოფელში.

– პროფესიით, როგორც ვიცით, მუსიკოსი ბრძანდებით?

– არა, პროფესიით მთლად მუსიკოსი არა ვარ, ასე ვთქვათ უფრო მოყვარული ვარ! ახლა უფრო სპორტსმენი, მოცურავე, ვარ რეკორდსმენი.

– რომელი წლიდან დაიწყეთ ცურვა?

– ცურვა მე ბავშვობიდან დავიწყე, მაგრამ რომ ვთქვა ვვარჯიშობდი ან მასწავლიდა ვინმე ასეთი რამ არ ყოფილა. უფრო თვითნასწავლი მოცურავე ვარ. ბავშვობიდან ვცურავდი, ოღონდ მხოლოდ ფეხებით, ხელების დასველება არ მიყვარდა წყალში. დღეს უკვე 18 საათზე ავედი, 18 საათის განმავლობაში ხელების გარეშე, როგორც მიწაზე, ისე დავდივარ წყალში. ოღონდ ფსკერის გარეშე, ზედაპირზე.

– როდის მოხდა პირველი დიდი გამარჯვება, როცა გახდით ცნობილი?

– დიდი გამარჯვება იყო 2006 წელს. თბილისის ზღვაზე შესული ვიყავი წყალში, წაღებული მქონდა მობილური ტელეფონი, სიგარეტი და სანთებელა. მივდიოდი, სადღაც შუაში და თან ტელეფონზე ვლაპა-

რაკობდი. შემთხვევით კატერით გამომიარეს მერიიდან, სპორტის დეპარტამენტიდან. დაინტერესდნენ და შემდეგ დაურეკეს ბატონ გვანჯი მანიას. შედგა იმ წელსვე მსოფლიოს სარეკორდო, საჩვენებელი გამოსვლა. მერე უკვე 2007 წელს მსოფლიო რეკორდი, მთელი თბილისის ზღვა გავიარე ფეხით.

– ესე იგი გვანჯი მანიას აღმოჩენა ხართ?

– არა, აღმომჩენი იყო მერიიდან, დელიბაშვილი, მაგრამ ბატონმა გვანჯიმ, შემდეგ, თითქმის ყველაფერი გააკეთა.

– ესე იგი ბატონი გვანჯი გეგმავს თქვენს გამოსვლებს?

– ბატონი გვანჯი 2006 წლიდან დაწყებული დღემდე წერს განაცხადებს. არცერთი კომპანია არა აქვს დატოვილი, მაგრამ დაფინანსება არ მომხდარა.

– ესე იგი ბატონი გვანჯი ერთ-ერთი თქვენი გულშემატკივარი ადამიანია, ვინც იბრძვის. მისი მიმდევარი თუ არის ვინმე, ვინც მას ეხმარება თქვენი მომავლის გეგმების განხორციელებაში?

– დღესდღეისობით არავინ არ არის. იყო ჯუმბერ ლეჟავა, 2006 წლის მერე ვწვალობდით ერთად. ამ ბოლო დროს გამოჩნდა კახი კახიაშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი, ისიც ჩაერთო ჩემს საქმეში, მაგრამ ამაოდ არაფერი გამოვიდა. ახლა რუსუდან გორდეზიანის რეკორდის შემდეგ, დიდი რამ გააკეთა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. წინა ინტერვიუებშიც ვამბობდი, ძალიან დიდი სასიკეთო საქმე გააკეთა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გზა გაუკვლია მომავალ თაობას. ამას მე ვთვლი, ჩვენი ბავშვებისთვის, მისი აღზრდისთვის გადადგმულ ნაბიჯად. მომავალი თაობა დაინახავს რაც ხდება და მიმდევრები გამოუჩნდება ცურვას. რუსუდანმა, ამ ლამაზმა გოგომ, რეკორდი მოხსნა, მეც მინდა საქართველოს სახელით კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დავამყარო. მინდა ბავშვები გაიზარდნენ და დადგნენ სწორ გზაზე.

– ძალიან მიხარია. როგორც სკოლის მოსწავლეს, რომ საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოდგა ასეთი დიდი საქმის ხელისშემწყობი. ვიმედოვნებ, რომ თქვენც თუ სხვა არა შინაგან საქმეთა სამინისტრო მოგხედავთ, რომ შეძლოთ და თქვენი წარმატებით გაგვახაროთ.

– მე ყოველთვის მზად ვარ, დღესაც ვვარჯიშობ, სულ წყალში ვარ, რომ ნებისმიერ დროს. როდესაც არ უნდა გამოჩნდეს დამფინანსებელი, მე მზად ვარ ყოველთვის გავაკეთო მაქსიმუმი. ახლაც წელს სექტემბრის 15-მდე მინდა დავამყარო მსოფლიო რეკორდი.

– სადა გაქვთ, ბატონო ბეგლარ დაგეგმილი ეს ჩვენება?

– ალბათ ბათუმში, უპრიანი იქნებოდა ბათუმში, რადგან ჩვენს ქვეყანაში თუ გაკეთდება კარგი იქნება.

– დღეს ჩვენი თაობაც ხედავს რომ საქართველო არ არის წელში გამართული ამ მხრივ. იჩაგრებიან ხელოვნების მუშაკები, სპორტსმენები... თქვენ, როგორც მოცურავეს თუ გაგჩენიათ სურვილი ამ მდგომარეობაში ზურგი შეაქციოთ საქართველოს და სხვაგან, სხვა ქვეყნის სახელით გამოხვიდეთ?

– მე რომ საქართველოსათვის ზურგის შექცევა მდომებოდა, მეხუთე წელია თურქეთში დავდივარ, მიწვევენ და არც სასტუმროში არც საჭმელში და ჩაცმაში არაფერი მეხარჯება. მაგრამ მე ვერ ვძლებ, ორი კვირაც კი, სხვაგან. თურქეთში სახლიც მაქვს ნაჩუქარი, მაგრამ იქ ვერ ვჩერდები. მე ისევ ჩემი ქვეყანა მირჩევნია, აქ მინდა გავაკეთო, რაც შემიძლია. თურქებმა, აქ ყურადღება რომ არ მომაქციეს, იმხელაზე გათავხედდნენ, სარწმუნოების შეცვლაც კი შემომთავაზეს. ისიც იკადრეს და მითხრეს მეორე დღესვე მილიონერი გახდები-ო. ეს სირცხვილია ჩვენთვის! თანხას რაც შეეხება, ჩემს დაფინანსებას, არაფერი ისეთი დასაფინანსებელი არა არის. ისეთი თანხებით შეიძლება დაფინანსდეს ჩემი მსოფ-

ლიო რეკორდი, ჩვენს მილიონრებს ორი ჭიქა ყავის საყიდლად რომ ეყოფათ.

– ბატონო ბეგლარ, მე როგორც სკოლის მოსწავლეს გული მტკივა, ამ სიტყვებზე. ბატონი ჯუმბერიც ხომ არ ტოვებდა საქართველოს, მასაც დიდი შეთავაზებები ჰქონდა, მაგრამ არ ჰქონებია სურვილი, რომ წასულიყო. აქაც ჩანს: " მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ!" თქვენი მეგობრები არიან; რუსუდანი, ჯუმბერი... გვითხარით ბატონ ჯუმბერზე რამე.

– კი ბატონო, სიამოვნებით მოგახსენებთ. მე გავიცანი ჯუმბერ ლეჟავა 2006 წელს. მას მერე სულ ურთიერთობა მქონდა მასთან. ყოველ ორ კვირაში ერთხელ ვხვდებოდით ერთმანეთს. როგორ შეიძლებოდა მე სხვა გზაზე გავსულიყავი იმის მერე. ჩვენ სულ ერთად ვიყავით, ერთად ვაწყობდით გეგმებს, ერთად ვთათბირობდით, ერთად ვნერვიულობდით და ერთად მიგვქონდა ჩვენი ჭირ-ვარამი, მაგრამ... მაინც ვერ გავედით ბოლომდე. ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ ვახსენებ, მათ ძალიან დიდი რამ გააკეთეს, ეს საისტორიო საქმეა! რუსუდან გორდეზიანი, ეს რომ დაკარგულიყო, საქართველოს ხომ დააკლდებოდა დიდი რაღაცა. არ გამოჩნდებოდა, ახლა ჩანს. მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ ჩვენ გვყავს ეს კარგი გოგო, ეს სასახელო მოცურავე გოგო, ამას დაინახავს მომავალი თაობა, სულ მაგაზე გვქონდა საუბარი, ჯუმბერისთან ერთად, რომ ეს ბავშვები იკარგებიან. გაიზრდებიან, შვიდი-რვა წლიდან დაიწყებენ სიგარეტის მოწევას. მერე უფრო უარესს გააკეთებენ, ასეთი ხალხი რომ გამოჩნდეს, ბავშვს სტიმული ეძლევა, რუსუდანმა დაამყარა რეკორდი, ამას რომ დაინახავენ ტელევიზიით, ჟურნალში წაიკითხავენ, მერე ბავშვი სპორტულ ჟინზე მოდის, მერე დაიწყებს ვარჯიშს, სიგარეტს არ მოწევს, არაფერს არ გააფუჭებს, გაიზრდება ჯანსაღი მომავალი თაობა. ჩვენც ეს გვინდოდა მე და ჯუმბერს, საერთოდ სპორტსმენებს.

– თქვენ არა ხართ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის წევრი. მე ვარ "ნორჩი ათინათელი", თაობათა კავშირია ამ ჟურნალში შექმნილი და ვფიქრობთ, აჩვენონ სხვა ქვეყნებში ჩვენი თაობათა კავშირი და ომი არ იქნება! რადგან ჩვენში არის დიდი სიყვარული და პატრიოტული სულისკვეთებით ანთებული ახალგაზრდები არიან. დიდი სურვილი მაქვს თქვენ, ჩვენს აკადემიაში გაერთიანდეთ, წიმააღმდეგი ხომ არ იქნებით?

– სიამოვნებით, წინააღმდეგი კი არა, დიდი სიამოვნებით ვიქნები თქვენთან და ახლაც დიდ მადლობას გეტყვით, რომ მომიწვიეთ და მუდამ თქვენს გვერდით ვიქნები სანამ ვიარსებებ. რაშიც დაგჭირდებით თქვენს გვერდით დავდგები ყოველთვის. მთავარია თქვენ იყოთ კარგად, ჯანმრთელები და კარგები გაიზარდოთ.

– ჩვენ სურვილი გვაქვს, სანამ ჩვენ ვიქნებით ჯუმბერ ლეჯავას სახელი თაობებს გადავცეთ, ვაჩვენოთ ვინ იყო ჯუმბერ ლეჟავა. ვცდილობთ, რომ მისი მეგობრები შემოვიკრიბოთ. მისი მეგობარი არასოდეს არ იქნება სამშობლოს მოღალატე, ის ყოველთვის იყო მასწავლებელი, აღმზრდელი ჩვენი თაობისა და მისი მეგობრებიც ამ სულის ხართ. ამიტომ გვინდა ვეცადოთ ჩვენი ჟურნალი გავიდეს საზღვარგარეთ, გიგოს ყველამ, რომ ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლე კვლავ გრძელდება, საქართველოში კვლავ იზრდებიან ბევრი ჯუმბერები, ბეგლარები, რუსუდანები...

თქვენ რას დაამატებდით, რა მოსაზრებები გაქვთ, რა გეგმები?

– გეგმები, ზემოთაც მოგახსენეთ მრავალია, თუკი იქნება ხელისშეწყობა, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს.

– ჩვენი, ახალგაზრდების სახელით დიდი მადლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვინც მიხედა რუსუდან გორდეზიანს, და ვფიქრობთ, რომ თქვენი ხელსგამომწოდებელი და დამხმარეც იქნება. დიდი მადლობა, რომ მობრძანდით ჩვენთან, რედაქციაში.

– დიდი მადლობა თქვენ, იმედია თქვენი სიტყვები გამართლდება, სიამოვნებით გავავრძელებ თქვენთან ურთიერთობებს.

ნანა სხირტლაძე
რუსთავის №11 სკოლის მოსწავლე

ინტერვიუ მწერალ ვაჟა მიროტაძესთან

ამ კედლებში საქვეყნო საქმე კეთდება...

ჩვენი ინტერვიუ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის კაბინეტში შედგა.

თავდაპირველად ვღელავდი, მაგრამ ქალბატონმა გულნაზიმ დამამშვიდა,-ინტერვიუერი საოცრად თბილი და თავმდაბალი პიროვნებაა და მორიდებაც ვძლიე...

- გავიცნოთ ერთმანეთი,-მითხრა ვაჟა მიროტაძემდა ხელი გამომიწოდა...

- ბატონო ვაჟა, როდის და სად დაიბადეთ?

- საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, იმერეთში, კერძოდ ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალში, 1957 წლის 25 თებერვალს.

- 25 თებერვალს?

- მიგიხვდით, თქვენ ალბათ 1921 წლის 25 თებერვალთან გაავლეთ პარალელი, იმ 25 თებერვალთან რუსეთმა რომ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, მაგრამ რას იზამ, ასეა, ოღონდეს კი არის, რომ ბავშვობიდანვე გამიმძაფრდა ეროვნული გრძნობები, თუმც ამის გამო ცხოვრებაში არაერთხელ შემექმნა პრობლემები...

- რას გულისმობთ?

- თუნდაც 1978 წლის 14 აპრილს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზევსწავლობდი, ჩემს უნივერიტეტელ მეგობრებთან ერთად ლამის შევეწირეთ ჩვენი სახელმწიფო ენის დაცვას...

- არ გეშინოდათ?

- ისეთი მუხტი გვქონდა და რაც მთავარია უიშვიათესი მოტივაცია, შიშს რას დაგიდევდით. უნდა გენახათ როგორი იყო იმ დღეებშიმშობლიური ენის დასაცავად ერთ მუშტად შეკრული ხალხი, რომელმაც იძულებული გახადა საბჭოთა ქვეყნის იდეოლოგიური მანქანა უკან დაეხია და ბოროტ განზრახვაზე ხელი აეღო...

- თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახსენეთ...

- დიახ, უნივერსიტეტში გასული საუკუნის 70-იან წლებში ვსწავლობდი, იგი ჩემთვის ყველაფერია. უნივერსიტეტმა უფრო მეტად აღმანთო ჩემი ქვეყნის და ხალხის სიყვარულით, შემძინა დაუვიწყარი პედაგოგები და მეგობრები საქართველოს ყოველ კუთხეში, უნივერსიტეტმა ისე, როგორც მშობელმა დედამ უშურველად და უანგაროდ მომცა ყველაფერი,რაც ადამიანს სჭირდება ცხოვრებაში...

- ლექსებს მაშინაც წერდით?

- რა თქმა უნდა, ლექსებს და პატარ-პატარა მოთხრობებს, უნივერსიტეტში ახალგაზრდა მწერალთა წრე არსებობდა ცნობილი კრიტიკოსის, ბესარიონ ჟღენტის დაარსებული. კვირაში ერთხელ ახალგაზრდა მწერლები პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში ვიკრიბებოდით და იქ ეწყობოდა ლიტერატურულიგანხილვები, შემდეგ კი მოწონებული ნაწარმოებები უნივერსიტეტის ყოველწლიურ ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში' იბეჭდებოდა. დღემდე მეამაყება, რომ „პირველსხიველი" ვარ.

- პირველი ლექსი, ან მოთხრობა როდის გამოაქვეყნეთ?

- იყო ასეთი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. ჰოდა, პირველი ლექსი „დედა“ იქ დამიბეჭდეს. მაშინ მეშვიდე კლასში ვსწავლობდი. მანამდე რამდენიმე მოთხრობა გავუგზავნე ბატონ რეზო ინანიშვილს. ეს 1971 წელს იყო, როცა 14 წლის ვიყავი, პასუხმაც არ დააყოვნა და ამ ღვთივკურთხეულმა კაცმა და მწერალმა ისეთი თბილი წერილი გამომიგზავნა, თანაც იმხანად გამოცემული მისი წიგნიც მოაყოლასახსოვრად, რომ დღემდე იმათზე ძვირფასი რამ არ გამაჩნია.

- მაინც რა მოგწერათ ასეთი?

- შემაქო, კარგი „ჩაწიკწიკებული“ ქართულით წერო, მერე ამ თავის წიგნზე „საღამო ხნის ჩანაწერებზე“ ასე წამიწერა:

„ვაჟა მიროტაძეს,

იმედით, რომ როცა დავაჟკაცდება, ამაზე კარგ წიგნს მომიძღვნის საკუთარი წარწერით...

რ. ინანიშვილი.

შემდეგ, როცა ბატონი რეზო რუსთაველის სახელობის ლიტერატურულ პრემიაზე წარადგინეს, ჟურნალ „ახალგაზრდა ჟურნალისტში“, რომელიც მაშინ ძალიან პოპულარული იყო, გამოვაქვეყნე რამდენიმე წერილი მის შემოქმედებაზე. ძალიან გაეხარდა, მადლობელი ვარო, ამაზე დიდი სიხარული რა უნდა მქონოდა...

- ამაზე მეტი სიხარული რა უნდა მქონოდაო, - ამბობთ და ვერ დაგეთანხმებით, თქვენ ხომ ლადო ასათიანის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი ბრძანდებით, განა ნაკლებად სასიხარულო იყო ეს ფაქტი თქვენს ცხოვრებაში?

- მართალია ლადო ყოველი ქართველისათვის საფიცარი პოეტია, ასე არის ჩემთვისაც, მეამაყება, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი ქართულ ლიტერატურაში მისი სახელობის პრემიით აღინიშნა, ეს მოხდა 2003 წელს, პრემია მომენიჭა ლექსების წიგნისთვის“ცრემლში გაცრილ მიწას ვტირი“.

- რამდენი წიგნის ავტორი ბრძანდებით?

- დღემდე პოეტური და პროზაული ნაწარმოებების ექვსი კრებული მაქვს გამოცემული.

- თქვენი საყვარელი მწერლები...

- ჯოისი,ჰემინგუეი, სელინჯერი,აიტმატოვი, ილია ჭავჭავაძე, ინანიშვილი...

- პოეტები

- პეტეფი, ესენინი, გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, ლადო ასათიანი...

- საბავშვო ლიტერატურაზე რას იტყოდით?

- საბავშვო ლიტერატურა ბავშვებისათვის იგივეა, რაცდედის რძე. თუ ერს საბავშვო ლიტერატურა არ აქვს და მისით არ კვებავს მომავალ თაობას ის დაღუპულიაო, -ამბობენ და ვეთანხმები...

- მაშინ, თქვენი საყვარელი საბავშვო მწერლები დაგვისახელეთ...

- უცხოელებიდან მარკ ტვენი, დაუვიწყარი საბავშვო ნაწარმოებები აქვთ ილიას, აკაკის, ვაჟას, ეკატერინე გაბაშვილს, შიო მღვიმელს, არნო ონელს,როდიონ ქორქიას, ჩვენს დროშიმაყვალა მრევლიშვილს, ნოდარ დუმბაძეს, ისევ და ისევ რეზო ინანიშვილს, რომელთა ლექსებზე და მოთხრობებზე იზრდებოდა ჩემი თაობა.ბედნიერებაა, როცა ერს ამდენი სახალხო მწერალი ჰყავს, სახალხოს მე ვუწოდებ ყველა იმ შემოქმედს, ვისი ხმაც მკითხველის, განსაკუთრებით კი პატარა მკითხველების გულამდე მიდის.ბავშვს ხომ ვერ მოატყუებ და არც უნდა სცადო, უხერხემლო ნაწარმოებს ბავშვები არ წაიკითხავენ და მათ დამახსოვრებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი...

- ბატონ ჯუმბერ ლეჟავას თუ იცნობდით?

- ძალიან კარგად, ნათელი დაადგეს მის სულს, ბატონი ჯუმბერი ბრძანდებოდა ერში გამორჩეული კაცი-პიროვნება. იშვიათად ნახავდით ასეთ თავმდაბალ, ზრდილ და განათლებულ მამულიშვილს.ჭაბუა ამირეჯიბი გავიხსენოთ: ქვეყნის გარეთ, შენი სამშობლოს დესპანი ხარო, ჰო, ასე იყო ამ შემთხვევაშიც, მსოფლიო მოგზაურმა, პირნათლად მოიხადა ვალი თავის ქვეყნის წინაშე დასაქართველოს სახელი რომ იტყვიანშორს გასტყორცნა-გააჯირითა, რითაცმიზანმიმართული ნაბიჯი გადადგა ქვეყნისა და საკუთრივ მისი უკვდავებისაკენ...

- როგორ შეაფასებთ მისი სახელობის აკადემიის მოღვაწეობას?

- აქ, ამ კედლებში დიდი საქმე კეთდება, საქვეყნო საქმეშიქართველებს არასოდეს არ აკლდათ ენთუზიაზმი, მაგრამ ის ვეებერთელა ტვირთი, რომელიც აკადემიის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა წამოიკიდეს, არ არის ადვილი სატარებელი, თუმც უფლის ნებით და შეწევნით აკადემიის ხელმძღვანელის ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის,შრომისმოყვარე კოლექტივის გამჭრიახობითა და შესაშური მონდომებით ყველაფერი კეთდება ჩვენი მომავალის დასაოსტატებლად, საკეთილდღეოდ. ვიცი, რომ ბევრი თქვენნაირი ნიჭიერი ბავშვია აქ შემოკრებილი, ვიცი, რომ ჟურნალი „ათინათი“ თქვენს შემოქმედებას დიდ ყურადღებას უთმობს, ამ საოცრად თბილ ატმოსფეროში, ბრწყინვალე პედაგოგებთან,უფროს მეგობრებთან, იწრთობა თქვენი კალამი, მომავალი ნონეშვილების, დუმბაძეების და სხვათადასხვათა, რომელიც მჯერა ახლო მომავალში სხვა ძალას და ელვარებას შეიძენს, რითაც ძალიან იამაყებს ჩვენი ქვეყანა. ყველა თქვენგანს, ვინც ახლა ფრთიანდებით აკადემიის კედლებში გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

- გმადლობთ, ბატონო ვაჟა, საინტერესო იყო თქვენთან საუბარი, მაგრამ შევეხეთ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს,ბევრი დაგვრჩა სასაუბრო, როგორც გალაკტიონი ბრძანებდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“. როგორც მწერალი და კარგი რესპოდენტი გვეთანხმებით თუ არა, რომ ჟურნალის მომდევნო ნომერში თქვენი ინტერვიუ უნდა გაგრძელდეს...

- დიდი სიამოვნებით...

- მადლობელი ვარ. თქვენც გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ...

- გმადლობთ...

ინტერვიუ ზალიკო გამყრელიძესთან

- მოგესალმებით, ბატონო ზალიკო. მე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, თბილისის 30-ე საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე გიორგი აბაშიძე.

- მოგესალმები, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ნიჭიერი ბავშვების სტუმრობა.

- მეც და ჩვენი ჟურნალის მკითხველებს გვინდა ახლოს გაგიცნოთ. ***რას გვეტყოდი თქვენი პიროვნების შესახებ?***

- მე გახლავართ ზალიკო გამყრელიძე,

წარმოშობით რაჭველი. დავამთავრე ნიჟნინოვგორდის უნივერსიტეტის კულტურულ-საგანმანათლებო ფაკულტეტი. მას შემდეგ სულ კულტურის სფეროში ვმოღვაწეობ. წლების განმავლობაშ ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაშ. რამდენიმე წლის წინ ჩემს მეგობრებთან ერთად დავაარსე ხელოვნების კოლეჯი და ახლა მას ვხელმძღვანელობ.

- რამდენი წელია, რაც თქვენი კოლეჯი არსებობს?

- ოთხი წელია კოლეჯს ვხელმძღვანელობ და ვფიქრობ, რომ ვაკეთებ კარგ საქმეს, ვემსახურები ჭეშმარიტ ხელოვნებას.

- როგორც ვიცი, კოლეჯი მრავალპროფილურია. კერძოდ, რა სპეციალობების შესწავლა შეუძია აქ მსურველებს.

- დიახ, ჩვენი კოლეჯი მრავალპროფილურია. ჩვენ ვასწავლით რეჟისურას, ვოკალს, მონტაჟის რეჟისურას, კრიმინალისტიკას, გვაქვს ტურიზმის გიდის მიმართულებით, ვამზადებთ დიზაინერებს, მუსკოს რეპედიტორებს, კორესპოდენტებს...

- შემდეგი დასაქმების მხრივ რა ბედი ელით თქვენს სტუდენტებს? თუ არიან თქვენი კოლეჯის კუსდამთავრებულები დასაქმებული?

- ჩვენ ვცდილობთ და ძირითადად ვახერხებთ კიდეც მოვამზადოთ პროფესიონალური სპეციალისტები. აქედან გამომდინარე, თუ თვითონაც მოინდომებენ, აუცილებლად დასაქმდებიან. ჩვენი კურსდამტავრებულთა 80% ნამდვილად დასაქმებულია. მათი უმრავლესობა წარმატებულია თავის პროფესიულ საქმიანობაშ. ეს ძირითადად ითქმის ხელოვნების ფაკულტეტისა და კრიმინალისტიკის სპეციალობების კურსდამთავრებულებზე.

ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან ჩვენს კოლეჯშიც. მაგალითად, ლიკა ჩხეტიანი ახალგაზრდობასთან ურთიერთობების მენეჯერი, ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულია.

- ქვეყნის ფარგლებს გარეთ თუ აქვთ მოპოვებული წარმატება თქვენს სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს?

- ჩვენი სტუდნეტები ქვეყნის ფარგლებს გარეთაც აღწევენ წარმატებებს. გამოვყოფდი ხელოვნების ფაკულტეტს, რომლებმაც ესპანეთში მიიღეს მონაწილეობა კონკურსში და გრანარი ჩამოიტანეს. სხვათა შორის, ამ ანსამბლს ხელმძღვანელი ლაშა ჯოხაძე ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულია.

- რას გვეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას შესახებ?

- ჯუმბერ ლეჟავა იყო ძალიან დიდი პიროვნება, დიდი პატრიოტი. ყველამ და მითუმეტეს მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს მისი ღვაწლის შესახებ. როგორც ვიცი, ჯუმბერი იყო გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მან მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ჩვენს ქვეყანას. ისეთ ქვეყნებში კი ჩაიტანა ჩვენი სახელი, სადაც საერთოთ არ გაეგონათ საქართველო. ჩვენ ყველამ დიდი პატივი უნდა მივაგოთ მის ხსოვნას.

- ალბათ, თქვენი სტუდენტებისთვის მეტად საინტერესოა ცნობილ ადამიანებთან შეხვედრა. აქვთ თუ არა მათ ამის საშუალება?

- როგორც ავღნიშნე წლების განმავლობაში ვმუშაობდი ფილარმონიაშდა ბევრ ხელოვანთან მეგობრობა მაკავშრებს. აქედან გამომდინარე ისინი ჩვენი კოლეჯის სტუმრებიც ხშირად არიან. მაგალითისათის ჩვენი სტუმრები იყვნენ ვაჟა აზარაშვილი, ვაჟა დურგლიშვილი და სხვები, რომლებმაც არაერთი თბილი საღამო აჩუქეს ჩვენს სტუდენტებს.

- ახლა თქვენი ოჯახი გაგავაცანით!

- მყავს მეუღლე და სამი შილი. ორი სტუდენტია, ერთი აბიტურიენტი. ერეკლე ჩვენი კოლეჯის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტია, უფროსი სანკპეტერბურგში სწავლობს.

- თანამშრომლობთ თუ არა ჟურნალ „ათინათში“?

ძალიან ვაფასებ იმ დიდ შრომას, რასაც ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ქ-ნი გულნაზი ხასიაშილი ეწევა.

- რას უსურვებდით მომავალ თაობას?

- მომავალ თაობას პირველ რიგში ვუსურვებ ჯანმრთელობას და მშვიდ ცხოვრებას, კარგად და საფუძვლიანად სწავლას. ადამიანი რა სპეციალობასაც აირჩევს, ძალიან კარგად უნდა შეისწავლოს, ამავე დროს კარგად უნდა შეისწავლოს და დაიცვას თავისი ტრადიციები. რა თქმა უნდა ცხოვრება წინ მიდის და თანამედროვეობაც იცვლება, მაგრამ ყველაფერი ახალი ჯანსაღ ტრადიციებზე უნდა დაშენდეს. ყოფილიყავით ყოველმხრივ ჯანმრთელი და განათლებული თაობა.

- დიდი მადლობა.

ინტერვიუ სსიპ ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჭიერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის დირექტორთან ბატონ უჩა ბარბაქაძესთან!

-გამარჯობათ! მე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის" ნორჩი ათინათელი.

ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალოვანის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ინგა შუბითიძე.

-შეიძლება რამოდენიმე კითხვა დაგისვათ?

-დიახ!

-თუ შეიძლება მიამბეთ რამე თქვენ მშობლებზე?

-დიახ, დედა-მაშურა კაპანაძე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ათწლეულების განმავლობაში ასწავლიდა ჭალოვანის საჯარო სკოლაში. მამა-გრიგოლ ბარბაქაძე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (სასწავლო ნაწილის გამგე ორი ათეული წლის განმავლობაში) ასწავლიდა ამავე სკოლაში.

-რა პერიოდს მოიცავს ის დრო, რაც თქვენ დირექტორად მოღვაწეობთ?

-უჩა ბარბაქაძე: 2007 წლიდან ვარ 2013 წლამდე არჩეული დირექტორი, ხოლო 2014 წლიდან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

-რამდენი შვილი გყავთ? ვინ არიან ისინი? ვინ არის თქვენი მეუღლე?

-მყავს ორი შვილი თამარ ბარბაქაძე. (ფინანსისტი). ბერიკა ბარბაქაძე. (სტუდენტი). მყავს აგრეთვე პატარა შვილიშვილი ელენე. მეუღლე მადონა კირთაძე. (მასწავლებელი).

-უახლოეს პერიოდში რა სიახლეები მოხდა სკოლაში?

-წელს ჭალოვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ამავე სკოლის კურსდამთავრებულის, უნიჭიერესი ქართველი პოეტის -ბეჟან ხარაიშვილის სახელი. ამ შესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით სკოლას სტუმრობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი პიროვნებები. მარტო ბატონი რევაზ მიშველაძისადა ქალბატონი მაყვალა გონაშვილის სახელის დასახელება რად არ ღირს...

-რა შთაბეჭდილების ბრძანდებით ახლად არჩეული დავით შუბითიძის პიროვნებაზე?

-უკვე ორი თვეა სკოლაში ფუნქციონირებს უფასო ჭიდაობა (ძიუდოს) სპორტული სექცია, სადაც ჩაბმულია 50 ბავშვი.

მოძიებული იქნა ეროვნული ბიბლიოთეკიდან წიგნები, ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად.

ყოველივე ამაში დიდი წვლილი მიუძღვის სოფელ ჭალოვანის თემის, მაჟორიტარ დეპუტატ, ბატონ დავით შუბითიძეს.

- რას გვეტყვით ჭიდაობა (ძიუდოს) ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ დავით ქევხიშვილზე?

- ჩვენ მადლობის მეტი რა გვეთქმის, ბატონ დავითზე

სკოლას შეჰპირდა სპორტული ინვენტარით აღჭურვას.

- რას მოგვახსენებთ ჭალოვანის საჯარო სკოლაში აღზრდილი ცნობილი სახეების (ჯუმბერ ხარაიშვილი, ელგუჯა ნოზაძე) შესახებ?

-აღნიშვნის ღირსია ჩვენი თანასოფლელების ბიზნესისა და ქველმოქმედების ბატონების, ელგუჯა ნოზაძისა და ჯუმბე ხარაიშვილის ყურადღება სკოლის მიმართ.

- რას იტყვით თქვენი პედაგოგიური კოლექტივის შესახებ, ხომ არავის გამოყოფდით?

სკოლას ჰყავს სერთიფიცირებული პედაგოგები:

საღერაშვილი ლეილა
შუბითიძე ირინე
ხარაიშვილი ხათუნა

-სკოლას ჰყავს უდიდესი დამსახურების მქონე პედაგოგები:

რუსუდან მაჭარაშვილი
იზოლდა ხარაიშვილი
დემურ ხარაიშვილი
რუსიკო ხარშილაძე
ქეთევან ხუციშვილი

ცარო ჩხეტიანი, რომელიც წელს „გავაცილეთ" ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალოვანის საჯარო სკოლიდან.

ქალბატონი, რუსუდან მაჭარაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა ჭალოვანის საჯარო სკოლის დირექტორად. იგი დღესაც ენერგიულად მუშაობს, მისგან ვღებულობთ რჩევა-დარიგებას.

-თქვენი მოსწავლე ახალგაზრდობა იცნობს თუ არა ჟურნალ „ათინათს"?

-სკოლის კოლექტივი და მოსწავლეები ყურადღებით ეცნობა ჟურნალ „ათინათს" და მოუთმენლად ელიან ყოველ მომდევნო ნომერს.

-აპირებთ თუ არა მასთან თანამშრომლობას?

-დიახ!

-რას გვეტყვით თვითონ ჭალოვანის სკოლაზე?

საჩხერის რაიონი სოფელი ჭალოვნი რაიონულ ცენტრს 30 კმ არის დაშორებული. სოფელი მთიანია, ულამაზესი მდინარე, ძირულა, კიდევ უფრო ლამაზს ხდის, მაგრამ მკაცრი კლიმატური პირობები სოფელს სირთულეს უქმნის. მართალია ამ ბოლო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა, წესრიგდება იმფრასტრუქტურა მაგრამ სოფელში პრობლემებს რა გამოლევს.

ჭალოვანის საჯარო სკოლის შენობა, რომელიც კეთილმოწყობილია, ქველმოქმედმა ბიძინა ივანიშვილმა უსახსოვრა ოთხი წლის წინ სოფელს.

სკოლამ მცირეკონტიგენტიანია, ბავშვები შორი მანძილიდან ფეხით დადიოდნენ და მკაცრ კლიმატურ პირობებს, ძლიერ ზამთარს უმკლავდებოდნენ, უკვე სამი წელია ბავშვებს ტრანსპორტი ემსახურება, რაც სახელმწიფოს მხრიდან მეტად სასიკეთო საქმეა.

ყოველივე ამ სასიკეთო ძვრებს დაემატა ისიც ,რომ საქმეში აქტიურად ჩაერთო სოფ-

ლის დებუტატი, ბ/ნ დავით შუბითიძე. იგი მხარში უდგას როგორც სოფლის მცხოვრებთ, ასევე სკოლის ცხოვრების განვითარებას.

სწორედ დებუტატისა და ამავე სოფლის მკვიდრის , ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილის ,ძალისხმევით ჭალოვანის საჯარო სკოლას ეწოდა - პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელი.

და ეს ყველაფერი არარის კიდევ მეტის ძიებაში არიან სკოლის მხარდასაჭერად როგორც რაიონის ხელმძღვანელობა ,ასევე დებუტატი ბ/ნ დავითი,ქალბატონი გულნაზი და მათთან ერთად მწერალთა კავშირის წარმომადგენლებმა : ბ/ნ რევაზ მიშველაძემ, მაყვალა გონაშვილმა, ლევან ბაბუხადიამ,ნადარაიამ სწორედ ქალბატონი გულნაზის ძალისხმევით გაიცვნეს ჭალოვანის საჯარო სკოლა.

რაიონის ხელმძღვანელობის, სპორტის ჭიდაობა - ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს ქევხიშვილის მხარდაჭერით, სკოლაში გაიხსნა უფასო სპორტული სექცია, რომლის სულის ჩამდგმელიც ბატონი დავითია. ბავშვების, მშობლების, პედაგოგების უდიდესი მადლიერება სიტყვითაც ვერ გამოიხატება.

ყველა სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად ორიოდე სიტყვით სოფლის სასულიერო ცხოვრებაზეც მინდა მოგითხროთ. 80 წლიანი პაუზის შემდგომ სასულიერო ცხოვრება აღდგა და ბიზნესმენ ელგუჯა ნოზაძის ხელშეწყობით სოფელს მღვდელი, მამა იოსები,ემსახურება. სოფლის ცხოვრებაში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებების გამო სკოლის თანამშრომლები და სოფლის მაცხოვრებლები დიდ მადლიერებას გამოხატავენ.

ინტერვიუ ნუგზარ მიროცაძესთან



– ბატონო ნუგზარ, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ "ათინათის" ნორჩი ათინათელი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე გიორგი გამეზარდაშვილი. გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი პიროვნება.

– სიამოვნებით, მე ვარ ნუგზარ მიროტაძე, როგორც აღნიშნეთ, განათლებით პედაგოგი, წლების განმავლობაში ვმუშაობდი პედაგოგად, ახლა კი ვხელმძღვანელობ, 2006 წლიდან, ჭიათურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრს, პროფესიით ქიმიკოსი.

– იცნობთ თუ არა ჟურნალ "ათინათს"?

– ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ ამ ბოლო პერიოდიდან, უნდა ვაღიარო სამწუხაროდ, რაც ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს დავუახლოვდი, მხოლოდ ამის შემდეგ.

– გსურთ თუ არა, რომ ჭიათურის სკოლებში დაინერგოს ჟურნალი "ათინათი"?

– დაინერგოს ფართო ცნებაა, უკვე გადავდგით ამისაკენ ნაბიჯი და ჭიათურის რამდენიმე ათეულმა სკოლამ უკვე გამოიწერა.

– იცნობთ ჯუმბერ ლეჟავას?

– რა თქმა უნდა, მქონდა შესაძლებლობა ჩემდა საბედნიეროდ, იგი იყო ამ კაბინეტშიც და დიდი სიამოვნებით ვესაუბრებოდი. დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ის იყო ღმერთკაცი!

– როგორი ბავშვები მოგწონთ?

– თავისუფალი, მიზანდასახული, რომ იციან რა უნდათ, რისი უფლება აქვთ და რისი მოვალეობა.

– თქვენ როგორი ბავშვობა გქონდათ?

– საკმაოდ კარგი. ჩემი ბავშვობა იყო ძალიან კარგი.

– ცელქი ხომ არ იყავით?

– კი.

– გვიამბეთ ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ.

– ადრე დავოჯახდი. 18 წლისას უკვე შვილი მყავდა. მყავს ორი ქალიშვილი მეუღლე... და ხუთი შვილიშვილი, შვილები ორივე დაოჯახებულია, ერთს ჰყავს ორი შვილი, მეორეს – სამი. ვზრდი მესამე შვილიშვილს ჩემთან, როგორც ჩემს შვილს, ახლა არის მეათე კლასში.

– როგორია თქვენი მუშაობის განვლილი წლები?

– განვლილი წლები როგორ შევაფასო, ახლა ეს ცოტა ძნელია, მაგრამ თავიდან რომ მქონდეს შანსი, ისევ ქიმიკოსობას ავირჩევდი და უფრო მეცნიერებაში წავიდოდი, იმიტომ რომ მეცნიერებაში ვიყავი და მერე წამოვედი, გარკვეული მიზეზების გამო. ეს ძალიან საინტერესოა.

– საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობა გაქვთ, როგორ უმკლავდებით პრობლემებს?

– კარგი კოლექტივი მყავს, გვერდით მდგომები, კარგი დირექტორები და მათი ერთად დგომით ქალაქის ხელმძღვანელობა, სამინისტრო და მათი ურთიერთკავშირით დაუძლეველი არაფერია.

– რას მოყვებით თქვენი რესურს ცენტრში შემავალი სკოლებისა და მათი დირექტორების შესახებ?

– დირექტორების ორმოცდაათმა პროცენტმა ახლა გაიხანგრძლივა დირექტორობის პერიოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვეს შესარჩევ კონკურსებში, გასაუბრებებში და დღეს და წინა დღეებში მოხდა მათი ლეგიტიმირება და გაუგრძელდათ ვადა ექვსი წლით. ეს ძალიან კარგია. დანარჩენებიც აპირებენ, რომ ჩააბარონ გამოცდები. არიან ძალიან შრომისმოყვარენი, კეთილი და მცოდნე ადამიანები.

– რა განვითარებას ხედავთ განათლების სისტემაში?

– განათლება ისეთი დარგია, რომელიც ყოველთვის განვითარებადია, ვერასოდეს ვერ ვიტყვით, რომ განათლებამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ნებისმიერ ეტაპზე ის იქნება განვითარებადი. გუშინაც პრემიერ მინისტრმა და ჩვენმა განათლების მინისტრმა განიხილეს პერსპექტიული ანუ სამომავლო განათლების განვითარების გეგმა, რომელიც ისახავს დაწყებით, საშუალო უმაღლეს და სამეცნიერო დონეზე უწყვეტი განათლების პრინციპს და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ჩემი შვილიშვილი მინდა რომ პედაგოგად გადმოვიბირო და წამოვიყვანო.

– ეთანხმებით თუ არა მასწავლებლების სერტიფიცირებას?

– სერტიფიცირება თავისთავად საშინელება არაა, შეიძლება სერტიფიცირების ერთი საფეხურის გავლის შემდეგ აღარ მოგვეწონოს და შეიცვალოს უფრო პროგრესულით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან თავის დროზე გარკვეული როლი არ ითამაშა, თუნდაც იმისთვის, რომ ჩვენ დაგვენახა, რომ ის გზა არ იყო, ვთქვათ ძალიან მართებული, მაგრამ დადებითი იყო გარკვეული კუთხით და გადავედით სხვა საფეხურზე, თუნდაც მასწავლებელთა საფეხურებრივ კლასიფიკაციაზე, რაც თავისთავად სტიმულს იძლევა, ძალიან დიდ სტიმულს, პედაგოგისათვის.

– ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი სულხან მახათაძე, ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის აკადემიკოსი გახლავთ, როგორ შეაფასებდით მის საქმიანობას?

– ეს ძალიან ძნელია შეაფასო ასეთი დიდებული ადამიანის საქმიანობა, მით უმეტეს ჩვენ რაიონში სულ ორი წელია რაც დაბრუნდა, მაგრამ ეს დრო საკმარისია. იგი არის უაღრესად განათლებული ადამიანი, რომელიც მუდამ მზად არის ნებისმიერ ადამიანს გაუწიოს შესაბამისი დახმარება. ის ქალაქისთვის მომართული პიროვნებაა. დიდი ენერგიის და განათლების მქონე ადამიანია.

– ვის დაასახელებდით ძლიერ პოეტად ჭიათურის რაიონში?

– ამ მხრივ შეიძლება გამიჭირდეს, სკოლაში იყო კუკური დეკანოიძე. ახლა სკოლაში აღარაა. მე მახსოვს იგი, მისი თავმდაბლობით, უსაზღვროდ უყვარს რასაც წერს და რასაც აკეთებს. მას თავისი სამყარო აქვს.

– რას უსურვებდით ჟურნალ "ათინათს"?

– როგორც ყველა ქართულ გამომცემლობას, ვუსურვებდი ბევრი მკითხველი ჰყავდეს, იყოს ძლიერი, კარგი ახალგაზრდობა გამოზარდოს თავისი შინაარსიდან გამომდინარე. მე რაც შემეძლება გვერდით დაგიდგებით. დიდი პატივია თქვენნაირი ადამიანების მობრძანება სკოლებში. ადრე გვახსოვს, ცისკრის გამოწერაზე რიგები იდგა და ჯიხურებიდან იტაცებდნენ ჟურნალებს. ახლა იკლო მკითხველმა, იმიტომ რომ ცხოვრებამ წაიღო დიდი ენერგია. ახლა თქვენ დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებთ.

– დიდი მადლობა!

ინტერვიუ ვაჟა შუბითიძესთან

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“„ნორჩი ათინათელი“.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალოვანის საჯარო

სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე დიანა შუბითიძე.

გთხოვთ გამაცანით თქვენი პიროვნება

მე გახლავართ ვაჟა შუბითიძე 55 წლის.

რამდენი შვილი გყავთ?

მყავს ორი შვილი, გოგონამ უკვე დაამთავრა ტექნიკური უნარების პიარის სპეციალობა, ბიჭი სწავლობს ბიზნეს ადმინისტრირებაზე. ახლახან შეგვეძინა პირველი შვილიშვილი ანიტა პატარა გოგონა.

გიყვართ ბავშვები?

ძალიან რა თქმა უნდა.

როგორი მოსწავლე იყავით?

მე ვფიქრობ რომ ცუდი მოსწავლე არ ვიყავი ნამდვილად, ფრიადოსანი არ ვყოფილვარ თავიდან ბოლომდე და არც ოქროს მედალზე დამიმთავრებია სკოლა, მაგრამ ყოველთვის კარგად ვსწავლობდი, ანუ კარგი მოსწავლე ვიყავი. იმ პერიოდში ხდებოდა საშუალო არითმეტიკულით ქულების დათვლა და ოთხნახევარი ქულა მოვაგროვე ადესტატისათვის.

ამჟამად სად მუშაობთ?

ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ინჯინერიის ფაკულტეტზე ვარ პოლიტოლოგიის კათედრის გამგე,იმავდროულად ვარ ხაშურის საკრებულოს ახლადარჩეული თავჯდომარე, ამირჩიეს ოთხი თვის წინ, 2014 წლის ივლისში.

რა სპეციალობის ბრძანდებით?

სპეციალობით ვარ ისტორიკოსი,მაგრამ ვმუშაობ არა მარტო საქართველოს ისტორიის და კულტურის სფეროში, არამედ პოლიტიკური მეცნიერების სფეროში. ჩემ დროს პოლიტოლოგია აკრძალული იყო, როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, მაშინ გაჩნდა საშუალება, რომ პოლიტოლოგია ან პოლიტიკური მეცნიერებები წაგვეკითხა. დავიწყეთ ჩვენ თვითონ შესწავლა და შემდეგ ბავშვებისათვის სწავლება, ნელ-ნელა დავსპეციალდით ამ განხრით, ახლა უკვე გვაქვს პოლიტოლოგიის კათედრა, მე გახლავართ ამ კათედრის გამგე ტექნიკურ უნივერსიტეტში.

რას მეტყვით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას პიროვნებაზე?

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო უნიჭიერესი პიროვნება და ძალიან დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნის, იმდენად დიდი პატრიოტი, რომ თავისი ქვეყნის სახელის განთქმის მიზნით და იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა ქართველები რაოდენ უშიშარი და ვაჟკაცი ხალხია, მან მთელი მსოფლიო შემოიარა ველოსიპედით, 9 წელი მოანდომა მსოფლიოს შემოვლას, ხანდახან დადიოდა ისეთ ადგილებში სადავ მონადირეებიც კი უფრთხიან გავლას. მან ეს გააკეთა დიდი სიყვარულით თავისი პროფესიისადმი, თავისი ხალხისადმი.ეს დასაფასებელია და ნამდვილად მისი სახელი არ უნდა იქნას დავიწყებული საქართველოში.

იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს“?

აქამდე არ ვიცნობდი, ახლა სიამოვნით გავეცნობი და გავხდები მისი აქტიური მკითხველი.

ჟურნალი „ათინათი' დანერგილია თბილისის,რუსთავის,ჭიათურის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში, სასურველია დაინერგოს ქალაქ ხაშურის ბიბლიოთეკაში და სკოლის ბიბლიოთეკებში. რას გვეტყვით ამის შესახებ?

რადგანაც კარგი ჟურნალია, ბუნებრივია მასზე მოთხოვნილება იქნება და მე გავაცნობ ამ ჟურნალს ჩვენი რაიონის სკოლებს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს. იმედია რომ ისინი სათანადოდ გააკეთებენ იმას, რასაც სხვა რაიონები აკეთებენ,ანუ გამოიწერენ ამ ჟურნალს, დაინტერესდებიან იქ დაბეჭდილი მასალებით, რომელიც სასარგებლოა ბავშვებისათვის და არა მარტო ამ ბავშვებისათვის.

ამაყობთ თქვენი გვარით?

რა თქმა უნდა ვამაყობ, ჩვენი გვარი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია, საქართველოში 8000-ამდე შუბითიძეა, მე გახლავართ ამ დიდი, მრავალრიცხოვანი გვარის თავჯდომარე. პატრიარქმა გვაკურთხა სამებაში, გვაქვს ჩვენი დროშა და გერბი, ბუნებრივია ვმართავთ შეკრებებს.

ჩვენმა გვარმა 5000 ხმაზე მეტი შესძინა ქართულ ოცნებას 2011 წლის არჩევნებში.

იმავდროულად არის ძალიან მშრომელი ხალხი, კეთილსინდისიერი, პატიოსანი, რა თქმა უნდა თითო-ოროლა ცუდი ყველა გვარში გამოერევა, მაგრამ მასიურად შრომისმოყვარე ადამიანები არიან, შემიძლია ვთქვა, რომ თავის სამშობლოზე, თავის ქვეყანაზე შეყვარებული ხალხია შუბითიძეები.

იცნობთ თუ არა საჩხერის რაიონს?

რა თქმა უნდა ვიცნობ, ვარ ნამყოფი, ჩემი გვარის ფუძე არის ამ რაიონიდან, კერძოდ სოფელ ჭალოვანიდან.ბუნებრივია სხვა რომ არაფერი დიდო აკაკი აქაა დაბადებული და კიდევ ბევრი სხვა ცნობილი პიროვნება. მაგალითად ვიქტორ დოლიძე, იყო უდიდესი მეცნიერი, ემიგრაციაში გარდაიცვალა, ძალიან დიდი პიროვნება, რომელსაც აქვს უნიკალური გამოკვლევა ვეფხისტყაოსანზე და ჩემს წიგნში „ყველა დროის ასი უდიდესი ქართველი", ეს კაცი შეყვანილი მყავს როგორც ერთ-ერთი უდიდესი ქართველი,რა თქმა უნდა აკაკიც მყავს შეყვანილი ამ წიგნში, მაგრამ ვიქტორ ნოზაძე ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება იყო.

ასევე საჩხერელი იყო ბევრი მეცნიერი, აკადემიკოსი. მაგალითად, მუხრან მაჭავარიანი მას მე პირადად ვიცნობდი და ფოტოებიც მაქვს მასთან ერთად გადაღებული, აგრეთვე ჯულხა ნაადირაძე და სხვები.

ბევრ საჩხერელს ვიცნობ და ძალიან დიდი შთაბეჭდილების ვარ ამ ადამიანებზე, იმედია მომავალშიც გავიცნობ ღირსეულ საჩხერელებს.

რას აფასებთ ყველაზე მეტად მოზარდში?

მოზარდი სასურველია იყოს ნიჭიერი და კეთილზნეობრივი, უზნეო ადამიანი რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს არავის არ სჭირდება.ასევე აუცილებელია შრომა და მონდომება, ბევრს ააქვს ნიჭი, მაგრამ ამ ნიჭს ფლანგავს და ვერ იყენებს, ტყვილად ყრის.

ნიჭი არის, რომ წარმოვიდგინოთ ვაშლი კანი ხომ არის თხელი, ხოლო შიგთავსი შრომაა, ანუ უფრო მეტი შრომა საჭირო, ნიჭიერი ადამიანი თუ მშრომელიცაა აუცილებლად მიაღწევს წარმატებას. თუ შრომა არ უყვარს მხოლოდ ნიჭით შორს ვერ წავა, სადღაც შუა გზაზე გაჩერდება და დიდად ვერ გამოაჩენს თავს.ვფიქრობ რომ ქართველებს ამ ბოლო დროს ძალიან დაგვაკლდა ეს, შრომას მოუკელით და იოლი ცხოვრების წესზე გადავედით, ვცდილობთ რომ უშრომელად მივაღწიოთ მატერიალური კეთილდღეობას, უდარდელად და ციდან ჩამოვარდნილივით, ასე არ გამოვა, ასე ერი ვერ იცხოვრებს და ვერც მომავალი თობა აღიზრდება ღირსეულად.

ყველა ვისაც დიდი წარმატება აქვს მსოფლიოში უმძიმესი შრომის და ბრძოლის ფასად მიაღწია ამას და ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ ძალიან დიდი შრომა მოგვიწევს თუ გვინდა, რომ ძლიერი და წამყვანი ქვეყანა ვიყოთ მსოფლიოში.

რას უსურვებთ მომავალ თაობას?

მომავალ თაობას ვუსურვებ პირველ რიგში რა თქმა უნდა მშვიდობას,საქართველოს და

ქართველ ხალხს არ დასცალდა თავისი ნიჭის გამოჩენა, რადგან მუდამ მის გარშემო მტრები იყო შემოსეული.მტრები ჩვენს ტერიტორიაზე გადიოდნენ და გამოდიოდნენ, საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მსოფლიოში და ყველა იმპერია, აქეთ წამოვიდა, ერთადერთი ესპანეთის იმპერია არ წამოვიდა, რადგან ესპანეთს არ ჰქონდა ინტერესი ჩვენს მიმართ,მათი ინტერესი თურქეთისჯენ იყო მიმართული, თორემ შეიძლება ესპანელებიც კი წამოსულიყვნენ აქ.

დანარჩენი ყველა დამპყრობელი, რომიდან დაწყებული, ირანი, არაბები, მონღოლები, თურქ-სელჩუკები,სპარსეთი, შემდეგ რუსეთი. ახლაც ბევრ ქვეყანას აქვს მადა,მათ შორის დიდ ქვეყნებს, რომლებიც ხანდახან ვითომ მეგობრობას გვეფიცებიან, სინამდვილეში ჩვენ დიდად არ ვაადარდებთ. ამ ქვეყნებს აქვთ ჩვენდამი დიდი ინტერესი და ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერები, თუ არ ვიქნებით ძლიერები და მომზადებულები. ეს ნიშნავს იმას რომ შეიძლება დაგვიპყრონ და დაგვიმონონ. რასაც ამერიკელი ან რუსი აკეთებს ორჯერ მეტი უნდა გააკეთოს ქართველმა, იმიტომ რომ ორჯერ მეტად ნიჭიერია, ორჯერ მეტად მცოდნეები უნდა ვიყოთ,მაშინ ვაჯობებთ ამ ხალხს. თუ არადა 15 ქვეყანა გაქრა ჩვენს გარშემო და შეიძლება ასე გავქრეთ ჩვენც.

ამიტომ, მოგვიწევს დიდი შრომა მომავალ თაობასთან ერთად, თუ თქვენ ამ შრომას შეძლებთ, ნიჭიერება ქართველ ხალხს არ აკლია,თანაბარ პირობებში, პირველ რიგში ქართველი ბავშვი სჯობია ამერიკელსაც, გერმანელსაც, ინგლისელსაც და რუსსაც, ვისაც გინდა ყველას თუ იმას იმავე პირობებში ჩააყენებ, რომელშიდაც სხვა ქვეყნის ბავშვები არიან, ამიტომ ქართველა არც მოხერხება აკლია, არც ეშმაკობა, არც წინდახედულება,მთვარის რომ ქართველებს და ეს ყველაფერი უკვე მიღწეულად არ ჩავთვალოთ,ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მისაღწევია.

ჩვენ მიზანი უნდა გვქონდეს დასახული, რომ ვიყოთ ძლიერი ქვეყანა და აღვადგინოთ ჩვენი წინაპრების დიდება.ამას მომავალი თაობა შეძლებს ძალიან დიდი შრომის და გარჯის შედეგად. ომი ომი არ არის მარტო შრომაც ომია, ამ ომში როგორც ილია ამბობდა „დაიარაღებული ხალი უფრო იმარჯვებს, ვიდრე დაუიარაღებელი“. ცოდნა უფრო გაიმარჯვებს ვიდრე უცოდინარი. რაც შეიძლება ფულით და ძალით ვერ წაგვართვეს ის შეიძლება შრომით, სწავლით და ცოდნით წაგვართვან, ამიტომ ნუ გვგგონია რომ რაც გვაქვს ეს ყველაფერი მუდამ გვექნება, ამის შენარჩუნებას შრომა და გარჯა უნდა.

ჯერ წიგნი მერე კომპიუტერი. საჭმელს რომ მიირთმევ და მერე დესერტს დააყოლებ, ასე უნდა იყოს სწავლა და მერე კომპიუტერი, მარტო კომპიუტერით ვერაფერ ცოდნას ვერ მიიღებ, შეიძლება ცოდნაც მიიღო და საჭორაოთაც გამოიყენო, ამიტომ უნდა ეცადოთ კომპიუტერით ცოდნა მიიღოთ, ყველაზე ღირსეული ამ ქვეყანაზე არის ცოდნა. ყველაზე ძლიერი ის არის ვისაც დიდი ცოდნა აქვს დაგროვილი.

დიდი მადლობა რომ გამონახეთ დრო და ასე საინტერესოდ გვესაუბრეთ

ინტერვიუ ვერა აბდუშელიშვილთან

ნაზი არსენაძე - *აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი.*

დიახ! ერთად ჩვენ ყველაფერს შევძლებთ!

სექტემბრის თბილი, მზიანი დღეები ულამაზებს ჩვენს მიწა-წყალს გულ-მკერდს. აუფერადა ფერდობები და კორდები, ეზოები და შარები, ქუჩები მოსწავლეთა ჟრიამულმა გააცოცხლა და ხალისი შემატა სიცოცხლეს ნაჩვევ დადუმებულ სკოლის შენობებს. მოდიან და მოაქვთ მომავლის იმედი, იდუმალი, სათნო და გაცისკროვნებული თვალებით შესცქერიან შორს სავალ ბილიკებს მოზრდილები, ნუკრებივით ჩაკვრიან დედის ხელს პატარები, პირველკლასელები, რომლებიც გაუბედავი ნაბიჯით მოდიან დიდი ტვირთი და ვალია იყო მასწავლებელი , თანაც პირველკლასელების. მშობელი და ქვეყანა ერთად გაბარებს პატარას და შენგან მომავლის ერისკაცს, ბურჯს ელოდება გამოზრდილ-გამოწვრთნილს, რომელმაც 21-ე საუკუნე მხრებით უნდა ატაროს, ოჯახს, ქვეყანას შეეხიდოს და თავისი წილი აგური მძლავრად დადოს იმ ტაძრის ასაშენებლად, სამშობლო რომ ჰქვია.

სკოლის ეზოშივე შემომეგება უცხო მშობელი თავისი პატარათი, თქვენი მოსწავლე იქნებაო, გამაცნო,- ბავშვს ხელი მოვკიდე, მისი გაყინული, ათრთოლებული თითები უსუსურად მომეჩვენა, მერე გულში ჩავიკარი და მისი აჩქარებული გულისფეთქვა ყურში ჩამესმა.

მომეყურა? არა, გული გამალებით, ხმაურით უცემდა, განიცდიდა და ღელავდა, რას? თავადაც არ იცოდა. . .

მე ცრემლები მომერია და ჩემს თავს ვკითხე: - შევძლებ? შევჩერდი და ხმამაღლა ვთქვი: შევძლებთ! სხვა უფლება არ გვაქვს, რადან ვართ, გვქვია მასწავლებლები, ყველაფერი უნდა შევძლოთ, მამულს მომავალი მოაზროვნე, მებრძოლი და უშიშარი თაობა უნდა აღვუზარდოთ, ვასწავლოთ მშობლიურის დაცვა და სიყვარული, სხვისი პატივისცემა და დაფასება.

როგორც ახალი სასწავლო წელს უხდება მეკვლე, ასევე ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს შვენის კარგი სტუმარი. წელს ჩვენი სკოლის სტუმრები გახლდნენ ყველა ქართული ოჯახის საყვარელი წევრი ბატონი გოჩა ტყეშელაშვილი - პროექტ „ეტალონის“ წამყვანი და სულისჩამდგმელი; ბატონი ნიკო მოდებაძე„პრივატბანკის'' საჩხერის ფილიალის მმართველი; ბატონი მალხაზ ბაზაძე - საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი; ქალბატონი ცისმარი მაჭარაშვილი - საჩხერის საგანმანათლებლო რესურცენტრის ხელმძღვანელი;

დიდი მადლობა მათ საჩუქრების, სტუმრობისა და კეთილი სურვილებისთვის!

მე კი ჩემმა პირველკასელებმა კითხვებით იმდენად გამაბრუეს, გადავწყვიტე, ზოგიერთი კითხვის პასუხი სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ ვერა აბდუშელიშვილს გაეცა, ყველა ჩვენთაგანისათვის უსაყვარლეს პიროვნებასა, საუკეთესო ხელმძღვანელსა და სამართლიან ქალბატონს. ალბათ ვერცერთი დედა ისე თანაბრად ვერ გაუნაწილებს შვილებს სადილს, როგორც ქ-ნი ვერა აფრქვევს თანაბრად სითბოსა, სიყვარულს და პატივისცემას.

გთავაზობთ პირველკლასელთა ინტერვიუს ქ-ნ ვერა აბდუშელიშვილთან:

თამარ კუსიანი – მოგესალმებით! მე გახლავართ აკაკი წერეთლის სახელობის ქ.საჩხერის 1 საჯარო სკოლის პირველკლასელი.

ქ-ნი ვერა -- მეც მოგესალმებით, ჩემო პატარებო! მე ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ამჟამად კი დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ვერა აბდუშელიშვილი გახლავართ.

თამარ კუსიანი– მე უკვე სკოლაში მოვედი, მივხვდი, რომ გავიზარდე და სწავლას უნდა შევუდგე! მაინტერესებს, რა იქნება აქ?!

ქ-ნი ვერა -- ცოდნის ამ დიდ ტაძარში გელოდებათ ბევრი საინტერესო დღე. ჩვენს სკოლაში დაეუფლებით იმ ცოდნას , რომელიც სამყაროს გასაღებს გაპოვნინებთ. აქ გაატარებთ სიცოცხლის საუკეთესო და დაუვიწყარ წლებს, აქ მოემზადებით მომავალი სხოვრებისათვის.

ნიკოლოზ მაჭარაშვილი – რატომ ჰქვია ჩვენ სკოლას ეს სახელი?

ქ-ნი ვერა -- ჩვენი სკოლა აკაკის სახელს იმიტომ ატარებს, რომ უდიდესი ერისკაცის, მარადისობას ნაზიარები მგოსნის სახელი ხშირად ისმოდეს მოზარდთა შორის. ეს რჩეულთა ხვედრია.

ერთხელ, ბავშვებო, ბათუმში, ნინოობის საღამოზე მოწვეულ უცხოელ სტუმრებს აკაკიზე უთქვამთ, ღმერთი ვიხილეთო. იქნებ, გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ ეს ნათქვამი, მაგრამ, როცა აკაკის შემოქმედებას ეზიარებით და მის ღვაწლს გაიგებთ, დარწმუნდებით რა მადლიან მიწაზე დააბიჯებთ. ნოდარ დუბაძეს აკაკის ლექსზე „განთიადი“, უთქვამს: „განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის, ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ. ეს მათ ძალღონეს აღემატება. დიახ, ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გამოსული და ნაკარნახევი.“ მიხვდით, რატომ ატარებს ჩვენი სკოლა აკაკის სახელს?!

მარიამ სამხარაძე – რას ელოდებით ჩვენგან?

ქ-ნი ვერა -- თქვენგან ველოდები, რომ ღირსეული ქართველები გაიზრდებით. ასახელებთ ჩვენს სკოლას, თქვენს აღმზრდელ მასწავლებლებსა და მშობლებს . ისეთი მამულიშვილები გაიზრდებით, რგორიც აკაკის, პაოლო იაშვილისა და მუხრან მაჭავარიანის მიწის შვილებს შეჰფერით.

გიორგი ჭიტაძე – რას მიშნავს მამულიშვილობა?

ქ-ნი ვერა -- მამულიშვილი - სამშობლოს ღირსეული შვილია. შვილი, რომელიც მუდამ სამშობლოს ბედზე წუხს, მის მომავალზე ზრუნავს; ვისი ცხოვრების გზაც სამაგალითოა და ზნეობრივად და სულიერად ამაღლებს ერს.

თამარ კუსიანი – თამაში? როდისღა ვითამაშებ?

ქ-ნი ვერა -- თქვენ ისეთი ჭკვიანი ბავშვები ხართ, რომ არაჩვეულებრივად შეძლებთ დროის განაწილებას. ჯერ კარგად იმეცადინებთ, შემდეგ კი ითამაშებთ.

თამარ კუსიანი – ეს ძალიან მომეწონა, დედამ მითხრა თამაშისთვის აღარ გეცლებაო, მე კი ყველაზე მეტად თამაში მიყვარს, მიყვარს „დედობანას“ და „მასწავლებლობანას“თამაში.

იმ დღეს სკოლიდან რომ დავბრუნდი და ვისადილე,ჩემი თოჯინების მასწავლებელი ვიყავი,დავარიგე, მივეფერე. . . თურმე ბებო მიგდებდა ყურს, ფეხაკრებით მომეპარა, ბევრი, ბევრი მაკოცა, გულში ჩამიკრა და მითხრა:-- ბებო გენაცვალოს,შენგან კარგი მასწავლებელი დადგებაო. გამიკვირდა, ბებოს თვალებში ცრემლები ჰქონდა (ნაღვლიანად იღიმება).

ცრემლები ამოვუშვრე, ვაკოცე და გულში ჩავეხუტე.

ქ-ნი ვერა ჩემო პატარებო, თქვენი თანაგრძნობა, სიყვარული, სიკეთე, მონდომება, მისწარფება ყველას აღაფრთოვანებს. მჯერა, არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, ერსაც მოწმენდთ „ტანჯვის ცრემლსა“.

პირველკლასელები -- დიდი მადლობა!

სექტემბრის მზე ისევ ათბობდა დედამიწას. მოვდიოდი ჩემს პირველკლასელებთან ერთად და უზომო სითბოსა და სიხარულს ვგრძნობდი. დიახ! ერთად ჩვენ ყველაფერს შევძლებთ!

ეკატერინე ქადაგიძე

ინტერვიუ: ნაიდი ხარაიშვილთან

- რას გვეტყვით თქვენი წარმომავლობის შესახებ?

- დავიბადე საჩხერეში. პედაგოგების ოჯახში. ჩემს აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის, ჩემს დიდ ბებიას, - ავსტრიელ კეთილშობილ ქალბატონს, მარია ფიკერს.

- ბავშვობის წარუშლელი შთაბეჭდილება.

- დაჭრილ ყანჩას, ფრთა შევუხვიე, ჩვენი - ხეთერელებისა და ხარაიშვილების საგვა რეულო მალამოთი. ჭრილობის შეხორცების შემდეგ ყანჩა გალიიდან გავუშვი. აფრინდა. კარგახანს ჩვენს ეზო-კარს გარს უვლიდა. ჩვენ, ბავშვებიც ხელს ვუქნევ დით გახარებულ ყანჩას. ვფიქრობ, მადლობას გვიხდიდა თავისუფლების მინიჭე ბისთვის.

- სად მუშაობდით?

- 25 წელი გერმანულ სპეციალიზებულ სკოლაში და პოლიტექნიკური ინსტიტუტის უცხო ენების კათედრაზე და 20 წელი საქართველოს საპატრიარქოში, სატაძრო მედიცინის განყოფილების ხელმძღვანელად.

- რა ნიშნავს სატაძრო მედიცინა?

- მკურნალობის პროცესში ლოცვების ჩართვა. ლოცვა ადამიანის თითოეულ უჯრედს დადებითი ენერგიით ავსებს. დადებითად განწყობილი ორგანიზმი წამალსაც დადებითად ღებულობს და მალე დგება შედეგიც.

- ყველაზე დიდი სიხარული თქვენს ცხოვრებაში.

- შვილებისა და შვილიშვილების მოვლინება ამქვეყნად.

- რა ასაკიდან იგრძენით რომ სრულფასოვანი პიროვნება ხართ?

- 5 წლის ასაკიდან, რაც ჩემი ევროპელი ბებიის დამსახურებაა. ბავშვობიდან მი-

ნერ გავდა შრომის, ჰიგიენის და სწავლის აუცილებლობას, აღზრდის სხვა კულტურაზე რომ არაფერი ვთქვათ.

- ყველაზე დიდი ტკივილი?

- ახალგაზრდა ძმისა და მეუღლის გარდაცვალება.

- მდიდარი ხართ?

- ვთვლი, რომ მაქვს სათნოება და მადლმოსილება, ამ თვისებებს მატერიალურ სიმდიდ რეზე მეტი ფასი აქვთ.

- თქვენი ხასიათი.

- ზედმეტად ლმობიერი ვარ.

- რას თვლით უღირსობად ადამიანში?

- ტყუილს.

- პოეტი ხართ?

- 67 წლის ასაკიდან დავიწყე ლექსების წერა. პოეტობამდე ბევრი მანძილია. თუმცა მოს წონთ ჩემი ლექსები.

- რომელ უტაქტობას ვერ პატიობთ დღემდე თქვენს თავს?

- პატრიარქის ერთ-ერთ საიუბილეო შეხვედრაზე შევნიშნე, რომ უწმინდესი განმარტოებით იჯდა სავარძელში, რამდენიმე მეუფის თანხლებით. მივეახლე. კურთხევა ავიღე. დავიწყე გაუთავებელი საუბარი ჩემს პირად ცხოვრებაზე. არ მახსოვს, რამდენ ხანს მისმენდა. უეცრად თავზე ხელი დამადო და მითხრა: "ნაილი, იქ, როიალზე გრიგს უკრავენ. მოვუსმინოთ და შემდეგ განვაგრძოთ საუბარი". ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი. დღემდე განვიცდი, როგორ შევუშალე ხელი უწმინდესს მუსიკის მოსმენაში.

- აუხდენელი ოცნება.

- მსოფლიოში მოგზაურობა.

- ვინ არის ეგოისტი?

- ვინც სხვაზე ზრუნვას მადლად და მოვალეობად არ თვლის.

- რომელი ვედრება შეგისმინათ უფალმა სწრაფად?

- არც ერთი. მის ნებას უნდა ველოდოთ.

- ვინ არის "სოფლიდან ჩამოსული"?

- სუფთა, გაურყვნელი ინტელიგენტი.

- დამშვიდობებაში "დროებით..." რა იგულისხმება?

- რეალური დრო.

- რას შვრება დრო?

- თავისი მიაქვს.

- რას თვლით ბუნების საოცრებად?

- თავად ბუნებაა ღვთისგან ნაჩუქარი საოცრება ადამიანებისთვის. ტოტს გაშოლ ტილ ავაზას კი მე პირადად ვთვლი თავისუფლების სიმბო ლოდ.

- ვისია ეს ქვეყანა?

- შენისთანა თავისუფალი ადამიანების.

- რწმენა...?

- ყოფიერებაზე ამაღლება.

- რას შეცვლიდით მეორედ რომ დაგეწყოთ ცხოვრება?

- ვერაფერს.

- როდის იწყება ნამდვილი ცხოვრება?

- უინტერესო და საინტერესო თავგადასავლების ამოწურვის შემდეგ. მაგრამ ასეთი

ცხოვრებაც მიმზიდველია, სწორედ თავისი ხიფათებით.

- რას არ აპატიებთ?

- ყველაფერს გვაპატიებს უფალი თუ მოვინანიებთ.

- რას იტყვით "ქუჩის ბავშვების" შესახებ?

- არასოდეს არ პატიებენ საზოგადოებას. მეტიც, ხშირად აგრესიულებიც კი ხდებიან საზოგადოებისადმი.

- სიმკაცრე საჭიროა ბავშვის აღზრდაში?

- მე საჭიროდ მიმაჩნია.

- პირადულში ჩარევა საჭიროა?

- თუ მეგობარი ჭაობში იძირება და ვერ ამჩნევს, რატომ არ უნდა ვუშველოთ.

- მილიარდერი რომ იყოთ... საერთოდ გინდათ?

- თუ ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემს სასახლეებს "ამაოების ძეგლს" არ უწოდებენ, როგორც ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც უწოდებენ. თუმცა, ღარიბმა მალე უნდა შეავსოს აბგა, მსუბუქად რომ ატაროს.

- ვისთვის ლოცულობთ?

- მშვიდობა რომ იყოს მთელ მსოფლიოში.

- ცოდვილი ხართ?

- მე კი. სხვისი არ ვიცი.

- მხატვარი რომ იყოთ რას დახატავდით?

- ყვავილს - "არ დამივიწყო".

- ცხოვრება ამათრახებს, ანგრევს, ანადგურებს...

- უნდა ეცადო პირიქით მოხდეს, ოღონდ სიკეთით.

- ხასიათი როგორ უნდა ამოიცნო ადამიანში?

- პლუტარქე ამბობს: "მხოლოდ ორი ორგანო გამოხატავს ადამიანის ხასიათს - თვალი და სახე".

- ლექსებს ყველა ინდივიდუალურად წერს. თქვენ რაიმე განსაკუთრებული პროცედურა ან რიტუალი ხომ არ გაგაჩნიათ?

- ყოველი საქმის დაწყების წინ ლოცვებს ვკითხულობ, "სტუმარი - ლექსის" მოლო დინი კი ასეთია: ზედმიწევნით კოხტად ვალაგებ და ვასუფთავებ ავეჯსა და ნივთებს. საწერ მაგიდაზე ვაფარებ თეთრ ტილოს. ლამაზ ლარნაკში ვაწყობ საკანცელარიო აქსესუარებს. ამ მდგომარეობაში ვტოვებ მაგიდას. ვიწყებ საოჯახო და სამსახურებრივ საქმიანობას. "სტუმარი", რომელიც სხვა სტუმარს არ ჰგავს, რომელსაც სახელად ჰქვია მუზა, არ ვიცი, როდის გადმოაბიჯებს ზღურბლს. თუ ეყო თავხედობა, შეიძლება შუაღამისას მოვიდეს. ლექსის წერას ბევრი სხვა ნიუან სები და თავგადასავლებიც ახლავს თან. ასეთ ბლიცინტერვიუში ამის გაანალი ზების დრო არა გვაქვს.

- როგორი უნდა იყოს ზოგადად ლექსი?

- რატომღაც ქართული ლექსი წინა საუკუნეებიდან, დღემდე მინორულად ჟღერს. ასეთ ლექსებზე დაწერილი საესტრადო სიმღერებსაც ტრაგიკული ელფერი დაჰკ რავს. ამას საზღვარგარეთის მსმენელი და პუბლიკაც აღნიშნავს. ნაკლები უნდა ვიწუწუნოთ ცხოვრებაშიც და მითუმეტეს ხელოვნებაში. ცნობილი მუსიკოსების და მხატვრების უმრავლესობას მძიმე პირადი ცხოვრება ჰქონდათ, მაგრამ მათი შედევრები დღემდე გვამხნევებენ, გვახალისებენ, გვაიმედებენ. კარგია თუ ამ სტილს გადმოვიღებთ ქართულ ლიტერატურაშიც.

- თქვენი მომავალი?

- ვწერო ლირიული, ეგზოტიკური, ფილოსოფიურად შელამაზებული, იმედიანი ლექსე-

ბი. დარჩენილი დრო მოვახმარო სნეულთა განკურნებას, შვილებთან და შვილიშვილებთან სათნო თბილ ურთიერთობას.

- რაზე ვერ დაწერთ ლექსს?

- დედაზე და სამშობლოზე რა უნდა დავწერო არ ვიცი. ვინმეს დაუწერია სისხლზე და ხორცზე (ფიზიოლოგიური მაქვს მხედველობაში) ლექსი? მე მგონი არავის. ის რაც შენში შესისხლხორცებულია, მე პირადად, არ ძალმიძს გარეთ გამოტანა. თუმცა იქნებ შევძლო; "არასოდეს თქვა, - არასოდეს".

გმადლობთ. წარმატებებს გისურვებთ ჟურნალისტურ მოღვაწეობაში.

ინტერვიუ საჩხერის გამგებელ ბატონ მალხაზ ბაზაძესთან

ნინო ჭიღლაძე
აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის
1 საჯარო სკოლის V კლასის წარჩინებული მოსწავლე.

ზამთარია იმერეთში, თბილი და უთოვლო ზამთარი... თითქოს ბუნებამ ხალხის გასაჭირი გაიზიარა და უთოვლო და უპრობლემო ზამთარი მოგვივლინა, თუმცა ჯერ ადრეა, პრობლემას კი რა გამოულევს ცოცხალ კაცს, ისიც იმერეთში, მაგრამ ხალისიანი და გულღია იმერლები ყველაფერს იტანენ, იმედით მხოლოდ მომავლის იმედით. ვიცით გვყავს ადამიანი, რომელიც გასაჭირს გაუიოლებს ხალხს.

სკოლის ეზოდან გამოვედით და გამგეობისკენ გავეშურეთ. გზად მიმავალთ თავს ბებერი ციხე მოდინახე დაგვიქერის იდუმალი მზერით, დღეს ქონგურგადამსხვრეული, წელში გატეხილი და მაინც ზვიადი და ამაყი... რამდენი ჭირვარამის მომსწრეა ციხე, რამდენი მტერი და დუშმანი მოიგერია, ბოლოს კი მიწისძვრამ გატეხა წელში, საუკუნეობით გულში ჩახუტებული ლოდები გამოგლიჯა და გული გაუტეხა ციხეს... დგას და ელოდება... რას ან ვის, თვითონაც არ იცის...

ერთხელ კლასი ლაშქობაზე მყავდა წაყვანილი ციხეზე. უკან დაბრუნებისას, როცა უკვე ქვემოდან კიდევ შევათვალიერეთ ჩვენი რაიონის გვირგვინი და დაგორებულ ლოდებთან შევჩერდით, ერთმა პატარა ბიჭმა ლოდის ნატეხი ხელში აიღო, გულში ჩაიხუტა და თქვა: - მე ამ ქვიდან პატარა ეკლესიას გამოვთლი და ძალას მომცემს მოდინახე აღვადგინოო, --თვალზე ცრემლი მომადგა... ის ჯერ პატარაა, მე-9 კლასელი, ჯერვერ აღადგენს, ნეტავ თუ ახსოვს ეს გულიდან ამოძახილი?.. ვერ აღადგინა, მაგრამიმ დიდი სიყვარულით ნათქვამს გულში ნაპერწკალი რომ არ დაეტოვებინა, არ შეძლებოდა, ნაპერწკალი მშობლიურის სიყვარულისა, რომელსაც გაღვივება და ბევრი სულის ბერვა სჭირდება.

კურთხეულია ქართული მიწა,წმინდა გიორგისა და მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრია ჩვენი მამული, მათი ძალით და მადლით მოვედით აქამდე, გვეამაყება იმერლებს, საჩხერლებს, რომ ჩვენს მიწაზე აღიზარდნენ უდიდესი ადამიანები, მარტო აკაკი გვეყოფოდა, სხვა რომ არავინ ვახსენოთ, ისიც გვეამაყება, რომ მთაწმინდის პანთეონის წმინდა მიწას ჩვენს რაიონში გაზრდილი ყველაზე მეტი პატრიოტი ჰყავს გულში ჩახუტებული, ამ კურთხეული მიწის ღირსნი გახდნენ ისინი...

გამგეობის შემობას მივადექით, რაიონის გამგებლისგანს-ბატონ მალხაზ(ბაჩო) ბაზაძისგან გვინდა ავიღოთ ინტერვიუ. იგი ღიმილით შეგვხვდა და სიამოვნებით დაგვთანხმდა.

გამარჯობათ! - მე გახლავართ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის 1 საჯარო სკოლის მე-5 პირველი კლასის მოსწავლე ნინო ჭიღლაძე. ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან სტუმრობა და საუბარი. დიდი მადლობა თქვენ იმისთვის, რომ გამონახეთ დრო. მაქვს სურვილი, რამდენიმე კითხვით მოგმართოთ: ***გთხოვთ გვიამბოთ თქვენი ოჯახის შესახებ.***

მყავს ოჯახი - მეუღლე და სამი შვილი, უფროსი თორმეთი წლისაა, მომდევნო გოგონაა 10 წლის, პატარა კი 7 წლის. მყავს დედა, მამა და ერთი და, რომელსაც თავის ოჯახი ჰყავს.

როგორც ვიცით, თქვენ ჩვენი სკოლა დაამთავრეთ და ძალიანაც გიყვართ იგი. გთხოვთ გაიხსენოთ სკოლის ცხოვრება.

დიახ, მართლა ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, ბევრი გასახსენებელი მაქვს, ახლაც ხშირად ვიკრიბებით კლასელები, 1988 წელს დავამთავრეთ სკოლა, ძალიან კარგი კლასი გვქონდა,ცელქებიც ვიყავით,ყველაზე მაგრებიც ვიყავით, შატალოც გვქონია (იცინის), წარმატებებიც, მედალოსანიც გვყავდა, ძვირფასი მასწავლებლები გვასწავლიდნენ, დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარაა, გული მტკივა მათ გამო... მე ეს სკოლაში სტუმრობისასაც აღვნიშნე სექტემბერში.

რა იყო ის, რამაც ყველაზე მეტად გაგახარათ ცხოვრებაში და რა არის ის, რაც ყველაზე რთული შესასრულებლად მიგაჩნიათ?

ყველაზე მეტად შვილების ამ ქვეყნად მოვლინებამ გამახარა, უფლის საჩუქარია შვილი და მშობლისთვის დიდი ბედნიერება, სამი შვილი მაჩუქა ღმერთმა. სირთულეს რაც შეეხება, ცხოვრება სავსეა სირთულეებით, მაგრამ არ უნდა შეუშინდეს კაცი და უნდა იბრძოლოს მიზნისთვის, ისიც დაიხსომე, რომ გვიანი არასოდეს არაა! ხშირად გამიგონია, რაღა დროს ჩემი სწავლაა და ამისთანები, რა ასაკშიც არ უნდა იყო შენი თავის თვითრეალიზაცია უნდა მოახერხო.

2015 წელი აკაკის წლადაა გამოცხადებული, ბუნებრივია,ჩვემნარაიონმა მეტი უნდა იტვირთოს. რა გეგმები გაქვთ ამ ღონისძიებისთვის? ხომ არ აღდგება მოდინახე მანამდე?

დიახ, იუნესკოს ეგიდით 2015 წელი აკაკის წლად გამოცხადდა, აღინიშნება დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წელი, გვაქვს შექმნილი კომისია ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოველ ორ კვირაში ვიკრიბებით და გვაქვს საკმაოდ აქტიური თემები,ეს ეხება ინფრასტრუქტურულ პროექტს, აკაკის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერი უნდა გაკეთდეს,ჩასმულია და გაგზავნილი მუზეუმის რეაბილიტაციისპროექტი, რაზეც გარკვეული თანხმობა მივიღეთ,მეც იმედს ვამყარებ,კარგი ნაბიჯები გადაიდგა, ვნახოთ რით დაგვეხმარებიან.

რაც შეეხება მოდინახეს, სხვათა შორის დღეს გავამზადე პროექტი და ხართაღრიცხვა,რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადავუგზავნეთ. მარტო ციხის აღდგენას 700 ათასი ლარი სჭირდება,ამას კიდევ ეშველება,შეიძლება გამოინახოს ეს თანხა, მაგრამ ციხემდე მისასვლელი გზაა პრობლემა, რომელიც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ვნახოთ, იქნებ გაჩნდეს იმედი.

ახლახან თქვენი ძალისხმევით სოფელ ჭალოვანში გაიხსნა ძიუდოს კლუბი, დაიგო ბეტონის გზა და ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაობი. იქ ჩემი დედულეთია და ხალხი დიდი მადლიერებით მოგიხსენიებთ. თუ გიდგათ მხარში სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი დავით შუბითიძე?

დიახ, მე აღფრთოვანებული ვარ იმ ხეობით და იქ მცხოვრებლებით, რაც შეეხება მაჟორიტარ დეპუტატს, მისი ძალისხმევით ბევრი რამ კეთდება, თავისი საკუთარი სახსრებით უამრავს აკეთებს, მან თავისი საკუთარი შვილების ძვირადღირებული ტატამიც კი სო-

ფელს ჩამოუტანა და ძიუდოს კლუბს აჩუქა, მას უყვარს თავისი ხალხი და ბევრი სასიკეთო საქმე აქვს დაგეგმილი. მე ვისურვებდი, რომ ბევრი მიმდევარი ჰყავდეს მას!

2014 წლის 15 სექტემბერს საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანის საჯარო სკოლას მიენიჭა პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელი, თქვენ იცით ამის შესახებ. ხომ არ არის ხარჯები პოეტის ბიუსტისათვის?

მე ახლახან ვიყავი იქ, ამის თაობაზე ჯერ არ მოუმართავთ და თუ დასვამენ ამ საკითხს, აუცილებლად გავუწევ გარკვეულ წილ დახმარებას.

იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს“?

დიახ, რამდენიმე ნომერი მაქვს ნახული.

დიდი მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო მსოფლიო მოქალაქე. ამჟამად იგი გარდაცვლილია. თუ იცნობდით მას პირადად?

არა, სამწუხაროდ მას პირადად არ ვიცნობდი, თუმცა მისი დაუჯერებელი ამბები წამიკითხავს და მომისმენია. მართლაც, უდიდესი შემართება უნდა გაგაცნდეს, რომ შეძლო ის, რაც ბატონმა ჯუმბერმა გააკეთა!

ჩვენ სკოლაში შემოსულია ჟურნალი „ათინათი“, იგი სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათისაა. ბავშვების უმრავლესობა იცნობს ამ ჟურნალს, სასურველია დაინერგოს რაიონის ყველა სკოლის ბიბლიოთეკაში ჟურნალის შესვლა. თქვენი აზრი ამის შესახებ.

კარგი იქნება, რაც მეტი შემეცნებითი მასალა მიეწოდებათ ბავშვებს, ამაზე თავად სკოლის ხელმძღვანელობაც უნდა დაინტერესდეს.

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

ადრე კერძო სექტორში მიწევდა მოღვაწეობა და იქ სხვა სიტუაციაა. ძალიან ძნელია იყო საჯარო სამსახურში და ხალხი იმედს ხედავს შენში. მოსვენება არ მაქვს, როცა რაიმე საკითხს ვერ ვაგვარებ, ახლაც სასწრაფოდ მოსაგვარებელია სოფელ წმანში ელექტროობის საქმე, მოსახლეობა უშუქოდაა. ამ ჩამონათვალში (გვიჩვენებს სქელი ფურცლების დასტას) სამი ათასამდე რაიონის მცხოვრებია, რომლებიც მიწისძვრისაგან დაზარებულები არიან და სხვადასხვა კატეგორიის დახ მარება ესაჭიროებათ. ალბათ ჩემძე მეტად არავის გაეხარდება ამ საქმის გაკეთება და თუ ეს შევძელი ალბათ გმირი ვიქნები.

რას გვისურვებთ მომავალ თაობას?

ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ, იყავით მიზანდასახულები და ბეჯითები, არასოდეს შეუშინდეთ სირთულეებს –- შეუსრულებელი არაფერია, მთავარია მონდომება და ბრძოლა ამ მიზნის მისაღწევად. მე მჯერა, რომ თქვენ ჩვენზე ძლიერები იქნებით.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა დროის დათმობისა და კეთილი სურვილებისათვის, მეც გისურვებთ თქვენი დასახული მიზნების ასრულებას ხალხის საკეთილდღეოდ.



მოდი ნახე

ინტერვიუ ზურაბ წვერაიძესთან

– მოგესალმებით ბატონო ზურაბ, მე გახლავარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიანი, საერთაშორისო,აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, ქარელის 2 საჯარო სკოლის მოსწავლე ხატია დამბარაშვილი.

– ბატონ ჯუმბერს ძალიან უყვარდა პატარები, ამიტომ,ჩვენ ნორჩმა ათინათელებმა გადავწყვიტეთ მისი მეგობრებისგან ავიღოთ ინტერვიუ.წინააღმდეგი ხომ არა ხართ?

– რათქმა უნდა არა.

– გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი პიროვნება.

– მე გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი ზურაბ წვერაიძე.

– როგორ დაახასიათებდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

– ჯუმბერ ლეჟავას დახასიათება რამოდენიმე სიტყვით შეუძლებელია,იგი იყო ჩემი ძალიან ახლო მეგობარი. 1961 წლიდან ერთად მოვდივართ...ჯუმბერი იყო უნიჭიერესი სტუდენტი.სანამ ჩვენს ფაკულტეტზე ჩააბარებდა, მანამ სწავლობდა მოსკოვში ფიზიკა-ტექნიკურ უნივერსიტეტში. ეს იყო და დღესაც არის ერთ-ერთი წამყვანი ინივერსიტეტი.მაგრამ მამა ადრე გარდაეცვალა, მეორე კურსზე იყო როდესაც დედაც გარდაეცვალა და მან ვეღარ შეძლო სწავლის გაგრძელება.იძულებული გახდა დაბრუნებულიყო. აქ მამიდასთან იყო და თავიდან ჩააბარა ჩვენს ფაკულტეტზე.იგი იყო უნიკალური პიროვნება თავისი თვისებებით.შეიძლება ითქვას რომ ცხოვრების ბოლომდე დარჩა მიამიტ ბავშვად, მაგრამ,საიდან ჰქონდა ამდენი ძალა და ძლიერება გინდაც გონებრივი, გინდაც ფიზიკური,ეს ამოუცნობია.

– სიცოცხლეშივე გაიხსნა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია. რა აზრის ხართ ამის შესახებ?

– რა თქმა უნდა ამის გაკეთება აუცილებელი იყო. სამწუხაროდ ასეა ჩვენთან, სანამ ადამიანი ცოცხალია წინააღმდეგობის, უაზრო წინააღმდეგობის გადატანა უხდება და მისი დაფასება ხდება მხოლოდ გარკვეულ წილად მისი გარდაცვალებს შემდეგ.თუმცა ბუნებრივია ხალხის სიყვარული ჯუმბერს თავისი ცხოვრების არცერთ ეტაპზე არ აკლდა.მითუმეტეს მას შემდეგ რაც ეს საარაკო გმირო ჩაიდინა.მხედვალობაში მაქვს მისი მოგზაურობა დედამიწის გარშემო.მე არ მეგულება არცერთი ქართველი, რომელსაც არ ჰქონოდა ინტერესი იმ მწირი ინფორმაციით რომელიც მოგვეწოდებოდა საბჭოთა კავშირის დროს, სად იმყოფებოდა ჯუმბერი რა გააკეთა, რა ამბები გადახდა და ბუნებრივია ეს მისი დამსახურება და ღვაწლი უფრო დაფასდება ამის შემდეგ.

– იცნობთ თუ არა ჟურნალ ათინათს?

– კი ვიცნობ, რამოდენიმე ნომერი მაქვს კიდეც. ქალბატონი გულნაზის წყალობით ძალიან საინტერეო და რაც მთავარია მართალი ჟურნალია.

– ნახეთ ფილმი ჯუმბერ ლეჟავაზე?

– კი.

– რამდენი შვილი გყავთ?

– ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

– ცელქი ბავშვები გიყვართ?

– ძალიან, ბავშვი თუ ცელქი არ არის მისგან ძალიან ცოტა რამეს უნდა ველოდეთ.

– ხომ არაფერს დაამატებდით?

– ძალიან სასიამოვნია რომ ჯუმბერის შესახებ პატარა ასაკიდანვე დაინტერესდით და ეს ინტერესი თქვენ თანატოლებს გადაედება და ეს საშუალებას მოგვცემს, რომ ჯუმბერის უზარმაზარი შრომა, ნიჭი, გამძლეობა თქვენი საშუალებით უფრო მეტდ დაფასდება იმიტომ, რომ ის რითაც შევიწროვებული იყო ბატონი ჯუმბერი სიცოცხლის პერიოდში ეს უკვე მოხსნილი იქნება და თქვენ უფრო ობიექტურად და ლამაზად დააფასებთ მის შემოქმედებას და მის ნიჭსა და ყველაფერს რაც მან გააკეთა და რაც მან დატოვა.

– მადლობთ, რომ გამონახეთ დრო და მომისმინეთ.

ინტერვიუ რეზო ჩხეიძესთან

ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე დაიბადა ცონობილი მწერლის (დ. ჩხეიძის) დია-ჩიანელის ოჯახში. დია-ჩიანელი გახლდათ რეზო ჩხეიძის მამა. იგი იყო ქუთიაისის მწერალთა კავშირის თავჯდომარე. იყო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი. გარკვეულ წლებში მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი. 1937 წელს ოჯახს დიდი განსაცდელი დაატყდა თავს, დაიჭირეს და დახვრიტეს იგი. ის იყო რეპრესიების მსხვერპლი.

ჟურნალი „ათინათის“ პატარა ჟურნალისტი ელენე გულიაშვილი ესტუმრა ბატონ რეზოს.

გთავაზობთ ინტერვიუს რეზო ჩხეიძესთან.

მოგესალმებით ბატონო, რეზო! მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ „ნორჩი ათინათელი“, ქ. თბილისის აკად.ივ.ჯავახიშვილის სახ. 53-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ელენე გულიაშვილი. მინდა რომ რამოდენიმე კითხვა დაგისვათ.

– როგორი ბავშვი იყავით ცელქი თუ ...?

– ყოველ შემთხვევაში ისე, რომ თავზე ხელაღებული ვყოფილიყავი, ნამდვილად არა.

ალბათ ცელქიც ვიყავი, მაგრამ მე მგონი უფრო დინჯი, ვკითხულობდი წიგნებს, ვსწავლობდი კარგად. ახლა ფრიადოსანს რომ ეძახიან, არ ვყოფილვარ ასე ოთხები და ხუთები მქონდა. კარგი მოსწავლე ვიყავი. როდესაც ბავშვები ხმაურობდნენ და რაღაცას აწყობდნენ, ამის დამწყები მე არასოდეს ვყოფილვარ, ასე რომ ასეთ საქმეებში თავშეკავებული ვიყავი.

– ყველაზე მეტად რომელი თამაში გიყვარდათ ბავშვობაში?

– ფეხბურთი და ჭადრაკი.

– საქართველოს რომელი კუთხე გიყვართ ყველაზე მეთად?

– იცით რა, მე იმერელი კაცი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მე უნდა მიყვარდეს და მიყვარს კიდეც ქართლი, იმიტომ რომ თბილისია ქართლი. თბილისი ხომ დედაქალაქია საქართველოსი.

– ამაყობთ თქვენი გვარით?

–კი, არ არის ცუდი გვარი, ბევრი სახელოვანი კაცია, პატიოსანი ადამიანები არიან, ამ გვარის მატარებლები, ვამაყობ კი, საქართველოს ისტორიაში, მეცნიერებაში ჩემი გვარი გამოჩენილია, საკმაოდ გავრცელებული გვარია. კარგი გვარია.

– რომელ ასაკში გადაწყვიტეთ კინორეჟისორობა?

– ბევრი არ მიფიქრია, გადავწყვიტე რეჟისორობა, ეს კინო იქნებოდა თუ თეატრი ამაში დიდად გარკვეული არ ვიყავი.

– როგორ გაიხსენებდით მოსკოვში სწავლის პერიოდს?

– ძალიან დიდი სიყვარულით, თბილისში ასეთი სპეციალობის ფაკულტეტი არ არსებობდა, ამიტომ უნდა წავსულიყავი მოსკოვში. მე და თენგიზ აბულაძე წავედით მოსკოვში. გამოცდებამდე ორი კვირით ადრე, ჩავაბარეთ საბუთები, უნდა გითხრათ, რომ არაჩვეულებრივად ყურადღებით მოგვეპყრნენ. არ დამავიწყდება საბუთების ჩაბარებიდან ერთი კვირის შემდეგ გამომიძახეს დეკანატში. დეკანმა მითხრა: „ჩხეიძე თქვენ რა დაწერეთ? მამაშენი დახვრიტეს როგორც ტერორისტი და ვინ მიგიღებს შენ პირველ კურსზეო.“ ეს ადამიანი მე პირველად მხედავდა. მითხრა დახიე ეს ანკეტა და ხელახლა შეავსეო. ჩაწერე რომ მამაშენი იყო ჩვეულებრივი მოსამსახურე. დეკანმა თვითონ დახია ის ანკეტა და გადაყარა. ეს იყო გასაოცარი მისი მხრიდან.

ძალიან საინტერესო იყო ერთი ამბავი. მოსკოვში კრემლთან ახლოს იყო საერთო საცხოვრებელი. იქ იყო ორმოცამდე ადამიანი, მათ შორის ძალიან საინტერესო ადამიანები, როგორიც იყო სულხან ცინცაძე, ოთარ ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე და სხვები. ის ადამიანები, რომლებსაც დიდი როლი ითამაშეს ქართული ხელოვნების განვითარებაში. მათ შორის ბევრი სწავლობდა თეატრაურ ინსტიტუტში, კინემატოგრაფიის, ლიტერატურის ინსტიტუტში, სადამოს ვიკრიბებოდით ყველა და უამრავ საინტერესო ამბავს ვგებულობდით, ჩემთვის იქ ყოფნა იყო ძალიან ძვირფასი ეპოქა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ნაციის ხალხი. და ჩვენ ქართველები ყველაზე კარგად ვიყავით. ამანათებს ყველას ვუყოფდით, თბილისიდან როცა მოგვივიდოდა ხოლმე. ანუ ეგოისტობას არ ჰქონდა ადგილი. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

ასეთი ერთსულოვნება საერთო საცხოვრებელში იყო ძალიან მნიშვნელოვანი.. ანგარიშის გაწევა ბევრ რამეს ნიშნავს.

– რამდენი წლის იყავით „მაია წყნეთელი“ რომ გადაიღეთ?

–ზუსტად არ მახსოვს ალბათ 36-37 წლის.

–ყველაზე დიდი წარმატება თქვენს ცხოვრებაში?

– საერთოდ ითვლება „ჯარისკაცის მამა“ ფილმზე თუ მეკითხებით.

– დიახ.

–ასეა ცნობილი ხალხში, მაგრამ მე ვიზიარებ თუ არა, მიმაჩნია, რომ არ აქვს მნიშვნელობა. ხალხი ასე თვლის და მეც ამიტომ შეიძლება დავეთანხმო ამას. ჩვენი პირველი სურათი „მაგდანას ლურჯა“, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს იყო დებიუტი.

– რომელილ იყო თქვენი სადიპლომო ფილმი?

– ჩემი სადიპლომო ფილმი იყო „ქართული სპორტის გენიოსი – ბორის პაიჭაძე“. არაჩვეულებრივ პიროვნებაზე და სპორტსმენზე. ნამდვილ ნაციონალურ გმირზე. ბორის პაიჭაძე, მიშა მესხი... მანუჩარ მაჩაიძე ესენი იყვნენ სახალხო გმირები.

– ბატონო რეზო როგორ ფიქრობთ, მომავალმა რეჟისორმა რომელი წიგნები უნდა წაიკითხოს?

–მაგალითად ავიღოთ „ოტელო“ I მოქმედება. ოტელოს შეყვარებული რეჟისორმა უნდა ატრიალოს ბედნიერების თემები, როგორ კიდებს ხელს, როგორ ეფერება დეზდემონას. ანუ ბედნიერებამ უნდა იტრიალოს, მეორე მოქმედებაში უკვე იბადება ეჭვიანობის თემები, ეჭვიანობა როგორ უნდა გააკეთო, როგორ უყურებს, როგორ გამოხატავს, ეს იყო თეატრში. (ა. ხორავა) ბალეტში შეუდარებელი იყო ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც ცეკვავდა ბედნიერების ცეკვას. მე ვერ წარმომიდგენია ბალეტში „ოტელოს“ დადგმა, მაგრამ ჭაბუკიანი იყო გენიოსი. ხორავაასნაირი„ოტელო“ კი მსოფლიოში არ ყოფილა.

ჩვენ გვყავდა მარჯანიშვილში სერგო ზაქარაიძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი, რუსთაველში აკაკი ვასაძე, ისინი იყვნენ კორიფეები, მათ მსოფლიო დონეზე აჰყავდათ ხელოვნება. როდესაც ჩამოდიოდნენ უცხოელი სპეციალისტები, ისინი ამბობდნენ, რომ კავკასიაში არის ქვეყანა, სადაც იდგმება არაჩვეულებრივი სპექტაკლები. მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ როგორ შეიძლებოდა „ოტელო“ ბალეტში.

– ბატონო რეზო თუ გსმენიათ ჯ. ლეჟავას სახელობის აკადემიაზე და რა აზრის ხართ მასზე?

– მსმენია კი, როგორ არა. მე ვიცნობდი ჯუმბერს. ეს იყო მოგზაური, რომელმაც ველოსიპედით შემოიარა მთელი მსოფლიო. ასეთი ადამიანები არიან გმირები.

– იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს“?

– დიახ, ვიცნობ და ძალიან კარგი ჟურნალია.

– დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.

ინტერვიუ დავით ქევხიშვილთან



მერი ბერაძე

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე მერი ბერაძე.

– გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი პიროვნება.

– მე გახლავართ დავით ქევხიშვილი, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი 2012 წლიდან. 5 წლის ასაკში დავიწყე სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში, 2010 წლამდე აქტიურად ვიყავი დაკავებული, როგორც სპორტსმენი. დაახლოებით 9 წლის გან-

მავლობაში გახლდით საქართველოს ნაკრების წევრი. ბოლო 4 წლის განმავლობაში ვიყავი გუნდის კაპიტანი. 2010-2012 წლებში მომიწია ცხოვრება კანადაში. დაბრუნების შემდეგ, 2012 წლიდან გავხდი ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი.

– ოჯახი გყავთ?

– დავოჯახდი სულ რაღაც ერთი თვეა.

– გიყვარდათ ერთმანეთი?

– აბა უსიყვარულოდ ოჯახი არ იქმნება.

– რამდენი შვილი გინდათ გყავდეთ და როგორები უნდა აღზარდოთ?

– რამდენსაც ღმერთი მოგვცემს და რა თქმა უნდა, აღვზრდი ნამდვილ ჭეშმარიტ ქართველებს.

– როგორი ბავშვობა გქონდათ?

– ბავშვობა ძალიან კარგი, სულ ვიხსენებ. ჩემს ბავშვობას ძალიან ვაფასებ და მიყვარს. ბავშვობა ჩემთვის არის უდარდელი მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით ბევრი დრო დაკავებული ვიყავი, კომფორტულად ვგრძნობდი თავს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა.

– წარმოშობით საიდან ბრძანდებით?

– დავიბადე ყვარელის რაიონის სოფელ ახალსოფელში.

– ამჟამად რას საქმიანობთ?

– ამჟამად, როგროც გითხარით, ვარ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი. ეს ძალიან დიდი საქმეა, გამომდინარე იქიდან, რომ ძიუდო არის საქართველოში ნომერ პირველი სპორტი: თავისი შედეგებიდან, ისტორიიდან გამომდინარე. ერთი მხრივ, ჩვენ გვავალია პასუხისმგებლობა, შევინარჩუნოთ ის მიღწევები, ის ტრადიციები, რაც აქამდე იყო და ამავე დროს გავაუმჯობესოთ ასე რომ, დიდ შრომას მოითხოვს.

– რა სამსახურები გამოიარეთ?

– მანამდე რაღაც პერიოდი 2007 წელს 1 თვის განმავლობაი სტაჟირებას გავდიოდი გენერალურ პროკურატურაში, გახლავართ იურისტი. 2012 წელს, როდესაც არჩეული ვიყავი ფედერაციის წევრად, გავხდი ყვარლის რაიონის მუნიციპალითეტის გამგებელი. დაახლოებით ვიმუშავე წელიწადნახევარი. შუა პერიოდში ასევე შეხება მქონდა კერძო ბიზნესთან, როდესაც გახლდით უცხოეთში.

– რა მიღწევები გაქვთ სპორტში?

– გახლავართ ხუთჯერ ევროპის პრიზიორი, მსოფლიოს ევროპის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

– ხომ არ დაასახელებთ იმ სპორტსმენებს, რომლებიც თქვენ აღზარდეთ?

– ფედერაციის პრეზიდენტი სპორტსმენების აღზრდაში უფრო ნაკლებად ღებულობს მონაწილეობას, ჩვენი ვალი და დანიშნულებაა, შევქმნათ ის პირობები, რომ მწვრთნელებს და სპორტსმენებს ჰქონდეთ ჯანსაღი და ნორმალური განვითარების საშუალება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მე ფედერაციის პრეზიდენტად არ მოვსულვარ სხვა სფეროდან, გახლავართ ძიუდოისტი, მაქსიმალურად ვარ ჩართული სხვა დანარჩენ მწვრთნელებთან ერთად სხვადასხვა პროცესში. მხედველობაში მაქვს სპორტსმენების აღზრდა. მათგან გამვყოფდი: ვარლამ ლიპარტელიანს და ავთანდილ მჭედლიშვილს, რომლებიც გახლავთ ნომერ პირველი სპორტსმენები არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ხოლო ცქიტიშვილმა წელს მოიგო ევროპაში მსოფლიო ჩემპიონატი და მესამე ადგილი აიღო. ამავე დროს გასულ წელს მათ ქონდათ შთამბეჭდავი შედეგები.

– თქვენთვის ქართული ტრადიციები უფრო მისაღებია თუ თანამედროვე ცხოვრების სტილი?

– ქართული ტრადიციები მოქნილია და თავისუფლად შეიძლება შეხამება თანამედროვე ცხოვრების სტილთან. მე ნორმალური კუთხიდან და ნორმალური გადასახედიდან ვამბობ ამას. ასე რომ, ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ბევრი რამე მე საკუთარ ტრადიციებშიც არ მომწონს, ბევრი რამ კი ახალი ცხოვრების სტილში. კარგი ძველშიც არის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა მივდიოთ მარტო ძველდ და ახალი განვითარებისაკენ არ უნდა ვიფიქროთ. უნდა ავიღოთ შერეული ფორმა, რომელიც არ დაგვაკარგინებს ძველს და უფრო განვითარებს ამ ყველაფერს.

– მოზარდი თაობის აღზრდაში რას აყენებთ წინა პლანზე, სულიერ-ინტელექტუალურ თუ ფიზიკურ აღზრდას?

– ძველი გამოთქმა არსებობს „ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულია“. ფიზიკურად როდესაც ხარ ძლიერი, ეს უფრო გეხმარება სხვადასხვა ეტაპზე შენი ცხოვრების წარმატების მიღწევაში. ბუნებრივია, სულიერ აღზრდას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

– ვინ არის თქვენთვის სამაგალითო ქართველი სპორტსმენებიდან და რატომ?

– თუ გავცდებით ძიუდოსიტებს, დღესდღეობით თანამედროვეებში ჩემთვის ძალიან ბევრია სამაგალითო სპორტსმენი. ხოლო, როდესაც ვიყავი სპორტსმენი და მაშინ მეკითხებოდნენ, ყოველთვის ვამბობდი ლევან დედიაშვილს, რომელიც გახლდათ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, მართლაც ლეგენდარული სპორტსმენია თავისი შედეგებიდან გამომდინარე.

– როდისმე სიხარულით თუ გიტირიათ და რატომ?

– კი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მახსენდება 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, გუნდური პირველობა საფრანგეთში, სადაც ჩვენ ნაკრები პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ურთულესი შეხვედრები გვქონდა და აქ იყო მართლაც სიხარულის ცრემლები.

– ყველასათვის ცნობილია, რომ ამ პერიოდისათვის ძიუდოს ფედერაციის არც თუ ისე ფინანსები აქვს, როგორ მოახერხეთ და ჭალოვანის სკოლაში გახსენით უფასო ჭიდაობის წრე?

– კი დღესდღეობით ვერ დავიკვეხნით მართლაც, ამ ფინანსებით, თუმცა წინა წლებთან შედარებით ძალიან ვაქტიურობთ და უფრო მეტ საშუალებას ვეძებთ, რომ ძიუდოს ბიუჯეტი გაიზარდოს. ყველაზე მთავარი რაც იყო წელს, ჩვენ დაახლოებით 12 დარბაზი გავხსენით, რომ არ ჩავთვალოთ ეს სკოლა, რომელიც თქვენ ახსენეთ, ეს გახლდათ საერთაშორისო ძიუდოს ფედერაციის ეგიდით, გამომდინარე იქიდან, რომ მათ ჩვენ გადმოგვცეს 11 კომპლექსი ტატამი და ჩვენც ავიღეთ ვალდებულება, რომ სხვადასხვა რაიონში გაგვეკეთებინა დარბაზები, მას იმდენად დიდი გამოხმაურება მოყვა, რომ ჩვენგანაც მეტ ჩართულობას ითხოვდა. რაც შეეხება კონკრეტულ დარბაზს, მას თავისი ისტორია აქვს, რომელიც ყოველთვის გამახსენდება, როგორც ჩემი მოღვაწეობის ყველაზე კარგი მომენტი, გამომდინარე იქიდან, რომ როდესაც ხედავ, ადამიანებს უნდათ რაღაცის გაკეთება, მე ვფიქრობ, პირველ რიგში, მათ უნდა შევუწყო ხელი. მიუხედავად ჩვენი ხელმომჭირდეობისა, მაინც გმოვნახეთ საშუალება, რომ უკვე ნახმარი ლეიბები გადაგვეცა ამ სკოლისათვის, თუმცა ბატონი დავითის დიდი დამსახურებაა. იმდენად დიდი ენთუზიაზმი, ჩართულობა იყო ამ ადამიანის მხრიდან, რომ ბუნებრივია, ასე უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მართლაც გაიზრდებიან მომავალი ჩემპიონები.

– თქვენი ხელშეწყობით რამდენი ახალგაზრდა ვარჯიშობს ამჟამად ძიუდოში, ჭალოვანის საჯარო სკოლაში?

– მე, გამომდინარე ჩვენი გრაფიკისა, დღემდე ვერ მოვახერხე, სამწუხაროდ, ჩასვლა ადგილაზე და უშუალოდ ამ პროცესის თვალყურის მიდევნება თუნდაც ერთი დღით, როგორც მითხრეს, დაახლოებით ორმოცდაათამდე ახალგაზრდა ვარჯიშობს. ეს ძალიან შთამბეჭდავი ციფრია ერთი დარბაზისთვის. ე.ი. სწორად გადაგვიდგია ნაბიჯი, რომ გავითვალისწინეთ და დავეხმარეთ ამ პატარა საჩუქრით.

– ვინ არიან მწვრთნელი პედაგოგები?

– სოსო იაკობაშვილი, ჯულხა დეკანოიძე.

– თუ გაქვთ იმედი, რომ ჭალოვანის საჯარო სკოლაში აღზრდით წარმატებულ სპორტსმენებს. რა გაძლევთ ამის საფუძველს?

– ჩვენი მიზანი, როგორც გითხარით, გარდა იმისა, რომ ბატონი დავითის მხრიდან იყო ძალიან დიდი ენთუზიაზმი, ასევე დასაბუთებულად იყო წარმოჩინებული ის თემა, რომ ზოგადად ამ რაიონში, სადაც 3-4 სოფელი ერთმანეთზეა გადაბმული, მართლაც არიან ძალიან ჯინიანი და ჯანმრთელი ბავშვები. ქართული ძიუდო წარმატებულია იმიტომ, რომ ჩვენ ტრადიციულად გვაქვს გენში ორთაბრძ ლების მხრივ ეს მიდრეკილება. როდესაც ასეთი ტალანტები არსებობენ, ეს გვაძლევს ძალიან დიდ იმედს, რომ ეს ბავშვები, თუკი მიეცი სწორი მიმართულება, აუცილებლად დიდ ასპარეზზე გამოვლენ.

– აპირებთ თუ არა მეურვეობის გაგრძელებას აღნიშნულ სკოლაში?

– აუცილებლად, მე პირველ რიგში, რასაც ვაპირებ ის არის, რომ ჩავიდეთ და ერთად, ოფიციალურად ამ დარბაზის არსებობა აღვნიშნოთ. გავიცინოთ იქ არსებული კონტიგენტი, რომელიც ვარჯიშობს. მომავალი წლისათვის ჩვენ გვექნება საშუალება სავარჯიშო კიმანოთი კიდევ დავასაჩუქროთ და წავახალისოთ. ასე რომ, არა თუ ვაპირებთ, ეს ჩვენი ვალდებულებაც არის, აუცილებლად გაგრძელდება.

– ნამყოფი თუ ხართ ჭალოვანში?

– არა, მაგრამ ერთი სული მაქვს როდის ჩავალ.

– რა დახმარება გაგიწიათ საჩხერის რაიონის ხელმძღვანელობამ ან სამომავლოდ თუ დაგპირდნენ დახმარებას?

– კი, როგორც გითხარით, ამ სოფლის წარმომადგენელი დეპუტატის მხრიდან იყო ეს სურვილი, ყველა რომ ასეთი ენთუზიაზმით ეკიდებოდეს, გაცილებით უკეთესი სიტუაცია იქნებოდა, არა მარტო ძიუდოში, არამედ ნებისმიერ სფეროში, მართლაც, ძალიან დიდი დახმარებაა ეს ჩვენთვის. გარდა ამისა უშუალოდ ბატონი დავითის ინიციატივით შევხვდი მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც დაგვპირდა, რომ მომავალი წლისთვის შეეძლება, რომ გაითვალისწინონ უფრო მეტი თანხა, რომ უფრო გაფართოვდეს აღნიშნული დარბაზი და ასევე მწვრთნელების გარკვეული დანამატები ხელფასის სახით.

– რას უსურვებდით საქართველოს ახალგაზრდობას?

– ახალგაზრდობას ვუსურვებდი: მშვიდობას, წინსვლას, წარმატებას, აგრეთვე მე ვისურვებდი, რომ ქართველი ახალგაზრდები ყოფილიყვნენ უფრო მეტად მოტივირებულები, შრომის მოყვარეები, რათა თავისით შექმნან ეს ყველაფერი.

– იცნობთ ჟურნალ „ათინათს“?

– ჟურნალ „ათინათს“ აქამდე არ ვიცნობდი, დღეს გავიგე პირველად ამ ჟურნალის თაობაზე. ძალიან მოხარული ვარ და იმედია, გავაგრძელებთ ურთიერთობას. ყოველ შემთხვევაში მე მზად ვარ.

– რას გვეტყვით ჯუმბერ ლეჟავაზე?

– ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიოს შემოუარა ველოსიპედით. მე უშუალოდ ვიცნობდი ამ პიროვნებას და კიდევ ვამბობ, ჩემთვის ზოგადად ასეთი ადამიანები არიან არიან მაგალი-

თი შეუპოვრობის, იმის თუ როგოგრ შეიძლება დაინახო მიზანი თუნდაც ისეთი, რომ მსოფლიოს შემოუარო ველოსიპედით და იგი რეალობად აქციოთ. და თუ კი შენ იცნობ ასეთ ადამიანებს, ისინი ბუნებრივია, გაძლევენ ენთუზიაზმს და მოტივაციას. შეუძლებელი არაფერია, იმიტომ, რომ თუკი ერთხელ რაღაცა გაკეთებულა, ეს არის ძალიან დიდი სტიმული იმისა, რომ შენ თვითონაც მონახო შენ თავში ძალა და გააკეთო. სწორედ ამ კუთხით ვიცნობდი ამ ადამიანს და ძალიან მწყინს, რომ დღეს არ არის ჩვენ გვერდით. მისი მაგალითი მომავალ თაობას აუცილებლად სწორი გზისკენ წაიყვანს.

– მადლობა ინტერვიუსათვის.

ინტერვიუ ელგუჯა ნოზაძესთან

ბატონო ელგუჯა, მე გახლავართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშრისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი. თბილისის 147–ე სკოლის მოსწავლე გვანცა კვიციანი.

–ბატონო ელგუჯა, სად გაატარეთ ბავშვობა?

–საჩხერის რაიონ, სოფელ–ლიჩში, ძირულის ხეობაში.

–თქვენი ბავშვობის პერიოდიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

–ჩემი ბავშვობის პერიოდი იყო ძალიან რთული პერიოდი. მე დავიბადე ომამდე, (მეორე მსოფლიო ომამდე) და ამდროს დიდი გაჭირვება იყო 1950 წლამდე. ცოტა ხნის შემდეგ უკვე ნათელი მოეფინა ქვეყანას და მე ბავშვობა გატარებული მაქვს იმ დროს რომელიც ახლახანს გითხარით.

–ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

–მამა იყო სეით გიორგის ძე ნოზაძე, ხოლო დედა იყო მარიამ ხარაიშვილი დომენტის ასული.

–რამდენი დედმამიშვილი იყავით?

–ექვსი

–თქვენი საყვარელი საქმიანობა?

–შრომა.

–სკოლის პერიოდში ცელქი იყავით?

–ამბობენ რომ ცელქი ვიყავი, მაგრამ მე არ ვეთანხმები.

–გაგვაცანით თქვენი ოჯახი!

–დედ–მამა უკვე გაგაცანით, ახლა გადავალ შვილებზე მყავს 2 ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ასევე მყავს მეუღლე და 6 შვილიშვილი.

–რამდენი შვილიშვილი გყავთ?

–როგორც მოგახსენეთ 6. 3 გოგო და 3 ბიჭი.

–შვილიშვილებიდან ხომ არ გამოარჩევდით რომელიმეს, რაიმე ღირსებით?

–ისე ყველა ერთნაირად მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებულად გამოვარჩევდი ყველაზე პატარას, გიორგის. გიორგი ნოზაძეს, რომელიც თავისუფალ დროს სულ დამყვება და აინტერესებს რას ვსაქმიანობ. ინტერესიანი ბავშვია საერთოდ და კარგადაც სწავლობს. სწავლით ყველა კარგად სწავლობს, მაგრამ ეს გამოკვეთილად.

–სხვა ანალოგიური ბიზნესებიდან, თქვენი ბიზნესი რითია გამორჩეული და რატომ?

–თუ დეტალებში გაინტერესებს, აუცილებლად გეტყვით. მე თავიდან ვმუშაობდი თბილისის მეტროპოლიტენში და ბოლო 8 წელიწადი ვიყავი კავშირგაბმულობის მთავარი ინჟინერი. ჯანმრთელობის გაუარესების შემდეგ, გამიკეთეს კუჭის ოპერაცია და ექიმებმა მირჩიეს, რომ მეტროში არ დავბრუნებულიყავი და ეს არის ამის შემდეგ წამოწყებული ბიზნესი. რაღაც ხომ უნდა გამეკეთებინა და მოვიფიქრე, რომ ამ დარგში დამეწყო მუშაობა. მე ეს გადავწყვიტე მაშინ, როდესაც დაიწყოკ ერძო საკუთრება, 1988 წელს, მაგრამ მანამდე რომ აგეშენებინა ან გაგეკეთებინა რამე დაგიჭერდნენ, სწორედ ასეთი კანონები იყო მაშინ. კერძო მესაკუთრეობა რომ გამოცხადდა, აი, მაშინ მოვედი აქ. რაც შეეხება კითხვას თუ რითია ჩემი საქმიანობა გამორჩეული, ახლა აგიხსნით ამას. მე თავიდანვე დიდ ყურადღებას ვაქცევდი ხარისხს და ასეა დღესაც, ცნობილი არის ესეიგი ჩვენი ქათმის ხორცი მე არ ვმალავ მაგას ვაწერ ჩემს ბრენდს (გვარს) და ყველამ იცის, რომ ეს ჩემი წარმოებულია. ხარისხი გამოირჩევა!

–თქვენი ქველმოქმედებიდან გამომდინარეა საჩხერის რაიონის ძირულის ხეობაში უშურველად დათესილი უამრავი სიკეთე. რა განცდები გაქვთ როდესაც დიდ სიკეთეს თესავთ?

–მე ვერ გეტყვი, რომ რამე განსაკუთრებული და გამორჩეული სიკეთე დამეთესოს. ჩვენს ხეობაში უამრავი სიკეთე მაქვს გაკეთებული, მაგრამ არა სხვაგან. ვინაიდან მე მიყვარს ჩემი სოფელი და ვცდილობ, რომ ადამიანებს შეძლებისდაგვარად დავეხმარო, ხოლო რაცშეეხება ქველმოქმედებას, მაგის ჩამოთვლას დიდ ხანს მოვანდომებთ.

–ძირულის ხეობაში ბოლო პერიოდში თქვენი დახმარებით ხომ არაფერი გაკეთებულა მოსწავლე ახალგაზრდების სასიკეთოდ?

–განსაკუთრებული არაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით იმას რომ ძიუდოს სასწავლებელი გაიხსნა და ვეხმარები იმ ადამიანებს, რომ იქაური ბავშვები იყვნენ დაკავებულები და ჯანსაღი ცხოვრების წესით რომ იცხოვრონ.

–ჭალოვანის საჯარო სკოლა გახდა სახელობითი, თუ იცით ამის შესახებ და როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

– ნამდვილად ვიცი, ყველაფერი შეთანხმებული იყო ჩვენთან წინასწარ ვიცოდი, ეს ადამიანი დამსახურებული იყო და დაიმსახურა კიდეც ეს ადგილი. ამ საჯარო სკოლას რომ დარქმეოდა ბეჟან ხარაიშვილის სახელი.

– კიდევ რას გვეტყოდით აღნიშნულ სკოლაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესების შესახებ?

– უღრმესი მადლობა უნდა გადავუხადოთ ბიძინა ივანიშვილს იმისთვის, რომ ასეთი თანამედროვე ევროპული სკოლა არის ჩვენს ხეობაში, კერძოდ, ის სკოლა, სადაც მე ვსწავლობდი თავის დროზე, მაგრამ ეს სკოლა ისეთი კი არ იყო ახლა რომ არის. ახლა არის თანამედროვე ევროპული სტანდარტის, თავისი ინფრასტრუქტურით და ყველაფრით. მე ძალიან მიხარია, დიდი ხანია იქ რომ ვიყავი, შეიძლება ვთქვათ რომ მე მეორედ დავიბადე. მე ძალიან მომწონს ახალგაზრდები, თუ როგორი ჩამოყალიბებულები არიან.

– როგორ შეაფასებთ რაიონისა და ადგილობრივი, ხელმძღვანელი მუშაკების საქმიანობას?

– ახლა, დღევანდელ პირობებში, შედარებაც არ შეიძლება წარსულთან, მე მგონი ყველაფერი პოზიტიურია და კარგია.

– ხომ არ იცნობთ ჭალოვანის სკოლის დირექტორს და თუ იცნობთ რას გვეტყვით მის შესახებ?

– ჭალოვანის სკოლის დირექტორი არის არაჩვეულებრივი ადამიანი. მისი მშობლები ჩემი მასწავლებლები იყვნენ. განსაკუთრებით გამოვყოფ ქალბატონ მაშურას, რომელიც მასწავლიდა ქართულ ლიტერატურას. ის ძალიან კარგი ადამიანია და მშობლებიც ძალიან კარგი ჰყავდა.

– თუ იცნობდით დიდ მოგზაურს, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას

– მხოლოდ ტელევიზორით.

– არსებობს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია და თუ გსმენიათ ამის შესახებ?

–ამის შესახებ თქვენგან ვიცი, ხოლო რაც შეეხება ჯუმბერ ლეჟავას მე მას დიდ პატივს ვცემ და შემიძლია ჩავთვალო, რომ ის დიდი გმირი იყო.

– იცნობთ ჟურნალ „ათინათს"?

– არა, ნაკლებად.

– ხომ არ გაგვანდობთ, უახლოეს პერიოდში რა ქველმოქმედებას გეგმავთ?

– ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ აუცილებლად დავეხმარები ჩემს ხეობას.

– რას უსურვებთ ჩვენს ჟურნალს და მთლიანად საქართველოს ახალგაზრდობას?

– ჟურნალსა და ახალგაზრდობას ვუსურვებ კეთილდღეობას, კარგ ცხოვრებას, ყველაფერს საუკეთესოს.

ინტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან

სიცოცხლის მტრედი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან აკადემიაში, მართლაც და უფლით სასწაულები ხდება, ამ უქონელ და გაუტანელ დროში. ეს მე არც უნდა მიკვირდეს, რადგან კედლიდან ჟანა ხვიჩიას ხელით შესრულებული მამა გაბრიელის ხატი მიღიმის, თითქოს მამხნევებს, ძალას მმატებს...

აკადემიასთან არსებული ჟურნალი „ათინათი" 13-ე ნომერი, დედაოსთან მოხვდა, მისი ყურადღება მიუქცევია ამ სიტყვებს:

„მიკვირს კეთილს რად არ მხედავთ,
რად არ გინდათ შეამჩნიოთ სიბრძნე.
დამინახეთ, მე ვარ ქართვლის დედა,
„ათინათში" ჩემი მადლი იგრძენთ...
ცისარტყელა მომეხვევა ტანზე,
ვიცი ერთ დროს გამიტაცებს ცაში
ვიჯირითებ მთვარის შუქის რაშზე,
ვიცი ცრემლად დაიღვრებით მაშინ..."

ამ ლექსის მთელ სიგრძეზე ჩახატული იყო, ბატონი რეზო (ემელიანის) ხელით შექმნილი წმინდა ნინოს ხატი. წმინდა ნინოს მადლმა დააკავშირა ყველასათვის უცნობი დედაო ჩემთან, დედაო ყოველდღე მლლოცავს და მმოძღვრავს სიკეთითა და სითბოთი.

დეკემბრის სუსხიან დღეს აკადემიაში, სამი სხვადასხვა ასაკის ქალბატონები მეწვია, პატარა ლანას თან ახლდა დედა და ბებია. ლანამ სკამზე მოიკალათა თვალი, თვალში გამიყარა, ამოსუნთქვის საშუალებაც არ მომცა და კითხვები თოვლის ფანტელებივით მომაფინა მტკივნეულ გულზე:

– თქვენ ბევრი ბავშვები გაგიზრდიათ?

– დიდახ, ჩემო პატარავ მე შენნაირი ანგელოზები გამიზრდია თანაც ძალიან ბევრი.

– რა ჯიდლოები გაქვთ მიღებული?

– ჩემი ჯილდო ყველაზე დიდი შვილებია, ჩემი დავითი და ჩემი გელა, მერე შვილიშვილები: თამარი, ლევანი, თეონა, ნანა და ვახტანგი. თუმცა დამსახურებებიც ბევრი მაქვს მაგრამ, ეს არაფერია ადამიანი თუ მოინდომებს თ ნებისყოფა ეყოფა აუცილებლად მიაღწევს მიზანს, მიუჭრეველი არაფერია, მიუღწეველი მხოლოდ შვილებია, თუ ღმერთს არ უნდა არ გაქცევს დედობის ღირსად. ხდება პირიქითაც, მოგცემს შვილს, გაგაზრდევინებს, დაგაპურებინებს და მაშინ წაიყვანს შენგან როცა უფალი საჭიროდ ჩათვლის.

– რა დარდიანად საუბრობთ, მითხარით რა არის ამის მიზეზი?

– ეჰ, ანგელოზი შენ ამას ვერ გამიგებ კიდეც რომ გითხრა, ჩემს გულის ქვაბში ძალიან დიდი დარდია, რომელიც დღედაღამე ცრემლით იფუფქება, მოდი ამაზე არ ვისაუბროთ კარგი?... ჩემთვის ლამაზ დღეებს მაშინ ქონდა შნო და ლაზათი, როცა ჭრელ-ჭრელი ტანსაცმელი, ტანზე მემოსა, ახლა გული მაქვს, სევდიანი, ცივი, ნაზამთრი, მე გამახარებს ჩემი შვილის ხმა თუ მომესმა.

– ძაიან სევდიანათ საუბრობთ? მე კი მინდა მოგეფეროთ.

– მომეფერე მოდი, ჩაგიკრა გულში და ჩაგეხუტო, საყვარელო, შენ ჩემი სულის ფერია გახდები დღეიდან.

– როდესაც თქვენ ქუჩაში გაგივლიათ და გაჭირვებული დაგინახავთ შეგცოდებიათ?

– ძალიან გულს მტეკნს ხელგამოწვდილი ხელები დახმარებას, რომ ითხოვენ, რატომ-ღაც ისეთებიც დამინახია, რომელბიც საეჭვოთაც ჩამითვლია. ისე პირველად როცა ეს მასიური არ იყო საქართველოში ისე ძალიან გავიცადე, ლექსიც კი დავწერე

„ხელგამოწვდილი წინ რომ შეგხვდება
და კრძალვით გეტყვის დამეხმარეო...
სირცხვილის ალი წვამს და ედება,
ზიზღით ნუ ეტყვი გამეცალეო.
იქნებ არააქვს წამალის ფული,
ან დახმარება გთხოვა დისათვის.
ვინ იცის როგორ ატკივდა გული,
შემიწყალეო გთხოვა ძმრისათვის...
იშვიათია პოეტს, რომ გქონდეს
შემირცხვენიხარ მცირე არ მისცე...
შიმშილით გული რომ შეგიღ ნდეს,
დაუხმარებლად არ გამოიქცე.
უკანაკსნელი თეთრიც გაიღე,
უსულგულოს კი არ გარქმევ პოეტს
მცირე ნაღველი სახლში წაიღე
და კიდობანში შეგიშვებს ნოე.“

– რა იყო თქვენთვის სატანჯველი წუთები?

– ჩემი ტკივილი, ბავშვნობიდანვე დაიწყო, დედაჩემს ჰყავდა რვა დედმამიშვილი, რომლებიც, ზოგი ავიაროთ, ზოგიც ომს შეეწირნენ და ამიტომ დედა შავებს ატარებდა მთელი სიცოცხლე, მე ამას ბავშურად კი არა იდდი ადამიანივით განვიცდიდი, დედა თუ არ ჭამდა საჭმელს, მეც მშიერი ვრჩებოდი ერთხელ მახსოვს, მამამ წყენის კილოთი მიმართა: შენ გიდარდო თუ ეს ბავშვი, ხომ ხედავ, რა დღეშიაო და დედამ თავს ძალა დაატანა და ერთI ნაჭერი ვიჩინა ძლივს მოციცქნა. ჰოდა მახსენდება ჩემი წარსული... და ზოგჯერ მეღIმება კიდეც, როცა ბავშვებში თამაშის საშუალება მომეცემოდა, მათთან მხიარული ვიყავი, ვცეკვავდი, მღეროდი, წარმოდგენებს ვმართავდი.

– კარგად სწავლობდი?

– ძალიან კარგად, რა შესაძლებლობა მქონდა მთლიანად ვიხარჯებოდი.

– ახლა ქუჩაში ბიჭები, რომ იგინებიან ჩემი დედაო, ამაზე რას იტყვი?

– ამაზე საშინელება არაფერი გამიგონია მთელი ჩემი სიცოცხლის წლების გადასახედიდან, ამაზეც მაქვს ლექსი დაწერილი ხალხურ მოტივზე

დაჭრილ გული გაქვს მამულო,
თუმცა გესმები მალამოდ...
ო, გული მტკივა მალი-მალ
დაწერე რამე კალამი,
ვაჟაის მთები გამწყრალან,
სტუმარს არ ვასმევთ ღვინოსა..
ენა ყავისგან დამწვარა,
ხშირად ვივიწყებთ მირონსა...
დაგვიწყებია „გამზრდელი“,
და აღზრდილებზზე ვბრაზდებით...
დაგვილოცნია გზა გრძელი,
შორს წასულ შვილებს გავცქერით.
ვეჭობ მათ აღზრდა დავაკლეთ,
და არ ვივარგეთ დედებმა
ჩემი დედაი, მესმის და...
გულს ეკალივით მედება.
შვილნო, ისმინეთ ვედრება,
რომ არ ვიტიროთ დედებმა...
მოყვარეს პირში უძრახეთ,
ასეთი შვილი გვერგება,
თუ მაინც აღზრდა დაგაკლდათ.
პასუხი ვაგოთ დედებმა.

–ანუ თქვენ დედებს ადანაშაულებთ?

– დიახ! ჩემო პატარამ დედამ უნდა გაზარდოს შვილი, დედა სიგარეტს, რომ ეწევა შვილს რა უნდა უთხრას, შენ არ მოწიო?..ამაზეც დავწერე მტკივნეული სიტყვები:

ქალებო, სიგარეტს ნუ მოსწევთ,
თბილისი იხრჩობა კვამლში.
ამ სენით იცოდეთ ერს მოსპობთ
გადაიჩეხებით ხრამში.

– ადამიანს, რომ უჭირდეს დაეხმარები?

– აუცილებლად, არც დავფიქრდები, მახსენდება ერთი მტკივნეული დღე... ერთმა ქალბატონმა მაწყენინა, გზაში მას ბილეთი აუღე. ამით დიდი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ რაღაცა ადამიანური იყო ალბათ ჩემი საქციელი, უფრო მეტიც წელს, ქალბატონმა ყამარ ბლიაძემ ურეკში წამიყვანა, იქ დავრწმუნდი, რომ მე ადამიანის დასახმარებლად სიცოცხლესაც საფრთხეში ჩავაგდებ.

სიცოცხლე კვლავ მინდა, მინდა დავიხარჯო ჩემი ხალხისათვის:

დაღლილ სულს ვუყურებ ნატანჯს და დაფლეთილს
ნეტავი ეს ბედი, კიდევ რას მპირდება
სიცოცხლე არ მოდის, არასდროს დაკვეთით
არადა კვლავ მაინც ო, როგორ მჭირდება

– ია თუ მოგირწყიათ?

– არასოდეს. ია, თოვლის წყლით საზრდოობს. ასეც ამბობენ ია, დედის ცრემლებით ამოდისო.

– წლევანდელ წელს რითი გამოყოფდით?

– წელს მწერალთა კავშირის მხარდაჭერით, განათლების სამინისტროს დადგენილებით და ჭალოვანის საჯარო სკოლის პედკოლექტივის მოთხოვნით, საჩხერის რაიონის ჭალოვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ჩემი აწგარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის სახელი. ანუ ბეჟან ხარაიშვილი ფენიქსივით აღდგა და მისი სული დალოცვას, მის მხარდამჭერებს, ალბათ ყველაზე მეტად ამ დიდი საქმის იდეის ავტორს ბატონ დავით შუბითიძეს.

– მეტი კითხვები არ მაქვს, დიდი მადლობა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გულნაზ ხარაიშვილი
აკადემიის წევრების ფიცი 2
უწმინდესი და უნეტარესი, ილია II
* * * (უწმინდესი მყავს... რაღად დავღონდე...) 3
მეუფე თადეოზი (იორამ იორამაშვილი)
* * * (სხივს ნუ მოგვაკლებ, მზევ, თბილო...) 3

უფლის საგალობელი

ლალი ნაზღაიძე-ერქომაიშვილი
ნათლისკენ მავალი 6
უცხო ხილია ჩვენთვის სიკვდილი! 8

პ ო ე ზ ი ა

2015 წელი გამოცხადებულია აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლის აღსანიშნავად 10
წმინდა ნინო 11
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
სონეტი ქართულ მიწას 16
სამშობლოსადმი 16
* * * (ვინც სიყვარულით აჯობა ყველას...) 16
* * * (მზით სავსე ზეცაც ხშირად გვქონია...) 16
ყოველ ჭეშმარიტ მორწმუნეს 16
* * * (როგორც სიცოცხლე, სიყვარული...) 17
* * * (საიდან ფიქრი უმზეო...) 17
* * * (იწვის... ანათებს... მზეა... ჰქვია მზე... ა...) 17
* * * (ჟამსა ლოცვისასა მოგხედე შენ და...) 17
* * * (საკვირველია ფერი ცის...) 17
* * * (ჩემთვის ისევ უაზროდ...) 17
* * * (ერიდე ცოდვის პირველ ხაფანგს...) 17
კახა ბაციკაძე
რუსთაველი 18
* * * (დღეს პოეზიის ღამე იქნება...) 18
ლურჯი ჯოხი 18
მშვენიერება 19
პირამიდები 19
ანა ბეინაშვილი
შეუცნობლობა 20
ღვთიური სასწაული 20
ხატება დედის 20
ლოცვა იმედით 20
ქეთევან წამებული 21
მაინც ლანდები 21

მაყვალა გონაშვილი
პოემა მარ ბაჯიევი 22
გოგი დგებუაძე
გახსოვდეს ბედი შენი მხოლოდ შენს ხელშია 29
თავისუფლება გვაშინებს 29
დასაწყისში დევს სირთულე 29
ერთმანეთს პატივს არავცემთ 29
მტირ წისქვილზე წყალს ნუ ასხავთ! 29
ქეთევან ნათელაძე
* * * (ჯერ არასოდეს ვყოფილვარ ასე...) 30
მაპატიე, დავმარცხდით, გტოვებ... 30
შენს ხსოვნასთან 31
შენ რომ გამაცილე შენიდან... 31
გურამ ოდიშარია
ფრაგმენტები სექტემბრის დღიურიდან 32
ლევან ბაბუხადია
დედას 34
განწყობილება 34
იმერეთი 34
ლომი 34
* * * (ძალზე ადვილი არის სიცოცხლე...) 35
სალაღობო 35
ქალი, ზაფხული, თეოსოფია 35
ვაჟა ეგრისელი
ცას მიკარგული ვარსკვლავები ქალაქებია 36
კავკასიონი 36
ამაღლება 36
ვედრება 36
* * * (წარსულში უცებ წინაპარმა...) 37
* * * (დაუკითხავად, როგორც მოყვასი...) 37
ცისარტყელას ავგაროზი 37
საქართველოს ისტორია 37
იმედი 37
* * * (მზე — ფანჯარაა...) 37
მწუხრის ლიტანია 38
უცხო ხომალდი 38
ჩემი თბილისის მაღალ კარებთან 38
* * * (ცისარტყელების ფერად ბაფთებით...) 38
რეზო ფაჩულია
იდილია 39
მენატრება 39
ზაურ მოლაშხია
ვიზიონი 40
აქ ვიწეწები... 40
ცენტრია ყველგან 40
აღიძვრის გული ხვალინდელ დღისთვის 40
*** (გიშველის მხოლოდ ღვთის მადლი ...) 40

თითქოს... 41
სიმღერა მისტიურ ცრემლზე 41
ცეცხლი 41
* * * (მარაოსავით უჭირავს ცა და...).....41
აქ... ვაკეში 41
ნუნუკა გურალია
ფიროსმანს.....42
ბევრჯერ სიკეთით ნაამაგარი.....42
* * * (ბეთანიაში კვლავ...).....43
როდის განმეორდები 43
ნატვრადა მაქვს 43
გვიღიმისდა 43
რას პირდებოდი 43
გიორგი ზუხბაია
პოეზიის ფერფლი.....44
სევდა 44
სიცოცხლე ნახატში.....45
სიგიჟე 45
ლექსის გაცოცხლება 45
უშანგი მოსიაშვილი
* * * (მინდა რომ ციდან ჩამოვიყვანო...) 46
სტალინს 46
მამულს 46
რწმენა 47
თავისუფლება 47
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
სულმნათნი.....48
მიწამ ქართული იცოდა.....49
მიმოზა ცანავა
ქალი 50
გრანელისებური 51
ქრიზანთემა.....51
მარტოობის ქალი 51
ნარცისი 51
ღიღილო 51
რუსუდან-ანასტასია კალანდაძე
უმშვენიერეს ქალბატონს გულნაზ ხარაიშვილს 52
ლამაზიც რჩება უსიყვარულოდ 52
დედაშვილობა 52
კახა ლომაძე
ბიბლიური დრო.....53
მთები 53
* * * (სხეულში აჩქარდა სისხლი ...) 53
დასასრულის სამყაროები.....53
დავით ტიგინაშვილი
* * * (ქართული ენის იარებს...) 54

* * * (გულო, გულო!...) 54
დამიპატიჟავ სტუმრები 54
წმინდა ნინოს თმით შეკრულო ჯვარო 54
სალამი ცისკრის ვარსკვლავო 54
დაიღრიალეთ ლომებო 54
რამ დაგაღონა, ჩემო ქვეყანავ 55
რა მშვენიერი დილაა 55
აბა რა გითხრა სიკვდილო 55
ცხოვრების პრინცი 55
ო, მამაჩემის საფლავო 55
ნაირა მარშანია
აფზახო 56
ჩემი კუთხის მიწას ტკბილად ჩავეკვრები 56
* * * (ჩემს გულში მუდამ ორი დარდია...) 56
შენს მზეს ვფიცავ 56
მე რომ მიყვარს 56
მეგრული ნანა და აფხაზური შიშნანი 56
მხოლოდ ერთხელ! 57
მიტოვებული ზღვის სანაპირო 57
ერთი ცა გვაქვს, ერთი მიწა! 57
შენი სიყვარული ვეღარ გამომგლიჯეს 57
მარინა ყიფიანი
ემიგრანტი ვარ 58
არ დაკარგოთ იმედი და რწმენა... 58
ო..როგორ მტკივა მამულო ჩემო... 58
მადლობა შენდა უფალო..... 59
ვინც მე საქართველოს მიწა გამიყიდა.... 59
ლეილა შუბითიძე
რა გეგონათ აბა! 60
ვუძღვნი ჩემთვის ყველაზე თბილ, ახლობელ ადამიანს: გულნაზ ხარაიშვილს 60
როცა ძალიან ბედნიერი ხარ 60
მე კი გზადაბნეულს... 61
არ მაქვს ომბალო 61
სხვისი ჩამოქნილი სანთელიც არ მინდა 61
ძირულის პირას გული რომ დამრჩა 61
ნუ დაიჭერ პეპლებს 61
საბა მოძველი
ბუნებრივი ჩუქურთმები 62
* * * (აკაკის სახლში სულიკო...) 62
აკაკის სახე 62
ილიას სახე... 63
ვაჟა-ფშაველას სახე... 63
* * * (ოცნებაც, ფიქრიც, გულიც სთხოვს...) 63
* * * (თუმცა ბუნებამ ჩამოჰქმნა...) 63
* * * (სულიკოს შერცხვა, ჟრუანტელს...) 63
ლამზირა შეყილაძე
იესო 64

ამომაშენე ტაძრის კედელში 64
დედა ენა 65
იწვის აგონია....65
შალვა ილურიძე
ამ ჩემი სულის ცხონება 66
ქსანზე ნათქომი სადღეგრძელო....66
სოფლის სიმდიდრე და სიყვარული....66
მინდა ვიყო პატრიოტი 66
სიმწრის ბაგაზე დამაბეს....67
ძმა კაცს 67
კოხის ქვევრი....67
ქალაქური — ახალ თბილისს ნაცების შემდეგ 67
უპარტიო კაცი....67
დევნილობის შემდეგ ხუთი წლის მწარე ტკივილო....67
ცინარი-მარიამ ხმიადაშვილი
სამშობლო....68
წყარო 68
მეუფე თადეოზს 68
ვაცოცხლოთ ფესვები....68
მადლობა ათინათს....69
„ათინათს“ გაზაფხული დგას 69
რითმებს მაგონებენ ფიფქები 69
ღმერთო მაღალო, მადლობა! 69
მარინე ცხვედიაშვილი
რეკვიემი 70
პატიება 71
ანა ერისთავი
დედას 72
წმინდა ნინო....72
კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს 72
გრიგოლ რობაქიძეს 72
სახლი 73
სოფელი 73
მანანა ზაზიკაშვილი
ამოდიოდა ენძელა 74
შენ რა მოგკლავს 74
ვიცოცხლებ სამარადისოდ....74
ნიკო ბაღაშვილი
ბავშვობა არბოშიკში 75
მიყვარს ჩემი ბათუმი....75
ახდენილი ოცნება....75
თამარ ჯაჭვაძე
რღვევა თავიდან 76
ერთად ყოფნა მოენატრებათ 76
წმინდა წიგნი 77
არ დაბერდება 77

ოთარ ურუშაძე
ქება ვაზისა 78
დრო 78
ქიზიყი 79
ღრუბელი 79
წაწალი 79
ბეჟან ხარაიშვილი
სხვაობა 80
სიყვარული იწყებოდა ასე 80
ეს ცხოვრება 80
გამოთხოვება 80
* * * (ისევ გინატრე ყვავილობისას...) 81
სიზმარი 81
* * * (ცა რომ მტრედისფერობს...) 81
* * * (ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და...) 81
ნაილი ხარაიშვილი
ბუმერანგი 82
გედი 82
უდაბნო 82
ჩემო იტალია 83
Lo ti amo italia 83
გვანცა ხარაიშვილი
* * * (სანამ ხეები ზეცის ვენებად იტოტებიან...) 84
* * * (სინათლის წელიწადია...) 84
* * * (შორსაა ზეცა...) 84
* * * (როცა სამყარო ფერებს იძრობს...) 84
გაიქეცი 84
* * * (მთვარე რომ ყველა ამოსუნთქვისას...) 85
* * * (ბავშვებს წარმოსახვის უნარი კვებავთ...) 85
* * * (მათ მითხრეს, რომ ოცნებები ახდებოდა...) 85
გულნაზ ხარაიშვილი
დარდის ტოტები 86
საუბრობენ გვირილები 86
გაგიმეტო?.. 86
ფიქრის დაფა 86
ველარ ვამჩნევ 87
წავიდეთ ფიქრო 87
ბუნების სუნთქვაც კი პოეტის ლექსია 87
დედის სიცოცხლევ 88
ხმავ ზეციურო 88
ნდობის სანთლები 88
მე მოვალ შენთან 89
ჩემო ბელურა 89
რაც მაწუხებს 89
დიდი ხნის ლოდინი 89
პეტრე ჯაჯანიძე
დუმს მარტოობა 90

უსინათლო პოეტს 90
სტუმრად ნათესავებთან 90
ბათუმი 90
* * * (ცრემლი ჩამოდის ცხარეთ ემიდას...) 91
ლ-ს 91
აპრილი 91
ფიალა 91
ალიოშა ჯაფარიძეს 91
დუმს მარტოობა 91
ვაჟა მიროტაძე
მესამე ზარის დარეკვამდე 92
როგორც დამოკლეს მახვილი 92
მთაწმინდაზე ქარია 93
* * * (არა ასეული, არა ათეული...) 93
იმერეთში 93
საქართველოს გაუფრთხილდი 94
ბებია 94
სინანული 95
* * * (სიყვარული სიცოცხლის...) 95
შენ, მარტოობა, პისტოლეტი და ქუთაისი 95
სერგი ლომაძე, ვასო ლომაძე
თეთრი (პოემა) 96
ყამარ ბლიაძე
დედასამშობლოს ძახილი 99
მამულს 99
ქართულ ენას 100
სოხუმის დაცემის დღე 100

ცრემლის წვეთები

მდუღარე ცრემლი (ბათუ ხარებავას) 101
გულნაზ ხარაიშვილი
ლექსის ძეგლი (აკროსტიხი) 109
ჩემს თავს „ზიზილას“ დავარქმევდი 112
კოკა მღერის ციდან მაგნოლიას 113

პროზა

რევაზ მიშველაძე
ძილში არ გაიპარო 115
სერობა 122
სანამ გახმაურდება 127
ბეჟან ხარაიშვილი
უსახელო მკვდრები 133
ს ა ა ქ ა ო 143
ლამარა გერგედავა
დაბრუნება 147

თამარ ჯაჭვაძე
ძალთა ჭიდილიდან 148
სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე
დიდი გამარჯვება ლაგოდეხის სკოლისა 154
ლაგოდეხის სკოლის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება 157
სერგი ლომაძე
ტრიუმფი პროზის რაინდისა 160
აპოთეოზი გიორგი სააკაძისა 163
აკაკის სამეფო 167
ბეჟან ხარაიშვილის სულის ზეიმი 170
სტუმრობა 173
სტუმრად ლეგენდარულ ბოდბეში 176
სტუმრობა „ქართველ მაგელანთან“ 179
გელა (გიორგი) ლარიაშვილი
მთვარეული ჩანახატი 181
ნანა პაიაშვილი
ფიქრი 182
გვანცა ხარაიშვილი
საღამო. კოწახურის კანფეტები 183
დილა. ნაცნობი უცნობი 184
დღიური 187
ნიკოლას სპარქსი, „დღიური“ 188
წერილი 189
წერილი ბეჟანს 190
ლევან ბაბუხადია
ბულბულის ბუდე 191
თონიდან მოპარული გოჭი და სტალინის სადღეგრძელო 192
ლალი კახიძე
„გულნატკენი ფარშევანგი“ 195
„ნეკერჩხალი“ 196
„ნატვრის ხე“ 197
ზღაპარი
„სამი დათვი“ 198
გაბერილი ქოთანი 199
ნანა დედა 200
ყვავილების ჩურჩული 201
ჟუჟუნა ნიჟარაძე
სავსე ქართული სიდარბაისლით 203
ყველას უყვარხარ 206
ციალა ხაჟალიას 207
ირაკლი ანდრიაძეს 207
სავალა პაკალა — ჯანი როდარი 208
სვირინგი 209

გულნაზ ხარაიშვილი
ორმოცი წლის აჩიკო ზღვაში დახრჩობას გადავარჩინე 212
ძმის ნაკვალები 213
მადლობა დავით! 216
ბატონი ნუგზარი როგორც ორგანიზატორი და პიროვნება 220
ნათელა ხარაიშვილი
სულში ჩაუწვდომი სინათლე 222
შორენა ზახუტაშვილი
EMIGRANT 225
GEORGIAN SPIRIT!!! 226
ნიკო ხერკელაძე
,,ქარჩოხთან დადენილი ცრემლები“ 227
რუხი მგლის ოინები 227
ლომისის ნიში 229
აკვანი მიტოვებულ სოფელში 230
მგლები მთვარიან ღამეში 230
მზევინარის ქვა 231
კვიცმა დედის ხმა იცნო 232
ობოლი 233
ობოლი ფეხსაცმელი 234

საბავშვო განყოფილება

ყამარ ბლიაძე
ყამარ ბებოს ნობათი 235
პატარა მორწმუნე 235
უტყუარი საბუთი 235
პატარა ბიჭის დიდი ნებისყოფა 236
თანბრად გაანაწილა 236
ნუცა ბებოს „საბავშვო ბაღი“ 239
ოჯახის ბურჯი 240

ბ ე ჟ ა ნ ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი ს უ ბ ვ დ ა ვ ე ბ ა

საჩხერის რაიონის სოფ. ჭალოვანის საშ. სკოლას პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელი მიენიჭა 243
დავით ტიგინაშვილი
ბეჟან ხარაიშვილს 243
თამარ ჯაჭვაძე
ბეჟან ხარაიშვილის საუფლოში 245
სერგი ლომაძე
დაუვიწყარი დღე სოფელ ჭალოვანში 248
ნაილი ხარაიშვილი
ისევ გინატრე ყვავილობისას 251

ფრესკად გაეკარ..... 253
თინათინ ხაბურზანია
ფიქრის კაცი..... 254
ლიანა ოსიაშვილი მელიქიძე
ბ - ე - ჟ - ა - ნ ხ - ა - რ - ა - ი - შ - ვ - ი - ლ – ს.....254
გულნაზი ხარაიშვილი
დრომ არ მიშველა..... 255
ჩემ ძმას ბეჟანის 255

ჯუმბერ ლეჟავა ლეგენდაა

ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი
ჯუმბერ ლეჟავა გულის სიიდან არ ამოიშლება 256
მარინა ყიფიანი
ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას!.....259
მერი სპანდერაშვილი
საქართველოს ისტორიის საძირკველში ჩადებული ოქროს ზოდი 259
მირანდა ხოდელიძე 260
თინათინ ხაბურზანია 261
გამოსათხოვარი ჯუმბერ ლეჟავას.....261
მანონ ყუბანეიშვილი 261
რუსუდან გორდეზიანი *262*
ლამზირა შეყილაძე
დაუვიწყარი ექსკურსია 263
ბატონ ჟუმბერ ლეჟავას.....264
კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას 265
ნაილი ხარაიშვილი
მსოფლიო მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას.....265
ლაშა ხარებავა.....*266*
გიორგი ლარიაშვილი *266*
ნიკო ხერკელაძე
მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლაჟავა.....267
თამარ ჯაჭვაძე
ჩვენს გვერდით ლეგენდა დადიოდა.....268
გემშვიდობებით 270
ოთარ ურუშაძე
ჯუმბერ ლეჟავა 271

წერილები

ტიტე მოსია
ივანე გეგიას ვოდევილი: „სიყვარულის მონა“ 272
ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლინება 276
ლუარა სორდია
გრიგოლ რობაქიძე და ქართული რენესანსის პრობლემა.....280
მანანა კვატაია

„პორტრეტთა” ენიგმური სივრცეებიდან 284
ძალაუფლების კონცეპტის ალგორითმი 287
მიხეილ ბოჭორიშვილი – თავისუფლებისათვის მებრძოლი შემოქმედი 291
შტრიხები დიდი ჰოლანდიელი მხატვრის პორტრეტისათვის 295
მანანა კვატაიას თარგმანი – ვინსენტ ვან გოგი 396
ლია წურწუმია
გლობალიზაცია და განათლება 297
ამირან ლომაძე
აღზრდის პრაქტიკა, მისი პირველი ფორმები, ადამიანთა გვაროვნულ-თემური გაერთიანებების ეპოქაში (პალეოლითი, ნეოლითი, ენეოლითი) 300
სერგი ლომაძე
ამირან ლომაძე — ეპოქის დიდებული მოაზროვნე 306
თინათინ ხოხობაშვილი
აღზრდის მნიშვნელობა, ლოცვის არსი და სათნოება 309
Lali Ratiani
LINGUISTISCHE GENDEROLOGIE- SPRACHE ALS MITTEL DER GENDERKONSTRUIRUNG 312
რატიანი ლალი
ლინგვისტური გენდეროლოგია-ენა როგორც გენდერის კონსტრუირების საშუალება 315
LINGUISTIC GENDEROLOGY – LANGUAGE AS CONSTRUCTING WAY OF A GENDER 316
რლდიკატივსლტზე 319
სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებებში 321

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დალი ზერაგია
ქალთა მიმართ ძალადობა 323
ფრანგულიდან თარგმნა დალი ზერაგიამ
მარსელ პრუსტი კომბრე 325
ლია ქურხული
ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარების ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ 330
რუსუდან მხეიძე
კითხვის პროცესის შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები 333
მანუჩარ მაჩაიძე
ფილოსოფიური საუბრები 335

თანამედროვე ფილოსოფიური აზრები

დათო ყანდაშვილი
მოკლე, ლაკონური ჩანაწერები 341

ისტორია

სიმონ ზაქარაია
„დადუმებული ცოდნის ტაძარი“ ანუ წიგნი ტრაგიკულ სინამდვილეზე 348
სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის ურთიერთობის სიძველე 350
ვინ არიან აფსუები და როდის ჩნდებიან ისინი შავი ზღვის სანაპიროზე 351

სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს შორის ურთიერთობის გამწვავება 351
თანამედროვე აფხაზური, ანუ აფსუა ეთნოსის ჩამოყალიბება 352
მუხრან ბიწაძე
უცნობი და ნაცნობი დეტალები სოფელ ქვაციხის უძველესი ისტორიიდან 355
მორისონ ქობულია
ადამიანთა საზოგადოების ისტორიისა და ბუნების მოვლენათა ფილოსოფიური კვლევის ახალი მეთოდიკის შესახებ 362
ადამიანთასაზოგადოებისისტორიისადაბუნებისფილოსოფიურიკვლევისმეთოდიკის შესახებისტორიისპერიოდიზაცია 367
ახალი მსოფლმხედველობის არსი და რაობა 375
ამალია საზანდრიშვილი
ბოლომდე დაიხარჯა თავისი ქვეყნისათვის 380
ირაკლი გიორგაძე
რუსეთ-თურქეთის ომების ზოგადი მიმოხილვა XV-XIX სს-ში 385

ეკონომიკა

სულიკო თავბერიძე
ინდივიდის, სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართება 395
ჯუმბერ ხარაიშვილი
სახელმწიფო ვალის ეკონომიკური შინაარსი და მართვის მეთოდები 399
საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებთან 403
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ზოგადი ნორმები 408
ჯულიეტა ალავიძე
საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების საქმინობის ძირითადი მიმართულებები 410
საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები თანამედროვე ეტაპზე 414
ვალერი მოსიაშვილი
საბანკო ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარების რეტროსპექტივა 418
პირველი ფულის ნიშნები მსოფლიოში 422
ინვესტიციებისადაეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების თეორიები 427
სულხან მახათაძე
საერთაშორისო საფინანსო ბაზრის განზოგადებული სტრუქტურის დახასიათება 435
საქართველოს საფონდო ბირჟის საქმიანობის ძირითადი ტენდენციები 437
საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებისა და რეგულირების თეორიული საფუძვლები 441
ვანო შუშტაკაშვილი
კაპიტალის მიგრაციის მიმართულებები გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპზე 445
რისკების მართვის პოლიტიკა კომერციულ ბანკებში 449

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა

იოსებ ფოჩხუა
რამოდენიმე თეორემა ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის განშლადობის შესახებ 453

სამართალი

ლაშა ხარებავა
საბანკო ზედამხედველობისა და კონტროლის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები 457
სახელმწიფო მართვის სტრუქტურის მახასიათებლები 464

ხელოვნება

ნელი კვახაძე-ჯამრიშვილი
ბუმბულით შესრულებული უნიკალური შემოქმედება 472
გიორგი ნეფარიშვილი
შემოქმედება....474
ჟანა ხვიჩია
თექაზე შესრულებული ნამუშევრები 476

ნორჩი ათინათელები

ლუკა შედანია – ინტერვიუ ბატონ გურამ ოდიშარიასთან....478
ალექსანდრე ლეთოდიანი – ინტერვიუ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტ ნუგზარ ნადარაიასთან 483
ინტერვიუ კარლო ნადირაშვილთან 487
ეკატერინე მარშანია – ინტერვიუ ვაჟა აზარაშვილთან....489
თამაზ აფაქიძე – ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან 491
ინტერვიუ ლაგოდეხის რესურსცენტრის უფროსთან მანანა ჩიკვაიძე....494
ტარიელ ხარატიშვილი – ინტერვიუ რევაზ მიშველაძესთან 496
ინტერვიუ ცეზარ ლაშხთან 500
ინტერვიუ ლაგოდეხის რაიონის №1 საჯარო სკოლის დირექტორთან მანანაჩალა ბაშვილი....504
ინტერვიუ მერი სპანდერაშვილთან 506
ინტერვიუ რუსუდან გორდეზიანთან....507
ინტერვიუ ლაგოდეხის გამგებელთან კახა ჯამბურიასთან 511
თებრონე მაისურაძე – ინტერვიუ ზურაბ გასიტაშვილთან 513
ინტერვიუ ლევან ბაბუხადიასთან 515
ინტერვიუ ჯუმბერ ხარაიშვილთან 517
ელენე გულიაშვილი – ინტერვიუ ილია ჭიაურელთან....519
თამარ ტყეშელაშვილი – იუზა რობაქიძე - ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავას უახლოესი მეგობარი....523
ინტერვიუ შოთიკო შუბითიძესთან....525
ინტერვიუ საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარე — ფრიდონ ბურდულთან....526
ინტერვიუ ვახტანგ ბარბაქაძესთან....528
თიკო წულაია – ინტერვიუ ყამარ ბლიაძესთან....531
მერი ბერაძე – ინტერვიუ ბეგლარ ელბაქიძესთან 533
ნანა სხირტლაძე – ინტერვიუ მწერალ ვაჟა მიროტაძესთან....536
გიორგი აბაშიძე – ინტერვიუ ზალიკო გამყრელიძესთან 538
ინტერვიუ სსიპ ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის დირექტორთან ბატონ უჩა ბარბაქაძესთან!....540

გიორგი გამეზარდაშვილი – ინტერვიუ ნუგზარ მიროტაძესთან 543
დიანა შუბითიძე – ინტერვიუ ვაჟა შუბითიძესთან 545
ნაზი არსენაძე – ინტერვიუ ვერა აბდუშელაშვილთან 548
ეკატერინე ქადაგიძე – ინტერვიუ ნაილი ხარაიშვილთან
ნინო ჭიღლაძე – ინტერვიუ საჩხერის გამგებელ ბატონ მალხაზ ბაზაძესთან 553
ხატია ღამბარაშვილი– ინტერვიუ ზურაბ ნვერაიძესთან 556
ელენე გულიაშვილი – ინტერვიუ რეზო ჩხეიძესთან 557
მერი ბერაძე – ინტერვიუ დავით ქევხიშვილთან 559
გვანცა კვიციანი – ინტერვიუ ელგუჯა ნოზაძესთან 563
ინტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან 565

მთავარი რედაქტორი — **გულნაზ ხარაიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი — **ლუარა სორდია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ნანა სხირტლაძე**

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge